რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

მიშველაძე

ჩურჩულს გაღვიძებული კაცი

რომანი

ტომი

XIV

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-314-2 (XIV ტომი)

რედაქტორი: **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

პირველი თავი

აპრილი

ქუჩაბანდს მოაჯირიანი აივნების ჩრდილი მაქმანივით ახატია.

ქვაფენილს ცალკერძ ჩამოყოლ-ჩამოჭურჭურებულ რუში იხვები სხედან და ყვითელ ნისკარტებს აქშუტუნებენ.

შიგადაშიგ ულამაზეს თავებს შეთანხმებულებივით მაღლა ასწევენ, მწვანეჭიშკრიანი ეზოს სარდაფიდან დაძრულ წუილ-კაკუნს მიაყურადებენ და ისევ ქვებში მიკარგულ წყალს უბრუნდებიან.

ჩაყოფენ ნიჩაბა ნისკარტებს რუში, აჩინჩხლაამღვრევენ, მერე ყიპყიპით, ოდენ მათთვის გასაგებ იხვურ ენაზე გაეხმაურებიან ერთმანეთს, წყალს ფრთებზე გადაივლებენ და ქვაფენილზე დაეშვებიან.

უეცრად ქვემოდან ხმაური მოისმა.

წამიც და ქუჩა სახეგაფაციცებული მოქალაქეებით გაივსო.

მდუმარე ლაშქარი ზევით, ვერისხიდისკენ მიიჩქარის.

იხვები ერთიმეორის მიყოლებით შეტყაპუნდნენ გზისპირას დაგდებულ ჟანგისგანშეჭმულ მილში.

მიტოვებულ მილში შეყუჟული იხვები ვერასოდეს გაიგებენ რომ ქვეყანას რევოლუციის ქარმა დაჰბერა.

იმპერიამ, რომლის მოქალაქეებადაც ვითვლებოდით, რყევა დაიწყო და საქართველოს ცაზე თავისუფლების ვარსკვლავის შორეულმა ციალმა ყველანი აგვიყოლია.

ასე რომ, რისთვისაც ადამიანები ქუჩებში გარბი-გამორბიან, ჭეშმარიტად ღირს უწყინარი იხვების მყუდროების დარღვევად.

თბილისში მიტინგების და დემონსტრაციების ცეცხლი ანთია.

მე ვარ გელა კირთაძე, ლიტერატორი, ჟურნალ „ნუგეშის“ რედაქტორი.

არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ ჩემი მოვალეობა კარგად ვიცი: მომავალ თაობებს უნდა დავუტოვო გაღვიძებული საქართველოს ცოცხალი სურათები.

შეიძლება ითქვას, დღე-ღამეს ვასწორებ. მიტინგიდან გვიან ვბრუნდები და სტრიქონებს ჩავკირკიტებ. გავსებულია ჟურნალ-გაზეთები ჩემი ნოველებით, ჩანახატებით, რეპორტაჟებით...

„ჩემში აღმოჩნდა ამფეთქებელიო“, გალაკტიონი რომ წერს, მეც იმ დღეში ვარ. ასე მგონია, სკოლის მერხიდანვე დაიბადა ჩემში მე-

ამბოხე და შეურიგებელი ოპოზიციონერი საბჭოური წყობილებისა.

გუშინ ძველ ხელნაწერებში ვიქექებოდი და სტუდენტობისდროინდელ „დიალოგს“ წავაწყდი:

„სოკრატე – აქ რა გინდა, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – შენ დაგეძებდი, სოკრატე.

სოკრატე – რა იცოდი, აქ რომ ვიქნებოდი, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ახლა გაზაფხულია, სოკრატე. მზეს ძალა მოემატა. შენ დროული კაცი ხარ და მზეს მიეფიცხებოდი, ძვლების გასათბობად.

სოკრატე – ახალგაზრდა რომ ვიყო, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ახალგაზრდა რომ იყო, სოკრატე, მაშინ ამ მყუდრო ადგილას, მდინარის პირას, მინდორზე, კი არ დაგიწყებდი ძებნას, არამედ ჭადრების ჩრდილში მობურთავეს, ან მიტინგის არენაზე კენჭებით პირში, ორატორობაში მოვარჯიშეს.

სოკრატე – შენ ორატორობას რას ეძახი, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – როცა იმას ამბობ, სოკრატე, რაც ენაზე მოგადგება და, რასაც გონება გიკარნახებს.

სოკრატე – გონება ხომ იმას გიკარნახებს, ჰიპოკრატე, რაც ენაზე მოგადგება?

ჰიპოკრატე – რომ გიკარნახოს, უნდა გქონდეს, სოკრატე.

სოკრატე – რა, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – გონება. მე ასე მესმის, სოკრატე

სოკრატე – რა სჯობია, ჰიპოკრატე, გონებამ მცდარი აზრები გიკარნახოს, თუ არაფერი გიკარნახოს საერთოდ?

ჰიპოკრატე – მცდარი აზრი, სოკრატე, მხოლოდ ვიღაცისთვის არის მცდარი, ხოლო ვიღაცვიღაცისთვის იგი სწორი აზრია.

სოკრატე – სანამ სიმართლეს გაარკვევდნენ, მე ხომ ჩემი დამემართება, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – გააჩნია, მსაჯული ვინ იქნება, შენ ხომ ბრძენი ხარ. შენ გგონია, შენი სიბრძნისა ყველას სჯერა, სოკრატე?

სოკრატე – სიბრძნე, რომლისაც ყველას სჯერა, სიბრძნე აღარ არის, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ეს როგორ გავიგო, სოკრატე?

სოკრატე – როგორ და სიბრძნე იმდენად მართალი უნდა იყოს, რომ განსჯას და ეჭვს ექვემდებარებოდეს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაშ, შენი აზრით, მდგრადი, მუდმივი ჭეშმარიტება არ არსებობს, სოკრატე?

სოკრატე – როგორ არა, უცვლელი სიბრძნე მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – თუ ყველაფერი ცვალებადია, რატომ არის, რომ ასი წლის წინათ ნათქვამს დღესაც ვიმეორებთ ხოლმე, სოკრატე?

სოკრატე – ისინი, ვინც ასი წლის წინათ ნათქვამს სადღეისო გაკვეთილის ფასს სდებენ, ღრმად, ცდებიან, ჰიპოკრატე. შეიძლება ენდო მხოლოდ ზოგად, უცილობელ ჭეშმარიტებებს. სხვა ყველაფერი განსჯის, ეჭვის ქურაში უნდა გაატარო, ჰიპოკრატე. ცხოვრება მდინარესავით ცვალებადია, ხოლო ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, ჩემო კარგო ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – სახელმწიფო როდის ინგრევა, სოკრატე?

სოკრატე – როცა ხალხი მიხვდება რომ ბაბილონის გოდოლს აშენებდა და მოსწყინდება მონურად ცხოვრება, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მონურად ცხოვრებაში რას გულისხმობ, სოკრატე?

სოკრატე – რას და ერთნი რომ იდეებს ისვრიან და მეორენი ანგარიშმიუცემლად მუშაობენ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – შენი აზრით, სახელმწიფოს დასანგრევად ეს საკმარისია, სოკრატე?

სოკრატე – სავსებით. თუმცა არსებობს დამჩქარებელი საშუალებანიც, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაგალითად, სოკრატე?

სოკრატე – მაგალითად, როცა სახელმწიფოს თავი გაუთავებელ ლაყბობას მოჰყვება, ჰიპოკრატე. როცა ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი აქვს, მაგრამ ამ სურვილის ფრთებშესასხმელად მხოლოდ ენას ატარტალებს, საქმით კი ძველ ცხოვრებას ვერ შელევია, გესმის, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – მესმის, სოკრატე, მაგრამ, რომ დაინახო შენი შეცდომა, ამისათვის ხომ არის საჭირო შეცდომა დაუშვა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, საგანი შეცდომით გააკეთო?

სოკრატე – რა თქმა უნდა, ჰიპოკრატე!

ჰიპოკრატე – ხოლო საგანი რომ შეცდომით, მრუდედ, გააკეთო, ამისთვის ხომ დროა საჭირო, სოკრატე?

სოკრატე – სამწუხაროდ, ასეა, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ესე იგი, დრო რომ გავა, მერე გაირკვევა, რომ ესა თუ ის კაცი მცდარი გზით მიდიოდა. ასე არ არის. სოკრატე?

სოკრატე – ჭეშმარიტებაა, ჰიპოკრატე. სწორედ ამის გამოა, რომ შემდეგ მოსულმა თითქმის ყოველთვის იცის, რაში ცდებოდა ადრე გამვლელი.

ჰიპოკრატე – მაგრამ ეს ცოდნა მისი ჭკუის დამსახურება ხომ არ არის, სოკრატე?

სოკრატე? – არა, ჰიპოკრატე, დროის დამსახურებაა.

ჰიპოკრატე – რაკი ასეა, საერთოდ, შთამომავალი წინაპარს ყოველთვის რაღაცაში არ ეთანხმება, ხომ, სოკრატე?

სოკრატე – დიახ, ჰიპოკრატე, მაგრამ ჭკვიანმა შთამომავალმა ყოველთვის იცის, რომ მისმა წინაპარმა შეცდომა სწორედ იმიტომ დაუშვა, რომ მემკვიდრეს ის შეცდომა აღარ გაემეორებინა.

ჰიპოკრატე – ესე იგი შთამომავალი წინაპრის მადლიერიც უნდა იყოს, თუნდაც სრულებით არ ეთანხმებოდეს მის მიერ განვლილ გზას, სოკრატე.

სოკრატე – გონიერი შთამომავალი წინაპრის კერიის ღველფზე არასოდეს დააფსამს, ჰიპოკრატე, თუნდაც იმის შიშით, რომ მემკვიდრენი მასაც ისევე არ მოექცნენ.

ჰიპოკრატე – შენ ბრძენი ხარ, სოკრატე, და გთხოვ მიპასუხო: რომელიმე კეისარი, ან რომელიმე დრო გამოდგება ჭეშმარიტების კამერტონად?

სოკრატე – არა, ჰიპოკრატე. კაცობრიობა იმიტომ იცვლება და ვითარდება და ცხოვრებაც იმიტომაა საინტერესო, რომ გონება სრულყოფილი სისტემის ძიებაშია და დღემდე ვერ უპოვია.

ჰიპოკრატე – თუ მოხდა სასწაული და იპოვა, სოკრატე?

სოკრატე – ვერ გეტყვი, მაშინ რა იქნება, ჰიპოკრატე. ან საყოველთაო ჰარმონია-განცხრომა დაღუპავს კაცობრიობას, ან ქვეყნად საშინელი მოწყენილობა დაისადგურებს.

ჰიპოკრატე – შენ-ჩემობა სანამ გაგრძელდება, სოკრატე?

სოკრატე – სანამდისაც კაცობრიობა იარსებებს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მაშ, შენ ამბობ, რომ შეუძლებელია საერთო საკუთრება, სოკრატე?

სოკრატე – საერთოში რას ჰგულისხმობ, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – ყველასი, ხალხის საკუთრება, სოკრატე.

სოკრატე – ის რაც ყველასია, არავისი არ არის და ის, რაც არავისია, ყველასია, ჰიპოკრატე. საკუთრება იმას ჰქვია, რომ საგანს ვიღაცამ უნდა უპატრონოს. რაც ყველასია, იმას არავინ ჰპატრონობს. შენ წარმოიდგინე, სხვის რწყილებს ჩემი რწყილები მირჩევნია, რაკიღა ჩემს რწყილებს ჩემი სუნი ასდის, გამიგე, ჰიპოკრატე?

ჰიპოკრატე – მაშ, საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია, სოკრატე?

სოკრატე – ასეთ რამეზე ფიქრიც კი სისულელეა, ჰიპოკრატე. რას ჰქვია თანასწორობა, მაშინ, როდესაც ამოდენა დედამიწაზე ორი ზუსტად ერთნაირი ტყუპისცალიც კი არ არსებობს. როდესაც ზუსტად ფოთოლსაც კი არ იმეორებს ღმერთი.

ჰიპოკრატე – თუ თანასწორობა შეუძლებელია, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, სოკრატე, რომ სუსტნი სამუდამოდ განწირულნი არიან ძლიერთაგან დასაჩაგრავად?

სოკრატე – ჩემს ხელებს დახედე, ჰიპოკრატე. სხვადასხვა ზომის და ძალის თითები ერთმანეთს ხომ არ უშლიან. ასე უნდა იყოს დემოსშიც. სუსტსა და ძლიერს შორის კანონი უნდა ჩადგეს.

ჰიპოკრატე – იმპერიის მიერ დაპყრობილი პატარა ერები როდის გათავისუფლდებიან სოკრატე?

სოკრატე – როცა იმპერია დაინგრევა, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ქვეყანა როდის ინგრევაო, შემახსენე, სოკრატე?

სოკრატე – როცა კანონს ძალა არა აქვს, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – როდის არა აქვს კანონს ძალა, სოკრატე?

სოკრატე – როცა კანონის დამრღვევნი რიცხობრივად და უფლებრივადაც გაცილებით სჭარბობენ კანონის დამცველთ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – თუ ღმერთი გწამს, ჩრდილს შევეფაროთ, ამ სიცხეში ტვინი ამიდუღდა, სოკრატე.

სოკრატე – სიამოვნებით, მაგრამ აქ მთაა, ხოლო მთაში ჩრდილს რომ შეეფარები, მართალია, მზისგან თავს დაიფარავ, მაგრამ ტანზე შეგცივდება, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ესე იგი, რაც ტანს უნდა, ის თავს ყოველთვის ხელს როდი აძლევს, სოკრატე?

სოკრატე – დიახ, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – ბრძენო სოკრატე, გამოსავალი არ არის ამ საქმიდან?

სოკრატე – როგორ არა, ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატე – მასწავლე და მთელი სიცოცხლე შენი მადლიერი ვიქნები, სოკრატე.

სოკრატე – სულ ადვილია: მზეში თავზე უნდა დაიხურო, ჰიპოკრატე“.

ხელნაწერს 1962 წლის 15 სექტემბერი აწერია.

მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდით.

„დიალოგის“ გადაბეჭვდა და რომელიმე რედაქციაში მიტანა არც მიცდია.

ვიცოდი, არ დამიბეჭდავდნენ.

რამ დამაწერინა?

იმ თვეებში ძველი ბერძენი ფილოსოფოსების კითხვით ვიყავი გატაცებული და გენიალური მოაზროვნეების, ერთი შეხედვით, „უბრალო“ საუბარი ჩემს საწუხარზე ამიგია.

ორიოდე შტრიხით ჩემს პორტრეტს მოვხაზავ. ვინ იცის, იქნებ მერე და მერე დრო აღარ დამრჩეს.

მაშ ასე:

მაღალი შუბლი და ხორბლისფერი, მზედაკრული სახე მაქვს, მუქი შავი, ურჩი თმა, რომელსაც ოთხი თითის დადებაზე რომ გავუშვებ, დახვევას იწყებს, მაგრამ სწორედ ამიტომ სამ თითზეც არასოდეს გამიშვია. ცურვაზე რომ დავდიოდი, ქლორიანმა წყალმა თმის ცვენა დამიჩქარა. მერე, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, თმის ცვენა შემიჩერდა და რაც დარჩა, ეს არის. ღარიბი კაცის ყანასავით მეჩხერი თმა გაქვსო, მეგობრები მეხუმრებიან. მე ვფიქრობ, უფრო ცალხაზიანი რვეულის სიხშირის თმა მაქვს-მეთქი და ამაზეც გულიანად იცინიან. საშუალოზე ოდნავ მაღალი ვარ, თაფლისფერი თვალებით. უფრო ფართო თვალები მექნებოდა, ბოლოში ქუთუთოები ლამის თვალების მეოთხედს რომ არ მიფარავდეს. ქერაფცუა, გამოხუნებული წარბები მაქვს, თანაც ისეთი, გუგებს რომ პირწმინდად მიყვება და, თუ ერთ მეტრზე არ მომიახლოვდა ასპროცენტიანი მხედველობის კაცი, საერთოდ უწარბო ვეგონები. სწორი, ზომიერად კეხიანი ქართული ცხვირის მარჯვნივ ბობოქარი სიყმაწვილის დანატოვარი შრამი მაქვს. თხელი ტუჩები კარიესისკენ გაუთავებლად მიმსწრაფლ კბილებს პირში ბეღურის შეფრენისგან საიმედოდ იცავენ. ჭამა-სმის მოყვარული ვარ და ჩემი გაუთავებელი სპორტულობა (ცურვა, კრივი, თხილამურებით სრიალი, ჩოგბურთი, ცხენოსნობა) მხოლოდ წონის დაგდებითაა მოტივირებული. ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ სასიამოვნო ხმა მაქვს და როგორც მეუბნებიან, ძილში არ ვხვრინავ.

რაც შეეხება ყურებს, განსხვავებით იმათგან ვისაც ლეღვის ფოთოლივით გადაფენია და სპილოს ყურებს მიუგავს, მე პატარა, კეფაზე მიკრულ ყურებში იმაზე მეტი მესმის, რაც უნდა მესმოდეს.

* * *

ზეწარმოსხმულმა, ხელების ორთქვლითა და ბუტბუტით მიმომავალმა ბიჭმა ჩემს თხოვნაზე, მაღლა ამიყვანე-მეთქი, თვალი მილიციელებისკენ გააპარა, წელზე მოჭერილი თოკი შემოიხსნა და ჩამომაწოდა. თოკს მოვეჭიდე და მარმარილოს მოაჯირს თავზე მოვექეცი თუ არა, წითელსამკლაურიანი, ქურქიანი კაცი აღიმართა ჩემ წინ.

– არ შეიძლება, ბატონო, ჩაბრძანდით ძირს.

ვუთხარი, ვინც ვიყავი და დავეღრიჯე, ორიოდე წუთით მივალ, იქნებ ცოტა მაინც გავამხნევო-მეთქი მოშიმშილენი.

– სულერთია. არც თქვენ დაგიჯერებენ. ესენი შიმშილს არ მოიშლიან.

მე ჭკუას არავის ვარიგებ. ჩემი საქმე მაქვს-მეთქი, პასუხს აღარ დაველოდე, მარცხნივ გავუხვიე და სვეტთან მიწყობილ ქილებსა და ბოთლებს შორის გზა გავიკვლიე.

ერთმანეთს მიყრილ საბნებსა და დაბამბულ ჯუბაჩებს შორის შიმშილისაგან გაწამებულ, ფერგაცრეცილ ყმაწვილთა ანგელოზური სახეები-ჩანდა. თავის აწევის ძალაც აღარ ჰქონდათ. ახლა, თვითგვემის მეშვიდე დღეს, სიცივეს და უჭმელობას თავისი გაეტანა. ისინი თითქმის ერთმანეთსაც აღარ ემუსაიფებოდნენ. ერის თავისუფლებას ზვარაკად შეწირული ათასამდე უცოდველი ბატკანი ეგდო ბრძოლის ველზე და ირგვლივ შემოჯარული უამრავი კაცის თვალწინ კვდებოდა.

ზოგი მათგანის გამოხედვაში ძლივს შესამჩნევი, სუსტი ღიმილის ციაგი დავიჭირე. მძიმე ავადმყოფი ტუჩთა ოდნავი გაწევითა და თვალებითღა რომ გაგრძნობინებს, გიცანიო.

თავით-ფეხთამდე სიცივემ და ჟრუანტელმა დამიარა.

ასე უმწეოდ არასოდეს მიგრძვნია თავი.

– გიჭირთ, ძვირფასებო?

რაც შემეძლო, ხმადაბლა ვიკითხე, მაგრამ მაინც პათეტიური, თეატრალური შეკითხვა გამომივიდა. ახლა კითხვა-პასუხის დრო არ არის. აქ უნდა ამოხვიდე და ტუჩებით მიწვდე საკოცნელად მოშიმშილეთა სუსტმაჯებიან, გაყინულ ხელებს, ან მარმარილოს სვეტს იდაყვებით მიეყრდნო, რათა გაფიცულთ ვერ შეგამჩნიონ, შუბლი ხელებში ჩამალო და აქვითინდე.

– ბატონო გელა, ჩვენ ასე ბედნიერები არასოდეს ვყოფილვართ.

სუსტი, გალეული ხმაა, მარჯვნიდან მომესმა, მოვიხედე, სიცხით გათანგული, ტუჩებდამსკდარი გოგონა ხელთათმანიან ხელს გულზე იდებს – მე ვთქვიო.

ამასობაში ზემოთ, ქანდაკების ფეხთან, ვიღაცამ იყვირა: – ექიმი, ექიმი, ჩქარა!

სამი კაფანდარა, თეთრხალათიანი ბიჭი მაღლაშემართული საკაცით იქეთ გაიქცა. მივყევი. მწოლიარეთა შორის პატარა ბილიკი ჩნდება, რომ გულწასულამდე მივაღწიოთ.

კისერგადაგდებული, შუბლშეხვეული, ჯინსიანი ბიჭი ხელიხელ გადმოდის საკაცემდე. ექიმი მაჯას წვდა. მე ლოყაზე დავადე ხელი. ცივია, ტუტისფერი ადევს.

ექიმი მარჯვენას მკერდზე უბრუნებს, ავადმყოფს საბანს აფარებს და ფეხზე დგება. საკაცე სამხატვრო სალონის კარებში უჩინარდება.

იქ ლაზარეთია მოწყობილი.

მკლავებდაკაპიწებული ექიმები სიკვდილს ებრძვიან.

ისევ საშიმშილო პოლიგონზე ვბრუნდები.

მსგავსი სურათი მე არც კინოში მინახავს და არც წიგნებში წამიკითხავს.

საშუალოდ ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში გაისმის სასოწარკვეთილი ძახილი – ექიმი აქეთ! და შიმშილისგან ცნობამიხდილი კიდევ ერთი წამებული გაჰყავთ.

არავითარი პანიკა, არავითარი შიშის ზარი, ან მოახლოებული კატასტროფის გამო კვნესა-ვაება.

საოცარი წესრიგი და შეძლებისგვარად სიჩუმეც კია.

თითქოსდა რაღაც ჩვეულებრივი, ეროვნულ-რელიგიური რიტუალის შესასრულებლად შეყრილა ეს მილეთის ხალხი.

დააბიჯებენ თეთრხალათიანი ბიჭები და ზეწარში გახვეული ის მოშიმშილენი, ვისაც ფეხზე დგომა ჯერ კიდევ შეუძლია. დააბიჯებენ და წამდაუწუმ გაჰყვირიან:

– გვერდით მჯდომს, გვერდით მჯდომს მიხედეთ!

ვისაც გული წაუვა, მაშინვე უნდა გაიყვანონ, ნახევარი საათიც რომ აღმოჩნდეს შიმშილის სულხდის ქვეშ, მერე ყველაფერი გვიან იქნება.

ომში არ ვყოფილვარ, მაგრამ მე უკვე აღარაფერი გამაკვირვებს. წარმოიდგინეთ, ყინვისგან შეკრული ველი, სადაც ეს-ესაა ბრძოლა დამთავრდა და დაიწყო უფრო მტანჯველი საათები, კვეთების შემდეგ კბილთა ღრჭიალის, ხმლის ქნევის მერე სიმხურვალისგან გაცივებისა და ნელი კვდომისა.

მთვარეულივით დავბორიალებ: ნაცნობ-უცნობს შუბლ-ცხვირზე ვეხები, აჩემებულ „ნუ გეშინია, შვილოს“ ვლუღლულებ, საბნებს ვუკეცავ, ქუდებს ვუსწორებ, მძინარეს ვაყურადებ, ხომ სუნთქავს-მეთქი.

ჯერ მხოლოდ საღამოს ექვსი საათია. სინათლე მიიპარება. მოწამეთა სახეებს მწუხრისფერი ედება.

ღმერთო, გვიშველე.

ეს უკვე აღარც დემონსტრაციაა და აღარც პოლიტიკური ბრძოლის ჩვეულებრივი საათები.

შიმშილობა ხომ პროტესტის უკიდურესი ფორმაა და ეს შიმშილობა თავისი მასშტაბით, ალბათ, უმაგალითოა.

მეშვიდე დღეა ხუთასი ახალგაზრდა შიმშილობს მთავრობის სასახლის ცივ კიბეებზე. ორი ურჩხული ერთბაშად ესხმის მათს სიცოცხლეს – შიმშილი და სიცივე.

და განა მხოლოდ იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ერთი მუხლი სხვა მუხლით შეიცვალოს, აქ მსხდომთ მშვენივრად იციან, რომ მაშინ, როცა ძალა ბატონობს, კონსტიტუციურ თანასწორობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ისინი, ალბათ, ვერც იმ ტელემოძღვართა რჩევას შეისმენენ, რომლებიც ჯერ წარსულის სისხლიან გაკვეთილებს მოაგონებენ

გაფიცულთ, ხოლო მერე ყოვლისმცოდნის პოზით ურჩევენ შეწყვიტონ შიმშილობა, როგორც უაზრო აქტი და დაიშალონ.

არა, ბატონებო. არც ეგრეა საქმე. საუკუნის გაფიცულნი თქვენ მოწაფე-პოლიტიკოსებად და ურა-პატრიოტ მოხალისეებად ნუ გეჩვენებათ.

მათ მშვენივრად იციან, რომ უზარმაზარი მისია არგუნათ ბედმა: მსოფლიოს უნდა მოახსენონ, რომ საქართველომ გაიღვიძა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე აბჯარს იზომებს ტანზე.

* * *

მოსწავლეთა სასახლის ღობესთან ჩამომჯდარს ხელჩანთიანი, თხაწვერა ახალგაზრდა მომიახლოვდა, ამერიკის ხმის კორესპოდენტად გამეცნო, მიკროფონი გამომიშვირა და ინტერვიუ მთხოვა:

მადლობელი ვარ, სერ, თავაზიანი წინადადებისთვის, მაგრამ უარი უნდა გითხრათ. ძალიან აღელვებული ვარ, დალაგებულად ვერ ვილაპარაკებ, არც თქვენ დარჩებით კმაყოფილი და არც ჩემს ხალხს მოეწონება ნაუცბათევი ჩანაწერი. მიბრძანდით, სხვა მოძებნეთ, უფრო მშვიდი ნერვების კაცი. მე ერთი უბრალო ლიტერატორი ვარ.

თქვენთვის, სხვა ერის შვილისთვის ვიცი, ჩვენი გაფიცვა-შიმშილობა გაუგებარია. ჭირვეული ხალხის ახირებად მოგეჩვენებათ. ყოველდღე ვისმენთ რადიო და ტელეგადაცემებს, ვკითხულობთ პრესას და გაოგნებული ვართ, თქვენგან ერთი ჟურნალისტიც არ აღმოჩნდა, ჩვენს სატკივარს რომ გულთან მიიტანდა. გვიყურებენ, როგორც საერთო ინდუსტრიაში ჩართულ პატარ-პატარა მანქანებს და თავში არასოდეს მოსვლიათ, რომ ჩვენ, გარდა იმისა, რომ საბჭოეთის იმპერიის მოქალაქეთა პასპორტები გვიდევს ჯიბეში, ვართ ერი – ჩვენი უბედური ისტორიული წარსულით და როგორც გული მიგრძნობს, კიდევ უფრო ძნელი მომავლით.

ჩემს სამშობლოს საქართველო ჰქვია. ჩვენ ქართველ ხალხს წარმოვადგენთ. ქართულად ვლაპარაკობთ და ვწერთ. ძირძველი ერი ვართ. მერე რა, რომ გარემოების გამო საბჭოეთის იმპერიის ფარგლებში ვცხოვრობთ და არა თუ სხვა ქვეყნებთან დამოუკიდებელი ურთიერთთობის გაბმა არ შეგვიძლია, ბევრ პოლიტიკურ რუკაზე აღნიშნულიც არა ვართ.

დიახ, სერ, ამ ბოლო დროს შემოიღეს პატარა და დიდი სამშობლოს ცნება. თურმე ნუ იტყვით, საქართველო ჩემი პატარა სამშობლოა, ხოლო საბჭოეთი დიდი. არა, ბატონო, პატარა და დიდი სამშობლო არ არსებობს. საქართველო ჩემი სამშობლოა, ჩემი სულის კივილია, ჩემთვის ყველაფერია-დიდიცაა და დიადიც, ხოლო საბჭოთა კავშირი რაც არის, მოგეხსენებათ.

იცი, რა გვითხრა გუშინწინ მიტინგზე ერთმა კაცმა? ვინ იყო და რას წარმოადგენდა, ვერ გავიგეთ, მაგრამ რუსულად ისე მშვენივრად ლაპარაკობდა, რომ ჩვენ თვითონ დავასკვენით, სად იყო გაზრდილი და ვის ჩანგს დაჰხაროდა. სხვის ენაზე რომ აჭიკჭიკდები, ცოტა აქცენტი მაინც უნდა გქონდეს. უშეცდომოდ თუ იცი სხვისი ენა, შენ გგონია დიდი ღირსებაა? ეს იმას ნიშნავს, რომ შენი მშობლიური ენა არ იცი კარგად. შენი დათმე, შენსას ზურგი შეაქციე. რა მოხდა, იოლას გადიხარ სხვისი ენით და, გგონია ქვეყანა არ დაქცეულა. აზვიადებენ პატრიოტულად ტვინმოწყობილი მოქალაქენიო, სულერთი არ არის, კაცმა რომ თქვას ბაზარში ტყემალს რა ენაზე ვიყიდი და გაზეთს რა ენაზე წავიკითხავო? ასე ფიქრობს ენაგამოცვლილი კაცი. არა და არა, მოწყალეო ხელმწიფევ. სწორედ რომ მეორედ მოსვლა და ცის ჩამოქცევაა, შენი მშობლიური ენა რომ დაგავიწყდება კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ერი დასაღუპავ-დასაკარგავად გაიმეტე. გასწირე უღვთოდ და უსაბუთოდ. როცა შენი მშობლიური ენა გეპატარავება და სხვისას უერთგულებ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენსავე მამა-პაპას შეაქციე ზურგი. მეტსაც გეტყვი, დამნაშავე ხარ ყველა გმირის წინაშე, თავისი ერის თავისუფლებისთვის რომ უბრძოლია. დამნაშავე ხარ ყველა მწერლისა და ეროვნული მოღვაწის წინაშე შენს ერს რომ წარმოუშვია დასაბამიდან აქამომდე.

აბა რა გეგონა, ასე უბრალოდ როდია საქმე. ახლა წარმოიდგინე, ათეული წლების განმავლობაში ჩაგჩიჩინებდნენ; ნუ გააწყალეგული ამ შენი ქართული ზნე-კულტურით, ნუ შეგვაწუხე ერთი მუჭა ერისთვისღა გასაგები ენა-სიმღერით, აღარ არის ეთნოგრაფიული ეპოქა, გაიგე ერთხელ და სამუდამოდ – მსოფლიო ლამის ერთიან მეცნიერულ-სამრეწველო წრებრუნვაში გაერთიანდეს და რა დროის ეროვნულ ტკივილებზე ჩივილიაო. არა და არა! მსოფლიო მშვიდობა და ჰარმონია მე იმისთვისაც მინდა, რომ ჩემი პატარა ქვეყანაც ფეთქავდეს და სულდგმულობდეს. დავთარარეულ მსოფლიოსთან რა მესაქმება. ვის რა დაუშავდება, ჩემი ქუდით რომ ვიარო ამ დუნიაზე და იმ ენაზე ვილაპარაკო, რომელზეც ჩემი წინაპარი ოთხი ათასი წლის წინათაც კი თავის დარდს და სიხარულს აკვესებდა.

გამექცა სიტყვა. იმას გეუბნებოდი, მიტინგზე კაცმა დაგვმოძღვრა-მეთქი. რაო, რა სასაზღვრო შენ-ჩემობია აიტეხეთო. რა ზღვარმტკავლობანას და ბაგირის გადაქაჩვას ეთამაშებით ერთმანეთსაო. ვინ მოგცათ თქვენი მიწები და თქვენი ეზოღობენიო. კარგა ხანია, თქვენი ნაციონალური რუკები მუზეუმებს ჩაბარდა და ახლა თქვენივე ნებით ყველანი საბჭოთა კავშირში ცხოვრობთ. ვინ მოგცათ საბჭოეთის ტერიტორიის დაყოფა-დაქუცმაცების უფლებაო. ეს თქვა, ტრიბუნიდან ჩამოხტა და ხალხის რისხვას გაერიდა. მან-

ქანით წასწყდა იმ ადგილიდან. კიდევ კარგი, ვერ მოასწრეს ქეჩოში ხელის ჩავლება, თორემ ცუდ დღეს დააყრიდნენ.

ასე ლაპარაკი შეიძლება? მე კარგად ვიცი, რაც მჭირს, მაგრამ შენ ყვავივით უნდა დამჩხავლო სამოცდაათწლიანი ბანგისგან ძლივს გამოღვიძებულს და თვალგახელილს? შენ რა დაგიშავდება, მე რომ ჩემი ისტორიული საზღვრები მოვიძიო და შვილებს ცნობად მაინც დავუტოვო, ვინ და რანი ვიყავით.

იმპერიას სხვა რამის ეშინია, სერ. საქართველოს ტერიტორიული პრეტენზია რომ მოვაწესრიგო, რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ სხვა მცირე ერებსაც იგივე სურვილი არ გაუჩნდებათ და არ დაერევიან ერთმანეთსო.

ხომ არ შეგვიძლია, მშვიდად ვუცქიროთ, როგორ ვილევით და ვთავდებით დღითიდღე? ხომ არ შეგვიძლია, ტაში დავუკრათ იმპერიის დიდი პროგრამის იმ პუნქტს, სადაც გასაგებად წერია, ხალხთა და ერთა თანდათანობით შერწყმა-შეერთება ჩვენი მთავარი ამოცანაა? ვის ხარჯზე მოხდება, თუ იცით, ეს შეერთება? პატარა ერების ხარჯზე, რომელ ენაზე ილაპარაკებს, იმ პროგრამის შემდგენელთა ვარაუდით, იმპერია ხვალ-ზეგ? – რუსულ ენაზე. აი, ესაა გულ-ფილტვს რომ მიღრღნის და არ მასვენებს.

ჩვენი საზღვრების შეცნობა-გამორკვევაზე ხომ ზრდილობიანი უარი გვითხრეს, ახლა ჯარის შენაერთები ჩაგვიყენეს ქუჩებში და გადი-გამოდიან პატრულები ტანკისლულადამიზნებულ სახლებში. ვის ეძებენ? გაფიცვის მოთავეებს და ინიციატორებს. არის დაპატიმრებანი და დაკითხვა-გადასახლებანი.

ამაოა სერ, ეს სიფრთხილე-ღონისძიებანი. ორი მილიონი კაცის ერთდროულად ქუჩაში გამოყვანა საიდუმლო „ორგანიზებით“ (როგორც უწოდეს) არა და არ მოხერხდება, თუ თვით ხალხი არ არის მზად. თუ სატკივარი თვით ხალხს არ აწუხებს და აფორიაქებს.

გინახავთ სადმე ამ მასშტაბის გაფიცვა? სამი თვეა ქუჩაში ვდგავართ და ჩვენს საყვირალს ვყვირით, ჩვენს სატკივარზე ვღაღადებთ.

ნუთუ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?

ნუთუ ახლაც შემთხვევითობას და ნაციონალურ ამჩატებას უნდა დააბრალოთ ყოველივე?

რა უნდა ვუთხრა თქვენს რადიომსმენელებს. ის, რაც სიმართლეა, თქვენ არ გაინტერესებთ. კიდეც რომ დაგთანხმდეთ გამოსვლაზე და გითხრათ, რაც გითხარით, სულერთია, ამის გამშვები ეთერში თქვენ არა ხართ.

თქვენ სხვა პოლიტიკა გაინტერესებთ და სხვა სიმართლეს ემსახურებით. ამიტომ გთხოვთ, დამტოვეთ მარტო ჩემს წუხილთან, წადით, თქვენი გზა ნახეთ.

* * *

ჯერ ტელეფონმა დარეკა. გელამ მაშინვე აიღო. გისმენთ, გისმენთო, ჩასძახა, მაგრამ არავინ გაეპასუხა. ყურმილში უცნობის სუნთქვაც კი ისმოდა. ჩანდა, იგი ყურმილის დადებას არ აპირებდა. ოციოდე წუთში კარებზე კაკუნი გაისმა. მასპინძელი ელოდა იმ კაკუნს. საიდუმლო რეკვას კაკუნი ხშირად მოჰყვებოდა. ხან მილიციის ქვეგანყოფილების რწმუნებული შემოივლიდა, ისე, დროის მოსაკლავად. ხან საგაფიცვო შტაბის დაბნეული წევრები აკითხავდნენ, ხან ფინაგენტი მოვიდოდა და ხანაც გელას „მოღვაწეობით“ დაინტერესებული მეზობელი შემოიხედავდა; გუშინ აქ, შემთხვევით, ქუდი ხომ არ დამრჩენიაო.

გააღო. პარმაღზე პირმრგვალი, თაგვისფერმოსასხამიანი, გრძელქოჩორა, წითური, შუახნის მამაკაცი იდგა.

– მაპატიეთ, უხერხულ დროს ხომ არ მოვედი? – უცნობს ორივე ხელი მოსასახამის ჯიბეში ეწყო.

– ჩემთან ბრძანდებით? – გელამ უკან დაიხია.

– დიახ, – ეს სიტყვა სტუმარმა უკვე ოთახში წარმოთქვა, – ცოტა სალაპარაკო მქონდა, თუ შეიძლება.

– შეიძლება გკითხოთ, ვისთან მაქვს საუბრის პატივი? – გელას ტონს ირონია აშკარად დაეტყო.

– ახლავე აგიხსნით ყველაფერს. არ შეგეშინდეთ, კეთილის მსურველი ვარ.

– რა ბრძანებაა. შიშს კარგა ხანია გადავეჩვიე. გისმენთ ყურადღებით.

უცნობმა მოსასხამი გაიხადა, სკამზე გადაჰკიდა, მაგიდას მიუჯდა, თითები ერთმანეთში გაუყარა და გელას შეხედა.

– მე ფსიქიატრი გახლავართ. ფსიქონერვულ კლინიკაში ვმუშაობ, შროშის შესახვევში.

– ძალიან სასიამოვნოა.

– სამსახურებრივ საქმეზე ვარ. პროფილაქტიკის მიზნით ყველამ უნდა გაიაროს ფსიქოშემოწმება, გასაუბრება მაინც. ეს ჩემი უბანია.

– კი ბატონო. ეს ახალი ამბავია?

– დიახ. ახლა შემოიღეს, მოგეხსენებათ ნერვიული საუკუნეა.

– ჩემთან, მე მგონი, პრობლემები არ გექნებათ. თქვენი ხაზით არა მიშავს რა.

– აგაშენათ ღმერთმა. ისე ჩვენს შორის დარჩეს და თავიდან ყველა ასე ამბობს, – უცნობს გაეცინა.

– ბატონი ბრძანდებით.

უცნობმა უჯრედებიანი ქაღალდი ამოიღო ჯიბიდან და წინ დაიდო.

– თუ შეიძლება, ბელგიური ტესტით გათვალისწინებულ რამდენიმე შეკითხვას მოგცემთ, ბატონო გელა.

– რატომ მაინცდამაინც ბელგიურით?

– მოკლე ტესტია. დასაწყის სტადიას ლამის შეუმცდარად ადგენს.

– აბა ჰე.

– ბატონო გელა, დილით სახლიდან რომ გადიხართ, ქუჩაში გასვლის შემდეგ თუ გახსენდებათ, რომ გაზი არ ჩაგიქვრიათ, ან კარები ღიად დაგრჩათ?

– დიახ, რასაკვირველია.

– ხშირად გემართებათ ასე?

– ძალიან ხშირად.

– ბრუნდებით, და ირკვევა, რომ ყველაფერი რიგზეა; კარებიც დაკეტილია, გაზიც გამორთული და ონკანიც მოჭერილი.

– დიახ.

უცნობმა რომელიღაც უჯრედს ჯვარი დაუსვა.

– ბატონო გელა, შუაღამისას თუ გამოუღვიძებიხართ კაკუნს კარებზე.

– არა მარტო შუაღამისას.

– იცით, მე რომელ კაკუნზე მოგახსენებთ? წამოდექით, მიირბინეთ კართან, გააღეთ და იქ არავინ დგას, მოგეჩვენათ.

– იყო ასეთი შემთხვევაც.

– როდის მოგეჩვენათ უკანასკნელად?

– არ დამიმახსოვრებია. ალბათ, ორი თვის წინათ.

– კეთილი.

უცნობმა კიდევ ერთ უჯრედს დაადო ნიშანი.

– ბატონო გელა, ძილი როგორი გაქვთ?

– დაღლას გააჩნია.

– რას?

– თუ ძალიან დავიღალე, ადვილად მეძინება.

– პირიქით, ძლიერი დაღლისას ცუდად უნდა გეძინოთ.

– ხან როგორ და ხან როგორ.

– სიზმრებს ხედავთ?

– ძალიან ხშირად.

– სიზმრებში ზოგჯერ დიდი ხანძარი ხომ არ გაერევა, ან წყალდიდობა, ან ზვავი მოდის ზემოდან და ენერგიულად ცდილობთ გადაასწროთ, რომ თოვლში არ ჩაიჩუმქროთ.

– არც უმაგისობაა.

– ფერად სიზმრებს ხედავთ?

– არ დავკვირვებივარ.

– ხომ არ გყავთ რამდენიმე ისეთი ნაცნობი, რომლის ნახვის შემდეგ, მთელი დღე ცუდ გუნებაზე დგებით, აფორიაქებული ხართ, ადგილს ვერ პოულობთ. თუ ის ნაცნობი დარბაზში აღმოჩნდა, ჩქარა გინდათ გახვიდეთ იქედან.

– კი ბატონო, ორი-სამი ასეთი ნაცნობიც მყავს.

სტუმარმა ორ უჯრედსაც დაუსვა ჯვარი, ქაღალდი დაკეცა, გულისჯიბეში ჩაიდო და გელას მიმართა:

– ბატონო გელა, ვერ გეტყვით, რომ მოულოდნელი იყო ტესტის შედეგი ჩემთვის. თქვენი ფსიქიური წყობის და ტემპერამენტის მქონე კაცისთვის ეს მოსალოდნელიცაა. ათიდან, ალბათ, სამს მაინც ექნება.

– რა ექნება? – გელამ გულხელი დაიკრიფა და ფსიქიატრს გაუღიმა.

– თქვენს ავადმყოფობას ჰქვია ნევრასთენიის პირველი სტადია. ავადმყოფობა ამ სტადიაზე საშიში არ არის, მაგრამ თუ დროზე არ მიხედეთ, შეიძლება, საშიში რეციდივები მოჰყვეს.

– აჰა, – გელამ მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა. იგი თვალს თვალში უყრიდა სტუმარს, – ჩემგან რა არის საჭირო?

ექიმმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და წინ დაუდო:

– ეს განცხადების ბლანკია. უნდა შეავსოთ. თქვენ მწერალი გელა კირთაძე აცხადებთ, რომ საჭიროებთ მკურნალობას და სთხოვთ ჩვენს ფსიქონერვულ დისპანსერს, რომ აგიყვანოთ აღრიცხვაზე და, თუ საჭირო გახდა, სტაციონალურადაც გიმკურნალოთ.

გელამ ქაღალდი განზე გასწია, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ დაჯდა და სტუმარს მოწყენილად შეხედა.

– შემოსვლისთანავე ვიცოდი, რა საპატიო საქმეზე ბრძანდებოდით. თუ ძმა ხარ, წადი შენს გზაზე. არ გამოვა არაფერითქო, გადაეცი, ვინც გამოგგზავნა.

უცნობმა სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

– ეგ იოლი საქმეა. წავალ, მაგრამ ერთი რამ მინდა იცოდე.

– ჰო.

– ჩვენ, ალბათ, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს და, შეიძლება, ოდესმე დარწმუნდე, რომ მე აქ შენს გადასარჩენად მოვედი.

– დიდი მადლობა.

– ამ შემთხვევაში ჩვენთან მკურნალობა შენთვის ყველაზე კარგი გამოსავალია.

– რა მჭირს სამკურნალო?

– შენც ნუ იმკურნალებ, იქნები ჩვენთან აღიცხვაზე.

– რატომ, ბატონო, რისთვის?

– ყური დამიდგე, გელა! საშიშ გზაზე რომ დგახარ, ჩემზე უკეთ იცი. მთავრობის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას და ახალგაზრდების აბუნტებას რომ არ გაპატიებენ, მე მგონი, ამაშიც ეჭვი არ გეპარება. მე, ერთი უბრალო ექიმი ვარ, მაგრამ გული მიგრძნობს, თუ შენის ნებით მკურნალობაზე უარი თქვი, შეიძლება სხვა ზომებს მიმართონ.

– მაგალითად?

– რად გინდა ახლა, მე რომ გითხრა მაინცდამაინც. ან დებოშში მოგახვედრებენ და ხულიგნობის მუხლს აგკიდებენ, ან ნარკოტიკს ჩაგიდებენ ჯიბეში და ნარკოტიკის გამავრცელებლის მუხლით გაგიშვებენ, ან, ღმერთმა დაგიფაროს, ავტოკატასტროფაში მოგახვედრებენ. თუ ძმა ხარ, მე რომ გითხარი, ეს არსად წამოგცდეს, თორემ დავიღუპები. რად გინდა შენ ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში ჩადგომა.

– რას ვაკეთებ ასეთს. ამიხსენით ერთი.

– ეგ მე არ მეხება. მე პატარა კაცი ვარ-მეთქი, გითხარი. როცა უნდათ, მაშინ მოძებნიან რამდენ მოწმესაც გინდა, რომლებიც დაადასტურებენ, რომ შენ მათს შვილებს გონებას ურევ და სასაკლაოზე აგზავნი.

– თუ შევავსებ ამ ბლანკს, როგორ ფიქრობ, თავს დამანებებენ?

– აუცილებლად.

– ავარიის და დებოშის აღარ უნდა მეშინოდეს?

– პატიოსან სიტყვას გაძლევ. უკვე ჩვენ ვაგებთ შენზე პასუხს. ჩვენ კიდე, სანამ ქვის სროლას არ დაიწყებ, ხმას აღარ გაგცემთ.

– მერე? ეს რომ ოდესმე ვინმეს მართალი ეგონოს?

– რას ჰქვია ოდესმე? შე კაი კაცო, ნაპოლეონზე, ვოლტერზე, ბაირონზე, მიქელანჯელოზე დიდი კაცი ხარ? ყველანი ესენი ნევრასთენიით იყვნენ შეპყრობილი, მაგრამ მათი სახელისთვის ამას ჩრდილი არ მიუყენებია.

– მე სხვა რამეს ვამბობ. ხომ შეიძლება ეს ქაღალდი ხვალვე გამოიყენონ ჩემს წინააღმდეგ. დაბეჭდავენ გაზეთში ნევრასტენიკიაო.

– გარანტიას გაძლევ. ჩვენი სამსახური ავადმყოფობის საიდუმლოებას უზრუნველჰყოფს.

„...ექიმმა და „პაციენტმა“ იმ ღამით დიდხანს ისაუბრეს.

კიდევ ერთი დაავადებული მიემატა ფსიქონერვულ ავადმყოფთა გრძელ სიას.

* * *

ჯეინ გრინსი სამოცსმიტანებული მანდილოსანი თბილისში 1989 წლის 6 აპრილს ლონდონის საკონდიტრო ფირმების ტურისტულ ჯგუფს ჩამოჰყვა.

ინტურისტის თანამშრომელმა აეროპორტშივე ბოდიში მოუხადა სტუმრებს: „საქართველოს დედაქალაქში ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებული დღეებია. ამ დღესასწაულის დროს ხანდახან მიკროფონს ხელში იგდებენ პოლიტიკური განგსტერები, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ აქა-იქ შემორჩენილი უკმაყოფილო ელემენტები, ნაციონალისტები, რომლებსაც განსაკუთრებით არ მოსდით თვალში უცხოელი ტურისტები. ამიტომ თქვენი მიღება უჩვეულო პირობებში მოგვიხდება. მეტ დროს მოვანდომებთ ქალაქგარეთ ისტორიული ადგილების დათვალიერებას, ხოლო როცა სასტუმროში დავბრუნდებით, უმორჩილესად გთხოვთ, მაშინვე დაისვენეთ. ქალაქში ღამით ხეტიალს ნუ მოჰყვებით. ქართველები, საერთოდ, სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ, შესაძლებელია, უცხოელ ტურისტებზე გამწყრალ ექსტრემისტს გადაეყაროთ და შეურაცხყოფა მოგაყენონო“.

– რას ამბობენ ის ელემენტები, რა დაგვიშავაო უცხოელმა ტურისტებმა? – ჰკითხა ინტურისტის თანამშრომელს ჯეინმა.

თანამშრომელი არ დაბნეულა, პასუხი ასე ჩამოაგვირისტა:

– იცით რა, ქართველებს თავიანთ ისტორიულ არსებობასთან რაღაც მაგიური, ძველებური, განსაკუთრებულტკივილიანი დამოკიდებულება აქვთ. ეს დამოკიდებულება ბევრი აუხსნელი საიდუმლოებით არის სავსე. რასაც ქართველები თაობიდან თაობას გადასცემენ და სხვა ერის წარმომადგენელს თითქმის არ უმხელენ. ამიტომ არ უყვართ უცხოელი ტურისტი. ასე ჰგონიათ, იგი იდუმალი მზერით ქართველის სულში იხედება. განსაკუთრებით ფოტოაპარატიანი სტუმარი სძულთ, ფოტოაპარატს ვერ იტანენ.

– მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, თქვენ ქართველი ბრძანდებით?

– არა, – ცოტა არ იყოს, თავხედური სიამაყით განაცხადა ინტურისტის წარმომადგენელმა და ჯეინს თავისი მიხვედრილობა გაეხარდა. ამ შეკითხვის მიცემისას უკვე ეჭვი ჰქონდა, რომ ეს ხაზგასმული აქცენტით მოლაპარაკე ქერათმიანი მოხელე შეიძლებოდა ნებისმიერი ეროვნებისად მიგეჩნიათ, ოღონდ ქართველად არა.

ორმა დღემ თვალისდახამხამებაში გაიარა.

ინგლისელ ტურისტებს პირველ დღესვე დაათვალიერებინეს სიონი, ლისის ტბის მიდამოები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ხოლო მიუხედავად სტუმართა თხოვნისა, ფუნიკულიორის დათვალიერებაზე ზრდილობიანი უარი უთხრეს. ფუნიკულიორი რემონტზეა და ასვლა ვერ ხერხდებაო.

თბილისის ნახვა ამით ამოიწურა. მერე დაიწყო არანაკლებ საინტერესო ტურისტული გასვლები ქალაქგარეთ. უძველესი

ციხე-მონასტრები, სადეგუსტაციო დარბაზები, მარნები, საჩვენებელი მეურნეობები, – განსაცვიფრებელი ეროვნული კულინარია – ინგლისელთა აღტაცებას იწვევდა. დაღლილნი, გვიან ღამით სასტუმრო „ივერიაში“ რომ ბრუნდებოდნენ და ადამიანური მოთხოვნილებებით შეჩქარებულ-შეწუხებულნი ცალ ფეხზე ხტუნავდნენ, მათს ლექსიკონში ხშირად ისმოდა „რაიტ“, „ბიუტიფულ“, „ლაიკ“, „ნაის“ „ვერი გუდ“ და სხვა სიტყვები, საიდანაც ინგლისურის სუსტად მცოდნე, მაგრამ მაინც ყურგაფაციცებული, ლიფტის მორიგეც კი ასკვნიდა, რომ ტურისტები კმაყოფილნი იყვნენ.

რვა აპრილს ტურისტები საგარეჯოდან გვიან ღამით დაბრუნდნენ. ნინოწმიდის ზღაპრულმა პალატებმა და მელნისფერმა ღვინომ, რასაც მასპინძელთა გრძელი, ლამაზი სადღეგრძელოებიც ამშვენებდა, სტუმრები სასიამოვნოდ დაღალა და შეაყოვნა.

ჯეინის დიდხანს არ დაეძინა. ინგლისელი ქალბატონი საერთოდ მოგზაურობის მოყვარული გახლდათ და ბევრი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი, მაგრამ საქართველო არცერთ მათგანს არ ჰგავდა. აქ ყველაფერი გამორჩეული იყო: ძველთაძველი, თაგვისფერი, ლამის ერთთარგზე გამოჭრილი, მაგრამ მაინც ერთმანეთისგან განსხვავებული ტაძრები, უხვი და ფანტაზიამიუწვდომი სამზარეულო და ნადიმის უნიკალური წესი; სუფრის წევრთა მონუსხული ყურადღება და პოეტური სადღეგრძელოები რომ ამშვენებდა.

სასტუმროში რომ შემოდიოდნენ, მაშინაც შეამჩნია ჯეინ გრინსმა ავტობუსებით გადახერგილი მოედანი და იქვე მორიალე მოქალაქენი, მაგრამ დაასკვნა: ალბათ სწორედ ის ეროვნული აღლუმი დამთავრდა, რაზეც ინტურისტის წარმომადგენელი გვესაუბრებოდაო, ამიტომაც კითხვით აღარაფერი უკითხავს. სხვა ტურისტები უკანცქერით შელაგდნენ „ივერიის“ უბრუნავ კარებში. ჩანდა, ისინი კვლავ იმ შავბნელი ინფორმაციის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, რომლის ერთ აუხსნელ ჭეშმარიტებას ქართველების უცხოელ ტურისტებთან დამოკიდებულება წარმოადგენდა.

ინგლისელი სტუმარი ღამით აივნის კარს ყოველთვის აღებდა. ღია კარსარკმელში ძილი მისი ბავშვობის ჩვეულება იყო. სადაც ჩავიდოდა, პირველ რიგში სასტუმროს მენეჯერს ჰკითხავდა; ღამით ფანჯრების გაღება თუ შეიძლებაო. ამ შეკითხვას იმიტომ სვამდა, რომ აფრიკისა და სამხრეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ყოფნის მწარე გამოცდილება ახსოვდა და ბუნებრივია, აღარ ჰქონდა სურვილი ფანჯრიდან შემოპარულ აბეზარ ხვლიკებთან ურთიერთობის რკვევისა.

შუაღამეს რომ გადაცილდა და სასტუმროს ირგვლივ ტრანსპორტმა იკლო, ჰაერს ერთადერთი ყრუ გუგუნი შემორჩა. გუგუნი ხან შეწყდებოდა, ხან კი შორს დარხეული ტაშისა და ოვაციის

ხმაურად აწყდებოდა ყურის ბარაბანს. ეს ხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჰაერს სწორედ მაშინ შეარხევდა ტაშის ექო, როცა ჯეინი წამით ჩათვლემდა. გუგუნი სტუმარს ძილბურანიდან ისევ სასტუმროს სიცხადეში დააბრუნებდა.

დაძინების იმედი საბოლოოდ რომ გადაეწურა, ჯეინი წამოდგა და ღამის კვართ-საწმერთულის ამარა აივანზე გამოვიდა. მთელი პროსპექტი სავსე იყო ხალხით. ქუჩა ღამის სუსტი ლამპიონებით გაენათებინათ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა გარჩევა, რომ მოედნის გადამხერგავ ავტობუსებს შორის დარჩენილი ღრიჭოებიდან გაცილებით მეტი ადამიანი გამოდიოდა, ვიდრე შედიოდა. შორს, რუსთაველის პროსპექტის ბოლოს, კოცონის მსგავსი რაღაც კიაფობდა. ის ხმაურიანი კოცონი ყვითლად შეჰგზნებოდა გაზაფხულის გრილ ცას და ახლომახლო სახურავებს. ადამიანები სწორედ იქეთ მიიჩქაროდნენ.

ჯეინმა საათს დახედა. სამს აღარაფერი აკლდა. ჩაიცვა და ლიფტისკენ რომ მიაბიჯებდა, გაიფიქრა, ვინმე ხომ არ წამეყვანაო. ერთი შეყოყმანება შეყოყმანდა, მაგრამ ევროპულმა დელიკატურობამ უფლება არ მისცა, ასე გვიან გაეღვიძებინა კოლეგატურისტი. იცოდა, რომ სასტუმროს შინაგანაწესს და უცხოელი ტურისტის მოვალეობათა სტატუსს – ორივეს ერთად არღვევდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო ქართველთა ღამეული „ეროვნული მეჯლისის“ ნახვის სურვილი, რომ წესრიგისკენ მომწოდებელ შინაგან ძახილს სძლია და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

ვესტიბიულში უამრავი ხალხი ირეოდა, ამიტომაც ქალბატონ ჯეინის ქუჩაში გასვლა კარისკაცს არც კი შეუმჩნევია, თორემ დახურულ კარებთან მთვლემარე, ერთი შეხედვით უწყინარი შვეიცარი, რომელსაც კარის გაღება-დახურვის გარდა სამსახურებრივად სხვაც ბევრი რამ ევალებოდა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, სათანადო ზომებს მიიღებდა.

შუაღამის სუსხმა დაჰკრა და ჯეინმა მოსასხამის საყელო აიწია. ჯინსიანმა ყმაწვილმა რაღაც ჰკითხა. როცა დარწმუნდა, რომ ქალს ქართული არ ეყურებოდა, გულზე ხელის მიდებით ბოდიში მოუხადა (ყოველ შემთხვევაში ჯეინს ასე მოეჩვენა) და გაეცალა.

სანახაობა მართლაც გრანდიოზული იყო. სვეტებიანი, ლამაზი სასახლის წინ ზღვა ხალხი ირეოდა. დაბალი ხარისხის ხრიალა მიკროფონთან ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. მერე ტაშის გრიალი მიწყნარდა, მოქადაგენიც დაცხრნენ და სიმღერა წამოიწყეს. ჯეინს მრავალათასიანი დემონსტრაციის ასე აწყობილი სიმღერა ჯერ არსად უნახავს. სიმღერა რომ ჩათავდა, ისევ ახრიალდა

მიკროფონი და ისევ გაისმა ტაშისცემა, რასაც ქუდების მაღლა სროლა მოჰყვა.

ჯეინს ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რას ამბობდნენ ორატორები, მაგრამ ვერავის ეკითხებოდა. ჯერ ერთი, დიდი იმედი არა ჰქონდა, რომ მაინცდამაინც ინგლისურის მცოდნეს დაადგამდა თვალს და, ჩვენს შორის დარჩეს, არც ის უნდოდა, რომ თავისი უცხოელობისთვის გაესვა ხაზი. გულის სიღრმეში მაინც შიშობდა, ვინ იცის, იქნებ ინტურისტის წარმომადგენელი მართალიც კი იყო და ე მანდ რომელიმე ტურისტთმოძულე ქართველს არ გადავეყაროო. მიხვედრით ინგლისელი მანდილოსანი უთარგმნელადაც მიხვდა, რომ მოქადაგენი ხალხისთვის მოსაწონ საგანს ეხებოდნენ, საერთოდ კი დემოკრატია და ლამაზი ლაპარაკი ჯეინს თავის ქვეყანაშიც მოწყენილი ჰქონდა.

ქადაგება კვლავ სიმღერამ შეცვალა. ტემპიანი, ორკესტრული სიმღერის ხმაზე აქა-იქ ცეკვა დაიწყეს. ეს იყო თვალით უნახავი ფეიერვერკი. ერთნი ცეკვავდნენ, მეორენი მღეროდნენ, ზოგს სანთელი ეჭირა და თვალაპყრობილი ლოცვას ჩურჩულებდა.

უეცრად, თითქოს ნიშანი მისცესო, მანიფესტაცია გაქვავდა. ავი სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ და წამის შემდეგ სიჩუმეში ტანკების გრიალი გრიგალივით შემოიჭრა.

დემონსტრანტებმა გზა მისცეს. ტანკებმა ჩაიარეს და იქვე შეჩერდნენ. კვლავ წამით ჩამოწვა საზარელი სიჩუმე და ტანკების უკან ხუთმწკრივად მდგარ ჩაჩქან-მუზარადიან და ხელფარიან ჯარისკაცებს ვიღაცამ გამყინავი ხმით უბრძანა: – ბეი!

სიბნელე ჯერ ქალის კივილმა გაჰკვეთა. მერე ჯოჯოხეთურად აირია ერთმანეთში განწირულთა ხმები, ღრიალ-ჯგრიალი და ჩახაჩუხი. გაქცეულთა პირველმა ტალღამ ჯეინ კინაღამ გადათელა. მსწრაფლ მოისაზრა, კედელს აეკრა და ინსტინქტურად ყურები დაიცო, რომ საზარელი ღრიალი არ გაეგონა.

გარბოდნენ თავზეხელაფარებულნი, ნაცემ-ნაგვემნი. ახლობელ-დაკარგულნი წამით შეჩერდებოდნენ და ველურ ღამეში ერთმანეთს უხმობდნენ.

ხალხის ტალღამ ჯეინ მაინც მოგლიჯა კედელს და პროსპექტზე გაიყოლა, მაგრამ ოციოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ კისერში რაღაც მძიმე მოხვდა და გონება დაჰკარგა.

* * *

„მე, მცხოვრები ოზურგეთის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი მანანა კეკელიძე მომკლეს 1989 წლის 9 აპრილს, განთიადისას.

ვთხოვ საქართველოს მწერალთა კავშირს, თუ საშუალება გააჩნია, სამ ცალად გაამრავლოს ჩემი ჩვენება. ერთი გაუგზავნოს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ჯარების სარდალს, მეორე დემონსტრანტთა დარბევის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო მესამე თავის არქივში დაიტოვოს. დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ პირველ ორ უწყებაში ჩემს ნაწერს გულისყურით მოეკიდებიან. როგორც ამბობენ და როგორც ტელევიზიის გადმოცემებიდან ჩანს, უნდათ იმ საზარელ ღამეს მომხდარი ფაქტები მიაფუჩეჩონ. თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელს გაუფრთხილებია ჯარის სარდალი; ურტყით დემონსტრანტებს, მაგრამ მოსაკლავად ნუ გაიმეტებთო. თურმე ჩვენ, უიარაღო, მშვიდობიანი მოშიმშილენი დავესხით თავს მშობლიური წითელი არმიის ნაწილებს და მუშტებით სამხედრო ტექნიკას (განსაკუთრებით ტანკებს) დიდი ზიანი მივაყენეთ. ჯარი რომ დავარბიეთ, თურმე, ერთმანეთს დავერიეთ და ჩვენს მიერვე ატეხილ ჭყლეტა-ჯგლერთაში შემოგვაკვდნენ უმწეო ადამიანები. თურმე ჩვენ გამოვიყენეთ მომწამლავი გაზები და ქიმიური იარაღები სახელოვანი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ასე სინდისიანად და მართლად სჯის ის სახელმწიფო მანქანა, რომელსაც სურს ერთხელ კიდევ წაშალოს მშვიდობიან მოქალაქეებზე თავისი სისხლიანი „გამარჯვების“ კვალი. ვთხოვ მწერალთა კავშირს, ეს ჩემი ნაწერი შეინახოს არქივში. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდება. მომავლის მწერალს იქნებ მოხვდეს ხელში ეს ქაღალდი და ერთ მაგალითად მაინც გამოადგეს. რაც ვნახე და განვიცადე, იმას ვწერ. შელამაზების თავი სადა მაქვს. მესამე დღეა გონს ვერ მოვსულვარ. ახლაც, კალამი რომ ავიღე ხელში, მთელი სხეული მიკანკალებს.

მე რვაში დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, დავჯექი საშიმშილოდ. თავიდან დაჯდომას არ ვაპირებდი. ჩემი ჯგუფელები – წიქორიძე და გალდავა ისხდნენ და მათს სანახავად წავედი. მომეწონა ვითარება. ზიხარ, მხიარულად საუბრობ, ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. თანაც გოგოებმა მითხრეს; „მოდი, მანანა, დაჯექი, ცხოვრებაში სამუდამოდ დაგამახსოვრდებაო“. მართლაც, სამუდამოდ დამამახსოვრდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს იმდენად ქარაფშუტა გოგო ვიყო, რომ მხოლოდ დროის გატარების და უჩვეულო გარემოში გართობის მიზნით გადავწყვიტე შიმშილობა. რა გართობაა, ცივ ქვაზე ჯდომა და ღამით კანკალი, მაგრამ დამერწმუნეთ, არც ეს მომენტია გამოსარიცხავი. თანაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც ვარ, რომ ჩემი აქ ყოფნა ქვეყანას ჭირდებოდა, რაღაცაში ვეხმარებოდი საერთო საქმეს. გოგოებმა თბილი წინდები და

ვიღაცის დიდი (ცოტა არ იყოს, ოფლის სუნი ასდიოდა) დაბამბული ქურქი „გამიხერხეს“, სამივემ ფეხებზე ცელოფანის საბანი შემოვიხვიეთ და ერთმანეთს მიხუტებულნი ვართ, ნახევრადწამოწოლილები, შიმშილის კიბეებზე. გვერდზე გამოხდილი წყლის ბოთლები გვილაგია. დროგამოშვებით ვწრუპავთ და ვმასლაათობთ მხიარულად. იცით? რაღაც სასიამოვნო შეგრძნება იყო ფიქრი იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში ხარ, ქვეყნისთვის მცირეოდენ მსხვერპლს იღებ, რაღაცას თუ ვიღაცას პროტესტს უცხადებ.

ისე გაიარა დღემ, არც გამიგია. მოწყენის დრო სად იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე ცალ-ცალკე მყოფნი, ერთმანეთისგან სუბორდინაციული თუ ეთიკურ-ზნეობრივი ბარიერებით გათიშულნი, ახლა საოცრად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. თითქოს ოცდაათიათას კაცს ერთმანეთის სუნთქვა ესმოდა, ჩვენი სხეულებითაც კი ვათბობდით ერთმანეთს. სიცრუეა, თითქოს ჩვენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისგან ვიყავით შეგულიანებულნი. მიკროფონი განუწყვეტლივ ხმაურობდა, მაგრამ სიტყვები ნახევარი არ გვესმოდა. რას ილაპარაკებდნენ ბოლოსდაბოლოს? ლამაზად, ან შედარებით ნაკლები ორატორული ხელოვნებით ჩვენს დღევანდელ ვითარებას შეეხებოდნენ და ბოლოს დაამთავრებდნენ; „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“.

რამდენ ხანს შეიძლება ისმინო ერთი და იგივე და ჩვენც, გითხრათ სიმართლე, ორატორების მიმართ დროდადრო ინტერესს ვკარგავდით. მე, პირადად, არც ის ვიცოდი, კონკრეტულად, რას მოვითხოვდით ჩვენ, მოშიმშილენი, ან რამდენ დღეს უნდა გვეშიმშილა. არ გამცეთ და გულში ვამბობდი; გავჩერდები ერთორ დღეს და, თუ ძალიან გამიჭირდა, დავბრუნდები სტუდქალაქის ჩემს თბილ ოთახში-მეთქი.

მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდნენ. აქა-იქ ჯგუფებში გიტარაც გაჩნდა. სწორად მინდა წარმოიდგინოთ; მთელი ეს სერობა პატარ-პატარა ჯგუფებად იყო დანაწილებული. მეცინება ახლა, გაზეთებში რომ ვკითხულობ: „ვითარება თანდათან იძაბებოდა“, „პროცესი უმართავი ხდებოდა“, „მდგომარეობა თანდათან საშიშ იერს იღებდა“, „მტრული ელემენტები ბრბოს შეტევისაკენ მოუწოდებდნენო“. ერთად შეგროვილი ხალხის რომ ეშინია, ის მთავრობა მთავრობაა? არავითარი საშიშროება, არავითარი აგრესიული განწყობილება, ან საიერიშო მოწოდებანი იქ არ იგრძნობოდა და არ ისმოდა. ეტყობა, წლების მანძილზე გათიშულ საზოგადოებას დროდადრო სურვილი უჩნდება ერთად ყოფნის. ყველაფერი უფრო მშვიდობიან ეროვნულ კარნავალს ჰგავდა, ვიდრე პოლიტიკურ აქციას. სანთლები, ცად აღვლენილი

ათასი კაცის ერთდროული ლოცვა, ვაშა და ტაშის გრიალი, სამოცდაათწლოვანი შიშისგან განთავისუფლების აღტკინება, მასობრივად წელში გამართვის და თავისუფლად ლაპარაკის ილუზია, მოახლოებული, რაღაც უფრო დიდი სიხარულის მოლოდინი – ეს მართავდა აპრილის სახალხო მოძრაობას და არა რაღაც გამოგონილი ნაციონალისტური განწყობილება, ან ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგები. ამგვარი ლოზუნგების არსებობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დედას ვფიცავარ, არ ახდენდა ისინი ჩვენს სულზე იმ გავლენას, რისიც ასე ჰშინებიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ძალიან ცოტა იყო იმ მილეთ ხალხში ისეთი გულუბრყვილო, რომ იმედი ჰქონოდა, თუ ხმამაღლა ვიყვირებთ, ეს არის, გაღმა გავედითო. ჭკვიანმა კაცმა მშვენივრად იცის, რომ თუნდაც ყველაზე გრძელი მიტინგით და თვითმგვემი შიმშილობით სანუკვარ მიზანს ვერ მიწვდები. მე თუ მკითხავ, შვიდდღიანი ქაქანით ხალხს მიტინგსაც შევაძულებთ. მიტინგი ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. სწრაფად უნდა შევიკრიბოთ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი და სწრაფადვე დავიშალოთ. არ უნდა მივცეთ თოფიან კაცს გონს მოსვლის და „ზომების მიღების“ (როგორც ეძახიან) საშუალება.

რაკი ამგვარი აღტაცებულ-საზეიმო განწყობილება სუფევდა, უწმინდესი და უნეტარესის გამოსვლაც არ მივიტანეთ გულთან. ღვთის მოციქულმა გაგვაფრთხილა, ტანკები მოდიანო, მაგრამ იმდენად ვენდობოდით ახალ, საგარდაქმნო მოძრაობას, იმდენად გვჯეროდა ვიღაც-ვიღაცეების, რომ ვერ წარმოვიდგინეთ, თუ მშვიდობიან, უიარაღო მოქალაქეებს თავს დაგვესხმოდა ჩვენივე არმია. ვინ იფიქრებდა, თუ დამსჯელ ექსპედიციას თითით უჩვენებდნენ ჩვენზე, „ჰკა მაგასაო“, სწორედ ისინი, ვისგანაც დაცვის და თანადგომის იმედი გვქონდა.

ტანკებმა ადამიანთა სახელდახელო დერეფანში გაიარეს და დადგნენ. ტაში რომ ჩაცხრა, ფარ-მუზარადში ჩამჯდარი ჯარისკაცები ჩვენსკენ შემობრუნდნენ. ვიღაცამ დაიძახა: „ჩაჯექითო“. ჩვენ, მოშიმშილენი, ისედაც ვისხედით, ეს იმათ ეხებოდა, ვინც ტანკები გაატარა და ჯარისკაცებთან ახლოს იდგა. წამით ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. მიკროფონი გამოირთო, პროჟექტორები ჩააქვრეს. მარტო სანთლები ბჟუტავდა აქა-იქ. წინა რიგებში ერთბაშად მუხლზე დაეშვნენ. ეგონათ, ალბათ, ჩამჯდრებს არ შეგვხებიანო. უეცრად ჰაერი სიმღერამ გაჰკვეთა. მარჯვნივ, ტრიბუნის ქვემოთ, ტაში დასცხეს და ცეკვა-თამაში გაიმართა. ჩემი გონებიდან არ ამოვა ის სიკვდილისწინა ცეკვა-სიმღერა. თითქოს-და განწირულთა როკვა იყო. ერთნი, ასფალტზე მჯდარნი, სან-

თლებით ხელში ჯარისკაცებისკენ შებრუნებულიყვნენ, მეორენი გამეტებით ცეკვავდნენ და მღეროდნენ; ვინ იცის, იქნებ სხვათა გასამხნევებლად, ან საკუთარი შიშის დასაძლევად. საშინელმა წინათგრძნობამ გული გამიწვრილა. სუნთქვა შევაჩერე და თვალები წამით დავხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მზერა. ფარები გადაეყარათ და ოდენ ხელკეტებითა და საველე ნიჩბებმომარჯვებულნი იდგნენ ჩვენს წინაშე. სულო ცოდვილო, მომეჩვენა, რომ ზოგი მათგანი კევსაც ღეჭავდა. პატარა, ურჩ ბიჭებს ჰგავდნენ, მოჭუტულ თვალებში მტაცებელი ფრინველის სიჯიუტე ედგათ. ომობანას თამაში ნამდვილ ჩხუბში რომ გადაიზრდება და ყმაწვილები ქორებივით რომ შეაჩერდებიან ერთმანეთს, სწორედ ისე იდგნენ.

„ღმერთო, ახლა რაღაც საშინელება მოხდება-მეთქი“, ისევ წამართვა შიშმა თვალსინათლე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ტალღურად მოკლაკნილ-მოკანკალე სიმღერა ღრიალ-კივილმა შეცვალა. ჩემს უკან მოშიმშილე ბიჭი წამოდგა და ყელის გახლეჩამდე დაიბღავლა – „არ ადგეთ!“

მოწოდებების და გონს მოსვლის დრო აღარ იყო. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. შიშისგან წელი ვერ ავწიე. პირთავქვე დავემხე და თავზე ხელები დავიფარე. ფეხებზე და ზურგზე საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. უკან მომწყდარნი მუხლებითა და ხელებით ჩემს ზუგრზე გადადიოდნენ. ვიღაცამ თმებში ჩამავლო ხელი და ზევით, ერთმანეთში გადახლართულ, დარწეულ ხალხში გადამაგდო. „მარჯვნივ გაიქეცით!“ „ზემოდანაც ჩამოდიან!“ „დაჭრილები არ დატოვოთ!“ – ისმოდა ყვირილი, მაგრამ ვინ გაარკვევდა, საით იყო „მარჯვნივ ან მარცხნივ“, ან დაჭრილებს ვინ გამოარჩევდა. ყველას თავისი თავი უჭირდა. რა გრძნობა იყო, იცით, რომ ყველანი ლაოკოონის გველებივით ვართ გადაბმულნი ერთმანეთზე და წარღვნამ თავზე გადაგვიარა. განწირული ადამიანები ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ვისაც როგორ ჩაავლეს ხელი, ისე ებღაუჭებოდნენ. საშინელება ყოფილა სიკვდილის შიში. გინდა როგორმე სხვას ხელი არ უშვა, რომ მარტო არ დარჩე და სხვამ თავს არ უშველოს. ორიოდე წუთში ხალხის დიდი გორგალი მარჯვნივ მიაწყდა და, თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრნენო, ჩვენს თვალწინ ხელნიჩბიანი მკვლელები აღიმართნენ. ერთმანეთში არეულ ადამიანთა გროვას აცხრებოდნენ და გამეტებით სცემდნენ. სცემდნენ, სადაც კი მოუხვდებოდათ. სცემდნენ გაქცეულს, წაქცეულს, მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს. ეს არ იყო წესრიგის დამყარებისკენ მიმართული ცემა. ეს იყო რბევის, ხოცვის, ანგარიშის გასწორების აქცია.

სასწაული მოხდა; ფხოჭნა-ხრიალში ვიგრძენი, რომ ფეხიც და თმაც გავითავისუფლე. თითქოსდა მარტო დავრჩი. კატის სიმარდით შევვარდი მაღლა, გაზონებში და ის იყო ნარგავებს ჩაბღაუჭებულმა გრილ მინაში ჩავრგე თავი, რომ ზურგზე საშინელი დარტყმა ვიგრძენი. გონება არ დამიკარგავს, ვიღაცამ ცალ ფეხში მტაცა ხელი და გრანიტის კიბეზე გამათრია. სამხედრო ჩექმას მოვკარი თვალი და ღონიერმა ხელმა პირაღმა ამომატრიალა. ჩექმებს შორის ვარ მოქცეული და ჯარისკაცის უტიფარ სახეს ვხედავ. დგას და მეჩვენება, რომ იღიმება კიდეც. შემაგინა და ჯერ წიხლი ამომარტყა ფერდებში, მერე სახეზე სურდა ფეხის დაბიჯება, მაგრამ გადაბრუნება მოვასწარი და პირველი ხუთი დარტყმა მახსოვს თავში, მერე ყურსა და ღაწვებზე თბილი სითხე (სისხლი!) ჩამომეღვარა და თვალებზე ბლანტი ბურუსი ჩამომაწვა. თითქოსდა მეძინებოდა და ძილს მიშლიდნენ. თითქოსდა თავქვე მიმაქანებდა მდინარე და ჩემს თვალწინ საშინელი წარღვნისგან სწორედ ის ნაპირი ირღვეოდა, სადაც ფეხი უნდა შემედგა, სადაც ხელგამოწვდილნი მელოდებოდნენ.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიბეზე. მახსოვს, თავი წამოვწიე და მკვდრებით სავსე მოედანს მოვავლე თუ არა მზერა, თითქოს მიდარაჯებდაო, კუს ბაკანივით მწვანე ჟილეტმორგებული ჩექმოსანი ჯალათი მომვარდა და მტკავლისსიგრძე მენზურით ცხვირში ჯოჯოხეთის შხამი შემაფრქვია.

პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა.

ვგრძნობდი, როგორ მებერებოდა ფილტვები, ყელში ბურთივით მაწვებოდა რაღაც. სიცოცხლედ მიღირდა ერთი წვეთი წყალი, ერთი ამოსუნთქვა.

მიშველეთ-მეთქი, ეს ალბათ უკანასკნელი ყვირილი იყო.

სიონის ზარების რეკვამ გამომაღვიძა.

გარდაცვლილები იატაკზე ვესვენეთ და სულ ახლოს ანგელოზთა გალობა ისმოდა.

კარს მიღმა, ქუჩაში, ფარ-მუზარადიანი მკვლელები იდგნენ.

შიშმა შემიპყრო. მომეჩვენა, რომ ამ ღვთის სახლშიც არ მოგვასვენებდნენ. სიონშიც შემოცვივდებოდა სიკვდილის ლეგიონი და ხელმეორედ დაგვხოცავდა.

პანაშვიდზე მოსულთა გულისცემაც კი მესმოდა. ყველაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ტყვიასავით დამძიმებული სხეული არ მემორჩილებოდა.

მინდოდა მეყვირა, მაგრამ ყელსა და ფილტვებში დუღაბივით გამაგრებულიყო რაღაც და ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა.

როგორ მინდოდა კუბოში ლამაზი ვყოფილიყავ, მაგრამ საუკუნის საწამლავით სუნთქვაშეკრული და ფილტვდახშული ჩემს თავსაც ვერ ვცნობდი.

რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩამატარეს, კინაღამ კუბოში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად.

ზღაპრული იერი ჰქონდა ირგვლივ ყველაფერს.

ბოღმისგან სულშეძრულ ხალხს ჩვენი სისხლი ყვავილებით დაეფარა, რათა ვერასოდეს ვერავის მოერეცხა ცხრა აპრილის კვალი.

გვირგვინებიდან ჩემივე სურათი შემომცქეროდა.

დახრილი დროშებით იდგნენ შავი ნაჭრით თავწაკრული ჩემი ძმები და ქაშუეთის ზარი მათი ვერდაჩოქების სიმღერას კვნესოდა.

ახლაც ჩემს საფლავზე დადებული თითო მიხაკი სითბოდ მეწვეთება გულზე.

ალალი იყოს შენთვის, ჩემო ქვეყანავ, თავისუფლებისთვის დაღვრილი ჩემი სისხლის ყოველი წვეთი“.

* * *

საექსპერტო ჯგუფის უფროსი გიორგი მესაბლიშვილი იჯდა და კედელზე მ. გორბაჩოვის სურათს შეჰყურებდა. გენერალური მდივანი ამ სურათზე უფრო ახალგაზრდა და გამხდარი ჩანდა.

ერის დამშომშინებელი კომისიის თავმჯდომარე კაბინეტში ზურგზეხელებდაწყობილი მიმოდიოდა, ხანდახან შეჩერდებოდა, ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გიორგისკენ თითს გამოიშვერდა, წინადადებას ერთხელ კიდევ გაიმეორებდა და კვლავ განაგრძობდა გზას ფარდაგზე, რომელსაც წითელი ყაყაჩოები ეხატა.

– ასეა საჭირო, დამიჯერე გიორგი. შენ მაინც მიცნობ, მე არც არავისი მეშინია და არც კომისიის თავმჯდომარეობა მიღირს დიდად. ხალხისთვისაა ასე საჭირო. რას მისცემს ხალხს იმის გაგება, რომ ჯარმა ქიმიური იარაღი გამოიყენა. დახოცილებს ხომ ვერ გავაცოცხლებთ. ხალხს კი დარდსა და ბოღმას მოვუმატებთ. რატომ გაგვწირეს, რა დავაშავეთ ასეთიო, იტყვიან. ქვეყანა მგლოვიარეა. ხალხის განწყობილება ჩემზე უკეთ იცი, არ არის სისტემის სასარგებლოდ მომართული. ამ დროს ჩვენ დარდს დარდი მივუმატოთ? ჩქარობენ შენი ექსპერტები. მანდ „ჩერიომუხას“ გარდა სხვა კვალი არ ჩანს. „ჩერიომუხა“ ცრემლმდენი, უსაფრთხო გაზია. ჩვენ რომ ზედმეტი კირკიტი დავიწყოთ და ფანტაზიას გასაქანი მივცეთ, შორს წავალთ, ნერვული მოვლენები, რაც ზოგიერთ მოწამლულს ეტყობა, იმდენად ინტოქსიკაციის ბრალი არ არის, რამდენადაც იმ ღამის შიშის ზაფრისა, სტრესული მოვლენებია და

ორგანული არაფერი შეინიშნება. დავფიქრდეთ კარგად, რას მისცემს ხალხს ის, რისკენაც შენი ჯგუფის წევრებს მიჰყავთ საქმე? ჯარისკაცებს არავინ დასჯის, ხომ მართალია? ხალხს ტყუილად გავაღიზიანებთ და ისევ ჩვენს ზურგზე გადატყდება ჯოხი.

– კი მაგრამ, მოწამვლის საშუალებების დადგენა თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ მკურნალობის სწორ გზას დავადგეთ.

– მე მითხრეს, რომ ზუსტი ანტიტოქსი საჭირო იყო მოწამვლის პირველ დღეს, ახლა იგი ეფექტური ვერ იქნება. ასე რომ, უნდა დამიჯერო. ცრემლსადენის გარდა სხვა რამით მოწამვლა არ აღინიშნება. ასე სჯობია ხალხისთვის. შენ ჭკვიანი კაცი ხარ და გამიგებ. ჩვენი ერი ახლა დიდი განსაცდელის და დიდი სულიერი გამოცდის წინაშე დგას, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ხალხის დაშოშმინებისა და გადარჩენისთვის. აბა, შენ იცი. წინასწარ გიხდი მადლობას.

გიორგის საპასუხოდ არაფერი უთქვამს. გულდამძიმებული ჩამოვიდა კიბეზე. მანქანა რომ გააღო და ჩაჯდა, მერე დაუწყო გასაღებს ჯიბეში ძებნა, ჩანთაში რომ ვერ აღმოაჩინა, სასოწარკვეთას მიეცა. უეცრად მოისაზრა; უგასაღებოდ მანქანაში როგორ აღმოვჩნდიო. გადმოვიდა, კარს გასაღები გამოაძრო და თავს გაუჯავრდა, რამ დამაბნიაო.

თავდაღმართზე შხუილით დაუშვა მანქანა. ვაკეს რომ გამოცდა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს და ქუჩას გახედა.

ორჯონიკიძის შერყვნილ ძეგლს მილიციის მუშაკები ბენზინიანი ჯაგრისებით გულმოდგინედ წმენდნენ.

იქვე, ახლომახლო, მშვიდობიანი მოქალაქენი იდგნენ და ამ სანახაობას, ღმერთო შეგცოდე, კმაყოფილი სახეებით შესცქეროდნენ.

გიორგიმ ქავთარაძის ქუჩისკენ გაუხვია და საავადმყოფოსთან შეაჩერა მანქანა.

შესასვლელთან ხალხი ბუზივით ირეოდა. მილიციელები მსურველთ, როგორც მესაბლიშვილმა შეატყო, ასაკობრივი პრინციპით და სოლიდური, საქმიანი კაცის შესახედაობის მიხედვით ატარებდნენ. ეს გარემოება ახალგაზრდობის უკმაყოფილებას იწვევდა. წესრიგის დამცველებთან ერთ ადგილას კამათიც კი გაემართათ. წვეროსანი ბიჭი ყურებამდე გაწითლებულ უმცროს სერჟანტს ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულებას მოაგონებდა და განუმარტავდა, ამ ზედმეტმა აკრძალვებმა და არშეშვებებმაც გამოიწვია ცხრა აპრილიო. არ შეიძლება, გენაცვალე, ავადმყოფებს აღიზიანებთ ამდენი მნახველი. ეს ღონისძიება ავადმყოფების სურვილით კეთდება, თორემ ჩვენ სულ არ გვეხალისება აქ დგომა და ენის ტარტალიო, მერამდენეჯერ იმეორებდა სერჟანტი, მაგრამ მისი „სიმართლის“ გაგება ირგვლივ შემოჯარულთაგან არავის სურდა.

კარს გრძელთმიანი, შუბლზე შავზონარწაკრული, მაღალი ბიჭი მიუახლოვდა და შესვლის მსურველთა ზურგებს მიემატა. იგი ვიღაცამ შენიშნა და მილიციელებს უთხრა.

– გაატარეთ, მოშიმშილეა.

ყველამ მაღალი ბიჭისკენ მიიხედა. დერეფანი სწრაფად გაკეთდა და მოშიმშილე მოწიწებით გაატარეს. გიორგიმ იმ დერეფნითვე ისარგებლა და მილიციელებმა გზა რომ გადაუღობეს, ჩუმად ჩაილაპარაკა:

– საექსპერტო კომისია.

– საბუთი? – ჰკითხა სერჟანტმა. აშკარად ჩანდა, რომ იგი სხვადასხვა კომისიების და არაფორმალური გაერთიანებების დასახელებას მიჩვეული იყო.

გიორგიმ საბუთი უჩვენა.

ჯერ მეშვიდე სართულზე ავიდა, მორიგე ექიმი მოძებნა და უთხრა – ესა და ეს კაცი ვარ, თუ შეიძლება რამდენიმე ტიპიურ ავადმყოფთან შემიძეხითო.

მორიგე ექიმი ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა იყო. ნატო ერქვა. დაღლილი იერი და სუსტი, გაბზარული ხმა მას კიდევ უფრო ნაზსა და ქალურს ჰხდიდა.

პალატისკენ რომ მიაბიჯებდნენ, გიორგიმ ჰკითხა:

– რა მდგომარეობაა?

– ძველებური.

– უკეთესობა არ შეინიშნება?

– როგორ გითხრათ. ერთ საათს რომ კარგად არიან და თვითონაც გაიხარებენ, მეორე საათს გონების დაბინდვა ეწყებათ, მეხსიერების დაქვეითება, ზოგს სრული გამოთიშვაც კი.

– ყველას ემართება?

– თითქმის, მეტნაკლებად.

შვიდასმეცხრე პალატაში ორნი იწვნენ, ვაჟები. ერთი მათგანი საწოლზე წამომჯდარიყო, ხელში ქილა ეჭირა და დიდი კოვზით ტყემლის კომპოტს ჭამდა. სტუმრები რომ დაინახა, ერთი გახედა, მობრძანდითო თქვა, მაგრამ ჭამა არ შეუწყვეტია. მეორე, ქერათმიანი, გამხდარი ბიჭი პირაღმა იწვა, ჭერს შესცქეროდა და რაღაცას ბუტბუტებდა.

– როგორა ხართ, ბიჭებო? – მცირე პაუზის შემდეგ იკითხა გიორგიმ.

– კარგად, პატივცემულო, ხომ ხედავთ კომპოტს ვჭამთ, – ბიჭმა კოვზი ქილაში ჩააგდო და კარადისკენ გააცურა, – ცოტა კოკი ვერ არის დღეს კარგად. – მეგობარს გახედა.

კოკი ჭერს შესცქეროდა და ბუტბუტებდა. აშკარად ჩანდა, რომ ექიმის და მისი თანმხლების შემოსვლა არც გაუგია.

– კარგი ბიჭები არიან, – დეკლარაციულად უთხრა ნატომ სტუმარს, მერე ხმას დაუწია – გერას ძილი არა აქვს. ღამით სედუქსენით ვაძინებთ. ჭამის აჩემება აქვს. სიმაძღრეს ვერ გებულობს. გაუთავებლად ჭამს. კოკი უფრო ცუდად არის.

ამასობაში კოკიმ შუბლზე მუშტი მოისვა და საბანი ფეხებშორის შეიკეცა.

– როგორა ხარ, კოკი? – ჩაჰკითხა ნატომ.

კოკიმ უაზრო თვალებით ამოხედა.

– ვა, გათენდა? – იკითხა მან და საწოლზე წამოჯდა. – რომ არ მძინებია? – როგორ გათენდა – ნატოს მაჯაზე წაავლო ხელი. – თქვენთან რომელია?

– ოთხია, კოკი. როგორ გათენდებოდა, როცა ჯერ არც კი დაღამებულა.

– ჰო, სულ დამავიწყდა, რომ გათენდეს, ხომ უნდა დაღამდეს. ხომ უნდა დაღამებულიყო. აბა, ისე როგორ გათენდებოდა. რომ დაღამებულიყო, სინათლეს ჩააქრობდნენ. არ მძინებია, ესე იგი არ დაღამებულა. ხომ უნდა მეძინებოდეს... გუშინ დამეძინა... დღეს აღარ მეძინება... იმიტომ რომ არ დაღამებულა...

კოკიმ ერთი ამოხედა უაზრო თვალებით სტუმრებს, კედლისკენ შეტრიალდა და განაგრძო ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ფიქრსშერჩენილი საუბარი თავის თავთან, თავის აჩრდილთან.

მეექვსე სართულზე, ექვსასრვა პალატაში, ერთი ავადმყოფი იწვა – მანანა ნავერიანი. მიტკლის ფერი დასდებოდა. მარჯვენა მკლავზე წვეთოვანი ჰქონდა შეერთებული. თავი გადაეგდო და ღია თვალებით ჭერს შესცქეროდა.

– როგორ არის? – ჩურჩულით ჰკითხა გიორგიმ ავადმყოფის ფერხთით, თეთრ სკამზე ჩამომჯდარ ხელებში თავჩარგულ ყმაწვილს.

სანამ ყმაწვილი წამოდგებოდა, ნატო ალაპარაკდა:

– ვერ არის კარგად. მეშვიდე დღეა წვეთოვანზე გვყავს. შხამისგან საყლაპავი მილი აქვს დაზიანებული. დეპრესიაშია, ნევრიულ სისტემას როგორმე მოვუწესრიგებთ. საყლაპავი მილის მდგომარეობა გვაფიქრებს. წვეთოვანზე დიდხანს ყოფნა არ შეიძლება. საჭმლის მომნელებელი ორგანოები ფუნქციას ჰკარგავენ და მწყობრიდან გამოდიან. – ეს სიტყვები ნატომ ჩურჩულით თქვა.

– თქვენ რა ხართ ავადმყოფის? – ნატოს მიჩერებულ ყმაწვილს ჰკითხა გიორგიმ.

– ქმარი.

– თქვენ იქ არ ყოფილხართ იმ ღამით?

– წარმოიდგინეთ, რომ არა, პატარა ბავშვი გვყავს, ერთი წლის. მორიგეობით დავდიოდით მიტინგზე. ცხრა აპრილს ღამის

ორ საათზე დავბრუნდი და მეუღლე გავგზავნე. ბავშვის წაყვანაც გვინდოდა, მაგრამ ცოდოა, არ გააღვიძოო. წავალ, დავხედავ და დავბრუნდებიო, ამ უბედურმა. იმ საშინელ წუთებში პიონერთა სასახლის ღობესთან მდგარა.

* * *

„1989 წლის ცხრა აპრილს მიტინგის დარბევისას სასანგრე ნიჩბების და ხელკეტების გარდა შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს ხუთი სახეობის ქიმიური იარაღი. მათგან ოთხი უკვე გაშიფრულია. მეხუთეს – ფსიქიკაზე ხანგრძლივი ზემოქმედების შხამის სახელწოდებას, გულმოდგინედ მალავენ არმიის წარმომადგენლები.

ოფიციალურად არა ომის მდგომარეობაში, ხალხის დასაცავად მოწოდებულ ჯარისკაცთაგან საკუთარი ხალხის გონებრივ-ფიზიკური განადგურებისთვის მრისხანე ქიმიური იარაღის გამოყენება ლამის უპრეცენდენტოა მსოფლიოში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან საექპერტო კომისია ბრალს სდებს...“

გიორგი მესაბლიშვილი წერდა საექსპერტო კომისიის დასკვნას. წერდა ხელაკანკალებული, ტუჩებმოკუმული, ცრემლგამშრალი.

* * *

არ ვაპირებდი გამოსვლას ამ სამგლოვიარო მიტინგზე. ვფიქრობდი, სხვა დროსა და სხვაგან მეთქვა თქვენთვის ჩემი სათქმელი, მაგრამ გადავწყვიტე დღეს გამოვსულიყავი ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, გლოვას ძალიან ხომ არ გადავყევით, და მეორეც, ბრძოლის ნაცვლად სხვათათვის თავის შეცოდების პოლიტიკას ხომ არ ვადგევართ.

მაპატიეთ, ვღელავ და მთლად დალაგებულად ვერ ვილაპარაკებ, დალაგებულად, როცა არ ვღელავ, მაშინაც ვერ ვლაპარაკობ.

გითხრათ სიმართლე მწყინს რომ საითაც გავიხედე, ვერა და ვერ გამოვედით გლოვა-ზაფრის განწობილებიდან. განა იმას ვამბობ, რამე გადავივიწყოთ და გულიდან ამოვიღოთ-მეთქი. ეგ, კიდეც რომ მოვინდომოთ, არ გამოვა, მაგრამ მე გაუთავებელი ტირილი და თავში ცემა მომწყინდა და არა მარტო მომწყინდა, მაფიქრებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა – მაღონებს ჩვენი ხვალინდელი მოძრაობისთვის. რაღაც არ მაგონდება ჩვენი ისტორიიდან მოუშუშებელი გლოვის მაგალითები. როდის შევბღაოდით მსოფლიოს, ყიზილბაშებმა ამდენი ქართველი დაგვიხოცეს, ვაი ჩვენს დღეს უბედურსო? ჩვენმა

წინაპარმა კარგად იცოდა, რომ მისთვის თავს არვინ გამოიდებდა. მარტო რჩებოდა თავის ჭირთან, ტუჩებმოკუმული და მუშტშეკრული. სხვას არავის უჩვენებდა ცრემლს. გულში ზრდიდა სურვილს მტრისთვის სამაგიეროს გადახდისას. ასეთი იყო ქართველი.

სხვას რას ველოდით? მტერი იმის მტერია, რომ როგორც შეუძლიან, ზიანი უნდა მოგაყენოს. ჩვენ კი, თუ რამე შეგვიძლია, უნდა ვაზღვევინოთ, უნდა ვანანოთ მომხვდურს მიხტომა.

მტერს ის უნდა, საქართველო ერთ დიდ სამგლოვიარო სახლად რომ გადაიქცეს. ნუთუ ამ ორმა თვემ ვერ დაგვარწმუნა, რომ მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს ჩვენი პაწაწკინტელა ქვეყანა იმად არ უღირთ, რომ რუსთხელმწიფესთან ურთიერთობა გაიფუჭონ. ყველამ ყველაფერი მშვენივრად გაიგო, სიტყვით ზოგმა გვითანაგრძნო კიდეც და მეტი არაფერი. სხვა იმედი არც უნდა გვქონოდა, ყველას თავისი თავი უჭირს დღეს.

არც გარდაცვლილებს გაეხარდებათ იმ ქვეყნად, ჩვენი თავზე ნაცრის წაყრა და უთავბოლო ტირილი. ჩვენი მთავარი საქმე ახლა ის კი არ არის, დამნაშავე გარეწრები გაასამართლოს მთავრობამ, ან მკვლელ ოფიცერს თითო ვარსკვლავი ჩამოაძროს სამხრეებიდან. ჩვენი მთავარი საქმეა, აპრილის ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ, იმ ოცნებას შევასხათ ხორცი, რისთვისაც ჩვენმა დებმა და შვილებმა სისხლი დაღვარეს.

დამიჯერეთ, მეგობრებო, რა კარგადაც უნდა გამოიძიონ საქმე, ან რა მკაცრადაც უნდა დასაჯონ მკვლელები, ეგ ჩვენთვის ნუგეში ვერ იქნება. იქნებ პირიქით, ცუდად იმოქმედოს ჩვენს მოძრაობაზე: ჩვენს რიგებში მყოფი მოჭოჭმანენი იტყვიან, ხომ ჭამა პური სამართალმა, რაღა გვინდა მეტიო, ხოლო სამხედრო ხელისუფალნი თითს დაგვიქნევენ; ხომ დაისაჯნენ დამნაშავენი, ახლა მაინც დაწყნარდით, თუ ზურგი არ გექავებათ და ცუდ ფეხზე თუ არა ხართ ამდგარნიო.

ჩვენ ცხრა აპრილის სისხლი უნდა მივიღოთ, როგორც ბუნებრივი შედეგი ჩვენი ბრძოლისა, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ თავისუფლება უბრძოლველად არ მოდის. ახლა მომავალი ბრძოლის ფორმებზე უნდა ვიფიქროთ.

გაიხსენეთ თავისუფლებისთვის მებრძოლი ქვეყნების გაკვეთილები. რა საშუალებებით იბრძოდა ავღანეთი დამპყრობელთა წინააღმდეგ? ამოჩემებული ჰქონდა შიმშილობა და მეტი არაფერი? რვა წელიწადი დღე-დაღამ თვალმოუხუჭავად, დაუძინებლად ებრძოდა დამპყრობლებს და არც ერთხელ შიმშილობა არ გამოუცხადებია. კი, შიმშილობა პოლიტიკური ბრძოლის ერთი ფორმაა, მაგრამ ისე გავცვითეთ ეს ფორმა, იმდენჯერ გავიმეორეთ, რომ ხელისუფალნი

მივაჩვიეთ უკვე ჩვენს შიმშილობებს და დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბრძოლა ჭირვეული ადამიანების გაუაზრებელ აქციად ეჩვენებათ. მტერს ის უნდა, თუ ერთ ადგილზე შეკრებილს და შიმშილისგან ღონემიხდილს, არაქათგამოცლილს გიხილავს.

თავისუფლებისთვის ბრძოლის მდიდარი არსენალიდან ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ. მაშინ ვიქნებით ჭკვიანი და ნამდვილი მებრძოლები. შიმშილობამ თავისი საქმე გააკეთა, ახლა სხვა გზებით, სხვა მხრიდან, სხვანაირად შევუტიოთ.

იმპერიის ტახტი რომ ირყევა, ამას დღეს მისი ერთგული დამქაშებიც მშვენივრად გრძნობენ. თავუსუფლების ნანატრი ცისკარი უკვე მოადგა საქართველოს მაღალ მთებს. ახლა ბოლომდე ბრძოლა, არდაცხრომა, გრძნობა-გონების ჰარმონიული შეთანწყობით მოქმედებაა საჭირო.

ტყუილად ელის ვინმე, რომ მისი ავბედითი ღონისძიებების შედეგად ხვალინდელ ბარიკადებზე შემკრთალ-დაბეჩავებულ ქართველს იხილავს.

შიშის გრძნობა უცხოა იმ ერისთვის, რომლის ილაჯგაწყვეტილი წარმომადგენელიც ჯოხით დააცხრა მარიონეტ მკვლელთა ჯავშნოსან მანქანებს. შიშის გრძნობა უცხოა იმ ერისთვის, რომელმაც მოახლოებული სიკვდილის ჟამს უსინათლო გოგონათა ყელიდან თმაბეწვის ამბურძგლავი, გულისმომკვლელი სიმღერა-ყივილი მოისმინა:

„დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!“

* * *

რა გრძელი და საზარელიც უნდა იყოს ღამე, გათენებით აუცილებლად გათენდება.

სიბნელე რომ გაიცრიცა და აღმოსავლეთს თეთრი ციაგი შეერია, გარკვევით გამოჩნდა მოედანზე მიმოყრილი საგნები – ნეილონის ლეიბები, ხელჩანთები, ცალ-ცალი ფეხსაცმელები, ბოთლები და ქანდაკებათა კვარცხლბეკებს მისხურებული სისხლიც.

თითქოსდა ჩვეულებრივზე ჩქარა თენდებოდა. თითქოსდა ბუნებას სურდა ადამიანთათვის დროზე დაემტკიცებინა, რომ, რაც წუხელის მოხდა, საშინელი სიზმარი კი არა, გულისამრევი სიცხადე იყო.

ფაროსანი ჯარისკაცები, რომლებსაც მოედანი ოთხკუთხივ შეეკრათ, ერთმანეთს მხრებით მიყრდნობილნი იდგნენ, გულგრილად იმზირებოდნენ და შიგადაშიგ ამთქნარებდნენ კიდეც. გადაცმული ოპერმუშაკები და მეეზოვენი საბარგო მანქანაზე „ჰოპ-ჰოპის“ დაძახებით, ცხედრებივით ისროდნენ ლეიბებს. გელა კირთაძეს თვალები ეწვოდა და სუნთქვა უჭირდა, მაგრამ შინ წასვლაზე არც ფიქრობდა. სურდა, ყველაფრის გადაღება მოესწრო.

ქაშვეთთან ქვის მოაჯირზე შეხტა და ტანკზე პირაღმა წამოწოლილ ჯარისკაცს დაუმიზნა ვიდეოაპარატი.

„ტანკები რომ არ იყვნენ, როგორ ჰგავსო მოედანი კინოგადასაღებ არენას, სადაც ეს-ესაა დამთავრდა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ფილმის მორიგი ეპიზოდის გადაღება“ – გაიფიქრა გელამ და ხელფარიანი ბიჭებისკენ შებრუნდა.

– ეი, ტი! – მოესმა ზურგსუკან.

დაბალი ტანის, შავტუხა, წვრილთვალება, ბრტყელსახა ოფიცერი უხმობდა.

გელა მოაჯირიდან ჩამოხტა და მისკენ წავიდა.

ოფიცერმა აპარატს წაუპოტინა ხელი.

– ია პისატელ, მაგუ პაკაზატ დოკუმენტ! – განზე გაიწია გელამ, მაგრამ ოფიცერს არაფრის გაგონება არ სურდა. მან ხელიდან გამოგლიჯა ვიდეოკამერა, გრანიტის მოაჯირთან მიირბინა, ორჯერ მაგრად დაჰკრა ქვას და მერე ასფალტზე ღონივრად მოისროლა.

გელას თვალთ დაუბნელდა. ჯერ დამსხვრეული კამერისკენ გაიწია, შუა გზაზე შეშლილი სახით შემოტრიალდა და დოინჯით მდგარ, უტიფრად მომღიმარე სამხედრო პირისკენ გამოიქცა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. თვალის დახამხამებაში უკნიდან წამოპარულმა ჯარისკაცებმა ხელები გადაუწრიახეს და, ქეჩოში ხელჩავლებული, უფროსს წარუდგინეს.

– აა ნუკა უბირაისა ატსუდა, პაკა გოლოვა ცელაია! – კბილებში გამოსცრა ოფიცერმა და ზურგი უჩვენა. ჯარისკაცებმა იგი მუხლებამდე თავდაქაჩული მიიყვანეს ეგნატე ნინოშვილის ძეგლამდე და თავდაღმართზე უბიძგეს.

გელა ხეს მიეყრდნო და, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ მუცელზე მოისვა ხელი. სიხარულმა სახე გაუნათა. კასეტა მთელი იყო. კოშმარული ღამე მან უკვე ნაწილობრივ გადაიღო მერე, ვაი თუ კამერა წამართვანო, გადაღებული კასეტა ქამარში ჩაიდო და, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ნახევრამდეც არ იყო დაცლილი, ახლით შეცვალა.

აუხდა შიში.

სიმწრისგან ტუჩზე იკბინა და სანაპიროზე დაეშვა...

ახლა მთავარი იყო, კასეტა გადაერჩინა.

თუ გამაჩერეს, უსათუოდ გამჩხრეკენ და ჩამომართმევენო, ფიქრობდა და ეზო-ეზო იარა, ვარაზისხევში ტანკებს რომ ჰკიდა თვალი, უკან დაბრუნდა, ზოოპარკის ღობეზე გადახტა და ვერეს ნაპირზე ჩავიდა. იქ ცოტახანს სული მოითქვა, მდინარის ნაპირს აუყვა და ათონელთა ქუჩაზე ლამის პირისპირ შეეჩეხა სამ ჯარისკაცს. კიდევ კარგი, ისინი ზურგით იდგნენ და ვიღაცის „ჟიგუ-

ლის“ საბარგულს ჩხრეკდნენ. მარცხენა ხელში ავტომატები ეჭირათ, მაღალქუსლიანი ბატინკები და დესანტის მწვანე ფოთლოვანი ფორმა ეცვათ.

უკან გაბრუნდა, ბავშვთა ქალაქის ბილიკებს დაადგა და იმ ადგილას ამოვიდა ჭავჭავაძის გამზირზე, სადაც ადრე ვენამბულატორიის ძველი ხის შენობა იდგა.

55-ე სკოლასთან ქუჩა დინჯი ნაბიჯით გადაჭრა. სამშვიდობოს რომ გავიდა, სადარბაზოში ერთბაშად საშინელი თავის ტკივილი და მოთენთილობა იგრძნო.

მაჯაზე შუბლმიყრდნობილი კარგა ხანს იდგა ცივ, მტვრიან კედელთან.

ლიფტის ღილაკზე თითის დაჭერის თავიც აღარ ჰქონდა.

ლიფტს მეუღლე ჩამოჰყვა. მას, ფანჯარაზე გადმომდგარს, დაენახა გელა და რაკიღა ამოსვლა შეაგვიანდა, შესაგებებლად გამოსულიყო.

ცოლმა ყველაფერი იცოდა.

– კიდევ კარგი, რომ ცოცხალი გადარჩი. რომ გათენდა და არ ჩანდი, დასაბმელი გავხდი. კობამ ერთი ფეხით მოგასწრო.

– ძინავს?

– გაუხდელად წამოწვა და მკვდარივით ჩაეძინა.

– ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამას გაბედავდნენ. – პაუზის შემდეგ, გაბზარული ხმით თქვა გელამ.

– რას ვერ წარმოიდგენდი, ხომ გეუბნებოდი, ყველაფერი იქეთ მიდის-მეთქი. მშვიდობიანი გარეკვა რომ სდომოდათ, ხუთ დღეს გვაცლიდნენ? იმიტომ მიუშვეს შიმშილობა – მიტინგი, რომ ბოლოს სისხლის კალო მოეწყოთ. რამდენია მკვდარი?

– ბევრი, ალბათ პირველმა ჩეხვამ რომ გადაიარა, მოედანზე უამრავი მკვდარ-ცოცხალი ეყარა.

– მოასწარი გადაღება?

– მგონი. ხოცვის კადრები მაინც ვერ გადავიღე. შორს იყო და ბნელოდა. სანამ გავაღწევდი, „ოპერაცია“ დამთავრდა კიდეც.

– ცოტა დაისვენე და მერე საავადმყოფოებიც უნდა გადაიღო. მორგშიც უნდა შეაღწიო. ყველამ უნდა ნახოს ამათი სიდამპლე.

გელამ შუბლი მოისრისა. კასეტა მაგიდაზე დადო.

– გადაიღე. კი ეს კასეტა ძლივს გადავარჩინე. კამერა თავზე გადამამსხვრიეს.

ცოლს არაფერი უთქვამს. ფარდები ჩამოუშვეს და ტელევიზორს მიუსხდნენ. უცქეროდნენ მდუმარედ, უკომენტაროდ. გელას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოსდა ეს კადრები სადღაც, დიდი ხნის წინათ უკვე ენახა.

– საშინელებაა – ჩაილაპარაკა ცოლმა, – ამ დოკუმენტს მაინც სადღა წაუვლენ. კიდევ ილაპარაკებენ ჰუმანურ სახელმწიფოზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ეს... ეს... ეს ღორები?

– ის მაინც ვერ არის, რაც მინდოდა.

– ნეტა სხვამაც თუ გადაიღო?

– მე არ შემიმჩნევია, ალბათ, იქნებოდა.

– ახლა ეს ფირი სასწრაფოდ მთელმა ქვეყანამ უნდა ნახოს.

სწორედ ამ დროს მოუვიდა გელას აზრად წაეღო ეს კასეტა და იმპერიის სიღრმეში, შორს, რომელიმე პროვინციულ ქალაქში ეჩვენებინა. ეჩვენებინა თავისი კომენტარებითურთ, ეჩვენებინა, როგორც ბრალდება, ზოგი გულუბრყვილო მოქალაქის გულში ჯერ კიდევ მბჟუტავი რწმენისა და ილუზიების გასაბათილებლად.

ეს გადაწყვეტილება ცოლს, ბილეთი რომ აიღო და ბარგის ჩალაგებას შეუდგა, მაშინ გაანდო. ცხრა აპრილიდან ერთი კვირის თავზე ოთხ საათზე უკვე თვითმფრინავში იჯდა და ქალაქ ტაპოროვოსკენ მიფრინავდა. ტაპოროვოში ადრე არასოდეს ყოფილა. ქალაქი თბილისიდან არც მეტი არც ნაკლები, ოთხსაათნახევრის საფრენზე იყო.

ტაქსის მძღოლმა მოედანს წრე დაარტყა, უნდოდა კიდევ ჩაესვა ვინმე, მაგრამ ტაქსის რიგში არავინ იდგა, ხოლო ავტობუსის რიგში მდგარნი ჯიუტად და მკაცრად განზე იყურებოდნენ.

არყისხეებამგზავრებულ გამზირს რომ დაადგნენ, მძღოლმა ჰკითხა:

– ბაქოს ჩამოჰყევით?

– დიახ. – მიუგო გელამ.

– თათარი ხართ?

– კი ბატონო – თვითონაც ვერ აგიხსნიდათ ახლა გელა, რატომ დადგა ხუმრობის გუნებაზე და რატომ დამალა თავისი ქართველობა.

– მიყვარს თათრები. – სარკე შეიტრიალა და თავის უწარბო სახეს შეავლო თვალი მძღოლმა. – გულღია, პირდაპირი ხალხია. ჯარში ბევრი თათარი მეგობარი მყავდა.

რაკიღა გელამ არ გამოხატა აღფრთოვანება იმის გამო, რომ ჯარში ტაქსის მძღოლს ბევრი თათარი მეგობარი ჰყავდა, მძღოლმა „ფირფიტა გამოცვალა“.

– ქართველები რაღაც არ მომწონს: ვერ ვუგებ. ცოტა ამპარტავანი, თავნება ხალხია.

– რას ამბობთ, – ეშმაკური ღიმილი რომ დაემალა, განზე გაიხედა გელამ. – ქართველები? გამორჩეული ხალხია დედამიწაზე. მაგათი სტუმართმოყვარეობა, სიმღერა, ცეკვა, რუსთაველი?

– ცეკვა... ჰო – ქუდს შიგნით კეფა მოიფხანა მძღოლმა. – ცეკვაზე ხომ არაფერს ვამბობ. რაც კარგია, კარგია.

– აი, მე, თათარი კაცი ვარ. ჩემი ხალხი, რასაკვირველია, მიყვარს, მაგრამ ერთადერთი, რაზეც მთელი სიცოცხლით მწყდება გული, ეგ არის, რომ ქართველად არ დავიბადე.

მძღოლმა გაკვირვებით შეხედა.

– თქვენ, თათარი, ამბობთ ამას?

გელას ერთი სული ჰქონდა, არ გასცინებოდა.

– დიახ, მე ვამბობ. გინახავს, როგორ თამაშობენ ქართველი ქალები ჭადრაკს? დაფას არც კი უყურებენ. ზეპირად თამაშობენ. ამბობენ, ქართველები ფეხბურთში თავიანთი შესაძლებლობის მეხუთედსაც, არ ამჟღავნებენო.

– რატომ?

– რატომ და ყველაფერში რომ პირველი აღმოჩნდე, შეგიძულებენ. ეს კარგად იციან ქართველებმა. ყველაფერში რომ დაჯაბნი სამასმილიონიან უმრავლესობას შენ, სამმილიონიანი უმცირესობა, ადგება ის უმრავლესობა და დაგსჯის, შეიძლება სულაც აგყაროს და გადაგასახლოს შენი მიწიდან, ან, შეიძლება მტვერივით მიგფანტ-მოგფანტოს ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე. ამბობენ, ქართველებს მხოლოდ მაშინ აქვთ გრძნეულება, როცა თავიანთ მიწაზე, ერთად ცხოვრობენო.

– ეგ ბოლო, შეიძლება, მართალი იყოს. ჩვენთან, გარაჟში, ერთი ქართველი მუშაობს. სანდრო ჰქვია. ვაკვირდები ხუთი წელია. ქართველმა რაღაც უცნაური, რამე ფანტასტიკური ხომ უნდა გააკეთოს, არაფერიც. ჩვეულებრივი კაცია. სხვაგან რომ ცხოვრობს, ალბათ, იმიტომ.

– ეგ, შეიძლება, ქართველი არც იყოს.

– როგორ, ქართველად სწერია. მთელი გარაჟი ქართველს ეძახის.

– მერე რა. ქართველობას დღეს ბევრი იჩემებს.

მძღოლი გაჩუმდა. იგი ძლიერ განიცდიდა, რომ მგზავრის მომადლიერების ნაცადი ხერხი ამჯერად არ გაუვიდა. ჩვეულებრივ იგი სომეხს, ქართველს და აზერბაიჯანელს თითქმის ერთსა და იმავეს ეუბნებოდა; ძალიან მიყვარს სომეხი (ქართველი, აზერბაიჯანელი – შესაბამისად, რა ეროვნების კაცი ეჯდა გვერდით, რ.მ.), ჯარში ბევრი სომეხი (ქართველი, აზერბაიჯანელი) მეგობარი მყავდაო.

გაოცება-გაოგნებისგან მძღოლი ხანდახან პირს აღებდა. იგი პირველად ხედავდა თათარს, რომელიც ცრემლმორევით ნატრობდა, ნეტავ ქართველად დავბადებულიყავიო.

– ისე ქართველებთან დაკავშირებით თქვენ მართალი ხართ. დიდი ნიჭიერი და მებრძოლი ხალხია. გუშინწინ თურმე ჯოხებით დაერივნენ ტანკებს. გაიგებდით ალბათ, თქვენთან საქართველო ახლოსაა.

– არ გამიგია? – სიცილი ცრემლად სდიოდა გელას, მაგრამ არ იმჩნევდა.

– ტელევიზიას გადმოუცია. მე თვითონ არ მომისმენია, ქართველებს საბჭოთა კავშირიდან გასვლა მოუნდომებიათ და ჩვენი ჯარი ხომ იქ დგას, ჯარისკაცებს მივარდნიან. ავტომატები თავზე გადაუმტვრევიათ, თოფწამლის საწყობები აუფეთქებიათ, ტანკებისთვის ფანჯრები ჩაულეწავთ.

გელამ წარმოიდგინა „ფანჯრებჩალეწილი ტანკები“ და ერთხელ კიდევ სცადა წამლეკი სიცილის მოთოკვა.

– სად მიდიოდნენ, რატომ გავდივართო?

– არ გვინდა რუსეთთან ყოფნაო, – შუბლზე კეპი ჩამოიწია მძღოლმა და ისევ ასწია. – ალბათ, თურქებს უნდა შეერთებოდნენ.

– თურქები არ მიიღებენ. – გადაუწურა წყალი ქართველთა „სურვილს“ გელამ.

– რატომ?

– თურქები სხვა ხალხია. ქართველებთან საერთო არა აქვთ. ეგეც ტელევიზორს უთქვამს?

– მე თვითონ არ მომისმენია. ვერ მოგატყუებთ. ამ დილით ბიჭები ამბობდნენ გარაჟში. ჭყლეტაში თექვსმეტი ქალი გაგუდულაო.

– ჩვენი?

– არა, იმათი, ქართველების.

– კი მაგრამ ჯარი რას აკეთებდა, ავტომატები რომ თავზე დააფშვნეს და ტანკები დაულეწეს? – ამ საუბრიდან გამომდინარე არც თუ ულოგიკო იყო გელას შეკითხვა.

– ჯარს ხომ წინააღმდეგობის გაწევა აკრძალული აქვს. ბრძანებაა ასეთი. საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ჩვენი ჯარი იარაღს ვერ გამოიყენებს.

– ვერც მაშინ, თუ ხალხი გასვლას აპირებს და ჯოხით ლეწავს ტანკებს?

– ვერც მაშინ. ბრძანება ბრძანებაა. თქვენ რა, არ გიმსახურიათ?

– არა. არ წამიყვანეს. მე... ისა, არასამხედროვალდებული ვარ. მრცხვენია, მაგრამ კაცები ვართ და თუ გინდათ, გეტყვით მიზეზს.

გელამ თავი დააწევინა მძღოლს და ყურებში ისეთი რამ უთხრა, რომ მძღოლმა ჯერ გადაიხარხარა და მერე თავიდან ფეხებამდე ისე აათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმარი, როგორც შეიძლება თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიეროს გვერდით მჯდომი კაცი მძღოლმა.

– ახლაც?! – აღტაცებაგარეული პათეტიკით ჰკითხა მესაჭემ.

– ახლაც. – რამდენადაც მოუხერხდა იდუმალი სერიოზულობით დაუქნია თავი გელამ.

ამის შემდეგ მძღოლი გაჩუმდა. იგი თავის რთულ, ინტელექტუალურ სამყაროში გადაერთო და ხანდახან კითხვით სავსე თვალებით გადახედავდა უცნაურ მგზავრს, რომელიც მანქანის სარკმელთან ჩასრიალებულ, დაუგველ ქალაქს ათვალიერებდა.

სასტუმრო „ტაპოროვოს“ დირექტორმა კარგა ხანს უსმინა გელას დასაბუთებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ თბილისელი სტუმარი მწერალი გახლდათ, ქალაქში საგანგებო მისიით ჩამოსულს ლექციების ციკლი უნდა წაეკითხა ცხრა აპრილის შესახებ სათანადო ილუსტრაციული მასალის ჩვენებით და მისი ამაღამ ღია ცის ქვეშ დარჩენა, მეტი რომ არა ვთქვათ, უღმერთობა იყო.

დირექტორი ისე პირწმინდად მელოტი გახლდათ, რომ თმა საფეთქლებთანაც გასცვენოდა. ერთი სათვალე თვალებზე ეკეთა, მეორე კი ყელზე ეკიდა.

როცა დირექტორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მგზავრი თავისი პერსონის შესახებ მეტს არას იტყოდა, სათვალე შეიცვალა და მშვიდად ჰკითხა.

– მივლინების ბარათი გააქვთ?

– იცით, ვერ მოვასწარი აღება, ჩვენთან ისეთი ამბავია. ეგ კი არა, ბავშვსაც ვერ გამოვემშვიდობე. თვრამეტი წლის ბიჭი მყავს, ხატავს – სხაპასხუპით მიაყარა გელამ.

– ეგ ცუდია, – დაამთქნარა დირექტორმა და სათვალე კვლავ გამოცვალა.

– კარგად ხატავს. – ნერწყვი გაუშრა გელას.

– მე ხატვაზე არ მოგახსენებთ, აი, მივლინების ბარათი რომ არ გაქვთ, ესაა ცუდი. მე კიდეც რომ მიგიღოთ, მივლინების ბარათის გარეშე ლექციებს როგორ წაიკითხავთ.

– საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ვარ, აი, „ცოდნის“ წიგნაკი.

დირექტორმა წიგნაკი გამოართვა. კარგა ხანს ათვალიერა, მერე ტელეფონს დაწვდა, წიგნაკს მაგიდაზე აკაკუნებდა და ვიღაცას თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდა:

– საველევიჩ... თბილისიდანაა. ლექციების წასაკითხად ჩამოვედიო. რაღაც ილუსტრაციაზე ლაპარაკობს... მივლინება არა აქვს, „ცოდნის“ წიგნაკი ხელთა მაქვს. – გაეცინა. – კი, კი მაგისია. მწერალი ვარო, მოიცათ, ვკითხავ. – ყურმილს ხელი დააფარა. – პირადობის მოწმობა გააქვთ?

გელამ პირადობის მოწმობა ამოიღო და გაუწოდა.

– აქვს, აქვს, ნომერი ასჩვიდმეტი, გაცემული ოთხმოცდაცხრა წლის იანვარში. კეთილი, კეთილი.

დირექტორმა ერთხელ კიდევ შეიცვალა სათვალე, სტუმარს საბუთები დაუბრუნა და სელექტორს თითი დააჭირა:

– გისმენთ! – გაისმა ქალის ნაზი ხმა.

– მიიღეთ თბილისიდან, გვარი?

– კირთაძე – შეაშველა გელამ.

– კირტაძე, სამი დღით არა?

– დიახ. თხუთმეტამდე.

– თხუთმეტამდე. – ჩასძახა დირექტორმა, სათვალე შეიცვალა, სელექტორი გამორთო და კარებისკენ მადლობით შებრუნებულ გელას დაადევნა.

– მსხვერპლი რამდენია?

– სავარაუდო რიცხვი ცხრამეტი გახლავთ.

– ცხრამეტი, საშინელებაა, ცხრამეტი ჯარისკაცი. მოქალაქეთაგან არავინ დაშავდა?

– ცხრამეტი მშვიდობიანი მოქალაქეა მოკლული... ჯარისკაცები, ღვთის შეწევნით, ყველანი გადარჩნენ. სერიოზული ტრამვაც კი არცერთ მათგანს არ მიუღია.

– ეგ კარგია, – დაამთქნარა დირექტორმა.

– რა არის კარგი?! – მარჯვენა ლოყაზე სამწვერა ნერვი ავად აუთამაშდა გელას.

– ჯარისკაცები რომ არ დაიღუპნენ. ჯერ მარტო ავღანეთში რამდენი დავკარგეთ.

– აბა, აბა, შენ ეგა თქვი. – თუ სადმე სამართალია, გელას ხაზგასმულ ირონიას სასტუმროს თავი უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ ყველაფერზე შეეტყო, რომ ვერ მიხვდა.

მეორე დღეს, ესე იგი თორმეტ აპრილს გელა კირთაძე „ტაპოროვოს“ ცოდნის საქალაქო განყოფილებაში გამოცხადდა. ხელში პორტფელი ეჭირა. პორტფელში უნიკალური კასეტა, ორი ახალი ბამბის წინდა და ერთი ბოთლი „ბორჯომი“ ედო. ტანთ გაცვეთისწინა მდგომარეობამდე მისული ნაცრისფერი შალის კოსტიუმი ეცვა, პიჯაკის ჯიბეში პირადობის მოწმობა და სასტუმროს საშვი ედო. შარვლის ჯიბეში ორი ცხვირსახოცი და ხუთმანეთიანებისგან შემდგარი ასხუთი მანეთი. პასპორტი და უკან დასაბრუნებელი ბილეთი (ეს უკანასკნელი გელამ აეროპორტში გუშინვე აიღო) სასტუმროში დატოვა.

„ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში მოუსმინეს და „ცოდნის“ რესპუბლიკური განყოფილებისკენ გაისტუმრეს. ცოდნის რესპუბლიკურ განყოფილებაშიც მოუსმინეს და პროპაგანდის საქალაქო განყოფილებისკენ მიუთითეს, პროპაგანდის საქალაქო განყოფილებაში უთხრეს, რაკი საგანგებო შემთხვევასთან გვაქვს საქმე,

თქვენი საკითხი პროპაგანდის რესპუბლიკურმა განყოფილებამ უნდა გადაწყვიტოსო.

ჩვენი მიმხვედრიანი მკითხველის იმედით, როგორც ხედავთ, მოკლედ, სულ რამდენიმე სტრიქონში მოვაქციე ის, რაც გელას „ტაპოროვოში“ დილიდან საღამომდე გადახდა. თანამედროვე მკითხველის მოუცლელობას და მის სრულიად ბუნებრივ ზიზღს გრძელსიტყვაობისადმი ვუწევ ანგარიშს თორემ, ხომ შემეძლო, ვრცლად აღმეწერა გელას ვიზიტები თვითეულ ამ სიმპათიურ დაწესებულებაში. შევჩერდებოდი მდივანი ქალის თმის ფერიდან დაწყებული რეფერენტთა და პროპაგანდის განყოფილების გამგეთა ჰალსტუხებზე, მათ ნიღაბურ გაყინულ ღიმილზე და ამოოხვრით ნათქვამ სიტყვებზე – „თუ შეიძლება გვაჩვენეთ ფირი და მოკლედ ისიც გვითხარით, რას იტყვით აუდიტორიის წინაშე“. დაწვრილებით შევჩერდებოდი იმაზეც, რომ ნახევარსაათიანი ღაღადისის შემდეგ გელა მასპინძლის მთქმნარებაზე შეატყობდა, რომ ეს კაცი „საკითხის გადამწყვეტი“ არ იყო და უკეთეს შემთხვევაში სხვა კაბინეტისკენ გაგზავნიდა.

ვიმეორებ, ვრცელ, დეტალურ საუბარს გელას საპროპაგანდო ბასტილიებზე აქ თავს ვარიდებ ისევ და ისევ ძვირფასი მკითხველის პატივისცემის გამო, გამომდინარე დროის ეკონომიის ინტერესიდან.

მესამე დღეს, ცამეტ აპრილს და მეოთხე დღეს – თოთხმეტ აპრილს გელას, როგორც იქნა, დაუნიშნეს ორი ლექცია. „ცოდნის“ საქალაქო განყოფილებაში. თბილისიდან ჩამოსული ლექტორისთვის საგანგებოდ შეარჩიეს ბამბეულის კომბინატის (13 აპრილი) და სოსის – ძეხვეულის ფაბრიკის (14 აპრილი) ჯანსაღი, ინტერნაციონალური კოლექტივები.

ლექციები ორივე ადგილას დაახლოებით კი არა, ზუსტად ასე ჩატარდა: საწარმოს ადგილკომის თავმჯდომარე, „ცოდნის“ რეფერენტი და გელა უსხდნენ საპრეზიდიუმო მაგიდას. ასეთ ღონისძიებებს დირექტორები და პარტიული კომიტეტების მდივნები ჩვეულებრივ, მოუცლელობის გამო, არ ესწრებიან. ადგილკომის თავმჯდომარე დარბაზს ამცნობდა, მზიური საქართველოდან სტუმარი გვეწვია და ლექციის წაკითხვა სურსო. გელას არ უკვირდა, რომ მას ოვაციით არ ხვდებოდნენ. აშკარად იგრძნობოდა, რომ მოქალაქეებს საერთოდ მობეზრებული ჰქონდათ ლექცია, თუნდაც იგი მზიური საქართველოს წარმომადგენლის მიერ ყოფილიყო წაკითხული. მერე გელა ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში ისაუბრებდა ცხრა აპრილის ტრაგედიაზე და ამდენივე წუთიან ფირს უჩვენებდა მსმენელ-მაყურებელს. თუ ლექციის კითხვისას დარ-

ბაზი ყრუდ თანაუგრძნობდა გელას (აქა-იქ აღშფოთების ამოოხვრანიც გაისმოდა) სამაგიეროდ, ფილმის ჩვენებისას გარინდულ დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ტელევიზორის ეკრანზე ფილმის დასასრულის ნიშნად ვერცხლის დუმილი რომ დაიწყებოდა, აუდიტორია კარგა ხანს იყო სიჩუმეში ჩაძირული.

– მდაა. – იტყოდა ერთ-ერთი მაყურებელი წინმჯდომთაგან და გაიმართებოდა კამათი. ისეთი ჩვეულებრივი, უმართავი, უწესრიგო, უთავბოლო კამათი, როგორიც ხშირად იმართება ხოლმე მათს დემოკრატიულ აუდიტორიებში, იმის შემდეგ, რაც უძრაობის ეპოქა დაგმეს და გარდაქმნის ოქროს ხანას შეუდგნენ.

ბოლოს მოკამათენი იღლებოდნენ და ძალაუფლებას ხელში იგდებდა ორთოდოქსულად მოაზროვნეთა ჯიუტი ნება. ისინი მაგიდაზე მუშტის ბრაგუნით, პროვოკაციული ქარაგმებით, ისტერიული ყვირილით და შიგადაშიგ მუქარითაც ახერხებდნენ სხვაგვარად მოაზროვნეთა გაჩუმებას და ბოლოს სიტყვებში ხშირად ისმოდა: „ასე დაემართება ქვეყნის დაშლის მოსურნეს“, „ეს გაკვეთილად უნდა იქცეს“, „საომარ ტექნიკას მაინც რაღას ერჩოდნენ“, „აბა რა ეგონათ“, „რუსეთი მომთმენია, მაგრამ...“ „თავიანთმა ქალებმა მაინც რა დაუშავეს“, „კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯონ“, „წითელი არმია უფლებას ვერავის მისცემს“... ლექცია – დისპუტის დამთავრების შემდეგ მოქალაქენი ქუჩაში განაგრძობდნენ კამათს და გელა დარწმუნდა, რომ ერთ მუჭა „საღებს“ აქაც, ქუჩაშიც უმრავლესი ჯიუტნი სჯაბნიდნენ.

14 აპრილს გელას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. უამური ფიქრი არ ასვენებდა.

„რა უნდოდა, რისთვის ჩამოვიდა. ჯერ ერთი რატომ ეგონა, რომ მოქალაქენი ჭეშმარიტების გაგებისთვის სულს ლევდნენ და გაფაციცებით ელოდნენ თვითმხილველის ჩამოსვლას. მეორეც, რატომ ეგონა, რომ მისი ჭირი ყველასთვის ერთნაირად გულსაცემი უნდა ყოფილიყო. ქვეყანას თავისი თავი უჭირს, ვის ახსოვხარ, ვის დაეკარგე შენ. რაღაცაშია საქმე. თავი ხომ არ მოვაძულეთ იმპერიას ჩვენი ჭირვეულობით და თავისუფლებაზე გაუთავებელი ჩივილით? რა მნიშვნელობა აქვს, თურმე, ხელბარით დაგსჯიან თუ შპიცრუტენებით. ერთმა – ორმა ისიც თქვა, რაც შენს წისქვილზე ასხამს წყალს, მხოლოდ ის გადაგიღიაო. ერთმა დედაბერმა ფაროსანჩაფხუტიანი ჯარისკაცები რომ დაინახა; „ვაიმე შვილებო, დაგხოცავენ ეს ავაზაკებიო“. ერიჰაა, მკვლელები უფრო შეეცოდა, ვიდრე მათი ხელით მოკლული ქალები და ბავშვები. საერთოდ, რა მომარბენინებდა. როდემდე უნდა ვიყო გულუბრყვილო და მიამიტი. ჭკუა ვერ უნდა ვისწავლო ამხელა კაცმა?“

გამთენიისას, როგორც იქნა, „მისცეს თბილისი“. ცოლს დაუჟინა, გააღვიძე კობა, დამელაპარაკოს, თორემ ისე მომენატრა მაგისი ხმა, ლამის გავგიჟდეო.

კობას ნამძინარევი, ლოგინური ხმა ჰქონდა.

– მამიკო რა ჰქენი? როდის მოდიხარ, აქ კომენდანტის საათია. დილის რეისს წამოჰყევი თორემ ღამე დახვედრა გამიჭირდება, საშვი არა მაქვს.

...გელამ ფანჯარაში გაიხედა. თვითმფრინავს დიდი წითელი მზე ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა.

* * *

ახლა ლაპარაკი ადვილია. ახლა მეც კარგად ვხედავ, რა შეცდომაც დავუშვი. თუ ძმა ხარ, წამით მაინც გჯერა, რომ ვიცოდი წინასწარ, რაც მოხდებოდა? მე მომატყუეს, უნამუსოდ მომატყუეს. ნახევარი საათით ადრე ერთხელ კიდევ ველაპარაკე, ვისაც შესრულება ეხებოდა; ისე გაათავისუფლეთ მოედანი, ვინმე არ დაშავდეს-მეთქი. მე ცემა-ტყეპის წინააღმდეგიც კი ვიყავი. რომ მცოდნოდა, ხალხს დამიხოცავდნენ, როგორ ფიქრობ შენ, გულს არ გავიგლეჯდი და არ ჩავვარდებოდი? არ დავდგებოდი ჩემი, ისედაც გაუბედურებული ერის გვერდით?

თავი რატომ არ მოიკალიო, რამდენჯერმე გამაგონეს, შეიძლება სწორიცაა, მაგრამ ვერ მოვიკალი, არ აღმომაჩნდა იმხელა ვაჟკაცობა და რა ვქნა ახლა. კი, მიუტევებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ თავის მოკვლით ეშველება რამეს? იქნებ მეც მომიჩინონ ჩემი პატარა საქმე ამ ქვეყანაზე, იქნებ ჩემთვისაც გამოიძებნოს ადგილი და შრომით, კაცობით ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდო დანაშაული. საფლავში ჩემი ჩაწოლა ვის რას შეჰმატებს, თორემ, ჯანდაბა ჩემს თავს.

შენ მაინც ნუ ჩამთვლი ერის მტრად, ძმურად გთხოვ. შეიძლება დიდ მასშტაბებში რაიმე შემშლოდა. მაგრამ ქვეყნისთვის რომ სიკეთე მინდოდა, შენ ხომ მაინც იცი. რა შემეძლო? რაც შემეძლო, ვცდილობდი და ბევრი რომ არაფერი შემეძლო, ეს მხოლოდ იმან იცის, ვისაც იმ თანამდებობაზე უმუშავია.

არაფორმალები მარიონეტს რომ მეძახდნენ, ეგ იყო ყველაზე სწორი მათ ნათქვამში. ახლა რომ ზოგიერთი მლანძღავს; ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანაო, წარმოიდგინოს ჩემი მდგომარეობაც. წარმოდგენით მაინც წარმოიდგინოს ორცეცხლშუა ყოფნა.

აქედან მეუბნებოდნენ: თუ ხარ პატრიოტი, უცხო ერების სოკოსავით გამრავლებულ შვილებს უკანონოდ აშენებული სახლები დაუნგრიეო, იქედან მეუბნებოდნენ; შენს მიწაზე დამკვიდრებულ

არაქართველ მოსახლეობას არ აწყენინო, თორემ ყურს აგახევთო. აქედან მეუბნებოდნენ; თუ ახალგაზრდების მეგობარი ხარ, სიტყვის თავისუფლება მოგვეცი და მიტინგებს ნუ გვიშლიო. იქედან მეუბნებოდნენ; რა ხმაური ისმის მანდ, საქართველოდან, რა მიტინგები და მანიფესტაციები აგიტყდათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტე მიტინგომანია, ხოლო თუ უძლური ხარ, განაცხადე და გადადექიო.

ყველასა აქვს თავმოყვარეობის გრძნობა. გეთანხმები, განა არ გეთანხმები, იქ რომ დაჯდები, თავმოყვარეობის ოფოფები გალიაში უნდა შერეკო და ბიჭური ანგარიშსწორების, მამლაყინწობის ნერვები დაიოკო, მაგრამ ჩემი მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ ამდენი წელი ვიმუშავე პარტიულ ორგანოებში და ვერ გაკეთდა მაინც ჩემგან თავდრეკილი ფუნქციონერი. ვერ შევძელი ერთის თქმა და მეორის კეთება. ვერ ვისწავლე, სტრატეგიული უკან დახევა და მომენტის დროს კლანჭების გამოჩენა.

გავა წლები და ოდესმე ვინმე მაინც გაარკვევს სიმართლეს. ჩემი კარიერის სამარცხვინო დასასრულს ისე არ განვიცდი, როგორც ფიქრს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, რა ხდება ჩვენს თავს და ვის ხელში ვართ.

რატომ ჩადექი მაგ სამსახურშიო, რას მიძვრებოდი ხელმძღვანელობაშიო, უკანასკნელი წლების ვითარებათა შემყურე ხომ არ შეიძლებოდა შენ მართლაც იმგვარი „დარწმუნებული კომუნისტი“ ყოფილიყავ, როგორადაც თავს აჩვენებდი ქვეყანასო. ჯერ ერთი, მე ვიქნებოდი თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს, მე შენ გეტყვი, ვერ მოძებნიდნენ მორჩილ და დამჯერე კაცს. მე, რაც შემეძლო, გადავეფარე ჩემს რესპუბლიკას. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ვერავინ იტყვის, რომ სისხლის, დასჯის მოყვარული ვიყავი და ციხეები გავავსე პატიმრებით. თუ გახსოვთ ჩემი გამოსვლები, ბოლომდე მიტევების და შერიგების პოზიციაზე ვიდექი. ჩემს „თანამოაზრეთაგან“ (ახლა რომ მამა აბრამის ბატკნებად მოაქვთ თავი) ერთმა და ორმა როდი მირჩია, დააპატიმრე დისიდენტები და დამშვიდდება ქვეყანაო.

მე ახლაც, გაგდებულ კაცს, ახლაც არა მაქვს ბევრი რამის თქმის უფლება, მაგრამ არც თქვენ უნდა იყოთ ისეთი მიამიტები, რომ ვერ მიხვდეთ; მე მხოლოდ და მხოლოდ განტევების ვაცი ვარ და რა რისხვაც თავს დამატეხეს, მაგათ სინდისზე იყოს.

გადახედეთ ბოლოდროინდელ პრესას და ნახავთ, რა მეთოდურად მზადდებოდა საქართველოს დასჯის ოპერაცია. რა ზიზღი და შხამი დაანთხიეს „სტალინის და ბერიას სამშობლოს“ ტენდენციურ პუბლიკაციებში. იძულებითი დემოკრატია მმართველებს ხელიდან გაექცათ და სიმართლის მოღაღადეებმა „დაუკრეფავში გადასვლა იწყეს“. ეს კი კატასტროფას მოასწავებდა. სწრაფად იქნა მოფიქრებული

აემუშავებინათ ანარქიისკენ მიმსწრაფი დემოკრატიის სამუხრუჭო მექანიზმი და სადმე უნაპირო საჯაროობის მომხრეთა ყურის აწევის მწარე გაკვეთილი ჩაეტარებინათ. ასეთ ობიექტად უყუყმანოდ იქნა არჩეული საქართველო. მართლაც ჩაატარეს საქართველოსთვის ჭკუის სწავლების აქცია, რითაც სხვა რესპუბლიკებსაც დაანახეს, რომ დემოკრატია ურაზმერო სრულიადაც არ არის და რომ მთავრობას მასობრივი დასჯის საშუალებანი მუზეუმებისათვის როდი გადაუცია.

ერთადერთი, რაც ნუგეშს მაძლევს უდროოდ გაპენსიონერებულ კაცს, ის გახლავთ, რომ ანგარიშში მოტყუვდნენ, ქვეყანა ის აღარ არის, რაც ადრე იყო. ახლა ვერც ხელს დააფარებენ ნამდვილ მკვლელებს და ვერც სისხლს მორეცხავენ. იმ სისხლს ხალხმა ყვავილების დიდი საბანი გადააფარა და სამუდამოდ შეინახა თავის ხსოვნაში.

მთავარი შეცდომა, რასაც ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, ის გახლავთ, რომ გაბედულება არ მეყო, ბოლო წუთებში მაინც გამოვსულიყავ დემონსტრანტთა წინაშე, ჩამომეგლიჯა ჩემი საუფროსო მანტია და მეყვირა: „ხალხნო, თავს უშველეთ, მე უკვე აღარაფერი მეკითხება, თქვენს გასაჟუჟად სპეციალური დანიშნულების ჯარი მოდის-მეთქი“. არ ვიცი, დამიჯერებდნენ თუ არა, მაგრამ მე ჩემი რომ უნდა მეთქვა, ეს საკამათო არ არის.

რატომ ავიღე ჩემს თავზე ყველაფერი? ალბათ იმიტომ, რომ დამნაშავეთა ძებნის გზაზე ჩვენებმა შორს არ გაიწიონ და „გაბედულებისათვის“ უარესად არ დაისაჯონ.

მე, გემუდარებით, მხოლოდ მე შემაჩვენეთ, მლანძღეთ და მაგინეთ. ერს ახალ სასაკლაოზე ნუ გაიყვანთ და ჯანდაბა ჩემს თავს.

ყველაზე დიდი წყალობა ახლა ჩემთვის კულისებში, ჩრდილში გდებაა.

ნუღარას მკითხავ დავიტანჯე.

პატიებას არ გთხოვ. შენდობის თხოვნის მორალური უფლებაც არ მაქვს.

არის დანაშაული, როცა ბრალდებულმა მიტევებაზე კრინტიც არ უნდა დაძრას.

ჩუმად მამყოფე სადმე კუთხეში და დუმილის უფლებას ნუ წამართმევ.

სულერთია, შენი მოწყალე გულის ამბავი რომ ვიცი, ისეთ სასჯელს მაინც ვერ მოიფიქრებ, რა სასჯელითაც უკვე დავისაჯე.

ხალხი დახოცესო რომ მაცნობეს, იმის შემდეგ მე ის კაცი აღარა ვარ, ვისაც ორმოცდაათი წელი მიტარებია ჩემი სახელი და გვარი, ავად თუ კარგად.

ჩემი წამების დემონსტრაციაც მშვენივრად მოიფიქრეს; დამატარებენ თათბირებზე და სიტყვასაც მაძლევენ. იქნებ რამე წამომ-

ცდეს ისეთი, რომ გაბრაზებულმა ერმა ხელი ჩასჭიდოს, მრისხანებას სილბოდ შეუყენოს ჩემი თავის მართლება.

ეგეც ჩემი ერის სიკეთის დასტურია.

არ გინდათ ბოლომდე დაიჯეროთ, არ გინდათ ისტორიულ დამნაშავეთა სიაში გყავდეთ. ის სია ისედაც გრძელია და საშინელი.

დიახ, შენ ისე ვით დამსჯი-მეთქი, როგორც მე დამთრგუნა ჩემმა სინდისმა. სანამ პირში სული მიდგას, თვალს ვერ გაგისწორებ. სანამ თავი ჩემი მახლავს, არ მომასვენებს ნამიტინგარზე ყაყაჩოდ ამოსული სისხლი.

დავდივარ, პირსაც ვიპარსავ; ტელეფონის ყურმილსაც ვიღებ, მაგრამ ამას ყველაფერს, დამიჯერეთ, იმ წინანდელი ჩემი არსების ინსტინქტებით ჩავდივარ მხოლოდ.

ტელეფონით საშინელ სიცხადეს რომ შემახსენებენ, ყელგამშრალი ვლუღლუღებ: „მე ვარ, ბატონო. დიახ, დიახ. რა მოგახსენოთ... მეტის ღირსიც ვარ... გმადლობთ, ბატონო...“

წარმოიდგინე მასპინძელი – კარის გაღების რომ ეშინია. მეგობართა ნახვაც არა ჰსურს. შეცოდების ყალბი სიტყვა და ნუგეში ჩემთვის ახლა ძაგებაზე უფრო ცუდი მოსასმენია.

და მაინც გუდა-ნაბადს ვერ ავიკრავ და ვერ გაგეცლები. ამ მიწაზე უნდა მოვკვდე ამ მიწის ნაწილი. შვილებიც ისე უნდა აღვზარდო, მამის დანაშაული მცირედ მაინც გამოისყიდონ.

შენთან, შენს კალთასთან მოვიტან თავს და შენს ფერხთით პირქვე დავეცემი, ჩემისთანა ძე შეცდომილთათვის შეგინდვია და გაგიწვდია სიცოცხლის ტოტი?

* * *

„ყველაფერი შესაძლებელია იქ, საცა
დავთვრები დაკარგულია,
საცა თავი და ბოლო ვეღარავის მიუგნია“.

ილია

სამი თვე შესრულდა, რაც ბიკენტი დიხამინჯიას შვილი მოუკლეს.

ოცდახუთი წლის ვაჟკაცს სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს, გამოძახებაზე მიმავალს ვიღაცამ ესროლა.

ექიმების გარჯა მკერდში დაჭრილის სიცოცხლის გადასარჩენად ამაო აღმოჩნდა.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე ბუდუ დიხამინჯიას უკანასკნელი სიტყვები იყო:

„ვინ მესროლა, რა დავუშავე?“

მილიციამ მკვლელს ჯერჯერობით ვერ მიაკვლია.

სანამ შვილს მიწას მიაბარებდა, ბიკენტი დასაბმელს ჰგავდა. ბრდღვინავდა, კბილებს აღრჭიალებდა, ქუჩისკენ იწევდა: „მთელს მაგათ ჯილაგს მოვსპობ, დედა-ბუდიანად გავანადგურებო“.

დასაფლავების მეორე დღესვე ენით უთქმელი გარდატეხა მოხდა მის ფსიქიკაში. ერთბაშად მოეშვა. თითქოსდა სხვა, უფრო დიდი საზრუნავი გაუჩნდა, ვიდრე შურისძიება იყო. შურისძიება გულიდან წუთითაც არ ამოუღია, მაგრამ საფლავის მოვლა-გალამაზებამ გაიტაცა.

საფლავის შემორაგვა-შემოკეთებას რომ მორჩა, კვლავ აბორგდა მის სულში შურისგების რისხვა.

ყოველ მეორე დღეს გამომძიებელს აკითხავდა და წყნარად, დაჯერებულად ეუბნებოდა: „არ უნდა გაგიჭირდეთ თქვენ ჩემი შვილის მკვლელის მოძებნა. არ არის ახლა ის დრო. ნუ ამაღებინებთ თავზე ხელს. ნუ დამაღვრევინებთ უდანაშაულო ხალხის სისხლს! ხომ იცით. სანამ ჩემს ბუდუიას მის მკვლელს არ მოვუწვენ გვერდით, არ მოვისვენებ. ცოტა ხანს მოგიცდით კიდევ და, თუ არაფერი გამოვიდა, მე თვითონ გავიჩენ სამართალს. შევჯდები ხეზე და ათ კაცს მაინც გავგზავნი იმ ქვეყნად მაგათი ჯიშისას და ჯილაგისას. რავა უნდა სხვისი შვილის მოკვლა, მერე მიყურონ მაგათ“!

დღეს კი, 1990 წლის 19 სექტემბერს შვილის მკვლელი თვითონ გამოეცხადა ბიკენტის.

სხედან ახლა ისინი ერთმანეთის გვერდით. ჩექმიანი, წითური ბიჭი, ოცდაათისაც არ იქნება, ეს ესაა ღობიდან გადმოხტა, პირდაპირ ბიკენტისკენ წამოვიდა, ბიკენტი დიხამინჯია ხომ თქვენ ბრძანდებითო, ჰკითხა. ხელი არ ჩამოურთმევია, თუ შეიძლება სიტყვა მაქვს თქვენთანო. შვილის საფლავთან სახელდახელო ძელსკამზე ჩამომჯდარმა ბიკენტიმ განზე გაიჩოჩა და მოსულს ადგილი დაუთმო. სტუმარმა ჯერ იუარა. მერე დაჯდა. ხმა უკანკალებს, აშკარად ეტყობა, რომ ღელავს.

ბიკენტის მისკენ ერთხელს მეტად არ გაუხედავს. წელში გამართული ზის და პირდაპირ ვიღაცის საფლავზე შადრევანივით ამოფრქვეულ კიპარისს შესცქერის.

– მეტი აღარ შემიძლია ბატონო. ერთი კვირაა, რაც გადავწყვიტე ჩემი ფეხით მოვსულიყავი, მაგრამ დღემდე ვერ მოვედი, ვერ გავბედე. მოვდივარ აქ, გათვალიერებთ, გიყურებთ. მერე ცრემლი მომერევა, ვცდილობ მოვერიო ჩემს თავს, მაგრამ სუსტი ყოფილა კაცი. ახლა დავხუჭე თვალები და მაჯაზე ვიკბინე. მოვედი და თქვენი ნებაა, რასაც თქვენ გადამიწყვეტთ ახლა, ამ წუთში, ის იქნება ჩემი საბოლოო განაჩენი.

ჯიბიდან „გეკოს“ სისტემის რევოლვერი ამოიღო და ბიკენტის მარჯვენა მხარეს დაუდო.

– შვიდი ტყვიაა ამ ნაგანში. შვიდივე ყურისძირში რომ დამახალოთ, თვალს არ დავახამხამებ, ხელს არ გავანძრევ. სამი თვე გავიდა. დამალვით არ დავმალულვარ, მაგრამ ვატყობ, თქვენი მილიცია ჩემი დამჭერი არ არი. მე მგონია, არც უნდათ მკვლელების აღმოჩენა. შეიძლება დავალება აქვთ ასეთი. ვერ გეტყვით ვერაფერს.

რომ გითხრათ, ვიცოდი ვის ვკლავდი-მეთქი, ტყუილი იქნება. ერთი რამ კი მქონდა გულში ამოჭრილი – ქართველი უნდა მომეკლა, სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა.

ვერაფრით ვერ ავხსნი ახლა, რა მჭირდა მაშინ. იმ დღეებში ნამდვილად სხვა კაცი ვიყავი. ხვადაგიო, რომ იტყვიან. ხვადაგზე უარესი ყოფილა კაცი. ჩემი გადარევა თუ ვინმეს შეეძლო, არ მეგონა. რა ბანგი გვასვეს, რა ჯადო-თილისმამ შეგვაქანა, ვერ გეტყვით. ამის გაგებას ვერც ვერავინ შეძლებს და ნურც ნურავინ ეცდება.

მე უფრო ის მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის მთელი ბრძოლა ჩემი თოფის გასროლის პირველივე წუთში დამთავრდა. ამსიგრძე კაცი რომ ჩამოიყვანეს კაბინიდან ექიმებმა და იქვე, გზისპირას ბალახზე რომ დაასვენეს, ისე გავფუჭდი, თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ ვერ შევძელი.

მერე გავიგე, რომ დიხამინჯია იყო ჩემი მსხვერპლი და ჩემი სიგლახე როგორ არ გითხრათ, დასაფლავებაზეც ვიყავი.

ორი შვილის მამა ვარ. დანახვა აღარ მინდა არც-ერთის. რა მამა ვარ-მეთქი, – ჩემს თავს ვეუბნები, – სხვისი შვილის მოკვლა რომ შემძლებია-მეთქი!

ასეა ჩემი საქმე. ყელი მიშრება ახლა მე და მეტი ლაპარაკი აღარ შემიძლია. ძალიან გთხოვ, ბატონო არ შემიცოდო! გინდა დამახალე ტყვია კისერში, გინდა ჩამაბი ბაწარი და შენ თვითონ მიმიყვანე მილიციაში.

ამით უნდა დამთავრდეს ყველაფერი უნდა დავისვენო ან მკვდარმა, ან ცოცხალმა. ესაა ჩემი სიტყვა.

ბიკენტის ხელები გაუცივდა. ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა, სიგარეტი თითების მოწვამდე მოსწია და თავი ჩაქინდრა.

კარგა ხანს იჯდა.

გვერდით მისი შვილის მკვლელის გახშირებული სუნთქვა ესმოდა.

ადგა და გააბიჯა ისე, რომ მკვლელისთვის არც შეუხედავს, რომ ხვალ არ შეხვედროდა და არ ეცნო.

არეული ნაბიჯით მიირწეოდა სასაფლაოს გასასვლელისკენ ბიკენტი დიხამინჯია.

* * *

ხელისუფლებას ხალხი გადარევს, ბატონო, გელა მეტი ვერავინ. როგორ შეიძლება, ყოველ წუთას უძახო, არ გამოგდის არაფერი, ვერ ამიყვავე ცხოვრება, შევცდი, შენ რომ ხმა მოგეციო.

შეძახილით ხე გახმაო, ხომ გაგიგონია.

გადამდგარ გენერალს მეძახით მე, მაგრამ ისე გადამდგარიც არა ვარ, არ მაწუხებდეს ჩვენი ჯარის ბედი და სანძრაობა.

დავმარცხდით, მართალია, 1993 წელს. ვისთან დავმარცხდით, ხომ უნდა ვიკითხოთ, ბიძია. ორასმილიონიანი სახელმწიფოს ჯართან.

რუსის ჯარის დამამარცხებელი ამერიკა ძლივსაა დღეს და ჩვენ რას გავხდებოდით.

სად გვყავდა ქართული არმია მაშინ.

ჯერ ახლა რაია ჩვენი ჯარი და მაშინ რა იქნებოდა. თავგანწირული „მხედრიონელების“ და პირტიტველა მოხალისეების ლაშქარს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ვეძახდით.

ისე შეიარაღდა შენი მტერი, ჩვენ რომ მაშინ ვიყავით შეიარაღებული.

არ გახსოვს, როგორ დავიწყეთ?

ტელევიზიაში მაინც გექნება ნანახი ჩვენი ჯარის პირველი პარადი „დინამოს“ სტადიონზე.

სამმწკრივად დაწყობილი ასიოდე მეომარი მოფართხუნობს სტადიონზე.

ქართული ჯარის პარადია.

ყველას სიხარულის ჟრუანტელი გვივლის.

დგას გაღიმებული საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

მიაბაკუნებენ ნახევრადშეკრულ „ბატინკებს“ ჩვენი ჯარისკაცები.

ქართულ მარშს აგუგუნებს ორკესტრი.

ზვიადმა შუბლთან მიიტანა ხელი.

სამხედრო წესით საფეთქელთან უნდა მიეტანა.

რა მნიშვნელობა აქვს. დაიწყო! ესაა მთავარი.

ჯარისკაცებს ვანიშნე, რამდენჯერმე შემოუარეთ-მეთქი სტადიონს, მერე ზვიადმა მომიწონა ჩემი მიმხვედრიანობა.

ეს რომ არ მექნა, ორ წუთში დამთავრდებოდა სამხედრო აღლუმი.

ურტყამენ წრეს ბიჭები და ესალმება პრეზიდენტი ქართულ ჯარს.

მეორე დღეს ჩასაფრებულმა ოპოზიციამ და ზოგიერთმა ავყია ჟურნალისტმა სასაცილოდ აიგდო ჩვენი პარადი.

კომედიური ფილმის პასაჟს ჰგავდაო. ჩვენი „მუშკეტერები“ ჯარის კარიკატურას ჰგავდნენო. საკინძეშეუკვრელნი, მხედრულ სვლას ვერ დაუფლებულნი თოჯინების სპექტაკლის ყვინჩილებივით მოაბიჯებდნენო.

პრეზიდენტს შუბლთან ხელის მიტანის უფლება არა ჰქონდა, რაკიღა სამხედრო პირი არ არისო.

რა იყო, შე კაი კაცო, იმის მაგივრად, რომ გიხაროდეს ქართველ კაცს ქართული ჯარის დაბადება, „ოლოლოს“ ეძახი და ნიშნს უგებ?

ჯერ ერთი, ჯარი რავარიც იყო, მთავარსარდალიც იმნაირი ჰყავდა.

ხომ იდგა, ხომ ჰქონდა კმაყოფილი სახე, ხომ ფრთებს ასხამდა ჯარისკაცებს თავისი ღიმილით.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს, კაცმა რომ თქვას, პრეზიდენტი მარშლური წესით მიესალმება თავის ბიჭებს, თუ ჰაეროვანი კოცნების გზავნით.

უთავბოლო ყრანტალ-პრეტენზიებით ხალისი უნდა დაუკარგო, თავი უნდა მოაბეზრო ადამიანს?

„დამარცხებული ხარ!“, „გამოქცეული ხარ!“, „ომი არ გცოდნია!“ – შეიძლება ამ სიტყვებს ეძახდე საკუთარ არმიას?

ერეკლეც არაერთხელ დამარცხებულა, მაგრამ თავის ლაშქარს „არწივებს“ ეძახდა და ამით ფრთებს ასხამდა.

ჟანგისაგან შეჭმული თორ-აბჯარი ესხათ ბიჭებს და ხანჯლის სიგრძე ხმლები ეჭირა ზოგიერთს, მაგრამ „მომყევით, არწივებო!“ ერეკლე რომ დასჭყივლებდა, თავი მართლა არწივები ეგონათ.

გალთან რომ მიიყვან ჯარისკაცს, გაუპატიურებული ქალებისთვის და თავგაჩეხილი ღამის მეხრეებისთვის რომ აყურებინებ, მერე „ბრძნულ გადაწყვეტილებას“ მიიღებ და უკანდახევის ბრძანებას გასცემ, უნდა იფიქრო, რომ ამით შენ მეომარი ჩაჰკალი ჯარისკაცში და ათწლეულები დასჭირდება იმ დაკარგული მხედრული სულის აღდგენას.

გამახსენდა და ჩვენი ჯარის შეიარაღებასთან დაკავშირებულ ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვები. სასაცილოდ ეს ამბავი ახლა ჩანს, აქედან, თორემ მაშინ ტრაგედიაზე მეტი იყო. სწორედ ამ ულიბლობას მოჰყვა რუსეთის აგენტების მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობა მაშინ.

1992 წლის 27 დეკემბერია. ზვიად გამსახურდია თავისი პარლამენტით და უერთგულესი მინისტრებით ხუთი დღეა ბუნკერში იმყოფება. არის ბათქა-ბუთქი რუსთაველზე.

თბილისის ცენტრში, მთელი საქართველოს თვალწინ, თავს დაესხნენ კანონიერ მთავრობას და ცეცხლს უშენენ.

ქვეყანა კი დუმილით შეცქერის, როგორ უკლავენ დამოუკიდებლობას.

თითქოსდა მთავრობის სასახლესთან ღია კონცერტია მოწყობილი ან ომობანას თამაშობენ. ამ დროს პრეზიდენტის ხელშეუხებლობა ჯარმა უნდა დაიცვას, მაგრამ სადაა ჯარი? ჯარიც რომ იყოს, სადაა იარაღი?

დილაუთენია, მინისტრი, სომხებისგან ნათხოვარი ვერტმფრენით, ყაბარდოში გაფრინდა. თუშური ყველი წაიღო, იქნებ იარაღში გადავცვალო, ყაბარდოელები თავშენახული, იარაღის მოყვარული ხალხია და მეორე მსოფლიო ომისგან შემორჩენილი შაშხანები ექნებათო.

თერთმეტი საათია. ვზივარ მინისტრის გაყინულ კაბინეტში (მინისტრის მოადგილე გახლდით მაშინ, მოგეხსენებათ). რუსთაველზე სროლა ძლიერდება. ორ-სამჯერ „გაუბიცის“ დგაფ-დგუფიც გაისმა. განუწყვეტლად რეკავს ტელეფონი. პრეზიდენტის მეუღლე მელაპარაკება:

– სად არის მინისტრი, თქვენ ვინა ხართ?!

ისტერიული ხმა აქვს.

ვუპატაკე, ვინც გახლდით. ისიც მოვახსენე, მინისტრი სადაც იყო და რა საქმეზე.

– ცუდადაა საქმე! რას შვრებით, დაილეწა ყველაფერი! მარჯვენა ფლიგელი იწვის. თუ ასე გაგრძელდა, ბუნკერში ამოწვავენ ყველას! სასწრაფოდ გამოიყვანეთ ტანკები! გესმით თუ არა ჩემი! ტანკები სასწრაფოდ, თორემ დახვრეტა არ აგცდებათ!

ვაი ამ ჭამას, რაღა ჩემდა ჭირად დამტოვა მინისტრმა ამ ტელეფონებთან. რას ეტყვი ხუთი ღამის უძინარ დედოფალს, სადაცაა ნერვები შემოასკდება.

– ყოველგვარ ზომას მივიღებ-მეთქი, ახლავე, ქალბატონო!”

რაციით ვურეკავ ქალაქის სამხედრო კომენდანტს.

– დააზუსტე, რა მდგომარეობაშია სატანკო ბრიგადა, ხუთ წუთში საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანე და მიპატაკე-მეთქი.

რად მინდა, ბატონო, ხუთი წუთი, ახლავე გეტყვითო. სადაა სატანკო ბრიგადა? ერთადერთი ტანკი გვაქვს, რუსთავის მხრიდან რომ შემოვდივართ, ტეკთან, მარჯვნივ, ტროლეიბუსის ბოქსში დგას, არ ვიცი, რა მდგომარეობაშიაო.

სწრაფად გაუშვი ბიჭები, დაქოქონ და რუსთაველზე შემოიყვანონ, უნივერმაღის მხრიდან-მეთქი, კატეგორიულად ვუბრძანე.

ნახევარ საათში მირეკავს კომენდანტი: ტანკი ადგილზეა, დაქოქვით ჯერ ვერ დავქოქეთ, მაგრამ კიდეც რომ დავქოქოთ, რუსთაველზე ვერ გამოვიყვანთ, ტანკისტი არ გვყავსო.

აბა, რა ჯანდაბა ვქნათ, ის ქალი ყოველ ხუთ წუთში მირეკავს-მეთქი.

ვიცი ერთი ტანკისტი, რუსია, სერგეევი, რუსთავის კოლონიაში იხდის სასჯელს, იქნებ მაქედან იმოქმედოთო.

ტანკთან მომიცადე-მეთქი. გამოვვარდი კაბინეტიდან, ჩავხტი „ვილისში“ და რუსთავის კოლონიის უფროსს მივადექი.

სერგეევი გყოლია ტანკისტი-მეთქი.

ტანკისტია თუ პარაშუტისტი, ვერ გეტყვით, ქურდი რომაა, ვიცი და ჩვენი თქმით ხელს რომ არ გაანძრევს, ამაშიც დარწმუნებული ვარო.

შემახვედრე, ბოლოს და ბოლოს, კაცი ხომ იქნება, სახელმწიფო იღუპება, უნდა გვიშველოს, ტანკით უნდა გაიაროს რუსთაველზე-მეთქი.

ხუთ წუთში ცხვირპაჭუა, ბატისჭუკისფერთმაწვეროსანი სერგეევი ჩემს წინ იდგა.

პრეზიდენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ტანკზე უნდა დაჯდე-მეთქი, რომ ვუთხარი, არც უკითხავს, რომელი პრეზიდენტისასო, მაშინვე მიდასტურა.

კოლონიის უფროსს ჩემი პასუხისმგებლობით გამოვაწერინე ციხიდან რეციდივისტი სერგეევი, ჩავისვი მანქანაში და მომყავს.

მართლა ტანკისტი ყოფილა. დაქოქა, გარაჟიდან გამოიყვანა, ადგილზე დაატრიალა და ძრავი გამორთო.

ვეცი, რას შვრები-მეთქი.

ჯერ ერთი, შლემი მჭირდება, ძველი ტანკია და კაიუტაში გამაყრუებლად გუგუნებს, კარგი, უშლემოდ იოლას გავალ, მაგრამ „ნავოდჩიკი“ აუცილებელია. ისე ტანკს ოპერაციაზე ვერ გავიყვანო.

ვინ გეგულება ახლომახლო კარგი „ნავოდჩიკი“-მეთქი.

ქსნის კოლონიაში ჩემი მეგობარი, ვასილ ვიხოდცევი იხდის სასჯელს. ბრწყინვალე „ნავოდჩიკია“, ჩემი სახელი უხსენეთ და წამოგყვებათო.

რა ვქნა, სხვა რომ გავგზავნო, იქნებ არ გამოატანოს ციხის უფროსმა ვიხოდცევი.

კომენდანტს ვუთხარი. წადი და მინისტრის კაბინეტში დაჯექი. ამდენხანს არ შეიძლება პოსტის მიტოვება. თუ ქალბატონმა მანანამ დარეკოს, მოახსენე, რომ „ნავოდჩიკზე“ წავედი და დაამშვიდე-მეთქი.

გავვარდი ქსანში. ვიხოდცევი ჩავისვი „ვილისში“ და ერთ საათში სანაპიროდან შემოვგრიალდით.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– „ნადა ვირუჩიტ რებიატ. პრეზიდენტ ვ აპასნოსტი“, – შეაგება სერგეევმა.

„ვირუჩიტ, ტაკ ვირუჩიტ“, – უპასუხა ვასიამ და ტანკზე შეხტა.

ორიოდე წუთში ტანკი ასფალტზე გახრიალდა. პატრულს რუსთავის გზის დაკეტვა ვუბრძანე. თუმცა მოძრაობა ისედაც არ იყო.

მოგრუხუნებს ტანკი. მე ვილისით უკან მოვყვები.

პროკურატურის ახალ შენობასთან ცისფრად მბოლავი ჩვენი იმედი ერთბაშად დადგა.

ჯერ ვასია ამოხოხდა, მერე სერგეევი.

ტანკს შემოურბინეს, მუხლუხოებს სინჯავენ, ილუმინატორის ფირფიტას სწევენ და სალონში იჭვრიტებიან.

გადმოვხტი. რატომ შევჩერდით-მეთქი.

ჯერ ერთი „სალიარკა“ გათავდა და მეორეც, შუა მესამე „პადშიპნიკი“ გატეხილია. თუ „პადშიპნიკს“ ვერ იშოვით, მანქანა დაბალ სიჩქარეზე იმუშავებს და ნელა ივლის, სალიარკა კი აუცილებელიაო.

სად გინდა იშოვო „სალიარკა“.

თითქოს შეშფოთებას მიმიხვდაო, ხუთი კანისტრა მაინც დასჭირდებაო, ვიხოდცევმა.

ერთ ადგილას მეგულება, არ შეიძლება „არსენალის მთაზე“ არ ჰქონდეთ ბიჭებს.

თხუთმეტ წუთში აქ გავჩნდები-მეთქი, დავუბარე ტანკისტებს და შოფერს ვუბრძანე, არსენალისკენ მოკლეზე გავსულიყავით.

„სალიარკის“ შოვნა გაჭირდა.

თითო-თითო კანისტრა ჩამოვიმათხოვრე და, როგორც იქნა, გამოვცდი ორთაჭალის ციხეს.

ტანკი შორიდან შევნიშნე, ახლა კი დავუფეთებთ ანგელოზებს კიტოვან-იოსელიანის შენაერთებს. ვასწავლით, როგორ უნდა კანონიერი პრეზიდენტის ხელყოფა.

ტანკს რომ მივუახლოვდი, ჩვენს „გმირებს“ ვერსად მოვკარი თვალი და გულმა რეჩხი მიყო.

მივირბინე. იქნებ კაიუტაში ჩაძვრნენ და სძინავთ, ლუკი ავხადე: „ვასია! ვასია! გდე ვი, რებიატა!“

შენც არ მომიკვდე.

არავინ ჩანს.

სანამ მოვიდოდი, ტანკისტებს უფიქრიათ, ჩვენგან – კანონიერი ქურდებისგან, საქართველოს შინაომში ჩაბმა უხერხულიაო და გაქცეულან.

მეორე დღეს, 1992 წლის 28 დეკემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე რვა ახალთახალი რუსული ტანკი რომ შემოგრუხუნდა, მივხვდი, ჩვენი საქმე წასული იყო.

მეორე თავი

ომი

– ბატონო გელა

გეოლოგი გახლავართ მე და, რა ჩემი ახსნა გინდათ, აღმადაღმა წანწალი ჩემი ხელობაა. ამ ხეტიალში ათასი ჯურის ხალხს შევხვედრივარ, სად არ დამღამებია და ვის ჭერქვეშ არ გამითევია ღამე. ამიტომ, რასაც ახლა გეტყვი, წიგნში წაკითხული ან სხვისგან გაგონილი არ გეგონოს, ჩემით მივედი ამ დასკვნამდე. ეს ჩემი „დასკვნა“ დიდი აღმოჩენა და ფილოსოფია არ არის, მაგრამ ჩემია და ყველას მინდა გავაგებინო. ვინ იცის, ვის სად გამოადგება.

მისმენ? დაიმახსოვრე: უბრალო ადამიანები არასოდეს იწყებენ ომს. ომობენ მთავრობები. თუ რამე არ უნდა მშრომელ კაცს (ყაჩაღსა და თულზე არ გეუბნები), ესაა ჩხუბი და დავიდარაბა. ხანდახან მგონია, ხელისუფლება რომ არ არსებობდეს საერთოდ, ხალხი უფრო წყნარად და წესიერად იცხოვრებდა. სათავეში რომ არ იმღვრეოდეს წყალი, ერთმანეთს შორის საზღვარსაც უფრო გავარკვევდით და გასაყოფი თუ რამე გვექნებოდა, თოფიან კაცს არ ჩავრევდით საქმეში. მშვიდობიანად, განსჯა-გაზომვით მოვაგვარებდით ყველაფერს.

კაცი თუ ხარ, ადამიანი თუ ხარ, ადამიანი უნდა გიყვარდეს. ღვთის გაჩენილია ყველა და ყველას თავისი ადგილი აქვს ამ ქვეყანაზე. გაოცებას ვარ, კაცო, ვერაფრით ვერ ამიხსნია. ჯერ კიდევ როდის თქვა ჩვენმა სულკურთხეულმა წინაპარმა „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისაო“. ახლა კი, აგერ, ოცდამეერთე საუკუნეში დაჯდება ენაგატლეკილი კაცი და დაიწყებს: ეს ამნაირია, ის ხალხი იმნაირია, ესენი ჩვენი ძმები არიან, ისინი კი ჩვენი მტრები გახლავან, იმათ ვუყვარვართ ჩვენ – ქართველები, იმათ – ვძულვართო.

სისულელეა, იცოდე შენ, ეს ლაპარაკი. არავის არ ვუყვარვართ და არავის არ ვძულვართ. არავინ არავისი მტერი არ არის. ერთა მტრობა და სისხლისღვრა პოლიტიკოსების მოგონილია. ადამიანები ერთმანეთს დაეძებენ და ერთმანეთს ენდობიან. მითუმეტეს ამ ჩვენს კავკასიაში, სადაც კლდე-ღრეს შეხიზნული კაცი წელიწადში ერთხელ თუ წააწყდება სხვას, ჩამოსულს, სტუმარს. მონატრება იცის შენსავით თიხისაგან მოზელილმა არსებამ და, რაკი, მომთაბარე ცხოვრების გადამკიდე, შენც შეიძლებოდა ხვალ-ზეგ სტუმრის როლში აღმოჩენილიყავი, კავკასიაში განსაცვიფრებელი

სტუმარმასპინძლური ადათი დამკვიდრდა. რომელ შუღლზე და სიძულვილზეა ლაპარაკი.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, დაღესტანში გამანაწილეს. იქ გეოლოგიურ პარტიაში ვმუშაობდი გეოლოგ-სამუშაოთა მწარმოებლად. უცოლო ბიჭი ვიყავი. ერთ ავარულ აულში პატარა ფიცრული შევჭედე. პატარა ეზო შემოვღობე და ვცხოვრობდი ჩემთვის. ორმოცდაათიანი წლების ბოლო იყო. ზუსტად გეტყვი: ორმოცდათვრამეტ-ორმოდაცხრამეტი წლები. ეზოს შემოღობვაზე გამახსენდა. ლეკების აული, თუ გაქვს წარმოდგენილი, ჩვენი მთის სოფლებს ჰგავს. ეზოები, რა თქმა უნდა, არა აქვთ და, მითუმეტეს, შემოღობილი. მე იმერელი კაცი ვარ და ვერაფრით ვერ ვიგუე შემოუღობავი ეზო. უნდა გენახათ, რა გაკვირვებით მიყურებდნენ ლეკები ეზოს შემოღობვა რომ დავიწყე. ერთმანეთს შორის ჩურჩულებდნენ თურმე: რას აკეთებს, რა ჩაიფიქრა ნეტაო. ეს მერე გამიმხილეს. ათისთავი ვიყავი-მეთქი ქე გითხარით. სამძებრო სამუშაოებზე ძირითადად ლეკები მუშაობდნენ. მე რა პატივი უნდა მეცა მათთვის, რასაც აკეთებდნენ ზუსტად ვუწერდი უწყისში და ფულსაც გამომუშავების მიხედვით ღებულობდნენ. ახლა რომ მკვდარი სულები და მიწერა-მაიმუნობებია, მაშინ არ იყო. და, მიუხედავად ჩემი „კანონის კაცობისა“, მთელს აულს თვალში რომ ჩავვარდნოდი, თითს არ ამოისვამდა. რა კეთილშობილი ხალხი ცხოვრობდა, რომ იცოდე, იმ აულში. ჯერ იყო და მთელ სოფელს თავის სტუმრად მივაჩნდი და ხაჭო-რძე-ყველი არ მომკლებია. ცხვარს რომ დაკლავდნენ, კარგ ნაჭერს პირველს მე მომართმევდნენ. იქ მაინცდამაინც უცხო კაცის გადაპატიჟებ-გადმოპატიჟება არ უყვართ, მაგრამ რა ბედნიერი იყო, ვის მიწურშიც შევიხედავდი. ყველაზე ლამაზ მუთაქას დამიდებდნენ და ხალიჩაზე ყველაზე საპატიო ადგილზე დამსვამდნენ. ვფიცავარ სამ შვილს, თუ ტყუილი გითხრა, რამდენჯერ ყოფილა ბატკნის პეტელს გავუღვიძებივარ დილით. გადავიხედავდი და დახტუნაობს ბატკანი ჩემს შემოღობილში. ვინ დატოვა, ვინ მიფეშქაშა, რისი გულისთვის? დღესაც გამოცანად რჩება. მთავარი ის არი, რომ ლეკმა შენ – სტუმარს, გადმოგიგდო ბატკანი ეზოში და გაიარა. არც შეგაწუხა თავისი ვინაობის შეტყობინებით. ამ საქციელს ის კარგი მხარე ჰქონდა, რომ ყოველ ჩამვლელ-შემხვედრს ვუღიმოდი და ვცდილობდი სიკეთე ყველასთვის გადამეხადა.

ახლა ომისდროინდელ ამბავს გეტყვი. საპენსიო ასაკმა მომიწია, მაგრამ მოქმედ გეოლოგობას არ ვეშვები. ასე მგონია, როგორც კი მუშაობას თავს დავანებებ, მოვკვდები-მეთქი.

14 აგვისტოს დაიწყო ხომ აფხაზეთის ომი, ერთი კვირის ჩასული ვიყავი ადიღეში. მივლინებით გახლდით. ძველი ხელშეკრულების ნარჩენი პუნქტები უნდა შემესრულებინა. გეოლოგიურ-მინერალოგიური რუკა უნდა შემედგინა სურუმშის რაიონის. სოფელ აცაში ვცხოვრობდი ბესლან აძკრბას სახლში. ბესლანს ერთი ვაჟი ჰყავდა – თემური. თემსაბჭოში მოანგარიშედ მუშაობდა. ომი დაიწყო და წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა – ადიღეში ვარ. საერთოდ, აფსუური ენა ადიღეურის დიალექტია, ისე განსხვავდება აფსუური ადიღეურისაგან, როგორც, ვთქვათ, იმერული დიალექტი კახურისაგან. მართალია აცაში აფსუები არ ცხოვრობენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ფაქტიურად აფსუები და ადიღეველები ერთი ხალხია. და მე, როგორც პოლიტიკოსები იტყვიან – „საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის“ წარმომადგენელი სტუმრად ვარ „მტრების“ ბანაკში. თოთხმეტ-თხუთმეტ და თექვსმეტ აგვისტოს არაფერი უგრძნობინებიათ ჩემთვის მასპინძლებს. ბესლანი დილ-დილაობით ისევ ჭიქა არაყზე მიხმობს და მხარზე მკოცნის, მის მეუღლეს ცხელი ხაჭაპური და კეცზე შემწვარი წიწილი შემოაქვს და, რომ იტყვიან, ძვირფასი მასპინძლობით ყელამდე ვარ სავსე.

ჩვიდმეტში, ასე შვიდი საათი იქნებოდა, შემოვიდა თემური ჩემთან. ტახტზე წამომჯდარს, ნუ წუხდებითო, ადგომა არ დამანება, მაგიდას მიუჯდა და კარგა ხანს თავჩაქინდრული იჯდა. რასაკვირველია, ვიცოდი რაშიც იყო საქმე, უმძიმდა ლაპარაკის დაწყება. მე ბარგი შეკრული მქონდა და წასვლას ვაპირებდი, მაგრამ სუხუმისკენ შვეულმფრენის რეისი შეწყვეტილი იყო, ხოლო ტყვარჩელისკენ მხოლოდ რაიონის ცენტრიდან მიფრინავდა და ისიც ათ დღეში ერთხელ. ეს იყო ჩემი შეყოვნების მიზეზი, თორემ წამოსვლას, რასაკვირველია, ომის დაწყების დღიდანვე ვაპირებდი. განა მეშინოდა, არ მინდოდა ჩემს გამო უსიამოვნება შეხვედროდათ მასპინძლებს.

– რატომ გააკეთეს ეს თქვენებმა? – კედელს შესცქერის და ისე მეკითხება თემური.

– რა გააკეთეს? – ყრუდ, სხვათაშორის, ვუბრუნებ კითხვას.

– რას გვერჩიან, რატომ დაგვეცნენ ტანკებით. რატომ გვართმევენ ჩვენს მიწას?!

– რომელ თქვენს მიწას, თემურ?

– სოხუმს, გაგრას, გუდაუთას, ოჩამჩირეს, თქვენ რა, არ იცით, რომელია ჩვენი მიწა?

– საქმეც იმაშია, ჩემო თემურ, რომ მე ვიცი, მაგრამ თქვენ არ იცით. როდიდანაა თქვენი მიწა, სოხუმი და ბიჭვინთა, ან გაგრა და გუდაუთა?

– ჩვენი კი არა – აფსუების, თქვენ აფხაზებს რომ ეძახით – თითქოს მოიბოდიშაო ბესლანის ვაჟმა.

– თემურ, იცი თუ არა შენ, რომ ადიღე შენი სამშობლო, მეთორმეტე საუკუნეში მთლიანად საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული. საბუთი გინდა? თქვენი სოფლის ბოლოში რომ თამარის ეკლესიაა, როგორ ფიქრობ, საიდან გაჩნდა ამ ადიღეურ სოფელში თამარის ეკლესია? ახლა შენ მითხარი, თუ არის სადმე სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში ან მთელი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე წარსულში აფსუების ცხოვრების კვალი? ან ეკლესია, ან მეჩეთი, ან ძველი საცხოვრისი? სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. ხომ ხედავ, მე – ქართველს უფრო მეტი საბუთი მაქვს იმისათვის, რომ ვამტკიცო ადიღე ჩემი მიწაა-მეთქი, მაგრამ არასოდეს თავში არ მომივა ამის ფიქრი. ადიღე თქვენია და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ. ასე რომ, ქართველები არა თუ აფსუებს, არავის არასოდეს არ ართმევდნენ და არც წაართმევენ თავის მიწას.

– ტანკებით და ზარბაზნებით ხომ თქვენ შემოხვედით, ჩვენ ხომ არ შემოვსულვართ?!

– სად „შემოვედით“ თემურ, ჩვენ არსად არ „შემოვსულვართ“ ჩვენ ჩვენს სახლში ვართ...

მკითხველს აღარ გადავღლი ჩვენი მოსაწყენი საუბრით. მოკლედ თემური ბრალს გვდებდა, მე ვუმტკიცებდი რომ არ იყო მართალი, მაგრამ თემურს ჩემი საბუთები არ აინტერესებდა. ხმას უწევდა, აქოჩრილი იყო, თვალს ვერ მისწორებდა. მოკლედ ჩხუბის ხასიათზე გახლდათ, ამ ლაპარაკში კარებში ბესლან აძკრბა გამოჩნდა.

– აძვიჯანბაჯჰკრხე? – წარბშეკვრით ჰკითხა თემურს.

– აძჰმცდხჯბჰკა! – განზე გაიხედა შვილმა.

და მოხდა სრულიად მოულოდნელი. ბესლანმა ხანჯალი დააძრო და შვილისკენ გაიწია. გამძვინვარებულ მასპინძელს ხელში რომ არ ვცემოდი და თემური კატის სისწრაფით განზე არ გადამხტარიყო, უბედურება დატრიალდებოდა.

– აპატიეთ სულელს, ბატონო, ახლანდელმა რეგვენებმა სტუმრის ფასი არ იციან! – სიბრაზე-სირცხვილისაგან ტუჩები უკანკალებდა ბესლანს.

– რას ბრძანებთ ბესლან, ბატონო. ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით, თემურ კარგი ვაჟკაცია.

– კარგი მოუვა მაგის ცხვირს!

* * *

მეორე დღეს ბალახისბილიკიან „აეროპორტში“ სამნი მაცილებდნენ: ბესლან აძკრბა, მისი მეუღლე და თემურ.

ბესლან ნაწყენი იყო რომ წასვლა არ დავიშალე. მისი მეუღლე წამდაუწუმ ხელს მართმევდა და ხელისგულზე თავის შემჭკნარ, მაგრამ საოცრად ნაზ ხელს მისვამდა.

წვიმდა, მაგრამ ჩემი მასპინძლები ფეხს არ იცვლიდნენ.

შვეულმფრენისკენ მიმავალს თემურ დამეწია. კიდევ ერთხელ გადამეხვია და ისე, რომ სხვებს არ დაენახათ, პიჯაკის ჯიბეში გაზეთშემოხვეული რაღაც ჩამიდო.

ცაში გავხსენი ნაჩუქარი და ცრემლი მომერია:

ბესლან აძკრბას შვილმა ვერცხლით მოჭედილი ძველი, მამაპაპეული ხანჯალი მაჩუქა.

ა, ეს არის სიმართლე, ბატონო.

ახლა ხომ ხვდებით, რატომ გითხარი, ომს პოლიტიკოსები იწყებენ და უბრალო ხალხს სასაკლაოზეც ისინი ჰგზავნიან-მეთქი.

* * *

უჟმური, თოვლჭყაპიანი, მტირალა ამინდი იდგა.

გზას ორივე მხარეს ეხატა ყვითელ მიწასა და თოვლში აზელილი მუხლუხოების კვალი.

ტალახი ისე გაბატონებულიყო ეროვნული გვარდიის № (სამხედრო საიდუმლოებაა) ბატალიონის ყაზარმების ირგვლივ, რომ მენანებოდა ციდან, ლამის, თეთრფარდადდაშვებული. თოვლი, სახურავებზე და მაგნოლიების სველ ფოთლებზეღა რომ იკიდებდა ფეხს.

სანამ მოგროვდებიან, ცოტახანს აქვე გავივლი-მეთქი, ვუთხარი ჩემს გამყოლ შავწვერა მაიორს და აღარ დავაზუსტე, რომ „ბტრ“-ის თეთრმა კვამლმა ბებერი მანქანის სალონში რომ ტრიალებდა, თავბრუ დამახვია.

ნაპირს ხუთნი ამოჰყვნენ. ტურისტთა ყოფილ კლუბს რომ დაუახლოვდნენ, ავტომატები აქამდე რომ შეშის ნაჭრებივით ეჭირათ, მხარზე გადაიკიდეს, კოზიროკიანი, რუხმწვანე ქუდები გაისწორეს და ვერცხლისფერ ცისტერნასთან შემდგარს მშვიდად მომაჩერდნენ.

– გამარჯობათ, ბიჭებო.

– სალამი.

– რა ამბავია იქეთ?

– ამ დროს არ ისვრიან... საერთოდ... შუაღამისას ან ალიონზე.

ახლოს მივედი და სათითაოდ ხელი ჩამოვართვი.

– რამ შეგაწუხათ?

– მწერალიაო, რაღაცას გვეტყვის ალბათ.

– კაი ერთი თუ ძმა ხარ, საქმე არ ჰქონდა? რა დროს მწერალია ამ ყიამეთში.

– რატომ... რამე ახალი ეცოდინება. გამოვყრუვდით ამ ბათქა-ბუთქში.

ნახევარი საათიც და კლუბში ორმოციოდე მებრძოლი მოგროვდა.

სხედან ისინი ჩემს წინ, ავტომატების ტარზე ნიკაპებდაყრდნობილები. დაღლილი, გაწამებული სახეებით. თუ უხდება ვინმეს შავი წვერი ისე, როგორც სახემოღვრემილ ვაჟკაცს. ეწევიან, ახველებენ. მშვიდად, მდუმარედ შემომცქერიან. სველი მაზრების მქისე სუნი დგას ირგვლივ. რა ვთქვა ახლა. რითი დავიწყო. „ნება მომეცით ქართველი მწერლების სახელით მოგესალმოთ...“ გაცვეთილი და პათეტურია.

„თქვენ ჭეშმარიტი გმირები ხართ, თქვენში გაცოცხლდა გიორგი სააკაძის და სამასი არაგველის სული!“ – მყვირალა და თეატრალურია.

პირველი ფრაზის თქმა. ასე ჯერ არ გამჭირვებია.

კარგა ხანს მდუმარედ შევცქეროდით ერთმანეთს და ბოლოს თავდახრილმა, ყელგამშრალმა ამოვილაპარაკე:

– აბა, რა გითხრათ. ჩემი გვარი კირთაძეა. პატარ-პატარა ნოველებს ვწერ, თუ სადმე მოგიკრავთ თვალი... ლამაზად ლაპარაკის დრო არ არის ახლა. თქვენი საქმე თქვენ იცით. მე ერთადერთი სათხოვარი მაქვს: ეცადეთ, როგორმე არ მოკვდეთ, ბიჭებო!

ვიღაცამ გაიცინა, და იმ წამსვე მოგუდა სიცილი. ვიღაცამ ამოიოხრა. ვიღაცამ, მაგას ვერ დაგპირდებითო, ჩაილაპარაკა. და ერთბაშად დათბა დარბაზში. თითქოსდა, უეცრად ახლოს მივედით ერთმანეთთან. რომ იცოდეთ, რა უცხო ვიქნებოდი მათთვის თავი რომ ამეღირა და: აბა თქვენ იცით, არ დათმოთ არცერთი გოჯი სამშობლოს მიწა-მეთქი რომ მეთქვა.

მერე ერთი-ორი ეპიზოდი გავიხსენე ჩემი აბურდული ცხოვრებიდან. რაღაც-რაღაცეები მკითხეს, გაირკვა, რომ მე უფრო მეტი მაინტერესებდა მათ შესახებ და დავღალე მასპინძლები შეკითხვებით. ბოლოს ტელეფონები ჩამაწერინეს: აქა და იქ დარეკე, მოკითხვა გადაეციო. ცოტა გავიხუმრეთ, ცოტა წავიკამათეთ და დავიშალეთ.

კართან გამწკრივდნენ. ჯერ თქვენ გაბრძანდითო. ვისაც მივწვდი, ხელი ჩამოვართვი. დერეფანში გამხდარი, მიმინოსცხვირა, თვალებდქცეული ბიჭი გამომყვა:

– მადლობელი ვარ, პატივცემულო. არ მოკვდეთო არავის არ უთქვამს ჯერ ჩვენთვის. მე, მაგალითად, ცხრამეტი წლის ვარ.

ცოლი არ მყავს. არც საცოლე მყავს ჯერ. ჯგერენაია ვარ სენაკიდან. ტყვედ ვიყავი გუდაუთაში და მეცინიან ხანდახან ბიჭები. ვინ იცის, რანაირად გექცეოდნენო, უშნო ხუმრობა იცის ზოგმა. ვერ ავიფეთქე თავი და რაკი არ მოვკვდი, არ ვარ არაფერი? ისე ნამდვილად გეტყვით, გლახად არ მოგვქცევია არავინ. ვიყავით ტყვეები და ხომ არ მოგვეფერებოდნენ, მარა დამცირება არ დაუწყია იქ არავის. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ეგება ტელევიზორში გამოაცხადებინოთ: „ნანული სხულუხიას მებრძოლი ხვიჩა ჯგერენაია დაბადების დღეს ულოცავს-თქო“. აქ წერია ყველაფერი. ამ ორ-სამ დღეში თუ გამოაცხადებენ თვარა, მერე აღარა აქვს მნიშვნელობა.

– აკი საცოლე არა მყავსო? – თვალი ჩავუკარი და წერილი უბეში შევინახე.

– არის ერთი. ჯერ თვითონ არაფერი არ იცის. ვერ მოვასწარი თქმა.

...მეორე დღეს დავბრუნდი თბილისში. აეროპორტიდან პირდაპირ ტელესტუდიაში გამოვიარე. ჩემს ყოფილ სტუდენტს, გულისხმიერ ჟურნალისტს გია პაპუაშვილს (მორიგე იყო) შევეღმერთე: ამაღამ როგორმე ეს უნდა გამოაცხადოთ-მეთქი და წერილი გადავეცი. გიამ პირობა მომცა და სიტყვა არ გატეხა.

გავიდა ათი დღე და „მარადიული ხსოვნის“ რუბრიკის ქვეშ ცხრამეტი წლის ბიჭის სურათი დაიხატა ეკრანზე. ეს ნაღვლიანი თვალები, ეს მიმინოს ცხვირი. ღმერთო, საიდან მეცნობა.

„ხვიჩა ჯგერენაია ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად წავიდა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობელი ქვეყნის მიწა!“

ღმერთო!

* * *

თადარიგის გენერალ-მაიორი გახლავართ მე, ბატონო გელა. მუსხელიძეა ჩემი გვარი. ოცდაშვიდ სექტემბერს სოხუმი რომ დაეცა, ოცდარვაში განაცხადი მივიტანე თავდაცვის სამინისტროში და გადავდექი. სოხუმის შემდეგ მე, ქართველ გენერალს მორალური უფლება არა მაქვს მოქმედი სამხედრო მერქვასმეთქი. მეორე წელია ვიმალები, ხან ერთ ნათესავთან, ხან მეორესთან. მაკითხავენ, მეძებენ, ჩემს ცოლს ულტიმატუმს უყენებენ. თუ ერთ კვირაში არ გამოცხადდა, შენ დაგაპატიმრებთო. ერთი კვირის მერე დაუყვავებენ – რაღაც უნდა ვკითხოთ, უბრალო საკითხია, თქვენ გეცოდინებათ სად არის, ბუზსაც არ ავუფრენთ, უბრალოდ დაგვენახოს, ძალიან მოგვენატრაო. იცის ჩემმა ცოლმა რას ნიშნავს ეს მონატრება. ტირილით ეუბნება – რაც სოხუმი

დაეცა, თვალი არ მომიკრავს, არ ვიცი საერთოდ მკვდარია თუ ცოცხალიო.

რატომ მოვედი თქვენთან! სათქმელი მაქვს. შეიძლება ხვალ მიპოვონ და გამბაწრონ, თქვენ მწერალი ხართ და მინდა სიმართლე იცოდეთ. ჩემი სიმართლე, რასაკვირველია, ჩემს გარდა ორმა-სამმა კაცმა იცის, მაგრამ მათი პირიდან, ალბათ, არასოდეს ამოვა სხვადასხვა გარემოებათა გამო.

სოხუმში შტაბის უფროსის მოადგილე გახლდით. ოცდაშვიდი ივლისის ხელშეკრულების მერე თავი რომ განვიიარაღეთ, იქ ვიყავი. ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა. რას ჩავდივართ, ვკარგავთ სოხუმს და თავსაც ვიღუპავთ მეთქი, ვწუწუნებდი მაგრამ ვინ მომისმინა. რუსებმა ჩვენი ხელით დაგვატვირთვინეს ტანკერები ჩვენი სიმწრით ნაშოვნ-ნაყიდი იარაღით ამ „პატივისცემაში“ კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ფულიც გადაგვახდევინეს და შიშველი ხელებით დაგვტოვეს სოხუმში. ქალაქში ანარქიაა. როცა ჯარს გაიყვან პოლიცია მაინც უნდა შეიყვანო წესრიგის დასამყარებლად, ჩვენ არც პოლიცია შეგვიყვანია. უიარაღო ბიჭები, ჩვენი მოხალისე ჯარისკაცები უსაქმოდ დაყიალობენ, ზოგი შინ ბრუნდება, ზოგი სექტემბრის მზეს ეფიცხება პლიაჟზე. ერთი სიტყვით, ჯერ რა ჯარი გვყავდა და ისიც მოვშალეთ, ხერხემალში გადავტეხეთ. რადიოში და ტელევიზიაში პათეტიკური სიტყვები ისმის: სამუდამოდ დამკვიდრდა მშვიდობა აფხაზეთშიო. ქალაქი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგაო. სოხუმში აწ და მარადის თოფი აღარ გავარდებაო.

რვა სექტემბერია. ახალი შეღამებულია, ასე ცხრა-ათისნახევარი იქნება, მეტი არა. ტელეფონები გამორთული იყო. რაციის მორიგე შემოვიდა, კავშირზე გიხმობენო. მივედი, ყურთან მივიტანე აპარატი, ჟღრიალი მესმის, უცებ ჟღრიალი შეწყდა, გისმენთ, გისმენთ მეთქი. ვინ ბრძანდებითო, მკაფიო რუსულით მეკითხებიან. მე მგონია რუსული დივიზიიდან რეკავენ, შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი მუსხელიძე ვარ მეთქი. ყურადღებით მომისმინეთო, მე არძინბა ვარო. გადაეცით თქვენს ხელმძღვანელობას რომ ერთ კვირაში შეტევას ვიწყებთ, წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. გაიყვანეთ მოსახლეობა და გადით თქვენც. ქალაქს ნუ დაგვანგრევინებთ. კიდევ ერთ დანაშაულს ნუ ჩაიდენთ საკუთარი ხალხის წინაშეო. ალო, ალო გესმოდათ თუ არა ჩემი ხმაო. დიახ მეთქი მეტის თქმა ვერ მოვასწარი, კავშირი შეწყდა.

თხუთმეტ წუთში მთავარბანაკში გახლდით. ყველანი აქ იყვნენ. ვიცით, ვიცით რაზეც მოხვედიო, სიცილით მეუბნებიან, არძინბა დაგელაპარაკებოდათო. შენს გარდა სამ-ოთხ სხვასაც ელაპარაკა. სხვათაშორის დასახვრეტი ხართ, საიდან იცის არძინბამ თქვენი

სატელეფონო კავშირი. ეს ამბავი სახუმარო სრულიადაც არ არის მეთქი. სიფრთხილეს თავი არა სტკივა მეთქი. არძინბას ხმა რომ მომისმენია რადიოში, ზუსტად ის ხმა იყომეთქი. თბილისს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ ეს ფაქტი მეთქი. წადი, მშვიდად დაიძინეო. რუსებთან რკინის ფიცით ვართ შეკრული, აფსუამ რომ პრავაკაცია გაბედოს, თვითონ რუსები გასცემენ პასუხსო. არ შეიძლება რუსის ნდობამეთქი. წადი, წადიო ფეხები სკამებზე შეუწყვიათ ჩვენს სარდლებს და აბოლებენ. რაც შეეხება თბილისს, ამ ამბავს აუცილებლად შევატყობინებთ, აბა როგორ იქნებაო.

თექვსმეტ სექტემბერს არძინბას დარეკვიდან ერთი კვირის თავზე მტერმა სოხუმის იერიში დაიწყო. სარდლობის პირველსავე სხდომაზე ვთქვი, ხომ ველოდით ამ შეტევას, ვისი ბრალია საბრძოლო მზადყოფნა რომ არა გვაქვს მეთქი. თეთრი ყვავივით შემომხედეს და კბილები გამიკრაჭუნეს, სოხუმი საიმედოდაა დაცული, აქ ჩიტიც ვერ შემოფრინდება და პანიკას ნუ ჰქმნიო. ყოველდღე ვკარგავთ პოზიციებს. აშკარაა, რუსები გვიტევენ. ბრძოლის ველიდან მკვდრების გამოტანას ვერ ავუდივართ. ვაჟკაცურად იბრძვიან და წყდებიან ჩვენი უიარაღო ბიჭები. მთავარბანაკში დაბნეულობაა. ერთმანეთს ამხნევებენ უაზრო, უსაბუთო გამხნევებით. თითქმის ალყაში ვართ.

ოცდასამი სექტემბერია. დადუმებული რაცია ამუშავდა. ვინ უნდა იყოს.

გავედი სამორიგეოში.

ისევ ის ხმა. ნუთუ ისევ გარეწარი არძინბა რეკავს.

– ვინ ბრძანდებით. თუმცა მნიშვნელობა არა აქვს. ნუ მეტყვით თქვენს ვინაობას. მე არძინბა ვარ. გადაეცით ყველას: ოცდაექვს სექტემბერს სოხუმი აღებული იქნება. რისი იმედი გაქვთ. რატომ იქცევით ასე უცნაურად. თქვენ რა სრულ ჭკუაზე არა ხართ? არ გეგონოთ, რომ თქვენ მეცოდებით უდანაშაულო სოხუმელები მეცოდებიან და იმიტომ გაფრთხილებთ. გაიყვანეთ ხალხი და სასწრაფოდ გადით აფხაზეთიდან.

კავშირი გაწყდა.

რასაკვირველია, დაუყოვნებლივ ვაცნობე ეს ამბავი, ვისაც საჭირო იყო.

ყურადღებით, დუმილით მომისმინეს. შეკითხვაც არ მოუციათ – უსიტყვოდ თავი დამიქნიეს.

შტაბში რომ დავბრუნდი, ტელეფონოგრამა გადმომცეს; გათავისუფლებული ვიყავი შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან და ორ საათში თბილისს უნდა გავფრენილიყავ სამოქალაქო თავდაცვის უფროსის მერებაშვილის განკარგულებაში.

ოცდაშვიდ სექტემბერს სოხუმი დაეცა.

* * *

„მამა!

მე ამ წერილს სოხუმიდან გწერ.

ჰოსპიტალში ვწევარ. დაჭრილი ვარ ბარძაყში და მუცელში – მარჯვენა მხარეს.

ერთი ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ რაღაცა დაჩირქდაო და მეორეც უნდა გამიკეთონ.

ჩემზე არ იდარდო. მე კარგად ვარ.

ფეხის თითებს ჯერჯერობით ვერ ვამოძრავებ, მაგრამ ექიმი ამბობს, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო.

აქ ყავარჯნებს დამპირდა ერთი. თუ მიშოვა და ფეხზე დგომა შევძელი, გადმოვფრინდები თბილისში და მანდ გავაგრძელებ მკურნალობას.

აქაც კარგი ექიმები არიან, მაგრამ თბილისში უკეთესი საშუალებებიაო.

რომ ჩამოვალ, გეხვეწები, ჩხუბი არ დამიწყო.

შენ კაცურად უნდა გამიგო.

დედას ამ წერილს ნუ აჩვენებ.

არ დამავიწყდეს:

ამ წერილს მიშკას ვატან. ხომ გახსოვს მიშკა ჩემი კლასელი. ვიცოდი რომ აქეთ იყო, მაგრამ ჩამოსვლის დროს ვერ ვიპოვე. ტამიშთან კანტუზია მიუღია და სანიტარულ ბატალიონში გადაუყვანიათ.

ჰოსპიტალში შევხვდით.

დაჭრილი რომ მნახა, თავიდან ცოტა შეეხარბა, მერე ცოტა შეეშინდა და სასთუმალთან არ მომცილებია.

პატივი ეცით. მაგასაც ჩემსავით ლიმონათი და ბლინები უყვარს.

ორ დღეს იქნება თბილისში და მერე ჩამოვა. იცოდე, შენ არ ჩამოყვე, თორემ ხმას აღარ გაგცემ ჩემს სიცოცხლეში.

აქ მშობლების გამოჩენა არ შეიძლება.

ერთ დაჭრილს დედამ ჩამოაკითხა და მთელი ჰოსპიტალი დასცინოდა.

მიშკა რომ წამოვა, გამოატანეთ ძველი სათამაშო ხელის კომპიუტერი. ახალი არ გამოატანოთ, თორემ აქ მომპარავს ვიღაცა და, კიდევ, გამოატანე შენი სქელი, სანადირო ორენიანი ქამარი.

ხომ იცი, მაგ ქამარს რამდენი ხანია გეხვეწები. შენ რაღად გინდა. აწი შენ სანადიროდ მაინც აღარ დადიხარ.

მიშკას პატივი ეცით.

ახლა ჩემი დაჭრის ამბავი:

ჯერ იყო და თბილისიდან ძლივს გამოვფრინდი. ამ რეისით მოხალისეები არ მიგვყავსო, უკან დამბრუნებელი მე არ ვიყავი და სიბრაზისაგან გული კინაღამ გამისკდა.

არ გეწყინოს, რომ გამოვიპარე. სულერთია, შენ მაინც არ გამომიშვებდი.

ეშმაკობა აქაც გამომადგა.

გვარდიის მაიორს ფუთა გამოვართვი; მე აგატანინებ მეთქი და ლაპარაკ-ლაპარაკით ავყევით ტრაპს.

თვითმფრინავი გულრიფშში დაფრინდა.

იქ კაციშვილს აღარ შევუმოწმებივართ. სადაც გაგეხარდებოდა, იმ ოცეულს შეუერთდებოდი.

ავტობუსით მიგვიყვანეს ეშერის ხაზამდე.

იქ თითო კონსერვი და შავი პური დაგვირიგეს და კარვებში დაგვანაწილეს.

კარავში ჩემს გარდა „თეთრი გიორგის“ რვა ბიჭი იყო.

ავტომატს როდის მომცემენ მეთქი, რომ ვკითხე, სიცილი დაიწყეს. აქ ავტომატს ვინ მოგცემს, თბილისიდან უნდა წამოგეღოო.

სიბრაზისაგან კინაღამ ტუჩი მოვიჭამე.

მივედი ოცმეთაურთან, შენი ნასტუდენტარი აღმოჩნდა – სინაურიძე.

აქ როგორ მოხვდიო.

როგორ და კარგად, მოხალისე ვარ მეთქი.

სროლა იციო?

ვიცი მეთქი. ავტომატის სროლას რა ცოდნა უნდა. თითი დააჭირე და თვითონ გარეკავს.

რა გიყო ახლა. წინა ხაზზე შენი გაშვების უფლება არა გვაქვსო.

ჩვენი ბიჭები არ იჩივლებენ და აფსუა-ჩეჩნები, მე მგონია, ჩემს მეტრიკაში არ ჩაიხედავენ მეთქი.

ჯერ აქ იყავი, გამოჩნდება რაღაცა. იარაღი უნდა შემოიტანონ, გვპირდებიან, ერთი სიტყვით, უიარაღოდ არ დაგტოვებთო.

პირგამშრალი დავბრუნდი კარავში.

შუაღამემდე არაყი ვსვით. ღამის თორმეტ საათზე მორიგეობა უწევდათ. გასვლის დროს მაქედან წამოღებული შენი ბებუთი (არ გეწყინოს და დავკარგე სადღაც. შეიძლება, რომ დავიჭერი, მაშინ ამაცალეს) ჩამოვიკიდე და მივყვები!

შენ დარჩი, უიარაღო ხარო, სერჟანტმა.

მთვრალი იყო.

მაინც წამოვალ ვიმორიგევებ, აქ რა ვაკეთო მეთქი.

დაიძინეო.

არ მეძინება მეთქი.

მართლა არ მეძინებოდა.

თეთრგიორგელმა ხელაძემ თავისი ავტომატი დამითმო; ჩემს მაგივრად იმორიგეგოს. მე თავი მტკივა და დავრჩები. ერთხელ მაინც გამოვიძინებო.

რვა-რვა ნაბიჯზე, მანდარინის ბაღში ჩავჯექით და ეს იყო სულ ჩვენი მორიგეობა.

ერთმანეთს გადავძახ-გადმოვძახებდით. ვხუმრობდით.

რაც იმ ღამეს მანდარინი ვჭამეთ.

გამთენიისას ცოტა ჩამთვლიმა და ავტომატის ჯერმა გამომაღვიძა.

ჩემგან მეოთხე მანდარინის ბუჩქიდან ვიღაცამ ჰაერში ისროლა.

იქეთა მხრიდან ავტომატით გვიპასუხეს.

ასე არ უნდაო და ბათქა-ბუთქი ავტეხეთ.

ვესროდით ეშერისკენ – ხეს, ბალახს, მინდორს. კაცს ვერ ვხედავდით, ვერ მოგატყუებ.

სინაურიძე (შენი ნასტუდენტარი) მოვარდა და სულ დედის გინებით ჩაგვაჩუმა. სადა გვაქვს ტყუილად დასაწვავი ტყვიაწამალიო.

დილით ჩვენმა ცვლამ ერთი საათით დაიგვიანა.

რომ არ დაეგვიანა, არ დავიჭრებოდი.

სანგრიდან სამნი გამოვედით და სიგარეტს ვეწეოდით. თურმე მტერი გვხედავდა.

მერე მითხრეს, ჩვენგან მეტრნახევარში დავარდნილა ყუმბარა.

ერთი ბიჭი, ვინც ჩვენთან იდგა, მაშინვე მომკვდარა საწყალი – გელანტია თბილისიდან, მითხრეს ტელევიზორშიც გამოაცხადესო.

მე და მეორე ბიჭი გადავრჩით.

ის ჩემთან შედარებით მსუბუქადაა. ქუთაისში წევს. წერილი მინდა მივწერო, მაგრამ სახელი არ ვიცი. გვარად ხურციძეა.

მე გრძნობა დამიკარგავს და მეორე დღეს მოვსულვარ აზრზე.

სისხლს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს მისხამენ ვენაში. ხანდახან წამალი ალერგიას მაძლევს და ნემსს მიკეთებენ.

როგორც კი ნემსს გამიკეთებენ, ტანზე ფორეჯები და სახეზე სიწითლე მიქრება.

ეს არის სულ ჩემი ამბავი.

მიშკას პატივი ეცით.

ეს წერილი დედაჩემს არ აჩვენო.

ნათიამ თუ დარეკოს, უთხარით უნივერსიტეტიდან ახალციხეში პრაქტიკაზე წაიყვანეს-თქო.

მისამართი და ტელეფონი ჯერ არ ვიცით-თქო.

შენ არ შეგეშინდეს.

ახლა კარგად ვარ.

ჩემს თავს გაფიცებ, არ ჩამოხვიდე.

მიშკას წერილი გამოატანე“.

სიზმარი

შენ, შენი სამშობლოსავით უიღბლოს,
გიძღვნი ამ სტრიქონებს, შვილო...

მატარებელი ცისფრად განათებულ სადგურში გაჩერდა.

სამსართულიანი, უფანჯრო თეთრი შენობის უკან და მაღლა მუქლურჯი, ვარსკვლავებით მორახტულ-მოჭედილი ცა ჩანდა, სწორედ ისეთი „თანამგზავრის“ ილუმინატორიდან რომ ჩანს ხოლმე.

ბაქანზე ქანდაკებასავით მდგარი თეთრმოსასხამიანი ადამიანები ერთბაშად ამოძრავდნენ და ვაგონებისკენ წამოვიდნენ.

იმ წუთში ვიცანი. აჩაბაჩად, მაგრამ აჩქარებით ჩემსკენ გულდაგულ, დაჯერებით წამოსული.

– ბაჩა!

გამიღიმა და ხელი დამიქნია. როგორც იცოდა, სხარტად, ერთი ნახტომით ამოვაგონდა, დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა. გადავეხვიე, დავუკოცნე შუბლი, თვალები, თმები. დამეტოლა, თავზე გადამისვა ხელი და ცხვირთან მიიტანა.

– გაგასწარი, თუ არა!

– გაზრდილხარ, – ვუთხარი და ვიგრძენი, ყელთან როგორ გამენასკვა ცრემლი.

– აბა, რა გეგონა.

მარჯვენაზე შუათითი, როგორც აკლდა, ისევ ისე აქვს.

ჩემს ჩანთას ხელი დაავლო და ჩამიძღვა.

შადრევანთან ჩამომჯდარ ორ თეთრმოსასხამიან ბიჭს გასძახა:

– წადით თქვენ, მამაჩემი ჩამოვიდა.

თბილი სიო ჰქრის საიდანღაც, „მეტროს“ კარებში რომ უბერავს ისეთი.

– რა იცოდი, რომ ჩამოვდიოდი?!

– დილით გამოაცხადეს.

ზღვისბალახისფერ მოლზე მივაბიჯებთ.

– დედიკო როგორ არის?

– როგორ იქნება, შენი შემყურე.

– კარგი ახლა, ნუ დამიწყებ. იცი, მე თვითონ როგორ განვიცადე ეს ყველაფერი? ყველაზე მეტად დედაჩემი მეცოდება. შენ მაინც კაცი ხარ და, გამიგებდი.

– სად ცხოვრობ?

– აქვე ახლოს. შეხედე, მაგნოლიის მარცხნივ თეთრი კოტეჯი რომ დგას – ჩემია. რა კარგია, მე და შენ ერთად ვიქნებით.

– არ მოგწყინდა უჩვენოდ?

– როგორ ფიქრობ, არ მომწყინდებოდა?

– საჭმელს ვინ გიკეთებს?

– მე თვითონ. ხომ არ დაიღალე. ფერი არ მომწონს შენი.

– უცებ თავბრუ დამეხვა. ეტყობა, ჰაერმა დამცადა, – მართლაც, ძლივს ვსუნთქავ. ხელი შემაშველა.

– ჩამოვჯდეთ, აგერ.

ზეთისხილის ქვეშ ბალახზე ვზივართ. სული მოვითქვი. შიშით გავყურებ. ვიცი რომ აწი ვეღარავინ წამართმევს მის თავს, მაგრამ მაინც შინაგანი განგაშის გრძნობა მაქვს. ასე მგონია, ისევ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. ასე მეშინოდა სულ, ოცი წლის განმავლობაში.

– მაინც რა გვიქენი, ბიჭო, ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, შვილო, რაც მე და დედაშენს დაგვმართე. რაც შენ წახვედი, თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობია. შენმა დღიურებმა, შენმა ტანსაცმელმა გაგვსრისა, აღარ ვართ მეტი. ვიდეოზე შავლეგოს გადაღებული შენი ორიოდე კადრია. ვატრიალებთ და ვღრიალებთ. არც გამიგია, როგორ გავიდა ეს დრო. ერთი ფიქრი მქონდა მხოლოდ – ჩქარა გათავებულიყო ყველაფერი და შენთან წამოვსულიყავი.

– ახლა? დედაჩემი მარტო რომ დარჩა?

– რა? გეცოდება? საერთოდ, გაქვს შებრალების გრძნობა? იქ, ზევით რომ არ გქონდა? ნუ გეშინია, დედაშენი ცოტას მიალაგ-მოალაგებს იქაურობას და წამოვა.

– კარგი რა. ისე მელაპარაკები, თითქოს მე მინდოდა სიკვდილი. ვერც კი გავიგე, ნაღმის ნამსხვრევი საიდან მომხვდა.

– გეტკინა?

– ტკივილით არა. თითქოსდა მეხი დამეცა. რაღაც დამეტაკა ბეჭში და წამაქცია.

– მერე?

– სიკვდილის არ შემშინებია. პირველი, რამაც გამიელვა, ეგ იყო, რა გადაურჩება მამაჩემის ჯაჯღანს-მეთქი.

– სულ სიფრთხილეს ჩაგჩიჩინებდი.

– იქ არაფერი ისეთი არ იყო. საერთოდ, ფრთხილად ვიბრძოდი. არ გითხრეს ბიჭებმა?

– ფრთხილად, აბა! სიცოცხლეშივე იყავი წარდგენილი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე. ეგ არი სიფრთხილე?

– თავის გამოჩენა მინდოდა. შენი შვილი ვარ, რა გიკვირს?! – იღიმება, თითქოსდა რაღაცას მიმალავს. თვალებში დაღლილობა და სევდა უდგას.

– სხვანაირად გამოგეჩინა თავი. ხომ გეუბნებოდი, შვილო, ნუ წახვალ, ნუ დაგვღუპავ-მეთქი.

– ვინმე ხომ უნდა წასულიყო. მე რა ოქროს კოჭი ვიყავი. ვერ დავიმალებოდი, მამაჩემო. თუ სიმართლე გინდა, შენი გულისათვის წავედი. რადიო-ტელევიზორში რომ გაჰყვიროდი – სამშობლო დავიცვათო, ხალხს იმას ვათქმევინებდი, თავისი შვილი გადამალაო?

– იმასაც ხომ გეუბნებოდი: ეს უთანასწორო ომია. იმპერია გვებრძვის და ქართველები განწირული ვართ-მეთქი.

– მერე რა, განწირულ ქართველებს არ უნდა ეომათ? ერთგანაც გითქვამს, აქ ამბავი ჩამოიტანეს – მოტყუებული ჩვენი შვილები დაიხოცნენო. ჩვენ მოტყუებული არ ვყოფილვართ, მამაჩემო. ჩვენ კარგად ვიცოდით, რაზეც მივდიოდით.

– მაგრამ, როცა ბრძოლაში ებმები, გამარჯვების ცოტა შანსი მაინც ხომ უნდა გქონდეს. ხომ ხედავდი, მთელი წელი ბომბავდნენ სოხუმს და ჩვენ თვითმფრინავიც არ აგვაფრენინეს. სოჩაში კაპიტულაციაზე ძალით მოგვაწერინეს ხელი. განგვაიარაღეს და მერე მაინც დაგვესხნენ თავს იარაღ-სასოწართმეულებს. მუხანათობა ამაზე შორს ვერ წავა.

– ეგ ყველაფერი პოლიტიკაა. მე მეომარი ვიყავი.

– მაგრამ შენი სიკვდილით მარტო შენ რომ არ კვდებოდი, ხომ უნდა გცოდნოდა; მთელი დარჩენილი სიცოცხლე ნელ ცეცხლზე საწვავად რომ გაგვიმეტე მე და დედაშენი.

– მე შენ უფრო მაგარი მეგონე, მამა. ჩვენ ხომ ძმაკაცები ვიყავით. რა მოხდა, შე კაი კაცო, ომი მარტო ჩვენთვის ხომ არ იყო. ომში წასული კაცი ან დაბრუნდება, ან ვერა.

– შენთვის ადვილი სათქმელია. მორგში რომ დაგინახე გულშენგრეული, ამსიგრძე ბიჭი გაშოტილი, ჩემი ნაფერები ბაჩულია, რაღაც მოკვდა ჩემში იმ წუთიდან; სხვა კაცად ვიქეცი, უფრო სწორად, კაცად კი არა, ცოცხალ ლეშად. აღარაფერი აღარ მესმოდა.

– ისევ შენს თავზე ლაპარაკობ. ადამიანი მაინც ეგოისტია, როგორც ჩანს. შენი მწუხარება გაწუხებს. მეც შენი და დედაჩემის წუხილის გამო ვწუხდი სიკვდილის წინ, თორემ სიცოცხლის დაკარგვა არც მიდარდია. რაც არ უნდა იყოს, ლამაზად მოვკვდი, თოფით ხელში, სამშობლოსათვის.

– მერე? ვერაფერი რომ ვერ მოასწარი? შენი სურათები და ორი ჩათვლის წიგნაკიღა რომ დაგვრჩა მაგიდაზე თავში საცემად, მე და დედაშენს და მეტი არაფერი? ესაა საქმე?

– ჩემი სიცოცხლე ხომ მე მეკუთვნოდა, მამაჩემო. როგორც მინდოდა, ისე გავხარჯე. რად უნდა ამას ამდენი მოთქმა და ზარი.

– შენ გეკუთვნოდა, მაგრამ შენი სიკვდილის მერე დანაშაულის გრძნობა მტანჯავდა, ვერ დავიფარე, რაღაცაში მოვტყუვდი. არ უნდა გამეშვა-მეთქი.

გაიცინა თავისი ლამაზი ხითხითა სიცილით:

– ხომ ვერ დამაბამდით ოცი წლის კაცს.

– და მაინც იქა ვარ, რომ განწირული იყავით შვილო, შენც და სხვებიც. რა ვაჟკაცურადაც უნდა გებრძოლათ, აფხაზეთის დაკარგვა მაინც ზევით, ურდოში იყო გადაწყვეტილი. ეს მიღრღნის გულს.

– ვიცოდით-მეთქი, დამიჯერე, რა ურჩხულსაც ვებრძოდით, მაგრამ მაინც გავედით ბრძოლის ველზე. ასე აკეთებდა ქართველი ყოველთვის, როდის ებრძოდა ქართველი რაინდ მტრებს – ასი ასზე თვლით, მითხარი ერთი. ჩვენ ყოველთვის უთანასწორო ბრძოლაში არ ვებმებოდით?

– რა? უეჭველ სიკვდილზე წახვედით? სიკვდილი გსურდათ?!

ჩაფიქრდა წამით. მერცხლის ბოლოსავით გაყოფილ წარბზე ხელი გაისვა.

– სიკვდილი არ გვინდოდა... არა... ამას ვერ ვიტყვი... გვეგონა, მტერიც და მსოფლიოც დაინახავდა, რად გვიღირდა ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი... გვეგონა გაგვიგებდნენ, რომ მშობელი ქვეყნის დასაცავად დავუდექით ტანკებს წინ შიშველი ხელებით... და, ბოლოსდაბოლოს, შევეცოდებოდით... თავს გაგვანებებდნენ... ვერ გაგვიგეს... არ შეგვიცოდეს...

საათს დავხედე. ჩემი მიწიერი საათი გაჩერებულიყო.

შორიდან და სულ ახლოს, ხმადაბლა და მკვიდრად, ჟამუცვლელი, ანგელოზთა სამუდამო გალობა ისმოდა.

ჩვენ ლურჯ ბალახზე ვიჯექით და ვარსკვლავების მოზაიკისმსგავს ცას შევცქეროდით, „ყინწვისის ანგელოსის“ ფონზე უფრო მუქლურჯ ცას.

* * *

29 იანვარი, 1996 წელი.

ნუთუ ეს დღეც ჩვეულებრივი, მშვიდი, უქმი დღე იქნება. „უქმი დღე“, რასაკვირველია ჩემთვის მეოთხე დღეა ვზივარ ზუგდიდის გამგებლობაში და ვაბოლებ.

ახალი არაფერი ხდება. რაზე დავწერო. რუსმა საზღვარი ფსოუდან ზუგდიდამდე რომ მოიტანა და ლტოლვილებს რომ უჭირთ, ქვეყანამ იცის. სხვა? ყელში ამოუვიდა მკითხველს, გაცვდა: „თავისუფლებაწართმეული ქართველები მოწყენილი სახეებით მიმოდიან რუხის ციხესთან“...

ამ ფიქრებში ვარ და სამორიგეოში დარეკეს. მორიგემ „კარგი, კარგი... ახლა თათბირი აქვს... ვეტყვი, ვეტყვი-ს“ მეტი არაფერი

და ყურმილი რომ დადო, ჩვენს შეკითხვას არ დაელოდა, ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „რად უნდათ ახლა ეს. ძლივს კეთილი თვალით შეგვხედა ელცინმა. გავაღიზიანებთ ახლა ამით და ზუგდიდსაც წაიღებს იქეთ. გზის გადაკეტვას აპირებენ კიდევ. რად უნდათ ახლა ეს...“ ზურგჩანთას ხელი ვსტაცე და ქუჩაში გამოვვარდი. ჯიხურთან, მწვანე ვილისში პატრულები სხედან. უკანა კარი გამოვაღე და ჩავჯექი. – თუ ძმა ხარ, ხიდამდე უნდა მიმიყვანოთ, კორესპოდენტი ვარ, სასწრაფო საქმეა!

მძღოლმა გვერდით მჯდომ, ჟღალქურთუკიან ლეიტენანტს შეხედა და პასუხს არ დაელოდა, მანქანა დაძრა.

– აშენდა თქვენი ოჯახი.

ზამთრისთვის უჩვეულო, თბილი მზიანი დღეა.

ენგურის ხიდთან ორმოცდაათიოდე კაცი ირევა.

ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ერთმანეთს ცხარედ ეკამათებიან.

ხან ერთ ჯგუფთან მივალ, ხან მეორესთან... ისე არიან გართულნი ერთმანეთით რომ, ზედაც არავინ მიყურებს, სალაპარაკოდ ვერავინ მოვიხელთე.

იტყვის მგზნებარედ ერთი თავის სათქმელს, გამოვა წრიდან, გადადგამს ხუთიოდე ნაბიჯს და თითქოს ახლა გაახსენდა მთავარიო, ისევ შებრუნდება და ხელების ქნევით კვლავ მოჰყვება ქადაგებას.

როგორც იქნა, ერთი ტყაპუჭიანი, ჭაღარაწვეროსანი უქუდო, შუახანსგადაცილებული – „ამან დაგვღუპა ჩვენ მეტმა არაფერმაო!“ გადაწყვეტილად იტყვის, მოყაყანეთ გამოეცლება და ხიდისყურესთან, ჯირკზე ჯდება.

საჩემოა. არ უნდა ლაპარაკი.

– ბოდიშს ვიხდი. მწერალი კირთაძე ვარ, თბილისიდან თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვა.

ამომხედა, დამაკვირდა და არაფერი უთქვამს, განზე გაიხედა.

– ამან დაგვღუპაო, ბრძანებდით, რამ დაგვღუპა?

– რამ და ამან, რაც აქ ხდება. ერთი პირის უქონლობამ და გადაუწყვეტლობამ.

– მაპატიეთ, ვინ ბრძანდებით?

– რა მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, ძიკი ვარ, ჯგერენაია. ერთ დროს მასწავლებელი ვიყავი გეოგრაფიის და ახლა არაფერი არა ვარ... მათხოვარი ვარ.

– მეგრული ცუდად ვიცი. რაზეა კამათი, ხომ ვერ მეტყოდით?

– რაზე და სისულელეა ახლა გზის გადაკეტვაო, ის კაცი გეუბნება. ყველაფერი გადაწყვეტილია და ნუ მოვაყვანიებთ ახლა გულსო. დაველოდოთ, რა ჰქვია იმას, მოვლენებსო. ისე აშენდა მაგნების პატრონი. ლოდინი გვაკლია ჩვენ?

– ესე იგი უკმაყოფილო ბრძანდებით 19 იანვრის გადაწყვეტილებით? – თვითონვე ვიგრძენი, რომ, ცოტა არ იყოს ყალბი, პათეტიკური შეკითხვა გამომივიდა.

– ხოხ, სულ იმაზე მუშაობს რუსი, რამენაირად მე არ ვიყო უკმაყოფილო. ეგ სიტყვა სულ არაა მოსატანი აქ. კიდევ ერთხელ მოატყუეს ჩვენი დელეგაცია, უნამუსოდ მოატყუეს და გამოუშვეს უკან.

– მოატყუეს კი?

– თქვენ მართალი ხართ. არ არიან ეგენი ისე გულუბრყვილო ბიჭები, ვერ მიმხვდარიყვნენ აფიორას, მარა თავს ზევით ძალა არაა. მოიტყუეს თავი და ახლა იხტიბარს არ იტეხენ. რა ჰქნან მაგნებმაც. მაგნებისაც მესმის მე. მე რომ ვყოფილიყავი იქ, რას გავაკეთებდი. ავტეხევადი ხელის ბრაგუნს სტოლზე და გამომსვამდენ გარეთ, უბოდიშოდ, შეაყოლე კუტუნია აქედანო. ნადი და უჩივლე მერე რუსს დამწვარ სუდში.

– რუსს ხომ ყველაფრის უფლება აქვს მსოფლიოში. მოეხასიათება და, თქვენ საიდან ხართ?

– თბილისიდან.

– მოეხასიათება და მცხეთასთან გადაგიკეტვს გზას. საზღვარიაო გეტყვის და უყარე კაკალი. ფულს გამოგართმევს საკუთარ სახლში შესვლისათვის. ასე არაა აქაც? რა უნდა რუხის ციხესთან რუსის ჯარისკაცს.

– მე ეს არ მიკვირს. მოგერია ის კაცი და როგორც უნდა, ისე გატრიალებს, მაგრამ ნაწყენი სახის მიღების თუ გეშინიათ, მთლად გახარებული მაინც ნუ გამომეცხადებით, თქვე კაი ხალხო. არნახულ გამარჯვებას მივაღწიეთ მოსკოვშიო, ვიცი შენც არ გჯერა ეს და მე მაინც ნუ მატყუებ ჩემდაწილად. სულ შეწყვიტე ლაპარაკი იმაზე, როდის ვბრუნდები მე, ლტოლვილი ჩემს სახლში და ესაა გამარჯვება? საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარესო, ავშენებულვართ აწი და ეგაა. როდის არ აღიარეს, სად არ აღიარეს ამ ოთხ წელიწადში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა მარა გვეშველა რამე? ვის ვატყუებთ, ვის?

სანქციები დააწესესო. ხელშეკრულებას აღარ დადებს ესენგეს არცერთი სახელმწიფო აწი აფხაზეთთანო. დიდი შეღავათი ჩემთვის. ხელშეკრულებას არც აქამდე დებდნენ, მაგრამ ყველა მშვენივრად ეხმარებოდა „საწყალ აფსუებს“. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თურქეთის გემები შედიან ყოველდღე თავისძმა აფსუებთან „ჰუმანიტარული ტვირთით“. რა სანქციები, ვინ გააკონტროლებს ამ „სანქციებს?“ ვის აყრიან თვალში ნაცარს? იქნებ ქართული მხარე? ცხვირს არ გაყოფიებს რუსი სოხუმში კი არა,

გალშიც კი და შენ აქედან ნაცარქექიასავით ყვირი – ჩემთან შეუთანხმებლად არავინ არაფერი შეიტანოს აფხაზეთშიო. კვდება ალბათ გარეწარი არძინბა სიცილით.

ვთქვათ, მართლა გატარდა ეს დადგენილება და მე არ მჯერა, მაგრამ მართლა მოაქციეს ეკონომიურ ბლოკადაში აფხაზეთი, მერე? ჩვენთვის რა შედეგი მოჰყვება ამას? მოშივდება არძინბას და დაიძახებს – შევცდი, მაპატიეთ, ახლა, მოშიებულს გამახსენდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილიაო? ჯერ ერთი, არძინბას ყველაზე ბოლოს მოშივდება და კიდევ რომ მოშივდეს, იმის ჩიტია არძინბა რომ „სანქციების“ შეეშინდეს და უკან დაიხიოს? ვის ვატყუებთ, ვის? თუ ასეთი კარგი იყო ეკონომიკური ბლოკადა, როგორ ფიქრობ, რუსეთი ჩეჩნეთში არ გამოიყენებდა? ქვემეხებით რომ დაადუღა მთელი ჩეჩნეთი და რუსი ჯარისკაციც რომ ბევრი დაწვა ჩეჩნეთის მიწაზე, რატომ იქ არ მიმართა რუსმა „სანქციებს?“

ვერ გავიგე, რატომ ვიბითურებთ თავს, ნუთუ ვერ ვხედავთ, აშკარად რომ გვატყუებს რუსეთი.

დრო გაჰყავს და მეტი არაფერი. ჩვენთვის აფხაზეთის დაბრუნება რო ნდომოდა, ცხრამეტ იანვარს დაადგენდა: „ოცდაოთხი საათის განმავლობაში განლაგდეს აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სნგ-ს სამშვიდობო ჯარი ქართულ არმიასთან ერთად. აღსდგეს საქართველოს იურისდიქცია და სამი დღის განმავლობაში დაბრუნებულ იქნას ყველა ლტოლვილი!“ ეს იქნებოდა საქმის გადაწყვეტა. თუ, მე შენ გეტყვი, დაუშლიდა ამას ვინმე რუსეთს, ან მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი არ არის შემზადებული ამისთვის?

სასაცილოა აბა რა არის, ერთი თვის ვადაში შეიმუშავეთ სამშვიდობო ჯარის სტატუსიო. ვინ კითხავს საქართველოს რუსის ჯარის სტატუსის შემუშავებას, თუ სტატუსის შემოშავება შეგვიანდა, რაო, „გამითავდა, გენაცვალე, ვადა მეო“ და გავა რუსეთის „სამშვიდობო ჯარი“ საქართველოდან? არ შეგჭამოს ტარაკანამ.

გადავკეტოთ გზა-მეთქი, სხვათაშორის ამ აზრისაა აქ უმეტესობა, მარა ხომ იცი, პრავაკატორი მოკამათე ყველგანაა – ეწყინება რუსსაო. მე არ მწყინს ამდენი რომ დამიხოცა და მესამედი ტერიტორია წამართვა? მთლად ჩვრად და დედლად უნდა ვეჩვენო მთელს კავკასიაში, მარტო მე, რუსს, მაინცდამაინც?

ჩემი მოკლე ჭკუით, აფხზეთის დაბრუნების სამი გზა არსებობს. პირველი: ისევ გაეროს უნდა ჩავებღაუჭოთ. კი არ უნდა დავემდუროთ გაეროს, როგორც ჩვენ ვქენით ამ ბოლო დროს. დასავლეთმა უნდა იმოქმედოს რუსეთზე. ხომ ხედავთ, ისევ გაერომ და ევროპარლამენტმა, ნატოსთან ერთად, მოაბა თავი იუგოსლავიის საქმეს. რუსეთი, თავის ნებით, არ დაგიბრუნებს წართმეულს, ამ-

დენი უნდა იცოდე. რატომ ვერ გავიცანით ჩვენი დამპყრობელი ამ ორას წელიწადში, მიკვირს ძალიან. მეორე: გაუთავებელი უნდა იყოს ჩვენი აქციები. მუდმივად უნდა ვიჯდეთ აქაც და იქაც, სადმე, თბილისში ლტოლვილები, ხელში ტრანსპარანტები უნდა გვეჭიროს და უნდა ვყვიროდეთ: „დაგვაბრუნებთ ჩვენს სახლშიო!“ თორემ არძინბა ამბობს, ქართველები აქ იყვნენ ლტოლვილები. იქ თავის სახლში არიანო. უნდა დაინახოს მოფლიომ, რომ ასე არაა საქმე. ჩვენ მართლა გვინდა დაბრუნება და ბოლოს; დღედაღამ პარტიზანული ომი უნდა გვქონდეს აფსუა ყაჩაღებთან. არ უნდა მოვასვენოთ, არ უნდა გავახაროთ, არ უნდა მოვაშენოთ გადამთიელი ჩვენს მიწაზე. ისინი ყოველდღე გვიხოცავენ სანაიებს თუ ხურცილავებს და ჩვენ რას ვაკეთებთ? შეიარაღება არა გვაქვსო, დაუჟინია ზოგს. გადაირბინე და ქვა ესროლე, ფილთა თოფი ესროლე, რაც გაქვს, ის ესროლე. სახლი დაუწვი, როგორც შენ გიწვავს სახლს. შეიძლება მტერი შენი შვილების თავებით ფეხბურთს თამაშობდეს და შენ იძახდე, ჰუმანისტი ვარ მე, ვერ გავწირავ, აფსუა ჩემი ძმა არისო? ხომ ხედავ შენი უნიათობისთვის როგორ დაგცინის, როგორ გაბიაბრუებს რუსეთი...

კიდევ რაღაც სურდა ეთქვა გეოგრაფიის მასწავლებელს, მაგრამ, ამასობაში, ხიდს რუხის ციხის მხრიდან რუსულდროშიანი, გიგანტსაბურავებიანი „ამფიბია“ მოადგა და ორივენი იქეთ გავეშურეთ.

„ამფიბიამ“ კარვის წინ ერთმანეთთან ზურგმიყრდნობით მიმჯდარი ლტოლვილების ცხვირწინ დაამუხრუჭა. მანქანიდან მხარზე ავტომატგადაკიდებული ორი რუსის ჯარისკაცი გადმოხტა.

– ანუ კა, ვსტანტე! ასვაბადიტე დაროგუ! – თავზე წაადგა ერთი მათგანი ფიცარზე მსხდომთ და მათ თავებს, ლამის, მუხლით შეეხო. მეორე შორიახლოს გაჩერდა.

– მი დაროგუ პერეკრივაემ, აკციუ პრავოდიმ, – მშვიდად აუხსნა ერთმა მჯდომთაგანმა.

– ა ნუ კა, ვსტანტე, კამუ გავარიატ, დაიტე პრახოდ! ნე ზასარიატე დაროჰუ! მოჟეტე პერეკრივატ, გდე ნიბუდ, ვ დრუგომ მესტე! ნე სლიშიტე?! ნამ ნეკოგდა სვამი რაზგოვარივატ! – ამ სიტყვებთან ერთად ორივემ ფიცარს დასტაცეს ხელი და ასწიეს. აყირავებული მეაქციენი წამოხტნენ და უკმაყოფილო ბუზღუნით მიმოიფანტნენ.

– ვი ნე იმეეტე პრავო! – ჩანს, არც თუ ხმამაღლა და კატეგორიულად მითქვამს, რაკი ჯარისკაცებს ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. ფიცარი განზე მოისროლეს და ხიდისკენ ნელა წასულ მანქანას დაედევნენ.

ლურჯად მბოლავ „ამფიბიას“ გავხედე და ტუჩზე ვიკბინე.

* * *

გულახდილად გეტყვი, პატივცემულო, რომ მცოდნოდა ამდენხანს მოგვიწევდა ლტოლვილობაა, თუ რას ეძახიან ამ ჩვენს უბედურ მდგომარეობას, არავითარ შემთხვევაში არ გამოვიქცეოდი. ვიქნებოდი იქ და, რაც მომივიდოდა – მომივიდოდა. დაგვხოცავდნენ და დაგვხოცავდნენ – მეტი ხომ არაფერი. იქვე ჩემს ეზოში სადმე მივიმალებოდი და ერთ ქვას მაინც ვდრუზავდი ზურგში მომხტარ უნამუსო გადამთიელს.

მე რა ვიცოდი, რა ნელ ცეცხლზე ხარჩვა ყოფილა გამოქცეულის და ხიზნის მდგომარეობა. რანაირადაც არ უნდა ეცოდებოდე, ასე კი არ გიყურებს ის კაცი. შენც გეტყოდნენ ალბათ, ჯერ თუ ვერ გაგიბედეს, აწი გეტყვიან; ჩვენ ბევრჯერ გაგვაგონეს და იმიტომ ვამბობ მე კი არ მომიგონია, ეს ჩემი ორი ობოლი მომიკვდეს მაშინ. რამდენ ხანს შეიძლებაო სასტუმროში მაგნების ყოფნაო. დააოხრეს ეს ძვირფასი სასტუმრო, ადამიანს აღარ შემოესვლება, რა არის ბოლოსდაბოლოსო.

ვისაც ამ სასტუმროს ფოიეში თვალგამოღამებულს და ხელგაწვდილს უხაროდეს ჯდომა, შინ მიბრუნება არ აღირსოს გამჩენმა, მარა ვინ იცოდა, ვის უნდოდა ეს.

ჩემი ქმარი და მამამთილი ეზოში ნარდს თამაშობდნენ, სროლა რომ ატყდა. შეიყვანე ბავშვები სახლში და ჩაკეტე შიგნიდან კარები. არ შეგეშინდესო, ამის დაძახება მოასწრო მამამთილა და იქით გაიქცნენ ორივენი, ა ზევით, რუსთაველის ქუჩაზე. მერე მე ისინი თვალით აღარ მინახავს. დახოცილები იქნებიან და ჩაყრილი სადმე რად უნდა ამას ლაპარაკი. მიჩერებული ვარ დღემდე ტელევიზორს, ეგება, სადმე მოვკრამეთქი თვალი ან ერთს, ან მეორეს (დედამთილი არ მყავს. ჩემს მოყვანამდე გარდაიცვალა ცხონებული). მეტი არაა ჩემი მტერი, მე ისინი ველარ ვნახო. ერთი უნდა გითხრათ კიდევ, რა გაუჭირდა ჩვენს მთავრობას, სამი წელია ნიუჟელი, ერთი სურათი ვერ გადაუღო გაგრას, ტელევიზორში ერთი წამით მაინც რომ ეჩვენებინა. აქ თვალით მნახველი არავინაა, ვატყობ სახეზე; ზოგი ამბობს – ყველა ქართველის სახლი დაწვესო, ზოგი – ყველა არაა დამწვარიო. ვკითხულობთ, სიტყვაზე მაგალითად – შეიძლება სამი თვე ვერ გაიგო ადამიანმა სახლი დამწვარი გაქვს თუ არა?

ამდენი ხნით კი არა, მე მეგონა სამი-ოთხი საათით გავრბივართ, დამთავრდება ეს ჩხუბი და მოვბრუნდებით უკან, ჩვენ ვინ რას გვერჩისმეთქი.

იმას ვყვებოდი: ჩავკეტე ბავშვები სახლში. ვარ ყურმიდებული კარებზე. ისმის სროლა და გრუხუნი შორს. შორს მეგონა მე და აგერ ყოფილა ყურისძირში.

დამიბრახუნა მეზობლის ქალმა; მარგუშა, გამოდით სასწრაფოდ, გამოიყვანე ბავშვები. მოვიდნენ უკვე, გავრბივართ ყველანიო.

არიქა! არიქა! საით გავიქცეთ, რა წავიღოთ, საიდან მოდიან?! ვსტაცე ხელი ვითომ, რაც მომხვდა ხელში. დავრბივარ გადარეულივით. დამსდევენ ბავშვები. ბიჭი შვიდისაა, გოგო – ხუთის. ყველი და პური ჩავიგდე ტომსიკაში. ბავშვებმა იციან მოშივება და სანამ მოვბრუნდებოდეთ, ვაჭმევმეთქი.

გავაღე ჭიშკარი. გარბის ხალხი ტკაპატკუპით. ჩანთები, ჩემოდნები, ხურჯინები მიაქვს ზოგს. შემოვტრიალდი, საქათმე გავაღე და გამოვუშვი ქათმები. ისე, ა, დაბნეული რომ იქნები, თორემ რამ გამახსენა ქათმები.

ჩქარა ჩქარაო, ყვირიან მეზობლები და უკან იყურებიან, იქით, ქუჩის ბოლოში, ორ-სამ ადგილას ცეცხლი ავარდა.

რას წამოიღებ. შევირბენ სახლში შევფუთავ ტანსაცმელს, მივირბენ ჭიშკრამდე. რად მინდა ეს ტანსაცმელი მეთქი. მივირბენ უკან. გადავყრი ტანსაცმელს, ჩავყრი ფუთაში ხახვს, ყველს, ნიორს... ვის უნდა ნიორი, სადაც მივალთ, იქ ექნებათ მეთქი, მოვტრიალდები, ისევ მოვხვეტავ რაღაცას. ყველა ოჯახშია ცოტა რამე. პუდრი მედო სარკესთან და ის წამომიღია, მე სულელს, ერთი-ორი ბეჭედი მქონდა და ორი კაპიკი ფული – დამიტოვებია და პუდრი წამომიღია. ასე იცის შიშმა და სიჩქარემ.

მოვრბივართ მგლის დაფეთებული ნახირივით. კვნესის ეს გოგო. თან პლაშის ქვეშ რაღაცას მალავს. რა არის მეთქი, გოგო, ეს? ლეკვი გვყავდა, ბროლია, სამი თვის არც იყო ჯერ, ამოუიღლიავებია და მოათრევს. გადააგდე ახლავე, შე არდასაცალებო ლეკვის თავი გვაქვს ახლა ჩვენმეთქი? დავუცაცხანე და ქიჩავ-ქიჩავით გადავაგდებინე, რავარც იქნა. ამის სახე რომ გენახათ, მაშინ სასურათე იყო პირდაპირ. ისეთი იღრიალა, მოუკვდეს დედა, რომ შემეშინდა, პირი არ გაეხეს მეთქი.

დღემდე ვერ მოუნელებია. დღემდე იმ ლეკვს მისტირის. ლამაზი კი იყო საწყალი.

ქუჩის პირას გაზონში დავსვით, მარა იქ ხომ არ გაჩერდებოდა, ვერც სახლში მობრუნდებოდა, პატარა იყო.

ნახავდა ვინმე და წაიყვანდა ან, შეიძლება, ფეხიც კი დააბიჯეს და გასრისეს სირბილში და რია-რიაში.

* * *

სოხუმი რომ დაეცა, ხმა გავრცელდა, აქეთ აღარ წამოვლენ, ოჩამჩირეს და გალს ხელს არ ახლებენო.

მეორე დღესვე მოკვდა ეს იმედი. „მოდიან, მოდიანო“, ატყდა წივილ-კივილი. ოცდაშვიდი სექტემბერია. ასე საღამოს ცხრა საათი იქნება. „არიქა, არიქა თავს უშველეთ რუსები და აფსუები ფეხდაფეხ მოგვსდევენო“. ჩამოირბინა საგამგებლოს მდივანმა ხუხუამ.

შევვარდი სახლში. სად მიდიხარ, რას წაიღებ, სამი ბავშვი მყავს, სამი ბიჭი – ხვიჩა, ავთანდილი და გოჩა. უფროსი ხუთი წლისაა, უმცროსი – ორის.

ოღონდ ეს ბავშვები გადავარჩინო და დავეძებ რამეს?

წასატეხი ჭადიც არ წამოგვიღია. ჯანდაბის გზა ჰქონია ყველაფერს, ოღონდ ეს ბავშვები არ დამიხოცონ.

ჯერ ტყისკენ გავიქეცით მაგრამ, გზას მოგვიჭრიანო ვიღაცამ და ზღვისკენ ვქენით პირი. გავრბივართ, რაც შეგვიძლია. ბავშვები ტირიან. მთელი სოფელი გზაზეა. ზოგიერთს ძროხა გამოუდენია, იქნებ სამეგრელოში გადასვლა მოვასწრო, დამჭირდებაო.

ღამდება. სროლის ხმა უფროდაუფრო ახლოს ისმის. გავიხედეთ, ახალდაბა ცეცხლშია გახვეული. „დივჭვით, დივჭვით, ღორონთი ვარექო?!“ ისმის ტირილგოდება.

კინდღში ჩავაღწიეთ, როგორც იქნა.

ბავშვთა დასასვენებელ სახლთან ორი ტანკი დგას და ჯარისკაცები ირევიან. ჯარისკაცის დანახვა არ გვინდა. ჯერ ერთი, არ ვიცით ჩვენები არიან, თუ აფსუები და მეორეც, შენიანიც რო იყოს, რას გიშველის, იმას თავისი თავი უჭირს.

მივვარდით. შემოვეხვიეთ.

– რავა იქნება, ბიჭებო ჩვენი საქმე?! – ვეკითხებით.

– ხომ ხედავთ როგორც არის! – სახეს ვერ გვისწორებს ავტომატიანი ბიჭი და ტანკზე ხტება.

– რას შვრებით, მიდიხართ?

– მივდივართ, აბა რას ვუცადოთ აქ. რუსი მოდის ვერ უყურებ?!

– ჩვენ!!

– გაიქეცით, ვისაც შეგიძლიათ. გასაქცევად მოგვიქციეს საქმე და, რა ვქნათ აბა!

– კი მარა, თქვენ ვინ ხართ?

– ქობალიას ჯარი ვართ ჩვენ.

– მერე არ იბრძოლეთ სოხუმისათვის, ბიჭებო? მოგვჭერით თავი?

ავტომატიანი, ცისფერთვალა, შავფრენჩიანი ბიჭი ჩვენსკენ გადმოიხარა.

– აბა, რას ვაკეთებდით, შენი ჭკუით, გუშინ და გუშინწინ. მოდი აქ! – ორნი მივუახლოვდით – ჯარისკაცმა რკინის მრგვალი „ლუპი“ ასწია – ჩაიხედეთ შით.

ჩავიხედეთ. ელდანაკრავივით უკან დავიწიე. ჩექმებს რომ მოვკარი თვალი.

– სამი ხომ აქ არის. იმ ტანკში ოთხი დაღუპული წევს. ტამიშთან დესანტი გადმოსხეს. ქვა-ქვაზე დაადუღეს. ორასი კაციდან ნახევარი დაგვიხოცეს. სოხუმი ალყაში მოაქციეს. გაიქცა ჯარის სარდლობა თავის მინისტრიან-მარშლებიანად და ჩვენ რისთვის გვეცადა იქ. კარგად ვიცოდით ჩვენ რისთვისაც იყო მოგონილი ეს ომი, მაგრამ თუ მთლად ასე გაგვწირავდენ, არ გვეგონა.

– ლოთი სად არის?

– წავიდა ამ დილით. გზა უნდა გავსუფთავო ლტოლვილებისთვისო. უბრალო ხალხი დაიღუპება, ენგურის ხიდამდე თუ მოგვასწრო მტერმა. ევაკუაციაა გამოცხადებული. კარგად იყავით, აბა უშველეთ თავს, როგორც შეგიძლიათ!

– მოიცათ, მოიცათ! – ტანკი აგრუხუნდა, – ერთი წუთით. აქ ქალები და ბავშვებია, საით წავიყვანოთ ესენი! რომ ვერ გადაასწრონ ხიდზე!?

– უნდა იჩქაროთ, თორემ დახოცავენ ყველას!

– ესაა თქვენი სიტყვა?!

– რა ვქნათ ჩვენ? ხო მართლა, ბარჟა უნდა მოვიდეს ამაღამ კინდღში. ასეა დაპირებული, თუ არ მოგვატყუა! ფოთში მიმავალი ბარჟაა ის! დაჭრილებისთვის გამოვიძახეთ, მარა აღარ გვყავს დაჭრილები. ჩვენი დაჭრილები არცერთი აღარაა ცოცხალი. ხომ ნახეთ თქვენი თვალით. თუ მოვიდა, ის წაიყვანს ქალებს და ბებრებს. თქვენ საიდან ხართ?

– ახალდაბიდან.

– ახალდაბა გადაწვეს მთლიანად, თვითონ აფსუებმა გადაწვეს, თქვენმა მეზობლებმა. ჯარი არ შესულა ჯერ შიგ. რანაირად შეაძულეთ ასე თავი, თქვენი კარის მეზობლებს?

– სასწაულია პირდაპირ, – ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალმა, – რაღაც დაემართა მაგ ხალხს, თორემ ჩვენ ერთი პატარა შელაპარაკებაც არ მოგვსვლია ერთმანეთთან. ამ ხნის ქალი ვარ და არ მახსოვს, უერთმანეთოდ ქორწილი და ქელეხი გამართულიყოს ახალბადაში.

– ა, ხომ ხედავთ, რაც გვიყვეს.

– ხომ გითხარი, სასწაულია მეთქი.

– არაფერი არაა სასწაული. ჩვენ საწყალი გულის ხალხი ვართ. თქვენ ხომ არ გააკეთებდით, რაც მაგნებმა გააკეთეს?!

– არა, ბატონო არა. ღმერთმა დაგვიფაროს.

– ჰოდა კიდეც ამიტომ ხართ მაგ დღეში. კარგად აბა. მოუცადეთ ბარჟას იქ „პრიჩალთან!“

ტანკები ერთმანეთის მიყოლებით გაგრუხუნდნენ.
იქნებოდა ღამის თერთმეტი საათი ბარჟა რომ მოადგა ნაპირს.
უკუნეთი სიბნელეა.
ბარჟას სინათლეები გამორთული აქვს.
სროლა უკვე ყურისძირთან გაისმის.
– ჩქარა, ჩქარა, სადაცაა აქ გაჩნდებიან! – ყვირის ბარჟის ქიმზე შემდგარი მეზღვაური და რელსს მსხვილი ბაწრის ქამანდს ესვრის.
ბრბო წყალში შედგაფუნდა.
რა ყოფილა შიში და თავის შველის ინსტინქტი, თუ რა ჯანდაბა ჰქვია.
რისი მოხუცი, რისი ქალი, რისი ბავშვი...
ერთმანეთის უკან დაწევა, მუჯლუგუნი, ხელისკვრა, წივილ-კივილი...
„არიქა, არიქა! ქემმახვარით!“
კბილთა-ღრჭიალი, კიბიდან გადაგდება, დედის გინება...
– დაუჩქარეთ! დაუჩქარეთ, მოვლენ და ჩაგვძირავენ, იცოდეთ ეს!
ბავშვებიანად კინაღამ გადაგვთელეს.
შევტოპე მკერდამდე წყალში.
ორი ბავშვი აქეთ-იქეთ ხელში მიჭირავს. მესამე – უმცროსი კისერზე მაზის.
– არ იტიროთ ბაბაია, ახლა მე თქვენ ამ კიბეზე შეგსვამთ აფორთხდით და იქვე დაჯექით. მე და დედიკო ამ წუთას მოვალთ.
ორნი რის ვაივაგლახით აფორთხდნენ.
გოჩას ტირილჭყივილი იქაურობას იკლებს.
ვიღაცამ ზემოდან ხელები გამომიწოდა.
სიბნელეში ვერ ვხედავ სახეზე.
– იმ ორ ბავშვს მიუსვი გვერდით, თუ კაცი ხარ, მე იქიდან მოვუვლი და ამოვხტები!
– მომეცი, მომეცი ნუ გეშინია!
– იმათ მიუსვი და არ იტირებს. ნუცა! ნუცა! – სიბნელეში ჩემს ცოლს დავეძებ.
– ბავშვები ავიყვანე! ნუ გეშინია, ახლა მე და შენ ავფორთხდეთ როგორმე. წამოდი, აქეთ, ფრთხილად! ფრთხილად!
ჩემმა ცოლმა ფეხი გადმოდგა, მაგრამ სანამ ქვიშაზე ჩამოხტებოდა, კაბის ბოლო რკინას გამოსდო და კიბეს განზე გადაეკიდა. ცალი ფეხი ამობრუნებული აქვს და კაბით რელსზე ჰკიდია.
– ქვაზი, ქვაზი! მიშველე!
მივვარდი, ჩამოვწიე კაბა წელამდე ჩაიხა, მაგრამ როგორც იქნა ჩამოვხსენი.

– რა გინდოდა იქეთ, მე აქეთ გეძახდი!
– ვაიმე დედა ფეხი!
– ძალიან გტკივა?!
– კი, მაგრამ მოტეხილი არ უნდა მქონდეს.
– აბა, ჩქარა დამეყრდენი, მარცხნიდან უნდა მოვუაროთ!
იქ კიბეა და ავხოხდებით როგორმე!
ძრავი აგუგუნდა.
ვჩქარობთ, წყალს მივტოპავთ.
კიბეს თუ ჩავეჭიდეთ, მერე აღარა გვიშავს.
ცოტაც, ცოტაც და სწორედ მაშინ ერთი მკლავის გაშლაზე რომ დავუახლოვდით კიბეს, ბარჟა ნელნელა გაჩოჩდა და ნაპირს მოშორდა.
– გააჩერე! გააჩერე!
– დავრჩით!
ჩვენს გარდა ორასამდე განწირული ადამიანი მაინც ჰყვირის ამ სიტყვებს.
– გვიშველეთ! გააჩერეთ ბარჟაზე ბავშვები დაგვრჩა!
– ბავშვები! ბავშვები!
ჩემს ცოლს გული შეუწუხდა.
ჩემს სულისწამღებ კივილზე ახლომახლო მდგომნი წამით გაირინდნენ და უცებ შემომიერთდნენ.
– გააჩერეთ, კაცს ბავშვები დარჩა!
ბარჟა ჯერ უკანსვლით მოშორდა ნაპირს, მერე წყალი აატალახააბურღავა და წავიდა.
– ვაგაშქურინას! ვაგაშქურინას! ბაღანას მუ უჭირს! – მამშვიდებს ვიღაც.
გონსმოსული ჩემი ცოლი ცივი ხმით კივის.
– წამოდი აქეთ, ქალო. ტირილი არ უშველის ახლა ამ საქმეს. ხიდზე გადავასწროთ როგორმე და ხვალ ფოთში ვიქნებით. სამ ბავშვს ზღვაში არავინ გადაყრის, ნუ გეშინია!
– მოგიკვდათ დედა! შვილებო!
დავადექით გზას ენგურის ხიდისკენ.
მთელი ღამე მივბრაგუნობთ დოღის ცხენებივით.
ჩვენი ქარავანი ყოველ წუთში იზრდება.
გამორბიან შუკებიდან, ცეცხლმოდებული სახლებიდან...
გამორბიან ქვაბებით, ვედროებით, ჩემოდნებით, ძროხებით, თხებით, ბუშლატმოგდებულნი, ჩაცალსახელოებული პლაშებით, თასმაშეუკრავ ტუფლებში ფეხწაყოფილნი, ხურჯინშიჩასმული თოთო ბავშვებით, ატატებული თიკნებით, ურიკაზე დასმული სიდედრებით...

ცოდვის გაკითხვა თუ გაგიგონიათ, ეს არის!

მეორედ მოსვლის დროს, მეეჭვება, ასეთი ამბავი დატრიალდეს.

მთელი სამურზაყანო, მთელი ქვეყანა ზუგდიდისკენ მობრიგინებს და უკან შეუბრალებელი, კაციჭამია ლაშქარი მოგვდევს რუსთა, ჩეჩენთა და აფსუათა.

ვინ ამბობს, ლოთიმ ენგურის ხიდი გადაკეტა და ლტოლვილებს ზუგდიდში არ უშვებდაო.

ნეტავ არავინ გადაიღო ხიდთან მოგროვილი გალ-ოჩამჩირის ქართველობა და ზუგდიდსმიმდგარი უგზო ქარავანი?

რას ჰქვია, სამეგრელომ გვიღალატაო, რას ჰქვია, ლტოლვილები არ მიიღესო, არ რცხვენია ასეთ ტყულებს ვინც ჩმახავს?

ამ მოუზომავმა ყრანტალმა გვიქნა, რაც გვჭირს.

რა პირით გვიყურებს თვალებში ახლა ის ქარაქუცა პოეტკაცუნა ტელევიზიით რომ გაჰყვიროდა – სამეგრელოს ჭკუა უნდა ესწავლოსო.

გამთენიისას ზუგდიდში ვართ.

მოედანზე მილეთის ხალხი ირევა.

– ვაიმე შვილებო. ვაიმე შვილებო! – პირს არ აჩერებს ჩემი ცოლი.

ვიღაცამ პურის ნაჭერი მომაწოდა.

შუაზე გავტეხე.

– პირი გაისველე, ნუ გეშინია, მოკვდები შიმშილით.

პურზე ხელი ამიკრა და ძუ ვეფხვივით შემომღმუილა:

– პურს შევჭამ ახლა მეე! ჩქარა ფოთში წამიყვანე! ფეხით წავალ, იცოდე! სირბილით დავადგები ახლავე გზას!

– სად მირბიხარ, შე გადარეულო, თენდება, წავა რამე და გავყვებით!

– შენ! შენ! ფეხებზე გეკიდა ბავშვები ყოველთვის! შენ... ხომ იცი, ერთ წამს რომ თავს არ ვიცოცხლებ!

– მე ვიცოცხლებ, შენ გგონია?!

– აბა, წავიდეთ ახლავე. რა მინდა ააქ!?

– ნუ ღრიალებ, სირცხვილია!

* * *

ფქვილის ჩამოსატანად წასულმა ფურგონიანმა ბეტეერმა ფოთში დილის რვა საათზე ჩაგვიყვანა.

ნავსადგურს მივარღვევთ.

ბარჟა არსად ჩანს.

– აქ წუხელის... კინდღიდან ბარჟა უნდა ჩამოსულიყო... ლტოლვილები მოჰყავდა... სამი პატარა ბავშვი გამოვატანეთ.

– არ ვიცი არაფერი, პორტის უფროსთან მიბრძანდით.
– საითაა?
– კიბეები, მარცხნივ... მესამე სართული!
სულმოუთქმელად ავრბივართ.
ნავსადგურის უფროსის კაბინეტში აგურისფერ ფარდაგზე სხედან და ბუღრაობენ, ბურთს ერთმანეთს უგორებენ და იცინიან ჩვენი ბიჭები, სამი ფუნთულა, ცხვირპაჭუა კოლხი, დამპყრობელი რუსის სამი ხვალინდელი რისხვა – ხვიჩა, ავთანდილი და გოჩა.

* * *

მიიპარებოდა მზე მამადავითის თხემზე. მაღალ შენობებს შორის შიგა და შიგ ჩაჰკრავდა თვალს რუსთაველის პროსპექტს და, თითქოს არ უნდა უფრო მეტად გაანათოს აქაურობაო, მაღლა აწევას არ აპირებდა. მზეც კი, ყველასათვის კეთილმოწყალე მზეც, ჩვეულებრივ არ ედღეხალისებოდა ამ გაუბედურებულ ქვეყანას.
აპრილის ბოლო კვირა იდგა.
შორს, მახათას მთაზე, უშეშო ზამთარსგადარჩენილი, თეთრად აფეთქებული ხეები ჩანდნენ. აპრილს თავისი გაეტანა.
ათი სრულდებოდა აფხაზეთიდან დევნილი კოკი გერსამია პარლამენტის შენობას რომ მოადგა და „საშვთა ბიუროს“ წინ აზრიალებულ ხალხს შეერია.
კოკი აქ ყოველდღე მოდიოდა. სასტუმროსთან დგომა არ უყვარდა. კარებში შესვლისას ტელეეკრანიდან ნაცნობ სახეებს რომ მოჰკრავდა თვალს. ზოგს ამოჩემებული შეკითხვის ქამანდს ესროდა – თუ დაგვადგება საშველი, პატივცემულო, ჩვენ, აფხაზეთიდან გამოყრილ ხალხსო, ზოგს დალის ხეობის ბრძოლებზე ცოცხალ ამბავს დასტყუებდა. შორიახლოს მდგომი, ჰალსტუხიანი, სამსახურის წარმომადგენლის გასაგონად ერთ-ორ გულისმოსაფხან, არც თუ სიყვარულით აღსავსე სიტყვას აღავლენდა ხელისუფლების მისამართით. ერთი სიტყვით, სასტუმროსთან ჭორების ოკეანეში ფართხალს და კბენია მზისათვის კეფის მიშვერას აქ დგომა ერჩია. ეგონა, მთავარ საქმესთან აქ უფრო ახლოს იყო.
რაც შეეხება საიდუმლო სამსახურის აგენტებს, ელეგანტური ჩაცმულობით და სერიოზული სახეებით სხვათაგან ადვილად რომ გამოარჩევდით, ისინი, წინა ხუთწლედების მათი კოლეგებისაგან განსხვავებით, მთავრობის გმობაზე და პოლიტიკურ ანეკდოტებზე არ რეაგირებდნენ. მათი მთავარი საქმე, როგორც კოკიმ დაასკვნა, მასივებიდან მოვარდნილი, უწყლობა-უსინათლობით გამწარებული მოქალაქეების და მუშტტუჩმოკუმული, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გაუვნებელყოფა გახლდათ.

გაზონებს გარდიგარდმო გაჭრილ-გატყაპნილი ბილიკები აჩნდა.

ქუჩაზე ლურჯად მბოლავი, ხმამხშობმოშლილი („ხმამხშობი – „გლუშიტელი“, მიგნება ჩემია რ.მ.), აღრიალებული მანქანების გასწვრივ ნაბიჯდამძიმებული მეძავები, ლოყებჩავარდნილი ჩინოვნიკები, გაბრაზებული ჟურნალისტები და მოქალაქეთა კავშირის წევრები მიირწეოდნენ. ეს უკანასკნელნი პარლამენტის შენობის წინ ჩავლისას წელში შესაძლებლობისამებრ სწორდებოდნენ, თითქოს რაღაც გაახსენდათო, კარებში მდგომ თავაზიან, ავტომატიან ბიჭებს მიეახლებოდნენ და ჰკითხავდნენ: ხომ სიწყნარეა, ხომ არაფერში ვართ საჭირო? კარისმცველთაგან დამამშვიდებელ პასუხს რომ მიიღებდნენ, უკანსვლით მოშორდებოდნენ პარმაღს და შთაგონებული სახეებით მიიჩქაროდნენ, მათი ფიქრით, ქვეყნისათვის სასიცოცხლო საქმეებზე.

ფოსტა-ტელეგრაფის წინ, კიბეზე მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გამოეფინათ და მუშტარს ელოდნენ. კოკი ვერ იტყოდა რომ ფერწერას მყიდველი ბუზივით ეხვია. რაც აქ იდგა, მხოლოდ ორიოდე ნახატის გაყიდვას შეესწრო, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილს დიდი მოწიწება ჰქონდა ლოდინით გათანგული, წვერმოშვებული ბიჭებისადმი. უხაროდა რომ ამ მატყუარა, ჭრელ ქალაქში სასწაულებრივად კიდევ შემორჩენილიყო რამდენიმე კაცი დილით ადრე რომ დგებოდა, ჩარჩოზე ტილოს გადაჭიმავდა, ფუნჯს მოიმარჯვებდა და ისეთ ნაკლებსარფიან საქმეს შეუდგებოდა, როგორიც მხატვრობაა.

ხმამაღალი სიცილი მოესმა და ისე უცხო ხილი იყო ამ მჭმუნვარე ადგილას სიცილი, რომ კოკიმ უნებურად მიიხედა. ლომისთავიან მოაჯირთან ირიბთვალება, წითელტუჩა ლამაზი ქალი გრძელცხვირა, მოხარხარე, მაგრამ ჰალსტუხიან მამაკაცს მწყრალად ასცქეროდა.

– რა გაცინებს? მე არ გეხუმრები.

– რა გინდა ოპოზიციაში. შენ ხომ არ გაგიჟდი. – სიცილი მოგუდა ყვავისცხვირამ.

– გადავალ ოპოზიციაში და დავისვენებ ცოტას.

– კი აბა, დაგასვენებენ.

– ჯერ ერთი, ჩვენსავით ყოველდღე თათბირი მაინც არ ექნებათ. მეორეც, ამდენი სანერვიულო არ მექნება. დენი გამოირთვება და პური არ გამოცხვება, ჩვენ ვართ დამნაშავე. მომკლა ნერვიულობამ, ჩამოვხმი ქალი (კოკიმ თვალი შეავლო. გადაღლილს და, ოდნავ სევდიანს იქნება ჰო, მაგრამ ჩამომხმარს ნამდვილად არ ჰგავდა). რომ დავუკვირდი, ოპოზიციონერობაზე ადვილი არაფერია. „არ მომწონს“ მორჩა და გათავდა. ოპოზიცია პასუხს არაფერზე აგებს. გადავალ და დავისვენებ ცოტას.

– ნუ სულელობ, ხომ იცი, მერე უკან ვეღარ გადმოხვალ.

– ვიქნები, რა, უმცირესობაში ხალხი არ არის?

– არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. თუ მეტი არ შეგეძლო, რად გინდოდა დეპუტატობა, ვერ დაეტიე სახლში?

– მინდოდა? შენ ამტეხე და ახლა ნიშნს მიგებ? არ გეხვეწებოდი, დამანებე თავი, რა ქალის საქმეა პარლამენტი მეთქი?!

– ნუ ყვირი. ხომ ხედავ იმ კაცს, ლოკატორებივითა აქვს ყური მოშვერილი!

კოკიმ, ალბათ ჩემზე უთხრაო, და იქაურობას გაეცალა.

ფოსტის წინ ხალხი შეჩოჩქოლდა. კოკიც, რასაკვირველია, იქეთ წავიდა. შუახანსგადაცილებული, თაგვისფერშლაპიანი, თეთრულვაშა მამაკაცი ფეხსაცმლის საწმენდ დაზგას მართავდა. ზურგჩანთიდან ბოლოს დასაკეცი სკამი და მუყაოს ქაღალდზე გოგებაშვილის ასოებით გამოყვანილი წარწერა ამოიღო: „კუპონს არ ვიღებ“. ცნობისმოყვარენი მდუმარედ შესცქეროდნენ ფეხსაცმლის მწმენდავის ყოველ მოძრაობას.

მალე რადიოჟურნალისტი, მოკლეკაბიანი, ცისფერთვალა, შავბერეტიანი გოგონა გამოჩნდა.

– ბატონო ბაგრატ.

– ბატონო.

– თვალი ხომ არ მატყუებს?

– არა, ბატონო, არა.

– ხომ ბატონი ბაგრატი ბრძანდებით?

– კი, ბატონო კი.

– რას მივაწეროთ თქვენი, ცნობილი ფილოლოგის, პროფესორ ბაგრატ ქვემოკლიძის ახალ ამპლუაში გამოჩენა?

– შიმშილს, ჩემო კარგო, შიმშილს.

– ფეხსაცმლის წმენდვა სარფიანი საქმეა?

– ყოველშემთხვევში, ალბათ, კათედრის გამგეობაზე უფრო სარფიანი.

– იცით, ფეხსაცმლის წმენდვა?

– რა ცოდნა უნდა.

– ბატონო ბაგრატ. გაქვთ სათანადო პატენტი?

– რა პატენტი?

– თუ, რა ჰქვია იმას... ერთი სიტყვით საბუთი, რომ მოქალაქეებს მოემსახუროთ.

– არა.

– თუ არ გეწყინებათ, სხვა კუთხით დაგისვამთ შეკითხვას; რაღა ამ ადგილზე, პარლამენტის წინ გადაწყვიტეთ მუშაობა.

– აქ, შედარებით ბევრი ხალხი ირევა.

– მხოლოდ ეგ არის მიზეზი? ხომ არ იგულისხმებოდა თქვენს ამ ნაბიჯში ცოტა ავანტურის ნამცეცი?

– კერძოდ?

– რომ უსათუოდ მოვიდოდა ჟურნალისტი და ქვეყანა გაიგებდა, რომ ბატონი ბაგრატი პროფესორ-ფილოლოგობიდან ფეხსაცმლის მწმენდავობაზე გადაკვალიფიცირდა.

პროფესორს ხმა აუთრთოლდა და ხელი აუკანკალდა.

– რას გეტყვი, შვილო, იცი?.. ყველაფერში პროტესტის ფორმას ნუ ეძებთ. მე დავიღალე... ჩხუბის ხასიათზე რომ ვიყო, ქვას ავიღებდი და ვრეკავდი იმ ფართო ფანჯრებს. მე აღარაფრის თავი აღარა მაქვს. მე უკვე საბოლოოდ დამაჩოქეს. მშია ბატონო მშია. ხომ შეიძლება რომ მშიოდეს. რაო, შიმშილის უფლებაც აღარა მაქვს?!

ეს ბოლო სიტყვები ბაგრატმა ისე ხმამაღლა და აგზნებულად წარმოსთქვა, რომ რადიოჟურნალისტი დაფრთხა, მიკროფონი თავზეხელისდაჭერით თავის ბუდეში შეაცურა, მაგნიტოფონი გამორთო და ისე გაეცალა მეფეხსაცმელეს, მადლობაც არ უთქვამს.

სამხრობისკენ მთხოვნელთა რიგი შეთხელდა. ვინც შესაშვები იყო, შეუშვეს, ვისაც შესვლა არ ეკუთვნოდა, რასაკვირველია, უარით გამოისტუმრეს. ნაუარევნი ერთხანს ბოლთას სცემდნენ საპარადო შესასვლელთან, მერე, იმედი რომ საბოლოოდ გადაეწურათ, წავიდ-წამოვიდნენ და თავიანთ რთულ საქმეებს დაუბრუნდნენ.

– რავაა კოკი საქმე?

სოხუმელ ექიმს ვაჟა ჯანაშიას აფსუებმა სიდედრი დაუხვრიტეს. ჯერ თვითონ არ იცის ეს ამბავი. სხვათაშორის, სიდედრი აფსუა ჰყავდა ვაჟას. მე ხელს არ მახლებენ, სახლ-კარს მაინც მივხედავო, უფიქრია საწყალს და დარჩენილა. არძინბას რაინდები სოხუმში რომ შემოვიდნენ, ქართველის სიდედრი რატომ ხარო, უკითხავათ. კითხვით კი უკითხავთ, მაგრამ პასუხი არ დაუცლიათ (ან რა უნდა ეპასუხნა) მოხუცი ქალისთვის, ეზოში გამოუყვანიათ და ცარიელ საქათმესთან დაუხვრეტიათ.

– ღმერთის მეტმა არავინ იცის – მიუგო კოკიმ და მხარიღლივ გაიხედა, იყავი გუშინ?

– კი.

– რაო?

– არაფერი. რას იტყოდნენ. იმაზე ჰქონდათ კამათი, ჩვენ ლტოლვილი დაგვარქვან, თუ დევნილი.

– მე მგონია, ვინც ადრე გაიგო ეს ამბავი და ნელა წამოვიდა – ლტოლვილია, ვინც გამორბოდა და მოსდევდნენ – დევნილი.

ვაჟას გაეცინა.

– შენ წარმოიდგინე, ჰქონია მაგასაც მნიშვნელობა, ჩვენი დაბრუნებისათვის.

– მნიშვნელობა კი არა, ეგაა მთავარი, – მიაყარა კოკიმ – ეგ. თუ დადგინდა, გვეშველება მაშინვე. არ უნდა ლაპარაკი. კიდევ რა თქვეს?

– რასაც ყოველდღე ამბობენ. ფული შეაგროვეთო.

– საიდან მოიტანეთ ფულიო, არ უთქვამთ? ჯერ რაც შეგროვდა, სად წაიღეს. რაში დახარჯეს.

– გვეტყვიან, ალბათ.

– კი. კაპიკ-კაპიკ გიანგარიშებენ.

კიბეზე ასკინკილით ამორბოდა ახალდამტკიცებული, სათვალიანი თავგადახოტრილი მინისტრი. მინისტრს კენგურუს ნახტომებით მოსდევდა გალიფეშარვლიანი იმერულქუდა, ულვაშცოცხა ყოჩაღი მოხუცი.

– გესმის შენე? ჩაართვევიე დღესვე დენი, არ მომატყუო იმდღევანდელივით. ჩაართვიე დენი და გამოაშვებიე გაზი!

– მინაგო ბიძია, – იღიმებოდა და სათვალის შიგნით ოფლიან ქუთუთოებს იმშრალებდა მინისტრი, – ლტოლვილი იმას ჰქვია, რომ უნდა გაუძლოს, უნდა მეითმინოს პატარა.

– მიდი, მიდი, ნამეტანი ბევრი ვითმინეთ ჩვენ. მთელი ზამთარი ბადიში არ ჩამიბანია და ცხელი ჩაი არ დამილევია. დავბეჩავდი კაცი.

– მინაგო ბიძია. ე თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ გინდათ, მეტს ვერ უნდა გაუძლოთ?! – იხტიბარს არ იტეხდა მინისტრი.

– შედი, კაცო შედი. არაფერი დამოუკიდებლობის მომტანი თქვენ არ ხართ. დენი ჩაართვევიე და გაზი გამოაშვებინე. ნუ ატყუებთ ხალხს, თვარა თავის გატეხვა არ აგცდებათ. ასე მითქვამს მე და ა, აღდგომა და ხვალეო.

– ვალი გვაქვს, ბატონო ვალი.

– ვისი?

– რუსეთის და აღარ გვაძლევს დენს. ე. დამოუკიდებლობა რო გინდათ, ვერ უნდა მოითმინოთ?

– რისი ვალი, იმანო, მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ! ვინ გვიანგარიშა. ვინ დაგვადო ვალი, რავა ყველაფერზე უწერთ ხელს, თქვე უბედურებო. წაღმართიანი მოანგარიშე იქეთ დაადებდა ვალს. რავა ე ჩვენი ღვინო-ჩაი-მარგანეცი არაფერი არ ღირდა? შედი და გამოაშვებიე რაც გითხარი. ნამეტანს ნუ იზამთ, მამაჩემსა აქვს ცხონება.

– რა ვქნა მე... მე პატარა კაცი ვარ... მე გადავკეტე? ე დამოუკიდებლობა და თავისუფლება რო გინდათ... – ბუზღუნებდა

მინისტრი და კართან ჭადრაკის ფიგურებივით გაწყობილ მთხოვნელებში გზას მიიკვლევდა.

ვაჟა ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად წავიდა. დახმარება ბევრი არაფერი იყო, მაგრამ იმედის ნაპერწკალს აღვივებდა ლტოლვილთა გულში. ჰუმანიტარული დახმარება იმას ნიშნავდა, რომ დედამიწაზე ვიღაცას ჯერ კიდევ ახსოვდა თავის ბუდიდან უდანაშაულოდ აყრილნი.

შაოსანმა ქალმა მისი გამოჩენისთანავე გაჩენილი ცოცხალი დერეფანი გამოიარა და საშვთა ბიუროს მიადგა.

კოკი შორიხლო გაჩერდა. აინტერესებდა, რა საქმეზე იყო მოსული მგლოვიარე დიაცი.

კარგა ხანს, ხან ერთ სარკმელს შესჩურჩულებდა შაოსანი და ხან მეორეს. ბოლოს მის უბედურებაში სრულიად უდანაშაულო მცველებს მიადგა და დაიქუხა მოთმინებადაკარგული, ილაჯგაწყვეტილი მდედრის ქუხილით.

– რას ჰქვია მოვითმინო?! შვილი დავკარგე, ქათამი კი არ დამიკარგავს! სამი წელი სრულდება ზეგ! არ უნდა მომცენ რამე პასუხი?! სად წაიყვანეს, რატომ წაიყვანეს, რა დაემართა, არ უნდა მითხრან? იმ ომის დროს ცნობას მაინც უგზავნიდნენ, თურმე, დედებს – დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგაო! სიმწრით გაზრდილი შვილი ჩაგაბარეთ და იმის ღირსიც არ ვარ, ამბავი მაინც გამაგებინოთ?!

დევნილს მეტის გაძლება აღარ შეეძლო.

ჩქარი ნაბიჯით მოშორდა იმ ადგილს და სასტუმროსკენ წამოვიდა.

ყურში ზარივით რეკავდა უბედური დედის ხმა.

– რომელი? – ჰკითხა ლიფტში დამგზავრებულმა უწვერო ბიჭმა.

– ბოლო!

ანგარიშმიუცემლად მიუგო.

კიბის მოაჯირზე გადახოხდა და სახურავზე აღმოჩნდა.

იდგა და ჭიანჭველებივით მორიალე ქალაქს დაჰყურებდა.

შუბლი უხურდა. ორი ნაბიჯიღა რჩებოდა, რომ ყველაფერი დამთავრებულიყო. ბოლო მოღებოდა იმას, რასაც გამწარებული სიცხადე ერქვა და გაურკვევლობის ბურუსს შერთვოდა.

ორი ნაბიჯიც გადადგა. გულმა ბრაგაბრუგი ასტეხა.

თითქოსდა სხეულის ყველა ნაწილმა ახლა შეახსენა თავი. ყველაფერი დაიძაგრა და ფეთქვა-შუილი დაიწყო.

თვალი დახუჭა.

„არა... ასე არ ხდება... ჯერ კიდევ არ ვიცი ბოლო ჩემი უთავბოლო ორომტრიალის... დღეიდან ხომ მაინც მეცოდინება, რომ

სიკვდილი ძალიან ადვილი ყოფილა. სიკვდილი ხომ უკვე უბეში მყავს – დამარცხებული და მოთვინიერებული. აქ ამოსვლას ყოველთვის მოვასწრებ...“

* * *

ესიზმრა კოკის.

შორს, სადღაც, მტრის ხელში ჩარჩენილ აფხაზეთში მისი დამწვარი ოდის ბუხარზე მამალი ჰყიოდა.

დიდი, ოქროსფერი, მეწამულდეზებიანი მამალი იყო.

მორიგეობით, ოთხივ-კუთხისკენ შეტრიალებით, ყელის გაგლეჯმდე ჰყიოდა მამალი. თითქოსდა მთელ დედამიწას ამ შებილწულ კერასთან და გამჭვარტლულ ბუხართან უხმობდა.

* * *

წუხელის გარდაიცვალა; ამ დილით, უფრო სწორად.

ერთი ამოიხვნეშა და დალია სული.

მითხრა ექიმმა გუშინ, ტყვილად ვაწვალებთო.

მეოთხე დღეა პირში არაფერი ჩასვლია.

გუშინ საღამომდე გრძნობაზე იყო.

ასე, შვიდი საათის მერე წნევა ორმოცდაათზე დაეცა.

ჩქარა სუნთქავდა. თვალები მილულა და ჩემს ჩაძახილზე ხელის მოჭერითაც აღარ მპასუხობდა.

სიკვდილის წინ მარტო ვეჯექი სასთუმალთან.

ექთანი გვერდით პალატაში ნაოპერაციევს წვეთოვანს უდგამდა, მორიგე ექიმი ნახევარი საათით გავიდა თვალის მოსატყუებლად.

აქაც რომ ყოფილიყვნენ ორივენი, მაინც ვერას უშველიდნენ.

სააქაო პირი აღარ ჰქონდა.

ხომ ყოველწუთს ველოდი სიკვდილს, ამ ბოლო დღეებში ხომ უკვე გამოტირებული მყავდა, მაგრამ სუნთქვა რომ შეწყვიტა, თავზარი დამეცა.

თითქოსდა ცა ჩამომემხო.

სულ მარტო დავრჩი დუნიაზე.

ჩემს ბიჭებს ჯერ ჭკუა არა აქვთ.

ჯერ არც იციან, რა მამა დაჰკარგეს.

რა უბრალოდ კვდება თურმე ადამიანი.

ხომ გითხარი, ერთი ამოხვნეშა ისე, ბუნებრივად, შუა ძილში რომ ამოიხვნეშებს ადამიანი და წავიდა.

რა უნდა მექნა.

რა უმწეოა ამ დროს ჭირისუფალი.

მირიან! მირიან! მირიანმეთქი! ჩავძახე. მეტი ვერაფერი მოვახერხე. ვითომ ხელოვნური სუნთქვაც ვცადე, არაფერი გამოვიდა. გავვარდი. ექიმი გავაღვიძე. წამოხტა და მაშინვე გამომყვა.

მაჯა გაუსინჯა. ჟანგბადის საპირეც დააფარა ისე, ყოველშემთხვევისათვის.

მერე უიმედოდ გადააქნია თავი.

პროზექტურაში არ გაიყვანოთ, სანამ ნათესავები მოვიდოდნენ, თავის ლოგინში იყოსმეთქი.

როგორც გნებავთ, ქალბატონოო, თანაგრძნობის ნიშნად ხელზე ხელი მომიჭირა და გავიდა.

ბალიში გამოვაცალე.

საბანი გავუსწორე და გვერდით დავუჯექი.

მე ვთქვი, ამ ოთხ საათზე ვის დავურეკო, ვინ შევაწუხო, გათენდება და ჩამოვრეკავმეთქი.

თქვენც თქვენი უბედურება გჭირთ.

აფორიაქდებოდით, ვერც მანქანას იშოვიდით, გაწვალდებოდით, ამას მაინც ვერაფერს უშველიდით.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ერთი შეკივლებაც ვერ მოვახერხე („შეწამებას“ ვეძახით ჩვენ – მეგრელები) შეკივლება კი არა, ხმამაღალი ტირილისაც შემრცხვა. გვერდით პალატაში მძიმე ავადმყოფი ჰყავთ. გული არ გაუსკდესმეთქი.

იცი, რა საშინელი გრძნობაა, ქალს რომ ტირილი გინდა და ტირილის საშუალებაც არა გაქვს?

ვიჯექი მარტო. ხანდახან შუბლზე დავუსვამდი ხელს.

რაც უფრო ცივდებოდა, მით უფრო უცხო ხდებოდა ჩემთვის. თითქოსდა სხვა იწვა ამ საწოლში, ვიღაც ძალიან ახლობელი, მაგრამ მირიანი – არა.

შიშით, ზოგიერთმა რომ იცის; მკვდრის მეშინიაო, არ შემშინებია.

შენ წარმოიდგინე, ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ თითქოს შვებაც ვიგრძენი. შვება როგორ? რომ არ კვნესოდა, რომ აღარ წვალობდა...

არავინ არ იცნობს ადამიანს, ისეთს როგორიც არის თურმე იგი სინამდვილეში.

რომ შემცივდა, შენ წარმოიდგინე. წამოვდექი და შარფი მოვიხურე. არ გავცივდე მეთქი. წინ პანაშვიდების ხუთი დღე მაქვს და ჩემი ცხინკვების თავი ვის ექნებამეთქი.

ამას ისე მშვიდად ვაკეთებდი, მევე მიკვირდა.

თავშიც, თითქოს, ყველაფერი დალაგდა, გუშინდელმა და გუშინწინდელმა სასოწარკვეთის კანკალმა გამიარა.

გამოვიანგარიშე დაკრძალვის დღეც. სამგლოვიარე განცხადებაც დავალაგე თავში. ისიც ვიაზრე; ზუგდიდში, ხობში, სენაკში ვის უნდა შევატყობინოთ.

აფსუებსაც ვიხსენებ, იმათაც ძალიან ეწყინებოდათ. სოხუმში ვინ გააგებინებს, სოხუმში კი არა ზუგდიდში არ ჩადის დეპეშა. ავტობუსის მძღოლს უნდა გავატანოთ შეტყობინების წერილები, მეტი გზა არაა.

ვზივარ ამ ფიქრებში გართული. სასწაულს გეტყვი, გელა, შენს მეტს როგორ ვეტყვი ამ ამბავს; არაფერი არ ყოფილა ადამიანი, სულ არაფერი. ორი ღამის უძილარს თვლემა მომერია. ძილს ვერ წავართვი ვერაფრით თავი. ყურები და თვალები დავისრისე, თავკისერი ვატრიალე, შენც არ მომიკვდე.

დავკეტე კარი, ვინმემ არ შემომისწროს მეთქი, წამოვწექი აგერ, მეორე ლოგინზე და ერთი საათი მკვდარივით მეძინა.

ექიმს როგორ გავამტყუნებ, მე დამეძინა, მე, ქმრის დამკარგავს, გაუბედურებულ ქალს.

გარბი-გამორბიან ახლა ექიმები, ავადმყოფობის ისტორიას ავსებენ. ყველაფერი დამაჯერებელი უნდა იყოს. რა დიაგნოზი ჰქონდა, როგორ „განვითარდა ავადმყოფობა“, რა იყო უშუალოდ სიკვდილის მიზეზი.

რად მინდა ქაღალდი, მე ყველაზე უკეთ ვიცი, რამ მოკლა ჩემი ქმარი.

ვიცი, რამ წამიქცია, ასე უცებ ხარივით ჯანმრთელი კაცი.

მირიანს რკინის გული ჰქონდა. ყოფილა შემთხვევა, სამი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მძიმე ავადმყოფს არ მოშორებია.

დაღლა არ იცოდა, რა იყო.

ომის დროს საავადმყოფოში ათენ-აღამებდა.

სახლში ორჯერ თუ სამჯერ შემოირბინა.

გულრიფშში რომ გადავიდა საავადმყოფო, მაშინ მოვიდა ერთი საათით და მახსოვს, ასეთი რამ მიამბო: დაჭრილი აფსუა მოიყვანესო. ლაბრასათან ტყვედ ჩავარდნილა. გულთან სანტიმეტრის სიახლოვეს ყოფილა ტყვია გავლილი. ოპერაცია გავუკეთეთ და მესამე დღეს მოიხედაო. თბილისელი ბიჭის სანახავად მოსულ მებრძოლებს უცვნიათ თურმე, ამას აქ რა უნდაო და ავტომატი გადმოუღიათ. ბღავილი აუტეხია მირიანს, მე მესროლეთ და ამას არ ესროლოთო. ძლივს გადავარჩინე კაცი, თვითონ ეყოფა, რაც ჭირს, მთელი ცხოვრება ხეიბარი იქნება ისედაც, არ მომიკლათ, არ ჩადგეთ მაგის ცოდვაშიო! გადაფარებია დაჭრილს. ეს გვღუპავს, ეს დედლობა და გულჩვილობა გვღუპავს ჩვენ, ქართველებსო, უთქვამს ერთ მათგანს. რა ვქნა, მე ექიმი ვარ ჩემს ადგილას,

სახეზე გატყობ, შენც ისე მოიქცეოდიო. სულ მხარზე ხელის სმით ჩაუცილებია კიბეზე მირიანს ავტომატშემართული ჯარისკაცი.

ასეთი გული ჰქონდა.

ამ სამი წლის განმავლობაში უნამუსო, უტიფარმა ტყუებამ მოკლა ჩემი ქმარი, მეტმა არაფერმა.

კოდორ-ჭუბერის ტანჯვის გზა ისე გამოვიარეთ, ერთი არ დაუჩივლია, ერთი არ დაუკვნესია, ერთი ძვირი არ წამოცდენია იმათ მიმართ, ვინც ეს სასაკლაო მოაწყო.

ყველაფერი სჯეროდა, რასაც აფხაზეთის დაბრუნებაზე ჩვენი მთავრობა აცხადებდა.

ხომ გახსოვს, ტყუილების კასკადი – , ახლა გადაწყდება ჟენევაში, ა, ახლა გადაწყდება ნიუ-იორკში, ა, ახლა დაგვაბრუნებს მოსკოვი...

მერე გაუთავებელი – „თორმეტ მაისს ვბრუნდებით“, „რვა ივნისს ვბრუნდებოდით“, „ოცი სექტემბერი“, „ცხრა ნოემბერი“, „ჩვიდმეტი თებერვალი“...

აღარ გათავდა, აღარ გათავდა... ჩვენს აბუჩად აგდებას აღარ მოეღო ბოლო.

გვატყუებენ, დრო გაჰყავთ. ხუთ წელიწადში ნახევარი ცოცხალი არ ვიქნებით და ცოცხალიც რომ დავრჩეთ, დამბრუნებელს ვერ იშოვიანმეთქი, ვეუბნებოდი.

შენ რა იცი, მეჩხუბებოდა, ხელისუფლება ასეთ ტყუილს როგორ იკადრებსო. რა ხელს აძლევთ ასეთი ტყუილიო. ხომ იციან, ერთ მშვენიერ დღეს ამ ტყუილებისათვის პასუხს რომ აგებინებენო.

ცხრამეტ იანვარს მორიგი სპექტაკლი რომ ჩაატარეს მოსკოვში და ახალი ტყუილებით დააპურეს ჩვენი გულუბრყვილო ხელისუფლება – გახარებული დაბრუნდა შინ.

აღსრულდაო. ხომ გეუბნებოდი, დავბრუნდებითო. ნახე, რა უყვეს არძინბასო.

რა უყვეს მეთქი.

რა და ბლოკადა გამოუცხადესო.

არ დაიჯერო ეგ ამბავიმეთქი.

მეორე დღეს არძინბა რომ მოსკოვში ტრიუმფით მიიღეს და საქმე ასოთხმოცი გრადუსით რომ შემოტრიალდა, ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

ახლახანს კი ჩვენმა ბრძენმა პოლიტიკოსებმა ფოთში გემების შემოწმებასაც რომ ვერ მიაღწიეს, ყველაფრის იმედი ერთბაშად დაკარგა.

ჩემს თვალწინ ჩამოიღვენთა სანთელივით, თვალებში იმედის სხივი ჩაუქრა.

სიცრუეა ყველაფერიო. როგორც ვხედავ, გაგვწირეს სამასი ათასი ქართველი. ჩვენი დამბრუნებელი ეს ხელისუფლება არ არისო.

იმ დღიდან საოცრად გულჩახვეული გახდა.

გაზეთების კითხვა შეწყვიტა.

ტელევიზორსაც აღარ უყურებდა. არც ლტოლვილთა აქციებზე დადიოდა.

ლტოლვილთა ყრილობაზე წავიდა და მეორე დღეს კიდევ უფრო სასოწარკვეთილი დაბრუნდა.

ლამაზად ლაპარაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსო.

აფხაზეთში დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, უფრო ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაზე და დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე წუწუნებდნენო.

რას ვიზამთ, სული მწარეა. ახლა იქ დამბრუნებელი აღარავინ არის. „ბატონ არძინბას“ ეძახიან კაცს და „ბატონი არძინბას“ აფხაზეთში ხომ არც შენ იცხოვრებმეთქი.

გული იმაზე მისკდება, ეს სამი წელი როგორ ვენდე ამათ და როგორ დავუჯერეო. როგორ გაგვაცურეს და შეგვიყოლიეს უნამუსოდო.

ეთქვათ თავიდან, რომ არ ჰქონდათ თავი აფხაზეთის დაბრუნების და რაღაცას ვისაშველებდით. სხვა გზას ვეწეოდითო.

გულჩათხრობილი გახდა.

ყველაფერი აღიზიანებდა, ჩემთან ლაპარაკიც აღარ სურდა, ბიჭებსაც უმიზეზოდ უწყრებოდა. მთელი ღამე ჭერს შესცქეროდა და სიგარეტს ეწეოდა.

მეშინოდა, არ შეიშალოს მეთქი.

ამ საავადმყოფოში რომ მოვიყვანეთ, ყველაფერი იცოდა, რასაკვირველია. ექიმი იყო, შენ მოატყუებდი?

სხვისი რენტგენის სურათი და ცრუანალიზები მოვუტანეთ, ისე, გულისგასაკეთებლად.

დახედა და უკან გადმოგვიყარა.

რას მაიმუნობთ, ეს ჩემი არ არისო. ამ ანალიზების პატრონი ლოგინზე კი არ უნდა ეგდოს, ფეხბურთს უნდა თამაშობდესო.

ბოლოს თანდათან სუსტდებოდა, ამ კვირაში ფეხზე აღარ ამდგარა.

ერთხელ წამოვაჯინე, ცოტა ბორჯომი მოსვა და მაშინვე ცივმა ოფლმა დაასხა.

არაფერი არ მინდა ახლა, ოღონდ ერთი წუთით სოხუმში, ჩემს ეზოში კუნძზე დამაჯინა. იყოს სახლ-კარი გადამწვარი, იყოს კერია მოშლილი. უბრალოდ ჩამახედა და მანახა, რა ხდება, ვინ ცხოვ-

რობს ჩვენს მეზობლად, გამაგონა, რას ლაპარაკობენ ჩვენზე, რა სინდისით დადიან ჩვენს კიბეებზეო.

მოესწრები, მოესწრებიმეთქი, ახლა მე დავუწყე პირიქით გულის გაკეთება.

მეტი არ იქნა ჩემი მტერიო, ხელი ჩაიქნია და ბალიშზე მიდო თავი.

მერე აღარ ამდგარა.

* * *

სოხუმი კარგად გეცოდინებათ, ბატონო გელა, ბარათაშვილის ბაქანთან ახლოს ვცხოვრობდი, იქვე, ქვევით, შრომის ქუჩაზე. საკუთარი სახლი მქონდა.

საერთოდ, სოხუმში უმეტესობას საკუთარი სახლი უდგას.

ერთადერთი გოგო მყავდა. საექიმო დაამთავრა თბილისში. სოხუმის პირველ საავადმყოფოში მუშაობდა, თერაპევტი იყო. იმ წელს უნდა გამეთხოვებინა. საქმრო ჰყავდა. მშვენიერი ბიჭი, ცაავა, ბაბუშერადან...

ექიმი იყო ისიც.

გადარჩა ცოცხალი. ერთი-ორჯერ იყო ჩვენთან გვინახულა. სენაკში ვარო, პოლიკნიკაში ნახევარი შტატი მომცესო.

ეს ოთხი წელია აღარ გამოჩენილა.

ცოლი ითხოვა, ალბათ.

ითხოვდა, აბა რას იზამდა.

ამ ჩემი გოგოს ამბავი ასე იყო:

საავადმყოფო რომ აიღეს აფსუებმა, ვისაც სად მიასწრეს, დახვრიტეს, მოგეხსენება. მთავარი ექიმიც მაშინ მოკლეს, მარღანია, საწყალი. იმ დღეს, ოცდახუთი სექტემბერი იყო დასაქცევი, ჩემს გოგოს და ერთ ქირურგს – კობა შერვაშიძეს, სხვათა შორის, თბილისელი ბიჭი იყო, ბედდამწვარი მისი მშობლები სოლოლაკში ცხოვრობენ, უმარჯვიათ და სამი დაჭრილი ჯარისკაცი ღვინის მარნის სარდაფში გადაუყვანიათ.

იქ უვლიდნენ მთელი ორი დღე.

ოცდახუთში მთელი სოხუმი გაიქცა, მარა ჩვენ სად წავიდოდით, გოგო არ იყო სახლში და მე და ჩემ ცოლს უმისოდ რად გვინდოდა ეს გასახმობი თავები. მეორე დღეს არაფერი და ოცდაშვიდში ჩვენ, სახლში შეყუჟულებს, მეზობელმა აფხაზმა ამბავი მოგვიტანა: „ვინზავოდში“ ჩაუხოციათ ვილაცეები და მგონი, თქვენი ქალიშვილიც უნდა იყოს იქო.

რანაირად, სად, ჩემს გოგოს ღვინის ქარხანაში რა უნდოდა, შევიცხადეთ.

მერე გავიგეთ ყველაფერი.

დარაჯმა გვიამბო თვითონ, ვინც შეესწრო ამ ამბავს.

რომ შევიდნენ თურმე ღვინის ქარხნის ეზოში, დიდი ჩხრეკა არ დაუწყიათ, პირდაპირ სარდაფს მიაშურეს. რვა კაცი ყოფილა. რუსის მაიორი ახლდათ თურმე და ის უფროსობდა. სამ-სამი „ბანკა“ ღვინო დაულევიათ და დარაჯისათვის დაუბარებიათ, საწყობი დალუქე, აქ ჩვენს გარდა არავინ შეუშვა, თორემ დახვრეტა არ აგცდებაო. წასვლისას ერთი ავტომატიანი აფხაზი გამოხვანცალდა, თურმე მარნიდან, მოსაფსმელად ჩამორჩა თურმე სხვებს, ის ღმერთგამწყრალი.

ტამ გრუზინიო! დააწია თურმე ჭიშკრისკენ მიმავალთ.

კაკ გრუზინიო, ანუ იხ ვსეხო, დაუძახნია მაიორს, კ სტენკუ ზახვატჩიკოვ, კ ჩორტოვოი მატერიო.

გამოუყვანიათ ხუთივე.

გადაფარებია ჩემი გოგო დაჭრილებს.

არა გაქვთ ამათი დახვრეტის უფლება საერთაშორისო ომის კანონით, მოვარჩენთ და მერე გაასამართლეთო.

დაჭრილები ფეხზე ძლივს დგანან თურმე.

მოშორდით მაგ ძაღლებსო, ყვირის რუსის მაიორი.

მოშორდით, თორემ არ დაგინდობთ ექიმებსაცო.

მეო, აფხაზი ვარო, ეუბნება თურმე შერვაშიძე.

საერთოდ, ექიმები ავადმყოფებს არ ვირჩევთ; ჩვენ ყველას ვმკურნალობთო.

სამჯერ დავითვლი, თუ არ მოშორდებით, მიგახვრეტთ თქვენცო. ცოფს ყრის თურმე მაიორი.

ხუთივეს ხელი ჩაუჭიდია ერთმანეთისთვის.

ხუთივე ერთმანეთს ჩაფსკვნია სიკვდილის წინ.

ჩემს გოგოს და შერვაშიძეს უფიქრიათ, გვაშინებენ, ალბათ, თორემ ექიმებს და მით უმეტეს, შერვაშიძეს, არ გვესვრიანო. ხუთივე ერთად მიუხვრეტია იმ გარეწარ რუსს.

რას დაეძებდა. მისთვის რაღა ქართველი და რაღა აფხაზი. ფეხებზე ჰკიდია.

ორივე ერთნაირად სძულს.

ოცდაშვიდში შუაღამეზე დავასაფლავეთ ჩემი გოგო მამაჩემის გვერდით.

სული მწარე ყოფილა.

ვერ მოვიკალით თავი.

თავის მოკვლა კი არა და დიდი ამბით გამოვიქეცით ოცდარვაში ალიონზე სოხუმიდან.

ჭუბერზე წამოვედით. მეტი გზა სად იყო აბა.

„პოტიკი“ ყოფილა ყველაფერი.

ჩემი თავი მეზიზღება ახლა, რომ გამახსენდება, რა მონდომებით ვარჩევდით მე და ჩემი ცოლი ხაბაკ-ხუბაკს, რას ვთბილწინდაობდით და წელმხარზე რა გულმოდგინედ ვიკრავდით შალის დარაიებს, რანაირად ვეხმარებოდით ერთმანეთს ჭყანტაღმართში, რა სერიოზული სახეებით ვინაწილებდით სხვებისგან დამალულად თითო ლუკმა ყველ-ჭადს, შიმშილს რომ არ მივესავათებინეთ.

მგელი ყოფილა, მგელი, ადამიანი.

შვილი აგერ, ა, ორი საათის წინ დამარხე და სად მიიზუზები, შე გამჩენძაღლო.

ასე ძვირად გიღირს შენი ბეხრეკი თავი?

ამ წვალება-დამცირებას არ ჯობდა, დაგველია ორივეს იქვე, სასაფლაოზე, ქერძაფი და მივწოლოდით ჩვენს გოგოს გვერდით?

არ მონაკვდომა, არა, თავის დრომდე ადამიანიშვილი.

გავუძელით ყველაფერს, ძარღვ-რბილი გაგვიძელქვდა, ვიხანხალეთ და ჩამოვლტოლვილ-ჩამოვმათხოვრდით თბილისში.

თუ არ გეჩქარება, ერთს გეტყვი კიდევ.

მოგეხსენება, ჩვენ, ლტოლვილები, მიმკვდარი ვართ ტელევიზორს; იქნება რამეს მოვკრათ თვალი. რანაირია სოხუმი ახლა. რა შეიცვალა, რაც ჩვენ გამოგვყარა რუსმა და მომთაბარე უცხო ტომი-აფსუა გააპატრონა. იქნებ სადმე თვალის წარბენაზე მაინც გამოჩნდეს ჩვენი ქუჩა, ჩვენი სახლი...

გაგიგონია? არაფერი მსგავსი.

გვიჩვენებენ არძინბას კაბინეტს და აფხაზეთის თვალწვრილა ყაჩაღ ლიდერთან კნუტებივით მიმჯდარ ჩვენი დელეგაციის წევრებს.

ესაა სულ.

მეტი დაცინვა შეიძლება?

ექვსი წელი გავიდა, შე კაი კაცო, რა იქნება, გადაიღე და ტელევიზორში მაინც მაჩვენე ჩემი სახლი. ამას მაინც რა უდგას წინ.

დავიჯერო ახლა, ექვს წელიწადში ვერ მოახერხე ამხელა ტელევიზიამ გაგრის, სოხუმის, ოჩამჩირის გადაღება?

რაღაცაშია საქმე.

ამ გაზაფხულზე, სანამ გალის ამბები დაიწყებოდა, ზუსტად გეტყვი, ოცდაექვსი აპრილი იყო, გალიდან ზუგდიდში ჩამოსულ ჩემს ბიძაშვილს პასპორტი ვენათხოვრე, ჩემი სურათი ჩავაწებე შიგ, ვიყიდე ერთი ყუთი სიგარეტი „პრიმა“, გავიდე მხარზე და ვითომ ჩემს სახლში მიმაქვს, ოტობაიაში.

რუსის ჯარისკაცს, კანონიერად გადადიხარ თუ უკანონოდ, სულერთია, ფული უნდა მისცე. ჩავუკუჭე ხუთდოლარიანი ხელში და პასპორტისთვის არც დაუხედავს. გალში, სოხუმის ავტობუსში მოვყუჩდი.

„ტი კუდა?!“ მეკითხება აფსუა პოლიციელი.

სოხუმში მივდივარ, ოტობაიელი ვარ, ეს „პრიმა“ მიმაქვს გასაყიდად-მეთქი.

არაო, აქ გაყიდე, გალში. სოხუმში ჩასვლის ნება არ გაქვსო, წაკრა ფეხი სიგარეტს.

ლაპარაკი რომ გამება, უარესი იყო. ამ ხალხთან, მოგეხსენება, თხოვნა-ღრეჯა არ ჭრის. მივეცი ათი „პრიმა“ და გამანება თავი.

რომ არ დაგღალო, თორმეტ საათზე სოხუმის ბაზართან მიჭრაჭუნდა ჩვენი ავტობუსი.

გულს ბრაგა-ბრუგი გააქვს, ყურმა შუილი დამიწყო. ჩემი სოხუმი. როგორი საქმეა შენს მიწაზე. შენს ქალაქში, სხვისი პასპორტით, ქურდივით ხარ შემოპარული.

მოსაჩვენებლად დავადექი ყუთს იქვე, ბაზრის შესასვლელთან, ვინმე არ მითვალთვალებდეს-მეთქი. ქუდი მაქვს თვალებზე ჩამოფხატული და ულვაში ჩამოპარსული, მაგრამ მაინც ხომ შეიძლება გიცნოს ვინმემ ბაზარში.

ნახევარი საათის მერე შევატოვე ჩემი „პრიმა“ მინვოდელ თათარს, რომელიც იქვე, ჩემს გვერდით გარჩეულ კაკალს ჰყიდდა. კუჭმა შემაწუხა, შევჭამ რამეს და ნახევარ საათში მოვბრუნდებიმეთქი, დავუბარე.

დავკარი ფეხი და მივძუნძულებ ჩემი ქუჩისკენ.

სადაა ის ცოცხალი და ჭრელი სოხუმი.

ჩამკვდარია აქაურობა. გამვლელი იშვითად თუ შეგვხვდება. არსად ქართული წარწერა. ასე მგონია, სადღაც ზღვისპირას, უცხო, რუსულ ქალაქში ვარ.

ვიცი, რომ ჩემი სახლი დამწვარი არ არის. შარშან სამურზაყანოელმა ბერაიამ ჩამოგვიტანა ამბავი.

მეტი არაფერი ვიცი.

აჰა, აგერ ჩემი დარგული მაგნოლია, ლეღვი, ჩემი კიბე. ომის წინა წელს ჩემი ხელით მიშენებული სამზარეულო.

კარი ორმოციოდე წლის ქერა, თაფლისფერთვალება, გამხდარმა ქალმა გამიღო.

– ვამ კავო? – მკითხა.

ოჯახის უფროსი თუ არის-მეთქი სახლში.

თავი მიაბრუნა და სასტუმრო ოთახს გასძახა.

– აფთათუ აბღრძ, აგრძუძნა!

– აღქ, აღბბკჩენა?! – მოისმა ოთახიდან ბოხი, გაფერილ-გაუბზარავი ხმა და პარმაღზე ფლანელისპიჟამოიანი, თავგადაპარსული კაცი გამოჩნდა.

თვალებით ვზომავთ ერთმანეთს.

თითქოს რაღაცას მიხვდაო, კიბის მოაჯირს გადაეყრდნო, გაიხედ-გამოიხედა, ჭიშკარსაც გახედა, თითქოსდა სურდა, დარწმუნებულიყო, მახლდა ვინმე თუ არა. მერე ერთხელ კიდევ შემომხედა და შეთქმულივით მკითხა: კაკ ვი სუდა პაპალი?!

პასუხს არ დაელოდა. ხელი მომკიდა და სასტუმრო ოთახში შემიყვანა.

ღმერთო, ახლა ნუ გამიხეთქავ გულს და აქედან რომ გავალ, თუ გინდა, იმ წამსვე მომკალი.

თქვენ რა იცით, ვინა ვარ-მეთქი.

ჯერ ერთი, მანამდეც გიცნობდიო. მე ტყვარჩელიდან ვარო. შენ არ გახსოვარ, თორემ სარეისო ავტობუსზე რომ მუშაობდი, ხშირად მინახავხარ ტყვარჩელშიო. მეც მძღოლი ვარ, ტაქსისტი. ახლა სადღაა ტაქსიო. ესეც არ იყოს, ყოველდღე გიყურებთ მეც და ჩემი ოჯახიცო... მაშინ ავწიე თავი და თვალი კედლისკენ გავაპარე. სურათი! ჩემმა გოგომ იმ წელს სკოლა დაამთავრა. სამივე ერთად ვდგავართ თეატრის წინ, შადრევანთან. სასწაულივითაა ეს ყველაფერი. რატომ არ ჩამოხსნა ამ კაცმა ჩვენი სურათები.

პირველმა ელდამ გამიარა.

ისე მოვშინაურდი, ოთახებში გავიარ-გამოვიარე. აგერ ჩემი გოგოს როიალი, საწოლ ოთახში ჩვენი ავეჯი დგას. თითქოს ექვსი წლის წინ კი არა, გუშინ გავედით აქედან.

ცოლმა არაყი და ლეღვის ჩირი შემოიტანა.

– აჩჩ ააზიკვა აბღვა! – უთხრა მეუღლეს.

– აზნაუ, ზნაუ, ია სრაზუ უზნალა! – რატომღაც მოურუსულა დიასახლისმა.

რა უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ოცდარვა სექტემბერს თქვენ წახვედით და ოცდაცხრაში საღამოს მე ჩამასახლეს ამ ბინაშიო. აქეთ, შვიდ ნომერში რომ აფხაზი ჯონუები ცხოვრობენ, იმათ მითხრეს შენი ამბავიო.

ჯონუების გოგო და ჩემი გოგო სამედიცინო სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. მერე რაღაცაზე წაიჩხუბნენ და ბოლოს აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

არც ჩვენ, მშობლებს გვქონდა დიდი მეზობლობა და მისვლა-მოსვლა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხვნეშით, მაგრამ რაღაცნაირი ღირსებით და სიამაყითაც ლაპარაკობდა ჩემი მასპინძელი:

მე შენთვის არაფერი წამირთმევიაო, ჩვენ რომ გავქცეულიყავით, თქვენ რომ მოგეგოთ ომი, ალბათ, თქვენც ასე მოიქცეოდითო... ჩვენი შერიგება და ძმობა აღარ მოხდება, თქვენც კარგად იცით ესო. მე შენი სახლი დაწვას გადავარჩინე... ისე, რომ დაეწვათ

შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, გული აღარ გამოგიწევდა აქეთ და მეც ამ ჩემს სოხუმში სხვა ჭერს მოვძებნიდიო. თხუთმეტი საუკუნე ჩვენს მიწაზე ცხოვრობდით და მადლობელიც არა ხართო... არც მე ვარ ჩემს „ტარელკაზე“ ამ სახლშიო... ჯერ იყო და ცოცხალი არ გვეგონეთ, მერე, როცა გავიგეთ, რომ ცოცხლები ხართ, რაღაცნაირად მაინც ვნერვიულობდით მე და ჩემი ცოლი, თითქოსდა გელოდით კიდეცო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ ქართველებმა, რომ თქვენი აქ ჩამოსახლება აღარ იქნება. თუ მთავრობები რამეზე შეთანხმდნენ, შეიძლება სახლის და ნივთების ღირებულება ერთი-ორი კაპიკით სახელმწიფომ გადაგიხადოთო. ან ის რაში გეკუთვნით, რაც თქვენ დაგვანგრიეთ და ზარალი მოგვაყენეთო...

ვუსმენდი.

ჩემს სათქმელს აქეთ მეუბნებოდა აფსუა ტაქსისტი. კამათს აზრი აღარ ჰქონდა.

მერე ბოდიში მოიხადა, ტელეფონი აიღო და სადღაც დარეკა.

– ბაშღაც, აბღაძერა... აბვაქ... ააქქვაა! – ჩასძახოდა ყურმილს.

ტელეფონი თითქმის დააგდო და, ცოტა არ იყოს, ამრეზილად მეკითხება:

როგორ ჩამოხვედი სოხუმში, მაჩვენე ერთი შენი პასპორტიო.

ცუდადაა საქმე.

ამოვიღე პასპორტი და სანამ ჩახედავდა, სხაპასხუპით დავაყარე.

ეს ჩემი ბიძაშვილის პასპორტია. მისი სურათი ამოვიღე და ჩემი ჩავაწებე. ამ ჩემი სახლისთვის თვალი რომ არ შემევლო, შეიძლება გული გამსკდომოდა. იქ ჩვენ, თბილისში, თითქმის ვერაფერს ვიგებთ სოხუმზე, ოთხ საათზე უკან უნდა გავყვე ავტობუსს-მეთქი.

ადგა და ისევ მივიდა ტელეფონთან.

კარგა ხანს ისმოდა:

– აბღვერჯა... ასკჰლვქფქშიაა, ჰრძუღკვაბსბლკმქფსუაა...

მერე ცოლს მიუბრუნდა:

– ჰჯქსია... ავექჩქრუა?!

– სრქცხშშძფცაა! – გაბრზებით მიუგო ცოლმა და კარი გაიხურა.

ცივად, უგულოდ დამემშვიდობნენ.

დავეშვი ჩემი სახლის კიბეზე და ფეხდოლაბიანივით მოვაბიჯებ ბაზრისკენ.

რა ჯანდაბამ წამომიყვანა.

ციხეში ჯდომა და აფსუა გამომძიებლის დაკითხვები შემიძლია ამ ხნის კაცს აწი მეე?

ოთხს აღარაფერი აკლია.

ჩემს ავტობუსს მივაკითხე.

რაც მომივა, მომივა. აქ რომ არ მოვსულიყავი, სულერთია, მაინც დამიჭერდნენ.

დაიძრა ავტობუსი.

რამდენ საგუშაგოსაც გაივლის და რამდენი აფსუა ავტოინსპექტორი მოგვიახლოვდება, ჩემი მემართება.

მგონია, ახლა ჩამომსვამენ და გამაქანებენ.

შიშით გატრუნული ვზივარ.

ენგურის ხიდამდე მოგვიყვანა ავტობუსმა.

ხიდთან უკვე რუსმა სამშვიდობოებმა გაგვისინჯეს პასპორტები.

ფულს ვინ ჩივის, რაღაცა ასი ნაბიჯი დამრჩა და სამშვიდობოს ვიქნები.

ხიდი რომ გადავიარე და რუხის ციხეს შევუყევი, მაშინღა ამოვისუნთქე.

ტყუილად შეგშინებიაო, ჩემი ბიძაშვილი დამცინოდა, კედელზე შენი სურათი ეკიდა, ამით იმ კაცმა ყველაფერი გითხრაო...

რა ვიცი.

აბა, რას ელაპარაკებოდა გაუთავებლად ტელეფონში ვიღაცას, ან ცოლი რატომ ეჩხუბებოდა?

არ არის ეს ჩემი ამბავი დასაწერი, ბატონო გელა?

მესამე თავი

მეტეორი

ჩემს პირველ ქალს ცაცა ერქვა. ბრმა იყო. მეხუთე კლასში გახლდით, პირველად რომ დავინახე. გრძელნაწნავებიანი მაღალი ქალი თავის ჭიშკართან სასხლავიან მოხუცს – ჭიჭიას ესაუბრებოდა და მარჯვენა ხელით გულზე ჩამოშვებულ ნაწნავს აწვალებდა. ჯარისკაცისფარაჯიანი ჭიჭია ტრიფოლიატის ღობეს სხლავდა და თან ცაცას ელაპარაკებოდა დაგუდული ღიმილით, რაღაცნაირი ძალადმორცხვობით, თვალგაშტერებით, ეშმაკურად. ცაცა ხმამაღლა იცინოდა და სიცილსა და სიცილს შუა, სანამ მეზობელი ახალ ამბავს წამოუწყებდა, პირს ისე აღებდა, რომ მის ჩაწიკნიკებულ, მარგალიტივით მბზვინვარე კბილებს დაითვლიდი.

მეც მოვაღე პირი და მანამ მივჩერებოდი, სანამ მსხვლელი არ მომიბრუნდა: რას უყურებ, ბიძია, წაი შენს გზაზეო. ჩანთა ზურგზე გადავიქნიე და ჩემს გზას ვეწიე, მაგრამ სიბრაზისგან თმის ძირები ამეწვა, ცაცას კისკისი რომ გავიგონე. რა უთხრა ასეთი ჭიჭიამ – სასხლავიანმა წითელმა ტურამ, ან რაზე ხითხითებდნენ ასე გულიანად, არ გამიგონია. ეტყოდა, ალბათ, ხშირად ნუ გამოხვალ ქუჩაში, თორემ მაგ ბავშვს სწავლაში ჩამოარჩენო. ისე, მონუსხულივით გიყურებდა, ამ სასხლავით ყური რომ მომეჭრა, ვერ გაიგებდაო.

ცაცას ამბავი ყველამ იცოდა და აბა, ჩვენ, ბავშვებს, რა გამოგვეპარებოდა. საღამოობით შევიკრიბებოდით ჩვენი სამეზობლოს ლირფი ბიჭები. ვენახბოლოდან შევიპარებოდით ბაგრატია დაბეხილის ეზოში, ჩავძვრებოდით მითაჟამისდროინდელ, ცხრა ადგილას გამოჭმულ საწნახელში და იობის მოთმინებით ვუთვალთვალებდით ცაცას ფანჯრებს. მკითხველს რაღა დავუმალო; ისიც ვიცოდით, რა ხდებოდა იმ ფანჯრებს მიღმა. გუმანით ვიცოდით, თორემ დანახვით მარტო იმას ვხედავდით, რომ მოვიდოდა დარბაისელი მოქალაქე (ზოგს ვიცნობდით სახეზე, ზოგს – არა), ჯერ ცაცას ფანჯარას შეავლებდა თვალს, მერე ჭიშკარს შეაღებდა და მზრუნველი კაცივით შიგნიდან ჩაკეტავდა. სამსაფეხურიან კიბეს რომ აივლიდა და განზე გადაქანჯული, რიკულებიანი პატარა ოდის კარს შეაღებდა, ჩვენ თვლას ვიწყებდით. ასე ასათიდან-ასოცამდე დათვლაში ჩაქრებოდა სინათლე. კარგა ხნის მერე, სინათლე რომ კვლავ გაავსებდა ცაცას იდუმალ ფანჯრებს, ოცდახუთ დათვლაში გამოდიოდა სტუმარი. ჭიშკარს გარედან გულდაგულ დაკეტავდა და გზას ყოველთვის ბაზრის მხარეს, აღმა გაუყვებოდა. ვინ არ

გვინახავს ცაცას სახლიდან გამოსული, მაგრამ აქეთ, ჩვენსკენ, ბაგრატიას სახლისკენ არავინ წამოსულა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცაცას სტუმრები ყველანი ქალაქიდან, ცენტრიდან მოდიოდნენ და ბაკისუბნელი კაცი ბრმა ქალს არასოდეს აწუხებდა.

სამმა წელმა ისე გაირბინა, რომ დღე არ ყოფილა, ცაცაზე და მის ფანჯრებზე არ მეფიქრა. მეგონა, დრო მხოლოდ იმიტომ გადიოდა და ფეხსაცმელებიც იმიტომ მიმოკლდებოდა ასე ჩქარ-ჩქარა, ერთ მშვენიერ დღეს ცაცას ოდის კიბე ამევლო, კართან კაცურად ჩამეხვეელებინა და გაოცებული მასპინძლისთვის მეხარებინა – „მე ვარ!“

ეს დღეც დადგა. მერვე კლასს ვამთავრებდი, ტყემლობის დრო იყო. საკონსერვოს კინოში მივდივარ-მეთქი, დედაჩემს დავუბარე, მარდალეიშვილის ქუჩას შემოვურბინე, ბაგრატიას საწნახელს გვერდი ავუარე და ცაცას ჭიშკარს მივაწექი. ახალშებინდული იყო, მაგრამ ბრმა ქალი ჩვენს ქუჩაზე ყველაზე ადრე ანთებდა შუქს. ჭიშკარს მავთულის რგოლი თავზე დავახურე და ისე ერთგულად ჩავკეტე შიგნიდან, კაცს ეგონებოდა, გარეთ გამოსვლას აღარ აპირებსო. ოცნებით რამდენჯერ მოვსულვარ აქ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, სანამ კიბეს ავივლიდი და კარზე დავაკაკუნებდი, ჩემი დამემართა. ვაითუ წამიბილიკოს ერთი თავში და გამომაგდოს-მეთქი. ბოლოს თავი იმით ვინუგეშე, რომ არავინ მხედავდა. ყოველშემთხვევაში, ბაგრატიას საწნახელში წეღან არავინ იჯდა.

მეორეჯერ უფრო გაბედულად და უფრო ჯიუტად დავაკაკუნე.

– რომელი ხარ? – რატომღაც მომეჩვენა, რომ ცაცა პირდაპირ საწოლიდან გამეპასუხა.

– მე ვარ, – რამდენადაც შევძელი დაჯერებულად ვთქვი და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ მასპინძელს ჩემი ვინაობის რკვევა აღარ გაუგრძელებია.

– შემოდი.

კარი შევაღე და ზღურბლზევე შევჩერდი.

წითელფარდაგიან საწოლზე იჯდა. ერთი ფეხი შეეკეცა, ხოლო მეორე ყვითელფოჩებიან ქოშში სანახევროდ წაეყო, ეტყობოდა, წამოდგომას აპირებდა და გადაიფიქრა. შავი, სქელი თმა ყელს, მხრებს, გულმკრედს უფარავდა. ლამაზ ცხენს რომ ფაფარი აყრია, ისე ეყარა თმა. მარცხენა ხელით შიშველ მუხლისთავს იზელდა. შევკრთი. ძალიან დიდი მეჩვენა. კართან ატუზულმა ცხადად ვიგრძენი, რომ, ამხელა ქალთან შედარებით, ძალიან პატარა და უმწეო ვიყავი. ხალიჩაზე დახატულ დევის ლამაზ ქალს ჰგავდა ცაცა

და უკან გაბრუნებაც კი გავივლე გუნებაში, მაგრამ თავს ძალა დავატანე.

– აღარ იტყვი, რომელი ხარ? – ისე თბილად და ალერსიანად მკითხა ქალმა, თითქოს მისი უახლოესი ადამიანი გახლდით, რომელიც უკნიდან მიეპარა და ხუმრობით ააფარა თვალებზე ხელი, თუმცა ეჭვი არ ეპარება, რომ იცნობენ, რადგანაც მის მეტს ამ ოთახში არავის ელიან.

– გიგლა ვარ, – ვიცრუე.

– სად ცხოვრობ?

– ბალახვანში.

– მერე? ჩემთან რაზე მოხვედი, გიგლა? – ცაცამ თავი ჩემსკენ მოაბრუნა.

– ვითომ არ იცი, – ფეხსაცმლის წვერით იატაკს დავუწყე ბურღვა, ყურები გამიწითლდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე, – რა შეკითხვაა ახლა მაგი.

– რა შეკითხვაა და ნამეტანი ბოვშის ხმა გაქვს, გიგლა. რამდენი წლის ხარ?

– ოცის.

– არ იქნები შენ ოცი წლის. მატყუებ რაცხას.

– დედა მომიკვდეს.

– დედას დოურჩი შენ. კი მარა, ვინ მოგასწავლა, რანაირად, ასე... დაკაკუნება გამიგონია?

– მე... ერთხელ... ნამყოფი ვარ შენთან, – დამარცვლით და ისე ყალბად ვთქვი, მართალიც რომ ყოფილიყო, არავინ დამიჯერებდა.

– გიგლა, ტყვილებს დაანებე თავი, თვარა გავბრაზდები და ხმას აღარ გაგცემ. მე ბრმაი ვარ, სულელი კი არა, შე კაი კაცო. რას ჰქვია ნამყოფი ხარ. ხმაზე, ჩემს სახლში ნამყოფს კი არა, ავტობუსში რომ ვინცხა-ვინცხას დაელაპარაკება, იმას ვცნობ. არ გინდა ჩემთან მაგნაირი ლაპარაკი.

– კაი, ბოდიშს ვიხდი, – ოღონდ ახლა აქედან არ გამაგდოს და ბოდიშს მოვუხდი კი არა, ფეხის თითებზე არ ვაკოცებ?

ცაცამ გაიღიმა, მუშტშეკრული ხელები მხრებთან მიიტანა, გაიზმორა და თეთრი, ფუნჩულა ოთხი თითი პირზე რამდენჯერმე რბილად მიირტყა.

პირველმა ელდამ თითქოს გამიარა, ოთახი უფრო განათდა. ცოტა არ იყოს, გავშინაურდი და კარის გასწვრივ გავიარ-გამოვიარე. ცაცას მხარეს გავლას ჯერ, რასაკვირველია, ვერ ვბედავ. თეთრი მაგიდის შუაგულში ჭილოფის ხახალზე წითელი ვაშლები აწყვია. მაგიდის მარჯვენა კუთხეში, ხვიპია თეფშზე ერთადერთი

ლურჯი ხუთმანეთიანი მოჩანს. ფულზე ვიღაცას, სამკაპიკიანი დაუდვია, ალბათ, იმიტომ, რომ არ აფრიალდეს.

– დღეს დილიდან მეძინება, ეს ოხერი. რომელი საათია ახლა?

– წეღან იყვირა. ცხრა იქნება.

– ცხრაზე მეტი არაა? რა ნელა გადის ეს დრო, ეს ოხერი.

– მოიმატა დღემ, – დაბეჯითებით ვთქვი.

– მოიმატა, კი. მამაშენი რა მოხელეა, გიგლა?

– მამა არ მყავს, – კვლავ ვიცრუე.

– ბავშვი ხარ, ბიჭო, ნამეტანი, წადი ახლა სახლში. ჯერ ადრეა შენთვის. ჯერ მეცხრე კლასში არ იქნები. ხომ მართალს ვამბობ, დედას გაფიცებ?

– მეცხრეში გადავდივარ.

– ჰოდა, ადრეა-მეთქი, სწორს გეუბნები.

– არაფერი ადრე არაა.

– ბიჭო, მე რამდენი წლის ვარ, იცი შენ? – მცირე პაუზის შემდეგ მკითხა ცაცამ. იცით როგორ მკითხა? ღიმილით, იქნებ ცოტა ირონიითაც, ოსტატი რომ შეგირდს შეეკითხება.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

– როგორ არა აქვს გიგლა. ოცდათხუთმეტი წლის ქალი ვარ მე და, შენ პირველი წვერი არ გაგიპარსია ჯერ. მოდი ჩემთან ერთწუთს.

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ მაინც მივედი. ცაცა არ ამდგარა, მარჯვენა ხელი გამოიწოდა ჩემსკენ, პერანგის ღილებს მაღლა აჰყვა და სახეზე მომისვა.

– ხომ გითხარი, ბავშვი ხარ, – კვლავ გაიღიმა, – წადი სახლში.

– არაფერი ბავშვი არა ვარ მე, – ისე მტკიცე გადაწყვეტილებით ვთქვი, რომ ცაცა გაჩუმდა.

იქვე სკამზე ჩამოვჯექი და შევყურებდი. ახლოდან უფრო დიდი მეჩვენა. ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ დამაძალა აქ მოსვლა, რა ხათაბალა ავუტეხე ჩემს თავს, ქალი, საერთოდ, ამხელა თუ იყო, რატომ არ ვიცოდი-მეთქი.

– გიგლა, – კარგა ხნის შემდეგ მიხმო.

– ბატონო.

– ზიხარ თუ ფეხზე დგახარ, გიგლა?

– აგერ ვზივარ, მაგიდასთან.

– მანდ ვაშლი დევს, ჭამე.

– არ მიყვარს ვაშლი.

– ერთი ცალი შეჭამე, დედას გაფიცებ.

– კაი, შენი ხათრით შევჭამ, – ავიღე და გაუბედავად ჩავკბიჩე.

– ჭამე გემრიელად, ახრაშუნე, ბიჭო. მიყვარს კაცი რომ ვაშლს ჭამს და ახრაშუნებს. საერთოდ, ვაშლს ხრაშუნი უხდება.

„რა დროის ვაშლია, ხომ არ დამცინის-მეთქი“, – შიშმა გამკრა გულში, მაგრამ ცაცას ანგელოზივით მშვიდ სახეს და დახატულ ცხვირს რომ შევავლე თვალი, მაშინვე ვირწმუნე, რომ ამ შესახედაობის პატრონი საერთოდ არავის გაამასხარავებდა და მით უმეტეს, ჩემისთანა გასაცოდავებულ ყმაწვილს.

– თვალები რა ფერის გაქვს, გიგლა? – ისევ ისე, კედლის გასწვრივ, მაღლა და შორს იმზირება.

– სულ ვერ ხედავ? – კითხვა შევუბრუნე.

– ვერა.

– აბა, რა ჭკუა აქვს, რა ფერის თვალები მექნება, – ცოტა არ იყოს, უხეშად წამომცდა და მაშინვე ვინანე.

– ისე გეკითხები. მე ხომ ფერიც არ ვიცი რა არის. ცისფერიო, რომ იძახიან, ერთი მარტო ცისფერი დამანახვა-მეთქი, რამდენჯერ მინატრია.

– შენ რომ ფერს ხედავ, ის შავი ფერია. ერთი ფერი ხომ ჯიბეში გაქვს. შავი.

– შავი კი. შავი ფერით ყელამდე ვარ.

ახლა რამე გამამხნევებელი თუ არ ვუთხარი, ნამეტანი წავიფილოსოფოსე, და მასპინძელს გული არ ვატკინო-მეთქი და აი, რა მოვიფიქრე:

– ისე, შენთვის სჯობია, რომ ვერ ხედავ. ნეტავ არც მე გხედავდე ახლა, ამ წუთს.

– რატომ, გიგლა, ასე უშნო ვარ?

– სწორედ ლამაზი რომ ხარ, იმიტომ... რა ვიცი... რაცხა სინათლე... სინათლემ სირცხვილი იცის... სიბნელეს რა სჯობია, – სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე, რას ვლულლულებ, მე თვითონ არ მესმის.

– ლამაზი ვარ მართლა, გიგლა?

– გადასარევი.

– რა მაქვს ლამაზი. შენ როდის მნახე?

– ყოველდღე არ გხედავ? – თითქოს დიდად საამაყო რამ ვთქვი და ამ ჩემს წამონაროშზე კინაღამ ფეხი წავიტეხე.

– ყოველდღე? როდის, ბიჭო, მე გარეთ რომ იშვიათად გამოვდივარ?

– რა უნდა შენს ნახვას, დილდილობით ჭიჭიას ხომ ელოდები ჭიშკართან, პური და ბაზრიდან რაცხა-რაცხეები რომ უნდა მოგიტანოს.

– უი, ჭიჭიაც იცი? შენ მთლად მეზობელი ხარ, ასე ჩანს. კი. წადი ახლა, გიგლა, თუ გიყვარდე. დედაშენმა რომ გაიგოს შენი აქ ყოფნა, თმით დამითრევს, ცოდვა არა ვარ?

– დედაჩემი რას მოგაგნებს, ბალახვანში ვცხოვრობ-თქვა, ხომ გითხარი.

– აბა, აქეთ რაზე დადიხარ?

– მეთხუთმეტეში ვსწავლობ.

– ბალახვანში სკოლა არაა?

– გეომეტრია გადამეკიდა და აქეთ გადმოვედი.

– აბა, დედა დაიფიცე.

ქამრის ბალთას ხელი დავადე და დედა დავიფიცე. ვიცოდი, თუ რკინას ხელს დაადებდი, ყოველგვარი ფიცი თავის სასწაულებრივ ძალას ჰკარგავდა.

არც მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით ჩუმად. ბოლოს, ცაცამ, წამოიწია და მეორე, შეკეცილი ფეხიც ძირს ჩამოუშვა. ღაზლის წინდები ეცვა. ცალ ქოშში ტერფი რომ წაჰყო; მეორეს დიდხანს ეძებდა თავის ლამაზი ფეხით. როგორც იქნა, მივხვდი, ქოში მოვუძებნე და ოთხზე დამდგარმა ჩავაცვი. მადლობა გადამიხადა, ყბებზე ორივე ხელი ამომდო და გულზე მიმიკრა. სული კინაღამ შემიგუბდა. „რა მშვენივრად ვიჯექით ცალ-ცალკე, ნეტავ ისე გაგრძელებულიყო-მეთქი“. დაიჯერებთ? გულზე მიმიკრა, მაგრამ ქალი არ მიგრძვნია, ჯიუტად გავიწიე განზე. სიამოვნებით წავიდოდი ახლა შინ და არც არასოდეს მოვიხედავდი ცაცასკენ, მაგრამ რაღაც ძალა მაკავებდა, ინტერესი იმისა, რომ რაღაც სხვა, რაღაც იდუმალი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში. ან იქნებ სულაც ჩემი თავის გამოცდა მსურდა. ისევ სკამს დავუბრუნდი. ხელის თითები გამიცივდა. გული ბაგაბუგით მიცემდა. ლურსმანივით ჩამერჭო თავში ფიქრი: „როგორც ჩანს, ჯერ პატარა ვარ, შევრცხვები“.

ცაცა საწოლის უკან ჩუქურთმებიანი კარადის თავზე დადგმულ ძველთაძველ რადიომიმღებს მიუახლოვდა. კარგა ხანს ატრიალა, მაგრამ შიქასტის მეტი ვერაფერი დაიჭირა. ტიროდა თუ მღეროდა, ვიღაც მუსულმანური აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყნიდან, ვერ გაარკვევდი.

– იყოს? – მკითხა მასპინძელმა.

დუმილით რომ ვუპასუხე, ცაცამ რადიო გამორთო. და კარგადაც მოიქცა. სტამბულის რადიოს გრძელი მოთქმა-გალობანი ბავშვობიდანვე ნერვებს მიშლიდა.

...მთვარით სავსე იყო ოთახი, და ყველაფერს მშვენივრად ვხედავდი. კაცმა რომ თქვას, სინათლე არც კი იყო საჭირო, მაგრამ მახსოვდა, რომ ყველანი ასე იქცეოდნენ და მეც ავანთე.

მოკლედ, იმ საღამოს ცაცამ დამავაჟკაცა.

ტანზე რომ ჩავიცვი, კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ცაცას. საწოლზე ჩამოვუჯექი და გულში ჩავიხუტე.

– კაი, ნუ დამახრჩვე, შე გადარეულო. დამისივდება ტუჩები, კბილებით კოცნა გამიგონია?

ხბოს რომ ძალათი მოწყვეტენ ძუძუს, ისე მომიშორა, როგორც იქნა, ცაცამ.

– წადი ახლა, გეყოფა, ვინმემ არ მოგისწროს.

თითქოს ზარს შემოჰკრესო. გამოვფხიზლდი. ხელი გავუშვი და წამოვდექი. ელდამ თავიდან-ფეხებამდე გამიარა.

„ვინმემ არ მოგისწროს!“

ფულის ტკაცუნზე ცაცა საწოლზე წამოჯდა.

– ფული არ დატოვო, დედას გაფიცებ. გიგლა, თუ ჩემი ხათრი გაქვს. არ დატოვო, თორემ მეორეჯერ არ გაგიღებ, იცოდე, კარს.

ხუთმანეთიანი დავდევი თეფშზე და გამოვედი.

მოვრბოდი ქუჩაზე და ყურებში მიწიოდა: „წადი ახლა, ვინმემ არ მოგისწროს!“

მეჩვენებოდა, რომ მთელ ქვეყანას მერჩივნა ცაცა და რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ერთი საათის შემდეგ ზუსტად ჩემსავით შეეღო ვიღაცას კარი და ჩემნაირად მოფერებოდა.

ღობეს გადავახტი, ეზო ოთხი ნახტომით გავირბინე, ჩვენი პოინტერი ბროლია გულში ჩავიხუტე და ლაშები დავუკოცნე. სახლში არ შევსულვარ. გამოვბრუნდი და ბაგრატიას ქვევრში ჩავჯექი.

„ნეტავ დღეს მაინც აღარ მოვიდოდეს ვინმე“.

მაინც მოვიდა. გრძელკეპიანმა კაცმა ჭიშკარი ფრთხილად გააღო. შიგნიდან ჩაკეტა და კიბეზე აალაჯა.

სინათლის ჩაქრობისთვის აღარ დამიცდია.

ის დღე და ის დღე, ცაცასთან აღარ მივსულვარ.

* * *

ბატონო გელა, ერთი ქალი მიყვარს მაგრამ ვიცი უარს მეტყვის და ამიტომ ვერაფერს ვუბედავო, თავს ვერ შევირცხვენო, ერთმა.

რა თქვი, როგორაო? თავს ვერ შევირცხვენო? რა სირცხვილი და თავის მოჭრა ეგ არის, თუ ძმა ხარ. შენ იმის კაცი ხარ, რომ

შენი უთხრა, ქალი იმისია, რომ თუ არ დაუჯდა ჭკუაში, უარი გითხრას. რა მოხდა მერე. დაიქცა ქვეყანა? თუ მართლა ასე ძალიან მოგწონს და არ იტყუები, უნდა მიხვიდე და უნდა უთხრა. სამი იმპერატორის პრინცესაც რომ იყოს, არ უნდა მოერიდო. ბოლოსდაბოლოს, ცუდს რას ეუბნები, მომწონხარ, მიყვარხარო, მეტს ხომ არაფერს? რა არის ამაში ცუდი? არ არსებობს ქალი, ჩემო იმანო, გულში მაინც რომ არ გაეხარდეს კაცის ყურადღება და სიყვარულის გამოცხადება. შეიძლება გარეგნულად არ შეიფეროს, პირიქით, ზოგი ისე შეიცხადებს, ეს რა მკადრეს, ეს რა გამიბედესო, გეგონება, ჭერი დააქციეს თავზეო. მაგრამ მე რომ ვუფიქრდები, ამასაც განგებ აკეთებს. აქაოდა სხვებმაც გაიგონ, რა ქალი ვარ, ამ კაცს შევუყვარდიო. გულის სიღრმეში კი მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ასეა ეს. გულში არ ჩაიკლა-მეთქი სიყვარული, ამას გეუბნები, მეტს არაფერს, გამეცინა, შენ რომ თქვი, ისეთი ლამაზია, ჩემგან სიყვარულის ახსნას ითაკილებს და სასაცილოდ ამიგდებსო. როგორ გეკადრება მაგის თქმა. რა მოხდა, ქალია, ბოლოსდაბოლოს, მეტი ხომ არაფერი. თუ ცოტა მაინცა აქვს ჭკუა, კრიახს არ დაიწყებს და მითუმეტეს, სასაცილოდ არ აგიგდებს. შენ ვაჟკაცი ხარ და ჭადზე დასაყოლებელ შაჭამანდს კი არ თხოვ, სიყვარულს უცხადებ. რა არის აქ სასაცილო? ჯერ ერთი, ჭკვიანი ქალი კაცის შესახედაობას დიდ ყურადღებას არ აქცევს და ასეც რომ იყოს, რა გაქვს დასაწუნი. მშვენიერი ბიჭი ხარ. ეგ არის, ყურები გაქვს ცოტა ფართე, მაგრამ პატარა, მოხუჭულ ყურებს, ზოგიერთს რომ აქვს, კიდევ ეგ სჯობია, დამიჯერე.

შემხედე, აპოლონ ბელვედერს რომ არ ვგავარ, დამეთანხმები, ალბათ, არც სიმაღლე მოხვდება თვალში ჩემი ქალს და არც თლილი თითები. ვერც შავარდნის გამოხედვით დავატყვევებ და არც იმნაირი ენაწყობა მაქვს, გველს ხვრელით გამოიყვანსო, რუსთაველი რომ ბრძანებს. ერთ ამბავს მოგიყვები და თვითონ განსაჯე. სხვისმა მაგალითმა სხვას შეიძლება კისერი წაატეხინოს, მაგრამ, არა მგონია, ამ ჩემს ამბავში რაღაცა ჭკუის მოსაკიდებელი არ დაიჭირო. დანარჩენი შენს შნო-მარიფათზეა დამოკიდებული, იმისი არ იყოს.

ახლა რომ ჩხობაძეები ცხოვრობენ შენს ზემოთ, მესამე სართულზე, სამასოცდაშვიდში, შარშანწინ ეგ ოთახი ერთ ახალგაზრდა, ორშვილიან მომხიბვლელ ქალს ეკავა. მამამთილმა ჩამოიყვანა ძველი „ვოლგით“, დააბინავა რძალი, ჩემო ბატონო და იმ საღამოსვე უკან გაბრუნდა. ჩვენ არც დაგვლაპარაკებია. უცნობი იყო. დარჩა მოკლეთ ეს ქალი თავისი ორი პატარა ბავშვით. ბიჭი

ასე ექვსი წლის იქნებოდა, გოგო სამის. კალმით ნახატიო რომ იტყვიან, ისეთი იყო. ხორბლისფერი სახე. აბრეშუმის კანი. პატარა, ლამაზი ტუჩები, მხრებზე გადმოყრილი შავი, ვნებისმომგვრელი თმები. კოხტა, მათრახივით მოქნილი ტანი. ჩაცმითაც მშვენივრად ეცვა. ეტყობოდა, ხელმომართული ოჯახისშვილი იყო. ასე ვიჯექით მაშინაც დამსვენებლები და ნარდს ვამღერებდით, მაგრამ ამ ქალს ჩვენსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. არ აინტერესებდა ჩვენი საზოგადოება, მორჩა და გათავდა. დედა, თავისი ორი ნუკრით, ისე ამშვენებდა აქაურობას, ვერ აგიწერ. სულ ბავშვებთან იყო, ბავშ-ვებს ეძახდა, ხან წყაროსთან შეგვხვდებოდა ეს ულამაზესი ფურ-ირემი, კუნტრუშა ხბორებში ჩამდგარი, ხან სულ ახლოს ჩაგვივ-ლიდა კალმახისფერი გრძელი ხალათის შარიშურით და ფრანგული სუნამოს ისეთ ნიავს ააქროლებდა, სუნთქვა შეეკვრებოდა კაცს. მაგრამ რად გინდა, ყურადღება ნოლი! არცერთმა არ ვიცოდით, რა ფერის თვალები ჰქონდა. გვერდით ჩავლისას ფეხს ისე აუჩ-ქარებდა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ამ ქალს არ სურდა თუნდაც ისეთი უწყინარი შეკითხვისთვისაც ეპასუხნა, როგორიც გახლავთ, „რომელი საათია“, ან „ეგ თერმოსი სად შეიძინეთ, ქალბატონო?“

რაღა გავაგრძელო, ჩამივარდა გულში ეგ ქალი. ღამე ძილი არა მაქვს და დღე მოსვენება. არა და ცოლ-შვილით ვარ მეც. მარტო რომ ვიყო, სხვა ამბავია. ცოლი მყავს იმნაირი, ნახატს რომ შევა-ჩერდე, იმაზე ეჭვიანობს. რა გინდა, რომ ქნა. საითაც გაიხედავ, ყველგან იმ ქალზეა ლაპარაკი. ყველა მისკენ ატრიალებს ლოკატო-რივით თავს. ლამაზი ქალი თან ეშმაკიც ყავს გამჩენს. იცის, რომ ყურადღების ცენტრშია, მაგრამ დადის მარტო, ფარშევანგივით. სასადილოშიც ცალკე მაგიდასთან ზის. ეტყობა, მამამთილი ჰყავს უბედურნახევარი. ცალკე დასვა რძალი, ისე, ყოველშემთხვევისათ-ვის. ერთი მუღამი ვიცოდი, ამ დროს ბავშვს უნდა დაუწყო ფერება. ვსტაცე ერთხელ მის პატარა ბიჭს ხელი, დავისვი მუხლებზე. ჰაი იქით, ჰაი აქეთ, მარა შენც არ მომიკვდე, მიმიხვდა ქალი, რატომაც ვეთამაშებოდი ბავშვს. შემატოვა ხელში და გაეცალა იქაურობას. ამით მაგრძნობინა, გიცნობ, ვაჟბატონო, რაც გაქვს გუნებაში, არ გაგივა ეგ ნომერიო.

ერთ საღამოს, ჩემი ცოლი რომ ბავშვს აძინებდა, ვითომ თუ-თუნის მოსაწევად გამოვედი, ავირბინე მესამე სართულზე და და-ვაკაკუნე ფრთხილად, სამასოცდაშვიდის კარებზე. ჯერ არავინ გამეპასუხა. ვიცი, შინ არიან. ისიც ვიცი, რომ პატარა ბავშვები ჰყავს და ამ დროს, თერთმეტს აღარაფერი აკლია, ბავშვებს უკვე სძინავთ.

– ვინ არის? – ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა.

– მეზობელი ვარ, ქალბატონო, მეორე სართულიდან.

– რა გნებავთ?

– გამიღეთ, ერთი წუთით, სათქმელი მაქვს.

– რა გნებავთ, ბრძანეთ – მკაცრი, კატეგორიული ხმა აქვს.

– გააღეთ ერთი წამით, არ შემოვალ, ერთ სიტყვას გეტყვით და წავალ. გელა მქვია, კირთაძე ვარ გვარად. თქვენს ქვევით ორასოცდახუთში ვცხოვრობ. ცოლ-შვილით გახლავართ.

– მაპატიეთ, ბატონო გელა, ახლა გვიან არის, მე თქვენ კარს არ გაგიღებთ და საერთოდ, ძალიან გთხოვთ, ნურასოდეს დააკაკუნებთ ამ კარებზე.

ცოტა ხანს ვიდექი მის კარზე, ბოლოს, იმედი რომ გადამეწურა, ჩამოვფშლატუნდი ძირს და მივწექი ჩემს ლოგინზე მეორე დღეს ერთი-ორჯერ ისე მწყრალად შემომხედა, გამიკვირდა, საიდან იცის, რომ მე ვუკაკუნებდი-მეთქი. ღამით, ისევ იმ დროს, თერთმეტ საათზე მივუკაკუნე. ისევ ის ლაპარაკი, შენ ხარ ჩემი ბატონი. რა დაგიშავდებათ, ერთი წამით გააღეთ, დამენახვეთ, როგორი ხართ, სხვა არაფერი მინდა-მეთქი. მეხვეწება, მემუდარება, წადით, დაიძინეთ, ბატონო გელა, ვერ გაგიღებთ კარს, ბავშვებს ნუ მიღვიძებთ, ძლივს ჩავაძინეო. რომ არ მოვეშვი, მუქარაზე გადავიდა, ხვალ სასტუმროს დირექტორს შევატყობინებ ამ ამბავს, ბოლოსდაბოლოს, ვინ გგონივართ მე და სად გგონიათ თავიო. სადირექტოროს არაფერს ვაშავებ, ქალბატონო, მიმართეთ ვისაც გინდათ, ნუთუ იმდენ პატივს არ სცემთ ადამიანს, იქნებ ერთი ჭიქა წყალი მინდა წამლისთვის, იქნებ ვკვდები კაცი, არ უნდა გააღოთ კარი-მეთქი? ბოლოსდაბოლოს არც ჩვენ ვართ მთლად დაკარგულები, ჩემი წრე და ნათესაობა რომ ჩამოგითვალო, გაგიკვირდება-მეთქი. არაო, პრინციპის გულისთვის არ გაგიღებო. არც მესამე დღეს გამიღო კარი. მეოთხე დღეს ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს ველაპარაკე. ვკვდები, შე ქალო, რა გახდა შენი დანახვა-მეთქი. ნუ გეშინია, არ გავხარ მომაკვდავსო. დღისით ხომ მხედავ, არ გყოფნისო? ღამით სხვა არის-მეთქი. ხულიგანი მიწოდა, მოშორდი ახლა კარებს, თორემ ვიკივლებო. ხმაზე ვატყობდი, არ იკივლებდა. მიეჩვია უკვე ჩემს მოსვლას. ბავშვებს ადრე აძინებდა და მელოდებოდა, როდის დავაკაკუნებდი, შემომიშვი, კუთხეში მივდგები, შენსკენ ფეხს არ გადმოვდგამ, აქ ხალხი მიდი-მოდის, რატომ უნდა იჭორავოს ენააქავებულმა დამსვენებელმა-მეთქი. ამ სიტყვებმა იმოქმედეს, თუ საერთოდ გატყდა მისი მოთმინება, ეგ კი იყო, მოიცა ხალათს მოვიცვამ და გავაღებო. ისე გავთამამდი, კინაღამ წამომცდა; იყავი

მასე, ღამის პერანგში, შინაურულად-მეთქი. გამიღო კარი. იმ ღამეს, მართლაც, კუთხეში მივდექი და ფანჯარასთან მდგარს ვეჩურჩულებოდი დაახლოვებით ერთ საათს. რაღაც სისულელეებს ვუყვებოდი, სალაპარაკოს რა გამოლევს. ოთახში ორი საწოლი იდგა, იქეთ, კედლისკენ, ბიჭს ეძინა, აქეთ-გოგოს. შეყვარებული კაცის გაბედულებას ხომ საზღვარი არა აქვს: გადააწვინე ეს პატარა ჩიტი თავის ძამიკოსთან, მე და შენ აგერ ჩამოვჯდეთ ლოგინზე და ვიჭუკჭუკოთ-მეთქი. ისეთი დამიბღვირა, მიწაში ჩაძვრომა ვინატრე. იმ ღამეს სულ ეს იყო. დასჯილ მოწაფესავით კუთხეში ვიდექი. მეორე ღამეს კარი დაკაკუნებისთანავე, უკითხავად გამიღო. გაგიკვირდება და თადარიგი დაეჭირა, გოგონას კედლის მხარეს, ძამიკოსთან ფეხშექცევით ეძინა, აქეთა საწოლი თავისუფალი იყო. მერედამერე კარსაც აღარ კეტავდა. დაუკაკუნებლად შევდიოდი, რომ ბავშვებს არ გაღვიძებოდათ. ხალათსაც აღარ იცვამდა, ღამის პერანგით მხვდებოდა. ხანდახან იტყოდა. ჩემი თავი მძულს, ასეთ საქმეს რომ ჩავდივარ, მაგრამ რა დამემართა, ანგარიში ვერ მიმიციაო. მართლაც რომ არ იყო გაეშმაკებული და მომენტით მოსარგებლე ქალი. თბილისში რომ გავიკითხ-გამოვიკითხე, უერთგულესი მეუღლის და შვილებზე გადამკვდარი დედის სახელი აქვს, რომ მიდიოდა, წინა ღამით ცრემლებით დამისველა ყელ-მკერდი, მეც გული ამიჩუყდა, ორივემ ვიტირეთ. მაპატიე, ჩემო სიცოცხლევ, რომ ასე შეგაწუხე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო-მეთქი. მართლა არ შემეძლო. ახლა ერთს გთხოვ და შვილს გაფიცებ, თუ არ შემისრულოო, შენი გულისთვის ლომს შევუყოფ თავს ხახაში-მეთქი, მართლაც შევუყოფდი, რაც ჩვენს შორის მოხდა, ამის დავიწყებას არა გთხოვ, ვიცი, შეუძლებელია, მაგრამ თბილისში ნურასოდეს დამირეკავო. ჩავთვალოთ ეს ყველაფერი ლამაზ სიზმრად და საგულდაგულოდ შევინახოთო. პირობა მივეცი, მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდი, ვერ მოვითმინე და დავურეკე. უცნობივით, ცივად მელაპარაკა. თუ ოდნავ მაინც პატივს მცემ, არ დამირეკო, თორემ თავს მოვიკლავო, მითხრა. უკვე მეორე წელი იწურება თვალით არ მინახავს და არც დამირეკავს.

ასე იყო ეს ამბავი. უნდა მიმიხვდე, რატომ მოგიყევი. არ გეგონოს, ჩემი ვაჟკაცობა ჩანდეს აქ. უფრო პირიქითაა, მაგრამ იცოდე, ქალთან, ძმაო, სიჯიუტე ხანდახან კარგი იარაღია. უნდა დაარწმუნო, რომ უიმისოდ არ შეგიძლია. თანაც, თუ ეს ნამდვილად ასე არ არის, ვერაფრით ვერ დაარწმუნებ. ქალები სიყალბეს რაღაც გასაოცარი, ქალური ინტუიციით გრძნობენ. რა შეიძლება დავარქვათ ამ ამბავს, სიყვარული? ჩემი მხრივ იქნებ ჰო, მაგრამ ქალის

მხრივ არავითარ შემთხვევაში. როცა ჩემმა გრძნობამ ქალის გონებაში გაიარა, უკვე გვიან იყო. მაგრამ მან იპოვა თავის თავში ძალა, დროზე გამოფხიზლდა და მომშორდა. რატომ მიპასუხა? რატომ აჰყვა ჩემს სიჯიუტეს? იგი ნორმალური ქალი გახლავთ და მის არსებაში სწორედ იმ მთვლემარე სულმა გაიღვიძა, კაცობრიობას რომ ამრავლებდა იმ ათასეული წლების წინათ, სანამ ასეთი ჭკვიანები და აზრიანები გავხდებოდით. ამიტომაც ჩემს წარმოდგენაში ხომ წმინდან ქალად დარჩა ის ქალი, არც სხვას ვურჩევ მისი საქციელის ხელაღებით განსჯას, რადგანაც მთელს ამ ისტორიაში ბრალი თუ ვისმე მიუძღვის, ისევ და ისევ მე. ქალი კი მაინც ქალია, ძმობილო.

შენ კი დაგიჯინია, უარი რომ მითხრას, ხომ შევრცხვი, ხომ მომეჭრა თავიო. არ დაიჯერო, ეგ ამბავი. უარის შემთხვევაშიც დიდ საქმეს აკეთებ, იცოდე. შენს კაცობას ამტკიცებ და ქალსაც აგრძნობინებ რომ ქალია, იმ შუქს მიჰფენ სიყვარულისას, რომლის გარეშეც ქალი არ ქალობს. ოღონდ კიდევ, ერთხელ გაფრთხილებ – გულწრფელი უნდა იყო. თუ ამ საქმეზე წახვალ, მართლა უნდა გიყვარდეს.

რაც შეეხება შესახედაობას, ეგ ეჭვი ამოიღე გულიდან. შენ მამაკაცი ხარ, მორჩა და გათავდა. ჭკვიანი ქალი მუშტრის თვალით არ გაზომავს შენს მიხვრა-მოხვრას. დიდი ამბავი – ყურები გაქვს დიდი, დაიქცა ქვეყანა?

* * *

ცოლის ქება რომ აუგია, ჩემზე უკეთ თქვენ იცით, ბატონო გელა, მაგრამ სიტყვას მოჰყვა და, ჩემს მეუღლეზეც უნდა გიამბოთ. თქვენ რომ არ წამოგეწყოთ ეს საუბარი და არ შეგეთამამებინეთ, ალბათ, არც მე გამახსენდებოდა, კაი ხანია არავისთვის მიამბნია ფარსაგი არაფერი გეგონოთ, ჩვეულებრივი ამბავია.

მეც მედღეხვალიე კაცი ვიყავი ზოგიერთივით და დაოჯახება დამიგვიანდა. ცხონებულმა ბიძაჩემმა, მარტოხელა გახლდათ, ერთოთახიანი ბინა დამიტოვა და იმ ბინამ კინაღამ დამღუპა, უშვილძიროდ კინაღამ გადამაგო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, ჩამოვედი გოჭოურაში, „ტყავფეხსაცმელში“ დავიწყე მუშაობა უმცროს ეკონომისტად და ვიყავი არხეინად. არხეინად იმიტომ, რომ ერთოთახიანში ვცხოვრობდი, ბიძაჩემის ანდერძის წყალობით, თავზე არ მაწვიმდა, თორემ შემოსავლით დიდად გალაღებული გახლდით-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, ხელფასზე ვიჯექი. ზოგს ასე ეგონა მაშინ, „ტყავფეხსაცმელში“ თუ მუშაობ, თავი ქუდში გაქვსო, მაგრამ არც იმ დროს იყო მთლად ასე. სად

იყო ფული, ფულს უმცროს ეკონომისტამდე ვინ მიუშვებდა. ბედს მაინც არ ვუჩიოდი, რაც მეტს იშოვი კაცი, ხომ იცი, მადაც გე-მატება. საბანს ისე ვიხურავდი, როგორც მწვდებოდა და მივყვე-ბოდი დღეებს აღმა-დაღმა. ერთოთახიანი ბინის პატრონი უცოლო კაცები დამერწმუნეთ, თითქმის ყველანი ერთნაირად ცხოვრობენ. ოჯახს არ ეკიდებიან, ფართობი არ გვეყოფაო, ხოლო იმ საეშმაკო და სამამაძაღლო საქმიანობისთვის, უმეტესი მათგანი რომ ეწევა, ერთოთახიანი ბინა ფრიად მოხერხებული რამ არის. ასე რომ, ჩემი ფიქრით, ერთოთახიან მარტოხელა კაცებს. თუ მათთვის კარგი გვინდა, ან მეორე ოთახი უნდა დაუმატო და მკაცრად დაავლო ცოლის შერთვა, ან ის ერთიც უნდა წაართვა და ქუჩაში დატოვო. ჩემს აზრს მოგახსენებთ, რასაკვირველია. და კანონის ძალას ნუ მისცემთ ამ ჩემ ნათქვამს, მე თვითონვე გთხოვთ.

გადიოდა დრო, გარბოდნენ წლები. ჯერ ისე არ გამჭირვებია, რომ ცოლი შევირთო-მეთქი, ვიმეორებდი უცოლშვილოთა აჩემე-ბულ ნათქვამს, ხოლო უპრეტენზიო და მშვენიერი ქალები, ღვთის წყალობით, მაშინაც საკმარისად იყვნენ.

თავი რომ არ მოგაწყინოთ, ნელ-ნელა ჩავდექი ჯიუტ უცოლოთა მწყობრში, ჩემი წრე მაქვს, ჩემს პატატვრან სიყვარულებს ვაგროვებ, ჩემს სეზონურ ტრფობა-ცრემლობანას და წერილობანას ვთამაშობ. ორმოცს რომ მივუკაკუნე, ჩემ თავს მე თვითონვე ვუთხარი: – ერ-იჰა, ნამეტანი გაუტიე, ბუჭა ხომერიკო. ასე არ ივარგებს, ყურები გამოიფხიკე, და, მამაჩემსა აქვს ცხონება, პირველივე ქალი, რო-მელიც თვალში მოგივა, რასაკვირველია, თუ შენს ცოლობას ღვთის რისხვად არ მიიღებს, შეირთე და ოჯახს მოეკიდე-მეთქი.

ვთქვი და გავათავე კიდეც. იმ წელს მოანგარიშეთა კურსებზე საბუღალტრო აღრიცხვის საათები მომცეს. მოვძებნე სტუდენტო-ბისდროინდელი, დაჩრჩილული რვეული და შევუდექი ლექტორის ძნელი პურის ჭამას, ერთ კვირაში, კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე, სამტრედიელ მოანგარიშე გოგოს დავადგი თვალი. ბევრი გაკითხ-ვა-გამოკითხვა არ დამიწყია, ამ საქმეს რაც მეტს გააჯანჯლებ და ხალხის ჩარევას დაიწყებ, მით უფრო ცუდად დამთავრდება. შეს-ვენებაზე სამასწავლებლოში დავიბარე გუგული და მიკიბვ-მოკიბ-ვის გარეშე ვაჯახე ცოლად გამოყოლის წინადადება. ხვეწნის და დევნა-ლოდინის თავი არა მაქვს, ა, ეს ვარ, რაცა ვარ და, თუ ქალი ხარ, ხვალ მითხარი პასუხი-მეთქი. რაღა ხვალ, ახლავე გეტყვიო, გაეცინა, რა გაქვს ჩემი დასაწუნიო. თურმე იმასაც ჩავვარდნოდი გულში. მე მორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ რაღაც შინაგანი ძა-ხილი აპოვნინებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთს. კარგა ხნის მერე

მითხრა ჩემმა ცოლმა: შემოხვედი თუ არა ჩვენთან ლექციის წასაკითხად, იმ წუთიდანვე ვიცოდი, რომ შენი ცოლი გავხვდებოდიო, სამასწავლებლოში რომ დამიბარე, უკვე მესმოდა, რასაც მეტყოდი და ისიც კარგად ვიცოდი, რაც უნდა მეპასუხნაო.

ასე, გაუჭირვებლად ჩაიფარცხა ჩვენი საქმე. ერთი კვირის შემდეგ განცხადება შევიტანე და პატარა პურ-მარილი გავმართე. შვიდ-რვა ძმაკაცს დავუძახე, მეტის თავი არც მქონდა, მშობლებსაც არ შევატყობინეთ. ჩემებს იმ შუა ზამთარში ჭრებალოდან ჩამოსვლა გაუჭირდებოდათ, გუგულის ავადმყოფი დედაღა ჰყავდა. ამ, და სხვა მიზეზების გამოც, გაზაფხულზე დავთქვით ქორწილი.

განცხადება შევიტანეთ-მეთქი, უკვე მოგახსენეთ და სუფრა რომ ჩამთავრდა, მივაცილე გუგული თავის საერთო საცხოვრებელში. კაკიტელაშვილის ქუჩაზე იყო მაშინ, ახლა მგონი იმ შენობაში ფარმაცევტული სასწავლებელია. ცოლი ხარ ჩემი დღეიდან, ქალბატონო გუგული, შეკარი შენი ბარგი და წამოდი ჩემთან-მეთქი. ამ წუთში ჩამოვალ, დამიცადე, არ წახვიდეო, თქვა, და გაფრთხიალდა. წისქვილის ბორბალი შვიდ შემობრუნებას ვერ მოასწრებდა, ისე ჩქარა გაჩნდა ჩემს წინ პატარა, ნაცრისფერი ჩემოდნით ხელში. იმ ჩემოდანს აქამდე ვინახავდით, მაგრამ ბავშვებისაგან ვერ ვიპატიეთ, ჯერ სათამაშოებს ყრიდნენ შიგ, მერე აფრა გაუკეთეს და ნავად აჯალჯღალებდნენ აბაზანაში.

პირველ ღამეს ვათევ ჩემ ცოლთან და ბედნიერებასთან ერთად, ცოტა არ იყოს, შიშიც გამიჯდა გვერდებში. რისი შიში? ვინმემ არ მომიკაკუნოს შუაღამეზე. არ მომეჭრას თავი. რა დაგიმალოთ და, უსტუმრობას არ ვუჩიოდი მაინცდამაინც. ხან ქმარსგაშორებული ნაზიკო შემოირბენდა, ბავშვს და დედამთილს რომ დაძინებულს დაიგულებდა, ხან, ეს უფრო მიწყალებდა გულს, ძმაკაცთაგანი დამეღრიჯებოდა: გოგო მყავს მოყვანილი და ჩამოგვაჯინე ხუთ წუთს შენ ლოგინზეო. რამდენჯერ „მისეირნია“ შუაღამისას აკანკალებულს ეზოში და შორიდან მითვალიერებია ჩემი ოთახის ჩამქრალი ფანჯრები. არა და, ისე ჯიუტია ზოგიერთი, შენც რომ სტუმრად ქალი გყავდეს, არ შეგეპუება, გააცილე ჩქარა და შემომიშვი, კაცი არა ხარო? არ შემოუშვებ და ცუდი კაცი ხარ, შემოუშვებ და ერთსაათიანი იძულებული ბოლთის ცემით გამწარებული, სწყევლი მარტოხელა კაცის გაჩენას.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ეს შიში გამიცხადდა. შუაღამისას ფრთხილი კაკუნი გაისმა. ჯერ წავუყრუე, იქნებ გუგულიმ ვერ გაიგონოს-მეთქი. ქალს კატის სმენა აქვს, შენ გამოაპარებ რამეს? საათს შევხედე, პირველს აღარაფერი აკლია. მივფშლატუნდი

კართან ტრუსის ამარა. გავაღე და ელდა მეცა. ყელმოღერებული, თეთრხუჭუჭთმიანი, ანგელოზივით რუსის გოგო დგას კართან ჩემოდნით ხელში. დავაკვირდი – ლუსია, ლუსია კურჩატოვა. ამ ზაფხულს გავიცანი ზღვაზე, სევერნოდონსკიდან ვარო, მისამართიც მიწერია ბლოკნოტში სადღაც. რა ქვას ვეცე ახლა, ამ შუაღამისას, რამ გაახსენა ჩემი თავი ამ ოჯახაშენებულს. თუმცა რაღა რამ. რაც მე ამას სიყვარული ვუმტკიცე. კურორტის ლამაზ ფერიებთან ლაპარაკი ყველა მამაკაცს მშვენივრად გვაქვს დამუშავებული: მე-მეთქი ჩემი ბუნებით გულჩახვეული, უენო კაცი ვარ და პირველი ერთადერთი გოგო, რომელსაც გავესაუბრე, თქვენ ბრძანდებით-მეთქი. ადამიანი რომ შეგხედავთ, ისეთი სათნო თვალები გაქვთ და ისე სუფთა გამოხედვა, რომ არ შეიძლება სიმპათიით არ განეწყოს თქვენს მიმართ-მეთქი. აჰა, ჩემი გული და ჩემი მისამართი, სიკვდილამდე ერთგულ მეგობრობას გთავაზობთ-მეთქი. საქართველო ღვთის სიკეთით პირთამდე სავსე ქვეყანაა, იქნებ დაგჭირდეთ ხილეულ-ციტრუსეული, ღვინო, სუფთა ჩაი, ხურმის ჩირი და ამისთანობა, პირველივე თქვენს ზარზე ერთ ვაგონს გამოგიგზავნით-მეთქი. საერთოდ, როგორც კი დროს იშოვით, ჩამობრძანდით, გოჭოურა დინოზავრების ქალაქია, რიონის პირას თხმელებში ახლახანს „არგოს“ ნარჩენები იპოვნეს-მეთქი. ნამეტანი დაპირება ვიცით, მაგრამ იმ წუთებში ისე უხდება საქმეს. ჰოდა, მოკიდა თავის ჩემოდანს ხელი ლუსიამ და ჩამოვიდა ამ სიშორეზე. რას ეტყვი, მე რა ვიცოდი, ცოლს თუ შევირთავდი ასე მალე. კაცმა რომ თქვას, არც თვითონაა მთლად მართალი. დაერეკა (თუმცა სად დამირეკავდა, სადაა ტელეფონი) ან დეპეშა მაინც გამოეგზავნა მაგ მამაგანათლებულს.

გამოვიხურე კარი და გადავეხვიე ლუსიას. საიდან, როგორ, რატომ არ შემატყობინე, ამ შუაღამეზე რამ მოგიყვანა-მეთქი. მიხვდა, რომ შევცბი, მთლად ისე რომ ვერაა ჩემი საქმე, როგორც ელოდა. მოსკოვ-წყალტუბოს ჩამოვყევიო. „გოჭოურა-მეორე“ სადგური თქვენგან საკმაოდ შორს ყოფილა, ავტობუსს საათნახევარი ველოდე და მერე ტაქსს გამოვყევიო. შინ რატომ არ მეპატიჟები, სტუმარი ხომ არ გყავსო. – ჩემო ლუსია, საყვარელო, ცრემლი ყელში მაწვება, ცოლი შევირთე-მეთქი. „ტიჩტო-ვო“, გაიკვირვა, მერე უეცრად სევდამ გადაურბინა გადატკეცილ, ლამაზ სახეზე, რა ვქნა აბა ახლა, სადღა წავიდე ამ შუაღამეზეო.

ამასობაში გუგული ამდგარა, ხალათი ჩაუცვამს და გამომდგომია. „ვის ელაპარაკები, ბუჭა, შემოიყვანე სახლშიო“, მეძახის. კარი გავაღე და ერთმანეთს წარვუდგინე. გაცნობის ცერემონიალი მშვიდად ჩამთავრდა. მოსალოდნელზე გაცილებით უფრო ტკბი-

ლად შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემი დალეწილი რუსულიდან სწრაფად ჩამოვქართულდი, რაღა ახსნა უნდოდა, მაგრამ მაინც: გუგული-მეთქი, ეს გოგო ამ ზაფხულს ზღვაზე გავიცანი და სტუმრად ჩამოვიდა. რა ცეცხლში ჩავვარდე, არ ვიცი-მეთქი. ვენაცვალე, იმის შემდეგ ორჯერ მეტად შემიყვარდა ჩემი ცოლი, რა სასწაული ეს არის, მაგრამ ყველა გაიგებს? ქორწინების პირველ ღამეს გაფაშფაშებული რუსის გოგო მოგადგა ჩემოდნით ხელში, პატარა საქმეა? „ზახადიტე პაჟალუსტაო“, გუგულიმ, შემოიყვანა, მოეფერა, სუფთა პირსახოცი მხარზე გადააფინა და აბაზანაში შეუძღვა, ჩაი გააწყო, დაალევინა, აბრეშუმის კულულებზე ხელს უსვამს, ალბათ, გზაში ნამეტანი გაწვალდითო, ეჭიკჭიკება ჩიქორთულად.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აწი რაღას შვრები, ბუჭა ხომერიკო. სად აწვენ ამ გოგოს. ერთადერთი არაბული ტახტი გვაქვს. შეზლონგი მქონდა მიყუდებული კამოდს უკან, მაგრამ მეზობელს სტუმარი ჩამოუვიდა და, ჩემდა იღბლად, გუშინწინ ვათხოვე, რა ვქნა ახლა?

სად დავაწვინოთ ეს გოგო-მეთქი, გადავუკარი გუგულის. წარბიც არ შეუხრია. ჩემს გვერდით დავაწვენ, აბა, ეს რომ სასტუმროში მივიყვანოთ, გადარევენ, თუ ვინმე სალახანაა გოჭოურაში, ამის კართან დადგებაო. არ იცი, რა დაფეთება იციან, ამნაირი თმის პატრონ გოგოებზეო?

ასე იყო თუ ისე, მოვასვენე, ჩემი ცოლის გვერდით არაბულ ტახტზე ლუსია კურჩატოვა, მე კი – სიძე-კაცი ნათლიაჩემს მივადექი შუაღამეგადასულზე. რომ მოვუყევი, ასე და ასე მომივიდა-მეთქი, ფარანი ხელიდან გაუვარდა ნათლიაჩემს და ისეთი სიცილ-ხითხითი ატეხა, ოჯახის წევრებს ვინ დაეძებს, მეზობლებიც დააღვიძა.

ხვამლს კარგად აშორებული იყო მზე, ნირწამხდარი და ფეხათრეული შინ რომ დავბრუნდი. სხედან ჩემი ცოლი და სტუმარი, ჩაის შეექცევიან და ისე ტკბილად მასლაათობენ, თითქოს ერთი დედის მუცლიდან იყვნენ ნაშობნი და მთელი ცხოვრება ერთად გაეტარებინოთ. „რა მშვენიერი გოგოა, რა საყვარლად ფშვინავდა, რომ იცოდე, მთელი ღამეო. დაძინებულზე ამის ყურებას არაფერი სჯობდაო. რა სუფთა გოგოა, რომ იცოდე, დაწკრიალებული აცვია ყველაფერიო. ნამეტანი ალალი გულის პატრონია, მიამბო ყველაფერი. მომკლა ამის საცოდაობამ, ლოთი შეხვედრია თურმე ქმარი და ხუთ თვეში გამოქცევიაო. ქსოვილკომბინატში ვმუშაობ და საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობო. ისე, რომ უჭირს, ეტყობა საწყალს. უბრალო აცვია ყველფერი, მაგრამ კოხტად მორგებული. სად ექნებოდა ამას ამხელა გზისფული. ხელფასზე მორჩენილი კაპიკებითაა, ალბათ, ჩამოსულიო“.

გუგული ამას რომ მეუბნებოდა, ოქროსთმიანი სტუმარი ხან მე შემოხედავდა და ხან ჩემ ცოლს შეავლებდა ალერსიან მზერას. გადამდები, მომნუსხავი სითბო და თვინიერება დასადგურებულიყო მის დიდრონ ცისფერ თვალებში.

ერთ კვირას დარჩა ლუსია გოჭოურაში, ის ერთი კვირა გვერდიდან არ მოვშორებივართ მე და გუგული. მთელი დღე ხელჩაკიდებული დავატარებდით. რაც შეგვეძლო, ვაგეგუთ-ვაგელათებდით, ხოლო ღამით სტუმარი ჩემი ცოლის გვერდით იწვა და მე, სამზარეულოში, შეზლონგზე მეძინა.

გაცილებისას რიონის სადგურში ისე ხმამაღლა აქვითინდნენ და ჩაეფსკვნენ ერთმანეთს – ძლივს მოვაშორე.

ახლაც დიდი მიმოწერა აქვს ჩემ ცოლთან ლუსიას. ჩამოსვლით კი მეტი აღარ ჩამოსულა. გათხოვდა მალე და, ალბათ ქმარმა აღარ გამოუშვა.

* * *

ილუმინატორს თეთრი წყვდიადი ებურა. თითქოსდა თვითმფრინავი რძეში მიცურავდა. დროდადრო, წყვდიადი რომ ოდნავ შეთხელდებოდა, ფრთებზე ელვასავით გაკრთებოდა წითელი ნათურა. შასები რომ გრუხუნით ჩამოიშალნენ, იმის შემდეგაც კარგა ხანი გავიდა. გელას ეგონა, ესესაა ერთხელ კიდევ ჩავქანდებით და გაცრეცილი ღრუბლებიდან მუქლურჯი მიწა გამოჩნდებაო, მაგრამ ძრავებმა ღონივრად ამოიწუილეს და თვითმფრინავი კვლავ თეთრ ბურუსში გაეხვია. ათიოდე წუთში კი სტიუარდესას მშვიდი ხმა გაისმა: „ყურადღება, თვითმფრინავი ორმოცი წუთის შემდეგ დაეშვება ბაობაოს აეროპორტზე. ჰაერის ტემპერატურა თხუთმეტი გრადუსია“. ესეც ასე. გელა თვენახევარია შინ არ ყოფილა და ახლა, როცა სახლთან ასე ახლოს იყო, სწორედ ახლა დაწყდა ყველაზე მეტად გული, საჰაერო ტრანსპორტმა რომ დააღალატა. „რაღა ახლა დაიკეტა თბილისის აეროპორტი. ცოლ-შვილი მაინც არ გამეფრთხილებინა, აეროპორტის რკინის მოაჯირთან დგანან ახლა და ტყვიისფერ ცას აჰყურებენ. ამ ბოლო ხანს სანტიმენტალური გავხდი. სხვა დროს მოულოდნელად მივადგებოდი ჩემი სახლის პარმაღს. მაინცდამაინც დღეს საოცრად მომინდა, დამხვედროდნენ. თვითმფრინავის ტრაპიდანვე დამენახა ორივენი. ესეც შენ გელა კირთაძევ. ბაობაოს აეროპორტის მოსაცდელის ნაბიჯ-ნაბიჯ გაზომვა მოგიწევს“, ამ ფიქრებით გართულს ზურგსუკან ბავშვის ტირილი მოესმა. მიიხედა. ახალგაზრდა შავთვალწარბა დედიკოს ჩვილი გულზე აეხუტებინა და მთელი ტანით ირწეოდა, მაგრამ ბავშვს მოსწყენოდა თვითმფრინავი

და პროტესტს ისე გულმოსკვნით გამოთქვამდა, რომ გელას გული შეეკუმშა. ჯიბე მოიქექა, გასაღებების შეკვრა ამოიღო და ცხვირთან გაუჩხრიალა. პატარა მოქალაქემ ტირილი შეწყვიტა, გასაღებს ფუნ-ჩულა თითებით მისწვდა, მაგრამ მსწრაფლ მოისროლა და უფრო ენერგიულად ატირდა.

თვითმფრინავი ნელა, ღუღუნით ეშვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ნისლდაფენილი მიწა, რომელიც თანდათან ამოიწია, გაცხადდა. ჯერ ქარხნების აბოლებული მილები გამოიკვეთა, მერე ქუჩები და მეჩეთები. დაჯდომისას თითქოს თვითმფრინავმა სიჩ-ქარეს მოუმატაო, ელვისსისწრაფით შემოტრიალდა უზარმაზარი მწვანე მინდორი, თვითმფრინავისკენ შუაზე ჩაშავებული, მტკვრის-სიფართე ბეტონის გზატკეცილი გამოქანდა. მანქანა წითელ ნა-თურებშუა მოექცა, შხუილით გაიქროლა და ზღართანით შეეხო ასფალტს. მეორე მუხრუჭმა თვითმფრინავი საბოლოოდ დაიმორ-ჩილა, მესამემ კი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკიდან გადაახვევინა და მარჯვნივ, აეროპორტის შენობისკენ „ჩინდრიკით“ წაიყვანა.

სტიუარდესამ მგზავრებს აეროპორტის მოსაცდელში დასვენება შესთავაზა და გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყვნენ, რადგანც თვითმფრინავის გაფრენის ზუსტ დროზე დამატებით იქნებოდნენ ინფორმირებულნი.

გელამ იცოდა, რას ნიშნავდა „აეროპორტის მოსაცდელში დასვენება“ და ისიც მშვენივრად უწყოდა, რომ მგზავრთათვის გაურკვეველი მიზეზის გამო მორიგე აეროპორტზე დაშვებული თვითმფრინავი, სულ მცირე, ოთხ საათს მაინც არ დაიძვროდა ად-გილიდან, ამიტომაც ხელჩანთან ამოიღლიავა და ჩქარი ნაბიჯით აეროპორტის სასტუმროსკენ გასწია.

ბაობაოში ქარიანი, მშრალი ამინდი იდგა. თვითმფრინავების გრგვინვა-სისინისაგან ყურთასმენა არ იყო. ყურადღება მიაქცია: შენობის გასწვრივ, ქუჩის პირას სავარძლები პირწმინდად დაკავე-ბული იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ახლომახლო აეროპორტთაგან მხოლოდ ბაობაო იღებდა თვითმფრინავებს და მოსაცდელში ახლა ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ მოიძევებოდა.

საათზე დაიხედა, ათს აღარაფერი აკლდა.

სასტუმროს ვესტიბიულში ერთმანეთზე მიწყობილი მგზავრები თვლემდნენ. კიბეზეც კი არ იყო ტევა. ჩალმიანი ადმინისტრატორი თეთრი კბილებით ულვაშს იწინკნიდა და ხვადი კატის ბღვერით შესცქეროდა ტელევიზორს. იქვე, მუყაოს შავ ფირფიტაზე დიდი, ბატიფეხური ასოებით რუსულად ეწერა: „სასტუმროში და ბარ-გის შესანახ საკანში თავისუფალი ადგილები არ არის“. ამ უიმედო

განცხადების ავტორს მოეხერხებინა და ნაწერში ოთხიოდე გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომა დაეშვა.

გელა ადმინისტრატორის მაგიდასთან, ყოველშემთხვევისათვის, მაინც მივიდა. ტელევიზორსაც კი შეავლო თვალი. ეკრანზე ქალაქში მოსეირნე ჩანთოსანი კენგურუ მოჩანდა. ტელევიზორს ხმა ჩავარდნოდა და ვერ გაარკვია, რომელ კონტინენტზე და რატომ დასეირნობდა კენგურუ ასე თავისუფლად. ჩვენს გმირს თავისი დარდი ჰქონდა და ცნობისმოყვარეობა დაიოკა. „ამ შმორის სუნს გავშორდები, ჰაერზე მაინც გავივლიო“, გაიფიქრა. ქუჩაში გამოსულს სასტუმროდან ვიღაცამ გამოსდია.

– ბოდიში, თქვენ ადგილი გნებავთ, ალბათ, – ინტელიგენტური გარეგნობის, რუხმოსასხამიანი, მაღალი კაცი ედგა წინ.

– მინდოდა კი.

– იცით რა. ამ წუთში განთავისუფლდა ერთი ნომერი. ადმინისტრატორმა ჯერ არც კი იცის. გამომყევით. მე მოგიხერხებთ ამ საქმეს.

გელა გაჰყვა. მესამე სართულზე ავიდნენ. წელზე შალშემოხვეული, ტანსრული, გადაბმულწარბებიანი მორიგე ქალი ჩაის სვამდა. გელას პასპორტი და ოცი მანეთი დაატოვებინა და თავაზიანად სთხოვა. ცოტა გაიარეთ, თხუთმეტ-ოც წუთში მობრძანდით, დავალაგებთ. სამასოცდარვა იქნება თქვენი ნომერიო.

რუხმოსასხამიან ქველმოქმედს მადლობა გადაუხადა და კიბეზე დაეშვა. ახლა გაახსენდა, რომ შიოდა. წეღან აეროპორტის სკვერში მანდარინს ჰყიდდნენ, თუ მივუსწარი, პირს მაინც გავისველებო.

რიგში ათიოდე მყიდველი იდგა. მემანდარინე, თეთრხალათიანი, ცვირკაუჭა კაცი წამდაუწუმ გაიძახოდა: „ვისაც ჭურჭელი არა გაქვთ, ნუ დადგებით, პარკები გამითავდაო“.

– თქვენ იქნებით ცოტა ხანს? – მიუბრუნდა გელას წინ მდგომი ვაჟურად, მოკლედ თმაშეკრეჭილი გოგონა, რომელსაც სწორი, ლამაზი ცხვირი და რბილი, ალერსიანი ხმა ჰქონდა. ასეთი ხმა მხოლოდ ახლადგაღვიძებულ ქალიშვილებს აქვთ.

გელამ თავი დაუქნია.

– თუ შეიძლება, ახლავე მოვალ. იქნებ პარკი ან გაზეთი ვიშოვო სადმე, – ქალიშვილი შეწუხებული, დაღლილი, მაგრამ საოცრად ლამაზი, დიდრონი ცისფერი თვალებით შესცქეროდა.

– მოითმინეთ, – გელამ ხელჩანთა გახსნა, – მქონდა რაღაც. აი, აქ არის, – „სოლანის“ ფირმის თხელი, ნეილონის პარკი გაუწოდა, – თუ გამოგადგებათ.

– კი, მაგრამ თქვენ? – გამოართვა გოგონამ და პარკზე დახატულ ტორშემართულ ლომს დააჩერდა.

– მე ნახევარ კილოს ვყიდულობ, მეტი არ მინდა, ჯიბეში ჩავიყრი.

– დიდი მადლობა.

– არ ღირს მადლობად, საით მიფრინავთ?

– თბილისმა არ მიგვიღო და აქ დაგვსვეს. თქვენ?

– ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ. – გელას გაეცინა.

– თქვენც ცხრაას ოცდაშვიდი რეისით მგზავრობთ? რატომ ვერ შეგნიშნეთ თვითმფრინავში?

– უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ მე ვერ შეგნიშნეთ. პირველ სალონში იჯექით?

– არა, მეორეში, მესამე რიგზე.

– თქვენ წინ ყოფილხართ. მე მეცამეტეზე.

– რამდენი წელია დავფრინავ და პირველად მოვხვდი საჰაერო შეფერხებაში, – ამოიოხრა გოგონამ.

– თქვენი შესახედაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრენის დიდი სტაჟი არ უნდა გქონდეთ.

– გმადლობთ კომპლიმენტისთვის, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს. მარტო ამ თვეში, მეორედ მოვფრინავ.

– თბილისელი არ უნდა იყოთ.

– რატომღაც ყველას ასე ჰგონია. ძირძველი თბილისელი ვარ. პაპაჩემიც იქ დაიბადა. მაკუტიაში კურსებზე ვსწავლობ.

– რის კურსებზე, თუ საიდუმლოება არ არის?

– ბავშვთა ფეხსაცმელების ქარხანაში ვმუშაობ. ახალი დანადგარები მივიღეთ, გერმანული რეზინის ჩექმების მოდელისთვის. იმ მანქანების გამართვა-პატრონობას გვასწავლიან, აგერ, მესამე თვეა.

– მარტო ხართ?

– ორნი ვართ, მაგრამ ჩემი ამხანაგი მაკუტიაში დარჩა. საერთოდ, მორიგეობით მოვდივართ. რო რამე იყოს, ერთი მაინც ადგილზე იქნება.

– თქვენი ქარხანა მანსვეტაშვილის ქუჩაზე არ არის?

– დიახ.

– სახელი თქვენი?

– ლია.

– მე გელა მქვია. ოჯახური მდგომარეობა, ლია?

– გაუთხოვარი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს?

– უფრო ზუსტად, გასათხოვარი. მნიშვნელობა თქვენზე უიმედოდ შეყვარებული ბიჭებისთვის აქვს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა. ასეთები ბევრნი არიან?

ლიას ჩაეღიმა.

– არც მაინცდამაინც.

– თუ ყოფილა თქვენს რთულ ცხოვრებაში მოტაცების მცდელობის ან ღამით საწოლიდან მოპარვის შემთხვევები.

– ჯერ არა.

– ამაშია საქმე. ამიტომ მიკვირს შენი ტოლი ბიჭების. მათი ვერაფერი გამიგია. შეიძლება შენისთანა ლამაზი გოგო არ მოიტაცონ?

– აბა, აბა, – აჰყვა ხუმრობაში ლია ახალგაცნობილ მამაკაცს, – თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით?

– ოცდაჩვიდმეტის. ძალიან დიდი ვარ?

– არც ისე. მე რამდენის ვიქნები?

– ოცის.

– უფრო ზუსტად?

– ოცდაერთის.

– ოცდახუთი თებერვალში შემისრულდა.

– ვერ დავიჯერებ?! – შეიცხდა გელამ.

– არც სხვებს სჯერათ.

– ჰოდა, ჩვენს დროს რომ ყოფილიყავი, აუცილებლად მოგიტაცებდნენ. შენისთანა საყვარელ გოგოს ვინ გაუშვებდა. მე მოტაცებით შევირთე ცოლი. ჩემმა ძმამაც. მამაჩემსაც მონატაცები ჰყავს დედაჩემი.

– რა საშინელებაა.

– რა? მოტაცება? სულაც არა. პირველი ხუთი საათი ჭირს, თორემ მერე ყველაფერი უზურში დგება. ახლა ნამეტანი სასიამოვნო პროცედურაა-მეთქი რომ გითხრა, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც იტაცებენ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. განსაკუთრებით პირში ჩვრის ჩაჩრაზე გამოთქვამენ პროტესტს.

– ხომ შევიშლები!

– გააჩნია, ვინ მოგიტაცებს. თუ ცხრათავიანმა დევმა მოგიტაცა, შეიძლება ნერვული სტრესები დაგეწყოს, მეტი არაფერი. შეშლას ვერ მოასწრებ. ახალი ცხოვრება თავის ცოტა არ იყოს უხეშ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც სასიამოვნო კანონებს მოგახვევს თავზე და შენც შეეგუები. მეტსაც გეტყვი; მონატაცებ ქალებს რაღაცნაირი სიამაყის, თუ უპირატესობის განცდაც დაჰყვებათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

– „ისე კარგი ვიყავი, რომ მომიტაცეს“, პატარა ამბავია?

ამას გელა ირონიულ-სერიოზული ღიმილით ამბობდა. მარჯვენა ხელის ცერა და შუათითს დროდადრო ერთმანეთს გაუტკაცუნებ-

და, ხოლო მარცხენათი მოსასხამიდან ჩამოცურებულ გრძელსამკლაურიან, ოვალურ ჩანთას ისწორებდა. ლია იცინოდა, მორიდებული მოგუდული სიცილით, რადგანაც არ უნდოდა რიგში მდგომთა ყურადღება მიექცია, ხოლო ის, რასაც გელა ამბობდა, იმდენად სასაცილოდ ეჩვენებოდა, რომ პირზე ოთხივე თითს აიფარებდა და სუნთქვაშეკრული, შავწამწამშემოსალტული, სხივჩამდგარი თვალებითღა იცინოდა.

ერთი კილოგრამი მანდარინი იყიდეს, სკვერში გავიდნენ და უწყლო აუზის პირას ამოტრიალებულ, მოჭიქულ დელფინზე ჩამოსხდნენ.

– ღმერთო, რა მოსაწყენია უაზრო ლოდინი, – თქვა გოგომ და ცას ახედა.

– უაზრო, ალბათ, მოსაწყენია, მაგრამ როცა საქმე გაქვს. არც ისე აუტანელი უნდა იყოს, – წაიფილოსოფოსა გელამ.

– საქმეს გააჩნია, რა საქმე გაქვთ თქვენ ახლა ამ წუთში?

– ძალიან დიდი. თქვენ უნდა გაგართოთ.

– ოჰო, ძნელი მისია გიკისრიათ.

– მე არ მიკისრია, ღმერთმა იცოდეს, გარემოებამ მიკარნახა.

– ხომ არ გაგანთავისუფლოთ ამ ტვირთისაგან?

– ამაზე დიდ მტრობას ახლა ჩემს მიმართ ვერფერს ჩაიდენდით.

– წინათგრძნობა როგორი გაქვთ?

– რაზე მეკითხებით?

– გული რას გეუბნებათ, როდის გავფრინდებით?

– ხვალ დღის მეორე ნახევარში თუ გავფრინდით, დიდი შეღავათი იქნება.

– გაგიჟდით? ხვალ თორმეტ საათზე ჩემი მეგობარი ხელს აწერს, უსიკვდილოდ უნდა ჩავუსწრო.

– ხელისმომკიდე ხართ?

– არა, მაგრამ, სპეციალურად ამისთვის წამოვედი.

– ჩატარებულა უთქვენოდ ქორწილი და ეგაა.

– კარგი რა. ნუ გამიხეთქავთ გულს.

ამის შემდეგ სამ საათს ისაუბრებენ ლია და გელა დაახლოვებით ამგვარ თემაზე: ქალი – „მაღლებზე სიარულს გადავეჩვიე, ისევ მოდაში რომ შემოვიდეს, „რა მეშველება“... ვაჟი – „ნებისყოფა არ მივარგა. ხუთი წელია, წვერის მოშვება მინდა და ვერაფრით ვერ მოვახერხე“.

ორს გადაშორებული იყო, როცა დიქტორმა გამოაცხადა: „ცხრაასოცდაშვიდი მარშურტის თვითმფრინავის გაფრენა ექვს საათს დაიგვიანებს. აეროფლოტი ბოდიშს გიხდით მეტეოროლო-

გიური მიზეზით გამოწვეულ შეფერხებაზე. თქვენს განკარგულებაშია აეროპორტის ფეშენებლური სასტუმრო და მოისვენეთო“.

– ხომ ვამბობდი, – ჩაილაპარაკა გელამ, იმგვარი კილოთი, თვითონვე რომ ეჭვი ეპარება კაცს წინასწარმეტყველებაში და შემთხვევით რომ გაუმართლებს.

– რა მეშველება? – ფეხზე წამოდგა ლია.

– დილის ცხრა საათზე თუ მაინც გავფრინდით, ჩაუსწრებთ. თბილისამდე ერთი საათის საფრენია.

– სხვა ტრანსპორტით რომ წავსულიყავი?

– აქამდე უნდა გვეზრუნა. მატარებელი, ალბათ, უკვე გავიდა.

– იქნებ გაგვეგო?

ცნობათა ბიუროს რკინიგზის სადგურის ტელეფონი რომ ჰკითხეს, გოგონამ, თითქოს ცნობისწადილს მიუხვდაო, შეაგება, – თბილისისკენ ბოლო მატარებელი პირველის ნახევარზე გავიდა. საღამოს შვიდ საათამდე აღარაფერი გადის. ავტობუსი დილის ცხრა საათზე უნდა წავიდეს. ათ საათს მაინც მოუნდება ჩასვლასო“.

– სასტუმროში ადგილს მაინც თუ იშოვის კაცი? – სასოწარკვეთილის ხმით იკითხა ლიამ.

– ვერ გეტყვით. სასტუმრო აქვეა და მიბრძანდით, – გაუღიმა ცნობათა ბიუროს თავაზიანმა თანამშრომელმა.

სანამ სასტუმრომდე მივიდოდნენ, გელამ მოასწრო ეთქვა გოგონასთვის, რომ სასტუმროზე უკვე იზრუნა, იღბლად, ვიღაც ღვთიანმადლიანმა მოუგვარა ეს საქმე არც თუ უანგაროდ და, თუ გაჭირდა, ცისფერთვალება პრინცესას თავის ნომერს დაუთმობს.

– მერე თქვენ? – თავმოუბრუნებლად ჰკითხა ლიამ.

– მე გარეთ კიბეზე ჩამოვჯდები, ან ცხენივით ფეხზე გავათევ ღამეს ვალმოხდილი რაინდის სასიამოვნო ფიქრით გასმჭვალული.

– არ ვიზამ ამას.

– რატომ? არ გინდათ რაინდობაში ხელი შემიწყოთ?

– ძალიან დიდი მსხვერპლი იქნება. კაცებს უფრო გინდათ მოსვენება.

– რატომ?

– ქალები ხომ გაცილებით უფრო ამტანნი ვართ.

– ეგ ჰიპოტეზა ჯერჯერობით ბოლომდე დამტკიცებული არ არის.

სასტუმროს ადმინისტრატორი დახლსმოჯარულ მგზავრებს წამდაუწუმ უცხადებდა: „ტყუილად დგახართ, არცერთი ადგილი არა

მაქვს და დილამდე არც განთავისუფლდებაო“. კარებშივე გამოტრიალდნენ და კიბესთან რომ მივიდნენ, ლია ალაპარაკდა.

– ძილი ნებისა, ბატონო გელა. ხვალ თვითმფრინავში შეხვედრამდე – ხელი დაუქნია და წასვლა დააპირა, მაგრამ გელა წინ გადაუდგა.

– მოითმინეთ, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ.

– ჩვენ ვერ მოვილაპარაკებდით. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ახლა კი მე მოსაცდელში შევალ, თქვენ თქვენს კუთვნილ ნომერში.

– ასე არ გამოვა. ნუთუ?

– ძალიან გთხოვთ, ნუ შეშფოთდებით. ნომერში ჩვენი ერთად ყოფნა რომ გამორიცხულია, მე მგონი ეჭვი არ გეპარებათ, ხოლო თქვენი ოთახის ჩემთვის დათმობის ჯენტლმენურ წინადადებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებ.

– რატომ?

– ჯერ ერთი, მეცოდებით და მეორეც, მე არაფერი არა ვარ თქვენი. ბოლოსდაბოლოს სიტყვაზე ხომ არ დაგიჭერთ უცხო კაცს.

– ავიდეთ, იქნებ უფრო უმტკივნეულოდ მოგვარდეს საქმე.

– მაინც?

– იქნებ კიდევ აღმოჩნდეს ნომერი. მოველაპარაკები. ავიდნენ. შავწარბება მორიგე კვლავ ჩაის შეექცეოდა. მან გაბუტულივით გახედა მოსულებს და გელას უსაყვედურა; სადა ხართ აქამდე, თქვენი ოთახი კინაღამ გავეციო. ქალიშვილს ახედ-დახედა და წარბები შეიკრა; ჩვენ ასე არ მოგვილაპარაკნია. სტუმრისთვის დამატებით ოცი მანეთი უნდა გადაიხადოთო.

ლია ფანჯრის გვერდით გაკრულ ქალაქის გეგმას მიუახლოვდა და განგებ დააჩერდა. გულისყური აქეთ ჰქონდა. გელამ კი ენის ბორძიკით აუხსნა მორიგეს, რომ ეს ქალიშვილი, მისი ახლო ნაცნობი, შემთხვევით შეხვდა, თუ ადგილს მოუძებნის მორიგე, ძალიან მადლობელი დარჩება და უპატივცემლოდ არ დატოვებს, თუ არა და, თავისი ნომერი უნდა დაუთმოს. სასტუმროს თანამშრომელმა დაამთქნარა, პირზე სამჯერ რბილად მიირტყა ხელი და როდის, როდის ამოღერღა. – ადგილზე ლაპარაკი ზედმეტია. ერთად ვერ დაეტევით?

– ვერა, – მიუგო გელამ.

– თქვენი საქმისა თქვენ იცით, – მორიგემ სცადა, მკლავიმკლავში ჩაეხვია, მაგრამ, როგორც ჩანს, სუნთქვა შეეკრა და კვლავ მაგიდაზე დააწყო თავისი ქვირითით გატენილი ორაგულებივით სრული და მძიმე მკლავები.

თანამგზავრების კამათმა ქალაქის გეგმასთან გადაინაცვლა. როცა შეიტყო, რომ გელა უადგილოდ რჩებოდა, ლიამ კვლავ წასვლა დააპირა. გელამ დაიფიცა, რომ თუ ლია თავისას არ დაიშლიდა, ნომერში ამაღამ ფეხს არ შედგამდა.

– რატომ? რატომ? – ეკითხებოდა გოგონა.

– ასე ძნელი მისახვედრია? თქვენ ქუჩაში დაგტოვებთ და მე მშვიდად დავიძინებ სასტუმროში? ასეთ უზრდელს ვგავარ?

– კი, მაგრამ ჩემი მხრივ რა გამოვა? გამოგელაპარაკეთ, გაგიცან-გამოგიცინეთ და დაღლილ, ცოლშვილიან კაცს თავშესაფარი წაგართვით?

– ასე რთულად არ არის საქმე. ამ შემთხვევაში მე უბრალოდ ჩემს მამაკაცურ მოვალეობას ვასრულებ.

– სხვასაც ასე დაუთმობდით ნომერს? – ლიას ხმაში სილბო გაერია.

– უყოყმანოდ.

– კეთილი. ოღონდ დილით კიბეზე ჯდომით განაწამები და უძინარი თქვენს თავს სარკეში რომ შეათვალიერებთ, არ ინანოთ და არ გამკიცხოთ, კარგი?

– პირიქით. ჩემი უძილობა მოსატანიც არ იქნება იმ სიამაყესთან, რომელიც დამეუფლება, როცა გავიფიქრებ, რომ ჩემთვის განკუთვნილ საწოლში უმშვენიერეს თბილისელ ასულს ეძინა.

– აბა, ღამე ნებისა. თქვენ მაინც სად იქნებით?

– ჩემზე ნუ იდარდებთ. თუ მორიგესთან საუბარი მომწყინდა, ან, რაც უფრო საფიქრებელია, თვითონვე დამითხოვა თავისი რთული, ინტელექტუალური საქმეების გადამკიდემ, სულაც ფანჯრის რაფაზე შემოვჯდები და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ფიქრით გავათევ ღამეს.

ლიამ გასაღები გამოართვა, სამასოცდარვა ნომერს რომ მოარგო, ერთხელ კიდევ გამოხედა მამაკაცს და გაუღიმა.

დაფანჩულწარბება მორიგე ზანტად, უხალისოდ შესცქეროდა უცნაურ სტუმრებს. როცა გელამ სკამი კედლისკენ გააჩოჩა, ფეხები გაშალა და ჭერს ააცქერდა, მორიგემ ირწმუნა, რომ აქ ერთმანეთთან პასპორტით დაუკავშირებელ ქალისა და მამაკაცის წინასწარმოფიქრებული, სასტუმროს ადმინისტრაციის წარმომადგენლის თვალის ასახვევად გამიზნული სცენა კი არ გათამაშდა, უბრალოდ ამ ორ მგზავრს ჯერჯერობით მხოლოდდამხოლოდ დაგვიანებული თვითმფრინავი აკავშირებდა.

მორიგე უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. გელას ჩაით გაუმასპინძლდა და რევოლუციამდელი ქალის უუფლებო მდგომარეობაზე საკმაოდ ვრცელი (თუმცა შიგა და შიგ მოსაწყენი) ლექციაც წაუკითხა. მერე, როცა შენიშნა, რომ

სტუმარს თვალები ელულებოდა; ჩაიდანი გამორთო და მშვიდად, დაბეჯითებით უთხრა.

– ფულის დამატება მაინც მოგიწევთ.

– რატომ? – ჰკითხა გელამ.

– თქვენი ნაცნობი გოგონა დაახლოებით თხუთმეტ წუთში დაგიძახებთ და ნომერში შეგიპატიჟებთ.

– რა იცით? – გელას ხმაში შეშფოთებაც გაკრთა.

– რა ცოდნა უნდა. მეც ხომ ქალი ვარ. გუმანით ვხვდები.

მორიგეს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ სამასოცდარვა ნომრის კარი გაიღო და ლია გამოვიდა. ბანანის სისტემის თხელ შარვალზე გრძელი, ბეჭებზე თექადატნეული სვიტრი ეცვა. მოდიოდა ღამაზად, ტანის რხევით, წელში გამართული და ტანკენარი.

– იცით, რა, როგორც მახსოვს, ჩანთა გქონდათ. სად უნდა ატაროთ ამ ღამეში. მომეცით, შევინახავ.

გელამ ჩანთა გაუწოდა.

– ღამე ნებისა, – თქვა გოგომ, ჩანთა მხარზე გადაიკიდა და გატრიალდა, შეჩერდა, მოიხედა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

როცა ლია თვალს მიეფარა, სართულის მორიგემ გელას რომელიღაც შინაური ცხოველის ფართო და წყლიანი თვალები მიანათა და ეშმაკურად ჩაიღიმა:

– ხომ გითხარით.

– ეს ჯერ არაფერს ნიშნავს, – გელას აშკარად არ სურდა სართულის მორიგესთან ფამილარულ-საიდუმლო სჯა-ბაასში ჩაბმულიყო და, ღმერთო შეგცოდე, მგონი არც ის უნდოდა, რომ ბაობაოელი მანდილოსნის გუმანი გამართლებულიყო. ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და სცადა, დამძიმებული ქუთუთოები დაესვენებინა.

მორიგემ წიგნი ამოიღო და შუაზე გადაშალა. სიჩუმეს მხოლოდ მისი ხვნეშიანი სუნთქვა და წიგნის გადაფურცვლა არღვევდა.

– გელა! – თითქოსდა ძილბურანში ჩაესმა.

თავი ასწია.

– მანდ ძალიან გაწვალდებით. ნომერში დივანი დგას, იქნებ დივანზე მოისვენოთ?!

– დიდი მადლობა. არა მიშავს.

– იქნებ მორიგეს ერთი თბილი ზეწარიც გამოართვათ.

კარი რომ მიიკეტა, გელა წამოდგა და ჯიბეში ხელჩაწყობილმა მორიგეს შეხედა. ქალმა კარადა გამოაღო, მრგვალად დახვეული ზეწარი გაუწოდა გელას.

– მე ცხრა საათზე გამოვიცვლები. ანგარიშის გასწორება არ დაგავიწყდეს.

* * *

სისულელეების ჯამი იყო ჩემი სიყმაწვილე და ასე სისულელ-სისულელეებით გავედი ბოლომდე. შენ არ მომიკვდე, მე დაჭკვიანება და დაბრძენება არ მეგრძნოს.

შეცდომების ჯაჭვი ყოფილა ადამიანი, მეტი არაფერი.

ახალგაზრდობა იმიტომაა ყველაზე ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული... ამკრძალავ ნიშნებს მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემ. გაბედული ხარ... ჯიქურ ასკდები ცხოვრების ბარიერს. სიფრთხილისა და წინდახედულების ბორკილი ვერაფერს გაკლებს.

ახლა? ჩემს ასაკში? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. „ეს არ შეიძლება“, „ეს არ მეკადრება“, „ეს დაგვიანებულიამ“ ლამის შემჭამოს და სული ამომართვას.

დეკემბერი იწურებოდა.

უსიამოვნო, ქარყინვიანი ამინდი იდგა.

ტროლეიბუსიდან ჩამოვედი, ტალახიან გვირაბში გავძვერი და ჩვენი რედაქციისკენ მივაბიჯებ. თავჩაქინდრული, რომ იტყვიან, მხრებაწურული.

ვფიქრობ, რა გაძლებს მეთქი ამ სიცივეში ჩემს კაბინეტში რვა საათს. რაც მოსკოვმა გაზი და ელექტრონი შეგვიწყვიტა, მოგეხსენება, არსად არაა წესიერი გათბობა და ჩვენთან იქნება? ძველთაძველი შენობაა, ომამდე დამონტაჟებული მილგაყვანილობა და რადიატორები უდგას.

კიბე რომ ამოვიარე, მაშინვე შევნიშნე ქერათმიანი, დიდტუჩება ლამაზი გოგო. ბუკლეს ჭრელი პალტო ეცვა და ქუდი, რასაკვირველია არ ეხურა.

პურის მოგრძო ნაჭერი ჩაებღუჯა და ისე მადიანად ჭამდა, თვალს ვერ მოწყვეტდი. ჭამდა თავის სილამაზეში, თავის თვალმოუწყვეტლობაში დარწმუნებული. თითქოსდა ახარბებდა ქვეყანას თავის ოც-ოცდაორ წელს. ჭამდა თამამად და უფრო თამამად აყოლებდა თვალს გამვლელ-გამომვლელთ. ადრე არასოდეს შემინიშნავს. არც სიცივე აწუხებდა, არც, ჩემი შეტყობით, დიდი რამე დარდ-საზრუნავი.

იდგა ახალი ადამიანი, საზოგადოებას შემატებული ლამაზი გოგო, თითქოსდა იმ თავაწეული თამამი დგომით და სუფთა თვალებით მთელ ქალაქს აფრთხილებდა, მოვედი მე და ანგარიში გამიწიეთო... ჩემი წილი, რაც მეკუთვნის ამ ცხოვრებიდან, კეთილი ინებეთ და გამომიყავითო, თავის ადგილს ითხოვდა, მეტს არაფერს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა სილამაზეა... ერთი და იგივე ხალხით გაბეცებულ, გახუნებულ ქუჩაზე უეცრად რომ გამოჩნდება ახალი სახე, ახალი პიროვნება. გუშინ იგი ბავშვი იყო და ვერ ვამჩნევდით. შეიძლება აქაც ბევრჯერ შეგვხვედრია მოწაფის ჩანთით და წითელი წკაპუნებით. ახლა ერთბაშად წამოიმართა ჩვენს წინაშე და ბიჭი ხარ, არ შეხედო, თვალი არ გააყოლო. თუ მოინდომა ტვინს გადაგიბრუნებს და ფეხს აგარევინებს.

შევხედე და ჩავუარე. მეტი რა. მე შუახნის კაცი ვარ. სხვა არაფერი მეხება.

ჩემი წილი სისულელეები ჩადენილი მაქვს.

თვალს ხომ არ გავუსწორებ ოცი წლის ანგელოზს და სასაცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩავიგდებ თავს.

იგი სხვა გაზაფხულებს მოჰყვა. სხვა თაობას ეკუთვნის. თავის ჩანჩქერებს ათამაშებს.

ვტუცავ ახლა ჩემს კარებში თავს და ვაჩხაკუნებ საღამომდე ჩემი მოწყენის ჩოთქს.

ეს ყოფილა ჩემი ბედი.

კარებამდე ათიოდე ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, რომ მკლავზე ვიღაც შემეხო.

– თქვენ, თქვენ... – მოვიხედე, ის არის. ცალ ხელში პურის დარჩენილი ნაჭერი უჭირავს, მეორეთი ჩემს ძველთაძველ, გაცრეცილ ხელთათმანს მაწოდებს.

– მე მგონი, თქვენ დაგივარდათ.

– დიდი მადლობა, საყვარელო, – რა ჯანდაბამ ამოაგდო, ჯიბეში მედო, გამოვართვი...

არ მიდის. პურს ჭამს, ისევ ისე, მადიანად და გემრიელად.

– ნახეთ, მეორეც ხომ არ დაკარგეთ.

ჯიბე მოვიჩხრიკე.

– მეორეც ამომვარდნია, ეს ოხერი. იქვე იქნება, ეს სად იპოვეთ?

გვერდით მომყვება, ჭადრებთან არ ჩანს ჩემი ხელთათმანი. იქნებ გვირაბში დამივარდა.

მოვიხედე, მომყვება.

– არა უშავს. თქვენ წაბრძანდით, ვიპოვი როგორმე. თუ არა და თქვენი ჭირი წაუღია, ტროლეიბუსში ისეთი ქიჩაობაა, სული არ შეგრჩება კაცს. შეიძლება ტროლეიბუსშიც ამომივარდა.

ავიარეთ გვირაბი. გაჩერებამდე მივედი. და უკან გამოვტრიალდით.

შეწუხებული სახე აქვს.

– რას უზამთ ახლა ამ ცალ ხელთათმანს?

დავაკვირდი, ხომ არ დამცინის.

– რა უნდა ვუყო, გადავაგდებ.

– ჯერ ნუ. იქნებ აღმოჩნდეს – გაიცინა – სხვათაშორის, ერთხელ, დედაჩემმა ცალი საყურე დაკარგა. უბრალო ბიჟუტერია იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი. ისე მიყვარდა ის საყურე. ეძება, ეძება და რომ ველარ იპოვა, ადგა და მეორეც გადააგდო. ერთი კვირის შემდეგ ბებიაჩემის ოთახს რომ ალაგებდა, არ იპოვა ის პირველი დაკარგული? რაღას იზამდა, იქნებ ვინმემ... ან იქნებ სახლში დაგრჩათ.

– გამორიცხულია, – ამოვიხვნეშე.

– ძალიან გცივათ ხელებზე?

ეს უკვე მეტისმეტია. ნამდვილად დამცინის.

– არც ისე.

– ცალ ხელზე რომ გეკეთოთ და ცალი ჯიბეში ჩაიდოთ? – იღიმება.

– რაღაცას მოვიფიქრებთ. ცალი ხელთათმანი შარშან დავკარგე და, თუ ძალიან გამიჭირდა, ცალ-ცალს გავიკეთებ.

– გენიალურია! – აღტაცებული თვალები შემომანათა, – თქვენ იუმორის გრძნობა გაქვთ. რა ფერისაა ის ძველი, ცალი ხელთათმანი?

– მწვანე!

– გენიოსი ხართ! დედაა! ასეთი ტონკი მამაკაცი არ შემხვედრია, – გულიანად იცინის – მაშ მწვანეა? არაუშავს, სხვათაშორის, ორიგინალური იქნება შავი და მწვანე ხელთათმანი! ერთი სული მაქვს, სანამ ამ ამბავს დალის ვუამბობ...

– დალი ვინ არის?

– ჩემი დაქალია. სამნი ვართ ჩვენ, სამი დაქალი, მე – თამთა, დალი და ქეთი. ქეთი ყველაზე ჭკვიანია ჩვენს შორის.

– რაზე ატყობთ ხოლმე გოგოები, რომელი უფრო ჭკვიანია თქვენს შორის?

– რა ვიცი... ვატყობთ... ქეთი მაგალითად, ყოველთვის უფრო ჭკვიანურად ლაპარაკობს და კიდევ მომენტებში ჩვენსავით არ იბნევა. სულ იცის, რას რა მოჰყვება.

– ააა... ჰოოო... წავედი ახლა მე, თამთა, დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ხელი გავუწოდე.

– აქ მუშაობთ?

მოიწყინა.

– ჰო.

– რაზე?

– რედაქტორი ვარ.

გაიცინა.

– სატინის სამკაულები გიკეთიათ ხოლმე?

– შიგადაშიგ.

– ასე მგონია, ძალიან მოსაწყენი პროფესიაა მეთქი.

– საერთოდ კი. დღეს, ალბათ, მოწყენილი არ ვიქნები.

– რატომ?

– გამახსენდება, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ძალიან შეაწუხა ჩემი ხელთათმანის სავალალო ისტორიამ.

რა მერომანტიკულებოდა, მაგრამ, ხანდახან, მეც ვიცი ხოლმე მაღალფარდოვანი ლაპარაკი. იმ წუთში ცამდე მართალი ვიყავ. გულიდან მოდიოდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, არ უნდა მეთქვა. და საერთოდ, რატომ არ უნდა თქვა კაცმა, ის, რასაც ფიქრობ?

ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსო, ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი მორცხვად ჩაექინდრა და ფეხის წვერი ნაზად გაესვა ასფალტისათვის. გაესვა რაღაცნაირად, ტანის ლამაზი რხევით, როგორც ამ ასაკის გოგოებმა იციან.

ჩანთა გახსნა და ლურჯი უბის წიგნაკი ამოიღო.

– თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ჩავიწერ.

– რად გინდათ?

– დაგირეკავთ.

– და რას მეტყვით?

ეშმაკურად მოწკურა თვალი და განზე გაიხედა.

– გკითხავთ, ხელთათმანი ხომ არ იპოვეთ მეთქი.

– მეტს არაფერს?

– როგორ ბრძანდებით მეთქი.

– ო, ეს უკვე საქმეა. ჩაიწერე: „ოცდაცხრა ნოლ რვა ოცდათექვსმეტი“.

ჩაიწერა, ბლოკნოტი ჩანთაში ჩაიდო.

– აბა ნახვამდის, თამთა, მოიწერე ხოლმე.

მომწვანო-მოთაფლისფერო თვალები გაოცებით შემომანათა...

– რა მოვიწერო?

– არაფერი. ეს სიტყვები აჩემებული მაქვს. ოსტაპ ბენდერი ხომ გახსოვს, – „მოიწერეთ ხოლმეო“ და მისამართს არავის უტოვებდა.’

თვალებში შევატყვე, რომ ოსტაპ ბენდერმა დიდად არ დაინტერესა.

უბრალოდ ვერ გაიგო. ნახვამდისო თავი დამიქნია და წავიდა. მე საათზე დავიხედე და მაშინვე კარებში ვტუცე თავი, ამიტომაც, ცოდვას ვერ დავიდებ; არ დამინახავს, როგორ მიაბიჯებდა.

არ მიყვარს გოგოებისათვის თვალის გადევნება.

მიდიოდა ალბათ ჩანთის ქნევით, ლამაზად, ოღონდ ცოტა უფრო დაფიქრებული, ვიდრე ამ ოცი წუთის წინ. როცა პურის ნაჭერს მადიანად ჭამდა და თავისი ფართო, ქართული თვალებით მთელ ქვეყანას ზედ აყოლებდა.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს დამირეკა.

თამთა ვარო.

რომელი თამთა მეთქი.

გითხრა სიმართლე აღარც ის გოგო მახსოვდა და, მითუმეტეს, აღარც ხელთათმანი.

როგორ რომელი. ასე ბევრი „თამთები“ გყავთო?

ცოტა არ იყოს გულმოსულად, პრეტენზიულად მითხრა; აქაოდა, ეს როგორ მოგივიდა, ასე ჩქარა როგორ დაგავიწყდიო.

ჭადრებს ქვევით, ტელეფონის ჯიხურთან ვდგავარ, ძალიან მოწყენილი ვარ, თუ შეგიძლიათ, გამოდით, გელოდებითო.

ხელში პურის ყუა თუ გიჭირავთ მეთქი.

არაო, გაიცინა.

ერიჰაა! მოწყენილია „ქალბატონი“ და გამრთობი მოუნდა.

საათს დავხედე, სამს აღარაფერი აკლია.

ახლა მე გაგანია მუშაობაში ვარ, მეთქი.

რომელზე ამთავრებთო?

საერთოდ, ხუთზე მეთქი.

კარგი ხუთამდე დაგელოდებითო.

ყურმილი დამიკიდა ისე, რომ ჩემს პასუხს არც დაელოდა.

ოთხზე თოვა დაიწყო. ჯერ წვიმაში ურევდა, მერე ისე ხვავრიელად წამოუშინა, რომ ჩემს ფანჯრებთან ნაძვის ტოტებს თეთრად წაეფარა პირველი წვრილი, ხოშკაკალასებრი თოვლი.

დამინახა თუ არა ჩემსკენ გამოიქცა, ჯერ ხელებზე შემავლო თვალი, – მერე – როგორ ბრძანდებით, დღეს ბევრი იმუშავეთო? ისე, ზრდილობის გულისთვის მკითხა.

ფეხი ავითრიე.

აქეთ პანსიონატის ეზოში, ან ვარაზისხევში ჩავისეირნოთ, ხალვათობაა მეთქი...

გაგიგონია?

არაო. მე სწორედ აქეთ, რუსთაველისკენ მინდა გავლა. ბოლოსდაბოლოს ხომ დავიმსახურე, ორი საათია ამ სიცივეში გელოდებითო.

კი ბატონო, მაგრამ თქვენთვის ვამბობ, დაგვინახავენ და ჭორს მეტი რა უნდა მეთქი.

სინამდვილეში ჩემი გასაჭირი მაქვს, რუსთაველზე ხელკავით ანგელოზივით გოგოს მიჰყვებოდაო, ამის გაგება უნდა ჩემს ცოლს?

დანარჩენს შენ თვითონ მიხვდები და აღარ გაგაცდენ.

იყო, ყველაფერი იყო.

კინოებში ჯდომა და თავის მხრებზე ჩამოდება, ჩემი უცოლო კოლეგებისათვის ორი საათით ოთახის გასაღების ჩამომათხოვრება, რეკვები და ცრემლის ღვრა. გადარეული მონატრება, ეჭვიანობა და ყველაფერი, რაც მოპარულ სიყვარულს მოჰყვება ხოლმე.

ახლა იმას გეტყვი, რა სისულელეზე ვამბობდი წეღან და რომელ შეცდომათა წყებაზე მოგახსენებდი.

ჩემი თავი მეზიზღება, რომ გამახსენდება, რა სერიოზულად ვარიგებდი: ძალიან ბავშვური ხმა გაქვს და სამსახურში ხშირად ნუ მირეკავ, ეჭვს აიღებენ, შინ კი მითუმეტეს აღარ დარეკო – ჩემს ცოლს ვერაფერს გამოაპარებ მეთქი.

რაც მე თამთას „ჩემო ვაჟა“ და „ჩემო სოსო“ ვუძახე ტელეფონში, რაც მე სხდომები და თათბირები ვიმიზეზე, რაც მე საქვეყნო საქმეები დავიბრალე: ხვალ არ მცალია, ზეგ ქალაქში არ ვიქნები, მაზეგ გნახავთ მეთქი.

მერედა რისთვის, რატომ?

ღმერთო, რა სახე მქონდა მაშინ, კატეგორიული ტონით რომ ვსაყვედურობდი: გოგოებს, საერთოდ, ცოტა ჭკუა გაქვთ და უნდა დამიჯერო, თორემ მეტს აღარ გნახავ. სულ შენს გვერდით ხომ არ ვიქნები, საერთოდ, რა წესია სამსახურში მოკითხვა, საიდანა გაქვს ეს ავანტურული ჩვევები მეთქი.

მძულს ჩემი თავი, როცა მახსენდება, ცალი ხელით რომ ვეფერებოდი და მეორე ხელს საწოლს მიღმა, სკამისაკენ ვაპარებდი: რომელი საათია, „მოამბეს“ ხომ მივუსწრებ მეთქი.

როგორ შეიცხადებდა; ავდგეთ, ჩავიცვათ, დამაგვიანდა მეთქი, როცა ვიტყოდი.

ენას რატომ არ მიხმობდა ღმერთი და ხელს რატომ არ მიქვავებდა, მე თვითონვე რომ ვპასუხობდი ტელეფონზე, სხვაგან მოხვდით-მეთქი.

კვირაში ორჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. ალჟირში წასული ჩემი სიძის ბინაში.

* * *

თამთა კარშივე ალაპარაკდა.

– შლაპიანი მოხუცი ქალი. ოციანი წლების ყოფილ ბალერინას ჰგავს, პენსნე უკეთია და თვალებზე აბრეშუმის შავი ბადე აქვს დაშვებული.

კაცმა მხრები აიჩეჩა:

– ალბათ სტუმარია.

– თქვენ რომელზე-მეთქი, ქალბატონო, არ მიპასუხა. მე რომ მეხუთეს დავაჭირე, პენსნეთი დააკვირდა ღილაკს. დამდურებულივით მიცქეროდა.

– მაღლა ავიდა?

– კი, რომელზე, ვერ გეტყვი.

თამთამ ასე იცოდა. სალამს კი არ იტყოდა, პირდაპირ საუბარზე გადადიოდა. გელა უკვე შეჩვეული იყო, შემოვიდოდა თამთა და, ან იმით იწყებდა, თუ როგორ აეკიდა ტროლეიბუსში ვიღაც „იდიოტი“, ან იმით, რომ დღეს უსაშველოდ გრძელი დღე იყო და ლექციების დამთავრებას საშველი არ დაადგა, ან იმით, რომ პალტოში ძალიან ცხელა და ხალხის რომ არ რცხვენოდეს, სიამოვნებით ივლიდა მოსასხამით ამ შუა ზამთარში. მერე პალტოს ან ჩექმებს მიყრი-მოყრიდა. გელას ხალათს და შლოპანცებს ჩაიცვამდა, დივანზე მოკალათდებოდა, ტელეფონს მუხლებზე დაიდებდა და სამ-ოთხ მეგობარს მაინც დაურეკავდა, რომ გელასთან არის და თუ დედაჩემმა დარეკოს, უთხარი, ჩემთან იყო და ამ წუთში წამოვიდა-თქო. „მერე მაშინვე დამირეკე, გესმის? წავედი“, დააყოლებდა, ჭერს ახედავდა, ესეც ეგრეო, იტყოდა, დივანზე თავდაღმა, ლამაზად გაწოლილი ჩანთას გადაუწვდიდა ხელს, შოკოლადს ამოიღებდა მოკვნეტდა და ჩანთაში ჩააბრუნებდა.

მაგრამ იმ დღეს გოგონამ მასპინძელს უგუნებობა შეატყო და ლიფტში დამგზავრებულ მოხუც ქალზე საუბარი უცებ შეწყვიტა, პალტო გაიხადა, ჩანთა დივანზე მოისროლა. სკამი გამოსწია, მუშტებს ლამაზი ნიკაპი დააყრდნო და გელას თვალებში შეხედა.

– რა მოხდა?

– მამაშენი იყო ჩემთან.

– როდის? სად?

– სამსახურში დღეს, ასე თორმეტისკენ იქნებოდა.

– მარტო იყო?

– მარტო.

– რაო?

გელამ თითები მაგიდაზე აათამაშა, თამთას თვალი შეავლო და განზე გაიხედა.

– რას მეტყოდა.

ქალიშვილმა სიგარეტს მოუკიდა და საფერფლის კიდეს ჩამოადო.

– დაწვრილებით მომიყევი.

– შენ არ გითქვამს, რომ მამაშენმა ყველაფერი იცოდა.

– იცის. დაურეკეს.

– ვინ დაურეკავდა?

– რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ამბავი მთელმა ქალაქმა იცის. მერე?

– მოვიდა ის კაცი, ოთახიდან გამომიხმო. ქვევით ბაღში ჩავედით. მე ხომ ნანახი არ მყავდა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ მამაშენი იყო.

– ?

– გგავს რაღაცით. წარბებით მგონი.

– მერე?

– მეო, ყველაფერი ვიციო. ვატყობდი, ლაპარაკი უჭირდა. დაღლილი, ნაწამები სახე ჰქონდა. რა მინდა ახლა აქ რომ მოვედიო, თუ ძმა ხარ, ქვეშ გამომსვლელ კაცად არ ჩამთვალო. მე ჩემს წრეში ვაჟკაცად მიცნობენ და ერთ სიკვდილს ვათავებ, ახლა რომ გელაპარაკებიო. შენ რას გემართლები, კაცმა რომ თქვას, მე ჩემსას უნდა მოვუარო, მაგრამ რა ვქნა, შვილს ვერ მოიკვეთ თურმე, ძნელი ყოფილაო. არადა, მთელი ოჯახი გადავყევით, მაგრამ არაფერი გაგვივიდაო. ისიც ვიცი; რომ ცოლშვილიანი ხარ და ისიც ვიცი, რომ შენს შვილზე, მზე და მთვარე ამოგდისო. მე საპრეტენზიო არაფერი მაქვს, ა, ორი კაცი ვართ აგერ, იქნებ როგორმე მოვუაროთ ამ საქმესო. ეს სიტყვები ისე მიაყარა ერთმანეთს, რომ სიტყვის ჩადგმა არ მაცალა. ვერც ვიკადრებდი და მაიმუნობაც იქნებოდა, რომ დამეწყო: როგორ გეკადრებათ, ეგ სიცრუეა, თქვენ ქალიშვილს ხეირიანადაც არც კი ვიცნობ, მონაჭორია ყველაფერი-მეთქი. ხომ მართალი ვარ?

– მერე?

თამთას ფართო, თაფლისფერი, გრძელწამწამებიანი თვალები გამალებით მოძრაობდნენ. მზერა გელას ხელებიდან მხრებზე, ტუჩებზე, თვალებზე გადადიოდა, მოჩვენებით სიმშვიდეს, თამთას რომ ფარდად ეხმო, სწორედ რომ შეშფოთებული თვალები ამხელდნენ.

– რა მერე. ვიჯექი და ვუსმენდი. იგი ჩემთან დასატუქსავად ან ჭკუის სასწავლებლად კი არ მოსულა. ასე რომ ყოფილიყო, გავღიზიანდებოდი და მეც რაღაც პოზიციას დავადგებოდი. შვილი მეღუპებაო, მითხრა. აბა შენ წარმოიდგინე, ჩემს მდგომარეობაში შენი თავიო. მე ჩემი გითხარი და აწი, როგორც სინდისმა გაგიჭრასო, ადგა და წავიდა.

– შენ არაფერი გითქვამს?

– კი. რაღაც გაურკვეველი... აღარ მახსოვს... ყოველ შემთხვევაში მომეჩვენა, თითქოს, ჩემს სიტყვას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. რა ვქნათ?

თამთა ყველაფერს ელოდა ამ შეკითხვის გარდა. ნუთუ დღემდე გარკვეული არ იყო, რაც უნდა ექნათ. იგი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შემოუტრიალებლად თქვა.

– ვიცოდი, რომ მოვიდოდა. სამ თვეზე მეტი იქნება, რაც მე იმ სცენებს ვუძლებ. რამაც შენ პირველივე დღეს ასე შეგაშფოთა. ყოველ დღე ნატაციებს მიკითხავენ. დედაჩემმა გუშინწინ შენი საყვარელი „ბანანები“ დამიჭრა და კარებში გასულს ტუფლი მესროლა, მაგრამ მე შენთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს.

– ამას რატომ მეუბნები? მეც არ უნდა მეთქვა?

– რა ვიცი, – თამთა მობრუნდა და ნერვიული ნაბიჯით წამოვიდა გელასკენ, მხრებზე ხელი დაადო, დაიხარა და თვალებში ჩახედა. მათი ტუჩები ლამის ეხებოდნენ ერთმანეთს – სალაპარაკოდაც არ ღირს ყველაფერი ჩვენს სიყვარულთან შედარებით. მე ყველაფრისთვის მზად ვარ, გელა. დედა იმისია, რომ შეიცხადოს და „ბანანები“ დამიჭრას, დამამწყვდიოს და სახლიდან არ გამომიშვას, მამა იმისია, რომ ჩემს „გადასარჩენად“ რამე იღონოს. გარეგნულად ხომ საზიზღრად ჩანს: მე, ოცდაერთი წლის გოგო, შენი, ცოლშვილიანი კაცის, საყვარელი ვარ. ასე რომ, მე ძალიან კარგად მესმის ჩემი მშობლების.

– და ჩვენ ვალდებული ვართ ანგარიში გავუწიოთ.

– რაში გავუწიოთ ანგარიში, გელა. სიყვარულში? ეს მხაზველობითი გეომეტრიის ფრიადზე ჩაბარება, ან სარეცხის გაწურვაში მოხმარება კი არ არის. მთელი ცხოვრების აზრია. შენ არ მითხარი? ან რა შენი თქმა მინდოდა, მე თვითონ ვერ ვგრძნობ? მელაპარაკებიან სახლში გაუთავებლად, დააბიჯებს წინ და უკან მამაჩემი და მაგალითები მოჰყავს, როგორ დაღუპა მავანი და მავანი, როგორც თვითონ ეძახის, ბავშვურმა გრძნობამ. აკაწკაწებს კბილებს დედაჩემი; ქვად მქცეოდი მუცელში და შენ არ გამეჩინეო. ხანდახან, თითქოსდა, მეც ვირწმუნებ, რას ვერჩი ამ ხალხს-მეთქი. ვზივარ და ყველაფერი მჯერა. პირობასაც ვაძლევდი ადრე, რომ ხვალიდან არ გნახავდი. მერე? დამთავრდება ლექციები და არც კი ვიცი, როგორ აღმოვჩნდები ხოლმე შენს კარებთან. ერთი რამ ვიცი, მთელი ქვეყანა რომ წინ გადამიდგეს, მაშინ, როცა ტროლეიბუსში ვჯდები და შენსკენ მოვდივარ, ვერ დამაკავებს. ამ ბოლო დროს მიხვდნენ, რომ არაფერი გამოვა და თავი გამანებეს. აკი მამაჩემსაც უთქვამს. ახლა იერიში შენზე მოიტანეს. ბოლოს ყველაფერში დარწმუნდებიან და შენც მოგეშვებიან.

გელამ კისერი გაითავისუფლა, ხელისგულები დაუკოცნა, სკამზე დასვა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

თამთამ მუშტებს დააყრდნო ნიკაპი.

– შენ მე გიყვარვარ, გელა?

– ძალიან.

– ჰოდა, მორჩა და გათავდა. სიყვარული განსჯას და ბჭობას ვერ იტანს.

– სიცოცხლეს რომ მირჩევნიხარ, სწორედ იმიტომ მინდა ყოველთვის კარგად იყო.

– რას მთავაზობ ჩემი კარგად ყოფნისთვის, ბატონო გელა?

ბოლო ორი სიტყვა თამთამ გაღიზიანებული ხაზგასმით წარმოსთქვა.

– ნუ ბრაზობ. თუ გჯერა ჩემი, მომისმინე.

– გისმენ, ნაფიცი მოწაფესავით.

– შენ იმდენად საყვარელი გოგო ხარ, რომ ჩემსავით კისერგასივებული, თმაგაცვენილი, უწარბო კაცისთვის არც კი მემეტები. მე შენ იმდენად მიყვარხარ, რომ შენ რომ რამე გაგიჭირდეს, თავს მოვიკლავ.

– სენტიმენტების გარეშე მითხარი.

– მე არაფერი წინადადება არა მაქვს. შენს თავს ვფიცავარ, მეც ისე ვარ მთვრალი შენით, რომ განსჯის თავი არა მაქვს, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ. ეს შენთვისაა საჭირო, თორემ ჩემი თავი ჯანდაბას. მე არც მომავალი მაქვს და არც ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ.

– მამაჩემი სანამ განახავდა, არ ფიქრობდი ჩემს მომავალზე?

– ვფიქრობდი, რატომ მელაპარაკები ასე გამომწვევად?

– ვიჩხუბოთ, გელა? – თამთას ტუჩები უთრთოდა.

– არა. ვილაპარაკოთ. ბოლოსდაბოლოს შენ უნდა გათხოვდე და შენს გზას ეწიო.

თამთა წამოდგა. ხელები თოჯინასავით გააქან-გამოაქანა, გაიცინა და სარკესთან დადგა.

– დიდი მადლობა ზრუნვისათვის, გელა. საქმროს შერჩევაშიც ხომ არ დამეხმარებოდი?

– აი, ხომ ხედავ, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს და მერე, როგორც შენ გსურს, საერთოდ, ისე მოვიქცეთ. მე შენ მიყვარხარ, გესმის?

– ეგ სიყვარულის ხმა არ არის, გელა.

– სწორედ რომ სიყვარულისაა.

– შენ შარშან, გუშინ ამ დროს, ასე არ ლაპარაკობდი.

– დღეს მამაშენი იყო-მეთქი ჩემთან. ჩვენ ორივენი მამაკაცები ვართ.

– კეთილი, მამაჩემი ყველაფერში მართალია. მამაჩემს სურს, შენ ჩამოგშორდე, ცოტა ხნის შემდეგ, როცა, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი გამივლის, მოვძებნო ვინმე ჩემი შესაფერისი და გავთხოვდე, მაგრამ შენ? შენ შეგიძლია მშვიდად იყო იმ დროს, როცა მე ქორწილის ცერემონიალს გავითამაშებ, როცა გრძელი, თეთრი კაბით და თაიგულით სხვის გვერდით საქორწინო სახლის კიბეზე ავალ?

– ჩემთვის ეს ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ უნდა გავუძლო.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, გელა. ამას შენ ამბობ? რას უნდა გაუძლო, მე რომ სხვის საძინებელ ოთახში ჩემი ფეხით შევალ? ეს შენ არ მეკითხები ყოველდღე, ამ და ამ საათიდან და ამ წუთიდან სად იყავიო? შენ არ გიწითლდება ყურები, მე რომ ქუჩაში ვაჟს მივესალმები და ყელში მოწოლილი ბოღმით არ მეკითხები, საიდან იცნობო?!

– დამშვიდდი, ნუ ყვირი. ეგ ყველაფერი ეგრეა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს...

– რა ბოლოსდაბოლოს?

– შენ ჩემი თაობის გოგო არა ხარ. მე, ხვალ თუ ზეგ, დავბერდები.

– ეგ შენი სიტყვები არ არის, გელა, შენ ხვალ დაბერდები თუ ზეგ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე ახლა, ამ წუთში ბედნიერი ვარ შენთან და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ.

– მაგრამ შენ ხომ მთელი ცხოვრება წინა გაქვს.

– მიჩუქნია შენს მიღმა დარჩენილი მთელი ცხოვრება იმისთვის, ვისაც ძალიან უნდა,

– უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ. ჩემთან შენი ურთიერთობა, თავიდანვე გითხარი, უპერსპექტივოა.

– რა პერსპექტივაზე ლაპარაკობ. მე შენ მაღაზიაში არ მიყიდიხარ და არც მოლაპარაკებების დრო გვქონია. მე შენთან ყოფნა მინდა და ვარ.

– მაგრამ ხვალ? როცა წლები გაირბენს და რაღაც-რაღაცეები შენთვის გვიან იქნება?

– ნუ მაშინებ, გელა. გეხვეწები. როდის გახდი შენ ასე საზიზღრად ჭკვიანი და პრაქტიკული.

გელას თვალზე ცრემლი მოადგა, მან მშვენივრად იცოდა, რომ სისულელეს ამბობდა, მაგრამ უკანდახევა არ შეეძლო.

– შენთვის, ჩემო ძვირფასო.

თამთა წამოხტა, უკნიდან შემოუარა და თვალებზე ხელი ააფარა.

– ძალიან გთხოვ, მითხარი, რომ ხუმრობ!

– მე არ ვხუმრობ, თამთა.

ქალიშვილი დივანზე დაემხო და აქვითინდა.

– მე ვიცი, ახლა გძულვარ, მაგრამ ოცი წლის შემდეგ ამ დღის მადლობელი იქნები. ეს მე მივდივარ სასიკვდილო მსხვერპლზე შენი გულისთვის.

– არა! არა! არა!

თამთამ მუთაქას ხელები დაუშინა.

– დაწყნარდი. ესა ხარ სუულ? აკი ყველაზე ჭკვიანი გოგო ვარო, – გელა დივანზე ჩამოჯდა და აცახცახებულ მხრებზე ხელით ჩამოჰყვა, – რა გითხარი ასეთი, მე შენს გვერდით ვარ, და არსად წასვლას არ ვაპირებ.

– შენ... როგორ შეგეძლო... თურმე ჩემს გათხოვებასაც შეეგუები.

– შევეგუები თუ არა, ეგ სხვა საქმეა. შენი მომავლისათვის კი ეს აუცილებელია.

– ვის? ვის? მე შენს იქით ვერავის ვერ ვხედავ. ყველა მამაკაცი ნერვებს მიშლის. მზადა ვარ, ქუჩაში უტიფრად მოჩერებულს მივუბრუნდე და თვალები ამოვკორტნო!

– ეგ ახლა გეჩვენება.

თამთა წამოჯდა და თვალები თითებით შეიმშრალა.

– მე არც ისე პატარა გოგო ვარ, რომ რაღაცეები მეჩვენებოდეს. ჩემი ტოლი ბიჭები ნერვებს მიშლიან. დეგენერატებად მეჩვენებიან და მათთან, შენთვისაც ბევრჯერ მითქვამს. მკაცრი მასწავლებლის დამოკიდებულება მაქვს. მინდა ხანდახან ყური ავუწიო.

– ესეც დროის ამბავია. გაივლის.

– გელა, – თამთა ჭერს შესცქეროდა და კარგა ხნის შემდეგ მიაბრუნა თავი გელასკენ, – სხვებიც ასე ამთავრებენ? ასე ცუდად?

– ჩვენ არაფერს არ ვამთავრებთ. უბრალოდ ვსაუბრობთ, ხომ გითხარი. საერთოდ, შემთხვევათა მსხვერპლია ადამიანი.

– ეს როგორ?

– ჩვეულებრივად. ჩემი და და სიძე რომ ალჟირში არ წასულიყვნენ, ამ ოთახსაც არავინ დამიტოვებდა. თუ ეს ოთახი არ მექნებოდა, მე მგონი, შენც არ მეყოლებოდი.

– არ გამაგიჟო, ახლა რაღაც დიდი საშინელება წამოიწყე.

– როცა თავისუფალი ბინის გასაღები ხელთ მქონდა. მე შენ გამოგიგონე.

– ბატონო?

– სწორედ იმ თვალით შეგხედე ტროლეიბუსის გაჩერებასთან, რის საშუალებასაც თავისუფალი ბინა და გასაღები მაძლევდა.

– უარი რომ მეთქვა და აქ არ წამოგყოლოდი?

– მაშინ, ალბათ, სხვას ვეტყოდი.

– გელა!

გელამ გაიცინა. გადმოატრიალა, თვალები დაუკოცნა.

– ჩემი სულელი გოგო. აი, რა ადვილად შეიძლება შენი გაგიჟება. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. არაფერი არ დაიჯერო. მე შენთვის არაფერი მითქვამს.

თამთა მოშვებული იწვა. განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ალერსს მარტო იმით პასუხობდა, რომ გელას ტუჩებს თავის ამობურცულ, კახაბალივით წითელ ტუჩებს შეაგებებდა ხოლმე.

გელა წამოდგა, ხალათი და შლოპანცები გამოიტანა და დივანთან დაუწყო.

– შედი აბაზანაში. შენთან ყოფნა მინდა.

არაბულ ტახტზე იწვნენ. თამთა გელას მარცხენა გვერდს ჩაჰკვროდა, მორგებულ-მიწებებულს სწორედ იმ ადგილას ედო თავი, სადაც კაცის გულისცემა ყველაზე მკაფიოდ ისმის ხოლმე. ქალიშვილს ყურში უბრაგუნებდა ვაჟკაცის მშფოთვარე, დაღლილი გული. გელას მარჯვენა თავქვეშ ამოედო...

კაცმა მარჯვენა გაინთავისუფლა, სკამის საზურგეზე დაკიდებულ ელექტროსაათს მისწვდა და დახედა.

– გეჩქარება, რასაკვირველია, – ძილბურანიდან თქვა თამთამ.

– შვიდზე შინ უნდა ვიყო.

– ფეხბურთია, რა თქმა უნდა.

– არა, ფეხბურთი არ არის. უნგრელი მწერლები უნდა მეწვიონ.

– უნგრელები თუ არა, ჩეხები მაინც იქნებიან.

– მართლა. შენ თავს ვფიცავარ.

– ცოტა ხანს ვიყოთ, გეხვეწები, ოც წუთში წავიდეთ. რაღაც თავი მტკივა. დამაწყვიტე ნერვები.

– სულელი ხარ, შენთან ადამიანურად ლაპარაკი არ შეიძლება.

– რას ეძახი ადამიანურად ლაპარაკს?

– რატომ არ გესმის. რატომ გინდა ჩემი სიკვდილი. შენ რომ ცუდად იყო, ხომ იცი, თავს არ ვიცოცხლებ.

– კარგად რომ ვიყო, ამისათვის რა, დავუჯერო მამაჩემს და დედაჩემს?

– მე შენ კუბოს კარამდე მეყვარები, მაგრამ...

– რა მაგრამ, გელა – თამთა წამოჯდა და პრიალა, სწორი თმა უკან გადაიგდო.

– არ შეიძლება რაღაც-რაღაცეებს ანგარიში არ გავუწიოთ.

– ისევ დაიწყე?

– თამთა შენ ახლა ბავშვი ხარ. ხომ გეუბნები, დრო გაივლის და მერე, როცა ყველაფერი განელდება და ტკბილ მოგონებაში გადავა, პირველი შენ დამდებ ბრალს; რატომ შემიყოლიეო.

– რა განელდება, გელა. – თამთა გამშრალი ხმით ეკითხებოდა.

– ახლა შენ ამაზე ფიქრიც არ გინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ძველდება და ქრება. ერთი მშვენიერ დღეს შენ თვითონვე აღმოაჩენ, რომ თურმე უკვე მოგწყინდი.

– შენ? მე?

– ჰო, შენ რომ წიგნები წაგიკითხავს და კინოები გინახავს, უდროოდ შეწყვეტილი სიყვარულებია. სიმძაფრე, ცრემლი და დრამატიზმი სწორედ იმას ახლავს. აბა დაეხატა შექსპირს რომეოსა და ჯულიეტას სასიყვარულო ურთიერთობა მათი ქორწინების მეოცე წელს, ყველაფერი რომ ნორმალურად განვითარებულიყო? ეს იქნებოდა მთქნრებისმომგვრელი, მოსაწყენი ამბავი.

– რატომ გავიწყდება, რომ მე ახლა ოცდაერთი წლისა ვარ და ჩემს გონებას ფიქრიც არ შეუძლია იმ სასიყვარულო სიბრძნეზე, რითაც შენ ასე გულმოდგინედ მაშინებ.

– ვიცი, მესმის, მაგრამ ცოტათი ხომ უნდა დამიჯერო.

– და რა გავაკეთო?

– უნდა შეუშვა თავში იმის ფიქრი, რომ ყველაფერსა აქვს დასაწყისი და დასასრული.

– ვთქვათ დავიჯერე. ამით რა შეიცვლება?

– არაფერი... საერთოდ... გეცოდინება...

– მე რომ დავიჯერებ, სიყვარული თანდათან ნელდება და ქრება-მეთქი, ხომ იცი, იმ წუთიდან ცოტათი უფრო ნაკლებად მეყვარები. შენ ეს გინდა?

– არა, აი, მე მჯერა, მაგრამ ამის გამო „ცოტათი“ უფრო ნაკლებად“ არ მიყვარხარ.

– გახსოვს? შენ ერთხელ მითხარი; სიყვარული თანდაყოლილი თვისებააო, სიყვარულის ნიჭი ყველას არ დაყვებაო. ადამიანთა საკმოდ დიდი ნაწილი თავიდანვე განწირულია უსიყვარულობისთვისო. მართლა ასეა?

– კი.

– მერე მე ხომ ბედნიერ უმცირესობათა შორის ვარ. მიყვარხარ და რატომ გინდათ შენ, მამაჩემს, დედაჩემს – ყველას, ვინც ჩემს ირგვლივ ტრიალებთ, დამიპატარავოთ, გამიქარწყლოთ, პრაქტიკული სისულეებითჲ დამინაგვიანოთ ეს წარმოუდგენელი ბედნიერება – სიყვრული?

– ამის გაქარწყლებას ვერავინ შეძლებს. ჩვენ უბრალოდ გვინდა გაგახსენოთ, რომ სიყვარულის გარდა არსებობს, იქნებ არც ასე მთავარი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი რამ – ცხოვრება.

– განა სიყვარული ცხოვრება არ არის?

– სიყვარული რაღაც უფრო მეტია. უფრო სწორად, ცხოვრება სიყვარულის გარდა ისეთ წვრილმანებსაც მოიცავს, როგორიცაა „სასურსათო პროგრამა“ და ლატარიის ბილეთი.

– მაგით რა გინდოდა გეთქვა?

– რაც მინდოდა, უკვე ვთქვი.

თამთამ დაამთქნარა და კედლისკენ შეტრიალდა. გელა ზურგზე მიეკრო. ქალიშვილის ტანი სასიამოვნოდ გრილი იყო.

– ნუ მიბრაზდები, თუ ჩემი სიცოცხლე ხარ. შენთან ყოველი შეხვედრის დროს ის ფიქრი მიღრღნიდა ტვინს, რომ არ მქონდა შენს ცხოვრებაში ასე ღრმად ჩარევის უფლება.

– სიყვარული და უფლება ერთმანეთს, ხომ იცი, ვერ ეწყობიან.

– ეგ მართალია, მაგრამ შენ ისეთი ანგელოზი ხარ, ასე მგონია, მარტო შენს წინაშე კი არა, მთელი ქვეყნის წინაშე ვარ-მეთქი დამნაშავე.

თამთა გადმობრუნდა, ორივე ყურში ჩააფრინდა გელას და სახეში ჩასძახა:

– გეხვეწები, შეწყვიტე ეგ ლაპარაკი!

გელამ გაიცინა:

– ასე მგონია, გელა კი არა, უცხო ვილაც ხარ, გაზეთის მოწინავედან გადმოსული და მამაჩემის დარიგებული.

– ცოტა ასეც არის, მამაშენთან საუბრის შემდეგ, რაღაც ჩაწყდა ჩემს გულში, რომ იცოდე.

– შეგიძლია, გელა ერთი რამ შემისრულო?

– ჰო.

– ახლა მე ჩავიცვამ და ძალიან გთხოვ, სანამ წავიდოდე, არც ერთი სიტყვა არ მითხრა. არცერთი სიტყვა, გადაბრუნდი და ჩემსკენ არ გამოიხედო. ახლა შენი ხმა რომ კიდევ გავიგონო, ყელის ძარღვს გადავიჭრი. ერთი დღისთვის ძალიან ბევრია. წავალ ახლა მე და ვიფიქრებ. არ შეგეშინდეს, სისულელეს არ ჩავიდენ. ხვალ თორმეტ საათზე, დაგირეკავ და ყველაფერს გეტყვი.

აუტანლად დიდხანს იცვამდა. გელას მისკენ არ გაუხედავს როცა კარმა გაიჭრიალა, წამოხტა.

კარში გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ლიფტი რომ მოვიდა, თამთამ ხელი დაუქნია და ლიფტში გაუჩინადა. გელამ ფანჯარა გამოაღო და ქუჩას დააჩერდა. ორ წუთში

თამთა სადარბაზოდან გამოვიდა ხელი დაუქნია ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა.

გელა შემობრუნდა, ხალათზე ქამარი შემოიჭირა და სარკეში ჩაიხედა.

თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

ახლა უკვე, საბოლოოდ დარწმუნებული იყო რომ არ არსებობდა ძალა თამთას და გელას რომ დააშორებდა.

* * *

გამომცემლობა „ნიჩაბის“ დირექტორმა უცერემონიოდ გამომიცხადა; შენი წიგნი მომავალი წლის გეგმაში გადავიტანეთო. ვხვდებოდი, მაგრამ მთლად ასე თუ იყო საქმე, არ მეგონა-მეთქი, გავუცინე და ხელი ჩამოვართვი. ისე კეთილად თანაგრძნობით მიცქეროდა დირექტორი, რომ ჩხუბი და ლანძღვა-გინება არ დამიწყია, ისედაც ბევრს მოვაბეზრე თავი. გამომაცილა და დერეფანში შემოფეთებული ქალიშვილი ხელით გააჩერა – გაიცანი, ეს ცნობილი მწერალი გელა კირთაძეა, ეს კი ჩვენი ახალი თანამშრომელი მომავალი ჟურნალისტი – ნელი გახლავთო, წარგვადგინა ერთმანეთს.

იცით ნელიმ როგორ ჩამომართვა ხელი? დუბლით დაღლილი კინომსახიობი რომ იქნება. დარწმუნებული, ფილმში პირველივე კადრი რომ მოხვდება და ახლა რეჟისორის ჭირვეულობასღა რომ აკმაყოფილებს. თითქოს ათასჯერ შევხვედროდით ერთმანეთს. არც გაოცება, არც ხელოვნური – „ნუთუ მართლა? სასიამოვნოა, სასიამოვნო“. მკერდზე აფარებული მუყაოს საქაღალდე მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა რომ გამომიწოდა, საოცარი რამ ვიგრძენი: მე რომ არ გამეშვა, თვითონ ხელის წაღებას არ ჩქარობდა, თითქოსდა სამუდამოდ მიტოვებდა თავის თბილ, ჩიტივით მსუბუქ ხელს ნევროზისაგან გალიგვებულ ჩემს უხეშ თითებში. ოციოდე წლისა იქნებოდა. ახალმოშინაურებული ირმის მიმოხვრა ჰქონდა. თვალი რომ გამისწორა, გარემოების გამო, იძულებით შებოჭილი ველური ცხოველის მზერა დავიჭირე. თითქოს თვითონაც იგრძნო, თვალებმა რომ გასცეს და განზე გაიხედა. მაღალი იყო, ამორძალივით გაშლილი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ოდნავ მაღალი და თხელი, აწეული ცხვირი და ამობურცული ვარდივით ამოსული ტუჩები (ასეთი ტუჩები მხოლოდ ამ ასაკის გოგონებს აქვთ). საქაღალდე ისევ მარჯვნივ გადაიტანა – თუ შეიძლება წავალ, მეო, დირექტორს შეანათა მეტყველი, მომნუსხავი თვალები, კარგად ბრძანდებოდეთო, თქვა და დერეფანს გაუყვა საჩიხეში შეტყუებული ირმის მსუბუქი, მაგრამ შფოთიანი ბაკიბუკით.

მთელი დღე ჩემს გასაცოდავებულ საქმეებს გადავყევი და, სიმართლე გითხრათ, ნელი არც გამხსენებია. მწერალთა კავშირში შევიარე, ცოტა გულს გადავაყოლებ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს იქ ყოფნა. ერთაადერთი ადგილია, სადაც შემიძლია დილიდან საღამომდე უსაქმოდ ვიდგე და კაციშვილი არ მკითხავს, ვინ ხარ, აქ რა გინდაო. კოლეგას დაელაპარაკები; პატარა იმედს შეიყუჟებ გულში და წახვალ შენს გზაზე. სხვა დაწესებულებებში მე მარტო „საქმეებზე“ დავეხეტები. თუ როგორ მიდის ჩემი „საქმეები“, ეს მხოლოდ მე და ჩემმა ცოლშვილმა ვიცით, მაგრამ მაინც ვფართხალებ რიყეზე ამოგდებული თევზივით. აზრები მაწუხებს, ხელშეკრულებებს ვაწერ ხელს, სტრიქონებს ჩავკირკიტებ, დავდივარ ამ ჩემ ჩანაფიქრებით ერთი კაბინეტიდან მეორეში. ყურადღებით მისმენენ, ღიმილით მეთანხმებიან, ხელს მართმევენ კი არა, ხშირად თავაზიანადაც გამომაცილებენ. ამით ყველაფერი მთავრდება. მიამიტი კაცი არ გეგონოთ. მე კარგად ვიცი, რომ იმ წრეში არ ვტრილებ, იმ მაგიდას არ ვუზივარ, მაგრამ მე ჩემი ცხოვრების წესი მაქვს და ბებერი კავალერისტივით სასაცილოდ გავიჭიმები ხოლმე, როცა ორკესტრი გუგუნებს. თუმცა კარგად მესმის და ვხედავ, რომ ის ორკესტრი ჩემთვის როდი უკრავს. განზე დარჩენილი კაცისაგან არც არავინ ითხოვს იმის ნახევარსაც კი, რასაც ვაკეთებ, მაგრამ, ჩანს, სხვანაირად არ შემიძლია და სიმართლე გითხრათ, ხელმოცარულობის განცდა არასოდეს მეუფლება და არც უბედურ კაცად მომაქვს თავი. ჩემი ოჯახის სარჩენი ფული რომელიღაც ინსტანციაში უღალატოდ იჩითება. ასე რომ არ იყოს, ძალიან გამიჭირდებოდა. რომ მივდგებ-მოვდგები და თითქოს არსაიდან საშველი არ ჩანს, სწორედ მაშინ დამიძახებენ სახელდახელო (მწერლები „ხალტურას“ ვეძახით) საქმეს დამავალებენ და თითქოს ჩემს გულში ისხდნენო, ჰონორარსაც წინასწარ იძლევიან. ამიტომაც ნერვებს არ ვიწეწავ და ხვალინდელი დღის შიშიც როდი მღრღნის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი პურის ფული უკვე დევს რომელიღაც მაგიურ კარადაში და ხვალ ან ზეგ თეფშით მომართმევენ.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე თავისი კაბინეტიდან გამოვიდა და თავმჯდომარის კაბინეტისკენ გულმოსული რომ გარბოდა, დამინახა და თავი დამიქნია. კართან, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შემოტრიალდა და ულვაში მოიქექა – გელა რომ გავგზავნოთ? კირთაძე წახვალ აჩინჩარაში?

კედელს არ მოვშორებივარ, არ მიყვარს ზედმეტად ცეცხლოვანი, ცქვიტი ადამიანები. – რატომ, რა საქმეზე-მეთქი – მშვიდად ვკითხე.

თავმჯდომარის კაბინეტის კარი გამოაღო და შესძახა – გელა კირთაძეს გავგზავნი! სხვას მაინც ველარავის ვიპოვი! აქ არის, კი! – კარი მიხურა და მომიბრუნდა – აჩინჩარაში ხვალვე უნდა წახვიდე. კვიწინიას იუბილეს უნდა დაესწრო. შევთანხმდით მანანა, გამოუწერე მივლინება!

ჩემს პასუხს არც კი დაელოდა, ღია კარში ტუცა თავი. მდივან გოგონას მამის სახელი შევახსენე, დანარჩენი თვითონ იცოდა, მივლინების ფული ავიღე, დღის ბოლომდე გამომცემლობაში ვიყურყუტე და როგორც იქნა, მოიღეს მოწყალება, მაღირსეს შარშან რომ ჭკუასელის ნოველებს ვურედაქტორე იმის ორიოდე გროში. აწი წიგნს სარედაქტოროდ აღარ ავიღებ, ჯერ ერთი, კაპიკებს იძლევიან და მეორეც, ცხრაჯერ მაინც უნდა მიხვიდე და ღარიბი ნათესავივით ელრიჯო თავგაბეზრებულ ბუღალტერ-მოლარეებს.

ავტობუსის გაჩერებასთან იდგა, კოსტავას ქუჩაზე, ფილარმონიის წინ. ხალხს გამოყოფოდა. განზე გამდგარიყო გაბუტულივით. ყავისფერი საქაღალდე ისევ ისე ეჭირა. მანქანებს ხელს არ უქნევდა, თავს ასწევდა მხოლოდ და ტაქსს მაღალი ყელის მოხდენილი მოძრაობით ანიშნებდა, თუ თავისუფალი ხარ, გააჩერეო. ფეხებთან დავუმუხრუჭე და წინა კარი გამოვაღე. ჩემს „ჟიგულს“ ამრეზილად შეავლო თვალი და განზე გაიხედა.

– ქალიშვილო!

ზურგი შემაქცია. ამაოდ ველი, რომ გამოიხედავს და მიცნობს.

– ამხელა კაცმა თავმოყვარეობა სად დაკარგე. ვერ გაეტევი შენს გზაზე? – დამგესლა ხელჩანთიანმა, მძიმე წონის მანდილოსანმა.

– ნელი! – სიბრაზისაგან გამშრალი ხმით დავუძახე.

– ბატონო გელა! მაპატიეთ, – თითქოს ხმაზე მიცნოვო, ერთბაშად შემობრუნდა, საქაღალდე გამომიწოდა და ევროპულად ჩაეშვა მანქანაში. ევროპულად-მეთქი რომ ვამბობ, არ გაგიკვირდეთ. მოსკოვში, შარშან, ერთმა ტაქსის შოფერმა ამიხსნა: ჩაჯდომის მანერაზე ვცნობ, ვინ ევროპელია, ვინ მოსკოველი (რატომ გამოყო, არ ვიცი) და ვინ პროვინციელიო. პროვინციელები ჯერ თავს შემყოფენ მანქანაში და მერე ხუთნაირად იგრიხებიან, სანამ სავარძელზე მოკალათდებოდნენო. მოსკოველები, რატომღაც, ჯერ ფეხს შემოდგამენ და მერე სხდებიანო. ეს გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე თავის შემოყოფა ტაქსშიო. ევროპელები კი ელვისსისწრაფით ჯდებიან. კარს გამოაღებენ თუ არა, უკვე სხედან სავარძელში. სასიამოვნო საყურებელია მათი დაჯდომაო. ნელი, როგორც მოგახსენეთ, ევროპულად დაჯდა. საქაღალდე გამომართვა, უკან გადადო და თეთრი, ჩაწიკწიკებული კბილები შემომანათა.

– შეგაწუხეთ, ვინ იცის, გეჩქარებოდათ.

– ასე რომ ყოფილიყო, არ გაგიჩერებდით, – რა უხეიროდ გამომივიდა, მაგრამ ენიდან გასულ სიტყვას ვეღარ დაიბრუნებ.

– თქვენ გინდოდათ გეთქვათ, გამიჩერებდით და ბოდიშს მომიხდიდით, რომ გეჩქარებათ. ხომ?

– დაახლოვებით. საით წავიდეთ?

– პავლოვის ბოლოში, ძალიან შორს ხომ არ არის? – შეშფოთებით მკითხა.

– არა. მეც იქით ვცხოვრობ.

– თქვენ ხომ ვაკის პარკთან ცხოვრობთ?

– საიდან იცით? – რა მემართება, რა ცივად და უხეშად ველაპარაკები ამ ანგელოზივით გოგოს.

– ერთხელ დაგინახეთ. ვაკე-საბურთალოს გზაზე, მაღალფეხებიანი, თეთრი სახლიდან გამოხვედით.

გმირთა მოედნის წრეში კარგა ხანს ვერ შევედით, ვარაზისხევიდან მანქანების ნიაღვარი მოგვაწყდა.

მთელი ტანით შემობრუნდა და თითქოს სილა გამაწნაო:

– ბატონო გელა რატომ ხართ ცუდ ხასიათზე?

მოვხედე და შეშფოთებულ ირმის თვალებს რომ წავაწყდი, გამეცინა:

– მაპატიეთ, ეგ თქვენ არ გეხებათ... საერთოდ ამ ბოლო დროს მე უფრო ხშირად ცუდ ხასიათზე ვარ.

წინ გაიხედა და ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

– ვიცი.

საიდან იცის. ვერ ვიტან პატარა გოგოცუნების ყალბ, რომანტიკულ, ამოოხვრებით სავსე ლაპარკს. ესეც ალბათ ისეთივეა, როგორც მისი ასაკის ლამაზმანთა უმეტესობა – ყურადღებით განებივრებული, ქარაფშუტა, ცხოვრებაუნახავი, ნოტებზე მოლაპარაკე.

– როგორი კაცია თქვენი დირექტორი?

მცირე პაუზის მერე მიპასუხა.

– მე მგონი კარგი პიროვნებაა. იცით, მე შეიძლება ვცდებოდე, მე მხოლოდ ერთი თვეა მანდ ვმუშაობ. ჩემთვის კარგია. სამსახურში მიმიღო. ინსტიტუტში პროფილის ცნობა რომ არ მიმეტანა, გამრიცხავდნენ.

– ჟურნალისტიკაზე სწავლობთ?

– დიახ, დაუსწრებლად, მეორე კურსზე.

– მამა რა მოხელეა?

– მამა არ მყავს, ბატონო გელა.

– ?

– ერთი წლის გახლდით, მამამ თავი რომ მოიკლა. დედამ და დეიდამ გამზარდეს.

– რატომ მოიკლა თავი?

– ვერ გეტყვით.

– არც დედამ იცის?

– დედამ, ალბათ, იცის, მაგრამ როცა ვკითხავდი, რაღაც სისულელეებს თხზავდა. შევატყვე, რომ არ უნდოდა, სიმართლე ეთქვა ჩემთვის და კარგა ხანია მეც აღარ ვეკითხები.

– რა გვარი ხართ?

– ნიკურაძე.

ხელნაწერთა ინსტიტუტთან გამაჩერეს.

– რა უნდათ? – ეს არ იყო გულგრილი მგზავრის მიერ მოვალეობის მოხდის მიზნით დასმული შეკითხვა. აშკარად ჩანდა, ნელის არ უნდოდა, ჩემს უგუნებობას კიდევ ერთი მიზეზი დამატებოდა.

მანქანაში რომ დავბრუნდი, პირველ რიგში მისი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე.

– რეიდია. საბუთებს ამოწმებენ. ტექდათვალიერება არ გამივლია და კინაღამ დამაჯარიმეს. ხვალ ვაპირებდი, მაგრამ ხვალაც ვერ მოვასწრებ, აჩინჩარაში მგზავნიან.

– რაზე?

– მივლინებით.

– რა კარგია. – ჩემსკენ არ იხედება. პროფილი ისე ლამაზი არა აქვს, როგორც ანფასი.

– რად გინდოდათ ჟურნალისტიკა? – რაღაც ხომ უნდა ვკითხო.

– ამ შეკითხვას მხოლოდ ჟურნალისტები მაძლევენ. ვიცი, ახლა თქვენ მეტყვით, ნერვების გლეჯის მეტს არაფერს მოგიტანს ჟურნალისტობა. შენ ლამაზი გოგო ხარ. შესულიყავი უცხო ენებზე, ან მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზეო. ეს ყველაფერი, ათასჯერ მომისმენია და მაინც ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ. დიდ ნიჭს ვატყობ-მეთქი თავს, ვერ გეტყვით, მაგრამ მიზიდავს ეს სპეციალობა. ძალიან მიყვარს.

– აგაშენა ღმერთმა, – ვთქვი და გულში დავაყოლე: ღმერთო, რა კარგია რომ ასეთი „ჯიუტი“ ახალგაზრდები მოდიან ჟურნალისტიკაში. ამ სიჯიუტეს, თუ ჭკუაც ახლავს ისინი უთუოდ გაიტანენ ლელოს. ასეა, ბოლოს ნებისყოფა იმარჯვებს.

ტროლეიბუსის პარკთან, პავლოვზე, რომ ჩამოვუხვიეთ, კუთხის სახლთან გამაჩერებინა მანქანა. ამ სახლში ვცხოვრობ, მეხუთე სართულზეო. ის პატარა აივანი, წითელი პილპილის აცმა რომ ჰკიდია, ჩემიაო. აივნის კარი ღიაა, დედაჩემი მოსულია სამსახურიდანო. მაპატიეთ, ვერ გეპატიჟებით, არა ვართ ისე მოწყობილი, თქვენ

რომ გეკადრებათო. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვისო. კარი გამოაღო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. საქაღალდე დაგრჩათ-მეთქი, მივაძახე. მოირბინა. ასეთი დაბნეული არასოდეს ვყოფილვარ, რა მემართება, არ ვიციო. მორცხვად გამიღიმა, კიდევ ერთხელ მომიბოდიშა და წავიდა.

მოვდიოდი შინისაკენ და ვნანობდი, რომ ასე მალე დამშორდა. ბოლოსდაბოლოს კაცი ვარ, გასეირნება მაინც შემეთავაზებინა-მეთქი, ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ იცის, კიდევ როდის შემხვდება შემთხვევით. ბოლოს დავასკვენი, რომ კარგად მოვიქეცი. ნელი ფლირტის ქაღალდის მიწოდების სიტუაციას არ ქმნიდა. ისე ალალად და გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ჩემგან – „კუს ტბაზე ხომ არ ავსულიყავით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად“ – სრულიად უადგილო იქნებოდა. თავს გავიბითურებდი და მეტი არაფერი. იქნებ მომეჩვენა, იქნებ იგი უბრალოდ კარგად გაზრდილი გოგონა იყო, ან ისე ეშმაკი და ჭკვიანი, რომ ახერხებდა თავი მიამიტ გოგონად მოეჩვენებინა-მეთქი. ერთი გაფიქრება ესეც კი გავიფიქრე. ბოლოს „ჟიგული“ ჯაჭვით რომ დავაბი, ფეხზე ვივახშმე და ჩემი ბიჭისთვის, ჩემდა ჭირად შეძენილ, ასაწყობ „ხომალდს“ ჩავუჯექი, ნელი ჯერ ოდნავ გაფერმკრთალდა და თანდათანობთ მიიცრიცა მეხსიერების ფსკერზე.

აჩინჩარა პატარა ქალაქია შავი ზღვის სანაპიროზე. იმდენად კოხტა ქალაქია, რომ ორმოცამდე ეროვნება ცხოვრობს. მსოფლიოს ხალხთა პატარა მუზეუმია პირდაპირ. იქნებ ამის გამოცაა, რომ ქალაქს ერთიანი არქიტექტურული იერი არა აქვს. ყველას თავის გემოზე უშენებია, ყველას თავისი სტილის დამკვიდრება უცდია, მაგრამ თუ რაიმე არ უხდება აჩინჩარას, ეს გახლავთ ამ ათიოდე წლის წინათ აშენებული სამი მაღალი სახლი, რა მტრული მოსაზრებით ჩამოაფარეს ეს სახლები იაშთხვას მწვანე ფერდობებს, კაცმა არ იცის.

კვიწინიას იუბილეს დავესწარი, სიტყვაც ვთქვი და მეორე დღესვე უკან გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. სასტუმრო „აქაბია“, სადაც ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა დამიდეს ბინა, ზღვას გადაჰყურებს. ამინდები მშვენიერია. ერთ კვირას დავრჩები. ცოტას გავივლ-გამოვივლი, ზღვაში ჩავიჭყუმპალავებ, რა ხშირად კი მე ვისვენებ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდნენ. რამდენ ხანსაც გაგიხარდებათ, ბრძანდებოდეთო. ღმერთო, ნუ მოშლი საქართველოში სტუმარ-მასპინძლობის გასაოცარ ადათს. რა მოწიწებით მეპყრობიან, თვალში შემციცინებენ, რესტორნიდან რესტორანში დამატარებენ, ამათთვის მე ლიტერატურული ავტორიტეტი ვარ. თუ შენს თავზე რწმენა შეგერყა. შენს ძალებში თუ

დაეჭვდი, მკითხველო, აიკარი გუდა-ნაბადი და ერთი კვირით ეწვიე რომელიმე პროვინციულ ქალაქს. ძალა დაგიბრუნდება, გამხნევდები, სულ სხვა კაცად დაბრუნდები.

აჩინჩარაში ჩასვლის მეორე დღესვე ნელის სახე დამიდგა თვალწინ და მოსვენება დავკარგე. რა ხდება ჩემს თავს? სენტიმენტების და რომანტიკის კაცი არასოდეს ვყოფილვარ და ახლა მით უმეტეს. აღარც ასაკი მაქვს აცუნდრუკების და არც გარემოება მაძლევს დიდ გასაქანს. უეცრად ჩამოფრინდება ნელის სახე გონების თვალში და ვერც ვიცილებ. ზღვას გავყურებ, ესესაა ლურჯი ტალღებიდან ამოყო ხუჭუჭა თავი და ჩემსკენ მოცურავს, პირაღმა დავწვები, ღრუბლებში გაკრთება და გაბუტული სახით ცის კაბადონზე დგას და მიცქერის რესტორანში ვზივარ, სადაცაა შემოვა ტანის ლამაზი რხევით, მასპინძლებს ბოდიშს მოუხდის და ჩემს გვერდით დაჯდება. მალი-მალ კარებს გავყურებ. ხომ გამოგიცდიათ ასეთი გრძნობა, – ვიღაც გაკლია, ვიღაც შენს გვერდით უნდა ყოფილიყო და აუხსნელი მიზეზის გამო არ ჩანს. იგვიანებს ღმერთო ჩემო, რას ველი, ვის ველი. ყველას შეიძლებოდა ახლა ჩემს გვერდით ყოფილიყო, გარდა ნელისა. რა ვარ მე მისთვის? ხეირიანად არც კი მიცნობს გოგო. სასაცილოდ არ ეყოფა, ალბათ, თბილისში რომ ჩავალ და ვეტყვი, ტკივილამდე მენატრებოდით, სულ თქვენი ხატება მედგა-მეთქი თვალწინ. ვტუქსავ ჩემს თავს, ვცდილობ სხვა რამეზე გადავიტანო ფიქრი, მაგრამ არა და არ გამოდის.

მთელი ღამის უძილო დილით, სალაპარაკო პუნქტს მივადექი. გამომცემლობაში დავრეკე და მდივან გოგონას ვთხოვე, თუ შეიძლება, ნელი ნიკურაძეს დამაკავშირეთ-მეთქი. ახლავე ვნახავ თუ არისო. ღმერთო, როგორ გაგრძელდა ეს ერთი წუთი. გული ბაგაბუგით მიცემს. მოვა ახლა, „გისმენთ, გისმენთ?“, რა ვუთხრა, ვინ ვარ, რაზე ვრეკავ? რამ ამამჩატა ამხნის კაცი, რა ეშმაკი შემიჯდა. „ალო, ალო“, – ნელის ხმა არ არის, – „ბატონო, არ არის, არ მოსულა ჯერ, იქნებ კიდევ დარეკოთ? ვინ ბრძანდებით, რა გადავცე?“ „არაფერი გმადლობთ, თქვენის ნებართვით კიდევ დავრეკავ“ ჯიხურიდან გამოვედი და ღრმად ამოვისუნთქე. „კიდევ კარგი, არ დამხვდა, ახლა ზღვაზე წავალ, გავერთობი და მეტს აღარ დავრეკავ“.

აღარც კი მახსოვს, სად ვიარე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში და როგორ აღმოვჩნდი ისევ სალაპარაკო ჯიხურთან. „იცით რა, არ მოსულა, მგონი ნელის ლექციები დაეწყო და შეიძლება ამ დღეებში არ მოვიდეს“. ყურმილი დავკიდე და გამშრალი გამოველ გარეთ. „დეპეშას გავგზავნი“, გამიელვა. ბევრი აღარ მიფიქრია, ფოსტაში ჩავირბინე და ასეთი ელვა დეპეშა ვაფრინე

თბილისს: „თბილისი, გამომცემლობა „ნიჩაბი“, ნელი ნიკურაძეს, დაგხვდები ხვალ, პარასკევს, აჩინჩარას მატარებელზე, მოკითხვა დედას, ჩამოდი აუცილებლად, მერი, სასტუმრო „აქაბია“, ეს რა კარგად მოვიფიქრე. ალბათ, დღეს, ან ხვალ უეჭველად შეივლის სამსახურში. ეჭვსაც ვერავინ აიღებს, „მერი“ ზღვაზე ეპატიჟება. მორჩა და გათავდა. მაგრამ თვითონ? მიხვდება, რომ ამ დეპეშას მერი კი არა, მე ვუგზავნი, მხოლოდ ორი დღის ნაცნობი, გელა კირთაძე, რომ ზღვარი არა აქვს ჩემს სითამამეს და გაბედულობას?

რაღა გავაგრძელო, პარასკევს გავვარდი მატარებლის დასახვედრად. ბაქანზე რომ ავრბოდი, უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი.

ასე გაბავშვებულად და გალაღებულად თავი დიდი ხანია არ მიგვრძნია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩამოვა. საქმიანი იერით დავაბიჯებ სადგურის ფილაქანზე. მატარებელმა ორი საათი დაიგვიანა, მაგრამ მოწყენა წუთითაც არ მიგრძვნია. ეს მოლოდინი ყელამდე მავსებდა. გულის სიღრმეში მიხაროდა კიდეც, რომ მატარებელმა დაიგვიანა. დავაბიჯებდი ბაქანზე და თვალწინ მეათასედ იშლებოდა ძვირფასი კადრი. იგი ვაგონის კიბეზე დგას. ხელს შევაშველებ, ხელჩანთას გამოვართმევ, მხარზე ხელს გადავდებ და ასე, ტკბილი მუსაიფით მივდივართ ტაქსის გაჩერებისკენ. გზადაგზა ხუჭუჭა ქოჩორს ვუვარცხნი. მეჭიკჭიკება რაღაცას, მაგრამ არაფერი მესმის. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ.

ჩემს თვალწინ ჩაილალნენ ვაგონები, მაგრამ ნელი არ ჩანდა. მატარებელი რომ გაჩერდა, ბაქანის გასასვლელისაკენ გავიქეცი. თუ ჩამოვა, უსათუოდ აქ გამოივლის, აქ ნამდვილად არ ავცდებით ერთმანეთს. სანამ უკანასკნელმა მგზავრმა და მისმა დამხვდურმა არ ჩაათავეს კიბე, ფეხი არ მომიცვლია, არ ჩამოვიდა. გულდამძიმებული დავბრუნდი „აქაბიაში“ და მთელი დღე ტანსაცმლიანად პირაღმა ვეგდე ტახტზე, ჭერს მიშტერებული. გაცუდდა ჩემი ოცნებები? არა. ასე არ ხდება. ასე არ უნდა მომხდარიყო. მე ხომ ასე საოცრად მინდა, რომ იგი ახლა ჩემს გვერდით იყოს. რაღაც ლოგიკა მაინც ხომ აქვს ცხოვრებას? ხანდახან მეჩვენება, რომ მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი. თითქოსდა ყველამ ერთად შეკრა პირი ჩემს მოსატყუებლად. თითქოსდა, ისიც წინასწარ იყო დაგეგმილი, რომ დერეფანში გაეცნოთ, მერე გაჩერებაზე დაეხვედრებინათ, აჩინჩარაში მივლინებით გავეგზავნეთ, რათა ანგელოზის სახიანი გოგოთი გაგიჟებულს სულელური დეპეშა გამეგზავნა თბილისში. უჭირავთ ახლა ჩემი დეპეშა და ხარხარებენ. ნელი? ნელის სუფთა, შვლის თვალები რომ გამახსენდებოდა, ავი ფიქრები საპნის ბუშტივით ქრებოდნენ. არა, არა მის სიტყვებში თვალთმაქ-

ცობის ნატამალი არ ჩანდა. უბრალოდ დეპეშა დაუგვიანეს, ხვალ უსათუოდ ჩამოვა.

მთელ ღამეს არ მეძინა. დილით წამთვლიმა და თვალი რომ გავახილე, ცხრა საათი იყო. შეშლილივით წამოვვარდი. წყალი შევისხი, პირის გაპარსვას ვინ დაეძებს, ღილებს გზაში ვიკრავ. დამაგვიანდა. მატარებელი (თუ დღესაც არ დააგვიანა) ზუსტად ცხრაზე ჩამოდის. კარგა ხანს ფეთიანივით ვაწყდებოდი აქეთ-იქით ქუჩაზე, მაგრამ ტაქსი არა და არ გამოჩნდა. ბოლოს ძალით ჩავუხტი ვიღაცას მანქანაში და დაველრიჯე, თუ ძმა ხარ, სადგურში მიმიყვანე, ბავშვი მოყვება მატარებელს, გზა-კვალი არ იცის, თუ არ მივუსწარი, დავიღუპე-მეთქი.

სამი ნახტომით ბაქანზე გავჩნდი მატრებელი ჩამოსულა და ჩამოცლილა კიდეც. არავინ ჩანს, საათის ქვეშ გაჩერებული ერთი წითელქუდიანი რკინიგზელის გარდა, გულჩამწყდარი ჩამოვბრუნდი ავტობუსის გაჩერებაზე. ბოძს მივეყრდენი და ის იყო ჩემს უიღბლობა-უნიათობაზე მწარე ფიქრებმა გამიტყუეს, რომ ზედ ყურის ძირში მომესმა:

– ბატონო გელა!

– ნელი! – ვიყვირე. ალბათ ასე ყვირიან ზღვით გაწამებული მეზღვაურები „მიწას“, ხმელეთს რომ დაინახავენ.

* * *

– გამიშვი, ძალიან გთხოვთ გამიშვი, თორემ ვიყვირებ, – ნელიმ სასოწარკვეთილი სახით მომიცილა და ჩემს პირდაპირ, ნარზე გადაჯდა.

– რა მოხდა?

– ჯერ ერთი, მატარებელი მცხეთაში შედის და მეორეც, მანდ იჯექი, უნდა გელაპარაკოთ.

– რა უნდა „მელაპარაკოთ“? – „თ“-ს დავაწექი.

მიყურა, მიყურა, გაიღიმა და ჩუმად თქვა.

– მაპატიეთ, ვერ მივეჩვიე თქვენთან შენობით ლაპარაკს.

– რა ხდება, ნელი?

– მომისმინეთ ყურადღებით. იცით რა, მე თქვენ არ მიყვარხართ და, – თითქოს ეშინია ვაი თუ ვერ მოვასწროო, სხაპასხუპით მიაყარა ერთმანეთს, – ძალიან გთხოვთ, თბილისში ნუ ვნახავთ ერთმანეთს. რაც იყო, იყო.

– ნელი! გაჩუმდი.

– ჰო, ჰო, დედას გეფიცებით, მართალს ვამბობ. მე თქვენ არ მიყვარხართ.

– გძულვარ?

– არ მძულხართ, მაგრამ სულერთი ხართ ჩემთვის. რაღა თქვენ და რაღა ის კაცი, ხედავთ? ჯიხურს რომ მიყრდნობია. ეს გრძნობა სიძულვილზე უარესია, რომ იცოდეთ.

– როდის მიხვედი ამ დასკვნამდე?

– დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ ახლა, ამ წუთში საბოლოოდ დავრწმუნდი. ახლა რომ გადმოიხაროთ და მაკოცოთ, შეიძლება გავგიჟდე.

გადავიხარე, გულზე მივიკარი და ვაკოცე.

– გამიშვით, ხომ ხედავთ, არ გპასუხობთ. არ მიყვარხართ, არა, არა, არა. მანდ იჯექით და ვილაპარაკოთ, – საათს დახედა და ამოიხვნეშა, – ღმერთო, რა ნელა გადის დრო. არაუშავს, თხუთმეტ წუთში დამთავრდება ეს ყველაფერი.

– შენ ასე ფიქრობ?

– დარწმუნებული ვარ: ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. რაც იყო, იყო. კარუსელს უკუღმა ველარ დავატრიალებთ.

– ეს ხუთი დღე?

– ხომ გეუბნებათ, რაც იყო, იყო-მეთქი.

– ნელი, შენ ჭკუაზე ხარ?! ეს ხუთი დღე ხომ ყველაზე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. და თუ ასეა, რატომ მეჩვენებოდა, რომ შენც ბედნიერი იყავი ჩემს გვერდით.

წელში გაიმართა, ვაგონის კედელს მიაყრდნო ლამაზი, ხუჭუჭა თავი.

– დავუშვათ. ეს არაფერს აღარ ნიშნავს. გახსენებაც არ მინდა. დავიღალე. ახლა მე თქვენ სრულებითაც არ მიყვარხართ.

– ნუთუ ამ ხუთმა დღემ სხვაში ვერაფერში დაგარწმუნა?

– რაში უნდა დავერწმუნებინე. ეს ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა, დაბნეული გოგოს ხუთდღიანი არშიყი იყო. მინდოდა და გავაკეთე. ახლა აღარ მინდა. თქვენი დანახვაც აღარ მინდა. ხვალ შეიძლება სხვა მომეწონოს და ასეთივე წარმატებით...

– ნელი! – გავარტყი.

სახეზე ხელი მიიფარა. გაოცებით შემომხედა.

– რატომ გამარტყით ასე ღონივრად, ბატონო გელა, ხომ შეიძლება დამაჩნდეს ლოყაზე. მე ხომ ხუთდღიანი მივლინებით წამოვედი სამსახურიდან. ასე იცის დედაჩემმაც, – ლოყიდან ხელი მოიცილა და ჯიქურ შემომხედა, – აი, იმდენად სულერთი ხარ, ჩემთვის, რომ შენი სილა არც კი მწყენია.

– რატომ ჩამოხვედი?

– მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ. ბავშვობიდანვე თქვენნაირი კაცები მომწონდა. ნიჭიერი „ნეუდაჩნიკები“. თქვენს მიმართ რაღაც-

ნაირი გრძნობა მქონდა. არა, ამას სიბრალული კი არ ერქვა. რაღაც მშობლიური, რაღაც სხვანაირი. სიყვარულსა და სიბრალულს შუა.

– გმადლობთ თანაგრძნობისათვის. ყველა ხელმოცარული მამაკაცის სახელით. მერე?

– თქვენი დეპეშა, როგორც ჩამოსვლის დღეს გითხარით, გვიან მივიღე. ოთხშაბათს სამსახურში საერთოდ არ ვყოფილვარ. ვიცოდი, მიდეპეშებდით, ან დარეკავდით აქ გასაოცარი არაფერია. თქვენ ნორმალური კაცი ხართ და უსათუოდ უნდა გადმოგეგდოთ ანკესი, მით უმეტეს ჩემთვის, რაკი, როგორც ამბობენ, ლამაზი ვარ.

გაჩუმდა. სარკმლის ფარდა გადასწია.

– ვიცოდი, რომ თქვენი დეპეშა იყო, მაგრამ მაინც გავბრაზდი. თქვენმა უტიფრობამ გამაბრაზა. ეს ყველაფერი ისე ტლანქი იყო, ისე მამაკაცური. თქვენ მარტო იყავით სასტუმროში. ნომრის გასაღები ჯიბეში გედოთ და მე, დიაცს საალერსოდ მიწვევდით. დეპეშის დახევა მინდოდა, მაგრამ მერე უცნაურმა ჟინმა შემიპყრო, ჩამოვსულიყავი და გამეოცებინეთ. ეტყობა, პატარა ავანტიურისტიც ზის ჩემში. თქვენ ხომ არ მელოდით. ჩვენი ნაცნობობის დროით და ჩემი ცხოვრების წესით თუ ვიმსჯელებთ, მე არ უნდა ჩამოვსულიყავი. შეიძლება უბრალოდ იმიტომაც გამოგზავნეთ დეპეშა, რომ სამომავლო ალიბი გქონოდათ: „პატარა გოგო, იცი, რამდენს ვფიქრობდი შენზე მივლინებაში?“ მივლინებაში... დიდი ამბავი.

– ცდები. ვიცოდი, რომ ჩამოხვიდოდი.

– ეტყობა, თავიდანვე ვერ დავტოვე თქვენზე კარგი შთაბეჭდილება. ან ვინმემ ინფორმაცია მოგაწოდათ – ჩქარი გოგოა. თუმცა, დედას ვფიცავ, ამის საბაბი არასოდეს, არავისთვის არ მიმიცია. თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ან, იქნებ, ჩემს გამოუცდელობაზე ითამაშეთ. მე ხომ ოცი წლისა ვარ. მისმენთ?

– განაგრძე. როგორც ახლა ირკვევა, შენ ოცი წლის გულუბრყვილო გოგო კი არა, ჩემზე უფროსი ქალი ხარ.

– კარგი, გელა, – გაიღიმა, – ნუ დამცინი, – წარბები ისევ შეჰყარა და მკაცრი იერი მიიღო, – და აი, ჩამოვედი. მე არ ვნანობ. კარგად ვიყავი თქვენთან ეს ხუთი დღე. მომხიბვლელი მამაკაცი ხართ. ალერსიანი. სიმართლე გითხრათ, მაინტერესებდა კიდეც, როგორი იყავით საერთოდ. მეტი არაფერი. დილით საწოლიდან რომ ავდგებოდით და სასაუზმოდ ჩავდიოდით, აღარ მიყვარდით და მინდოდა ჩქარა დაღამებულიყო. თქვენს გვერდით უცხოდ ვგრძნობდი თავს. მარტო ლოგინში მიყვარდით, მორჩა და გათავდა. მაპატიეთ, ასე უხეშად რომ გელაპარაკებით.

– მერე?

– არ ვიცი, რისი ბრალია, ყოველივე ეს. შეიძლება ჩემი ასაკის. მე ჯერ კიდევ ძიების, ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევის პროცესში ვარ. ან იქნებ, თქვენ არა ხართ ის მამაკაცი, ვისაც სიყვარული შეუძლია საერთოდ. ან იქნებ, მე არ დამაყოლა ბუნებამ სიყვარულის ნიჭი. ან და შეიძლება ერთი მიზეზი ესეც იყოს – სიტუაცია არ გვიწყობს ხელს. ჯერ ერთი, თქვენ ჩემზე ბევრად უფროსი ხართ. ეს ცოტა როდია. თუმცა მე ჩემს ასაკის ბიჭები არასოდეს არ მომწონდა. ასეთი ხასიათი მაქვს. იცით რა, დავიღალე. ჩამოსვლისთანავე სირცხვილი მიწვავდა ზურგს. თქვენ რომ ამაოდ უმტკიცებდით ადმინისტრატორს, ჩემი ცოლია, მაგრამ პასპორტი თბილისში დარჩაო. მერე ყოველღამე საცოდავი ღიმილით რომ უნდა დაგედოთ „ბამბანერკა“ სართულის მორიგისათვის და ნომერში აგეპარებინეთ. ახლაც მზარავს იმის გახსენება, რომ შეიძლება, ბაქანზე ცოლი დაგხვდეთ. გითხრათ, როგორ მოიქცევით? ერთს უმწეოდ, დაბნეულად გამიღიმებთ, შემთხვევით დამგზავრებულ გოგოსავით დამემშვიდობებით, ცოლს ხელკავს გამოსდებთ და წახვალთ. რა საშინელებაა.

– ნელი, მე შენ გაგიჟებით მიყვარხარ.

– მე არ მიყვარხართ. და საერთოდ ძალიან გთხოვთ ნუ ლაპარაკობთ ამ სიტყვებს. მე თქვენ გინდოდით, როგორც ქალი. და მე ვიყავი თქვენთან, ჩემი სურვილით. უფრო მარტივად უნდა შეხედოთ ამ ამბავს. ეს სიყვარული არ იყო. ბუზს სპილოდ ნუ აქცევთ. არ გჭირდებათ ეგ რომანტიკა. კიდევ კარგი, რომ დროზე ვშორდებით ერთმანეთს. ეს რომ ნამდვილი სიყვარული იყოს, საშინელება იქნებოდა. გატანჯული სიყვარული. ლოდინი. კონსპირაცია, ცოლ-შვილისთვის წართმეული დრო და ფული. საზიზღრობაა პირდაპირ.

– ესე იგი შენ თვალთმაქცობდი ეს ხუთი დღე.

– სრულიადაც არა. ხომ გითხარით, მე მსიამოვნებდა თქვენთან ყოფნა და არ გეკამათებოდით. კარგად გაზრდილი გოგო ვარ და თქვენ რომ სიყვარულზე მეჩურჩულებოდით, საწოლში კამათს ხომ არ დაგიწყებდით.

– ახლა?

– ახლა სხვა სიტუაციაა. ჩვენი ხუთდღიანი ეპოპეა დამთავრდა და სიმართლე, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მეთქვა.

– ნელი, – ყელი გამიშრა, თავბრუ მესხმის, ნუთუ ეს ყველაფერი მართალია, ნუთუ ყველაფერი გათავდა. როგორ დავიჯერო, რომ მას შეეძლო, ხუთი დღის განმავლობაში დაუჯერებლად გულწრფელ ქალად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი, – ჩვენ ხომ ამაზე ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ.

– დავიწყეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ვთქვი, ძალა არ მეყო. წვეულებაზე შენ სასურველი კაცი ხარ. კარგი თამადა, ენაწყლიანი. იუმორის ნიჭით დაჯილდოვებული. მაგრამ სწორედ მაშინ იყავი ჩემთვის ყველაზე უცხო. თავს იწონებდი, ყველას უღიმოდი. მაღალფარდოვნებდი. თითქოსდა ყველას ეკუთვნოდი. ჩემითაც თავი მოგწონდა. შემომხედეთ, რა ძლიერი ვარ. ოცი წლის ასე ლამაზი გოგოს სიყვარულის მოპოვება ხუმრობა ხომ არ არისო, მეტყველებდნენ შენი თვალები. და როცა მე დამიწყე „გალამაზება“ სხვების თვალში – ფრიადოსანი სტუდენტია, ჟურნალისტიკაზე სწავლობს. მამიდასთან სტუმრად ჩამოსულა. შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და თქვენთან მოსვლაზე დავიყოლიეო, ეს კი ველარ გაპატიე და სამადლობელში ვთქვი, მე მამიდაჩემთან არ ჩამოსულვარ, და საერთოდ კარგად ვიცი ჩემი ადგილი და ჩემი ფუნქცია-მეთქი. შენ შეცბი. არ მოელოდი. მერე მთელი საღამო მეკითხებოდი – „ფუნქციაში“ რას გულისხმობდიო, მაგრამ მაშინ მიკიბულ-მოკიბულად აგიხსენი. ძალა არ მეყო. ჯერ ერთი, ყველამ იცოდა, რომ შენს ნომერში ვათევდი ღამეს და მეორეც, მე ის გოგო არა ვარ, ვისაც ყველაფერზე მეტად სახელის გატეხვისა ეშინია.

– ხომ შეგეძლო, არც ახლა გეთქვა, – მაჯა ამოხტომას ლამობს. მეშინია გული არ შემიღონდეს.

– რა?

– შენი „სიმართლე“.

– ამით რა შეიცვლებოდა. მე ხომ თქვენ დღეიდან აღარ გნახავთ.

– შევინახავდი ამ სიყვარულს. მე ეს მჭირდებოდა. მე ეს მაცხოვრებდა ბოლომდე. მე ხომ ოცი წლის არა ვარ და საერთოდ აწი აღარავის შეყვარებას აღარ ვაპირებ. შენ იცი, რა ჩაიდინე? თუმცა... შენ მაინც ველარ გაიგებ.

– არა, ბატონო გელა მე ყველაფერს გავიგებ, მაგრამ დამერწმუნეთ, ასე სჯობდა. თქვენ დროზე უნდა გცოდნოდათ. თქვენ ისე სუფთა კაცი ხართ, რომ მე ვერ მოგატყუებდით. მე არ მინდა იდარდოთ. გაწვალდეთ. უკეთესია ფიქრობდეთ, რომ მე ერთი ტუტუცი გოგო ვარ და ღირსი არა ვარ თქვენი სიყვარულისა.

– ეს რომ არ არის სწორი?

– სწორია! გეხვეწები ნუ მტანჯავ! არ მიყვარხარ! არ მიყვარხარ! არ მიყვარხარ!

ისტერიული ცახცახით თქვა. სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ერთბაშად გამოერკვა. გულში ჩამეხუტა და გაშმაგებით დამიწყო კოცნა.

მატარებელი თბილისის სადგურში შედის.

* * *

ტელეფონი კარგა ხანს რეკავდა.

გელამ იცოდა, რომ მისი ცოლი და ცხრამეტი წლის შვილი ასეთი უბრალო საქმისთვის ტელევიზორს არ მოშორდებოდნენ. საბანი გვერდზე მოისროლა, წამოჯდა და ფოსტლებს დაუწყო ფეხებით ძებნა. ცალს ვერ მიაგნო. წამოხტა, გაბრაზებული მიფლატუნდა ტელეფონთან.

– ალო, ალო, მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ! – ქალის შეშფოთებული ხმა იყო, – ძალიან გთხოვთ, ჩაინერეთ ჩემი ტელეფონი.

– მოიცათ, ახლავე. – გელამ ფანქარი მოიმარჯვა, – ვინ ბრძანდებით?

– მე თქვენ არ მიცნობთ. ძალიან ცუდად ვარ. შეიძლება დილამდე ვერ გავატანო. თუ არ შეწუხდებით დამირეკეთ ხვალ დილით, სამოცდაერთი, მისმენთ?

– კი ბატონო.

– სამოცდაერთი, თერთმეტი. ოცდახუთი. თუ ხვალ დილით არ გიპასუხეთ, ესე იგი მკვდარი ვიქნები და იმ შემთხვევაში სასწრაფოს დაურეკეთ. ვაშლოვანის თხუთმეტია ჩემი მისამართი. კვიციანი ნელი. მაპატიეთ, გაწუხებთ.

– ქალბატონო, თქვენ მე მიცნობთ?

– არა, სრულიად შემთხვევით მოვხვდი თქვენთან.

– იქნებ სასწრაფოსთვის მიგემართათ?

– სასწრაფო ვერაფერს მიშველის. არ მინდა.

– რომ წამოვიდე ახლავე?

– არავითარ შემთხვევაში. მე თქვენ კარს ვერ გაგიღებთ. თუ შეგიძლიათ, შემისრულეთ ეს თხოვნა, თუ არა და, კარგად ბრძანდებოდეთ.

უცნობმა ყურმილი დაჰკიდა.

გელამ კედლის საათს შეხედა, თორმეტს აღარაფერი აკლდა.

– ვინ იყო? – ჰკითხა სავარძელში მიკეცილმა მეუღლემ.

– არ ვიცი. სხვაგან მოხვდა.

– რა სხვაგან მოხვდა, ათი წუთია ელაპარაკები, – ბიჭი ტელევიზორს მიჭიჭინებოდა.

– შენი საქმე არ არის და წესიერად დაჯექი. აღარ იძინებთ? რამდენჯერ უნდა ნახოთ „ვატერლოოს ხიდი“. რა ტელევიზორის ავადმყოფობა გჭირთ ორივეს.

– დაწექი, დაიძინე შენ, გიშლით რამეს? – გაეპასუხა ცოლი.

– ტელეფონი რომ დარეკავს, მე მივიდე მაინცდამაინც? რა გეზარებათ ორ ნაბიჯზე მისვლა. ჩემი ცალი ფოსტლი სადაა?

ცოლმა ცერად გამოხედა ფეხბურთელის ფორმაში მდგარ, ცალ-ფეხსაცმლიან გელას.

– ლოგინქვეშ გექნება. გადი, ნუ გვიშლი ხელს.

– მე კი გავალ, მაგრამ ხომ ხედავ, რას უშვრება ამ ბავშვს სიგა-რეტი, – ცოლს მიუბრუნდა გელა, – არ გესმის, რა ხმა აქვს?

– არაფერიც. აღარ ვეწევი. ახლა გაცივებული ვარ ცოტა. გადი და დაიძინე, დედიკო, უთხარი.

ბიჭმა ისევ გამართა თავისი ლამაზი ფეხები და სათამაშო ლომს თავზე დააწყო.

გავიდა გელა საწოლ ოთახში, წამოწვა. ხუთიოდე წუთი ჭერს შესცქეროდა. მერე ისევ წამოდგა, ხალათი მოიხურა, კარადის ქვეშ ცალი ფოსტლი მოძებნა, ტელეფონთან მივიდა. ქაღალდი, რომელზეც ნელი კვიციანის მისამართი ეწერა, ჯიბეში ჩაიდო და საწოლს დაუბრუნდა.

დიდხანს არ დაეძინა.

„ავდგები და წავალ. ვინ იცის, როგორ უჭირს იმ ქალს. ძალიან შეწუხებული ხმა ჰქონდა. მაგრამ ჩემს სახლში ამის გამგებია ვინმე? აუხსენი ახლა ლილის, ამ შუაღამეზე იმიტომ ვდგები საწოლიდან, ვიცვამ და გავდივარ ამ ქარში გარეთ, რომ ვიღაც უცნობმა ქალმა დამირეკა; ძალიან ცუდად ვარ, ამა და ამ ადგილას ვცხოვრობ და, თუ კაცი ხარ, მომეშველეო. ჯერ ერთი, სასაცილოდ არ ეყოფათ, მეორეც, ეჭვი შეეპარებათ ჩემს სიმართლეში. მესამეც, რაღაც ეს ამბავი დეტექტივის დასაწყისს ჰგავს. დავიჯერო ახლა, მთლად შემთხვევით მოხვდა ჩემთან? ვინმე მოცლილი არ ხუმრობდეს. მა-გრამ გულწრფელი და შეწუხებული ხმა რომ ჰქონდა?“

ადამიანები უმეტესწილად თავს ინუგეშებენ და საოცარი ის არის, რომ თავიანთი საქციელის გასამართლებლად საბუთებს ყოველთვის პოულობენ ხოლმე. „თუ სასიკვდილოა, ამაღამ მაინც ვერაფერს ვუშველი, თუ საამქვეყნოა, ხვალამდე გაატანს, ხვალ შევეხმიანები და ან ექიმს მივუყვან, ან რამეს ვუსაშველებ“.

ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდეც.

ერთი სული ჰქონდა, სანამ დილით ცოლი და შვილი ის-აუზმებდნენ და სახლიდან გავიდოდნენ. გელამ ვერაფრით ვერ დაადგინა, რომელ საათზე ეწყებოდა მის შვილს ლექციები. ხან დედასთან ერთად ცხრის ნახევარზე გავიდოდა სახლიდან, ხან თორმეტ საათამდე ლოგინში ნებივრობდა. ბევრი ეჯავჯგურა გელამ, ბევრი იყვირა და ნერვები იშალა, რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ ბიჭი მის ჭკუაზე ვერ გაზარდა. აწი, მითუმეტეს, დაგვი-ანებული იყო. უცხო ენების ინსტიტუტის მესამე კურსის სტუ-დენტს თავისი ცხოვრება ჰქონდა. გელა ამჩნევდა, რომ ნელ-ნელა

უცხო ხდებოდა საკუთარ ოჯახში. წარსულს ბარდებოდა ერთად ყოფნის, ერთად განსჯის, ერთ აზრამდე მისვლის იდილიები, ოჯახს რომ კრავს საერთოდ. შვილი კი არა, თუ აუცილებელი არ იყო, ცოლიც კი აღარ ელაპარაკებოდა. გელა მარტო იყო თავის ფიქრებთან და საქმეებთან – საღამოობით გელა წიგნს კითხულობდა თავის ოთახში და ადრე იძინებდა. ტელევიზორი სძულდა. მისი ოჯახის მთლიანობის დარღვევას უმეტესწილად ტელევიზორს აბრალებდა.

მარტო რომ დარჩა, ტელეფონი თავის ოთახში გაიტანა, ფანჯარასთან დადგა, და როგორც იქნა აკრიფა სამოცდაერთი – თერთმეტი – ოცდახუთი.

– ალო.

– გისმენთ?

გულზე მოეშვა, ნელის ხმა იცნო.

– როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ნელი?

– გმადლობთ?

– გელა ვარ, – გაახსენდა, რომ ნელის მისი სახელი არ უნდა სცოდნოდა და მაშინვე დაამატა, – წუხელის რომ დამირეკეთ. შეშინებული ხმა გქონდათ.

– მაპატიეთ, ბატონო, სულგრძელად შემინდეთ. ქმარი მივლინებაში წავიდა. ჩემმა შვილმა წუხელის ძალიან დაიგვიანა. დიდი ბიჭია, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. იმათ დაბადების დღეებს და მიზეზებს რა დაულევს. მე კიდევ, ავადმყოფ ქალს, როგორც ჩანს, გული დამისუსტდა. თქვენ ღმერთმა არ გამოგაცდევინოთ, სიკვდილი დავიწყე. ჯერ ხელები და ფეხები გამიცივდა. ცივმა ოფლმა დამასხა. ტელეფონისთვის არც დამიხედავს, პირველად რა ციფრებიც მომივიდა თავში, ავკრიფე. თქვენთან მოვხვდი. მე ვთქვი, გული რომ წამივიდეს, ან წერილი წავიღო იმქვეყნად, ერთმა ვინმემ მაინც იცოდეს-მეთქი.

– მიხარია თქვენი ხმის გაგონება, ახლა ხომ ყოჩაღად ხართ?

– შედარებით... პირველ საათზე მობრძანდა ჩემი ვაჟბატონი და ცოტა დავმშვიდდი.

– რა გაწუხებთ, ქალბატონო. თუ საიდუმლო არ არის.

– თქვენს მტერს, ბატონო, გელა, არა, თქვენი სახელი?

– დიახ.

– თქვენს მტერს, ბატონო გელა, მე რომ მჭირს. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი.

– ?!

– კიდურებს ვერ ვამოძრავებ. მარილების დაგროვებაა, უწინ კუნტობას ეძახდნენ.

– მერე მარილებმა შეგაშინათ, ქალბატონო? უკაცრავად ერთი წუთით, – გელამ ფანჯარა გამოაღო და ჩასძახა, – აბა, მოშორდით მაგ ტერიტორიას! სწრაფად, სწრაფად, არ ჩამომიყვანოთ, იცოდეთ! – ტელეფონის ყურმილი ხელში ეჭირა, – უკაცრავად, ქალბატონო ნელი. ბავშვებს დავუცაცხანე. ხელისგულისოდენა ადგილი გვაქვს სახლის უკან. შარშანწინ პატარა ბაღჩა გავაშენეთ მეზობლებმა. ბავშვებისგან ვერ ვიპატივეთ. იასამანს ვინ დაეძებს, აყვავებულ ალუბლებს ტოტებს ამტვრევენ.

ავტორს სიჩქარეში დაავიწყდა ეთქვა შენთვის, ძვირფასო მკითხველო, რომ გაზაფხული იყო.

– სად ცხოვრობთ, ბატონო გელა?

– გურამიშვილის ქუჩაზე. ვაკის ბოლო სახლი თუ იცით ვაკე-საბურთალოს გზის დასაწყისთან.

– მშვენიერი ადგილია.

– ადგილს არა უშავს, მაგრამ ძალიან ხმაურიანია, ქალბატონო ნელი.

– ჰო, ხმაური ახლა ყველგანაა.

– მარილებზე გკითხეთ, ქალბატონო ნელი, – გელამ ავადმყოფობის ხაზით საუბრის გაგრძელება უფრო საინტერესოდ მიიჩნია.

– ნუ მეტყვით, ბატონო. ეს მარილები კი არა, შავ ჭირზე უარესი ყოფილა. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი. ჯერ ფეხები წამერთვა, სამსახურს თავი დავანებე. მასწავლებლად ვმუშაობდი, ფიზიკოსი ვარ სპეციალობით. ეს ერთი წელია ხელები გამიჩერდა. იდაყვი და მაჯები ხომ გამიქვავა, ახლა თითებსაც ძლივს ვამოძრავებ.

– ტკივილით გტკივათ?

– საშინლად. მთელი დღეები გამაყუჩებელ საშუალებებზე ვარ. როდემდე უნდა ვიყო ასე.

– გაივლის, ქალბატონო ნელი. რა ვიცი, ეს ოხერი, მარილების დაგროვებას ამ დროს ეფექტურად მკურნალობენ. ერთ ჩემს მეგობარს... – უნდოდა ეცრუა გელას, მაგრამ დროზე შეაწყვეტინეს.

– ნუ მეტყვით, ბატონო გელა. ნუ მეტყვით. ძალიან გთხოვთ. არ არსებობს საშუალება, რაც ჩვენ არ ვცადეთ. დავღალე ჩემიანები ამ ჩემი ავადმყოფობით და მეც დავიღალე. ჩემი ამბავი გადაწყვეტილია. სიკვდილი მჭირს. ბოლო დღეები მაქვს. თქვენს შესახებ მითხარით რამე.

– მე ...არაფერი საინტერესო, ქალბატონო ნელი... ავტოინჟინერი ვარ. ცხრამეტი წლის ბიჭი მყავს, უცხო ენებზე სწავლობს.

– ღმერთმა გიბედნიეროთ. ჩემმა დაამთავრა სკოლა წელს და ჯერჯერობით უსაქმოდ მყავს, მოუკვდა დედა.

– არ აბარებდა?

– აბარებდა, ქულები არ ეყო. ახლა პროფილზე დარბის მამამისი.

– მეუღლე, ქალბატონო ნელი?

– შრომის დაცვის საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს.

– ააა... ჰოოო... – გელამ არც კი იცოდა, ასეთი ინსტიტუტი თუ არსებობდა. – ცოტა უკეთესობა ხომ მაინც.

– არავითარი, ჩემი დღეები დათვლილია. ყველაფერი მომწყინდა, ლაპარაკიც აღარ მინდა ჩემს თავზე. ბედნიერებაა ახლა ჩემთვის სიკვდილი. მაღალფარდოვნად გეჩვენებათ ჩემი ლაპარაკი ხომ? მძულს ჩემი თავი.

– როგორ გეკადრებათ. როგორ შეიძლება, ახალგაზრდა ქალმა ასე დაჰყაროთ ფარ-ხმალი.

გელას მოეჩვენა, რომ ნელი ტიროდა.

– მაპატიეთ, ბატონო გელა. ეჭვიანიც კი გავხდი ამ ბოლო დროს. მეჩვენება, რომ ქმარსაც და შვილსაც მოვწყინდი. აბა, სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე? მარტო რომ ვრჩები, ტელეფონსაც არ ვიღებ. მეგობრების და ნათესავების ხმის გაგონებაც არ მინდა. მომკლა გაუთავებელმა: „როგორა ხარ? დღეს ხომ უკეთესად ხარ? ხმაც უფრო ხალისიანი გაქვს, მალე კარგად იქნები, ნუ გეშინია“. ისინი თავის მხრივ მართლები არიან, მაგრამ მე დავიღალე. მარტო მე ვიცი, რომ აღარასოდეს ვიქნები კარგად. ამიტომ აღარ მინდა გულის გაკეთება. ეტყობა, სიკვდილი მაშინ მოდის, როცა იმედს დაკარგავ. მე კი იმედი კი არა, სიცოცხლის რწმენაც დავკარგე. აღარც კი მახსოვს, ოდესმე კარგად თუ ვიყავი. კარგად ყოფნის სურვილიც აღარ მაქვს. ჩემმა ქმარმა ბორბლებიანი სკამი მომიტანა. ადრე ფანჯარასთან მივაგორებდი და მთელი დღე ქუჩის ცქერით ვერთობოდი. ახლა ფანჯრიდან გადახედვაც აღარ მინდა. მადლობა ღმერთს, ახლა მალე დამიყოფს მიწა პირს და ყველაფერი გათავდება, მოვისვენებ.

– ნუ ლაპარაკობთ ასე, ძალიან გთხოვთ. ნახავთ, თქვენ კარგად იქნებით. ადამიანებს რა არ გადაუტანიათ... თქვენ...

გელა სიტყვებს ვერ პოულობდა, ისე შეძრა ამ ამბავმა, რომ ყელში ბურთივით მოაწვა რაღაც.

– მე ეს ყველაფერი მოსმენილი მაქვს. დიდი მადლობა ყურადღებისათვის. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო გელა.

– შეგიძლიათ, ერთი სათხოვარი შემისრულოთ?

– ბრძანეთ ბატონო.

– ტელეფონს ნუ გადადებთ ხოლმე, მე თქვენ კიდევ დაგირეკავთ.

– ნუ შეწუხდებით.

– უმორჩილესად გთხოვთ.

– არ არის საჭირო. დახიეთ ჩემი ტელეფონის ნომერი და დაივიწყეთ.

– მაშინ ახლავე ავდგები და მოვალ თქვენთან!

მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა გელამ.

– არავითარ შემთხვევაში. თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ ადამიანს ვგავარ. თქვენ კი არა, ნეტავ ჩემი ქმარ-შვილი არ მხედავდეს ასეთ დღეში. არ გაბედოთ და არ მოხვიდეთ.

– აბა, არ გადადოთ ყურმილი, დაგირეკავთ, მარტო ერთხელ დაგირეკავთ.

– ვნახოთ... ვეცდები... კარგად ბრძანდებოდეთ.

აფორიაქებული იყო მთელი დღე სამსახურში. ადგილს ვერ პოულობდა, სულ იმ უბედური ქალის ხმა ედგა ყურებში. ნომრის მასალებს ხელს აწერდა, ვიღაცას განკარგულებას აძლევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყველაფერს რობოტივით აკეთებდა. ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან ის ფაქტი, რომ არის ამქვეყნად უსაშველოდ იმედგადაწურული ქალი და უხმოდ, მელ-ნელა კვდება. რა შეეძლო გელას? ნუთუ ასე ადრე უნდა დამდგარიყო ნელი კვიციანის ცხოვრებაში ისეთი დღეები, როცა არავის არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია მის გადასარჩენად?

შესვენებაზე დაურეკა.

– მე ვარ.

– ვიცი, ბატონო გელა.

ერთხანს დუმდნენ ორივენი. ორივეს ყურმილი ეჭირა და გელს მოეჩვენა, რომ ავადმყოფი ქალის გულისძგერა ისმოდა ტელეფონში.

არ იცოდა, რით დაეწყო. გაცვეთილი „როგორ ბრძანდებით“ აღარ მოუხდებოდა მათ ურთიერთობას. აკი თვითონვე უთხრა ნელიმ, არ მიყვარს, როცა ჯანმრთელობას მეკითხებიანო.

– იცით რა, იმდენი კაცი ირეოდა დღეს ჩემს ოთახში, რომ ტელეფონისათვის კი არა, თავის მოსაფხანადაც ვერ მოვიცალე, – თვითონვე გაუკვირდა, რატომ ბოდიშობდა ქალთან, რომელიც არასოდეს ენახა.

– ცხელა გარეთ, ბატონო გელა?

– ვერ გეტყვით. დილით გრილოდა. მერე თავი არ გამიყვია. დრო აღარ არის, დათბეს? აპრილი თავდება.

– ძველით რამდენია დღეს?

– მგონი ცამეტი.

– მე ძველისა უფრო მჯერა... ბატონო გელა, – ნელის ხმა აუკანკალდა.

– გისმენთ, ყურადღებით.

– ძალიან გთხოვთ, არ გამიგოთ სხვანაირად. გასაგებია ჩემთვის ეს გრძნობა. მე თქვენთან წუხელის შემთხვევით დავრეკე, მიჭირდა, თორემ არ შეგაწუხებდით. ის ორი საათი, სანამ ჩემი

შვილი დაბრუნდებოდა, მე თქვენი იმედი მქონდა, მადლობელი ვარ წუხანდელი ღამისთვის და თქვენი თბილი ყურადღებისთვის. თქვენ რომ მითხარით, ახლავე წამოვალო, იცით, რა სითბო ჩამეღვარა სულში? არის-მეთქი ამ გაცივებულ ქალაქში კიდევ კაცი, რომელსაც სხვისი შველის სურვილი და უნარი შერჩენია-მეთქი. იქნებ, თქვენმა კაიკაცობამ მე წუხელის სიკვდილს გადამარჩინა. ახლა კი სხვა სიტუაციაა. მე ვგრძნობ, თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ და გინდათ თქვენი ყურადღებით პატივი მცეთ. შემეხმიანოთ, იმედი მომცეთ. ეს სიბრალულის ყურადღებაა, დამიჯერეთ, აღარ მჭირდება მე ეს ყურადღება, შარშან ჭკუიდან ვიშლებოდი, ტელეფონის ზარი რომ დაიგვიანდება. ქმარ-შვილს ვაიძულებდი, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, ყოველ საათში შემხმიანებოდნენ. ახლა კი ესეც მაღიზიანებს. არა ვარ მე ის ქალი, თქვენი ხშირი რეკვა რომ მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ. მე სიცოცხლესთან ანგარიში უკვე გასწორებული მაქვს. ადამიანებთან ურთიერთობების რკვევა კარგა ხანია დავამთავრე. განთავისუფლებთ ჩემთან შეხმიანების თქვენი ჯენტლმენური მოვალეობისაგან.

– ჩვენ ხომ შევთანხმდით? – სხვისი ხმით ჰკითხა გელამ.

– ჩვენ არაფერზე არ შევთანხმებულვართ. გაიგეთ, მე შეთანხმებანი დავამთავრე, კარგად ბრძანდებოდეთ.

– არ დადოთ, ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ნელი. მე თქვენ მაინც დაგირეკავთ.

– სხვა არა იყოს რა, უხერხულია, მე ქმრიანი ქალი ვარ. თუმცა ამასაც აღარავითარი მნიშვნელობა აქვს. მაპატიეთ, ჩემი ექიმი მოვიდა. უნდა მოვემზადო.

„მართლა და მართლა, იქნებ არ უნდა ჩემი ხმის გაგონება და თავს ხომ არ ვაბეზრებ ამ ქალსო“, ერთი გაფიქრება გაიფიქრა გელამ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იგრძნო, რომ არ შეეძლო, არ დაერეკა. დააპირა გონების თვალით შეეხედა თავისი საქციელისთვის, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა. ერთი რამ აშკარა იყო, თვითონ უფრო სჭირდებოდა ეს დარეკვა ავადმყოფი ქალის მიმართ სიბრალულის გრძნობას დიდად სჭარბობდა სხვა უფრო ძლიერი, რისთვისაც გელას ანგარიში ვერ მიეცა.

მეორე დღესაც დაურეკა. მოეჩვენა, რომ ნელი ისე კატეგორიულად აღარ ესაუბრებოდა, კატეგორიულად კი არადა, თითქოს ელოდებოდა კიდეც გელას ტელეფონის ზარს. ერთი კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ ურეკავდა. მათი საუბრები მოკლე იყო და ყოველთვის ახალი. „მე ვარ,“ – ეტყოდა გელა, და სხაპასხუპით მიაყოლებდა; რა გადახდა თავს ამ ხუთი საათის განმავლობაში. რა ხდება ქალაქში. როგორი ამინდია გარეთ. აღარც კი ახსოვდა,

როდის გადავიდნენ „შენობით“ ლაპარაკზე. ამ ერთი კვირის განმავლობაში, თავის დღეებს გელა მხოლოდ იმ თვალით აკვირდებოდა, რა შეიძლება, ეთქვა ნელისთვის და რა არა. ურეკავდა სამსახურიდან, ტელეფონის ჯიხურიდან, ბინიდან, როცა მეუღლე სამზრეულოში ფუსფუსებდა, ხოლო ბიჭი ტელევიზორს უყურებდა. ბოლო დღეებში ნელის უკვე აღარ სჭირდებოდა აჩემებული „მე ვარ“. „ჰო“, ეტყოდა გელა და ქალიც ჩუმად, სევდიანად, გაბმით უპასუხებდა „ჰო“. ისე შეუმჩნევლად მოვიდა ორი ადამიანის არსებაში სიახლოვე, რომელსაც ზოგჯერ მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ ვაღწევთ ხოლმე. ერთმანეთზე ზრუნავდნენ და ამ საზრუნავს მთლიანად მოეცვა მათი არსება.

„ახლა ათ წუთში წამალი გაქვს დასალევი“, „ჰო, ვიცი“. „არ დაგავიწყდეს, ზურა ჩაგზავნე „საირმეზე“ ოთხ საათზე. ზუსტად ოთხზე მოვიტან და ყუთით დავდებ, შემოსასვლელში ლიფტთან, როგორც იმ დღეს“, „გმადლობთ“ „ამოვალ, ერთი წამით შემოვიხედავ, კარიდან, გეხვეწები, რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ხარ“. „არავითარ შემთხვევაში. ეგ რომ გააკეთო. იცოდე, თავს მოვიკლავ. როცა იქნება, ავდგები და მე თვითონ გნახავ“. „კარგი“. „შენა“. „ჰო“. „თბილად ჩაიცვი, დღეს წვიმა გამოცხადდა“. „არის“. „გარეთ გაზაფხულია?“ „ისე რა, წავედი“. „აბა, ჰე“.

შაბათ დილით დარეკა, ნელის ქმარმა აიღო ყურმილი. გელამ იცოდა, როცა ქმარი გაეპასუხებოდა, ხმა არ უნდა ამოეღო. კვირასაც მთელი დღე ქმარი იჯდა ტელეფონთან. ორშაბათს ნელის ტელეფონი საერთოდ გამოირთო. ყურმილს არავინ იღებდა;

ორშაბათ საღამოს „თბილისში“ წაიკითხა. ისიც შემთხვევით გვარს მოჰკრა თვალი, თორემ სამგლოვიარო განცხადებებს საერთოდ არ კითხულობდა.

სასაფლაოდან ყველა რომ გაიკრიფა, მესაფლავეებმა წითელი მიხაკები რომ ააცალეს საფლავის ბორცვს და ახალი საფლავი პირველად დარჩა თვალებჩაშავებულ ცასთან, თითქოს კიპარისის ტანიდან გამოძვრაო, მქრქალი წყვდიადიდან კაცი გამოვიდა.

ალუბლის ტოტები დააწყო საფლავს.

ერთხანს მდუმარედ იდგა და მიკიოტმა რომ სულ ახლოს გაიშრიალა, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით ისევ იმ ბილიკს ჩაუყვა.

ჩემგან რა გესწავლება, საიდუმლოებებით არის სავსე ადამიანთა ურთიერთობა, ძვირფასო მკითხველო.

* * *

ბატონო გელა, ყურადღებით მომისმინე.

კაცობრიობა სიყვარულისგან დაიღალაო, კლასიკოსების მიერ ადამიანის ასამაღლებლად გამოგონილმა სიყვარულმა მხოლოდ მეოცე საუკუნემდე შეძლო ადამიანის მოტყუებაო? დღეს რომეოს და ჯულიეტას მსგავსი გრძნობა მხოლოდ პროვინციელებს შეიძლება გაუჩნდეთ და ისიც ყმაწვილობის ასაკშიო? რაღა დროს ერთხელ მოსულ სიყვარულზეა ლაპარაკიო. ის, რასაც ჩვენ სიყვარულს ვეძახით, დროებითი გატაცებაა გამრავლების ინსტინქტით გამოწვეული და სხვა არაფერიო? ფროიდი წერს თურმე საღლაც. ნასწავლმა ხალხმა, თქვენი ულტრამაგალითებით ისე შორს იცით ჩემისთანა ბრიყვის გატყუება, რომ შეიძლება უკან გზა ვეღარ გამოვიგნო. მაგ „თეორიის“ პასუხად ერთ ამბავს მოგიყვები. სამ შვილს ვფიცავ, ერთ სიტყვას არ ვიტყვი ზედმეტს, არაფერს არ გამოვიგონებ (გამოგონება უფრო საინტერესო რამისაც შეიძლებოდა). გიამბობ და შენ თვითონ განსაჯე. თუ კაცის გული გაქვს, ყველაფერს მიხვდები, თუ არა და ესეც სისულელედ მოგეჩვენება. არ ვიცი, ძმაო, მე კი ამ სიყვარულმა წელში გამწყვიტა და ლამის სიცოცხლე გამინახევროს.

ჩემს კლასში ერთი გოგო სწავლობდა; შორენა ერქვა. გვარი რაში გაინტერესებს. ასე მგონია, მისი სახელი რომ ვახსენე, ამითაც დიდ ცოდვას ვჩადივარ-მეთქი. სიყვარულში ზოგთა დაეჭვებამ მაიძულა, თორემ შორენას ამბავი აქამდე არავისთვის მითქვამს. ხომ უნდა გქონდეს კაცს შენი საიდუმლო – რაღაცა, გულში სამუდამოდ ღრმად დამარხული, სხვის ყურს რომ არ მიაკარებ და საჯიჯგნსაკამათოდ არასოდეს აქცევ. კნაჭა გოგო იყო, სათვალიანი. სათვალის გამო მისი თვალების ფერსაც არ დავკვირვებივარ. ახლაც ვერ გეტყვით, რა ფერის თვალები აქვს. ხომ არიან გოგონები, სხვანაირი თვალით რომ არ შეხედავ.

მეშვიდე კლასიდან ერთად ვსწავლობდით. თუ გახსოვს, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება რომ შემოიღეს, შორენა „ქალთა მეორედან“ გადმოვიდა ჩვენს სკოლაში. მამა არ ჰყავდა. დედამისი ინჟინერი გახლდათ, მაუდკამვოლში მუშაობდა, სახელიანი, წარმოსადეგი ქალი. შორენას ერთადერთი ძმა ჩვენზე ორი კლასით წინ იყო. ექიმია ახლა. ძმა ნაბიჯზე არ შორდებოდა. მეექვსე გაკვეთილი თუ გვქონდა, კიბეზე ჩამომჯდარი ელოდებოდა. დასცინოდნენ ბიჭები; რა ხარ ამნაირიო, ვინ გიტაცებს, ძმა რომ თოფოთ გდარაჯობსო. ტირილამდე მიჰყავდათ ხანდახან გოგო. სულელები ვიყავით, აბა რა, თორემ დაძმა რომ ერთად მიდის ქუჩაში, იმაზე კარგი არის რამე?

ახლა, აქედან რომ ვაკვირდები, ვხედავ, თორემ მაშინ ვერც ვამჩნევდი, შორენა სხვაზე მეტ ყურადღებას მაქცევდა. ექსკურსიაზე რომ მივდიოდით, გვერდით მომისკუპდებოდა, არდადეგების

დაწყებისას პირველი დარეკავდა, საით მიდიხარ და როდის დაბრუნდებიო. ბიჭები რომ წავკინკლავდებოდით, ვარიასავით აიქოჩრებოდა, ჩხუბშიც კი ჩაერეოდა და ყოველთვის ჩემი მხარე ეჭირა, დილით დავალებას პირველ რიგში მე გადამიწერდა; საკონტროლო წერის დროს, მასწავლებელი რომ თემას გამოაცხადებდა, „შპარგალკას“ (მჭირდებოდა თუ არა) მაშინვე გამომიგზავნიდა, თუ გავაცდენდი, მასწავლებელს ეხვეწებოდა თურმე, ავად არის და „არას“ ნუ დაუწერო. სხვა, განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. ხანდახან მაღიზიანებდა კიდეც მისი გადაჭარბებული ყურადღება. მეცხრე კლასიდან მამლაყინწებად რომ ვიქეცით ერთბაშად და სხვა კლასელ (აუცილებლად სხვა კლასელ) გოგონებს თვალიერება დავუწყეთ, ერთხელ დამიჟინა: გინდა თუ არა, მითხარი, ვინ გიყვარსო, თუ გეშინია, გამატანე წერილი და მე მივუტანო (მაშინ სიყვარულის წერილობით ახსნა მოდაში იყო). გავბრაზდი, მახსოვს: ფოსტალიონი არა მჭირდება, ჩემს თავს თვითონვე მოვუვლი-მეთქი. არავინაც არ მიყვარდა. პირიქით, გულის სიღრმეში, სადღაც, მეჯავრებოდა კიდეც გოგონები. მათ წრეში თავს შებოჭილად და უხერხულად ვგრძნობდი.

ასე გავიდა სამი წელი. დავამთავრეთ. გამოშვების საღამოზე ახალი, გრძელი, ცისფერი კაბით მოვიდა. ყველა გოგოს გრძელი კაბა ეცვა და მეჩვენებოდა, რომ ჩვენ, ბიჭები, ისევ ბავშვებს ვგავდით, გოგონები კი ერთბაშად დაზრდილიყვნენ. ძველი კინოფილმებიდან გადმოსულ „ბარიშნებს“ ჰგავდნენ. ღამე გავათენეთ, მაგრამ სუფრამ უხალისოდ ჩაიარა. მასწავლებლები ჩვენ თითქმის არ გვაქცევდნენ ყურადღებას, თვითონ, თავისთვის ქეიფობდნენ. თამადა შეთვრა და სასწავლო ნაწილის გამგეს (კოჭლი შალვა სარჯველაძე, ისტორიკოსი, შარშან გარდაიცვალა საწყალი) „ინტრიგანი“ უწოდა, კინაღამ აირია სუფრა. დილის ექვსი საათი იქნებოდა, შორენამ (ჩემს გვერდით იჯდა, რასაკვირველია) ხელი მომკიდა; გეხვეწები, წავიდეთ აქედანო. პირველად მაშინ გამიკვირდა: რა უნდა ამ გოგოს-მეთქი, გულში ვთქვი, მაგრამ გაყოლით – გავყევი.

ხელკავით მომყვებოდა და გაუთავებლად ჭიკჭიკებდა. ასე ხალისიანი არასოდეს მინახავს. ნინოშვილის ქუჩა ცარიელი იყო და ჩვენი ფეხის ხმა და საუბარი ზარის რეკვასავით ისმოდა. ხანდახან შევჩერდებოდით და ჩვენსავე ექოს დავაყურადებდით. თეთრ ხიდთან წვიმა წამოგვეწია. თავიდან ფეხებამდე გალუმპულები ვიდექით ხიდზე და უქიმერიონს შევყურებდით. ქვევით რიონი ყურისწამღებად ღრიალებდა. „გოგი“, – შორენას შეცვლილი ხმა ჰქონდა, რაღაც დაიწყო და გადაიფიქრა, მოაჯირზე შესკუპდა და სერიოზული სახით მკითხა, – „ხომ მიხდება გრძელი კაბა?“ თავი

დავუქნიე. „ხომ მიხდება, დედას გაფიცებ. ოღონდ არ მომატყუო. ხომ კარგი გოგო ვარ?“ – სხაპასხუპით თქვა და ტირილი აუვარდა. ხელი შევაშველე, არ გადავარდეს-მეთქი. თმა ჩამოეშალა. კაბა პაპიროსის ქაღალდივით დაჰკვროდა პატარა მხრებსა და ნატიფ მკლავებზე. ანგელოზს ჰგავდა. ტირილი სწრაფადვე შეწყვიტა, ჩამოხტა, შემომხედა, „შე შტერო, შენ“, სინანულით მითხრა და გაიღიმა. რომ დავბრუნდით, სუფრა უკვე აშლილი დაგვხვდა. ეზოში ცეკვა-თამაში გაემართათ. მასწავლებლებიც კი (აუჩქარებლად და მოზომილად) ძუნძულებდნენ წრეში. ჩვენი გაპარვის ამბავი ყველამ იცოდა. ჭორიკანა ქალაქია ქუთაისი.

მერე ჩვენი გზები გაიყარა. მე, როგორც იცი, უნივერსიტეტში ჩავაბარე. შორენას დედამისი ვერ შეელია სათბილისოდ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალში მოეწყო საფეიქროზე. ქუთაისში იშვიათად ჩავდიოდი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მოგეხსენება, ხან პრაქტიკა გვქონდა ზაფხულობით, ხან ყამირი და ათასი რამ. ქუთაისში ჩამოვიდოდი თუ არა, პირველად შორენას ვურეკავდი, გამოგივლი-მეთქი, მაგრამ სტუდენტის ამბავი არ იცი? გადავყვებოდი ხელს და ვერ ვნახულობდი. ტელეფონში სევდიანად, პაუზებით მპასუხობდა. ხასიათზე რატომ არა ხარ-მეთქი, რომ ვკითხავდი, არაფერი, ისეო, მიპასუხებდა, თურმე ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი ჩემი ხმის გაგონებისას, მე კი, მე სულელი, ვერაფერს ვხვდებოდი... დამანებე თავი, თუ კაცი ხარ არ გვესმის, არა, ადამიანებს ერთმანეთის.

ერთხელ, მეხუთე კურსზე ვიყავი მაშინ, ზამთრის არდადეგებზე ჩამოსულს, შორენას დედა მირეკავს, შვილო, გოგი, იქნება ჩვენსა გადმოირბინო, შორენა ვერ მყავს კარგადო. წავედი. დიდთოვლობა იყო მახსოვს და გზადაგზა გუნდებს ვესროდი აივნებზე მოტკარცალე გოგოებს. შორენა კედლისკენ შებრუნებული იწვა. სასთუმალთან დედამისი ჩამოუჯდა „დედიკო, გოგი მოვიდაო“, უჩურჩულა. გაიგონა თუ არა ეს სიტყვები ავადმყოფმა, საბანი წაიფარა თავზე და კედელთან მიიკუნჭა. ახალთავდაბანილი ლექციებზე გამექცა, გამიცივდა და ოცი დღეა სიცხე ვერ ჩავუქრეთო, ისე დასუსტდა, ლანდი გადის ცხვირში და რცხვენია შენიო, ამიტომ მალავს სახესო, მომიბოდიშა დედამისმა. დიდხანს ეხვეწა, უხერხულია, სტუმარი მოვიდა, გამოიხედეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, წასვლისას გამომშვიდობების ნიშნად ხელი გამოჰყო საბნიდან და მაგრად მომიჭირა, ახლაც ვგრძნობ მის გამხდარ ცხელ ხელს თითებზე. მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე და წამოვედი.

ეს იყო და ეს. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. შორენა არ მინახავს. ცხოვრებამ სხვადასხვა კალაპოტში გადაგვაგდო და ისე

ღრმად ჩაგვითრია, რომ თანაკლასელებმა ერთმანეთი თითქმის დავკარგეთ. შარშან სკოლის დამთავრების ოცი წლისთავი გვინდოდა გადაგვეხადა, მაგრამ თავი ვერ მოვაბით. ოციდან ორმოც წლამდე ძალიან სწრაფად გარბის დრო. ცოლ-შვილს ეკიდები, შენს ბუდეს იწყობ, რაღაცას ჩალიჩობ, რაღაცას ნერვიულობ, შენი პრობლემები გიჩნდება და თავის ასაწევად, მისახედ-მოსახედად დროც აღარ გრჩება.

გასულ ოთხშაბათს ჩვენი თანაკლასელი ნანი ბეშკენაძე შემხვდა; ვაკის პარკში ნაყინის ჯიხურიდან ძალისძალით გამოათრია ორი ბავშვი. ყელი ტკივა ორივეს და მაინც ასეთ სცენას მიწყობენ ნაყინზეო. ამიტომ მეზარება ამათი გამოყვანა სახლიდანო. არც კი შეცვლილა ნანი, ისევ ისეთია – მოხდენილი, თვალბრიალა და ხმაურიანი. მოკითხვა არც კი მაცალა, რა კარგია, რომ შემხვდი, გოგი, სანთლით დაგეძებდიო. შევხედე ბავშვებს – ჯერ არ არიან საინსტიტუტო, რაშია ნეტავ საქმე, რაზე მეძებდა ნანი? შორენა თუ გახსოვსო. როგორ არ მახსოვს-მეთქი. იცი თუ არა თბილისში რომ ცხოვრობსო. არა-მეთქი. მართლა არ ვიცოდი. მე მეგონა, შორენა ქუთაისშივე დარჩა და არის ახლა ქმარშვილდასეული და გასუქებული, როგორც ყველა ჩვენი თანაკლასელი ქალი-მეთქი, შენ რა გითხრა მეო. შენგანაა ის გოგო გაუბედურებული და შენ ასე ლაპარაკობო. არც ერთი არ ღირხართ კაცები იმად, რაც შორენამ შენთვის ჩაიდინაო. რა? როდის? რას ლაპარაკობ? შენ ხომ არ გაგიჟდი-მეთქი, მაგრამ მეტი ვერაფერი წამოვაცდენინე. ამა და ამ ქუჩაზე ცხოვრობს, მარტოდმარტოა, თუ კაცი ხარ, მიდი და აუცილებლად ინახულეო, დამიგდო ნანამ და სანაყინეში შეცვენილ შვილებს გამოუდგა.

მეორე დღეს მაინცდამაინც საღამოს მქონდა ლექცია. ვერც გავუცვალე ვერავის. ასე, ათის ნახევარი იყო, შორენას კარს რომ დავუკაკუნე. მაშინვე გააღო, არც ტრადიციული „ვინ არის?“, არც ჭუჭრუტანაში გამოხედვა, თითქოს კართან იდგა. ნაბიჯების ხმაც კი არ გამიგია. იმწამსვე გააღო კარი. შემომხედა, მკლავები ჩამოჰყარა, თავი უკან გადასწია და კედელს მიეყრდნო. ხმა არ ამოუღია. სახეზე ერთი ნერვიც არ შეტოკებია. თითქოსდა სრულიად ჩვეულებრივი ამბავი ხდება. თითქოს ერთი საათის წინ გავედი ამ ოთახიდან მეზობელთან ჭადრაკის სათამაშოდ და ახლა დავბრუნდი.

– შემოდი, გოგი.

ახლა კი, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა გიამბო, რაც იქ ვნახე და განვიცადე. ჯერ ერთი მრცხვენია, ჩემი ყველაზე ლირიკული წუთების მონაწილედ რომ გხდი. სიტყვამ, მოიტანა, თორემ არ უნდა ვკადრო ამ ამბავს სინათლე, სარკმლის უბოდიშოდ მოღიავება. შორენა ისე ციური და მაღალი ქალია, სწორედ რომ ღირსია

იმისა, მისი ცხოვრების ლამაზი იდილია მასვე ეკუთვნოდეს სამარადისოდ. შიშით კი, იცი, რისა მეშინია? შენი წეღანდელი ლაპარაკი რომ გამახსენდება, დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს მიხვდები. არსებობენ საგნები, გულუბრყვილო განსჯისა და კამათის წიაღ მაშინვე რომ ჰკარგავენ სუნსა და ფერს, სიწმინდესა და მომხიბვლელობას. მიკვირს, როგორ ახერხებთ მწერლები, თავიანთი სულის ყველაზე იდუმალი ნიუანსიც კი ასე უცერემონიოდ და ხელაღებით გამოფინონ მზეზე.

ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გამშრალი ხმით ლაპარაკობდა შორენა. ხანდახან შეჩერდებოდა, თავს ჩარგავდა ხელებში და მაშინვე შევაშველებდი ერთადერთ ფრაზას, რომელიც იმ ორი საათის განმავლობაში პირზე მეკერა – „ილაპარაკე, ძალიან გთხოვ“. თავს ასწევდა, ცრემლჩამდგარი, გაფართოებული თვალებით შემომხედავდა, მხრებს ხელისგულებით დაიფარავდა და ჰყვებოდა. აღარ მახსოვს, რას ჰყვებოდა, ვერც იმას გეტყვით, მესმოდა თუ არა მისი სიტყვები. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ ქალს ჩემი ცხოვრებით ეცხოვრა ოცი გრძელი წელი. მან იცოდა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, რაც მიფიქრია და მიჯახირია. იცოდა, როგორი ქმარი და მამა ვარ, ვინ არიან ჩემი მეგობრები. ვის ვთვლი მტრად და ვის მოყვარედ. როდის ვიყავი ავად, რა მაწუხებს და რა მიხარია. ლაპარაკობდა შორენა, მაგრამ მის სიტყვებში არ ჩანდა არც სინანული, არც თავმოწონება იმის გამო, რასაც სიყვარულისთვის ბრმა მსხვერპლად მიტანილი საკუთარი სიცოცხლე ჰქვია. მარიგებდა, ჭკუას მასწავლიდა, მეუბნებოდა, რომ ბავშვი აღარა ვარ და ცხოვრების წესი უნდა შევიცვალო, სიფიცხე დავიოკო, ღამეებს ნუღარ გავტეხ, აპენდიციტის ოპერაციაც გავბედო ერთხელ და სამუდამოდ. მეუბნებოდა, რომ აწი უფრო საჭირო ვარ ჩემი ცოლშვილისთვის და თავს უნდა გავუფრთხილდე. თვითონ? საკუთარ თავზე ერთი სიტყვაც არ დაცდენია, თითქოს რაც აქ ხდებოდა, სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო. კედელზე მხოლოდ ჩემი სურათები ეკიდა, ალბომი ჩემი ფოტოებით იყო სავსე. უხერხულობა და ცოტა სიბრაზეც მიპყრობდა ხანდახან იმის გამო, რომ მე, მუცელგაბერილ და თმაგაცვენილ მოქალაქეს, ამ სახლში ასე ნაზად და ფაქიზად მეპყრობოდნენ მთელი ოცი წლის განმავლობაში.

სკამზე დაჭედილივით ვიყავ კარგა ხანს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა წამოვსულიყავი. შორენამ ჩემზე უკეთ ესეც იგრძნო და წამოდგა. რა საცოდავი ვიყავ იმ წუთებში, ვერ წარმოიდგენთ. სულ არ შეცვლილხარ-მეთქი, სამსახური როგორი გაქვს-მეთქი, თუ რამე გაგიჭირდეს, დამირეკე-მეთქი, მომვალზეც იფიქრე, ასე მარტო ხომ არ უნდა დაბერდე-მეთქი, მსგავსი სისულელეები

ვუთხარი, მაგრამ ვგრძნობდი, სასაცილოდაც არ ეყო. ისევ ისე იდგა კარში, როგორც დამხვდა, თავაწეული, გამშრალი, ხელებ-ჩამოყრილი, ლოდინით გათანგული.

იმ ღამით შინ არ მივსულვარ.

არ შემეძლო. ვერ მოვისვენებდი.

სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში ქმარგაყრილი გოგო ცხოვრობს. ერთი გაკვირვება გაუკვირდა, შუაღამისას რომ მივადექი და ამაღამ შენთან უნდა დავრჩე-მეთქი, განვუცხადე.

ჩემგან ამხელა სითამამეს არ ელოდა.

გაიხარა. ჯარასავით დატრიალდა, ვახშამი გააწყო, იჭიკჭიკა და მაჭიკჭიკა მეც.

ცოტა ხნით მაინც მომეხსნა გულზე სევდის დოლაბი, დილამდე მაინც ამოვისუნთქე თავისუფლად.

ამ სახლში დამნაშავედ არ ვგრძნობდი თავს. აქედან ყველაფერი მარტივი ჩანდა.

* * *

ლიფტი რომ გაჩერდა, კაცმა თავი გამოყო და მიიხედ-მოიხედა.

– გამოდი.

მაღალფეხება, ქერათმინი ქალი კატის ნაბიჯებით მოშორდა ლიფტს და კაცს მიაჩერდა.

კაცმა გაუღიმა.

– არ გაგიკვირდეს, ცნობისმოყვარე მეზობლები მყავს.

კარს გასაღები მოარგო და ქალი წინ გაატარა.

– შედი.

ქალი პირდაპირ სასტუმრო ოთახში შევიდა და „მეცხრე ტალღას“ მიაჩერდა.

კაცმა კარადას მიაშურა. გაიხადა. ბეჭებზე ხალათი მოიგდო, ქალს შეუმჩნევლად მიუახლოვდა და მხარზე ჩამოადო თავი.

– მოგწონს?

ქალმა არ უპასუხა.

კაცი საწოლ ოთახში გავიდა, ცოლის ჭრელი სარაფანი გამოიტანა და სკამზე გადაჰკიდა.

– გაიხადე, ეს ჩაიცვი, ცხელა.

ქალმა კაბა გაშალა, ერთხანს უყურა ტანის რწევით, მერე ერთბაშად გადააქნია თავი.

– არ მომერგება, დიდია.

კაცმა გაიცინა.

– მე თუ რამე მესმის, შენ და ჩემი ცოლი ერთი ზომისა უნდა იყოთ.

ქალი სავარძელში ჩაეშვა.

– არც ფეხზე გაიხდი? შენს მაგივრად მე მიწუხს გული ამ ლურსმნის ქუსლებზე რომ დგახარ.

ქალმა განზე გაიხედა.

– ფეხზე გავიხდიდი. ოღონდ შენი რამე მომიტანე, ძალიან გთხოვ.

– ჩემი?

კაცი მოსაცდელში გაფათურდა და ჩანთიდან „შლოპანცები“ ამოყარა.

ქალმა „შლოპანცები“ ჯერ ერთმანეთს გაუტყაპუნა და მერე ცხვირთან მიიტანა.

– შმორის სუნი ასდის.

– აუზის ჩანთაში მიდევს, დიდი ხანია აღარ ამომიღია.

– აღარ ცურავ?

– ვერ ვახერხებ ამ ბოლო დროს.

– ??

– ბავშვი, სამსახური, შენ?

– მე, რა თქმა უნდა... თვეში მეორედ მხედავ...

– დაიწყე?

– არა... დღეს არ ვიჩხუბებთ. ხომ დაგპირდი.

ქალი შუშაბანდში გავიდა, ფანჯარა გამოაღო და მოაჯირს გადაეყრდნო. კაცმა მეორე ფანჯარა გამოაღო და გვერდით ამოუდგა.

– აქედან შენი სახლი არ ჩანს.

– რა იცი? – ყრუ ხმით ჰკითხა ქალმა.

– რა ცოდნა უნდა. აქ რომ გადმოვედით, პირველად შენს სახლს დავუწყე ძებნა.

– ახლაც, სამსახურიდან რომ დაბრუნდები, ტელევიზორის ცქერით დაღლილს ტელეფონთან მისვლაც რომ გეზარება, გადმოდგები ფანჯარაზე და ჩემს სახლს ეძებ არა?

– ისევ...

– კიდევ კარგი, აქედან რომ არ ჩანს „ჩემი სახლი“. არ გეშინია?

– რისი?

– ხომ შეიძლება შენს ცოლს უთხრან, ხვალ დილით რომ ჩამოვა, გუშინ საღამოს, ფანჯარასთან უცხო ქალი იდგაო.

– უცხო ქალი...

– ჰო, იმათთვის მე უცხო ვარ.

– ხომ შეიძლება კაცს სტუმრები ჰყავდეს?

– და ერთ-ერთი მათგანი ჰაერის გადაყლაპვის მიზნით ფანჯარას მოადგეს, არა?

– ჰო.

– აი, ამდენი აღარ მიფიქრია. იცი, რა შეშინებული თვალები გქონდა, ლიფტიდან რომ გამოიხედე?

კაცმა წელზე გადასდო ხელი.

– გინდა? გაკოცებ ამ მეზობლების თვალწინ.

– არ მინდა. ამდენი ხნის შემდეგ ამხელა მსხვერპლს ნუ გაიღებ.

– თამთა!

– კარგი, კარგი... იცი რა, რატომ მომიყვანე აქ?

– მინდოდა, გენახა, სად მძინავს, როგორ ვცხოვრობ.

– მართალი ხარ. საოცრად მაინტერესებდა. სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი შენი ბინა. საწოლი ოთახი მიჩვენე რა?

კაცი გაუძღვა.

ჩუმად იდგნენ და აბრეშუმის მწვანე ზეწარგადაფარებულ საწოლებს დაჰყურებდნენ.

კაცი გამოერკვა. სკამზე ჩამოჯდა და წინდების გახდა დაიწყო.

– არა. არა, ძალიან გთხოვ...

ქალი მკლავებზე ისვამდა ხელს და სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა.

– რა დაგემართა? – კაცმა ხალათის ქამარი შეიკრა.

– სად არ ვყოფილვართ მე და შენ. ვის ოთახს არ მიმაყენე. მგონი, შენც აღარ გახსოვს, მაგრამ ასე უცხოდ არსად მიგრძვნია თავი.

– არ მიყვარს, ხომ იცი, შენი სენტიმენტალობა.

– არა, გელა, დედას გეფიცები, არ შემიძლია. ასე მგონია, საშინელ დანაშაულს ჩავდივარ, ასე მგონია, კედლებიდან ათასი თვალი მიცქერის. ეს კედელი ასე იყო თავიდან კარადისთვის შეწეული?

– ძალიან გაინტერესებს? – კაცმა ოთახში გაიარ-გამოიარა, – ჩვენ გამოვანგრიეთ.

– ვინ თქვენ?

– მე. ყველამ ასე გააკეთა. ამოდენა ადგილი ცდებოდა. კარადაც ზუსტად ჩაეტია.

ქალმა კარადა გამოაღო და ყურადღებით ჩააცქერდა. მერე ერთბაშად შემოტრიალდა, კარი ღია დატოვა და საწოლი ოთახიდან სწრაფად გავიდა.

კაცმა კარადის კარი ფრთხილად მიხურა და გაჰყვა.

ქალი კაბინეტთან უცდიდა.

– შეიძლება?

– რა თქმა უნდა.

– გენიალური მაგიდა გაქვს.

„ბაროკოს“ სტილის ძველთაძველ ფრანგულ მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა წიგნები, ქაღალდები, მელნის შუშა, საშრობი და ქინძისთავებით სავსე მუყაოს ყუთი.

– ამ ათი წლის წინათ ვიყიდე საკომისიოში კაპიკებად, ახლა თავისი წონა ფული ღირს.

ქალმა მინას ხელი გადაუსვა.

– რატომ მატყუებ?

– არ გატყუებ.

– ეს მაგიდა შენმა სიმამრმა გაჩუქა საკანდიდატო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით. უფრო სწორად, შენი ცოლის მზითევია, – ქალს ხმაში წყენა გაერია.

– ვთქვათ, ეგრეა, მერე?

– არაფერი, ბავშვს სად სძინავს?

– წინა ოთახში.

– მარტო?

– არა, დედამისთან ერთად, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

– გელა, რატომ მეჩხუბები? – ქალს გაეღიმა.

– არ გეჩხუბები. ბავშვის ოთახს ხომ არ დაათვალიერებდი?

– არა, აქ ვიყოთ. ეს კაბინეტი შენია. შენს ტერიტორიაზე უფრო მშვიდად ვარ.

კაცმა თმაში შეუყო ხელი და მკერდზე მიიკრა.

– რა სულელი ხარ, თამთა.

– მაპატიე.

ქალმა ხელები მოიცილა, მაგიდას შემოუარა და არწივისცხვირებიან სკამზე მოკალათდა.

– ახალს სწერ რამეს?

– ჰო, ვითომ... ჩემთვის ვგიჟობ.

– მაინც. შეიძლება? – ქალი ნაწერს დაწვდა.

– არ წაიკითხო, ძალიან გთხოვ, მერე ვეღარ დავუბრუნდები.

– რატომ?

– რა ვიცი... არ არის საინტერესო ეგ ამბავი, რაღაცას ვჯღაბნი, სისულელეს ვჩმახავ.

– დაგიწყო ახლა კამათი, – „რას ამბობ, როგორ გეკადრებას“ მოტივზე?

– არა. შენ რაც უნდა მითხრა, მე ხომ ვიცი: მეზღაპრე ვარ, ჭორიკანა, ტყუილებს ვიგონებ. მოვეშვათ რა, არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი.

– სულ მინდოდა მეკითხა: წერისას წვალობ? ბევრჯერ გიხდება გადაწერა?

– არა. არც ერთი ჩემი მოთხრობა მეორედ არ გადამიწერია. შენ მეტყვი ახლა – ეტყობა კიდეცაო, – კაცს გაეცინა.

– არაფერსაც არ გეტყვი. ეგ მუშაობის სტილია. შენ, ალბათ, სანამ დაწერდე, ათასნაირად სწონი.

კაცმა არ უპასუხა, დაიხარა და კისრის სიახლოვეს, მხარზე აკოცა.

– ტოლსტოიმ „ანა კარენინა“ შვიდჯერ გადაწერაო.

– ვიცი, – კაცი ყურში ჩასჩურჩულებდა, – ყოველი მეორე კრიტიკოსი ამ მაგალითით იწყებს ჩვენთან საუბარს, მაგრამ, იცოდე, ეგ მტკნარი სიცრუეა.

– ტოლსტოი, მგონი, თვითონ ამბობს.

– მერე რა, შენ გგონია ტოლსტოი არასოდეს ცრუობდა? „ანა კარენინას“ შვიდჯერ გადაწერა ერთი კაცის ძალ-ღონეს აღემატება. „ანა კარენინას“ ორჯერ გადაწერაც არ შეიძლება.

– რას ჰქვია, არ შეიძლება.

– ნერვები არ გეყოფა და საჭიროც არ არის, არ წერდა ტოლსტოი ისე, რომ ერთი რომანის შვიდჯერ გადაწერა დასჭირვებოდა.

ქალმა მაგიდას პირდაპირ ჭიკარტით გაკრულ ფანქრით დახატულ პორტრეტს დაადგა თვალი.

– ეს შენა ხარ?

– ჰო.

– არა გგავს. ვინ დაგხატა?

– პარიზში, მონმარტრზე, ქუჩის მხატვარმა ერთ ბოთლ კონიაკად.

– რა საინტერესოა. დიდხანს გხატავდა?

– ლოთი იყო, ხელები უკანკანელბდა.

– თვალებით გგავს, იცი? მარტო თვალებით.

– მაშინ უფრო მგავდა. ეგ ოცი წლის წინათაა დახატული, რაც დრო გადის, უფრო ვშორდები.

– ჩემს თვალში შენ სულ არ შეცვლილხარ.

– შენს თვალში... ახლა ორმოცდაათი წლისა ვარ.

– დედაა?! – გაიოცა ქალმა, – ორმოცდაათი... ბავშვობაში რა ბევრი მეგონა.

– ბევრია.

– არაფერიც. შენ ორმოცდაათი წლისა ჯერ არა ხარ. პირველ იანვარს შესრულდები. სამი თვის შემდეგ.

– დიდი შეღავათი.

– ალბომი არა გაქვთ? – ქალმა მაგიდიდან სათვალე აიღო, გაიკეთა და სწრაფადვე მოიხსნა.

– რა ალბომი?

– საოჯახო, ფოტოალბომი.

– მგონი კი იყო, სადღაც.

– გეხვეწები. მოძებნე.

– თუ კობას გადაურჩა.

– ცელქია?
– გადარეული. ჭაღზე ავა, რომ მიუშვა.
კაცი მაგიდის უჯრებს ერთიმეორის მიყოლებით აღებდა.
– არა უშავს, დაჭკვიანდება, – ამოოხვრით, გრძელი პაუზებით თქვა ქალმა და ალბომი მუხლებზე დაიდო.
– ეს ვინ არის?
კაცი სკამის ზურგს დაეყრდნო.
– ბაბუაჩემია.
– კირთაძე?
– არა, დედაჩემის მამა.
– ესე იგი გველესიანი.
– ესე იგი. აბა, აქ თუ მიცნობ.
– ვერა, ბიჭო. აი, ესა ხარ.
– ყოჩაღ. – კაცმა ქალის სწორი, საყვარელი თმა თითებში მოიქცია.
– სკოლაში მაინცდამაინც არაფერი.
– მაინცდამაინც კი არა ჭინკას ვგავდი. ყველა მასწავლებელს ვძულდი დასანახავად.
– მამაშენს რა თმა ჰქონია.
– მაშინ ოცდაექვსი წლის იყო. სკოლის დირექტორი გახლდათ დრანდაში.
– სად?
– დრანდაში. სოხუმთან ახლოს, სოფელია. იქ გაანაწილეს.
– შენ რომ ბაბუშერაში ხარ დაბადებული?
– ბაბუშერა დრანდის უბანია.
– ოჰო... ესენი?
– არ იცნობ შენ. ჩემი სიდედრის მეგობრებია.
– შენი სიდედრი მაჩვენე, რა?
კაცს გაეცინა.
– რად გინდა?
– გეხვეწები, რომელია?
– აი, ეს, ლომს რომ ჰგავს.
– სულაც არა. სიმპათიური ქალია. შენს ცოლს ახლაც სჯობია.
– გმადლობთ.
– აქლემი! რამხელა დრუნჩი აქვს. როგორ ახვედი?
– არაბი, აგერ რომ დგას, ერთ სიტყვას ეტყვის და ეს ამხელა ცხოველი ოთხად მოიკეცება. მუცელზე წაწვება და სანამ კარგად არ მოკალათდები, ყურსაც არ გაიბერტყავს.
– რა ღირს ეს სიამოვნება?
– რა?

– აქლემით გასეირნება.
– ერთ დოლარამდე. მგონი. ზუსტად აღარ მახსოვს.
– ქორწინების სურათები არა გაქვთ?
– გვქონდა. ჩემს ცოლსა აქვს სადღაც შენახული.
– როგორ მინდოდა მენახა, – ქალმა ერთბაშად მოიწყინა.
– რატომ? რა სანახავია?
– მაინტერესებს, როგორი სახე გქონდა.
– ალბათ, როგორც ყველას. გულუბრყვილო, სულელური.
ქალი წამოდგა და კარისკენ წავიდა. სამიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, თითქოს შებარბაცდა, შუბლზე ხელი მიიდო.
– წავალ ახლა.
– თამთა!
– წავალ, ძალიან გთხოვ, არ გეწყინოს. ვერა ვარ კარგად.
– წამოწექი, ვალერიანის კაპლს დაგალევინებ.
კაცი ახლოს მივიდა. ასე შეწუხებული იგი მხოლოდ ერთხელ ნახა. მაშინაც ასე ჰქონდა საულვაშე და ცხვირი დაცვარული.
– რა ხდება, გამაგებინე.
– არაფერი. წავალ. აქ ერთ წუთსაც რომ დავრჩე, მოვკვდები, – კარი გამოაღო, შემოტრიალდა, კაცს გულში ჩაეკრა, – ძალიან მიყვარხარ, – კარი ღია დატოვა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.
– გაგაცილებ, მოიცა, ჩავიცვამ.
– არ მინდა. ტაქსით უფრო ჩქარა მივალ.
კაცი ღია კარში იდგა: „ცნობისმოყვრე მეზობლების“ უკვე აღარ ეშინოდა.
ნახევარი საათიც არ იყო გასული, ტელეფონი აწკრიალდა.
– შენა ხარ?
– ჰო, როგორა ხარ?
– ახლა არა მიშავს. არ ვიცი, რა დამემართა. გული მიჩერდებოდა და ჰაერი არ მყოფნიდა.
– სულელი ხარ.
– რას აკეთებდი?
– ვქარგავდი.
– ვისი სიცოცხლე ხარ?
– შენი.
– გელა, მომისმინე. სულ მეგონა, რომ მანდ სტუმრად იყავი. შენ ხომ იცი, არასოდეს არ მიფიქრია სერიოზულად იმაზე, რომ შენ სხვას ჩემზე მეტად სჭირდები. შენი ბუდე და შენი სამტრედე გაქვს. მაპატიე, არეულად ვლაპარაკობ. ვერ ავიტანე, იცი? არ უნდა მიგეყვანე მანდ. შემეშინდა, რომ ვნახე შენი ცოლის დაუთავებული თეთრეული, ჩაწიკწიკებული კარადაში, შენს მიერ გამონგრეული

კედელი და სამუდამოდ გაკეთებული წიგნების თარო. ალბომში დიდი გულმოდგინებით, ქრონოლოგიის დაცვით ჩაწებებული სურათები. შენი მშვიდი კუთხე. შემეშინდა, იცი, როგორ შემეშინდა? კინაღამ გავგიჟდი.

– ხომ გითხარი, ჩერჩეტი გოგო ხარ.

– წარმოუდგენლად მიყვარხარ.

– კარგი, ხვალ დაგირეკავ.

– დილით დამირეკე რა?

– დილით არ მეცლება. ნახვამდის.

– მოიცა. აბა, როდის დარეკავ?

– თორმეტის მერე.

– წავედი.

– არ დადო, ყურმილი, ცოტა ხანს მელაპარაკე.

– წავედი, ჰოკეია.

– კარგი.

მატარებელმა ოცი წუთი დაიგვიანა.

ცოლი მეექვსე ვაგონის კიბეზე იდგა. კაცს იგი დაღლილი და გამხდარიც ეჩვენა.

– მუშას დავუძახო?

– რად გვინდა, მარტო ეს ჩემოდანი მაქვს, გამომართვი, მანქანამდე უხმოდ მივიდნენ.

– რა გეჩქარებოდა?

– ვერ მოვისვენე, გელა ბავშვი აღარ ვარ აწი მე. არ შემიძლია სოფლის ჩეჩმაში სიარული. სად მიხვალ?

– აქედან დაკეტეს. სადგურს ანგრევენ, ხომ ხედავ.

– უი, კი აღარ დავკვირვებივარ. როგორ მიყვარდა ეს შენობა. მშვენიერი იყო, რას ერჩოდნენ. ამაზე კარგს ააშენებენ ვითომ?

– ვნახოთ, ჭამდა?

– შიგადაშიგ. იწიწკნებოდა ბატივით. როგორც იცის. არ ვიცი, რა ვუყო.

– არ ჭამს.

– თუ არ მიეძალე, ლუკმას არ ჩაიდებს პირში. ფერიც არ მომწონს რაღაცა.

– ნუ გეშინია.

– ჯაფარიძეებთან წყალი ხომ არ ჩაგიშვია?

– არა, – კაცმა გაიცინა, – არ გიკვირს?

– ყველაზე მეტად მაგის მეშინოდა.

– სად სადილობდი?

– რესტორანში.

– კუჭის მოქმედება როგორი გაქვს?

– ინგლისურ მარილს ვსვამდი ხანდახან.
– გშველის?
– ძალიან.
– არ შეიძლებაო ექიმმა. ხომ გითხრა, ნუ მიაჩვევ ორგანიზმსო.
კაცი გაჩუმდა და სარკე შეატრიალა, რომ უკან მომავალი მანქანები უკეთ დაენახა.
– წითელია! არ გახვიდე! – იყვირა ქალმა.
გვიან იყო. პირდაპირ მიმავალმა ტაქსმა სიგნალით იქაურობა გააყრუა.
ძველ კინოსტუდიას რომ გაცდნენ, კაცმა სიჩქარე გამოცვალა.
– რა კარგად დაგყავდა უწინ. სულ გაგივიდა თავს, – უსაყვედურა ქალმა.
– ჩემი გზა იყო, – კაცმა თავზე გადაუსვა ხელი, – შეგეშინდა?
– ერთხელაც იქნება...
– ნუ გეშინია.
ელბაქიძის დაღმართზე მზე წვებოდა, თბილისური მწველი, მაგრამ მტვრიანი და ბენზინის სუნიანი მზე.

* * *

უჯრას რომ ალაგებდა გელამ ქაღალდის ნაგლეჯი იპოვა: „ფერიდე 61-07-89“.
ფერიდე მაშინ ჩამკრახული ბალივით მკვრივი და ფეროვანი გოგო იყო, სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და გაზაპარატის ქარხანაში მუშაობდა სტაჟისთვის. საახალწლო ბალ-მასკარადზე შეხვდნენ ერთმანეთს. არც კი ახსოვს, ვინ მიიწვია. ჩიტივით თავისუფალი, უცოლო კაცი იყო გელა და, რა დასამალია, ასეთ საღამო-შეკრებაზე დასწრების საშუალებას ხელიდან არ გაუშვებდა. მეორეჯერ რომ გაიწვია „მასკარადის თვალი“ საცეკვაოდ, ფერიდემ ამოიხვნეშა და მამაკაცთა ყურადღებით გულგაწყალებული ლამაზი გოგოს ინტონაციით ჰკითხა, – რამდენი წლისა ბრძანდებითო. ოცდაათის ვხდებიო, გელამ დაუფიქრებლად რომ შეაგება, გოგოს მწვანე თვალები ათასი სხივით გაუბრწყინდა, სახე-მხრებზე გადაავლო ეშმაკური მზერა და ლამის დაიყვირა – რა საინტერესოა!? გელა ვერ მიხვდა მაშინ, რომ ცხრამეტი წლის ფერიდეს ოცდაათი წელი უსაშველოდ სოლიდურ ასაკად მოეჩვენა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ეს გაზაფხულისმსგავსი გოგო გულგრილი არ დარჩებოდა ოცდაათი წლის ბედისმაძიებელი ლიტერატორისადმი.
მამაკაცებს შეიძლება ბევრი რამ დაავიწყდეთ, მაგრამ, ნუ მოტყუვდებიან უყურადღებობისგან გაგულისებული ქალები, მიამ-

იტი ადამის შთამომავალთ ქალთან დაკავშირებით არაფერი ავი-წყდებათ. მეხსიერების მრუმე ეკრანს თანდათან დაუბრუნდა შუქი და სიცხადე. გამოჩნდა ფერიდე – თამამი და მიმნდობი გოგო. გელა კირთაძეზე, არც მეტი არც ნაკლები, სწორედ იმგვარად შეყვარე-ბული, როგორი სიყვარულიც ცხრამეტი წლის გოგონებს შეუძლიათ საერთოდ. რა გასახსენებელი იყო, მაგრამ გელამ ის პატარა უსია-მოვნო ეპიზოდიც კი გაიხსენა; ვაკის პარკში, ზაფხულის ერთ ცხელ ღამეს გაჯიუტებულ მილიციელს შეყვარებულები დიდი ფიცი-მტ-კიცებით რომ არწმუნებდნენ, ცოლ-ქმარი ვართ, დრო გამოგვეპარა, არ ვიცოდით, თუ ასე გვიანობამდე და ასეთ მოჩუმათებულ ადგი-ლას ჯდომა არ შეიძლებოდაო. ამ ერთხელ გვაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამთო. განყოფილებაში წავიდეთ, იქ გავარკვევთ ყველაფერსო, გაფუჭებული გრამაფონივით მანამ იმეორებდა წესრიგის დამცვე-ლი, სანამ საქმეში ხუთმანეთიანი არ ჩაერია. ისიც კარგად ახსოვს გელას, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე გაიყარა მათი გზები, ვაკის პარკ-ში მომხდარი ამბიდან სულ რაღაც შვიდი დღის შემდეგ. მწერლები ამგვარ დიალოგს რატომღაც გვერდს უვლიან, მაგრამ იშვიათზე იშვიათია შემთხვევა, რომ შეყვარებულს შეყვარებულისთვის ერთხ-ელ მაინც არ ეკითხოს, მითხარი, თუ გიყვარდე, ჩემამდე შენთვის ხომ არავის უკოცნიაო. კირთაძემაც ჰკითხა. ფერიდემ თავი გა-დასწია, თავისი უძირო, ლამაზი თვალები ღამეში ფოსფორის ზღა-პრულ ნათებას რომ გამოსცემდნენ, მთვარეს გაუსწორა და დაი-წყო, იმდენად მიყვარხარ, ვერ მოგატყუებო. შენამდე ერთი ბიჭით ვიყავი გატაცებული და ვხვდებოდიო; ნანდაურის დაბნეულ მზერას რომ წააწყდა, მაშინვე დაამატა – მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ ეს სიყვარული არ იყო და ჩემს გზას ვეწიე. სიყვარულით მხოლოდ შენ მიყვარხარო. ახლა ვინ აღარ იცის, რომ ამგვარი „გულწრფ-ელობა“ საქმეს ვნებს. განა რა ასეთი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი ფერიდეს, აღიარებას რომ მოჰყვა? ენისთვის რომ კბილი დაეჭირა, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ოცდაათი წლის გელა კირ-თაძემ ვერ აპატია სიყმაწვილის პაწაწკინტელა შეცოდებანი შეყვა-რებულ გოგოს და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. დაშორდნენ ტი-რილით, ცრემლის ღვრით, როგორც შეყვარებულები შორდებიან, მაგრამ მაინც დაშორდნენ. განშორების შემდეგ ვაჟმა ტელეფონით ორჯერ მოიკითხა და რომ დარწმუნდა, ფერიდე თვითმკვლელობით ცხოვრების დამთავრებას არ აპირებსო, ცოტა ხანს ეულად იარა და მერე ცოლი შეირთო.

...კედლის საათს შეხედა, თერთმეტი სრულდებოდა. სამზა-რეულოში შევიდა და რადიოს ხმა აუწია. ცოლი აბაზანაში საქმი-ანობდა.

ტელეფონის აპარატი შემოსასვლელიდან თავის კაბინეტში გაიტანა, კარი მიხურა და აკრიფა – 61-07-89.

– ბატონო, – ყურმილში ქალის ოდნავ გაბზარული ხმა გაისმა.

– თუ შეიძლება, ფერიდე მინდოდა, – გელას ყელში რაღაც გაეჩხირა, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დაიმორცხვა.

– მე ვარ... ალო... ალო...

გელამ მცირე პაუზის შემდეგ ამოიღო ხმა.

– ალო!

– მე ვარ, გისმენთ... გისმენთ...

– ფერიდე მინდოდა.

– მე ვარ, გისმენთ... გისმენთ...

– რა თქმა უნდა, ხმაზე ვერ გამიხსენებთ, გელა კირთაძე ვარ მე.

– ოჰო... ეს უკვე საინტერესოა. მართლა გელა ხართ?

– ნამდვილად.

– რამ გაგახსენა ჩემი თავი, ძვირფასო გელა? – კირთაძემ ქალის ხმაში ზედმეტი სითამამე შენიშნა და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა.

– მე თქვენ ყოველთვის მახსოვდით.

– დავიჯერო?

– უბრალოდ... ხომ იცი, ცხოვრება...ხან იქეთ, ხან აქეთ, რას შვრები როგორა ხარ, ფერიდე?

გელამ არც კი იცოდა, „შენობით“ ელაპარაკნა თვრამეტი წლის უნახავ ქალთან, თუ „თქვენობით“.

– ვარ რა, უკეთესად შეიძლება, მაგრამ უარესადაც ბევრნი არიან. შენ?

– ოჯახი, ქმარ-შვილი? – კითხვას გვერდი აუარა გელამ.

– გათხოვებაც მოვასწარი და გამოთხოვებაც... შვილი არა მყავს, – წყნარად, სევდიანად თქვა ფერიდემ, – შენსკენ რა ამბებია?

– ერთი ბიჭის მამა ვარ.

– ღმერთმა გაგიზარდოს. სხვა? ჯანმრთელობა, სამსახური?

– თითქოს არა მიშავს... ისევ ჟურნალში ვარ. ფერიდე...

– ბატონო.

– შენი ნახვა მინდა, ფერიდე.

– ოჰო? ძველი სიყვარულის ნოსტალგია? სინანულის თითზე კბენანი?

გელას მაღალფარდოვნება ჭირივით სძულდა და, მგონი, ინანა კიდეც ფერიდესთვის ნახვის ნატვრის გაცხადება.

– ისევ გაზაპარატში ხარ?

– რაღა დროისია. იმის შემდეგ ოთხი სამსახური გამოვიცვალე. ახლა საბავშვო ბაღში ვმუშაობ.

– უნდა შევხვდეთ, ფერიდე.

– რაღა დროს ჩვენი შეხვედრაა, დავბერდი ქალი.

– მე რაღა ვთქვა მაშინ. შენზე ათი წლით უფროსი რომ ვარ, დაგავიწყდა?

– ხომ იცი, ქალები უფრო ადრე ვბერდებით.

– ჯერ ერთი, ეგ მართალი არ არის და მეორეც, შენ ისეთი ახტაჯანა გოგო იყავი... შენ... არ დაბერდებოდი, ასე ჩქარა, – სიტყვებს თავს ვერ მოაბა გელამ.

– ახლა მთლად გადასაგდები ვარ-მეთქი, რომ გითხრა, არ იქნება მართალი.

– ჰოდა, ნუ მეტყვი, უარს, გთხოვ. ძალიან მაინტერესებს.

– რა გაინტერესებს?

– როგორი ხარ...

– მეტი არაფერი?

– და საერთოდ, სალაპარაკო მაქვს შენთან. რაღაც უნდა გიამბო. – იქნებ დაინტერესდესო, თორემ რა ჰქონდა „საამბობი“.

– დღეს უნდა შევხდეთ მაინცდამაინც?

– დღეს კვირაა. აბა, ხვალ ვმუშაობთ მეც და შენც.

– მართალი ხარ. ხვალ მეც არა მცალია.

– ხუთ საათზე. – დაბეჯითებით უთხრა გელამ.

– სად?

– ხუთ საათზე. რუსთაველზე, აეროპორტის სალაროებთან.

– მეტროს გამოსასვლელთან დამელოდე. მეტროთი მოვალ. თუმცა... შენ მანქანით ხარ?

– არა... მანქანა გავყიდე, – გელამ იცრუა. თავისი, ძმასავით შეზრდილი ჟიგული კაპიტალურ რემონტზე დააყენა ორი კვირის წინ.

– კარგი... ესე იგი ხუთ საათზე, მეტროს გამოსასვლელთან.

– შევთანხმდით.

– ხომ მიცნობ, გელა?

– არ გრცხვენია? შენ?

– შევეცდები. ყოველშემთხვევაში რა გეცმევა?

– მწვანე პლაში. სამხრეებიანი.

– კეთილი, ბატონო, წავედი.

– ნახვამდის.

გელამ ყურმილი დადო და ტელეფონის აპარატი შემოსასვლელში გაიტანა.

მერე ისევ მაგიდას დაუბრუნდა, მაგრამ უჯრის დალაგებას გული ვერ დაუდო. მინას ხავერდის ნაჭერი გადაუსვა, გუშინწინ პროფკავშირულ კონფერენციაზე დღის წესრიგთან ერთად მოცემული „გულახდილი დიალოგები“ დაიდო წინ და კითხვას შეუდგა. ვერც „გულახდილმა დიალოგებმა“ მიიზიდა მისი გონ-

ება. ავი ფიქრები ნელნელა ქინქლასავით დაეხვივნენ და გაიტაცეს.

„ეს ყოფილა ცხოვრება? ამისთვის იკლავს ხალხი თავს? რა გავაკეთე, რას მივაღწიე? წიგნების მტვერმა დამაღრჩო. რას ვწვალობთ, რას ვჯახირობთ, რას ვსაცოდაობთ. ვინ დაგვსაჯა ასე, ვინ გაგვწირა, ვინ დასწყევლა ადამიანთა მოდგმა – სიკვდილამდე მოუცლელს გევლოსო? ახლა რაღა რჩება? – რამდენი მშვენიერი დღე და საათი მაქვს ჩემი თავისთვის წართმეული და ათასი სისულელისთვის დახარჯული. ეს ბოლო წლებია: „როგორ შეიძლება, არ გეკადრებას“ ჩაქუჩს ვურახუნებ ყოველ დღე ჩემს სურვილებს. ესაა ცხოვრება? ზოგმა ყველაფერი მოასწრო ამ ქვეყანაზე, ისიც და ისიც და ისიც და ისიც. ადრე კიდევ ჰო, მაგრამ ამ ბოლო დროს ფერიდე კი არა, საერთოდ სიყვარული დამავიწყდა ამ ქვეყანაზე. სამსახურში ქალზე ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, განზე გავიხედავდი. სასიყვარულო თავგადასავლები მოცლილი, ლაზღანდარა, არასერიოზული ხალხის საქმე მეგონა. რას ვთვლიდი მეორეხარისხოვან და ფუქსავატურ საქმედ – იმას, რომ კაცი ამ ლატარიულ ორომტრიალში წამით შეჩერდები, შენს წინ სანთელივით მოციმციმე სასწაულს – ქალს ხედავ და გახსენდება რომ კაცი ხარ, შენს თავს ეკუთვნი? ჯაყჯაყს და ფერხულს წამით გარიდებული შენს თავსაც და სხვასაც ხომ პატივისცემით, მოწიწებით სხვანაირად უცქერი, სწორედ მაშინ, როცა შეყვარებული ხარ. – აბა, მე ვარ ჭკვიანი მარტო, ობობასავით რომ შევიყუჟე ჩემი საქმეების აბლაბუდაში და ეს ამდენი მწერალი, ფილოსოფოსი და რიტორი გიჟები იყვნენ, სიყვარულზე ღაღადისში ლამის ყბა რომ მოექცათ? მე აღარ მოვალ მეორედ ამ ქვეყანაზე თორემ ყველას თავისი წილი სიამ-ტკბილობა ელის, ყველას თავისი ცისარტყელა დათამაშებს, ყველა თავის ფაცერს მიათრევს თავის საკალმახეზე“.

მოეჩვენა, რომ ცხოვრებას უღმერთოდ ჩამორჩა და მის ჩამორჩენაში ბრალი ედო ყველას და ყველაფერს. იმასაც, აბაზანაში რომ საქმიანობდა და ვერც კი წარმოიდგენდა; თუ რას ფიქრობდა ამჟამად მისი მორჩილი თანამეცხედრე, წარმოიდგინეთ, ტელევიზორსაც, მაგიდაზე გვერდულად დადებულ უთოსაც, სენაკის ფაბრიკაში მოქსოვილ ხალიჩასაც და ვოროშილოვის გახუნებულ სურათსაც, კედელს გარდაცვლილი მამის ჯიუტ მემკვიდრეობად რომ შემორჩენოდა.

მეუღლემ კარში მდგარი, გამოწყობილი გელა რომ დაინახა, კითხვით არაფერი უკითხავს, მაგრამ გაოცებით შეხედა.

– გავივლი, იქნებ ხორცს წავაწყდე სადმე, – მშვიდად თქვა კირთაძემ და სახელოებდასველებულ ქალს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, პლაშის ჯიბეში ჩატენილი ცელოფანის პარკი ამოიღო.

ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა, მიწისქვეშა გადასასვლელს მიაშურა; ჯერ ადრეა, ცოტას გავივლიო. ჯიხურში მანეთდაოცკაპიკიან მიხაკებს ჰყიდდნენ. ხუთ მიხაკს ვიყიდი და ფერიდეს გავახარებო. კარგა ხანს ამაოდ არჩია, მოკლეღერიანი და მომჭკნარი მიხაკებიაო, აუწყა ბოლოს მძიმე ტანის, სქელტუჩება გამყიდველ ქალს, – სწორედ იმიტომ ღირს მანეთი და ოცი კაპიკიო, აუხსნა გამყიდველმა, – ნამდვილად სასაფლაოდან მოპარული მიხაკებია და ხელმეორედ ჰყიდითო, კინკლაობის გუნებაზე მოსული მუშტარი ამჯერად უპასუხოდ დატოვეს. გელა ცოტა ხანს იდგა ირონიული ღიმილით დახლთან და მოქალაქეებს განუმარტავდა, – არ იყიდოთ, ხომ ხედავთ, ძველი, დამჭკნარი მიხაკებიაო, მაგრამ მყიდველები მას ყურადღებას არ აქცევდნენ, ყიდულობდნენ და წითლად აბრდღვიალებული ნავაჭრით შორდებოდნენ ჯიხურს, ვინ იცის, იქნებ მათ სწორედ ასეთი, ოდნავ შელანძღული მიხაკის შეძენა აძლევდათ ხელს. რუსთაველზე რომ ამოვიდა, გელამ გაიფიქრა, – კარგი ვქენი ის გაოხრებული მიხაკები რომ არ ვიყიდე, რაღა დროს ჩემი მიხაკით ხელში მეტროს წინ დგომაა.

რკინის მოაჯირს მარჯვენა ფეხით ჩამოეყრდნო და მანქანებით აღრიალებულ ქუჩას გახედა. ქუჩაში საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა და მეტროს შესასვლელს გაუმეცადინდა, ფერიდეს ამოსვლა არ გამომეპაროსო.

მეტროს მოედანზე დიდი ფუსფუსი და რიარია იყო. გელას ეჩვენებოდა, რომ ყველამ იცოდა მისი იქ დგომის მიზეზი. ზოგი თვალს განგებ არიდებდა, აქაოდა, რა მოხდა ერთხელ იცუღლუტოს კირთაძემაცო, ზოგი შეხედავდა და მრავალმნიშვნელოვნად თავს გადააქნევდა. გელას შეცბუნებული, დარცხვენილი სახე ჰქონდა და რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო ემატებოდა სურვილი, დაეკრა ფეხი და ზოოპარკამდე უკანმოუხედავად გაქცეულიყო. ეგონა ეს მილეთის ხალხი იმისთვის ამოჰყვება ესკალატორს, მე დამინახოს და წისქვილის ვირთხასავით ისევ ხვრელში დურთოს თავიო.

„ნამეტანი გასუქებული არ იქნებოდეს და არ დავეძებ არაფერს. მათრახივით გოგო იყო. ორმოცს მიტანებული ქალებს მკლავები უსუქდებათ და რაღაცნაირ ოთხკუთხედ ფორმას ღებულობენ.

ქმარს გავშორდიო. ყოფილი ქმარი ჩემი ნაცნობი მაინც არ აღმოჩნდებოდეს. რაზე გაშორდნენ ნეტავ? ხომ არ ვკითხავ, უტაქტობაა.

რა ჩემდა ჭირად ვიპოვე ეს ქაღალდი. რაღა დროს მიძინებული სიყვარულის გახსენებაა. იმ წყალმა ჩაიარა, ის ფერიდე დროს გაჰყვა.

ამაზე ფიქრი უკვე გვიანია. ახლა მთავარია, სად წავიყვანო, რანაირად გავართო, ფერიდე.

რესტორანში შევედით, ვთქვათ. მოგიტანენ გაყინულ ხორცს და ორი თვის ფხალს, აჭრილ ღვინოს და შეუფერადებელ, შაქრიან წყალს. ერთი ჭიქა მაინც ხომ უნდა დავლიო, ეს უნდა ჩემს ღვიძლს? ამ კვირაში შეტევა არ მქონია ჩემდა იღბლად. დავლევ და წყალში უნდა გადაყარო ეს ამდენი მკურნალობა. მერე? ისე უნამუსოდ გიანგარიშებს ოფიციანტი რომ, ფულს კი არ დაეძებ კაცი, შეურაცხყოფის გრძნობა გაგხეთქავს გულზე.

ვთქვათ მცხეთაში წაიყვანე და ათვალიერებინე სვეტიცხოვლის ჩამოფხეკილი კედლები. აქეთ წამოსასვლელ ტაქსს ვერ იშოვი და უნდა იკანკალო ამ სიცივეში.

ხომ არ სჯობია, კაფე-ბარში მივჯდეთ სადმე კუთხეში და ვიმუსაიფოთ ტკბილად? კი მაგრამ, სად, რომელ კაფე-ბარში? მე შენ გეტყვი, გაცლიან წყნარად, მშვიდად ყოფნას. დინამიკები საფეთქელში გიბრაგუნებენ და ევროპაში კაიხნის ჩამოფასებული რომელიღაც შანსონე ყურში ჩაგჩხავის. ყელგაწვდილმა რომ ეხვეწო ბარმენს, ცოტა დაუწიე ხმაო, სასაცილოდ არ ეყოფა. თუ არ მოგწონს, სხვაგან მიბრძანდითო. არა, არა კაფე-ბარში შესვლა ნერვების მოშლაა, სხვა არაფერი.

სოსოს რომ მივაკითხო? მარტოხელა კაცია. გაისეირნებს ცოტა ხანს და დაგვითმობს თავის ერთოთახიან აპარტამენტს. კია, ცოტა არ იყოს, ჯანჯალი კაცი, მაგრამ არა მგონია, უარი მითხრას, ასე აჯობებს, კი. მაგრამ სოსო რომ შინ არ აღმოჩნდეს? ან შინ რომ იყოს და სტუმარი ჰყავდეს? პირად სტუმარს რომ თავი დავანებოთ, ცოტა ჰყავს სოსოს ასე, ჩემნაირი შემწუხებელი? გამიჭირეს საქმე ამ საყვარლიანმა ძმაკაცებმა, ბალიშზე მშვიდად ვერ მიმიდვია თავიო, ამასწინათ მითხრა. შეხვალ, თორემ დიდ კომფორტს ეზიარები. თვეა ამ რაიონში ცხელი წყალი არ მოდის და დღეს შეიძლება ცივიც არ მოდიოდეს.

და ყველაფერი რომ კარგად მოგვარდეს, სოსოს სადარბაზოში ქალთან ერთად შესვლა არ გინდა? ფანჯრებს არ შორდებიან მისი მეზობლები და ლოკატორებივით აქვთ ყურები ყველას.

ახლაც შეიძლება, ამ წუთში, ვინმე მითვალთვალებდეს. აბა, სად მიდის, ვის ელოდება, რას საქმიანობს ამ კვირა საღამოს ეს ჩვენი გელა კირთაძეო.

იფიქრა, იფიქრა ყოფილმა რომეომ და ლამის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფერიდეს პაემანზე გამოცხადებას ამ უკანასკნელის მოუსვლელობა სჯობდა.

საათს შეხედა. ექვსის ათი წუთი იყო. ხუთ წუთს დაველოდები და თუ არ გამოჩნდა, ხვალ დავურეკავ, მსუბუქ საყვედურს ვეტყვი და ამით დამთავრდება ყველაფერიო.

ფერიდე არ ჩანდა.

...ექვსის ნახევარზე ამბროლაურის ქუჩით შინ ბრუნდებოდა მწვანეპლაშიანი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. მოაბიჯებდა მსუბუქად, გამართულად, თითქოსდა ვალმოხდილი და კმაყოფილი.

თავის სადარბაზოს რომ გაუსწორდა, მეზობლის ქურთმა გოგონამ ველოსიპედი კინაღამ დააჯახა. უკუდგა და თვალი გააყოლა. ტანაყრილი გოგო ორბორბლიან საბავშო ველოსიპედზე ძლივს ეტეოდა.

უეცრად იგრძნო, რომ კისრის მალა ტკაპუნობდა. ხვალ პოლიკლინიკაში მივალ, ფარსაგი რამ არ მჭირდესო, გაიფიქრა და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

* * *

ბორჯომ-ხაშურის გზასაყართან ავტოინსპექციის ჯიხურის წინ დავამუხრუჭე.

თოვდა.

საათს დავხედე, პირველს აღარაფერი აკლდა.

მორიგემ ზარმაცი კაცის თვალებით შემომხედა და თავით კარებისკენ მანიშნა.

შევედი.

არც ახლა წამომდგარა. ფეხებშუა გავარვარებულსპირალიანი, კუსტარული ელექტროღუმელი მოექცია და ხელისგულები მიეშვირა.

– კაი გამარჯობა!

– იცოცხლე.

– დიდი ხანია თოვს აქეთ?

– შეღამებულზე დაიწყო. ახლა მოუმატა. საიდან მოდიხარ?

– ქუთაისიდან.

– იქეთ?

– სიმშრალეა. გუშინ ქარმა წამოუბერა, მეტი არაფერი. მაინც რა უბედურებაა. ორი-სამი მანქანა თუ შემხვდა ამხელა გზაზე. ცარიელია ტრასა.

– ზამთარია, ბიძაჩემო. უბენზინობა, სიცივე.

ოცდასამი-ოცდახუთი წლის ჯეელია. წამდაუწუმ შუბლს ისრესს. მარჯვნივ, მაგიდაზე, ქუდი და მაკაროვის სისტემის რევოლვერი უდევს.

– ჭირივით მეზარება ღამე სიარული. არ ეწყობოდა საქმეს გაჩერება, თვარა ფეხს არ გამოვადგამდი.

– თუ გეჩქარება, ჭკუით მოქცეულხარ. რა იცი, ხვალამდე რას იზამს.

– დადებს?
– უეჭველად. მშრალად თოვს.
– აბა, ხვალ იქნება ჯახაჯუხი.
– არ უნდა ლაპარაკი. „სალიარკაც“ აღარ არის. ტრაქტორებიც ვერ იმუშავებენ.
– გორის გადასასვლელზე ხომ არ ვიბუქსავებ, თუ იცი?
– ჯერ არა მგონია. მუხრუჭს „რეზკათ“ არ დააწვე. ძილის საქმე როგორ გაქვს;
– მაგის არ მეშინია.
– აბა, მენახე მშვიდობით!
– კარგად, კარგად. მე ბოდიში. ბენზინი ხომ არ გექნება ერთი-ორი ლიტრი?
– ნახევარზე ნაკლებს უჩვენებს. თუ გადმოასხამ, სამი ლიტრი შენი ფეშქაში იყოს. მე მგონი, თბილისამდე მეყოფა.
– არა, არა. დიდი მადლობა. „კანისტრაში“ თუ გაქვს-მეთქი, თორემ „ნოლ დევიტიდან“ გადმოსხმა ქვის კოდვაზე უარესია. იმ დღეს საათნახევარი ვიწვალეთ.
– თუ კანისტრაში მქონდეს და უარი გითხრა, ბავშვს გეფიცები.
– ღმერთმა გაგიზარდოს. როგორ გეკადრება ბავშვის დაფიცება.
– არაფერია... არ მიყვარს კაცის გაწბილება. ისე, აქეთ რეკეტიორების საქმე რავაა?
– მიაწვნენ ძალიან ამ ბოლო დროს. კარგა ხანია, აღარ ყოფილა შემთხვევა.
– დაწყნარდნენ, აწი, დროა. ცოტა იშოვეს? რაც მაგათ ხალხი გაამწარეს. აბა, კარგად!
– კარგად, კარგად.
წრესთან, ცოტა არ იყოს, მანქანამ ბოლო მოიქნია, ერიჰაა! ფრთხილად უნდა ვიყო. მშრალ ასფალტს ახალი თოვლი ჯერ არ დაჰკრობია და ცურავს. ცოტას რომ მოყინავს, მოდება ხრეშივით ექნება და მერე საშიში აღარ არის.
ბაზართან, მარჯვნივ კოცონს ორნი შემოსხდომიან. ასეთი ალიკვამლი მხოლოდ საბურავს ასდის.
მივუსიგნალე. ხელი ამიწიეს.
შორმნათი ჩავრთე და მესამეთი მივაწექი აღმართს.
დაშვების დროსაც მესამეთი დავეშვი. არ გამჭირვებია.
იკარუსმა მომაკივლა. გზა მივეცი. დალოცვილი მანქანაა, არც მოსრიალების ეშინია, არც გადაბრუნების.
უკანა სავარძელთან, პარპრიზსმოფარებულ თუნუქის ნაჭერს „ოზურგეთი – თბილისი“ აწერია.

ასახვევთან „ვოლგა“ წამომეწია. ანთება-ჩაქრობით გამაფრთხილა. სვლა შევანელე და მარჯვნივ გადავიწიე. გამეტებული სიჩქარით ჩამიქროლა.

ისევ ჩამოწვა სიჩუმე და უკუნეთი გზაზე.

წვრილად, ხვავიანად, დახვეულად თოვს.

სანამ გადასახვევთან მივიდოდი, ხიდსგამომცდარმა, ხრამისკენ გაქცეული ბორბლების კვალი შევნიშნე. რა მიხვედრა უნდოდა: „იკარუსის“ საბურავებისა არ არის, გადასასვლელთან რომ გამასწრო, სწორე ის „ვოლგა“ გადავარდნილა. მუხრუჭი ნელ-ნელა შევაპარე, უკანასვლით მოვადექი ხრამს. ნამქერში ჩაკიდებული, ცალგვერდზე აყირავებული მანქანა ძლივს მოჩანს. წინა და უკანა ფარების წითელ-ყვითელი შუქიღა ჰკვეთს ნამქრის სუდარას. წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ტრასაზე უკუნეთი ჩამოწოლილა. იქნებ ცოცხალია.

– გესმის?! – ჩავბღავლე.

ხმა არავინ გამცა.

ბუჩქს მოვეჭიდე, მაგრამ ტოტი შეწყდა და ხელში შემრჩა. ჩავჯექი და თოვლზე ჩავსრიალდი.

მარჯვნიდან მოვუარე და მთელი ძალით მივაწექი მანქანას, მაგრამ ამაოდ. მძღოლის მხარეს რომ არ იყოს გადაბრუნებული, უფრო ადვილია. დაღმართიდან თოვლ-ღორღი რომ გამოაცალო, ვაითუ დაგორდეს და მეც ქვეშ მომიყოლოს.

– პარპრიზიდან!

ქალის ხმაა.

– ცოცხალი ხართ!

– ჯერჯერობით კი. ვაი დედა!

მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რომ წინა პარპრიზი ჩამტვრეული აქვს და აქედან უფრო ადვილია ამოყვანა.

ზემოდან გადავჩოჩდი და წინა სავარძელთან ჩავეკიდე.

– ნუ გეშინია, გადარჩენილი ხარ! თავს ძალა დაატანე და ხელები გამომიწოდე!

– მარცხენა ძალიან მტკივა. რულსა და სავარძელს შუა მაქვს თეძო ჩაჭედილი. ვაი დედა!

– ნუ გეშინია... ნუ გეშინია... თავს ძალა დაატანე ცოტა კიდევ, ამოიწიე, ჰო ეგრე... დამეყრდენი.

– ვაი დედიკო! მარჯვენა მუხლი მეწვის! ცოტა ნელა, გეხვეწები. გამიშვით, გამიშვით, მე თვითონ... იქნებ ეს რული თქვენსკენ გაქაჩოთ. ახლა ამწიეთ!

– ოო... ყოჩაღი გოგო ხარ. აწი ნუღარ გეშინია, სისხლი ხომ არ მოგდის სადმე?!

– მე მგონი არა.

– გულ-მუცელში ხომ არ გრძნობ ტკივილს?

– რა ვიცი... ცოტას.

– გრძნობა ხომ არ დაგიკარგავს?

– არა. ყველაფერი მესმოდა. მაგრამ შიშისაგან ხმას ვერ ვიღებდი. მტკივა, მტკივა, გამიშვით! ვაი დედა. მარცხენა ხელი მოტეხილი მაქვს. არ უნდა ლაპარაკი!

ფეხები ბუჩქს მივაბჯინე და მხარიღლივ, ნელი ქაჩვა-რხევით გულზე გადმოვიწვინე.

ახლა მთავარია, როგორმე გზაზე ავიყვანო.

ჩქარი სუნთქვა-კვნესით მეხმიანება, მისი თბილი სუნთქვა მარჯვენა ყურ-კისერზე მელამუნება.

ცალი ხელი პალტოს საყელოში ჩავავლე, მეორეთი ბუჩქს ჩავეჭიდე და თოვლზე გავახოხე, მაგრამ ფეხი ვერაფერზე მოიკიდა და შევუშვი თუ არა ხელი, ისევ მანქანამდე ჩასრიალდა.

– თოკივით რამე ხომ არა გაქვს საბარგულში?

– ნახეთ, შეიძლება ბუქსირის ბაწარი იყოს. ვაი დედა!

საბარგულამდე მივჩოჩდი, მაგრამ ვერ გავაღე. დაკეტილია. მანქანას წინიდან შემოვუარე, გასაღები გამოვაძრე და, როგორც იქნა, მოვარგე საბარგულს.

– ვაი დედა, ხელის თითები ჩემი აღარ არის.

– ნუ გეშინია, ცოტაც მოითმინე, თითები დაიორთქლე.

– ადვილი სათქმელია, მარცხენა ხელი პირთან ვერ მიმაქვს.

თოკი გულმკერდსზემოთ, მხრებში ჩავაბი. ზემოთ, ხეს გამოვდე და დავქაჩე.

– ვაი, დედა!

– გამოედო რამეს?!

– არა, არა. ცოტა ნელა, გეხვეწები.

– თუ გამოედო, მაშინვე დამიძახე.

ასე სვენებ-სვენებით ავათრიე ზემოთ. ბევრი ვიწვალე, მაგრამ მანქანის სავარძელზე ვერ დავსვი. მუხლს ოდნავ დაატანა ძალა და კივილი მორთო. ხელში ავიყვანე და მანქანის საბარგულში ჩავაწვინე. ქურთუკი გავიხადე და თავზე გადავაფარე.

– გადარჩენილი ხარ. აქვე, საავადმყოფოში მიგიყვან და ყველაფერი რიგზე იქნება.

– თუ შეიძლება იმ დასაწვავ მანქანაში პატარა ჩემოდანი მიდევს, იქნებ როგორმე ამომიტანოთ.

საავარიო თოკს ჩავყევი და ჩემოდანიც ამოვათრიე.

გავითოშე, სუნთქვა მეკვრის.

საჭეს მივუჯექი და მანქანა მოვატრიალე.

გადასახვევთან ავტოინსპექციის ჯიხურში სინათლე ენთო, მაგრამ ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ორჯერ მივუსიგნალე და რომ არავინ გადმომხედა, თავქვე დავეშვი.

საავადმყოფოს დარაჯი „ტელეგრეიკიანი“ მოხუცი ძლივს გავაღვიძე.

– დაყრუვდით?!

– ჩამძინებოდა, ეს ოხერი.

– ნაავარიევი გოგო მოვიყვანე. ექიმი ჩქარა!

გაფათურდა და ორიოდე წუთში თეთრხალათიან ქალთან ერთად დაეშვა.

– საკაცე არა გაქვთ?

– ჩაკეტილი აქვს მნეს, ვერ გავაღეთ, ვერაფრით.

– საკაცეს რა ჩაკეტვა უნდოდა, ვინ მოიპარავს.

– ახლა ყველაფერს იპარავენ.

გოგო ხელში ავიყვანე და კარებისაკენ წავედი.

– რა ჩაბნელებულია აქაურობა.

– მესამე დღეა, სინათლე არა გვქავს.

– საითაა საოპერაციო?

– მეორეზეა, მარა, აქეთ შეიყვანეთ, მეოთხე პალატაში. შედარებით სითბოა. საოპერაციოში გაიყინება ეგ უბედური.

– აქეთ, აქეთ, კედელთან დააწვინეთ, ეს ადიალა გადააფარეთ. ახლავე ლამპას შემოვიტან.

– რა საშინელებაა, პაპუასებივით ვცხოვრობთ. ძალიან გტკივა?

– გაჩერებულზე იმდენად არა. ოდნავ გავანძრევ თუ არა, გულზე მომდის.

– ნუ გეშინია, ახლა სამშვიდობოს ვართ.

ქალმა ლამპა შემოიტანა და პირველად ვნახე სინათლეზე ჩემი „პაციენტი“. მოკლეზეთმაშეჭრილი, თვრამეტი-ცხრამეტი წლის გოგოა, ლამაზცხვირა და ფართოტუჩება. სუნთქვის დროს ცხვირის ნესტოები ისე ეკეცება, როგორც რიყეზე ამოგდებულ თევზს ლაყუჩები.

თეთრხალათიანმა ლამპა სკამზე დადო და ავადმყოფს ფერხთით ჩამოუჯდა.

– მოტეხილი აქვს, თუ იცით რამე? სად გტკივა, შვილო?

– თქვენ ექიმი ბრძანდებით, ქალბატონო? – კითხვა შევუბრუნე.

– არა, ექთანი ვარ.

– ექიმი არ არის?

– არ არის. დილით გამოირა, მერე აღარც მოსულა.

– თქვენს ამარაა, აბა, საავადმყოფო?

– ცარიელია, ბატონო. ვინ გაჩერდება ამ ყინვაში საავადმყოფოში. ვერ მოვასწარი თქმა – თბილისში წაიყვანეთ მეთქი.

– რომელი საათია?

– ოთხია დაწყებული.

– არც რენტგენი გაქვთ?

– რენტგენი არის, მაგრამ ვინაა გადამღები. უნდა მოვითმინოთ ამაღამ და დილით მოვლენ.

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, იქნებ დილამდე, რა ხდება.

– რა ვიცი... როგორც გადაწყვეტთ... ისე მაინცდამაინც არ კვნესის და, საშიში რომ იყოს რამე, ძალიან ეტკინებოდა. გული ხომ არ მიგდის, შვილო?

– არა, დეიდა. მუხლთან მტეხავს ძალიან და მარცხენა ხელს ვერ ვწევ, იდაყვთან.

– მე რაც შემიძლია, ეს არის. ტკეჩს დავადებ ნატკენ ადგილზე და შევკრავ მაგრად. მეტს ამაღამ ექიმიც ვერაფერს მოგიხერხებდათ, ისე... რა ვიცი... გადაწყვიტეთ მერე... თქვენ თვითონ შეატყობთ.

– კეთილი ქალბატონო. ტკეჩი მოიტანეთ, ბინტი ხომ გაქვთ?

– კი უნდა იყოს.

ექთანი რომ გავიდა, მისი ადგილი დავიკავე საწოლთან.

– რა გქვია?

– ლია, ვაი დედა!

– საიდან მოდიოდი, ლია?

– ზესტაფონიდან.

– როგორ მოვიქცეთ. მოითმენ დილამდე, თუ წავიდეთ თბილისში.

– არა, არა. ახლა ისევ მანქანაში ყანყალის თავი აღარ მაქვს. მოვითმენ, რა ვქნა, დილამდე, თქვენ, თუ გეჩქარებათ, წაბრძანდით.

– რა სათქმელია, როგორ მიგატოვებთ.

– როგორი მადლობელი ვარ თქვენი.

შემომხედა და თეძოსთან საბანი შეიკეცა.

– თუ გადავრჩი, საჭეს აღარ მივეკარები.

– სად გეჩქარებოდა, როგორ შეიძლება ასე სიარული, გორის ასახვევთან რომ გამასწარი, ჩაგისიგნალე. ვიცოდი რაღაც მოგივიდოდა, მართვის მოწმობა გაქვს?

– არა.

– ვისია მანქანა?

– მამაჩემისაა. თვითონ როსტოვშია. რაღაცა ჭირად კოოპერატივი აიტეხა და, ვითომ, კვერცხის შესაძენად წავიდა. ორი კვირაა გზაზე სადღაც გაიჭედა და ვერც იქეთ მიდის, ვერც აქეთ. ჩემი დაქალი მოუტაცნიათ. დედამისმა დამირეკა. დავჯექი უცებ და გამოვვარდი.

– მერე, შე ქალო, რა წამაუცილებელი იყო შენი ასე ნაუცბათევად გამოქცევა.

– დედამისმა, ვაი დედა, სასწრაფოდ ჩამოდიო. მე ვიცნობ იმ ბიჭს. არაა, სხვათაშორის, გლახა ბიჭი.

– ჰოდა, დაქალის გაბედნიერებაზე შენ რომ იღუპავდი თავს, საქმეა ეეს? მაინც სული ყელში გაქვთ ახლანდელ ახალგაზრდებს.

– რა ვიცი, ვაი დედა, ალბათ, ბედი უნდა ყველაფერს.

ექთანმა ორორმტკაველიანი პლასტმასის ფირფიტები შემოიტანა. გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე, ბოლოსდაბოლოს-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, ექთნისთვის ხომ არ მითქვამს, რა არის ეს გოგო ჩემი.

თაგვისფერი, წითელკოპლებიანი სვიტრი აცვია. თავი ბალიშის გვერდით, პირდაპირ ლეიბზე უდევს და ჭერს ასცქერის, თითქოსდა მას არც კი ეხებოდეს, რას ვსაქმიანობთ მის სხეულზე ქვევით, ჩვენ, აქ, „ექიმები“.

იქნებ ამოვარდნილი აქვს მარცხენა იდაყვიო, ჯერ ხელით მოსინჯა, მერე გამართულად ფრთხილად ასწია, ქვეშ ბალიში ამოუდო და ხელის მტევანი ნელ-ნელა გაუქაჩეო, მომიბრუნდა.

მოვეჭიდე მის ლამაზ, თბილნაზ თითებს და ოდნავ რომ გამოვწიე, ლიამ იმხელა იყვირა, მე, ჩემდა თავად, გული კინაღამ ამომიხტა ბუდიდან.

ამოვარდნილობა ხელით არ ისინჯება, ვეჭვობ ან მოტეხილი აქვს, ან მაგრად აქვს სახსარი შეშინებული.

„ტკეჩები“ ირგვლივ მჭიდროდ შემოულაგა და ბინტით სქლად, ღონივრად შეუკრა. საწოლის თავის პარალელურად გაუსწორა მარცხენა ხელი და გააფრთხილა, ასე გედოს შვილო, დილამდე, თუ ძალიან შეგაწუხოს, თითები და მაჯა აამოძრავე იდაყვის სახსარი არ გაანძრიოო.

მერე ლარივით სწორი, ყავისფერჩექმებიანი ფეხები გაუსწორა. ჯერ ორივე მუხლი შეადარა ერთმანეთს. მარჯვენა ოდნავ შესივებულიაო. კვირისთავი ხელით მოსინჯა, როცა გაარკვია, რომ კვირისთავი დამსხვრეული არ ჰქონდა, მიულოცა – კვირისთავი მთელი გაქვს შვილო, კოჭლობისგან დაზღვეული ხარ, ნუ გეშინია, ან მენისკი იქნება გაწყვეტილი, ან ძვალი გატეხილი ან, რაც უფრო ხშირად ხდება ასეთ დროს, კუნთია დაზიანებულიო,

შემომხედა.

რა არის ეს კაცი შენიო, ლიას ჰკითხა.

ლიამ წამით ამავლო თვალი და – ბიძაამ ისე მშვიდად და ანგარიშმიუცემლად მიუგო, რომ ერთხელ კიდევ ვირწმუნე: ქალები კაცის ნეკნისაგან შექმნილი კი არა, სრულიად სხვა, ზეციური არსებებია. ჩვენზე უფრო ჭკვიანები და სხარტი გონებისანი. ჩემთ-

ვის რომ ეკითხა, რას ვუპასუხებდი? ჯერ დავიბნეოდი, რაღაცას წავილუღლუღებდი. მერე ვეტყოდი, სიმართლეს, აბა რას ვიზამდი; არაფერიც არ არის, მე მგზავრი ვარ, შემთხვევით გადავაწყდი გზაზე, პირველად ვნახე მეთქი. ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ვერასოდეს ვერ მივხვდები, რატომ უთხრა დამტვრეულმა გოგომ საავადმყოფოს ექთანს ჩემზე, უცნობ მამაკაცზე, ბიძაო. უპატრონო რომ არ ჰგონებოდათ და მეტი ყურადღებით მოქცეოდნენ? თუ რაღაც სხვა მოსაზრებით, რას გაუგებ ქალს.

მუხლს ზემოთ, რბილ კუნთს რომ დაადო ხელი – მტკივა, სწორედ მანდ მტკივაო, დაიკვნესა ლიამ.

კუნთის ამბავია, შეიძლება გაგლეჯილიც კი იყოსო. ექთანმა, ჩექმები გავაძროთო.

მარცხენა ფეხზე იოლად გავაძრე. მარჯვენაზე გამიჭირდა. ტკიოდა ოდნავ რომ დავქაჩავდი. ჩექმის წვერ-ქუსლის ნელი, მორიგეობით რხევარხევით, როგორც იქნა, გავხადე. ჩექმის ყელიდან თბილი ორთქლი და რაღაცნაირი, მხოლოდქალური ოფლის სუნი დაიფრქვა ოთახში.

რეიტუზი უნდა გაგხადო, შვილო, ჯერ ერთი, მაინტერესებს დალურჯებულ-შესიებული რა ადგილას გაქვს და მეორეც, ტკეჩი რეიტუზისგარედან ფეხს მჭიდროდ არ მიეკვრება, იმოძრავებს, საერთოდ ტკეჩიც და თაბაშირიც შიშველ კიდურზე კეთდებაო, ექთანმა.

ლიას პასუხი არ მიუცია, ჭერს ასცქეროდა.

ექთანმა შალითის ქვემოდან, წელის არეში შეუყო ორივე ხელი, ცოტა ხანს აფათურა, ბოლოს როგორც იქნა, იპოვა ხვანჯარი, და დაქაჩა. ლამპის მქრქალ შუქზე ულამაზესმა, ჭკუიდანშემშლელმა ბარძაყებმა რომ გამოანათეს, წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი.

მედიცინის დამ ერთხანს აცერ-ამტკაველა ლიას მუხლ-ბაყვები. ხან ააკვნესა, ხან გააყუჩა ავადმყოფი, ბოლოს მიხმო – ტკეჩები დამიჭირეო. ორივე ხელი შემოსალტული მაქვს თვრამეტი წლის გოგოს ბარძაყებზე და სანამ ექთანი ბინტს დაახვევდეს, ჩემი მემართება. ვნებიანი სითბო და სპილოსძვლისფერი ფეხების ნევრთატოკვა ტკეჩში ატანს და სხეულზე ალად მეკიდება.

ექთანი თავის საქმეს რომ მორჩა, ლიას ანალგინი დაალევინა. ქვევით, მორიგის ოთახში ვიქნები, თუ დაგჭირდეთ, დამიძახეთ, გათენებამდე ბევრი აღარ დარჩა, დილით დარაჯს გავაგზავნით ექიმთან, ეცადოს დაიძინოს, ეს ბოლო სიტყვები რატომღაც მე მითხრა, კარგად იყავითო და გავიდა. კარებთან მოტრიალდა, თუ შეიძლება, ლამპას წავიღებო. მადლობა მოვახსენე, დერეფანში დავეწიე, ჯიბეში ფული ჩავუკუჭე (ვერ გეტყვი რამდენი, ასე ასიასორმოცდაათი მანეთი იქნებოდა, თუმნიანებად მეწყო შარვლის

ჯიბეში), ძალიან ყურადღებიანი ქალი ბრძანდებით, თქვენი ვალიდან ვერ ამოვალთ-მეთქი.

მარტონი დავრჩით.

ცოტა ხანს წელის გასამართავად წამოვწექი, მაგრამ უფრო შემცივდა.

საწოლზე ვზივარ. ლიას, რასაკვირველია, არ სძინავს.

– როგორ ხარ. იქნებ დაგეძინოს... გტკივა?

– ანალგინმა ცოტა გამაბრუა... თქვენ რომ არ შემხვედროდით, რა მეშველებოდა.

– უსაშველო ღმერთმა ნუ დაგმართოს, ერთი საშიშროება ის იყო, რომ თოვლზე მანქანის გადავარდნის კვალი წაიშლებოდა და დილამდე ვერავინ გიპოვიდათ.

– დილამდე ალბათ გავიყინებოდი.

– ცუდ რამეზე ნუღარ ვილაპარაკებთ, რაც მთავარია, გადარჩი.

– მანქანა ძალიან იყო?

– ძალიან არა. მოსრიალების დროს ხეს დაეცა გვერდულად. იმ ხემაც გადაგარჩინა, თვარა, შეიძლება ქვეშ მოყოლოდი.

პაუზა.

– რა გქვიათ, ბიძია? ამ დაბნეულობაში, მე ბოდიში, სახელიც არ მიკითხავს.

– გელა. მომეჩვენა, რომ „ბიძია“, თითქოსდა ხაზგასმით, გაჭიანურებით, თუ ერთგვარი ირონიითაც წარმოთქვა.

ისევ პაუზა.

– ხომ არ გცივა?

– ცოტა, ფეხის თითებზე.

საწოლთან ჩამოვუჯექი. მარჯვენა (ჯანმრთელი) ფეხი მუხლზე დავიდე. მარცხენა (ტკეჩიანი) საწოლის ნაპირისაკენ გამოვაჩოჩე. ხელისგულებში მოვიმწყვდიე მისი უსაყვარლესი და უახლესი, ჩიტის ბარტყივით თბილი და მოძრავი ფეხის თითები.

კარგა ხანს მეჭირა. ხან თითებით ვჯღვლემდი, ხან ხელისგულებს იქეთ-აქეთ ვუსვამდი, როგორც იასამნის ღეროს ვატრიალებთ ხოლმე მისი ღვთაებრივი სიმრგვალის ხილვა რომ მოგვესურვება. მერე წვივებს მუხლებისკენ ავყევი და ტუჩით დავეკონე მუხლისზემოთ იქ, სადაც ცივი და უცხო ტკეჩის თავი მთავრდებოდა.

– რას შვრებით, ექთანი შემოვა.

წამოვხტი. კარი შიგნიდან არ იკეტება.

ბუდეში გასაღები არ არის. პატარა რკინის ურდულიდან მილაკი გამომძვრალია.

დერეფანში ვიფათურე, როგორც იქნა მსხვილი ლურსმანი ვიპოვე და გავუყარე კარებს.

...თუ დაკვირებიხართ ზამთარში მამლები, თითქოსდა, სხვა ხმაზე, უფრო მოგუდულად და ზარმაცად ჰყივიან, ვიდრე გაზაფხულზე.

თავი მიდევს ლიას თბილ მუცელზე, ცოტა ჭიპისქვემოთ. ხელს ნაზად ვუსვამ უკვე ტკეჩაყრილ მუხლისთავზე და ბარძაყებზე.

ფანჯარაში მქრქალად იხედება ლურჯ-თეთრი ციაგი, ულამაზესი ზამთრის დილა.

* * *

კონვერტზე ხაზს ქვემოთ ეწერა: „ცურტავი, №1 პროფილაქტიკურ-სამკურნალო კოლონია. ი. ნეიძე“.

– ი. ნეიძე, ი. ნეიძე, ი. ნეიძე, ვინ უნდა იყოს? – გაიფიქრა გელამ. სანამ კონვერტს გახსნიდა, გამომგზავნის ვინაობა უნდოდა სცოდნოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა აშკარა იყო, წერილს ქალი სწერდა. ქალებს, უმეტეს შემთხვევაში მოწაფური, გაუწაფავი ლამაზი ხელი აქვთ. სკოლაში ასოების გადაბმას რომ ასწავლიან, იმგვარ ასოებს სწერენ.

„ბატონო გელა, ჩემი წერილი გაგიკვირდებათ და, იქნებ, ვერც გამიხსენოთ, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა მაბედვინებს თქვენს შეწუხებას. ამ ორი წლის წინათ, მე ვიყავი თქვენთან, ვინაიდან ძალიან მჭირდებოდა ფული და გავბედე უცნობ ადამიანთან მოვსულიყავი. თქვენ მაშინ სიკეთე გამოიჩინეთ. ახლა მე №1 პროფილაქტიკურში ვიმყოფები. ვერ გეტყვით, რომ აქ ტყვილად მომათავსეს, ღირსი ვიყავი და იმიტომ მოვხვდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემი ადგილი აქ არ არის. აქ მე უარესად გავფუჭდები. ერთხელ დავუშვი ჩემს ცხოვრებაში შეცდომა და აწი აღარ გავიმეორებ. რომ დავფიქრდი, ვინ ვინ-მეთქი და მარტო თქვენ შეგიძლიათ ჩემი შველა. მე აქ ან მოვკვდები, ან ადამიანად არ ვივარგებ. ძალიან გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რამე გამიხერხოთ, რომ აქედან გამომიშვან. პირობას გაძლევთ, არ შეგარცხვენთ, კოლონიის უფროსი კალანდაძეა, თქვენი იმედი მაქვს. ნახვამდის, ია ნეიძე“. წერილი ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეათე წლისათვის აღსანიშნავად გამოშვებულ კონვერტში იდო და საფოსტო ბეჭდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინა სამშაბათს იყო გამოგზავნილი.

გელამ გაიხსენა: მაშინაც ოქტომბერი იწურებოდა. ცოლი და ბავშვი სკოლაში ის ის იყო წავიდნენ, გელას მეუღლე ბიოლოგიას ასწავლიდა და დილით სახლიდან დედა-შვილნი ერთად გადიოდნენ), ზარმაც დარეკა. კარი რომ გაიღო, პარმაღზე შავთმიანი, ფართოთვალება, ოდნავ გამხდარი, მაღალყელიანი მოხდენილი გოგონა იდგა. ასე ოცდაორი-ოცდასამი წლისა თუ იქნებოდა.

– მობრძანდით, – უთხრა გელამ და სტუმარს თავის კაბინეტში შეუძღვა.

ქალიშვილი დაბნეული ჩანდა. თვალებს მორცხვად აპარებდა განზე და სიტყვის დაწყება უჭირდა. იჯდა და თითებს ითვლიდა.

– გისმენთ, – გელამ ხმაში. ალერსი გაურია, რომ სტუმარი შეეთამამებინა.

– მაპატიეთ, მრცხვენია თქმა, – გოგონამ თითების სახსრებს ტკაცატკუცი აუყენა.

– მითხარით, მითხარით, არა უშავს.

– ფული მჭირდებოდა ცოტა.

– სესხად? – მცირე პაუზის მერე ჰკითხა გელამ. გოგონას პიროვნების გასაგებად. ამ კითხვაზე პასუხს მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა.

– თუნდაც... სესხად.

– რამდენი მაინც?

ქალიშვილი გამოცოცხლდა შეეტყო, რომ მორცხვობის ზღვარი გადალახა.

– რამდენიც შეგიძლიათ. აუ, ძალიან მჭირდება.

გელა წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

– თუ საიდუმლო არ არის...

– ისა, საქმრო მყავს პატიმარი და გროზნოში უნდა ჩავაკითხო.

მაშინ ვერ შეამჩნია ყალბი ხმა გოგონას ნათქვამში გელამ. მართლა რომანტიკული ამბავი წარმოიდგინა. შეყვარებული გოგო საქმროს სანახავად მიემგზავრება. საქმრო უბრალო შემთხვევის გამო (იქნებ იჩხუბა) ციხეში ზის.

– თქვენი სახელი?

– ია, იამზე.

– ია, თბილისელი ხართ?

– დიახ, ჩახრუხაძეზე ვცხოვრობ.

– მშობლები?

– დედა მყავს მარტო. მეც არ ვმუშაობ და, აუ, ძალიან გამიჭირდა, თორემ არ შეგაწუხებდით. ფულს არ შეგიჭამთ, ნამდვილად დაგიბრუნებთ.

– ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

– არა,

– სწავლობთ?

– შარშან უნივერსიტეტი დავამთავრე, ფრანგული.

გელა ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია.

– ჩემთან ვინ მოგასწავლა?

– იცით? ერთმა ამხანაგმა მითხრა აუ, რომ არ დაგიმალოთ, თქვენი მისამართი მომცა. მიდი, მწერალიაო, კეთილი კაციაო.

– ოჰო, ცნობილი ვყოფილვარ.

– გაჭირვებულის დახმარება უყვარსო.

– მადლობა გადაეცი შენს ამხანაგს. მართალი უთქვამს. გაჭირვებულის დახმარება ჩემი მეორე სპეციალობაა. ოღონდ ეგ არის, გაჭირვებულები ცოტანი დარჩნენ. ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე. სადღა შეხვდები კარგ გაჭირვებულს. როგორ მიხარია, რომ მოხვედი. მეოთხე დღეა გაჭირვებული არ შემხვედრია. განსაკუთრებით ფულის გაცემა მიყვარს.

ია მიუხვდა მასპინძელს ირონიას და წამოდგა.

– მაპატიეთ, თუ არ გაქვთ საშუალება... ცუდად გამომივიდა. უცნობთან არ უნდა მოვსულიყავი.

– რა არის, იცი? შენ, ეტყობა, მართლაც არ მიცნობ, ია, ჩემთან ყველაფერზე მოდიან, ფულის გარდა. ცუდად არ გამიგოთ, მე სწორედ რომ უფულობით ვარ ცნობილი.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – ქალიშვილმა კოპები შეჰყარა, მხარზე გადაკიდებული ჩანთა ხელით გაისწორა და კარისკენ გააბიჯა.

– ერთი წუთით, – გელა მეორე ოთახში გავიდა, კარადის უჯრიდან ორი ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და კართან მისულს გაუწოდა.

– თქვენს საქმროს მოკითხვა გადაეცით.

იამ ფული გამოართვა, მოკეცა, ჩანთაში ჩაიდო, მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა მამაკაცს და თავდახრით, ძლივსგასაგონად ამოილაპარაკა.

– აუ, გმადლობთ, უსათუოდ დაგიბრუნებთ.

– მაინცდამაინც ნუ იჩქარებთ დაბრუნებას, – გელამ კიბეზე პაკიპუკით ჩამავალს ჩასძახა.

ეს შემთხვევა გაიხსენა და თავის გულუბრყვილობაზე გაეცინა. თითქოსდა ეშმაკი კაცი ვარ, როგორ მოხდა, რომ იმ გოგოს ნარკომანობა ვერ შევატყვე. ახლა ხომ აშკარაა, იმ დღეს ჩემნაირ „კეთილს“ რამდენიმეს შეაცოდა თავი პატიმარი საქმროთი და ფული დაცინცლაო.

წერილი მეორეჯერ ჩაიკითხა, პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და კიბეს ჩაუყვა. მანქანაში რომ ჯდებოდა (ძველი, ფურგონული სისტემის „ჟიგული“ ჰქონდა), პიჯაკის ჯიბეში წერილი იგრძნო და მაშინ გაახსენდა, რომ ცურტავის კოლონიაში ელოდებოდნენ, ჯერ, რა თქმა უნდა, წერილის უპასუხოდ დატოვება გადაწყვიტა, მერე გაიფიქრა, სალანძღავ წერილს მივწერ: რომელი შენი ბიძა-გამზრდელი ვარ, ასე რომ შემეთამამეო. არც ეს აზრი მოეწონა. თავისი უბედურება ჰყოფნის საწყალ გოგოს, საშველად მიხმობს და გული რაღაზე ვატკინოო. ბოლოს ამ აზრს დაადგა, წავალ, ვნახავ,

შეშვებით, ვინ შემიშვებს, მაგრამ, იქნებ, ხმა მაინც მივაწვდინო, რომ მის წერილს გამოვეხმაურე და მოვედიო. ცურტავის გზას რომ დაადგა, ყოყმანი შეეპარა. სად მივდივარ, ვისთან მივდივარ, რამე შარში არ გავება. ვინმემ ეჭვის თვალით არ შემხედოსო. ძალა, რომელიც ქალიშვილისკენ ეწეოდა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ოღონდ ეგ იყო, ვერ გაერკვია, რა გრძნობა იყო ეს, სიბრალულის? ქველმოქმედების, ინტერესის თუ სამივე ერთად? მართლაც რომ რაღაც შეუცნობი ძალები განაგებენ ზოგჯერ კაცის საქციელს, ძვირფასო მკითხველო.

კოლონიის მთავარი ექიმი კალანდაძე, როხროხახმიანი, მაღალი, თეთრხალათჩაჩიანი კაცი, ჩამოვლაზე იყო და თუმცა მოსაცდელში ხელისგულზე ყბაჩამოდებული გელა მშვენივრად დაინახა, მდივან გოგონას მაინც ჰკითხა:

– ჩემთან არის ვინმე?

– დიახ, – გოგონამ ნიკაპით სტუმრისკენ ანიშნა.

– მობრძანდით, – კალანდაძე უცნობს კაბინეტში შეუძღვა, ჩაჩი მოიხადა, მაგიდის კუთხეზე ჩამოდო, შუბლზე ორ ნაკადად ჩამოსული თმა გაისწორა, ხელები ერთმანეთზე დააწყო და სმენად იქცა.

გელას, თითქოსდა, ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა: ვიტყვი, რომ ია ნეიძე შორეული ნათესავია და სანახავად მოვედი, მთელი ნათესაობა შეწუხებული ვართ გოგოს მდგომარეობითო, მაგრამ, სანამ პირს გააღებდა, კალანდაძის კატეგორიულმა კილომ ჩანაფიქრი შეაცვლევინა, ბოლოს და ბოლოს, ვეტყვი, როგორც იყო, კაცია. თუ გამიგო, ხომ კარგი, თუ არა, ავდგები და წამოვალ უკანო.

ჯერ თავისი ვინაობა და მუშაობის ადგილი ჩამოკაკლა, მერე ორი წლის წინანდელი შემთხვევა გაიხსენა, ბოლოს დღევანდელი წერილის შინაარსი უამბო და დამაჯერებლობისთვის კალანდაძეს წერილიც გაუწოდა.

მთავარმა ექიმმა წერილი არ გამოართვა.

მჯერა, ჩვეულებრივი ამბავია. ყველა ჩემი ავადმყოფი ასეთ წერილს დღეში შვიდი მისამართით მაინც აგზავნის. ნაცნობ-უცნობს საშველად უხმობენო, მერე თითქოს შეხვედრის მთავარ მიზანს მიაგნოვო, გელას ჰკითხა:

– რომელი ჟურნალის რედაქტორი ვარო, ბრძანეთ?

– „ნუგეშის“.

– გვანცელაძე თქვენთანაა?

– სავლე? სავლე მწერალთა კავშირის აპარატში მუშაობს.

მთავარ ექიმს გაეცინა, საფანქრედან ლურჯი ფანქარი ამოიღო, წვერი გაუსინჯა და ისევ ჩადო.

– ქვისლია ჩემი, მაგრამ რად გინდა.

– რა ბრძანეთ?

– თვრება ოთხ ჭიქაზე.

ნაცნობობისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, გელამ გვანცელაძესთან დაკავშირებული ორიოდე ეპიზოდი გაიხსენა, კაცური კაციაო, დასძინა და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ კოლონიის თავკაცს განკარგულება გაეცა და დაახლოვებით თხუთმეტი წუთის შემდეგ გელა შეხვედრის ოთახში უფარდაგო მაგიდას დაყრდნობილი, იატაკზე მილურსმნულ სკამზე იჯდა. მარჯვენა მხარეს, კინოსაპროექციო ჭუჭრუტანისხელა ოთხკუთხედ ხვრელში მორიგე ზედამხედველის გადაპარსული თავი მოჩანდა.

იას არავინ შემოჰყოლია. შემოსვლისთანავე გაღიმება სცადა, გელას ხელი ჩამოართვა, დაჯდა, მკლავები ერთმანეთში ჩაიხვია და იატაკს დააჩერდა. ამ ორ წელიწადში საოცრად გამოცვლილიყო. ქუჩაში რომ შემხვედროდა, ვერ ვიცნობდიო, – გაიფიქრა დამხვდურმა. იას ორი თითის სიმაღლე თმაზე ზემოთ ლურჯი ზონარი დაემაგრებინა. ზონარი ყურების გასწვრივ კეფასთან შეეკრა და თავის ლამაზი მოხაზულობით ზანგ მოცეკვავეს წააგავდა. რომ იტყვიან, ისე გამხდარიყო, რომ თვალებადღა ქცეულიყო. თვალებს ისე იშვიათად და ზარმაცად ამოძრავებდა, გეგონებოდათ, სიგამხდრისაგან წამწამ-ქუთუთოს აწევა უმძიმსო. შეხედავდა გელას და ისევ იატაკს ჩაუბრუნდებოდა. ლოყები ჩავარდნოდა, ყვრიმალები უფრო გამოკვეთოდა. ტუჩებზე ლილისფერი გადაჰკრავდა და მხოლოდ ლამაზ ნესტოებზე შერჩენოდა სინაზე, ქალურობა.

– როგორა ხართ, ია? – სიჩუმე, გელამ დაარღვია და თვითონვე გაუკვირდა: ისეთი კილოთი ჰკითხა, თითქოს გუშინაც ენახა და, საერთოდ, ახლობელი ადამიანი იყო.

– რა ვიცი, შეგაწუხეთ ხომ? – იას თავი არ აუწევია, – არ მეგონა, თუ მოხვიდოდი.

გელას სრულიადაც არ ეხამუშა ქალის „შენობაზე“ გადასვლა.

– წერილი სხვასაც მიწერე?

გოგონამ დიდრონი, წყლიანი თვალებით ამოხედა.

– მე აღარავინ მყავს, ვისთვის უნდა მიმეწერა. დედაჩემი შარშან, გაზაფხულზე გარდაიცვალა.

– რა მოუვიდა?

– კიბო.

– რამდენი ხანია აქა ხარ?

– მარტში მომიყვანეს. მეოთხე თვეა, ხომ? სამი თვე გათავდა. შარშან ზუსტად ორმოცი დღე ვიყავი.

გელამ არც იცოდა, რა ეთქვა. ახლა უფრო იგრძნო, რა ყალბად ჟღერდა გაზეთურ ნარკვევებსა და ტელერეპორტაჟებში ნარკომ-

ანებისთვის სილასავით გაწნული ფრაზები: „ხომ ხედავ, სანამდე მიხვედი“, „რატომ არ იფიქრე, როცა ამ გზას ადგებოდი“, „ახლა რაღას აპირებ?“, „ადამიანი გქვია ახლა შენ?“ სულ არ ჭირდება ახლა ამ ქალს ნიშნის მოგება და ჭკუის დარიგება. ჩემს წინ ღრმა ნარკომანი ზის, მორჩა და გათავდა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე რატომ ვარ ახლა აქ, ჩემი დარდი მყოფნის და რა მრჯის ამ წყალწაღებული გოგოს ჭირისუფლობასო, გაიფიქრა.

– აქედან გასვლა გინდა, ია?

– ძალიან, – ისე ალალად, შიშით შეხედა გოგომ, თითქოს ორი წლის წინანდელი ირონიის ნაკვალევს ეძებდა გელას მზერაში.

– წერილში მწერ – „შეცდომა დავუშვი და აღარ გავიმეორებო“.

– იმიტომ, რომ აქედან გაგზავნილ წერილს კითხულობენ. საჭიროა ასეთი სიტყვები. თუ დაწერე, რასაც ფიქრობ, წერილს არ გაგზავნიან.

– რას ფიქრობ, მაინც?

– რა ვიცი.

– მორჩენა არ გინდა?

– რისგან? აუ, შენც ასე ფიქრობ? მე ავადმყოფი არა ვარ.

– აბა, რა ხარ?

– რა ვიცი. უბრალოდ, რაც მსიამოვნებს, იმას ვაკეთებ.

– შეგიძლია არ მიიღო?

– რა?

– წამალს რომ ეძახით.

იამ გაიცინა.

– შენ შეგიძლია წყალი არ დალიო სამ დღეს, ხუთ დღეს?

– რა შუაშია.

– როგორ არ არის შუაში. გამაგებინეთ, ვის რას ვუშავებთ, ჩვენ.

– ვინ თქვენ?

– აი, ნარკომანებს რომ გვეძახით და ციხეში გვსვამთ.

– თუ ქალი ხარ, შენ გამომძიებელივით ნუ მელაპარაკები, თორემ ავდგები და წავალ. ძნელი გასაგები არ უნდა იყოს შენთვის, რომ მინდა დაგეხმარო.

– მაპატიე, ჰოდა თუ დახმარება გინდა, დამეხმარე აქედან გამოსვლაში. მეტი არაფერი მინდა. არც არასოდეს შეგაწუხებ.

– როდის გაიკეთე პირველად?

– რა?

– მორფი.

– არასოდეს გამიკეთებია და არც გავიკეთებ. ნემსებს ვერ ვიტანი. აქ, ერთ ადგილზე რაღაც ნემსებს მიკეთებენ და უნდა ნახო, როგორ ვხტუნავ.

– აბა?

– მე ვეწევი. ადრე ვყლაპავდი, ახლა აღარ.

– რას?

– რა ვიცი, აბებს. რასაც ვშოულობდი. ახლა კოდეინიანი წამალი ჭირს, მაგრამ ტკივილგამაყუჩებელი, რაც უნდა დამელია, ექვსი-შვიდი ტაბლეტი, ყველაფერი მშველოდა.

– რისგან გშველოდა?

– ტკივილისგან, დარდისგან.

– რა ტკივილი გქონდა.

– გითხრა ყველაფერი? თვეში ერთხელ საშინლად ამტკივდებოდა მუცელი რისგან, თქვენ მიხვედრა არ გაგიჭირდებათ. ჰოდა, მე მგონი, უფრო მაშინ მივეჩვიე. როგორ არ მინდოდა, ჩვენც ამაზე გველაპრაკა.

– მერე?

– მერე სუბოტექსი მომწყინდა. თირკმელებზე მოქმედებსო, მითხრეს, და მოწევა დავიწყე. ადრე ძვირი ღირდა, ახლა ისე ძვირი აღარ ღირს, თანდათან უფრო გაიაფდება.

– რატომ უნდა გაიაფდეს?

– ჩვენ, მწეველები ბევრი ვართ. მალე ფართო მოხმარების საგნად გადაიქცევა, შეიძლება მაღაზიაშიც გაიყიდოს, როგორც თამბაქო.

– შენ რას ეწევი ძირითადად, ოპიუმს, ჰაშიშს, მარიხუანას?

იას ისევ გაეცინა და ქარვისფერი, მაგრამ ლამაზად ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა.

– სახელები გისწავლია. მე, რასაც ვშოულობ, იმას ვეწევი, მაგრამ თქვენ რომ ტანში გაჟრჟოლებთ, ისე საშინლად არაა საქმე. რა შუაშია ეგ მყვირალა სახელები. ჩვენ რომ კაიფს ვიჭერთ, ის წამალი თითქმის ყველა ბალახს დაჰყვება.

– მაინც?

– სოიოს, მუხუდოს რომ ვეძახით, ფესვებზე პარკები აქვს. დაფშვნი, გააშრობ და მოსწევ. კანაფში, ყაყაჩოს ყვავილშიც არის. გაგანათლო კიდევ?

– არ არის საჭირო.

– რა მაინტერესებს, იცი? თამბაქოც ხომ ნარკოტიკია თქვენი გაგებით?

– თითქმის.

– ნეტავ თამბაქოს წევა რომ დაიწყეს ადამიანებმა, თუ კრძალავდა მაშინ კანონი და თუ დასდევდნენ დასაჭერად, როგორც ჩვენ.

– შენ როგორ ფიქრობ, ნარკომანობა მოდაა?

– შეიძლება მოდაც არის.

– არ დაიჯერო. ოთხი ათასი წლის წინათ ეწეოდნენ ეგვიპტეში და აზიის უძველეს სამარხებში მიცვალებულს საფლავში ატანდნენ ოპიუმიან ქილებს.

– რა ვიცი, მე მოდისთვის არ დამიწყია.

– აბა, რატომ დაიწყე?

– ხომ გითხარით. საკვერცხეები მტკიოდა.

– ახლა, კმაყოფილი ხარ შენი მდგომარეობით?

– ნარკომანს რომ არ მეძახდნენ და აქ არ მომათრევდნენ სამკურნალოდ, მართლა კმაყოფილი ვიქნებოდი. მე არავის ვერჩი, თუ ცუდს ვაკეთებ, ჩემი თავისთვის ვაკეთებ.

– ხვალ?

– ხვალე მე კარგა ხანია გადამიკეტეს. მეოთხე წელია დავამთავრე და სამსახური ვერ მიშოვია. შვიდმეტრიან ოთახში გავიზარდე. დედაჩემის კუბო თოკით ჩავუშვით მესამე სართულიდან. კიბე ისეთი ვიწრო გვაქვს, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. რომელ ხვალეზე მელაპარაკებით. ვინ იზრუნა ჩვენზე.

– ამიტომ თქვენც აიღეთ ხელი თქვენს თავზე?

– ან ავიღეთ, ან არა. აუ, როგორ მომბეზრდა ასეთი ლაპარაკი. ახლა ჩემი მდგომარეობა მიხარია კიდეც, თქვენი, საზოგადოების ყურადღება, როგორც იქნა, მივიპყარი.

– როდის მერე იგრძენი, რომ ჩვენ და თქვენ სხვადასხვა ნაპირზე ვართ.

– პირველი კურსიდანვე. მოსაწევის შოვნამ ჩვენ უფრო შეგვაკავშირა ერთმანეთს. ცხოვრება საინტერესო გახდა. თითქოს აზარტულ თამაშს გეთამაშებით, გემალებით, კონსპირაციულად გადავცემთ ერთმანეთს წამალს. თითქოს რაღაც საიდუმლო ორგანიზაციაში ვართ გაერთიანებული. მერე, სიმართლე რომ გითხრათ, ყველას ნარკომანს (როგორც თქვენ დაგვარქვით) ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთს ვენდობით და ვაფასებთ. რას უნდა დავერაზმეთ ასე კარგად.

– ოჰო. რას და კარგად ყოფნას.

– კარგად ყოფნას რას ეძახით?

– ჯანმრთელად ყოფნას.

– ჩვენ ჯანმრთელობას არ ვუჩივით.

– რა ვიცი. ხუთი წლის განმავლობაში თანმიმდევრულ ნარკომანს თირკმელები, გული, ღვიძლი უავადდებაო. ნერვული სისტემა მოეშლებაო. სექსუალურ პოტენციაზე მოქმედებს, ხოლო მემკვიდრე თუ გაუჩნდა, უსათუოდ პათოლოგიური ბავშვი ებადებაო.

– ეგ, მე მგონი, სიცრუეა. ისე, რა ვიცი, გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ყოველდღე ჩაქაფული რომ ჭამო, ექვს თვეში ქოლესტერინი მოგკლავს.

– პირველად რომ მოსწიე, რა იგრძენი?

– პირველად? აღარც მახსოვს, ჰო... როგორ არა, აბები ისე არ მაკაიფებდა, მადუნებდა, უბრალოდ. თითქოს ბურანში ხარ, ძილი გინდა, არაფერი გტკივა, პრობლემები არ გაწუხებს, თავში მშვიდი, ლამაზი ფიქრები მოგდის. ეს არის სულ, პირველად რომ მომაწევინეს, ჩვენ პლანს ვეძახდით, იცი რა, დამემართა? უეცრად ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. მომშივდა, მომშივდა წარმოუდგენლად. სხვებს სხვადასხვანაირად უსწორდებათ. მე შიმშილით დავიჭირე. ვჭამ, ვჭამ, ლამის მუცელი გამისკდეს. არ დავტოვე მაცივარში, თუ რამე ჰქონდა ჩემს მეგობარს. მერე ვიმღერე და დამეძინა. რომ გამეღვიძა, თავი მტკიოდა ცოტა. აი, თქვენ რომ პახმელიას ეძახით, ის გრძნობა მქონდა. მეორე და მესამე მოწევაზე ისე აღარ მშივდებოდა, მაგრამ ისეთ ძალას ვგრძნობდი, მეგონა, დევს დავეჭიდებიმეთქი. გამოგიცდია ისეთი წუთები, როცა ირგვლივ ყველაფერი, თვალწარმტაცია? ქვეყანა სამოთხესავითაა. გინდა ყველას მოეხვიო, მოეფერო. არაფერი გაწუხებს. ყველა გიყვარს. გგონია მეხუთე სართულიდან რომ გადახტე, არაფერი მოგივა და საერთოდ, შენი ტანი ჩიტივით მსუბუქი გეჩვენება. გავიწყდება ჩხუბი, ინტრიგა, უგულობა, უსამსახურობა. გგონია ეს ქვეყანა, ეს ხალხი იმისთვის გაჩნდა, რომ შენ გასიამოვნონ, სხვა არაფერი ესაქმებათ.

– ახლა?

– ახლა, რა თქმა უნდა, ისე აღარ მოქმედებს. ახლა, მაშინ რომ ხუთი-ექვსი ნაფაზით ვვარდებოდი ნირვანაში, ახლა ისე ვერაა. ხანდახან სამი შეხვევა ძლივს მყოფნის. ისე მძაფრადაც ვერ ვიჭერ. უბრალოდ, კარგად ვარ, ხალისიანად ვარ, მეტი არაფერი.

– ოჯახზე, შთამომავლობაზე თუ ფიქრობ.

– სანამ მოწევას დავიწყებდი, არც მანამდე დაუხევიათ მთხოვნელებს კალთები. საერთოდ ფრეგიდული ქალი ვარ. სექსს ვერაფერი ვერ გავუგე. არც მქონია შემთხვევები, კაცმა რომ თქვას. ჩემი პირველი და მგონი ერთადერთი მამაკაცი ჩემი მეგობრის საქმრო იყო. სამჯერ თუ ოთხჯერ შევხვდი. მერე მეგობრისა შემრცხვა და დავშორიდი. სინდისმა შემაწუხა. ჩემნაირი გოგო ოჯახს ვერ შექმნის. რატომღაც ასე მგონია. ლოგინში ძალიან მორცხვი ვარ. სექსის საკითხში ძლიერი პიროვნება უნდა იყო და უხერხულობის გრძნობა არ გიწვავდეს ბეჭებს. სექსში ჯუნგლის კანონი მოქმედებს. მე სხვა ცხოვრებისთვის ვარ გაჩენილი. საერთოდ, ახლანდელი ბიჭების ამბავი ხომ იცი: ოჯახის შექმნის თოფივით ეშინიათ. ჩვენს ჯგუფში ყველას ჰყავდა „საქმრო“, გათხოვებით კი დღემდე მხოლოდ ორი გათხოვდა.

– შვილის გაჩენისთვის აუცილებელი როდია გათხოვდე.

– ვიცი, მესმის. მე მარტოხელა დედის ტვირთის ტარება არ შემიძლია. ჩემს თავს ძლივს ვინახავ.

– ოდესმე რომ სხვანაირად დაიწყო ფიქრი? ავადმყოფი ბავშვი რომ დაგებადოს?

– თუ ვინმეს შევუყვარდი, ხომ ხედავ, აღარ ვამბობ, თუ ვინმე შემიყვარდა-მეთქი, იმდენ ძალასაც ვიპოვი ჩემს თავში, მოწევას შევეშვა და საღი ბავშვი გავაჩინო. თუმცა, შეიძლება, აწი ამაზე ფიქრიც არ ღირდეს, გუშინწინ ლექცია წაგვიკითხეს „შიდსი“, დამოკლეს მახვილივით დაკიდეს ჩვენს თავზე ახალი ავადმყოფობა.

– შიდსი? ჰო, რაო?

– მთელ მსოფლიოს შავი ჭირივით ედებაო. ჩვენშიც შემოაღწიაო, ამ საუკუნის ბოლომდე მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი შიდსით დაიღუპებაო.

– მოგვმართვია ხელი.

– შეგეშინდა? რა თქმა უნდა. თქვენ, მამაკაცები, კურდღლებივით მშიშრები ხართ. აფიორაა. ხალხის დასაშინებლად და ცოლქმრული ერთგულების შესანარჩუნებლად მოგონილი საექიმო-ჟურნალისტური ხრიკია. ბუნებაში არავითარი შიდსი არ არსებობს.

– ოჰო?!

– მართლა, მართლა. დიდი დაკვირვება არ უნდა, რომ შიდსის თეორეტიკოსები ტყუილში დაიჭირო. აუ, მე თითქმის ყველა სტატია წავიკითხე შიდსზე, რაც ჩვენში დაიბეჭდა, და ასეთ დასკვნამდე მივედი. გაინტერესებს?

– ძალიან.

– პირველი: შიდსს თავისი ფორმულა და მაჩვენებლები არა აქვს. ზოგი სულელი მეცნიერი ამ ბოლო დროს ცდილობს დაამტკიცოს, რომ შიდსი კიბოს და კუჭის წყლულსაც კი იწვევს. რაც შეეხება ჯირკვლების გადიდებას, სიცხიანობას თუ ოფლიანობას, იგი ყველა ინტოქსიკაციური დაავადების თანამგზავრია.

მეორე: შიდსის ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 5-იდან 10 წლამდე გრძელდებაო. ესეც სიცრუეა, გრძელ ვადაზე გაანგარშებული. ათ წელიწადში ან ვირი ან ვირის პატრონიო, პაპაჩემი იტყოდა, როგორ შეიძლება, ათ წელიწადში ორგანიზმში გქონდეს ავადმყოფობა. ათწლიანი ავადმყოფობა ავადმყოფობად არ ჩაითვლება. ათ წელიწადში ისედაც კვდება კაცი. თუ ასეა, ჩვენ დაბადებიდანვე დაგვყვება ჩვენი სიკვდილი – ჩვენი შიდსი. როგორ შეიძლება ასე შიშის ქვეშ იყოლიო კაცობრიობა. შიდსის სპეციალისტები, მე მგონი, თვითონ ან იმპოტენტები არიან, ან ასაკსღრმადგადაცილებულები. მე არა ვარ სექსუალურად გატაცებული, მაგრამ სამი მეოთხედი მსოფლიო ხომ არის? შეიძლება? აუკრძალო ადამიანს ის,

რაც მისი ადამიანობის ერთი ძირითადი ნიშანია? რაღა დარჩა ამ ისედაც რადიაციულ საუკუნეში? ვინ დაამტკიცებს, რომ შიდსის შიშით ამ ათ წელიწადში თავშეკავებას სექსუალური სიამოვნებისაგან, სამოცდაათი წლის მერე რომ „ტკბილი სიბერის“ წლები შეგემატება ის აგინაზღაურებს?

მესამე: შიდსი იმუნოსინდრომია ხომ? როგორც ამტკიცებენ. ესე იგი იმუნიტეტის დაკარგვა. იმუნოსისტემის ნოლზე დასვლა. თუ ასეა, ყველა ადამიანი ბოლოს შიდსით კვდება. ყველა სასიკვდილო ავადმყოფობა შიდსია. ბოლოს, სიკვდილის ბოლო კვირაში, ყოველგვარი მომაკვდინებელი სენი – კიბო, განგრენა, ინფარქტი, ჭლექი იმუნიტეტის გაქრობას იწვევს. ორგანიზმი ვეღარ ებრძვის სენს და ადამიანი იღუპება.

– შიდსზე გულდასმით გიმუშავია.

– არ მიმუშავია, უბრალოდ, ვიფიქრე. სასაცილოდ არ მეყო, როცა მითხრეს, ძირითადად ნარკომანებს ემართებათო. როგორ შეიძლება ავადმყოფობა არჩევდეს ნარკომანებს და იდეურად მდგრად ამხანაგებს ერთმანეთისაგან.

– აქ საქმე ლენინიზმის საკითხების ცოდნაში კი არ არის, უბრალოდ, ნარკომანებს ორგანიზმი დასუსტებული აქვთ და ავადმყოფობა უფრო ადვილად იკიდებს ფეხს.

– თუ ასეა, ჩვენი ორგანიზმი სხვა დაავადებების მასპინძლადაც მშვენივრად გამოდგება. რატომ არ გვემართება, ვთქვათ, კიბო ან ინფარქტი? თქვენ იცით, რომ ნარკომანები და ალკოჰოლიკები ინფარქტით ყველაზე ნაკლებ ავადდებიან?

– არ ვიცი?

– ესეც ექიმებისგან გამიგონია.

– როგორ გგონია, და, რაში დაჭირდა მედიცინას შიდსის ისტერია? როგორც შენ ფიქრობ?

– ძნელი მისახვედრი არ არის, ამერიკელი ექიმების ერთმა ჯგუფმა მორიგი სენსაცია წამოიწყო. ჯერ გაუშვებდნენ ინფორმაციის წყაროებში ქსივს, მერე თითქოსდა, ვაქცინას აღმოაჩენდნენ და მილიონებს ჩაიჯიბავდნენ. მერე ისე ბევრი წამოეგო მსოფლიოში ამ სენსაციას, რომ თვით ამერიკელ მეცნიერებსვე შეეშინდათ და იზრდება ახლა მსოფლიოში შიდსით გარდაცვლილთა უმიზეზო სია, გიმეორებთ, სიკვდილის წინ ყველას შეგიძლიათ დაუსვათ ანალიზი – შიდსი.

– რატომ მიგაჩნია ასე გულუბრყვილოდ მსოფლიოს სამედიცინო აზრი. მართლაც ასე რომ იყოს, მსოფლიო სახელის მქონე აკადემიკოსები მხარს აუბამდნენ? მილიონები იხარჯება შიდსის განკურნების გზების ძიებაზე.

– საერთოდ, აღმოჩენის სათავეში ყოველთვის ერთი ან ორი კაცი დგას. ასეა შიდსის შემთხვევაშიც. დანარჩენები უბრალოდ ფულს ხარჯავენ. რა არის ამაში ცუდი? ფულის შოვნის ახალი წყარო გამოჩნდა. ეს ერთ მხარესაც აწყობს და მეორესაც. ექიმს – ფული რომ იშოვოს, მთავრობას – ქველმოქმედის სახელი რომ დაიგდოს.

– ნეტა მართალი აღმოჩნდებოდე, ია. ვინ დაიჯერებს შენს თეორიას, როცა შიდსს თავისი ბაცილა აქვს და თავისი ფორმულა. შენ რომ ამბობ, მაჩვენებლები არა აქვსო. მეტი ჩვენება რა გინდა. სისხლში შიდსის ბაცილა ძნელი აღმოსაჩენი როდია.

– სწორედ ეგ არის ჭორმეცნიერული. აუ, როგორ გაგაგებინო. ადამიანის ორგანიზმში მილიონზე მეტი ბაცილაა მაშინაც კი, როცა კაცი იდეალურად ჯანმრთელია. მაგრამ როცა ორგანიზმი დასუსტდება, რომელიმე ბაცილა იმარჯვებს, ანუ ექიმების ენაზე რომ ვთქვათ, ორგანიზმში სუსტ ადგილს იპოვის და აყვავდება. ესეც შენი სიკვდილი. ვინ დაადგენს იმ მილიონი ბაცილიდან რომელმა მოკლა? შიდსი რატომ თავისი ხაზით არ კლავს და სხვა ავადმყოფობას იშველიებს? ესეიგი თვით ადამიანის საერთო სისუსტის, იმუნიტეტის დაქცეითების ავადმყოფობაა. ხოლო იმუნოსინდრომს თითქმის ყველა ავადმყოფობა იწვევს. რა შუაშია შიდსი.

– რატომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იმძლავრა მაინცდამაინც იმუნოსინდრომმა? რამ დაასუსტა ორგანიზმი?

– ეგ სხვა საკითხია. ეძიე მიზეზი ადამიანისვე მოწყობილ ხიროსიმასა და ჩერნობილში. გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროში, თანამგზავრების მიერ დახეულ ცაში, „შავ ხვრელში“, შხამქიმიკატებიან საჭმელში, სტრესებიან დროში, მოწამლულ მდინარეებში. დააბრალე ყველაფერს ერთად, ან რომელსაც გინდა ცალცალკე.

– ესეიგი შიდსი ურბანიზმის, ტექნოცივილიზაციის დაავადებაა?

– მე მგონი.

– ზოგი მეცნიერი რომ ასკვნის, აფრიკის ველურ ტომებში გვხვდებოდაო?

– შეიძლება. ახლა უკეთესი პირობები დაუდგა და გამოვიდა კულისებიდან. ოღონდ იმ სახით არა, როგორც ჯუნგლებში თვლემდა საუკუნეების განმავლობაში.

– აი, ხომ ხედავ, მაინც აღიარე, რომ შიდსი არსებობს.

იამ ნაღვლიანად გაიღიმა თავისი ფართო, მეტყველი თვალებით.

– იმიტომ, რომ შენ გსურდა ასე. მე მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შიდსი ან ავანტიურისტთა მონაჭორია და ანგარებიანი სენსაციაა, ან ჯერ მხოლოდ ბაცილაა აღმოჩენილი და წარმოდგენა არა აქვთ, იგი ვენერიული სენია თუ უბრალოდ ინტოქსიკაცი-

ური ბაცილა, ან ვირუსული დაავადება. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემს შვილს (რომელიც, ალბათ, არ მეყოლება) შიდსის შიშით არ გავზრდიდი. ასეთ შემთხვევაში მისთვის ცხოვრება აუტანელი იქნებოდა.

გელას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავგადაპარსულმა მორიგემ რაფაზე დააკაკუნა და სლოკინით გამოაცხადა! „შეხვედრის დრო ამოიწურა, ნეიძე, პალატაში!“

ორივენი ერთდროულად წამოდგნენ. იამ შუბლს ზემოთ ლურჯი ზონარი შეიხსნა, ისევ შეიკრა, ახლა უკვე მოშვილდულ წარბებთან ახლოს და გელას ხელი გაუწოდა.

– კარგად, აბა... სხვა რაღაცაზე მინდოდა მელაპარაკა შენთან და გამექცა სიტყვა, აუ, ძალიან შეგაწუხე ხომ ჩემი რატრატით? აწი, ალბათ აღარ მოხვალ.

– მოვალ.

– მართლა რა... დაელაპარკე კალანდაძეს. გამიშვას. ნუ მაწვალებს. მე მკურნალობას არ ვექვემდებარები. ვერც გადავეჩვევი და აღარც მინდა გადავეჩვიო.

– ამაზე ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. ნახვამდის.

გელამ თავზე ხელი გადაუსვა, გულზე მიიკრა და შუბლზე აკოცა.

ია კარისკენ წავიდა. შემოტრიალდა, ხელი ლამაზად გაიქნია და გავიდა.

გელა დანამდვილებით ვერ გეტყოდათ, მართლა უკიაფებდა ქალს თვალში ერთადერთი ცრემლი თუ მოეჩვენა.

გამოსვლისას მთავარ ექიმთან შეიარა. კალანდაძეს ლეღვით სავსე თასი ედო წინ და სამოთხის ხილს გაუფცქვნელად ჭამდა, გელა რომ შევიდა, თასი მისკენ გასწია.

– მიირთვი. შემეშველე, თუ ძმა ხარ, თორემ მეორე თასს ვათავებ, გავსკდი კაცი.

– გმადლობთ, – გელამ ხათრისთვის ერთი ლეღვი აიღო და დახეთქილ-დაცრეცილ კანზე დახედა, – გიყვართ ლეღვი?

– ძალიან. ნახეთ, ელაპარაკეთ თქვენს ნეიძეს?

– დიახ.

– ხომ გითხარით, მაგისგან არაფერი გამოვა. სხვები თავს მაინც გვაცოდებენ: მოვრჩებით, გამოვსწორდებითო ყასიდად მაინც გვპირდებიან. ეგ გოგო გადაჭრით გვეუბნება, თავს არ დავანებებო. შენც ხომ ასე გითხრა?

– ჰო. არ მოვიშლიო. რა არის იცით, მთელ მაგის საუბარში ყველაზე მეტად ეგ მომეწონა. თავზე არაფერს იბრალებს, არ გვატყუებს, ეგეც ხომ საქმეა.

– ეგ, ბატონო ჩემო, თქვენი სახელი დამავიწყდა.

– გელა.

– ბატონო გელა, ეგ ნათქვამი ჩვენი იგნორირების, ჩვენი დასჯის ფორმა უფროა, ვიდრე მისი ხასიათის თვისებიდან გამომდინარე. შენ რომ ამბობ, არ იტყუებაო, არ დაიჯერო. ყოველ ნაბიჯზე ცრუობს.

– რა ვიცი, მე ვერ შევატყე.

– საკმაოდ დიდი არამზადაა იმისთვის, რომ ნიანგის ცრემლებით თავი შეგაბრალოს და ჩემთვის ორდღინი გასვლის უფლება გათხოვნინოს. გასული არ იქნება აქედან, რომ ყოველგვარ პირობას ფეხებზე დაიკიდებს და თავის ძველ ბუდეს მიაკითხავს, სადაც ხელ-პირსაც არ დაიბანს, გაბრუებმდე დრო რომ არ დაკარგოს.

– რასაკვირველია, მართალი არ არის, რასაც ამბობს, მაგრამ ისე დაჯერებულად ამბობს და ცოტა არ იყოს, ლოგიკურადაც.

– საქმეც მაგაშია. რამდენიმე გვყავს ისეთი, როგორც ნეიძეა. არც განათლება აკლიათ, არც მსჯელობის უნარი. მაგ ნეიძემ გუშინწინ დოცენტი ჩაფიჩაძე კედელთან მიაყენა. ლექციას კითხულობდა „შიდსზე“ „ცოდნიდან“. რა უქნა, იცი? ჯერ შეკითხვები დააყარა და ისე კოხტად გამოიჭირა მისსავე პასუხებში, რომ საწყალ კაცს კინაღამ ხელები ააწევინა. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და ბევრი სიბნელეა მაგ შიდსის საკითხშიც.

– ჰო, ჯერ ბოლომდე შესწავლილ-გამოკვლეული არა აქვთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არსებობს ასეთი საშინელება.

– ფაქტი და მერე როგორი. როცა შიდსს ირწმუნებ, შეიძლება შენს გონებაში ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ადამიანის და ამ შემთხვევაში ქალის მიმართ ის სიფაქიზე და ნდობა დაკარგო, რაც ახლა გაქვს ნორმალურ მამაკაცს. სიყვარულიც გადასხვაფერდება. მერე იქნება სიყვარულზე დაწერილი ლექსები აღარც წაიკითხო.

– ამიტომ ებრძვის შინაგანად ჩვენი გონება შიდსს. ამიტომ არ უნდა დაიჯეროს იმ გოგონამ, რომ სწორედ მისი თაობა იქნება შიდსიანი თაობა. ამიტომ ადგა და ხელაღებით უარყოფს.

კალანდაძემ გაიცინა. მერე სერიოზული სახით დაწვდა ლეღვს. ზედ ყუნწთან შეაკვნიტა ნაყოფი, ყუნწი თეფშს დაუბრუნა და ღმურძვლით თქვა:

– შენ და ნეიძე დაიჯერებთ თუ არა, შიდსს სულ არ ენაღვლება. მიყვა და ათასეულებს ანადგურებს აფრიკაში და ამერიკაში.

– ჩვენთანაც ასე ლაღად ივლის?

– რა შეუშლის ხელს? ჩვენი ფარღალალა ამბულატორიები, თუ სამაგალითოდ დაყენებული პირადი ჰიგიენა? შიდსს ლოზუნგებით ვერ დაამარცხებ.

– არ ყოფილა საშველი.

– უსაშველო შენს მტერს. ასეთი პანიკა იყო ევროპაშიც, პირველად სიფილისის ჩხირები რომ აღმოაჩინეს, ახლა სიფილისი მედიცინისთვის პრობლემა ხომ აღარ არის? ასე მოუვა შიდსსაც. სხვა-

თაშორის, ბუნება ახალ საგანს და მის გამანადგურებელ ძალასაც ერთად შობს.

ცოტა ხანს სდუმდნენ. გელამ „კოსმოსის“ კოლოფი დააძრო.

– ალბათ, აქ არ შეიძლება.

– მოსწიე, რამდენიც გაგეხარდეს, – მასპინძელმა ნება დართო, – მე თვითონ არ ვეწევი.

გელამ მოუკიდა. ერთი ნაფაზი დაარტყა და სიგარეტი საფერფლეს ჩამოადო.

– არაფერი ეშველება, აბა, იმ გოგოს?

– ნეიძეს? თითქმის არაფერი. ამ თითქმისსაც იმიტომ გეუბნები, რომ ექიმი ვარ. შარშანაც გვყავდა. გავიდა თუ არა, იმ დღესვე მოსწია. ახლაც არაფერი ფსიქოლოგიური ძვრა არ ეტყობა. რაც მთავარია, თვითონ არ უნდა.

– ესეიგი ძლიერი ნებისყოფა აქვს.

– გააჩნია რა კუთხიდან შეხედავ. მე მაგას სწორედ რომ უნებისყოფობას ვეძახი.

– როგორ, ასე უერთგულო, ნარკოტიკს, მთელმა ქვეყანამ ვერ გადაგაჩვიოს. მაინც ხომ არის რაღაც...

– ნეიძის მდგომარეობაში, ხომ გითხარით, ხასიათის სიმტკიცეზე ლაპარაკი ზედმეტია. რომელ ნებისყოფაზე შეიძლება ლაპარაკი. იგი საერთოდ უნებისყოფოა: ავადმყოფობამ დიდი ხანია ჩაკლა მისი ნებისყოფა.

– არ შეიძლება მისი სიჯიუტის ძალა სხვა რამეში გამოიყენოს კაცმა? წყალი არ უნდა გადავუწუროთ ადამიანს.

– ნეიძემ თვითონ გადაუწურა წყალი თავის ცხოვრებას.

– როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?

– ჩვეულებრივად, როგორც სხვების მთავრდება.

– თუ ნებას დამრთავთ, ხანდხან მოვალ მის სანახავად.

– მობრძნდით, თვეში ერთხელ შემიძლია შეგახვედროთ. ოღონდ, რამეების მოტანისგან, თუ ძმა ხარ, თავი შეიკავე, ეგ მისთვის დიდი ფუფუნება იქნება.

– მაინც რა არ მოვუტანო?

– ფული და კიდევ, ხვდებით, მე მგონი, რასაც ვგულისხმობ.

– ღმერთმა დამიფაროს.

– ეგ გოგო ისეთი არამზადაა, შეიძლება თავიც კი შეგაყვაროს და ნარკოტიკის მოტანა შეგაწეროს. გვქონდა ასეთი შემთხვევებიც.

– ნეიძესთან?

– არა, სხვებთან. მოდიან აქ „მამიდაშვილები“ და „საქმროები“ პურში ჩაკვეხებული ამპულებით.

– ცოდვას ვერ დავიდებ, ჩემთვის მინიშნებითაც კი არ უთქვამს იას.

– ჯერჯერობით ვერ გაგიბედა.

* * *

...გელას ყელი გაუშრა. სკამზე მოწყვეტით დაეცა. ჰალსტუხი მიღრიჯა და მკერდი გაიღეღა.

– როდის, რანაირად?

– გუშინ, ვახშმის მერე, დერეფანში გამოსულა, თავის პალატასთან, იქვე გადაუჭრია ქილის ნატეხით ვენები და სანამ სისიხლისგან დაიცლებოდა, ფეხზე მდგარა, რომ არავის დაენახა და არ მიშველებოდნენ.

– არავინ იყო ახლომახლო?

– როცა წაიქცა, მიცვივდნენ, მაგრამ უკვე მკვდარი იყო. გუშინ რაო, რა გითხრა, ეტყობოდა რამე?

– არაფერი. რომ ვუთხარი, ხვალ მინისტრთან მივდივარ-მეთქი, მაინცდამაინც არ გახარებია. ეგ იყო და ეგ. სხვა არაფერი შემიტყვია.

– რაო მინისტრმა?

გელამ პიჯაკის ჯიბიდან კონვერტში ჩადებული ქაღალდი ამოიღო.

– ჩემი შუამდგომლობით და პასუხისმგებლობით ერთი კვირით უნდა წამეყვანა.

კალანდაძეს კონვერტი არ გაუხსნია. მაგიდასთან მივიდა, ქაღალდი აიღო და გელას გაუწოდა.

– ხალათის ჯიბეში ვუპოვეთ. ეგ ასლია. დედანი გამომძიებელმა წაიღო.

სანამ მთავარი ექიმი ამას იტყოდა, გელა კირთაძე უკვე კითხულობდა ია ნეიძის უკანასკნელ სტრიქონებს:

„გელა (როგორ გაგითამამდი)

თავის მოკვლაზე სხვა დროს არასოდეს მიფიქრია. ახლა, ამ წუთში მგონია, რომ ყველაზე ჭკვიანური, რასაც ჩემს სიცოცხლეში გავაკეთებდი, თავის მოკვლაა.

რომ გადამარჩინონ. გავგიჟდები.

რაღაცნაირად ლამაზია: შენ მოხვალ ჩემი გაშვების ქაღალდით და მე ცოცხალი აღარ დაგხვდები.

წუხელის მთელი ღამე თეთრად გავათენე.

ასე უკეთესი იყო; შენ მოხვიდოდი სანახავად, მე დაგხვდებოდი. ვიჯექით, შევყურებდით ერთმანეთს.

იცი რისი შემეშინდა? იმ ერთკვირიანი თავისუფლებით მე შენ სამუდამოდ დაგკარგავდი. მე ძალიან სუსტი ვარ. ვერ შევძლებდი თავის მორევას. არ მინდოდა დაცემული გენახე, ახლა სულ ჩემთან იქნები.

ცოტათი მაინც გავილამაზე, მგონი, ცხოვრება.

გეხვეწები, მაპატიე ყველაფერი.
მე შენ მიყვარხარ“.

* * *

– ბატონო გელა, რა იღბალზე შემხვდით. ამასწინათ რედაქციაში მოგაკითხეთ და ვერ დაგიჭირეთ. ამბავი უნდა მოგიყვეთ. იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ რა მოხდა. საქმე ქალს, ჩემს ყოფილ ცოლს ეხება.

ქალი? ურთულესი არსებაა. მე კი არა, ღმერთმა ვერაფერი გაუგო. ორ ნაბიჯზე მოატყუა ღმერთი და ადამიანის გაჩენისთვის კინაღამ თავ-ბედი აწყევლინა. ე, შეხედე, ხომ ანგელოზივით ზის, გეგონება ხეს ფოთოლს არ შეურხევსო, შეიძლება მართლა ანგელოზია, ხომ არ ვიცნობთ მე და შენ, მაგრამ უფრო საფიქრებელია, ისეთი მავნის ერთი იყოს, ისეთი სიეშმაკე მოიმოქმედოს, აგერ, ერთ წუთში რომ ცა და ხმელი აალაპარაკოს.

თქვენ რომელ გაჩერებაზე ჩადიხართ. საიხვეზე? მეც იქეთ მოვდივარ. დრო გვაქვს და მოგიყვები ჩემს ამბავს. ქალთანაა დაკავშირებული და სიტყვას მოჰყვა, თორემ რა მოსაყოლი ეს არის. ასეთი ამბავი ყოველ ნაბიჯზე ხდება.

ცოლი გამექცა შარშან. კურორტზე მყავდა „ზელიონაია პალიანაზე“, დასასვენებელ სახლში კარგად, მშვენივრად. ხუთი წლის ცოლ-ქმარი გახლდით და ვერც იმას გეტყვი, ვერ ვეწყობოდით ერთმანეთს-მეთქი. ყველაფერი რიგიანად მიდიოდა. ვმუშაობდით ორივენი. კოოპერატიული ოროთახიანიც ავიშენეთ. მე არ ვსვამდი, ცოლს სეირნობა არ უყვარდა, მეტი რა უნდა ოჯახს. არ უნდა ვიყო გლახა ქმარი, ჩემი ჭკუით. არ ვსვამ-მეთქი, გითხარი, ძუნწი და კაცებში გამოწყვეტილი არა ვარ. თუ საშუალება მქონია, არც ჩასაცმელ-საყიდელზე მითქვამს მისთვის უარი. თვითონაც, ცოდვას ვერ ვიტყვი, დიდი მომთხოვნი და პრეტენზიული ქალი არ იყო. უყიდდი, მადლობას გეტყოდა, არ უყიდდი – არ დაგემდურებოდა.

არც ისეთი გულუბრყვილო და მიამიტი მამაკაცი ვარ, ცოლს რომ ბრმად ენდობა და მერე თავში საცემად გაუხდება საქმე. ვიცოდი, ქალი მაინც ქალია და ვცდილობდი ისეთი სიტუაცია არ შემექმნა მისთვის, რომ არჩევანის წინაშე დამდგარიყო. დასასვენებლად მარტო არ ვუშვებდი, სამსახურიც ისეთი შევურჩიე, მივლინებებში არ უწევდა წასვლა. დილით ხომ ერთად გავდიოდით, საღამოსხანს თითქმის ერთდროულად ვბრუნდებოდით. არ უყვარდა დაგვიანება. არც კრებობია-აქტივისტობის მოყვარული იყო. მასიურ ღონისძიებებში თითქმის არ მონაწილეობდა. ათასში ერთხელ თუ დაბადების დღეზე დაპატიჟებდნენ, მეც თან წამიყვანდა.

მაინც ეჭვი მქონდა. ხომ იცი, ცოლს ეჭვიანი მზერა არ უნდა მოაშორო. იქნებ არც ისეა საქმე, როგორც მე მეჩვენება, რამეში არ ვტყუვდებოდე-მეთქი და ერთი-ორჯერ შევამოწმე. ვითომ დილიდან კარტოფილის ასაღებად წაგვიყვანეს, ან ვითომ, ოთხდღიან სასწრაფო მივლინებაში მიკრეს თავი. ქალაქიდან გასულს რომ დაგიგულებს, ქალი, თუ საჯაყი საქმის მაქნისია, მაშინ იხელთებს დროს. ან შინ მოიყვანს კუროს, ან თვითონ წავა. ბარე ორი ქალი დალაპარაკებია ლოგინიდან თავის ქმარს მივლინებაში, როგორ ხარ, როგორ იმგზავრე, თბილი საცვალი ჩაიცვი, არ გაცივდე, თავს მოუარეო, ისე რომ საყვარელი გვერდით ეწვა და ჭიპზე უსვამდა ხელს. დარბის მივლინებაში მყოფი პინგვინი მეორე დღეს ცოლის წუხანდელი ზარით ფრთაშესხმული მაღაზიიდან მაღაზიაში, აბა, რით გავახარო ჩემი ერთგული ცოლი, სად ვიშოვო ისეთი პენუარი და ბუზჰალტერი, ჩემს თანამეცხედრეს რომ მოეწონებაო. მე, გითხარი მისი არ იყოს, ასეთი ყრუალა და ბრმად დამჯერე ქმარი არ ვიყავი. შევამოწმე-მეთქი, ხომ გითხარი, მოვბრუნდი შუადღეგადასულზე, თუ რაიმეს ჩამდენია, ახლა გამოჩნდება-მეთქი. გაგიგონია? ზის ჩემი ცოლი მარტო ღუმელთან და პერანგს კემსავს, არ დაიჯერებ ასეთი ცოლისას?

აი, ამნაირმა ცოლმა მიყო, რაც მიყო. შარშან კურორტიდან გამექცა. სამი დღე გვქონდა დარჩენილი საგზურის ბოლომდე. ბილეთები, რასაკვირველია, აღებული გვქონდა. დაჰკრა ფეხი და გამექცა. რა ღმერთი გაუწყრა. ვერ გავიგე. დამსვენებელს გაჰყვა, ერთ ულირს და უგვანო ვინმეს, ყაზანელ სალახანას. მივწერე ორჯერ წერილი. დეპეშაც ვაფრინე, პასუხი თვენახევრის მერე მომივიდა. „დამივიწყე, ხომ აგიხსენი ყველაფერი, მე ბედნიერი ვარ. განქორწინებაზე, რა პირობითაც გინდა, თანახმა ვარ. განცხადება დროზე შეიტანე, ჩვენი შერიგება, ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, არ მოხდებაო“.

რა ამიხსნა? არაფერიც არ აუხსნია. ნასადილევს დომინოს სათამაშოდ ჩავედი ბიჭებთან და გვიან რომ დავბრუნდი, წერილი დამხვდა მაგიდაზე: „წავედი, არ გეწყინოს, თუ შეგიძლია, მაპატიე, კიაზოს მივყვები ცოლად. ასეა საჭირო. ფული ოცდაექვსი მანეთი მიმაქვს. ბილეთი დააბრუნე, მშვიდობით“. ა, ეს იყო მისი ახსნა. რასაკვირველია, მეორე დღესვე ადმინისტრატორს გამოვართვი კიაზოს მისამართი, მაგრამ ჩასვლით არ ჩავსულვარ. რაზე უნდა ჩავსულიყავი. მეც მაქვს ჩემი თავმოყვარეობა. მინდოდა სამსახურში მიმეწერა, ასე და ასე ჩაიდინა თქვენმა თანამშრომელმა, დღისით, მზისით, ყაჩაღურად ცოლი წამართვა-მეთქი. მაგრამ ჩვენთან, ადგილკომში მითხრეს, არ ღირს დავიდარაბის ატეხვა; ჯერ ერთი ის

კაცი რა შუაშია, ცოლი შეირთო, ხომ არ მოუტყუებია და მიუტოვებია, ესეც არ იყოს, არც შენი ცოლი იყო არასრულწლოვანი, ფოჩიანი კამფეტებით რომ შეეტყუებია ოთახში, ორივემ ის გააკეთა, რაც უნდოდათ, შენ შენს გზას ეწიე, ეს აჯობებს ყველაფერსო. გავჩერდი მეც, რა უნდა მექნა.

ექვსი თვის თავზე გაგვაქორწინეს. ექვს თვეს თურმე უფლება ეძლევა მოღალატე ცოლს კარგად აწონ-დაწონოს ყველაფერი. ხომ შეიძლება გადაიფიქროს. ჩემმა, როგორც ჩანს, არ გადაიფიქრა. განქორწინების სასამართლოზე ორივენი ჩამოვიდნენ. მე, გითხრა სიმართლე, არც ერთს არ დავლაპარაკებივარ. თავმოყვარეობის ამბავია, რა უნდა მეთქვა. ჩვენს შორის დარჩეს და ერთად შეძენილი ქონების ნაწილი გამიყო, მაგრამ ბინაზე პრეტენზია არ განუცხადებია. ბინა მთლიანად დამიტოვა. მაინც ნამუსიანად მომექცა, ესეც არაა პატარა საქმე.

ახლა უშუალოდ ფაქტზე მოგახსენებ: ერთ „ზაეზდში“ ვიყავით ჩვენც და ის ყაზანელიც. მერე გავიგე, კიაზო რომ ერქვა. შავულვაშა, მებორნესავით გრძელხელება, კაფანდარა კაცია, ასე, ჩემი ხნის, ჰა, ჰა, ორი წლით უმცროსი იქნება. სულ კაცებში იდგა, რაღაცას ჰყვებოდა, თავისებურ სისულელეს ალბათ, სადაც კი გამოჩნდებოდა, ირგვლივ ხითხითს აყენებდა, თავიდანვე არ მომეწონა. ხომ არიან ხმაურიანი, ცოტა უტიფარი კაცები.

ჩასვლის ასე, მესამე თუ მეოთხე დღეა, კინოს რიგში ვდგავარ, ჩვენს წინ ოციოდე დამსვენებელია, ეს ყაზანელი, ეს ჩემი ცოლის მომავალი ქმარი, სალაროსთან დგას, გამოგვხედა, უცნობია, რასაკვირველია, ჩემმა ცოლმაც შეხედა ისე, ჩვეულებრივად, მაგრამ მაინც არ მომეწონა ეს თვალის გაშტერება.

სანამ კინო დაიწყებოდა, ავამუშავე ჩემი ფანტაზია და ცოლს ვუჩურჩულე: ის ცხენის ბიძაშვილი, მეჩხერკბილება აყლაყუდა, რიგში რომ გამოგხედა, გუშინ ბილიარდს მეთამაშებოდა, წარმოუდგენელი ფრაერია, ოთხი შარი მივეცი და მოვუგე-მეთქი. რასაკვირველია, ვიცრუე, მაგრამ მინდა, როგორმე დაუსწრებლად შევაძულო ჩემს ცოლს. მაშინ როგორც შევატყვე, ჩემი სიტყვები თანამეცხედრეს აინუნშიც არ ჩაუგდია, ჩემი მობილიარდე პარტნიორით არ დაინტერესებულა.

მეორე დღეს ნასადილევს, ხეივანში რომ ვსეირნობდით, ვიღაც ქალს მოაპორწიალებდა, ჩაგვიარა და ისევ გამოხედა ჩემს ცოლს. არც ახლა გავუშვი შანსი ხელიდან: „მთელს დასასვენებელს სახლს თავი შეაძულა, ამბობენ, დიდი ქარაფშუტა და დონ-ჟუანი ვინმეა. ქალს, ვინც არ უნდა იყოს იგი, დალაპარაკებისთანავე თურმე ოთახში ეპატიჟება-მეთქი“.

„ყველას? ნუთუ ამხელა კაცს წმინდა არაფერი უნდა გააჩნდეს. როგორ შეუძლია, ღმერთო“. – შეიცხადა ჩემმა ცოლმა და ვიგრძენი, რომ მიზანს მოვახვედრე. ჩემი მომავალი მეტოქის (არ ვიცი იმ ორი გამოხედვით რატომ მივიჩნიე მეტოქედ) შეძულების პირველი ქულები აღებული იყო.

თითქოსდა სპეციალურად, ნერვებისმომშლელად ხშირად გვხვდებოდა. ან სასადილოს შესასვლელთან (გულზე ხელს მიიდებდა, განზე გადგებოდა და გზას დაგვითმობდა), ან კიპაროსების ხეივანში, ან ლიფტის რიგში. რატომღაც ნაცნობებად გვთვლიდა, თუმცა ოფიციალურად არავის წარვუდგენივართ ერთმანეთისთვის. გაუბედავად გაგვიღიმებდა, მთლად მოსალმებასაც ვერ გვიბედავდა და არც აღარაფერი აკლდა. ამასობაში მე, რაც შემეძლო, ვმუშაობდი. ჩემს ცოლს მგონი ისიც კი შევუთხზე, რომ სექსუალური მანიაკი უნდა იყოს-მეთქი. გუშინწინ ვიღაც ქალი შეუტყუებია ოთახში და ძლივს გამოუწიწკნიათ-მეთქი ხელიდან. თავზეხელაღებული, ხეპრე ვინმეა-მეთქი. მასეთებს საიდუმლოს შენახვა არც კი შეუძლიათ. თავის სალოგინო თავგადასავლებს მეორე დღესვე ქვეყანას მოსდებენ-მეთქი. თუ ქალი დაიმარტოხელა, მაშინვე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ხვეწნა-კოცნა-ფერებაზე გადადის-მეთქი“.

ასე ვატრიალებ ჩემი ფანტაზიის კარუსელს. ერთხელ სეირნობისას, ჩემი ცოლი, რომელიც ამ თემაზე ყოველთვის ყურადღებით მისმენდა, უეცრად შეჩერდა და ამოოხვრით თქვა:

– ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

გამარჯვებას ვზეიმობდი. მეგონა, მიზანს მივაღწიე. მეგონა, ჩემი ცოლი იმ უტიფარ ყაზანელს სხვა თვალით აღარ შეხედავდა.

და როგორ ფიქრობ, სწორედ მას გაჰყვა. როდის, სად დაელაპარაკა. თითქოსდა გვერდიდან არ მომცილებია. სად შეხვდა. როდის შეთანხმდნენ ცოლ-ქმრობაზე. ან ამ ჩემს პროფილაქტიკურ ღონისძიებას რატომ არ გაუწია ანგარიში ჩემმა ყოფილმა ცოლმა? რა მოხდა საერთოდ, ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გამირკვევია.

მოდი და გაუგე ქალს რამე.

* * *

– როგორ ხარ?

თამთამ გაუღიმა და ლამის დაუმარცვლა.

– არა მიშავს. შენ როგორა ხარ?

– ქმარ-შვილი ხომ კარგად?

– გმადლობთ. კარგად არიან.

– შენ, იცი თუ არა, რომ ათი წელი გავიდა.

– ათი წელი და თორმეტი დღე.

– საოცარია.

გელამ სიჩქარე გამოცვალა და სიჩქარის სახელურმოჭიდებულ თითებში იგრძნო, რომ ხელი უკანკალებდა.

– რა არის საოცარი?

– ისე ჩაჯექი ამ მანქანაში, თითქოს ესესაა გადმოხვედი და პურის საყიდლად შეხვედი მაღაზიაში.

– ასეც იყო.

ერთხანს ორივენი ყუჩად იყვნენ.

– ყველაფერი ტყუილი ყოფილა? – განზე გაიხედა კაცმა.

– არაფერიც არ ყოფილა ტყუილი.

– ტყუილი ყოფილა, აბა რა. გესმის? ათი წელია არ მილაპარაკნია შენთან.

– სამაგიეროდ. მე შენთან ყოველთვის ვლაპარაკობ.

– აღარაფრის აღარ მჯერა. სად წავიდა ის ცრემლი, ის ლოდინი, ის გაგიჟება ერთ დღეს რომ არ გნახავდი...

– ეგ შენს თავს ჰკითხე.

– შენ გეკითხები.

– მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო.

– გეხვეწები, მითხარი, დამეთანხმე, რომ ყველაფერი სისულელე ყოფილა.

– არ დაგეთანხმები, რომ მოკვდე არ დაგეთანხმები.

– მაგრამ გულის სიღრმეში შენც ასე ფიქრობ.

– არ ვფიქრობ.

– აბა როგორ გასძელი უჩემოდ?

– მე არ წავსულვარ შენგან, შენ წახვედი.

– როგორ გასძელი მეთქი. ეს შენ არ მიცდიდი საათობით მანქანასთან?

– გიცდიდი. ახლაც გიცდი.

– სულელები ხართ ქალები. არ გინდათ საკუთარ თავს გაუტყდეთ, რომ თურმე ყველაფერი ქრება.

– არაფერიც არ ქრება. მე უბრალოდ ცხოვრების სტილი შევიცვალე. შენც ხომ ხედავ, შენს ცოლ-შვილში ხელს აღარ გიშლი.

– მე ისევ მე ვარ. ეს შენა ხარ მოუცლელი და ქმარ-შვილით დაზუზღული ქალი. ეს შენ მითხარი ათი წლის წინათ, მე მგონი ნოემბერი იყო მაშინაც, ძალიან გთხოვთ, აქ მეტი აღარ დარეკოთო.

– გითხარი.

– რატომ?

– მე არასოდეს არ მოვატყუებ იმ კაცს, ვინც ჩემი შვილების მამაა. იგი ამას არ იმსახურებს.

– გიყვარს?

– ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. შენ ძალიან კარგად იცი, ვინც მიყვარს.

– მერე სად წავიდა შენი სიყვარული?

– არსადაც არ წასულა. იგი ჩემთან დარჩა. ყოველდღე ყოველ საათს ჩემთანაა და თავს მახსენებს.

– როგორ მინდა მჯეროდეს.

– აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს შენ დაიჯერებ თუ არა. მთავარია რომ მე მჯერა ჩემი სიყვარულის.

– რომ გაგიჩერე, ჩემთვის არც შეგიხედავს, ნომრებს შეავლე თვალი და უყოყმანოდ დაჯექი.

– ჰო.

– რა იცოდი ნომერი. შენ ხომ ამ მანქანაში არასოდეს მჯდარხარ.

– რა სულელი ხარ. სწორედ იმ წუთში ვფიქრობდი. ახლა, სადაცაა გამოჩნდება და მანქანას გამიჩერებს მეთქი.

– ამ ათი წლის განმავლობაში სამჯერ მოგკარი თვალი გაჩერებაზე. ეს იყო და ეს.

– და თუ გახსოვს, მე ყოველთვის შევბრუნდებოდი ხოლმე, რომ არ მოგექცია ყურადღება.

– დღეს?

– არაფერი. უბრალოდ თავს ვერ მოვერიე.

– სამსახური რატომ დატოვე?

– დრო აღარ მეყო. ბავშვები, ქმარი. სხვა მიზეზიც იყო.

– რა მიზეზი.

– არ მინდოდა. მბორკავდა. გულზე მაწვა შენი ნაშოვნი სამსახური. ასე მეგონა დილით სახლიდან რომ გავიდოდი, დანაშაულს ჩავდივარ მეთქი.

კაცმა გაიცინა.

– ხომ გითხარი, სულელები ხართ.

– რა ხდება, რა ამბავია შენს თავს?

– რა ახალია რამე? შენ მაინც იცი, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაფია თავდასხმას მომიწყობს. მერე უკან დაიხევს და ახალი თავდასხმისთვის მოემზადება.

– არ მოსწყინდათ?

– არც მოსწყინდებათ.

– რა საშინელებაა.

– ახლა ვერ გავახარე. არ ავყევი, ძაღლადაც არ ჩავაგდე.

– როგორ მინდოდა იმ დღეებში შენს გვერდით ვყოფილიყავი და გამემხნევებინე. გიჟს ვგავდი.

– გამხნევებები არ მაკლდა.

– ჩემსავით მაინც ვერავინ გაგამხნევებდა. კარგად მოიქეცი, რომ იმათ დონეზე არ დაეშვი და არ უპასუხე.

– გეხვეწები, იმ სიბინძურეზე შენთან მაინც ნუ ვილაპარაკებთ.

– მართალი ხარ.

– შენ ეს მითხარი, გახსოვს ბაკურიანში ფეხი რომ მოვიტეხე?

– ოღონდ მოგონებები არ დაიწყო!

– არ გიყვარს მოგონებები?

– რისი მოგონებები! მე არავითარი მოგონებები არა მაქვს. მე მოსაგონარი არაფერი მაქვს. ეს ყველაფერი გუშინ იყო, დღეს არის. მე იმ დღეებით ვცხოვრობ. ჩემთვის სხვა დღეები არ არსებობს. დამიწყე ახლა: „გახსოვს? გახსოვს?“, რას ჰქვია მახსოვს. რა მჭირს გასახსენებელი.

– მაპატიე.

მანქანამ ელბაქიძის დაღმართზე ჩაუხვია.

– ცოტა შესუქებულხარ, – თქვა კაცმა.

– შესუქება შენი იკითხე. ტელევიზორში რომ გიყურებ, კისერი ყასაბს გიგავს.

– აღარ მოგწონვარ?

– მაგ შეკითხვის უმწეობა არასოდეს მიგრძვნია ისე, როგორც ახლა. რას ჰქვია მომწონხარ? ეგ უცხოს უნდა ჰკითხო. მე შენ სხვა თვალით, გარედან ვერასოდეს ვერ გხედავ.

– რა ლამაზი ლაპარაკი იცი.

– კი, აბა. ლამაზად თქვენ ცდილობთ ილაპარაკოთ. თქვენი პროფესიის ხალხი. და სწორედ ყველაზე ყალბი მაშინა ხართ. რომელი საათია!

– ორი სრულდება.

– ჩიტის სკვერთან გამიყვანე.

– ?

– სკოლასთან. ბავშვი უნდა გამოვიყვანო.

– წახვალ ახლა და ათი წლით დაიკარგები, ხომ?

– აუცილებლად... რა კარგია, ათი წლით ისევ დავიკარგები. რა ბედნიერებაა... ღმერთო ჩემო... ნეტა მალე მოვიდოდეს სიბერე... მალე გათავდებოდეს ეს ყველაფერი... სიზმრებში ვცხოვრობ, გელა, მე სიზმრებში ვცხოვრობ. აქაურობას უკვე კარგა ხანია აღარ ვეკუთვნი... გამიჩერე... წადი ახლა და თავს მოუარე... მოიწი ერთხელ გაკოცებ... არა, შენ არ მაკოცო... მე გაკოცებ... წავედი... აქედან ბაზარში უნდა გავიარო.

– გამოვიდეს ბავშვი. ბაზარში მე გაგიყვანთ.

– არა, არა. წადი. ტაქსით წავალთ. არ მინდა შენს მანქანაში ჩავსვა. მერე კითხვებით ამიკლებს. ნახვამდის.

თამთა ჩავიდა. „პლაშის“ საყელო აიწია, და ნიკაპი ჩამალა. ისევ ჩაძვრა თავის სულში, ფიქრებში. სკოლის კარებთან გამოსულ ქალს რაღაც ჰკითხა; ალბათ, „ზარი ხომ არ ყოფილაო“. მანქანისკენ მოიხედა, ხელი დაუქნია და სკოლის კარებში გაუჩინარდა.

ნელა, მძიმედ დაძრა მანქანა. მის ცხოვრებაში პირველად არ იცოდა კაცმა, საით წასულიყო.

* * *

სარფში ჩვენს საბაჟოს თურქეთის მხრიდან მინიავტობუსი მოადგა. პოლიციელებმა გუშაგს ქაღალდი გაუწოდეს. ორმა მებაჟემ რაფში შეიხედა. პოლიციელებს თავი დაუქნია და მანქანამ საზღვარი გადმოკვეთა.

რაფი ჩვენს ახლოს გაჩერდა, მაგრამ ახლოსაც რომ არ გაჩერებულიყო, მე მაინც მივირბენდი თურქეთის მხრიდან ჩამოტანილი ძვირფასი „ტვირთის“ სანახავად.

შოფერმა წინა და უკანა კარები გამოაღო თუ არა, ერთბაშად დაჩნდა მიწაზე ათიოდე თავგადახოტრილი ქალიშვილი. გაბრუნებულ რაფს სტვენა-ჟივჟივი და ცხვირთან მიტანილი ათი თითის „სალამური“ მიაყოლეს.

– ნახე, ნახე – მეუბნება ჩვენი მძღოლი, – თურქებმა ჩვენი ბოზები გამოყარეს.

ონკანთან შეჯგუფებულ, ერთმანეთით გართულ მეძავების ირგვლივ ცნობიმოყვარენი რიალებენ.

ღმერთო ჩემო, სულ ბავშვები თხუთმეტ-თექვსმეტი წლისანი. ლამის გული გამიჩერდეს.

ისინი კი მხიარულად კისკისებენ. წელში იკეცებიან, ბილწსიტყვაობენ, უტიფრად, წრეგადასული სითამამით შესცქერიან მძღოლებს და ბათუმში წაყვანაზე იყაბულებენ.

ერთმა ტუჩშეღებილმა, გადახოტრილ თავზე წარბებამდე ჩაჩჩამოფხატულმა გოგომ, რომელიც იაფფასიანი მაღაზიის მანეკენს წააგავს, სიგარეტი მთხოვა.

გავუწოდე. თავი მიუსრისა პირში ჩაიდო და ჩემსკენ დაიხარა, მომიკიდე კიდეცო.

სანთებელა გავაჩხაკუნე. პატარა, ფაფუკი, ბავშვური თითები აქვს. გამხდარ სახეზე, ყვრიმალებთან ცისფერი ძარღვები უჩანს.

– საიდან მოდიხართ? – ვკითხე.

გააბოლა და ამხედ-დამხედა.

– ესენი სტამბულიდან ჩამოაფრინეს, მე ტრაპიზუნში ვიჯექი.

– იჯექი?

– დიდხანს არა. სულ თვენახევარი. მიშპიონა ვიღაცა ჩათლახმა. ჩვენიანმა, ქართველმა, ვინც მიცნობდა.

– გაგასამართლეს?

– კი.

– საბუთი რამე გქონდა?

– აპა, უსაბუთოთ ვინ გამიშობდა თურქეთში.

– ჩამოგართვეს?

– ჩამოგვართვეს და ახლა დაგვიბრუნეს, მარა სურათები გადაგვიღეს და ხუთი წლით თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა აგვიკრძალეს.

– ორი თვის შემდეგ რომ დაბრუნდე? ვინ გაიგებს.

გაიცინა.

– მასთე არაა, თვარა კი. ჩვენი სურათები ყველა საბაჟოში დევს. სურათებიც და გვარებიც.

– კიდევ კარგად გადარჩენილხართ. სადაური ხარ?

– ოზურგეთელი. გადავრჩი იმიტომ რომ გამსინჯეს და არაფელი არ მჭირდა, თვარა ვისაც ავადმყოფობა აღმოაჩნდა, სამ-სამი წელიწადი ჩამოურიგეს.

– თან მკურნალობენ იქ, ციხეში?

– მკურნალობენ, ალბათ, ისე რავა იქნება, რომ არ მოარჩინონ, ხომ დალპა ქალი სამ წელიწადში.

– რატომ წახვედი თურქეთში? – წამცდა მიამიტური შეკითხვა.

– მეზობლის ქალმა წამიყვანა. ცოტა ფული მინდოდა გემეკეთებია. კომერციულ ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

– ის ქალიც დაიჭირეს?

– არა ის ქეა ტრაპიზონში. მეც ვერ დამიჭერდნენ, აბდლურად მევიქეცი. კლიენტთან ვიჯექი რესტორანში, რომ შამევდნენ. მივხთი, პოლიციელები რომ იყვნენ. პირდაპირ ჩემთან არ მოსულან. დაჯდნენ ახლომახლო. პივა დალიეს. შემეძლო ავმდგარიყავი და გამოვქცეულიყავი. არ ვქენი. რაცხა სისულელემ ფეხი შემიბორკა.

– რას იზამ ახლა?

– წავალ სახლში.

–ვინ გყავს ოზურგეთში?

– შიგ ოზურგეთში არ ვცხოვრობ. ახლოს ვარ სოფელში. დედა მყავს და ორი პატარა ძმა.

– მამა?

– მამინაცვალი.

– იცოდა, რა საქმეზეც წახვედი თურქეთში?

– რო ცოდნოდა, სიკვდილი გამოწერილი მქონდა. ახლაც რომ

გეიგოს, ცოცხალს არ გამიშვებს. სანამ თმაი არ წამემეზრდება, ვერ მივალ სახლში. ბათუმში უნდა ვიყვე დაქალთან. იცოდაო? თურქეთში რომ წევედი, რავა არ იცოდა. წამევიდეს ჩემთან სავაჭროთ. ორ კაპიკს გავაკეთებინებო, ასე უთხრა, ვინც მე წამიყვანა.

– შენ იცოდი, რა საქმეზე მიყავდი?

– კი. თვითონ წელიწადი ათი თვე თურქეთშია ის ქალი. ყველას იცნობს.

– სხვებიც ჰყავს, ალბათ, ასე შენსავით.

– ჩაყავს გოგოები და სხვას უტიებს. ჩვენ ხუთი გოგო ვიდექით თურქის ბინაში. ის თურქი გვაქირავებდა, ქუჩაში კი არ დავდიოდით.

– მერე? ის თურქი არ დაიჭირეს?

– არა. მე არ ვთქვი. თვარა დაიჭერდნენ. იმის თქმა რაფერ შეიძლება. პირობას გვადებიებენ, რავარც ბაბაიეს („ბაბაის“ ვეძახით) სახელს გაამხელ, მოგვკლავენ.

– იშოვე ქე მაინც რამე?

– ცოტა.

– წაგართვეს ალბათ.

– რაც ჩამოგვართვეს, სასამართლოს ჯარიმამ წეიღო – ჯიბეში რაც მქონდა. სახლში მქონდა იმ თურქთან დატიებული ცოტა და იმას დევიბრუნებ.

– როგორ დაიბრუნებ?

– დავაბარებ ვინცხას. დადიენ ჩვენი გოგონები. თუ შეიძლება, ერთ სიგარეტსაც ევიღებ.

კოლოფს ჩემი ტელეფონის ნომერი წავაწერე და გავუწოდე.

– აიღე მთლიანად, რა გქვია?

– მზია.

– მზია, მანდ ჩემი ტელეფონის ნომერი წერია. თბილისში რომ ჩამოხვალ, დამირეკე.

– კი. აუცილებლდ. თბილისში მალე ჩამოვალ. ეს სახლისაა?

– ბინის ტელეფონია.

– მერე?

– არაუშავს, დამირეკე.

– კაი აბა. წევედი.

– კარგად.

„დაქალებს“ შეუერთდა. მეც გამოვბრუნდი. ხანდახან გავხედავ ხოლმე. აშკარაა, ჩემზე ელაპარაკება. თამამად შემცქერიან. ასე „უპარდონოდ“ თვალის გასწორება მხოლოდ დამწყებ მეძავებს შეუძლიათ.

მალე მზია ჩემსკენ წამოვიდა.

– სხვანაირად არ მიიღოთ და, თუ გაქვთ ცოტა ფული. უკაპიკოდ დავრჩი. სხვანაირად არ მიიღოთ.

ოცლარიანი გავუწოდე.

– მადლობთ – მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო – ჩამუალ მალე თბილისში და ჩემზე იყოს.

გაიღიმა და ლამაზად, ფიქრიანად გააბიჯა.

წინ ხუთიოდე მანქანაა.

აღარ დაადგა საშველი ჩვენს რიგს.

ვზივარ და „ლიტერატურულ მეძავებს“ ვიხსენებ.

ჭოლა ლომთათიძის მეძავი ამოტივტივდა გონებაში. შუაღამისას ნოველის ლირიკულ გმირს ქუჩაში ქალი აედევნა. ჭოლამ ქუჩის ქალს მაშინვე „ჩამოაცვა“ სოციალური მოსასხამი: „გცივა დაია? გშია დაია და მიტომ ხარ ქუჩაში გამოსული?“.

გორკის მოთხრობის მეძავი პოლიციაში შედის, მეძავის „დოკუმენტის“ მისაღებად. პოლიციელის კითხვაზე, – რამ გაიძულა ბოზობაო, ქალი პასუხობს – მცირეწლოვანი შვილები მყავს, ქმარი გალოთდა. დღისით მრეცხავად ვმუშაობ, მაგრამ პურის ფულადაც არ მყოფნის, იქნებ მეძავობით ნაშოვნი ცოტა ფული მაინც წავამატო, ბავშვები რომ შიმშილით არ დამეხოცოსო.

და ბოლოს მოპასანის მიერ და დახატული ფრანგი მეძავი ქალი გამახსენდა. გერმანელმა კლიენტმა მისი სამშობლო – საფრანგეთი რომ აუგად მოიხსენია, მეძავში პატრიოტულმა გრძნობამ იფეთქა და სექსუალურ პარტნიორს შუბლი გაუხვრიტა.

* * *

...და მაინც სიყვარულს უნდა ჩავებღაუჭოთ ძვირფასო მკითხველო. სიყვარულია ის საოცრება ამ აბურდულ დროში რომ გაგვაძლებინებს. თანაც როდის და სად გეწვევა ნამდვილი სიყვარული არავინ იცის. იქნებ სწორედ სიყვარულზეა ეს ნოველაც ოცდახუთი წლის ყმაწვილმა რომ დავწერე და კომუნისტურმა ცენზურამ „ცისკრიდან“ ამომიგდო როგორც „უიდეო ნაწარმოები“:

ახალგაზრდა გინეკოლოგი ბახვა კანთელაძე სამსახურში მიდიოდა. ცვლა ოთხზე ეწყებოდა. ამ ერთ საათში, იქნებ ბენზინის ჩასხმა მოვასწროო, ელბაქიძის დაღმართზე ჩაუხვია. „ივერიასთან“ გოგონამ გამოირბინა გზაზე და ხელი დაუქნია. ექიმს ნაცნობი ეგონა, ჯერ სარკიდან გახედა, მერე უკანსვლით დაძრა მანქანა და გოგონას ცხვირწინ დაამუხრუჭა. დიდად არ გახარებია ნაცნობის გამოჩენა, ბენზინის ჩასხმას ვეღარ მოვასწრებ, ვინ იცის, სად ცხოვრობსო. ქალიშვილმა უკანა კარი რომ გამოაღო და და-

ჯდა, ბახვა დარწმუნდა, რომ პირველად ხედავდა, ინანა, რატომ გავაჩერეო.

– გამარჯობათ.

– გაგიმარჯოთ?! – კითხვა გაურია სალამში ბახვამ.

ქალიშვილი სავარძელში არხეინად მოკალათდა და ბახვას მოეჩვენა რომ დაუპატიჟებელმა მგზავრმა სარკეში ენაც გამოუყო. ლამაზი იყო. მრგვალი მუხლისთავები, ცისფერი თვალები და ცისფრადვე ამოღებილი, მაღალი ქუთუთოები, სწორი ცხვირი, პომადაწასმული ვნებიანი ტუჩები და გრძელი, სწორი, ყვრიმალებზე დაშვებული ფერფლისფერი თმა ჰქონდა, იაფფასიანი ჭრელი პალტო და ალუბლისფერი ჩექმები ეცვა.

– მაპატიეთ, ნაცნობი სახე გაქვთ და კი ვერ მოგიგონეთ. – როგორც ჩვეულებრივად იწყებენ ხოლმე საუბარს უცნობ ქალიშვილთან, ბახვამაც ისე დაიწყო.

– არაფერიც, მე თქვენ პირველად გნახეთ. – ქალიშვილმა, ცოტა არ იყოს, ყალბი კეკლუცობით უპასუხა და გაუცინა.

– რაკი ასეა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, ბახვა. – ბახვამ მარჯვენა ხელი უკან გადასწია და გოგონას მუხლებზე დაადო.

– ლუიზა, – ბახვამ თავის ხელში ქალის გრილი, რბილი თითები იგრძნო და მოუჭირა.

„არაგვთან“ მაღლა ამოუხვია და გმირთა მოედანს წრე დაარტყა.

– საით წავიდეთ, ლუიზა?

– გცალიათ? – ლუიზა წინ გადმოიხარა.

– ახლა რომელია?

– მე არ მაქვს საათი.

ბახვამ ჯიბიდან საათი ამოიღო და გაუწოდა.

– ნახე. მოსამართს თითი დააჭირე და გაიღება.

– ოთხის თხუთმეტი წუთია.

– ოთხზე სამსახურში უნდა ვიყო, ლუიზა, თორემ რა სჯობია შენთან გასეირნებას.

ლუიზამ მოიწყინა.

– თუ დათვლილი წუთები გქონდა, რა ძალა გადგა, რას მიჩერებდი მანქანას, შე კაცო.

– ნაცნობი მეგონეთ.

– ნაცნობებზე მეტი ვიქნებოდით, დრო რომ გქონდეს.

ბახვას ჯერ გული აურია ლუიზას კდემაგაცლილმა პირდაპირობამ. მერე, კაცმა რომ თქვას, მოეწონა კიდეც ქალის შეულამაზებელი სითამამე. „არ მალავს, რაც არის: მორჩა და გათავდა. მაინცდამაინც მთვარეზე უნდა დაგიწყოს ჯერ ლაპარაკი, ნერვები მოგიშალოს და მერე შეცდენილი ქალის ნიანგის ცრემლები ღვაროს?“ – გაიფიქრა მან.

– სხვა დროს, სად შეიძლება შენი ნახვა, ლუიზა?

– სხვა დრო რად გინდა, ჩემს შეყვარებას ხომ არ აპირებ?

– არა. ისე... ტელეფონი თუ გაქვთ-მეთქი.

– ტელეფონი კი არა, ბიჭო, ღამის გასათევი არა მაქვს. ხან ერთ დაქალთან ვათევ და ხან მეორესთან.

ხომ ასე ჰაიჰარად, უდარდელად პასუხობდა ლუიზა, მაგრამ ბახვამ მაინც შეამჩნია მის გამოხედვასა და საუბრის იერში შეფარული, ღრმა სევდა.

– „ივერიასთან“ მიმიყვანე ისევ, თუ არ შეწუხდები, და წავალ ჩემს გზაზე. – ბოლო სიტყვები გოგომ თითქმის ტირილით თქვა.

ბახვას შეეცოდა იგი და გაიფიქრა, მოდი, სოსო კვახაძეს მივუყვანო.

– ჩემს ძმაკაცთან რომ მიგიყვანო, ლუიზა?

– სიმპათიურია? – ლუიზამ სხვისი ხმით იკითხა.

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, კაი ბიჭია, პატივს გცემს.

– პატივისცემაში ხომ არაა საქმე, ადამიანი ცოტა ხომ უნდა მოგეწონოს. მე ისე არ შემიძლია.

– მოგეწონება, მოგეწონება.

ჩელუსკინელების ხიდს გასცდნენ და წერეთლის პროსპექტზე, მარჯვნივ, ვორონინის შესახვევში, ქუჩის პირას მდებარე ერთსართულიან სახლთან გაჩერდნენ. ბახვამ ფანჯარაზე დააკაკუნა.

თითქოს დაკაკუნებას ელოდაო, იმ წამსვე გადმოყო თავი წითური სახის, თმაჭაღარა, გრძელცხვირა, ოცდაათიოდე წლის ბიჭმა. სოსო უცოლო იყო და ნაქირავებში ცხოვრობდა.

– რა იყო? – უცერემონიოდ ჰკითხა სოსომ.

– გოგო მიზის მანქანაში, რომ გაგეხარდება, ისეთია შესახედავად.

– რა გიყო ახლა, მოწაფეები რომ მყავს. ორი მოწაფე ძლივს ვიშოვე. იმ კვირაში გამიცდინეს, ერთი საათის მერე მოდით და გავალ. – შეწუხდა სოსო.

– ჩემთვის კი არ მინდა, შენ მოგიყვანე, სამსახურში გავრბივარ.

სოსოს გაეცინა და ცალი თვალი მოჭუტა.

– როდის იყო, ჩემზე ზრუნავდი, შენ მატყუებ რაღაცას.

– მართლა, ბავშვს გეფიცები.

სოსო დასერიოზულდა.

– ერთი საათის მერე რომ მომიყვანო?

– კი, ბებიაშენისამ, ერთ საათს გაგირთობ სადმე და მერე სინით მოგაწვდი ფანჯარაში, არ გინდა? დასვი მანდ სადმე, სანამ მოწაფეებს გაისტუმრებდე.

– გაგიჟდი, ბიჭო? იმ წუთას მიხვდებიან ყველაფერს. თავი გინდა მომჭრა?

– წავედი აბა, არ მცალია ამდენი.

– ერთი საათის მერე! – ყველის ვაჭარივით დაეღრიჯა სოსო მეგობარს.

– გადაშენდი იქით! – ბახვამ მანქანა სიჩქარიდან ამოუღებლად დაქოქა და წითელი პარტიზანების ქუჩაზე გავიდა. გაახსენდა, გივი ბაჩაძეს ცოლ-შვილი ფასანაურში ჰყავდა გაგზავნილი და თუ შინ დამხვდა, გავახარებო, გაიფიქრა.

კიბე ირბინა და აქლოშინებულმა დარეკა ზარი.

გივის გრძელი ხალათი ეცვა. მოტვლეპილ თავზე ჩაჩი ეხურა.

– ვაჰ, ბახვა? შემოდი.

– შემოსასვლელად არ მცალია. სახლში ხარ დღეეს?

– აბა, სად უნდა ვიყო, შაბათია.

– ბედნიერი ხალხი ხართ. ჩვენთვის შაბათი კი არა, კვირაც არ არსებობს, კვირასაც გვამუშავებენ. გივი, გოგო მოგიყვანე ა, ასეთი, – ბახვამ ცერი მაღლა აიშვირა.

– სსს, ნუ ყვირი, – გივიმ უკან გაიხედა, – რა გოგო?

– გოგო, ჩვეულებრივი.

– მაგას რა სჯობია, მაგრამ, – გივიმ ხელები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა – სიდედრი რომ მყავს სახლში? რაღაცას მოვუგონებ და სადმე გავგზავნი. ერთი საათის მერე ვერ მოიყვან? ჰქენი სიკეთე.

– ერთ საათს რომ მეცალოს, შენ მოგიყვანდი? ოღრაშობა კი არ დამიწყია. ოთხზე საავადმყოფოში უნდა ვიყო. ჩაიცვი ახლა, გაატარ-გამოატარე ქუჩაში და მიხედე საქმეს.

– კარგი, – გივი ოთახში შებრუნდა და დაფაცურდა. მალე გამო-ბრუნდა, კვლავ ხალათი და ჩაჩი ეხურა.

– არ გამოდის არაფერი. არ წავა არსად, ვიცი მაგის ხასიათი მე.

– კარგი, აბა, წავედი! – ბახვამ კიბე ჩაირბინა.

– ბახვა! – გივი მოაჯირს გადმოეკიდა.

– ჰა.

– ისე... ჩემთვის... აწი კი აღარ შეიძლება, მაგნაირი რამეები, – თვალების სრესით გაუტყდა გივი.

– ნუ მასხარაობ რაღაცას. – დატუქსა ბახვამ ძმაკაცი.

ერთი თვეა, რაც გივი რაისაბჭოს აღმასკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს და მორალს რომ დააწვებოდა, როგორ ვერ ვიფიქრეო, თავის თავზე ბრაზობდა ბახვა.

– რაო? – მოწყენილად იკითხა ლუიზამ.

– სიდედრი ჰყავს სახლში, ამ უპატრონოს.

– „ივერიასთან“ გამიჩერე და ჩამოვალ. შეგაწუხე დღეს.

– კიდევ ერთ ძმაკაცთან მივალ, ნახე, აბა, რომელია? – საათი გაუწოდა.

– ოთხს თხუთმეტი აკლია.

– არა უშავს, ცოტას დავაგვიანებ.

კამოს ქუჩაზე კახა მეძველია ცხოვრობს, გამოუსწორებელი უცოლო. ორმოც წელს კარგა ხანია გადაშორდა. რომ ჰკითხავენ, უშვილძიროდ რატომ ბერდებიო, პასუხი მზადა აქვს: – ვინც მომეწონა, ყველა გათხოვილი აღმოჩნდა და ჩემნაირი უბედური რად მინდა ავიკიდოო. ჩემი ხნის ქალი გაუთხოვარი რომ დარჩება, ის ივარგებს რამედო?

„პლაზმებში“ მუშაობს. საკანდიდატო შარშან, ოქტომბერში დაიცვა.

ჯერ ფანჯარასთან უძახა, კახა პირველ სართულზე ცხოვრობს, რომ ვერ გააგონა, სადარბაზოში შევიდა და კარს აუტეხა ბრახუნი.

– ამ წუთას! ვინ არის? – იკითხა კახამ.

– მე ვარ, ბახვა ვარ. გძინავს?

კახა ნიფხავპერანგისამარა იდგა კარში.

– გძინავს ამ შუადღეზე? იმიტომაა შენი საქმე წინ.

– შენს ხმას მივამსგავსე. ვიწექი ისე, ფანჯარაში გამოვიხედე, არა ხარ, ვერც მანქანას მოვკარი თვალი.

– ბევრი ლაპარაკის დრო არა მაქვს, – ბახვა ადგილზე ხტოდა, – გოგო მოგიყვანე.

– ახლა რა დროსია. ასე გაბურძგული ხომ არ ვნახავ. ჩავიცვამ, გავიპარსავ და გამოვალ, სადაც გინდა.

– გადასასინჯად კი არ მომიყვანია.

– აბა?

– იმნაირი გოგოა. ახლა გამოვიჭირე ქუჩაში. ისე არ უნდა იყოს გლახა გოგო. ლამაზი თვალები აქვს და კაი ლაპარაკი იცის.

– ოჰ, შენ რა გითხრა. მე სხვა რაღაც მეგონა, თორემ ერთი მაგნაირი ქე მიწევს ეგერ ლოგინში. არც მაგაში ყრია არაფერი. მომწყინდა. აწი ცოლი უნდა ვითხოვო.

– ფილოსოფიას მოეშვი ახლა. შენ ეგრე ამბობ ყოველთვის. არაფერი ცოლის მთხოვნელი შენ არ ხარ. რა ვუყო ამ გოგოს?

კახამ კეფა მოიფხანა.

– რა ვქნა, ბიჭო. ესეც ახლა მოვიდა. რომ გავაგდო, წავა და სულ დაიკარგება. ხანდახან წამლად რომ გჭირდებოდეს, გაწყდებიან, ეს ოხრები. ხანდახან დაიყრებიან. ერთი საათის მერე რომ მოვიდეს?

– წავედი, დამაგვიანდა სამსახურში! – ბახვა კარისკენ გაიქცა.

– ბოდიში, ბახვა, არ გეწყინოს, – დაადევნა კახამ და გასაღები ორჯერ გადაატრიალა, კიდევ ვინმემ არ შემაწუხოსო.

„იღბალი მაქვს ახლა მეო? – ფიქრობდა ბახვა, – რაღა ახლა დაჭკვიანდნენ ეს ჩემი ძმაკაცები ყველაო. ოქროს წვიმა რომ მოდი-

ოდეს, მე რკინა დამეცემა თავში, ხომ ვიცი მეო. ხომ იფიქრებს ეს გოგო; რას მაგლახავებს ამდენ ხანს ან გაჩერებით რაზე გამიჩერა, ან რას დამაპორწიალებს კარდაკარო“.

სანამ „ივერიასთან“ გავიდოდნენ, ბახვას მურმან ნაცვალაძე გაახსენდა. კოჭლი ბიჭია, მერეტუშედ მუშაობს სადღაც, რედაქციაში. სოსომ გააცნო ერთხელ სახინკლეში. ბავშვისთვის შარშან კედლის გაზეთი გააფორმებინა. აქ უნდა ცხოვრობდეს, ნაღვარევის შესახვევში.

ჭიშკართან უზომოდ გასუქებული ქალი ხალიჩას ფერთხავდა.

– ქალბატონო, მურმანი ცხოვრობს აქ სადღაც.

– მურმანი? – ქალმა ჯოხი დაუშვა და მაღლა აიხედა, თითქოს ჰაერს ყნოსავსო.

– ჰო, კოჭლობს ცოტას.

– მასე გეთქვა, შე კაცო. მურმანი ჰქვია მაგას? ასე გადით, ეზოს ბოლოში, პირდაპირ კარებია.

– სახლშია თუ იცით?

– ვერ გეტყვით, ისე დღეს გამოსული არ მინახავს.

– გმადლობთ, – ბახვამ პარმაღს გადააბიჯა და ქვაფენილით მოკირწყლულ ეზოში გაიქცა.

მურმან ნაცვალაძე შინ იყო. სახეზე შეეტყო, რომ ბახვას მოსვლა გაეხარდა. სტუმარმა ამოსუნთქვა არ აცალა; „კიდევ კარგი, რომ სახლში ხარ, მანქანაში გოგო მიზის და შემოვიყვან ახლავე, მე გავრბივარ, დამაგვიანდა, მომხსნიან სამსახურიდანო“, პასუხს არ დაელოდა, გატრიალდა.

– მოიცა, გამაგებინე, ვინ გოგოა, რა გოგო?! – უკან მისდევდა მურმანი და კითხვებს აყრიდა.

– გოგოა რა. მე კი არ ვიცნობ წესიერად. „ივერიასთან ჩამიჯდა.

– გასაგებია. მარა მე დამელაპარაკება იმ საკითხზე? მოინდომებს ჩემთან? როგორ ფიქრობ? – მურმანი ცდილობდა დასწეოდა.

– შენ ფიქრი ნუ გაქვს. არ ჩანს წუნია გოგო.

– ნუ შემარცხვენ, თუ ძმა ხარ. არ ვარ მაგის კაცი მე. სხვას მიუყვანე ვინმეს.

– კაცო, მე გეუბნები – ნაღდი ამბავია. ნათქვამი მაქვს წინასწარ; ასეთი და ასეთი ბიჭია თქვა, – იცრუა ბახვამ.

– მერე?

– კიო. თანახმაა. გაბრუნდი შენ, ოთახში დაგველოდე.

მურმანმა ასკინკილით გამოირბინა ეზო.

შემოვიდნენ. გოგონა კართან გაჩერდა თითებგადაჯვარედინებული. ბახვა ალაპარაკდა.

– გაიცანი, ჩემო მურმან, ლუიზა. ჩვენ რომ გვიყვარს, ისეთი გოგოა, – ლუიზას მიუბრუნდა, – მურმანზე უკვე საკმაოდ გელაპარაკე. დიდი მხატვარია!

– რეტუშიორი, – გაუსწორა მურმანმა.

– რაი? – იკითხა გოგომ.

– სურათებს რეტუშს ვუკეთებ. თქვენ არ გეცოდინებათ. ერთი სიტყვით თუ მკრთალი ხაზია ვამუქებ. გაზეთში დასაბეჭდად რომ გამოდგეს.

– მოკლედ, კარგად იყავით. არ აწყენინოთ ერთმანეთს! – ეს ბოლო სიტყვები ბახვამ ღია კარებში თქვა და უკანმოუხედავად გაიქცა.

– პალტო გაიხადე.

მურმანმა ქალს პალტო ჩამოართვა და იქვე, ლურსმანზე დაჰკიდა.

– დაჯექი, – სკამზე მიუთითა, – ახლოს მოიწი ღუმელთან.

– გმადლობთ, არ მცივა, – გოგოს ხელები კალთაში ეწყო და იატაკს დასცქეროდა.

– ეს... ახლა არ გცივა, გარედან შემოსუილი რომ ხარ. პატარა ხანში გაიყინები, – თუნუქის ღუმელს ხელი დაადო – ესეც გაცივებულა, ეს ოხერი.

გავიდა. შეშა შემოიტანა. ღუმელთან ჩაცუცქდა და შეუკეთა.

– რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?

– ნოლზე მეტი არ იქნება.

– მერე ასე უნდა ციოდეს? ძვლები გამეყინა.

– აქ ნესტიანი ჰავაა და იმიტომ, – აუხსნა გოგომ, – ჩვენთან, აბა, ათ გრადუს ყინვაშიც არ ცივა ასე.

– სად თქვენთან?

– ხაშურს ზემოთ სოფელია, ბრეში.

მურმანმა იგრძნო, რომ საუბარი სულ სხვა მიმართულებას იძენდა და არც გაკვირვებია. „სხვებს რა იოლად გამოსდით ყველაფერი. ნეტავ ისინი როგორ იწყებენ! არ შემიძლია გოგოსთან ლაპარაკი. რას მივედებ-მოვედებიო“, – გაიფიქრა.

– აქ, თბილისში სწავლობ, ლუიზა?

– ვსწავლობ? – ლუიზას გაეცინა, – სულ ჩემთვისაა ღია უმაღლესები. ოღონდ მივბრძანდე და ვისწავლო.

– რატომ? საშუალო ხომ გაქვს დამთავრებული? – მურმანმა ტუჩზე იკბინა, ვინ მკითხავს მეო.

– რად გინდა მერე. ვაშლიჯვარში ვმუშაობდი მეურნეობაში და დიღომში პატარა ოთახი მქონდა დაქირავებული. მამაჩემს სოფელში ფილტვების ანთება გაურთულდა და დამაგვიანდა ჩამოსვლა. სამუშაოდანაც ბრძანებით მოვუხსნივართ და ჩემს მასპინძელს ამ

ერთ თვეში იმდენი უმარჯვია, ბინიდანაც ამოვუწერივარ. ჩამოვედი და ჩემი ბარგი კიბის ქვეშ დამხვდა.

– ახლა სადა გაქვს?

– დაქალთან მივიტანე გუშინწინ. ჩვენებური გოგოა. ხილიანზე, ისიც ნაქირავებში ცხოვრობს.

ცეცხლი აგუგუნდა. ლუიზას ღაწვები შეუწითლდა. ხელები, როგორც იქნა, დააშორა ერთმანეთს და ღუმელს მიუშვირა, იჯდა ღუმელთან ღვთიშობელივით ლამაზი და უმწეო. მურმანს მუხლზე შემოედო ხელი და ქალს დაჟინებით შესცქეროდა. ლუიზა გრძნობდა მზერას და ხან ჭერისკენ ააპარებდა, ხან კი მურმანს გაუსწორებდა თვალს ერთი წამით, რათა ისევ ჩაექინდრა თავი და იატაკს ჩაშტერებოდა.

– ღუმელს მაინც სხვა ძალა აქვს. რადიატორთან ასე ვარ გათბები, – ყრუდ ამოილაპარაკა ქალმა.

– სწორი ხარ, მაგრამ ამ ოთახში სითბო არ ჩერდება. სულ ბამბა და დანა მიკავია ხელში. ვითომ დავგმანე ყველგან ყველაფერი. ჩაქრება თუ არა ღუმელი, განსაკუთრებით როცა მძინავს, ფეხები მეყინება.

– ეს კედლები კაპიტალური არაა ხომ?

– არა, კაცო. ცალფა აგურის კედელია. თავიდან საკუჭნაოდ ჰქონიათ ჩაფიქრებული და მერე გააქირავეს.

– ჰოდა, კიდეც იმიტომა ცივა. ფარღალალა კედელი სითბოს ვერ ინახავს.

„ახლა მე უნდა ვთქვა, – „ოღონდაც, ოღონდაც, ჩემო ლუიზა, ფარღალალა კედელი სითბოს ვერ ინახავს“ და ერთი ფილოსოფიურად ამოვიხვნეშო. რა მშვენიერი თემაა გოგოსთან სალაპარაკოდ? არ უნდა გაჩნდეს, არა, ჩემისთანა უნდილი და უგერგილო ამ ქვეყანაზე. ადგება ახლა ეს გოგო, პალტოს ჩაიცვამს, დიდი მადლობა, ღუმელთან რომ გამათბეო, მეტყვის და წავა. კი, ასე იზამს“.

მაგრამ ლუიზა წასვლას არ აპირებდა. თავის თითებს დასცქეროდა და მურმანს მოეჩვენა, რომ ქალიშვილი თვლემდა კიდეც.

– სხვა. და-ძმები, ლუიზა?

– მყავს. მაგ მხრივ მდიდარი ვარ. სამი ძმა და ოთხი და.

– სულ შვიდნი ხართ?

– რვა.

„დასწყევლოს ღმერთმა, რვამდე თვლაც დამავიწყდა“.

– შენ?

– ნაბოლარა ვარ.

– დები დიდები იქნებიან.

– გათხოვილია ოთხივე.

„ახლა არ ჰკითხო, ისინი ხომ კარგ ბედ-იღბალში არიან ჩავარდ-ნილიო, თორემ წამოვიდა ნაკვერჩხალი ენაზე“.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ.

– ლუიზა, – მურმანი წამოდგა, – სულ ვეღარ მოვიფიქრე. მოშიებული იქნები. ჩავალ, ძეხვს და პურს მაინც ამოვიტან.

ქალს არაფერი უთქვამს.

აღარ ახსოვს, როგორ ჩაირბინა გასტრონომამდე. თითქოს ფეხებში ქარი ჩაუდგაო, აღმართიც ხელად ამოათავა.

ლუიზას ტაფა გაეწმინდა და ღუმელზე დაედგა.

– ხორცი სადაა. უშველებელი რიგი უკვე დგას. მოიტანენ – არ მოიტანენ, ღმერთმა უწყის. მანდ კარადაში კვერცხი უნდა იყოს. შენ მაცალე. ამ წუთში შევწვავ. კვერცხი და ძეხვი შემწვარი კარგი გამოდის. გიყვარს, თუ არ გიყვარს – ეს უნდა ვჭამოთ, ღარიბი კაცის სადილი ეს არის. – კვერცხები თეფშზე დააწყო და ლუიზა რომ წამოდგა, შემკრთალმა გახედა, წასვლას ხომ არ აპირებსო.

– ხელს სად იბან ხოლმე?

კაცმა განჯინიდან სუფთა პირსახოცი ამოიღო და მხარზე გადააფინა.

– პირდაპირ და მარჯვნივ.

– ახლავე მოვალ, – ლუიზამ გაუღიმა, – შენ მოეშვი, მე შევწვავ. მარილი მომიმზადე.

მხარზე რომ აკოცა, ლუიზამ კვერცხის თქვეფა წუთით შეწყვიტა და გაყუჩდა. მურმანი ღუმელთან იჯდა და მაგიდას მიმდგარი ქა-ლის სწორ ფეხებს და ლამაზ ზურგს შესცქეროდა. იყო რაღაც ენით აუხსნელი, გასაოცრად თბილი და უჩვეულო ამ წუთში და მურმანს უნდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. მარტოობით გამწარებულ კაცს შეეძლო ვიღაცასთან ელაპარაკნა. ეთქვა, თუნდაც ათასი სი-სულელე, მაგრამ დიდსულოვნად ეპატიებინათ. მერე დამდგარიყვნენ ასე მაგიდასთან და ერბოკვერცხი ეკეთებინათ. ასეთი რამ სხვა დროს არ დამართნია; ლამის ტირილი დაიწყო; სახლში ქალი იყო.

უხმოდ ისადილეს.

კაცი ფიქრობდა იმაზე, თუ რა ეთქვა სადილის შემდეგ, ქალიც ამას ფიქრობდა. ქალს ეშინოდა, ვაითუ დაირღვესო ის იდილია, სული რომ გაუთბო და სადღაც ნანახი, თუ წაკითხული ოჯახური ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღე მოაგონა.

მთელ სიცოცხლეს მისცემდა ქალი, ოღონდ ყველაფერი ისე არ დამთავრებულიყო, როგორც ჩვეულებრივ მთავრდება ხოლმე.

სადილის შემდეგ ქალმა თეფშები დარეცხა, ოთახი მიალაგ-მოალაგა და ისევ ღუმელს მიუჯდა.

მურმანს გაეცინა.

– რა გაცინებს? – ლუიზა მთელი ტანით შებრუნდა მისკენ.

– ხელში საქარგავი გაკლია. თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს.

ქალი, ეტყობა სხვა პასუხს ელოდა და ერთბაშად დამშვიდდა.

ღუმელში შეშა ტკაცუნობდა. ვიწრო ფანჯრიდან დაღვრილ სხივს ნელ-ნელა აკლდებოდა ძალა.

– ქმარს რატომ გაშორდი, ლუიზა?

– ვინ თქვა?

– ყველა ასე ამბობს.

– ვინ ყველა? – შეშფოთება გაისმა ქალის ხმაში.

– რა ვიცი, – მურმანი დაიბნა, – საერთოდ... გოგონებს უყვართ ხოლმე თქმა; ქმარს ახლახან გავშორდი, იმიტომ რომ მომიტაცა და არ მიყვარდაო. პირველი კაცი, რომელიც ქმართან განშორების შემდეგ გავიცანი, თქვენ ხართო... ასე იციან ხოლმე თქმა.

მურმანმა იგრძნო, რომ სისულელე წამოროშა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

– არა, მურმან. მე ქმარი არასოდეს მყოლია. არც იმის თქმას ვაპირებდი: „გოგონებმა რომ იციან ხოლმე თქმა“.

ლუიზა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

მხრები უცახცახებდა, ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მიიფარა.

– კარგი ახლა, შე ქალო... ისე ვთქვი... ხუმრობა არ იცი?..

მურმანმა გადაწყვიტა; აწი აღარაფერს ვიტყვი, არ გამოდის ჩემგან რომეო, თვითონ თუ რამეს მკითხავს, ვუპასუხებ და ის იქნებაო.

...შუაღამე წამოვიდა. ისხდნენ ღუმელთან უსიტყვოდ.

მერე ლუიზა წამოდგა.

– რა დრო გასულა, – გამშრალი ხმით თქვა, – ხომ ხედავ: რა უსინდისო გოგო ვარ. ჩემით ვერ ვხვდები წასვლას. რატომ არ მეუბნები, წადიო. გამაგდე, გეხვეწები, წადი-თქო, მითხარი! აქამდეც უნდა გეთქვა, ხომ ხედავ, რა სულელი გოგო ვარ! – ლუიზა თანდათან ხმას უმატებდა და ეს ბოლო სიტყვები ანტიკური ტრაგედიის გმირის მონოლოგივით ხმამაღლა და კატეგორიულად თქვა.

მერე ერთბაშად მოეშვა, სახე ხელებში ჩამალა და ისევ ატირდა.

მურმანს მუხლისთვის ხელები არ მოუცილებია. ჯერ ტირილი აცალა გოგოს და, მერე, როდის-როდის, ამოილაპარაკა.

– დარჩი, სად წახვალ აწი. გვიანაა. სძინავს, ალბათ, შენს დაქალს.

წამოდგა. კარადის უკნიდან შეზლონგი გამოათრია, ძველთაძველ, მაუდგაცვეთილ დივანს თავი ახადა, ლეიბი და საბანი ამოიღო და დივანის თავი ფრთხილად დაუშვა, თითები არ მოვიჭეჭყოო.

– მე შეზლონგზე დავწვები, შენ დივანზე. დავეტევით როგორმე.

* * *

ფანჯარას მუქლურჯი ბურუსი ადგა, მურმანს თავზე რომ დაადგა ღამის პერანგში, თეთრად, სინათლესავით ჩამოშვებული, თმაგაშლილი ქალი და მკლავზე შიშველი მუხლით შეეხო: – გძინავს? დავწვები რა შენთან? შემცივდა.

მურმანს, რა თქმა უნდა, არ ეძინა.

* * *

საუზმის შემდეგ მურმანმა ხელში მწვანე ყდიანი საქაღალდე დაიჭირა და კედელზე მიკრულ მრგვალ სარკეს გაუსწორდა.

– ლუიზა... მე სამსახურში გავვარდები. ერთი-ორ საათი დამაგვიანდება. შენ, თუ სადმე გახვიდე, გასაღები, კართან რომ ფეხსაცმლის ტილოა, იმის ქვეშ დადე. საერთოდ... ყოველთვის მანდ ვინახავ გასაღებს. ვეცდები უფრო ჩქარა დავბრუნდე. შეიძლება საქმე არაფერი დამხვდეს.

სარკეში თავის თავს არც უყურებდა, მაგრამ არ შეეძლო თვალი გაესწორებინა და ისე ეთქვა ლუიზასათვის ის, რაც უთხრა.

ლუიზა კი არა, გულუბრყვილო ბავშვიც იგრძნობდა, რომ მურმანს ტკივილამდე სურდა, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ლუიზა კვლავ შინ დახვედროდა, ღუმელთან უხმოდ მიმჯდარი და ლოდინით დაღლილი.

* * *

ცხოვრება მგონი უფრო მარტივია ვიდრე შექსპირს, ფლობერს და ტოლსტოის ეჩვენებოდათო, მწერს მწვანეყვავილელი მწერალი კაკო სინაურიძე და თავისი აზრის სალუსტრაციოდ ამ ნოველას მიგზავნის:

„არ გეწყინოს, ჩემო დაია, შენი ბრალია, რაც გჭირს. დედაშენის კბილა ვიქნები და მე არ ვიტყვი ახლა მაგას, შე ქალო. ღმერთმა იმ ჭკუაზე ნუ დამაყენოს და ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ენაცვალოს ჩემი თავი, სამოცდარვა წლის ვარ და ხვალვე გავთხოვდები, მე რომ მე ვარ. შენ რამ გაგიტეხა გული? აწი რაღა დროსია? რას ჰქვია, რაღა დროსია. კი, მართალია, საუკეთესო წლები ფუჭად გაქვს დაკარგული. ფუჭი კაკალი, ხომ იცი, არც თაგვს არგია და არც კაცსაო, მაგრამ შენთვის ჯერ ყველაფერი გვიან არაა. არ გაიკარო ეგ ბნელი ფიქრი თავში. საერთოდ, შვილო, არავისთვის არაფერი არასოდეს არაა გვიან. თუ სული გთხოვს და გუნება გაქვს. ღმერთო კი მომკალი, რას ჰქვია, ვერ გათხოვ-

დი. არავინ არ მითხრას – მინდოდა, ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერ გავთხოვდიო. ტყუილია, მოგონილია ეგ ამბავი. არ ვარგიხართ, დედიკო, არა. თქვენ სიგლახეს მერე იღბალს გადააბრალებთ. ასე მეწერა, ალბათო. რა გეწერა? კი არ გეწერა, არ მოინდომე. არ მიდექ-მოდექი, პატარა ხელი შეგეშალა და დაყარე ფარ-ხმალი. არ უნდა ლაპარაკი – ყველას გვინდა ისე გავთხოვდეთ, როგორც გვინდა, მაგრამ თუ არ გამოდის ისე? თუ არ გაგიმართლა? თუ ვერ ააწყვე, როგორც შენ გინდოდა? გათავდა ჩემთვის ყველაფერი, აწი აღარ გავთხოვდებიო, უნდა წაუწვე ცხოვრებას გასათელავად და საჯირითოდ? სიყვარულიო, შენ ამბობ, მჯერა მარტო ერთი რამ, დიდ სიყვარულს ეწირებიან მსხვერპლად, კი, როგორ არა. რაკი ვერ მოხერხდა, ვერ დამთავრდა ყველაფერი სასურველად, ქალი სუსტი არსებაა მაინც, რაც არ უნდა ვიხტუნოთ ჩვენ, და დიდი სიყვარულით შეპყრობილი ქალი თავისი ამ გრძნობის ერთგულ მონად რჩება ბოლომდე. ეს მესმის, ასეთი ქალები იშვიათზე იშვიათნი არიან. მაგრამ შენ სხვას მეუბნები; არავინ შემიყვარდა, დეიდა, და დავრჩი ამიტომ გაუთხოვარიო. რას ჰქვია, არავინ შეგიყვარდა და დარჩი გაუთხოვარი. ესე იგი სუსტი ადამიანი ხარ. ნუ გეწყინება და შეიძლება ცოტა ეგოისტიც. დიდი სიყვარული შეიძლება ღვთის ბოძებული ნიჭი იყოს, მაგრამ თუ არ მოვიდა ეს დიდი სიყვარული ჩემთან, დავითხარო თვალი და არ გავთხოვდე? სიყვარული, შვილო ხან ქორწინებამდე მოდის (და ეს უკეთესია) და ხან ქორწინების შემდეგაც, მაგრამ შენ არ შეერკინე ცხოვრებას; რისკი არ გასწიე, ზიხარ ფანჯარასთან და სიყვარულის მოსვლას ელოდები. ქე მოგაყვირა ამასობაში ორმოცმა წელმა. რა არის იცი? ბევრი ანგელოზივით გოგო მინახავს „საქმროების“ შეწუხებული და მერე გაუთხოვრად დარჩენილი. ხანდახან ქვეყნის უკეთესს ვეძებთ და იმაზე კი არ ვფიქრობთ, იმ ქვეყნის უკეთესს ქვეყნის უკეთესი რომ შეეფერება. დაგვინაოჭდება სახე და წუნიაობას მაინც არ ვეშვებით. იმას ცხვირი აქვს გრძელი, იმას კისერი აქვს მოკლე, იმის კბილები არ მომეწონა, იმას გაუუთავებელი პერანგი ეცვა. რა იყო, რა მოხდა. ცოტა საღადაც უნდა შევხედოთ ცხოვრებას. ჩვენ არაფერი ნაკლი გვაქვს? კაცია ბოლოსდაბოლოს. გამოფენაზე ხომ არ გაგყავს, გასაყიდად ხომ არ გინდა. ღვთის გაჩენილი კაცია. ჰქონდეს, მერე რა კისერი, ეს ოხერი, მოკლე, დაიქცა ქვეყანა? არა ვართ მართალი, შვილო, არა, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ნაკლს მარიამ ღვთისშობელს ვუპოვი რამდენსაც გინდა, ყინწვისის ანგელოსს დაიწუნებს ამრეზილი და ცხვირაბზუებული კაცი. საქმე ისაა, მოგეწონოს. საქმე ისაა გადაწყვეტის თავი გქონდეს.

ჩიტივით ორ დღეს ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე. რას ველოდებით, აღარ დამთავრდა რჩევა-რჩევა? აღარ დაიბადა ჩვენი მოსაწონი? შეგიყოლიებს ბედის ძიება და ისე დაგაბერებს, რომ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ. გაგკრავს ბჯღალს წუთისოფელი და სარკის შეგეშინდება. ერთ დღეს იცის სიბერემ მოხტომა. ხანდახან ერთ დღეში ბერდება კაცი. სამიდღემჩიოდ არც ქმარი გაჩენილა ამ ქვეყანაზე და არც შვილი. გული მიკვდება, შენნაირი მშვენიერი ქალი რომ მეტყვის, ვერ გავთხოვდიო. არ მიწყინო და ცოტა არ იყოს ვბრაზდები კიდეც მასზე. მე ვინ მკითხავს სხვის საქმეში ჩარევას მეთქი, ვამბობ, მაგრამ, ეტყობა, მთლად კეთილი ადამიანი არ არის, დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. არავინ მიიჩნია ღირსად და ამიტომ იქცა შინაბერად-მეთქი. ყოველთვის ამის თქმა ცოდვაა, შვილო. ყველაზე ვერ იტყვი. ზოგს ავადმყოფობა დააყოლა განგებამ და რას იზამ. მაგრამ თუ ყველანაირად ჯანმრთელი ხარ და რაღაც სულელური მიზეზებით – „არ შემიყვარდა“ ან „პირობები არ მაქვსო“, ზოგს რომ ამოუჩემებია და არ მეშინია ამის თქმა – სწორედ რომ სულელური მიზეზებით არ თხოვდება, ან ცოლს არ ირთავს: მე ასეთ ადამიანიშვილზე ჩემი შეხედულება მაქვს. დიდი სიმპათიით ვერ ვუცქერი და მომკალი თუ გინდა.

თუ არ მოგაბეზრე ამ ტლიკინით თავი, მოგიყვები ჩემი გათხოვების ამბავს. იმიტომ კი არა, შვილო, შენც ასე მოიქცე-მეთქი, გირჩიო. ძნელია სხვის საქმეში ჩარევა და დროც სხვაა ახლა. საცოლე ბიჭებიც სხვები არიან. ამ ჩემს ნაამბობში შენთვის გამოსადეგი, ალბათ, მარტო ის იქნება, რომ შენც იაქტიურო პატარა, მუყაითად გაუხდე შენს თავს, მე კი არ მივრბივარ, გასაჭირი მიმარბენინებსო – ჭკვიან კაცს უთქვამს. ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე რომ ვართ, აღარ უნდა ამას მკითხავ-ქადაგი. ნინოშვილის ქუჩაზე ვარ გაზრდილი, ბაზარს ქვემოთ, მერვე შესახვევის ნომერ ათში. მამაჩემი მეთუთუნე იყო. შარშან მომიკვდა საწყალი. წლისთავი ახლა შესრულდება ოქტომბერში. მეოთხე ქალთა დავამთავრე. ტურძელაძის სკოლა გაგონილი გექნება, არ უნდა ლაპარაკი. მართლა ერთი სამაგალითო სკოლა იყო ქუთაისში. დავამთავრე სკოლა, ჩემო ბატონო, მერე საექთნო ორწლიანი და დიდ გაქანებას რომ ვერ ვატყობდი ჩემს თავს, ამით დავასრულე სწავლა-განათლება. რკინიგზის საავადმყოფოში დავიწყე ოცი წლის გოგომ მუშაობა და ოცდახუთი წელი თავდება, იქვე ვმუშაობ. ჩემს მეტი ჩემს პატრონს არავინ ჰყავდა. ოცი წლისა ყველა ლამაზიაო იტყვიან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. თავის ქებაში არ ჩამომართვა და არ ვიყავი დასაწუნი გოგო, შესახედაო-

ბაზე მოგახსენებ. მაღალი, მაღალკანჭება, ოდნავ გამხდარი. შავი ხუჭუჭა თმა მქონდა. სადაა ახლა ის თმა, დიდი ტუჩები. კბილები მაინცდამაინც არ მივარგოდა, ასე მეჩხერი კბილები მქონდა, როგორც ახლა მაქვს, მაგრამ რა ვუყოთ. მოწონებით ბევრს მოვწონდი მაინც. ზოგს ასე და ზოგს ისე. კაცისას რას გაიგებ. ჩემს მეზობლად სულ ბიჭები ცხოვრობდნენ და, რომ იტყვიან, ბიჭებში გავიზარდე. შემოვევლე იმ ჩემს ბიჭებს; ზოგი იქვე ცხოვრობს, ზოგი აღარცაა ცოცხალი. რომ შემხვდებიან, როგორც საკუთარ ძმას (მე ძმა არ მომცა ღმერთმა) ჩავეხუტები გულში და ვტირი. აბა, რაია მეტი დედმამიშვილი. ერთად გავიზარდეთ, ფეხბურთს ვთამაშობდით ეზოში მეცხრეკლასელი გოგო რომ ვიყავი მაშინაც. მეჩხუბებოდა დედაჩემი: შეხედე შენს თავს, ამხელა ძროხა რომ დააგორებ ამხელა ტ-ს და ბურთს დასდევ სულელი მარგუშასავითო. ახტაჯანა გოგო ვიყავი, მოკლედ რომ ვთქვა. ახტაჯანა, მაგრამ უზაკველი, უბოროტო. ბიჭური ხასიათი მქონდა და თანაც ისეთი ალალი და გულუბრყვილო გახლდით, რომ მამაჩემი თავში ირტყამდა ხელს, რა ეშველება, რა გაათხოვებს ამასო. მამაჩემის შიში (ჭკვიანი კაცი იყო ცხონებული) კინაღამ არ გამართლდა? ისე გამიფრინდა წლები ხელიდან ვერც კი შევამჩნიე. „რა მეჩქარება, რა მეჩქარებას“ ძახილით ოცდარვა წელიწადმა მომიკაკუნა კარზე. მე ისევ პატარა გოგო მგონია ჩემი თავი. დოლო თხას რქები არ ამოუვიდა და თავი სულ თიკანი ეგონაო, ისეა ჩემი საქმე. ჰაი იქეთ, ჰაი აქეთ და რომ მოვიხედე, ეს ჩემი კბილა გოგოები დაოჯახებულან, ამ ჩემი ქუჩის ბიჭებს ცოლი მოუყვანიათ და ქე არიან მშვენივრად. მე – ყველას გამხარებელი, ყველას მაყარი და ხელისმომკიდე, ყველა ქორწილის დამამშვენებელი ვრჩები ასე. სხვისმა მაზიარებელმა თავი ვერ იზიარაო, არ გაგიგონია? მე ვთქვი, რა ქვა გავტეხე ამისთანა. ახლა რომ დავფიქრდები – სერიოზულად სალაპარაკოდ არავინ მოსულა. ღლიცინით, იცოცხლე, ყველა გეღლიცინება, მარა რაი მერე. ასე არ გამოვა, ვუთხარი ჩემს თავს, რაღაცა უნდა იღონო, თორემ მერე გვიან იქნება. ვაკისუბანში, ჩვენი ქუჩის ბოლოში, რკინიგზას რომ გადახვალ, სანამ საავადმყოფოსთან მიხვიდოდე, იქვე მარცხნივ ოთარ ჭუმბურიძე ცხოვრობდა. დედ-მამა ობჩაში ყავდა, თვითონ დაგირავებული ჰქონდა ერთი ოთახი და პედინსტიტუტში მუშაობდა. ახალი დამთავრებული ჰქონდა და იქვე დაეტოვებიათ ასისტენტს თუ რაღაცას ეძახიან – ის იყო მაშინ. სინაურიძის გოგოს ქორწილში შევხვდი. გამხდარი, გამხდარი, ცხვირში ლანდი გადიოდა. სახელოებზე გაცრეცილი კოსტუმი ეცვა და აქაოდა მაინც ასისტენტი ვარო, ჰალსტუხი ეკეთა. არ ჰქონდა მეტის სა-

შუალება, რა ექნებოდა პატიოსან ასისტენტს მაშინ, ჯერ ახლა რაი აქვს. საშუალო ტანის იყო, ცოტა ფეხსაც უჩიოდა, ოდნავ კოჭლობდა. სახე სანდომიანიო, რომ იტყვიან, მაგრამ ხვრინჭასავით თვალებს შეშინებულივით აცეცებდა აქეთ-იქით. მოკლედ, რომ გითხრა, შესახედავად მაინცდამაინც არ მომეწონა, მაგრამ ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ლამაზი ლაპარაკი იცოდა და რა დაგიმალო, ერთი-ორჯერ გამიცინა. ისე ალალად და საწყლად გამიცინა ამ ბიჭმა, რომ გულში ჩამრჩა, რაია ოცდაორი წლის გოგო მაინც, მეტი არაფერი. ამის მერე მხვდება ეს ჭუმბურიძე ქუჩაში, გამიცინებს, რავა ხარო, მკითხავს და ჩამივლის. სულ მეჩვენება, რომ ერიდება ჩემთან ლაპარაკს, თუ რცხვენია, რა ვიცი. საერთოდ, მორცხვი და ჩაკეტილი ბიჭი იყო, მის გვერდით გოგო არ დამინახავს. გავიდა ასე ხუთი წელი. გითხარი მისი არ იყოს, მე ოცდარვა წლის გავხდი და ოთარი ოცდათხუთმეტის (ოცდაათის იყო მაშინ, ქორწილში რომ შემხვდა). იმას თავისი ცხოვრება აქვს, მე ჩემი. წესიერად არც გვილაპარაკნია ერთმანეთთან. შეხვედრა და სალამი მეტი არაფერი ყოფილა ჩვენს შორის და მიცინის ასე ერთნაირად, ხუთი წელია. ამბავი ახლა ქუთაისში ყველამ ყველასი ყველაფერი იცის და მეც ბევრჯერ მომიკრავს ყური, რომ ოთარ ჭუმბურიძე ერთი მორცხვი და გადაუწყვეტელი ბიჭია. არც საცოლე ჰყავს. ბერდება უცოლოდ და რა ვიცი, რას იტყვის ხალხი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემო (გეჩქარება გეტყობა შენც), ერთ საღამოს, რა დამავიწყებს იმ დღეს, ოცდარვა სექტემბერი იყო, გავბედე და დავუკაკუნე კარზე ამ ჩემს ოთარ ჭუმბურიძეს. კარი ისე სწრაფად გამიღო, თითქოს ჩემს მოსვლას ელოდაო. მობრძანდიო, მითხრა, სკამი დამიდგა და თვალებში ღიმილი უდგას. მივიხედ-მოვიხედე. რა იქნება უცოლო კაცის ოთახი, ერთმანეთზე ახირხლული ჯამჯურჭელი, მტვერი ფანჯრებზე. ჭუჭყიანი ფარდები, ქალის ხელი სხვა არის მაინც ოჯახში. დავაჩერდი იატაკს და არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი: – მოვედი შენთან, სხვა გზა არ მაქვს, მიყვარხარ გაგიჟებით და უნდა შემირთო-მეთქი. რომ მახსენდება მისი სახე, სიცილს ვერ ვიკავებ, ზაფრანისფერი დაედო, მერე გაიცინა (იქნებ ხუმრობაში გავატაროო), რომ შემატყო, არ ვხუმრობდი, გაჯავრდა. რა ლაპარაკია ახლა ესო. მე მეგონა საქმეზე მოხვედიო. ამაზე დიდი საქმე რაღა იქნება, მე ვუთხარი, აქედან გამსვლელი არ ვარ, ცოლი ვარ შენი დღეიდან, არ უნდა ჭუჭყუნი ახლა ამას-მეთქი. შენ ხომ არ გაგიჟდი, გოგოვო, ვინ გასწავლა ამნაირი სისულელეო, ასე ვინ გათხოვილა ქვეყანაზეო. მაგდებს აშკარად. გავბრაზდი მეც, თავმოყვარეობა მაქვს, გოგო

ვარ ბოლოსდაბოლოს. რა მაქვს შენი დასაწუნი, შე ღვთის გლახა, მე ვუთხარი. შემოძლეულ ჭადს ძაღლი რომ არ ეტანება, ისე ხომ არაა შენი საქმე, მე ვუთხარი, ხუთი წელიწადია მიცინი და სიტყვა ვერ მითხარი. ზედ გეტყობა, რა მუჩუჩი ხარ. რა ძვირად აფასებ ამ შენს გამხმარ თავს. რითი ვარ შენზე ნაკლები-მეთქი, ვლანძღე, მოკლედ, რაც შემეძლო. იცინის. მერე მოიქექა კეფა და ჩამოხტა იშკილებიდან. ჩემი დასაწუნი რა გაქვს და კაი გოგოც ხარ, მაგრამ ჯერ ამ საქმეს დაფიქრება უნდა, რა საჩქაროა. ვნახოთ, გავიარ-გამოვიაროთ პატარა, ეგება ვერ ვეწყობით ერთმანეთსო. არაფერი გავლა-გამოვლა არ მჭირდება მე-მეთქი, მთელი ქუთაისი რომ შემოიარო, ჩემზე ცუდს ვერავინ გეტყვის, თვალში რომ ჩავუვარდე, თითს არ ამოისვამს არავინ-მეთქი. ა, მოსული ვარ ასე შენთან და მითხოვე თუ გინდივარ, თუ არა და წავალ ჩემს გზაზე-მეთქი. კი მარაო, მე რომ არ დაგხვედროდი სახლში, სხვას მიადგებოდიო? სახლიდან ხომ არ გამოუგდიხართო? კაცები მაინც ტლანქები არიან. ამდენი ვეღარ შევძელი, ნერვები აღარ მეყო, ამომიჯდა გული და დავიწყე ტირილი; სახლში რომ არ დამხვედროდი, ხვალაც შენთან მოვიდოდი, შე შტერო, ხუთი წელია, შენი ბრმა თვალები რომ ვერ ამჩნევს ვერაფერს-მეთქი. ვფსლუკუნებ. ატირდა თვითონაც. რატომ არ მითხარიო, მლმობელი გულის პატრონია ჩემი ოთია. მოკლედ, იმ ღამეს იქ დავრჩი და მეორე დღეს შევატყობინე მშობლებს. დედაჩემს და მამაჩემს სამორიგეოდ ვგონებივართ საავადმყოფოში და არც დაუწყიათ ძებნა. ის დღე და ის დღე ერთად ვართ. სამი შვილი გავზარდეთ თავი არ შეგვირცხვენია. თუ უყვარს ცოლქმარს ერთმანეთი, ჩვენც გვიყვარს, ორმოცი წელიწადია ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. აწი რაღა ღმერთი გაგვიწყრება.

მეოთხე თავი

„ნუგეშის“ რედაქტორის მისაღები

მე, პატივცემულო მწერალო, ჭიჭიკო თარგამაძე გახლავართ. 1917 წლის აპრილის ექსპედიცია გეცოდინებათ ისტორიიდან, ალბათ. არ იცით? 1917 წლის 17 აპრილს გერმანიიდან თერთმეტმა ქართველმა იარაღი ჩამოვიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დადგენილებით. ის იარაღი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უნდა მოხმარებოდა და მოხმარდა კიდეც. მე იმ ექსპედიციის მონაწილე ვარ. ისტორიული ექსპედიცია იყო ნამდვილად. ორმა მონაწილემ დაწერა მერე ამ ამბავზე მოგონებები: მიხაკო წერეთელმა და კალისტრატე სალიამ, მაგრამ მე არცერთი არ მასახელებს. არ გავახსენდით, როგორც ჩანს, ისე, როგორც მე არ მახსოვს ახლა თერთმეტივეს გვარი, შესაძლებელია, არც ჩემი გვარი სცოდნოდა მიხაკო წერეთელს მაშინ.

საქმე ასე იყო:

1917 წელია. რუსეთში თებერვლის რევოლუცია მომხდარია. რუსეთი ომს აგებს. მე ბერლინში ვცხოვრობ და მეეტლეობით ვირჩენ თავს. ჩემი ეტლი მყავს და ცხენები. საღამოსპირია. მოვიდა მელიტონ ქარცივაძე. ჭიჭიკოვო, მითხრა, ხომ გინდა საქართველოდან რუსებს რომ დოვუსვათ ღარი და აღვადგინოთ ჩვენი დამოუკიდებლობაო. მაგი ვის არ უნდა, მე ვუთხარი. თუ წამოხვალ, რომ რამე იყოს, ორი კვირით? გერმანელები იარაღს გვაძლევენ და უნდა ჩავიტანოთ საქართველოშიო. ყოყმანი არ დამიწყია. დავყაბულდი მაშინვე. სამმა კაცმა ვითავეთ ეს: გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მეო. გიორგი მაჩაბელს და მიხაკო წერეთელს არ ვიცნობდი მაშინ, მელიტონს კარგად ვიცნობდი და სამარის კარამდე ვენდობოდი.

ბერლინიდან სტამბულამდე მატარებლით, სტამბულიდან ტრაპიზონამდე გემით ჩავედით. შვიდი გერმანელი გვახლავს, დარჩეული ბიჭები.

ტრაპზონში ორ დღეს გავჩერდით. საჭმელ-სასმელი მოვიმარაგეთ, წყალქვეშა ნავი იარაღით დავტვირთეთ და ის დროა, დავემშვიდობოთ ტრაპიზონს. პირველი მელიტონ ქარცივაძე ჩავიდა წყალქვეშა ნავში. მე ბოლოს მიწევს ჩასვლა, ეკიპაჟს ვეხმარები, ღუზის ბაწრები უნდა ავსხნა. სამიოდე კაცია დარჩენილი და მიხაკო წერეთელი აწრიალდა. მივა კიბესთან, გამოტრიალდება, სხვას უთმობს ადგილს, აშკარად ჩანს, წასვლა გადაიფიქრა. რა მოგივიდაო, გიორგი მაჩაბელი ეკითხება. დამიჯერე, გიორგი, ჩემი წა-

მოსვლა არ შეიძლება. მე აქ უნდა ვიყო. ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე საქართველოს წარმომადგენელი რომ მოიკითხონ, ხომ უნდა იყოს კომიტეტიდან ვინმეო. ესეც არ იყოს, იარაღის წაღება შავი საქმეა. ამ საქმეში ჩემი ჩავარდნა არ შეიძლება. სხვა ფუნქციები მაქვს მეო. თვითონ გერმანელებმა რომ გაგვყიდონ და ფოთში თავამოყოფილებს ხიშტმოშვერილი რუსები დაგვხვდნენ, ხომ იცი, სახრჩობელა არ აგვცდებაო. გიორგი მაჩაბელმა რევოლვერი დააძრო და მშვიდად უთხრა: ახლა, მიხაკო, აქ ლაილაის დრო არ არის. ეგ, რასაც მე მეუბნები, კომიტეტზე უნდა გეთქვა. ახლა შენი დარჩენა შიშით ან გამცემლობით იქნება ახსნილი ისტორიის მიერ. მე ხომ ვიცი, შენ არც მშიშარა ხარ და არც შპიონი, ამიტომ ჩადი ახლავე ძირს, თვარა დაგათვლი ამ ტყვიებს ბეჭებზეო. სულელი ხარ შენ, მაჩაბელო. გაწიე იქით, არ გაგივარდესო, ვითომ ხუმრობით უთხრა მიხაკომ და ჩავიდა. ბარემ აქვე გეტყვი: მიხაკო წერეთელი მართალი აღმოჩნდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მომზადების დროს საქართველოს წარმომადგენელი არ ჩანდა თურმე. რუსებს საქართველო ფეხებზე ეკიდათ, გერმანელებმა არ იცოდნენ, ტაო-კლარჯეთი რომ ჩვენი მიწა იყო და რაღაი საქართველოს ინტერესებს არავინ იცავდა, თურქები არ მოიმდურეს. ასე მიისაკუთრა თურქეთმა საქართველოს უძველესი მიწა და, რაც დრო გადის, ტაოს დაბრუნება მით უფრო გაჭირდება. მითუმეტეს, რომ აგერ, ახლა, ჩვენმა ხელისუფლებამ თურქეთს ხელი მოუწერა: თქვენთან ტერიტორიული პრეტენზიები არა გვაქვსო.

ისევ წყალქვეშა ნავს დავუბრუნდეთ. ექვსი დღე-ღამე ვიცურეთ და, რავარც იქნა, ჩამოვაღწიეთ ფოთს. ფოთიდან შვიდ კილომეტრში გამთენიისას მივადექით ნაპირს. გადმოვტვირთეთ იარაღი, დავემშვიდობეთ გერმანელებს და წყალქვეშა ნავმა რომ ჩაყვინთა, ცოტა არ იყოს, შიშმა აგვიტანა. სად მიდიხარ, რას უშობი ამდენ შაშხანას, პისტოლეტს და ტყვია-წამალს.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო; ფაცხა-ფუცხით, ჭაპან-წყვეტით მივმალეთ არსენალი ლერწმიანში. ცოტა სული მოვითქვით და მოვილაპარაკეთ: სამ-სამად დაყოფილნი ახლომახლო ჩირგვებში გავნაწილებულიყავით ისე, რომ იარაღისთვის თვალი არ მოგვეშორებია. მელიტონ ქარცივაძემ და მე სოფელს მივაშურეთ, სანდო კაცი უნდა მოგვეძებნა.

სოფლის განაპირას პირველსავე ისლით დახურულ ქოხს მივადექით. ყაბალახიანი, ტყაპუჭიანი, ჭაღარაწვეროსანი კაცი გამოგვეგება. ცოტა შემკრთალი (რომ ვერ გვიცნო) ჩანდა, მაგრამ მჩატე, ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჭიშკრისკენ.

– გაგიმარჯოთ, პატენი, – გვიპასუხა სალამზე და რაკიღა შეგვატყო, მეგრელები არ ვიყავით, აქცენტიან, მაგრამ საოცრად დარბაისლურ, გამართულ ქართულზე გადავიდა.

შინ შეგვიპატიჟა, მაგრამ მელიტონმა იუარა, ცაცხვის ხის ქვეშ მივჯექით.

მასპინძელი ნიკო ხორავა აღმოჩნდა.

– ნიკო ბატონო. ჩვენ ბერლინიდან ჩამოვედით, ემიგრანტები ვართ. ახლა დროა და, ეგების, ამ ძაღლთაპირ რუსებისაგან დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა. გაიგებდით, ალბათ, ფინლანდია დაუძვრა უკვე რუსებს, დამოუკიდებელი გახდა. ასე უნდა ვქნათ ჩვენც. თუ თქვენნაირი ხალხისაგან შემწეობა იქნა-თქვა მელიტონმა.

ნიკო თავის ხელებს დასცქეროდა.

– მე პოლიტიკის ბევრი არაფერი გამეგება, მარა საქართველოსთვის, ბაბა, ამ წუთში დავდებ ამ ბებერ, გამხმარ თავს ჯირკზე. თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ და გაზომილ-აწონილიც გექნებათ, ალბათ, რანაირად აჯობებს ქვეყნის შველა. ა, ბატონო, ნიკო ხორავას მარჯვენა და მადლობელი ვიქნები, თუ მეტყვით, რა უნდა გავაკეთო მე, ასე, ერთმა, კერძო კაცმა.

– იარაღი გვაქვს ჩამოტანილი. ერთი კვირით უნდა ჩაგვამარხინო სადმე და უდარაჯო თვალისჩინივით. ერთ კვირაში მოგაკითხავენ და წაიღებენ ჩვენი ბიჭები.

– იოლი სამსახურია. ერთ კვირას თვალის მომხუჭავი და სანამ პირში სული მიდგას, თქვენი მოღალატე შეჭამოს იქეთ მამალმა მგელმა – ისე წყნარად, დამაჯერებლად გვეუბნებოდა ნიკო, რომ აშკარად ჩანდა, სიტყვის კაცი იყო.

შემოგვთავაზა; სამ-ოთხ სანდო კაცს გავაჩენ აქვეო, მაგრამ მელიტონმა უარი უთხრა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სჯობს, შენთან, ერთთან, გვქონდეს მარტო საქმეო.

დაღამებამდე ნიკოს ქოხში ვიჯექით.

კარგად რომ შებნელდა, ხორავამ გვიწინამძღვრა და შეთქმულებს ჩავაკითხეთ. იარაღი იქვე სამასიოდე მეტრში კვადაცითა და შურამია ბალახით დაბურდულ ჭალაში ჩავმარხეთ. სულ 1000 გერმანული შაშხანა იყო და 500 პისტოლეტი თავისი ოცი ყუთი ტყვიაწამლით. ჯერ ფრთებგაუმაგრებელი, მოხალისეებისაგან შეკოწიწებული ქართული ეროვნული ლაშქრისათვის ეს ცოტა არსენალი როდი იყო. იმ შაშხანებითაც ებრძოდნენ, პატივცემულო, ოცდაერთის თებერვალში ჩვენი მამაცი, პირტიტველა იუნკრები კოჯორთან მომხვდურ წითელ ჯარს, ზოგმა თქვენმა კოლეგამ „გამათავისუფლებელი“ რომ უწოდა და პოემები უძღვნა.

ერთი თვის შემდეგ ნიკო ხორავა გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მელიტონ ქარცივაძემ თამარ მეფის ორდენით დაა-ჯილდოვეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აქ-ტიური მონაწილეობისათვის. რომ იცოდე; თამარ მეფის ორდენიც დამოუკიდებლობის კომიტეტმა დაარსა ბერლინში 1915 წელს.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

* * *

ბატონო გელა

წავიკითხე იმ დღეს შენი კრიტიკოსის წერილი. ჟურნალი „ამება“, სიმართლე გითხრა, არ მაქვს გამოწერილი. გაისად უნდა გამოვი-წერო. ერთ დროს აღარ ვკითხულობდი, მე კი არა, მგონი სხვამაც დაანება თავი. ტყუილებს თხზავდნენ მწერლები. თავიდან მომწონდა კიდეც ტყუილები, ვფიქრობდი, ამ უბედურ ცხოვრებას ხომ ჩემს ქედ-კისერზე გააქვს ჭრიჭინი, ხომ ვიცი, რაში მაქვს ცხვირი წაყოფილი, წიგნებშიც რომ ეს დამიხატონ, ხომ ჩავვარდი დარდით ლოგინში, წიგნებში მაინც იყოს ლამაზი ცხოვრება-მეთქი. ხშირად, არ დაგი-მალავ, აღტაცებაშიც კი მოვსულვარ მწერლის გამომგონებლობით, საიდან მოიფიქრებდა, რანაირად, რა ჭკუა-ხერხით დახატავდა იმას, რაც სინამდვილეში არ არსებობდა. მერე და მერე მოსაწყენი გახდა ტყუილების კითხვა. ჟურნალ-გაზეთისკენ გახედვა არ გვინდოდა. ცეკვა-თამაში, ცეკვა-თამაში, ცეკვა-თამაში, ყალბი სიხარული ყველ-გან, ყველაფერში, როგორი ასატანია, მითხარით ერთი.

რას გეუბნება, შენი კრიტიკოსი, რაიო? დაანებე თავი გუშინ-დელზე წერას, ნუ ამოგაქვს არქივებიდან სისხლით დაწინწკლული ფურცლებიო. წარსულს მაინც ვეღარაფერს ვუშველით, ვის რად უნდა, გავლილი ტკივილების გახსენებაო? ჯერ ერთი, ჩვენ რომე-ლი გუშინდელი დღე ვართ, რამდენი სიცოცხლეგამწარებული, ჩემი თაობის კაცი დააბიჯებს ჯერ კიდევ ამ ქვეყანაზე. მაგ კრიტიკო-სისთვის კი, ალბათ, გუშინდელი ვარ მე, – თავთეთრა ბებერი, მაგრამ ჩემი ცოლ-შვილისთვის ვარ „გუშინდელი დღე“? სიტყვით მაინც არ უნდა გავკიცხოთ, ვინც უსამართლოდ გვდევნიდა მთელი ცხოვრება? დავივიწყოთო? კაი დასავიწყებელია ჩემმა მზემ. კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შენ ხომ მარტო ჩემი გამოსარჩლები-სთვის არ სწერ. შენ ხომ ჩვენი მაგალითის შეხსენებით გაკვეთილს აძლევ დღეისდღის ავან-ჩავანებს, – უსამართლოდ ნუ გაჯოხავთ ადამიანს, მოუარეთ ერთმანეთს ამ ოღროჩოღრო წუთისოფელშიო. ასე არ არის? იქნება ვცდები, არ არის ასე?

ათასცხრაას ოცდათერთმეტის ივლისი იწურებოდა, თექვსმეტი წლის ბიჭი ჩამოვყევი მატარებელს თბილისში. არც ბინა, არც ნათესავი. მაინც რისი იმედით მოვდიოდი, ახლა რომ დავფიქრდები, მე თვითონ მიკვირს. ქვეყნის ნახვა მინდოდა, ცხოვრებაში გამოსვლა მინდოდა. რაღაცა დიდი საქმეებისთვის მოწოდებულად მიმაჩნდა ჩემი თავი. სანამ ვჭამო დედაჩემის გამომცხვარი ჭადი-მეთქი. თბილისიდან დიდი ამბები ისმოდა, არ დავიკარგები-მეთქი, ვფიქრობდი. არ იცი ბავშვის ჭკუა?

რომ ჩავედი მატარებლიდან, მაშინ შემეშინდა, ცოტა არ იყოს. ყველა თავისთვის გაიქცა-გამოიქცა და დავრჩი ბაქანზე მარტო. საით მექნა პირი, არ ვიცოდი, რკინიგზელს ვკითხე; აქეთ ახლოს, ბიძია, რამე ქარხანა ხომ არ გეგულება-მეთქი. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელია მაგერ, პირველივე მოსახვევში, მარჯვნივო. გავუტიე იქითკენ, რასაკვირველია. „აბა, ვინ ხარ, აბა, რა გინდა, აბა, რა შეგიძლია“ და, მოკლედ, საათიც არ იყო გასული, ახლანდელი ელდეპოს მუშა-ელექტრიკოსი მერქვა. რომ შემიყვანეს გაჭვარტლულ საამქროში, გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არ შემიმჩნევია. ეს იქნება შენი სამუშაო ადგილი, ხვალ გასწავლით ყველაფერსო, ცვლის ოსტატმა, ბურჯანაძე იყო, ოქრო კაცი, აცხონოს ღმერთმა.

ესეც ასე, სამსახური მაქვს, მაგრამ ღამე სად გავათიო, ვის მივადგე კარზე? შემატყო, ხომ იცი შენ, ბურჯანაძემ ყოყმანი და მკითხა:ვ ბინის საქმე რავა გაქვს, ფირცხალაიშვილოო. უნდა ქირით დავდგე სადმე, არა მაქვს მეტი საშველი-მეთქი. ამხედ-დამხედა, შემატყო, როგორც ჩანს, ალალი ბიჭობა და, ნათელი დაადგეს, მითხრა: წამოდი ჩემთან, პატარა ქოხი მიდგას ეზოში, თუ იკადრებ, იცხოვრე შიგ. არც ქირა მინდა და არაფერიო. დავიმორცხვე და ვიუარე. დამიჯერე, ბიძია, ეს თბილისია, ნოღა არ გეგონოს, აქ რომ ხელფასს მოგცემენ, ბინის ქირად არ გეყოფა. ჯერ გაიჭირვე და მერედამერე გამართავ შენს გზას, ასე კი არ იქნები სულო.

წამიყვანა საღამოს ჩემმა ბურჯანაძემ. ფეხით ვიარეთ კაი ხანს. დასრულდა ქალაქი, კიდევ მივდივართ. მაინცდამაინც არც მომეწონა, ასე შორს რომ ნაცხოვრება, მაგრამ ამას დავეძებ? სად ჰქონდა სახლი, თუ იცი, ახლა შორი კი არა, ცენტრია მთლად. ცირკის სასტუმრო რომაა, თითქმის იმ ადგილას. მაშინ მეგონა, იმის იქეთ მამალი არ ჰყივის-მეთქი და ახლა? სად გაუტია მაინც თბილისმა.

გავკეთდი შავი დედალივით. ბინა მაქვს, ჭერი მაქვს, რა ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული-მეთქი. პირველი ღამეს სიხარულისგან თითქმის არ მეძინა. მართალია, სამსახური ძველთ-აძველ, მტვრიან და ხმაურიან ქარხანაში შემხვდა და ბინა ოთხმეტრიან მიწურ ქოხში, მაგრამ ამას დავეძებდი? ვაფრინე მეორე

დღესვე ნოღაში წერილი, ასე და ასე მოვეწყვე, ჩემი დარდი ნუღარ გექნებათ-მეთქი.

ერთი წერილი დედაჩემს მივწერე. მამა, დამავიწყდა მეთქვა, აღარ მახსოვს. ჩემს დაბადებამდე სამი თვით ადრე წასულა ამქვეყნიდან. კაკლის ტოტი ჩამოხლეჩია საწყალს და წვეტიან ქვაზე დაცემულა ფერდით. ერთი წერილი დედაჩემს გავუგზავნე და მეორე, რა დასამალია, შეყვარებული მყავდა სოფელში, ნინიკოს. ჩემი ოჯახობა გახლავს ახლაც. შევაბერდით ერთმანეთს. რა სიხარული კი ჩემს ხელში ნახა ამ საწყალმა მარა, ერთი უკმაყოფილება არ წამოცდენია, სინანული არასოდეს შემინიშნავს მის თვალებში. ოქრო ადამიანიაო, რომ იტყვიან, ისაა ნამდვილად.

თვის თავზე ჩამომაკითხა ჩემმა ნინიკომ ხის ძველთაძველი ჩემოდნით, თავსაფარში გამოკრული თერთმეტი მანეთით და პასპორტით. რომ იცოდე. რა ბედნიერები ვიყავით, რომელ ქარვასლას არ მირჩევნოდა მაშინ ის ოთხმეტრიანი მიწური.

მალე ბავშვიც შეგვეძინა და ჯემალი აკვანში მყავდა, ჩემს ქოხს დასანგრევად რომ მოადგნენ. გზას აფართოვებდნენ და ბურჯანაძის ფარღალალა სახლსაც უწევდა აღება. გამაგრდიო, მითხრა ცხონებულმა, ჩვილის პატრონი ხარ და ქუჩაში ვერ გაგაგდებენო. შენ წარმოიდგინე, დიდი „გამაგრება“ არ დამჭირვებია. ბურჯანაძეს იქვე, პეკინის დასაწყისში, მისცეს ოროთახიანი ბინა და მე მთაწმინდაზე, ბესიკის ქუჩაზე, პურის მაღაზიის ცოტა ქვემოთ, ერთი ოთახი მაღირსეს. უკანა, ზედა მხრიდან სარდაფი გახლდათ ჩემი ბინა, გამვლელ-გამომვლელების კანჭებს დაათვალიერებდი დაინტერესებული კაცი, ხოლო წინა მხრიდან, არც მეტი არც ნაკლები, მესამე სართულზე ვცხოვრობდი. ბალიშ-საბნის გარდა ყველაფერი საერთო გვქონდა მეზობლებთან და ვცხოვრობდით ისე, როგორც თბილისური ეზოები – საზამთროს ნაჭრის მოკითხვით, ნარდის კაკუნით და შეხუმრება-შექილიკებით.

ჯარში გამიწვიეს. ლენინგრადში ვიხდიდი სამსახურს. ცეკვა ვიცოდი, ჩემდა იღბლად და მაინცდამაინც არ გამჭირვებია. სამხედრო ოლქის კულტსახლის სცენაზე დავშლიგინობდი ხანჯლით და ჩოხააზიაცკებით. „ხანჯლური“ ჩემთვის სპეციალურად არავის უსწავლებია. დათიკო უშვერიძის ცეკვა ვნახე ერთადერთხელ, თოთხმეტი წლის ვიყავი მაშინ. დათიკო ქუთაისიდან სამტრედიაში იყო ჩამოსული საკონცერტოდ. ერთი ნახვით რაც დამამახსოვრდა, იმას ვცეკვავდი. ვინ მიმოწმებდა. უნდა ვთქვა, რომ მოწონდათ რუსებს ჩემი ცეკვა. ტყუილი რა საკადრისია და, ერთხელ, წაღმა-უკუღმა შემოტრიალებით ხუთი ხანჯალი რომ გავაკარი სცენის იატაკს, კულისებში გამოსულს ვიღაცამ კატეგორიული ტონით მითხრა, მომყ-

ევი, კიროვი გიხმობსო. მთავრობის ლოჟაში შესულს და მოულოდნელობისგან შეცბუნებულს, კიროვმა გვარი მკითხა, ხელი ჩამომართვა და პორტსიგარი მაჩუქა. რა ბედნიერი ვიქნებოდი, შეგიძლია წარმოიდგინო. ის პორტსიგარი კაი ხანს მქონდა, მერე იქვე, ჯარში, ჩანთიდან მომპარა ვიღაცამ. მაშინ ყველაფერს ადვილად იპარავდნენ.

ოცდაჩვიდმეტის მთავარმა ელდამ მე განზე ჩამიარა. ჯარისკაცი ვიყავი და მაინცდამაინც არ მიგრძვნია. კი, ჩვენი შემადგენლობიდანაც ბარე ორი გააქვრეს, მაგრამ ჯარში ეს მაინცდამაინც არ იგრძნობა. სხვაგან გადავიყვანეთო, გეტყვიან, მორჩა და გათავდა.

ოცდაჩვიდმეტის ბოლოს დავბრუნდი და ამიერკავკასიის სამხედრო ჰოსპიტალში გამანაწილეს რადისტად. პირდაპირ კომისარიატმა მომცა მიმართვა, „ნაპრავლენიას“ ეძახდნენ. ძალიან კი მინდოდა ვაგონშემკეთებელს დავბრუნებოდი, მაგრამ, მოგეხსენება, ჩემზე არ იყო დამოკიდებული.

ერთი წლის დაწყებული არც კი მქონდა მუშაობა, კინაღამ გამქაჩეს, მაგრამ ჩემდა იღბლად გადავრჩი. ცოტა მეც ვიმარჯვე. რანაირად მოხდა, თუ იცი? ახლა ძნელი დასაჯერებელია. რა კარგადაც უნდა მოვყვე, ტყუილი გეგონება. რაზე იჭერდნენ მაინც ხალხს, რა დრო იყო. ყველაფრის გაგება მოვახერხე ამ ქვეყანაზე და იმ რეპრესიების ვერა. რაღაცა დაემართა ერთბაშად ქვეყანას. რაღაც იდუმალმა სენმა შეიპყრო. შიშის გორგალი დაგორავდა და ბლანდავდა, ბურდავდა ყველაფერს. ჯერ თავზე შემოგეხვეოდა და მერე, თანდათან, ხელ-ფეხს შეგიკრავდა. ერთ საღამოს ხუთი ამხანაგი, ჩვენთან მუშაობდნენ ისინიც, „პატარა დუქანში“ შევიკრიბეთ. იქვე იყო, არქიელის გორაზე ჰოსპიტლის ქვევით „პატარა დუქანს“ ეძახდნენ. თითო ჭიქას ორ-ორი მოჰყვა და, რაღა დაგიმალო, შევზარხოშდით. ბუნდოვნად მახსოვს, თამადამ, სოლოლაკელი ბიჭი იყო, ჯორჯაძე, მოდი, ამ ჭიქით დიდ სტალინს გაუმარჯოსო, მეორე თუ მესამე სადღეგრძელო გვაჯახა. სტალინს რა უჭირს, ისედაც გამარჯვებულია, ჯერ, თუ ძმა ხარ, ჩვენი მშობლები ვადღეგრძელოთ-მეთქი. ვთქვი ისე, სიტყვის მასალად, ხუმრობასავით ვითომ. მაინც სტალინის სადღეგრძელო დავლიეთ, მარა ე ჩემი ნათქვამი ქე დაიმახსოვრა გლახად, რომელიღაცამ ჩვენს შორის. ხუთ კაცში ერთი შპიონი ყოველთვის არის, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და, იცოდე, საერთოდ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეორე დღესვე დამიბარეს; რავა იყო, სტალინის სადღეგრძელოზე უარი რომ თქვიო. როგორ გეკადრებათ, ბატონო-მეთქი. შენ როგორ იკადრე ასეთი რამ, თორემ ჩვენ რაც გვეკადრება, ვიცით, ნუ გეშინიაო. კეთილი ინებე და აგე პასუხი კანონის წინაშე ამ „პრავაკაციული გამოხტომისთვისო“.

პასუხისგება, ვიცოდი, რას ნიშნავდა. სისხლგამშრალი გამოველ გარეთ. იქვე გამაფრთხილეს, ქალაქიდან გასვლა არ იფიქრო, ხვალ თერთმეტ საათზე გამოცხადდი ჩვენების მისაცემადო. ჩვენების მიცემას ვინ გაცლიდა, მანამდე გიჭერდნენ, მაგრამ, ხომ გითხარი, ცოტა ჩამცხრალი იყო ოცდაჩვიდმეტის ამბები. იმ ღამესვე ჩამოვუარე ხუთივე სუფრის წევრს. არ დამლუპოთ, თუ ძმა ხარ, ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. ხომ დავლიე სტალინის სადღეგრძელო, ხომ ხართ მოწმეები-მეთქი. მეორე დღეს იმ ხუთიდან მარტო ერთი წამიდგა პირში, სანიტარი პალიკიანი, არ დაულევიაო, მაგრამ ოთხი თანამესუფრის თავგადაკლულმა მტკიცებამ – დალიაო, გააბათილა გარეწარი პალიკიანის დასმენის ბარათი. გადავრჩი, როგორც იქნა. ისე, როგორც მერე შევიტყვე, ჩემზე საქმე მაინც შედგა და მეთვალყურეობაც დაწესდა. ასე ხდება ხოლმე საერთოდ. ერთხელ თუ მიიტანეს, ეჭვი, მერე აღარ მოგეშვებიან.

გავიდა ცოტა ხანი, ომის დაწყებას ბევრი აღარაფერი აკლდა. აკლდა კი არა, ფაქტიურად დაწყებული იყო. ჩვენ ორმოცდაერთის ოცდაორი ივნისიდან ვითვლით, ჩვენ რომ დაგვარტყა დამთხვეულმა ჰიტლერმა, თორემ ისე საერთოდ მსოფლიო ომი ოცდაცხრამეტში არ დაიწყო? შენ უფრო გეცოდინება. უშუალოდ გერმანიასთან არ ვიყავით ცეცხლში ჩაბმული, მაგრამ არც ჩვენ გვეძინა ყურბალიშზე, ცოტ-ცოტა ჩვენც ვაწესრიგებდით ჩვენ-ჩვენს საზღვრებს მეზობლებთან. რა დასამალია, ასე იყო. იცოდა სტალინმა, რა ვეშაპი ქშინავდა და ავად იზმორებოდა ევროპის შუაგულში ფაშიზმის სახით.

შაბათი საღამო იყო, გუშინდელ დღესავით მახსოვს, მეზობლის სიძე შემოვიდა, ნარდი მთხოვა. კაკლის ნარდი მქონდა კარგი, სხვათაშორის, ჩემი ცოლის ნამზითვი. სომეხი ბიჭი იყო მეზობლის სიძე, რაფიელი ერქვა, რაფიკას ვეძახდით. ზედსიძედ იყო ამილახვარის ქვრივთან. ერთი გაკნაჭული გოგო ჰყავდა იმ ქვრივს და ამ რაფიკას ჭრა-კერვის კურსებზე გაეცნო. არ იყო რაფიელი ურიგო ბიჭი, ცოდოს ვერ დავიდებ. თქვენ გეცოდინებათ, რაფიკამ, ნარდი რომ გამოვუტანე, ბერიას დაჭერის ამბავი მართალია თუ არაო. ათას ცხრაასა ორმოცი წლის 11 სექტემბერს ხდება ეს ამბავი, შაბათ საღამოს. ჩემთვის საბედისწერო თარიღი რომ არ იყოს, რა დამამახსოვრებდა, სუ, თუ კაცი ხარ, არ გაიმეორო არსად, ჭორი იქნება. ვინ დაიჭერდა ბერიას, ან რას ჩაიდენდა დასაჭერს-მეთქი. რა ვიციო, ტრამვაიში ამბობდა ვიღაცა და ყური მოვკარიო. ქვეყნის პრავაკატორი და ენაჭარტალა დადიოდა მაშინ ქალაქში. რა ვიცი, იქნებ განგებ ყრიდნენ ერთი სამსახურის ბიჭები ასეთ ხმებს, აბა, ვის გაეხარდება და ვინ წამოეგება ანკესზეო. ასე იყო თუ ისე, მეო-

რე დღეს შესვენებაზე ჰოსპიტალში ერთ ცალფეხა ავადმყოფთან არ წამვარდა ეს „საიდუმლო“ ენიდან? რას მოვაყოლე, აღარც კი მახსოვს. დააჭირე ენას კბილი, არ იცი, რა დროა? ეშმაკი ჩაგისახლდება ხანდახან პირში და ენას შენდაუნებურად მოატრიალებს. რა ჭორიკანაა მაინც ხალხი, გუშინ ერთმა კაცმა ბერიას დაჭერის მითიც კი მითხრა-მეთქი. რას არ მოიგონებს, ზოგიერთის ჭკუა-გონება, რანაირ ფანტაზიას არ ჩამოქნის და ჩამოაგვირისტებს-მეთქი. როგორ არ მახსოვს, მაგრამ არ გეტყვი იმ ცალფეხას გვარს, ვისაც ვუყვები ამ ამბავს, არავის ვეუბნები. ამით ვსჯი ვითომ, ჩემი ჭკუით, უხსენებელს ვუთანასწორებ. უხსენებელია, აბა, რა არის.

დღის სამ საათზე ეს ვუთხარი იმ ცალფეხა მელაძუას და ღამის სამ საათზე დამაპატიმრეს. დანაშაული? მასის პანიკაში ჩაგდების და დემორალიზაციის მიზნით ხელმძღვანელ მუშაკთა მაკომპრომეტირებელი ჭორისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელება. მეზობლის სიძე, საწყალი რაფიკა (ომში დაიკარგა უბედური), რასაკვირველია, არ დავასახელე. ვინ გითხრაო, რომ ჩამსდიეს, ვიღაც სათვალიანი ამბობდა ტრამვაიში, სახეზე არ დავკვირვებივარ, რომ შემხვდეს, ალბათ, ვერ ვიცნობ-მეთქი. რატომ მაშინვე არ მოკიდე ყურში ხელი და არ მოათრიე ჩვენთან ის სათვალიანი, შენ თუ კაი კაცი ხარო. რატომ არ ატეხე ტრამვაიში ყვირილი და რატომ არ ამხილე პრავაკატორიო. გაჩუმდი იმიტომ, რომ გულის სიღრმეში გაგეხარდა ბერიას დაჭერაო. გული დაგწყდა, მერე მართალი რომ არ აღმოჩნდა ხალხის მტრის მონაჩმახიო. თავის მართლებისთვის პირის დაღება არ მაცალეს. სამეულმა გამასამართლა და ციმბირში მიკრეს თავი. რამდენი მომცეს, არ იკითხავ? შვიდი წელი, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, როგორც საშიშ პოლიტიკურ დამნაშავეს.

იქ რა წნეხში გამატარეს და რა ქვა მაკოდინეს, ცალკე მოსაყოლი ამბავია. იმ სიმწრის კოხს და თითების კვნეტას მიახლოვებითაც ვერ წარმოიდგენ. ერთი რამ უნდა გითხრა. რუსული წერა-კითხვა არაუშავს ვიცოდი და თუ ქაღალდის ნაგლეჯს იშოვიდა ვინმე, ჩემთან მოარბენინებდა, დამიწერე წერილი სტალინის სახელზე რომ მე, ერთგული ბოლშევიკი, უდანაშაულოდ ვიტანჯები ამ ჯურღმულებშიო. შენ წარმოიდგინე, ყველას არა, მაგრამ იმ ჩემმა დაწერილმა წერილმა სამ-ოთხ პატიმარს გაუმართლა. მოდიოდა კრემლიდან, ხომ იცი შენ, რეზოლუციები, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთო. ჩემდა წილად, ჩემს უდანაშაულობაზე, თხუთმეტი წერილი მაინც მივწერე ბელადს, მაგრამ არცერთზე პასუხი არ მომსვლია. არც არაფერში შეტყობია ჩემს ყოფას, რომ ჩემმა აჯა-მუქარამ კრემლამდე მიაღწია.

მთელი ომი კალიმაში გავატარე. ბევრი პოლიტიკური პატიმარი, მოკრავდი ალბათ ყურს, წინა ხაზზე გაგზავნეს ომის დროს, სისხ-

ლით გამოისყიდეთ დანაშაულიო. სიხარულით წავიდნენ ის უბე-დურები. ახლა კი დავუმტკიცებთ პარტიას, რომ მისი ერთგული ვიყავითო. წინა ხაზზე, განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში როგორ დღეში ჩავარდებოდნენ, მოგეხსენება. მე თოფი არ მან-დვეს, როგორც ჩანს, როგორც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს.

ომი რომ დამთავრდა, თუ გახსოვს, ცოტა აუშვეს ხელი გამწარე-ბულ-დაბრიყვებულ ხალხს, ჩვენზე, პატიმრებზე ვამბობ, და ამნის-ტია შეეხო ზოგიერთს, თუ რაღაც ამის მსგავსი. „რეაბილიტაცია“ – მაშინ ეს სიტყვა გაგონილიც არ გვქონდა. ერთი სიტყვით, სა-პატიმროებში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, თუ სამხედრო ტყვეებით შეავსეს და ჩვენ, ალაგობრივი ტყვეები, იმდენად საშიშ ხალხად აღარ ჩაგვთვალეს. ერთი სიტყვით, ვერ გეტყვით, რა მოხდა. ჩვენი ლაგერიდან ბევრი გაათავისუფლეს მაშინ. მოვიდოდა ქაღალდი და გამოგიცხადებდნენ, აბა, აიკარი გუდა-ნაბადი და ოცდაოთხ საათში დატოვე ტერიტორიაო. რითი, რა სახსრებით, რა ტრანსპორტით, რანაირად დაბრუნდები შინო, ამაზე ფიქრით არ იწუხებდნენ თავს. ზოგი შიმშილით მოკვდა ტაიგაში, ზოგი იქვე ახლომახლო სოფელში დასახლდა, უკან დაბრუნების გზა-სახსარი რომ ვერ იპოვა.

მთავრდება ორმოცდახუთი. ჩემნაირი „დამნაშავეები“ კაი ხა-ნია გარეთ არიან. მე რა ქვა გავტეხე, რატომ არ იღებთ ხმას, სანამ ვიყო აქ-მეთქი. მაშინ ასე იყო, თუ არ აფართხალდებოდი და არ შეაჩვევდი რეჟიმის უფროსს ყურს, რომ შენ ჭურში არ ზიხარ და ყველაფერი იცი, რა ხდება გარეთ, შეიძლება, არც კი გახსენებოდით. ვინ სინჯავდა შენს საბუთებს. ანეგდოტს ჰგავს ჩემი ამბავი. თურმე ორმოცდახუთის ივნისში მოვიდა ჩემი განთა-ვისუფლების ქაღალდი. კანცელარიის გოგომ სიჩქარეში ფირცხა-ლაიშვილის სახელზე მოსული ბარათი ფიცხელაურის საბუთებში ჩადო და არქივს გადასცა. ფიცხელაური იყო ჩვენთან თიანეთელი ბიჭი, თხუთმეტამდე ვიყავით სულ ქართველები. იმ ფიცხელაურს, საწყალს, ფილტვები გაუფუჭდა და ორმოცდაოთხის ბოლოს გარ-დაიცვალა. „ფირცხალაიშვილი“ – „ფიცხელაური“ მაინც ერთი გვარივითაა ბევრი აღარ უფიქრია კანცელარიის ბოზანდარა გო-გოს და მიუკრავს ჩემი განთავისუფლების ქაღალდი იმ ცხონებუ-ლის საქმეებისთვის. რომ ავტეხე განგაში, თქვენ რაღაცას მიმა-ლავთ, გამაგებინეთ რაზე, რა დანაშაულისთვის ვზივარ აქ ექვსი წელი-მეთქი. ვიღაც ღვთიან მადლიანს ამოუწევია ჩემი საბუთები, მერე ეჭვი გასჩენია, ფიცხელაურის ქაღალდებისთვისაც გადაუხე-დავს და აგერ არ არის ჩემი შეწყალების საბუთი? ასე, რომ ჯერ ხომ ისედაც უდანაშაულოდ მახეხინეს ვირის აბანო და ხუთ თვეს, შეწყალებული კაცი, ზედმეტად გამაჩერეს. ჩუმად რომ ვყოფილი-

ყავი, ვინ იცის, რამდენ ხანს ჩამიხუტებდნენ გულში. ბოდიში არ მოუხდია, ნუ გეშინია, ლაგერის უფროსს – ხომენკოს და ვერც გაწითლება შევატყვე სირცხვილისაგან.

თავისუფალი ვარ! ოთხივე კუთხივ გზა ხსნილი გაქვს, წადი, სადაც გინდა. ერთი სული მაქვს ჩემი ცოლ-შვილის ნახვის. ჯემალი სამი წლის დავტოვე, ახლა ცხრა წლის კაცი იქნება. ფეხითაც რომ მომიწიოს თბილისში ჩასვლა, უნდა წავიდე.

რაც მე ჩამოსვლაზე დღე დამადგა. თვენახევარი ვიყავი გზაში, დამიჯერებ? ჯერ ფეხით გამოვაღწიე ტაიგას, ნოემბერი შუა ზამთარია ციმბირში. მერე ხან ბადრაგით, ხან დროგ-ცხენით, ხან შტუდბეკერით ჩამოვირკუტსკდი. ირკუტსკში მატარებელზე ასვლა ზღაპარი იყო. სპეცმატარებლები დადიოდა, ისიც კვირაში ორჯერ და საშვებით იყო ასვლა, მაშინ ქვეყანა გზაში იყო, მოგეხსენება. ყველა თავის ბუდეში ბრუნდებოდა და პირველ რიგში მანჯურიიდან და იაპონიიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს აბრუნებდნენ.

ოთხმოც კილომეტრზე გამოვცდი ირკუტსკს. იქ ერთი პატარა სტანიცაა ტაპონარა. მატარებელი გაჩერებით არ ჩერდებოდა, მაგრამ მოსახვევი იყო და სვლას უნელებდა. ორი კვირა ქვებით სავსე ტომრით დავრბოდი, გიჟივით, სოფელში, რომ იმდენად მაინც გამემაგრებინა მუხლები, მატარებელზე ბარგით ახტომა რომ შემძლებოდა. ეს ჩემით მოვიფიქრე. გაამართლა, ხომ იცი, ამ ხერხმა. როგორც იქნა, მეშვიდე თუ მეცხრე ცდაზე შევახტი მატარებელს და ბევრი მიჩაჩქუნა თავში „პრავადნიკმა“, მაგრამ, რომ ჩავებღაუჭე ხელ-კბილით სახელურს, სიკვდილი ვიღირსიე და არ მოვეშვი.

ჩამოვედი, როგორც მხედავ, მერე დავამთავრე დაუსწრებლად უნივერსიტეტი და შარშან გავედი პენსიაზე. ორმოცდაორი წელი მოვათიე სკოლაში მასწავლებლად, ჯერ კიდევ შემეძლო მუშაობა, მაგრამ თვალებმა მიმტყუნა და აღარ მივეძალე. დავისვენებ ცოტას.

ამნაირი დღეები გამოვიარე, ძმისშვილო, მე, და წეღან შენ რომ ჰყვიროდი, ილიას იუბილეზე მოსაწვევი არ მომცესო, გიყურებდი და მეცინებოდა. ისე სასოწარკვეთილი სახე გქონდა და ისე გულმოსულად გადი-გამოდიოდი, კაცს ეგონებოდა, ცა დაგექცაო.

არა, არა, სხვა თაობა ხართ, სხვა ხალხი ხართ ნამდვილად, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ.

* * *

მე ვარ ერმალო კვაშალი. ჩემს ბოლო პასპორტს თუ დავუჯერებთ, ას წლამდე ორი თვეღა დამრჩა. თუ შემასრულებინა გამჩენმა ასი, ხომ კარგი და კეთილი; თუ მანამდე მიმიღო უფალმა,

მაინც ვერ დავემდურები. მართალია, მძიმე ცხოვრება მქონდა, ფათერაკიან გზებზე მატარა ჩემმა ბედმა, მაგრამ ას წელიწადს რომ მაყურებინა ამ ქვეყნისთვის, პატარა საქმეა? ვინ დაგიჯერებს, თორემ ას წელს გადაცილებული ვარ ნამდვილად. ოზურგეთის იმ პატარა სოფელში (საჩხართვე იქნება გაგიგონიათ), სადაც მე გასულ საუკუნეში დავიბადე, ეკლესია არ იყო. სამრევლო სამსახურით საჩხართვედან თვრამეტ ვერსზე, წმინდა გიორგის ტაძარს ვეკუთვნოდით. სიშორის გამო ღვთისმსახურებას შედარებით მოწყვეტილი ვიყავით. შობა-აღდგომის წირვაზე თუ ჩავიდოდნენ ჩვენები, თორემ სხვა დროს იქ მისვლით არ იკლავდნენ თავს. ბავშვს სამოოთხი წელი რომ შეუსრულდებოდა, მაშინ წაიყვანდნენ მოსანათლავად და მღვდელიც, როგორც ახალდაბადებულს, მონათვლის დღიდან გაატარებდა დავთარში. ასე რომ, ჩემი ვარაუდით, სამი წლით მაინც, უფროსი უნდა ვიყო იმაზე, რაც ქაღალდებში მიწერია, მაგრამ, ვთქვი, მისი არ იყოს, ახლა ამას ვინ დაგიჯერებს. მოწმეები – დედაჩემი და მამაჩემი და, რა კითხვა უნდა, ის მღვდელიც, მე რომ მომნათლა, კარგა ხანია მიწაში წვანან.

ამ სიტყვებს ჩემი ბადიშის ბადიშს, ფერშალ ცირუნიას ვკარნახობ. წერა-კითხვა როგორ არ ვიცი, მარა თვალისჩინი აღარა მაქვს. ჩაიწერს ცირუნია და მერე წამიკითხავს. თუ მომეწონა, ესეიგი თუ სწორად ჩაუწერია ამ ძღაბს, რაც ვილაპარაკე, ხელს მოვაწერ და თბილისში ხელნაწერების მუზეუმში გავაგზავნინებ. ხელნაწერებს ყიდულობენო, ვიღაცამ მითხრა. მე, ბატონო, ამ ხელნაწერებში კაპიკი არ მინდა. თუ სადმე გამოუძებნიან პაწაწკინტელა ადგილს და შეჩურთავენ, სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები. მე, შეიძლება, არავინ არ ვარ და ჩემი ცხოვრება რა სამაგალითოა, მაგრამ ეგებ მოხვდეს ხელში როცა იქნება, და უბრალო კაცის მოგონებითაც დაინტერესდეს. ჩემნაირები იკარგებიან უკვალოდ, თორემ დიდი პიროვნებების, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. მთლად ჩემი ბრალიც არ არის, ცირუნიას საქმე რომ გავუჩინე. სოფელმა შემაგულიანა. უკარნახე და ჩააწერინე, რატომ უნდა დაიკარგოს, შენი ამბავიც იცოდეს ქვეყანამო. გადავდევი, გადავდევი ეს საქმე და ამ დილით, ნამეტანი რომ შემაქანავა წნევამ, ალბათ, მივყავარ გამჩენს-მეთქი და ცირუნიას ვუხმე. ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს. ნელა და მოკლედ მოვუყვები. ჩქარა რომ ვილაპარაკო, ჯერ ერთი, მალე დავიღლები და მეორეც, ჩაწერას ვერ მოასწრებს.

სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დავამთავრე. სასწავლებელი არც ერქვა. ნადეკანოზარ შამშე ლომჯარიას თავის ოდაში უფასო სკოლა ჰქონდა გახსნილი, შვიდიოდე ბავშვს გვამეცადინებდა. თან რომ გადაკვდომოდი, სასყიდელს არ გამოგართმევდა. რამდენ-

ჯერ მინახავს, კეტით რომ გამოკიდებია ეზოში ბათმანი ლობიოთი და მხარზე შეგდებული თიკნით შესულ მშობელს. „რას ჰქვია, ვინ გგონივარ, წერა-კითხვის სწავლებაში ხელი მევითბო და ისედაც გაჭირვებულ გლეხს ლუკმა გავუყო, რა შემატყვე ამისთანაო!“

ლომჯარიას სკოლა რომ გავათავე, მამაჩემმა ჩემი სწავლა-განათლება მოსტუმრებულად ჩათვალა, თოხი მომცა ხელში და წინ გამიძღოლა. ვიღას დავუმალო, ვერ გამოვდექი კარგი მუშა მაინც-დამაინც. ჯერ ერთი, ბავშვი ვიყავი და არაქათი ჩქარა მეცლებოდა, მეორეც, არ ვიყავი, საერთოდ, მთლად ჯანმრთელი. სუსტი ბავშვები ბუნებით ხომ იბადებიან. თორმეტის რომ შევსრულდი, ოზურგეთში ჩამიყვანეს და ვაჭარ როყვას მიმაბარეს დუქნის ბიჭად, ნოქრის დამხმარედ. მაშინდელი დუქნები, ახლა რომ მაღაზიები იცით თქვენ დახლით და ვიტრინებით გაწყობილი, ასეთი კი არ იყო. დუქანი ერქვა და ფაქტიურად სასურსათო მაღაზიაც იყო, სასადილოც და თუ გნებავს, სასტუმროც. გზაზე შეგვიანებულ ორ-სამ კაცს ყოველთვის შეეძლო ღამის გათევა. მყიდველი რომ შემოვიდოდა, იტყოდა, რაც უნდოდა, მედუქნე მე მიბრძანებდა, გავვარდებოდი მეორე ოთახში და გამოვურბენინებდი, თუ გვქონდა, რასაკვირველია. ეს ვიტრინები და გაფორმებული დახლები მერე შემოვიდა მოდაში, მე მგონი, პირველი ომი რომ გათავდა, მას მერე.

ერთხელ, გუშინდელივით მახსოვს, აპრილი იწურებოდა, ჩვენს დუქანში ღამე გაათია რევოლუციონერმა დოროთე ჟღენტმა. თვითონ მითხრა: პარტიული ვარ, დოროთე ჟღენტი, რევოლუციის სამსახურში ვდგავარ და სადმე მოჩუმათებულში გამიშალე სუფრა, ჩემი აქ ყოფნა არავინ გაიგოს, თვარა ცხელი ტყვია არ აგცდებაო. ნაბდიანი, საშუალო ტანის, შავწვერულვაშიანი კაცი იყო, ოცდაოთხში დახვრიტეს საწყალი. მედუქნე, ჩემდა იღბლად, ბათუმში საქონლის ჩამოსატანად იყო წასული და მარტო ვიყავი დუქანში. შეცბუნება რომ შემატყო, ცხვირ-პირზე ხელი ჩამომისვა და ღიმილით მითხრა: „არ შეგეშინდეს, არაფერს გერჩი, შენისთანა გაღლეტილების გასამდიდრებლად ვიბრძვი და ვქიჩმაჩობ მეო“. საწოლ ოთახში შევიყვანე. მე ვუთხარი: ეს ჩემი აღას საწოლია და მოისვენე. მეც, გული რომ დამშვიდებული გქონდეს, აგერ დავწვები წკნელის ტახტზე, თუ ნებას მომცემ-მეთქი. მე და მედუქნეს, ჭანია იყო, სენაკელი, ერთ ოთახში გვეძინა.

რომ არ გავაგრძელო, იმ ღამეს ბევრ რამეზე ამიხილა თვალი რევოლუციის კაცმა. გამარკვია, რა უჭირდა ყაზახს და რას ქადაგებდა მარქსიზმი. სხვათაშორის ილია ჭავჭავაძის სახელიც პირველად გავიგონე მაშინ ჟღენტის პირიდან. ილიას საქართველოსთვის გლახა კი არ უნდა, მარა არ ესმის პროლეტარიატის ბრძოლის საქმეო. მა-

გას ჰგონია, ქვეყნის გათავისუფლება რუს მუშასთან კავშირის გარეშე შეიძლებაო. შეგვაწუხა პირდაპირ, ხელს გვიშლის მუშაობაშიო. გითხრა სიმართლე, ჟღენტის ნათქვამიდან გამომდინარე, მეც ქე დამწყდა გული იმ ღამეს ილიაზე. რა მესმოდა უტუ ბავშვს. მერეც, პარტიული რომ გავხდი, კაი ხანს ვიყავი ჟღენტის და მისთანების აზრის ტყვეობაში, ილიას სიბრძნეს სანამ ჩავწვდებოდით, ბარე ოცდაათი წელი (თუ მეტი არა) დაგვჭირდა. იმღამინდელმა ჩვენმა სერობამ ის შედეგი მოიტანა, რომ ორი კვირის თავზე რსდმ პარტიის წევრი გავხდი. მაშინ პარტიის წევრობა მარტო სურვილის მიხედვითაც არ იყო. ერთ-ორ დავალებას მოგცემდნენ, გაგესაუბრებოდნენ, ცოტა გასაწევრიანებელ თანხასაც გამოგართმევდნენ და პირობას ჩამოგართმევდნენ, რომ ცოცხალი თავით აგებდი პასუხს პარტიის საიდუმლოს გაცემაზე. იმ სამ კაცს, 11 მაისს ოზურგეთის ერთ მიტოვებულ ფაცხაში რომ მიმიღეს პარტიაში, მერე, ვერ დავმალავ, აღარსად შევხვედრირვარ. მარტო ჟღენტი მოდიოდა ჩემთან და შუაღამეგადასულზე ოზურგეთის რამდენიმე ადგილას პროკლამაციებს მაყრევინებდა. ერთ-ორჯერ ზედ პოლიციის კანტორის ეზოში ჩავფანტე. კაციშვილს არ გაუგია მეორე დღემდე.

ნასაკირალი, რევოლუციის დამარცხება, ალიხანოვ-ავარსკის მათრახები გამოვიარე და ათას ცხრაას ცხრა წელს თბილისში ჩამოვედი. თბილისში ჩემს ჩამოსვლას ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, ჯარში გაწვევას გამოვექეცი, ნამეტანი დამსდევდნენ, დეზერტირად ვიყავი გამოცხადებული და ოზურგეთ-ბათუმში გაფაციცებით დამეძებდნენ. ვიფიქრე, თბილისში უფრო დავიმალები-მეთქი. საღსალამათი ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა იმპერიის სალდათის ჩექმის ჩაცმა. მეორეც, მინდოდა ჩემი თავი რევოლუციურ მუშაობაში უფრო მეტად გამომეცადა. თბილისში ჟღენტის სარეკომენდაციო წერილით ჩამოვედი და ტრამვაის დეპოს სოციალ-დემოკრატიულ უჯრედს მივაკითხე. მაშინ უკვე გათიშული იყო პარტია ბოლშევიკებად და მენშევიკებად: მახსოვს, შალისკიტელიანმა, დაბალმა კაცმა (თუ არ ვცდები, ბუცხრიკიძე იყო გვარად) მთელი საათი არკვია ჩემი „პოზიცია“, პარტიულ საკითხში. მაშინ „პოზიციას“ ეძახდნენ. ახლა არ ვიცი, ეგებ სხვანაირად გამოითქმის. ვის მხარეზე ხარ, ბოლშევიკების თუ მენშევიკებისო. ვინც კარგად წაიყვანს მუშაკაცის საქმეს, იმის მხარეს ვარ, ჩემთვის სულერთია, ორივე ჩემი ძმებია-მეთქი. ასე შუაში არ ივარგებს ყოფნა, ან იქეთ უნდა იყო, ან აქეთო. რა იყო, რა ვერ გაიყვეს, რაზე ჭამენ ერთმანეთს, ამიხსენი ერთი კაცურად-მეთქი. მთლად გასაგებად ვერ ამიხსნა, მაგრამ რაღაცრაღაცებს მაინც ჩამახვედრა და, რაკი თვითონ ბოლშევიკი იყო, მირჩია, ბოლშევიკებთან ვყოფილიყავი. მეც საწინააღმდეგო

არაფერი მქონდა. ისე, რომ შერიგდებოდეთ, უკეთესია-მეთქი. ჩემთვის ჩავილაპარაკე, ბუცხრიკიძეს რომ ვშორდებოდი, შევატყვე, შერიგება ჩემი საქმე ხომ არ იყო და არ იყო, არც ბუცხრიკიძეს ეკითხებოდა მაინცდამაინც.

ვმუშაობდი ბოლშევიკებთან, მაგრამ ნოე ჟორდანიას, ჭოლა ლომთათიძის, კარლო ჩხეიძის, ისიდორე რამიშვილის და სხვების მიმართ პატივისცემა გულში მაინც მქონდა, არ დაგიმალავ. ყველა კრებაზე ვთათხავდით მენშევიკებს. მე ბევრი არაფერი მესმოდა ამ პლათფორმობიის. ჩემნაირი გაურკვეველი არაერთი იყო მაშინ პარტიაში. ადრე ოზურგეთში და ბათუმში მოსმენილი მქონდა ზემოთჩამოთვლილი პირების გამოსვლები და, გითხრა სიმართლე, ძალიან მომწონდა. მოგვიანებით, 1913 წელს, თბილისში ლექციების წასაკითხად ჩამოსულ კარლო ჩხეიძეს და ალექსანდრე კერენსკის ერთად რომ მოვუსმინე, თუმცა დავალებული მქონდა მეყვირა: „ხალხის მოღალატეები ხართ, გვატყუებთ-მეთქი“, მაგრამ ისე ლამაზად ილაპარაკა ორივემ, ხმა ვერ ამოვიღე და უჯრედში ამის გამო საყვედურიც შემხვდა. სხვათაშორის, კერენსკი მეორეჯერ 1926 წელს ვნახე პარიზში პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, საწყალი კარლო ჩხეიძის დაკრძალვაზე. გეცოდინებათ, ალბათ. რომ კარლო ჩხეიძემ სამართებლით ყელი გამოიჭრა პარიზში და ამით დაამთავრა თავისი გაუხარელი სიცოცხლე.

შევისვენოთ და ნასადილევს განვაგრძოთ ცირუნია. გატყობ, დაიღალე, მთქნარებას მოუხშირე.

ათას ცხრაას თოთხმეტი წლის მარტში დეპოს მუშებმა გაფიცვა გამოვაცხადეთ. გაფიცვის ხელმძღვანელობა ხუთ კაცს გვქონდა დავალებული. იმ ხუთში მეც ვერიე. სამ დღეს ვიყავით გაფიცულები. მერე ნაძალადევში დემონსტრაცია მოვაწყვეთ და პოლიციასთან შეტაკება მოგვიხდა. კაცი არ მომკვდარა, მაგრამ მაინც კარგა მაგარი შეხლა-შემოხლა იყო. მუშებმა ვიმარჯვეთ და ბარე ორ პოლიციელს უკანალზე ვურტყით მათთვისვე წართმეული მათრახები. იმ საღამოსვე გამომეცხადა სამი ჟანდარმი სახლში. დამავიწყდა მეთქვა, რომ 1911 წელს ცოლი შევირთე და ამ დროისათვის ორი წლის ბიჭი მყავდა. გულდაგულ გაჩხრიკეს ჩემი ბინა. პროკლამაციები და ლენინის „ორი ტაქტიკა“ მიპოვეს, დამაპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩამაყუდეს. ორ თვეს იძიეს ჩემი საქმე, მაისის ბოლოს გამასამართლეს. სტავროპოლის ოლქში ხუთი წლით გასახლება მომისაჯეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მარტო ცხოვრება. სტავროპოლში ჩაყვანიდან მეოთხე დღეს გავიქეცი. სხვათაშორის, სანამ სოფელში ჩამიყვანდნენ, მანამდე მოვასწარი გაქცევა პატიმრების გამანაწილებელი პუნქტიდან. მაშინ საპატიმ-

როდან გაქცევა, ახლანდელთან შედარებით, გაცილებით უფრო ადვილი იყო. როსტოვში ჩამოვედი, როსტოვიდან ასტრახანში, ასტრახანიდან ორ რევოლუციონერ მუშას ბაქოში წავყევი, იქ ცოტა წავიმუშავე სხვისი გვარით და ნოემბერი ახალი დაწყებული იყო, შუაღამისას, ჩემი სახლის კარს რომ მივუკაკუნე. ცოლი სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა. მეორე დღეს სოლოლაკში დავიქირავე პატარა ნახევრად სარდაფი, ჩემი ოთახნახევრიანი ფაცხა ნაძალადევში დროებით მივაკეტე და ცოლ-შვილი სოლოლაკში გადავიყვანე. ტრამვაის დეპოს, რასაკვირველია, აღარ გავკარებივარ. კაზარიანის სახერხში დავიწყე მუშაობა, რა თქმა უნდა, სხვისი გვარით. თუ ძალიან გაინტერესებს, ბაჯელიძე მეწერა ქაღალდებში.

ამასობაში ათას ცხრაას ჩვიდმეტიც მოვიდა.

რევოლუციის მოხდენაში დიდი მონაწილეობა მივიღე-მეთქი, რომ გითხრა, არ იქნება მართალი. სხვათაშორის, ჩვენთან ჩვიდმეტი წლის თებერვლიდან მოყოლებული არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო. მე კრება-მიტინგს არ ვაცდენდი, მაგრამ დიდი რიარიის და ჯანყის მაინცდამაინც არაფერი შემიმჩნევია. დაბნეულობა იგრძნობოდა. საერთოდ, ერთმანეთს წაეწყო მეფის გადადგომა, დროებითი მთავრობის დადგომა და მერე დროებითი მთავრობის ჩამოგდება. რევოლუცია, ფაქტიურად, პეტერბურგში მოხდა და მართალია გალაკტიონი, რომელსაც, როგორც მითხრეს, ერთ ლექსში უწერია, ჩვენ ოქტომბერი დეპეშით მივიღეთო. მე თვითონ, ვერ მოგატყუებთ, ის ლექსი არ წამიკითხავს.

ნარევოლუციებზე დავიბრუნე ჩემი გვარი – კვაშალი და ისევ დეპოს მივაშურე. გადაქექ-გადმოქექეს ჩემი საბუთები და დეპოს საქმიანი კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს, დაახლოებით, ახლა ადგილკომის თავმჯდომარე რომ ჰქვია, იმას უდრიდა.

სამმა წელმა სამ დღესავით გაირბინა. ამ სამ წელიწადში დამოუკიდებელი საქართველო, მენშევიკური მთავრობის მეცადინეობით, ცნო ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, მე მგონია, იტალიამ და ჰოლანდიამაც. წითელ რუსეთში მენშევიკების მთავრობამ გრიგოლ ურატაძის მეთაურობით დელეგაცია გაგზავნა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1920 წლის შვიდ მაისს ხელშეკრულება დაიდო რუსეთს და საქართველოს შორის. წითელი რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან კეთილ მეზობლობას, შინაურ საქმეებში ჩაურევლობასაც კისრულობდა. ერთი წელიც არ გასულა იმ ხელშეკრულების დადებიდან 1921 წლის ოცდახუთ თებერვლამდე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი მეთერთმეტე არმიის შემოსვლა თბილისში.

ხალხი ჭრელია. არც მთლად ისე იყო, როგორც წიგნებში გიწერიათ, საქართველო ტაშით და სიმღერით შეეგება „გამათავისუფლებ-

ელ“ მეთერთმეტე არმიასო და არც ისე იყო, გაქცეული მენშევიკები ფრანგულ გაზეთებში რომ სწერდნენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ ქართველები მეთერთმეტე არმიის ნაწილებსო. ცოდვას ვერ დავიდებ, გასაბჭოებას ჩვენში მომხრეებიც ბევრი ჰყავდა.

მერე ის იყო, ოცდაერთი წლის ივნისში საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ერთ კომისარს გამოსვლის დროს ვკითხე, როგორც იქნება საქართველოს მომავლის საქმე-მეთქი. ის, რაც აქ მოხდა, ხელშეკრულების დარღვევას ხომ არ ჰგავდა-მეთქი. ცოტა არ იყოს, დაბნეულად მიპასუხა: „ძალიან ჩამორჩენილხართ, ამხანაგო კვაშალო. მეთერთმეტე არმიის შემოსვლა თქვენი თხოვნით მოხდა. წითელმა რუსეთმა თქვენ უცხოეთის ინტერვენციისაგან გადაგარჩინათო“. არ შევკამათებივარ. „თხოვნაზე“ მე ჩემი აზრი მქონდა, მაგრამ ეს შეკითხვაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მესამე დღეს დავეჭირეთ. დამაპატიმრეს შუაღამისას. ნიკოლოზის პოლიციას მე მგონია, ასე ზუსტად განსაზღვრული დრო არ ჰქონდა დაპატიმრებისათვის. არ ვიცი, გითხარი თუ არა, 1914 წელს ჟანდარმერიამ საღამოს ექვს საათზე ამიყვანა. ოცდაერთწლიდან მოყოლებული შუაღამეგადასულზე ჩხრეკა-დაპატიმრება, ჩანს, უფრო მოხერხებულ დროდ იქნა მიჩნეული. როგორც მითხრეს, ოცდაჩვიდმეტშიც „ხალხის მტრებს“, ძირითადად, ნაშუაღამევს ესტუმრებოდნენ წასაყვანად.

იმ ხანებში პოლიტიკურად არასაიმედო პირებს ციმბირში აღარ ასახლებდნენ. გაციმბირება მეფის რუსეთის მავნე პრაქტიკად იყო მიჩნეული. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ, იქნება არც კი დაიჯეროთ, მე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების არაკეთილმოსურნე, ევროპაში გამასახლეს. თავდაპირველად ჰოლანდიაში ამოვყავი თავი. უპასპორტო და უპატრონო კაცის ამბავი მოგეხსენებათ. ყველაფერი ჩამომართვეს და ერთადერთი ცნობა ჩამიდეს ჯიბეში. იმ ცნობაზე ეწერა, რომ მე ჩემი სურვილით მივდიოდი ევროპაში მუდმივ საცხოვრებლად. ვიჩოჩე, ვიჯახირე, და ეგრეთწოდებულ ქართულ ემიგრაციულ მთავრობასთან – ნოე ჟორდანიასთან მივიტანე თავი.

დიდი სიყვარულით არ შემხვედრიან გაქცეული მთავრობის წევრები, მაგრამ, როგორც ემიგრანტი და სოციალ-დემოკრატი, შემიფარეს და უფლება მომცეს, პარტიის კრებებს დავსწრებოდი.

მუშაობა დავიწყე „სიტროენის“ საავტომობილო ქარხანაში და კვირაში ერთ დღეს, ხან ლევილში და ხან პარიზში, ქართველებთან ვატარებდი.

მე სიმართლის თქმა მიყვარს და პირდაპირ უნდა გითხრა, რომ რაც უნიათობა და დაბნეულობა აქ ეტყობოდა ჟორდანიას მთავ-

რობას, ის გადაჰყვა პარიზშიც. რვა საათს მიდიოდა ხანდახან კამათი იმის შესახებ, სწორად მოიქცნენ თუ არა, რომ გამოიქცნენ და რა უნდა ეღონათ მომავალში, რათა ავტორიტეტი ევროპის მთავრობათა წევრებს თვალში მაინც აღედგინათ. დიდი თეორეტიკოსი არ გახლდით, მაგრამ მეც ვგრძნობდი, რომ ვერც თავის დროზე გამოიჩინეს მენშევიკებმა გამჭრიახობა. პირველ რიგში საზღვრები უნდა გაემაგრებინათ და გადაჭრით უნდა დადგომოდნენ ერთ ხაზს – ან ევროპა, ან წითელი რუსეთი. ორი კურდღლის ერთდროულად გამოდევნება ხეირს რომ არ დააყრიდათ, უნდა სცოდნოდათ. ლენინის მთავრობამ მათი ყალბი ღიმილი არ დაიჯერა და არც ევროპამ გამოიღო ხელი საქართველოს გულში ჩასახუტებლად.

რაც ახლა მენშევიკების შეცდომებზე გითხარი, დაახლოვებით ასე, უფრო ვრცლად და დასაბუთებულად, მივწერე ჩემს დეპოელ ძმაკაცს სილიბისტრო კანკიას. ცოლ-შვილს წერილს, მიხვდები, რატომაც არა ვწერდი. წერილი პარიზიდან საკონსულოს თანამშრომელს – მირმაჩს გავატანე, თავის საქმეებზე მიდიოდა მოსკოვში და ვთხოვე, საფოსტო ყუთში ჩაეგდო, რადგანაც პარიზიდან საქართველოში წერილის ჩასვლის იმედი მაინცდამაინც არ მქონდა.

ამ ამბიდან ოთხი თვეც არ იყო გასული, რომ ჟორდანიამ დამიბარა ათას ცხრაას ოცდაექვსი წელია. რიცხვს ვერ გეტყვი, სანამ ჟორდანიასთან მივიდოდი, ჩვენი კანტორის ეზოში ქართველებს მოვკარი თვალი. დამინახეს თუ არა, ყველამ ზურგი შემაქცია, ფარცაგი რამაა ჩემს თავზე-მეთქი, გავიფიქრე. შემიყვანეს სათათბირო ოთახში, ვზივართ. ხმას არავინ მცემს.

შემოვიდა ნოე და ქართულ გაზეთი „კომუნისტი“ ააფრიალა. სამწუხაროდ, ბატონებო, ჩვენს შორის გამცემი აღმოჩნდაო. მოქალაქე კვაშალის წერილია „კომუნისტში“ გამოქვეყნებული და სანამ წაგიკითხავდეთ, უნდა გითხრათ, რომ ბეც, უჭკუო პოლიტიკოსად ვარ გამოყვანილი მე პირადად და არც თქვენ, ჩემი მთავრობის წევრებს გადგათ კარგი დღეო. აფერუმ ბოლშევიკებს, ჩემს კაბინეტშიც რომ ჰყოლიათ კორესპონდენტი კვაშალის სახითო. ელდისა და სიბრაზისაგან პირი გამიშრა. მერე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა სილიბისტრო კანკიასადმი მიწერილი ჩემი წერილი. როგორც შემდეგ გაირკვა, სილიბისტრომდე ჩემს წერილს არც კი მიეღწია, პირდაპირ „კომუნისტის“ გვერდზე მოხვედრილიყო. ერთი წლის მერე პარიზში მობრუნებულ მირმაჩსაც ვკითხე, მაგრამ, შვილები იფიცა, როგორც დამავალე, საფოსტო ყუთში ჩავაგდეო. იქნებ მართლაც ჩააგდო. იმ პერიოდში ჩეკა ფოსტით ძალიან იყო დაინტერესებული.

წაიკითხა ჟორდანიამ „კომუნისტი“ და მე ბევრი არ მალაპარაკეს, იქვე დაადგინეს პარტიიდან ჩემი გარიცხვა, ქართველთა

სათვისტომოდან მოკვეთა და „სიტროენიდან“ (იქაც ნ. ჟორდანიას რეკომენდაციით მიმიღეს) დათხოვნა. რაშიც ჟორდანიას არ ეთანხმებოდი, აქვე გეთქვა, „კომუნისტს“ რომ კორესპონდენციას უგზავნიდიო, იმ დარბაზში ჩემმა ყველაზე ახლობელმა ხომერიკმაც კი გამკიცხა საჯაროდ.

დაგიმტკიცებთ, რომ მე არ ვარ ის კაცი, თქვენ რომ გეჩვენებითმეთქი, მაგრამ ყურად არავინ იღო ჩემი ნათქვამი. წამოვედი. მუშაობა დავიწყე უნივერმაღ „სამარიტენში“ და მართალია, ეკონომიურად ცოტა მოვმაგრდი, მაგრამ ქართულ ემიგრაციასთან ჩემი კატათაგვური დამოკიდებულებმა გულს მიღრღნიდა.

სამი-ოთხი წლის შემდეგ თითქოსდა ნელ-ნელა შემირიგეს. მესალმებოდნენ, შინაც მპატიჟებდნენ, მაგრამ კრებებზე არ მასწრებდნენ და პარტიაში აღდგენაზე ჩემს მოკრძალებულ თხოვნასაც წაუყრუეს. მეც აღარ მივძალებივარ.

ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის ოქტომბერში დავბრუნდი თბილისში. ჩემს დაბრუნებაში პარიზის საელჩოს მაშინდელმა თანამშრომელმა თავაძემ დიდი როლი ითამაშა. თვითონ მომძებნა. თურმე ჩემი მდგომარეობა გაეკითხ-გამოეკითხა. ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე შენ აქ ომის განმავლობაში არაფერი დანაშაული ჩაგიდენია, მეორეც, შენი ნებით არ წამოსულხარ, გადმოგასახლეს, მესამე, ჟორდანიასთან შენი ურთიერთობის შესახებ ჩეკაში, ალბათ, ყველაფერი ეცოდინებათ. წადი საქართველოში, რას უდგეხარ აქ, ცოლ-შვილი მაინც არ მოგენატრაო?

თავაძეს სიტყვის დამთავრებაც არ ვაცალე. საქართველოში დაბრუნებაზე ტაშისკვრით დავთანხმდი. ოღონდ მერე, წამოსვლისას, გულში არ დავიტოვე და მაინც ვუთხარი – ოცდაერთში ერთ დიდ კაცთან ასე და ასე, პატარა შელაპარაკება მომივიდა და როგორ ფიქრობ, ხომ არ ემახსოვრება-მეთქი. გაეცინა. იგი ახლა კინაღამ ისტორიის საჭესთან დგას და როგორ ფიქრობ, ოცდახუთი წლის წინათ ვიღაც კვაშალმა რომ შეკითხვა მისცა, ის ექნება გულში ჩარჩენილიო? ასეთი მიამიტი როგორა ხარ, კვაშალი კი არა, საერთოდ საქართველოს თუ ახსოვს, იმაზეც მადლობელი ვიყოთო.

დაიმედებული და დამშვიდებული ჩამოვედი თბილისში. ოცდაოთხი წლის უნახავი ცოლ-შვილის ნახვა რას დამმართებდა ან მე და ან იმათ, წარმოიდგენ. სამი დღე ვტიროდით. ცოლი გაჭაღარავებულიყო, ოცდათხუთმეტი წლის ბიჭმა მშვენიერი ცოლი და ორი შვილიშვილი დამახვედრა. ბინად ისევ ნაძალადევში, იმ ჩემს ოთახნახევრიანში ცხოვრობდნენ. ჩემი ბიჭი ახალი დაბრუნებული იყო ფრონტიდან. მე, რასაკვირველია, ჯარში მისი ყოფნის შესახებაც არაფერი ვიცოდი.

რამდენიმე თვე დავყავი თბილისში. ჩემთვის არც ბინის მოცემას ჩქარობდა ვინმე და არც სამსახურისას. ყოველ მეორე დღეს განცხადებას ვწერდი სხვადასხვა ინსტანციებში, მაგრამ წერილობით არავინ მპასუხობდა. ხოლო თუ ნამეტანი შევაწუხებდი, მეტყოდნენ, თქვენს საკითხს კომისია სწავლობს და პასუხს შეგატყობინებთო. ბოლოს საქართველოს ცეკას მდივანს რომ გავუგზავნე დეპეშა, სანამ ვიყო ამ ყოფაში-მეთქი, ორ კვირაში შინსახკომის თანამშრომელი დამადგა თავზე და კონვერტი გადმომცა. რწმუნებული მწერდა: თქვენ წინადადება გეძლევათ, მეუღლითურთ საცხოვრებლად გადახვიდეთ თქვენს მშობლიურ სოფელ საჩხართვეში, რადგანაც ამჟამად თბილისში სამსახურით და ბინით თქვენი დაკმაყოფილების საშუალება არა გვაქვსო. იმ კაცმა დავთარში ხელი მომაწერინა და თავის მხრივ დაუმატა: „სამი დღე გეძლევათ თბილისში გაჩერების, თუ კაცი ხარ, სამ დღეში უნდა აიკრათ გუდა-ნაბადი, თორემ მე მომთხოვენ პასუხსო“.

რა გაეწყობოდა, ჩავედით მე და ჩემი მეუღლე საჩხართვეში, მოვძებნეთ მამაპაპეული კერა და დავიწყეთ ცხოვრება. ორივენი კოლმეურნეობაში ვმუშაობდით. ზაფხულობით გვეწვეოდნენ შვილიშვილები და გავხალისდებოდით, ხოლო თბილისში აღარ ჩავსულვართ, რადგანაც იქ ყოფნა თითქმის აკრძალული გვქონდა. თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იმ დღეს შინსახკომის წარმომადგენელმა პირდაპირ გვითხრა – აქ არ სწერია, მაგრამ მე მაქვს დავალებული გაუწყოთ, რომ თქვენი წარსულის გამო, თქვენს თბილისში ყოფნას შინსახკომი მიზანშეუწონლად მიიჩნევსო.

ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის ჩვიდმეტ დეკემბერს, დილით ხუთ საათზე მე, სამოცდასამი წლის კაცი და ჩემი თანამეცხედრე წამოგვაგდეს ლოგინიდან. თითო ხელი ტანსაცმლის და ხუთ კილოგრამამდე პროდუქტის წამოღების უფლება მოგვცეს და ორდერის წარმოუდგენლად გამოგვიცხადეს, რომ გაურკვეველი ვადით ვიგზავნებოდით საბჭოთა კავშირის შორეულ რაიონებში სამუშაოდ.

ეს ხომ ფაქტიურად გადასახლებაა-მეთქი, ვიყვირე, მაღალმა, პირხმელმა ფორმიანმა კაცმა პირზე ხელი დამაფარა: ნუ ხმაურობ, აბა, რა გეგონა, ძირგამომთხრელ საქმიანობას, იმპერიალიზმის ჯაშუშობას გაპატიებდითო?

გესმის შენ, ცირუნია? პარიზში პარტიიდან გამრიცხეს, წითლების შემოგზავნილი აგენტი ხარო, ახლა წითლები მასახლებენ, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევი, იმპერიალიზმის ჯაშუში ხარო.

სად მიგყავართ, ეს მაინც ვიცოდეთ-მეთქი, როცა ჩვენი სოფლიდან ამ გზობაზე ოთხი ოჯახი შეგვრეკეს საბარგო მანქანაზე და

ოზურგეთის გზას გაგვიყენეს. არ ვიცით, ვერ გეტყვითო, მიპასუხ-ეს. უნდა გითხრა, რომ მეორე დღეს საბარგო მატარებელში რომ ჩაგვსვეს და ჩრდილოეთისკენ გაგვამგზავრეს, მაშინ ხომ ვერავის დავაცდევინე, ცარიცინს რომ გავცდით და აღმოსავლეთისკენ ვქე-ნით პირი, მაშინაც ენერგიულად გვიმალავდნენ, საით მოგვესაჯა გადასახლება. ბოლოს ჩვენ თვითონ დავასკვენით, რომ ციმბირ-ში მიგვერეკებოდნენ, რაც ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილებს უეჭველ სიკვდილს გვიქადდა.

წარმოიდგინე ფარღალალა საბარგო ვაგონში პირდაპირ იატ-აკზე ვყრირვათ თხუთმეტიოდე კაცი. ჩვენს შორის, რა თქმა უნდა, ქალებიც არიან – ჩვენი მეუღლეები და ერთი-ორი მოწიფული ქალიშვილიც გვირევია. ვაგონის კუთხეში იატაკია ამოჭრილი და ყველას თვალწინ იმ იატაკზე უნდა ჩაცუცქდე, რომ ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილო. ვეხვეწეთ ზედამხედველ სამხ-ედროებს და, როგორც იქნა პატარა ფარდაც ჩამოგვიფარეს იმ ჩვენს სახელდახელო ტუალეტზე. პირს ვიბრუნებდით და თვალს ვარიდებდით, მაგრამ მაინც ერთ სიკვდილს ათავებდა იქ მჯდომი. ამაზე დიდ წამებას წარმოიდგენ? ნახშირის ღუმელი დაგვიდგეს, რომ არ გავყინულიყავით, მაგრამ ღუმელს თუნუქის მილი არ ჰქონდა გარეთ გაყოფილი და ნახშირის კვამლი ვაგონში ტრიალებ-და. სული გვეხუთებოდა, ღამე არ გვეძინა. ვიფარებდით ტანზე ყველაფერს, რაც გაგვაჩნდა, ქოლგას, პირსახოცს, გაზეთის ნა-გლეჯებს, ნიფხვებს და შალის წინდებს თავზე ვიცვამდით, ყურ-შუბლი რომ არ გაგვყინვოდა.

ვაგონიდან ჩამოსვლის უფლება ჩვენს შორის სამ, შედარებით ახ-ალგაზრდა, პატიმარს ჰქონდა, სხვებს არა. ისინიც ამ ნდობით იმი-ტომ აღჭურვეს, რომ ვაგონის წინ უნდა დამდგარიყვნენ დღეში ორ-ჯერ ხის ყუთებით ხელში თერთმეტ საათზე და ხუთ საათზე. ერთ ყუთში შავ პურს და გალიგვებულ ქონს („სალას ეძახიან) ჩაუყრიდ-ნენ, მეორეში ნახშირს, რომელიც ორ საათს თუ გვეყოფოდა საწვა-ვად. იმ „რწმუნებულებს“ ვაგონიდან ხუთ მეტროზე მოშორებისთ-ვის გაუფრთხილებლად ესროდნენ. იქეთ-აქეთ გახედვის და უცნობ მოქალაქესთან გამოლაპარაკებისთვის კონდახით სცემდნენ.

ერთხელ, იმ სამთაგან ერთერთმა, ოზურგეთელმა ვაწაძემ (გრუზათმიანი კაცი იყო. მის შეხედვას არაფერი სჯობდა, იქ, გადასახლებაში, გაცივდა და გარდაიცვალა საწყალი) საიდუმ-ლოდ გვახარა: „გადარჩენილები ვართ, ციმბირში არ მივყავართ, ყაზახეთში გვასახლებენო“. „რა იცი-მეთქი“, „ბოლოსწინა ვა-გონს მოვკარი თვალი, მთელ სიგრძეზე პლაკატი აქვს გაკრული, რომელსაც აწერია: „ქართველი მოხალისეები მოძმე ყაზახეთის

დასახმარებლადო“. ახლა ვფიქრობ, დიდი ქალაქების სადგურებზე ცოტა ხნით რომ შევჩერდებოდით, ორკესტრის გუგუნი ისმოდა. ეტყობოდა, ჩვენ გვხვდებოდნენ. ერთი-ორჯერ ახლოს ჩავუარეთ, ორკეტრს და ახლაც მახსოვს მუსიკოსთა ნაღვლიანი სახეები. იქნებ, ორკესტრიც ჩვენს მატარებელს ახლდა და ყოველ დიდ სადგურზე აკვრევინებდნენ; აქაო და, ნახეთ, რა მხიარულებაა ყაზახეთში ბამბის საკრეფად თავიანთი სურვილით გამგზავრებულ საქართველოს დელეგაციაშიო.

ისედაც გადაგღალე, და, სიმართლე გითხრა, მეც ცუდ ხასიათზე დამაყენებს გახსენება იმისა, თუ როგორ ვცხოვრობდით ყაზახეთის ქარ-სიცხიან და გრიგალ-ყინულიან ველებზე კარვებში „ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“ თუ „იმპერიალიზმის ჯაშუშობისთვის“ დასჯილი ორმოციათასამდე ქართველი. ყველაფერი მის სინდისზე იყოს, ვინც ჩვენი „მტრობის“ საქმე შეთითხნა და დღეში ჩაგვაგდო.

ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტ წელს დაგვაბრუნეს სამშობლოში. ზოგმა სამუდამოდ დატოვა ძვლები ყაზახეთის ველებზე, ზოგი თავისი ნებით არ წამოვიდა; მე რომ მაგათი ამბავი ვიცი, კიდევ გვიხიმანებენ რაღაცას, კიდევ გასასახლებელი შევიქნებით და იმ ჯოჯოხეთური გზის გამოვლას მირჩევნია, აქვე ვიყო, აქვე ჩავამთავრო დარჩენილი ორი დღის სიცოცხლეო.

ა, ეს იყო სულ. ჩემმა ცოლმა ვერ გაუძლო უკან მგზავრობას. ავად გამიხდა და ჩამოსვლით კი ჩამოვაღწიეთ, მაგრამ ერთ კვირაში დალია სული იმ უბედურდღეზეგაჩენილმა.

მე, გითხარი, მისი არ იყოს, ასი წლის გავხდები მალე. ადამიანი, ცირუნია, თავის დრომდე არ მონაკვდომა.

რა ჰქენი, ჩაიწერე, რაც ვიბუტურე ბერიკაცმა? ახლა მაგის თავი არა გვაქვს არც შენ და არც მე. ყაზახეთის გახსენებამ გული დამიმძიმა. დავისვენებ, წავუძინებ ცოტას, თუ წამეძინა. საღამოსკენ შემომიარე, თუ ღმერთი გწამს, ერთი თავიდან ბოლომდე წამიკითხე შენი ჩანაწერი.

მე მგონია, არ ვქენით ცუდი საქმე, ა? რავა იტყვი? იყოს, ჩემი ამბავიც, დარჩეს შთამომავლობას. ვინ იცის, რაში დაჭირდება.

* * *

მამაჩემი ვანო სხირტლაძე ექიმი გახლდათ. 1936 წელს ქუთაისში, ჭომაზე, ლამის, საკუთარი ხელით ააშენა ფსიქონევროლოგიური დისპანსერი. ეს დისპანსერი მთელს დასავლეთ საქართველოს ემსახურებოდა. ახლაც მაქვს შემონახული დისპანსერის საზეიმო

გახსნაზე (მაშინ წესად იყო მიღებული ყველაფერი ახალი, მათი შორის სასაფლაოც და საგიჟეც საზეიმოდ უნდა გაეხსნათ) მამაჩემის ნათქვამი სიტყვა: „მეფის მთავრობა სულით ავადმყოფებისათვის მხოლოდ მონასტრებსა და საპყრობილეებს იმეტებდა. ზოგჯერ მათ სამეძაო სახლებშიც ათავსებდნენ. ტანჯვა-წამებისთვის იყვნენ ისინი განწირულნი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიცვალა მდგომარეობა. დისპანსერში, რომელსაც დღეს ვხსნით, ყველა პირობა შეიქმნება საბჭოთა სულით ავადმყოფის მოვლა-პატრონობისათვის. საუცხოო ჰავა, შესანიშნავი წყალი, რაციონალური შრომითი თერაპია – სხვა სამკურნალო საშუალებათა კომპლექსში, შესაძლებელს გახდის თავიანთ საქმიანობას და ოჯახს დავუბრუნოთ ათასობით სულით ავადმყოფი, რომელთა რიცხვიც არნახულად იზრდება მას შემდეგ, რაც დედამიწის ერთ მეექვსედზე წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმის საფუძვლებს. ახლა ჩვენი ვალია თავდადებით ვიმუშაოთ და ყველაფერი ვიღონოთ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საკეთილდღეოდ, რათა გავამართლოთ მშობლიური პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა“.

ათი-თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი მე მაშინ და მამაჩემს კვირაში ორჯერ მაინც დავყავდი დისპანსერის მშენებლობაზე. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო. თეთრი პარუსინის შარვალ-კოსტუმი ეცვა და მაღალყელიანი ყავისფერი ჩექმები. ა. დახედე სურათს, ეს ბარიანი, შუაში, ხალხოსნური წვერ-ულვაშით, მაშინ „ბლანჟეს“ ეძახდნენ, მამაჩემია. თვითონ მუშაობდა – მთავარი ექიმი უბრალო მუშად და მთელი სამედიცინო პერსონალი მშენებლობის დროს გვერდით ჰყავდა ამოყენებული. გახსნის ცერემონიალიც კარგად მახსოვს. ლენტი ჯანმრთელობის კომისარმა გაჭრა. მამაჩემმა სიტყვა რომ დაამთავრა, ხელში აიყვანეს და მაღლა ისროდნენ. ჭკვიანები, რა თქმა უნდა. გიჟები გახსნის დროს იქ არ იყვნენ. პაციენტები მეორე დღეს მოიყვანეს ოზურგეთიდან, ბათუმიდან, ლანჩხუთიდან, ხონიდან და სამტრედიიდან. დახურული მანქანებით მოჰყავდათ. მახსოვს სულ სიმღერ-სიმღერით შემოდიოდნენ ქათქათა პალატებში.

ერთი წელი იმუშავა თავის აშენებულ საავადმყოფოში მამაჩემმა. ოცდაჩვიდმეტის ოცდაშვიდ ნოემბერს სახლში უხასიათოდ დაბრუნდა და დედაჩემს ეუბნებოდა, გუშინდელივით მახსოვს: დღეს რევიზია დამეცა საავადმყოფოში. ყველაფერი კარგი დაწერეს, მარა წასვლისას ერთმა შემმოწმებელმა ჩემი კაბინეტის ქვევით რომ საწყობი მაქვს, იმაში ჩაიხედა და მკითხა: რად გინდა, ვანო, ეს ბუნკერიო. წამლები ინახება სიბნელეში კარგადმეთქი, ვუპასუხე. მეტი არაფერი უკითხავს, მაგრამ წასვლისას რაღაც საეჭვოდ კიდევ ჩაიხედა შიგო. თურმე ტანმა უაზრა მამაჩემს, რომ ის „შემ-

მოწმებელი“ კაი სული არ ჩანდა და იმიტომ იყო ცუდ ხასიათზე.

მესამე დღეს დააპატიმრეს. დედაჩემს გამოუცხადეს, როგორ ვერ ხვდებოდი, შე ქალო, ხალხის მტერი გყავდა სახლშიო. თავის კაბინეტიდან გვირაბს თხრიდა შენი ქმარი კაპიტალისტურ გარე-მოცვასთან დასაკავშირებლადო.

როგორ დააპატიმრეს არ იკითხავთ? მამაჩემი დილით საავად-მყოფოს სახურავზე ასულიყო, წვიმა ჩამოდიოდა, თურმე ერთ ადგილას და კრამიტს ასწორებდა. ექთანს დაუძახნია, გირეკავენო. „უთხარი კრამიტს ასწორებსთქვა და დამირეკონ ნახევარ საათში“, უთქვამს მამაჩემს. კრამიტს რომ გაასწორებს, მაშინვე უშიშროე-ბაში მოვიდესო, ექთნისთვის დაუბარებიათ.

ალბათ, ვინმე ჰყავთ შესამოწმებელი ფსიქიურადო, უფიქრია მამაჩემს, გაკვირვებით კი გაკვირვებია, რაკიღა ასეთ საქმეზე სხვა დროს უშიშროებაში კი არა, ციხის ამბულატორიაში ეძახდნენ.

წასულა ეტლით. ორი-სამი საათი შეგვიანებია. საავადმყოფოს ერთცხენიანი ეტლი ემსახურებოდა მამაჩემს. გამოსულა ბოლოს და მეეტლისათვის უთქვამს: წადი შენ, აქ რაღაცაა გასარკვევი და, როგორც ჩანს, კარგა ხანს მომიწევს დარჩენა. აქედან მე თვითონ მივალ შინო.

სტალინის ქუჩაზე ვცხოვრობდით მაშინ, თხუთმეტ ნომერში. პა-ტარა ეზო გვქონდა. ვთამაშობდით ეზოში მე და ჩემი და, ქარიანი დღე იყო, მახსოვს. ღამდება, არ ჩანს მამა. აწრიალდა დედაჩემი. ალბათ შემორჩა საავადმყოფოშიო. სხვა დროსაც აგვიანებდა.

იქნებოდა ასე, ათი საათი, შავი ლიმუზინი გაჩერდა ჭიშკართან. სამი შლაპიანი-პლაშიანი კაცი გადმოვიდა. სხირტლაძე ხომ აქ ცხოვ-რობსო, ზრდილობიანად მკითხეს. მე თვითონ ავუძეხი კიბეზე. დე-დაჩემს ფერი ეცვალა, მივხვდი რაშიც იყო საქმე. დაპატიმრების და ჩხრეკის ორდერები დაუწყვეს თავჩაქინდრულ დედაჩემს მაგიდაზე.

დაიწყეს ჩხრეკა. ისე გამალებით მუშაობდნენ, დენზე ჩართულე-ბი გეგონებოდა. ჯერ იატაკზე გადმოყრიდნენ ყველაფერს, მერე იქექებოდნენ შიგ. დიდ ტომარაში ჩააწყვეს მამაჩემის ნაწერები, სურათები, საბუთები, ყველაფერი, სანადირო თოფიც კი... მხარ-ზე აიკიდეს და წავიდნენ. სასამართლომდე ქუთაისიდან ფეხი არ მოიცვალოთო, დედაჩემს დაუბარეს.

მეორე დღეს „ქონების აღმწერი“ კომისია მოვიდა. აღწერეს. თუ რამე გვქონდა; საწერი მაგიდით დაწყებული ჭიქა-თეფშამდე. სამი ოთახიდან ორი დაგვილუქეს და ჩვენ პატარა, საძინებელ ოთახში შეგვყარეს სამივენი. ერთ კვირაში ბინიდან საერთოდ გამოგვყარეს და მწვანეყვავილაზე ვიღაცის ნესტიან, უფანჯრო სარდაფში მიგვიჩინეს ბინა.

იმ სარდაფში გავატარე ჩემი ყმაწვილკაცობა. დღისით ეზოში ვტრიალებდით სამივენი. ეზოში ვსვამდით ჩაის და იქვე ამზადებდა სამფეხაზე დედაჩემი სადილს (თუ რამეს ვიშოვიდით, რასაკვირველია). დასაძინებლად, გვიან ღამით შევდიოდით ნესტიან სარდაფში და დილაადრიან გამოვდიოდით, რევმატიზმი რომ არ დაგვმართნოდა.

დაპატიმრებიდან სამი კვირის თავზე გამოგვიცხადეს: ხალხის მტერი, უცხოეთის დაზღვევის აგენტი ივანე სხირტლაძე გაასამართლეს და შორეულში გადაასახლეს. წერილს, ალბათ დანიშნულების ადგილზე რომ ჩაიყვანენ, მერე მიიღებთო.

გავიდა ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოვცდაცხრამეტი. ორმოცში მივიღეთ პირველი წერილი ვიატკიდან. რას მოგვწერდა: რასაც მაშინ ყველა პატიმარი იწერებოდა; ალბათ, იცოდნენ რომ წერილებს „ფოსტა“ ხსნიდა და კითხულობდა. ჯერ ერთი, რა გახსნა უნდოდა, კონვერტში კი არ იდო. სამკუთხა ბარათებს აგზავნიდნენ, როგორც ჯარისკაცები. პატიმარს კონვერტს ვინ მიაშავებდა. ცოცხალი ვარო, გვწერდა მამაჩემი. თქვენს თავს მიხედეთ, მე როგორმე გავიტან თავსო. სასჯელს ვიატკის მახლობლად ვიხდიო. წერილებს ვუგზავნი აქედან სტალინს, ალბათ მალე გაარკვევენ ჩემს უდანაშაულობას და გამომიშვებენო.

თქვენს თავს მიხედეთო, როგორი მისახედი იყო ჩვენი თავისთვის, მარტო იმან იცის, ვისაც ხალხის მტრის შვილობა გამოუცდია. ჩვენთვის არა კომკავშირი, არა პიონერთა სასახლის წრეში ჩაწერა, არა ფრიადოსანთა დაფაზე გამოკვრა, ან რამე ასარჩევ საბჭოში არჩევა. ჯგუფელებიც კი ჩვენთან ცალკე მეცადინეობას გაურბოდნენ.

ორი წერილი მივიღეთ ორმოც წელში. არ გაგიჭირდებათ თქვენ წარმოდგენა, რა იყო ეს წერილები ჩვენთვის. თითქოს მამა სახლში გვყავდა. მუდმივად იდო მაგიდაზე ის ორი წერილი და ვკითხულობდით სამივენი მორიგეობით. ხანდახან დღეში სამჯერაც წავიკითხავდი. ზეპირად ვიცოდი, რაც ეწერა შიგ, მაგრამ მაინც გვსიამოვნებდა მამის ხელნაწერი, თითქოსდა გვესაუბრებოდა აგერ ყურისძირში. ყოველ წაკითხვაზე ახალს აღმოვაჩენდით რამეს. მერე ომი დაიწყო და წერილებიც შეწყდა.

შიმშილი, სიცივე და უბედურება ხომ თავისთავად, მაგრამ მე ომი მახსოვს, როგორც მამაჩემის წერილის დიდი, უსაშველო ამაო მოლოდინი. კვირაში სამჯერ მაინც მივდიოდი, მე, ჩემდათავად სტალინის 15-ში, ჩვენს ყოფილ ბინაში და ვეკითხებოდი ჩვენი სახლის ახალთ ბინადართ. ღვთის გულისათვის, ნუ დამიმალავთ, მამაჩემის წერილი ხომ არ მოსულა მეთქი.

ომის დამთავრების ორი წლის თავზე, 1947 წელს შუაღამისას ვიღაცამ დააკაკუნა ჩვენი სარდაფის კარებზე. ვინ ბრძანდები-

თო, დედაჩემი საწოლზე წამოჯდა. არ შეგეშინდეთ, ქალბატონო, მოყვარე ვარო, უცნობმა. ვინ მოყვარე, რა გნებავთ, ბატონო, ამ შუაღამისასო. დედაჩემმა ლამპა აანთო, ვანოს ნაცნობი ვარ, გადასახლებიდან მოვდივარო. სამივენი მივცვივდით კარებთან.

შემოვიდა მთლად გათეთრებული, გამხდარი, ბეჭებში მოხრილი კაცი. დაჯდა. ამოისუნთქა და გულზე ხელი მიიდო. მიიხედ-მოიხედა, – აუჰ, სად გადმოუგდიხართ, როგორ ცხოვრობთ ამ ჯურღმულში, მოგიკვდათ ჩემი თავიო – პირველად ეს თქვა.

მერე დაწვრილებით გვიამბო; ვიატკაში ერთად ვიჯექითო. ბოლო ორი წელია ვანო ყარაგანდაში გადაიყვანეს სამხედრო ტყვეთა და პოლიტიკურ პატიმართა ბანაკშიო. მანამდე არ იყო ცუდად, ვაჟკაცურად უძლებდა ყველაფერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ავად გამხდარა, წამოსვლის წინ ამბავი მომიტანეს, ფეხზე ვერ დგებაო. პატიმრობის ვადა თვენახევრის წინ გაუთავდა. რაკი აქამდე ვერ ჩამოვიდა, როგორც ჩანს, სერიოზულად არის ავადო. მე ვიატკიდან გამათავისუფლეს და ყარაგანდაში ჩასვლის უფლება არ მქონდა, თორემ მკვდარს ან ცოცხალს ჩამოვიყვანდიო. თუ გაქვთ საშუალება, უნდა გაგზავნოთ ვინმე, იქნებ ცოცხალს ჩაუსწროსო. მისამართი ყარაგანდის ოლქი, 39-ე საფოსტო ყუთი. იქ ადვილი მისაგნებია. ვანო სხირტლაძე – ექიმი, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველამ იცისო. მე თვითონ ჯაფარიძე ვარ. მხატვარი უჩა ჯაფარიძე, თუ გაგიგონიათ, იმისი ძმა გახლავართო. თუ ღმერთი გწამთ, არავის უთხრათ, მე რომ მოგაკითხეთ, ჩვენ ხელწერილი დაგვაწერინეს, რომ ბანაკის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ გავცემდით, თუ გაიგეს, ჯიჯგნას დამიწყებენ და აღარა მაქვს ამის ძალა და ნერვებიო.

მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით. მამაჩემი ცოცხალი აღარ გვეგონა და ახლა მცირე იმედი მაინც გაჩნდა, რომ ცოცხალს ვნახავდით.

დედაჩემი სასტიკ უარზე იდგა, მაგრამ ჩემი გავიტანე-მე უნდა წავსულიყავი მამაჩემის ჩამოსაყვანად. მე, ოცდაორი წლის ბიჭი – არმაზ სხირტლაძე, რომელსაც ქუთაისიდან ჯერ ფეხი არ გამიდგამს.

მივყიდ-მოვყიდეთ თუ რამე გაგვაჩნდა, მოვისისხლფასეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდა, ცოტას ახლობლები შეგვეწივნენ, ცოტა ვიურიისვალეთ და ოქტომბრის თოთხმეტში დავადექი ჩემთვის უცნობ გზას მარშრუტით ქუთაისი-მოსკოვი-ყარაგანდა – ოცდამეცხრამეტე საფოსტო ყუთი.

რა ადვილია სათქმელად და რა გოლგოთის გზაა, ჩემო ბატონო, ეს მარშრუტი ქაღალდზე რომ ორ სტრიქონს იკავებს და სინამდვილეში ათასობით კილომეტრს მოიცავს.

მივდივარ, თითქმის ნასესხები ფულით, ცოტაოდენი წამლებით, ხუთი ლიტრი არყით, ოცი ცალი ლიმონით, ორი ქილა ტყემლის

საწებლით და ვეებერთელა შიშით. არც მოსკოვში ვიცნობ ვინმეს და, მითუმეტეს, არც ყარაგანდაში. ყაზახეთზე ჩემი ცოდნა გეოგრაფიის სკოლის სახელმძღვანელოს არ შორდება და, ფიცში ვერ ჩავიყოლებ – ჯამბულის ლექსი ვიცი სტალინზე. სკოლაში გვასწავლეს. თუ გახსოვს, ის ლექსია ასი წლის მოხუცი სტალინს „მამას“ რომ უწოდებს. რუსული? რა რუსული იცოდი შენ, ოცდაორიწლისამ, გაიხსენე და ცოტა იმაზე ნაკლები იანგარიშე ჩემთვის.

კუპეში ჩემთან რუსი ცოლ-ქმარი მგზავრობდა. ხანშიშესულები იყვნენ. წყალტუბოში ვისვენებდითო. ერთი ზედა ადგილი ჰქონდათ ერთი ქვედა მაგენი კანონის ხალხია ჩემზე უკეთ შენ გეცოდინება და ჩემთვის არც უთხოვიათ, ახალგაზრდა ხარ, დაგვითმე ადგილიო. ეგება ქე ეთხოვათ, იმიტომ რომ გაუჭირდებოდა დროულ კაცს ზევით ახტომა, მაგრამ იქამდე არ მივიყვანე საქმე. თქვენ ქვევით მოისვენეთ, მე ზევით მირჩევნიათმეთქი. რაც ორივემ მლოცეს. მეორე დღეს დილით ჩამოვხტი ნარიდან, ფრთხილად გავაღე კარი და გამოვედი კუპედან. ორივეს ეძინა და, სანამ თვითონ არ დამიძახეს შემოდიო, არ შევსულვარ. მე ვთქვი, არ შევაწუხოთქვა. კონდუქტორს ჩაი და ორცხობილა შემოვატანინე. დედაჩემის გამომცხვარი ჭადი და მრგვალად მოხარშული დედალი შევმატე სუფრას. ძველებური ლიტრიანები ხომ გახსოვს, ფსკერშეკეცილი შავი ბოთლები, ქე-გითხარი, ხუთი იმნაირი ბოთლი მედგა ჩანთაში ორნახადი ჭაჭის არყით სავსე. ერთი ამევიღე და დავდგი. ბევრი ეხვეწა ცოლი არ დალიოო, ბოლოს დაემუქრა კიდეც, სამსახურში გიჩივლებო, მაგრამ ვერ დააშლევინა. ორი ჩაის ჭიქა რეკა რუსმა ეს ჩემი არაყი. გალსტუკი და კოსტუმი მეიშვლიპა, გადამხვია ხელი და იმნაირი „კატიუშა“ დააგუგუნა, მთელ ვაგონს ესმოდა.

დილით კურსკის ვაგზალში რომ შევდიოდით, ოთხი ლიმონი დავაძვრე და მივართვი ცოლ-ქმარს. ზოგიერთის ჩვენ, ქართველები, გიჟები ვგონივართ. არ გეგონოს რომ ამას იმიტომ ვაკეთებდი, ეს რუსები რამეში დამჭირდებამეთქი. არც მიფიქრია, მამის სულს გეფიცები. მე სხვანაირად არ შემეძლო. ჩვენ ასე ვართ გაზრდილი. მარტო ხვარ დევიწყებდი ჭამას. ისე, ამ ორ დღეში ჩემი დამტვრეული რუსულით ქე მოვუყევი, რა თქმა უნდა, სად მივდიოდი და რა საქმეზე.

სანამ მატარებელი გაჩერდებოდა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს და ქმარმა მითხრა: კაი ბიჭი ჩანხარ, ჩვენ, სამწუხაროდ, მაგ შენს საქმეში ვერაფერს დაგეხმარებით, უბრალო ინჟინრები ვართ, ცოლ-ქმარი (მერე გავიგე, ქმარი პენსიაზე იყო). ერთი ის შეგვიძლია, წამოდი ჩვენთან ღამეს გაგათევებინებთო.

წავყევი. ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. შვილი მფრინავი გვყავს – ბარნაულში მუშაობსო. ჩამიდგეს შეზლონგი და

დამაწვინეს. ძერჟინსკის მოედანზე გამიყვანა მეორე დღეს ჩემმა მასპინძელმა და შორიდან დამანახა კგბ-ს შენობა. არ გეწყინოს, შიგნით ვერ შემოგყვებიო. არ მიმხელდა, თორემ არ აკავშირებდა მთლად კარგი მოგონებები კაგებესთან.

მივადექი მისაღებს. რა არი ახალგაზრდობა, კგბ ხომ იცი, ვერ გავბედავ, იქანა მისვლას და მაშინდელი კგბ ხომ იცი, რა იქნებოდა. კაგებე კი არ ერქვა, ჩეკა ერქვა მაშინ.

ვინ ხარ? ესა და ეს კაცი ვარ მეთქი, დავაძვრე პასპორტი, უბნის კომიტეტის მოწმობა ჩაწერაზე. რა გინდა? მამა მყავს ნაპატიმრალი ყარაგანდის გულაგშია, ავად გამხდარა და უნდა ჩავიყვანო ქუთაისშითქვა.

შენ ჭკუაზე აფრაკათ ხვარ ხარო. რა უნდა ყარაგანდაში გულაგსო. ვინ გასწავლა შენ ასეთი რამეებიო. გატრიალდი ახლავე უკან. მამაშენს ჩვენ ჩამოგიყვანთ, როცა საჭირო იქნებაო.

ორნი იყვნენ. შემეშინდა და ის იყო გადავდგი კარისკენ ნაბიჯი, ვიღაც შავგვრემანი სამხედრო შემოვიდა. შენი ზემლიაკიაო, რუსებმა. „ჰაეს?“ მომიბრუნდა, რომ შემატყო, ვერ გავიგე, სუფთა ქართულით მეკითხება – ქართველი ხარ ბიჭო? აქ რა გინდა?

ვუთხარი ყველაფერი. ცნობა თუ გაქვს ქუთაისის უშიშროებიდან, რომ მამაშენი გასამართლებულია და ნამდვილად ყარაგანდაშიაო. დამცინით? როდის იყო მაგნაირ ცნობას უშიშროება იძლეოდა მეთქი. აბა რა იცი, რომ ყარაგანდაშიაო. ხომ არ ვეტყოდი უჩა ჯაფარიძის ძმამ გვითხრა მეთქი. ვიცი, ნამდვილად, 39-ე საფოსტო ყუთი, ყარაგანდიდან თვრამეტ კილომეტრშიამეთქი. ჩამაცივდა, ვინ გითხრა და ვინ გითხრაო. ოღონდ შენ ეგ მითხარი და მე თვითონ წამოგყვები ყარაგანდაშიო. არ ვიცი, ვიღაცამ შუაღამისას ჭიშკრიდან დაგვიძახა, სახეზე არც დამინახავსმეთქი.

გაეცინა. კარგი ბიჭი ყოფილხარო. მომკიდა ხელი, მატარა ზევით-ქვევით. რომ არ დაგიმალო, ხუთ კაბინეტში მაინც შემიყვანა და გამომიყვანა. ბოლოს თვითონ ჩამყვა ქვევით, მატარებლის ბილეთი გამოაწერინა. იქვე, იმავე შენობაში ბილეთი ამაღებინა და მითხრა – ხვალ, მოსკოვით თექვსმეტ საათზე გადის შენი მატარებელი. გზაში მაინცდამაინც ბევრი არ ილაპარაკო, წარმატებას გისურვებ, თუ გაგიჭირდეს, ამ ნომერზე დამირეკეო, თავისი ნომერი მომცა.

ჩვენ ქართველებს, ორ რამეზე გვაქვს სხვებისაგან განსხვავებული წარმოდგენა, ჩემი დაკვირვებით, „სიშორეზე“ და „ბუნებაზე“. ჩვენთან ყველაფერი ახლოსაა და „შორიაო“. ქართველი კაცი რომ იტყვის, ის „შორი“ ალბათ, ჰა, ქუთაისიდან გურჯაანამდეა – მეტი არა. წარმოიდგინე ცხრა დღე მიდის მოსკოვიდან მატარებელი გაუთავებელ სტეპში და ტრამალებში. ახლა „ბუნება“? „ბუნება“

ჩვენთვის სამოთხის დეკორაციაა დახატული, თბილი, ტკბილი, მომფერებელი. ახლა ყაზახეთის, ბუნება ნახე? ყარაგანდიდან თვრამეტი კილომეტრი ფეხით ვიარე. ასეთი სიმწარე სამოცდაათი წლის კაცი ვარ მე არ დამდგომია. კიდევ კარგი მარტო არ მოვდიოდი, თვარა ცოცხალი ვერ ჩამოვაღწევდი.

ორი ჩატელეგრეიკებული ქალი დამემგზავრა, ვინ ხარო მკითხეს. ქუთაისელი ვარ, მამა მყავს 39-ე საფოსტო ყუთში პატიმარი მეთქი, გაჩერდნენ. ერთმა მათგანმა ლოყაზე უშველებელხელთათმანიანი ხელი მიირტყა – არმაზი ხარ შენო?!

გადავირიე კინაღამ. ციმბირს იქეთ, შუა ყაზახეთში, უდაბნოში, ოცკილომეტრში ირგვლივ კაცის ჭაჭანება რომ არაა და ქვიშის გორაკები იქეთ-აქეთ დააქვს ქარს, სიცივე ძვალ-რბილში რომ ატანს და კბილებში ქვიშა კანკანებს, ნიჩბისსახა თვალწვრილა ქალი გეკითხება – არმაზი ხარ შენო?

არმაზი ვარ მეთქი.

ექთნები აღმოჩნდნენ. მამაჩემის ამბულატორიის თანამშრომლები. სისხლი მოეწამლა და ძალიან ცუდად არისო. გუშინწინ ანდერძი დაწერა და დაგვიბარა, რომ მოვკვდები, მხოლოდ წლისთავზე შეატყობინეთ ოჯახსო. სასაფლაო ქვა თვითონ გააკეთებინა – ქართულად და რუსულად წააწერა თავისი გვარიო. სასტიკი წინააღმდეგი იყო შენი ჩამოსვლის, აქედან მაინც ვერ წამიყვანს და ტყუილად გზაში რამე ხიფათს გადაეყრებაო.

ღამის სამი საათი იყო, ბანაკში რომ მივედით. არ ეძინა მამაჩემს. მაღალი სიცხე ჰქონდა. წუხდა, ბორგავდა. ჯერ დავუჩოქე, ვკოცნე, ვეფერე, მივიჩვიე, სუნი ვაგრძნობინე ჯილაგის. მამა-შვილს ერთნაირი სუნი აქვს, ხომ იცი შენ, და მერე გავუმხილე, ვინც ვიყავი.

ჯერ კინაღამ ჩამაკვდა ხელში. რა ყოფილა სიხარულის ელდა, კაცო. მერე ისტერიული ტირილი აუტყდა და ვერ გავაჩერეთ, ბოლოს ჩხუბი დამიწყო, რატომ ჩამოხვედი, რატომ ჩაიგდე თავი ამ დღეშიო. შენ რომ რამე დაგემართოს, ხომ გადაირევა დედაშენიო.

თვენახევარი დავრჩი გულაგის საავადმყოფოში. ცოტა შემოვაბრუნე სასიკვდილოდ გადადებული მამაჩემი. სიცხის დაგდება გაგვიჭირდა ყველაზე უფრო. ორგანიზმის საერთო მოწამვლისა და მოყინვის გამო მარჯვენა ფეხს პულსი აღარ ჰქონდა ტერფთან, სისხლი არ მიეწოდებოდა. მუხლს ქვევით შეგრძნებაც არ ჰქონდა. განგრენული მდგომარეობა იყო, მაგრამ ამპუტაცია არ გავაკეთებინე. მე ვთქვი, შეიძლება მოხდეს სასწაული და ამოძრავდეს სისხლი მეთქი.

თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რაც სჭირდა. ფართო პროფილის ექიმი იყო ყველაფერს კითხულობდა და ცდილობდა, ყვე-

ლა სნეულებაზე ჰქონოდა წარმოდგენა. ადამიანიო ერთი ორგანიზმიაო, ერთი ავადმყოფობა მეორეს იწვევს და საბოლოოდ ყველა ავადმყოფობა ტვინიდან მოდისო, იცოდა თქმა. ჩვენი ზოგიერთი ექიმი სიღრმეში კი არ ჩადის, მიზეზს კი არ ეძებს, ერთ ორგანოს მკურნალობს ლოკალურად ორგანიზმისგან გამოთიშულად. გადის სამი თვე და ისევ უჩნდება კაცს წყლულია, თუ ჰიპერტონია. მიდის ექიმთან, ექიმი ეუბნება, რა გიყო, ძმაო, მაშინ ხომ მოგარჩინე, რეჟიმი დაგირღვევია, შენი ბრალიაო. სინამდვილეში არ იყო ბოლომდე მორჩენილი. ის კერა არ იყო აღმოფხვრილი, საიდანაც დაიწყო ავადმყოფობა.

შუა დეკემბერი იყო რომ გამომიცხადა, ჩემი საქმე წასულია, წადი ახლა შენ. დაბრუნდი ქუთაისში, არ ღირს ჩემი თრევა აქედან, ხომ ხედავ, ფეხზე ვერ ვდგებიო.

რავა ფიქრობ, მამაჩემო, მიგატოვებ ახლა მე შენ აქანა და მარტო ჩავალ ქუთაისში-მეთქი? რამ გაფიქრებინა ეგ ამბავი. სანამ გამომჯობინდებოდე, მზად ვარ ათი წელი ვიჯდე, ასე, ტაბურეტზე შენს გვერდით და გითიო ღამე. უსაშველო არაფერი გჭირს, ნუ გეშინია-მეთქი.

აბა, მაშინ დროს ნულარ დავკარგავთ, თუ წამსვლელები ვართ, წავიდეთ. რა ვიცი ხვალ რას მიზამს ეს ვერაგი სენი. ეგება მოხდეს საოცრება და ღვთის შეწევნით (საერთოდ ღმერთი არ სწამდა, არც მე მწამს, ვერ მოგატყუებ) ცოცხალი ჩამიყვანო ქუთაისშიო.

მეორე დღესვე გამოვვარდი ყარაგანდაში კოლონიების ცენტრში საბუთების გასაფორმებლად და ბილეთის ასაღებად.

ოთხთვენახევრის გათავებული ჰქონდა პატიმრობის ვადა, ამოწერილი ჰყავდათ უკვე. მეტსაც გეტყვი: გარდაიცვალა მუცლის ტიფით და დასაფლავებულია საერთო სასაფლაოზე, ეწერა მამაჩემის გვარის გასწვრივ გრაფაში. წინასწარ ეზრუნა ვიღაცას.

მივედი რკინიგზის სადგურში და მეუბნებიან; დღეიდან ფული შეიცვალა ძველი ფულის ნიშნები ანულირებულიაო. იღბალი არ გინდა? გავვარდი-გამოვვარდი... ერთადერთი გადასაცვლელი პუნქტია ყარაგანდაში. იქაც ათასზე მეტი კაცი დგას რიგში. მოქალაქეებს რაღაც კაპიკებს უხურდავებენ, იმასაც ახსნა-განმარტების ქვეშ. უნდა დაწერო, საიდან გაქვს ფული. იმ გადახურდავებულ ფულით მოსკოვამდეც ვერ ვყიდულობ ორ ბილეთს. გზაში ჭამა, მოსკოვიდან ქუთაისში ჩასვლა არ გინდა? ვზივარ და ვტირი. მომაკვდავი მამა მყავს წასაყვანი და, ჩემდა ჭირად ახლა გამეიცვალა ფულიმეთქი. ტირილი და გაჭირვება იქანა ვის უკვირს ვიღაცამ მითხრა: ქალაქის საბჭოში მიდიო, მგონი ქართველი მუშაობს იქ საბჭოს მდივნადო. მივედი. მდივნის ოთახს მართლაც აწერია „ლექვინაძე“ შევედი. რუსის ქალი ზის. ლექვინაძე მინდამეთქი.

მე ვარო. ბოდიშს ვიხდიმეთქი. აქ კარებზე ქართული გვარი რომ ეწერა, მდივანი ქართველი მეგონამეთქი. გაეცინა. რა გაგჭირვებიაო. ავუხსენი ყველაფერი. ადგა ეს ულამაზესი ცისფერთვალა, თეთრთმიანი კინოეკრანიდან გადმოსული ქალი და თავისი ფეხით გამომყვა. ქართული, რასაკვირველია, ერთი სიტყვა არ იცის. თვითონ არ უთქვამს და მე ხომ არ ვკითხავდი, რატომ იყო ლექვინაძე.

რაც იმან ჩემთვის იწვალა. ჯერ გადამცვლელ პუნქტთან, მიტინგის მოწყობა დაჭირდა. ურიგოდ რომ გავეშვით. სიტყვა თქვა ხუთმა-ექვსმა კაცმა და ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს, მართლა გეუბნები.

ახლა ფულის გადაცვლა ნორმის ზევით? საბჭოს მდივანმა ვერავის გააგებინა, რაში გვჭირდებოდა ფული და ბოლოს რევოლვერზე წაივლო ხელი; დაგხოცავთ თქვენი დედაო, მწოლიარე ავადმყოფი მიყავს, რა ქნას აბა იმათხოვროს გზაშიო?

ახლა ავადმყოფზე გეტყვი! მოსკოვამდე სამი მატარებელი გამოვიცვალეთ. საწყალი მამაჩემი ორი ზეწრით აგვყავდა და ჩამოგვყავდა ვაგონიდან (საკაცე არ შეიძლებოდა, საკაცით ვერ მოტრიალდებოდი) და თითქმის ყველა შემხვედრი გაოცება-აღშფოთებას ვერ მალავდა – რატომ მიგყავთ და სად მიგყავთ ავადმყოფიო. ჯერ ამ გზაზე ავადმყოფი მგზავრი არავის უნახავსო. ამის ხარჯზე ხომ ერთი ჯანმრთელი ადამიანი წამოვიდოდაო. მოკვდებოდა და დაასაფლავებდით ადგილზეო. ვუხსნიდი, რომ თავის მშობლიურ ქალაქში, ცოლ-შვილის მოსანახულებლად მიმყავდა, თუ მოკვდება თავის მიწაში მაინც დაიმარხებამეთქი. ისე იყო ხალხი გამკაცრებული, ვუხსნიდი ამას, მაგრამ ვერ ვაგებინებდი. როგორც გიჟს ან როგორც მეზოზოური ერის ადამიანს ისე შემხედავდნენ და გამშორდებოდნენ.

აღარ გადაგღლი ბატონო გელა, მოსკოვამდე, მოსკოვიდან თბილისამდე და თბილისიდან ქუთაისამდე ჩვენი წამების მოყოლით.

სხვათაშორის, თბილისში, სადგურზე უშიშროების წარმომადგენელი დაგვხვდა და ტყავი კინაღამ გამაძრო – რატომ არ შეგვითანხმდი, რომ მოდიოდიო. ქუთაისის უშიშროებამ იცოდამეთქი. ჩვენც უნდა გვცოდნოდაო. შენ ყარაგანდაშიც არ იყავი ჩასული, მოსკოვიდან რომ დაგვირეკეს და სასტიკი საყვედური გვითხრესო. ბერიას უმადლოდე, რომ არ გაპატიმრებთ, ბერიამდე მიაღწია თქვენმა ამბავმაო.

1947 წლის 31 დეკემბერს, საახალწლოდ ჩავიყვანე მამაჩემი შინ.

რიონის სადგურში ლამის, მთელი ქუთაისი დაგვხვდა.

ორთვენახევარი იცოცხლა ჩამოსვლის მერე. მეტი ვერა.

* * *

ძალიან გთხოვთ, მომისმინო, შვილო, თუ რამეს დამეხმარები, ხომ კარგი, თუ არადა წავალ ჩემს გზაზე. მითხრა კი, როგორ არ მითხრა, თქვენს კაბინეტთან გოგო რომ ზის, ასეთი საქმეები, დეიდა, ჩვენს ჟურნალს არ ეხებაო, მაგრამ მე მაინც დავიცადე. მოვუყვები ჩემს ამბავს ბოლოს და ბოლოს, მოსმენას ხომ არ დამამადლის-მეთქი. რაც შეიძლება, მოკლედ გიამბობთ. ვიცი, ათასი საქმე გაქვს შენც. სხვისი თავი ვისა აქვს ახლა, ყველას თავისი თავი უჭირს. მაგრამ „ნუგეში“ აწერია თქვენს კარებს და ამან შემაგულიანა. თუ ჭკუაში დაგიჯდეს ჩემი ნათქვამი, ერთი კარგი კრიტიკა გაუწიე, ვინც მე მაწვალებს. პენსიის ამბავზე ვარ აღოღებული ამ ხნის ქალი. პირველი ჯგუფის ინვალიდობა მეკუთვნის და ვერაფრით მივაღწიე. ორმოცდარვა ლარს და ორმოცდაათ თეთრს ვღებულობ პენსიას. მარტოხელა, უპატრონო ქალი ვარ, შვილო, და არ მყოფნის, არც სიგრძეზე მწვდება ეს ორმოცდარვა ლარი და არც სიგანეზე, თორემ ვინ მამაძაღლი ჩამოვიდოდა ამ სიცხეში. ორი ჯოხით დავდივარ, ხომ მიყურებ. ქარმა რომ დამიბეროს და წავიქცე, ანდა ვინმეს შევექარაბაკო ფეხებში, ისე დავიშლები, გენაცვალე, რომ ნაწილ-ნაწილ ასაბოჭი გავხდები.

ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტში დავამთავრე საშუალო სკოლა მე, დაბა ოყურუაში. არ ვიყავი ცუდი მოწაფე. მასწავლებლებს ვუყვარდი ძალიან. ახლა რომ ვუფიქრდები, შეიძლება იმიტომაც უფრო ვუყვარდი, რომ სიობლეში ვიყავი გაზრდილი. ჩვენი სახლი მეწყერს ჩაეტანა და მშობლები მაშინ დამღუპვოდა, ეს ერთი ცალკე ისტორიაა, მაგრამ აღარ მოვყვები. მე, თურმე, ნათესავ გოგოს ოხვამეში წავეყვანე, ისე ა, გასასეირნებლად აკვნის ბავშვი. თვითონ გასათხოვარი გოგო იყო, თურმე, მაშინ და გასათხოვარ გოგოებს ხომ უყვართ პატარა ბავშვის ტარება იქეთ-აქეთ. იღბლის ამბავია, ალბათ, ყველაფერი და შემთხვევამ გადამარჩინა, თორემ მეც იქ დავინთქმებოდი მეწყერში და, შეიძლება, უკეთესიც ყოფილიყო, გადავრჩებოდი ამ წვალებას და დავიდარაბას. რა სიამე მე მანახა წუთისოფელმა, რომ იმ გადარჩენის მადლობელი ვიყო. მობრუნებულა ეს გოგო ჩემიანად სამ-ოთხ საათში და ჩვენი ეზოსახლის ადგილას ცარიელი კბოდე დახვედრია. წვიმები იყო თურმე იმ კვირაში უსაშველო, მოუწყვეტია ჩვენი სახლი ჭიან-ნალიიან-სასიმინდიანად და აქაფებულ ტეხურში შეუცურებია. მკვდრებიც ვერ იპოვეს, თურმე, საწყალი ჩემი მშობლები. საფლავიც აღარ ჰქონდათ უბედურებს, არ ვარგა არა, წყლის პირას სახლის დადგმა. ჩვენი წინაპარი, თუ დაკვირვებიხართ, ყოველთვის მაღლა, მთაზე

დგამდა სახლს. სულ მაღლაა ნასოფლარები და დაბლა ახლანდელი სოფლები. არის მერე გაზეთში ერთი ამბავი; არიქა, სტიქიამ ეს წაიღო და ის წაგვართვაო. სად ვიყავი? ჰო, დავრჩი ასე ხელზე, ნათესავ გოგოს – ფათუშას. არ გათხოვდა თვითონ ჩემს გამო და გამზარდა შვილად. ათი წელი არც იქნება, რაც მომიკვდა უბედური გამზრდელი. კაი სიმწარე ნახა იმანაც ჩემს ხელში.

დავამთავრე სკოლა და უნივერსიტეტს მივაკითხე. მათემატიკურზე ვაბარებდი გამოცდებს. მათემატიკა მიყვარდა ბავშვობიდანვე. რა გვექნებოდა ჩვენ, უკაცო ოჯახს, მოგეხსენება, თხა გაყიდა ფათუშამ და ძლივს მომიხერხა ორი კაპიკი გზის ფულად, თბილისში ჩვენი სოფლელი ღურწკაია ცხოვრობდა. მასწავლებელი იყო ცხონებული. ვინც თბილისისკენ იზამდა პირს, ყველა იმ ღურწკაიას აკითხავდა ღამის გასათევად. მივადექი მეც ხუთი კილო ფქვილით, ორი წველა ყველით და ერთ თავსაფარგამოკვრა ალუჩით კარზე. უნივერსიტეტში უნდა ვისწავლო და თქვენთან უნდა ვიცხოვრო მეთქი. მოდი ბაბაია, თუ სადმე დასაწოლს იპოვი, ჩემი თავი გენაცვალოსო, ღურწკაიამ. მივიხედ-მოვიხედე, მართლაც მუთაქის დასადები კუთხეც არ იყო თავისუფალი ღურწკაიას ბინაში. ისე პირწმინდათ გაევსოთ ნათესავ-მეზობლებს მისი ოროთახნიანი ბინა, რომ მასპინძლებს – ცოლ-ქმარს და ოცდახუთი წლის ბიჭს სამზარეულოში ეძინათ. რას ვეტყოდი, რას ვემართლებოდი ამ პატიოსან ხალხს. ჩვენი სოფლელი გოგო ცხოვრობდა ნაქირავებში (ისიც უნივერსიტეტში საწვლობდა) ლუნაჩარსკის ჩასახვევში იქვე, ოპერასთან და იმას შევეკედლე. ამ ერთ თვეს გაგაჩერებ და სექტემბერში მოძებნე ადგილი, ჩემი ძმა უნდა ჩამოვიდეს სუვოროვის სასწავლებელში და სამივე ერთად ვერ დავეტევითო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რაკი თავის მისადები და გადასაწვიმებელი ვიშოვე და ქუჩაში არ მომიწია ღამის გათევამ.

ვაბარებ გამოცდებს უნივერსიტეტში. მაშინ, შეიძლება გაგიგონია, ბევრი გამოცდა იყო ჩასაბარებელი. ცხრა თუ ათ საგანში გვცდიდნენ. ოჰ, რა ყურადღებიანი, თბილი, ინტელიგენტიო რომ იტყვიან, ისეთი გამომცდელები. ძვირფასი, ლამაზი, სანდომიანი ხალხი, დიდი მეცნიერები, რა ყურადღებით გვექცეოდნენ ახალგაზრდებს, სადაა ის თაობა, ახლა მაგნების ძვალიც აღარ იქნება მიწაში. ბოლო გამოცდაზე ვარ მისული. თავი ქუდში მაქვს, რომ იტყვიან. ჩაჭრით, მე მგონია, არავინ ჩაჭრილა, მაგრამ ზოგმა თვითონ მიატოვა გამოცდები, ან ბინა ვერ იშოვა, ან თბილისს ვერ შეეგუა, რა ვიცი, რა მიზეზით. ერთი სიტყვით, კონკურსი კი არა, ოთხი კაცი გვაკლია პირიქით მათემატიკის ჯგუფს. ბოლო გამოცდა ასტრონომიაში გვქონდა; ისე სიმბოლურად ჩავაბარებდით

და სტუდენტები ვიყავით უკვე. ასე, მაგალითად, ხვალ რომ ასტრონომიის გამოცდა მქონდეს და დღეს რომ მომაკითხონ. ახალშებნელებული იყო, ჩვენი დაბის მილიციის უფროსი ეგუტია და შინსახკომის უფროსის მოადგილე ჩოჩია რომ დაგვადგნენ თავზე. ეგუტიას არ ვიცნობდი და ჩოჩია ჩვენი მეზობლის გოგოს ჰყვარობდა, მოდიოდა იქ ხშირად და მამამისს ელაპარაკებოდა ცაცხვის ძირში. ვუყურებდით მეზობლები, ხომ იცით ცნობისმოყვარე ბავშვები; კიწის სასიძომ მოაკითხაო. ეს ჩოჩია რომ მოვიდოდა, ის ჩვენი მეზობლის გოგო – ლულუ ოდის კიბეს აირბენდა და, სანამ ჩოჩია მოსახვევს არ გაშორდებოდა, ფეხს არ ჩამოდგამდა ძირს.

შენთან ვართ მარგუშიო, მილიციის უფროსმა. მარგო ქებურია ხომ ხარ შენო. კი ბატონო მეთქი. უნდა წამოხვიდე ოყურუაში ამაღამ, შენთვის ვართ ეს ორი კაცი ჩამოსული აქო. დღეს ვერ წამოვალ და ხვალ ისედაც მოვდიოდი, ხვალ ბოლო გამოცდა მაქვს ასტრონომიაში-მეთქი. ვიუარე წასვლა. წამოხვალ, წამოხვალ ბიძია, ნეტავი ან შენი ნება იყოს შენი არ წამოსვლა და ან ჩვენი ნებაო, ეგუტიამ. ჩოჩია ჩუმად არის, არ იღებს ხმას. კი მაგრამ, გამოცდას თქვენ ჩამიბარებთ? მე ვუთხარი. ჩაგაბარებინებენ მერე, თავის დროზე, ნუ გეშინია, არ დაგტოვებენ უგამოცდოდო. რა საქმეა ახლა ასეთი, ჩემს ფათუშას ხომ არაფერი შეემთხვა მეთქი, გავიფიქრე. თურმე შენი თავი იტირე, მარგო ქებურია, დაპატიმრებული ხარ თურმე და არ გეუბნებიან ჯერ. მატარებელში რომ ჩავჯექით ე, მერე გამიმხილა ჩოჩიამ, ბევრი ვეხვეწე გვილავას, მაგრამ არ გამივიდა არაფერი, ლულუს მეზობელი ხარ, ვიცი შენო. რატომ გაიბი ხლაფორთში თავი, მშვენიერი გოგო ხარ, ისწავლიდი უნივერსიტეტში, გათხოვდებოდი მერე და შენს ბედს ეწეოდი, რა შენი საქმე იყო მთავრობასთან ჩხუბი, გათახსირებულ ძუკუ ქოჩილავას როგორ აყევი, რანაირად დაგემართა ეს ამბავი შენო. ძუკუ ქოჩილავა ჩვენი სკოლის სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი იყო. მეჩონგურე ძუკუ გუგულივით კაცი, წყნარი, სიკეთით სავსე, ხუთი მცირეწლოვანი შვილის მამა. ორ სიტყვას არ იტყოდა ერთიმეორეზე. რა მთავრობასთან ჩხუბი, რისი ძუკუ ქოჩილავა, მეხუმრებით ალბათ მეთქი. ძუკუ „ჭიჭე ტურას“ გვასწავლიდა, რაიოლიმპიადაზე გაგვიყვანა და მერე აღარც გვინახავს მეთქი. შენ როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე მოიქეცი, მაგრამ მასე ლაპარაკი არ გამოგადგება იქო, ჩოჩიამ, ჩემი რჩევა იქნება, ქალიშვილი ქალი ხარ, თავი არ აწვალებინო და მომავალი მთლად არ დაიღუპო, მოაწერე ხელი, რასაც გეტყვიან, ასე აჯობებს შენთვისო. მე ვიცი, მე რასაც ვიზამ მეთქი, ჯერ ეს გამოცდა რომ მიმატოვებინეთ, მაგაზე გაგებინებთ პასუხს-მეთქი. პრავაკაცია ჩემთან არ გაუვა არავის, კომკავშირე-

ლლენინელი გახლავართ-მეთქი. არ იცი, რას ვეტყოდი ჩვიდმეტი წლის კომკავშირელი ტუტუცი, შვილო?

ახლაც თვალწინ მიდგას იმ დილით, მატარებლიდან ჩვენი ჩამოსვლა. წვიმს, ცა ფეხად ჩამოდის. საზაფხულო თხელ კაბაში ვარ მე, არც ქოლგა, არც პლაში, ეს ორი კაცი ნაბიჯზე არ მშორდება. წყალმა ისე შემომაწება კაბა-საცვალი ტანზე, რომ დედიშობილა ვეგონები, ვინც თვალს შემავლებს, მაგრამ სირცხვილისთვის მცხელა ახლა მე? ვაწრიალებ თვალებს, ეგება ნაცნობი დავლანდო ვინმე. სამი ჩემი ჯგუფელი გოგო ჩაატარეს, ენა ჩამივარდა, რომ შევხედე, თითოს ორ-ორი ჩეკისტი უდგას გვერდით, ასე, როგორც მე. ესე იგი ისინიც აუყვანიათ. თბილისდან მოჰყავთ, ეტყობა ასე, ჩემსავით მოწყვიტეს გამოცდებს. ჩემი კარის მეზობელი, კოჭლი შაკია მოიქნევს, აგერ, ხის ჩემოდანს. ჩავებღაუჭე ვაგონის კიბეს და შევუძახე: – შაკია, ბიძია, დაპატიმრებული ვარ და გააგებინე ფათუშას. არ შემიშინო, ისე უთხარი მოხუჯურად. მე არაფერში არ ვარ დამნაშავე. გაარკვევენ მალე და გამოშვებენ-თქო. შენ გენაცვალე, შაკია ბიძია!“ შაკია ფოცხვერივით შემოტრიალდა და კინაღამ ზედ შემომასკდა. „რას ჰქვია დაპატიმრებული, დასაპატიმრებელი რა გჭირდა გუშინდელ ღლაპს შენო“, ეს მითხრა და ჩემს „მცველებს“ რომ ახედ-დახედა, მდუღარეგადასხმულივით უკან დაიხია; ესენი ტყვილად არ დაგიჭერდნენ, რატომ ჰქენი, რატომ დაიკარგე, ბიძიკო, თავიო“. მაშინ წამსკდა ტირილი. ისე მაგრად ჩავაფრინდი ვაგონის კიბეს, რომ ძლივს გამაშვებინეს ხელი ჩოჩიამ და ეგუტიამ.

მე რომ შემაგდეს, მეშვიდე ვიყავი კამერაში. მერე თერთმეტი გავხდით. თერთმეტი კი არა, თოთხმეტი. ოთხი ცალ-ცალკე მოიყვანეს, ბოლო ვინ შემოაგდეს, თუ იცი, ლულუ, ჩემი მეზობელი, ლამაზი ლულუ. ვითომ ჩოჩიას საცოლე რომ გვეგონა ყველას. უარი რომ ვუთხარი, იმიტომ გამიკეთა ესო, შენ გეუბნები და იცოდე, თუ ცოცხალი გახვედი აქედან, გააგებინე ქვეყანასაო, როდის მითხრა, თუ იცი, საწყალმა, მესამე ღამეს, ნაწამებ-ნაჯიჯგნი რომ შემოათრიეს კამერაში. გონწასულს ერთი ვედრა წყალი რომ გადაასხეს და ჩვენ დაგვიბღვირა დათვისტორება ჯალათმა – თუ ჭკვიანად არ მოიქცევით, უარესი გელით თქვენცო.

ექვსი გოგო კამერაში თანაკლასელები ვიყავით. დაპატიმრების პირველ სამ დღეს სხვა ქალები გაყავდათ შუაღამეგაცილებულზე დასაკითხად, ჩვენ არ გვეძახდნენ და, გითხრა სიმართლე, გვიკვირდა. თურმე ჯერ სადა ხარ. მეოთხე დღეს დაიწყო ჯოჯოხეთი. პირველი – მელენტი სხულუხიას გოგო გაიყვანეს, მერი. შვილად მეკუთვნი, შემოგევლოს ჩემი თავი, და, არ მოგერიდები, სიმართლე მინდა, რომ იცოდე. ამიტომ არ გაგიკვირდეს, უხერხულ რამეს თუ

მოჰკრა ყური. სინამდვილეა ყველაფერი, ტყუილის გამოგონების თავი და ტვინი ვინ მომცა მე ბედდამწვარს. რომ შემოჰყავდათ სხვა ქალები ნაწამებ-ნაუბედურალი, ჩვენ, ჯერ კუთხეში ვიყავით მიბუზულები გნოლის ბარტყებივით, მერე ცახცახით დავესეოდით „დაკითხულს“ და ვისმენდით დამცირების ამაზრზენ ამბებს. მე თვითონ გულში მქონდა გადაწყვეტილი – თუ პატიოსნების დაკარგვაზე მიდგა საქმე, თავს შევაკლავ მეთქი. სხვებს მე არაფერს ვეუბნებოდი, სხვამ თავისი საქმე თვითონ იცოდა. ის მერი მეთქი, რომ გითხარი, გამთენიისას დააბრუნეს. ადამიანად აღარ ვარგოდა. მიწისფერი ედო. თვალები და სახე ხომ დასიებული ჰქონდა ნამტირალევს, ძუძუს ზემოთ, სამ ადგილას მოკიდებული პაპიროსი მიესრისათ ბროლივით კანზე, ადამიანიშვილი იზამდა ამას?

ქოჩილავას დაღუპულები ვართ გოგოებოვო, მერიმ. ქოჩილავას ჩვენებაში ვართ მოხვედრილები. სტატია – 58, მუხლი 10-11, ამ ბრალდებით გავდივართ ყველაო. კოლმეურნეობის წინააღმდეგ პროპაგანდას და საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მზადებას გვაბრალებენო. არაფერი არ გადის. ჩვენი ჩვენებები მზადა აქვთ. ხელის მოწერა უნდათ, მეტი არაფერი. თუ არ გამოტყდები, რაც კი საძაგლობაა ამ ქვეყანაზე, ყველაფერს გიკეთებენ – რტყმევიდან დაწყებული ნეხვით სავსე კარცერში შეგდებით დამთავრებულიო. ჩვენს საქმეს თვითონ შინსახკომის უფროსი გვილავა იძიებს, მამალი მგელი თუ გაგიგიათ, ის არის ნამდვილი; შეხვალ თუ არა, ნიფხავზე გსტაცებს ხელს, ორჯერ რომ ხელზე ვუკბინე, ა, ნახეთ, მათრახით ამიჭრელა უკანალიო, ჩაიწია ტრიკო საცოდავმა და ლურჯ-წითლად დახაზული რბილი ადგილი გვიჩვენა. სანამ ბარგს ჩამომართმევდნენ და კამერაში შემომაგდებდნენ ჩოჩია და ეგუტია, ნაქსოვი ჩანთიდან ცხვირსახოცები ამოვიღე. ზედამხედველმა კინაღამ წამართვა, ფართო ცხვირსახოცები არ შეიძლება, პატარა ცხვირსახოცების ნება გაქვთ მხოლოდო. გოგო ვარ, შე ღმერთგამწყრალო, მე ვუთხარი, ან და, ან მამიდა არ გყავს სახლში? მთლად ამოწყვეტილი როგორ იქნები მეთქი. მოულბა გული და დამიტოვა ის ჩემი, კრევდიშინის მოქარგული ცხვირსახოცები. რატომ გავიხსენე, თუ იცი, ახლა ის ცხვირსახოცები? დასაკითხავად დაძახებულს გოგოები ვუკუჭავდი კაბის ჯიბეში. პირველად იმ მერის გავატანე, მერე სხვებსაც, რაღაცნაირად ვაგულიანებდი, ვითომ, იმ ცხვირსახოცით, თუ ყურადღებას ვიჩენდი, ვერ გეტყვი მაშინ. მერე იმ ჩემმა ცხვირსახოცმა რაღაცა სხვა გასაგისი შეიძინა. რადა, გეტყვი, შვილო. გვილავა გათახსირებულის იერიშს ყველა ვერ უძლებდა. დაკითხვიდან გამოყვანილს ზევით, ტუალეტში გამოატარებდნენ და ზოგი იქვე ტოვებდა ცხვირსახოცს. ზოგს ჯიბეში ედო ცოტა ამოწეული გამოსაჩენად.

ვინც უცხვირსახოცოდ მობრუნდებოდა, ჩვენ არაფერს ვეკითხებოდით, მაგრამ ვიცოდით, რაც ჭირდა. გასაგები იყო ყველაფერი. გვილავას თავისი სიმხეცე გამოეჩინა. რა დაგიმალო და იმ ექვსიდან ორი ჩამოვიდა უცხვირსახოცოდ და ორივე შედარებით მალე ჩამობრუნდა. შეგვეშინდა წამების და მოვაწერეთ ხელი, რა გვექნა, აბაო. ცხვირსახოცებზე არაფერს ამბობდნენ და ჩვენც არაფერს ვეკითხებოდით იმ უბედურებს. ეგ კი არა, ერთს, გასამართლებამდე, დღისითაც ეძახდა დაკითხვაზე გვილავა და დიდხანს იტოვებდა. მე მეოთხე ამიყვანეს. პატარა, ჩარკინულსარკმლიანი ოთახი, კარის მარცხნივ რუხადიალაგადაფარებული ხის საწოლი იდგა. ისეთი ადიალები ომამდე გამოჩნდა ბაზარზე, მგონი ჰოლანდიური იყო. მაგიდას ტყავისკურტკამოხურული კაცი უჯდა. მაჯებზე და საყელოზე ბლუზა პირწმინდათ ჰქონდა შეკრული. მაღალი, ბობრი კაცი იყო გვილავა, წვრილთვალება და მრგვალკისერა. პირდაპირ, კედელზე ბერიას ცვილისფერჩარჩოიანი სურათი ეკიდა. გვილავამ ლოგინზე დამსვა და თავზე ისე ახლოს დამადგა, რომ მუხლს ზემოთ მის ტყავის შარვალს ლამის ნიკაპით ვეხებოდი. თავი რომ განზე შევაბრუნე, გვერდით დამიჯდა და, თითქოს იატაკს ეუბნებაო, ყრუ ვითომ დაღლილი ხმით გამაგებინა – გეტყოდნენ ალბათ, მარგო, რაზე ხართ დაკავებული. შენ, მე მგონია, ჭკვიანი გოგო ხარ და გეცოდინება, ჩვენთვის რომ ცნობილია ყველაფერი. სანამ სხვებმა არ აღიარეს, არ დაგიძახე, ხომ ხედავ. აგერაა მაგიდაზე შენი აღიარება და მოაწერე ხელი. ისე, საერთოდ, საყვარელი გოგო ხარ შენ. თუ ჭკვიანად იქნები, ნაკლებს მოვაცემინებ მოსამართლეს და შეიძლება გავაშვებინო კიდეც შენი თავი. ქებურია მყავს მე ქვისლი და მიყვარს თქვენი გვარი საერთოდ. ა, აგერაა ეს ქაღალდი და მოაწერე ხელი, წაიკითხე, თუ გინდა, წინასწარ, მარა კარგად სწერია ყველაფერი, არ ჩავაწერინე ზედმეტი არაფერი. იყავით დანაშაულებრივ ჯგუფში, მოგვიდათ შეცდომა და, ა, რას იზამთ ახლა, ისე რა ლამაზი ნიკაპი გაქვს, რომ იცოდე, ასწიე თავი, ნიკაპზე გაკოცებ, მარტო ნიკაპზე და, თუ არ მოგეწონება შენც, დაგანებებ თავს მაშინვე. ა, აწიე თავი და დახუჭე თვალები. კარგი გოგო ხარ შენ“.

„გვილავა არაკაცო, ხელს არაფერზე არ მოვაწერ, ეგ თქვენი შეთითხნილი აღიარება კარგად შეინახეთ, მოგკითხავენ, როცა იქნება. მე ჩემს მთავრობას სისხლით დავიცავ შენისთანა ძახთაპირებისგან. რაც შეეხება ნიკაპზე კოცნას, ხელი არ მომკიდო, თორემ კბილებით გადავიკვნიტავ ორივე მაჯას ახლა, ამ წუთში-მეთქი.

„კისერი გიტეხია, შე ალქაჯის ნაშობო, გეხუმრე, თორემ ვის რად უნდიხარ შენო. მე გასწავლი ახლავე, როგორ უნდა ტროცკის ერთგულებაო. გამოაღო კარი და გასძახა; ხეჩუა, მოდი, მოხედე

ამ გველის წიწილსო. შემოვარდა მკლავებდა კარწახებული, მა-თრახიანი ახმახი, დაწექი პირდაღმა და გადაიფარე კაბა თავზე, შე ძაღლის გაგდებულო, შენო. რომ გავუძალიანდი, ცალი ხელი თმაში ჩამავლო, მეორე წელსქვემოთ და სულ თავი მარტყმევინა საწოლზე. წამოდგომის თავი აღარ მქონდა. მაგრამ, როცა ტრიკო მუხლებამდე ჩამახიეს, ხელები დავიფარე. ჯერ ხელებზე მირტყა მათრახი და ხელისგულები რომ დამისკდა, უკანალზე ისე გამეტე-ბით მცემდნენ მორიგეობით გვილავა და მისი ხელქვეითი, რომ ჩემი კივილი წყალს აღმა შეაბრუნებდა. წამით რომ სული მოითქვეს, ამოვიხავლე, „მომეცით, მოვაწერ ხელს რასაც გინდათ მეთქი“. „აღარ გვინდა შენი ხელის მოწერა, ასე უნდა ამოგხადოთ სულიო“, გვილავამ და მომინაცვლა და მომინაცვლა მათრახი. მოკლედ, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ „პატივი მცა“ და მომაწერინა ხელი. თანაც სულ მადლობა მაძახებინა, რომ ცემას დამაჯერა და „ისე“ გამომიშვა მისი კლანჭებიდან.

თვენახევარს ვიჯექით ოყურუას ციხეში. გაჭიანურდა ჩვენი გამოძიება. როგორც მერე გაირკვა, გვილავას ყველაფერი გაფორ-მებული ჰქონდა, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის ხათრით არ გვაგზავნიდა თბილისში. კამერაში სამი ქალი დაგვიმატეს. უკვე დასაწოლი კი არა, დასაჯდომი ადგილიც არ იყო. ღამე გვერდუ-ლად ვიწექით ერთმანეთს მიკრულები. დაუბანელ-დაუვარცხნე-ლებს ტილ-რწყილი გვჭამდა. ნერვები ყელზე გვქონდა დაბმული ყველას. ხან აგერ წვდებოდნენ ერთმანეთს თმაში, ხან ეგერ. იყო „შე გვილავას ნათრევოს!“ და შე, „ქუჩის თახსიროს!“ კივილი. ჩა-ვერეოდი გამზავებლად იმ კაწვრა-ჯგლეთაში, მაგრამ, ხომ იცი, გამზავებელს მეტი მოხვდაო, ისე მემართებოდა მეც.

ერთი მცველი ბიჭი იყო, „ნადზორს“ რომ ეძახიან, ქუთაისე-ლი ფხაკაძე, უბედურ დღეზე გაჩენილი. „ვიცი, რა დღეშიც ხართ, რასაც აკეთებს გვილავა. პატიმრის აბუჩად აგდების და გაბ-ახების გულისთვის პასუხი უნდა აგოს მაგ ნაძირალამო. დაწერეთ განცხადება და მე გავგზავნი თბილისშიო“..

დავწერე ჩემი ხელით, რაც ხდებოდა, ყველაფერი და მივუჩოჩდი ხან ერთს, ხან მეორეს: „მოაწერეთ ხელი, ეგება ვუშველოთ ჩვენს თავს-მეთქი“. სამმა თუ ოთხმა მოვაწერეთ, ზოგმა უარი თქვა, ზოგმა-ყველა რომ მოაწერს, მერე მოვაწერო. დაშინებული ქა-ლის ამბავი ხომ იცი. წერილის გაგზავნა ვერ მოვასწარით, ჩვენმა კლასელმა დაგვასმინა, იმ ორიდან, – ერთ-ერთმა, გვილავას ჟინის მსხვერპლი რომ გახდნენ. გვარი რად გინდა, მე იმათიც მესმის, სუსტი გოგოები იყვნენ და რაკი ხორცით მიეყიდნენ, მერე ჯაშუ-შობაზეც დათანხმებულიყვნენ საცოდავები.

ამათრიეს ზევით, მე, როგორც განცხადების ავტორი და, ენა ვერ იტყვის, რაც დღე დამაწიეს. სამი საათი ბერიას სურათის ქვეშ ხელებაწეული გამაჩერა გვილავამ. ფეხები რომ დამისივდა და ხელები გამითეთრდა უსისხლობისგან, ბინძურ კარცერში შემაგდო და ორი დღე-ღამე წყალზე დამსვა. ვირთხებიან კარცერში ჩვიდმეტი წლის მშიერი გოგო წარმოიდგინე, შვილო. ხელი და ფეხი წამდაუწუმ უნდა იქნიო, რომ არ ჩაგთვლიმოს და ვირთხამ არ გიკბინოს. კამერაში რომ შემაბრუნეს, თურმე პირი დაცემენტებულივით მქონდა შეკრული. კოვზით გამიხსნეს ღრანჭი და ძალათ ჩამასხეს ცოცხალ-მკვდარს, თურმე, წყალი, თორემ საამქვეყნო პირი აღარ მქონდა. ფხაკაძე იმ დღის მერე თვალით არ გვინახავს.

ჩვიდმეტ აგვისტოს ჩამოგვიყვანეს თბილისში და სადგურის საპატიმროშივე გამოგვიცხადეს განაჩენი. ჩამოგვირიგეს ზოგს რვა, ზოგს ათი წელი. მე ათი მომცეს. რვაწლიანები იმ ღამესვე წაიყვანეს ეშალონით სადღაც. მე მეორე დღეც სადგურში გამატარებინეს. რანაირია მაინც ზოგიერთი; ცხელოდა სასტიკად, ვიხრჩობოდით ქალები. „წყალი მოგვიტანე ერთი ბოთლი, პირი მიშრება, წყურვილი მკლავს-მეთქი“ თოფიან ჯარისკაცს შევეღმერთე. როგორც ეს კედელი არ გამცემს ხმას, ისე ისიც. ჩემი ფათუშას ნაჩუქარი „ბროშკა“ მეკეთა კაბაზე. „ბულავკის“ და ღილის მაგივრობასაც მიწევდა. მოვიხსენი და გავუწოდე. გამომართვა, ჯიბეში ჩაიდო და წყალი მაინც არ მოიტანა. ვლანძღეთ, ვაგინეთ, ვწყევლეთ, მაგრამ რაი მერე, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი ჰქონდა იმ არდასაცალებელს.

გამთენიის ოთხ საათზე საბარგო ვაგონებში შეგვრეკეს. ფანჯრებაჭედილ ვაგონებში იატაკზე ვეყარეთ, მაგრამ სიცხე იმდენად აღარ გვაწუხებდა, მატარებლის დგანდგარში სიო მაინც გაგვირბენდა ტანზე დროგამოშვებით.

დაგღალე, შვილო, ვხედავ, ამ ჩემი უბედურების მოყოლით, ახლავე დავამთავრებ. სტანიცა ფოსფორნაიას ახლოს მოვხვდით ასამდე ქართველი. სხვათაშორის, რომ ჩამოგვყარეს ვაგონებიდან, სანამ კოლონიის წარმომადგენელს თვლით ჩაგვაბარებდნენ, აკანკალებულს (იქ აგვისტოში უკვე ციოდა) ადგილობრივები გამოგველაპარაკნენ, ვინ ხართ, რა რჯულის ხართო. როცა ვუთხარი, ვინც ვიყავით, გაიკვირვეს, ჩვენ გვეგონა სტალინი ქართველებს არ იჭერდაო.

ჯერ მაღაროში ვმუშაობდი, მერე ქალები გამამდიდრებელში გადაგვიყვანეს, ჩვენი კაცები იქ ჩარჩნენ, იქ ჩალიეს ჯამრთელობა და ბევრმა სიცოცხლეც. ვპატრონობდით ერთმანეთს, რაც შეგვეძლო, მაგრამ რა შეგვეძლებოდა პატიმრებს, მოგეხსენება. გამამდიდრებელ ქარხანაში მეტი დრო მქონდა და მოვუხშირე და მოვუხ-

შირე სტალინის სახელზე განცხადებების წერას. ჩვენი ლაგერიდან მიმოწერა საერთოდ არ შეიძლებოდა, ვახერხებდით რაღაცნაირად განცხადებების მოსკოვში გაგზავნას, გულისხმიერი ხალხი ყველგან არის. თვითონ ლაგერის თანამშრობლებიც გვიმართავდნენ ამ საქმეში, ხანდახან, ხელს. ფათუშასაც ბევრი წერილი მივწერე მაგრამ როგორც მერე გაირკვა, არცერთი არ მიუღია.

რა დამავიწყებს; ორმოცი წლის იანვარია, ყინვა ოცდათვრამეტს ურტყამს. ფეხის თითები, ცხვირი მომეყინა და ლაგერის სამდღიან „ვიზდოროვიტელში“ ვწევარ შეხვეული. ლაგერის უფროსი გეძახისო, მითხრეს და წამომაგდეს ფეხზე. მივედი, ფეხებს აჩა-ბაჩად ვდგამ, მოქალაქე უფროსო, პატიმარი ქებურია გისმენთ-მეთქი. მწყრალად შემომხედა. ვინ გეხმარებოდა წერილების გზავნაში, მითხარი, თორემ კარცერში ამოგალპობ ახლავეო. რა წერილი, რისი ფოსტა-მეთქი, შორს დავიჭირე. დამიდო წინ განცხადება ჩემი ხელით დაწერილი. რატომ გგონიათ თქვენ, ქართველებს, რომ სტალინი გიშველით ყველაფერშიო. ნახავ შენს სეირს, გადაამოწმებენ თქვენს საქმეს და თბილისში დაგიმატებენ პატიმრობის ვადასო. ყოფილიყავი წყნარად, არ გაგეჩაღებინა წერა, მამაჩემსა აქვს ცხონება, მოიხდიდი სასჯელს და წახვიდოდი შინო. მე არ მინახავს, მაგრამ თურმე განცხადებას, ცალკე ფურცელზე სტალინის რეზოლუცია ახლდა – „პერესმატრეტო“. ბადრაგის თანხლებით თბილისში ჩამომიყვანეს. იქ გავიგე, რომ სხვადასხვა ადგილას გადასახლებული ჩემი ოთხი ჯგუფელიც ჩამოეყვანათ. ერთი აღარ იყო ცოცხალი. ახლაც არ იცის მისმა ჭირისუფალმა სად, რა ბედი ეწია. დაგვაპირისპირეს გვილავასთან. მისმენ, შვილო? მე ორჯერ ჩამომართვეს ჩვენება გვილავას თანდასწრებით. ყველაფერი ვთქვი, რაც მოხდა და როგორც მოხდა. მაშინ გვილავა დაპატიმრებული არ იყო, თვალს მიბრიალებდა. გამომძიებელმა ერთი წამით დაგვტოვა ოთახში და მოასწრო ეთქვა-სულს ამოგხდი იცოდე, ცოცხალი არ უნდა გამომეშვი, ესაა ჩემი შეცდომაო. გამომძიებელი რომ შემოვიდა, მივაყარე – მე, დაინვალიდებულ ქალს, აქაც მემუქრება ეს გარეწარი-მეთქი.

არ გაუვლია ერთ თვეს, ოყურუაში ჩაგვიყვანეს პატიმრები. გვიკვირდა, ერთ საქმეზე დაკავებულები, ერთ ვაგონში ჩაგვსხეს და გამყოლი ერთის მეტი არ გვახლდა. რაშია აწი საქმე, რაღაც მოხდა-მეთქი. გოგოებიც კარგ ხასიათზე იყვნენ. ჩამოვედით და პირდაპირ სასამართლოზე გაგვიყვანეს.

ვინ იჯდა თუ იცი, ბრალდებულის სკამზე? შინსახკომის ყოფილი უფროსი გვილავა. ჩვენ „სამეულმა“ გაგვასამართლა, მაშინ ისე იყო საერთოდ მიღებული და გვილავას სასამართლო საჯაროდ, ღიად, ხალხის თანდასწრებით ჩატარდა.

„ამხანაგ სტალინის განკარგულებითო, დაიწყო მოსამართლემ, ხელახლა ჩატარდა გამოძიება სამი წლის წინათ მსჯავრდებულების (ჩვენი გვარები ჩამოთვალა) საქმეზეო. გამოირკვა გვილავას დანაშაული და აგერ, თქვენს თვალწინ ვასამართლებთო“. არ გვჯეროდა. თუ ეს ყველაფერი ნამდვილი იყო. გადაჩვეულები ვიყავით სიმართლის რწმენას, შვილო, და ჩვენ, უსამართლოდ დასჯილები, ენაჩაგდებულები ვიჯექით, სანამ ჩვენი ჩვენების დრო არ მოვიდა.

მანამდე კი აი, რა გაირკვა. გვილავას პირადი ინტერესით დაუპატიმრებია ქოჩილავა. ჯინი ჰქონია იმ ოჯახის, ბავშვობიდან. რა ვიცი. ცოლი არ ჰყავდა ისეთი ლამაზი, რომ ცოლის გულისთვისო, გეფიქრა. ისე, გვილავასთანა გათახსირებული არც ამაზე დაიხევდა უკან. ქოჩილავას უპოვეს გუნდის სია ჩხრეკის დროს. იმ სიაში ვიყავით ჩვენ, მომღერალთა გუნდის წევრები ვიყავით, ჩვენდა ჭირად, სკოლაში, ხომ გითხარი თავიდან. ის სია გვილავას შეთქმულთა სიად გამოუცხადებია და ჩვენი დაპატიმრების ორდერი გაუცია. ჩვენი კლასიდან ექვსი ვმღეროდით ქოჩილავასთან და სულ სკოლიდან ოცდაოთხი მოწაფე ეწერა იმ სიაში. ოცდაოთხიდან ოცდაერთი დაგვაპიტიმრეს. მარტო ორს არ მოკიდეს ხელი, მეოთხე კლასის მოწაფეები ყოფილან და იმიტომ.

დახვრეტა მიუსაჯეს იმ დღესვე გვილავას. ამბობდნენ, ცოლი მეორე დღეს ბერიასთან გადაფრინდა მოსკოვში, მაგრამ ბერიამ ახლოსაც არ გაიკარაო. ერთი სიტყვით, დახვრიტეს ჩვენი დამღუპველი გვილავა.

ორგანოებიდან გამოყარეს ეგუტია, ჩოჩია და ბევრი სხვაც, მაგრამ დახვრეტით მარტო გვილავა დახვრიტეს. საცოდავი ლულუ ჭკუიდან შეიშალა მაშინ (და, როგორც გიჟი, სასამართლომდე გაუშვეს, დამავიწყდა მეთქვა). ჩოჩიამ ლეფურთელი ძიკვავას გოგო ითხოვა და დიდხანს მექრთამე-ნოტარიუსად მუშაობდა დაბაში. შარშანწინ წაიღო თქვენი ჭირი.

ა, შვილო. ესაა სულ. რა ცოტაა მოსაყოლად, ეს ოხერი, კაცის ცხოვრება. რა მალე შემოგელევა სათქმელი ხელში. მაშინ, რაკი გამომიშვეს და თოფიანი კაცი აღარ მედგა გვერდით, თავი ბედნიერად ჩავთვალე და პენსიაზე აღარ მიზრუნია. ჩემი გამზრდელიც მეუბნებოდა ცხონებული, პენსიონერ გოგოს ვინღა გითხოვს ცოლადო.

გათხოვებით მაინც ვერ გავთხოვდი და ისე გაირბინა ამ წლებმა, რომ სხვა სიკეთესაც ვერაფერს ვეწიე. ამ რვა წლის წინათ დამინიშნეს მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსია. პირველი მეკუთვნოდა, მაგრამ არ მომცეს, რა ვიცი, რატომ; ახლა ამ ჩემს მოყინულ ხელ-ფეხს სიბერის ქარებიც დაემატა და დავკუტდი, შვილო, ძლივს დავღოღავ.

ყურადღებით გამსინჯონ, რაც მჭირს, ის დამიწერონ, არ მინდა მაგათი სხვა არაფერი.

* * *

რაიონის საპენსიო კომისიას
ასლი „ნუგეშის“ რედაქციას
პატივცემულო საპენსიო კომისიის წევრებო, ბატონო რედაქტორო

ამ ორმოცი წლის წინათ რიგში ცხრა წლის ბიჭმა პურის ბარათი დავკარგე. საბარათო სისტემის ეპოქაზე მოგახსენებთ. პურზე ისეთი ჭყლეტა-ზედახორა იმართებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო უბარათოდ კი არა, უთავოდ დარჩენილიყავ. როგორც იქნა, მივაღწიე ჟორაია ნოქრამდე და უნდა გენახათ ჩემი ღრიალი, ჯიბეში ბარათი რომ ვერ აღმოვაჩინე. ჩვენი ოჯახის ექვსი წევრის პური შეიხვილიფა იმ დღეს ვიღაცამ. მეტი უბედურება რაღა მოხდებოდა, მეგონა, ცა ჩამოიქცა-მეთქი. ჩემი დოყლაპიობით ოჯახი უპუროდ დარჩა. „რა ვუყოთ, ხდება ხოლმეს“ ლმობიერი პედაგოგიური პრინციპისთვის არ მიუმართავს იმ დღეს ბებიაჩემს; მცემა. ეხლა პურის მაღაზიაში რომ შევდივარ, ის დღე მახსენდება და ტანში გამაკანკალებს. რა გასახსენებელი ეგ არის. ახლა აღარც პურის ბარათებია და შინ ჩემი გამლახავიც არავინ მეგულება, მაგრამ მაინც ის დღე არ ამოდის გონებიდან. საწყენი მერეც ცოტა როდი შემხვედრია, მაგრამ ის პირველი ტრაგიკული შემთხვევა სხვა იყო.

თორმეტის ვიყავ, სტალინი რომ გარდაიცვალა. ინგლისურის მასწავლებელმა, მაღალმა, ლამაზმა კაცმა – მიხეილ იაკობაშვილმა ინგლისურის გაკვეთილზე მეტისმეტად დამწუხრებული სახით გამოგვიცხადა; ბელადი გარდაიცვალაო. ბელადი როგორ არ ვიცოდით, მაგრამ მისი გარდაცვალება რატომ იყო ჩვენთვის საშინელება, ვერაფრით წერმოგვედგინა. წამოვდექით. იმ სიჩუმეში, რაც იაკობაშვილმა ფეხზე დაგვაყენა, ყველანაირი ცუღლუტური ფიქრი გაკრთა ჩვენს თავში. ვერ აგვეხსნა, რა შუაში ვიყავით ჩვენ ბელადის სიკვდილთან. ერთი კი იყო, მიხეილ იაკობაშვილი ისე გვიყვარდა, რომ მისი ხათრით კიდევ დიდხანს გავჩერდებოდით სევდიანი დუმილის პოზაში და, თუ საჭირო გახდებოდა, ცრემლსაც გადმოვღვრიდით.

შინ რომ დავბრუნდი და მამაჩემის თვალზეც ცრემლი შევნიშნე, დავრწმუნდი; ისეთი ვინმე იყო მკვდარი, ჩვენ რომ ყველს ერთად უნდა გვეგლოვა.

ამ ამბის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, ერთ საღამოს, ბიბლიოთეკარი შორენა მოგვადგა კარზე და ბებიაჩემს სთხოვა; უშანგის წავიყვან

ბიბლიოთეკაში, თუ შეიძლება, აუცილებელი საქმე მაქვს და უნდა მომეხმაროსო. ბებიამ შინ შემოიპატიჟა. დედაჩემი საკერავ მანქანას უჯდა, შორენამ რომ უჩურჩულა, „ვკითხავ მამამისსო“, უპასუხა, საკერავს ხელი უშვა და სარდაფში მოფუსფუსე მამაჩემს ჩააკითხა. ცოტა ხანში ამობრუნდა და მითხრა: „წაყევი შორენას, თბილად ჩაიცვი, შეიძლება დილამდე იქ ყოფნამ მოგიწიოსო“.

ეს გახლდათ ჩემი პირველი უძილო ღამე. ბიბლიოთეკაში ჩვენი ქუჩის თხუთმეტიოდე მცხოვრები შეკრებილიყო. „განსაკუთრებით აქტიური მკითხველებიო“. გამოგვიცხადა შორენამ. გამეხარდა, რომ აქტიურ მკითხველებში მეც ვითვლებოდი. მთელი ღამე ვფურცლავდით წიგნებს და „ბერია“ სადაც შეგვხვდებოდა, ან ფურცელს ვხევდით, ან მელნით გულმოდგინედ გადავხაზავდით. ბევრი წიგნი, რომლებშიც ბერიას საგმირო საქმეებზე ეწერა, ცალკე დავაგროვეთ და დილით ბიბლიოთეკის ეზოში, კოცონზე დავწვით. სხვა წიგნებიდან, რამდენადაც შეგვეძლო, გულმოდგინედ ამოვშანთეთ მოღალატე მარშალი. ამოვხიეთ სურათები, გამოჩენილ პოეტთა წიგნებიდან ამოვჭერით ბერიასადმი მიძღვნილი ლექსები.

დილით ღამენათევი და გატანჯული, მაგრამ დარწმუნებული და კმაყოფილი მოვაბიჯებდი შინისაკენ. გულში მიხაროდა, რომ საქვეყნო საქმეში მეც გამრიეს. რომ ჩემი ვალი მოვიხადე ქვეყნის წინაშე. ერთი რამ მიკვირდა მხოლოდ; ამდენმა მწერალმა, ამდენმა თავიანმა კაცმა, იმათ, ვინც ბერიას ყოველდღე ხვდებოდა, აქამდე როგორ ვერ შეამჩნიეს ცხვრის ქურქში გადაცმული მგელი-მეთქი. მოვედი სახლში. ჩემი ოჯახის წევრების თვალწინ დინჯად გავიარე შუშაბანდი. ჩემს მაგიდასთან გაკრულ ბერიას სურათს შევხედე, კალმისტარი ავიღე და „იმპერიალიზმის ჯაშუშს“ თვალები დავთხარე. ბებიაჩემმა ამოიგმინა. მამამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მისაყვედურა და თავი განზე რომ არ გამეწია, ყურზე ხელის წავლებასაც მიპირებდა: ვინ გასწავლა ასეთი სისასტიკე, შე მამაძაღლო. ჩამოგეხსნა სურათი და ბუხარში შეგეგდო. სურათისთვის თვალების დათხრა რა ვაჟკაცის საკადრისიაო. სხვა სურათების მოგროვებაც მოგიწევთ, ნუ გეშინია, მალე დაერევიან ეგენი ერთმანეთსო.

ის დღე და მამაჩემის ნათქვამი მთელი ცხოვრების მანძილზე დამამახსოვრდა.

დიდ პოლიტიკასთან მე უშუალოდ საქმე არ მქონია. მეტალების ცივად დამუშავების ფაკულტეტი დავამთავრე, დამთავრებისთანავე ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში დამტოვეს, 1966 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი და დღემდე კათედრაზე ვმუშაობ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. პარტიაში არ შევსულ-

ვარ. უარი ვთქვი-მეთქი, რომ გითხრათ, მთლად მართალი არც ეს იქნება. ახალგაზრდობაში მინდოდა პარტიის წვერი გავმხდარიყავი, მაგრამ, როგორც მახსოვს, უარი მითხრეს, ანკეტა არა გვაქვსო. მაშინ პარტიაში შესვლის მსურველს უარს ანკეტის უქონლობის გამო ეუბნებოდნენ. მერე თვითონვე აღარ მქონია სურვილი, რა ვიცი, რაღაცნაირად მიმავიწყდა, თუ მიმრჩა.

დიდ პოლიტიკასთან უშუალო კონტაქტი არ მქონია-მეთქი, რომ გითხარი, იცი რას ვგულისხმობდი? არჩეული არსად ვყოფილვარ და თანამდებობა არ მჭერია, თორემ ისე პოლიტიკის გარეშე ვინ გაგიშვებდა. კრემლის ბასტილიებმა სულ ჩემს გულზე გადაიარა.

ჯერ სტალინმა დაგვღალა და გაგვაცალა სიქა მისი სიკვდილიდან დღემდე. ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ მოვინელეთ. ვერ იქნა და ვერ შევაფასეთ. ვატყობ, სიამოვნებით აღარ ახსენებდა ზოგი, ან ერთხელ და სამუდამოდ ჩარიცხავდა მტრების და სისხლისმსმელების ბანაკში, მაგრამ იმ ოცდაათწლიანი ეპოპეისთვის ვერაფერი მოუხერხებიათ, რომელთანაც ჩვენი სისტემის ბევრი გამარჯვებაა დაკავშირებული. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და მართლა დიდი კაცი ყოფილა; ამდენი ხნის შემდეგაც ამდენ საზრუნავს რომ გვიჩენს და დღესაც ხშირად გვახვევს თავის ნებას.

მამაჩემმა რომ მითხრა, დაერევიან ერთმანეთსო, სულ იმ განწყობილებით გავატარე მთელი ცხოვრება და, ვის დავუმალო, არ ვამბობდი, თორემ ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. კი, რასაკვირველია, კრებებზე ტაშს ვუკრავდი, პარადზე სურათები სხვებთან ერთად მეც გამქონდა, მეც ვიბრაგუნებდი გულზე ხელს, როგორც იქნა კოლექტიურ ხელმძღვანელობას დავუბრუნდით და ახლა კი გავედით სწორ გზაზე-მეთქი, მაგრამ ჩემს თავთან მარტო დარჩენილს ირონიულად მეღიმებოდა, ყურში მიღიტინებდა უნდობლობის ეშმაკი: „ცოტაც მოიცათ. ნახავთ სეირს. ეგ ვინ მამა აბრამის ბატკანია, ერთი დრო სტალინს არ შერჩა-მეთქი“.

ჩემს თვალწინ გაირბინეს თავშეკავებულმა მოლოტოვებმა და „მათ მიტმასნილმა“ კაგანოვიჩებმა. სტალინურ კიტელში გამოწყობილ მალენკოვს რომ ვხედავდი, უკვე ვიცოდი, რომ სულ მალე მოუწევდა ბეცი პოლიტიკოსის იარლიყით სამარცხვინოდ წასვლა ტახტიდან და სვერდლოვსკის იქეთ, რომელიღაც პატარა საწარმოს ზედამხედველიანი დირექტორობა. ინდოეთში სპილოებზე ამხედრებულ ბულგანინს და ხრუშჩოვს რომ „შევხაროდი“, გული მეჭეჭკებოდა, რადგანაც ვგრძნობდი, ჰა და ჰა, ერთი მათგანი დაიდგამდა გვირგვინს თავზე, ხოლო მეორეს ეკონომიკაში გაურკვეველ, სუბიექტივისტური, ამბიციით შეპყრობილ სნობად გამოაცხადებდა.

ვხვდებოდი მეტროთი ნოვოდევიჩზე მიმავალ ერთ დროს საგარეო პოლიტიკის თავს და სტალინის მარჯვენა ხელს – მოლოტოვს; ყრილობათა კულუარებში ნაცემი ძაღლივით დააბიჯებდა“ ვოროშოლოვი და ერთმანეთის მიყოლებით, ჩუმად, უხმაუროდ თავიანთ მღვიმეებში შემკრთალ-შეყუჟულები კვდებოდნენ ძველი რევოლუციური გვარდიის ბუდიონები და მიქოიანები.

თბილისში, ბურევესტნიკის სტადიონზე ერთ ქარიან დღეს, ხრუშჩოვმა მუშტები რომ გვიქნია და მწყრალად გახედა ქარისგან ჩამოხეულ მის უშველებელ პორტრეტს, მაშინ ვთქვი ჩემთვის, „არც შენ გიწერია დიდი დღე-მეთქი“.

ჩვენს თვალწინ ხრუშჩოვი ვოლუნტარისტად, თავნებად და თავგასულად გამოცხადდა და ისტორიამ ერთბაშად მიაყარა დავიწყებას ქვა და გუნდა.

მერე დიდხანს მიგვაქანებდა ხრუშჩოვზე აარანაკლები პოლიტიკური ავანტიურისტი – ბრეჟნევი უძრაობისა და განუკითხაობის ჭაობში. ისე დიდხანს და მოსაწყენად, რომ სულ ვეღარ ვითქვამდით და მიქელ-გაბრიელს რომ არ ეხმო, ვინ იცის, სანამდე ჩავეფლობოდით იმ წუმპეში, საიდანაც ამოსვლა ასე გაგვძნელებია.

რა გაწუწუნებსო, მეტყვით, შენ ხომ შენთვის ცხოვრობდი, პოლიტიკაში თითქმის არ ერეოდი, არც კარიერის კიბეზე მდგარხარ და არც დაცურების სიმწარე გიგემიაო.

არ არის ასე, ჩემო ძვირფასო, თორემ ასე რომ იყოს, ჩვენ ჩვენთვის ვრჩებოდეთ და ხელმწიფენი თავისთვის ხელმწიფობდნენ, ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმას.

მაღლა, ყოველი პოლიტიკური წაჯექ-უკუჯექობა მე მაწვებოდა კისერზე. რად? შავი პურის რიგებად, სიმართლის მთქმელთა მიმართ რეპრესიებად, „დახმარების“ საბაბით მილიონების განიავებად, სულელურ სამეურნეო ექსპერიმენტებად, სამშობლოდან გაძევებად, ავღანეთში ჩახოცილ უდანაშაულო შვილებად, შიშად – რამე არ წამომცდეს, საკალიმოდ არ წავთამამდე-მეთქი. წიგნებიდან და სამეცნიერო ნაშრომებიდან ამოჭრილ ციტატებად, შერყეულ რწმენად, დაკარგულ იმედებად...

* * *

ბერია კარგად მახსოვს. ოცდაჩვიდმეტ წელს რვა წლისა გახლდით და რვა წლის ბავშვს, მოგეხსენება, მეხსიერება გაფაციცებული აქვს. მამაჩემი ქალაქ სამაჩვიის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. თბილისში ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა და ბერია ჩვენთან სტუმრად ხშირად მინახავს. საშუალო ტანის, პენსნიანი

კაცი იყო, საოცრად გაპრიალებული ჩექმები და ტყავის გალიფე ეცვა. სხვათა შორის საკმაოდ გამხდარი და ჩასხმული ტანის იყო. სხარტი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, თითო-ოროლა ლექსი ვიცოდით მე და ჩემმა ძმამ (ძმა წლინახევრითაა ჩემზე უფროსი) და ყოველ მოსვლაზე გვათქმევინებდა. ჩემს პატარა, ტიტლიკანა დას (ათი თვის იყო მაშინ) მხარზე შეისვამდა და ოთახში დაარბენინებდა.

ენგელსის ქუჩაზე ვცხოვრობდით. სამი ოთახი გვეკავა. სანამ დაი შეგვეძინებოდა, დედაც მამასთან იყო სამაჩვიაში და ჩვენ ბებია გვზრდიდა. დედა ბოლოს რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ეს ამბავი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ მაისს მოხდა.

მამა წინა დღით ჩამოვიდა. გოგირდის აბანოში უყვარდა წასვლა და ჩვენც წაგვასხამდა – უღელ ბიჭებს. აბანოდან რომ დავბრუნდით, მახსოვს, იმ საღამოს დედა და მამა დიდხანს უსმენდნენ რადიოს.

ცხრამეტ მაისს პლენუმი იყო დანიშნული – ეს უკვე ბებიაჩემის ნაამბობიდან ვიცი. მამა ათის ნახევარზე გავიდა თურმე სახლიდან. ათს წუთები აკლდა, ბერიამ დარეკა; ლიზიკოვო, დედაჩემს უთხრა, პლენუმის შემდეგ შენთან ვართ სადილზეო. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, მამაჩემს პლენუმის, ან რაიმე დიდი ღონისძიების შემდეგ ბერია და კიდევ ორი-სამი კაცი სადილზე მოჰყავდა. სამზარეულოში დედა და ბებია ფუსფუსებდნენ. ჩვენ, ლექსებს რომ ვიტყოდით, საწოლ ოთახში გაგვისტუმრებდნენ. ან, რაც ყველაზე დიდი დღესასწაული იყო, ეზოში ჩაგვიშვებდნენ. ბერია და მისი თანმხლებნი მანქანით მოსულნი არასოდეს მინახავს, ფეხით მოდიოდნენ და ფეხითვე ლაპარაკ-ლაპარაკით აუყვებოდნენ ენგელსს. მამაჩემი ჭიშკრამდე გააცილებდა და მობრუნდებოდა ცოტა შეზარხოშებული როცა იყო, მთელ საღამოს ჩვენთან ბუღრაობაში ატარებდა. იატაკზე ვგორავდით, ვითომ ვერეოდით მამას, ისიც ყასიდად წაიქცეოდა, „ვაიმე, ვაიმე, რა ღონიერი „უღელი“ ბიჭები ყოფილხართო“, წუწუნებდა. დედაჩემი გარს გვივლიდა, ტუქსავდა მამას; „არაფერი მოტეხო, შე დათვო, ამ ბალღებს, შენც ამათი ჭკუის ხარ, ნუ დამინგრიეთ ეს დალაგებული სახლიო“.

იმ დილით დედამ ყურმილი რომ დადო, ბებიას უხმო, არიქა წყალი დაადგი, სადილად ჩვენთან მოდიან, ბაზარში წასვლას რაღას მოვასწრებთ, მაინც რატომ არ გაგვაფრთხილა ტერენტიმო (ტერენტი მამაჩემს ერქვა). დაფაცურდნენ ქალები. მიიძ-მოიძიეს, რაც ჰქონდათ შინ. ხომ იცი, თავშენახული ქალი უქონელს გააჩენს. არაფერი სჯობია სასტუმრო სამზადისს, განსაკუთრებით ისეთი დიასახლისის ოჯახში, ვისაც სტუმრები უყვარს.

გახდა ოთხი საათი. პლენუმი მაშინ თურმე დიდხანს არ გრძელდებოდა, ჩვეულებრივ ორზე მთავრდებოდა ხოლმე. სტუმრები არ ჩანან. ექვსზეც რომ არავინ გამოჩნდა, დედაჩემმა ცეკაში დარეკა, კომენდატურიდან უპასუხეს: პლენუმი ორის ნახევარზე დამთავრდაო. დედამ ტელეფონით პირდაპირ ბერიას დაურეკა; სად ხართ, რატომ არ მობრძანდით სადილად, გაცივდა ჭადები, ჩემს ქმარს მაინც რაღატომ შეაგვიანდაო. გაუთვალისწინებელი საქმე გამოგვიჩნდა, ტერენტიც აქ არის, გასარკვევი გვაქვს რაღაც და ბოდიშს გიხდით, საღამოს მოვალთ ყველანი ერთადო, – დაბნეულად უპასუხნია ბერიას.

ასე, დაახლოებით, რვა საათზე რადიო აცხადებს: „დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მხილებულ და ადგილზე დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დივერსიის ორგანიზატორი და შეთქმულების ინიციატორი, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტი ტერენტი ჩიორიძე“. დედაჩემის კივილზე ყველანი წინა ოთახში გამოვცვივდით, მაგრამ რადიო უკვე სხვა „აგენტების“ გვარებს აცხადებდა.

დედაჩემი მაშინვე ტელეფონს ეცა და ორი საათის განმავლობაში გააფთრებით რეკავდა, კატეგორიულად მოითხოვდა; ბერიას მალაპარაკეთო, მაგრამ აღარ აერთებდნენ.

წარმოგიდგენია, კაცო? ცინიზმს საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს? ათზე რომ დარეკა, სადილად მოვდივართო, მაშინ, როგორც ჩანს, ბერიას მამაჩემის დაპატიმრება გადაწყვეტილი ჰქონდა. იქნებ არც ჰქონდა და პლენუმზე „ამხილა“ ვიღაცამ. ამდენი ხანია ვფიქრობ და ვერ გამირკვევია. თითქოსდა მეგობრობდა მამაჩემთან, ხომ გითხარი, არაერთხელ უსადილნია ჩვენთან და რაში დაჭირდა, ისედაც გაუბედურებული ოჯახის დაცინვა, სადილად გველოდეთო.

გაინტერესებს, ალბათ, მერე რა მოხდა. დედაჩემმა ჩაიცვა და სადღაც წავიდა. ჩვენ რა დაგვაძინებდა. ბებია ოთახიდან ოთახში გადი-გამოდიოდა ტირილითა და მოთქმა-ვიშით. შუაღამე გადასული იყო, დედა რომ დაბრუნდა. არაფერს მეუბნებიან, კვალსაც ვერ მივაგენიო.

მეორე დღეს მეზობელი ფინინსპექტორი შვინდაძე შემოვიდა. ჯერ მოგვისამძიმრა, მერე დედაჩემთან მივიდა და წყნარად, ჩურჩულით უთხრა: ლიზიკო, თქვენ ალბათ ამ ბინიდან მაინც გაგასახლებენ და თუ ჭკუაში დაგიჯდეთ, ჩემს ერთოთახიანში გადმოდით, გავცვალოთ ბინები და ფულს დაგიმატებთ, თქვენ ახლა ფული დაგჭირდებათო. დედაჩემმა იფრინა შვინდაძე. რას ჰქვია გაგვასახლებენ. ტერენტი გაუგებრობის ნიადაგზეა დაკავებული. ჯერ წინაპატიმრობაშია, სანქცირებული არც კია. რა ჭირდა ჩემს ქმარს დასაჭერი. ხვალვე გაანთავისუფლებენო.

ისე განთავისუფლდა შენი მტერი, მამაჩემი რომ გაანთავისუ-ფლეს. ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტი მაისის შემდეგ თვალით არ გვინახავს. მამის დაპატიმრების მესამე დღეს დედაჩე-მიც დააპატიმრეს. ჩვენ, ბავშვებს, დედის წაყვანა არ გაგვიგია. გამ-თენიისას მოსულა მანქანა. გაჩერდნენ თუ არა ჩვენს სახლთან, უკვე ვიცოდი, დედაშენის დასაჭერად რომ მოდიოდნენო, ბებიაჩემმა.

ერთი კვირაც არ გასულა ამ ამბის შემდეგ, ჩვენს სახლს დილის ექვს საათზე ღიასაბარგულიანი მანქანა მოადგა. „პატარა ტონკას“ ვეძახდით ბავშვები. მახსოვს, როგორ ისროდნენ მანქანაზე, რაც ხელში მოხვდებოდათ. ავეჯის და სხვა მძიმე ნივთების წაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დაგვსვეს ყველანი, ჩემი პატარა დაიკო ბებიას კინაღამ გაუვარდა ხელიდან. აღმასრულებელმა მოწყალება მოიღო, ბებიას ბავშვი გამოართვა და კაბინაში მუხ-ლებზე დაისვა. გაგვიყვანეს დიდუბის ბოლოს, პატარა მინდორზე, სადაც მშენებლობის ნარჩენებს და, მგონი ნაგავსაც, ჰყრიდნენ, გადმოგვცალეს მანქანიდან და დაგვტოვეს ღია ცის ქვეშ.

ესღა გვაკლდა. არც თავშესაფარი, არც რაიმე სახსარი. ბები-აჩემს ეს ძუძუთა ბავშვი ხელზე. სანამ გინდა იტირო და ითავცემო. მივიხედ-მოვიხედეთ, მოშორებით კარვები ჩანს. ჩვენსავით დარ-ბეული ოჯახი, იქვე, ფარღალალა კარვებში ცხოვრობდა. ვიღაცამ შეგვიკედლა. დაგვაპურეს. ნაშუადღევს ისევ მორახრახდა „პატარა ტონკა“. ჩვენი ნაცნობი აღმასრულებელი გადმოვიდა მანქანიდან და ძარასთან დოინჯშემოყრილი გაჩერდა. შოფერმა დაკეცილი-და-ბურდული ბრეზენტი გადმოათრია და იქვე დააგდო. აღმასრულე-ბელი კარვებისკენ წამოვიდა; „ტროცკისტ ჩიორაძის ოჯახს გადაე-ცით, რომ ხალხის მტრის და მისი შეთქმული მეუღლის ბინისა და ქონების კონფისკაცია მოხდენილია, ქალაქის ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს კარვის გარდა, ჯერჯერობით, სხვა თავშესა-ფარი შემოგთავაზოთ. ზამთრამდე ალბათ რაიმეს მოგიხერხებთ. ბინით იმპერიალიზმის აგენტების კი არა, პატიოსანი მშრომელების ოჯახებსაც კი ვერ ვაკმაყოფილებთო“. ეს თქვა ახრიალებულ-აძა-გძაგებული მანქანისკენ წავიდა და თვალს მიეფარა.

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. დაგვეხმარნენ, გაგვაშ-ლევინეს კარავი, ვიღაცამ თავისი შეზლონგი დაგვითმო, ფიცრის ტახტი სახელდახელოდ შეგვიჭედეს და მოვეწყეთ „მეფურად“. ჩვენი საგზალი ორ-სამ დღეში გამოგველია, მერე ბებიამ სადღაც დამლაგებლად დაიწყო მუშაობა და ჩემი პატარა დაც თან დაჰყ-ავდა. ჩვენ დილიდან საღამომდე მტკვრის ნაპირას ვერთობოდით. ეგ იყო გვშიოდა, თორემ სხვა მხრივ, გითხრა სიმართლე, დიდად მოწყენილები როდი გახლდით.

ზაფხული ასეთ ყოფაში გავლიეთ. სექტემბერში იქვე, ახლოს, სკოლაში მიგვაბარეს. ცხრაჯერ შეეცვალა იმ სკოლას ნომერი, მერე დაანგრიეს და, მოშორებით, კუს ქუჩაზე ახალი ააშენეს. ახლა, მგონი, ასოთხმოცდამეშვიდე თუ ასოთხმოცდამეცხრე სკოლაა. კოშმარივით მახსოვს ის ერთი წელი. ჩემი ძმა მეორეში დასვეს, მე პირველში. ჯერ იყო და სიაში ნოემბრის ბოლომდე არ შეგვიტანეს. ვგრძნობდით, რომ გერებივით გვექცეოდნენ და ამის გამო თვალშიც არავის ვეჩხირებოდით. ერთად დავდიოდით; ხან ჩემი ძმა ესწრებოდა ჩემს გაკვეთილებს, ხან მე ვიჯექი მეორეში. პასუხს გაცდენაზე და დაგვიანებაზე არავინ გვთხოვდა. მახსოვს, სახელმძღვანელოები დაარიგეს და ჩვენ, როგორც ტროცკისტის შვილებს, არ მოგვიწია.

იმ წელს ყინვები ადრე დაიჭირა. კარავში სიკვდილი გველოდა. მიდგა-მოდგა საწყალი ბებიაჩემი და დიდუბეში, სამსართულიან საუწყებო სახლში, კიბის ქვეშ, ოთახისმსგავსი რაღაც აღმოაჩინა. ეს უკვე გადარჩენას ნიშნავდა. პრიმუსით იოლას გავდიოდით. ღუმელი კიდეც რომ გვეშოვა, დასადგმელი ადგილი არ იყო.

იმ ზამთრის სიმშვენიერეებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბევრი რამ შენვე შეგიძლია წარმოიდგინო.

მთავარს გეტყვი: ერთი წლის შემდეგ გამოუშვეს დედაჩემი ციხიდან. ჯერ გაუსამართლებია სამეულს და ხუთი წელი მიუცია. მერე, ბერია რომ მოსკოვში გადაიყვანეს, რატომღაც გადაუხედავთ დედაჩემის საქმისთვის და კი არ გაუმართლებიათ; ის ერთი წელი სასჯელის მოხდად ჩაუთვლიათ და ხელწერილი ჩამოურთმევიათ, რომ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში აღარ გაერეოდა. ჩამოვიდა დედაჩემი მოქალაქეობრივ უფლებააყრილი და სულიერად განადგურებული. არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მახსოვს, ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტში დართეს. მიაკითხა ძველ სახლს. იქ უკვე სხვა, ვიღაც უცნობი პირები ცხოვრობენ. ჩვენი ბინა ორი ოჯახისთვის მიუციათ. შვინდაძე იმ დროისთვის დაპატიმრებულია. ჩვენ, რასაკვირველია, შიშით იმ სამეზობლოში აღარ გამოვჩენილვართ. ბებიაჩემი ერთხელ ყოფილა და ქურთი მეეზოვე ქალისთვის საიდუმლოდ გაუნდვია: „ჩვენი ასავალ-დასავალი არავის უთხრა, თორემ ამ ბავშვებსაც წამართმევენ. თუ ლიზიკო ან ტერენტი გამოჩნდნენ, მეტი არაა ჩემი მტერი, უთხარი რომ დიდუბეში, საკირის ქუჩაზე კიბის ქვეშ ვართ შეფარებული. სხვას არავის უთხრა, თორემ ჩვენ ალბათ ჩეკა ჯერ კიდევ დაგვეძებსო“. ხომ იცი შიშის ამბავი. არ ჰქონდა საფუძველი, საწყალს, თავისი მისამართი რომ დაემალა? დედაჩემს მაშინ ის მეეზოვე აღარ შეხვედრია. მაინცდამაინც მაშინ ყოფილა გასული სახლიდან. იღბალი არ გინდა? გამოსულა ქალაქში

სასოწარკვეთილი ქალი, უბინაო და უპატრონო. რა სახე ექნებოდა, როგორ გუნებაზე დადგებოდა, ხომ წარმოგიდგენია.

ბელინსკზე მამაჩემის გარე ბიძაშვილი კაკო ჩიორიძე ცხოვრობდა. თვით კაკო მაგ დროს აღარ იყო ცოცხალი. დავარდნილი მეუღლე და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი დარჩა. იმათ შეეკედლა დედაჩემი. არც მუშაობა დაიწყო, არც მთავრობას მიაკითხა, დადის ძუ მგელივით ამხელა ქალაქში და თავის შვილებს გვეძებს.

პირველ რიგში სკოლებისთვის უნდა მიეკითხა, მართალი ხარ შენ, მაგრამ ზაფხული იყო და ბევრი სკოლა გამოკეტილი დახვედრია. ზოგან დარაჯი და საქმეთა მმართველი ყოფილა. იმათ კიდე რა იციან, ვინ სად სწავლობს. დედაჩემი ჯერჯერობით, თურმე, იქეთ მხარეს გვეძებს, სოლოლაკის, ორთაჭალის და ავლაბრის მხარეს. დიდუბისკენ, იქ რომ ვერა გააწყო, ათი-თორმეტი დღის ძებნის მერე გადმოსულა. კითხვა-კითხვით რომ ვერ მოგვაკვლია, უფიქრია; ჩემი ბიჭები, თუ დაჭერილები არ არიან, ალბათ, მაწანწალებს მიეკედლნენო და ბაზრის მაწანწალებთან გვეძებდა თურმე. მერე ვიღაცას უსწავლებია, დიდუბის ბაღში შუაღამისას მთელი თბილისის მაწანწალები და ქურდები იკრიბებიან, თუ იპოვი, იქ იპოვი შენს შვილებს, ან, უარეს შემთხვევაში, მაწანწალები მთელ ქალაქში დადიან და შეიძლება იმათ იცოდნენ ძმები ჩიორიძეების ასავალ-დასავალიო.

სამი ღამე გავათიეო, ყვებოდა დედაჩემი, დიდუბის ბაღში, მაწანწალებსა და ბოზებს შორისო. შიშისგან კბილებს ვაწაკწაკებდი, ისეთ ხალხს ვეკითხებოდი ჩემი შვილების ამბავს; სხვათა შორის ბევრ მათგანს გულთან მიჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მშველოდნენო.

ოცდაერთი აგვისტო იყო, რა დამავიწყებს. მე და ჩემი ძმა დილაადრიან სადგურზე მივიჩქაროდით. იქ ვაგონის დატვირთვაში ვეხმარებოდით მუშებს და ისინი სამადლოდ რაღაცას გვაჩუქებდნენ; ხან თითო ბუხანკა პურს, ხან ცოტა ფულსაც გადმოგვიგდებდნენ.

ტრამვაის ფული სად გვქონდა. ყველა კონდუქტორი გვიცნობდა და მუშტით გვერეკებოდა ვაგონიდან, კიბეზე დაკიდება და მისი ჯანი. ჰოდა, ოცდაერთ აგვისტოს შეახტა ვაგონს ჩემი ძმა, შევახტი მეც. სხვათა შორის იმ შეხტომასაც თავისი მუღამი უნდა. უსათუოდ იმ ფეხით უნდა შეახტე, რომელიც ვაგონის მხარეს გაქვს. მეორე ფეხით საშიშია, იმიტომ რომ სანამ ფეხს დაადგამდე, შეიძლება შემოგიქნიოს და რელსებში ჩავარდე. ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ ვატმანმა რაკი დაინახა, რომ ვახტებოდით, მოუჩქარა და შეხტომა ვერ მოვასწარი. ხელებით ვკიდივარ ვაგონს და ტრამვაი მიმაპორწიალებს, იქიდან ჩემი ძმა მექაჩება. ვერ იქნა, ტანი ვერ ავიტანე, ეს ხდება სწორედ დიდუბის ბაღის წინ. დილის შვიდი საათია. „გააჩერეთ, გააჩერეთ“, მესმის ხალხის ყვირილი.

ტრამვაი გაჩერდა და პირქვე ჩავემხე. იდაყვები გადატყავებული მაქვს, მუხლებიც მეწვის, მაგრამ ვიცი, რომ მოტეხილი არაფერი მაქვს. მაგრად არაფერი მტკენია. წამომაყენეს, ვიღაცამ ყურში მომკიდა ხელი, ვიღაცამ დამიყვავა, ვიღაცამ შემაგინა და უეცრად ქალის კივილი მომესმა:

– დაიჭირეთ, არ გაუშვათ! თქვენი ჭირიმე, არ გაუშვათ!

„არ გაუშვათო?“ ისე მოვცოცხე, რომ იტყვიან, კეფაზე ვირტყამდი ტლინკებს. ვხედავ, ვიღაცეები მომსდევენ. ვიფიქრე, როგორც წესრიგის დამრღვევს დამიჭერენ და ბავშვთა კოლონია არ ამცდება-მეთქი. მოსახვევიდან გამოვარდნილმა მილიციელმა მკლავში რომ მსტაცა ხელი, ავღრიალდი: „რას მერჩით, რა გინდათ ჩემგან, დედ-მამა დაჭერილი მყავს, არ მაქვს ტრამვაის ფული-მეთქი“.

და სწორედ ამ დროს ვიღაც ქალი უკნიდან მხრებზე ჩამაფრინდა. მილიციელს ხელი გააშვებინა, შემომატრიალა და გულში ჩამიკრა:

– მე ვარ, შვილო, დედაშენი ვარ, სად გარბოდი დედიკო!? მოგიკვდა დედაშენი!

თურმე დილის შვიდ საათზე გამოდის ცრემლგამშრალი დედაჩემი დიდუბის ბაღიდან და ვაგონზე ჩამოკიდებული რომ დამინახა, ვისია ეს უბედურ დღეზე დაბადებული, სამი კაპიკის გულისთვის თავს რომ იკლავსო? დამაკვირდა, დამაკვირდა და სწორედ მაშინ დაუწყია კივილი: დაიჭირეთ, არ გაუშვათო. რომ არ მეკივლა, კარგა ხანს კიდევ ვერ გიპოვიდით. აშენდა იმ მილიციელის ოჯახი, გზა რომ მოგიჭრა, თორემ პეპელასავით გარბოდი, შენი დამწევი არავინ იყოვო.

წარმოიდგინე ასფალტზე მუხლებით დაჩოქილი დედაჩემი და მე და ჩემი ძმა აზლუქუნებულ-აღრიალებულები.

„დედა დაბრუნდა, დედიკო ჩვენთანაა, აწი აღარაფერი გვიჭირს“.

ორი წელი საჩივრები წერა დედაჩემმა კრემლში. ორიოდე კაპიკი რომ შეაქუჩა, მოსკოვში ჩავიდა და ვოროშილოვთანაც მოახერხა შესვლა. ძველი ბინა არ დაგვიბრუნეს, მაგრამ ერთოთახიანი მოგვცეს ნაძალადევში ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

შენ მწერალი ხარ. თქვენ მწერლები როცა ოცდაჩვიდმეტ წელზე უყვებით მკითხველს, რაღაცას გამოიგონებთ ხოლმე არნახულს და არგაგონილს.

ა დაწერე ბატონო, ეს ამბავი. არ არის დასაწერი?

* * *

– გელა

შენ ახლა მოხვედი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად, მადლობელი ვარ. არ მეგონა თუ ასე საყვარელი იყო კაცი, რომელიც მოდის,

რომ გაგამხნევოს, თვალებში ჩაგხედოს და ნუგეში გცეს. აქამდე ასეთი საათები არ დამდგარა ჩემს ცხოვრებაში. რაც თავი მახსოვს, თუ ვინმე ამოივლიდა ჩემს კიბეებს, ან დაბადების დღის მოსალოცად, ან სიყვარულის გამოსაცხადებლად, ან (და ეს უფრო ხშირად ხდებოდა) რაიმეს სათხოვნელად. შემეძლო რაღაც-რაღაცეები და ხელს ვუმართავდი ბევრს. ყველას ვერა, რასაკვირველია. შენ მიხვდები, რომ ყველაფერში ჩარევა არ შემეძლო და არც სურვილი მქონდა. კაცი რომ მოვა და გეტყვის, მიშველე იბრუხტი, ჩემი ძმისშვილი მამათმავლობაზე დაიჭირესო, ასეთ საქმეში ვერ ჩავერეოდი. რა ჩემი საქმეა, კაცმა რომ თქვას. განაწყენებულიც ბევრი დავაგროვე ამ ჩემს წუთისოფელში და მადლიერიც. დათვლით არ დამითვლია, ვინ მეტია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სინდისის კარნახით ვიცხოვრე და არც იმაზე მიზრუნვია, რაც შეიძლება მეტი მოყვარული მყოლოდა.

საოცარი რამ მოხდა. შარშან იყო, ლამის ერის წინამძღოლად მთვლიდნენ. ჩემს იუბილეებზე მოსაწვევი ბარათის საშოვნელად ყელში წვდებოდნენ ერთმანეთს. რა სიტყვები, რა რადიო, რა ტელევიზია. შენაო, ბატონო იბრუხტი, დღეს ჩვენი დროშა ხარო, ქვეყნის მმართველები თავიანთ საქმიანობას იმით იწყებდნენ, რომ ჯერ მე დამიძმაკაცდებოდნენ და მერე შეუდგებოდნენ საქმეს.

პატატვრანი ომები მეც გადამხდა, რასაკვირველია. ხანდახან მეც კი მისაფრდებოდნენ მოსახვევში. ჩემს მიმართ ხელმწიფის წყრომასაც კი მიაღწიეს, მაგრამ იმხელა სახელი და მხარდაჭერა მქონდა ხალხისგან, რომ სასაცილოდ არ მყოფნიდა ყვინჩილების ძიძგილაობა, საკმარისი იყო ჩემი ერთი სიტყვა, ერთი ხუმრობა და „მტერს“ კუდით ქვას ვასროლინებდი.

თუ რამე საქვეყნო საქმე გამოჩნდებოდა, ჯერ მე შემომთავაზებდნენ, სათავეში ჩაუდექიო. თუ მე უარს ვიტყოდი, მერე დაუწყებდნენ სხვას ძებნას. ალბათ, ვინმე აწონის ბოლოს და, იქნებ, დაასკვნას რომ თავი არ შემირცხვენია. არ იყო პატარა საქმე ურდოში რუსთაველის ძეგლის დადგმა და არც რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილეს გამართვა იყო რიკტაფელას თამაში.

ასე ბრძოლა-სიმღერით, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაცის იღბლით მოვედი მოაქჟამამდე.

ვერ გეტყვი, რა მოხდა ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში. იქნება, ჩემი ბრალიცაა, ერთი ორგან დავიჩივლე: დავბერდი, საერო საქმეს უნდა მოვეშვა და ბერის ჩოხა მოვირგო-მეთქი. ენას ჭალი არ მოედება და მეც ეს ყველაფერი საერთოდ ვთქვი, გულით, გითხრა სიმართლე, პოზიციების დათმობას და ბუხართან ჯდომას არ ვაპირებდი.

არ ვარ მე კრიალოსანის ბერიკაცი. წყნარი და მშვიდი ცხოვრებით არასოდეს მიცხოვრია. ოთხმოცს რომ მიუკაკუნებ, წამოგცდება, აბა რა იქნება, დამასვენეთ, აწი, მეყოფაო.

რა მწარედ დამასვენეს, რომ იცოდე. ერთბაშად გავედი მოდიდან. ერთბაშად მომცილდა პრესა-ტელევიზიის მახვილი თვალი. თითქოსდა დავავიწყდით, თითქოსდა შეითქვნენ ჩემი ელმავლის ჩიხში ჩასაყენებლად.

არადა ვგრძნობ, რომ ვჭირდები ქვეყანას. უჩემოდ, შეიძლება, ფეხი წაიტეხონ. ახლა დიდი მიტინგობია და ფრონტობა-შიმშილობია რომ იყო, მქონდა, როგორ არ მქონდა, სათქმელი ხალხთანაც და მთავრობასთანაც. ვინ დაგიძახა, ვინ გკითხა ჭკუა. ტელევიზორში და სახალხო ტრიბუნაზე ერთი-ორი იმნაირიც იდგა, შერცხვენილ სახელს რომ თავი დავანებოთ, ისედაც ორ ბატს რომ ვერ ჩააბარებ. ვუსმენდი და მეცინებოდა. ესენი მოვიდნენ, იბრუხტი, შენს ადგილზემეთქი? გულში ვამბობდი, მარა რაი მერე? გულში ნათქვამი და გულში დანაქადები ვის ესმის.

ხედავ, ჩემო, რა ყოფილა წუთისფელი? ესეც შენი ჭკვიანი და წინდახედული იბრუხტი. ხედავ? როგორ გარჩა ჩემი შემკულ-მოჩითული ნავი მეჩეჩზე? აქაც მაჯობა გალაკტიონმა. როგორც კი შეატყო თავს, სხვა ცხოვრება მოდის, სათადარიგო შემადგენლობაში გადასვლა მელისო, დაკეცა ფრთები და უშველა თავს. არადა გალაკტიონს ყველაზე ნაკლებ ელოდა, თურმე, დავიწყების ბურუსი. გალაკტიონი მაინც იგალაკტიონებდა, დრო როგორც უნდა შეცვლილიყო.

მოტყუებული კაციაო ვერავინ იტყვის ჩემზე; ეს კია, თავიდან რომ ბრმად მჯეროდა რაღაცეების, მერე იმის დროც მომცა არსთაგამრიგემ, დავფიქრებულიყავი და ჩემი შეხედულებები გადამესინჯა.

ბევრმა ჩემმა თანამოკალმემ ვერ მოასწრო წითელი სიზმრებიდან გამოსვლა. მათ წიგნებში სანთლით საძებნია ის, რითაც მწერალი უნდა მწერლობდეს. მე რაღაცის გაკეთება მაინც შევძელი. ყოველ შემთხვევაში ობლიგაციაზე და კოლხმშენზე დაწერილი ლექსები გადავყარე და ფილოსოფიური ლირიკის წერას შევუდექი. პიროვნების ტკივილზე ვთქვი ორიოდე პოეტური სიტყვა და რუსთაველის მსოფლიო სევდაზე დაწერილი სტრიქონებითაც მოვახედე ჩემსკენ მკითხველი.

და რომ მეგონა, გაღმა გავცურე-მეთქი, რომ მეგონა, ჩემი ხომალდი იქეთა წყლებში შეცურდა და მამადავითის მთვარე დასცქერის ჩემს ფურცლებს-მეთქი, სწორედ რომ მაშინ მომწვდა ქვეყნის ყაყანი და თავისკენ დამქაჩა.

ვფიქრობ ზოგჯერ; ჩემი უმრწემესი მეგობარი მართალი ხომ არ არის-მეთქი. იქნებ მართლაც მიმიძღვის რაღაც ცოდვები და ახლა უნდა მომეკითხოს-მეთქი. არა და არა, ბატონებო. რაკი ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე, ბუნებრივია, ისე ვერ გადავრჩებოდი, ცოტა მწიკვლი მაინც არ მოცხებოდა თანამდებობიანი პოეტის მანტიას, მაგრამ ღმერთი ხომაა მოწმე, რომ მე პატიოსანი პოეტის ცხოვრებით ვიცხოვრე და სუფთა სინდისით ჩავალ სამარეში.

მაინც ჩემი ბრალია რაღაც-რაღაცეები. ჩანს, მოვწყინდი ქვეყანას. ჩანს, პოეტისთვის უღმერთოდ დიდხანს ვიცხოვრე. იმ პოეტზე მოგახსენებთ, ვინც სამოცდაათი წელი ჩანს უკეთეს კალმოსანთა თანავარსკვლავედში. სამოცდაათი წელი პირველთა შორის ყოფნას ქვეყანა არ გაპატიებს. ჰოდა, მეც მოვწყინდი ზოგიერთებს. ჩემს წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დახვეწას მეც შევუწყე ხელი ჩემი ცაიტნოტური სიცოცხლით.

მე ვინ ვარ, ილიაც კი მოსწყინდა ბოლო წლებში ქართველ ერს. მოსწყინდა კი. ჩვენ რომ ახლა მეფის ოხრანკას ვაბრალებთ, ის ტრაგედია საქართველოში ახალმა თაობამ დაატრიალა. რა სირცხვილიც უნდა იყოს იმის აღიარება, ასეა ეს. საერთოდ, ლიტერატურის ცა შებერებულ ვარსკვლავს ვერ ჰგუობს. მეტეორივით უნდა გაიქროლო და წახვიდე. ყველა დიდი პოეტი სიცოცხლეში, უკეთეს შემთხვევაში, ბრწყინავდა დიდი-დიდი თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში, მერე ან ფიზიკურად აღარ იყო, ან თუ იყო, თვალში არავის ეჩხირებოდა. თავჩაჩიანი, კლასიკოსის ხალათით იჯდა თავის მღვიმეში და სიკვდილს ელოდა.

ასე დამტოვა დრომ ჩემს სიბერესთან მარტოდმარტო. ბედს არ ვემდური, მაგრამ ვერც იმ პაწაწინა მსაჯულთა ქირქილს მოვიწონებ; შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, აქამდე როგორ გასძელი, რატომ ტიციანთან და ჯავახიშვილთან არ წევხარ საძმო საფლავშიო. არ შეიძლება ასე ლაპარაკი. გადარჩენა არ უნდა დააყვედრო კაცს. ჩაივლის აგერ თქვენს თვალწინ თქვენი წუთისოფელი და ღმერთმა ისე სუფთად გამოგიყვანოთ დროსთან დევური ჯაჯგურიდან, როგორც მე გამოვედი. ნუ დაუგდებთ ყურს ჩემზე განაწყენებულ მედროვეებს, მე შემიძლია და უფლებაც მაქვს, თვალი თამამად გაგისწოროთ.

ერთს გირჩევთ მხოლოდ; კარგად გახედ-გამოხედეთ, ვისაც ჩემს სკამზე დასვამთ და ჩემს გამონთავისუფლებულ პრეზიდიუმში ადგილს მიუჩენთ.

ანგელოზობას ნურავის მოთხოვთ. ანგელოზები მარტო ცაში არიან, მაგრამ ის კი მოთხოვეთ, რომ ერის ხმის გაგების უნარი შესწევდეთ და მათ აქამდე მოსასვლელ ბილიკს მოძმეთა მხრებზე გადაბიჯების დამღა არ აჩნდეს.

წავალ მე და ხვალე ხომ ხვალისას იკითხავს, ჩემმა თქვენეულ-ჩრდილიანმა მწუხრის დღეებმა ვინძლო სანანებელი არ დაგიტოვოთ.

* * *

– მე, ბატონო გელა, ომის მონაწილე გახლავართ. კონტუზირებული. ომის ინვალიდი.

ვაკვირდები. იმ ომისთვის ახალგაზრდაა, ამ ომისთვის – ბებერი.

შემატყო, რომ ცოტა არ იყოს, უნდობლად შევხედე.

– ვხვდები, რაც უნდა მკითხოთ. მე გახლავართ 1956 წლის რუსეთ-უნგრეთის ომის მონაწილე. საბჭოთა კავშირის დროს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან ვიყავით გათანაბრებულები. ის კვალიფიკაცია ჩემთვის ჯერ არავის მოუხსნია. შეღავათები გაგვიუქმეს, პენსიები გაგვიმეათედეს. მოვედი ახლა თქვენთან. ვიცი, გაჭირვეული კაცის ქომაგი ბრძანდებით, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ მე ველარაფერს მიშველით. თუ კანონია, მე ვის დავეკარგე, ჩემზე გამონაკლისს ვინ დაუშვებს. კი, ბატონო, მთავრობამ უკეთ იცის, მარა შეკითხვის უფლება ხომ მაქვს? ბოლო სიტყვას დახვრეტამისჯილ კაცს აძლევენ და მე რა დავაშავე ასეთი. ბეშკენაძესთან ვიყავი, ვიცი, ეს საკითხი თქვენს ჟურნალს რომ არ ეხება. ვიყავი და ვკითხე, რატომ ჰქენით, ბიძია, ეს გლახა საქმე-მეთქი. რაღაცა ათას ხუთასი ომის მონაწილე დავრჩით და ვის ააშენებს ჩვენთვის წართმეული ორი კაპიკის ხარჯზე მიღებული ეკონომია-მეთქი. იცი, რა მიპასუხა? თქვენო, საბჭოთა კავშირს ემსახურებოდით, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ლეიტენანტი ხართო. ახლანდელი დამოუკიდებელი საქართველო, მოგეხსენება, არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და ამიტომ თქვენს წინაშე ანგარიშვალდებული არა ვართო. იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ, ვინაა ჩვენი პატრონი? საბჭოთა კავშირი აღარ არის, მარა ჩვენ ხომ ვართ, ჯერჯერობით, ცოცხლები. ჩვენი დანაშაულია, რომ გავჩნდით ამ ქვეყანაზე და ამ ხნის მოვიყარეთ?

გეტყვი, ორი სიტყვით, ჩემი ცხოვრების ამბავს: 1937 წელს დავიბადე ქუთაისში. ბაკისუბნის მეთხუთმეტე სკოლა დავამთავრე. თვრამეტი წლის ვიყავი, ჯარში რომ წამიყვანეს. ვილნიუსში ვმსახურობდი სატანკო-სადესანტო დივიზიაში. 1956 წლის ოცდაშვიდი სექტემბერი იყო, თუ არ ვცდები, ჩვეულებრივ, საღამოს შვიდ საათზე ვივახშმეთ და გამოგვიცხადეს კიდეც „პოლნაია ბაევაია გატოვნოსტ“. ჩვენ ვინ გვეტყოდა, რა ხდებოდა. ტანკში უნდა მჯდარიყავი სრული ეკიპირებით და შემდეგი ბრძანებისთვის დაგეცადა.

შუაღამის პირველის ნახევარზე სატანკო კოლონა (65 ტანკი) აეროპორტში მიგვიყვანეს. იქვე იდგა უზარმაზარი სამხედრო ავიამზიდები. ორ-ორი ტანკი ეტეოდა თითო თვითმფრინავში. რავარც ვიდექით აეროპორტთან, ისე, პირდაპირი სვლით შევდიოდით, ტანკიდან გადმოუსვლელად, თვითმფრინავის მუცელში. მე მგონია, სამი საათი მაინც ვიფრინეთ და ოთხის ნახევარი იქნებოდა, ბუდაპეშტის აეროპორტზე რომ დავეშვით. მერე გავიგე, რომ ბუდაპეშტში ვიყავით, დაფრენის დროს არ ვიცოდით, ხუთწუთიან სამხედრო თათბირზე გაიქცა ჩვენი კაპიტანი. პარხომენკო იყო – უკრაინელი. მოირბინა და ჩვენს ბრიგადას (ექვსი ტანკი) მიმართა. „ზნაჩიტ ტაკ: ნახოდიმსა ვ ბუდაპეშტე. ვ გოროდე ანტისოვეტსკიე ელემენტი. ბანდიტი ვოორუჟენი. ნაშა ზადაჩა: ნე დოპუსკატ ბესპორიადკი ვ გოროდე. პადდერჟივატ პატრულირუიშჩიხ. პერედვიგატსა რაზრეშენო ტოლკო სოვეტსკიხ ვოისკ. პრი ობნარუჟენიი ბანდიტსკიხ ფორმიროვოკ, სტრელიაიტე ბეზ პრედუპრეჟდენია“.

დილის ოთხ საათზე ბუდაპეშტში შევგრუხუნდით. უმაღლესი ტექნიკით ჩატარდა დესანტის გადასხმა უნგრეთში. ისე კი არ იყო, ჩვენი შვიდი ძველთაძველი ტანკი რომ შეფართხუნდა სოხუმში რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად. რა საჭირო იყო ასეთი მასკარადი? თუ არ გვყავდა ჯარი და არ გვქონდა ტანკები, ვერ დავეტიეთ ჩვენს კვერცხებზე? რას ჰქვია აფხაზეთში შესვლა, დღემდე გაუგებარია ჩემთვის. ვინ გამეიყვანა ჯარი აფხაზეთიდან? კი მარა, ხომ იყო აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში? არ უნდა მდგარიყო ერთი ორი ქართული დივიზია ჩვენს ტერიტორიაზე აფხაზეთში? როდის გამოვიყვანეთ ჯარი იქედან? თუ აფხაზეთის დათმობა ბანდიტ არძინბასთვის ზვიადის მიერ მოხდა, ვერ ყოფილა მთლად სრული ჭკუის ე ჩვენი პირველი პრეზიდენტი, თუ სიგუამ და შევარდნაძემ (ომის დროს ეგენი იყვნენ) გამოიყვანეს დამოუკიდებელი საქართველოს ჯარი აფხაზეთიდან, მაშინ ამათ უნდა აგონ პასუხი. სად შედიხარ ზათქით და გრიალით, შე კაი კაცო, შენს მიწაზე? მთელმა მსოფლიომ აჩვენა იმ საღამოსვე, კიტოვანის ჯარები საქართველოს მეზობელი სახელმწიფოს – აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენო. როდის შემდეგ გახდა მეზობელი სახელმწიფო აფხაზეთი? ჩვენ შვიდი ჩამოწერილი ტანკით დღისით, მზისით „შევჯლიგინდით“ სოხუმში მთელი ქვეყნის დასანახად და საბჭოთა კავშირს რომ ეძახით თქვენ, ორ საათში ხუთასი ტანკი ჩააფრინა უნგრეთში. ერთიმეორის მიყოლებით მშვიდად, უხმაუროდ სხდებოდნენ სამხედრო თვითმფრინავები. ასაფრენი ბილიკიდან გადაუხვევდნენ თუ არა, იღებოდა ავტომატი – ლუკი და გადმოდიოდა ეკიპაჟიანი, ლულაშემართული, საომრად გამზადებული, ახალთახ-

ალი, ტაოტიანი ტანკი. ბუდაპეშტის ქუჩებში რომ შევრახრახდით და აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი, დიდი საცხოვრებელი სახლი, ან სხვა რამ უწყება სამიზნეზე ავიყვანეთ, მე ვთქვი, „უჩენია“ ხომ არ არის, ნეტავ, ტყვილად ხომ არ ვაღვიძებთ ამ რიბირაბოზე ქალაქს, სად არიან ანტისაბჭოთა ელემენტები, კაციშვილი წინააღმდეგობას არ გვიწევს-მეთქი.

თურმე სად გძინავს. თურმე ჯერ სადა ხარ. ზუსტად ხუთ საათზე, თითქოსდა საიდუმლო ბრძანება მისცესო, ყველა სახლიდან, ყველა ფანჯრიდან, ყველა ჩიხიდან, ყველა სადარბაზოდან ერთბაშად გაგვიხსნეს ცეცხლი. სიბნელეა. არ იცი, რა გააკეთო. ბრძანებას არავინ იძლევა. შემოატრიალო ტანკი და გამოხვიდე. შეიძლება, ტრიბუნალმა გაგასამართლოს. ცეცხლის ენებს ხედავ ჩაშავებული შენობებიდან და გამაყრუებელი კანონადა გესმის. გვესვრიან მსხვილკალიბრიანი შაშხანებიდან (ხმაზე ვცნობ). მძიმე არტილერია ჯერ არ ჩანს, აქა-იქ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხიც აბოყინდა. რასაც მოხვდება, ბდღვნის. ოთხი თითის დადება რკინას ხვრეტს. დამიზნება ვერ მოვასწარით, ისე მოხვდა სნარიადი ჩვენს ტანკს და ლულიანად მოგლიჯა საზენიტო ქვემეხი. სერჟანტი სეროვი ზარბაზნის „რუჩკას“ რომ ატრიალებდა, იქვე გაათავა. ისევ ავიაციამ გვიხსნა, თორემ იქიდან ცოცხლები ვერ გამოვიდოდით. ბომბდამშენებმა ორჯერ წუილით რომ გადაუარეს ქალაქს და ცენტრში რამდენიმე ადგილას ბომბები ჩამოყარეს, აჯანყებულებმა იფიქრეს, ბერლინზე უარეს დღეს დაგვაყრიანო და სროლა შეწყვიტეს.

ეს იყო ბუდაპეშტის ჯოჯოხეთის ერთი საათი. საქმე და საბრძოლო თურმე წინ გვედო. ტანკისტები პატრულთან ერთად ქალაქის წმენდაში ჩაგვრთეს. ასეთი ზიზღი, რუსის მიმართ რომ ამჟღავნებდნენ უნგრელები, წიგნებშიც არ წამიკითხავს. ყოველ ღამე უჩინარი ხელით მთელს ქალაქში ყოველ გადარჩენილ კედელზე, ხეზე, ჭიშკარზე ჩნდებოდა წარწერა: „რუსკიე სვინიი, უბირაიტეს ვონ!“ ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი, სახლშიც რომ არ „წვეოდი“, უბრალოდ, ქუჩაში რამე რომ გეკითხა, შეჩერდებოდა, ზიზღით აგხედავდა და მოგაფურთხებდა. წერენ მწერლები, როგორ შეიყვანა მოქალაქემ ჯარისკაცი, როგორ მოეფერა. გაუმასპინძლდა... სულ ტყუილი მგონია ასეთი რამეები, ბატონო გელა. წყალსაც არავინ მოგაწოდებდა. თუ სადმე მოფარებულში მოგიხელთებდნენ, ჩაგქოლავდნენ მაშინვე. ერთადერთი მახსოვს: უნგრელი გოგო გავაჩერე, ვედროთი წყალი მიჰქონდა. მემეთქი, ხმადაბლა ვეუბნები, რუსი არა ვარ-მეთქი, ქართველი ვარ-მეთქი. სამხრეეზზე მიმითითა. რუსი ხარ, რუსი ხარ, შე ღოროო, წყალი შემასხა, ვედრო გადააგდო და გაიქცა. შველივით გარბოდა, ლამაზი გოგო იყო. რას ვიზამდი, ხომ არ ვესროდი.

ათას ორასი კაცი ჩავედით ჩვენი დივიზიიდან უნგრეთში და ოთხასი კაცი დავბრუნდით. ტექნიკა ხუთი პროცენტი თუ გადაგვირჩა. ჯართადქცეული, დამწვარი ტანკები ვის რაღად უნდოდა. ა, ასეთი ომი იყო უნგრეთში 1956 წელს მაშინ კი არა, მერეც არსად წამიკითხავს მე იმ დღეების, იმ „ოპერაციის“, იმ აჯანყების ზუსტი აღწერა. თვითონ უნგრელები დაწერდნენ, ალბათ, მარა ჩვენამდე, ჩანს, ვერ მოაღწია.

კანტუზია ბუდაპეშტში ჩასვლიდან მეცხრე დღეს მივიღე. ჩვენ ბაზარში შესვლა აკრძალული გვქონდა, მაგრამ იმ დღეს რაღაც ეშმაკი შეგვიჩნდა. პეტროგრადელი ბიჭი იყო ჩვენთან, კისელიოვი და დაიჟინა, ბაზარში შევიდეთ, არაყი და ხმელი თევზი ვიყიდოთო. დამშრალ აუზთან მივაყენეთ ტანკი ბიჭებმა. შენ შედი ბაზარში, თორემ ჩვენ – რუსებს, იერზე გვცნობენ და შეიძლება, პროვოკაცია მოგვიწყონო. სანამ ბაზრიდან გამოვიდოდი, სროლის ხმა მომესმა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, კანტიკუნტი სროლები ქალაქში სულ ისმოდა. გამოვედი და რას ვხედავ, ჩვენი ტანკის ირგვლივ ხალხია, გავარღვიე წრე, ორივე ჩემი ამხანაგი სისხლში მოსვრილი, დაცხრილულები გარდიგარდმო წვანან ტანკზე. მივვარდი ტანკთან. ჩანს, არანორმალური სახე მქონდა, უნგრელებს შეეშინდათ და უკან დაიხიეს. „ხალხი ხართ თქვენ?! თქვენი დედა ასე და ისე-მეთქი!“ ვღრიალებ, საითაც შევბრუნდები, გარბიან, მესერს აწყდებიან, მკვდრები ჯავშან-საბარგულში ჩავასვენე, დავქოქე მანქანა და ღრიალ-გრუხუნით, ნგრევა-ხრიალით დავეშვი, თითქმის ვერაფერს ვხედავ. თვალები ცრემლით მაქვს სავსე. მახსოვს, ჰაიდამაკების ძეგლს ჩავუარე, მარცხნივ ჩავუხვიე და თითქოს მეხი დაეცაო, ტანკი კინაღამ ჰაერში ავარდა. მეტი არაფერი მახსოვს. გონს ჰოსპიტალში მოვედი. მარჯვენა მხარი ოთხ ადგილას მაქვს გაკერილი და ა, შეხედე, კეფის ქვემოთ კისერთან იმხელა ნაჭრილობევი მაქვს, მუშტი შეეტევა.

ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევი, რომ მწერალი ხარ და ჩემი მაგალითი იქნება, რამეში გამოგადგეს. რა შემეძლო ჩემს ბედში შემეცვალა, მითხარი ერთი, თუ ღმერთი გწამს. არ წავსულიყავი საბჭოთა ჯარში? ციხე არ აგცდებოდა და, ესეც არ იყოს, სამხედრო სამსახურზე ჩვენ მაშინ სხვა წარმოდგენა გვქონდა. ახლა რომ ვუყურებთ, ასე არ ვუყურებდით. უნგრეთში გაფრენაზე უარი მეთქვა? მე-მეთქი პრინციპულად არ ვმონაწილეობ ამ უსამართლო ოპერაციაში-მეთქი? ხომ მიმახვრეტდნენ იქვე. ვინ ვიყავი მე, ერთი უბრალო ჯარისკაცი.

უნდა იცოდეთ, ბატონო გელა, პასუხი იმათ უნდა აგებინოთ, ვინც ბრძანებას იძლევა, ვინც ომს იწყებს, ვინც პოლიტიკას მართავს, თორემ ჯარისკაცი რა შუაშია. მე ხომ სიცოცხლე მინდა

სიკვდილამდე და სახელმწიფოს მიმართ ჩემი ერთგული სამსახურისთვის ლუკმა-პური ხომ მეკუთვნის?

* * *

ბატონო რედაქტორო

მინისტრთან ვიყავი პატარა საქმეზე. კაცის მოკვლის ნებართვა ვთხოვე. უარი მითხრა. მთლად ცივი უარი, ცოდვას ვერ დავიდებ, არ უთქვამს. მეო, ადამიანის მოკვლის უფლების გაცემის უფლება არა მაქვსო. ესო, მონკავშირი როდია, სადაც მელიის მოკვლის ლიცენზიას იძლევიანო. ვინ ჩემი ცოდვით სავსემ მოგასწავლა ჩემთანო. ვხედავ, მჯერა, რომ უსამართლოდ გჩაგრავენ და გაუმწარებიხარ, მაგრამ მე რომ შენ კაცის მოკვლის ნებართვა მოგცე, უნდა დავიხურო ქუდი და წავიდე აქედანო. კაცი არაა საქართველოში ახლა ორი-სამი მტერმოძულე რომ არ ყავდეს მოსაკლავი. ყველა ჩემს კაბინეტთან მოიყრის თავს და იმგენს თუ მოვუნდი, წესრიგს ვინღა დაიცავს ამ აწეწილ ქვეყანაშიო. წადი და თუ ნამეტანი შეგაწუხეს, როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ისე იმოქმედე. ჩვენ რომ ვერ ვწვდებით ყველაფერს, მე რომ არ გითხრათ, თვითონვე ხვდებითო.

ახლა წვრილად გიამბობთ, რამ ამაღოღა გზაზე ეს დროული კაცი და რამ მიმიყვანა მინისტრთან ამ, ცოტა არ იყოს, უცნაური სათხოვარით.

დავაგუბე ცხენისწყლის ტოტი და პატარა საკალმახე მოვაწყე ამ ოთხი წლის წინ. ჩვენი, ქართული კალმახი, მოგეხსენებათ, ტყვეობაში არ მრავლდება. რა პირობები არ შევუქმენი, რა გამდინარი წყალი და ჩანჩქერი არ მოვაწყვე, მაგრამ შენ არ მომიკვდე. შეგიმჩნევიათ, ალბათ, ყველგან, მთელს დუნიაზე, ყველა საკალმახე მეურნეობაში თუ ფერმაში, შვეიცარიაში 1927 წელს გამოყვანილი შავწინწკლებიანი კალმახია. ჩვენი შავწითელლურჯწერტილებიანი ულამაზესი კალმახი მარტო საქართველოშია ეს დალოცვილი და ხელოვნურად, იმნაირი აზიზი რამეა, ვერა და ვერ მოვაშენეთ.

კალმახის საქმე ძალიან ძნელი, მაგრამ ვის დავუმალო. შემოსავლიანიც გახლავთ. კალმახის ლიფსიტები, საბჭოთა კავშირს რომ ეძახიან ამ დასაქცევ იმპერიაში, ორ ადგილას გამოყავდათ მხოლოდ. ესტონეთში – ტალინის კალმახთსაშენში და ვლადივოსტოკში, ერთ ადგილას, (იაპონელებს უსწავლებიათ). ასე რომ ლიფსიტებს ყველანი ამ ორ ქალაქში ვიძენდით ნაღდ ანგარიშზე. ლიფსიტა ოთხჯერ იმაზე მეტი უნდა იყიდო, რამდენის გაზრდაც შეგიძლია. ზოგი გზაში იღუპება, ზოგიც აქვე, წყალსაცავში.

შარშან თითო ლიფსიტის ფასი ოც კაპიკზე რომ ავიდა (ახლა მანეთი ღირს და მალე, ალბათ, მოემატება), ძალიან გამიჭირდა.

ერთი მილიონი ლიფსიტა მაინც უნდა ვიყიდო და ახლა სხვა ხარჯი? ვერ გავუძლებ, გავკოტრდები მეთქი და გადავწყვიტე, მე თვითონ მეცადა ლიფსიტების გამოყვანა. დავიდე წინ სახელმძღვანელოები, სულ სანტიმეტრობით დავამზადებინე როფები, ყველაფერი, მოკლედ, რომ არ დაგღალოთ, ისე გავაკეთე, როგორც წიგნებში ეწერა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კინაღამ გული ავიყარე, ალბათ, ჩვენი წყალი, ან ჰაერი არაა ხელსაყრელი შვეიცარული კალმახის ალაგობრივი გამრავლებისათვის მეთქი.

დავკარი ფეხი და ჩავედი ესტონეთში. წინაწარვე ვიცოდი, ესტონელები ეშმაკი ხალხია და კალმახის გამრავლების ტექნოლოგიას ფირმის საიდუმლოდ ინახავენ. ექსკურსიაზე ვარ, უბრალოდ მინდა დავათვალიერო, როგორ, რა პირობებში მუშაობთ მეთქი.

შემომატარეს კალმახთსაშენი ვეკითხები: ზოგ პასუხს ვიწერ, ზოგს ვიმახსოვრებ. აბა რამდენი განყოფილებაა, წყლის ტემპერატურა როგორია, რამდენ ხანში ცვლიან წყალს. მერე დედალ-მამალი კალმახების მოწველასაც დავესწარი. ადამიანივით მგრძნობიარეა კალმახი. მამალი კალმახების მოსაწველად გოგოები ყავთ შერჩეული. კაცის უხეშ ხელს მამალი კალმახი არ ემორჩილება. დედალ კალმახებს კი, პირიქით, მამაკაცის ხელი უფრო იმორჩილებს და მეტ ქვირითს აყრევინებს. ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა გაითვალისწინო. საკმარისია, პატარა შეცდომა და გათავებულია საქმე. მაგალითად, ყველაფერი ზუსტად ვიანგარიშე და ერთი რამ გამომრჩა, თურმე ლიფსიტებს მღვრიე წყალი აბრმავებს და იხოცებიან. შარშან ერთი დღით მივუშვი ბაცი ცხენისწყალი და ნაშრომი წყალში ჩამეყარა. ანკარა და, თან, რასაკვირველია, უმარილო მტკნარი წყალია საკალმახე.

ორ კვირას დავრჩი ტალინში. დავდივარ ყოველდღე ექსკურსიაზე კალმახთსაშენში – მოვაბეზრე მასპინძლებს თავი. ბოლოს მიმიხვდნენ რაც მსურდა, და ბოდიშის მოხდით დამითხოვეს. არა უშავს, რაც მთავარია, ხარისთვის რქებში ჩავლებული მაქვს. დავბრუნდი და შევუდექი ჩემი უბის წიგნაკების დამუშავებას. დავხაზე სქემები, დავატრიალე ჩემი ცოდნა-ფანტაზია და მეხუთე ცდაზე მივაღწიე მიზანს. ჯერ საქართველოში ჩემს გარდა არავის გამოუყვანია კალმახის ლიფსიტები. სამი მილიონი ლიფსიტა მყავს ახლა. ორ მილიონს გავყიდი, მილიონს დავიტოვებ.

შრომა-წვალება დიდი უნდა, მაგრამ შემოსავლიანი საქმეა მეთქი, მოგახსენეთ. ცხრა აუზი სჭირდება კალმახთსაშენს. სხვადასხვა ზომის კალმახები სხვადასხვა აუზებში უნდა გყავდეს, თორემ ერთმანეთს ჭამენ. ასევე სანაშენო დედა და მამა კალმახების ერთ აუზში ყოფნა არ შეიძლება. ერთმანეთს დაერევიან. სანაშენო კალმახებს დანარჩენი შვიდი აუზიდან ვარჩევთ (დიდებს და ჯანმრთელებს) და

განსაკუთრებულ კვებაზე გვყავს. დედა კალმახი პატარძალივით ლამაზი და პირმრგვალია, მამა – უფრო ჯმუხი და უხეში.

ახლა ჩვენს მთავარ გასაჭირს მივადექით. ქვეყანა რომ აირია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ამ ბანდიტურ ეპოქაში, კალმახს კი არა, სულს რომ არ შეგარჩენენ, ესეც არაა თქვენთვის ახალი. ხოდა, ვისაც ავტომატი აქვს და დაცემა არ ეზარება, ყველა ჩემი მუშტარია. მოგვადგებიან ცარიელი გოდრებით; აბა, კალმახი საჩქაროდო. ვინ ხართ, საიდან ხართ? ეკითხები შეშინებული; ბევრს ნუ ლაპარაკობ, ეს გოდრები კალმახით გაგვივსე და სახარჯოდ ორასი ათასი გამოაყოლე, თორემ მიგაყენებთ კედელთანო. ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, ოცჯერ... რამდენჯერ გაუძლებ კაცი ამ, გაძარცვას თავი დაანებე, შეურაცხყოფა-დამცირებას. სხვა არა იყოს რა, რა ჯიბე გაგიძლებს.

ამასწინათაც ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭები დაგვეცნენ. ვავსებთ კალმახებით გოდრებს მორჩილად. ძალა აღმართს ხნავს, მეტი რა გზაა. ერთმა ლაწირაკმა აუზში დედა კალმახები შენიშნა და ამფსონებს გასძახა – აგერ დიდი კალმახებია და ეს დამპალი მხოლოდ მტკაველა კალმახებს იმეტებს ჩვენთვისო.

ბიჭებო, მე ვუთხარი, საჭმელი კალმახი ყველაზე კარგი სწორედ მტკაველებია. ეგენი დედა-კალმახებია, საჭმელად არ ვარგა, თანაც დედა-კალმახს სპეციალური მოვლა-გამოყვანა უნდა, ათასში უნდა ამოირჩეს მეთქი. მორჩი ზღაპარსო, იმ ხისთავა ბანდიტმა შემომიღრინა და აუზში მიუშვა ავტომატის ჯერი. შეიღება წყალი წითლად. ამოყირავდნენ ჩემი სიმწრით დაზრდილი დედა-კალმახები. თვალთ დამიბნელდა. დავბარბაცდი. მიწა რომ გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე, ის მერჩია.

რას მერჩით, რას მემართლებით, თქვე უღმერთოებო-მეთქი, მაგრამ ვინ მისმინა, აკრიფეს საჭმელად უვარგისი სანაშენო კალმახები და გოდორში ჩაყარეს. წასვლისას კონდახისცემით შემაგდეს კაბინეტში და სანამ ფულიც არ ამატყავეს, არ მომეშვნენ.

ა, ასეთ დღეში ვარ. კვირის თავზე ეს ნაცემი გვერდები რომ მომიშუშდა და ფეხზე დადგომა შევძელი, ავედი რაიონის ცენტრში, ოთუსბირად ვიყიდე ავტომატი, ვიქირავე მეზობლის ცოტა მოქურდ-მოავარო ბიჭი და დავიყენე მცველად.

ავტომატში ხომ იმდენი ფული გადავყარე, მცველს ათიათას მანეთს ვაძლევდი თვეში (ნაკლებზე არ დამთანხმდა, სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებო). რომ დავფიქრდი, ცოტა არ იყოს ახლა უფრო შემეშინდა. მოვლენ ყაჩაღები, ამ ჩემმა მცველმა უნდა ესროლოს ხომ? შეიძლება კაციც შემოაკვდეს. სად მიდიხარ მერე? მთავრობა ხომ მოგკითხავს; კალმახის გულისთვის კაცი რავა მოკალი, შე ოჯახქოროო. გარედან ასე ჩანს, კი.

ჰოდა, მივედი მინისტრთან. მომეცით, ნება, იმ ბანდიტებს მე თვითონ გავუსწორდე მეთქი, არაო, მაგას ლინჩის წესი ქვიაო, და ვერ დავუშვებთო. აბა, დამიყენეთ მილიციელი და დამიცავით მეთქი, შენი კალმახის კი არა ტელევიზიის დასაცავად არ გვყოფნის ხალხიო.

რა ვქნა მე, გეკითხებით თქვენ, თქვენ ხომ ჭკვინი ხალხი ხართ.

* * *

ამასწინათ „ნიანგში“ ასეთ ნახატ-ხუმრობას წავაწყდი. „რატომ სცემ მაგ ძაღლს კირილე? – სტუმარს უკბინა ფეხზე. – მერე? შე კაცო, უწყრები კი არა, შუბლზე უნდა აკოცო, ამ გაჭირვებაში სტუმარი არ გამიგია, მე!“.

ჯერ გამეცინა, მერე სევდა შემომაწვა გულზე და კრიჭა შემიკრა. რა მწარე სატირაა. რატომ უნდა გაჩენილიყო ასეთი ხუმრობა სწორედ საქართველოში – ქვეყანაში, სადაც სტუმარს ღვთის გამოგზავნილად თვლიდნენ და ფართო ტაბლას უდგამდნენ. ნათქვამია, გაქცეული თევზი დიდი ჩანსო, მაგრამ მე იმ საქართველოს მივსტირი, რომელიც წავიდა.

შიმშილმა ქამრის მოკლეზე გახვრეტისა და საბნის გაწვდომაზე დახურვის გარდა, როგორც ჩანს, ერთი ცუდი ზნეც გვასწავლა: თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის, სტუმარს ან თვალს ავარიდებთ ხოლმე, ან, თუ ქუჩაში შეგვხვდა, კალთას აღარ ვაგლეჯთ ძველებურად.

ღმერთო, შენ გვიშველე! გამჩენო, ნუ დააკარგვინებ ქართველს მამაპაპეულ, გამორჩეულ ნიშან-თვისებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამასწინათ, ჩემს უწყლო და უმოსავლო აგარაკზე სამი ისეთი მყვარებელი დამეცა, უღვინისჭიქოდ მათი გაშვება სახელის სამუდამოდ გატეხვას ვინ ჩივის, ცოცხლივ ჯოჯოხეთში ჩაგდების ტოლფასი რომ გახლავთ. არა და, სააგარაკოდ წაღებული ნახევარი წველა ყველი და ამოსულ-ამოკვირტული ორიოდე კილოგრამი კარტოფილი უშველის ამ საქმეს? ღვინო, ვენაცვალე, ჩემს გურჯაანელ მეგობარს – ნუგზარ თვალმიხელაშვილს, მისი ნაფეშქაშევი ღვინო მაქვს, მაგრამ მისაყოლებელი არ გინდა? ვაჟიშვილს სტუმრების ნარდით გართობა დავავალე, ცოლს ვუთხარი – სამზარეულოში მოსაჩვენებლად ახმაურე ტაფაქვასანაყი მეთქი, ჩავიკუჭე ჯიბეში ზაფხულის ხელფასსგადარჩენილი ოთხასიოდე მანეთი და ვეცი ჟიგულს.

ჩვენი, ჯერ უსახელო, უტყეო უდაბნო-აგარაკ-დასახლების ზემოთ, მდინარე ფრანის პირას პატარა ქართული სოფელია (ახ-

ლახანს ცოტნიაური დაარქვეს, ადრე რა ერქვა, ვერ გეტყვით). ცოტნიაურში, თურმე, ამ რვაასი წლის წინათ კოხტასთავის შეთქმულების ორი, დაჭერას იღბლად გადარჩენილი, მონაწილე იმალებოდა. ტყუილია-მართალია ვერ გეტყვით. ზემოთ ამ ფრანისპირა სოფელთან დაკავშირებით „ქართულს“ იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ცოტნიაურის მარცხნივ, ოდნავ ზემოთ, გაღმა, თუნუქის სახურავებით ალაპლაპებულ-აელვარებული, მჭიდროდ დასახლებული აზერბაიჯანული სოფელი – აღჯაბადი მოჩანს.

ცოტნიაურში ჯვარგადახრილ მწვანე საყდარს გავცდი და პირველივე მოსახლეს დავუსიგნალე.

როდისროდის შავთავსაფრიანი მოხუცი ქალი გამომეგება. ჯერ ჟიგულს დააკვირდა, მერე მე, და რომ ვერ მიცნო, შებრუნება დააპირა, მაგრამ მანქანიდან გადმოვხტი და შევეხმიანე:

– ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, უხერხულ საკითხზე გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. სტუმრები მეწვივნენ მოულოდნელად, მე, ქვევით, განათლების სამინისტროს ნაკვეთები რომაა, იქ ვისვენებ. პატარა აგარაკივით მაქვს. ერთი სიტყვით, ყიდვა მინდოდა რაღაც-რაღაცეების.

– რისი მაინც? შემობრძანდით ეზოში, პატივცემულო.

– შემოსასვლელად, გმადლობთ, არ მცალია. ა (პიჟამოზე დავიხედე), ასე ვარ წამოსული. მინდა ვიყიდო, ერთი სიტყვით, თუ გასაყიდად გაგემეტებათ: ერთი ვარია, ცოტაოდენი ყველი, კვერცხი, მწვანე ლობიო, თუ ვინმეს ექნა.

ღობესთან სკამი გამომიტანა. დაბრძანდიო, დაჟინებით მთხოვა, მაგრამ შორს დავიჭირე. მერე თავშალი მოიხსნა, ისევ შემოიხვია წვრილად დავარცხნილ თეთრ თმაზე, შუბლთან ლამაზად შეიკეცა და უკან ჩვეულებრივზე მაგრად შეიკრა.

– მე, პატივცემულო, ეს ორი კვირაა ჩამოვედი, შვილთან ვარ ქალაქში და კრუხი ახლა დავსვი, ჯერ არც გამოუჩეკია. ძროხა, სიმართლე გითხრათ, არა მყავს. რომც მყავდეს, ზამთარში ვის დავუტოვო, ყველას თავისი თავი უჭირს. ვარიები ზებედაშვილის ქვრივს ჰყავს გასაყიდი ზევით, მაგრამ ძალიან ძვირს აფასებს. რა ვიცი, ჰკითხეთ მაინც, მოსახვევთან დიდი მსხალი რომ დგას, იქვეა მისი ჭიშკარი. მწვანე ლობიო ჯერ არ ვარგა, ახალი გამოსულია ყვავილიდან, თორემ როგორ დაგიკავებდით. ისე, ამას, ყველაფერს, გაღმა იშოვით აზერბაიჯანელებთან. კარგი ხალხია, ვერ დავმალავ და არც მეძვირეები გახლავან. რამე რომ დაგვჭირდება, ჩვენც მათგან ვყიდულობთ. ისე, რაკი მოსული ხართ, შეუყევით ზევით სოფელს იქნებ რამე იშოვოთ. რა ვიცი, მე დიდი იმედი არა მაქვს. ზებედაშვილთან მაინც ხომ უნდა მიხვიდეთ.

მადლობა მოვახსენე და მანქანაში შევძვერი.

ზებედაშვილის ქვრივმა, მაღალმა, ბოხხმიანმა დედაკაცმა: ხუთი ვარია მყავდა და გუშინ გავყიდე დეზერტირის ბაზარზეო. არა ღირს დღეს ფრინველების მოშენება, იმდენი წვალება უნდა, საკვების ფულსაც ვერ ანაზღაურებსო. ზევით ტყუილად წახვალთ. ძროხა ორ მოსახლეს ჰყავს მარტო – კამლიძეს და ხახალეიშვილს. კამლიძის ძროხა მაკეა, ხოლო ხახალეიშვილთან იმდენი სულია (ახლა ქალაქიდან ძმის შვილისშვილებიც მოემატნენ), რომ ყველი გასაყიდად კი არა, გამაგრებასაც არ აცლიან, ახალამოყვანილზე ჭყინტად იჭმება მაგათ ოჯახშიო. ზევით, გორაშვილებს, მესამე წელია ჭიშკარი არ შეუღიათ, მიატოვეს აქაურობაო. კვერცხი ერთ ადგილას მეგულება, მაგრამ ხუთს არ აკლებს და ხუთად ქალაქშიც ქე იშოვითო. რატომ არ გინდათ აღჯაბადში ასვლა, ყველაფერი აქვთ და ყიდვისას ნუ შეგრცხვებათ, შეევაჭრეთ, არაფერი უჭირთ, კეთილი ინებონ და დაგიკლონ. ჩვენს მიწაზე ცხოვრობენ და ჩვენი ბუნების მადლით მდიდრდებიანო.

გამოვემშვიდობე ზებედაშვილების ქვრივს და ზემოთ აღარ წავსულვარ, აღჯაბადისკენ შევაბრუნე მანქანა.

ცოტნიაურის აღმართი ავათავე და ასფალტიც გაწყდა. ნახევარ კილომეტრამდე ოღროჩოღრო, ქვიან-კოლბოხებიან გზაზე ვახტუნავე მანქანა და თავდაღმართზე რომ დავეშვი, ისევ დაიწყო ასფალტი. აღჯაბადის შესასვლელთან ასფალტიანმა გზამ მარჯვნივ გაუხვია. ისევ მტვერში შევყავი თავი.

პირველი, რაც თვალში მეცა აღჯაბადში შესვლისას, ის გახლავთ, რომ სახლები ახლომახლო უდგათ და ეზოები დიდად მოვლილ-დასუფთავებული არ უნდა ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში მანქანიდან ასე ჩანს. გზის პირზე გადმოკიდებულ ბოსლებქვეშ საქონლის სკორე დახვავებულა და ორღობეში მძაფრი სუნი დგას. ყოველ ნაბიჯზე ბალღები დატანტალებენ. შავტუხა, მკვირცხლთვალება თათრის ბავშვები მანქანას მონუსხულივით შემოაჩერდებიან და „გამარჯობა“, „გამარჯობას“ ძახილით ფეხდაფეხ მოსდევენ. ლურჯ-წითლად ჩამჭკნარ-ჩაქიშმიშებული თავ-ბიბილოების წინწაგდება-ღავილით სოფელში უცხო კაცის გამოჩენისადმი პროტესტს გამოხატავენ გაფხორილი ინდაურები. ხოლო შუკაში მოსისინე-მოყიყინე ბატებს ოციოდე მეტრზე რომ მიუახლოვდები, სწორედ მაშინ მოუნდებათ მეორე მხარეს გადასვლა. მიიხედ-მოიხედავენ, კისრებს წაიგრძელებენ და ფრთების ოდნავ გაშლით, პარტყაპურტყით, ისე დაწყობილად და წესრიგიანად გადადიან, რომ შემირცხვენია მათთან ნებისმიერი, ქართული, როგორც ჟურნალისტები იტყვიან ხოლმე – „არაფორმალური საჯარისო გაერთიანება“.

შუა სოფელში, წყაროსთან დავამუხრუჭე. ორი გრძელკაბათ-ავსაფრებში გულდაგულ შეფუთული ახალგაზრდა ქალი წყაროსთან ჩამუხლულა, ერთი ხის განიერ ვარცლში თეთრეულს რეცხავს, მეორეს კოკა შეუდგამს რკინის მილისთვის და დოინჯშემოყრილი დასცქერის.

– სალამ ალეიქუმ!

მრეცხავმა პასუხის ნიშნად ტუჩები ააცმაცუნა და, თუმცა ქვედა კაბა სამჯერ უფრო ფართო ეცვა, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა, მაინც ყოველშემთხვევისათვის ჩაისწორ-ჩაიფინა, კოკიანმა კი ჩაიღიმა და, თითქოს აქ არაფერიაო, კოკას ხელი შეაშველა. მანქანიდან გადმოვედი და შორიახლო გავჩერდი.

– ხომ არ იცით ძვირფასებო, ვინ ყიდის აქ რამეს, საერთოდ, რასაკვირველია, კვერცხი მინდოდა და ცოტა ყველი, ლობიო, თუ გეშოვებათ, ერთ ქათამსაც ვიყიდდი ხელსაყრელ ფასში, რა თქმა უნდა.

ჯერ საქმიანსერიოზული ოთხი ლამაზი თვალი ერთდროულად შემომენთო, მერე ვარცლიდან თეთრი ქსოვილი ამოცურდა, ორივემ ღონივრად გაწურეს და დახვეული ქვაზე რომ დადეს, ერთმანეთში დინჯი, აუჩქარებელი მუსაიფი გააბეს.

– თურჩიფთიაჯიბაშბაშღუღუ? – ჰკითხა მრეცხავმა.

– ქაფშუშჯამრე – მიუგო უფრო ახალგაზრდა და ტანკენარმა, კოკა თეძოზე შემოიდგა და წყაროს ფილაქნიდან ჩამოორსაფეხურდა.

– კვერცხი, ყველი, ქათამი და კიდევ რა? – მკითხა შვიდპირ დიბა-ატლასში გახვეულმა და ვარცლი გადმოაპირქვავა.

– ლობიო.

– თურთურქიფჩანბოლშლუწუჭუ!

– ქურქურზუთუ – ფეხი მიწას მორცხვად გაუსვა და კოკას ხელი შეუნაცვლა ლამაზმა. ისე, კაცმა რომ თქვას, რად ავიხირე ეს „ლამაზმა“. ორივენი საოცრად ლამაზები და რაც მთავარია, კდემით აღსავსენი ჩანან.

– აი, ამ გოგოს დედამთილი აქვს ყველაფერი. იქეთ, ფირდაფირ, ორსართულიანი აგრის სახლი ცხოვრობენ. მიდი, აიღე – მითხრა უფროსმა ქალმა და გაწურული ზეწარი ცარიელ ვარცლზე დააგდო.

– ზემოთ კაკალი რომ ჩანს?

– იმის იქეთ, მეორე პატარა კაკლი და ფირდაფირ ამისი სახლია.

ამასობაში „გოგო“ დაწინაურდა. კოკას ორივე ხელი მოხვია და ოდნავ გადახრილი კოხტად მიაბიჯებს.

– თვითონაც ხომ შინ მიდის?

– კი.

– ჩაბრძანდეს, ბარემ, მივიყვან კიდეც და გზასაც მასწავლის.

– ფირქირღუღუ?! – გასძახა.

კოკიანი შეჩერდა. მოიხედა, გაიცინა.

– თურშალფე.

– ეშინია, – განმიმარტა ვარცლთან ჩამუხლულმა.

– როგორ გეკადრებათ. ორ ნაბიჯზეა... ესეც არ იყოს, ვგავარ ისეთ კაცს?

– ქაფჩქუ! – გასძახა.

ამასობაში მანქანა ზედ კოკათეძოსთან გავუჩერე.

უკანა კარი გამოსწია. ჯერ კოკა ჩადგა.

– რა გვქიათ? – ტირიფებთან გადავუხვიეთ თუ არა, ვკითხე.

– ბაჯი.

– რა ლამაზი ხარ, ბაჯი.

– ე, ე, აბა, აბა, გააჩერე! ფეხით წახვალ!

– რატომ, რა დავაშავე?

– ჩემი დედამთილი, აგეთნაირი ლაპარაკი არ უყვარს. თუ დამნახამს! – ბაჯიმ ორივე მუშტი ერთმანეთს მიარტყა და გაიცინა.

რამდენიც არ უნდა მიმტკიცოს ჩიჩი გვილავამ, ხატზე დავიფიცებ, რომ ლამაზი ქალები ყველგან ერთნაირად კეკლუცები და მაცდურები არიან.

ბაჯიმ თავის ჭიშკართან მაინც არ მიმიყვანა. აქეთ, ორმოციოდე ნაბიჯზე გამაჩერებინა მანქანა.

მეც კოკიანად წინ გავატარე. მადლიერად შემომხედა, გამიძღვა, ეზოში შესვლისას თავშალი შუბლზე ჩამოიწია და გამიღიმა.

მალე ბაჯის დედამთილი ორმოცდაათიოდე წლის, მზედაკრული, თეთრკბილა, თეძოგანიერი ქალი იდგა ჩემს წინ.

წვრილად ავუხსენი მოსვლის მიზეზი. არც ის დამიმალავს, სად ვაგარაკობ და რა პატივსაცემი სტუმრები მელიან შინ.

– არის, არის, ყველაფერი არის... მეზობელი ყოფილხართ. აბა ფულზე რა ლაპარაკი არის, სურცხულია, მაგრამ დღეს ყველაფერი გაძვირდა და რა ვქნათ, ჩონი ბრალი არ არის. ახლავე. ამ წუთში.

– ჯომშალარე! – შუშაბანდს გასძახა.

ცისფერსაწმერთულიანმა გოგომ გამოიხედა.

– კვერცხი რამდენი? – მკითხა მასპინძელმა.

– ოცდაათი, რას აფასებთ?

– ქალაქში ხუთი ღირს, თქვენთვის ოთხი იყოს...

ცოტა შეყოვნება რომ შემატყო:

– ჰა, სამნახევრად აიღე.

– ყველი? ერბომოხდილი თუ არ არის.

– იოხ, იოხ, არა, ჩონ ყველი არ ყიდით, მარტო რძე და მაწონი. ამას ჩონთვინ აკეთებთ, საჭმელად. ნახავთ. თუ არ მოგეწონებათ, ნუ იყიდებ. მეტი?

– ქათამი ერთი.

– იახში, იახში, დიდი ქათამი თუ ახალგაზრდა ქათამი?

– საშუალო.

– იახში. ქერჩფერკუფუ ბოქფათქუთა! – გასცა განკარგულება.

გოგონამ კისრიტეხით ჩაირბინა კიბე და სახლისუკან გაუჩინარდა.

სანამ ბაჯის დედამთილს ჯალაბობის რაოდენობა-სიმრთელის ამბავს გამოვკითხავდი, შვილიშვილები გარსშემოგვეწყვნენ.

საწმერთულიან, შვლის ნუკრივით თვალცისკარა გოგოს ყველი ეჭირა, თეთრთავსაფრიან თექვსმეტიოდე წლის მზეთუნახავს ცელოფნის პარკით – კვერცხები, ფეხშიშველა, თმაგადახოტრილმა, გარუჯულმა ბიჭმა ქათამი მოაბათქუნა.

სახლისაკენ თვალს ვაპარებდი. ლამაზი ბაჯი აღარ გამოჩენილა.

სანამ მასპინძელს ვევაჭრებოდი, მეზობლები მოგროვდნენ. ერთმა ვარიები გამოიყვანა, მეორემ გობზე დაწყობილი გარგარი მოარბენინა, მესამემ კარტოფილი. შორიახლო დადგნენ. აქაოდა, ჯერ ბაჯის დედამთილთან გაასწოროს ანგარიშიო.

ნავაჭრს მანქანის საბარგულში რომ ვალაგებდი, ლერწამტანა, წრიპინახმიანმა, გადაბმულწარბებიანმა გოგომ, რომელსაც ცხვირის ნესტოები ოფლისაგან დაცვაროდა, ვედროთი მწვანე ლობიო ჩამოარბენინა და თვითონ ჩამიდგა მანქანაში.

– წავედი აბა, გმადლობთ, ნახვამდის!

ყასიდად გავიღიმე და შევტრიალდი. ვნახოთ ერთი რა სახეს მიიღებენ მეთქი. ზოგჯერ ვიცი ხოლმე, ასეთი უადგილო ხუმრობა.

– ე! ე! ფული! ფული! – დაიძახა ლობიოს პატრონმა და უფრო მეტად რომ აეხსნა, თითები ერთმანეთს ლამის ჩემს ცხვირწინ გაუსვ-გამოუსვა.

ვიანგარიშეთ. ბაჯის დედამთილმა ფასები ლამის გამინახევრა, მაგრამ ჩემი ოთხასი მანეთი მაინც არ მეყო.

გენდობითო, მითხრა ახლა ლობიოს გოგო გაისტუმრეთ და მე დანარჩენი მერე ამომიტანეთ, მეზობელი ხართ, ბოლოსდაბოლოს, გამქცევი ხომ არ ხართო. თუ არ მოიტანეთ, მე წყევლა არ ვიცის, არ შეგეშინდესთ. შენი ფეშქაში იყოსო.

რომ ჩავივაკე, ცრემლგამშრალმა გავხედე ჩახავსებულ-ჩათითოდედაბრებულ ქართულ სოფელს და მყუდროება არ დავურღვიო მეთქი, ასაქცევი მოვძებნე.

ვალი, რასაკვირველია, მეორე დილითვე ვაახლე ბაჯის დედამთილს. ამას ისე, ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველისთვის ვწერ, თორემ ისე, რა მნიშვნელობა აქვს.

* * *

როგორც კაცი და როგორც მწერალი, მე კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამოვყალიბდი. ვისაც გამოუცდია, მხოლოდ მან იცის საფუძვლიანად, როგორი იყო მწერლის ბედი საბჭოთა იმპერიაში. ისეთ მწერალზე მოგახსენებთ, ვისაც არ შეეძლო, სიმართლე არ ეწერა, თორემ სხვანაირი მწერლებიც არსებობდნენ და, ვისღა დავუმალო, მშვენივრად გრძნობდნენ თავს.

ხელისუფლება ჩვენგან სიმართლის თქმას (და მითუმეტეს, სიმართლის აღწერას) არ მოითხოვდა. ათასნაირად გვეძიძგილავებოდა, რათა ხელი შეეშალა ჩვენი ნაწერის გამოქვეყნებაში, თუ ღმერთი გაგვიწყრებოდა და სიმართლეს დავწერდით.

და გვქონდა ფარული თუ აშკარა ომი მთავრობასთან. ამ ომში ორივე მხარე გამოიბრძმედა. ხელისუფლებამ მშვენივრად ისწავლა ჩვენი დამუხრუჭების, „განზე გაყვანის“, ხელიდან კალმის გაგდებინების მეთოდები. ჩვენ ვისწავლეთ ნართაულად, გადატანით, სტრიქონებს შორის აზრის ჩადებით, მინიშნებებით, ეზოპეს ენით წერა. რა ანგარიშით დამთავრდა ეს ორთაბრძოლები, ისტორიამ არკვიოს, ჩემდათავად კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რაღაც-რაღაცეების თქმა მაინც მოვახერხეთ, ცოტა სიმართლე როდი გავაპარეთ ჩვენს წიგნებში. ყოველ შემთხვევაში, შევეცადეთ, მწერლის სახელი არ შეგვერცხვინა.

კომუნისტურმა წყობილებამ მწერლებთან ამ ბრძოლა ჯაჯგურში ახლებური მკითხველიც შობა. მკითხველიც ჩვენთან ერთად გამოიქექა და სხვანაირ კითხვაში გამოიბრძმედა. იგი, ხშირად, შეუცდომლად ხსნიდა ჩვენს მიერ ცენზურის თვალისასახვევად დახურულ ფრჩხილებს, ხვდებოდა გადაკვრითა და მინიშნებით ნათქვამს, გონების თვალით წვდებოდა ჩვენს მიერ გამოტანჯულ მრავალწერტილებში ჩაწერილ აზრებს. ჩვენი უადგილო „აბზაცების“ გადამკიდემ ზოგჯერ ისიც კი იცოდა, სად რა იყო წიგნიდან ამოღებული და როგორ დაამთავრებდა მწერალი ნაწარმოებს, თავისუფლად წერის და ფიქრის ნება რომ ჰქონოდა.

სხვებისა არ ვიცი და მე, პირადად, ძალიან მიყვარდა მკითხველებთან შეხვედრა. ამ შეხვედრებს გარეგნულად მოსაწყენი, ერთფეროვანი იერი ჰქონდა (მოხსენება, სიტყვები, ქება-დიდება, შეკითხვები, ბანკეტი), მაგრამ მე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა იმათ პირისპირ დგომა, ვისთვისაც ვწერდი, ვისთვისაც ცენზურას სალტო-მორტალეს ვეთამაშებოდი და წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ ჩემი სიმართლე „გამეტანა“.

ჩვენ, ამ შეხვედრების დროს, ერთმანეთისა მშვენივრად გვესმოდა. დარბაზში მჯდომი აგენტების მოსატყუებლად (რასაც, უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებდით, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთნი, თავს რომ იტყუებდნენ საქვეყნო საქმის სასარგებლოდ) იყო ძვირფასი სტუმრისთვის წითელი ყელსახვევის გაკეთების, საპატიო პრეზიდიუმად პოლიტბიუროს დასახელების და სუფრაზე პირველ სადღეგრძელოდ პარტიისა და ხელისუფლების კარგად ყოფნის ხაზგასმის შემთხვევები, მაგრამ შევცქეროდით ერთმანეთს და მეჩვენებოდა, რომ იქეთაც და აქეთაც კარგად ვიცოდით ამ პომპეზური მონტაჟისაგან რა უნდა დაგვეჯერებინა და რა არა. ესეც არ იყოს, მკითხველს რომ თვალებში შევცქეროდი, უკეთ ვახერხებდი რაღაცაზე მინიშნებას, შეთქმულის განდობას, დაფარულის გამხელას ხან მიმიკით, ხან ინტონაციის შეცვლით, ირონიითაც...

თითქოსდა ერთგვარი სპორტული ინტერესიც ჰქონდა ხელისუფლებასთან კატა-თაგვობანას თამაშს. მკითხველი მტრედის გუნდივით დაგვდევდა. მწერალთან ყოველი აზრიანი შეხვედრა ერის შეკავშირებისაკენ, ეროვნული ლაშქრის მოხალისე წევრთა გამრავლებისაკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო. ამიტომაც, რეჟიმის დამცველები ხალისით როდი ეკიდებოდნენ ამგვარ შეხვედრებს. დაწყებამდე, სხვათაშორის, ჩაგიკრავდნენ: იმედია, პოლიტიკაზე არ გვექნება ლაპარაკი, დარბაზში მსხდომთ პოლიტიკაზე უფრო თეთრი ლექსის და ვერლიბრის, რომანისა და ნოველის ჟანრული საკითხები აინტერესებთო. შენც, კულისებში, რასაკვირველია, თავს უქნევდი რაიკომის მდივანს: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა, ლაპარაკი იქნება, ძირითადად, ლიტერატურაზე და ორიოდე სიტყვით უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის არნახულ გამარჯვებებსაც შევეხებიო, აღვუქვამდი. რაიონის ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, არ გენდობოდა. თვითონ შემოგყვებოდა სცენაზე, თვითონ გახსნიდა შეხვედრას, თვითონ გადაარჩევდა დარბაზიდან გამოგზავნილ შეკითხვებს და, არა მარტო, ბანკეტს უთამადებდა, ვაგონამდეც კი მოგაცილებდა უშიშროების ხელმძღვანელისა და მილიციის უფროსის თანხლებით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ე მანდ გაუთვალისწინებელ პირს არ გამოლაპარაკებოდი და რაიონში მომხდარ უმსგავსობათა შესახებ სიმართლე არ გაგეგო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, საქმე მაინც უფრო მარტივად იყო, ვიდრე ახლაა. იცოდი, რომ ორი მხარე, ორი ქვეყანა არსებობდა. ერთი, ვისთვისაც იბრძოდი და ვისაც შენი ესმოდა, მეორე – ვისაც ებრძოდი და ვინც ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა შენს მიერ დარეკილი ზარის ხმა მიეგუდა, შენს მიერ დანთებული კოცონი ფეხით გაეთელა, ნაღვერდალზე წყალი დაესხა.

ამ ორომტრიალში და სიმწრის კბილთაღრჭენაში დიდი დრო გავიდა. ერთ დღეს სხვა საქართველოში აღმოვჩნდით.

არ შევუდგები იმის ახსნას, როგორია ეს საქართველო. ეს პოლიტიკოს-ეკონომისტების და სოციოლოგ-ისტორიკოსების საქმეა. უბრალოდ მოგიყვებით, ამ ბოლოს დროს, მკითხველებთან ჩემი შეხვედრის ერთ ეპიზოდს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მკითხველებთან შეხვედრა ძალიან მიყვარს, მაგრამ ორი წელი ისე გავიდა, რომ შეხვედრაზე არსად გავსულვარ. რა ვიცი, სხვა ვითარებათა გამო, თუ არავინ არსად მიმიწვია. დარბაზს მონატრებული სიამოვნებით დავთანხმდი ულსხის პრეფექტს, რომელმაც ვინ იცის, იქნებ, სიტყვის მასალად მითხრა, ჩვენსკენ ხომ არ გამოისეირნებდით, ბატონო გელა, მკითხველებს თქვენთან შეხვედრა უნდათო. ვიღას სცალია ახლა, ჩემო ქაიხოსრო, მწერლისთვის და წიგნისთვის-მეთქი,. მოვითავმდაბლე, მაგრამ ჩასვლის დღე და საათზე მაინც შევუთანხმდი. რომ იტყვიან, სიტყვაზე დავიჭირე.

ის იყო მექანიკური (ჯაჭვი) თუ ელექტროდამცველებით („სეკრეტი“) ჩემი ბებერი ჟიგულის დაბმას მოვრჩი და ულსხის ცენტრში რაიკომის ყოფილ შენობას (ახლა პრეფექტურაა მოთავსებული) გავხედე, რომ ჩემსკენ წამოსული ორი, შუბლზექუდჩამოფხატული ჯინსიან-ტყავისკურტკიანი ბიჭი შევნიშნე. სანამ მომიახლოვდებოდნენ, რამდენჯერმე უკან მიიხედეს და მთხოვეს, თუ არ შევწუხდებოდი, ისევ მანქანაში ჩავმჯდარიყავი.

– რაშია-მეთქი, ბიჭებო, საქმე?

– ორი სიტყვა გვაქვს სათქმელი, არ შეგეშინდეთ, პატივცემულო, – გამიღიმა მარჯვენაშეხვეულმა, შავწვეროსანმა ბიჭმა.

კარი გამოვაღე და საჭესთან დავჯექი. უცნობები უკან ჩასხდნენ.

– დღეს შეხვედრაა თქვენთან კულტურის სახლში.

– დიახ, რა ვიცი... არის ახლა შეხვედრების დრო? – წავილუღლუღე.

– შეხვედრაში თავისთავად ცუდი რა არის, ბატონო, გელა, მაგრამ თქვენგან კი ნამდვილად არ მოველოდით, – მაღალ, ხელშეხვეულ ახალგაზრდა კაცს ცხვირზე გარდიგარდმო ნაჭრილობევი აჩნდა და ყიყინა ხმა ჰქონდა.

– რაზე, ბრძანეთ?

– თქვენ, თქვენი წარსულის კაცი ამათთან როგორ ხართ. ამათთან თქვენ რა გესაქმებათ. ეს იმედი გვქონდა თქვენი?

– „ამათში“ ვის გულისხმობთ?

– პრეფექტს და კამპანიას.

– რაზე შემატყვეთ ამათთან ყოფნა, თქვე კაი ხალხო. მე არც ამათთან ვარ და არც იმათთან. მე ჩემს თავთან ვარ და, თუ მიცნობთ, ასე მარტო ვიყავი ყოველთვის, ამ მთავრობის დროსაც და იმ მთავრობის დროსაც – არ შევეპუე.

– რომ გიცნობთ, სწორედ იმიტომ მოგახსენებთ. გაგვიკვირდა.

– თქვენი სახელით ისარგებლებენ, ესენი, ეს ქვეყნის ამომგდებნი: აიო, ხომ ხედავთო, გელა კირთაძე ჩვენთან ჩამობრძანდაო, ჩვენთან არისო.

– უბრალოდ, ამ ორი კვირის წინათ ქუჩაში შემხვდა თქვენი პრეფექტი – ქაიხოსრო. ხეირიანად არც კი ვიცნობ. მთხოვა, უარს რატომ ვეტყოდი.

– ხომ გითხარი, – მაღალმა ხელშეხვეულს გახედა.

– ჯერ კიდევ ეშველება ამ საქმეს. სწორად გაგვიგეთ, თქვენი პრესტიჟის გადარჩენა გვინდა. ახლავე შევატრიალოთ მანქანა და სოფელში ავიდეთ. ბლეთი ჰქვია ჩვენს სოფელს, მაღლაა. აქედან სულ ხუთ კილომეტრშია. ჩვენი რაზმის წევრები შეგხვდებით, მთელი სოფელი მოვა.

– მაპატიეთ, კი არ ვიცი, ვისთან მაქვს საუბრის პატივი.

– ჩვენ საზოგადოება „ლამბერტის“ წევრები ვართ. ბოდიშს ვიხდით თავიდანვე რომ ვერ წარგიდექით.

– რა არის იცით, კარგო ბიჭებო? ახლა უხერხულია. კაცს დავპირდი. მობრძანდით თქვენც, კულტურის სასახლეში. ვისაუბროთ. შევეცდები, არ შეგარცხვინოთ, მკითხეთ, რაც გნებავთ. თქვენ არ გაგიჭირდებათ იმის მიხვედრა, სად ვდგევარ და ვის წისქვილზე ვასხამ წყალს.

ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ხელშეხვეულმა ავტომატის ჯერივით მომაყარა.

– როგორ გეკადრებათ, პატივცემულო. ჩვენ იმათ დარბაზში შევალთ და იმათთან ერთად დავჯდებით?

– რატომ, ჩემო იმანო, ისინი რა, კეთროვნები არიან?

– უარესი, – ყვრიმალები წითლად დაებერა მაღალს – ისინი ჩვენი და საქართველოს მტრები არიან. ხომ ჩაგვექცა ტვინში სისხლი, იმათ გვერდით რომ სადმე აღმოვჩნდეთ და იმათი ჰაერით ვისუნთქოთ.

– დაგიხოცავთ, აბა, ერთმანეთი და ეგაა.

– არც უმაგისობა იქნება. სანამ დაგვასწრებდნენ და ჩვენს სისხლს დალევდნენ, უნდა ვიმარჯვოთ და ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ.

– ბევრნი ხართ? – ლამის ყურში ვუთხარი, თითქოსდა შეთქმულების დასტურს ვაძლევდი.

– ყოველ შემთხვევაში, იმათ ვეყოფით! – ვერ მიმიხვდა.

– დაბეჯითებით გთხოვთ, – მთავარ საქმეს დაუბრუნდა მაღალი, – თქვენი იმათთან გამოჩენა და შეხვედრა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს თავის მოჭრა იქნება მთელი მწერლობისთვის.

– რა გაეწყობა, რაკი ასე ფიქრობთ, ჩემო ძვირფასებო – ხმაში ხრინწი გამერია და ჩავახველე, რომ მღელვარება დამემალა, – აქამდე არ მომიჭრია მწერლობისთვის თავი და ახლა რა ღმერთი გამიწყრება. გაიგებთ ხვალ ჩვენი შეხვედრის ამბავს და თუ რამე შემეშლება, მერე ვილაპარაკოთ. ახლა, თქვენ გაგებული ბიჭები ხართ და უნდა წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა. ჩამოვედი. თქვენს გარდა სხვამაც ხომ დამინახა. როგორი საქმე იქნება, დავიმალო და ხალხს არ გავესაუბრო.

– ეგენი რა ხალხია. ეგენი მონები და პრავაკატორები არიან. ხალხი ჩვენ ვართ! – ხმას აუწია მაღალმა ნაჭრილობევცხვირიანმა.

– ჩვენ ჩვენი გვითქვამს და თქვენი საქმე თქვენ იცით. ვინძლო წინ არ დაგხვდეთ დღევანდელი აქ ჩამოსვლა. იცოდეთ, მაგათ დიდი დღე არ უწერიათ და მერე არ შეგრცხვეთ ჩვენი.

მანქანიდან ფრთხილად გადავიდნენ. ცოდვას ვერ დავიდებ, მანქანის კარი არ გაუჯახუნებიათ. ქუდები ჩამოიფხატეს, პრეფექტურის შენობას გახედეს და ყოფილი ლენინის ბაღის შუაგულისკენ გააბიჯეს.

– პრეფექტი რომელ სართულზეა-მეთქი, – ვკითხე კარებშიმდგარ, შაშხანიან გვარდიელს.

რომ არ მეკითხა, ყურადღებასაც არ მომაქცევდა, რაკი ვკითხე, ჩემი ვინაობით დაინტერესდა.

– ვისთან მიბრძანდებით?

– პრეფექტთან!

– საბუთი?

გავუწოდე. დიდხანს ათვალიერა. როგორც იქნა დამიბრუნა და ამოღერღა.

– მიბრძანდით!

– არის თუ იცით?

– წელან იყო, თუ უკანა გასასვლელიდან არ გავიდა. აქ ნამდვილად არ გამოუვლია. მოიცათ, მანქანა აქა დგას. აქ იქნება.

– რომელ სართულზეა?

– მესამეზე.

– თქვენთან ლიფტი არ არის, ხომ?

ჩანს, თავი მოვაბეზრე ჩემი ცნობისმოყვარეობით. ეს ბოლო შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და ზურგი შემაქცია.

პირველი სართულის კიბე რომ ავათავე, ვიღაცამ მკლავში გამომდო ხელი და ყურში ქალის ნაზი ჩურჩული ჩამესმა:

– ბატონო, გელა...

ჩემს წინ სქელტუჩება, თმებჩამოშლილი, თეთრმოსასხამიანი შუახნის ქალი დგას.

– ალბათ, არ გახსოვართ. აქ ვმუშაობდი აღმასკომში. ამ ხუთი წლის წინ რომ ბრძანდებოდით, მაშინ შეგხვდით პირველად.

– გიცანით, როგორ არა. – დაბნეულად შევხედე.

– ფანჯრიდან გიყურებდით, – ხმას დაუწია და ისე რომ ხელკავი არ მოუცილებია, დერეფნის ბოლოსაკენ გამატარა – „ლამბერტის“ ბიჭები გელაპარაკებოდნენ. რა უნდოდათ?

– რა ვიცი. რაღაც თავიანთ გასაჭირზე მითხრეს. ისეთი არაფერი.

– იცნობდით მაგათ ადრე?

– აბა საიდან? პირველად ვნახე.

– ბატონო გელა, არ დაუჯეროთ მაგათ არაფერი. ეგენი ჩვენი მოსისხლე მტრები არიან.

– ვისი თქვენი?

– მე საზოგადოება „ქართველი დედის“ წევრი გახლავართ. ეგ ბიჭები, თქვენ რომ გესაუბრებოდნენ, ხალხის აკლებისა და ბანდიტობის მეტს არაფერს აკეთებენ. ფული აქვთ შეწერილი კომერციულ მაღაზიებზე. ფაქტები მაქვს. ჩემმა დამ საფირმო მაღაზია გახსნა საწყალმა, ფული დროზე რომ არ მიუტანა, კარები დაუცხრილეს.

– ეს თქვენი პრეფექტი როგორიღაა?

– ოო, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი, გველი, ნამდვილი გველი... ერთ ნაბიჯზე არ ინდობა, თავისი ხალხით გაავსო რაიონი. ღლეტვის მეტი არაფერი ეხერხება. დიდი ჯიბე დაიკერა და რა ენაღვლება, პარსავს რაიონს.

– თქვენი სახელი?

– ჟუჟუნა!

– სხვა... კიდევ რა ხდება თქვენთან?

– „ლამბერტზე“ და პრეფექტზე ხომ გითხარით. რაიონს შავი ჭირივით შეესია საქველმოქმედო საზოგადოება „თეთრი მტრედი“.

– ეს ახალია რამე?

– არა, ახალი არ არის. თბილისის ფილიალია, შეიარაღებული დადიან. ვერავინ ახლოს ვერ ეკარება. გუშინ მეხამლე ჭავლაძეს მაკე ღორი წაართვეს. ჭკუიდან შეირყევით, თქვენ რომ აქაური ამბები იცოდეთ. ყაჩაღობს უთოფოც და თოფიანიც, ყველა, ვისაც არ ეზარება. თქვენ გგონიათ საზოგადოება „მგალობელი“ წესიერად იქცევა? ეგენიც გაფუჭდნენ, სააკაძის ძეგლისთვის ფული შეაგროვეს და შეჭამეს. გვატყუებენ, თეთრი მარმარილოს ფული გავატანეთ უგანდაში კაცს და აფერისტი აღმოჩნდაო. არც „ანგე-

ლოზ-დემოკრატთა“ პარტია გვაკლებს ხელს. იარაღის შესაძენად გვინდაო და, კვირა არ გავა, ფულზე რომ არ ჩამოიარონ. ამასწინათ, მეღვინე ცერაძეს დაეცნენ. შეკრეს და მილიონამდე წაართვეს. ამბობენ, მაგათი გაკეთებულიაო... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ვიღუპებით და ეგაა. თქვენ რაზე შეწუხდით?

– რა ვიცი, შეხვედრაო... არ მომეშვა პრეფექტი. დღესაა ხუთ საათზე, კულტურის სახლში.

– ო, ეგ გველი, ეგა. ეგ თითლიბაზი. იცის, ვინ მოიწვიოს. თქვენისთანა ხალხთან ურთიერთობით უნდა თავი მოგვაწონოს. არ უნდა დათანხმებულიყავით, არ უნდა ჩამოსულიყავით. მაგის გვერდით დასადგომად არ მემეტებით სწორედაც. მაგის დღეები დათვლილია, მალე დააპატიმრებენ.

– ვითომ?

– ასპროცენტიანია. წყალი არ გაუვა.

საათზე დავიხედე. ახლა თუ ქალბატონ ჟუჟუნას დროზე არ მოვშორდი, გული შემიწუხდება.

– აბა, კარგად! გამოიარეთ ხოლმე, თბილისში რომ ჩამოხვალთ!

– კარგად, კარგად, – ისევ დამეწია და ხელკავით ისევ დამიჭირა, – თქვენი ტელეფონი არ ვიცი!

– ოცდასამი-ოცდაექვსი-ოთხმოცდასამი.

– მოიცათ, ჩავიწერ; ზეპირად ვერ დავიმახოვრებ, – ჯიბე მოიქექა, – კალამი გაქვთ?

ამოვიღე და გავუწოდე.

– ქაღალდიც გექნებათ.

– არა, სამწუხაროდ.

– მოიცათ, ახლავე, – კედელს, კარის კუთხეში შპალერი აახია, – ოცდასამი? – ოცდაექვსი-ოთხმოცდასამი.

– გმადლობთ, ჩვენი საუბრის შესახებ არავის უთხრათ.

– რაზეა ლაპარაკი. თუ შეიძლება...

– ბატონო?

– კალამი დამიბრუნეთ, მჭირდება!

– უკაცრავად... ა ბატონო!

– აბა, კარგად!

– კარგად ბრძანდებოდეთ!

სულმოუთქმელად ავირბინე კიბე. პრეფექტის მისაღებში ხალხი ირეოდა. ისე შემომაჩერდნენ, როგორც ჯეირნები ჯიღაკლდესთან დაშვებულ უცხო ფრინველს. ერთი-ორმა მიცნო კიდეც და სანამ ჩემს ირგვლივ ცნობისმოყვარე-მომჩივანთა წრე შეიკვრებოდა, მდივანს მივვარდი.

– კირთაძე არის-თქო თბილისიდან. სასწრაფო საქმე მაქვს. იცის თვითონ!

ორიოდე წუთში პრეფექტის კაბინეტში ვიჯექი. პრეფექტი – ქაიხოსრო კერძაძე დაბალი, ჩასკვნილ-ჩაგრეხილი, სუფთად გაპარსული, ყბებფართო, ელამი კაცი – ყოფილი არქეოლოგი და ყოფილი პატიმარი, ცოტა არ იყოს, შემცბარი, ნირწამხდარი მეუბნებოდა:

– სხვანაირად არ მიიღოთ... ზემოდან არავის უთქვამს... ჩვენ თვითონ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება... ახლა ასე აჯობებს... რაიონი ჯერ მზად არ არის თქვენთან შესახვედრად... შეიძლება სხვანაირად გამოიყენონ. აქ სხვა სიტუაციაა. მტრები, მოგეხსენებათ, თქვენც ბევრი გყავთ. იმედია, სწორად გაგვიგებთ და არ დაგვემდურებით... ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოგვიხსნია... უბრალოდ... ახლა სიტუაცია მყარი არ არის... სხვა დროისთვის გადავდოთ... მე თვითონ შეგატყობინებთ... თქვენი ტელეფონი არ პასუხობდა... გუშინაც გვინდოდა დაგვერეკა... დღეს სახლიდან გამოგვასწარით... ახლა მიღებას დავამთავრებ და წავიდეთ, ერთად ვისადილოთ... ბენზინის პრობლემა ხომ არ გაქვთ?

– გმადლობთ... არა არის საჭირო... ყველაფერი რიგზეა. კარგად მენახეთ... ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

– მოითმინეთ... ახლავე კაცს გამოგაყოლებთ!

– არ არის საჭირო!

* * *

ნოემბერი იწურება.

მზეს ძალა მხოლოდ დაკეტილ ფანჯრებს მიღმა აქვს.

ჩემს „ჟიგულში“ ქარი უსტვენს და წვიმებს მიცივებს. თბილისში რომ ჩავალ, მანქანის ღუმელის ძრავი უნდა გამოვაცვლევინო, თუ ვიშოვე. მარტში გადამეწვა და მიმრჩა, გადამავიწყდა.

პირში უსიამოვნო გემო მაქვს, თითქოს ცარცი მეჭამოს.

საფეთქელზე მირტყამს შიშნარევი ფიქრი:

„რა დაგვემართა... რა დაგვემართა... რა დაგვემართა...“

* * *

ბატონო გელა, ამ წერილს წინასწარი დაკავების IV იზოლატორიდან გწერ. პატიმარი საშურა მიქაუტაძე გახლავართ, უდანაშაულო კაცს მალე გამასამართლებენ და იქნებ მიშველო რამე.

დივიზიის საწყობიდან საკოლექციო მიზნით, არადანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, იარაღის მოპარვის მუხლით გავდივარ და ამ მუხლით გავალ ბოლომდის. „საკოლექციო მიზნით“ იმას ჰქვია, რომ კაცის მოსაკლავად არ გამომიყენებია. ვითომ იარაღის მოყვარული ვარ და კოლექციას ვაგროვებდი.

თუ კარგი დამცველი ვიშოვე, შეიძლება ტრიბუნალიდან მოვახსნევინო და სამოქალაქო სასამართლოში გადავატანინო საქმე. თუ ეს მოვახერხე, გავკეთდი და ეგ არის.

თუ არაფერი გამოვიდა, უნდა გავაყიდვინო ჩემს ცოლს სახლი და მივცე მოსამართლე-პოლკოვნიკს.

ფულს ძალა აღარა აქვს ამ დასაწვავს და ოთუსბირს ითხოვენ.

რა ვქნა, რა მეტი გზა მაქვს, უნდა მივცე. გამოვალ ორ წელიწადში და ავაშენებ სახლს, აბა რა იქნება.

ჯანმრთელობა იყოს და ცოცხალი კაცი ყველაფერს მოესწრება. მთავარია, მშვიდობა იქნეს ქვეყანაზე.

სამი კალაშნიკოვის ავტომატი, ერთი მარგოლინის სისტემის რევოლვერი და ხუთასსამოცი ხელყუმბარის მოპარვა-გატაცება მბრალდება დივიზიის საწყობიდან.

გჯერა შენ ეგ ამბავი? ვინ მოგაპარიებს სამხედრო საწყობიდან იარაღს?!

სამხედრო საწყობი „ემტეესის“ ფარდული კი არ არის, გარედან გაყრილი ლომით რომ ჰქონდა ჩემს ბავშვობაში დაკეტილი ჩიმჩონია კვარკვახიძეს და მთვარის შუქზე მისივე ვედროთი რომ ვპარავდით ყოველღამე სასუქს მე და ჩემი ძმა.

რაც შეეხება დაცემას და იარაღის გატაცებას, ეს ხომ სასაცილოზე სასაცილო ამბავია.

დაეცი აბა, დივიზიის საწყობს, როგორი ბიჭი ხარ. სავარჯიშო ღრუბლის კაცს არ მოხვდება სასროლეთზე იმდენი, შენ რომ დაგათვლიან ბეჭებში ტყვიებს.

ვინ გაგატანს სამ ავტომატს და ხუთასსამოც ხელყუმბარას. ბნელა?

სხვათაშორის, მე ისე ვატყობ, ამათაც იციან, რომ არ მომიპარავს და არც ძალით წამიღია. გუშინ, საღამოს, დაკითხვაზე კატისულვაშა მაიორმა; ახლა მაინც მითხარი, მე და შენ, ვართ მარტოვო. როგორ დაცინცლე საწყალ ჯარისკაცებს იარაღიო.

ნასვამს არ ჰგავდა, გახეთქილი მთვრალიც რომ ყოფილიყო, მაინც არ ვენდობოდი.

რას ჰქვია, დავცინცლე, მე ვუთხარი, დავცინცლე რა, კოჭი ვეთამაშე, თუ ნიძლავში მოვუგე. მოვიპარე, მორჩა და გათავდა-მეთქი.

კარგი, რაკი ეგრე გირჩევნია, კი ბატონო, მე რა, შენ იკითხე, რომ გახეხინებენ კაი ათ წელიწადსო.

რა ვქნა ახლა, რაც მეკუთვნის მივიღებ, დამნაშავე ვარ და უნდა დავისაჯო მეთქი.

ბოლოს ამოღერღა – გაუგებარი, გამოუცნობ-ჯადოქმნილი ხალხი ხართ თქვენ, ქართველებიო.

ამას რომ ამბობდა, თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

ვინ დაგიფასებს, ვინ გაგიგებს იმას, რასაც შენ აკეთებ ახლაო. შენ თუ გგონია, გაახსენდებათ ამ ღლაპებს დემობილიზაციის მერე, შენი სიკეთეო. ნუ ცხოვრობთ ასე შტერულად, რაინდების და დევების სამყაროდან ჩამოდით ძირს, სხვა დროა ახლა, მეოცე საუკუნეა, გეთაყვა, მეოცე საუკუნეო.

დაიწყო ასე: ძველი „ვოლგა“ მყავს. პირველი გამოშვების „ვოლგა“. რომ არ დაგიმალო, ოცდახუთი წელი შეუსრულდა ახლა ა, ერთი კვირის წინ, ოცდაშვიდ ენკენისთვეს. ჩამომართმევენ ალბათ, ნასამართლევს, ქონების კონფისკაციის დროს. დაულუქავთ ჩემი დაჭერის მეორე დღეს. ოღონდ ის მოაცილონ ჩემს ოჯახს და მე ეგ ამბავი არ ვიდარდო, მანამ არაფერი გეტკინა. ჯაბახანაო, რომ იტყვიან, ისაა სწორედ. იმ მდგომარეობაშია, სამი დღე არემონტებ, ერთი საათი რომ გატაროს.

სათადარიგო ნაწილები ჩვენთან ჯერ ახალი მანქანის სადაა, ძველის რომ იყოს. სისხლი მქონდა გამშრალი. ვიღაცამ მიმასწავლა, სამხედრო ნაწილში მიდი, თუ სადმე ექნებათ, მანდ ექნებათო. მახსოვს, მაშინ წინა მარჯვენა თვლის ბურთულსაკისარი იყო ჩაშლილი და ყველგან ჩამოვიმათხოვრე, მაგრამ ვერსად წავაწყდი.

პარასკევი დღე იყო. შარშანდელ ამბავს გიყვები. ტყემლობა კაი ხნის ჩამთავრებული იყო. რიონის პირას ღელეჩემის ბოლოში რომ სამხედრო ბანაკია, იქ მივედი.

კარებში ავტომატიანი ჯარისკაცი დგას და, რასაკვირველია, არ შემიშვა.

საწყობი ხომ გაქვთ აქ, გექნებათ რა თქმა უნდა, იმ საწყობის კაცი მინდა მეთქი.

ჭორფლიანმა მოკლეხელება ჯარისკაცმა, საწყობი რომ ვუხსენე კარი გამოაღო და ვიღაცას უხმო.

კარგამოღებულში ვხედავ: სერჟანტი წამოწოლილა და ფანჯარაში ფეხები აქვს გაყოფილი.

შემოვიდესო, ჯარისკაცმა მანიშნა და შევედი.

სერჟანტი გადმობრუნდა და უფრო მოხერხებულად გააწყო ფეხები სარკმელში.

რა გინდაო, მკითხა.

ძველი ვოლგის ბურთულ-საკისარი, „პადშიპნიკი“ მეთქი.

სხვა არაფერიო? დანის წვერით აიწია ქუდი შუბლზე.

ხომ არ დამცინის მეთქი და უპასუხოდ დავტოვე.

ეი! სიდოროვს დაურეკეო, ჯარისკაცს შეეხმიანა.

ჭორფლიანმა ყურმილს ჩასძახა.

– სიდოროვ! სიდოროვ! გამოდი, გელოდებიან.

გამოვიდა ჩემი დამღუპველი სიდროვი. ნამძინრევივით თვალებ-დასივებული, მზედაკრული, წაქისფერთვალება, იხვნისკარტა ზემდეგი. მხარზე ძველი ძმაკაცივით გადამდო ხელი და გარეთ გამომიყვანა.

რა გაგჭირვებიაო.

ასე და ასეა ჩემი საქმე მეთქი. „პადშიპნიკს“ ვერსად ვშოულობ. გამიხერხე, თუ ძმა ხარ, და არ გაწყენინებ მეთქი.

კეფა მოიფხანა, ხუთი მანეთი დაჭირდებაო.

ექვსი იყოს მეთქი და ორ სამმანეთიანს ვუკუჭავ ჯიბეში.

არ გამომართვა.

ხომ არ გაგიჟდიო, აქ ფულს როგორ გამოგართმევ, გვითვალთ-ვალებენო.

მაშინ ცხრა აპრილი სულ ორი-სამი თვის ამბავი იყო და ჯარის-კაცები არ გვენდობოდნენ მაინცდამაინც.

წადიო სიდროვმა, ეზოს ბოლოში ალვის ხეს ხომ ხედავ, იქო, გამონგრეულია კედელი, იქ გამოგიტან „პადშიპნიკს“. შენ შორიდან მიყურე, მე რომ გამოვტრიალდები, მიდი, აიღე და ფული, იქ თე-თრი სიპის ქვა რომ დევს, იმის ქვეშ შეჩურთეო.

ასეც მოვიქეცი. არ გაუვლია ხუთ წუთს. სიდროვი ხის ყუთს მოათრევს. დადო ხვრელთან და გატრიალდა.

თვალს რომ მიეფარა, მივედი ყუთი სავსეა სხვადასხვა ზომის საკისრებით. ზედ წერილი დევს. „არ ვიცი, რომელი „პადშიპნიკი“ გინ-და. წაიღე ეს ყუთი, ოღონდ ქვის ქვეშ თუმანი დატოვეო. სხვა დროს თუ რამე დაგჭირდება, კარებთან ნუ მოხვალ, ტელეფონზე (1-39-3-27-15) დამირეკე, ოღონდ ტელეფონში არ მითხრა, რაც გჭირდებაო“.

ვინამუსე და თუმანი კი არა, თხუთმეტი მანეთი შევდე ქვის ქვეშ. გავიდე მხარზე ყუთი და მომაქვს.

რატომ შვიდი თუმნის საქონელი არ მომაქვს. ეს რა ქერის ორ-მოს მივაგენი, გახარებული ვარ. ფრენა-ფრენით მოვედი შინ.

რომ აღარ დაგღალო, თუ რამე მანქანის ნაწილი დამჭირდებო-და, დავურეკავდი ჩემს სიდროვს და თავი ქუდში მქონდა.

გაუჩენელს გამიჩენდა. ამ ჩემს ბებრუხანას კეთილი ზემდეგის წყალობით კარბურატორი, „ტიაგები“, „კარდანნი ვალი“ რეზინები და ძრავის „კლაპნებიც“ კი გამოვუცვალე.

გამომრჩა ერთი დეტალი; მეოთხე მისვლაზე სიდროვმა შემო-მაპარა; ფულს ჩვენ არაყი გვირჩევნია და კარგი იქნება, ამ ფულის ანგარიშზე არაყს თუ გაახერხებო.

მაშინ ჯერ კიდევ იყო მაღაზიებში არაყი და ვშოულობდი. მერე, არაყი რომ გაქრა, შინნახად ჭაჭას ვთავაზობდი სიდროვს. ერთი სიტყვით ჩვენი გაცვლა-გამოცვლის საშუალებად, ფული არაყმა შესცვალა.

მერე ეს ამბები რომ დაიწყო, ხალხი რომ აირია, ყველამ მიწის წართმევა და დაჩაგვრა რომ მოგვინდომა, აფხაზი, ოსი და ლეკი-თათარი მუშტს რომ გვიღერებდა, მე ვთქვი, ასე არ გამოვა, მტერი შეიარაღებულია და ერთი კაჟიანი ფიშტოც არ მედოს სახლში, არ ივარგებს მეთქი.

გავიწყვიტე შუბლის ძარღვი და მივადექი ჩემს სიდოროვს.

პირველად რომ ვაჯახე, ავტომატი მინდა მეთქი, შეეყოყმანდა, მაგრამ ისე არა, რომ ქვა აეგდო და თავი შეეშვირა.

მომიცადე აქაო.

გაუჩინარდა და თხუთმეტ წუთში, ვხედავ კიტელმოხურული, მეზღვაურისმაისურიანი ლეიტენანტი მოდის ჩემსკენ.

მომიახლოვდა, ამხედ-დამხედადა, რა გინდაო მკითხა.

არაფერი, ნაცნობს ველოდები-მეთქი.

დაიხარა და მუჭში ჩაახველა.

ავტომატს შენ ეძებო?

რის ავტომატი, რა ჭირად მინდა ავტომატი, კაცს ველოდები რძის ბალონს დამპირდა მეთქი.

გამიგონე, სიდოროვმა გამომგზავნაო.

ორასი მანეთი უნდა ამ საქმესო.

მე მაშინ ფასი არ ვიცოდი და ორასი მანეთი მეძვირა. ვიუარე.

რა ამბავია ორასი, რა ცეცხლი უკიდია, სხვაგან ასად გვაძალებენ მეთქი.

ასად ალბათ, გაფუჭებულს გაჩეჩებენო. სხვისი ავტომატი და ჩემი ერთიაო? მე რომ მოგყიდი, იმას წყალი არ გაუვაო. სიდოროვის ძმაკაცი რომ ხარ, გენდობი, თორემ ამისთვის რომ გამიგონ, ციმბირს აქეთ დამატოვებინებენო. ამხელა რისკზე მივდივარ შენი სიყვარულით, რა ვქნა, მეც ხარჯები მაქვს. ეს ორასი მანეთი მთლად მე კი არ მრჩება, ას მანეთს პოდპოლკოვნიკს ვაძლევო.

ამ ლაპარაკში კინაღამ გადავიფიქრე. რა ჯანდაბად მინდა ავტომატი. რომ მინახოს ვინმემ, ტყავს გამაძრობენ მეთქი, მაგრამ ისე გულით უნდოდა ლეიტენანტს თავისი საქონლის გაყიდვა, რომ შემრცხვა და პირი ვერ ვუშალე.

მეორე დღეს, როგორც მოვილაპარაკეთ, გამოიტანა ლეიტენანტმა კალაშნიკოვის ავტომატი, ცოტა ხანს იჯდა გამონგრეული კედლის სიახლოვეს, მერე, ვითომ დარჩა იარაღი ფუღუროში, კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა და სტვენით შებრუნდა.

მეც სტვენით მივეახლე ღობეს, ავტომატი ჩავიქამარ-შარვალ-პიჯაკე და ორასი მანეთი ქვას შევატოვე. ვითომ დამრჩა მეც ქვის ქვეშ ორასი მანეთი.

არ გაუვლია ერთ თვეს, მანქანის წინა ფარი დამჭირდა და, ვის შევაწუხებდი სიდოროვზე უკეთესს.

სადა ხარო, გეძებო, მითხრა ორ საათზე გამოდი, აბანოსთან გელოდებიო.

ფარსაგი რამ არ იყოს მეთქი და ცელოფანში გულდაგულ გახვეული ავტომატი ეზოში კორკიმელის ძირას დავმარხე, ბავშვები სკოლაში იყვნენ, თორემ რას გამოაპარებდი.

შევხვდი, რასაკვირველია, იმ დღეს, ორ საათზე, სიდოროვს; ჩემი ძმაკაცი ავტომატს ჰყიდის და ხომ არავის უნდაო.

ნეტავი ეს ერთიც არ მქონდეს, ორი რა ჯანდაბად მინდა მეთქი. მე წინა ფარზე გირეკავდი მეთქი. იყიდე და გედოს სახლში. რა იცი, როდის დაგჭირდებაო.

კატეგორიული უარი ვტკიცე.

იყიდე, იყიდე, მამაჩემსა აქვს ცხონება, მერე აღარ გვექნება. ეს ისეთი საქონელია, ფასი უფრო მოემატება. არ შეიძლება შენი ამხანაგებიდან ვინმეს არ ჭირდებოდესო.

გავიგებ და ორ დღეში დაგირეკავ მეთქი.

ჩვენთან, სამსახურში, ვისაც ვკითხე, ხელები გაასავსავა, ავტომატში გადავყრი ფულს, მეტი საქმე არა მაქვსო. ჩემს სიძეს შევაძენინე, რომ არ დაგიმალო, სულ ბუზღუნ-ბუზღუნით დამთანხმდა. კალაშნიკოვის ავტომატია სხვისი არ გეგონოს, ოქროს რამეა მეთქი, ორი საათი ვუქებდი, კალაშნიკოვი ვნახე ამოდაგული, მე შენი ხათრისთვის ვყიდულობ, ბავშვებმა არ მიაგნონ და ერთმანეთი არ დაამარცხონო.

ამ მეორე ავტომატის პატრონი, ტყუილს ვერ ვიტყვი, არ მინახავს, თვითონ სიდოროვმა გამოიტანა, კაპიტნისა�ა. სამასი დამიფასა, მაგრამ ძველი ძმაკაცობით, ორასად მომცა.

დამშვიდობებისას, ჩემი ტელეფონი და მისამართი ჩაიწერა. ხანდახან მომენატრები ხოლმე და მრცხევნია შენი ასავალ-დასავალი რომ არ ვიციო. არყის საქმე გვაქვს ცუდად. ამასწინათ ბატალიონის კომისარი შემოვიდა, რომ ვერაფერი დავალევინე, დახვრეტით დამემუქრაო. შენი ნებართვით შეგეხმიანები ხოლმე არყის საკითხზე, მეც თუ რამეში დაგჭირდე, არ მომერიდო, ძმად მიგულე, რაც საწყობში მაბადია, შენთვის არ დამენანება, სხვაში რაში გამოგადგები, ძვალი არ იჭმევა ჩემი და ხორციო.

თურმე მაშინ დავუშვი გამოუსწორებელი შეცდომა, მისამართ-ტელეფონი რომ მივეცი სიდოროვს. კვირაში ხომ შვიდი დღეა, ცხრაჯერ მაინც მირეკავდა.

ჯერ იყო და სამ ბოთლ არაყში მარგოლინის ნაგანი „მაჩუქა“, „მარგოლინი“ სპორტული იარაღია, მაგრამ შვიდი ტყვია მიდის და ხორცზე რომ არაფერი ვთქვა, სამსანტიმეტრიან ფიცარს ხვრეტს ოცდახუთ მეტრში. სპორტული უძახე შენ.

ერთხელ შინ მომაკითხა, მოსკოვიდან მივლინებით ოფიცრები ჩამომივიდნენ, ერთი ბოცა ღვინო და ორი ბოთლი არაყი ჰაერივით მჭირდებაო.

უარს ვეტყოდი მე ქართველი კაცი, ღვინოზე კარზე მომდგარ რუსს?

სანამ ღვინო-არაყს გამოვუტანდი, გაზეთში კოხტად შეხვეული რაღაც რომ ეჭირა, აივანზე სავარძელში ჩადო.

ეს რა არის მეთქი.

კაი ერთი თუ კაცი ხარ, მცირე საჩუქარია, ოჯახში პირველად ვარ, ხელცარიელი ხომ არ შემოვიდოდიო.

ჭიშკრამდე რომ გავაცილე, შემოვბრუნდი, და საჩუქარს ქაღალდი შემოვაცალე. ოთხი მშვენიერი ხელყუმბარა „ეძღვნა“ ზემდეგს.

მოგაწყინე თავი ხომ? დანარჩენი ხუთასორმოცდაცხრამეტი ხელყუმბარაც დაახლოებით ამ გზით აღმოჩნდა ჩემს ოჯახში.

თავგაბეზრებული მეოთხე დარეკვაზე ვიღებდი ყურმილს, თუ არ ავიღებდი, შინ მომაკითხავდა. როგორც ჩანს, შენი ტელეფონი არ მუშაობს, მთელი დღეა გირეკავო.

აქეთ მოსვლით რომ აღარ შემეწუხებინა, იქეთ ვეახლებოდი ხოლმე; ორი ხელყუმბარა „დარჩებოდა“ სიდოროვს ქვიტკირის ღობის ღრიჭოში, მივიდოდი, ვიტუცავდი ჯიბეში კომშისხელა ხელყუმბარებს და თეთრ ქვას მივუდგამდი გაზეთში შეხვეულ ორ ბოთლ არაყს.

რად გინდოდა ამდენი ხელყუმბარაო, მკითხავ, არ უნდა ლაპარაკი. რად მინდოდა და არაფრად. ძველი, გაბზარული ქვევრი მქონდა ბაბუაჩემის ჩანაგდები, გაუქმებული ქვევრი სარდაფში და ვაწყობდი შიგ.

გითხრა სიმართლე, არ მინდოდა არყის მთლად ტყვილად მიცემისთვის მიმეჩვია სიდოროვი. თვითონაც თავმოყვარე ბიჭი იყო, უფასოდ მიცემულ არაყს ითაკილებდა. ესეც არ იყოს, ვფიქრობდი, გამოელევა ხელყუმბარები და დამანებებს თავს მეთქი.

ბოლო თვრამეტ დარეკვაზე, იმანუელს გეფიცები, უარს ვეუბნებოდი. აღარ მაქვს არაყი, გამითავდა მეთქი. როგორ არ მქონდა, მაგრამ მინდოდა როგორმე ჩამომეცილებინა, ჩემთვის და არყისთვისაც, ორივესთვის ერთნაირად ერთგული მეგობარი.

ნოემბრის მიწურულს სურდო შემეყარა და ვწევარ. მესამე დღეა, სამსახურში არ გავსულვარ. ბარემ გამოვშუშდები, არ შემიბრუნოს მეთქი.

დარეკა სიდოროვმა, არაყის საშუალება ხვაფერი გაქვსო.

რისი არაყი, რა არაყი, დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, გაცივებული ვარ, ვწევარ-მეთქი.

საერთოდ, კარგადაც რომ ვიყო, ვერაფერში დაგეხმარები. არაყს აღარ ვხდი. ალერგიული გავხდი და ექიმებმა ამიკრძალეს არყის გამოხდა მეთქი.

არ გაუვლია ნახევარ საათს და სიდოროვმა, ერთმა თავხოტორა ჯარისკაცმა და ჩემმა ნაცნობმა ლეიტენანტმა (ავტომატი რომ მომყიდა) მინახულეს.

იქეთურ-აქეთური, მოვიკითხეთ ერთმანეთი, სასთუმალთან ჩამომიჯდნენ. ჩანდა, გულგრილი არ იყვნენ ჩემი ჯანმრთელობის მიმართ. მეო, თავხოტორამ სურდო რომ შემეყრებაო, მაყვლის მურაბიან არაყს ვსვამო, უებარი წამალიაო.

მეო, ლეიტენანტმა, სამ კოვზ იელის თაფლს ვურევ არაყში და კიტრივით ვარ მეორე დღესო.

არყით დაიზილე ტანი და არყის საფენები დაიდეო, სიდოროვმაც არაყს რომ გაუსვა ხაზი, ხელები ავწიე დამარცხების ნიშნად.

თავზე ჩაჩი დავიხურე, ხალათი მოვისხი, ცოლს სუფრა გავაწყობინე და ჩავუჯექით.

მეცხრე სადღეგრძელოზე ლეიტენანტმა სტეპის გრძელი, ომახიანი სიმღერა წამოიწყო, სანამ არ ჩაათავა, ჭერისთვის თვალი არ მოუცილებია. მერე კისერი მომიგრიხა, ტუჩებში მაკოცა, მომიცილა ღონიერი ხელებით (ყურებისთვის ხელი არ გაუშვია), ისევ მიმიზიდა, სულისშეგუბებამდე მკოცნა და ცრემლმორეულმა მკითხა:

„ბტრ“-ს ჰყიდის ერთი პოლკოვნიკი კარგ ადამიანზე იაფად, შენისთანა საყვარელი კაცისთვის ნახევარ ფასად დავათმობინებ, რას იტყვიო.

ტანკი მაკლია ახლა მეთქი, გამეცინა.

დამიჯერე, არ წააგებ, შეამხანაგდით რამდენიმე მეზობელი და იყიდეთ ბტრ-ი. მალე ისეთი დრო მოვა, უბეტეეროდ მაღაზიაში პურს ვერ იყიდი. თქვენ ისეთ განედზე ცხოვრობთ, ქართველები, რომ ყოველ მესამე მოსახლეს ჯავშნოსანი უნდა ჰყავდეს, თქვენი უბეტეერობა არაფრით არ შეიძლებაო.

ამ სტუმრობიდან ერთი კვირის თავზე, გამთენიისას დამადგა სიდოროვი; დავიღუპე, რევიზია დამეცა. ტრიბუნალი არ ამცდება. შეიძლება დამხვრიტონ კიდეცო, ჩაიკეცა ბუხართან და აზლუქუნდა: ცოლის თხოვა მაინც მომესწრო, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო.

გული დამეწვა მაგ ბიჭის საცოდაობით, წაიღე და დააწყვე, შეაპარე როგორმე საწყობში, აქ მაქვს ყველაფერი მეთქი.

დალუქულია საწყობი უკვე, ნემსს ვეღარ შევიტანან აწი. განწირული ვარ, აღარაა ჩემი საშველიო.

კარში რომ გადიოდა, ისე დაფიქრებით შემომაცქერდა, უკვე ვიცოდი, რასაც აპირებდა.

წავიდა და იმ საღამოსვე დამიჭირეს.

მერე ის იყო, მესამე დღეს გენერალმა ტელევიზორში გამომაცხადა; სამხედრო საწყობიდან საშურა მიქაუტაძემ სამი კალაშნიკოვის ავტომატი, ერთი მარგოლინის ნაგანი და ხუთასსამოცი ხელყუმბარა გაიტაცაო.

თქვენ ქვეყანა გიცნობთ, ბატონო გელა. იქნება მისაშველოთ!“

* * *

ბატონო გელა

ნუ გიკვირს ნურაფერი. ქართველი რომ არ ჩაიდენს ის გაგიკვირდეს, თორემ, რასაც ჩაიდენს ნულარ გიკვირს. ნუ გაზომავ ჩვენს საქციელს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი საზომებით. აბა დააკვირდი, სამოცდაათი წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო ცდილობდა ყალიბში ჩვენს მოქცევას, მაგრამ ვერ შეძლო. თუ ვინმე ურღვევდა მყუდროებას საღათას ძილით გათანგულ იმპერიას, სწორედ რომ ქართველი იყო. რაღაცა გვჭირს ნამდვილად, სხვებს რომ არ ვგავართ – ფაქტია. შეიძლება არცა ვართ მაიმუნის ჩვეულებრივი ევოლუციის გზით გაჩენილები, შეიძლება, მართლა სხვა პლანეტიდან ჩამოსულები ვართ. აბა რა იყო, რამ დაბადა ცივილიზაციების ზამთრის ძილის პერიოდში „ვეფხისტყაოსანი?“ რამ გააჩინა აგერ ა გუშინ გალაკტიონი ლექსის გაღარიბების მეოცე საუკუნეში სწორედ რომ ქართველად? საიდან მოვიდა ეს მარადიული ეროვნული უძილობა და პიროვნული დაუკმაყოფილებლობა სწორედ რომ მეოცე საუკუნეში?

რიო-დე-ჟანეიროში ორი ქართული ოჯახი ცხოვრობს და ერთმანეთს ემდურიანო, შენ ჰყვებოდი წელან. იქნებ მანდაც რაღაც მაგიური იმალება? იქნებ ეს ურთიერთქიშპით კი არა, პირიქით, ურთიერთ დიდი სიყვარულით და მომთხოვნელობით მოსდით? იქნებ ყოველთვის იმაზე მეტს ითხოვს ჩვეულებრივ თვისტომისგან ქართველი, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენელს შეუძლია მოსთხოვოს თავის თანამოძმეს? ესეც აუხსნელია, ისე, როგორც ბევრი რამ ქართველი კაცის ხასიათში.

ქართველი ხომ უხსოვარი დროიდან გამოვიდა ჯოგური, ტომური ურთიერთობების მღვიმიდან. მისთვის ადამიანური ურთიერთობების ინტენსივობა სხვა ბარომეტრით იზომება და სხვა კანონებით დგინდება.

ერთ მაგალითს გეტყვი: მე პოლიტპატიმარი გახლდით. თერთმეტი წელი ვიჯექი ნორილსკის მახლობლად, მეთვრამეტე არქიპელაგში. ჩვენს ბანაკში სხვადასხვა ენა-რჯულის პატიმრები ისხ-

დნენ. მოკლედ, მაშინდელი ტერმინი რომ ვიხმარო, ინტერნაციონალური ბანაკი იყო.

დილით სპილენძის საბადოებში სამუშაოდ გავყავდით, საღამოთი დაღლილ-დაქანცულებს ბადრაგით გვაბრუნებდნენ. ვაკვირდებოდი სომხებს; ხომ ჩვენი მსგავსი, ჩვენი ძმა ხალხია. საღამოს, თუ ერთი პატიმარიც დააკლდებოდათ (ან ზედამხედველი დასჯიდა გაობახტით, ან ვინმეს შემოელახებოდა და სანპუნქტში გაამწესებდნენ), ვახშამს პირს არ დააკარებდნენ. მოიყვანეთ ან შეგვატყობინეთ სად არის, თორემ შიმშილობას გამოვაცხადებთო. ასე იქცეოდნენ სხვებიც, ერთი შეხედვით, ცოტა თვისტომისადმი გულგრილი ბალტიისპირელებიც კი. ქართველებს არ იკითხავთ? შვიდი პატიმარი ვიყავით არქიპელაგში და არცერთხელ არ მახსოვს ერთმანეთი მოგვესაკლისოს, ერთმანეთი გადაგვეთვალოს. ერთმანეთის გატანაპორწიალით თავს არავის ვაცოდებდით და არც იმის ილუზიას ვქმნიდით: ხომ ხედავთ, როგორი მონდომებულები ვართ ერთმანეთის გადარჩენისთვისო.

რა იყო ეს? ეროვნული სიამაყე? მტრისთვის თვალის ახვევა?

იქნებ ორივე ერთად?

თორემ სიყვარულით ერთმანეთი, ღმერთო, სიყვარულით ერთმანეთი როგორ არ გვიყვარდა.

ღამ-ღამობით თავ-ფეხთით დაწოლილები ერთმანეთის გალიგვებულ ფეხებს გულში ვიკრავდით და მახორკის ბოლო ნაფაზს ერთმანეთს ვაწვდიდით, ოღონდ ისე, სხვათაშორის, სხვას რომ არ შეემჩნია.

* * *

– ალო, გისმენთ ბატონო!

ყურმილში მოხუცის ხრინწიანი ხმა გაისმა.

– კირთაძის ბინაა? გელა თუა შინ.

– მე გახლავართ ბატონო.

– თქვენი ნახვა მინდოდა, თუ შეიძლება.

– მაპატიეთ, ვინ ბრძანდებით?

– მე თქვენ არ მიცნობთ, ყოფილი იურისტი – ქრისტეფორე შონია გახლავართ.

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბატონო ქრისტეფორე, მუხლი მტკივა და ვწევარ. ვერ გეახლებით. თუ შეიძლება, ტელეფონი მიბოძეთ და ორ-სამ დღეში მე თვითონ მოგაკითხავთ.

– თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, მე თვითონ მოვალ. გადაუდებელი საქმისა ხომ იცით.

– ძალიან ცხელა ბატონო, გაგიჭირდებათ.

– არაუშავს, მოვალ. თამარაშვილის თერთმეტია ხომ? რომელი სადარბაზოა?

– მეოთხე სადარბაზო, მესამე სართული.

– დიდი მადლობა. წამოვალ აბა, ნელანელა.

ერთ საათში მოვიდა, კაფანდარა, სანდომიანი სახის ბერიკაცი. ხელში საქაღალდე უჭირავს. სულს ძლივს ითქვამს. სახეზე ოფლი ღვარად გადასდის.

დაჯდა და სახე ვენტილატორს მიუშვირა. ოფლი რომ შეაშრა, ვენტილატორი გამომართვევინა, გამაცივებსო. მეუღლემ ცივი ბორჯომი და ხილი შემოიტანა.

ბორჯომი დალია. ხილზე უარი თქვა, არ გეახლებითო.

– ხომ გითხარით, შეწუხდებით მეთქი. ამ სიცხეში რამ წამოგიყვანათ, ბატონო ქრისტეფორე.

– მართლაც ძალიან ცხელა. ეს ოხერი, ტაქსიც აღარ შემხვდა და ფეხით მომიწია წამოსვლამ. აქედან შორს არ ვარ. კეკელიძეზე ვცხოვრობ, მაგრამ მაინც კარგა მანძილია. ჩემი შესაძლებლობა და ივლისი ვერ გავითვალისწინე. ასე თუ ცხელოდა, არ მეგონა. იქნება ახლა ასე, ორმოც გრადუსამდე.

– „მოამბემ“ ოცდათვრამეტი გამოაცხადა.

– რაღა აკლია.

საქაღალდე მიიჩოჩა, გაშალა და მუხლებზე დაიდო.

– ბატონო გელა, მე, როგორც გითხარით, ყოფილი იურისტი გახლავართ. ყოფილი იმ გაგებით, რომ კარგა ხანია აღარ ვმუშაობ, პენსიაზე ვარ. თქვენ რომ დაიბადეთ, იმ წელიწადს, 1940 წელს ხართ ხომ დაბადებული?

– დიახ, – გამიკვირდა, საიდან იცის მეთქი.

– 1940 წელს უკვე სამი წლის სტაჟი მქონდა მუშაობის, სამოცდათვრამეტის გახლავართ. მამათქვენი ხომ არის ცოცხალი?

– კი, ბატონო.

– რამდენის ბრძანდება?

– თითქმის მაგდენის.

– აგაშენა ღმერთმა, მამის ტოლი ვყოფილვარ. ყოფილი მეთქი რომ გითხარით, იურისტს ისე როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, ყოფილი არასოდეს ეთქმის, მაგრამ რომ აღარ ვმუშაობ, ყოფილს ვეძახი ჩემს თავს. ყოფილი ვარ, აბა რა. ორმოცდაათი წელი დავამრგვალე ამ პროფესიის სამსახურში. გამომძიებლობით დავიწყე, პროკურორის თანაშემწეც ვიყავი, პროკურორიც, მოსამართლეც, ბოლოს ადვოკატურაში ვმუშაობდი და ასე დავამთავრე ჩემი მოღვაწეობა. რატომ მოვედი ახლა თქვენთან, ბატონო გელა.

– გისმენთ ბატონო, ყურადღებით.

– მე ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ. ოცდაჩვიდმეტში დავამთავრე უნივერსიტეტი. სწორედ იმ წელიწადს ვიყავი პრაქტიკაზე რესპუბლიკის პროკურატურაში. შარვალგამოხეული, უღარიბესი, მეგრელი ბიჭი, რა ვიქნებოდი, სტუდქალაქსშეფარებული, თბილისში ერთი შორეული ნათესავიც არ მყავდა. პრაქტიკის ბოლო დღეები იყო, პროკურორმა მიხმო. შონია გინდა ჩვენთან მუშაობაო? პირდაპირ მკითხა. ასეთ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს მეთქი. წადი აბა, თავისუფალი ხარ, მოვიფიქრებ რამესო. რესპუბლიკის პროკურორთან საქმე არ მქონია, მე, უბრალო პრაქტიკანტს, მასთან ვინ შემიშვებდა, არც მიცნობდა, რასაკვირველია, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ უთხრა, კარგი ბიჭიაო და დაინტერესდა. ახლა შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი და ბოლოს დავუბრუნდეთ, თუ დრო დაგვრჩა. ახლა სჯობია, მე მგონი, პირდაპირ იმ საქმეზე გადავიდეთ, რისთვისაც მოვედი.

მე, თქვენ, ბატონო გელა, დიდი ხანია თვალს გადევნებთ. ყველაფერს ვკითხულობ თქვენს დაწერილს. თქვენი პაექრობებიც და შეხლა-შემოხლებიც ვიცი. თქვენზე შინ ერთი დიდი საქაღალდე მაქვს. გელა კირთაძე აწერია. თუ არ გჯერათ, მობრძანდით ერთ დღეს ჩემთან და გიჩვენებთ. თქვენ რომ ლიტერატურაში ფეხი შემოდგით, მაშინვე ვთქვი, ამას დიდხანს არ დააცლიან და ყველაფერს, რასაც დაბეჭდავს, შევაგროვებ, ვინ იცის, ვის დაჭირდება მეთქი.

ოცდაათი წელია თვალყურს გადევნებთ და უკვე თქვენი აზრების ამოცნობის უნარი გამომიმუშავდა. უნამუსობა ზენიტს რომ მიაღწევს, უკვე ველოდები თქვენს გამოსვლას. გელა ამას არ მოითმენს მეთქი ვიტყვი და ერთ კვირაში მართლაც გამოჩნდება სადმე თქვენი ნაწერი. მერე უკვე ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება. ორგანიზებულად თავს დაგესხმიან, გაგლანძღავენ, გაგთათხავენ (ვითომ მაგათი ჭკუით). მერე დრო გავა, ნიჭი თავისას იზამს და ისევ წამოტივტივდებით, ვერ გელევიან, ბოლომდე არ გწირავენ. თქვენი სიყვარულის გამო კი არ აკეთებენ ამას, ხალხის რისხვისა ეშინიათ. საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლაც, შვილიშვილებს გეფიცებით, დღედღეზე ველოდი თქვენს სიტყვას. თქვენც არ დააგვიანეთ. სხვა არავინ იყო ამის მთქმელი. ნუ მოჰყვებიან ტრაბახს გადახტომამდე. ყველა შემუდრულია თავის გალიაში მშვენიერ-კარგად. თქვენგან ამ საქციელს ახლა გაბედულებაც აღარ ჰქვია. მე ვიცი ძალიან კარგად. თქვენ სხვანაირად არ შეგიძლიათ. ეს თქვენი ხასიათია, თქვენი ცხოვრების სტილია. გამოექომაგეთ უსამართლოდ დასჯილ მასწავლებლებს, აბა რა უნდა გექნათ. იცოდეთ, ბატონო გელა, როგორც კი ეს

უსახური დადგენილება გამოაცხადეს ტელევიზორში, გულის სიღრმეში ყველამ თქვენსკენ მოიხედა; კირთაძე რას იტყვისო. თქვენც რომ გაჩუმებულიყავით, ერის ღალატი იქნებოდა.

როგორ თქვა თქვენზე? კოჭი გაუგორაო. „კოჭის გაგორება“ მაშინ იქნებოდა, აღზევებულს, თანამდებობიანს რომ მოფერებოდით. თქვენ გაგდებულ, დასჯილ ხალხს გამოექომაგეთ, ეს რა კოჭის გაგორებაა, თუ ღმერთი გწამთ.

არ ვიცი, პასუხს აპირებთ თუ არა.

– ვფიქრობ! შეიძლება თავი არ გავუყადრო და ორიოდე სტრიქონით, ირონიულად ვუპასუხო.

– ერთი სიტყვით, თქვენი საქმე იცით, მაგრამ მე, მოხუცებულმა იურისტმა, ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე, მოვსულიყავი და ორიოდე რჩევა მომეცა.

– გისმენთ, ბატონო, წინასწარ დიდი მადლობა.

– ამ კოდექსებს დაგიტოვებთ, გვერდები ჩანიშნულია და ჩახედეთ. ჯერჯერობით ეს კოდექსები ძალაშია. ესე იგი მოქმედი კოდექსებია. თქვენ, ვიცი, სიტყვის კაცი ხართ, მაგრამ მაგნაირებს მარტო სიტყვით კი არა, კანონის ძალით უნდა ელაპარაკო. კანონი კი რომ ჩახედავთ, დარწმუნდებით, ასე ამბობს: პროფესიული ხაზით მუშაობის სამუდამო აკრძალვას ჩვენი მართლმსაჯულება არ ითვალისწინებს. ასე რომ, სამუდამოდ აეკრძალოთ პედაგოგიურ დაწესებულებაში მუშაობაო, რომ გამოუცხადეს იმ უბედურებს, ეს ბავშვური შეცდომა იყო. სასამართლოს შეუძლია განსაკუთრებულ გარემოებაში პროფესიით მუშაობის აკრძალვა მხოლოდ ორიდან შვიდ წლამდე. ჩვენს შემთხვევაში კი, გამოძიება-სასამართლო არ ჩატარებულა და განაჩენი ადმინისტრაციული ხაზით იქნა გამოტანილი. ამ უკანასკნელს იურისტების ენით თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. ხედავთ რაშია საქმე? ასე რომ, თუ პასუხს გასცემთ ცარიელი სიტყვებით მაგათთან ბრძოლა ამაოა. შეგონება მაგათთან არ გაჭრის. უკანონობას კანონი უნდა დავუპირისპიროთ. ახლა ისევ იმას მივუბრუნდები, რითაც დავიწყე. ოცდაჩვიდმეტგამოვლილი კაცი ვარ მე.

შენ, როგორც მწერალს, ბევრი საბუთი გაქვს ოცდაჩვიდმეტზე და დაგიწერია კიდეც არაერთხელ ამ საკითხზე. მე, ოცდაჩვიდმეტელი იურისტი, სუფთა ხელებით რომ არ ვიქნები გამოსული იმ წლებიდან, ამასაც მიხვდები. რასაკვირველია, პატარ-პატარა უსინდისობები (დიდი არა) მეც ჩამადენინეს, მაგრამ ერთ მთავარ კითხვაზე პასუხი არც თქვენ გაქვთ და არც სხვას, რამდენადაც ვიცი, გაცემული: კერძოდ, რატომ გახდა შესაძლებელი ეს მასობრივი რეპრესიები. რატომ გაკეთდა ოცდაჩვიდმეტი?

დამიგდეთ კარგად ყური. პირველი საქმე, რომელიც მე დამაწერეს, ინჟინერ ჭილაძის საქმე იყო. ორი სიტყვით გეტყვით: სამი კაცი, – ბრიგადირი, მუშა და ინჟინერი ახლანდელი „დომსვიაზის“ სხვენს არემონტებენ. შეხედეთო, ინჟინერს უთქვამს იმ ორისათვის, სასტუმრო რა მშვენივრადაა აშენებულიო, როდის ვისწავლით ჩვენ ასე შენებასო. ორი ახალი შენობა დაიდგა რუსთაველზე, „დომსვიაზი“ და „ზარია ვოსტოკა“, არცერთი არ ზის არქიტექტურულად თავის ადგილზე, არც ერთი არ უქნია ღმერთსო. ესაა სულ ჭილაძის დანაშაული. იმ სამიდან ერთ-ერთმა დაასმინა, დაიჭირეს კაცი და ათწლიანი მუხლი მიუყენეს.

გავეცანი საქმეს, შევედი განყოფილების უფროსთან და ვეუბნები: მე აქ დანაშაულს ვერ ვხედავ მეთქი. რა მოხდა, კაცმა თავისი აზრი გამოთქვა მეთქი. განყოფილების გამგემ მიიხედ-მოიხედა, კარი ჩარაზა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო და გამომიწოდა, წაიკითხეო. ამ კვარტალში დამატებით გეძლევათ სამი ათასი ხალხის მტრის დაპატიმრების ლიმიტიო, საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე წერდა ჩვენს მინისტრს. ხედავთ? ლიმიტით იყო ადამიანების დაჭერა. ჩვენი განყოფილების გამგემ, საიდან მოვიყვანოთ ამდენი ხალხის მტერიო. თუ გეგმას ვერ შევასრულებთ, ერთ კვირას არ გაგვაჩერებენ აქაო. კიდევ კარგი, ჩვენს ლაპარაკს არავინ ისმენდა, აქ რომ ახლა მესამე კაცი ყოფილიყო, ამ წუთში უნდა გამეცა შენი დაპატიმრების ორდერიო. წადი, ახლა და ასეთი სისულელე მეორეჯერ არ წამოგცდესო. უნივერსიტეტში ნასწავლი სიბრიყვენი გამოიბერტყე თავიდან. ცხოვრება სხვაა და წიგნი სხვაო.

გამოვედი. ადგილს ვერ ვპოულობ. რისთვის ვუსჯით კაცს ათ წელიწადს. მე, ახალგაზრდა პროკურორმა, ნუთუ ჩემი პირველივე გამოსვლა სიცრუით უნდა დავიწყო? ვიწრიალე, ვიწრიალე და შევედი რესპუბლიკის პროკურორთან. ასეთ და ასეთ საქმეზე ვარ, ათ წელს უსჯიან ამ დანაშაულისათვის და ბევრად მეჩვენება მეთქი, თქვენ რას მირჩევთ, რამდენი მოვითხოვო მეთქი. ჭკუა ნასწავლი მაქვს, უდანაშაულობაზე ხმა არ ამომიღია.

ეგ ჭილაძე, როგორც ჩანს მოლაყბეაო. სხვენზე რემონტის გასაკეთებლად აუშვიათ, რა შედარებები აუტყდა. ვერ დაეტია თავის კანშიო? ათი წელი ბევრია, მაგრამ ხუთი კი ნამდვილად ეკუთვნისო. ხუთი მოითხოვე და ეგ იქნებაო.

მეც ასე მოვიქეცი. ერთი კვირის შემდეგ განყოფილების გამგემ ჩემზე შედგენილი საქმე დამიდო წინ. კოლეგია იხილავს პროკურატურიდან ჩემი გაგდების საკითხს. დანაშაული? უვიცობა, ლიბერალიზმი, ხალხის მტრების მიმართ გულჩვილობის გამოჩენა. ჩავხედე საქმეს. ჩემი კოლეგები იძლევიან ჩვენებებს. ასე და ასეო.

თავიდანვე ვატყობდით, ჩვენს საქმეში რომ არ გამოდგებოდაო. ზოგი შორს მიიწევდა და ჩემს დაპატიმრებას მოითხოვდა.

ვდგევარ კოლეგიაზე ოცდასამი წლის ბიჭი თავჩაღუნული. ჭიკ-ჭიკებენ ჩემს დანაშაულზე ახალგაზრდა და ძველგაზრდა პროკურორები. „შემარცხვენელი“, „საეჭვო ორიენტაციის მქონე“, რა არ მიწოდეს. ბოლოს რესპუბლიკის პროკურორმა მიხსნა; ჩემი პასუხიმგებლობით მივიღე შონია აქ სამუშაოდ. ეგ ხუთი წელიც ჩემთან კონსულტაციის შემდეგ მოითხოვა. ასე რომ, ქვეყანა არ დაუქცევია. ჭილაძეს იმ დანაშაულისათვის ხუთ წელზე მეტი არ ეკუთვნოდა, ნუ შევჭამთ ახალგაზრდა კაცს, არ დაუქცევია ქვეყანა, კვლავ ჩემი პასუხისმგებლობით ვტოვებ მას ჩვენთან სამუშაოდ და იმედია, ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანსო.

დამტოვეს. ალბათ, აღარაა საჭირო იმის თქმა, რომ „ჭკუანასწავლმა“ ვიცხოვრე და ვიმუშავე დარჩენილი წლები. რატომ მოგიყევით ახლა ეს, თუ იცით, ბატონო გელა? არავინ ადგა პროკურატურის ასცხრამეტი თანამშრომლიდან რომ ეკითხა: რა დააშავა ასეთი შონიამო. ერთხმად გამწირეს და მოსაკვეთად გამამზადეს.

თქვენ ის კაცი ხართ, „ჭკუა რომ ვერ გასწავლეს“, ვერც კომუნისტებმა და ვერც ამათ. კომუნისტებს თქვენ ჭირივით სძულდით, მაგრამ დაგინდეს, არ გაგწირეს. ახლა სხვა დროა. ჰაერში, ახლა არც თუ სასიამოვნო სუნი ტრიალებს. თქვენ ის კაცი არა ხართ, რომელსაც ახსნა დასჭირდება.

მე მეგონა, ეს ბოლო სამი წელი „საზოგადოების ნაღებს“ – ინტელიგენციას შეცვლიდა. თქვენც არ მომიკვდეთ. ვატყობ, დღესაც ისეთივე ინტელიგენციაა, როგორც ოცდაჩვიდმეტში იყო, დადედლებული, შეშინებული, დაცვედნებული.

როგორ ვიფიქრებდი, რომ ხმას არავინ ამოიღებდა.

როგორ წარმოვიდგენდი, გვერდით არც ამჯერად დაგიდგებოდათ არავინ და მარტო დაგტოვებდნენ.

ეს მოხდა ოცდაჩვიდმეტში, სხვა არაფერი. სხვამ სხვისთვის თავი არ გამოიდო და გათითოკაცებულ საზოგადოებას ადვილად მოუარეს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მაგრამ ძალიან მაშფოთებს თქვენი ბედი.

ახლა მე წავალ და ერთ რამეს გთხოვთ: ჩემი გვარი არსად გაამხილოთ. ცალი ფეხი სამარეში მიდგას და არ მინდა დარჩენილ ორ პარასკევს მათრიონ და მაჯანჯღარონ, ან საფლავი შემიგინონ.

თქვენ სხვა კაცი ხართ, მე მაგდენი აღარ შემიძლია...

თქვენი საქმე თქვენ იცით.

კარგად ბრძანდებოდეთ.

* * *

მიხარია, ბაბა, შენი ახლანდელი გაწიწმატება. ასე უნდა, აბა, რა. რომ არ გეთქვა ჩემთვის: რას დაგვჩხავი ყვავივით, ნახავ, აგერ, თუ არ შევცვლით ქვეყანას, თუ არ დაიყაროს სამ-ოთხ წელიწადში სარჩო-საბადებელიო, მეწყინებოდა. შენი ქიჩმაჩი და დაჯერებული გასვლა-გამოსვლა გულს მიხარებს. თუ არ გჯერა იმისი, რასაც აკეთებ, წყლის ნაყვაა ყველაფერი. როგორ მითხარი? თქვენ, ძველებს, კვირაში ორი პარასკევი გაქვთო? თქვენი გაფუჭებულიც და ჩვენიც, ახლა ორივე ერთად ჩვენი გასასწორებელი შეიქნაო? იქნება მართალიც ხარ, მაგრამ სანამ ქვეყანას გაასწორებდეთ, სანამ გამრუდებულ საქმეს წაღმა წაიყვანდეთ, მანამდე თავდაჭერა და მოკრძალება გმართებთ. არაა ასე ადვილი წლების ნამუდრეგალის გამოკეთება. შენ თვითონ ამბობ: გონჯ პატარძალს ფერუმარილი ვეღარას უშველისო. ვნახოთ, რა ქალაქს ააშენებთ – „აგერ შენ და აგერ კრეტაო“, ბერძნები იტყვიან, ძირძველი, ჭკვიანი ხალხია ბერძნები. იქნებ, მე ვეღარ ვიცხოვრო თქვენს ანაყვავებ ქვეყანაში, მაგრამ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ამ თქვენს საწაღმართო ჩანაფიქრში. ისე, ძალიან კი მინდა ვნახო, რამდენ ხანს შეგრჩებათ ქვეყნის განახლების ხალისი.

არაა, ბაბა, ასე ადვილი-მეთქი, რომ გეუბნები, არ გჯერა, ვხედავ. ნამდვილად ასე სჯობია. შენ რომ ჩემთან ჭკუის საკითხავად მოსულიყავი, იქნებ ისეთი რამ მერჩია, ერთხელ და საბოლოდ გაგტეხოდა გული ამ ჩვენს გზაზე და სხვა საჭიდაო-საასპარეზოს დადგომოდი. მიდით, სცადეთ თქვენც, იქნებ თქვენმა აჯობოს, იქნებ არც ისე ბნელადაა საქმე, როგორც მე მგონია ახლა, ამ წუთში, თქვენი მდგომარეობა ჩვენსაზე იოლია-მეთქი, რომ გითხრა, არ გეწყინოს. ოთხმოცს გადაშორებულ კაცს რაღაცეები დამეჯერება და თუ ცოტას მაინც მენდობი, მადლობელი ვიქნები. ჩვენ ვინ გვეტყოდა, მთლად კარგად არ გვაქვს ჯერ გარკვეული, რა გვინდა ისტორიისგანო, მაგრამ ურმის და გზის არ იყოს, ახლა გამოჩნდა, რომ არც თავიდანვე აგვიღია მთლად სწორი გეზი. ჩვენ, უბრალო ხალხს გვეუბნებოდნენ: რავარც იქნა, მივაგენით ჭკუის მადანს, ეშველება აწი მუშას, ახალ ქვეყანას ვაშენებთ და მოგვყევითო. არ მიყვები ამნაირ ჭკვიანურ დაძახილს? ხელი დავიკაპიწეთ და მივყევით. მე მუშაკაცი ვარ, ბაბა. კი, ობჩის ოთხწლედი დავამთავრე და ორწლიან გადასამზადებელზეც ვიმეცადინე, მარა მიწის საქმე ვარჩიე ყველაფერს ჩემი დღე და მოსწრება. თოხს მიწას ვერ ააცილებ და ე მყნობაწინდვა და მარგვლა-მოროდი ჩვენ, ქართველებს, ათა-ბაბადან დაგვყვა. დიდი სკოლა-ფილოსოფია ამ საქმეს არ ჭირდება. ჩემ დღეზე გიყვები,

სხვის ცხოვრებასთან რა ხელი მაქვს. სხვაი, ალბათ, სხვანაირად ცხოვრობდა. ახლა თქვენი ძალა იმაშია, რომ შეგიძლიათ გადახედოთ ჩვენს გზას და დედალ-მამალი ცალკე დაალაგოთ; რაში ვიყავით მართალი და რაში არა – გაზომ-აწონოთ და კაი გაიჭკუისოთ, ცუდი გადაყაროთ. ჩვენ ვისთვის შეგვეხედა, ჩვენს წინ ვინ იარა? როგორც გაზეთებში სწერია, ისტორიის ახალ ფურცელს ვწერდით. „კი, რასაკვირველია, ყველაფერი აწონ-დაწონილი გვაქვს, არ შეგეშინდეთ, მისხალში არ შევცდებითო“ გვეუბნებოდნენ ჩვენი ბელადები, მარა შეუმცდარი არი ვინმე?

ახლა ამას რატომ გელაპარაკები, თუ იცი, პატიება უნდა გთხოვო, ბაბაია, ამ დღეში რომ ჩაგაგდე და ისიც უნდა შეგეხვეწო, რომ საფლავიდან ნუ ამომიღებ. არ ვარ ამის ღირსი მე. ჩემ რწმენას ვემსახურებოდი ისე, როგორც ახლა შენ შენს რწმენას ემსახურები. რა ვიცოდი, რა ბაბილონის ციხეს ვაშენებდი.

ისე რომ არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა, ამას ახლა ქვეყანა ხედავს. რომ ვიძახოთ, ავშენდითო, თავის მოტყუება იქნება. კაი ხანს გარეთ მტერს ვუვსებდით თვალს და შიგნით მოყვარეს. ახლა ტყუილები აღარ გადის, ხელისგულივით ჩანს მთელი მსოფლიო ტელევიზორში.

დამიგდე ყური კარგად. რევოლუციის ბიჭების სახელით გელაპარაკები. შენზე ნაკლები არც მტკაველი გვქონდა და კაი მთქმელის კაი გამგონეებიც ვიყავით. თხუთმეტი შემისრულდა და ნიკოიაც დავამხვეთ. ჩვენს სოფელში რომ ხმა ამოვიდა, ხელმწიფე ჩამოაგდესო, ბევრმა არ დაიჯერა. მეფის ჩამოგდება თუ ხალხს შეეძლო, უბრალო კაცის ტვინი ვერ წვდებოდა, ხელმწიფე ღმერთის დანიშნული და ღმერთივით შეუხებელი გვეგონა. გუშინდელივით მახსოვს, მაცხოვრის ეკლესიის ეზოში შეგვყარა რევკომის წევრმა მორგოშიამ. ზარი დარეკეს, თორემ ისე ვინ გავიდოდა, დაღლილი იყო ხალხი რევოლუციებით. ასრულდა ჩვენი ოცნებაო, მორგოშიამ, გამომგზავნეს, რომ გაუწყოთ, საქართველო დღეიდან თავისუფალიაო. რავარც მოგეხასიათოთ, ისე იცხოვრეთ, აწი რაც გინდათ, ფქვით და რაც გინდათ, აცხვეთო. მას მერე კაი დრო გავიდა და რომ არ მოგატყუო, ისე გაბადრულ-გახარებული მეზობლები მერე აღარ მინახავს. ყველას რაღაცა ჩინ-ტიტული ჩამოურიგა მაშინ მორგოშიამ. მე, ვითომ, თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის სოფლის რაზმის კომისრად ამირჩია. წავიდა მორგოშია და ჩვენ ისევ ჩვენს ეზო-ბარდს მივუბრუნდით. კომისრობა, რევკომობა და აგიტატორობა საგარეო ხალათს მივაკიდეთ და მიწას დავუწყეთ ჩხუტური. ქვეყანა რომ ძველებურად არ იყო, იმაზე ვატყობდით, რომ ბეგარაზე არავინ გვეძახდა და გადასახა-

დის დაგვიანებაზე სახლში არავინ გვივარდებოდა. ათასში ერთხელ გაბონებული ფულის ტკაცუნით ტომარაგადაკიდებული რწმუნებული ჩამოივლიდა და მორცხვად ჩამოგვძახებდა: საქართველოს მთავრობას ჭადი შემოაკლდა და სიმინდს ხომ არ შეელევით გასაყიდადო. გარდა ამისა, სოფლის ცენტრში ხანდახან გამოჩნდებოდნენ მოკლეშარვლიანი და, ახლა მეხანძრეებს რომ ახურავთ, იმნაირქუდებიანი ინგლისელები. ჯერ ჩანთიდან შავყვითელ კენჭებს დააძრობდნენ და ცხვირთან მოგვიტანდნენ: ამნაირი ქვები ხომ არსად გინახავთ ამ შემოგარენშიო. მერე აუყვებოდნენ ტყეში აღმართს და კვირაობით იკარგებოდნენ. ცხოვრება თითქოს ჩაწყნარდა და ჩვენს ჭირნახულსაც ფასი დაედო, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ასე არ გაგრძელდებოდა. მთავრობას რომ საზღვრის გამაგრება დაავიწყდება, გააღებს ჭიშკრებს და განუკითხავად შემოუშვებს მტერ-მოყვარეს. ზურგზე ტომარას რომ გადაიკიდებს და სოფელ-სოფელ ივლის, მშია, შემეწიეთო, არაა მისი საქმე კარგად.

სამ-ოთხ წელიწადში აგვიხდა გლახა წინათგრძნობა. – საქართველოს მთავრობა გეიქცა, ბოლშევიკები შემოვიდნენო. სანამ თვითონ ბოლშევიკები მოაღწევდნენ ჩვენს სოფლამდე, ხმა უფრო ადრე დაგვეცა. მოვიდნენ და პირველ დღესვე ცხრამეტი კაცი დაგვიჭირეს. თქვენაო, მენშევიკების დამქაშები ხართო, ჟორდანიას სამსახურში იყავით და დროებით მთავრობას უჭერდით მხარსო. ხატზე დავიფიცავ, ჩვენ არც დროებით მთავრობას ვეფიცებოდით ერთგულებას და არც მუდმივს ჩავდგომივართ კრიჭაში. გლეხები ვიყავით და გითხარი, მისი არ იყოს, მიწას ვულაყუნებდით თოხს. იყავი ხალგაზრდების კომისარიო, მორგოშიამ და რატომ ვეტყოდი უარს. ღვთის წინაშე, ცოდოს ვერ დავიდებ, რა უნდა მეკეთებინა მე, როგორც კომისარს, არ მიკითხავს და არც თვითონ მორგოშიას უთქვამს. ადვილი შესაძლებელია, თვითონაც არ სცოდნოდა.

გამომიშვეს ორ წელიწადში და ის იყო, პატარა ფეხი წამოვიდგი, ცოლის შერთვას ვაპირებდი, ისევ შემაბრუნეს ციხეში და კინაღამ ჩამომახრჩვეს – ქაქუცასთან გქონდა კავშირიო, თერთმეტი კაცი გააქვრეს მაშინ ჩვენი პატარა სოფლიდან. რავარც მე არ მენახა ქაქუცა, ისე არ იცოდნენ საწყლებმა მისი ასავალ-დასავალი. შევეცოდე, ალბათ, ვიღაცას, და ორ კვირაში გამომიშვეს. რანაირად გადავრჩი, ახლაც მიკვირს. არაა მთლად კაი საქმე მაგ დროს გადარჩენა. სანამ არ გამაბატრაკეს და ხელახლა არ დამიჭირეს, კაი შვიდი წელი სოფელი ალმაცერად მიყურებდა.

ეს ის დროა, კოლექტივი რომ შემოვიღეთ და სიმღერ-სიმღერით რომ გადი-გამოდიოდნენ ბრიგადები სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. ახლა რა არი, შემართული და დარაზმული ხალხი მაშინ უნდა

გენახა. წუწუნს ვერ გაბედავდი, წელის ტკივილს ვერ დაიჩივლებდი, კოლექტივიზაციის მტრად და მეჩრდილიად გამოგაცხადებდნენ მაშინათვე. ვშრომობ ჩემთვის, ოფლს ვიწურავ, ვირის აბანოში ვარ და მაინცდამაინც საერთო ბრუნვა-ტრიალში არ ვმონაწილეობ, თურმე არაა გაჩუმების და შენთვის ყოფნის დრო. უნდა იხარხალო სხვასავით და იხმაურო შენც. რომ არ ვქენი ასე, იმიტომ იყო, ერთ მშვენიერ დღეს შავსიელად რომ გამომაცხადეს. ცოლ-შვილი ერთი თხის და სამზადი სახლის ამარა რომ დამიტოვეს, კულაკად რომ მომნათლეს და სამაზრო ციხეში მიკრეს თავი. მესამე დაჭერაზე შვიდ თვეზე მეტი არ გავუჩერებივართ; კულაკობა და ჯიუტობა არ გაბედო, თვარა ციმბირი აქეთ დაგრჩებაო. არც კულაკობა ვიცოდი რა იყო და ჩემი ჯიუტობა, ამ ხნის მოვიყარე, კაცს არ გაუგონია. ურჩობა კი არა, – მთავრობას უნდა, ცეცხლში გადავარდითო, რომ დაეძახნათ, პირველი გავქანდებოდი. დრო იყო იმნაირი, ჩემო ბაბა. ეკლესიები რომ დავანგრიეთ და საღვთო წიგნები დავწვით, ჭკუათმყოფელი იზამდა? ახლაც გაიგონებ მაშინდელ ხუმრობას: თემსაბჭოს თავმჯდომარე სოფლის თვალწინ ხატს პუგაჩს რომ ესროდა. მიქნას, აბა, თქვენმა ღმერთმა რამე, თუ არსებობს ნამდვილადო. მეტი რა გიქნას, ბაბაია, გოდოუყვანიხარ ჭკუიდანო, მნათემ დაუძახა თურმე. მართლაც და, უარესს რას დაგმართებს ღმერთი კაცს. რანაირად უნდა დაგესხას თავრეტი, ხატს თოფი რომ ესროლო.

ამ გრიალ-ჟრიამულში, ნგრევა-შენებაში და „აბა ჰეს“ ძახილში ოცდაჩვიდმეტიც მოვიდა. ისედაც ჭანჭიკად მიაჩნდათ ადამიანი და იმ წლებში მთლად გაუფასურდა. შიშის ზაფრა იცი შენ რა არის? მტრისას და ავისას, აფთარი რომ შეგეჩეხოს ტყეში, შეშინებით როგორ არ შეგეშინდება, მაგრამ ის შიში ერთწუთსაა, მეტს ხომ არა. ან შენ გაიქცევი, ან აფთარი, თუ თოფი გაქვს, ან შენ ესვრი, ან ის შეგჭამს, ხომ? ახლა წარმოიდგინე, უსაშველოდ გაგრძელდეს ის ერთი წუთი, აფთარი კარებზე გედგას, ვერც კარს უკეტავდე და ვერც გარეთ გამოდიოდე. ამნაირ შიშის ზაფრაში ჩავარდა ხალხი. ჯერ ჩვენი სოფელი რაა, რაღაცა სამოცი კინკილა მოსახლე ვართ და აქ რა იყო, სხვაგან რა იქნებოდა. ადგებოდი დილით, მეზობლის გადაძახების გეშინოდა. უნდა ვთქვა, ქალები ჩვენზე ყოჩაღად იყვნენ. ჩემი ცოლი, საწყალი, ძროხებს რომ მოწველიდა და გადენიდა, აივანზე ველოდებოდი, არ იქნებოდა, ახალი ამბავი არ ეთქვა. ქალები, ხომ იცი, უფრო ახერხებენ გადაძ-გადმოძახებას. „წუხელის გაბუნია წოუყვანიათ“, „სიხარულიძესთან ყოფილან, გამთენიისას, გაუჩხრეკიათ“ და ამნაირი სხვაც, ეს იყო ახალი ამბავი. დაღამების გვეშინოდა: დღე თითქოს არავინ გაწუხებდა, ღამე გვაკითხავდნენ „ხალხის მტრებს“. შუაღამისას მეზობელს რომ დაეკაკუნებინა,

შენ შენი დაგემართებოდა. მიეცა მაზანდა დასმენას და ცილისწამებას. ავსიტყვებს და გულბოღმიანებს ამინდი დაუდგათ. მე ოცდაჩვიდმეტის ოქტომბერში დამაპატიმრეს. რასაკვირველია, ველოდი დაჭერას. ჩემს „აყვანაში“ ხელი გაწაფული ჰქონდათ. სოფელში ყოველთვისაა თითო-ოროლა „დასაჭერ-დასასჯელი“. საქმეს რომ დაჭირდება, რომ მოკიდებ ყურში ხელს და ისიც ცხვარივით რომ მოგყვება. იცის, მაინც არაფერი გაუვა. გასაბჭოების დროს დამიჭირეს, ქაქუცას ამბავზე დამიჭირეს, განკულაკების დროსაც ჩამსვეს და ახლა რა ხათრ-სიყვარულით ამივლიდნენ გვერდს. გითხრა სიმართლე, დროზე მინდოდა გავეთოკეთ, შიშის ზაფრა საზიზღარი რამეა. როცა ზიხარ, ყუჩად ხარ კაცი. როცა არც იქით ხარ და არც აქეთ, მაშინ უფრო წვალდები. მომაკითხეს შუაღამეზე და დიდხანს არ დამიყოვნებია ჩემი მზრუნველები, ბარგი ჩაწყობილი მქონდა. მე, რასაკვირველია, მივყევი; ოჩანი ხარივით გაწევა არ დამიწყია, მაგრამ როგორც მერე გავიგე, ჩემს ცოლს აუტეხია ერთი ამბავი. „ვინაა ტროცკისტი, თქვე უნამუსოებოვო, აღარ მოგწყინდათ მართალი კაცის დევნაო? რა პასუხს გვაძლევთ ჩვენ, ვინ ურჩენს ოთხ შვილსო“. პასუხი ის მიუციათ, რომ ჩემი დაპატიმრების ორი კვირის თავზე აუყვანიათ ჩემი ცოლიც და მე, ჩემდა იღბლად, დავბრუნდი, მაგრამ ჩემი შუშანიკის ასავალ-დასავალი ველარ გავიგეთ. ახლა მისი ძვლებიც არ იქნება მიწაში. რეაბილიტაციები რომ ჩამოგვირიგეს, იმ უბედურდღეზეგაჩენილის საბუთებსაც ვერსად მიაკვლიეს. კოლმეურნეობის კანტორაში ერთი პატარა, გაყვითლებული ქაღალდიღა ვიპოვეთ. 1937 წლის დეკემბერში ჩატარებული კოლმეურნეობის კრების ოქმის ამონაწერი. „გაირიცხოს კოლწევრობიდან ხალხის მტრის, იმპერიალიზმის მოსყიდული აგენტის გრიგოლ ბაქრაძის ცოლი შუშანა სხვიტარიძე, რომელიც დანაშაულებრივ კავშირში აღმოჩნდა თავის მეუღლესთანო“. კოლექტივიდან რომ გარიცხეს, მაშინ ვინ იცის, ჩემი თანამეცხედრე ცოცხალიც აღარ იყო, ბავშვები, როგორც მაშინ მიღებული იყო, ნათესავებმა დაირიგეს, შვილი კაი ხანს მამას არც კი მეძახდა, გადაჩვეული იყო, ვერც გაამტყუნებ. ორმოცდაორში ციმბირიდან პირდაპირ ფრონტზე წამიყვანეს. მე, „ხალხის მტერს“ თოფი მომცეს ხელში და ხალხის და ქვეყნის დაცვა მანდეს, არ გაგიკვირდება?

გადავრჩი ტყვიის წვიმას. დავბრუნდი ორმოცდახუთში. მოვიძიე ჩემი შვილები. ცოლი, ქე იცი, აღარ შემირთავს. შემოვღობე გაპარტახებული ეზო, გავმართე ოდა და ორმოცდაცხრაში ისევ დამიჭირეს. ეს ბოლო დაჭერა მაინც რაღა იყო. ჰიტლერი დამარცხებულია, მსოფლიოში პირველი სახელმწიფო ხარ, გამარჯვებული და გამართული, რაღა დროს ტყვილად დაჭერები და რეპრე-

სიებია. ხომ გითხარი, სიაში ვიყავი სადღაც და, როცა „წესრიგის დამყარების“, ან წმენდის კომპანია ჩამოივლიდა, ჩემს ჭიშკარს არ აცდებოდნენ. მეხუთე დაპატიმრებიდან რომ დავბრუნდი, ჯანმრთელობა გატეხილი მქონდა, ორმოცდათხუთმეტი წელი იყო. სტალინი აღარ იყო ცოცხალი.

მერე დავიბენით, თუ დავიბენით. ამხელა სახელმწიფოს გაძღოლა, როცა არც ჭკუა გიჭრის მაინცდამაინც და ვერც ქვეყნის საქმეებში ერკვევი, ნამეტანი ძნელი გამოდგა. ბარე ორმა წაიტეხა კისერი. ერთმა მძიმე წონის უფროსმა თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ ეს მუშტივით შეკრული ჩვენი ბანაკი კინაღამ დაშლა-დახურდავებამდე მიიყვანა. პურით გავავსეთ ბეღლებიო, რომ ყვიროდა, სწორედ იმ წელიწადს ჩაგვაყენა შავი პურის რიგში. ტყუილებით ქვეყნის რჩენა შეიძლება, ბაბა? მაგის ჭკუით ახლა კომუნიზმში უნდა ვყოფილიყავით და კომუნიზმი კი არა, მგონია, სოციალიზმმაც ჩაგვიარა გვერდზე. მსოფლიოს სასაცილოდ კინაღამ გავიხადეთ საქმე. რამხელა ტყვილს უნდა ლაპარაკობდე, ფეხსაცმლის წაძრობით და მაგიდაზე რტყმევით დაგჭირდეს ხალხის დაწყნარება.

როგორც იქნა, დევეთხოვეთ იმ ბაქია ხელმძღვანელს და, რავარც ვიცით ჩვენ, ახალმა სულ თვითნება და თავგასული უძახა ძველს. მგლისგან დამფრთხალი, გადარჩენილი თხები რომ შეაჩერდებიან ახალ ფარეხს, ისე შევაჩერდით რადიოს. სიტყვები, იცოცხლე, კაი ისმოდა, მარა რაი მერე? ვერა და ვერ გავიმართეთ წელში. უკან დაგორებული ურემივით მივექანებოდით, – მოდი ახლა ასე ვცადოთ, ეგება ასე აჯობოსო, შეიძლება მეფე ასე წაღმა-უკუღმა ბრუნავდეს? ვერ გაიგებდი, ვის ვეხმარებოდით და რატომ. ჩვენ თვითონ გაღლეტილები ჩვენზე გაღლეტილებს ვიძვრენდით უბეში. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, გაგიგონია შენ? დილას ამერიკას და იქეთა გერმანიას ვეხვეწებოდით, პურის ფქვილი და გაყინული ქათამი მოგვყიდე, ეს ოხერი, უამინდობამ შეგვიშალა ხელიო. ორმოცი წელი უამინდობა. შეიძლება, კაცო? სახელმწიფოს თავმა შუბლის ძარღვი, რავა უნდა გაიწყვიტო, სირცხვილ-ნამუსი არ უნდა იცოდე?

სტალინი არ გვინდაო, იძახოდა და იმის კვალში იდგა. იმის გზასვე განაგრძობდა, ოღონდ უგერგილოდ. მეორე ნომერი მანდატი თვითონ გამოიწერა და კინაღამ ომის მოგებაც დაიბრალა, მანამ არ უტია სხვას, სანამ ზეზეურად არ გახმა. თქვენმა თაობამ სტალინი აღარ იცის. მის წიგნებს თქვენ არ კითხულობთ და საკლასო ისტორიის წიგნში მგონი ორჯერაა სადღაც ჩამოთვლაში ნახსენები. სტალინი ჩვენთვის მთელი ცხოვრება იყო, ბაბა, და ამიტომაა, რომ წამოვწითლდებით ხოლმე სახეზე, როცა გლახად ახსენებენ. მე რაც გამიკეთა, ხომ ხედავ, თუ ყურადღებით მისმენდი,

ჩემზე დიდი მაგინებელი არ უნდა ყავდეს. მთელი ცხოვრება შიშში გამატარებია და უდანაშაულო კაცი ხუთჯერ ჩამსვა ციხეში. მაგრამ მაინც ვერ ვიმეტებ. რა ვიცი, რა მემართება, სტალინი ჩემი სისუსტეა მაინც. იქნებ იმის გამოა, რომ მე, ყოველთვის ასე საწყალი და უჩინო, მისი მსოფლიო ღონის მოწიწებაში ვარ, იქნება თავისი დიდი ჭკუით და მოჩვენებით თუ ნამდვილი უბრალოებით მომნუსხა. იქნება უბრალოდ შესახედავად მომწონს, ულვაშიანი, ლამაზი კაცი იყო, თავისივე გამოგონილი ორდენ-მედლებით და ზიზილ-პიპილოებით მკერდი რომ არასოდეს აუჭრელებია. რა ვიცი, ძალიან მინდა სწორად ვაფასებდე და მესმოდეს მისი გამკრიტიკებლების, მაგრამ მაინც ვერ მივიტანე გულთან მისი აუგად ხსენება. შეიძლება სტალინის სწორად შეფასება ჩვენმა თაობამ ვერც მოახერხოს. ერთში მაინც უნდა შეგეკამათო. კი, ბატონო, სტალინს ბევრი შეცდომა და ნაკლი ჰქონდა, გეთანხმებით, მაგრამ რაღა მარტო სტალინის მიმართ ვართ ასე ობიექტურები. მეც მომხრე ვარ, კაცი ყველანაირად შევაფასოთ, მაგრამ მარტო სტალინზე გავავრცელოთ ეს წესი?

მოგაბეზრე თავი. ვიცი, ახლა სტალინზე ლაპარაკის დრო არ არის, ასე ფიქრობ შენ დღევანდელ საქმეს უნდა მივხედოთ. კი, ბატონო, მაგრამ შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ და თუ უკან არ მოიხედე, წინა კაცის ნავალი არ გაითვალისწინე, წინ წასვლა გაგიჭირდება.

კაი ფიქრებით მოხვედით, მე და ჩემმა ღმერთმა. გიყურებთ და მიხარია. გული იმაზე მწყდება, რომ მხოლოდ გიყურებთ და მეტი არაფერი მე ახლა, მარტო სიტყვა-რჩევით თუ შეგეწევით, თორემ ჩემი მარჯვენა რაღაში გამოგადგებათ.

არ დაიღალოთ და არ მოგწყინდეთ, ამ ერთს გთხოვთ მხოლოდ. სიმართლის გასაღები მარტო ჩვენ გვაქვს ჯიბეშიო, ამასაც ნურასოდეს იფიქრებთ. კაცს ფიქრის გაცხადების რომ შეეშინდება, ის კაცი თქვენი ერთგული ვერ იქნება, ბაბა. ამიტომ კაი ბიჭები მაშინ იქნებით, თუ სხვანაირი ფიქრისთვის ადამიანისშვილს არ შეიძულებთ. მოუსმინეთ იმასაც. გაარკვიეთ, იქნებ, სიმართლეს ამბობს, რაღაცა მიზეზმა ხომ გაუჩინა ის სხვანაირი ფიქრი თავში.

გაღმერთება და გაბელადება, ვისიც არ უნდა იყოს, ამ თქვენს დროში მაინც სასაცილოა და თუ შეგაფერხებთ, თორემ კარგს არაფერს დაგმართებთ. ადამიანი ისედაც ორი დღითაა მოსული ამ წუთისოფელში და ნუ გაამწარებთ. მიხარია, აბა არ გამეხარედება, შიში რომ გაიპარა ჩვენი ოდის ჭუჭრუტანებიდან?

ჯერ სადა ხართ. ვეშაპის სისხლზე ამოსულ დევებთან შერკინება აწი გიწევთ. ჯერ კაცთა უჭკუობით გამრუდებული გზა უნდა გავასწოროთ ახლებურ ლარ-თარგზე. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფას უნდა გადავეჩვიოთ. არ გამოდგა საერთო გობში ხელის ფა-

თურის წესი. იმიტომ, რომ ზოგს დიდი პეშვი აღმოაჩნდა და ზოგს პატარა. ჩემსას და შენსას ნუ აურევ ერთმანეთში ჩემს მოსატყუებლად, და ყველაფერი კარგად იქნება. ნუ წამართმევ ჩემს ჭადს და ნუ გამიხდი მერე სახვეწრად; ცოტა მომიტეხე-თქვა.

იცოდე, შეცდომაზე დიდი ცოდო, იმ შეცდომის მონად დარჩენაა.

* * *

ჩემო გელა, ყურმოკრული როგორ არ გექნება, ქვეყანამ იცის, ხუთი წელი სულ ტყუილად, უდანაშაულოდ რომ გვახეხიეს ციხე, მაგრამ დაწვრილებით მინდა მოგიყვე და თუ კაცი ხარ მოსმენა არ დამამადლო.

გლახა წელი დადგა, ნამეტანი გლახა წელი. ხანძრები და აფეთქებები გახშირდა ჩვენს ქალაქში. სხვაგანაც იყო, მაგრამ ასე ხშირად არა. ხალხიც დამფრთხალი და მოწყენილი დააბიჯებდა, შიშის მიზეზი მეტი რა გინდა; დადიოდა ქალაქში ვიღაცა ღვთისპირიდან გადავარდნილი. რა უნდოდა, ვისი ინტერესი ჰქონდა, ვერ მიხვდებოდი. ხან გაზეთის კიოსკში შეჩურთავდა ამონალს, ხან პარკში რომელიმე სტენდს ააფეთქებდა, ერთხელ ავტობუსის გაჩერების თავშესაფარი წნური ავარდა ჰაერში. ხალხს მაინცდამაინც არ ერჩოდა. იმ დროს ფეთქდებოდა, ბიბლიოთეკა იყო თუ მჟავე წყლის ჯიხური, როცა ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. აფეთქებები რომ მოწყინდებოდა, ხანძრების სერიას იწყებდა. სამ თვეში, მარტ-აპრილ-მაისში უპა-უპაში რვაჯერ გაჩნდა ხანძარი. ვერავითარ აზრს და ლოგიკას ამ ხანძრებიდან ვერ გამოიტანდი. ხან ნოტარიუსის კანტორა იწვოდა და ხან საჭადრაკო კლუბი. აშკარა იყო, დამნაშავეთა ბანდას იმდენად ქალაქისათვის მატერიალური ზარალის მიყენება არ სურდა, რამდენადაც ვიღაცის სიძულვილით, თუ დაშინების სურვილით ხდებოდა ყოველივე. კაცმა არ იცის, აშინებდნენ თუ არა იმ ვიღაცას, მაგრამ, ეს ფაქტია, რომ ჩვენ, უბრალო მოქალაქეები ძალიან შევჩქვიფდ-შევფიქრიანდით. ომის დროს არ ვყოფილვართ ამნაირ ფსიქოზში. როგორი საქმეა, ყოველ ღამე ხანძრის მოლოდინში ხარ. სახანძროს ზარების რეკვა და მილიციის მანქანის სირენის კივილი არ გაძინებს ისედაც ძილგამტყდარს. უმწეო ხარ. შენ შეუიარაღებელი და უდანაშაულო, ელოდები, როდის აგიფეთქებენ ცხვირიწინ თვითნაკეთ ბომბს, ან გამოგწვავენ ბეღელში თაგვივით. ბოლოს, ის იყო, კულტურის სასახლე დაიწვა და ამით დამთავრდა ჩემთვის ის უბედური წელი გამთენიისას რომ დამირეკეს, კულტურის სასახლე იწვისო, ჯერ გული შემეკუმშა და სული ვეღარ მოვითქვი, მერე ერთბაშად მომეშვა, პლაშშიხელგაყ-

რით გავრბოდი ხანძრისკენ და იცი რაზე ვფიქრობდი? აღსრულდა, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, აწი ბომბის და ხანძრის გაგონება წარბსაც ვერ შემიხრის-მეთქი. რას ერჩოდა კულტურის სასახლეს, ჩვენი ქალაქის სიამაყეს, ახალთახალ, ულამაზეს შენობას, ან ჩვენ რას გვემართლებოდა ის ოჯახამოსაწყვეტი, აგერ, ა. ოცდაცხრა წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ და დღემდე ვერ გამირკვევია.

თერთმეტ ივნისს დაიწვა კულტურის სასახლე და თექვსმეტ ივნისს დაგვიჭირეს ჩვენ, მე – დირექტორი პაპუნა კიპაროიძე, ღამის დარაჯი ბაგრატ კუკულავა და მნე – დურმიშხან ყიფიანი. მე გამთენიისას წამიყვანეს, იმათი დაჭერის ამბავი მესამე დღეს გავიგე.

ხუთ-ხუთი წელი მოვათიეთ ციხეში და კაი ხანია სამივე გარეთ ვართ. ღვთის წყალობით ასაკის შესაფერისად ჯანი გვივარგა და ვმუშაობთ სხვადასხვა ადგილზე. მე დრამწრეებს ვხელმძღვანელობ სკოლებში და გამაქვს თავი რავარცხაა. ბედს არ ვემდური. მაშინაც მთელმა ქალაქმა იცოდა, კულტურის სასახლე ჩვენ რომ არ დაგვიწვავს და ახლა ხომ იცის და იცის. ვხვდებით ხანდახან ერთმანეთს და სიცილით ვიგუდებით. ახლა, აქედან მართლა სასაცილო ჩანს ეს ყველაფერი. მეტი სასაცილო რა გინდა, ვიდექით ეს სამი სერიოზული, ცოლშვილიანი კაცი სასამართლოზე და ვყვებოდით, როგორ დავწვით კულტურის სასახლე. როგორ გადავწყვიტეთ სამივემ ეს საქმე, როგორ ვატარებდით საიდუმლო თათბირებს, როგორც დავთქვით დაწვის დღედ თერთმეტი ივნისი, როგორ შემოვაპარეთ ბიდონებით კულტურის სასახლის სახანძრო კარიდან ნავთი და შუაღამეგადასულზე, როცა სასახლეში წრეობრივი მუშაობა და რეპეტიციები დამთავრებული იყო, როგორ „აღვასრულეთ“ ჩვენი ბნელი საქმე. მახსოვს ჩემს ადვოკატს, რომელმაც აშკარად დაამტკიცა; ამათ, ამ საწყლებს, არავითარი კავშირი არა აქვთ სასახლის დაწვასთანო, რა რისხვით შევუტიეთ სამივემ. სულ პრავაკატორი და უნიჭო ვუძახეთ.

როგორ დაგვიყოლია გამომძიებელმა გიგი მარშანიამ, ჩვენს თავზე აგვეღო დანაშაული, მახსოვს და წვრილად გიამბობთ, ჩვენს ამბავში მე რა მაინტერესებს, იცი? ადამიანი თურმე სრულყოფილი არსება ჯერ კიდევ არ არის. სხვა სისუსტებს შორის ერთი სისუსტეც აქვს თავში და იმ სისუსტეს ნებისყოფის სისუსტე ჰქვია. ახლა ხომ ამ ხნის კაცი ვარ და ამდენი მაჯანჯღარა ცხოვრებამ. ამ გამოცდილების დროსაც ვერ დავდებ თავს, რომ ამა და ამ სიტუაციაში მაინცდამაინც ასე და ასე მოვიქცევი-მეთქი. ალბათ, ათასში ერთ კაცს შეუძლია დაჩემებული ბოლომდე გაიტანოს. ჩვენ ძმაო, უბრალო ხალხს, ამდენი ძალა არ გაგვაჩნია. ადრე რომ მეტყოდნენ, ამა და ამ კაცმა ესა და ეს დაიბრალაო, ვერ გაუძლო დაწოლას და

თავისი ხელით დაწერა, თითქოს საიდუმლო ბანდის წევრი იყო და ციდან მზის ჩამოგდებას აპირებდაო, აღვშფოთდებოდი ხოლმე. როგორ, ცოცხალმა კაცმა ასეთ სულელურ „აღიარებაზე“ ხელმოწერა როგორ დაუტოვა შთამომავლობას-მეთქი. ახლა სხვაგვარად ვუცქერი ამ ამბავს. სანამ არ გადახტება, „ჰოპს“ ნურავის დაიძახებს.

პირველ სამ დღეს, რასაკვირველია, ჩემს სიმართლეზე ვიდექი, სასაცილოდ არ მყოფნიდა გიგი მარშანიას დაჟინება და გამოტეხვის მისეული მეთოდები. რა არ მკითხა, საიდან არ მომიარა, მაგრამ რაც ფიქრადაც არ მომსვლია, როგორ უნდა „მეღიარებინა“. სამი დღის მერე სხვანაირად დაგვიწყო ჭიკჭიკი. შუაღამისას ამიყვანეს ზევით. მაგიდას გამომძიებელთან ერთად ბაგრატ კუკულავა და დურმიშხან ყიფიანი უსხდნენ.

გივი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და მოგვიბრუნდა.

– გულახდილად გითხრათ ყველაფერი? არც ისე უბრალოდაა საქმე, თქვენ რომ გგონიათ. მე მშვენივრად ვიცი, რომ კულტურის სასახლე თქვენ არ დაგიწვავთ, თქვენ გგონიათ, არ ვიცი? მაშინაც ვიცოდი, თქვენი დაპატიმრების ორდერი რომ მომიტანეს.

– თუ ასეა, რატომ ვართ ჩვენ აქ?! – თავი ვერ შევიკავე, ცოტა არ იყოს, ხმამაღლა წამომცდა.

– თუ მომისმენთ, გეტყვით ყველაფერს. თუ გამგები ხალხი ხართ, უნდა გაიგოთ. ჩვენ ახლა ორივე მხარეს ერთმანეთის დახმარება გვჭირდება, ჩვენ-თქვენი და თქვენ-ჩვენი. უნდა მოვილაპარაკოთ. მეტი გზა არ არის. აგერ ვართ ოთხივე. ეს საუბარი ჩვენს შორის უნდა მოკვდეს.

– ბატონი ბრძანდები, – ყურს ხელი მიახმარა კუკულავამ. ბაგრატს ყურს მაშინაც აკლდა.

– ჯერ ჩვენს გასაჭირს გეტყვით. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. ქალაქში რა ამბებიც ხდება, მოგეხსენებათ. აფეთქებებზე და ხანძრებზე ვამბობ.

– მერე ჩვენ რა შუაში ვართ? – აღშფოთდა ყიფიანი.

– თქვენ კი არ ხართ, ჩვენ ვართ შუაში. ისე ვართ შუაში მომწყვდეული, როგორც ღობეში გაჩხერილი გოჭი. ვერც იქით მივდივართ, ვერც აქით. დაიბარა ინასარიძემ ჩვენი უფროსი კულტურის სასახლის დაწვის დღეს და უთხრა: – თუ ერთ კვირაში არ აღმოგიჩენიათ ბანდა, ყველას გაგყრით სამსახურიდანო. არ ვქნათ, მითხარით, ხალხი არა ხართ?

– მოძებნეთ, რა ქნათ და, – ურჩია კუკულავამ.

– შენ გგონია, არ ვეძებთ? ტყლიპი ჩაგვექცა მუცელში. სიქა გაძვრათ ბიჭებს, რომ შეხედო, ადამიანს აღარ ჰგავს არცერთი. ამნაირი არაფერი გვინახავს. ვინაა, რა ხალხია, მკითხავთან ხომ

არ გავიქცევით? ქურდებთან საქმე არა აქვთ. რამდენიმე კაცი რომ მოქმედებს, აშკარაა. ერთი ვერ შეძლებდა. ყველას შიშის ზაფრა გვკლავს. მე შენ გეტყვი, დაიქადნებს და არ შეასრულებს ინასარიძე. ისედაც ალმაცერად გვიყურებდა. ჩვენი თავი ჯანდაბას; ბავშვები დაგვეხოცება შიმშილით. ჩვენზე უფრო საცოდავი ახლა კაცი არაა მთელ დუნიაზე. ეს ფორმა რომ გვაცვია და რევოლვერი გვკიდია, ამაზე ხვარაა საქმე.

ვეცადე, წარმომედგინა ურევოლვერო და უფორმო მარშანია. მართალია, გამიჭირდა, მაგრამ მაინც წარმოვიდგინე. მერე ვეცადე, შემცოდებოდა უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენილი, მაგრამ მომკალით და ვერ შევიცოდე.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ რაში დაგეხმაროთ, – რაც შემეძლო, მშვიდად ვკითხე.

– თუ მაცლით, აგიხსნით ბოლომდე ყველაფერს, თუ არა და ვიქნები ჩემთვის, – თავი შეგვაცოდა უფროსმა გამომძიებელმა, – ავდექით და, როგორც ხედავთ, აგიყვანეთ სამივე პატიმრობაში.

– რა უფლების ძალით აგვიყვანეთ? – კუკულავა „უფლებას“ ხშირად ახსენებდა. ახლაც მაღიზიანებს ხოლმე „უფლებას“ რომ იტყვის და „ლ“-ს რბილად წარმოთქვამს. ხუთ სიტყვას არმიაყოლებს ერთმანეთს, „უფლება“ რომ არ ჩაურთოს.

– ახლა, ჩვენს შორის დარჩეს და, მთლად ტყვილად არც თქვენ ხართ დაჭერილი. მართალია, სასახლე თქვენ არ დაგიწვავთ, მაგრამ ბავშვები არ ხართ არცერთი და მშვენივრად იცით, რომ მატერიალური პასუხისმგებლობა შენობაზე დირექტორს, მნეს და ღამის დარაჯს ეკისრება. პასუხგებაში თქვენი მიცემის გამართლება ყოველთვის შეიძლება. დაუსჯელად ვინ დაგტოვებდათ. ჩასაფრებული გამომძიებელი თითოს სამ-სამ მუხლს აგკიდებდათ. პატარა ჯიხური კი არ დამწვარა. ამხელა სასახლე დაიწვა.

– მერე ჩვენ დავწვით?! – ტირილი გაერია ხმაში ყიფიანს.

– თქვენ არ დაგიწვავთ, ქრისტიანულად გეუბნებით და მეტი რა გითხრათ, მაგრამ დამნაშავეები თქვენცა ხართ, სამივე. სამ წელიწადს მოგცემენ თუ ხუთს, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთან უნდა იყოთ კარგად და ხომ იცით, ორგანოს თანამშრომლები სიტყვის ხალხი ვართ და პატივისცემას არ ვივიწყებთ. მერეც ჩვენს ხელში უნდა იყოთ თქვენც და ყველა, საერთოდ. ახლა გლახა დღე გვადგას, თორემ ხვეწნა და მუდარა არ ვიცით ჩვენ, მოგეხსენებათ.

– რა პატივი გცეთ, მაგალითად? – სულმა წასძლია კუკულავას. თორემ სამივენი მშვენივრად ვხვდებოდით, საითაც გვიკაკუნებდა მარშანია.

– უნდა იდოთ თავზე ხანძარი.

– რას ჰქვია ვიდოთ? – ყიფიანი სკამზე შემოტრიალდა.

– უნდა დაიბრალოთ. სხვა გამოსავალი არც თქვენ გაქვთ და არც ჩვენ, გპირდებით, მოსამართლესთან ჩვენი უფროსი მოილაპარაკებს და კაცურ სიტყვას გაძლევთ, იმაზე მეტად არ დაგსჯიან, რაც ისედაც გეკუთვნოდათ, როგორც სასახლის ოფიციალურ, ადმინისტრაციულ პირებს. შეგნებული ხალხი ხართ და მიხვდებით, მგონია, რამდენ კარგ საქმეს გააკეთებთ. თუ ჩემს თხოვნაზე დათანხმდებით. ჯერ ერთი, ჩვენ გადაგვარჩენთ ინსარიძის რისხვისაგან, მეორეც, მილიციის პრესტიჟს მაღლა ასწევთ. არ ვართ ჩვენ გლახა ხალხი, დამიჯერეთ, და საჭიროც ძალიან ვართ საზოგადოებისთვის. ის კუსტარამფეთქებლები რატომ პარპაშობენ, იცით? არ ეშინიათ. აბა, ერთი დარწმუნებული იყვნენ, რომ მილიციას არაფერი გამოეპარება. თქვენი საქმის გახსნით ჩვენი ავტორიტეტი აიწევა.

– თქვენი ავტორიტეტის აწევისთვის ციხეში ვიჯდეთ, ჩვენ, უდანაშაულო ადამიანები? – ყიფიანმა გამშრალი ყელიდან ძლივს ამოღერღა.

– მარტო ჩვენთვის კი არა, ქალაქისთვის, თქვენი მომავლისთვის უნდა ჩაჯდეთ. ჯერ ერთი, გითხარით მისი არ იყოს, თქვენ უკვე ჩამჯდარი ხართ, – მარშანიამ მაგიდაზე თითები აათამაშა, – ამ ჩემი ულტიმატუმის გარეშეც პასუხს აგებდით. თქვენ რომ ახლა სასახლის დაწვას დაიბრალებთ, ამას რა მოყვება იცი? აფეთქებები და ხანძრები შეწყდება, არ გინდათ, თქვე კაი ხალხო, თქვენმა ცოლ-შვილმა მშვიდად დაიძინოს?

– რა გარანტია გაქვთ, რომ შეწყდება? – ვკითხე.

– ვიცი მე დამნაშავეების ფსიქოლოგია. ჯერ ერთი, ხალხი ირწმუნებს, რომ მილიცია ფხიზლადაა და დამნაშავეს სამაგიერო მიეზღვება. ცოტათი მაინც დაუწყნარდება ნერვები ქალაქს. რაც შეეხება უშუალო დამნაშავეებს, იფიქრებენ. ჩვენი გულისთვის უდანაშაულო ხალხი დაისაჯაო და გაეცლებიან ამ ადგილს. თქვენი ჯინი არავის სჭირდა, ხომ მართალია. ჩვენ ვიცით, ვისი და რის წინააღმდეგაა მიმართული ეს ხანძრები და აფეთქებები. ხომ გამიგეთ?

– ვერა, – თქვა კუკულავამ.

– კი, გამიგეთ, მაგრამ არ მენდობით. არ გჯერათ ჩემი. წინასწარი პატიმრობის სამი დღე გათავდა, ხომ ხედავთ. თქვენი გაშვება რომ შეიძლებოდეს, ამ დილით გაგიშვებდით, არა გვაქვს სხვა გზა, გაგვიგეთ ადამიანურად და დაგვეხმარეთ.

– კი, მაგრამ რაღა ჩვენ დაგეხმაროთ, სხვა დაიხმარეთ. ათასი ოხერი დადის ქუჩაში, დაიჭირეთ და დააბრალეთ, – გამოსავალი იპოვა ყიფიანმა.

– რამდენჯერ გითხრათ, თქვენ ისედაც დაგიჭერდით. თქვენ აგებთ პასუხს შენობაზე. ახლა, სამი დღე რო გავიდა, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ჩვენ იძულებული ვართ, გავამართლოთ თქვენი დაჭერა. არ გვინდა თქვენთვის ცუდი, თორემ არცერთი არ ხართ აქ მამა აბრამის ბატკანი, თუ ამოვწიეთ თქვენი საქმეები, ხომ იცით, სახვეწარი აქეთ გექნებათ, მაგრამ ჩვენ არ გვინდა შორს წავიდეთ.

– რა საქმეები, მაგალითად? – გულუბრყვილოდ იკითხა კუკულავამ.

– ჩემზე უკეთესად იცით, რა საქმეებზეცაა ლაპარაკი, ბაგრატ ბატონო. ნეტავი ვინმეს თუ ჰგონია, დანაშაულს რომ ჩაიდენს და არ დავიჭერთ, ვერ გამიგეს, შემრჩაო. არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. ჩვენ ყველაფერი ვიცით. ჩვენი თვალი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე გგონიათ. თქვენი ძმა რომ თამბაქოს ქარხნიდან პაპიროსის გილზებს იპარავდა, სახლში რომ ტენიდით და ჰყიდდით მეორე დღეს, როგორ ფიქრობთ, ამისთვის არ გეკუთვნოდათ ყურზე ხელის მოკიდება? იყო ასე? ხომ იყო? მთელი სამი წელი, – გიგამ უბის წიგნაკი ამოიღო და ჩაიხედა, – ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტ-ორმოცდათორმეტ წლებში მისდევდით ამ საქმეს; ხომ იყო ეს დანაშაული? ეს ერთი, ჩემო ბატონო, კიდევ გაინტერესებთ? – უბის წიგნაკში ისევ ჩაიხედა, – გავაგრძელო, რა ჩაგიდენიათ თუნდაც მარტო ამ ბოლო შვიდ წელიწადში, ახალგაზრდობის წლებს რომ თავი გავანებოთ?

– არ გინდათ, ნუღარ გააგრძელებთ, – ლოყებზე მუშტები მიიდო ყიფიანმა და მაგიდას დააჩერდა.

– მერე თითო კი არა, ოთხ-ხუთ ისეთ საქმეში გაიჭედებით სამივე, მტკიცებაც რომ არ უნდა.

– აქამდე რატომ არ მოგვკიდეთ ხელი? – ხმადაბლა ჰკითხა ბაგრატმა.

– არ ვართ ჩვენ ცუდი ხალხი და იმიტომ, ჩვენი საქმე მარტო დაჭერა კი არაა სხვა საქმითაც ვართ დაკავებული. რატომ აქამდე არ მოგკიდეთ ხელი? ვინ იცის, იქნებ ამ დღეს ველოდებოდით. ახლა ცოტა ჩვენც გვიჭირს და არც თქვენ ხართ დალხინებული. თუ კაცები ვართ, უნდა გავუგოთ ერთმანეთს.

– მაინც არ დაიჯერებს ქალაქი, რომ ჩვენ დავწვით სასახლე, – ვთქვი მე.

– შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. თუ არ დაიჯერებს, ნუ დაიჯერებს. მთავარია ინასარიძე დააჯეროს ჩვენმა უფროსმა, რომ კულტურის სასახლის დაწვის საქმე გახსნილია. მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. მერე ჩვენ ვიცოდეთ და ჩვენმა კაცობამ:

– ვთქვათ, დავთამხნდი, მაგალითად, და მოგეცით ჩვენება, მე დავწვი-მეთქი, რატომ უნდა დამეწვა, როგორ ფიქრობ? – შე-

ვატყვე ჩემს თავს, რომ უკან გადავდგი პირველი, გაუბედავი ნაბიჯი.

– მაგაზე მოვილაპარაკებთ. რაც შეეხება ქალაქს, ქალაქის ხასიათი ასეთია: თქვენ რომ გაგიშვათ დღესვე, გამოვაცხადოთ; ბრალდება არ დაუმტკიცდათ, უდანაშაულონი აღმოჩნდნენო, უმრავლესობას გული დაწყდება. ქალაქს არ უნდა, – რომ თქვენ არ დაგეწვათ კულტურის სასახლე, გასაგებია? მერე თქვენი გაშვება, რაც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია, ჩვენ საბოლოოდ ჩაგვცემს ლახვარს. დააყარეს ფული და ჩაფარცხეს საქმეო. საბოლოოდ გავპუსტიაკდებით ინასარიძის თვალში. ვიზამთ ჩვენ ამას? არ ვიზამთ.

– თუ უარი ვთქვით სამივემ? არ დავიბრალეთ ეს ამხელა ცოდვა, რა იქნება? – ყიფიანის ხმაა.

– რა იქნება, ვერ მიხვდით? ნუთუ ასე გაუგებრად ვლაპარაკობ? ჩვენ ჩვენი მოგვივა. ქვეყანა არ დაიქცევა ამ ერთი საქმის გაუხსნელობით. შეიძლება ჩვენს უფროსს და მე საყვედურები ჩამოგვირიგონ. კიდეც, რომ გაგვიშვან ორგანოდან, თქვენთვის რა შეღავათი. იმას მაინც მოვასწრებთ, რომ თქვენი გამოძიება დავამთავროთ, თითოს ცხრაწლიანი მუხლები მაინც აგკიდოთ და გაგიშვათ სასამართლოზე. სხვათაშორის, თქვენი აღიარება საზოგადოებრივი აზრისთვის გვინდა, თორემ თქვენთვის სასახლის დაწვის დაბრალება უკვე დამთავრებულია. ისე გავამაგრებთ, ისეთ ფაქტებს შევთხზავთ, თვითონვე ეჭვი შეგეპარებათ, მართლა ჩვენ ხომ არ დაგვიწვავსო. მაგდენი ფანტაზიის უნარი გვაქვს, ნუ გეშინიათ. ასე რომ, ვისაც ასამართლებენ, ყველა კი არ აღიარებს დანაშაულს, აღიარება, იცოდეთ საერთოდ, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა.

– მაინც რა ვთქვა მე სასამართლოზე, რატომ დავწვი-მეთქი, დირექტორმა კაცმა, ჩემი დაწესებულება, რომელსაც რვა წელი ვაშენებდით და სულმოუთქმელად ველოდით, როდის დამთავრდებოდა? რომ გავგიჟებულიყავი და ხელოვნების სიყვარული საერთოდ ამომეღო გულიდან, იმდენად სულელი როგორ ვიქნებოდი, არ მცოდნოდა, რომ სასახლის დაწვასთან ერთად ჩემი დირექტორული სკამიც დაიწვებოდა და ხელოვნებაში ჩემს მომავალსაც ცეცხლი უყოფდა პირს, – თითების მტვრევით, ხმის კანკალით, ვეკითხებოდი მარშანიას.

– საფუძვლიანია თქვენი ეჭვი. მაგრამ მაგასაც ეშველება. ხომ არის შემთხვევა, დირექტორები რომ წვავენ თავიანთ დაწესებულებებს? ვთქვათ, გაფლანგვა-დანაკლისი გქონდათ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გაბრაზებული იყავით, რაღაც წოდების მონიჭებაზე უარი გითხრეს, ამაგი არ დაგიფასეს. აიღეთ და გაგულისებულმა კულტურის სასახლე დაწვით.

– მე, მე რატომ გავერეოდი ამ საქმეში, სასახლის მნე? – ლამის ტირილით თქვა ყიფიანმა.

– შენ შენი ინტერესი გქონდა. რაღაცით შენც მოითბე ხელი ამ ხანძარზე.

– რით, მაგალითად?

– ჯერ მთავარზე მოვილაპარაკოთ და გეტყვით მერე, ამაზე, კონკრეტულად. სულაც ხომ შეიძლება, თქვენ სამივე, ვიღაც მეოთხე კაცის ბრმა იარაღები ყოფილიყავით. დაგაინტერესათ იმ მეოთხემ, მოგისყიდათ, ან ფულით, ან რაღაცით და დაგავალათ სასახლის დაწვა.

– რაღა ჩვენ მოგვისყიდიდა, სწორედ იმათ, ვისაც სასახლის მოვლა გვქონდა დავალებული. უფრო იაფი არ დაუჯდებოდა სხვისი მოსყიდვა? – ვთქვი მე.

– იქნებ სხვები ვერ მოახერხებდნენ უთქვენოდ ამ საქმეს.

– მერე, რაღა სამივეს მოგვისყიდიდა. სამი კაცისთვის შეიძლება ასეთი საქმის განდობა? ერთი ჩვენთაგანი მოესყიდა. რავა, ერთი ვერ შეძლებდა სასახლის დაწვას? – კაცმა რომ თქვას, კუკულავას ეს შეკითხვაც სამართლიანი იყო.

– მაგაში მართალი ხართ. – შევატყვე, პირდაპირ პასუხის გაცემა გაუჭირდა მარშანიას, – ეგ მეც ვუთხარი თავის დროზე უფროსს, მაგრამ ახლა ეგ ლაპარაკი დაგვიანებულია. ახლა რომელიმე თქვენთაგანი რომ გაგიშვათ, თქვენთვისვე იქნება ცუდი. იმ წუთში გამცემის სახელს მოგაკერებენ.

– ვთქვათ, ჩვენ დავიბრალეთ ეს დანაშაული, გაგვასამართლეთ და მოგვისაჯეთ რაც გვერგება. ვთქვათ და როგორც თქვენ ამბობთ, ამის შემდეგ მართლა შეწყდა ხანძრები და აფეთქებები. მოგვიტრიალდებით მერე და იმ წინა ხანძრებს და აფეთქებებსაც ჩვენ დაგვაბრალებთ?

– როგორ გეკადრებათ, კაცურ სიტყვას გაძლევთ, ჩემი და ჩემი ცოლშვილის თავებით ვაგებ პასუხს ამ პირობაზე, არა თუ სხვა საქმეს არ აგკიდებთ, ამაშიც მინიმუმს მოვაცემინებთ მოსამართლეს.

– რა ვქნათ? – მცირე პაუზის შემდეგ მივმართე ყიფიანს და კუკულავას.

„დამნაშავენი“ სდუმდნენ.

სიჩუმე ისევ გიგიმ დაარღვია.

– დღეს ამით დავამთავროთ, წაბრძანდით ახლა და მოიფიქრეთ. მოსაფიქრებელი, მე რომ მკითხოთ, არაფერია. სხვა გამოსავალი არ არის. უკან დასახევი არა გვაქვს, არც თქვენ და არც ჩვენ. ხვალ გავაგრძელოთ საუბარი.

დილით სამივენი ერთ კამერაში მოგვათავსეს, რომ განსჯის და მოთათბირების საშუალება გვქონოდა. საერთოდ, ერთ საქმეზე დაკავებულნი ერთად არასოდეს სხედან, მაგრამ მარშანიამ იცოდა, რასაც აკეთებდა.

ვიდავეთ, ვიკამათეთ, საიდან არ შემოვუარეთ, რა თვალით არ შევხედეთ ჩვენს მდგომარეობას, გავითვალისწინეთ ყველაფერი, კიდევ და კიდევ არაერთგზის დავაზუსტეთ მარშანიასთან რაღაც-რაღაცები და ორი კვირის შემდეგ „ვაღიარეთ დანაშაული“.

კულტურის სასახლის დაწვა დავიბრალეთ, მაგრამ ჩვენი და მარშანიას წვალება მერე დაიწყო.

ოთხივენი (და ჩვენს გარდა, როგორც გაირკვა, სხვებიც) დიდ შემოქმედებით მუშაობაში ჩავებით. ხუმრობა ხომ არ იყო, უნდა შეგვექმნა დამაჯერებელი იურიდიული დოკუმენტი, რათა სასამართლოს და დამსწრე საზოგადოებას ეჭვი არ შეეტანა ჩვენს დანაშაულში. პირველი ჩვენებები ცალ-ცალკე რომ დავწერეთ, სასაცილომდე გულუბრყვილო იყო, ერთმანეთს არ ემთხვეოდა. იოლად ნურავის შეხედავს ამ საკითხს. განსაკუთრებით ჭირდა იმის დამტკიცება, რისიც თავიდანვე მეშინოდა; რატომ გადავწყვიტეთ სწორედ ჩვენ სასახლის დაწვა, სასახლის შენახვაზე პასუხისმგებელმა პირებმა? მეორე სიძნელე ის იყო, როგორ მოვილაპარაკეთ სამმა სხვადასხვა ხასიათის, თანამდებობის, შეხედულებების ადამიანმა სასახლის დაწვა. რა ინტერესმა გაგვაერთიანა სამივენი ამ დანაშაულისათვის? გამოსავალი, ერთი პირობა, ის ვიპოვეთ. რომ მე, დირექტორს უნდა ჩამეთრია ჩემი ხელქვეითნი „დანაშაულებრივ ქმედებაში“. ამაზე მე არ დავთანხმდი და არც სხვებმა დამაძალეს. ორგანიზატორობის და მოთავეობის შემთხვევაში ჩემი დანაშაული მძიმდებოდა, ხოლო მე არავითარი სურვილი არ მქონდა თუნდაც ერთი კვირით კუკულავაზე და ყიფიანზე მეტხანს დამეყო ციხეში. ბოლოს, დანაშაულის ფსიქოლოგიური მხარის მოტივირება ძალიან რომ გაგვიჭირდა, „მეოთხე კაცზე“ გავედით. მოვძებნეთ, ჩვენთვის ცოტა არ იყოს დამამცირებელი, მაგრამ შედარებით ცოტათი მაინც დამაჯერებელი გადაწყვეტა. თითქოსდა მოდიოდა ჩვენს საიდუმლო სერობებზე ვიღაც შავმანტიიანი, სათვალიანი ბოროტი კაცი, შავი „დიპლომატით“ მოჰქონდა ფული და დაჟინებით მოითხოვდა ფრიად სოლუდირი გასამრჯელოს ფასად დაგვეწვა კულტურის სასახლე. ჩვენ, გამდიდრების სურვილით დაბრმავებულნი, დიდი ჭოჭმანის შემდეგ ვთანხმდებოდით ამ დანაშაულზე. ფული რაღა იქნაო, რომ იკითხავდა გამოძიება? პასუხი ამაზეც გავამზადეთ; გასამრჯელო ჩვენი შრომისთვის უნდა მიგვეღო სასახლის დაწვის მესამე დღეს, მაგრამ რატომღაც შავსათვალიანმა ძიამ „დიპლომა-

ტის“ მოტანა დააგვიანა. გვარიანი დეტექტივი შევთხზეთ, მაგრამ ორ საკითხს მაინც ვერ გავეცით პასუხი. ჯერ ერთი, ვინ იყო ის შავმანტიიანი კაცი, რომელსაც ასე ბრმად ვენდეთ, იყო თუ არა ცნობილი მისი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი დამნაშავეთა ბანდის სხვა წევრებისათვის და მეორე – ნუთუ ერთხელ მაინც არ ვკითხეთ იმ შავსათვალიან ბოროტმოქმედს – თუ ძმა ხარ, ამდენ ფულს რომ ყრი, რა ინტერესი გამოძრავებს, რა ხელს გაძლევს ამ უწყინარი კულტურის სასახლის დაწვაო? ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ეს ორი პრობლემა ვერა და ვერ გადავწყვიტეთ. მარშანიამ, იურიდიული თვალსაზრისით საკმაოდ პრიმიტიული სვლა შემოგვთავაზა: არ ვიცნობდით შავმანტიიან კაცს, აქამდე არასოდეს გვენახა და რომ შეგვხვდეს, ვერც ახლა ვიცნობთ, რადგანაც შავი სათვალე ეკეთა და, ვინ იცის, იქნებ პარიკსაც ატარებდა. არც ის გვიკითხავს, რატომ ჰქონდა ამოჩემებული მაინცდამაინც კულტურის სასახლის და არა სხვა რომელიმე, არანაკლებ ავტორიტეტული დაწესებულების დაწვა. გამოძიება ამ პასუხებით დაკმაყოფილდა, მეოთხე კაცის ხაზით ძიება არ გაგრძელებულა და არც მოსამართლეს (აშენდა მისი ოჯახი) უკითხავს ჩვენთვის რაიმე შავმანტიიანი და შავსათვალიანი პიროვნების შესახებ.

გასამართლებამდე და იმის შემდეგაც ჩვენს ოჯახებთან წერილობითი კავშირი, რასაკვირველია, გვქონდა. როგორ და რა გზით, ეს ციხის საიდუმლო გახლავთ და თუნდაც იმიტომ არ გაგიმხელთ, რომ ამ საქველმოქმედო საქმით დაკავებულ დარბაისელ ადამიანებს ჩემმა გულახდილობამ რაიმე არ ავნოს.

უფროსი გამომძიებელი მართალი აღმოჩნდა; ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ქალაქში ხანძრები და აფეთქებები შეწყდა.

გუშინდელივით მახსოვს, სასამართლოს წინა დღით საკანში, ჩვენს ნარებზე რომ ვიჯექით და ფრიადოსანი მოწაფის გულმოდგინებით ვსწავლობდით ჩვენი საბოლოო ჩვენებების ათასჯერ გადაღეჭილ ტექსტს. მარშანია მოსალოდნელ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში გვავარჯიშებდა.

ვერ დავუკარგავ, გიგი მარშანია სიტყვის კაცი აღმოჩნდა; ხუთხუთი წელი მოგვისაჯეს ჩვეულებრივი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

კოლონიაში მშვენიერი პირობებია-მეთქი რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ დამერწმუნეთ, გაძლება იქაც შეიძლება.

* * *

ეშმაკს არ ძინავს, ბატონო. მართალია, ყველაფერს ვერ განჭვრეტ კაცი და წინასწარ ვერ გაპლანავ, მაგრამ, რაც შეგიძლია, უნდა იფრთხილო. წუთისოფლის აღმა-დაღმა ბრუნვას ისე უნდა

ააყოლო ტანი, რომ ზვირთს ქვეშ არ მოექცე. შენი ცდაქიჩმაჩი არ უნდა დააკლო შენს წილ ცხოვრებას, მერე, ჩემი ხნის რომ მოიყრები, სანანებლად რომ არ დაგრჩეს: ნეტავ, ასე მექნა და ამ გზით წავსულიყავიო. კი, მაშინ სხვა დრო იყო და ახლა სხვა დროა, მაშინ უფრო ადვილი იყო კაცის გაფუჭება, ავ სიტყვას და ენატანიობას მაშინ მეტი გასავალი ჰქონდა, მაგრამ არც ახლა უნდა დარჩე შენს დღეებს ბრმად მინდობილი. შენი ორთაყვირი შენ უნდა გეჭიროს და შენი ცხოვრების ტივს შენ უნდა უმარჯვო. ასეა ეს. ჭკუა უნდა დააყოლო კაცმა შენს ნამოქმედარს, თუმცა ხიფათს იქნებ მაინც გადაეყარო, როგორც მე დამემართა. ერთი წელი ვხეხე. ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის იანვარში დამიჭირეს და ორმოცდაექვსის თებერვალში გამომიშვეს. ახლავე მოგიყვები, რაც მოხდა ჩემს თავს. ამას რატომ გეუბნები, თუ იცი; არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს. უცებ შეიძლება შავი ღრუბლები დაგროვდეს შენს თავზე, ისე, რომ ბაიბურშიც არ იყო. შენი გულუბრყვილობით, შენი სიბეცით რომ გაებმები კაცი მახეში, უფრო მწარეა. თვითგვემას იწყებ და საკუთარი თავის რწმენას კარგავ. თუ სინდისი სუფთა გაქვს და უბრალო ხარ, როგორც მე ვიყავი მაშინ, იმედს არ იწურავ, იცი, რომ ადრე თუ გვიან მიხვდებიან შენს სიმართლეს. იმედი დიდი რამეა. იმედი აძლებინებს კაცს გასაჭირში. იმედდაკარგულ, სასოწარკვეთილ კაცზე უფრო საცოდავი არავინაა ამ ქვეყანაზე.

მწვანეყვავილაზე მაქვს მე ბავშვობა გატარებული. მამაჩემი ასტრონომიის მასწავლებელი იყო და რაკი ხელფასი არ გვყოფნიდა (ოთხი შვილი ვყავდით), მეორე ადგილზეც მუშაობდა. ასოების გამოყვანა ეხერხებოდა და აღმასკომის მხატვრად იყო გაფორმებული. ლოზუნგებს წერდა. ჩვენი ეზოს კოინდარზე, შუშაბანდში, კიბეზე გადაფენილი დიდი წითელი ჩითის ნაჭრები და იმ ნაჭრებზე ფუნჯით ხელში დახრილი მამაჩემი ახლაც თვალწინ მიდგას. მეცხრე კლასში ვიყავი, ჩვენს მეზობლად გერმანელი რომ ჩამოსახლდა. რა ვიცი, საიდან გაჩნდა ქუთაისში გერმანელი, ამბობდნენ, პირველი მსოფლიო ომიდან დარჩენილაო. თურქმენი ცოლი და ერთი გოგო ჰყავდა – კლარა ერქვა იმ გოგოს, რა დამავიწყებს. სვანიძეების სახლი იყიდეს თუ დაიგირავეს. ჩვენგან მეოთხე მოსახლე იყო სვანიძე. ტიფმა ამოწყვიტა მთელი ოჯახი და იმ სახლში დიდხანს არავინ ცხოვრობდა. ბიძაშვილი აკითხავდა ხანდახან გოდოგნიდან. დიდი ბოქლომი ედო ჭიშკარს. ამომწყდარი ოჯახი რომ იყო, ალბათ იმიტომ, ბავშვები შიშით და რიდით ჩავივლიდით. ხილის მოსაპარავადაც არავინ ჩადიოდა ეზოში. ეკალ-ბარდს მიქონდა მთელი ეზო. ის ბიძაშვილი, წულამესტებიანი კოჭლი კაცი, ჩამოვიდოდა წელიწადში ერთხელ, გააღებდა კარს, გამოიტანდა აივანზე სკამს, იჯდა,

იჯდა და საღამოს გაუყვებოდა თავის გზას. წკირი რაა, წკირს არ გადაადგილებდა ეზოში. თოხს არ აიღებდა და ხეებს სარეველას არ შემოაცლიდა. რაში იყო საქმე, ვერ გეტყვი.

ჩამოსახლდა გერმანელი და დაემგვანა სახლი – სახლს, ეზო – ეზოს, დააწკრიალეს ყველაფერი. სახლი სამფერად შეღებეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცინკით გადახურეს. ხეებს შემოუბარეს, კირით შეათეთრეს, გასხვლა და გადაბელვა, მყნობა და გადაწინდვა არ დაუკლიათ, ააყვავეს და გაალამაზეს იქაურობა. მე რომ არ გითხრა, გერმანელის მუყაითობის ამბავი, შენ არ გეცოდინება? ცოტა ხანში არაფერი სჯობდა სვანიძეების ეზოში გადახედვას. მერე რავარი სამეზობლო და ტკბილი ხალხი, ქართულს, მგონია, ჩემზე უკეთ ლაპარაკობდნენ კლარა, რასაკვირველია, სკოლაში მიაბარეს, ჩემზე ერთი კლასით უკან იყო. მე მეცხრეში ვიყავი, კლარა მერვეში. ათას ცხრაას ოცდაცხრა წელი გახლდათ. მაინც რა მოკლეა კაცის ცხოვრება, გუშინდელი დღესავით მახსოვს და რამდენი წელია გასული, დამანებე ერთი, თუ კაცი ხარ თავი, არაფერი არა ვართ, არაფერი.

კაი თვალით შემხედეს, გითხრა სიმართლე, გერმანელებმა. რა ვიცი, რატომ წყნარი ბავშვი ვიყავი, უფროსის დამჯერე, მყავდა, როგორ არ მყავდა თავში ახალგაზრდობის ოფოფები, მაგრამ ქვას არ ვისროდი და აცვენილი არ ვიყავი ზოგიერთივით. უფროსს თვალებში შევყურებდი. ჭკვიანური რა გამეგონა და რა საქციელი გადამეღო, იმაზე ვიყავი გამეცადინებული. კლარას ნამეტანი მკაცრად ზრდიდნენ. ნაბიჯს და წუთს უზომავდნენ, მაგრამ მე ისე მენდობოდნენ, რომ მეთქვა, შუაღამისას გამოუშვით ჩემთან ერთად ღურღუთ ტყეში-მეთქი, გამოუშვებდნენ. მოხდენილი გოგო იყო, ცოდვას ვერ ვიტყვი. კვიპაროსივით სწორი ტანი, ქერა, სწორი თმა და შავი თვალები ჰქონდა. ერთად დავდიოდით სკოლაში. გაკვეთილი რომ გაუცდებოდა, სიკვდილს იღირსებდა და სხვას არ დაემგზავრებოდა, იჯდა ცაცხვის ძირში და მიცდიდა. რა დაგიმალო და თავიდან, ცოტა არ იყოს, მეხამუშებოდა ეს ამბავი. მაშინ ქუთაისში ჩვენხელა ბიჭების გოგოს გვერდით ქუჩაში გავლა ქალაჩუნობად ითვლებოდა. მერე და მერე შევეჩვიე კლარასთან სიარულს და, თუ ჩემს გვერდით არ იყო, წონასწორობას ვკარგავდი. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება მე უნდა ვუპატრონო და ავი თვალისგან დავიცვა-მეთქი. ლამაზი გოგო იყო და, რასაკვირველია, იყო უფროსკლასელ ბიჭებში კლარას გულისთვის დიდი მოძრაობა გამართული. კლარა რომ სალაპარაკოდ არავის უჩერდებოდა, მე მჩრიდნენ ხელში წერილებს და მე მაბარებდნენ სიყვარულის გამოცხადების რთულ წინადადებებს. მერე და მერე, ხე ხომ არ

ვიყავი და, როგორც იმ ასაკში მოსალოდნელია, მე თვითონ შემიყვარდა კლარა. ვერც თვითონ ვატყობდი ამ მხრივ გულგრილობას ჩემს მიმართ და ერთ დღეს, სკოლიდან წამოსვლისას, არც ვაციე, არც ვაცხელე, გავუტყდი: მიყვარხარ-მეთქი. სიტყვა არ უთქვამს. ელოდა, არ ელოდა, გოგოს შენ გაუგებ? გულზე ორივე ხელებით მიიხუტა ჩანთა, თავი დახარა და ნაბიჯს მოუჩქარა. მეც დამუნჯებული მივყვებოდი გვერდით. „ეს რა სისულელე ვქენი-მეთქი“, ჩემს თავს ვტუქსავდი, „ვაითუ ხვალიდან ხმა აღარ გამცეს, ვაითუ სამუდამოდ დავაფეთე ეს შეჩვეული გოგო-მეთქი. მეთერთმეტეში ვიყავი მე მაშინ და კლარა მეათეში იყო. ოცდაცხრა ოქტომბერს მოხდა ეს ამბავი. სამშაბათი დღე იყო. მთელი ღამე ძილი არ მომკარებია. ვერ წარმომედგინა, კლარას სახლთან ჩამევლო და ჭიშკართან არ დამხვედროდა, თავისი ორსაკეტიანი, ყვითელი ჩანთით ხელში. იდგა, მელოდა. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო იმ დილით. ისევ ისე, როგორც გუშინ გამშორდა, გულზე – ჩანთაახუტებული და თავჩაქინდრული რომ მომიახლოვდა, თავისი უძირო შავი თვალები რომ მომანათა და „დილა მშვიდობისაო“, მითხრა. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. სხვა პასუხი მე რად მინდოდა. რა ძვირფასი იყო კლარა ჩემთვის იმ საათიდან, ამის თქმა შეიძლება? რა ასაკია მაინც დალოცვილი თხუთმეტ-ჩვიდმეტი წელი. უეცრად დავდინჯდით ორივენი თითქოს. კლარაც უფრო ფიქრიანი და წყნარი გახდა. მე რაინდად ვიგრძენი თავი. აბა, ვინმეს უბატონოდ სიტყვა გაებედა გერმანელი გოგოსთვის?! მშობლებს არ გაუგიათ ჩვენი ამბავი. რა ვიცი, იქნებ, ხვდებოდნენ, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდნენ. გავაგრძელო ახლა პირველი სიყვარულის ეს ლამაზი ამბავი? ახალი რა უნდა გითხრა, თქვენც გამოცდილი გექნებათ. ერთმანეთის ნახვას არაფერი გვერჩივნა, მომავლის გეგმებს ვაწყობდით, თუ სადმე მოფარებულში მოვიხელთებდი, გულზე მივიხუტებდი და ვკოცნიდი. ნეტაი იმ დროს, ამ კოცნის გემო, ხომ არავითარ სიტყვაში არ ეტევა. კი, ნამდვილად, უძლურია სიტყვა ყველანაირი გრძნობის გამოხატვაში.

სკოლა რომ დავამთავრე, ჯარში გამიწვიეს. მახსოვს, იმ საღამოს მეზობლები და ახლობლები რომ მაცილებდნენ, კლარამ რომ მამამისის პორტსიგარი მომიტანა საჩუქრად და გერმანულად ჩემსახელამოქარგული ცხვირსახოცი. რომ ვეღარ მოვითმინე, ყველას თვალწინ გულში რომ ჩავიხუტე და ორივეს ღვარღვალით ჩამოგვდიოდა ცრემლი, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ჩემს მშობლებს განვუცხადე – „ეს გოგო მიყვარს და რომ მოვბრუნდები, უნდა შევირთო-მეთქი“. „კაი, შვილო, როგორც შენ გაგეხარდება, კაი გოგოა, ჩვენც ნამეტანი მოგვწონსო“ მამაჩემმა. დედაჩემმა, ცხ-

ონებულმა, არაფერი მითხრა, გულზე მიიკრა ატირებული გოგო და თვითონაც ცრემლი მოერია. ასე დარჩა ჩემს მახსოვრობაში ბოლოს კლარა დედაჩემთან ჩახუტებული.

როსტოვთან იდგა ჩვენი ნაწილი. პირველ სამ თვეს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ერთ წერილს რომ შინ ვაგზავნიდი, ორს კლარასთან, თვითონაც დაუყოვნებლივ მპასუხობდა. რა სიამოვნებით გადავხედავდი ახლა იმ წერილებს, მაგრამ სადაა. რომ დამიჭირეს, ჩემებს სასწრაფოდ დაუწვავთ.

გამიგრძელდა სიტყვა, ხომ? მოგაწყინე ალბათ თავი, ჩემო გელა, ახლავე დავამთავრებ. ჯარში ჩემი ყოფნის მეოთხე თვეს კლარას წერილი მომივიდა. „გერმანიაში ვბრუნდებით საცხოვრებლადო. ყველაფერი ვცადე, რაც შემეძლო, მაგრამ არ გამივიდაო. დაწვრილებით დედაშენი მოგწერსო. შენი ნახვის იმედით ვიცოცხლებო. ფეხზე უფრო მყარად რომ დავდგები, ჩამოვალ და სიკვდილამდე შენი ერთგული ცოლი ვიქნებიო!“ თავზარი დამეცა, მაგრამ რას ვიზამდი. მერე დედაჩემის წერილი მივიღე. თავს იკლავდა თურმე წასვლის წინ კლარა, ეხვეწებოდა და ეღმერთებოდა მამამისს: „ნუ წამიყვანთ, დამტოვეთო“. წასვლის წინა საღამოს ჩემს სახლში მოსულა. ჩემი ოთახი დაულაგებია, ჩემს ძველ წიგნებს, ჩანთას ყველაფერს გულში იკრავდა თურმე. დავიწვით მისი საცოდავობით, დედაჩემი მწერდა. ერთი პირობა შეყოყმანებულა მამამისი, დავტოვებო, უთქვამს, ჩემი მშობლებიც, რა თქმა უნდა, დათანხმებულან, მეორე დილითვე გავარდნილან სადაც საჭირო იყო, მაგრამ ვინ დატოვებდა კლარას. ჯვარდაწერილი რომ იყოს, შეიძლებოდა, ახლა კი ამაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

წავიდა და წავიდა, დაიკარგა და დაიკარგა ჩემთვის კლარა. არც ამბავი და არც ხაბარი. ვინ იცის. იქნებ მომწერა კიდეც. მაგრამ იმ წლებში საზღვარგარეთული ფოსტა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენნაირი უბრალო ხალხისთვის, არ მუშაობდა. ჯარიდან რომ დავბრუნდი, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, კვახჭირში გამამწესეს სკოლის დირექტორად, ორიოდე წელიც ველოდე კლარას ჩემი ჭკუით, და ბოლოს, ზედ ომის დაწყების წინ, ცოლი შევირთე.

ომში არ წამიყვანეს. სკოლის დირექტორებს, მოგეხსენება, ჯავშანი გვქონდა. ზურგში ვმუშაობდი, რაც შემეძლო დღე-ღამეს ვასწორებდი. სკოლის გარდა, რაიკომშიც ვმორიგეობდი, გამწვევი პუნქტის ორგანიზატორიც ვიყავი, ომში დაღუპულთა ოჯახების მიმხედავი კომისიის თავმჯდომარეც, დამზადების აგენტებსაც დავყვებოდი, ფრონტზე გასაგზავნი სურსათ-ნივთების შემგროვებლად. ერთი სიტყვით, როგორც ყველა შინდარჩენილი, ჩართული ვიყავი საქმეში.

ორმოცდახუთი წლის იანვარში დამაპატიმრეს-მეთქი, უკვე გითხარი თავიდანვე, შეიძლება კაცი არაფერში არ იყო დამნაშავე და ვინც დაგაპატიმრა, ისინიც მართლები იყვნენ? ასე იყო ჩემი ამბავი. თავს ვიმართლებდი, რაც შემეძლო, მაგრამ რომ გამასამართლეს, იოტის ოდენადაც გული არ დამწყვეტია იმათზე, ვინც ციხე მომისაჯა. დაპატიმრების მეორე დღესვე გამომძიებელმა ჯერ ჰიტლერის გერბიანი ქაღალდი დამიდო წინ. იმ ქაღალდზე საქართველოს მომავალი საბურგომისტრო ახალი მთავრობა იყო ჩამოწერილი. გერმანული იმდენი კი ვიცოდი, იმ ქაღალდის შინაარსში ჩემით გავრკვეულიყავი. ფაშისტებს საქართველო, თავიანთ ჭკუაში, უკვე აუღიათ, გერმანიის იმპერიის ერთ პატარა გუბერნიად გამოუცხადებიათ და იმპერიის განსაკუთრებით ერთგულ პირთაგან მთავრობის კაბინეტიც შეექმნათ. იმ სიაში დასავლეთ საქართველოს სამამასახლისოს ერთერთ უფროსად ჩემი გვარიც ეწერა. მაშინ მე, რასაკვირველია, ჰიტლერის მწვანე საქაღალდეზე არაფერი ვიცოდი. სინამდვილეში ახლა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საბურგომისტროს ფაშიზმი დროებით ქმნიდა, საბოლოო მიზანი საქრათველოს განხალხება და ქვეყნის დასასვენებელ პუნქტად ქცევა იყო. ჭკუიდან შეშლას ცოტა დამაკლდა, საიდან? როგორ? რა მინდოდა ფაშისტების ერთგულ კაცთა სიაში? ან რა შემატყვეს ერთგული ბურგომისტრის იმ ძაღლთა-პირებმა. რასაკვირველია, აღშფოთებით განვუცხადე გამომძიებელს. „ეს დოკუმენტი გერმანელთა მორიგი პროვოკაციაა, რომ ერთგულ კომუნისტებთან თქვენვე ანგარიში გაგასწორებინონ-მეთქი“. „არაო, ეს დოკუმენტი ვლადიკავკაზიიდან გარეკილი გერმანელების შტაბში აღმოჩნდაო“. „ეს ვითარებას არ ცვლის-მეთქი“, დავიჟინე. მაშინ გამომძიებელმა იმავე შტაბში ნაპოვნი მეორე ქაღალდი დამიდო წინ. ეს გახლდათ კლარას მიერ ჩემთვის ქართულად მოწერილი ბარათი. „ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ამჟამად ჰიტლერის გენერლის მეუღლე ვარო“, კლარა მწერდა, „არ გეგონოს, ერთი წუთით დამავიწყდით შენ და ქუთაისიო. რომ იცოდე, როგორ მინდა, თუნდაც ერთხელ თვალი შეგავლოო. არ ვიცი, მიიღებ თუ არა ამ ბარათს, გჯეროდეს, მე შენთვის ვლოცულობო. პოლიტიკის გარეშე მდგარ ქალს აქედან რა შემიძლია გაგიკეთო, მაგრამ ჩემს ქმარს ვთხოვე და ყოველივე შემწეობას აღმოგიჩენენო. ძალიან გთხოვ, არ გაუძალიანდე შენებურად და შემოთავაზებულ სკამზე უარი არ თქვაო. იცოდე, არ არსებობს ახლა დედამიწაზე გერმანიის მომრევი ძალა და წინააღმდეგობას ნუ შეეცდებიო. შენ რომ ამ ომში დაიღუპო, ჩემზე უბედური ქალი ამქვეყნად არ იქნებაო. იმედი მაქვს, შევხვდებით ერთმანეთსო“.

ამას რომ ვკითხულობდი, გერმანელები უკვე განდევნილი იყვნენ ჩვენი ქვეყნიდან და კანიბალთა დარჩენილ ურდოებს ჩვენი ჯარები საკუთარ ბუნაგში მოსაშთობად მიერეკებოდნენ.

...სასჯელი რომ მოვიხადე, მადლობა ღმერთს, საშუალება მომცეს, ჩემი გარჯით დამემტკიცებინა, რა სულის კაცი ვიყავი და რა თვალებით ვუცქერდი ამ ქვეყანას.

ახლა, ალბათ, ფრაუ კლარას და მისი გერმანელი ქმრის (უფრო ქმრის) ძვლებიღა იქნება მიწაში, მაგრამ, რომ გავიხსენებ, შიში გამკრავს გულში, მართლა რომ გამწყრალიყო ღმერთი, უკუღმა დატრიალებულიყო დედამიწა და კლარას მფარველობით ბურგომისტრობა შემოეთავაზებინათ, ხომ უნდა მომეკლა თავი?

აღაც მახსოვს, რატომ მოგიყევი ეს ამბავი. ჰო, ალბათ იმის სათქმელად, რომ კაცმა არ იცის, სად ჩაგისაფრდება ხიფათი და რანაირად შეგიტრიალებს შენგან დამოუკიდებელი მიზეზი ცხოვრებას.

ერთი გენიალური ანდაზაც გვაქვს ქართველებს: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“.

* * *

სარედაქციო ფოსტაში ერთ მოთხრობას წავაწყდი. რაკი უცნობი ავტორისა იყო, ჯერ გულგრილად დავიწყე კითხვა. მერე ისე შემიყოლია, თვალი ვერ მოვწყვიტე. „გიგილო“ ერქვა.

„ეს ამბავი ოცდაათი წლის წინათ მოხდა; ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. არ დავმალავ, ჩვენ, მწერლები, ხანდახან, ათასი მიზეზის გამო, მოქმედების ადგილსა და თარიღს გადავწ-გადმოვწევთ ხოლმე, ისე როგორც საქმეს მოუხდება. ეს ამბავი კი ზუსტად ოცდაათი წლის წინათ მოხდა – ათასცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. ზუსტად-მეთქი უფრო იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის ცხრამეტი იანვარია.

ქალაქ მუჟუჟიას აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებში ოცდაათიოდე წლის, თეთრმოსასხამიანი, ელამი ახალგაზრდა გიგილო ცხადაძე შევიდა და მდივანს ჩუმად, შინაურივით. ჰკითხა.

– ბევრი ჰყავს ხალხი?

– არავინ არ ჰყავს, მარტოა.

გიგილოს მდივანი გოგონას პასუხი გაუკვირდა და არც მოეწონა. ურჩევნოდა, ეთქვათ, „დაკავებულია“, „ბევრი მთხოვნელი ჰყავს“, „დღეს ვერ მიგიღებთ, სხვა დროს მობრძანდითო“. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისაღებებში ამგვარი პასუხები უფრო ბუნებრივად ჟღერს. მეორეც, გიგილო მიჩვეული იყო გაბრძოლებების შემდეგ

შესვლას დიდ კაცთა კაბინეტებში. ჯიუტად მოიცდიდა, წყენას ხმამაღლა გამოთქვამდა, ამასობაში სათქმელსაც უკეთ მოიფიქრებდა და შესვლისას პირველი სიტყვაც მზად ექნებოდა: „ძლივს შემომიშვეს, ბატონო, თქვენთანო“. ახლა კი, რაღაც, ისე გამოდის, „როგორც ჩანს, თავმჯდომარე არავის ღებულობს“, გაიფიქრა.

გიგილო ფანჯარასთან მივიდა. აღმასკომის დარაჯი, ყოფილი ლოთი ბოკერია ხეებიდან თოვლს ბერტყავდა. ტოტს რომ დაიქნევდა, განზე გახტომას ლამობდა, მაგრამ ვერ ასწრებდა და მზედაღვრილი თოვლი თავზე ბრწყინვა-ბრკიალით ეფრქვეოდა.

– შეხვალ? – ჰკითხა მდივანმა გოგონამ.

– შევალ, თუ შემიშვებ. მოახსენე, ცხადაძეა, პირად საქმეზეთქვა.

– არ უნდა „მოხსენება“, შედი და შენ თვითონ უთხარი.

გოგონამ რუხ საქაღალდეს პირი მოუკრა, კარადაში შეჩურთა, წამოდგა, ჩამოჩაჩული ქვედაკაბა გაისწორა და კარი გაუღო.

აღმასკომის თავმდჯომარედ იმხნად პიმენ როხვა მუშაობდა. პიმენი ათას ცხრაას სამოცდაერთ წელს, ყველასაგან მოულოდნელად, მაკულატურის შემგროვებელი კანტორის უფროსად გადაიყვანეს. ექვსი თვის შემდეგ დაიჭირეს და მხოლოდ წელიწადნახევარი იჯდა. განთავისუფლების შემდეგ არქივს განაგებდა და ახლაც იქ იქნებოდა, შარშან, ზამთარში თივით დატვირთული მანქანა რომ არ დაჯახებოდა და არ გარდაცვლილიყო.

არსებობს ეგრეთწოდებული თავმჯდომარული ალღო, რომლის მეშვეობითაც თავმჯდომარეები ხშირად ხვდებიან მთხოვნელის შემოსვლის მიზანს, ერთს ახედავენ და, თითქოსდა, სტუმარს შუბლზე ეწეროს, რა საკითხზეა მოსული, თავმჯდომარეები ამოიოხრებენ და გუნებაში უარიც მზადა აქვთ. მერე რაც ხდება, თვითდინებით მიმდინარეობს, თითქოსდა გრძნეულმა რეჟისორმა სამუდამოდ დააკანონა უმკაცრესი სცენა: შენ ცდილობ, რაც შეიძლება გულისამაჩუყებლად სთხოვო; ის ცდილობს რაც შეიძლება უსაფუძვლოდ მოგაჩვენოს შენივე სათხოვარი და ბოლოს თუ „უარი არ გეყო“, ყალბი დაპირებით გამოგისტუმროს. მთხოვნელებს ამ ბოლო დროს სწორი დასკვნები გამოაქვთ ამგვარი შეხვედრებიდან და კაბინეტის მესვეურის რამდენიმე საეჭვო ფრაზას: „ვეცდებით, გამოიარეთ, დავსვამ საკითხს, მოვეთათბირები ამხანაგებს. მე პირადად ხელს არ შეგიშლით, პირიქით, რაც შემიძლია, ხელს შეგიწყობთ“... გამოსვლისას ერთბაშად, ერთი სიტყვით აფასებენ: „უარი მითხრა“.

ეს ყოველივე სიტყვას მოყვა. მკითხველს კი ვთხოვ, მხედველობაში იქონიოს, რომ ეს ამბავი ოცდაათი წლის წინათ მოხდა და

გიგილო ცხადაძეც არ გახლავთ მთლად ჩვეულებრივი მთხოვნელი. ასე რომ იყოს, რასაკვირველია, ეს ნოველა არ დაიწერებოდა.

პიმენ როხვამ იცნო სტუმარი, მაგრამ მეტს ვერაფერს მიხვდა. წამოუდგომლად გაუწოდა მარჯვენა, მარცხენათი სკამზე მიუთითა და სანამ გიგილო დაჯდებოდა, დროის მოგების მიზნით ჰკითხა:

– თქვენ ხომ იყავით ჩემთან?

– კი, ბატონო, – დაეთანხმა გიგილო.

– მერე? კიდევ არ გაკეთდა ის საქმე? რა საქმე იყო? გამახსენე, თუ კაცი ხარ, გადამვარდა გულიდან.

ცხადაძემ თვალი შეავლო თავმჯომარის დაღლილ სახეს, შეტრუსულივით მოკლე და გახუნებულ წარბებს ზემოთ, შუბლზე აწეულ სათვალეს, ყბასმიჭირებულ, ბალანმორეულ ხელისზურგს და მუჭში ჩაახველა.

– თქვენ თვითონ დამიბარეთ, ბატონო პიმენ, ნაახალწლევს, თუ გახსოვთ.

– ეგ როგორ არ მახსოვს, რაზე იყო მაგი?

– რაი?

– თვითონ საქმე გამახსენე.

– მამაჩემის საქმე იყო, – თითქოს და განგებ ძუნწსიტყვაობდა სტუმარი.

– ჰო, რა მამაშენის?

– რეაბილიტაციის საქმე.

– გვარი მითხარი, – თავმჯდომარემ უჯრა გამოსწია. გრძელი, რუხი ბლოკნოტი ამოიღო და წინ დაიდო.

– ცხადაძე შერმადინი, – შეაშველა მოსულმა.

– მოიცა, ცხადაძე, ცხადაძე შერმადინი. აგერაა, განათლების განყოფილებაში მუშაობდა, გოდოგან-კვახჭირ-საყულიის ზონა ებარა, პროფესიით ისტორიკოსი, ხომ მართალია?

– კი, ბატონო, ეგ არის.

– მერე? – თავმჯდომარემ ბლოკნოტი დაკეცა და უჯრაში ჩააბრუნა.

– ვიყავი იქანა, მაღალმა, ბობრმა კაცმა მიმიღო, ცალი ხელი პროტეზის ჰქონდა. გვარი არ უთქვამს. ამოატანია საბუთები. დიდხანს აქნია თავი და მერე მე მომიბრუნდა: ოცდაერთში გამოიარე, მანამდის კომისია განიხილავს და მოგვცემს თავის დასკვნასო. დღეს რა რიცხვია? ცხრამეტი ხომ? ზეგ უნდა მივიდე.

– გაკეთებულა საქმე, – პიმენი წამოდგა და წეღანდელზე უფრო ღონივრად, საზეიმო იერით ჩამოართვა ხელი. გიგილომ ხელი გაინთავისუფლა და კვლავ სკამზე დაეშვა.

– სათხოვარი მაქვს, პიმენ ბატონო, თქვენთან.

– ჰო, გისმენ, – თავმჯდომარემ მუშტები ერთმანეთს დააწყო და ზედ ნიკაპი ჩამოადო.

– არ შეიძლება ეს საქმე გავაჩეროთ?

– რა საქმე?

– მამაჩემის რეაბილიტაციის საქმე. მაქვს მე უფლება, უარი ვთქვა მამაჩემის რეაბილიტაციაზე? თუ მაქვს?

პიმენი გველცემულივით გაქვავდა. კარგა ხანს მონუსხულივით უყურა ცხადაძეს, მერე სათვალე ჩამოიწია და მოსულს უფრო ყურადღებით დააკვირდა.

– ხვარ გადაირიე, ბიჭო, შენ?

– არა, ბატონო, სრულ ჭკუაზე ვარ. თუ შეიძლება თქვა. რომ მოვდიოდი, ქე ვიცოდი, დაახლოვებით, რა პასუხს მეტყოდით. შენთვის არც დასჯა უკითხავთ, ჩემო ბიძია, და არც რეაბილიტაციას გკითხავენო, მარა მამაჩემის შვილი ხომ ვარ მე?

– კი, – თავმჯდომარეს თითქოს წამოცდაო.

– ჰოდა, ხომ შეიძლება შვილს თავისი აზრი ჰქონდეს მამის რეაბილიტაციაზე?

– აპა, აპა, – კვერი დაუკრა თავმჯდომარემ, წამოდგა და შავი ჩექმების ჭრაჭუნით კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

– თუ შეიძლება, დაბრძანდით აგერ და მომისმინეთ პატარა ხანს. თავგახურებული მთხოვნელი რომ არ ვარ, თქვენც ქე ხედავთ, – გიგილო ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკნა, მაგრამ ფერდაკარგული ტუჩები ამჟღავნებდნენ მის შინაგან მღელვარებას, – ღამეები არ მძინავს იმაზე ფიქრით, რაც ახლა უნდა გითხრათ. მომისმინეთ, ბატონო, და, თუ სისულელეს ვიტყვი, მითხარით, სხვასთან არ გაიმეორო-თქვა. მე არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ამნაირი ლაპარაკის უფლება. ერთიერთზე გელაპარაკებით ამიტომ და სხვა დანარჩენი თქვენს სინდისზე იყოს.

პიმენ როხვა სკამზე გვერდულად ჩამოჯდა. გამოღებული უჯრები შესწია. მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მაჯა მოუსვა და გვერდზე მიაჩოჩა, სათვალე დაკეცა და ჭაობისფერი კიტელის გულისჯიბეში ჩაიდო. ამას რომ აკეთებდა, გიგილოს თვალს არ აშორებდა, რა ჯურის მთხოვნელი არ ახსოვს თავმჯდომარეს, მაგრამ ასეთ საქმეზე მასთან არავინ შემოსულა.

– ა, ბატონო, დავჯექი და გისმენ.

– მამაჩემი რომ წაიყვანეს, ცხრა წლის გახლდით მე, – გიგილო ცხადაძე რკინისბადიან ფანჯარას თვალს არ აცილებდა, ოდნავ მოგუდული, გაბზარული ხმით ლაპარაკობდა, – მეორე კლასის მოწაფე ვიყავი. ამ ხნის ბავშვს, რაც შეიძლება დაამახსოვრდეს, ყველაფერი მახსოვს. იმ უბედურ ღამეს რამ გამომაღვიძა, ვერ გეტყვით. მამა-

ჩემი იცვამდა და ხანდახან შუა კარებში თვალგაშტერებით მდგარ დედაჩემს რაღაცას ჩაულაპარაკებდა. მაგიდასთან ორი უცნობი კაცი იჯდა. ისინი ჯერ ერთმანეთს შეხედავდნენ და მერე შეთანხმებულებივით ჭერს ააჩერდებოდნენ. ნიფხვისამარა რომ წარვუდექი ამ კამპანიას, მამაჩემმა თავზე ხელი გადამისვა და დედაჩემს წყრომით ჩაულაპარაკა: – ხომ გითხარი, ნუ გააღვიძებ ბავშვს-მეთქი. ხვალის გაკვეთილები ნასწავლი გაქვს, ბაბაია? – ახლა მე მომიბრუნდა. – კიე, – ვუპასუხე, დედაჩემთან მივედი და იდაყვზე ლოყით მივეყრდენი. არ მომეწონა მისი დუმილი. მკლავჩახვეული იდგა და ბუხრისთავზე შემოდებულ ლამპას შესცქეროდა. „კი მარა, ამ შუაღამისას რაზე ვეძახითო, არ გითხრეს? ერთი საათის მოსული ვარ გოდოგნიდან. დაწყებით სკოლას ლარძაყინები გამოვუცვალეთ. თავზე თუ არ დაადექი, ვინ გიმუშავებს ამ ყინვაში, არა და ჩამომპალი იყო მთლად, შეიძლება ბავშვებს ჭერი თავზე ჩამოქცეოდათ“. – მაგიდასთან მიმჯდარ სტუმრებს ელაპარაკებოდა მამაჩემი და სერთუკის ღილებს იკრავდა. „ჩვენთვიზა არ უთქვიათ არაფერი. რაცხა ორ სიტყვას ვკითხავთო და ქე გოვუშობთ სახლშიო“, – დედაჩემს შეხედა დიდთავა სტუმარმა. – „წავედით, მანქანით ხართ“? – მხნედ იკითხა, მამაჩემმა. „არა“, – უპასუხეს სტუმრებმა და ზლაზვნით წამოდგნენ. „დაიძინეთ ახლა თქვენ. კარს ურდულზე ნუ ჩაკეტავ, ისე მიუგდე. მოვბრუნდები საათნახევარში და გამოვიძინებ, თვარა აღარ ვივარგებ ხვალ. შენ ბავშვის ოთახში დაწექი. არ შეეშინდეს მაგას“. – შუაში არ ჩაუყენებიათ, ისინი წინ წავიდნენ, მამა მიჰყვათ. „შიგნით თბილი ჩეიცვი?!“ – მიაძახა დედაჩემმა; ეს იყო დამშვიდობებაც და ყველაფერი. „კი, თბილად ვარ!“ – ჭიშკრიდან უპასუხა მამაჩემმა და სიბნელიდან, იქნებ, ხელიც კი დაგვიქნია, მაგრამ ჩვენ არ დაგვინახავს. აივანზე მდგართ არეული ნაბიჯების ხმა გვესმოდა მხოლოდ და როცა ის ხმაც მიწყდა, დედაჩემი მომიბრუნდა: „უი, ჩემი სიკვდილი, ასე ტრუსისამარა გამიგონია, დედა, გარეთ გამოსვლა? შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, სად გსდიო კუდში, წამოი, წამოი, დეიძინე. ბაბაია მალე მოვა“.

იმ ღამეს დედაჩემი ფლანელისხალათისამარა დილამდე იჯდა ჩემს საწოლთან, ცალ ხელს კეფაზე მისვამდა, მეორე კბილ-ნიკაბზე ჩამოედო და, კედელსმიყრდნობილი, ფანჯარას მიშტერებოდა. დილისკენ ცოტა წამთვლიმა და რომ გამომეღვიძა, დედა ისევ ისე იჯდა.

აღარ მინდა ახლა იმის მოყოლა, რაც მერე დატრიალდა ჩვენს თავზე. ჯერ ერთი, ახალი არაფერი იქნება თქვენთვის, ბევრჯერ გექნებათ მოსმენილი. თან არც მე მინდა გავიხსენო. რა გასახსენებელია. რაც მეტი დროის მტვერი დაეყრება ამ ამბავს, უკეთესია ჩემთვისაც და თქვენთვისაც.

ოცდაათის ვხდები ახლა აგერ, თოთხმეტ თებერვალს. უმცროს ამფეთქებლად ვმუშაობ გზა-ხიდ-გვირაბის ტრესტში. ახლა ზევით-კენ ვართ. ქე გეცოდინებათ, ხვამლის გზას ვანგრევთ და ვაფარ-თოვებთ. გავიდა დრო, თითზეკბენები და დაჩემება რომ დავუწყო ახლა მე ვიღაცას სისულელეა, პიმენ ბატონო. ვინ იყო დამნაშავე, მამაჩემი რომ იმ ღამეს წაიყვანეს და გააქრეს? ერთი კვირის თავზე რომ ბინიდან გამოგვასახლეს და ბიძაჩემმა შეგვიკედლა (იქ ვი-ყავით შარშანდლამდე, შარშან ერთოთახიანი მომცა საგზაომ და ჯერჯერობით, ცოლ-შვილი არ მყავს, მე და დედაჩემი ქე ვეტევით, მერე, ალბათ, კიდევ იქნება რაღაც)? ვისი ბრალია, დედაჩემი რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს მაშინ და სანამ დაინვალიდდებოდა (ოცდათვრამეტი წლის ქალს პარალიჩმა დაარტყა), სამკერვალო ფაბრიკაში უთოზე მუშაობდა? ვისი ბრა-ლია, მე რომ კომკავშირში არ მიღებდნენ (ცხრამეტის შევედი) და შიშით გული მისკდებოდა, ჩვენს შესახვევში უცნობ, პლაშიან კაცს რომ დავინახავდი? ვის დავაბრალო? შენ? იმ ორ შტერ კაცს, მამა-ჩემი რომ წაიყვანეს იმ ღამეს?

თქვენ გგონიათ, არ ვიცი, რომ სხვაგან და სხვა დროს უარესებიც მომხდარა?! ისტორიის დიდ მოსახვევებზე რამდენი პატარა კაცი, ან თუ გნებავთ, რამდენი პატარა ქვეყანაა გაჭყლეტილა. სახელმწი-ფოები ქრება, ერები ქრება, მსოფლიოს რუკები იცვლება, ჩემო ბა-ტონო, თვალის დახამხამებაში, მაშინ, როცა ისტორია მოიქნევს თა-ვის ღონიერ ხელს და ჩვენ ვინ ვიყავით? განათლების განყოფილების საწყალი ინსპექტორი შერმადინ ცხადაძე კი არა, რამხელა თავები შეეწირნენ ეპოქის უშველებელი საცრის ჯანჯღარს – მაშინაც და მერეც. მეტი კი არაფერი წერია ისტორიის წიგნებში. მაკედონელის დრო ნახე? ნაპოლეონის დრო ნახე? რომის იმპერიას ჩახედე? ასე რომ, გაკვირვებით მე არაფერი მიკვირს. ის, ვინც ისტორიის საჭეს-თან დგება, რათ უნდა ლაპარაკი, თავის არსებობას დაიცავს და არც ბოდიშს მოიხდის ისტორიის წინაშე, თუ ყოველთვის თეთრი ხელ-თათმანებით და დიპლომატის თავდაჭერილობით არ იცავდა თავის სიმართლეს. მერე, რასაკვირევლია, დრო რომ გავა, ისტორია თავი-სას იტყვის, გაარკვევს, ვინ იჩქარა და ვინ არა. გაარკვევს, იყო თუ არა მართალი ის, რასაც ძალა ჰქონდა და რა მოუტანა იმ მუშტის ქნევამ ქვეყნას, მაგრამ პირუთვნელ ისტორიკოსს, ხომ ვიცით მე და შენ, პიმენ ბატონო, რომ ხშირად აგვიანდება იგი უმეტესწილად მა-შინ მოდის, როცა ვნებები დამცხრალია და ისტორიის ნანგრევებზე მწვანე ბალახი ამოდის.

დედაჩემს ხომ ასე მოექცნენ, მეც დიდხანს მიყურებდნენ ალ-მაცერად. არავინ ავალებდა ჩვენი სკოლის სამხედროს მასწავლებ-

ელს, მარა ცოტას რომ წავიეშმაკებდი, მაშინვე წამომძახებდა:„ვისი შვილი ხარ, კაცი რომ გამოხვიდეო“. მე რაც გამოვედი, ესა ვარ და თვითონ, მასწავლებელი კაცი, ქათმის ქურდობაზე დაიჭირეს შარშანწინ. მეზობელს ქათამი მოპარა და გოჭოურაზე რესტორნის მზარეულს მიყიდა. პატარა რომ ვიყავი, გითხრათ სიმართლე, გულში ვსაყვედურობდი ხშირად მამაჩემს, რომ მისმა საქციელმა ასე გაგვამწარა მთელი ოჯახი: ხმამაღლა რომ დავიჩივლებდი: „მე რომ კაი მამა მყოლოდა, სხვანაირად წავიდოდა ჩემი საქმე-მეთქი“, დედაჩემი ყურში წამავლებდა ხელს და ცრემლმორეული მეტყოდა: „გაჩუმდი, ბიჭო, არ იცი არაფერი შენ, ნუ პრუტუნებ სისულელეს. არ გყოლია ცუდი მამა შენო“.

რომ წამოვიზარდე, სხვანაირად ვუყურებდი ამ საქმეს. მამაჩემის გადარჩენილ სურათებს ხშირად ვათვალიერებდი. სარკესთან დავდგებოდი, სურათს გვერდზე დავიჭერდი და მამაჩემთან ჩემს მსგავსებას ვეძებდი. თმასაც ისე ვივარცხნიდი, როგორც შერმადინს ჰქონდა. ოცდარვა წლის ყოფილა მაშინ, მე ახლა უფროსი ვარ მამაჩემზე, რა დიდი მეგონა. ოცდარვა წლის ბიჭი ყოფილა, მეტი არაფერი. რამდენი მადლიერი კაცი ჰყოლია. რამდენმა გადამისვა თავზე ხელი და გულზე მიმიხუტა, როცა უთხრეს, შერმადინის ბიჭიაო.

მოგეხსენებათ, ქვეყანა დიდია და არც ჩვენ დავკარგულვართ. ჩვენც რაღაცას ვეწიეთ ამ ქვეყანაზე. მე და დედაჩემს სირცხვილი არ გვიჭამია და თავი არვის წინაშე არ დაგვიმცირებია. მუხლზე არ დავცემულვართ და პატიება არ გვითხოვია. მამაჩემის მერე არც პატარა უბედურებანი გაგვკვირვებია და არც კაცთა სიგლახე შეგვიცხადებია.

ჩემს გულში, პიმენ ბატონო, მამაჩემი, რომ დოვუკვირდი მის ხატებას და ამ ჭრელ ქვეყანას, ასეთ კაცად ჩამოყალიბდა: ოცდარვა წლის ბიჭმა, ქე უნდა იცოდეს, რა უნდა, ამ ცხოვრებასთან თავისი დამოკიდებულება გარკვეული უნდა ჰქონდეს. მამაჩემიც, ეტყობა, ყურბარტყუნა კაცი არ იყო. რაღაც რაღაცებზე თავისი აზრი ჰქონდა. მთლად ბოტი თუ არ იყო, არც ფარას ბრმად მიმყოლი ცხვარი გახლდათ. სურვილი ჰქონდა კაცს და მოთხოვნილება, ამბებზე და მოვლენებზე თავისი აზრი გამოეთქვა. ვიღაცა ჰყვარებოდა და ვიღაცა არ ჰყვარებოდა. მაშინ, როგორც ჩანს, თავისი აზრის ქონების დრო არ იყო. პატარა ფეხის არევას მწყობრში ზოგ-ზოგები დანაშაულად გითვლიდნენ და მამაჩემიც შეეწირა თავის აზრს, თავის შეხედულებას . მე არც კი ვიცი, მისცეს თუ არა მას საშუალება სიტყვით და საქმით დაემტკიცებინა, რომ არაფერი საშიში მისი გონებიდან არ წარმოდგებოდა, ქვეყნის გადატრიალების განზრახვა არ ჰქონია, უბრალოდ, ფიქრიანი კაცი იყო და

ავ-კარგის გარჩევას ხანდახან ხმამაღალი ფიქრით ცდილობდა. ეს კი არ აპატიეს.

ასეთ კაცად მყავს მე მამაჩემი ჩემს ჭკუაში დახატული და რომ გითხრათ, არ ვამაყობ შერმადინ ცხადაძით-მეთქი, არც უნდა დამიჯეროთ და ტყულიც იქნება. ოცდარვა წლის კაცმა, განათლების ახალგაზრდა მუშაკმა, შეძლო საკუთარი რწმენისთვის სიკვდილი. ეს ცოტას არ ნიშნავს, ბატონო პიმენ, და ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ საკითხში მე მამაჩემზე ბევრად სუსტი კაცი გახლავართ. ის რაც შერმადინმა შეძლო, მე არ შემიძლია. მე სხვანაირად გამზარდეთ და სხვა კაცი ვარ. საკმარისია, პატარა თითი დამიქნიონ, რომ ყველაფერზე უარს ვამბობ. დაჯინებით არაფერს ვიჟინებ, კამათებში არ ვერევი, ყველაფერზე მოგყვებით და ყველაფერში გეთანხმებით.

მისმენთ, ბატონო პიმენ? მაინც არ მინდა მამაჩემის სახე გამიუფერულონ, „გამიპუსტიაკონ“ და ჩემზე უფრო საწყლად მომაჩვენონ. იცით, იცით? ეს ჩემთვის ძალიან ცუდი იქნება. კიდევ უფრო დავბეჩავდები და ბეჩავი ვის უნდა? არ სჯობია, მიმაჩნდეს მე, მამაჩემი, თავისი, თუნდაც მცდარი ფიქრებისთვის დასჯილ კაცად, ვიდრე მივიდე ოცდაერთში და მითხრან: თურმე არაფერშუაში არ ყოფილა შერმადინ ცხადაძე იმ საქმესთან, მთლად უბრალო და საცოდავი ყოფილა. რომ იტყვიან, ტყემალზე მჯდარა. მთლად შეცდომით, ბრმად, არაფრის გულისთვის გაუფუჭებიათო?

გამიგეთ, რისი თქმა მინდა? მამაჩემი მტყუანი იყო თუ მართალი, ამას არავინ მეტყვის და არც მინდა, მაგრამ მინდა კი, რომ რაღაცას წარმოადგენდეს. იყოს, ბატონო, შემცდარი, მაგრამ სულ არაფერი იყოს? უბრალო, გაუგებარი, უცოდინარი, კრავივით უცოდველი, ცხვარივით მიმყოლი, ყველაფერზე ტაშის დამკვრელი კაცის გულისთვის ვეწამეთ მე და დედაჩემი კაი ხანს?

არა, ჩემო ბატონო, იყოს! შერმადინი, როგორც იყო აქამდე. რეაბილიტაცია აწი ვეღარაფერს უშველის. მე ნუ მიქცევთ ოცდარვა წლის მამაჩემს ჩვრად და ტუტად. იქნება მართლაც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მე არ ვღებულობ ასეთ უსახურ და უფერულ მამას. ძლივს დავხატე, ძლივს შევაკონწიწე, ძლივს მივედი შერმადინ ცხადაძესთან და შევინახო იგი, შვილმა ისეთად, როგორიც წარმოვიდგინე. თქვენ ეს არაფერში ხელს არ შეგიშლით. პირიქით, უკეთესია. მე გულის სიღრმეში ვიფიქრებ, რომ მამაჩემი შეცდა, შეცდომისთვის დასასჯელი იყო და იქნება ზომაზე მკაცრად, მაგრამ მაინც დაისაჯა.

ა, ეს არის ჩემი სათხოვარი. მაპატიეთ, არეულად ვლაპარაკობდი. ყველაფრის თქმა მინდოდა მომესწრო. იქნებ დაურეკოთ და

უთხრათ: შვილი უარს ამბობს მამის რეაბილიტაციაზე-თქვა. ვიცი, ეს ცოტა უცნაურად მოეჩვენებათ, მარა თქვენი იმედი მაქვს და თქვენ იცით, თუ არ გამაწბილებთ.

გიგილო რომ გაჩერდა, ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. პიმენმა ყველაფერი კარგად მოისმინა, მაგრამ არ იცოდა, რა გზას დადგომოდა. თავმჯდომარული „ვიმსჯელებთ, ვითათბირებთ“ და უყალბესი – „ვეცდებით, დაგეხმარებით“ – აქ აღარ გამოდგებოდა.

– ჯერ დავუცადოთ. იქნება ისეც არაა საქმე, ჩვენ რომ გვგონია. რა იცი, რა პასუხს გვაძლევენ, მოფიქრება უნდა ამ საქმეს.

– პასუხს რომ მოგვცემენ, გვიან იქნება, პიმენ ბატონო. არ მინდა, აღარ მინდა, გითხრათ სიმართლე, არც ისეთნაირი პასუხი მინდა და არც ასეთნაირი. მე რას გთხოვთ, იცით, გამიგეთ?

– კი.

– ჰოდა, ნუ მატკენთ გულს ერთხელ კიდევ. მამაჩემი საფლავში წევს და არ მინდა ვიღაცების გასაშავებლად მაგალითად ატრიალონ წაღმა-უკუღმა. მამაჩემის ყველაზე კაი რეაბილიტაცია ის იქნება, უდანაშაულო კაცს თუ აღარ გამოეკიდებით აწი მაინც და მართლის მთქმელს ლაგამს არ ამოსდებთ.

– რავა?

– არაფერი... ისე ვთქვი...

გარეთ გამოსვლისას კიბესთან ადგილობრივი გიჟი კუჭუხიძე შეეფეთა. კუჭუხიძეს კონსერვის ქილებზე მისაკრავი ქაღალდებისაგან გამოჭრილ სამხრეები ჰქონდა დაგლეჯილ პიჯაკზე დაკრული და მკერდზე, ორივე მხარეს, უამრავი, წახალისების ნიშანი უბრწყინავდა. რას არ ნახავდით აქ: მეფისნაცვლის ტემლაკებს, ნიკოლოზ მეორისგამოსახულებიან სამხედრო ჯვრებს, კავკასიის დამცველის მესამე ხარისხის მედალს, ალპინისტის, მოწყალების დის, დამკვრელი მეხანძრისა და ვოროშილოვის მსროლელის ნიშნებს. კუჭუხიძე ყოველდღე მოდიოდა აღმასკომში, „მორიგე ვარო“, ამტკიცებდა. ზემოთ, რომ თანამშრომლებს გულს გაუწყალებდა, სთხოვდნენ, ახლა ქვევით, კიბესთან იმორიგევეო, ჩამოდიოდა და საღამომდე კიბესთან „მორიგეობდა“.

...ეს ამბავი ოცდაცხრა წლის წინად მოხდა; ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. არ დავმალავ, ჩვენ, მწერლები, ხანდახან ათასი მიზეზის გამო მოქმედების ადგილსა და თარიღს გადავწ-გადმოვწევთ ხოლმე, ისე, როგორც საქმეს მოუხდება. ეს ამბავი კი ზუსტად ოცდაცხრა წლის წინათ მოხდა – ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი წლის ცხრამეტ იანვარს. ზუსტად-მეთქი, უფრო იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის ცხრამეტი იანვარია.

ჩანს, შეეშინდა ავტორს თავისი სახელისა და გვარის მოწერა და ფსევდონიმი „ძელქვიანელი“ მოეწერა. თავფურცელს მაშინვე წავაწერე „ნომერში!“.

* * *

– ბატონო გელა, მე ყოფილი ჩეკისტი ვარ. ყოფილი ჩეკისტი და თანაც წითელი ხელისუფლების დრო გამოვლილი, ვიცი ეს გარემოება უნდობლად განგაწყობს ჩემს მიმართ, მაგრამ ამ ამბავს იმიტომ გიყვები, რომ ყველა ერთი არშინით არ უნდა გაგვზომოთ.

...სამნი მივდევდით.

მართალია, ოცდაორი წლის ბიჭი იყო და მუხლი ჩვენზე მეტად უჭრიდა, მაგრამ ამდენს თუ შეძლებდა წელიწადნახევარს ნაჯდომი კაცი, არ გვეგონა.

ჯერ ღელე-ღელე იარა, კვალში რომ არ ჩავდგომოდით. მერე წისქვილთან რომ ვუყელეთ, ლერწმოვანში შევარდა და ორი საათი ჭყანტობი გვატოპინა. როცა დაგვლანდა, გზისკენ შეტრიალდა და ტრიფოლიატის ღობეს რომ გადაევლო, ლეიტენანტმა სორდიამ ესროლა.

დაიჭრა.

ფეხს მიითრევდა და მაინც გარბოდა.

ჭალისკენ დაეშვა და კვადაცის ბუჩქებში დურთა თავი.

ჯერ კვადაცის კუნძულს შემოვუარეთ. მარჯვნივ ტეხური ჩაუდიოდა, უკან პიტალო კლდე იყო. მხოლოდდამხოლოდ ჩრდილოდასავლეთისკენ შეეძლო გაძვრომა, მაგრამ ტყემდე მინდორი უნდა გაერბინა და ვერ წაგვივიდოდა.

ერთი სიტყვით, ხაფანგში გვყავდა.

ნარბენ-გასავათებულებმა სული რომ მოვითქვით, სორდიამ მიბრძანა:

– შედი, გამოათრიე!

სამთაგან ყველაზე უმცროსი გახლდით. ჩეკაში სულ ოთხიოდე თვის მისული. კომკავშირიდან გამიწვიეს. ასე რომ პირველი შესვლა მე მეკუთვნოდა.

ვიცოდით, იარაღი არ ჰქონდა, თორემ აქამდე გვესროდა; მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკივა მეთქი, ნაგანი ფეხზე შევაყენე და ხოხვით წავედი.

ბარდებში საკმაოდ ღრმად შემძვრალიყო და კურკანტელას ბუჩქს მოფარებოდა. პოვნა არ გამჭირვებია, სისხლის წინწკლებს მივყვებოდი.

ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

მუხლსზემოთ პერანგის ნახევი შემოეხვია. მარცხენა ფეხი შეეკეცა, მარჯვენა – დაჭრილი მოლზე გაემართა, სისხლიანი სახვევისთვის ორივე ხელი შემოეჭდო.

ჩემი კბილა ბიჭი იყო. შეშინებული, ფართო ცისფერი თვალებით შემომყურებდა.

– არ გამცე, თუ ძმა ხარ... დამხვრეტენ... მე არაფერი დამიშავებია... ვინტოვკას დავხარბდი.

– რას ჰქვია, დახარბდი.

– თერთმეტი ვინტოვკა გამატანეს ტყეში ქაქუცასთან. ათი მიეცი და ერთი შენ დაიტოვეო.

– სად აგიყვანეს?

– მარტვილთან, ტყეში. ერთი ტყვიაც არ გამისვრია.

– ძვალში გაქვს? – ფეხზე მივუთითე.

– რბილში. მგონი გადავრჩი... არ გამცე თუ ძმა ხარ...

– ვეცდები... ხომ იცი, მარტო არა ვარ.

– კაცი ყოფილხარ...

ჩვენს შორის მეტი არაფერი თქმულა.

გადაწყვეტილება პირველადვე, თვალებში რომ ჩავხედე, მიღებული მქონდა.

კვადაცის ბუჩქებიდან გამოვხოხდი და სორდიას ვაუწყე:

– არ ჩანს. შეიძლება წელან გარს რომ ვუვლიდით წყალში გადახტა.

სორდიამ გამჭოლი მზერა მესროლა. წკირს თავი წაატეხა და გადააგდო.

– გამორიცხულია. აქედან დაჭრილიც რომ არ იყოს, ვერ გადახტებოდა.

– რა ვიცი... ყველგან დავძებნე.

– კარგად ვერ დაგიძებნია. არსაც არ გასულა, მანდ ეგდება ეგ მამაძაღლი. არ უნდა ლაპარაკი – წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ჯირკსმიყრდნობილს თავზე წამადგა – თავი არ დაიღუპო შენ, ჯანაშია, ახალი კაცი ხარ ჯერ ჩვენთან და მითქვამს მე შენთვის...

განზე გავიხედე ცოტა არ იყოს შეშინებულმა.

– რა ვიცი... მე ვერ ვიპოვე და...

– ვერ იპოვე ხომ? შენს თავს დააბრალე, ბიძია, აწი ყველაფერი – გვიმრის თავი გაღეჭა და გადააფურთხა – გაგუა შედი, გამოათრიე ე ნავარი და ოხერი.

გაგუა ორმეტრიანი ახმახი სალხინოდან. სულ ორი კვირაა, რაც გავიცანი. თავი შავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული მოკლე შარვალი წვივებამდე წვდებოდა, შარვალს ქვემოთ ნიფხვის თასმები უჩანდა. თავისი სარგო ჩექმები ვერ ეშოვა და უშნოდ გაფლაშული წუღები ეცვა.

ერთი შემომხედა და ნადირის სუნდაკრული მეძებარივით შევარდა ბუჩქებში.

ოციოდე წუთი საუკუნესავით გაიწელა.

რას იზამს გაგუა.

გაგუამ ახლა მარტო გაქცეული პატიმარი კი არა, მეც უნდა შემიცოდოს.

ჩემი ბედიც ბეწვზე ჰკიდია.

ჩუ... მარტო მოდის... შენ გენაცვალე ბიჭო.

– არ არის არსად.

– რა? – სორდია წამოჯდა.

– გაპარულა.

– სად გაპარულა, გაგუა. რას ჩმახავ შენ, რომ აყუდებულხარ ყანჩასავით!

– ვეძებე რაც შემეძლო და...

– ვერ ყოფილხარ, კარგი მძებნელი, გაგუა, შენ.

გაგუამ არ უპასუხა.

– მე გამოვათრევ, მე თვითონ, რახან ასეა... მაგ ძაღთაპირს და ხალხის მტერს მე მოგიძებნით ახლავე და თქვენ მოგივლით მაშინ როგორც საჭიროა!

ნაგანი შემართა კვადაცს წიხლი ჩააზილა და შევარდა.

გულს ბაგა-ბუგი გააქვს.

ნერვიულობისაგან პირი მიშრება.

ყურში რაღაც მიწუის.

ჯერ იმ საცოდავ ბიჭს დახვრეტს, მერე ცხელ გულზე, რა ვიცი, რას მოიმოქმედებს, შეიძლება ჩვენც მოგვიღოს ბოლო.

უკეთეს შემთხვევაში ციხე არ აგვცდება.

განგაშის ზარი საფეთქელთან რეკავს.

გაგუას გავხედე.

მშვიდად ზის.

– იპოვის? – ვეკითხები.

– რა პოვნა უნდა – სხვისი ხმით, ყრუდ მპასუხობს.

აი, ახლა გავიგონებთ სროლის ხმას... აი, ახლა... აი ახლა გამოვა სორდია, აბოლებულ ნაგანს სულს შეუბერავს, კოპებშეკვრით შემოგვხედავს და გვეტყვის.

– გაპარულა ხომ? აბა ადექით ორივე და დადექით თხმელასთან! რევოლუციის სახელით ორივე უნდა დაგხვრიტოთ!

– ხომ არ გავიქცეთ? – გაგუას ვეუბნები.

– სად წახვალ.

სორდია გამოსვლას აგვიანებს.

ღმერთო, შენ გვიშველე.

როდის როდის გამოვიდა. ნაგანი ხელში არ უჭირავს, წინ ქამართან გაურჭვია.

არაფერს ამბობს.

ფეხზე წამოვიჭერით და სმენაზე გავეჭიმეთ.

– წავედით.

მე და გაგუამ ერთმანეთს გადავხედეთ.

სორდია წინ მიდის, ჩვენ უკან მივყვებით.

მარსელის მინდორი გადავჭერით, თამაკონთან ბონდის ხიდზე გავედით.

სორდია ხმას არ იღებს.

მზე კისერში გვაჭერს.

საყელო გავიხსენი.

ახლა ვიგრძენი რომ ოფლისაგან მაზარა ტყვიასავით დამძიმებულა.

„ხომ არ მიასიკვდილა ის საცოდავი ბიჭი?“

„გამორიცხულია“.

„სროლის ხმას გავიგონებდით“.

მიკოტახილის ვიწროები რომ გავიარეთ, შეგვაჩერა:

– თქვენი საქმე თქვენ იცით, ბიჭებო, და მე ხვალიდან აღარ ვიქნები ამ სამსახურში... ჩეკაში ჩემი გულის კაცი არ უნდა მუშაობდეს, დღეს დავრწმუნდი ამაში მე... ჩვენს შორის დარჩეს ეს ყველაფერი... კუჭი მაწუხებს მგონია. კარგად იყავით.

კბოდეს ჩაუყვა, ციხე-გოჯთან ხიდზე გავიდა და გაღმა თეთრკვამლიანი სახლებისკენ წავიდა.

ამის მერე, ერთი თვეც არ იყო გასული, მე და გაგუაც წამოვედით ჩეკადან.

* * *

– რამ შეგაწუხათ ქალბატონო?

– იყალთოდან გახლავართ. დავიწყო?

– გისმენთ ყურადღებით.

– ინგრეთი ხიფათიანი ვარ, ინგრეთი უცნაური ყისმათი დამყვა, ხანდახან ონკან რომ მოვუშვებ და წყალი წამოვა, ისიც მიკვირს, ქა. წყალია მეთქი, ბავშვივით გავიხარებ. მა რა დოზანა უნდა წამოვიდეს ონკანიდანა, მაგრამ, ხომ გითხარი, უცნაური ბედისა ვარ. ეგრე მგონია დაბადებიდან ვიღაც დამდევს და წაღმა ნარჩევს უკუღმა მიბრუნებს. თითქოს მათამაშებს, ქა, თავის ჭკუაზედა. მათამაშებს მეთქი, მითვინ ვამბობ რო, ხიფათს შემამთხვევს, გასაკვირს დამმართებს, მაგრამ ბოლოში განირვით არ გამწირავს,

ბოლოს მაინც დამინდობს ხოლმე, ი დალოცვილი. ამიტომაც ცოტა არ იყოს არხეინადა ვარ. ვიცი რაც უნდა ჩაიხლართ-ჩაიბურდოს წუთისოფელი, ბოლოში გასწორდება, ბოლო კეთილი აქვს. ეტყობა ერთი ხუმარა ანგელოზი მაზის ბეჭზედა, ზოგჯერ გასართობ რასმე გამამიგონებს, გადამრევს, გამაოგნებს და მერე თვითვე გადამარჩენს ხოლმე, ვენაცვალე იმის სახელსა.

შვიდი დედმამიშვილიდან მეშვიდე გახლავართ, ნაბოლარაო რომ იტყვიან. სამწლინახევრისა ვყოფილვარ, სოკოზე წავუყვანივართ სამ დასა – უფროსებს, რასაკვირველია, მაგრამ არც ისე უფროსები იყვნენ, რო დიდი ჭკუა მაჰკითხოდათ. ნადიკვარი გაღმა, ტყეში წავუყვანივართ სოკოზედა. ბალღობაში ერთი ცეტი და მოუსვენარი ვყოფილვარ. ვერცხლისწყალივით ვხტოდი თურმე, ქა, აქეთ იქითა. ჩემებიც მე მგვანან, თუმცა, არც მამა ჰყავთ ძალიან დაწყობილი. ისიც კარგი ცეტი-უქიქინე ვინმეა.

ჰოდე, იმაი ვამბობდი, სოკოი ძებნაში, ინგრე მოხდა თვალი წამით მომაცილეს ჩემმა პატიოსანმა დებმა; მეც დრო ვიხელთე. გავძვერ-გამოვხოხდი უპატრონო ვარიასავით ბუჩქებში და შორ ვერ წავიდოდი მაგრამა, იმდენი კი ვქენ, ამათ ვეღარ მიპოვეს. მე ეგ ამბავი ბუნდოვნად მახსოვს, მონაყოლით ვიცი და ვერც მოგატყუებთ; ჩემი დები რო მეძახდნენ, მესმოდა და ხმაი არა ვცემდი, თუ ტყეში შეშინებულ-გაბუსუნებულს აღარაფერი მეყურებოდა, ან იქნებ ხმის ამოღების თავიც აღარა მქონდა.

მობრუნებულან აჩხავლ-აზლუქუნებული ჩემი დები შინა. ენგრე და ენგრეო, ჭუტაი (ბავშვობაში ჭუტას მეძახდნენ) დაგვეკარგაო. ძებნით სუ წვივები გადავიტყავეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთო. გამგელებია სახე მამაჩემსა, დედაჩემმა თურმე ინგრეთი კივილი მორთო, მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ჯეელ-ხეიბრიანა. გამამდგომიან ქუდზე კაცი. მთელი ღამე ამაოდ მეძებდა სოფელი ტყეში მაშხალა-ჟინჟღლებითა, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ჩემს კვალ ვერ მიაგნეს. მეორე დღეს ალაზანზე ჩასულან იქ რომ სამხედრო ნაწილი დგას, იმათთვინ მიუტირ-მიუბღავლიათ – ტყეში მეორე დღეა ბალღი გაგვებნა, იქნებ თქვენ გვიშველოთო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეოთხე დღეს დილით ალიონზე სალდათი ძაღლმა მიპოვა, მისავათებულ-მიმკვდარი ქა, სამი დღის უჭმელი; წყაროი-პირას ბუჩქებში მისვენებული. გრძნობაზე, თურმე, არცა ვყოფილვარ. მეორე დღეს საავადმყოფოში დამბრუნებია აზრი (რა აზრიც შეიძლება სამნახევარი წლისას ჰქონდეს). ან აფთარმა როგორ არ დამგლიჯა, ან ტურა-მგელი როგორ არ გადამეყარა. სანამ ძალა მქონდა, ხომ ვიტირებდი და ვიჩხავლებდი, ან ღამით სად მეძინა ინგრეთ ადგილას, ქვეწარმავალმაც ახლოი

რომ არ გამიარა, ან როგორ არ გავცივდი. ხომ გეუბნებიყე, მე თითქმის არაფერი მახსომს.

სულ ინგრე, ბედის ოინბაზობაში, უცნაური შემთხვევების სალტოტრიალში მიდის ჩემი ცხოვრება. ახლა ჩემი გათხოვების ამბავ არ იკითხამთ? ეგეც ერთი დასაწერი რამეა.

ოცდარვა ენკენისთვე იყო, რა დამავიწყებს. ისის იყო ცხრამეტისა შავსრულდი. ოცდახუთ ენკენისთვეს ვარ დაბადებული. გამოვეწყე, რაც მქონდა გამოსაწყობი და ჩემ თავ იმით მაინც დავასაჩუქრებ – თელავში გავივლი მეთქი. ენგრე მარტოკას მიყვარდა ხოლმე გავლა ქალაქში. ჩვენი სოფელი – იყალთო თელავიდან ხელის გაწვდენაზეა. ხუთი კილომეტრიც არ იქნება. ნიაღვრიქუჩის დასაწყისში ფოტოგრაფ შაქროს დუქანთან ვიღაც ახმახი ხევსური დათვის ბელს ათამაშებდა. მეც დავდექ და ვუცქერი სხვებთან ერთად. გავერთე ქა, ახლაც მახსომს; ძალიან საყვარელი, ფუმფულა დათვის ბელი იყო.

ერთიც ვნახოთ, ვიღაცა მომეპარა და თვალ-საფეთქელზე ხელები ამაფარა. ვინ უნდა იყოს, ვინ მიცნობს ამ შუაქალაქში? ჩემი კლასელი, ჩემი სოფლელი ბიჭი სანდო-სანდალაი, ჯარიდან დაბრუნებულა. პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუთები შაუტანია და შინისკენ მიბრუნებულს, ჩემთვის მოუკრავს თვალი. ჯარში კიდევ უფრო გაშავებულიყო. გითხრა სიმართლე, სანდალა არასოდეს არ მომწონდა. ალბათ, მეც შავი რომ ვარ იმითვინა. სკოლაშივე ერთი ქერა, ცისფერთვალება ბიჭი მიყვარდა და თვითონაც ჩემზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. თბილისში სწავლობდა და გახურებული წერილმოკითხვაობა გვქონდა. „შენთანაო საქმე მააქვსო“, სანდალამ.

„ვიცი რა საქმეც გექნება მეთქი. დაიგვიანე სანდალ „ძუძუი გოჭი“ გაგითხოვდა მეთქი. ჩემი მამიდაშვილის გოგო მოსწონდა. ჯარში წასვლამდე დღედაღამ შელოცვილივით დამდევდა; უნდა მიშველო, „ძუძუი გოჭთან“ საქმე მამიგვარეო, იმ გოგომ კიდე, ქეთი ერქვა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. „არ მამწონს, გულ არ ეკარებაო“. მანდ ჯარიდან რომ ჩამოვა, რამე არ მიხიმანოსო და სანამ სანდო დაბრუნდებოდა, გათხოვდა, რუისპირელ გაჰყვა. ჩამოყარა ყურები, ამ ჩემმა ჯგუფელმა, რა იმედი მქონდაო, როგორ ძალიან მიყვარდაო. შენი ბრალიც არი, ვერა ყოფილხარ კარგი შუამავალიო. მაჭანკლობა რომ შემეძლოს, ჩემ თავ ვუმანჭაკლებდი მეთქი. შენ რაო? რა და ის თბილისშია, მე კი აქა ლოდინით ვდნები მეთქი. ნუღა მომაყოლებთ, ხომ ხვდებით, რაზეც ვისაუბრებდით. ცხრამეტი წლის ღლაპები მითხარით და იმათი ჭკუა.

ნაყინზე და ყავაზე დაგპატიჟებო, სანდალამ. ძვირი ღირს-მეთქი, არ გინდა-მეთქი, სანდო შენ რომ თელავი გახსომს, ის თელავი

აღარ არი-მეთქი. ყველაფერი გაძვირდა-მეთქი. „სანდალ შოტაევიჩ ატვეჩაიო“ ჯიბეზე დაირტყა ხელი სანდალამ.

ბინდდებოდა. იქვე ბერმუხის ჩასახვევთან კაფეში შევედით. ნატრიაანთ მალვინას (გამგეც თვითონ იყო და მიმწონ მიმტანიცა) ორას-ორასი ნაყინი ავაწონინეთ, ყავა არა ჰქონდა, თითო ჭიქა ასკილი წვენი ჩამოვასხმევინეთ. და კუთხეში მივჯექით. სანდალამ თადარიგი დაიჭირა და ყოველ შემთხვევითვინ ფული წინასწარ გადაიხადა. ახლა ვხვდები, თავი მამაწონა; კაცი ვარ, გოგოს ნაყინზე ვპატიჟებო.

მივყევ-მოვყევით სოფლისა და ჯარის ამბები, გავიცინ-გამოვიცინეთ (სად გვეჩქარებოდა) და როცა კარს მივაშურეთ, ორივეს პირკატა გვეცა. კაფეს გარედან კომშისიმსხო ბოქლომი ედო. რა მკითხავ-ვარდუა უნდოდა; მალვინას დავვიწყნივართ, კუთხეში, ბოძთან მიმჯდარი კლიენტები, წასვლისას ვერ შეუმჩნევივართ, კარი დაუბოქლომ – დაუპლომბავს და წასულა. კაფე მაშინ ახალი გახსნილი იყო და არ ვიცი ამისა თუ სიძვირის მიზეზით, მუშტარი ცოტა ჰყავდა.

მივაწყდით კარებს გალიაში დამწყვდეული ჩიტებივით, მაგრამ შენც არ მამიკვდე. ჩვენდა იღბლად, ისე დაღამდა, არც არავინ ჩამაიარა. თუ ყოფილხართ მალვინას კაფეში, შეწეულ ადგილას დგას და გამვლელის თვალს მოფარებულია. „სახლში გამიგიჟდებიანმეთქი“ ვიტრინას ბრახუნი ავუტეხე. სანდალა კიდე იცინის, „კარგი ახლა ნუ დაანგრევ აქაურობას, განა მე არ მელიან სახლში, ახლა რომ ხალხი შევყაროთ თავი უფრო მოგვეჭრება, განა უცხონი ვართ, როგორმე დილამდე გავძლოთ და დილით გამოგვიშვენებ „გაუბახტიდანო“.

„შენ ხომ არ გაგიჟდი, შე ოხერტიალო, სნორედ მაგითვინ გამზარდა დედაჩემმა დილამდე კაფეში შენთან ერთად ვეგდო-მეთქი. შენ აქა რუსეთი ხომ არა გგონია, ჯარში მიგაჩვევდნენ ეგეებს-მეთქი“. „კარგი ახლაო. ნუ ტლინკაობ ჩოჩორივით, ყველაფერი ამ ქვეყნად განგების ძალით ხდებაო, ალბათ, ღმერთს ეგრე სურდაო. განა მე კი ძალიან მინდოდა ამ კაფეში შენთან დარჩენაო. შენ ქალი ხარ, უფრო ფხიზლად უნდა ჰყოფილიყავ. რად ვერ შენიშნე მალვინაი წასვლა. მე მაგაი ვუჩვენებ ხვალ სეირს ამ ჯიხურში რომ დაგვამწყვდია მეველის დაჭერილი თხებივითაო.

იმდენი იქილიკ-ითითლიბაზა სანდალამ, გამაცინა კიდეც მონადირი შეშინებული შველივით გულათახთახებული გოგო. რაც ამ ღამეს ნაყინ-შოკოლადი ვჭამეთ და ასკილი წვენი ვსვით მე და სანდალამ. მერე ძილიც მოგვერია. გავხედე, რაღაც სხვანაირად მიყურებს. „შენ გულში ავი რამე არ გაივლო, თორო იქნება თავზე დაგათვალო ე ალუმინი ლამბაქები მეთქი“. „რას იკბინებიო, განა შენზე ნაკლები

ბიჭი ვარო. მერე რა რო შავი ვარ, ი შენ რჩეულ თამაზასა თბილისში შენნაირი სხვაც ბევრი ეყოლებაო. განა მე შენზე ნაკლებ გამიტყდება სახელი. ხვალ დილით მთელი თელავის თვალწინ აქედან რომ უნდა გავიძურნო ფიცმიღებული, ჯარმოვლილი კაციო“.

ყველაფერი ბედია. გავხედე კიდევ ერთხელ და უნდა ვთქვა, არც ისე შავი მომეჩვენა ჩემი სანდალა. იქნებ ბედი ეგ არი მეთქი, იქნებ ღმერთმა ეგ გამამიგზავნა და ახლა რომ ხელი ვკრა, რა ვიცი იქნებ მამაზეციერმა სულ ჩაიქნიოს-მეთქი ხელი ჩემზე.

იატაკზე გავშალეთ ქა ოთხფა ბრეზენტი და თვალის მოსატყუებლად წამოვწექით. ორივეს მაგრადა გვაქვს გადანყვეტილი, არაფერი გავბედოთ, მაგრამ ნავთი და ცეცხლი ერთად ვის შეუნახია. „რას შვრები მეთქი, სანდალ (საქმე საქმეზე რომ მიდგა) ჩემს ცოდვაში არ ჩადგე, იცოდე თავს მოვიკლავ მეთქი“, ვბუტბუტებდი პირმკერდზე ალმოდებული. „ნუ გეშინია ჩემო სიცოცხლე, კაცი ვარ, განა ნადირი ვარო. ჩემი ხარ, მორჩა და გათავდა, შენს მეტი სიკვდილამდე არავინ მინდაო“.

ეგრეც რომ არ ეთქო, აღარც მე მქონდა მეტის თავი და აღარც იმასა. მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

...პირველი ბავშვი მალვინას მოვანათლვინეთ.

* * *

ჩემო გელა,

ამ თვეში მესამედ შემხვდი და ყოველ შეხვედრაზე ერთსა და იმავეს მეუბნები; ნუ ხარ ჩუმად, არ გშვენის ჩუმად ყოფნა, არ გეკადრება სიჩუმე შენო. მეც პირველ ცოდვაზე დაჭერილი ყმაწვილივით მორცხვად გაგიღიმებ ხოლმე, „იქნება, იქნება! გამოვსწორდები მეთქი“, ხელებს ავწევ დაგემშვიდობები და მერე მთელი დღე ცუდ ხასიათზე ვარ.

ახლა დრო მაქვს და ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა. ჩვენი ურთიერთობა სიკვდილამდე გარკვეული მეგონა, ძმობა გვაქვს ნათქვამი ერთმანეთისათვის, მაგრამ ხანდახან თურმე საჭიროა, სარეკელა გამოუცვალო წისქვილის დოლაბს და ისე მიუგდო ყური. სადმე კაჟი ხომ არ უსტვენს და ქვას ზედმეტად ხომ არ ხეხავს. ასეა კი. დავიწყოთ იქედან, რომ შენ ორმოცდაათი წლისა ხარ და მე სამოცდაათის. არ იფიქრო, ამას იმიტომ გეუბნებოდე თითქოს „შენგან ჭკუის სწავლება არ მეკადრება“ გიარაკებდე. ვიცი, როგორ არ ვიცი, პატარა მელია დიდ მელიას ზოგჯერ არშიყსაც კი ასწავლის, ეს შენგან არაერთხელ მომისმენია და დამიჯერებია კიდეც შენთვის. დამიჯერებია და გვერდითაც ამოგდგომივარ, გაგყოლივარ და

შენს გვერდით ხმალი მიქნევია. ახლა რაღა დამემართა? რაღაც-ნაირად ისე აეწყო, რომ ფეხს ვერ გიბამ ამ ბოლოს დროს. ნურც შიშს მიაწერ ამ ამბავს და ნურც ჩემს სიბერეს. კარგად მიცნობ, კრიალოსნის ბერიკაცი ჩემგან არ გაკეთდება. მე ასე ჩაკირულ-ჩაძვალული, ფეხზე მოვკვდები, აღმა-დაღმა წანწალში და ფათი-ფუთში.

შიშით მაშინ არ შემშინებია, წითელი ურჩხული რომ გვწოვდა სისხლს და ენას გვგლეჯდა, იცი შენ. ახლა რა ჯანდაბის უნდა მეშინოდეს, ჩემი კალო გალეწილია და იმ ქვეყნის მატარებლის მოლოდინში ჩემოდანზე ვზივარ.

ასე რომ ჩემს გაჩუმებას, იქნებ უფრო გულისგატეხვა, იმედის დაკარგვა ჰქვია და არა სხვა რამ. მკითხავ: მთელი ცხოვრება სხვებს რომ აფრთხილებდი და ჭირში გამაგრებას ასწავლიდი, მთელი ცხოვრება რომ შეურიგებლობის ფანდურს აჩხაკუნებდი, ახლა რა ღმერთი გაგიწყრაო. გეტყვი, გეტყვი პატიოსნად და გულახდილად. მე ნატანჯი და ნაუბედურალი, ჩემი ჭკუით საქვეყნო ამბოხებაში წილდადებული, არ აღმოვჩნდი მზად იმ დღეებისათვის იმპერიის ვითომ დანგრევის პირველ წლებში რომ გადავიტანეთ. შენ ის კაცი არა ხარ, ჩემი ნათქვამი პატივმოყვარეობის ნერვის ტოკვად რომ მოგეჩვენოს. თორემ არ გეტყოდი. მეგონა, ჩემმა ქვეყანამ თავი დაიხსნა და ერთი კაცი მაინც აღმოჩნდება, რომელიც მეტყვის, მადლობელი ვართ, შენით, პოეტო, ცენზურის თავში ჩაჩქუნს რომ გაუძელი და თავისუფალი სიტყვა გადაარჩინე, მადლობელი ვართ, კრიჭაში რომ ედექი ბოლშევიკურ რეჟიმს, აღსრულდა შენი ოცნება და მოგვილოცავსო.

ამის მაგივრად, ქუჩაში პირაქაფებული, ნახევრადშეშლილი დე-დაკაცების ქირქილი მესმოდა და ჩემი მისამართით გულმგლეჯი სისინი – „რაო, წითელო პოეტო, ვერა ხარ ხასიათზე?!“

მე თუ ვინმე წითელ პოეტს დამიძახებდა, მთელი ცხოვრება წი-თელი პოეტების წინააღმდეგ მებრძოლ კაცს, ამას ვიფიქრებდი?

ბრბო ყველგან ყოველთვის ბრბოა და წავუყრუე, მოვერიე ჩემს გულს, მაგრამ ისინიც რომ ამ ჭკუაზე იდგნენ, ვისაც სამთავრობო სკამები მიართვა ახალმა ვითარებამ და, სამწუხაროდ, მათ შორის ზოგი ჩვენი კოლეგაც რომ ერია?

მოვდივარ ერთ დღეს რუსთაველზე, მიტინგია და ერთი თავზ-ღარბა, უნიჭო ჩინოსანი, თავის თავს რომ ინტერვიუებში მწერ-ალს ეძახდა, ბღავის: „დამთავრდა კორუმპირებული ინტელიგენ-ციის დრო! ძირს ლაურეატები და ნიჭიერები. ახლა ჩვენი დროა. სად არიან ქართველი მწერლები? ჭეშმარიტი ქართველი მწერლები მთაწმინდაზე წვანან!“

ხომ შეიძლება, ეს ერთი ნაძირალა ერიოს ახლა მთავრობაში, აბა, ახლა ნახე, რას გიზამენ მაგ ყრანტალისათვის-მეთქი და რაღაც საშინელების მოლოდინში გავინაბე, მეგონა წვდებოდნენ ჩვენი გაზრდილი, ეროვნულად მომართული მკითხველები საყელოში იმ არაკაცს და კინწისკვრით გააგდებდნენ მიტინგიდან. შენც არ მომიკვდე, „სწორია, სწორიაო“ ახარხარდა მიტინგი და მასამ ტაში დასცხო. ე მანდ ვინმემ არ მიცნოს და როგორც „კორუმპირებულ, წითელ პოეტს“ ზურგში ქვა არ მდრუზოს-მეთქი, ქუდი ჩამოვიფხატე და იქაურობას გავშორიდი.

მერე დიდხანს ვიჯექი გულჩამკვდარი შუშაბანდში და ხალხის უაზრო რიალ-ზრიალს ვუგდებდი ყურს. ველოდი დამიძახებდნენ, რაღაცას მკითხავენ, ჩემს გამოცდილებას ისულგულებენ-მეთქი ვიფიქრე და გავერიდე საიმდროო ორომტრიალს. სროლა-ფეთქების ხმა რომ მომესმა, გამოვედი ჩემი მღვიმე შუშაბანდიდან. რუსთაველი იწვოდა, თბილისი ზანზარებდა. სკამისთვის ერთიმეორეს საშინელი კბილთა ღრჭიალით შებმოდნენ ქართველები. იწვოდა ბიბლიოთეკები, მუზეუმები, თეატრები, გალერეები, სასტუმროები... მივვარდი ოპერასთან შეჯგუფებულთ. რას უყურებთ, ხომ ხედავთ, ორივე მხარეს გონი დაუკარგავს. კაცებმაც, ქალებმაც ავაფრიალოთ თეთრი ალმები, წავიდეთ და ჩავდგეთ შუაში. ენით უთქმელი სამარცხვინო ამბავი გვჭირს მეთქი: ხმა არავინ გაიღო. არავინ გამომყვა. იდგნენ შეშინებული ძროხებივით და იცოხნებოდნენ. რუსთაველის თეატრს რომ გავცდი, ავტომატიანმა ყაჩაღებმა შემაჩერეს. რისი შერიგება, რა შერიგება, წადი, ბერიკაცო, შენს საქმეს მიხედეო. რომ გავუძალიანდი, მკრეს პანღური და სულ კინწისკვრით გამომაგდეს. ერთმა ავტომატიც მომიშვირა:

გამოვბრუნდი და ოპერასთანმდგარ, სეირისმაყურებელ ლაშქარს მივმართე: რაც გვჭირს და ხვალ რაც დაგვემართება, ღირსი ვყოფილვართ-მეთქი.

ვის გამოვექომაგო, ვისთვის მოვიკლა თავი. იმათთვის ხომ არა სოხუმს მტერი რომ დაესხა და შვილები, არაფერი მოუვიდეთო, საზღვარგარეთ რომ გადამალეს? ხოლო ვინც იბრძოდა, ნახევარი იმათგან ნარკოტიკების ნირვანით აქანავებული მოსახლეობას რომ ძარცვავდა?

იქნებ იმათთვის დავდო თავი, სოხუმიდან გამოქცეულ ქართველობას ბეჭედ-საყურისათვის ზურგში ტყვიას რომ ესროდა?

დამარცხებულ-შერცხვენილნი იმპერიაში რომ შეგვაბრუნეს, მეგონა, გაივსება საქართველო საპროტესტო დემონსტრაციებით, ერი დაჩოქება-დამონებას არ შეეგუება. ისევ აპეურს არ შეიბამს ყელზე-მეთქი. შენც არ მომიკვდე, კაციშვილს ხმა არ გაუღია. გახედნილი, ერთგული ცხენებივით შეუშვირეს ზურგი უნაგირს.

ვიცი, ძნელია ჩეჩნობა, შუაზე გაჩეხილი, განგებ დამშეულ-დაცვედნებული ხალხი ყველა სახლს ციხე-სიმაგრედ ვერ გადააქცევს, მაგრამ იმას მაინც რა უდგას წინ, სადმე, მოსახვევში კედელს მიაწერო: „დამპყრობელო, ოცდაათიათასი ბიჭი რომ მომიკალი, იკმარე ჩემი სისხლი და წაეთრიე შინ, თორემ გეტირება ყოფაო“. ან უფრო რბილად: „წასვლადაგვიანებულო სტუმარო, როცა მიჭირდა, გვერდით რომ არ დამიდექი, უარესიც; მტრის ბანაკში რომ გადაბარგდი და თოფი დამიმიზნე, კეთილი ინებე და აიკარი გუდა-ნაბადი, მტერს ვერ მოვაშენებ ჩემს მიწაზეთქო“. ამასაც არ ვაკეთებთ. ჩვენს ბედოვლათობას ინტერნაციონალიზმის და ტოლერნატობის სახელით ვნათლავთ და დავით აღმაშენებლის დანატოვარ, წინაპართა სისხლით გაჯერებულ მიწას ფიანდაზად ვუგებთ გადამთიელს. არა ძმაო, არა, მე ჩემი ლექსები ამ ყრუ, დაჭედილი, მორჩილი ნახირისთვის არ დამიწერია. არც იმ ცრუქაქუნა, კარიერისტი ყმაწვილებისთვის-ეროვნული ნერვი უდროოდ რომ გაუხმათ და დამონებული ქვეყნის გლოვის ნაცვლად საცეკვაო-საროსკიპოებში დილამდე რომ ტლინკაობენ, ან, რაც უარესია, მარიონეტული რეჟიმის მაგიდებს რომ უსხედან ახალგაზრდა მეგობარ-ჩინოვანთა მედალიონებით მკერდდამშვენებულნი.

ჩემი ნაწერი და ჩემი სიტყვა იმ გაბედულ, დაუჩოქებელ საქართველოს ეკუთვნის, რომელიც ხვალ თუ ზეგ მოვა.

თავს ვერ მოვიტყუებ, მე იმ ხალხს ვერ დავუდგები ქომაგ-გუშაგად „სნიკერს-მალბოროზე“ რომ ნადიროს და წიგნის მაღაზიაში ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად არ შევა. კარგი, ვთქვათ, მე მოდიდან გასულ, გაბრაზებულ პოეტად ჩამთვალეს და ისტორიის სანეხვეზე მომისროლეს, შენ? შენ ხომ პირში მთქმელი, მარად მოფუსფუსე, მებრძოლი კაცი ხარ, არც შენი ნაწერების ძებნა-კითხვით იკლავენ თავს, ჩვენს შორის რომ დარჩეს.

ჩუმად ნუ ხარო, შენ მეუბნები. ჩუმად ყოფნაც ხომ საქმეა. ჩუმად ყოფნაც ხომ პოზიციაა. იმათ ხომ მაინც ვჯობივარ; იმას რომ მიირთმევენ და იფ. იფ რა გემრიელიაო, იძახიან. ამათ სამსახურში რომ არ შევედი, ამათ ამალაში რომ ვერ მხედავ, შენ გგონია, ეს შემთხვევით ხდება? მაცალე ჩემთვის ყოფნა, ფიქრი, შე კაცო. ხომ გაგანდე ჩემი გულისთქმა შენ, მხოლოდ შენ გითხარი, სხვას არ ვეტყოდი, რომ გამწყრალი ვარ დღევანდელ საქართველოზე და არ ვიცი, როდის მომიშუშდება გულის იარა.

* * *

„ნეტავ, არ გაგენდო.

ნეტავ, საერთოდ არ შემხვედროდი დღეს და შენგან ეს აღსარება არ მომესმინა.

რას მიქვიან, თავის ხალხზე გამწყრალი მესიტყვე.

დაგემშვიდობე და ჩქარი ნაბიჯით მივუყვები მამადავითის ბილიკს.

წვიმა-თოვლი მილოკავს გალიგვებულ სახეს.

სხვამ თავისი საქმის იცის, მე ჩემი გზა მაქვს.

გადავძვრები ღობეზე, ავიპარები სამრეკლოზე და ბებერ, მიძინებულ ზარებს დავარისხებ: სანამ პირში ეს გაძაღლებული სული მიდგას“.

* * *

შეშინებული, დაცვედნებული, ხელისუფლების დუდუკზე მროკავი ახალგაზრდობა მოვიდაო, ეროვნული იდეალები დაივიწყესო, ამათი რა იმედი უნდა მქონდეს, ნირვანაში მყოფნი უაზროდ აცეცებენ დაბინდულ თვალებს იქეთ-აქეთო, თქვენ წერთ, პატივცემულო, გელა.

ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, მაგრამ, ძალიან გთხოვთ, მეც მომისმინოთ.

იქნებ, მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს, რამაც თქვენი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

იქნებ არც თუ მცირეოდენი წვლილი თქვენ – მამებსაც მიგიძღოდეთ, ჩვენს, როგორც ამბობთ, გაგულგრილებაში.

შარშან ისტორიის ფაკულტეტიდან ომარ კალანდაძემ მომძებნა, კალანდაძე გეცოდინებათ, რასაკვირველია. პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ჰქვია ჩვენს საზოგადოებას. ჯერჯერობით ოცდაშვიდი სტუდენტი და ორი ასპირანტი ვართ. თუ გინდათ, იყავი ჩვენთანო.

რა უნდა ვაკეთოთ-მეთქი. რასაც სხვა წესიერი პარტია თუ საზოგადოება აკეთებსო. მართალია, დამარიგა მამაჩემმა, იქ, თბილისში, ყველა ერთმანეთს ასმენს, არ გაერიო არავითარ ჯგუფში, სწავლას გაუხდი მუყაითად, თორემ ხარჯი ხარჯად დაგვეკარგება და, შეიძლება, თავიც დაიღუპოო, მაგრამ წუთითაც არ მიყოყმანია, ჩავეწერე.

მეორე შეხვედრაზე კალანდაძემ ხელმოსაწერი ქაღალდების მთელი დასტა მომიტანა. ასი ათასი ხელმოწერა მაინც უნდა დავაგროვოთ, რომ პარლამენტმა რეფერენდუმი დანიშნოსო. „მოვითხოვ, რუსეთის საოკუპაციო ჯარი გავიდეს საქართველოდან“ – ეს ერთადერთი წინადადება ეწერა თავფურცელზე. ხელმოსაწერი გრაფა სამ განყოფილებიანი იყო: I – ხელმოწერა, II – სახელი, გვარი და მამის სახელი (მკაფიოდ), III – მისამართი.

ასე რომ, ზოგმა რომ იცის, გაკვრით, გაურკვევლად ხელმოწერა, მამაზეციერსაც რომ გაუჭირდება დაადგინოს, ვინ აწერს ხელს, ასეთი რამ არ გამოვიდოდა. ან უნდა მოგეწერა სრულად ხელი-მისამართის ჩვენებით, ან – არა.

ეს ქაღალდები ჩვენი საზოგადოების წევრებს ჩამოვურიგე. პარა-ლელიზმი რომ გამოირიცხოს, ყველას თავისი „ფენა“ მივუჩინე.

შენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან უნდა იმუშ-აო. ხვეწნა არავის დაუწყო. ვისაც უნდა ხელმოწერა, მაშინვე მოაწ-ერს. ვისაც არ უჯდება ჭკუაში, დილიდან საღამომდე რომ ეჩიჩინო, ვერ დაიყოლიებო, კალანდაძემ.

ჯერ ჩემს ფაკულტეტზე ჩემს ლექტორ-მასწავლებლებს შორის დავტრიალდი.

პროფესორ ევგენი ხელაძეს, ზარი რომ დაირეკა, აუდიტორი-ის კარებთან დავხვდი. ფანჯარასთან მივდექით. რამდენჯერმე წაიკითხა. დიდხანს ატრიალა ხელში და როდის-როდის მკითხა:

სხვები რატომ არ აწერენ ხელსო.

დღეს მომიტანეს, თქვენგან დავიწყე-მეთქი, პატივცემულო.

ვინ მოგიტანაო.

ჩვენ საზოგადოება გვაქვს, სტუდენტური, იქ გადავწყვიტეთ, ხომ ხართ მომხრე რუსის ჯარი გავიდეს საქართველოდან-მეთქი.

მთელი სიცოცხლე მაგაზე ვოცნებობ, ჩემო შანშე. ჩემს წიგნებში სხვას კი არაფერს ვწერო. ხელს მოვაწერ, რასაკვირველია, მაგრამ მაინც მითხარი, რატომ დაიწყე ჩემგანო.

პირველი თქვენი ხელმოწერა რომ იქნება, მერე სხვები ადვილად მოაწერენ, თქვენ ავტორიტეტი ბრძანდებით-მეთქი.

ეგ მართალია, მაგრამ, იცი რა, ჯერ სხვამ მოაწეროს. ჩემი საქმე სხვანაირადაა, იცი შენ. ისედაც არ მოვუდივარ მთავრო-ბას თვალში. ჩემს ხელმოწერას პირველს რომ ნახავენ, რაღაცას მიხიმანებენ. შარზე არიან. ჯერ სხვამ მოაწეროს, თუ კაცი ხარ და მერე მოდი ჩემთან. ჩათვალე, რომ ჩემი ხელმოწერა ჯიბეში გაქვსო.

ისეთი მუდარით მეუბნებოდა ამ სიტყვებს პროფესორი ხელაძე, რომ ბატონი ბრძანდებით-მეთქი და დერეფანს გავუყევი.

დეკანატიდან პროფესორი შეშელიძე გამოვიდა. გამახსენდა მისი ცეცხლოვანი ლექციები და ისიც, რა სინანულით ამბობდა ხშირად, სად ხუთი წლის წინანდელი სტუდენტები და სად ახლანდელი. ცა და მიწასავითაა განსხვავება. ისინი კი არ დადიოდნენ, ციცინა-თელასავით კვესავდნენ, ამათ ზეზეურად ეძინებათო.

თუ ვინმე მოაწერს, ბატონი შეშელიძე მოაწერს ხელს-მეთქი და წინ გადავუდექი.

გამარჯობა შანშე შენიო, სალამი აქეთ დამასწრო. ცუდ საქმეზე არ გაირჯებოდი, ვიცი, შენო. რა ქაღალდი გიჭირავს ხელში, მაჩვენე ერთიო.

ხელმოსაწერია-მეთქი, გავუწოდე.

წაიკითხა და მაშინვე მოაწერა. აი, ყოჩაღ, ეგ უკვე საქმეა, ასე უნდა, აბა რა, უნდა ამოძრავდეთ ახალგაზრდებიო.

დავხედე „შ“-ს მსგავსი პირველი ასოა და მერე კლაკნილი ხაზი. დავეწიე.

პატივცემულო, სახელი, გვარი და მამის სახელი სრულად გვჭირდება და მისამართი-მეთქი.

კი, ბატონოო. ყველაფერი სრულად მიკარნახა და ჩამაწერინა.

ა, კაცი-მეთქი, გულში ვამბობ.

ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიას არ იყო შეშელიძე გაცილებული, რომ შემობრუნდა, ქაღალდი გამომართვა და სათვალე მოირგო.

ვინ გამოგატანა ჩემთან ხელმოსაწერადო.

არავინ, მე თვითონ მოგართვით-მეთქი.

სხვამ ხომ არავინ იცის ჩემთან რომ უნდა მოგეტანაო.

არა, რატომ მეკითხებით-მეთქი.

არაფერი, ისეო.

შენ გგონია, ჩემი ხელმოწერით გავა რუსის ჯარი საქართველოდანო?

მარტო თქვენ კი არა, მე მგონი, ამას, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მთელი საქართველო მოაწერს ხელს-მეთქი.

არ დაიჯერო ეგ ამბავიო. ადამიანი ისეა გაორპირებული, ნახავ, ერთი პროცენტიც არ მოაწერს ხელსო.

დამიბრუნა ქაღალდი და წავიდა. საპროფესოროსთან კიდევ ერთხელ შემოტრიალდა. შეშფოთებული სახე ჰქონდა. გამომართვა, მუხლზე დაიდო, გულდასმით წაშალა თავისი ხელმოწერა. წაშალა ყველაფერი გასწვრივ – ტელეფონიც, მისამართიც, მამის სახელიც. დამიბრუნა ქაღალდი და იდუმალი ჩურჩულით მაუწყა:

– ახლა არ მკითხო არაფერი. უნივერსიტეტს რომ დაამთავრებ, მერე მიხვდები, რატომ წავშალე ჩემი ხელმოწერაო. საერთოდ, კარგი მინდა, იცოდე, შენთვისო, – ეს რებუსური პასუხი დამიგდო და, არ დამეწიოსო, კიბე სულ ასკინკილით ჩაირბინა.

უნივერსიტეტის ბაღში პეტრე მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ჩვენი ყოფილი დეკანი სევერიანე მეხუზლა იჯდა.

მისკენ გავემართე.

ხელმოწერებს ვაგროვებთ პატივცემულო, ნახეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ დაგვდოთ პატივი და მოაწეროთ-მეთქი.

გამომართვა, დახედა.

სათვალე შინ დამრჩა, რა წერია, მითხარი, რას მოითხოვთო.

რუსის საოკუპაციო ჯარის გასვლაზეა ლაპარაკი-მეთქი.

კეთილი და პატიოსანი, ვინ შემოგყავთ, სამაგიეროდო.

არავინ. საქართველო დეოკუპირებული, თავისუფალი სახელმწიფო იქნება-მეთქი.

გველნაკბენივით წამოხტა.

– იყო ეს ყველაფერი შანშე. ახალი არაფერია მაგაში. იყო ეგ და რაც მივიღეთ, კარგად იცი შენო. კი ბატონო, ვინ გიშლით ხელმოწერების შეგროვებას, მაგრამ ამის დრო გაქვს ახლა შენო? გამოცდები და ჩათვლები კარზეა მომდგარი. სად გცალია ამისთვის. თავისუფალი დრო რომ გექნება, მერე აგროვე ხელმოწერები. კარგად იყავი ახლაო.

ჩემს პასუხს არ დაელოდა. წამოდგა. შარვალზე უკან ხელი გაისვ-გამოისვა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა.

პროფესორ თადუმაძეს საღამოხანს შინ მივაკითხე. ვიცოდი, ძველი სტუდქალაქის წინ ცხოვრობდა.

ძლივს მივაგენი სადარბაზოს.

ვრეკე ზარი.

არავინ მიღებს.

მოპირდაპირე კარებზე დავაკაკუნე.

სათვალიანმა ქალმა გამიღო.

– ქალბატონო, ბატონი თადუმაძე ხომ არ დაგინახავთ დღეს-მეთქი. სტუდენტი ვარ, ხელმოწერებს ვაგროვებ და ამ საქმეზე მინდოდა შემეწუხებინა-მეთქი.

რა ხელმოწერებსო.

საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გასვლის მოთხოვნაზე-მეთქი.

მეც უნივერსიტეტის თანამშრომელი ვარ, თუ შეიძლება, მეც მოვაწერო ხელიო.

კარგი იქნება-მეთქი.

ავტოკალამი და ქაღალდი ერთად გავუწოდე.

თავფურცლისთვის არც დაუხედავს. ხელი სწრაფად მოაწერა. დანარჩენი ორი გრაფაც პირწმინდად შეავსო.

მერე შემომხედა დაკვირვებით.

რა ვიცი, იყო წეღან, გრიშა, შინ. შეიძლება პურზე გავიდაო.

კიდევ ერთხელ დავრეკე ზარი. ქალბატონს მადლობა მოვახსენე და კიბეს ჩავუყევი.

თადუმაძე სადარბაზოსთან შემხვდა. იღლიაში ფიცრის ნატეხები ამოეჩარა.

აქ რა გინდაო, მკითხა.

თქვენთან ვარ პატივცემულო-მეთქი.

ავიდეთ, აბაო.

შეშა გამოვართვი.

ასე ვწვალობ. ეზოში, მიტოვებულ მშენებლობაზე ნაფოტებს ვაგროვებ, რა ვქნა აბა, სულ ლოგინში ხომ არ იკოტრიალებ კაციო.

ავედით, ცეცხლის დანთებაშიც მივეხმარე.

ხელმოწერებს ვაგროვებთ-მეთქი, მოკრძალებით შევაპარე ღუმელი რომ გახურდა და ცოტა ფერზე მოვიდა ჩემი მასპინძელი.

გამომართვა. ხმამაღლა წაიკითხა.

მე რა უნდა ვქნაო.

იქნებ, ხელი მოაწეროთ-მეთქი.

რასო?

ამ ქაღალდს-მეთქი.

მე საერთოდ კოლექტიურ განცხადებებს ხელს არ ვაწერო. მე თვითონ ჩემი ანგარიში მაქვს ამ ხელისუფლებასთან. მე მარტოხელა მებრძოლი ვარ. სანამ ამათ არ დავამხობ, არ მოვისვენებ. რაც შეეხება კოლექტიურ ხელმოწერას, ეგ ბავშვური თამაშია და მაგნაირ მასობრივ თავისმოტყუებაში ვერ გავერევიო.

კამათი არ დამიწყია. რა უნდა მეთქვა, კაცს საკუთარი აზრი ჰქონდა ხელმოწერათა შეგროვებაზე.

თავი რომ აღარ მოგაწყინოთ, ორი დღის წინდაუკან სირბილის შედეგად სამად სამი ხელმოწერა შევაგროვე: ერთი – თადუმაძის პირდაპირ მცხოვრებმა პარლამენტის ყოფილმა წევრმა ივანე ფაჩულიამ მომიწერა უყოყმანოდ ხელი და მესამე – მესამე კორპუსის დამლაგებელმა კვინტრიშაძემ – ცალთვალა ქალმა, რომელსაც ქმარი რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების სამამულო ომში დაეღუპა.

ეს იყო და ეს.

სამი დღის შემდეგ დავუბრუნე კალანდაძეს ფურცელი და „საქართველოს თავისუფლების ლიგასაც“ მეტი აღარ გავკარებივარ.

გული გამიტყდა, პატივცემულო, გელა.

* * *

ერთხელ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე დამიძახეს. რა მინდოდა მწერალ კაცს მისაღებ გამოცდებზე, მაგრამ რექტორს უარი ვერ ვუთხარი და თანაც ცნობისმოყვარეობამ მძლია.

გამოცდაზე ცალხელა ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. გადაბმულ წარბებს ქვემოთ, ფართო ქუთუთოებში ლამის მიკარგულ თვალებს განზე აპარებს. გამხდარია. მარცხენათი აიღო ბილეთი

და „მოსაფიქრებელ მერხზე“ დაჯდა. მარჯვენა ცარიელი სახელო ლურჯი ხალათის ჯიბეში აქვს ჩაკეცილი. „ავღანელები“ საერთოდ გამოცდაზე სამხედრო ფორმით შემოდიან, ეს უფორმოდაა, იქნებ, საერთოდ არ უმსახურია.

– გვარი? – ვკითხე, როცა ჩემს მაგიდაზე ცარიელ ფურცელს დაწვდა და წინ დაიდო

– გელაძე.

– დემობილიზებული?

– დიახ, ავღანეთიდან.

გული შემეკუმშა. ასეთ დროს ზედმეტად მიმაჩნია ვკითხო ყოფილ ჯარისკაცს მოქმედებითი გვარის ნიშნები და სულხან ორბელიანის ბერად შედგომის თარიღი.

– დაანებე მაგ ბილეთს თავი. გადმოჯექი აქეთ. ეს ხელი იქაური ამბავია?

– დიახ.

– დაბრძანდი. მომიყევი ერთი, თუ ძმა ხარ, რანაირად, რაზე, როგორ. როგორი საქმეა, მარჯვენა ხელი.

– ხელს ვჩივი? მუცელში სამ ადგილას ვარ გაფატრული და წინა, მარცხენა მხარში დღესაც მაქვს ყუმბარის ნამსხვრევები.

– მითხარი, მითხარი შვილო, რა ვითარებაში, სად? ეს ოხერი და მუდრეგი. ვერ გამოერიდე იმ დასაწვავს? სად მიძვრებოდი. თავი გამოიჩინე, ალბათ, როგორც ვიცით ქართველებმა.

– არა ბატონო, რისი თავის გამოჩენა. ისეთნაირად შემემთხვა, სალაპარაკოდ რომ არ ღირს. ქაბულიდან სამოცდაათ კილომეტრში იდგა ჩვენი ნაწილი. სოფლის სახელის, არ გეწყინოთ, დასახელების უფლება არ გვაქვს – სამხედრო საიდუმლოა. ჩვენ მაღლობზე ვიყავით გამაგრებული. ქვევით პატარა დაბა იყო. გვებრძოდნენ ნამდვილად, ა, ნამდვილი ომი რომ გინახავთ.

– როგორ ნამდვილი ომი. ან შეიარაღება სად ჰქონდათ, ან გამოცდილება, რეგულარულ არმიას რომ გამკლავებოდნენ.

– ყველას ეგრე ჰგონია. შეიარაღება ჩვენზე ნაკლები როდი აქვთ და არც ომის საქმეში არიან ხამები. ერთი სიტყვით რომ იტყვიან, გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

– რას ჰქვია წინააღმდეგობას?

– სოფელში შესვლა გვინდოდა და არ გვიშვებდნენ.

– თქვენ ალბათ ადგილობრივი ჯარის ნაწილებს ეხმარებოდით ხომ?

– ვერ გეტყვით, ბატონო. წელიწადნახევარი ვიომე ავღანეთში და ადგილობრივი ჯარისკაცი თვალით არ მინახავს. ავღანეთს ჯარი როგორ არა ჰყავს, მაგრამ ისინი, ალბათ, სხვა ადგილებში იბრძოდნენ.

– აბა თქვენ რატომ იღებდით სოფელს, რატომ უნდა შესულიყავით?

– ბრძანება გვქონდა. ზოგ დაბა-სოფელში რევოლუციის მტრები არიან გამაგრებული და მათგან სოფელი უნდა გაგვეწმინდა. ავღანელ ხალხს ვეხმარებოდით კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში, ისინი დუშმანებს ეძახიან.

– მერე?

– დუშმანის და არადუშმანის გარჩევა, პატივცემულო, იქ ძალიან ჭირს. დიდი და პატარა ისვრის. ქალი, კაცი – არაა გარჩევა. ამნაირი ზიზღი, რასაც ისინი ჩვენს მიმართ ამჟღავნებდნენ, არც გამიგონია. წყლის დასალევად წყაროსთან წახრილს თუ წაგასწრებდნენ, ქვას გდრუზავდნენ ზურგში. ღამე ეპარებოდნენ ჩვენს კარვებს და ცეცხლს უკიდებდნენ.

– დუშმანები?

– ასე ვთქვათ. დუშმანები კი არა, მე მგონია, სხვებიც, მოსახლეობაც.

– კი, მაგრამ თქვენ ხომ დასახმარებლად იყავით ჩასული?

– ეს ჩვენ ვიცოდით ასე, მაგრამ იქ ყველამ კი არ იცოდა. ბნელი ხალხია. როგორც მტრებს და დამპყრობლებს, ისე გვიყურებდნენ.

– განაგრძე, განაგრძე ხელის ამბავი.

– ჩავიწიეთ ცოტა სოფლისკენ, აგვისტოს ჩვიდმეტი იყო, რა დამავიწყებს. თორმეტ საათზე ისინი ლოცულობდნენ. დრო შევურჩიეთ და გავუხსენით ცეცხლი. მიატოვეს ლოცვა და გვიპასუხეს. მაგრამ აშკარაა, არ არიან ბრძოლის ხასიათზე, კანტი-კუნტად, აქა-იქ ისვრიან. გული მოგვეცა და ერთი, დაახლოებით სამას მეტრზე ჩავიწიეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა ხევიც კი გადავლახეთ. უფრო სწორად, მშრალ ხევში დავბანაკდით. სადილობას ბევრი აღარაფერი აკლდა, სოფლის მხრიდან ჩალმიანი, წვერცანცარა მოხუცი რომ გამოჩნდა. ორივე ხელში მაღლა შემართული თეთრი ბაირაღი უჭირავს და მოაფრიალებს. დურბინდში კარგად ვხედავთ მის დანაოჭებულ სახეს, შიშველ ფეხებს და მომღიმარ სახეს. არ ესროლოთო, ოცეულის მეთაურმა. რა ბრძანება გვინდოდა, ისედაც არ ვესროდით, ჩვენსკენ თეთრი ბაირაღით მომავალ შეუიარაღებელ მოხუცს. მოახლოვდა – „რუს! რუს!“, იძახის და თეთრ ალამს მოცეკვავესავით ათამაშებს. მოვუშვით ახლოს. „კაპიტან! კაპიტან!“ – ყვირის. კაპიტანთან მიმიყვანეთო. ჩამოვუშვით ხევში. წყალი მოითხოვა. მათარა მივაწოდეთ. წესია, უფროსთან მიყვანამდე მოენე უნდა გაიჩხრიკოს. ზემდეგი პანჩენკო გვყავდა, ცხონებული, ზურგზე ხელი შეახო თუ არა, საშინელმა აფეთქების ხმამ გააყრუა იქაურობა. რამდენიმე ხელყუმბარა ერთად ააფეთქა იმ ოჯახქორმა. თვითონაც ხომ ნაფ-

ლეთებად გაფრინდა ჰაერში და შვიდი ჩვენი ბიჭი იმსხვერპლა. მე ცოტა მოშორებით ვიდექი და ნამსხვრევები მომწვდა.

– კიდე კარგად გადარჩენილხარ.

– თუ ამას გადარჩენა ჰქვია. საოპერაციო ვარ ერთხელ კიდევ. მეოთხე ოპერაცია ვერ გაბედეს ჰოსპიტალში. სისხლი ბევრი დავკარგე და ძალიან ვიყავი დასუსტებული.

– როდის ჩამოხვედი?

– ახლა, აგერ, მაისში. საერთოდ ავღანეთიდან სექტემბრის ბოლოს. მარა მერე ჩვენს სამხედრო ჰოსპიტლებში ვიწექი, ხან სად და ხან სად. ჯერ წინადადება გავარჩიო, პატივცემულო?

– არ გინდა არაფერი. მომეცი საგამოცდო. ა, ბატონო. მითხარი ორი სიტყვა კიდევ, თუ ძმა ხარ. როგორ უყურებ შენ ახლა ამ ამბავს, საერთოდ.

– რა მინდოდა ავღანეთში, ბატონო. ბრეჟნევის კისერზე იყოს ჩვენი ცოდვა. ჩვენ ვეძახდით ჩვენს თავს „ავღანეთის მთავრობის და ხალხის მიპატიჟებულებს, ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად ჩასულებს“, თორემ მთელი დანარჩენი მსოფლიო დამპყრობლებს გვეძახდა. მართალია, პოლიტიკაში დიდად ჩახედული არა ვარ, მაგრამ არც ისეთი უტუ ვარ, ამას ვერ ვხვდებოდე. არავინ არავის იწვევს, პატივცემულო, მოდი და დამიპყარი, თუ ღმერთის გწამსო. ასე მიგვიპატიჟა ვითომ ვიეტნამმაც, კამპუჩიამაც, ჩეხოსლოვაკიამაც, უნგრეთმაც და პოლონეთმაც. ახლა ჩვენ ინტერნაციონალისტებს გვეძახიან და შეხვედრებს გვიწყობენ. ვიცი, გავა დრო და შემრცხვება ამ ჩემი დაკარგული მარჯვენის გამო. რა გვინდოდა ავღანეთში? ანდა რა მჭირდა საინვალიდო და საშეღავათო. მრცხვენია პირდაპირ, თქვენს დაწერილ ოთხიანს რომ ჩავყურებ ახლა. მე ვაჟკაცობაზე ვდებ თავს, პატივცემულო, სამოწყალოდ ღმერთმა ნუ გამიხადოს საქმე. ცოტა რაღაც ვიცი, მე მგონია, მკითხეთ. ჯერ წინადადება გავარჩიო?

* * *

ისევ „ნუგეშის“ სარედაქციო ფოსტიდან: ზუგდიდელმა მწერალმა კალე ქირიამ ახალი ნოველა გამოგვიგზავნა:

„სოფელ საქვაბიას საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, სამოციოდე წლის, წარბებიან-ჰალსტუხიანად გამოხუნებულმა, დიდთავა კაცმა, გაკვეთილებზე დაყენებული ყიყინა ხმით მითხრა:

– ყველაფერი მომწყინდა, ბატონო. არ დაიჯერებთ და სკოლაში შესვლაც აღარ მინდა. გემო დაკარგა ყველაფერმა. ისტორიას რომ ვუხსნი ბავშვებს, ისე ამაყად ვეღარ ვლაპარაკობ. რაღაცნაირი

დროა. მე თვითონ აღარ მჯერა ბევრი რამის. ასე მგონია. ვიღაცა მოგვყვებოდა ოცდაათი საუკუნე და ძალით გვალამაზებდა. წიგნში სხვა სწერია, გამოხვალ გარეთ და ღალატით, ძმაზე წაწევით, შურით სავსე ცხოვრებას რომ შეეჯახები, გული გიტყდება. არა და, მე მგონია, ერს საბოლოოდ მაშინ ეღება ბოლო, საკუთარ ისტორიისადმი რწმენას რომ დაკარგავს და თავის გუშინდელ დღეს ეჭვით შეხედავს. თქვენ წარმოიდგინეთ, მოწაფეებიც ის მოწაფეები აღარ არიან, გაფართოებული თვალებით რომ მისმენდნენ და ლამის ყლაპავდნენ ჩემს ყოველ სიტყვას. ისინიც, ჩემი არ იყოს, გადასხვაფერდნენ. აგერ გეტყვით ერთ მაგალითს: ამასწინათ კოხტასთავის შეთქმულებაზე ვატარებდი გაკვეთილს. ვუამბე, რაც შემეძლო, რაც ვიცოდი ცოტნე დადიანის გმირობაზე. რას ეტყვი უკეთესს. ერთი ბუცხრიკიძე მყავს კლასში უბედურნახევარი: რა გმირობაა თაფლის წასმა და მზეზე დაჯდომა, პატივცემულოვო. არც იმ მონღოლს გაუწირავს მაინცდამაინც შეთქმულები, თვარა უარეს სასჯელს მოიგონებდაო. ესეც არ იყოს, ცოტნე დადიანს სხვა გზა არ ჰქონდაო. თაფლი რომ არ წაესვა და თანამოძმეთა ხვედრი რომ არ გაეზიარებინა, გამცემის სახელი არ აცდებოდაო.

ორმოცი წელია ისტორიას ვასწავლი და ჯერ ასეთი შემთხვევა არ მქონია. გავბრაზდი. რა თავს იგდებ, ბუცხრიკიძე, მე ვუთხარი, თქვენი იმედი უნდა გვქონდეს? თქვენ ხართ ცოტნეს გმირობის გამმეორებელი-მეთქი? ყველაფერზე შეიძლება მასხრობით ლაპარაკი-მეთქი? მე არ ვხუმრობ, პატივცემულოვო, არ შემეპუა ბუცხრიკიძე. შენ იცი და ქართველმა ხალხმა არ იცის რვაასი წელიწადია ცოტნეს გმირობას რომ დიდებით მოსავს-მეთქი? ცოტა მაღალფარდოვანი პასუხი გამომივიდა და ბუცხრიკიძემაც დაკარგა ჩემთან კამათის ხალისი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამასწავლებლოში რომ შევბრუნდი, მე თვითონ გადამედო ბუცხრიკიძის ეჭვი და დღემდე იმ ეჭვისაგან თავი ვერ დამიღწევია.

ბუცხრიკიძისაგან არ მიკვირს, არცოდნით მოუვიდა, თქვენ კი ისტორიის მასწავლებელს არ გეპატიებათ-მეთქი. ჯერ ერთი, მონღოლი შეთქმულებს მხოლოდ თაფლის წასმით და მზეზე დაყრით კი არ სჯიდა, ამ მეთოდით მათს გამოტეხვას აპირებდა და აღიარების მერე არცერთ მათგანს სიკვდილი არ აცდებოდა-მეთქი. ასე, რომ თაფლის წასმით ცოტნე დადიანმა ჯალათის მახვილსაც შეუშვირა კისერი-მეთქი. რაც შეეხება თაფლის წასმას და მზეზე დაჯდომას, ეს უძველესი და უსასტიკესი აღმოსავლური სასჯელი გახლავთ, თაფლში ბუზები კვერცხებს დებენ, კვერცხებიდან მაშინვე მატლები იჩეკებიან და ადამიანის ცოცხლად ჭამას იწყებენ-მეთქი.

მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენ ახლა, დაუფარავად უნდა გითხრათ, თვალი ამიხილეთო. სწავლა, მართლაც, რომ სიბერემდე ყოფილა. აგაშენათ ღმერთმა, აწი მე ვიციო.

ეს საუბარი ათი წლის წინათ შედგა.

გადავიკითხავდი ამ ჩანახატს და ისევ უჯრაში ჩავაბრუნებდი. გამოქვეყნებას არ ვჩქარობდი. ვგრძნობდი, რაღაც აკლდა. მე, ცოტა არ იყოს, პრეტენზიულად გამოვიყურებოდი, ხოლო მასწავლებელი გულუბრყვილოდ.

წლეულს, გაზაფხულზე, ისეთ სურათს წავაწყდი, ამ ნოველის ფინალად უკეთესს რომ ვერ ვინატრებდი:

სამეგრელოს ერთ სკოლაში შეხვედრა მომიწყვეს.

კონცერტი სკოლის ეზოში გაიმართა, რაკიღა კლუბი არ ჰქონდათ.

ერთ-ერთ ნომრად მოსწავლეებმა „ცოტნეს გმირობა“ წარმოადგინეს.

მათრახიან-ჩალმიანმა მონღოლებმა სუსტ ლორთქო ბალახზე ათიოდე შეთქმული გამოათრიეს, დააჩოქეს. წელზევით გააშიშვლეს, ალაგ-ალაგ თაფლი წაუსვეს, მიწაზე დაყარეს და თვითონ ჯალათები ოთხკუთხივ ტაბურეტის სკამებზე ჩამოსხდნენ სეირის საყურებლად.

ზუსტად მახსოვს, თვრამეტი მარტი გახლდათ.

ცივი, ღრუბლიანი დღე იყო. ოდნავ ცრიდა კიდეც.

ცოტა ხანში ცოტნემ შემოირბინა. შუბლზე ხელი მიიდო, თავის მოძმეები ამ დღეში რომ ნახა, ვაჰმეო, ამოიგმინა. ფარჩა-ახალუხი მოისროლა, თაფლი წაისვა და დასჯილებს შორის ინახით ჩაჯდა.

იქეთ ნოინი და მისი ნაზირ-ვეზირები რაღაცას ჩურჩულებდნენ, აქეთ კი თაფლსმულნი ეყარნენ.

დასჯის ეფექტი მაინც არ შედგა.

ბუზი წამლად რომ გეძებნა, არსად იყო.

დრო გადიოდა. კიდევ უფრო აცივდა. დასჯილები ნელ-ნელა წამოჯდნენ ტანზე ხელის სმითა და კანკალით. ვიღაცამ ცოტნეს როლის შემსრულებელს ლაბადა მოახურა. მაყურებლებში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. მარტო ერთი ლურჯთვალება თხუთმეტიოდე წლის ბიჭი იწვა გაუნძრევლად ცივ ბალახზე და ლამაზი, ცისფერი თვალებით ღრუბლიან ცას აჰყურებდა.

ჩემს უკან, ჩინარების ბუნებრივი კულისებიდან მოხდენილი ქალი გამოვიდა ცალ ხელში მოსწავლის ჩანთა ეჭირა, მეორეზე ტანსაცმელი ჰქონდა გადაკიდებული.

– ძიკი! – დაუძახა მიწაზე გაშხლართულ „შეთქმულს“.

ძიკიმ არ მოიხედა.

ქალმა სერთუკი ისროლა და ზედ გულზე დაუგდო.

– დაიფარე, დედა, ეს. გაცივდები!

ძიკიმ თავაუწევლად უკან გადაუგდო სურთუკი.

მაყურებელი ისევ შეჩოჩქოლდა.

– ქვეშ მაინც დაიფინე, ბიჭო, გეხვეწები!

წრიალებდა ძიკის დედა.

ძიკი არ განძრეულა.

– ძიკი! გაცივდები, შე სასიკვდილე, წამოჯექი და ისე იყავი, დედა. არ გესმის ძიკი შენ?!

– ასეა როლში. დამანებე თავი – კბილებში გამოსცრა ძიკიმ.

– ჩაიცვა ყველამ, დედა, მარტო შენ გაქვს ასეთი როლი?! ძიკი! არ გესმის ხომ ჩემი, ნახე რას გიზამს ამ საღამოს მამაშენი, მოხვალ სახლში, ძიკი შენ!

ძიკი არ განძრეულა.

ამასობაში ლაბადამოსხმულ ცოტნე-მოსწავლეს ნიონთან უხმეს, მაგრამ მე მათი საუბარი არ მომისმენია, ჩემი არსება მთლიანად ძიკისკენ და გნოლივით აფრთქიალებული, მისი გამწყრალ-გაბრაზებული დედისკენ იყო მიმართული.

მინაწერი: ეს იყო სულ, ძვირფასო მკითხველო. ეს გახლავთ ათი წლის წინათ შეწყვეტილი ფიქრის გაგრძელება და ჩემი აზრით პასუხიც ისტორიის მასწავლებლის კითხვაზე.

– შეძლებენ თუ არა თანამედროვე ქართველები ცოტნე დადიანის გმირობის გამეორებას.

* * *

კითხვით ვკითხულობ, როგორ არ ვკითხულობ, ბატონო გელა, შენს ნაწერს, თუ სადმე წავაწყდი, რასაკვირველია, მაგრამ გითხრა სიმართლე, გულს არ ხვდება.

ასე მგონია, თქვენ, მწერლები ავი ფიქრებიდან ჩემს გამოყვანას, ჩემს გართობას ცდილობთ და მეტი არაფერი.

კარგია ხუმრობაც, ირონიაც, თავშესაქცევი ისტორიებიც, მაგრამ ახლა არაა ამის წერის და მით უმეტეს კითხვის დრო.

შენს ნოველებს სხვა მკითხველი სჭირდება: ნერვებდაწყნარებული, გალაღებული... რა ვიცი, რანაირი.

გული დამწყდა, წელან რომ ბრძანე, სადღაა მკითხველიო, სულ ტყუილად ვჯახირობ და ვათენებ ღამეებს, აღარაფერს თქვენ აღარ კითხულობთო.

თუ გიფიქრია იმაზე, რომ იქნება მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს ეგ ამბავი.

მე, დამარცხებული, გალახული, დაჩოქებული ხალხის შვილი, გადავშლი შენს წიგნს და იმის მაგივრად, რომ რაღაც გულის მო-

საფხანი მითხრა, იმედისკენ შემაბრუნო, რას მეღადავები, შე კაი კაცო.

შენს ხასიათზე ვარ თუ არა, არ უნდა მკითხო?

ვერ მოვიშორე, ბატონო, ვერა, დამარცხებულის სინდრომი.

ეს თორმეტი წელია წელში მტეხს ჩვენი სამარცხვინო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და მიწაში მიმათრევს.

რანაირად-მეთქი, კაცო, ჩემს თავს ვეუბნები, ცხინვალში აგერ ა, გუშინწინ ჩვენი ორმოცდაათი პინგვინის დაჩოქების შემყურე. ხალხი, რომელსაც ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, მღვდელი თევდორე, სამასი არაგველი და გია აბესაძე ჰყავს, ასე როგორ დადედლ-დაგლახავდებოდა-მეთქი. შენ რომ მწერალი ხარ, რაღაცა იმნაირი მითხარი. შეუძახე შენს ერს, შეანღჯრიე, გამოაღვიძე, შიში განდევნე მისი არსებიდან... ეგება მთლად განწირული არა ვარ, შენც იფიქრე და მეც მაფიქრებინე.

მე ისტორიკოსი გახლავარ, ორ ამბავს მოგიყვები ჩვენი ისტორიიდან.

ერთი შედარებით ახალია, მეორე – უფრო ძველი.

ნახე, დააკვირდი, იქნებ რამეში გამოგადგეს. ერთ-ორ მწერალს მოვუყევი, მაგრამ არაფერი დაწერეს.

ეტყობა, ვერ მოირგეს ენა-კალამზე.

მაშ, ასე:

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი გაგონილი გექნება. გერმანელთა ყველაზე მკაცრრეჟიმიანი, გამართული, სისასტიკით გამორჩეული ბანაკი იყო.

სიკვდილის ამ უზარმაზარ ქარხანაში, როგორც იუწყებიან, ოთხ მილიონნახევარმა ტყვემ გაიარა შრომა-გასწორების გოლგოთის გზა. მათგან ოთხმოცმა პროცენტმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. ვინც გადარჩა, სამუდამოდ დახეიბრებულ-ტრავმირებული დახანხალებდა ერთხანს.

ახლა, რასაკვირველია, არცერთი მათგანი აღარ იქნება ცოცხალი.

1943 წლის ივლისში ოსვენციმიდან თერთმეტმა ქართველმა სამხედრო ტყვემ მოახერხა გაქცევა.

ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ, რად გინდა, ზონიდან გასვლა ვერ შეძლეს.

ორ დღეს იმალებოდნენ ტყე-ჭაობში და ორი დღის მერე თერთმეტივე დაიჭირეს.

საგანგებოდ გაწვრთნილ გერმანულ ავჩარკებს სად გაექცეოდი.

ცემა-ტყეპით მილალეს უკან, ბანაკში, იმ საღამოსვე „გაასამართლეს“ და თერთმეტივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

ყველაფერი დამთავდა.

გადარჩენის იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

თერთმეტივე ერთ საკანში შეყარეს ფაშისტებმა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, სხედან ქართველი ტყვეები და ზლუქუნებენ? არამც და არამც.

საკნიდან მხიარული ლაპარაკი, გადაძახ-გადმოძახება და, რამაც ფაშისტი გუშაგები სულ გააგიჟა, – უტკბილესი ქართული სიმღერა ისმის.

ისტერიულად, ტირილგარევით, მრისხანებით და ღრიალით კი არა, მშვიდად, ხმაშეწყობილად, ლამის აუღელვებლად მღერიან, ისინი, ვინც გამთენიისას, ასე 6-7 საათზე, უნდა მიაყენონ კედელთან და დახვრიტონ.

შუაღამისას ბანაკის მთავარი ექიმი ოტო შვარცი პატრულის თანხლებით განწირულთა საკანს მიადგა და სიკვდილმისჯილი ლევან წერეთელი გამოიძახა.

შეიყვანა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქვე, სამორიგეოში და რუსულად ეუბნება:

მეო, თბილისის უნივერსიტეტში ომამდე ლექციებს ვკითხულობდი და ბერიას მოედანზე ვცხოვრობდიო. მამაშენი კიმოთე-კიმა წერეთელი მაშინ ასისტენტად მუშაობდა და გერმანულს ვასწავლიდიო. ბევრი პატივისცემა მახსოვს მამაშენისგან. შენ არ გიცნობდი, მაგრამ საბუთები რომ გადავათვალიერე, მამის სახელიც რომ არ გამეგო, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხარ კიმასო. მოსვენება დავკარგე. რა პირით მოვაწერო ხვალ შენი დახვრეტის ოქმს ხელიო. ბანაკის უფროსმა ვერ გადამიწყვიტა შენი საკითხი და „ბრიგადენფიურერთან“ გავვარდი. როგორც იქნა, მივაღწიე შენთვის დახვრეტის მუხლის მოხსნის და მაიდანეკში გადაყვანის ბრძანებასო.

ამას ყველაფერს თავჩაქინდრული ისმენს ლევან წერეთელი.

სიხარულის ნიშანწყალი არ ეტყობა.

დიდი მადლობა, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ვერ ვიჩუქებ სიცოცხლეს თქვენგან, ჩემი გადარჩენა უსინდისობა იქნება იმ ათი ჩემი თანამოძმის წინაშე, ხვალ რომ დასახვრეტად წარსდგებიანო.

გაგიჟდა, თურმე, გერმანელი: რა დროს სინდის-რევერანსებია, ნუთუ თავი არ გეცოდებაო.

დიდი ხვეწნის შედეგად, ერთ რამეზე დაითანხმა: შებრუნდი კამერაში და აუხსენი ყოველივე, დარწმუნებული ვარ, ისინი შენს გადარჩენაზე უარს არ იტყვიანო.

როცა დაბრუნდა და უამბო ბიჭებს, რაც მის თავს ხდებოდა, კამერაში დიდი ბჭობა არ გამართულა.

ყველა ქართველი ერთხმად ურჩევდა გასვლას.

ჩვენ მაინც აღარაფერი გვიშველის და, შენ თუ საქართველოში ჩასვლა მოგიწია, ჩვენს ამბავს მაინც ჩაიტანო.

უსმენს ღიმილით ლევანი თანამებრძოლებს.

არ ველოდი ამას თქვენგანო.

ასე თუ გამწირავდით, ვერ ვიფიქრებდიო.

ნუთუ წამით მაინც დაიჯერებთ თქვენ, რომ მიგატოვებთ და დარჩენილ, გაძაღლებულ წუთისოფელს ისე გავივლი, რომ ჩემი ცოცხლად დარჩენის ეჭვს თავსატეხად დავუტოვებ ქვეყანასო.

ღამის ოთხ საათზე გამოუძახა თურმე ოტო შვარცს. დიდი მადლობა მოახსენა გარჯისთვის და უარი უთხრა.

დილით თერთმეტივე დახვრიტეს.

ეს ამბავი ოტო შვარცის დაკითხვის ოქმში სწერია. ჟურნალმა „ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა 1962 წლის ნოემბრის ნომერში.

მეორე ამბავი ასეთია:

მარტვილის ახლოს, სოფელ თამაკონში, ტეხურგაღმა, ფაღავების მშვენიერი სასახლე იდგა.

ფაღავები, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე თავადები იყვნენ და ლეძაძამედან სალხინომდე მათი საგვარეულო მამული იყო გადაჭიმული.

სამასი წლის ამბავია.

თავადმა მელიტონ ფაღავამ გვიან შეირთო ცოლი და კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდა.

იმედი რომ თითქმის გადაეწურათ, სწორედ მაშინ, მელიტონისა და შორენას ქორწინების მეცხრე წელს ფაღავების ოჯახში ბიჭი დაიბადა.

გადარჩა ფაღავების სათავადო დინასტია. მემკვიდრე მოუვლინა განგებამ ამ ძირძველ, სახელოვან საგვარეულოს.

ბიჭს ზურაბი დაარქვეს.

ორი წლისა, ჩვეულების თანახმად, გასაზრდელად იქვე, თამაკონში, ღარიბ გლეხს – კიწი გაბუნიას მიაბარეს.

კიწის ორი შვილი ჰყავდა: ხუთი წლის გახუ და ზურაბისკბილა – ბოჩო.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის სამეგრელო მოგეხსენება.

გაჭირვებამ ავაზაკები მოამრავლა. საქართველოში მანამდე გაუგონარი – ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდა.

თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ, ვისაც მოიხელთებდნენ (უფრო ქალებსა და ბავშვებს) და სტამბულის ბაზარზე ჰყიდდნენ.

ტყვეთა სყიდვაში ქართველებმაც დაიდეს წილი და, რომ არა სოლომონ მეფის მრისხანე ბრძანება ადამიანებით მოვაჭრეთა კოცონზე დაწვის შესახებ, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს შეგვარცხვენდა ეს კანიბალური საქციელი.

კიწი გაბუნიას მეუღლე – ღალღა შვილებს საერთოდ მტრედის მზრუნველობით ზრდიდა, მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე, მომეტე-

ბულ ყურადღებას ზურაბისადმი იჩენდა, რადგანაც შავთვალება ზურაბი ფაღავების საგვარეულოს იმედი გახლდათ.

ერთ უბედურ დღეს ხუთმა თურქმა ავაზაკმა ღამით ტეხური გამოტოპა და კიწი გაბუნიას სახლს გარშემოეწყო.

ოჯახის უფროსი შინ არ იყო.

ლებარდეში ყავრის საჭრელად იყო წასული.

აბრაგებმა ღალღა ლოგინიდან წამოაგდეს.

ქალს ყელზე ხანჯალი დააბჯინეს და ყურში ჩაუსისინეს;

ხმა არ გაიღო, შენს შვილებს არას ვერჩით, ფაღავას ვაჟის გასატაცებლად ვართ მოსული. მოგვეცი სწრაფად და ჩვენს გზას ვეწევით, თორემ შენ ყელს გამოგჭრით და სამივე ბავშვს თურქეთისკენ წავასხამთო.

შეიძლება არ დაიჯერო, რასაც ახლა, გეტყვი.

ღალღას ბევრი არ უფიქრია; თავისი ბოჩო ზურაბის ატლასის ახალუხსა და ჩოხა-მესტებში გამოაწყო, მხრებზე პატარა თეთრი ნაბადი მოახვია, ძილბურანში მყოფი ბიჭი გულში ჩაიკრა, ცრემლის ღვრით ჩაკოცნა და თურქებს გაატანა.

ასე გადაარჩინა გლეხის ქალმა ფაღავების საგვარეულო უმემკვიდროდ გადაგებას.

ეს ამბავი ალე ხარგელიასგან ჩავიწერე თამაკონში 1965 წელს.

ა, ესაა სულ, ბატონო გელა, რაც უნდა მეთქვა.

იქნებ ასეთი ამბების გახსენება უფრო გამოადგეს ჩვენს დაბეჩავებულ თანამედროვეს, იქნებ ამ ისტორიებში უფრო ჩანს ჩვენი ერის სული.

თუ ჭკუაში დაგიჯდეს, უამბე მკითხველს.

მოყოლა და გალამაზება შენი ხელობაა.

* * *

ბატონო გელა,

მე, გითხრა სიმართლე, ახალი ვარ ამ საქმეში.

თბილისში ჭიჭია კვარაკვახიძემ ჩამომიყვანა.

თბილისში ნამყოფი რავა არ ვიყავი, მარა ამ საქმეზე – არა.

ჭიჭიას, რომ იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი პრეზიდენტების გადმოგდებაში.

ორი პრეზიდენტი ნაღდათ ჰყავს დამხობილი და ახლა მესამეზე მუშაობს.

ამ მესამეზე, ქე იცით, ცოტა არ იყოს, ხელი მოგვეცარა.

უფრო მაგარი კაკალი აღმოჩნდა, ვიდრე ჩანდაო, – ამბობს ჭიჭია, მარა იმედს არ კარგავს.

მოკლედ რო გითხრა, ოცდასამ აპრილს, ხუთშაბათს ჩამევედით და პირდაპირ რუსთაველზე, შტაბში გამოვცხადდით.

ცხრას აღარაფერი აკლდა. ღრუბლიან-სუსხიანი დღე იყო, რავარც თბილისმა იცის.

ამ დროს ჩვენთან ტყემლის ყვავილობა გათავებულია.

თბილისში კი, ეს რა ვნახე, გაზაფხული თურმე მაისის ბოლოს იწყება.

სამ მეხანძრისკურტკიან ბიჭს მაგიდაზე ფეხშეწყობილებს ეძინა. თავები უკან გადაეგდოთ და ერთმანეთში თითებშეყოფილი ხელები მუცლებზე ედოთ.

ქუთაისიდან გახლავართო, სამი გამღვიძებელი დახველების მერე აუწყა მასპინძლებს ჭიჭიამ.

გისმენთო, ერთმა.

თავები, რომ არ მოგატყუო, არ აუწევიათ.

ჩანდა, დაღლილები იყვნენ.

ჩვენ თვითონ გისმენთო, ჭიჭიამ.

ამ საქმეზე ვართ ჩამოსული და რა გავაკეთოთ, რავა იქნება ჩვენი საქმე, საით ვქნათ პირი, რას დაგვავალებთო.

გამომდგარი რო იქნება კაცი. მაინც რას ნიშნავს გამოცდილება. მარტო რო ვყოფილიყავი, ჯერ ერთი, ვერ გავბედავდი ამგენის გაღვიძებას და მეორეც... დევიწყებდი ლუღლუღს და მიდებ-მოდებას, რავაც ვიცი საერთოდ.

მე, ჭიჭია ვარ კვარაკვახიძეო, მეტი დამაჯერებლობისთვის დასძინა ჭიჭიამ.

სამეულმა ერთმანეთს შეხედა. ცნობით, რასაკვირველია, ვერ იცვნეს (რევოლუციის საქმეში ან ეგენი იყვნენ ძალიან ახლები, ან ჭიჭია იყო ძალიან ძველი), მაგრამ სამივემ მოიბოდიშა, გვაპატიეთ, გამოცვლილხართ და ვერ გიცანითო.

ეს კაცი იუზა სანდუხაძეა, ჩემი მეზობელი, ჩვენნაირათ მომართული კაციაო, გააცნო ჩემი თავი ჭიჭიამ მთავარბანაკის მორიგეებს, რომლებიც, როგორც შევატყვე, არც ჭიჭიას იცნობდნენ და მე – მით უმეტეს.

„მომართულს“ ფიქრით გავეკიდე. რა ჩემი საქმე იყო ჯანყობია და მიტინგობია. როის იყო პრეზიდენტებს ჭიჭიასავით ქვით რო დასვსდევდი, მარა გაცხარებული ცხვარივით მომივიდა.

მეტის მოთმენა ვეღარ შევძელი.

საპნის ფაბრიკაში ვმუშაობდი, მაქანა, გოჭოურაზე. ორ საპონს და ას ლარს მაძლევდნენ თვეში.

ერთ უბედურ დღეს გამოგვიცხადეს: დეიხურა ფაბრიკა, წაით სახლებშიო.

ვინ დახურა, ასე რანაირათ, სა წევიდეთ, რა ვაჭამო სამ ბაღანას-მეთქი?

შენ ჭურში ხვარ გძინავსო, მიპასუხეს, საპნის ფაბრიკა კი არა, ავტოზავოდი, აბრეშუმკომბინატი და სტეკლოტარა დახურეს ამგენმაო.

კი მარა, ე სამი ბოვში რო შიმშილით მომიკვდეს, ვის მოვთხოვო პასუხი-მეთქი.

აი ეს იყო სულ ჩემი გადარევის მიზეზი.

წელიწადი ვითმინე, მივდექ-მოვდექი, მარა რამდენი ჩემნაირი დაბორიალობს და დეისაწყლება ქუთაისში.

სადაა საქმე, სადაა სამუშაო... ამევიდა ყელში ამდენი ტყუილი, პარლამენტში ტყუილი, საკრებულოში ტყუილი, მერიაში ტყუილი...

ვეღარ გოვუძელი და გამოვყევი ჭიჭიას პრეზიდენტის გადმოსაგდებად.

რუსთაველზე ცელოფანშემოკრული, ახალთახალი მშვენიერი საკანი დაგვიდგეს მე და ჭიჭიას.

ორფა ლეიბები ზედ ასფალტზე დაგვიწყვეს და კარავს „დომსვიაზის“ მხარეს დიდი, წითელი ასოებით დააწერეს „19“.

მთელი ღამის ნამგზავრები მივეყარეთ და ქე მიგვძინებოდა.

შუადღისას დინამიკების ღრიალმა წამოგვყარა. ზედ ჩვენი კარვის გვერდზე დაეღო პირი „გამაძლიერებელს“ და რუსთაველს აყრუებდა.

ჭიჭია რადიო-მანქანასთან მივიდა.

რადიოს თხაწვერა ბიჭმა ყური პირთან მიუტანა.

– დოუწიე ცოტა, – სთხოვა ჭიჭიამ.

– ვერ გავიგე? – ყურის მიკროფონი მოიხსნა თხაწვერამ.

– დოუწიე ცოტა, ღმერთი არ გწამს? – შეევედრა ჭიჭია.

– ბატონო, თქვენ ხომ თქვენს საქმეს აკეთებთ, ასე ვაკეთებ მე ჩემ საქმეს, – აუხსნა დინამიკების „სპეციალისტმა“.

– ცოტა რო დოუწიო, რა იქნება, ხალხი ვართ აქანა, დაგვისკდა ყურები, – შერბილებული კატეგორიულობით უთხრა ჭიჭიამ.

თხაწვერამ თავი დაუქნია და ზურგი შეაქცია.

დინამიკებს კი ხმა თუ მოუმატა, თორემ მოკლებით ნამდვილად არ მოუკლია.

ყოველდღე ორიდან გვიან საღამომდე გრიალებდა მიტინგი.

ზღვა ხალხი იდგა რუსთაველზე.

ჩვენი მომარაგების საქმე ასეთი იყო: თავიდან დღეში ორჯერ მოქონდათ „სუხიო პაიოკი“ (პური, იაფიანი ძეხვი, მოხარშული კვერცხი, სამი ვაშლი...) და ათი ლარი ფულათ ფული თითო კაცზე. მერე და მერე დღეში ერთხელ დეიწყეს „სუხოი პაიოკის“ მოტანა და ბოლოს მთლად შეგვიწყვიტეს. ათ ლარს გვირიგებდნენ და უნდა გვყოფნოდა.

გაგვქონდა თავი, რავარცხა იყო.

ჯერ ერთი, საკნებში ხალხი რო შეთხელდა (ჩვენს გასწვრივ ექვსი საკანი ცარიელი იყო), ფულის დამრიგებლებს არ ვუმხელდით: „ახლა აქ იყო, ალბათ პერერივზე გევიდა, დაგვიტოვეთ და ჩვენ გადავცემთ“, – ვეუბნებოდით ფულის დამრიგებლებს. ტყუვდებოდნენ თუ თავს იტყუებდნენ, ქე გვიტოვებდნენ ხანდახან სამი-ოთხი საკნის ფულს და მეტი არც გვინდოდა. საჭმელი თავს არ გადაგვდიოდა, მარა არც საწუწუნოდ გვქონდა საქმე.

ო, რა ცეცხლს ანთებდნენ ჩვენი „ლიდერები“.

ტყუილია, ჩვენ რომ მიტინგის საქმე ვიცით, ვერავინ დედამიწაზე ვერ შეგვედრება.

ისე ომახიანად, ჟრუანტელისმომგვრელად ლაპარაკობდა ყოველი მოქადაგე, რომ მინდოდა მივსულიყავი და მეთქვა: ცოდოა სააკაშვილი, ცოტა შეიბრალე. ამ შენი გამოსვლის მერე გადადგომით ხომ უეჭველად გადადგება, მეშინია, თავი არ მოიკლას-მეთქი.

რვაზე მიტინგი რო შეწყდებოდა და ყურები დაისვენებდა, სულს მოვითქვამდით.

მიტინგის მერე იწყებოდა დიდი სახალხო სეირნობა:

„გამარჯვებული ხალხი“ სეირნობდა რუსთაველზე.

იყო ერთი სემიჩკ-ნაყინობია და ჩურჩხელა-კამფეტობია.

ვინ იცის, რა ხნის უნახავები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებდი: „ეს ერთი კაი მაინც გააკეთა გადარეულმა სააკაშვილმა, შენს თავს შემახვედრაო“.

მისალმება-მოკითხვის მერე ჩასაკნებულებს ჩამოგვივლიდნენ.

ისე გვათვალიერებდნენ, როგორც გალიის ლომებს; შიშით და აღტაცებით.

ხალხის თვალში ჭეშმარიტ გმირებად ვჩანდით.

გვამხნევებდნენ, გვეფერებოდნენ, მარა ჩვენ გვერდით ცარიელ საკნებში ღამის გათევაზე თავს იკავებდნენ.

„ცნობადი სახეები“ (ეს ტერმინი აქანა ვისწავლე) გამოჩნდებოდნენ ხანდახან. უკან ტელეგოგუები და აპარატიანი ბიჭები მოჰყვებოდნენ. ჩვენ ბოდიშის მოხდით საკნიდან გამოგვიყვანდნენ. თვითონ შევიდოდნენ, სააკაშვილის მიმართ გუშინ ნათქვამ წყევლა-კრულვას ერთ-ორ წყევლა-კრულვას მიუმატებდნენ და წავიდოდნენ.

ერთი თვის მერე მიტინგები შეთხელდა, მარა შეთხელებული ადგილები საკნებით შეავსეს.

თბილისის ცენტრი საკნებით გეივსო.

ან საკანს სად ამზადებდნენ ასე თათარიახნად, ამ ამდენ ცელოფანს სად შოულობდნენ.

ღამის თორმეტი საათის მერე საკნების ახლომახლო ლოთები და ბოზები დაჩნდებოდენ. დაბარებულებივით მიადგებოდნენ იმ საკნებს, ვისაც სად ელოდებოდნენ.

მე და ჭიჭია თავს მევიმძინარებდით და პირველ ხანებში ვიგერიებდით „დოუპატიჟებელ სტუმრებს“, მარა მერე და მერე კაცები ვართ და ქე გევიარეთ ღამის გოგუებში (რომელი ცარიელი საკნები არ იყო ირგვლივ, ან ხელს შეგიშლიდა ვინმე). ერთი მაინც იმნაირი ლამაზი იყო და ისე საყვარლად სუნთქავდა (რავარც ახალნამშობიარევი უშობელი), რო მევიძვრე ი დასაწვავი რეზინა და მევისროლე – რად მინდა, გოგო, შენთან პრეზერვატივი, ღორის გრიპიც რო დემემართოს შენგან, არ ვინაღვლებ, იმნაირი კაი ხარ-მეთქი. მე შენი მეშინია, თვარა ჩემი იმედი გქონდესო, ერთი თვე არ იქნება, რაც ეს საქმე დევიწყეო... რა მოსაყოლი ეს იყო, მარა კაცები ვართ და ყველაფერი ხდება-თქვა, ზეით გითხარი. მართლაც, აშენდა მისი ოჯახი, სუფთა გოგო აღმოჩნდა.

ორი თვე რო გევიდა, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდით მეც და ჭიჭიაც.

„რაცხა არ გამოდის ისეთი, რავარც გვქონდა ჩაფიქრებულიო, – ამოიხვნეშებდა ხანდახან, – ბოლო პრეზიდენტის ჩამოგდებაზე სად იყო კარვობია და საკნობია, ორ დღეში გათავდა ყველაფერიო“.

„კი მარა, ჩვენ აქანა საკნებში გვძინავს და ის რაფერ გადადგება იქანა-მეთქი“, – ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

„გადადგება, გადადგება, შენ ასწავლი ხაინდრავას? მეტი კი არაფერი უკეთებია. ჩვენდენი ცოდნა ერთ ნეკა თითში აქვსო“. – მეტყოდა ჭიჭია და „დამამშვიდებდა“, თუმცა ბოლო დღეებში თვითონაც არ სჯეროდა, რომ ხაინდრავას (ან სხვა, ნებისმიერ ლიდერს) ჩვენზე მეტი ჭკუა ცალ ნეკა თითში ეტეოდა.

ჭიჭიას მობილური ჰქონდა და ათ დღეში ერთხელ მარეკიებდა ცოლთან.

ჩამოვწერე ნათესავ-ნაცნობების სახელები და ვაგზავნიდი ფულის სასესხებლად. რამეფრად გეიტანეთ თავი ნასესხები ფულით, ბევრი აღარ დარჩა, მალე გავათავებთ ამ საქმეს და ჩამოვალ გამარჯვებული-მეთქი, ვაიმედებდი თანამეცხედრეს.

ბოლო დარეკვები სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ყურმილში გააფთრებული ცოლის ღრიალი კი არა, ხრიალი მესმოდა: „არ ჩამოგიყვანა გამჩენმა მაქიდან! შე უსაქმურო, შე სალახანა! ეს ბოვშვები ჩემია მარტო?! პოლიციაში უნდა მივიდე ხვალ და პატრულს უნდა ჩამოვათრევიო შენი თავი! გაკოჭვის ღირსი ხართ ორივე, შენ და მაგ ლოთი ჭიჭიაც!“

„ქალო, მე საქმე მაქ აქანა, კი არ ვგლახაობ, მიხარია ორი თვე საკანში ჯდომა?!“ – ვიყვირებდი ჩემდათავად, მაგრამ ცოლი ყურმილს გაცილებით უფრო ადრე დაახეთქებდა და ჩემი საბუთიანი მიზეზი, როგორც ჩანს, არ ესმოდა.

ჩემი გამობრძმედილი თანამებრძოლი – ჭიჭიაც ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან.

რაც ოპოზიციის ბელადებზე გული გაუტყდა, ჭიჭია გულჩათხრობილი გახდა და, ვიღას დავუმალო, სმას მიეძალა.

წავიდოდა, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, რაკი მე „საბუტილკნიკად“ ვერ გამოვადგებოდი (არაყს არ ვსვამ), ამოიღლიავებდა და სხვა საკანს მიადგებოდა.

ნაშუაღამევს ბრუნდებოდა მთვრალი. მიეგდებოდა და დილამდე თავდაღმა ეძინა.

ლოთები საერთოდ დილით ადრე დგებიან და სერიოზული სახეებით გარბიან თავიანთ ლოთურ საქმეებზე.

18 ივლისს რყევამ „გამომაღვიძა“. წამოვხტი. ჭიჭია წასულია „პახმელიაზე“ გამოსასვლელად.

გამოვვარდი გარეთ.

ჩვენს საკანს ოთხი გადაუცმელი პატრული დატაკებია და ეჯაჯგურება.

გულმა რეჩხი მიყო.

აქამდე სულ გადაცმული პატრული ჩანდა ჩვენს სიახლოვეს და ახლა რაკი ასე ღიად მოგვვარდნენ, რაღაცაშია საქმე-მეთქი.

ამასობაში ამოაძვრეს ასფალტზე პოლის ლურსმნებით ჩამაგრებული ჩემი საკანი და პირველი გიმნაზიის ჩასახვევისკენ მიახრიგინებენ.

მივიხედ-მოვიხედე ასეთ დღეშია სხვა საკნებიც.

რა წყალს ვეცე.

ჭიჭია მაინც ეგდოს აქანა. მე მევერევი პატრულს?

რას შობით! სა მიგაქვთ ე საკანი! ვინ მოგცათ ნება! ჩვენ მშვიდობიანი მესაკნეები ვართ-მეთქი, ვიყვირე მეც, რავარც სხვები ყვიროდენ.

უნდა გადავწიოთო, მიპასუხეს.

რატო უნდა გადაწიოთ, გლახათ იდგა აქანა-მეთქი?

სტუმარი ჩამოდის და თვალში მოხვდებაო.

მეიცათ, მეიცათ! ეს საკანი ჩემი კარაა, რა პასუხი გავცე, ვინც ჩაგვაბარა, ვინც დაგვიდგა-მეთქი.

ჩვენთან გამოუშვიო.

კი მარა ასე გესმით, ბიჭო, თქვენ დემოკრატია? არ გრცხვენიათ-მეთქი? ვეცადე ნამუსში ჩამეგდო პატრული.

ჩვენ ასე გვიბრძანეს, თვარა კი არ გვეხალისება ამ სიცხეში თქვენი ჭუჭყიანი ლეიბების თრევაო.

რო წავა სტუმარი, ისევ დაგვიდგამთ ამ კარვებს თავის ადგილ-ზე-მეთქი? წყალწაღებულივით ხავსს ჩავებღაუჭე.

წადი, წადი, ბიძია, საქმე ნახეო.

რას ჰქვია საქმე ვნახო, აპა, რას ვაკეთებ აქანა სამი თვეა-მეთქი, ვითომ თავი მევისაწყლე.

შენ ლოთიანად, კრუხის თავი ხომ არ გიჭამია. ჩაგსვამ ახლა მანქანაში და გაწრუწუნებ თაგვივით განყოფილებაში. ერთ-ორ გემოინ ჟაჟს გამოგიწერ და გახეხიებ 30 დღეს პარაშკასო, – დე-მემუქრა მხარბეჭიანი პატრული და თვალებში ეტყობოდა, რაც თქვა, იმის გამკეთებელი იყო.

მოვშორდი.

რა მექნა?

თავს ზეით ძალა არ იყო.

...იმ საღამოსვე მე და ჭიჭია ქუთაისში დავბრუნდით.

ჰო, დამავიწყდა; წამოსვლის დროს შტაბში შევიარეთ, იღბლად იმ სამიდან ერთი, ბობრი მორიგე დაგვხვდა.

ახლა ასეა საჭიროვო, ასეთი ტაქტიქა და ტრატეგია შევიმუშა-ვეთო. სექტემბერში ისევ დაგიძახებთო.

ჭიჭიას არ ვიცი და მე, ბატონო გელა ჩემდათავად, აქეთ ამ საქ-მეზე პირს აღარ ვიზამ.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და არც ეგენი არიან დამძახებლები, ისე შევატყვე ლაპარაკში.

მეხუთე თავი

იყვენით სრულ...

უკუეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან.

მათეს სახარება, VI.

შიმშილი, მიუსაფრობა, უილაჯობა, უიმედობა, უსამართლობა, ღალატი, პირთმოთნეობა...

ტყუილი ყოველ ნაბიჯზე უტიფარი ტყუილი...

მოწყენილობა, სულისწამღები, გულისგამგლეჯი მოწყენილობა.

თითქოს ქვეყანას ჯადოსნური კვერთხი დაჰკრესო, ხალხი ერთბაშად შეიცვალა. დაცვედნებულნი, დამღიერებულნი, შეშინებულნი, რწმენადაკარგულნი, სასომიხდილნი, დინებასმიყოლილნი, ლერწამივით მი და მო მრწევნი, დარეტიანებულნი დააბიჯებენ ირგვლივ.

დღეს რაღაცით თავი რომ არ გავირთო, შევიშლები.

გაუქმებულ საბოილეროსთან მუყაოს ნაჭერი ვიპოვე და დიდი ასოებით წავაწერე: „ნაპოვნია ასი ლარი. დამკარგავი მობრძანდეს, X სართ. ბინა 87, ან დარეკოს 23-26-83, კირთაძე“. განცხადება სადარბაზოს შესასვლელთან, გამოსაჩენ ადგილზე, ახალნაყიდი პურის გულით (ცომი აღმოჩნდა) მივამაგრე და კიბე სტვენის გარეშე ავიარე.

ვზივარ და ველოდები.

ნახევარ საათს არ გაუვლია და დაიწყო.

პირველი, მეშვიდე სადარბაზოში მცხოვრები, ნარკომანი ნაურაძე ამოვიდა. ასეც ვიცოდი. სულ ქვევით დგას და მეზობლებს სისხლი გვაქვს გამშრალი მისი გაუთავებელი „სიგარეტის ფული გექნებათ“. ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

– მობრძანდი, დაბრძანდი.

– როგორ გიკითხო, გელა ბიძია. სულ მინდა ამოსვლა, გელა ბიძია. თქვენ სხვანაირად არ მიიღოთ, გელა ბიძია. მე ვთქვი – როგორ არის მეთქი... ის ასი ლარი მამიდამ მაჩუქა, გელა ბიძია. ყველის საყიდლად მივდიოდი. კავსაძის ბიჭმა ასანთი მთხოვა. ალბათ, მაშინ ამომვარდა, გელა ბიძია, კიდე კარგი, გელა ბიძია, თქვენ რო გიპოვიათ, აქ ისეთი ხალხი ცხოვრობს, ზოგი არც გამოაჩენდა. წავიკითხე, გამეხარდა! ასი ლარი, როგორი საქმეა, ცოტა ხომ არ არი. მე აღარ ვიკეთებ, გელა ბიძია. ვსვამ, ხანდახან

და ეგ არის! სმა და წამალი ერთად არ შეიძლება. ღვიძლს შლის, გელა ბიძია.

– შენ თორნიკე გქვია ხომ?

– კი, გელა ბიძია, ისე ლოპეს მეძახიან. მთელი ვაკე ლოპეთი მიცნობს.

– შენგან არ მიკვირს, ლოპე? მე ასლარიანის პოვნის ყისმათი ვინ მომცა. კიდეც რომ მეპოვა, განცხადების გამკვრელი ვიყავი?

– მა, ეს როგორ, გელა ბიძია?

– ვხუმრობ, ვერთობი. წადი, არავის უთხრა.

ჯერ კოპები შეჰკრა, მერე პირი მოერღვა, კბილები ყვითლად გააელვა და ახარხარდა:

– მეც არა ვთქვი... მეც არ დავიჯერე? მე ვთქვი... კაცნი ვართ... ჯიგარი ხარ, გელა ბიძია, მაშ იშაყირე? კარგი რა, ხალხს თავისი ჰყოფნის... ვის არ უნდა ამ ქესატობის დროს ასი ლარი. მე სამარე ვარ. შენ ნახე რა ხალხი მოგაკითხამს... მეც არა ვთქვი! მეც არა ვთქვი...

ბოლო „მეც არა ვთქვი“ ლოპემ რომ ამომძახა, მეშვიდე სართულს ჩაცილებული იყო.

ზარი. ვინ იქნება მეორე? გაუჭვრეტავად გავაღე. პენსიონერი ბონდო მუმლაძე. ძლივს სუნთქავს. რამ ამოიყვანა მეათე სართულზე. სკამი გავუწოდე, დაჯდა და შუბლი სალათისფერი, შავხაზებიანი ცხვირსახოცით შეიწმინდა.

– რამ შეგაწუხათ, ბატონო ბონდო?

– დავბერდი ეს ოხერი და თავს აღარ ვუტყდები. მეათე სართული რა იყო, ფუნიკულორს ავირბენდი გაუჩერებლად. ორჯერ დავისვენე. გავიბერე კაცი. კიბეებზეცაა დამოკიდებული, რომ იცოდე. ამ ჩვენს სახლს რაღაცნაირი, მძიმე კიბეები აქვს. თან, მე ვთქვი, ალალი კაცია კირთაძე, არ ავიდეს ვინმე აფერისტი და არ უთხრას; მე დავკარგე და მომეციო. რას ეტყოდი, უნდა მიგეცა. კაცმა თვითონ არ უნდა იკადროს, ხომ მართალი ვარ?

ბონდო მუმლაძე, შეიძლება გახსოვთ, კომუნისტების დროს ტელევიზიით ორჯერ გამოაცხადეს რუბრიკით „არ ენდოთ“, როგორც აფერისტი და გამომძალველი. მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტების ცხვარ-მშობლებს ატყუებდა. მერე თბილისში სტუმრად ჩამოსულ უზბეკს სასტუმრო „საქართველოს“ კიბეებზე დაფენილი ხალიჩა მიჰყიდა და სამი წელი მისცეს. რომ გამოვიდა, მაკლერობა დაიწყო. ჩვენს სახლში სამჯერ გამოიცვალა ბინა. ჯერ სამოთახიანი გაყიდა და ოროთახნახევრიანში გადავიდა. მერე ოროთახნახევრიანი ისევ სამოთახიანზე (ულოჯო) გადაცვალა და ახლა ოთახნახევრიანში ცხოვრობს მეხუთე სადარბაზოში. სართული არ ვიცი, ვერ მოგატყუებთ.

– მაშ, თქვენ დაკარგეთ ეს ასი ლარი, ბატონო ბონდო?

– ნამდვილად. ფიცი რა შუაშია თქვენისთანა ადამიანთან, თორემ თუ გნებავთ, ხატზე დავიფიცებ. ტყუილს ვიკადრებ მეე? პენსია ავიღე გუშინწინ. ვერც გეტყვი, სად ამომვარდა.

პენსია? სხვა რამ ეთქვა ამ დალოცვილს. თითქოს არ ვიცოდე, რომ პენსია, ვისაც მაღალი აქვს, იმისიც არ შორდება ოცდათორმეტ ლარს და ბონდოს დიდი-დიდი ოც ლარზე მეტი არ ექნება.

– რამდენიანი იყო, თუ გახსოვთ?

– როგორ რამდენიანი?

– ასლარიანი იყო, თუ კუპიურები სხვადასხვა?

– ასლარიანი.

– ასლარიანი, შოთა რუსთაველი რომ ახატია?

გამჭოლი მზერა მესროლა, კომუნისტების დროის ნააფერისტალმა პროფესიული ალღოთი ამოიკითხა ჩემს სახეზე, რომ ასლარიანი არ მიპოვნია.

– არა, დახურდავებული იყო.

– მაინც? არ გეწყინოთ, რომ გეკითხებით, ამას მნიშვნელობა აქვს, ბატონო ბონდო.

– ორმოცდაათლარიანი იყო ერთი, მეორე ოცლარიანი და ათლარიანები, მე მგონი, ხუთლარიანებიც ერია.

პაუზა.

– ვწუხვარ, ბატონო ბონდო, მაგრამ, ჩანს, ძებნის გაგრძელება მოგიწევთ. ალბათ სხვაგან დაკარგეთ სადმე, ჩემი ნაპოვნი ორლარიანების დასტაა. არცერთი სხვა კუპიური არ ურევია.

წამოდგა. გამშრალი, გაწბილებული. სწრაფად მოეგო გონს და კულტურის სახლის დრამწრის არტისტის ყალბი ინტონაციით მითხრა:

– ოო, მაშინ, ნამდვილად სხვისი ყოფილა. მე ორლარიანები არ მქონია, ტყუილს ვერ ვიტყვი, სხვისი ღმერთმა მაშოროს. მე მგონია, უფრო ვაკის პარკში დავკარგე. გუშინ საღამოს, ძალით გამიყვანა ბაბუნაშვილმა. როდის იყო სასეირნოდ დავდიოდი. იქ დამრჩა სკამეიკაზე. ხელში მეჭირა, ჯიბიდან არ ამომვარდეს მეთქი. ვინ გამოგიჩენს ას ლარს. ხალხი გამწარებულია... კარგად ბრძანდებოდეთ.

– კარგად, ბატონო ბონდო. ფრთხილად ჩადით.

– არამიშავს, ჩავალ, როგორც იქნება. ამოსვლა მიჭირს, თორემ ჩასვლით ჩავდივარ, კარგად.

– ბოდიში, ბატონო ბონდო.

ჩემს „ბოდიშს“ არ გამოპასუხებია. ნელა, ჯოხის კაკუნით დიდხანს ჩადიოდა კიბეზე. ღია კარებში ვიდექი და ინდურ თეთრ სპილოზე ვფიქრობდი რატომღაც.

ნასადილევს (ამ სიტყვამ მატერიალური შინაარსი დაკარგა და მხოლოდ დროს გამოხატავს) ჩემს სადარბაზოში მცხოვრები გეოგრაფიის მასწავლებელი აგრაფინა ვაწაძე მესტუმრა.

სველ ტილოზე საეჭვოდ დიდ ხანს უსვამდა ფეხსაცმელებს. იქნებ მე მომეჩვენა. ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ, ცოტა დამორცხვებული თუ შეცბუნებულიც იყო.

აგრაფინა მარტოხელა ქალია. სულ სამიოდე თვე ჰყოლია ქმარი მეშვიდე ხუთწლედის ბოლოს. სამი თვის შემდეგ გაქცევია, მისთვისაც დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო. მშვიდი, პატიოსანი ქალია. სადარბაზოს კრებაზე ყოველთვის ჩუმადაა. ლიფტის გადასახადს არ იხდის. მეო, ლიფტით არ ვსარგებლობო.

თქვენ? თქვენც ქალბატონო აგრაფინა?

– შემობრძანდით, არა უშავს... ნუ წუხდებით... არ გაიძროთ ფეხზე ქალბატონო აგრაფინა... როგორ გეკადრებათ, მაინც დასვრილი მაქვს იატაკი.

ფეხზე გახდა, როგორც იქნა, გადავაფიქრებინე.

დაჯდა თუ არა ცალსპირალდამწვარ ელექტროღუმელს მიაჩერდა.

– ვარგა ეს, ათბობს?

– ამ ოთახს ჰყოფნის გაჭირვებით. სხვას არ დავეძებ.

– მაინც არ გათავდა ეს ზამთარი.

– წინ ნასესხებია და სუბსარქისს რომ ეძახიან სომხები.

აშკარაა ჩემი ღუმელის ძალის გასაგებად არაა მოსული.

– დაბნეული ვარ, რაღაც, ამ ბოლო დროს. შეიძლება სიცივის ბრალიცაა. უწინ ისე მობილიზებული ვიყავით რას დავკარგავდი, სხვას ვაფრთხილებდი პირიქით. გადასახურდავებლად მიმქონდა. ჩემი ფული ყოფილიყო. რაცხა ჭირად, ლატარიის თამაში წამოვიწყეთ სკოლაში. მეგონა, ტროლეიბუსში ამომაცალესმეთქი. რომ წავიკითხე, სიხარულით ცას ვეწიე. ასი ლარისთვის, კაცმა რომ თქვას, კი არ ჩამომახრჩობდნენ, მაგრამ მაინც როგორი საქმეა სხვისი ფული, უწინ, ასეთი შემთხვევის დროს, შეგიგროვებდნენ, ახლა ვინ შეგიგროვებს, ყველას თავისი თავი უჭირს დღეს...

რა ვქნა ახლა, როგორ ავარიდო ქალბატონ აგრაფინას უხერხული სიტუაცია.

– ოღონდაც... ოღონდაც... ეს დაბნევა და არეულობა დრომ მოიტანა... ეკონომიურმა სიდუხჭირემ (ვფილოსოფოსობ), ხელისუფლების ბრალიცაა. თქვენ მარტო როდი ხართ ასე. საერთოდ დაბნეული ვართ ყველა. ამ დილით ბონდო მუმლაძეს ასი ლარი დაუკარგავს. ხომ იცნობთ ბონდოს, მეხუთე სადარბაზოში ცხოვრობს.

– გამიგია კი, – განზე გაიხედა. ღაწვები შეუთეთრდა.

– ახლა იყო. ათი წუთია წავიდა. პურზე გავედი და კიდევ კარგი მე ვიპოვე. მაშინვე განცხადება გავაკარი. რაც მე ბონდომ მლოცა, ფული რომ დავუბრუნე. ასი ლარი ცოტა ხომ არ არის.

აგრაფინა წამოდგა. თავშალი მკლავებში ჩაიხვია.

– სიფრთხილეს თავი არა სტკივამეთქი და წვრილად გამოვკითხე: რამდენიანი კუპიურები იყო მეთქი. ზუსტად რომ არ ეთქვა, არ მივცემდი. ეს ეჭვიც და უნდობლობაც დრომ მოიტანა, ხომ მართალია, ქალბატონო აგრაფინა?

– სწორია... წავედი... კარგად ბრძანდებოდეთ, – გამშრალი ხმით მითხრა და კარებისკენ გააბიჯა.

– გნებავთ რამე, ქალბატონო აგრაფინა?

– არაფერი... ისე შემოვედი... სინათლისას რას ამბობენ, ხომ არ გაგიგიათ?

– ტრანსფორმატორიაო გადამწვარი. დარბის გლურჯიძე, გამოცვლიან ამ დღეებში.

ქალბატონი აგრაფინა თვალს რომ მიეფარა, შემრცხვა ჩემი სულელური ხუმრობის. შენს წრეგადასულ გასართობექსპერიმენტზე ხალხს კბილებიდან სიმწრის ოფლი სდის. ახია რომ აგახიოს ამისათვის ვინმემ ყური მეთქი, ვტუქსავდი ჩემს თავს. მერე პალტო მოვიხურე, კიბე ჩავირბინე, ლიფტის კარებზე წარწერა ჩამოვხსენი და მოვისროლე.

მესამე დღეს კომერციული ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების (კომერციული მითხარი და მისი დაუსწრებელი) სტუდენტი ჯგუშია ამოვიდა. ორბელიანებთან ცხოვრობს მეორე სართულზე, ნაქირავებში.

– როგორაა საქმე, ბატონო გელა, გამოუჩნდა პატრონი იმ ას ლარს?

– არა, შენ წარმოიდგინე...

– მე გეტყვი ერთს, ბატონო გელა, მაგას აწი პატრონი აღარ გამოუჩნდება და აღარ ღირს ლოდინი, თქვენთვის გამოუგზავნია მაგი ღმერთს და მოიხმარეთ, როგორც გაგეხარდებათ. ისე... რა შუაში ვარ, მარა თუ მომცემ ოც ლარს მადლობელი ვიქნები ძალიან...

გამეცინა, მინდოდა მეთქვა, ჩემო ჯგუშია, უბრალოდ ვიხუმრე, კაპიკი არ მიპოვნია მეთქი, მაგრამ ისე ალალად, ისეთი ნდობით და იმედით შემომცქეროდა ჯგუშია, რომ ვიგრძენი, სიმართლის თქმას აზრი აღარ ჰქონდა. სულერთია ჯგუშია აღარ დამიჯერებდა.

– შენ აგაშენა ღმერთმა. მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა...

ამ სიტყვებთან ერთად ოთახში შევბრუნდი. უჯრაში სამად სამი ათლარიანი მედო. ოცი ლარი ამოვიღე და ჯგუშიას გავუწოდე.

* * *

სირბილი, ღობეზე გადახტომა, ხეზე ასვლა და ცურვა რავა არ ვიცოდი, ბატონო გელა ვიცოდი და სოფელში ორი ბიჭი ვერ მჯობნიდა ცხენის ჭენებაშიც, მარა ომი მაინც სხვაია, თურმე.

ჩვენი ზემდეგი-ტიბაანელი ჩაჩხუნაშვილი, ცოდვას ვერ დევიდებ, ერთგულად გვწვრთნიდა. აკოპის თხრა, მიწისძვრის დროს კარღია სარდაფში (კარი რო არ ჩეგეკეტოს) რკინა-ბეტონის სარტყელის ქვეშ დადგომა და ხანძრის შემთხვევაში მესამე სართულიდან თოკით ჩამოხოხება, მაგან გვასწავლა, მარა ეს ყველაფერი, თურმე, ომის დროს საბავშვო ბაღში რო პირველად სამი თითით, ჩანგლის სწორედ დაჭერაში გავარჯიშებენ, ისაა, მეტი არაფერი.

ჩამევიდნენ, რავარც იქნა, ამერიკელი ინსტრუქტორები და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ჩაჩხუნაშვილს კი არა, ჩვენთან პოლკოვნიკს არ დეესიზმრებოდა, ისეთი ყოფილა ნამდვილი სამხედრო მომზადება.

ჯერ იყო და ფორმა დაგვირიგეს იმნაირი, ღამე რომ ვიხდიდი, ახლოს, სკამზე მეწყო და ხვანჯარი ხელზე მქონდა დახვეული, არ დევიღუპო, არ მომპარონ-თქვა.

რაცხა აბრეშუმნარევი კაპროლაქტამისგან იყო შეკერილი. ლურსმანს რო წამოდებოდი, არ იხეოდა და რაც მთავარია, მთელი კომბინეზონი ნიფხავ-პერანგიანად ნახევარ კილოს არ იწონიდა.

ახლა ბატინკებს არ იკითხავ? ბატინკები დაგვირიგეს, სამი ნომრით მეტი რო შეგხვედროდა, თვითონ ჯდებოდა ფეხზე. ძირი ჰქონდა სასწაული: სიპ ყინულზე მეიკიდებდი ფეხს. მე მგონია, წებოვანი კაუჩუკისგან იყო დამზადებული.

რაც მთავარია, პარტიანკების დახვევა აღარ გვჭირდებოდა. შიშველ ფეხზე უნდა ჩაგეცვა. თვითონ ჰქონდა ღრუბლის წინდები შიგნით ბატინკებს. სუნი? ახლა ფეხზე სუნი თუ გაქვს საერთოდ, ამერიკული ბატინკები ვერ გაგიქრობდა, რასაკვირველია. ღამით აივანზე გაიტანეთ, ან ხეზე ჩამოკიდეთო, გვაფრთხილებდნენ, მარა ვინ იყო ამერიკული ბატინკების გარეთ გამტანი გასანიავებლად.

კარგად რო გამოგვაწყვეს, ათ-ათად დაყვეს ჩვენი ბატალიონი. მე მეორე ჯგუფში მოვხვდი. ინსტრუქტორად ორმეტრიანი ამერიკელი კიმ სერფოლდი დაგვინიშნეს.

ჩვენ ინგლისური არ გვესმოდა და იმას – ქართული, მარა სამხედრო წვრთნას არაფერი ენის ცოდნა არ ნაჭირვება.

დილიდან საღამომდე ჩვენთან იყო კიმია. ნაბიჯზე არ გვშორდებოდა. არც თარჯიმანი გვყავდა და არც გრამატიკის მასწავლებელი, მარა მშვენივრად ვაგებინებდით ერთმანეთს.

ჯერ თვითონ გვაჩვენებდა, რა უნდა გვეკეთებინა, მერე სამამდე დათვლიდა: „ვან, ტუ, სრიი!“ დაიძახებდა და დავიძროდით ადგილიდან. „სტოპზე“ უნდა გავჩერებულიყავით. თუ მთლად ვირი არ იყავი, „სტოპ“ უნდა გცოდნოდა. ბოლოს „ოკეის“ დასძენდა და ეს იყო სულ. „ოკეი“ ამერიკულად რავარც შევატყვე, ყველაფერს ნიშნავს. მაგალითად, „კარგია“, „დავისვენოთ“, „მოვრჩეთ“, „შევთანხმდით“, „ვისადილოთ“, „მომეწონა“, „ძილი ნებისა“, „ხვალამდე“ და ასე შემდეგ.

„ოკეისთანა“ მუშა სიტყვა რომ მოგვცა ქართველებს, აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი „იმე“?, „შენ ხარ ჩემი ბატონი“, „რავა გეკადრება“, „გაამოთ“, „ღმერთმა ფრჩხილი ნუ წამოგატკიოთ“, „ერთობ სასიამოვნოდ გამოიყურებით“, „ნამეტანი გვალვები დეიჭირა წლეულს“ და სხვა ზედმეტი სიტყვები. ისე, ზრდილობის გულიზა, წამდაუწუმ რომ ვუცვლით ხოლმე ერთიმეორეს.

რა ყოფილა ამერიკული სამხედრო მომზადება, სიტყვით ვერ აღგიწერ. ბოევიკების კინო ხომ გინახავს, ისაა პირდაპირ. არაფერსაც არ აჭარბებენ სტალონე და შვარცნეგერი. ჯარისკაცსო, კიმია გვეუბნებოდა, ყველაფერი უნდა შეეძლოსო. საცხა ტანკი ვერ გავა, იქ ჯარისკაცი უნდა გევიდესო. თვითონ რობოტივითაა, დაღლა არ იცის. ჩვენ რო მივსავათდებოდით, მერე ორას მკლავზიდს აკეთებდა ბალახზე. დღეს ვერ დავტვირთე ორგანიზმი, ვარჯიში მაკლიაო, რისი დალევა, რისი მოწევა.

ჩაჩხუნაშვილს რუსული ჯარიდან „ატბოი“ და „პერეკური“ რო ჰქონდა გადმოღებული და ორ საათში ერთხელ რო „პერეკურს“ გვაკეთებინებდა, გაგიგონია? ვერაფრით რო ვერ გავაგებიე კიმიას, რას ნიშნავდა „პერეკური“, ტუჩთან ორი თითი მივიტანე, ლოყები დავბერე და ჰაერი ამოვუშვი, კაცი დასაბმელი გახდა. სტეჩკინისნაირი შავი პისტოლეტი დააძრო ბუდიდან და დაგვემუქრა: მე მგონია, ნარკომანები ვეგონეთ, თვარა სიგარეტზე ასე რავა გაგიჟდებოდა.

რაღა დაგიმალო, ჩვენ რაც ვიცოდით, არაფერი არ გამოგვადგა ამერიკელებთან. თურმე ჩვენ ბუდიონის დონეზე დავრჩენილვართ წვრთნაში. ქეც იმიტოა, თეთრი ხელთათმანებით რო ომობენ ამერიკელები და მაგენის მომრევი არავინაა დუნიაზე.

მოწინააღმდეგის ათასი ჯარისკაცი რო წეიცელება, ამერიკელი ერთი კვდება და ისიც შემთხვევით – ან მზის დარტყმას ღებულობს, ან თავისით ჩამოვარდნილი ქოქოსის პალმის ნაყოფი (სირაქლემას კვერცხზე დიდი და უფრო მაგარია) ხვდება თავში.

ა, გეტყვი, აგერ, თუ გაინტერესებს, რა ვიცოდით ჩვენ და რა გვასწავლა ამერიკელმა ინსტრუქტორმა: ბაგირზე ცოცვის დროს ხელისგულზე თურმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა

დეიფურთხო, სრიალებს ხელი. პირიქით, სველი თუ გაქვს, საგულდაგულოდ უნდა გეიმშრალო და თუ გაქვს ჯიბეში ცარცის ნაჭერი, უნდა წეისვა. მესამე (ან თუ გინდა, მეოთხე) სართულიდან ჩამოხოხების დროს ნეილონის თოკი მარცხენა ბარძაყზე კი არა, მარჯვენაზე უნდა დეიხვიო და არავითარ შემთხვევაში მხარზე არ უნდა გადაიკიდო, შეიძლება სიჩქარეში კისერზე ვერ გადეიგდო და მარყუჟში გაყო თავი. შეტევის დროს ტანკს გვერდზე კი არ უნდა მიყვე, რავარც მახარაშვილი მიყვება „ჯარისკაცის მამაში“, უკან უნდა დოუდგე, თანაც ოცდახუთ მეტრზე ახლოს არავითარ შემთხვევაში. ხომ შეიძლება, ტანკი მინაზე აფეთქდეს. ხუთი ომი ჩაატარა საბჭოთა კავშირმა და ეს ვერ გეიანგარიშეს რუსის გენერლებმა? იცოდნენ, რასაკვირველია, მარა ჯარისკაცი ფეხებზე ეკიდათ. კვდებოდნენ, ალბათ. სიცილით ამერიკელები ერთ კინოში კაპიტანმა „სვიაზის“ აღსადგენად ხუთი ანგელოზივით ბიჭის სიცოცხლე რო შეაგდო სასწორზე. რასი „სვიაზი“, რას მიქვია „სვიაზი“, რავა შეიძლება, შნურით ხელში ცეცხლის ხაზზე არბენიო ჯარისკაცი. კაცია, თხა ხომ არ არის. თვარ დოურეკავს ლეიტენანტი პოლკოვნიკს მოსრია პატრონიო, იტყოდა ამერიკელი ჯარისკაცი, თვითონ ლეიტენანტიც არ მიცემდა ამნაირ სულელურ დავალებას. როცა ხელყუმბარა უნდა შეაგდო სადმე, ჩვენ ასე გვასწავლიდა ჩაჩხუნაშვილი, ჯერ შეიხედე ოთახში, მერე მარცხენა ხელით შეაგდე ხელყუმბარა და შენ იქვე, მარჯვნივ, კედელს ამოეფარეო. რამდენი მოკვდებოდა რო იცოდე ამნაირი მოქმედებით. რავა, რო შეიხედავ, მოწინააღმდეგეს ყვერებზე კი არა აქვს ხელები დაწყობილი. გრეკავს შუბლში და უყარე კაკალი. პარაშუტით გადმოხტომის დროს ხელფეხგაშლილი ფრენა თურმე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სამიზნე ხარ მტრისთვის. თანაც, რაც შეიძლება, ახლოს უნდა გაშალო დასაფრენ წერტილთან პარაშუტი, თვარა ქარი წაგიღებს და ვინ იცის, სად ამოგაყოფიებს თავს. ხომ უბრალო ამბავია, მარა „კოკა-კოლა“ არავითარ შემთხვევაში კბილით არ უნდა გახსნა, ბარე ორ მაგარკბილიანს შერჩა კბილი ზედ.

ერთი სიტყვით, იმ ორ თვეში, მართალია, მაგრად გაგვწურა კიმ სერფილდმა, მარა ჩვენგან ნამდვილი ბოევიკები დააყენა. რაც გითხარი, იმის გარდა, ხელჩართული ჩხუბის ისეთი ილეთები გვასწავლა, თითო ჯარისკაცი ხუთ ნაკლებადნავარჯიშებ თავდამსხმელს ორ წუთში ყურებს დავახევთ, განვაიარაღებთ და ზურგსუკან ხელშეკრულებს ვაწვენთ მიწაზე (თუ ნამეტანი წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს, რასაკვირველია).

განსაკუთრებული ენერგია და დრო კიმიამ მთიანი რელიეფის საოპერაციო წვრთნას მოანდომა. სამმაგ ხტომაში ისე დავვოსტატდი, ხუთმეტრიან თხრილს ვევლებოდი თავზე. თხრილზე გადახტო-

მის დროს ერთი რამ უნდა იცოდე: მაღალი ნაპირიდან დაბალზე უნდა გადახტე. დაბალიდან – მაღალზე ჭირს ძალიან. რატო, იცი? შეიძლება, კედელს შეახტე, თავი ვერ შეიმაგრო და დურთო თავი ძირს. წყალში კიდო არა უშავს, მარა სიპ კლდეზე ხარ ცოდვა.

ყველაფერი დავძლიეთ. ცოტა პარაშუტიდან ხტომა გაგვიჭირდა, მარა მაინც დავეუფლეთ. თუ მეინდომებს ადამიანიშვილი, თურმე ყველაფერს შენაძლება.

ასე, ამნაირად, გაწვრთნილ-ნავარჯიშები ჩვენი ბატალიონი 2002 წლის 7 აპრილს ჩაგვაფრინეს თელავში საღამოს ცხრა საათზე. დაგვირიგეს სამ-სამი ხელყუმბარა, თითო აკეესის მოკლე ავტომატი, ამერიკული „ოხუესის“ ბარაბნიანი პისტოლეტი (შვიდტყვიიანი) და კნოპკიანი იაპონური დანები. ზურგჩანთა გაგვივსეს სამი დღის პაიოკით (მშრალი ძეხვი, პაშტეტი, თეთრი და შავი პური, წითელი ხიზილალა (მგონი, ხელოვნური უნდა ყოფილიყო), თორმეტ-თორმეტი ბანანი, თხლად დაჭრილი შოტლანდიური ყველი და კიდო იყო რაცხა-რაცხა, არ მახსოვს).

ამაღამ ადრე უნდა დავიძინოთ და ხვალ დილის ოთხ საათზე პანკისში წმენდის ოპერაციაზე უნდა გაფრინდეთო, კიმიამ. ოპერაციის სახელიც გვითხრა: „აულის ელდა“, თუ რაღაცა ამნაირი.

მშვიდად მეძინა-მეთქი, ვერ გეტყვი, მარა შიში არ გამივლია გულში. რა მაქვს საშიში. ყველაფერი გვასწავლეს ამერიკელებმა, რაც თვითონ იცოდნენ. ახლა ცოტა შენც უნდა იმარჯვო. ისე, კიმია რომ თვითონ მოგვყვებოდეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, მარა დაწოლის დროს გამოგვიცხადა: ჩემი წამოსვლა არ შეიძლებაო. პანკისის გაწმენდა ტერორისტებისგან და მაფიური კლანებისგან თქვენი შინაური საქმეა, ჩვენ, ამერიკელები, ვერ ჩავერევითო.

ოთხის ნახევარზე აფრინდა ჩვენი ვერტმფრენი. ათივენი გვერდიგვერდ ვზივართ. ნამეტანი ძიგძიგებს მანქანა. ქარია, როგორც ჩანს, ზევით. თელავში იმდენად არ იგრძნობოდა. მთვარით განათებულ პანკისის ხეობას ჩავყურებთ მდუმარედ. დავალება ხუთი თითივით ვიცით. სიგნალს რომ მოგვცემენ ათამდე სწრაფად დათვლის შუალედით, მიყოლებით უნდა გადავხტეთ, პარაშუტი იქვე, ბუჩქებში, საგულდაგულოდ მივმალოთ და გათენებას დაველოდოთ. გათენებულზე საცხოვრებელი პუნქტის „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი 3, აზიმუტი 14) უნდა მოვიყაროთ თავი. დანარჩენი, რაც უნდა გავაკეთოთ, სამხედრო საიდუმლოებაა და ვერ გავამხელ.

გადავიწერე პირჯვარი და ჩავხტი. ყველაფერი ვიცი. გაწვრთნილი ვარ ისე (თანაც მთიანი რელიეფისთვის შესაფერისად), რომ გაგეხარდება. ნეტავი, შემნიშნავდეს ვინმე ჩახტომის დროს და

თავს დამესხმოდეს. კაი ჩიტს დაიჭერს. ისეთი ილეთები მასწავლა კიმიამ, ხუთ კაცს ცხვირით მიწას ვახვნევინებ (თუ ჩემზე უფრო ნავარჯიშები თვითონ არ აღმოჩნდნენ, რასაკვირველია).

სიბნელეში მთლად ზუსტად ვერ მოვზომე და, მგონი, მეათედი წამით ადრე გავხსენი პარაშუტი. თანაც, ჩემდა იღბლად, ქარი უბერავდა, ეს უპატრონო. მიწას რომ დოვუახლოვდი, ბევრი ვქაჩე მარცხნივ პარაშუტი, ჰაერში სამი-ოთხი სალტომორტალე გავაკეთე (რავარც გვასწავლა კიმიამ), მარა ხეებს ვერ ავაშორე პარაშუტი.

ორ უზარმაზარ წიფელზე ვკიდივარ. პარაშუტი ისე საიმედოდაა გაჩხერლი, რო ვერაფრით ჩამოვხსენი. გადავჭრიდი თოკებს და ჩავხტებოდი, მარა ოციოდე მეტრის სიმაღლეზე ხავსიანი ლოდის თავზე ვკიდივარ. რომ გადავხტე, უეჭველად დავიმტვრევი. ნერვიულობისგან ცივი ოფლი მასხამს. ყველაფერი გვასწავლა იმ ოჯახაშენებულმა ამერიკელმა, მარა ხეს რო პარაშუტი გამეედება, მაშინ როგორ უნდა მოიქცე, არ უსწავლებია. არა და თენდება. შვიდის ნახევარზე შეკრების ადგილას „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი 3, აზიმუტი 14) უნდა ვიყო.

ავტეხო ყვირილი, მიშველეთ-თქვა, უფლება არა მაქვს, კიდეც რომ მქონდეს, საშიშია. ვინაა ამ უღრან ტყეში შენი პატრონ-მოყვარული. ათასი თული დადის პანკისის ტყეებში. არა, არა, ასე რომ ჩამოვხმე თოკზე ტარანივით, საშველად არავის ვუხმობ, თავი მომეჭრება. ქე დამავიწყდა. მობილურები ბანაკში დაგვატოვებინეს, რა ქვია იმას, კონსპირაციის მიზნითო.

ამ ფიქრებში ვარ, რომ ქვევით ლაპარაკი მესმის. ვინ იქნება ამ დილაუთენია. იქნებ მე მეძებენ. ალბათ, შეშფოთდნენ, ობიექტზე (მერიდიანი-3, აზიმუტი-14) რომ არ გამოვცხადდი და მზვერავები აფრინეს.

სინათლის წრეში ჩემგან მარცხნივ ორი ჩექმიან-ფაფახიანი კაცი გამოჩნდა. ერთს – შავწვეროსანს, მხარზე ძველთაძველი შაშხანა ჰკიდია. მეორე, შედარებით ახალგაზრდა, უთოფოდაა.

რასაკვირველია, შემნიშნეს. ხმა არ ამომიღია, მაგრამ წეღან აზღუდი ჩამივარდა. შავწვეროსანმა თვალი ჰკიდა, აიღო, ამოიხედა, მაგრამ თითქოს მელოდაო, ხეებს შერჩენილ პარაშუტზე დაკიდებული კაცის ნახვა არ გაკვირვებია.

წინ მიმავალ ჭაბუკს ქისტურად რაღაც დაუძახა.

მერე შუბლზე ხელი მიიჩრდილა, თოფი კომბალივით დაიბიჯგა და ქართულად მკითხა:

– შენ მანდ რა გინდოდა?!

– ქართველები ხართ?

– ქისტები.

– ვვარჯიშობდი და პარაშუტი ხეს გამოედო.

ისევ გადაულაპარალა თანამგზავრს ქისტურად.

– რატომ აქეთ, სხვაგან არ ვარჯიშობთ, აქ ვარჯიში ხომ ხედავ, საშიშია!

მე ჩემი მჭირს და ესენი დგანან და იცინიან.

– ჩამომხსენით როგორმე და მერე ვილაპარაკოთ.

ისევ გადაულაპარაკა თანამეინახეს. იმანაც ღიმილი მოისხიპა და პასუხი ქისტურადვე დაუბრუნა:

– ჯერ ეგ ავტომატ გადმოაგდე!

გადავაგდე ავტომატი.

– ახლა პისტოლეტ გადმოაგდ!

გადავაგდე პისტოლეტი.

– გრანატები იქეთ ბალახისყე გადმოყარ!

– საშიში არ არის?

– კრუჩოკი თუ არ მოხსნი, ა?

– არა.

– აბა გადმოყარე, ნუ გეშინია!

გადავყარე ხელყუმბარები.

* * *

ერთი კვირა ვყავდით ორმოში, მეტი არა.

ყველაფერი ტყუილია, რაც ჭორად გავრცელდა, ბატონო გელა.

ცოდვას ვერ დავიდებ, გლახათ არ მეპყრობოდნენ.

მე ქისტური არ მესმოდა, მარა მიწურში ვინც შამევიდოდა და ჩემს თავგადასავალს შეიტყობდა, კვდებოდა სიცილით.

ერთი კვირის თავზე თვითონ გამათავისუფლეს.

საგუშაგოსთან ნახევარ კილომეტრში თვალახვეული მომიყვანეს და გამომიშვეს.

გამოსასყიდზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვინ იყო ჩემი გამომსყიდველი.

კაცური სიტყვა ჩამომართვეს, ჩემი მასპინძლების ამოცნობადასმენა არ დამეწყო.

ახლა, რაც შეეხება ჩემს ბრალდებებს, არ დეიჯერო, ბატონო გელა! ყველაფერი ჟურნალისტების და სამხედრო პროკურატურის მოჭორილია.

ფრიადოსანმა კურსანტმა, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ საგულდაგულოდ გაწვრთნილმა, შალიკონა ვაჩიბერიძემ, ავტომატი, პისტოლეტი, სამი ხელყუმბარა და პარაშუტი ნაღდ ანგარიშზე ქისტებს მიყიდაო, ოუჭრელებიათ გაზეთები.

ისე ოუშენდათ პატრონი მაგენს, ეგ მართალი იყოს.
იქნება აგერ სასამართლო ცხრამეტში და გაირკვევა ყველაფერი.

* * *

მოგონება პირველი:

გელა კირთაძე „სასწრაფო დახმარების“ ჭიშკარს რომ გაცდა, ერთბაშად შიშმაც შეიპყრო. „აქ ხალხი საქმეზე მიდი-მოდის, რა-ნაირად გავაგებინო ამ პატიოსან ჯამაათს, რომ მეც სერიოზულ საქმეზე ვარ. რა ჯანდაბაში ჩავდგი ფეხი, რა კინო ამიტყდაო“, – გაიფიქრა და დომინოს მოტკაცუნე პირველივე ჯგუფისკენ ათრეული ნაბიჯით გაემართა.

მიამიტ მკითხველს ორიოდე ფრაზით ვაუწყებ საქმის ვითარებას: დამწყებმა პროზაიკოსმა გელა კირთაძემ კინოსცენარი დაწერა. ეს გახლდათ კინოკომედია სასწრაფო დახმარების ერთ მხიარულ ეკიპაჟზე. გელას ხელშეკრულება გაუფორმეს და სთხოვეს, თუ არ შეწუხდებოდა, ორშაბათს სასცენარო კოლეგიის სხდომაზე მოსულიყო. დამდგმელ რეჟისორს, კინოსტუდიის დირექტორს და სასცენარო კოლეგიის თავმჯდომარეს სცენარი ძალიან მოეწონათ და გელა ორშაბათს კოლეგიის სხდომაზე რომ არ გამოცხადებულიყო, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, სცენარი ახლა უკვე წარმოებაში იქნებოდა, მაგრამ გელა კოლეგიის სხდომაზე დროზე გამოცხადდა. რაკი სცენარისტი თავისი ფეხით მოვიდა, კოლეგიის წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს არა მარტო შენიშვნები გამოეთქვათ, დაესაბუთებინათ კიდეც და კატეგორიულად მოეთხოვათ თავიანთი შენიშვნების მიხედვით სცენარის საფუძვლიანად გადაკეთება. გელამ მეორე შეცდომა დაუშვა, მას შეეძლო სცენარი წამოეღო, ერთი თვის შემდეგ უცვლელად მიეტანა და ეთქვა – თქვენი შენიშვნების მიხედვით გადავამუშავეო, მაგრამ ვინაიდან წესიერი ყმაწვილი გახლდათ – ყველა შენიშვნა (საქმიანიც და უსაქმოც) გულმოდგინედ ჩაინიშნა უბის წიგნაკში და სხდომა რომ დამთავრდა, სასოწარკვეთილის სახე მიიღო. ამჯერადაც სასცენო კოლეგიის თავმჯდომარეს შეეცოდა: – „წადით სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, გაიარ-გამოიარეთ. იქ განსაკუთრებით გულისხმიერი ექიმები მუშაობენ, სთხოვეთ რაიმე კურიოზი გიამბონ თავიანთი პრაქტიკიდან. რაც მოგეწონებათ, დაიმახსოვრეთ და ასე, ცხოვრებისეული ეპიზოდებით გაამდიდრეთ თქვენი სცენარიო“. გელას ეს რჩევაც ჭკუაში დაუჯდა და აი, მას ახლა თავისი თეთრი ჯინსით, მოკლესახელოებიანი შავი (თეთრღილება) კვართით და განუყრელი სათვალით სასწრაფო დახმარების ეზოში ვხე-

დავთ, დომინოს თამაშით გართულ თეთრხალათიანთა ჯგუფისკენ მიმავალს.

დინოზავრი რომ წამოადგეთ დომინოს მოთამაშეებს თავზე, გამოცდილია, რომ არც მაშინ შეწყვეტენ თამაშს და გელა კირთაძეს ვინ შეამჩნევდა. ერთხანს იდგა და უცქეროდა, მერე ჩახველებით ამცნო მედომინე პერსონალს თავისი მოსვლა. არც იმ ღონისძიებამ გაჭრა. ბოლოს გელამ ადგილზე ხტომა და ხელების ტყაპუნი დაიწყო, მაგრამ მით უფრო შეუმჩნეველი დარჩა. ამ სტრიქონების ავტორის ვარაუდით, გელას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქცევდნენ ყურადღებას, თუ ჯიქურ მივიდოდა და სერიოზული სახით დომინოს მოთამაშეთა თვლას დაიწყებდა.

შორიახლო სასწრაფო დახმარების მანქანა რომ გაჩერდა, გელა მაშინვე იქეთ გაეშურა. გზაშივე გადაწყვიტა, რომ მისთვის საინტერესო ამბების მოყოლა ტექნიკურ პერსონალზე უკეთ ექიმს შეეძლო, ამიტომაც მანქანიდან გამოსულთ მეყვსეულად შეაგება.

– თქვენს შორის ექიმი რომელია?

– სოკრატ ხურცილავა გისმენთ, – მოწყენით უპასუხა საშუალოზე მაღალი ტანის, სიმპათიურმა მამაკაცმა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული კახური აქცენტი რომ არ ჰქონოდა, გელა უსათუოდ მიამსგავსებდა პრეზიდენტ ჯონ კენედის მრავალრიცხოვანი ძმებიდან ერთ-ერთს – რომელიმეს.

გელა თითებს იმტვრევდა, არ იცოდა როგორ დაეწყო.

– ბატონო სოკრატ, მე კინოსტუდიიდან გახლავართ, ფილმს ვიღებთ თქვენს მუშაობაზე.

ექიმს სახე გაებადრა, ხალათის ღილებს მიწვდა, წელში გაიმართა და კინოს კაცს ხელკავი გამოსდო.

– დიდი მადლობა... მე... იმისი არ იყოს, რა გამიკეთებია... მოულოდნელია ჩემთვის ასეთი პატივი.

– ვერ ვთქვი სწორად, – სათვალე გაიმშრალა გელამ, – თქვენზე კი არა პირადად, სასწრაფო დახმარების მუშაობაზე საერთოდ.

– ეგ სხვა საკითხია, – ცოტა არ იყოს წყენა შეერია ხმაში სოკრატს, – მე, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– იქნებ მოიგონოთ რაიმე სასაცილო შემთხვევა თქვენი პრაქტიკიდან?

– როგორი?

– სასაცილო რაიმე, კურიოზული.

– რატომ მაინცდამაინც სასაცილო? – ექიმს ქვედა ტუჩი აუკანკალდა და ცხვირის ნესტოები დაეცვარა.

– იცით რა, პატივცემულო სოკრატ. ჩვენ კინოკომედიას ვიღებთ, სასაცილო სიუჟეტები გვჭირდება.

სოკრატი შეჩერდა. თავიდან ფეხებამდე აათვალიერა ახალგაზრდა სცენარისტი და საკმაოდ მკაცრად ჰკითხა:

– ჩემთან ვინ გამოგგზავნათ?

– არავინ, მე თვითონ.

– ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე ვერაფერში გამოგადგებით. ორმოცი წელია ამ სასწრაფოში ვმუშაობ და ისეთი, თქვენ რომ გდომებიათ, არაფერი შემინიშნავს. ჩვენ გვირეკავენ, გავრბივართ, ხანდახან მეათე სართულზე ულიფტოდ გვიწევს ასვლა. შევდივართ გულგაგლეჯილები ავადმყოფთან და, თუ მთლად განწირული არა ჰყავს გამჩენს, სიცოცხლეს ვუბრუნებთ. ამ საქმეში მე სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

სოკრატი უცერემონიოდ შეტრიალდა და სასწრაფო დახმარების მანქანისკენ წავიდა.

გელა სახტად დარჩა. დამწყებმა სცენარისტმა ვერ გაიგო, რა აწყენინა სიმპათიურ ექიმს – სოკრატ ხურცილავას. ყოველ შემთხვევაში, ტაქტიკას გამოვცვლი, ჯიქურ არ მივადგები და კინოსტუდიას არ ვუხსენებ პირველადო. ჯერ ჩვეულებრივად გამოველაპარაკები და მერე მოვაყოლებ ჩემი მოსვლის მიზანსო. ასეც მოიქცა. ტროტუარს დაადგა და სასწრაფო დახმარების კაბინეტების ღია ფანჯრებში ჭვრეტა დაიწყო. სხვის ფანჯარაში ცქერა დიდად საძრახის საქმედ არ მოჩვენებია, რადგანაც მაგიდაზე დახრილი და თავიანთ ფიქრებში ღრმად ჩაძირული ექიმები ახალგაზრდა სცენარისტს ვერ ამჩნევდნენ და თუ დაკვირვების ობიექტი გელას ორ დახველებაზეც არ ასწევდა თავს, სტუმარი რწმუნდებოდა, რომ მას ღრმად ეძინა და ფანჯარას შორდებოდა. როგორც იქნა, იპოვა, ვისაც ეძებდა; ერთ ფანჯარაში ფხიზელი ექიმი დალანდა. უფრო მეტიც, ხელში სატკაცუნო ეჭირა და ბუზებს სიცოცხლეს უმწარებდა. ექიმი მელოტი გახლდათ, უსათვალო, არწივისცხვირა. ნაოჭებზე ეტყობოდა, რომ იმ ასაკისა გახლდათ, როცა მამაკაცები კანონიერ ცოლს სტოვებენ და საყვარლებს მიჰყვებიან გაქცეული სიყმაწვილის დროებით დასაბრუნებლად.

ექიმმა გელას შემოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ ბუზებზე ნადირობის აზარტულ საქმეს ვერ შეელია.

– გისმენთ, – მოუხედავად ესროლა შემოსულს და ნათურისკენ გაფრენილ, დღეს თუ ხვალ სატკაცუნოს ფარქვეშ სამარცხვინო სიკვდილისთვის განწირულ ბუზს თვალი გააყოლა.

– გამარჯობათ, – გელა კარში იდგა.

– გაგიმარჯოთ, გისმენთ.

– მორიგე ბრძანდებით? – რაღაც ხომ უნდა ეკითხა.

– დიახ, გისმენთ.

თავგადაპარსულ ექიმს ხრინწიანი, დაწყვეტილი ხმა ჰქონდა.

გელას შეკითხვა ერთბაშად შემოელია. ამინდზე რომ ჩამოვუგდო ლაპარაკი, ვაითუ სალახანად მიმიჩნიოს და კარისკენ მიმითითოსო, ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში სასაცილო თუ არის რაიმე... ვთქვათ... გასახსენებელი... სხვას რომ უამბობ და კარგ ხასიათზე დააყენებს.

ექიმმა სატკაცუნო დადო და შემოსულს მიაშტერდა. იმ ორმოციათას შვიდას ოცდახუთი შეკითხვიდან, რაც მისთვის ცხოვრებაში დაუსვამთ საერთოდ, მსგავსი არ ყოფილა.

– სასაცილოს მეტი რა არის, დაბრძანდით, – საქმიანად თქვა მასპინძელმა.

გელამ შვებით ამოისუნთქა და დაჯდა.

– თქვენ საიდან ბრძანდებით? – გელას ცუდად ენიშნა ექიმის გადასვლა შეკითხვებზე.

– კინოსტუდიიდან ვარ. თქვენს პრაქტიკაში რაიმე კურიოზული შემთხვევა თუ შეგხვედრიათ, – სცენარისტმა უბის წიგნაკი ამოიღო და სმენად იქცა.

ექიმი წამოხტა, კარს ეცა და შიგნიდან გადაკეტა. ფანჯარა მიხურა, ფარდა გაასწორა, იდუმალი სახით დაუბრუნდა მაგიდას და სტუმარს თითქმის ჩურჩულით აუწყა:

– სასაცილო და კურიოზულის მეტი რა შემხვედრია. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები კაცი, თქვენ რომ ეძებთ, ისეთ ფაქტს.

– რაიმე სასაცილო, არაჩვეულებრივი, არალოგიკური.

– მესმის, მესმის, მივხვდი. სწორედ რომ სასაცილო და არაჩვეულებრივი ყელამდეა ჩვენთან. დღეში საშუალოდ ოცდაექვსი-ოცდაშვიდი შემთხვევა მაინც არის.

გელას სახე გაებადრა და საწერკალამი ამოიღო.

– თუ შეიძლება მიამბეთ რომელიმე.

ექიმმა ფანჯრისკენ გაიხედა, მერე ჭერს ააცივდა, დაახლოებით ასამდე დათვლის დროში ჩამოსწია თავი და დამწყებ სცენარისტს უაზრო თვალები მიაპყრო.

– შენ გგონია მახსოვს?

გელამ ამ პასუხით საინტერესო მოგონებების საღამო დამთავრებულად ჩათვალა, უბის წიგნაკი ჯინსის ჯიბეში ჩაიდო და გულისხმიერ მასპინძელს არც კი გამომშვიდობებია, ისე გამოიხურა მისი კაბინეტის კარი.

დაახლოებით ასე, ცხრა წუთის შემდეგ, იგი მანქანიდან ქაქანით გადმომხტარ კოჭლ ექიმს ფეხდაფეხ მოსდევდა. მერაბს უკვირდა, არც კოჭლობა და არც სიბერე ამ კაცს ხელს ოდნავადაც არ უშლ-

იდა, რომ მანძილი სასწრაფო მანქანიდან თავის სამორიგეო კაბინეტამდე სარეკორდო დროში დაეფარა. სცენარისტმა გზა თვალით გაზომა, ექიმი კარამდე თუ მიასწრებდა, ვინ იცის, საით გაუჩინარდებოდა, ამიტომაც, რაც შეეძლო, გაუსწორდა და ქამანდივით სტყორცნა პირველივე შეკითხვა.

– მომიყევით რამე.

ექიმმა წამით მოიხედა და ისევ გაიქცა.

– ამბავი! – ხმას მოუმატა გელამ. მანძილი კარამდე სახიფათოდ მცირდებოდა.

– რა ამბავი? – ექიმს ნაბიჯი არ შეუნელებია.

– სასაცილო.

– რომელზე? – ექიმი უღვთოდ გარბოდა.

– თქვენზე.

– რისთვის გინდა? – კარი სულ ახლოს ჩანდა.

– კინოსთვის! – ლამის იყვირა მერაბმა.

და სასწაული მოხდა, ექიმი შეჩერდა, დოინჯი გაიკეთა, დამწყები სცენარისტი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და ყრუ ხმით ჰკითხა:

– რამდენი წლის ხართ?

– ოცდახუთის, – დაბეჯითებით უპასუხა გელამ.

– რამდენით ვიქნები შენზე უფროსი? – ექიმმა ჩაჩი მოიხადა. იგი გაცილებით უფრო ბებერი გახლდათ, ვიდრე სირბილის დროს ჩანდა. ნაყვავილარი სახე, აქა-იქ ამოსული თეთრი წვერი, თამბაქოსგან შეყვითლებული თხელი, ოდესღაც ქერა ულვაშები, დაღლილი, უპეებში ღრმად მიმჯდარი მუქლურჯი თვალები.

– ვერ გეტყვით. – გულწრფელი იყო გელა.

– ჩემო ბიძია. რად გინდა ეგ ამბავი. შენ აქ ახალი ხარ, გეტყობა. იმათ ყვები, იმ უსაქმურებს? – ექიმმა დომინოს მოთამაშეებისკენ ხელი გაიშვირა.

– არა ბატონო, მე კინოსტუდიიდან ვარ, – ცრემლი გაერია ხმაში გელას.

– მაინც შენსას ამბობ? არ გირჩევ, ჩემო ბიძია, მასეთ ლაპარაკს. არ ვარგა. ოჯახში მოხუცებული არავინ გყავთ? ორი კვირა დამრჩა და გავალ პენსიაზე. მე არავის ვუშლი ხელს. ვარ ჩემთვის. რა შენი ტოლი ვარ, ჩემო ბიძია, მე. წადი, შენი კბილა მოძებნე და იმას ეღადავე.

მოხუცმა მშვიდად, ხვნეშით კიდევ რაღაც უთხრა გელას და გატრიალდა. სცენარისტს მისი ბოლო სიტყვები არ გაუგონია, ცრემლები ახრჩობდა. რა მოხდა, რა დააშავა, რატომ ვერ გაუგეს?

ჭიშკრისკენ მიმავალს ვიღაც წამოეწია და ბოდიშის მოუხდელად განუცხადა, – მთავარი ექიმი გთხოვსო.

– სადაა? – სასწრაფო დახმარების ეზოს თვალი მოავლო სცენარისტმა.

– მეორე სართული, მესამე ოთახი, კიბიდან მარჯვნივ, აწერია. – სხაპასხუპით მიაყარა უცნობმა და ზურგი უჩვენა.

მთავარი ექიმი, ბალზაკის ასაკს გადაცილებული, მაგრამ კარგად შენახული, წარმოსადეგი ქალი გახლდათ. ფრესკულ სახეზე მოწყენილობისა და სიმკაცრის ნიღაბი ძალიან უხდებოდა. მან შემოსულს სავარძელზე მიუთითა და აზერბაიჯანული კონდიციონერის ღილაკს ალუბლისფერმანიკურიანი თითით შეეხო.

– აი, რა ჩემო კარგო, – მთავარ ექიმს თანამდებობისგან გათამამებული ქალის დაყენებული ხმა ჰქონდა, – ჯერ ერთი, წესია დაწესებულებაში შემოსულმა სტუმარმა პირველად უფროსთან უნდა შემოიხედოს. ამისთვის გვაძლევს ჩვენ სახელმწიფო ხელფასს. არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, მაინცდამაინც საკადრისი ცალკეული ექიმების დევნა ეზოში და გამოკითხვა. მე შიშით არაფრის არ მეშინია. რომ იცოდეთ, ძალით მომახვიეს ეს მთავარი ექიმობა თავზე. ხვალვე დანიშნონ, ვინც უნდათ, ქე მაინც დრო მეტი მექნება და ჩემს ოჯახს მივხედავ. კი, მართალია, ნაკლი გვაქვს, ვის აღარა აქვს მუშაობაში ნაკლი დღეს. მითხარით ერთი, თქვენ უნაკლოდ მუშაობთ? სწორი ბრძანდებით, აქ თვალთმაქცი და გაიძვერაც ბევრია, მაგრამ საკომედიო ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. მე დაველაპარაკები კინოსტუდიის დირექტორს (ტელეფონს შეხედა), ვურეკავდი ახლა და არ არის კაბინეტში. არა მგონია, ანგარიში არ გაგვიწიოს. ღმერთო კი მომკალი, კომედია და შარჟი უნდა კიდევ ისედაც სახელგატეხილ სასწრაფოს? საერთოდ ასე ხართ თქვენ – კარგისთვის მადლობას არავინ გვეტყვის, პატარა რაღაც შეგვეშლება და ტყავს გვაძრობთ. არ ვარგა ასე. არ არის სწორი. თუ ჩემი ადგილი ვინმეს უნდა, კი ბატონო. რა შუაშია კომედია და რა დააშავა საერთოდ სასწრაფო დახმარებამ? მე, სხვათაშორის, ამ საკითხს კონფერენციაზე დავსვამ. მეტი დაბალი ღობე ვერავინ ნახეს? შეიხედეთ სხვაგან, საკომედიოს და საგლახაოს იქ ნახავთ, თუ ნახავთ, მაგრამ სხვის წყენინებას ისევ ჩვენი წყენინება გირჩევნიათ, ვიცი მე, ჩვენ პატრონი არა გვყავს და იმიტომ.

უფროსი ექიმი ნერვებს იოკებდა, მაგრამ ხმის კანკალზე ეტყობოდა, ძალიან ღელავდა.

...მიაბიჯებდა შინისკენ ახალგაზრდა მწერალი გელა კირთაძე და სახე ჩამოსტიროდა. უკვე მიმხვდარი გახლდათ, რომ მის სცენარს კინემატოგრაფიული სიცოცხლე არ ეწერა.

* * *

ადამიანებს რომ დასიზმრებიათ საერთოდ, იმასთან შედარებით გელა კირთაძის სიზმარი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გახლდათ, მაგრამ, რომ გაეღვიძა, მაინც დიდხანს შესცქეროდა ჰეგელის სურათს ნახევრად გამოლენჩებული თვალებით. სიზმრის მეტი რა უნახავს, ილო ბიბიჩაძე კი არასოდეს გამოცხადებია ძილში. მართალია, ილო კარის მეზობელი იყო, მაგრამ არც ისე ახლობელი გახლდათ, ძილში რომ ჩაჰყოლოდა. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ორ-სამჯერ თუ შეუღიათ მეზობლებს ერთმანეთის ბინის კარი. ვერ აეწყო ის ხალასი ურთიერთობა, მუგუზლის მეზობლობას რომ ეძახიან იმერეთში. გელა თავისთვის ჯახირობდა მოულოდნელობებით სავსე თავის წუთისოფელში, ილოც თავისთვის ჩირთიფირთობდა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ რამდენადაც გულგახსნილი იყო გელა (სამსახურიდან შინ მობრუნებული საათობით დააბიჯებდა ეზოში და მოსაუბრეს ეძებდა დღიურ შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად), იმდენად გულჩახვეული და ჩუმი კაცი იყო ილო ბიბიჩაძე. სალაპარაკოდ არ გაგიჩერდებოდა, ნიადაგ საქმიანი იერით გარბი-გამორბოდა. დღემდე ვერ გაიგო გელამ, სად მუშაობდა მისი მეზობელი. რა მოხელე იყო, რამდენჯერაც ჩამოუგდო სიტყვა, ბიბიჩაძემ ან წაუყრუა, ან საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა და გელა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ კაცს თავის პროფესიაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა. შინაც ბევრჯერ შემოიპატიჟა, მაგრამ პასუხად ან ზრდილობიანი უარი მიიღო (ღვიძლის შეტევის მომიზეზებით), ან მეორე დღეს მოუხდა თავის გამართლების ფრიად საეჭვო მიზეზების მოსმენა: ლექციაზე დაგვტოვეს და ვერაფრით თავი ვერ გამოვიშვიო.

დილით, როცა შემოდგომის ფერმკრთალი მზე. მტვრიან ნისლში გამოტარებული სხივებით ძლივს მისწვდა ფანჯრებს, გელამ ხალათი მოიხურა და ახალი გაზეთები არ მომპარონო, კიბეს დაუყვა. კარის მეზობელი კიბეზევე რომ არ შემოფეთებოდა, სიზმარი აღარც კი გაახსენდებოდა. სალამზე რომ უპასუხა და რამდენიმე საფეხურით დაშორდნენ ერთმანეთს, გადაწყვიტა ეამბნა სიზმარი. იფიქრა, ცოტას გავამხიარულებო.

– ილო, ბატონო!

– ა, ჰა? – ილო შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, მუხლზე გაზეთებიანი ხელი ჩამოიდო და ჩამოიხარა.

– წუხელის მესიზმრე, ხომ იცი შენ?

ბიბიჩაძე დაიბნა, ჯერ გაოცებამ გაურბინა უპეებმიმჭკნარ ჭროღა თვალებში, მერე ღიმილმა გაუნათა ლოყებდაბერილი, მარიონეტთა თეატრის თოჯინასავით ნახევრადმეტყველი სახე.

– სათქმელად არც კი ღირს, მაგრამ რაკი შემხვდი აგერ, იცოდე მაინც. ისეთი კი არაფერი, უბრალოდ სიზმარი იყო, გაინტერესებს?

– აპა, აპა? – თვალები დაწკურა ილომ და მუხლზე ხელი შემოინაცვლა.

– ხომ გითხარი, ისეთი კი არაფერია-თქვა. მესიზმრა, ვითომ სტადიონზე წავედი ფეხბურთის საყურებლად. დაიწყო თამაში, ჩემო ბატონო, და, რას ვხედავ – ილო ბიბიჩაძე არ თამაშობს ფეხბურთს? ჯერ ეჭვი შემეპარა, დაგაკვირდი, რაც შემეძლო. კი, შენ იყავი ნამდვილად. მიდღემჩი არ უთქვამს, ფეხბურთელი ვარო, ან მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რა მეზობელი მყოლია-მეთქი, ეს იყო სულ. გიყურებდი და მიხაროდა, მეტი არაფერი. სიზმრის ამბავი არ იცი?

რაც უფრო ალალი ღიმილით ყვებოდა გელა, სიზმრის ადრესატი უფრო იღუშებოდა, ბოლოს ღრმად ამოიოხრა და იდუმალი მზერა მიაპყრო მეზობელს.

– რას ნიშნავს ვითომ ეგ?

– რაი?

– ბურთის თამაში სიზმარში.

– არაფერს, შე კაცო. სიზმრის გჯერა? ფეხბურთზე ფიქრი ჩამყვა, ალბათ, ძილში. იცის ასე.

– გმადლობთ, გმადლობთ, – ნერვიულად თქვა ილომ. სწრაფად შეტრიალდა და კიბეს აუყვა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დღეს შაბათი იყო.

გაზეთებში, რატომღაც, დიდად საინტერესო და მისაჭიჭინებელი არაფერი ეწერა. გაზეთების კითხვას რომ მორჩა, „დროშის“ ბოლო ფურცელზე გამოქვეყნებულ „თავსამტვრევს“ ჩაუღრმავდა. ქართველი კომპოზიტორის შვიდბგერიანი გვარი ვერ მოიგონა და თავის თავზე გაწყრა – კროსვორდისთვის მცალია ახლა მეო? ჟურნალი ორშაბათს უნდა ჩაებარებინა. მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო. „ილუზიონამდე“ მთელი ხუთი საათი იყო დარჩენილი. არ იცოდა, რა ეკეთებინა.

გელა კირთაძეს შაბათი არ უყვარდა.

ზარის ხმამ გაახარა, ვინც უნდა იყოს, ცოტას მაინც გავერთობიო. ჭურჭრუტანაში არც კი გაუხედავს, მეყსეულად გააღო კარი. პარმაღზე ხალათმოხურული ილო იდგა.

– მობრძანდი, ილო ბატონო.

– გმადლობთ, აგერ ვიქნები, პატარა შეკითხვა მქონდა, – ილო აღელვებული ჩანდა.

– ასე კარში ხომ არ გავჩერდებით, შე კაცო, – კიდევ ერთხელ შემოიპატიჟა, მაგრამ სტუმარი კარის ზღურბლს ვერა და ვერ გადმოაშორა.

– ისა... ესე იგი ფეხბურთს ვთამაშობდი? – ბიბიჩაძემ ხმას დაუწია, მიიხედ-მოიხედა და თითქოს დიდ საიდუმლოებას ანდობსო, ჰკითხა:

– რა ნომერს ვთამაშობდი, თუ გახსოვს?

– ა, კი არ დავკვირვებივარ, ეს ოხერი, – გელას გაუკვირდა შეკითხვა, მაგრამ უფრო თავის მახსოვრობას გაუწყრა, ნომერი მაინც როგორ არ გამომყვაო.

– სად მხედავდი უფრო ხშირად, მოედნის ცენტრში თუ ფრთაზე?

რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ადამიანთა უცნაურობას ხომ საზღვარი არა აქვს, ჩემო მკითხველო.

– ხან ისე და ხან ასე. წინაც იყავი და ხანდახან დაცვასაც წაეხმარებოდი, – გელამ აშკარად იცრუა.

– ჩვენს გუნდში ვთამაშობდი, თუ იმგენის?

გელას არც ის ახსოვდა, ვინ და ვინ ხვდებოდა წუხელ სიზმარში მწვანე მინდორზე, მაგრამ დაუფიქრებლად უპასუხა:

– ჩვენსაში, რა თქმა უნდა.

– ხალხი ბევრი იყო?

– კი. ბილეთი ძლივს ვიშოვე. ტრიბუნებზე ტევა არ იყო.

ილო ცოტათი დამშვიდდა, გაბრუნებაც კი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

– ვის ვეთამაშებოდით?

– კი ვერ გავარკვიე, დასწყევლოს ღმერთმა, – გელას შუბლზე ოფლმა დაასხა. – რაღაცა უბედური გუნდი იყო. თავისი სახე არც კი ჰქონდა.

– უხეშობდნენ? – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა სტუმარმა.

– კი. გარდა ამისა, მსაჯიც იმათ უდგებოდა.

– შენ ეს მითხარი, რა ფერის მაისური მეცვა?

– მგონი ყვითელი.

– ყვითელი? – ილომ კეფა მოიფხანა.

– ჰო, მოყვითალო უნდა ყოფილიყო, თუ არ ვცდები. შემოდი სახლში, შე კაცო, გავიყინე.

– გმადლობთ, გმადლობთ, – აშკარად ჩანდა, ილო სიზმრის მნახველის პასუხებით უკმაყოფილო იყო. გატრიალდა და ფოსტლების ფშლატუნით თავისი კარისკენ წავიდა.

გელა საქმეს დაუბრუნდა, მაგრამ ასოები სადღაც გაურბოდნენ. წამდაუწუმ ეშლებოდა და თავიდან იწყებდა. ილოზე ფიქრი არ ასვენებდა. გუნება მოვუშხამე ამ დილით კაცს. ან რა ჯანდაბამ დამასიზმრა ეს უცნაური სიზმარი, ან რა ჯარხანამ მაამბობინა, ვყოფილიყავი ჩემთვისო.

არ გაუვლია ორ საათს, ილომ რომ ისევ მოაკითხა. გელამ კარი გააღო და მოსულს დამნაშავესავით მიაჩერდა.

ილოს ტუჩები უთრთოდა, ხელებს თავს ვერ უყრიდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

– გისმენ, ილო ბატონო, – გაამხნევა მასპინძელმა.

– მე ისაა... ისეთი არაფერი. მინდოდა ზოგი რამ დამეზუსტებინა, რასაკვირველია... ამინდი როგორი იყო?

– წვიმდა – უღმერთოდ იცრუა გელამ და მტკიცედ გადაწყვიტა; რა ზერელე მოსიზმარე ვყოფილვარ, ანი მაინც კარგად დავაკვირდები ჩემს სიზმრებსო.

– წვიმდა? – სხვისი ხმით ჰკითხა ილომ.

– კი, ნამდვილად.

– შენ ეს მითხარი, ახალ სტადიონზე იყო თამაში თუ ძველზე?

– ახალზე. ძველზე ხომ წვიმის დროს მოედანზე წყლის გუბეები დგება.

– რა დგება?

– იტბორება ძველი სტადიონი, შემობრძანდით, გთხოვთ უმორჩილესად, რა ვქნა მეტი, აბა, – უკან დაიხია გელამ.

– არა მიშავს, სხვა დროს, – ილომ მაღლა აიხედა და ამოიხვნეშა. – თუ გახსოვს, რასაკვირველია, უხეშობდნენ?

– ვინ? ჩვენ თუ ისინი?

– საერთოდ.

– არ იყო მაინცდამაინც „გრუბი“ თამაში. პრესინგს კი მიმართავდნენ.

– რას მიმართავდნენ?

– პრესინგს.

– მთელ მოედანზე?

გელამ ყელში სიმშრალე იგრძნო და ნერწყვი გადაყლაპა.

– არა. მარტო საჯარიმოზე.

– გმადობთ, გმადლობთ, – ილო სწრაფად შებრუნდა, გაქვავდა, ისევ შემობრუნდა, თითქოს რაღაც უნდა თქვასო, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და თავისი კარისკენ წალასლასდა.

„რა ბზიკმა უკბინა, რამ გადარია. პატარა სიზმარი ვუამბე, მეტი ხომ არაფერი. ამ ხნის კაცი სიზმარმა (და ისიც სხვისმა სიზმარმა) უნდა გააგიჟოს? ფეხბურთელადაც რომ ყოფილიყო დაბადებული, თავის დროზე უნდა ეთამაშა, თორემ ახლა ფეხბურთიც ჩავლილია მაგისთვის და ფრენბურთიც. რანაირადაა წამოწითლებული სახეზე. ჩემი მიზეზით არაფერი მოუვიდეს, ამას ვწუხვარ, მეტს არაფერს. რამ დამასიზმრა, უბედური ვყავარ გამჩენს. ფეხბურთელად კი არა მაყურებლადაც არასოდეს მინახავს სტადიონზე. სიზმარი ცოტა

მართალს არ უნდა ჰგავდეს? მაინც, რამ აუმღვრია გუნება ამ სერიოზულ კაცს. სიზმარი კი არა, კაი ნამამლი კვერცხი არ ამართლებს დღეს თბილ საბუდარში. რამდენჯერაც მე სიზმარში ცხელ კუპრში ჩამაყოფინეს თავი, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამს. მაგრამ ქე ვარ აგერ“.

ხან იმას მოედო, ხან ამას, ბოლოს ვერაფერ საქმეს რომ ვერ დაუდო გული, ტაბურეტი გაიტანა აივანზე და ფეხები ერთ ციდაზე წაახერხა. ვერ ვჯდები წესიერად ზედო. ხერხვა რომ დაამთავრა, მერე დარწმუნდა, რომ ამაოდ გაისარჯა, მშვენიერი სიგრძის ფეხები ჰქონდა სკამს.

როგორც იქნა, გაათრია დრო სადილობამდე. ოთხს აღარაფერი უკლდა, ტელევიზორს რომ წამოუწვა. დარეკეს. იცოდა, რომ ილო იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, აქამდეც ელოდა მეზობლის გამოჩენას.

ილო საგარეოდ იყო გამოწყობილი. შავი პრიალა კოსტიუმი ეცვა, თავზე ძველებური დაბალცილინდრიანი შლაპა ეხურა (თეთრი ბანტით გაწყობილი), ხელთ ლომისთავიანი ტროსტი ეჭირა და მარცხენა თვალს ავზნიანივით ახამხამებდა.

– მივდივარ ახლა მე, – მცირე პაუზის შემდეგ გაანდო სტუმარმა, თითქოსდა თუ ვინმეს უნდა სცოდნოდა მისი წასვლის ამბავი, პირველ რიგში – გელას.

– საით? – ზრდილობის გულისთვის იკითხა მასპინძელმა. – შორს?

– აგერ ჩემს ქვისლთან მივდივარ, საქმე მაქვს პატარა. ისეთი არაფერი. ისაა. ერთი ეს მითხარი, ვთამაშობდი ქე მაინც რამეს?

– არ თამაშობდი, მე მგონია, ურიგოდ... როგორ გითხრა ერთიორჯერ გარღვევაზეც გახვედი. აღარც კი მახსოვს... საერთოდ, რას გადამეკიდე, შე კაი კაცო. ბოლომდე კი არ მიყურებია. სიზმრის ამბავი არ იცი? ერთ წუთში მთავრდება. შენ გგონია, მთელ ორ ტაიმს გაყურებინებს გამჩენი?! – ბრაზი დაეტყო ხმაში გელა კირთაძეს.

– რამე საგოლე მომენტი თუ შევქმენი, ეს მაინტერესებდა, მეტი არაფერი. თუ ჩავაწოდე ხეირიანად?

– არ ჩაგიწოდებია. ბურთი წინ გაიგდე და ვეღარ დაეწიე. ეს იყო, რაც მე ვნახე და, საერთოდ... რა ვიცი. აღარ მაინტერესებს სიზმრები! შენ საქმე არაფერი გაქვს? – კარი მთლად არ მიუხურავს, მაგრამ მეზობელს აშკარად ანიშნა, რომ მისმა უაზრო ვიზიტებმა გული გაუწყალა.

– გმადლობთ, გმადლობთ,– მისი ასაკის კაცისთვის კოხტად შეტრიალდა ილო, ქუსლი ქუსლს ჰკრა, ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ კაბინას არ დაელოდა, მასპინძელს შლაპა მოუხადა და კიბეზე ჩაბაკუნდა.

ქვისლთან მიიჩქაროდა ვითომ ნამდვილად?

* * *

– დილა მშვიდობისა, სტუმარო!

გიორგი წიკლაურს კარვის კალთა კისერზე გადაუფენია, ჩაცუცქულა და მანჯღრევს.

ნაბადი მოვისროლე, წამოვჯექ და თვალები მოვიფშვნიტე.

– გათენდა?

– არც ბევრი დააკლდების, ექვსი საათია. ხომ კარგად გეძინა?

– მეფურად, შენა?

– სამ ბალღ ნუ მომიკვდების, თვალი არ მომიხუჭავს.

– რად დაისაჯე თავი?

– სტუმრებს ხომ არ შეგასწრებდით კარავჩი. ჩემ დასაწოლ აღარ დარჩა.

– სხვისმა მაზიარებელმაო... თურმანაული?

– ისიც ჩემს დღეში ჩავარდა. მაგრამ არაფერ წაგვიგია, შატილის მადლმა. სამნი ვიყავით ცეცხლთან ჩახუტებულნი.

– მესამე?

– ჩვენი ალალი ძმა – ჟიპიტაური. აბა, უიმისოდ რას გავძლებდით. არ შეგცივდა?

– ხომ ხედავ, ჩექმებიც არ გამიხდია?

კარვიდან გამოვძვერი. ჯერ ისევ ბნელა. ვარსკვლავები თავთავიანთ ბუდეებში მიყუჟულან. ცა მარტოა. მთის წვერებზე ბაცი თოვლი ილანდება. კარვებს შორის აქა-იქ ჯერ კიდევ ბჟუტავს ცეცხლი. ვიღაცა მანქანის სტარტერს გამეტებით აჩხაკუნებს. წამით რომ სიჩუმე ჩამოვარდება, ქვემოდან, შატილის კოშკებიდან ფანდურის სუსტი ხმა მოაქვს ნიავს. უკანა ფარებანთებულ „ვილისთან“ თურმანაული ირწევა. წეროსავით მაღალ ფეხებზე დგას მაღაროსკარის „ხევისებრი“ და განუყრელი ნაბდის ქუდიდან მისი ჭაღარა ახლა შავხუჭუჭად მოჩანს.

– ხომ გითხარ, ჩვენი კაცია, გამაიგყვება-მეთქი. ანდე თუ სწორი არ მითქვამს, – თურმანაული ბეჭებზე მისვამს ხელს და წიკლაურს ნიშნისმოგებით ემასლაათება – არაო, სტუმარს ნუ შევაწუხებთო. აგეთი სტუმარი სწორედ ძილით შასწუხდების. ხომ მართალ ვარ? – მიმოწმებს, – ახლა მუცოს დავეცეთ. მზეს მუცოს კოშკებიდან მივესალმოთ და თითო არაყი დავჰკრათ, როგორია?

– ვინ იცის, რა სიზმრებს აგაგლიჯეთ, – გიორგი იცინის. – ეგ კი მართალია. დილისკენ ტკბილ სიზმრებ ჩამაივლიან, – კვერს უკრავს თურმანაული.

– ეჰ, კარგა ხანია, ჩემო გიორგებო, ჩემს სასთუმალთან ტკბილ სიზმრებს აღარ უთოვია.

დავიძარით.

ანატორის აკლდამებს გავუარეთ და მუცოს ხეობაში შევედით. მთავარი გზიდან, ხელმარჯვნივ ქვებნათოვ ჭალაში კარგა ხანს გვაჯანჯღარა „ვილისმა“. ბოლოს არაგვის (ხევსურები დიდსა თუ პატარა მდინარეს ყველას „არაგვად“ უხმობენ) ნაპირას შეჩერდა, მძღოლი გადავიდა, ერთი-ორჯერ ქვა მოისროლა წყალში და მანქანაში შემობრუნდა.

– ვერ გავალთ.

– რაიდ ვერ გავალთ? – გაჭირვეულდა თურმანაული.

– მოტორს ჩაგვიქრობს, მკერდამდე მოჩქეფს, ჩავრჩებით, – მძღოლმა გიორგის შეხედა.

– რა გაეწყობა. წყალთან ყინჩობა არ ეგების. დაატრიალე, მურყვანებში ჩამოვხდეთ.

...ბრტყელ ხავსიან ლოდზე ჟიპიტაურით სავსე ხელადა გვიდგას. გალიგვებული, მოხარშული ხორცი, მჟავე ხაჭო, გუშინდელი ხინკალი, დედას პურები, სულ ეს არის ჩვენი ავლადიდება. თხის ყანწი ხელიდან ხელში გადადის. არაყმა სული გაგვითბო.

ვდგავართ ოთხივენი. თურმანაულმაღა ჩაიმუხლა სიპ ქვაზე ერთადერთხელ, მაგრამ სწრაფადვე წამოხტდა. ცივიაო, ტიალი. რაც უფრო ნათდება, უფრო ცივა და გაღმა-გამოღმა კლდეები თითქოსდა განზე იწევენ. ხეებს ყვითელი ფერი უბრუნდება და კენწეროებს მოდებული თრთვილი ვერცხლივით ბრწყინავს. ცა ნელ-ნელა ნათდება, მაგრამ მზე ჯერ კიდევ შორს არის. სანამ პირველი სხივი ამ მთებში ჩამოაღწევდეს, ყინვა ძვლებში გაგვივლის.

დავლიეთ ანატორის სიკვდილის სადგურში ცოცხლად დამარხულთა შესანდობარი, მამა-პაპათა სალოცავის სადღეგრძელო, მწყემსთა და მონადირეთა მფარველი ღვთაების სადღეგრძელო, ამ ხეობაში ჩამობრუნებული მთიელის სადღეგრძელო, კელაპტრებივით ყვითლად დანთებული ხეების სადღეგრძელო, საქართველოს არგათავების სადღეგრძელო... ბოლოს იქამდეც კი მივედით, რომ მკვდრის გულს დაწვეთებული ალალი ცრემლის სადღეგრძელო დავლიეთ.

– გინდათ ცრემლზე ლექსი, – თურმანაულმა ოქროთი შეღებილ მთის წვერს ახედა:

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
ვარ ორის ჯოხით მოარული...
აბა, გაიხედნეთ ჩემ ნავალსა,

ცრემლით არიან დასეტყვილნი.
აბა, დაჰკვლიეთ გზა-გზის პირთა, –
ცრემლით არიან დარეცხილნი!
ცეცხლი მაქვს გულზე მოდებული,
ტუსის სული ასდის ჩემს ცრემლსაცა,
დავდივარ დამწვარ-დადაგული.
ღმერთმა დასწყიოს ცრემლი ჩემი,
ღორღივით არი, ხალხო, მძიმე!
მე თავადა ვარ სატირალი,
მე თავადა ვარ დაღონება,
ხმელეთზე ფეხით მოარული.

– რა დიდებულია, – ვთქვი მე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ლექსის ჩემეული შეფასება ყალბად ჟღერდა. თუ შეგიმჩნევიათ, ფშავ-ხევსურნი ლექსის ავ-კარგზე თითქმის არ ლაპარაკობენ. ისინი ლექსებს უბრალოდ ამბობენ, ლექსით ცხოვრობენ და იშვიათზე იშვიათია განზე გადგნენ და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სადა და თანაც გენიალური ფრაზაა „დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა“, ან „მე თავადა ვარ დაღონება, ხმელეთზე ფეხით მოარული“.

სევდიანმა ლექსმა ცოტა ხანს თავი ჩამაქინდვრინა, ჩემს თავთან, ჩემს ფიქრებთან ჩამაბრუნა და ვინ იცის, რამდენხანს შევრჩებოდი სევდას, მაღლა, ბილიკზე ჩქამს რომ არ გამოვერკვიე.

– ეჰაი, ხევსურო, ჩამაუხვიე! – გიორგიმ ხელი დაუქნია ბილიკზე აღმა მიმავალს. მგზავრი შეჩერდა, ფიწალი ბეჭიდან გადმოიღო და ზედ დაეყრდნო.

– გაგიმარჯვდასთ.

– ჩამაიბარდი, ერთაი დაგვილიე.

– აგეშენასთ, გმადლობთ, მთას მივდივარ, დალევა არ ეგების, – ფიწალი კვლავ მხარზე შეიდო და შეტრიალდა.

– არ გამაგივა ეგ საქმე, ლაშარის მადლმა, მიადგი ფეხი, ხევსურო, შენ გეუბნებიან! – დასჭყივლა თურმანაულმა.

მგზავრი კიდევ ერთხელ შედგა და მოიხედა.

– სულ ერთია, მაინც არ გაგიშვებენ. მანდ, ზემოთ ხალხი გვყავ ჩათოფებული. შენის ნებით ჩამაჰხვედ, აგრე სჯობიან, – გიორგი სიცილს ძლივს იკავებს.

ძალად სტუმარი ბილიკს ჩამოჰყვა, აბგა მოიხსნა, ფიწალი ქვას მიაყუდა, მშვიდობის დილა გვისურვა და შორიახლო გაჩერდა.

მოსხლეტილ ზვავს ჰგავსო, ვერა და ვერ იტყვი; დაბალი, ჩია ტანის კაცია, ლამისფერი ქურთუკი და რეზინის ჩექმები აცვია.

წვრილი კისერი აქვს და თითქმის უწამწამო, კურდღლის თვალები. წეღან ისე მჩატედ გადმოხტა ქვიდან, რომ უფრო ახალგაზრდა მეგონა. ახლა მის დანაოჭებულ ყელღაწვს რომ ვაკვირდები, თუ მეტისა არა ორმოცდაათს მიტანებული მაინც უნდა იყოს. კეფაზე – გაფსკვნილი, ფერგადასული, დაბამბული ქუდი ახურავს. სრულიად უმიზეზოდ ქუდს წამდაუწუმ ამოძრავებს. ხელით ხან წინ გადასწევს და მეჩხერ წარბებზე ჩამოიფხატავს, ხან უკან გადაქაჩავს და გაწლეულ კეხიან ცხვირს ზემოთ, თეთრყირმიზა შუბლს სანახავეროდ გამოაჩენს.

– ხევსურს რომ ეძახი, იქნება ქისტია, – სტუმრის გასაგონად უთხრა თურმანაულმა გიორგი წიკლაურს.

– აქამდე ხევსურ ვიყავ, – წარბი შეჰყარა სტუმარმა.

– რა გვარის ხარ? ახლოს მაიწი, – გიორგიმ ყანწი გაუვსო და მიაწოდა.

– ღვთისო ზვიადაური მქვიან. გაგიმარჯვდასთ. დილის მადლი შეგეწიოსთ. თუ არ გეწყინებისთ, ვერ დავლევ. შორი გზაი მიძევს. სხვა დროისთ იყვოს, – მოიბოდიშა ღვთისომ, ყანწი ტუჩთან მიიდო და თურმანაულს გადააწოდა, მაგრამ „ხევისბერმა“ ხელები გაასავსავა.

– აი, ეს კაცი მწერალია, გელა კირთაძე, თბილისდან. ეწყინების, უნდა დაჰლიო.

ზვიადაურმა შემომხედა, მაგრამ აშკარად შეეტყო, რომ ჩემი მწერლობა მაინცდამაინც ვერ დაიჯერა და კიდევ გაიბრძოლა.

– ღმერთმა ყველას ხელ მოუმართას. ჩემს საქმეს დალევა არ ეწყობის. შორი გზაი მელის.

– დალიე, ნუ ინაზები პატარძალივითა, დედას ჟიპიტაურია, არ გაწყენს, – ლამის უბრძანა წიკლაურმა.

ხევსურმა სამივეს ცალ-ცალკე მოგვაპყრო მუდარით სავსე თვალები, მაგრამ ჩვენის მხრივ ვერავითარი თანაგრძნობა რომ ვერ ჰპოვა, ხელი ჩაიქნია და თხის ყანწი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

გიორგის გაეცინა.

– რაირა გეცინების? – მიუბრუნდა ზვიადაური.

– გემრიელად კი გადაჰკარ, არაყთან ხამად არ იქნები.

– საქმეჩი არ გამოდგების. ღალატი იცის, თორემ სხვაფრივ კაი არს. დარდის მტერია.

– სად მიჰმგელამდი ასე ჩქარჩქარა? – თურმანაულმა ჰკითხა.

ღვთისომ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და მაღლა აიხედა.

– გაჰხედე, დათვიჯვარს შავი ღრუბელი ადგას, საწვიმრად ეღირების.

– მერე იწვიმოს, შენ რაი გაწუხებს.

– ახალგათიბულს თუ დააწვიმა, ჩაახურებს და ჩაალპობს, გასაშლელად ვეშურები.

– სად გიძევთ ნათიბი? – ჩავერიე.

დასავლეთით, შატილსწამოყუდებული თოვლიანი მთისკენ მიმითითა.

– ა ემ მთის ძირშია. შორ ნუ გეგონებავ. ოთხი საათის გზა არც კი არი.

– აგაშენა ღმერთმა.

– ახლა ყველაფერსა ვჰკვირობთ. აი, მაშინ გენახათ, იმ ჭიუხებს ზემოთ, იალაღებს რომ ხნავდნენ ხევსურნი.

– სადა კაცო? – ფერდობს დაბლა ვათვალიერებ.

– მაღლა-მაღლა, თოვლის ზოლთან, დღესაც ეტყობის ნაპოხი.

– იქ ან ხარები როგორ აჰყავდათ, ან რასა თესდნენ, რა მოდიოდა?

– ქერი.

დავლიეთ იმ ხევსურის სადღეგრძელო, ამ ფრიალო კლდეს რომ ჩაჰბღაუჭებოდა ათასი წელი და ბოლოს „შეტყუვილით ჩამააბარეს“, მერე დავლიეთ ჩვენი სატკივარის მორჩენის სადღეგრძელო...

მზემ რომ ნათელი დაგვაფინა მხრებზე, აღარც კი გვიგრძვნია. რომ იტყვიან, კარგა ლაზათიანად გამომტყვრალები გახლდით.

ვმღერით, ვხარხარებთ ხან მიზეზით ხან უმიზეზოდ, ერთმანეთს ვებღოტიალებით, ერთი-ორჯერ წავუცეკვეთ კიდეც. ღვთისო ჩუმადაა. ფიწალს დაყრდნობია და მიწას ჩაჰყურებს, ცდილობს, სიმთვრალე არ შეიმჩნიოს.

– რამდენი შვილ გყავს, ზვიადაურო? – გიორგი ჩასძახის.

– ექვსი.

– ყოჩაღ, ხევსურო. ვაჟკაცი შენ ჰყოფილხარ. სად სახლობ?

– მუცოს პირდაპირ, ხევში.

– მარტო სახლობაა?

– მარტო.

– უმეზობლოდ, კაცო? – ვეკითხები.

– აქამდის უმეზობლოდ ვიყვნით. გაზაფხულს ერთი ოჯახი აპირობს დაბრუნებას.

– საიდან?

– მანდეთ, თბილისთან ჩვენი სოფელია, გამარჯვებაი ჰქვიან, ხევსურნი სცხოვრობენ.

– ღვთისო! – თურმანაულმა ჭინჭრაქა ხევსურს ხელი ჩამოადო მხრებზე, – რა ჰქვიათ ბალღებს?

– რაიდა რა ჰქვია – ბალღები.

– სახელებს გეკითხები, ჩამათვალე.

ღვთისომ ფინალს ხელი შეუნაცვლა, თვალებში შემომხედა და დაიწყო.

– თამარაი, დავითაი, ჯაბაი, ეთერაი, საბაი... საბაი... ეთერაი, ჯაბაი ვთქვი, დათვია... თამარაი, ჯაბაი, საბაი ვთქვი... – თვალი მომარიდა და თავიდან დაიწყო – თამარაი, დათვია, ეთერაი, ჯაბაი...

თურმანაული და წიკლაური სიცილით იფხრიწებიან.

– ბალღების სახელ აღარ გახსოვს!

– ქაღალდზე ჩამასწერე და გულზე დაიკიდე!

– დილაობას გადასთვლიდე, არ დაგავიწყდების!

– ძაფი შეიბი რაღაცაზე!

– ცოლს ჰკითხე, არ დაგიმალავს!

რაც უფრო დალაღობენ თავზე მთვრალები, მით უფრო იბნევა ღვთისო.

– რაირა გაცინებთ? ყველაფერაიც კარგად მახსოვს. განა მაცლით ჩამოთვლასა.

– არა უშავს, ხდება, – დავამშვიდე.

– უარესიმც ხდების, – ღვთისოს გული მიეცა და გამხიარულდა, – რაკიღა ეშმაკურ გუნებაზე ჰხართ, ერთ სათრეველა ამბოვსა მეც მაგიყვებით. პაპაჩემ უთურგაი ერქვა, ლებაის კარში სახლობდა. კაი ყმის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ახლაც მხვდებიან პაპის მცნობნი. ახლაიც თითო ჭიქა არაყს მამაწვდიან უთურგაის ანგარიშზედა.

– რატომ უთურგაის ანგარიშზედა? – თურმანაულს გიორგის მხარზე ხელი ჩამოუცურდა და კინაღამ ცხვირი ჩამოჰკრა ბეჭზე.

– პაპაის სახელით, პაპაის მადლით მპატიჟებენ. თორო მე ვის დავეკარგე, ვის რაჩი ვარგივარ. პაპისტოლანი ცერად მიცქერენ, „გონჯ ღვთისოს“ მეტყვიან, ზოგჯერ, სიყვარულითა

– დიდი სიყვარულითა? – წიკლაური იცინის.

– უთურგას ცხრა შვილი ჰყავდის. ახლა არცერთ აღარაა ცოცხალი. ყველანი იქათ, გაღმა სოფელჩი დაბინავდან. ჰოდა, იმას გეუბნებოსდით, მამაჩემ – ნაბოლარაი ერთი წლისა ჰყოლიყო პაპასა, გაუნათლავი. გაუნათლავ ბალღს ხევსურნი სახელს არას ეძახდნენ.

– სწორია, უბრალოდ „ბატარად“ ან „ბალღად“ უხმობენ. – თურმანაული ჩაერია.

– უთხარ, დამაცადოს, – გიორგის შეხედა ღვთისომ.

– დააცად, თორო დაავიწყდების, – სიცილისაგან ყბებში თაგვები აუთამაშდნენ წიკლაურს.

– მამაჩემი ბატარა, სულ ერთი წლისაი, ცხენჯორზე შამაესვა უთურგასა და შატილს ჩამაეყვანა გასანათლავადა. დედაი ვერ თან გამაჰყოლოდა, აქ ბოდიში, ფეხმძიმედ ჰყოფილიყო. ჩამაეყვანა შატილში, გაუნათლავს მღვდელსა, თავის დავთარშიც სახელი ჩაუწ-

ერავს, წმინდა ზეთი წაუსომს მამაჩემისთვის (ერთაის წლის ბალღი) ცხვირზედა და გამოუსტუმრებია ლებაისკენ, აბა, უთურგას მასპინძელს რა დაუჰლევდა. ძმადნაფიცი თავის კოშკთან დაჰლოდებია. ჟიპიტაურის წვიმით თავიდან ფეხამდინ უსველებია. დილაბინდბუნდში მოსდგომია სახლსა პაპაი. გამაჰგებებია დიაცი – რა დაარქვაო ღვდელმა ბატარას? უთურგა არას ამბობს, მძიმედ დააბოტებს. ცხენს ლაგამ-უნაგირი აჰყარა, ტყაპუჭ-ქალამანი გაიხადა, კერას მიუჯდა, საგონებელჩია, ჰა, რა დაარქვითო ბალღსა, ბეჩავო? არ ეშვება დიაცი. რა ჰქნას უთურგამ, ამ ლოთობა-კვარჟღალში თავისი ბალღის სახელი დაჰვიწყებია, რას ჩამაცივდი, დედაკაცო! – წამაუყვირნია, – რას დავარქმევდით, „ჯუღურაი“ უწოდა ღვდელმა ამ შენს ჭინჭრაქასაო. ეჭვს ვინ გაუბედავდის პაპასა, ან ღვდლის დავთარს ვინ ჩაჰხედავდის, დარჩა და დარჩა ჯუღურაი სახელად მამაჩემსა, დარჩა და ამ სახელითაც წავიდა სულეთშია.

ამას რომ ჰყვებოდა, ღვთისოს ხელებს ვაკვირდებოდი. გრძელ მკლავებს ისე შეთანხმებულად და ერთნაირად იქნევდა გეგონებოდათ, თიბავსო. ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქოს წყალგაღმელთ უნდა გააგონოსო. გაუხეშებულ, ბელტთითება, ძვლებღია ხელებს ფერდებზე წამდაუწუმ ისვამდა. სიცილი გვაცალა, მერე სწრაფად დასერიოზულდა, ყანწი გაავსო და მაღლა ასწია.

– ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, თუ ნებას დამრთავთ.

გავსწორდით ისე, როგორც ჩვენს დღეში მყოფთ შეეძლოთ გასწორება და სმენად ვიქეცით...

– მოდით, დიაცის სადღეგრძელო იყოს. ბარელთ ნუ გეწყინებისთ, დიაცის ფასი მთაჩი უკეთ იციან. არ დამცინოთ კია, ბარად შვიდი წელი მოვათიე. ბარისა ცოტა რამ გამეგება. იქნების, სისულელეს ვჩიოდე, სხვის ომში ბრძენობას ვიჩემებდე; მე რაც დამემართა, იმას ვამბობ. თხუთმეტი წლის წინათ ჩაგვლალეს ბარად. აუგს ვინ იტყვის, ეგ არის დავისვენეთ-მეთქი, ამ კლდეებზე ბღოტიალს გადავურჩით-მეთქი. შვილებს გაფიცებთ, არ დამცინათ. სამ წელიწად კარგად ვიყავით, მერმე უცნაურ დღეში ჩავვარდი – დიაცს გადავეჩვიე. ლამის თავი მავიკალ. არად მინდარის ჩემი ცოლი. რაი დამემართის, არც რაი ვიცი. ისეთი საქმეა, სხვასაც ვერას ჰკითხავ, დაგცინებენ. ჩავუკვირდი ჩემს ბეჩავობას. იქნების, სახად რამე შამეყარა. არცრაი – კურატივით ჯამრთელ ვარ. აბა რა სიკვდილ დამემართების. საჭმელ-სასმელ რიგიანი, სითბოლოგინი შვენიერი, ტელევიზორი და საქმე ცოტა. მეტი რაი უნდა კაცსა. არა და არ მიმდის გული, გადავეჩვიე დიაცსა. მაშინ ორი ბალღი მჰყავდა, ახლა ექვსი მყავ. აქედამ ვუკვირდები, ჩემთვის რაღაცეებ ახლა ამიხსნია, არ კი გამცინოთ, ვაჟობას გაფიცებთ. თბილ სახლჩი ტელევიზორ ვუყურებ-

დით მე და ჩემი დიაცი. სითბო ვაჟკაცის მტერია. ძილი მერევა. ყასიდად მაინც ვეუბნებ ცოლსა, წამოდი-მეთქი, დიაცო, დავიძინოთ. ცოტაც დამაცადე, კინოს ვნახამო, მე აღარ მინდა კინოი, იმას უნდა. მთავრდება კინო, მე კარგა ხანია მძინავს. დიაცი თავის საწოლში ეხვევა. რა სიცივე შეაწუხებს. დილით თვალდაბერილნი ვიღვიძებთ ორივენი. ვარსკვლავსაც თავისი გზაი აქვს, ყველანი გავრბივართ ჩვენს მოგონილ საქმეებზე. საღამოს ისევ ტელევიზორთან ვიკრიბებით და ესეც შენი კვირა. დიაცს გადავეჩვიე. დიაცი მადლია. დიაცი ღვთის უკეთესი ფიქრია. დიაცი სიცოცხლეა. ამაველ მთაში, ნაბოლარა ბიჭი შარშან შამეძინა, გავცოცხლდი კაცი, იცით რა არი დიაცი? საქონელ რომ დააბინავებ, ცივ ღამეს რომ შაუდგები და ლოგინს გაგითბობს. გულს გაგითბობს. მერე თუ ნამეტან დაღლილ-დაკრეფილი არა ხარ, ცეცხლადაც შამოგენთება. დიაცი გულთან უნდა გყავდეს. სხვა ოთახს, ტელევიზორთან მჯდარი დიაცი ქრება, ნელდება, ცივდება. დიაცს გაუმარჯოს ჩვენს სულში, ჩვენითა. ჩვენი ნეკნია, ჩვენი ნეკნია, ჩვენი გვერდია, ჩვენით არის. უჩვენოდ დიაცი არ დიაცობს, ტვირთს სახედარიც კარგად აიკიდებს. დიაცი სიყვარულია, სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი დაკვრით ჩაიცალა ყანწი ხახაში და თურმანაულს გადაულოცა.

მერე ერთი დაბარბაცდა, მამერია ტიალი ჟიპიტაურიო, თქვა, ხელაწევით დაგვემშვიდობა, ფიწალი და ზურგჩანთა ამოიიღლიავა და წამოიყვირ-წამოისიმღერა:

ცოცხალთ რა გვიჭირს, მზესაა ვხედავთ.
დაღამდება და გათეენდება!
ბრალიაააა, ვისაც დაუუულამდა,
ვიიისთვისაც აღარ გათენდება.

მთას ახედა, ათიოდე ნაბიჯზე აუყვა აღმართს, შედგა, ხელი ჩაიქნია, გამობრუნდა და შინისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

* * *

საირმეში ვარ, ჩემი კენჭების გადამკიდე.

– ყველაფერი გავიგე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ზღვა რატომ არ იმატებს, ეს ამბავი მაინც გამოცანად დარჩა ჩემთვის.

– რომელი ზღვა?

– დავუშვათ კასპიის. მარტო ვოლგა და მტკვარი რამდენ ტონა წყალს ჩაიტანს ერთ საათში, სხვას დავანებოთ თავი.ერთ საათში,

ერთ დღეში, ერთ კვირაში, ერთ წელიწადში. რამდენი ასი წელიწადი იქნება, რაც ვოლგა კასპიის ზღვაში ჩაედინება? ერთ სანტიმეტრს რომ არ იმატებს, რანაირადაა ეს საქმე? ა, ნასწავლი კაცი ხარ, მწერალიაო შენზე თქვეს. ამიხსენი აბა.

– რაც ჩადის, ორთქლდება და წვიმად მოდის, – მოვიშველიე ოდესღაც სკოლაში გაგონილი.

პაჭულიას გაეცინა.

– ისე აშენდა, ვინც შენ მაგი გასწავლა. გუშინაც მასე მითხრა, წვერებიანი რომ დადის მესამე კორპუსიდან, პროფესორი ვარო, მაგრამ შევატრიალებინე ქუდი უკუღმა. რა ორთქლდება, სადაა ამდენი ორთქლი? კარგი, ვთქვათ მზე რომ დააჭერს, მაშინ ორთქლდება ზაფხულში. ზამთარში? რვა გრადუსი ყინვა რომაა, მაშინაც ორთქლდება? წვიმები რომაა, რომ გადააბამს ხანდახან ერთთვიან წვიმას, არ მითხრა, მაშინაც ორთქლდებაო. არ ჭამო ეგ ამბავი შენ. ჯერ წვიმა ხომ თავისთავად ჩადის და ემატება, ეს მდინარეები რომ მოდიდდება წვიმაში და ერთი ხუთად მოდის, ხომ ჩადის ზღვაში? სად გადის მერე ეს წყალი. სანტიმეტრი რაა, სანტიმეტრიც არ უნდა მოიმატოს კასპიის ზღვამ?

დაახლოებით ასეთ რთულ საკითხებზე გვქონდა კამათი, როცა ალაგეზე ძლივს გადმოხოხდა ასე ორმოციოდე წლის, უსაშველოდ გასუქებული, პიჟამოიანი კაცი და ხვნეშით დაგვადგა თავზე.

– ბოდიში, პაჭულია რომელია თქვენს შორის?

– მე ვარ, რა იყო? – მშვიდად უთხრა პაჭულიამ.

– მანქანებზე თქვენ ბრძანდებით ხომ აქანა?

– მე ვარ, რავა, რა იყო? – მუხლებზე დაიდო თავისი მოკლე თითები პაჭულიამ.

უცნობმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ხუთმანეთიანი ამოიღო და გაუწოდა.

– იყოს, არ გინდა არაფერი, – დაიმორცხვა პაჭულიამ.

– როგორ გეკადრებათ, ინებეთ.

– იყოს, არ მაქვს მაინც მაგის ხურდა, მიდიხარ სუულ?

– არა. ცოლ-შვილს გავაკატავებ პატარას და საღამოს მოვბრუნდებით, – დაბეჯითებით თქვა მსუქანმა კაცმა.

– ჰოდა, მერე იყოს. რა გვეჩქარება. თუ არ იქნება და შენ კარგად იყავი. არც მაგაზე დავიწყვეტთ გულს, – განზე გაიხედა პაჭულიამ.

– შენთან იყოს მაშინ. ასე უფრო უპრიანი იქნება, – ამ სიტყვებთან ერთად უცნობმა კვართის ჯიბეში ჩაუკუჭა ფული პაჭულიას და სანამ მანქანასთან მივიდოდა, ერთხელაც მოუხედა, – ხუთი დღის მოცემული მექნება.

– შენ კარგად იყავი! – მიაძახა პაჭულიამ და სწრაფად გადმოირთო ჩვენთან, – იმას ვამბობდი, მეცნიერებაო, დაიჟინებს

ზოგიერთი. შენ გგონია ყველაფერი იცის მეცნიერებამ? იმისი არ იყოს, დედამიწა რგვალიაო. რა არი, ბიჭო, რგვალი. რგვალი რო იყოს, ეს ოკეანეები არ დაგვესხმებოდა თავზე? მიზიდულობაა შიგნიდანო. რა მიზიდულობაა ამნაირი, ამხელა წყალს რომ აჩერებს თავდაღმა. გაგაგიჟებენ, მაგენს რომ დაუჯერო. დედამიწა პატარა ბურთიაო. ამ სამყაროში. ტრიალებს, ფრიალებს ეს პატარა ბურთი. არც წყალი იღვრება ძირს და არაფერი. იფ, რა მშვენიერია! როდის იყო, ბურთზე წყალი ჩერდებოდა? რა გაცინებს? – მიუბრუნდა პაჭულია გვერდით მჯდომ ხელჯოხიან დამსვენებელს, რომელმაც გუშინ ფეხბურთის თამაშისას ქვას წამოჰკრა და ახლა „ადიდასზე“ ბინტით აქვს დაკრული მარჯვენა ფეხი.

– არა ვარ სწორი? – პაჭულიამ დოინჯი გაიკეთა.

– მაგაზე კი არ მეცინება. ფული რომ მოგცა იმ უბედურნახევარმა და აქეთ რომ დააწყებინე ხვეწნა.

– არაა გლახა ბიჭი, – წყნარად თქვა პაჭულიამ და უცბად თვითონვე წასკდა სიცილი.

– სანამ გაგიგებდნენ, ხომ კარგი, მერე ხარ ცოდვა, – არ ეშვება თითნაღრძობი.

– გაგებამდეა, ბიძია, ეს ქვეყანა, თქვენც ასე ბაირამობთ თქვენს საქმეში, სანამ გაგიგებდნენ. რომ გაგიგებენ, მერე მეყოლე კარგად, – ძალად დასერიოზულებული პაჭულია სიცილს ბაწრით იჭერს, მაგრამ ველარაფერს აწყობს, მიუშვებს და წარბებიანად ძიგძიგებს.

– რა გაცინებთ? – მთვარიდან ჩამოსულივით ვკითხულომ მე.

– მე რა მაცინებს, ქე ვიცი, ბატონო, მარა ამას რა აცინებს ამ ფეხის პატრონს, ხომ ხედავთ, ბზიკის ნაკბენივით აქვს დასივებული თითები. ჩამოვლენ და დამიწყებენ აქანა, დიეტაო, ბანგლინტონიო, ამ ხნის კაცს რა ფეხბურთი აუტყდა. როცა დრო იყო, მაშინ ეთამაშა. არეულია ქვეყანა. სერიოზულ კაცს ვერ ნახავ ამხელა დაბაში. ვინც ავადმყოფია მართლა და ვისაც წამლად სჭირდება ეს წყალი, იმას ვინ აღირსებს საგზურს, ამნაირებითაა სავსე მთელი კურორტი. გეკითხები ახლა მე შენ, რაზე ჩამოდი აქანა? – მიუბრუნდა პაჭულია გვერდით მჯდომს.

– დაკლება მინდა, – ღიმილი შეაგება ფეხბურთის მოყვარულმა.

– მერე დასაკლებად, შე კაი კაცო, ამხელა გზაზე მორბიხარ? მოუკელი ცოტა ჭამას და გახდები. შენი ჯანმრთელობა უნდა მქონდეს მე და შენ ჩემი ჭკუა, მაგრამ სადა აქვს ღმერთს სამართალი. რაღაც თუ არ დაგაკლო, რაღაცაში თუ არ დაგჩაგრა, ისე გაგიშვებს? მაგლახავებენ ახლა ეგენი თავის ჭკუით, მეცინიან ვითომ, მაგრამ, ა, დახედე ფეხზე? ახლა მე შემხედე სახეზე და შეგნებული კაცი ხარ, შენ თვითონ მიხვდები, ვინაა ჩვენს შორის საგლახაო.

პაჭულია ორმოცდაათამდე არ იქნება და არც დიდი დრო უძევს. დაბალი კაცია, სქელკისერა. შეთხელებული თმა ისე გულმოდგინედ აქვს დავარცხნილი, რომ პარიკი გეგონებათ. დიდი პირი აქვს და მეჩხერი კბილები. მზედაკრულ სახეზე ფერიჭამელები დაჰყრია. ცალი თვალი ჩაწითლებია და საუბრისას ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდს. გაბმულად, უპაუზოდ საუბრობს მოშლილი დინამიკის ხმით. იმერეთში ასეთ ლაპარაკს ჭიჭყინს ეძახიან.

– სანამ ეგენი გეტყოდნენ, ბატონო, მე მოგიყვები ჩემს ამბავს და მერე ამგენმა გააფორმონ, რავარც უნდათ. მაგის შნო ქე მიუცია გამჩენს, მეტი არაფერი შეუძლიათ თვარა. ავადმყოფი კაცი ვარ. მე კუჭის წყლული მაქვს სამი წელიწადია. რავა არ გექნება კუჭის წყლული, რაც მე ნერვიულობა მხვდება ყოველდღე – თუ შინ და თუ გარეთ. შინ, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამი ბავშვის პატრონი ვარ და წიგნი დასანახავად ეზარება სამივეს. მე მაბრალებს ცოლი, შენი ტვინი გამოყვათო. შეიძლება ასეცაა, არ ვარ ნასწავლი, ბატონო, მეორე კლასიდან დამანებებია მამაჩემმა შკოლას თავი, მარა ყოველდღე ამის ძახილი ვარგა რამედ? გაიგეს ბავშვებმა, ბაბაიასავით უნიჭო გავჩნდით ჩვენცო და აიცრუეს გული წიგნზე. ვისი ბრალია ეს? არაა ჩემი უბედური ცოლის ბრალი? გარეთაა და ძაფსაღებში ვმუშაობ დაზგების შემკეთებელ-მეთვალყურედ, არ იცი ჩვენი ამბავი? ამხელა საამქროში მოიშლება რაღაც, აბა რა იქნება, ძველდება რკინა, ბატონო. გაჩერდება მქსოველი და დაიწყობს უკან ხელებს. არიქა, პაჭულია! დამარბენინებენ წინ და უკან. გაცდება დაზგა და ჩემს მეტი არავინაა პასუხისმგებელი, მე მომკიდებენ ყურში ხელს. მე შენ გეტყვი, ყუთებით მიწყვია სათადარიგო ნაწილები. ჩემი ხელით ვჩარხავ და ვაკოწიწებ რაღაცას.

რაღა გავაგრძელო, ამ თვენახევრის წინ ჩავიდევი სიმწრით ნაგროვები ხუთასი მანეთი და წამოვედი აქეთ. წყლული მაქვს-მეთქი, მოგახსენეთ. წყლული კი არა, კიბო რომ არ მჭირს, არ გიკვირს? ბევრი ვუცადე საგზურს, ბევრი ვუწრუწუნე ჩვენს ადგილკომს, მაგრამ ვინ გაღირსა. ვის დაეკარგე, შენს კუჭის წყლულს ტირის ჩიჯავაძე. მეტი არა აქვს საქმე. ხო. ჩემო ბატონო, და ავტობუსში ქე ამაფცქვნა ვიღაცა არდასაცალებელმა ჩემი დასვენების ფული. პიჯაკი მეკიდა საკიდზე. პიჯაკი ქე დაუტოვებია და ფული გაუყოლებია ხელს. რა ვიცი, ვინ წაიღო. რვა კაცი ამოვიდა და ჩავიდა. ხელებში ხომ არ მიაჩერდები, ვინ შემოდის და ვინ გადის. ასე რომ, სამი მანეთით ჩამოვედი საირმეში. აქანა სამი მანეთი კიი არა, ჩემი ხუთასი მანეთიც არაფერს მიზამდა, ისე იხარჯება ფული, ყველას ხელი აქვს გამოწვდილი. ყველა შოვნაზეა გადასული. არა და უკან დაბრუნება, გითხრა სიმართლე, ქე შემრცხვა. დაბრუნდი

ახლა ქუთაისში ამხელა კაცი, მომპარეს ფული-თქვა, გამოაცხადე. ცოლმა რომ არაფერი გითხრას, მეზობლებში ხომ მოგეჭრა თავი. ჯერ მივიარ-მოვიარე, პატარა გევიკითხ-გამოვიკითხე, ნაცნობი არავინ შემხვდა და უცნობი ვინ გასესხებს ფულს, ვინ გენდობა. იქით მივდექი, აქეთ მოვდექი, გადავხედ-გადმოვხედე საქმეს და გავიწყვიტე შუბლზე ერთი ძარღვი. ის ძარღვია თურმე, რომ გაკავებს, მეტი არაფერი. რავარცხა იქნება, უნდა გავიტანო თავი-თქვა, ვუთხარი ჩემს თავს. ამ პანსიონატს დავადგი თვალი. შევედი და დირექტორს მივაჩეჩე ჩემი პასპორტი ხელში, ახალდანიშნულია, კაი ბიჭი, სხვათა შორის, აღმასკომიდან გადმოუყვანიათ, წესიერი კაცია, ჯერ არა აქვს ნასწავლი სიგლახე. ქუთაისიდან გამომიშვეს, მე ვუთხარი, ქალაქკომმა იცის ეს ამბავი-თქვა, მანქანების სადგომი რომ არაა ამხელა კურორტზე, ჩივიან დამსვენებლები და ამაზე გამომიშვეს-მეთქი. გამომიყავი ახლავე ტერიტორია და სანამ ავტოსადგომს გააკეთებდნენ, დროებით იქ დავაყენოთ მანქანები-მეთქი. კი, მაგრამ შტატი რომ არ მაქვს მანქანების დარაჯისო? რამდენი ელირება სადღეღამისოდ რომ არ ვიცი არაფერიო? შენ მაგას ნუ დარდობ, მე ვუთხარი, გამომიძებნე პატარა ოთახი სადმე, მე ვუდარაჯებ მანქანებს უფასოდ-მეთქი. შენ აგაშენა ღმერთმაო, დამსვენებლების ჩიჩინს რომ გადავრჩები, მარტო ეს რად მიღირსო. ოთახი ვერ მოძებნა, მაგრამ უკან ფინურ ბინაში, მზარეულთან ერთად შემასახლა. დღე მაინც აგერ ერთად ვზივართ ყველანი და ღამე რად უნდა დარაჯი მანქანას. აქ ვინ ამოვა მოსაპარავად. ყოველ დილას სულ ცოტა ოცმანეთიანი ვარ, შაბათ-კვირას მეტია. მანეთს იძლევიან ღამეში. ისე უყარაულა შენმა დამაწყევარმა, მე რომ მანქანებს ვყარაულობ, მაგრამ დამსვენებელს გული მაინც დამშვიდებული აქვს. პატარა ფული რომ მოვაქუჩე, საგზურის ფასი გადავუხადე პანსიონატს და ახლა ამ პირველ კორპუსში ვარ მესამე სართულზე, ნახევრადლუქსში გაჭიმული. ვუშავებ ვინმეს რამეს? ხომ საჭირო იყო ავტოსადგომი, ხომ უკეთესად გამოიყურება ჩემი აქ ჩამოსვლით კურორტის მომსახურება? აბა, რა გინდა მეტი. მე უფასოდ ვდარაჯობ, ასე მაქვს ნათქვამი ყველასთვის. სადღეღამისო ავტოსადგომი უფასოდ ამის გარდა გინახავს სადმე? იქეთ არავის ვთხოვ ფულს, მაგრამ მაძლევს ის კაცი და არ გამოვართვა? ახლა მეორე ამბავი. ექსკურსიების ამბავი, როგორაცაა ჩვენთან საერთოდ, მოგეხსენებათ. არა და ყველას უნდა უღელტეხილის დათვალიერება. აქ ჩამოვიდა კაცი და რაღაც ოცდაექვს კილომეტრზე არ დაათვალიეროს უღელტეხილი? სანატორიუმ „ტრაპიზონის“ ავტობუსს პარასკევობით გამოსასვლელი დღე აქვს. მივედი შოფერთან: არავინ არ დაგაღრჩობს მაგისთვის შენ, მოგი-

გროვებ ხალხს და გაასეირნე პარასკევს უღელტეხილისკენ-მეთქი. დამთანხმდა კი არა, სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრა. ახლა, ყოველ პარასკევს მიჰყავს ექსკურსანტები. ვინ მიდის? არ მეხვეწებიან? სია არ მაქვს შედგენილი სამი კვირის წინასწარ? სამასამდე კაცი ხომ მაინც ისვენებს მთელ დაბაში. ყველას უნდა წასვლა. ხუთ მანეთად დიდები მიჰყავს, სამ მანეთად პატარები. ოცდაოთხკაციანი ავტობუსით მინიმუმ ას მანეთს იდებს ჯიბეში. თუმანს მე მაძლევს ხალხის შეგროვებისთვის, თუმნის ბენზინი ვთქვათ, თუმცა ბენზინი უფასო აქვთ მაგენს. რვა თუმანი ხომ რჩება ხელზე. პატარა საქმეა? კიდევ გეტყვი ერთს: სამი ებრაელი ფოტოგრაფია ამ დაბაში. ჩემზე ამოდით მზე და მთვარე. რატომ იცი? გავივლით თუ არა ასე ჯგუფად დამსვენებლები, ერთს ვიტყვი, გადავიღოთ სურათი სამახსოვრო-მეთქი. ათიდან ერთი თუ იტყვის უარს. უღელტეხილზე წასვლის წინ ექსკურსანტებისთვის ავტობუსთან ერთ სურათს გადავაღებინებ იოსკას ან გაბრიელს, ჩამოსვლისას მეორეს. არ იქნებიან ჩემი მადლიერი? ჩემს სურათს ხომ უფასოდ მაძლევენ, ერთმა მათგანმა გუშინწინ საჩუქრად უნგრული პერანგი მომიტანა.

ასე ვცხოვრობ, ჩემო ბატონო, თვენახევარია აქ ვარ, კიდევ თხუთმეტ დღეს დავრჩები, თან ვმკურნალობ, თან თავსაც ვირთობ ცოტას, დრო რომ გავიდეს. ვაშავებ რამეს, მითხარი შენ? შენ დაგიჯერებ. აქვს ახლა მილიციას ჩემთან საქმე? პირიქით, მთავრობამაც მადლობა უნდა მითხრას და დამსვენებლებმაც, თურმე, თუ თავს გაანძრევ, მთლად გლახა თუ არა ხარ, ყველგან გაიტან თავს კაცი.

დამცინიან ახლა ამნაირები თავის ჭკუით. ქირქილებენ რაღაცას. „პაჭულია ასთე და პაჭულია ისთეო“. ყველამ თავის ჩაშავებულ საქმეს მიხედოს. პაჭულია არ დაიკარგება, იმნაირ ქალაქში და იმნაირ ხალხშია გაზრდილი.

განათლებული და შეგნებული კაცი ხარ, იმიტომ მიყვარს შენთან ლაპარაკი, თორემ რა ველაპარაკო ამგენს. რანაირად გაგამასხრონ და გაგაშაყირონ, იმაზე არიან გამეცადინებული დღედაღამ.

* * *

მწერალთა კავშირში იაპონელი სტუმარი გვეწვია. შოთა ნიშნიანიძემ (მაშინ თავმჯდომარე იყო) მთხოვა, იქნებ გაუწიო გიდობა-მასპინძლობაო.

იაპონელის მეტი რა მინახავს, მაგრამ კომიამა უცნაური იაპონელი იყო. როგორც კი უთხრეს ჩემზე, – თქვენი გიდი იქნებაო, – მაჯაში მტაცა ხელი, თავის ნომერში ამარბენინა, ფაცხაფუცხით ამოყარა ჩემოდნიდან ყველაფერი. როგორც იქნა, ქაღალდის პა-

ტარა ნაგლეჯი იპოვა და გამომიწოდა. „ოკრიბა“ ამოვიკითხე ინგ-ლისურად. ქაღალდზე მეტი არაფერი ეწერა.

– კი, არის ასეთი სოფელი.

– ჰაი, – სიხარულით დამეთანხმა.

– იმერეთშია, იქეთ, – ფანჯრისკენ გავიშვირე ხელი.

– ჰაი, ჰაი, – იღიმება და თავს მიქნევს.

კომიამამ რუსული ძალიან ცუდად იცის.

ინგლისურზე ვცადე გადამერთო ჩვენი საუბარი, გაირკვა, რომ კომიამამ ინგლისური, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, რუ-სულზე უარესად იცის.

სხვა რა გზა გვქონდა, კვლავ რუსულს დავუბრუნდით:

– რა გაკავშირებთ ოკრიბასთან კომიამა-სან?

– ჰაი! – ღიმილით დამიქნია თავი სტუმარმა.

– თბილისიდან საკმაოდ შორს არის ოკრიბა.

– ჰაი, ჰაი, ოკრიბა! – ხელი ჩამომართვა კომიამამ, ალბათ, იმის ნიშნად; ყოჩაღ, რა კარგად გცდონია ყველაფერიო, მერე „ოკ-რი-ბა“ ისე ნაზად, სიყვარულით წარმოთქვა, რომ გული ამომიჯდა.

დავბრუნდით მოსაცდელში და იაპონელი გიდი მოვძებნეთ. ჩემმა იაპონელმა კოლეგამ იაპონური ხომ იცოდა და იცოდა, ინგლისურ-საც მშვენივრად ფლობდა და, რაც ჩემთვის ამჟამად უფრო მნიშ-ვნელოვანი იყო, რუსულად თითქმის შეუცდომლად ლაპარაკობდა.

– ბატონმა კომიამამ ოკრიბა იკითხა, რაიმე პრობლემა ხომ არა აქვს ამ ტოპონიმთან დაკავშირებით? – ვკითხე, კომიამა ღიმილით პირში შემომყურებდა.

– ძან წან ყუა ჩუნალუ ოკ-რი-ბა მოსი ჯუნაწუნჰაი დოვაზ-ელაწუნა? – ჭიკჭიკჭიკჭიკით ჰკითხა გიდმა.

– ჰაი, ჰაი, ჯენ ყვაი ჯგბრჰავა ტენ დან თუ კაიდოჩიქჩიქწრუმა – უპასუხა კომიამამ და მორცხვად დაამატა. – ჯანჩაკო ლუნა ჰიუ ლაკვაზენა?

– მოსი? – ეტყობა რაღაცის დასაზუსტებლად ჩაჰკითხა გიდმა.

კომიამამ ჯერ ორივე ხელის თითები უჩვენა. მერე მარცხენა უკან წაიღო და მარჯვენა გაუშალა.

– ბატონი კომიამა ამბობს, რომ თხუთმეტი წლის წინათ იყო საქართველოში. სწორედ მაშინ სოფელი ოკრიბა მოუნახულებია. იქო, ერთმა გლეხმა თავის სახლში შეგვიპატიჟაო. ქვევრიდან ღვი-ნო გვასვაო. თუ შესაძლებლობა არსებობსო, იქნებ ოკრიბაში ჩამი-ყვანოთო, თვალი მინდა შევავლო ჩემს მასპინძლებს. მაინტერე-სებს, როგორ არიანო, – განმიმარტა თუ არა გიდმა, მაშინვე წარ-მოვიდგინე ჩვენი მმართველის მოჭყუნული სახე, არ უყვარს, როცა სტუმრები ცალკე მარშრუტს მოითხოვენ.

– გადაეცით ბატონ კომიამას, სიამოვნებით შეგისრულებდით სურვილს, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული-თქო. დღესვე დავაყენებ ამ საკითხს და ხვალ სადილობისას პასუხს მოგახსენებთ-თქო.

კომიამამ, თითქოს მიხვდაო ჩემს ნათქვამს, ხელისგულების შეტყუპებით მადლობა გადამიხადა, ხოლო როცა გიდმა უთარგმნა, კიდევ უფრო გახარებული, ოთხჯერ მოიკაკვა და, ენა ვერ აღწერს, რა აღტაცებით მომიიაპონურრევერანსა.

მესამე დღეს მე და კომიამა მწერალთა კავშირის დანჯღრეული მანქანით ოკრიბისკენ მივქროდით.

იაპონელმა სტუმარმა გზაში სამჯერ მაინც გამოიძინა, რაკიღა ჩვენი ენაწყლიანი საუბრის პერსპექტივა ფრიად შეზღუდული იყო ენობრივი ბარიერით.

ენკენისთვე იწურებოდა.

ოქროსფერი, მწვანე და ნარინჯისფერი ისე ლამაზად არეულიყო ერთმანეთში, როგორც ეს მხოლოდ საქართველოში იცის.

მზე შუბისტარს მტკაველით იყო ჩაცილებული, როცა ოკრიბაში ჩავედით.

– ოკრიბა! – მხარზე ფრთხილად შევეხე სტუმარს.

– ჰაი, ჰაი! – ღიმილით დამიქნია ჭაღარა თავი იაპონელმა. იგი ფანჯარას მიაჭიჭინდა და ყოველ ორღობესთან ბედნიერებით აღსავსე ბავშვივით ტიტინებდა მშობლიურ ენაზე. ღიმილით პირგახეული დროდადრო შემომხედავდა, სერიოზულად მეტყოდა, ოკრიბა! ოკრიბა! და გულიანად გადაიხარხარებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვძებნეთ. ახალგაზრდა ცისფერთვალება კაცმა როგორც კი მოახსენეს, სტუმრები მოვიდნენო, სახელდახელო თათბირი მეყვსეულად დაშალა და გამოგვეგება.

– ჭოლა ბატონო, ბურკაძე! – ჯერ სტუმარს გაუწოდა ხელი, მერე მე მომიბრუნდა და ძველი ნაცნობივით მომიკითხა.

– გზაში ხომ არ გაწვალდით, სტუმარი ჩვენს ოღრო-ჩოღროებზე ხომ არ გაილახა?

მადლობა მოვახსენე და პირდაპირ საქმეზე გადავედი. ბატონი კომიამა იაპონელი გამომცემელია, მწერალთა კავშირის სტუმარი გახლავთ, ამ თხუთმეტი წლის წინ ყოფილა ოკრიბაში. რომელიღაცა აქაურის ოჯახში ჭურისთავზე ღვინო შეუსვამს. ახლა ჩამობრძანდა და გულმა პირველ რიგში აქეთ გამოუწია. ოკრიბაში უნდა ჩავიდე და ის გლეხი უნდა ვინახულოო. მაინტერესებს, ხომ ჯანმრთელად გრძნობს თავსო.

– კეთილი და პატიოსანი, – სახე გაებადრა ჭოლას – გადაეცი, ბატონო, დიდი მადლობა მოგვიხსენებია ოკრიბის გახსენებისთვის – თქვა.

– ჰი სეი: სენქ იუ ვერი მაჩ. – „ვუთარგმნე“ იაპონელს.

– არიგატო ვზაიმეშტა, – ხელისგულებისშეტყუპებით წელში სამჯერ მოიკაკვა კომიამა.

– სხვათა შორის გვარი არ ახსოვს თავისი მასპინძლის. – ჩუმად, ისე რომ სტუმარს არ გაეგონა, გავანდე ჭოლას. თუმცა ძალიან კარგადაც რომ გაეგონა, ვერას გაიგებდა, რადგანაც მომღიმარე სტუმარმა ქართულად მხოლოდ ერთი სიტყვა – „ოკრიბა“ იცოდა.

ჭოლამ კაბინეტში შეგვიპატიჟა.

ნიკაპი მუშტებს ჩამოადო და მოგვაჩერდა.

– დაახლოვებით მაინც არ ახსოვს სახლი?

– არ იუ ნიუ ვეარ ლივ იტ ჯენტლემენ?

მივუბრუნდი კომიამას.

კომიამამ მხარზე ჩამოკიდებული იაპონური ჩანთა იატაკზე დადო, აივანზე გაირბინა, სოფელს გახედ-გამოხედა და ღრმა დაფიქრების შემდეგ გამოგვიცხადა:

– ნოუ.

– არ ახსოვს, ეტყობა დაათრო მასპინძელმა. გავიაროთ სოფელში და იქნება გაახსენდეს. – ვთქვი მე.

კაბინეტში რომ შემოვბრუნდით, ჭოლამ ეზოში მოფუსფუსე იმერულქუდიან მოხუცს უხმო.

– ბიკენტი ბიძია, ამობრძანდი ერთ წამს, თუ არ შეწუხდები.

ბიკენტიმ, წკნელი გადააგდო, ქუდი იშვლიპა, ჯერ ულვაშები იგრიხა კარგა ხანს და მერე ჭოლას კაბინეტში შემოსვლისას სველ ტილოს გულის გაწყალებამდე უსვა წუღები. ისე თავაწეული, ხელისგაქნევით იწმენდდა ფეხსაცმელებს, გეგონებოდათ ცეკვის ილეთს სწავლობსო.

– ბიკენტი ბატონო, გაიცანი, სტუმარია იაპონიიდან, – ძლივს მოასწრო სიტყვის დამთავრება ჭოლამ, რომ ბიკენტი რამდენიმე ნახტომით კომიამასთან გაჩნდა. ორივე ხელი შარვლის ჯიბეზე ღონივრად აისვ-ჩამოისვა და სტუმრის მარჯვენას დიდხანს სწონიდა რა პეშვით, თან განუზომელი მოწიწებით თვალებში შესცქეროდა:

– ხომ კარგად, ჩემო ბატონო, ხომ ჯამრთელად. რავა არი თქვენკენ საქმე?

– ჰაი, ჰაი, არიგატო. – თავს უქნევდა კომიამა.

– ბატონო ბიკენტი. თხუთმეტი წლის წინათ ყოფილა ეს პატიოსანი ადამიანი ჩვენთან. მაშინ მე – მომიბრუნდა. – ათი წლის ვიქნებოდი და ჩემს პეპლებს დავსდევდი, ვინ გამრევდა კაცებში, – ისევ ბიკენტის ესროლა მზერა – რომელიღაცამ უმასპინძლა ჩვენს სოფელში თურმე. ჭური მომიხადესო, ხომ არ გახსოვს ამნაირი შემთხვევა. ხომ არ შესწრებიხარ, ან ხომ არ უთქვამს ვინმეს.

– სადაური ვარო, ბატონო? – იმერული ქუდი მაგიდიდან აიღო, სამად გაკეცა და გულისჯიბეში ჩაიდო ბიკენტიმ.

– იაპონელი.

– იაპონელი... იაპონელი – ტუჩთან მოკაკვული საჩვენებელი თითი მიიდო მოხუცმა და ორჯერ ნელ-ნელა შემოტრიალდა.

– მაშინ თავმჯდომარე პიმენი იქნებოდა. ცოცხალი რომ იყოს, გვეტყოდა, რასაკვირველია, ცხონებული. საბჭო ვინ იყო მაშინ?

– ალბათ ანდრო ჯღამაძე. ბაბუცა შვიდი წელია, რაც საბჭოს თავმჯდომარეა.

– ბაბუცა ახალია. ბაბუცამ რა იცის. ანდროს ემახსოვრება, არ უნდა ლაპარაკი. რაღა ახლა დარჩა წასული თბილისში. იღბალი არ გინდა?

– როდის წავიდა?

– ორ კვირაზე მეტია. შვილიშვილმა მოილოგინა, ვახტანგის გოგომ და, ვერ იყო რაღაცა კარგად.

– ვახტანგის გოგო გათხოვდა, ამხელაა უკვე?

– ჰო, რაღაცა მაგის მსგავსი. მთლად გათხოვილი არაა ჯერ. სკოლიდან წაყოლია ვიღაცას. ბავშვის ამბავი ხომ იცი.

– რაღა ბავშვის, თუკი ბავშვი ეყოლა უკვე.

– ასეა, კი, ნამდვილად. მეტი ვის ეცოდინება. ერთს ვიტყვი, მოდი, პორფილესას მიდით. პორფილეს არ აცდებოდა მაგი. ან პორფილესთან იქნება ნამყოფი, ან პორფილეს ეცოდინება, ვისი სტუმარი იყო.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უზარმაზარი კაკლის ჩრდილში ჭიშკართან ვიდექით და ზორბა ტანის ჟღალთმაწვერა, ჭარმაგ მამაკაცს, დევისხელება პორფილე ჯინჭარაძეს შევცქეროდით.

– ჩამობრძანდით, ბატონო – კალთებს გვახევდა მასპინძელი.

– ბატონო პორფილე, ეს იაპონელი კაცი თუ იყო შენთან ამ თხუთმეტი წლის წინათ? – სერიოზულად ჰკითხა ჭოლამ.

– ჩამობრძანდით ბატონო. იყო, აპა არ იყო? ეს იყო სწორეთ. იაპონელია ხომ? ჩამობრძანდით ეზოში, რატომ მჭრით თავს სტუმართან, – მივიდა და კომიამას პატარა ხელი ღონივრად ჩაბღუჯა – გამარჯობა შენი, რავა ხარ, რავა ბრძანდები? დეინახეთ, რავა მიცნო მაშინვე? ჩემთან ნამყოფია, კი.

აივანზე აგვიძღვა და სამზადი სახლის წინ გამოფენილ ცნობისმოყვარე ქალ-რძალს ხელი აუქნია.

– ჰე ჩქარა ახლა, მიხედეთ საქმეს!

ოთახში შევარდა. ნარდი და სკამები გამოარბენინა, დაგვიდგა, არ მოიწყინოთ, ახლავე იქნება ყველაფერიო, და ქვევით, ბოსტნისკენ გაშლიგინდა.

კომიამა ინტერესით ადევნებდა თვალს ციბრუტივით დატრიალებულ მასპინძელს. მერე ინგლისურად რაღაცის ახსნა დამიწყო, მაგრამ ვერ გამაგებინა. ჩანთა მხარზე გადაიკიდა და კიბე ჩაირბინა, ეზოში მიდგა-მოდგა, ისევ ამოირბინა აივანზე და რაღაც მითხრა, თან სამზადი სახლისკენ იშვერდა ხელს.

– შეიძლება მარანს ეძებს. – თქვა ჭოლამ.

– ნამდვილად, – კვერი დავუკარი თავმჯდომარეს და პორფილეს გავძახე, – ბატონო პორფილე, სტუმარს მარნის ნახვა სურს, თუ შეიძლება.

– ახლავე, ბატონო, რას ჰქვია შეიძლება, ღმერთო კი მომკალი. – პორფილემ ბოსტნიდან ამოირბინა, კალთაში ჩაგროვილი კიტრი და პამიდორი კალახჩახაში ჩაცალა, დოქს ხელი სტაცა და მარნისკენ გაგვიძღვა.

როცა კარი მოღიავდა და მარნიდან ღვინისსუნნარევმა სინესტე-სიგრილემ შემოგვასუნთქა, კომიამა გამოცოცხლდა, ჯერ „ჰაი-ჰაის“ ძახილით ჩამოუარა თავმოლესილ ქვევრებს, მერე გარეთ გამოვარდა, მარანს ორი წრე დაარტყა და, ცოტა არ იყოს, მოწყენილი, შეცბუნებული შემობრუნდა.

– ნოუ. – მითხრა და საწყალი თვალებით შემომხედა.

– არაო, აქ არ ვყოფილვართო, ამბობს. – ვაცნობე ჩემსკენ მზერამოქვავებულ მასპინძლებს.

– რა არაო, რას ჰქვია არაო. აქ იყო, აბა სად იყო. ვეღარ გეიხსენა ახლა უბრალოდ კაი ხანი გევიდა. მაგას კი არა, მეც აღარ მახსოვს, სად და სად ვყოფილვარ სტუმრად. მეიცადე პატარა-თქვა, ახლავე გაგახსენებ ყორიფელს-თქვა. – დაფაცურდა პორფილე, ორშიმოს ხელი წამოავლო, ჭურისთავთან დადო. ხის ნიჩაბი მოიმარჯვა და ჩაიმუხლა, მაგრამ იაპონელმა ერთხელ კიდევ მწუხარედ ამოიხვნეშა:

– ნოუ.

– ნუ შეწუხდებით, ბატონო პორფილე. ახლა ასეა ჩვენი საქმე, რომ ის კაცი უნდა მოვაძებნინოთ. სხვა დროს გესტუმრებით. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. არაო, აქ არ ვყოფილვარო, სხვასთან ვიყავიო. არ მოხადოთ, ჭური, ძალიან გთხოვთ.

პორფილეს რა შეაჩერებდა, ჭური მაინც მოხადა. ხირკა ამოსწია, თიხის ჯამები ჩამოგვირიგა, გრილი, ზღაპრულსუნიანი, შხეფებმსროლი ღვინით აგვივსო და ისე შეხედა იაპონელს, როგორც განწირული უკანასკნელ იმედს შეაჩერდება.

კომიამამ ღვინო დალია, მასპინძელს მადლობა გადაუხადა, ჩანთა გადაიკიდა, ისევ ჩამოიხსნა. კისერზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ჭურისთავთან კველებზე დაგვსხა. ფოტოაპარატი ფან-

ჯრის რაფაზე შემოდო, გამოიქცა, ჩვენს შორის ჩაცუცქდა და როცა იაპონურმა, ჭკვიანმა ხელსაწყომ გაელვებ-გატკაპუნებით ჩაგვა-ფოტოუკვდავა, ჩანთა ისევ გადაიკიდა, მასპინძელს „არიგატო, სენქ იუთი“ დაემშვიდობა და კარისკენ გააბიჯა.

– აქ იყო, ბატონო. იაპონელის მეტი რა ყოფილა ჩემთან. მაგის გარდა სხვაც ბევრი იყო. დეიბნა ახლა უბრალოდ, მხარი მეექცა, ნუ წახვალთ, გეიხსენებს ნელ-ნელა... – ამ სიტყვებით ჭიშკრამდე მოგვსდია პორფილემ და მანქანა რომ დაიძრა, მარჯვენით შუბ-ლმოჩრდილული, გულდაკოდილი კარგა ხანს გამოგვყურებდა.

ისევ გავიარ-გამოვიარეთ მანქანით სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში. იქნებ იაპონელს, ან ჭიშკარი ეცნოს, ან ოდა. როგორ დავუკარგავ, თვით კომიამაც გულით და სულით გვეხმარებოდა თავისი, თხუთმეტი წლის წინანდელი მასპინძლის აღმოჩენაში. მანქანის ფანჯარას იყო მიჭიჭინებული. რაღაცას ბუტბუტებდა, ცდილობდა, გონებას ძაბავდა. დროდადრო შეწუხებული სახით შემოგვხედავდა, თითქოსდა გვეუბნებოდა: ბოდიშს გიხდით, რომ შეგაწუხეთ და ამ ცეცხლში ჩაგაგდეთო. ერთ ჭიშკართან კისერი ჟირაფივით რომ წაიგრძელა, ვიფიქრეთ, ავშენდით, მიაგნო მაპ-ინძელს-თქო, და მანქანა გავაჩერეთ.

ძაღლი ყეფით მოაწყდა ღობეს. თითქოს დადარაჯებული იყო-ვო, კვარაკუნჩხა ბალახზე ორმოცდაათიოდე წლის, თეთრპერანგა, გალიფეშარვლიანი კაცი გამორბოდა.

იაპონელი ჩვენზე ადრე მიაწყდა ჭიშკარს. ძაღლსაც კი არ შეეპუა. შემოგებებულ მასპინძელს ხელი ჩამოართვა და, რაკი მასპინძელმა ხელი არ გაუშვა, კომიამამ იფიქრა, ალბათ გულში ჩახუტებას მთხოვსო, ჩანთა ბალახზე დააგდო, ორივე ხელი გაშა-ლა და გადაეხვია.

ჩვენ, მომყოლთ, ამ გულისამაჩუყებელი სურათის მნახველთ, ცოტა გვაკლდა, რომ თვალები ცრემლით აგვსებოდა.

შეხვედრის საზეიმო წამმა რომ გაიარა, სტუმარმა კვლავ ჩანთას სტაცა ხელი და მხარზე ჩამოიკიდა. მიმოიხედა და ცაცხვის გვერ-დით მდგარი, კრამიტიანი შენობისკენ გაიქცა. თუ დაკვირვებიხართ, იაპონელებმა რაღაც სხვანაირი, რწევა-ცუხცუხით სირბილი იციან. ახლა, ჩვეულებრივ იაპონურ სირბილს ისიც დაუმატეთ, რომ კო-მიამა მარჯვენა ხელით აქანავებულ ჩანთას თეძოსთან იმაგრებდა.

– მარანს ეძებს. – ჭოლამ მასპინძელს ხელი ჩამოართვა, ისე რომ კომიამასთვის მზერა არ მოუცილებია.

– მარანი ზევით გვაქვს, ვენახბოლოში. წეიყვანე, თომია, ჩვენც ახლავე მოვალთ! – დააწია მასპინძელმა სტუმრისკენ გაქცეულ თექვსმეტიოდე წლის ბიჭს, რომელსაც ამ სიცხეში, ალბათ, ურჩი

თმის დასაწვენად, კოზიროკმოჭრილი, მწვანე, ბუკლეს ქუდი ეხურა. ამასობაში კომიამა საკუჭნაო ჯიხურს მიდგომოდა (აშკარა იყო მარნად მიეჩნია), თვალებთან პატარა, ფუნჩულა ხელი მიეტანა და ფანჯრიდან იჭვრიტებოდა.

– იცანი, აპა, კიკია, შენი სტუმარი? – ჰკითხა ჭოლამ.

– რავა არ ვიცანი, ბატონო, – ბედნიერი ღიმილით, ჩქარი ნაბიჯით მოგვყვებოდა კიკოლა.

– მაინც თვითონ მოგაგნო... რავარც შეხედა შენს ჭიშკარს, კინაღამ მანქანიდან გადმოგვიხტა. როდის იყო, თუ გახსოვს, აბა, შენ, რამდენი წელიწადი იქნება?

– ზუსტად აღარ მახსოვს და, ამ ბოლოს, მე მგონია, სამი წლის წინ იყო მაგი ჩემთან.

– დავიღუპეთ, – გადმომხედა ჭოლამ, – ეს იაპონელი კაცი ლაპარაკობს, თხუთმეტი წლის წინათ ვიყავიო, კიკიამ ჭური მომიხადაო.

– ჭური მოვუხადე, აბა რა ვქენი. მაგენი დიდი ყურადღებიანი ხალხია... ნამეტანი მევილხინეთ იმ ღამეს... ღვინო ახლა ნაკლები კი არ მაქვს... რომელიც თვითონ გაეხარდება, იმ ჭურს მოვუხდი, სვამს ძველებურად, ნეტავი? არის ჯამრთელად, რავარც იყო? – ცოტა არ იყოს დაბნეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა კიკოლა, თან ხელით ბილიკზე ჩამოწეულ ატმის ტოტებს გვარიდებდა.

მარნის კართან წინ წასულები გველოდნენ. გუმანით მივხვდი, კომიამას მარნისთვის ორჯერ უკვე შემოერბინა და გარეთ, მარნის ფანჩატურში დადგმულ, უშველებელ საწნახელს ჩაჰყურებდა.

შევედით. კომიამამ ჯერ მარნის კედელზე გაფარჩხულ დათვის ტყავს გადაუღო სურათი. მერე ჭურისთავთან დახრილ მასპინძელს ხირკე ხელიდან, ლამის ძალით, გამოგლიჯა და თავის ადგილზე დაჰკიდა. ჩანთას ხელი მოჰკიდა და წელანდელზე უფრო კატეგირიულად მითხრა:

– ნოუ, აი ვოზ ნოტ ჰია.

კიკოლამ შეატყო, რომ სტუმარი ჭირვეულობდა და ისე ამომხედა, რომ გული მომეწვა.

– რაიო, ბატონო?

– არ ვყოფილვარ აქაო.

– აპა სად ვიყავიო. ვერ მეიმხრო ახლა მაგან. მაშინ ეს დათვის ტყავი არ მეკიდა. ეს ახალშენიც არ მქონდა ჩაყრილი. მორიდებული კაცი ჩანს მაგი. არ შეწუხდნენო, ასე ფიქრობს, ალბათ, თვარა მე მახსოვს აქ რომ იყო და მაგას არ ემახსოვრება? იაპონელ კაცს? ჯერ ეს დამილიე-თქვა, უთხარი. ოჯახში ხარ შემოსული-თქვა. არ გახსოვს აპა, იმ ცაცხვის ჩრდილში, ეგერ რომ ვიჯექით და სადღეგრძელოებს ვამბობდით-თქვა? სურათი მაშინაც ბევრი გადაგვიღო!

კიკოლამ ღელვა-ღელვით, ოროტოტოსავით მიაყარა სიტყვები ერთმანეთს. ჯერ ბლისტყავის ცხრა პირი საფენი ააცალა ქვევრს, მერე ხირკე ჩააბუყბუყა და სტუმარს გაუწოდა.

კომიამამ ბავშვივით ალალად გაიცინა. ხირკე ძლივს დაიმაგრა ხელში. აწეულ ნიკაპქვეშ, ყელზე ადამის ვაშლის ასვლა – ჩამოსვლაზე შევატყვე, რომ ერთ საღვინე ჭიქაზე მეტი არ დაულევია. ხირკა მასპინძელს დაუბრუნა, „არიგატო ვზაიმეშტა!“ მოახსენა და უკანმოუხედავად, უწა-უწა გაიქცა მანქანისკენ.

– არ გეწყინოს, ბატონო კიკოლა. – ვამშვიდებ სისხლგამშრალ მასპინძელს. – უცნაური იაპონელია. მაინცდამაინც იმ ჩემს მასპინძელთან მიმიყვანეთო. ვერ ვიპოვეთ ვერაფრით. სხვაგან არსად გაჩერდა. რამენაირად უნდა ვუსაშველოთ და მოვუძებნოთ. რა პატივი სცა ამნაირი, იმ ოჯახაშენებულმა.

– რა ვქნა აბა, არ მობრუნდებით, არ გავტეხოთ თითო-ლუკმა? – ჭოლას შეხედა კიკოლამ.

– დღეს ვერ მოვახერხებთ, სხვა დროს, ჩემო კიკოლა. ისევ კაი დამდგარა ახალი ვენახი. კარგად ასხია. – დაუყვავა ჭოლამ.

– ჯერ ოთხი წლისაა. ნიშანი შარშან მოგვცა. ეგება დაიყოლიოთ. ასე რავა იქნება. მემეჭრა თავი ამ უცხო კაცთან. – წუხდა კიკოლა, მაგრამ კომიამა ისე ღრმად და საიმედოდ მოკალათებულიყო უკანა სავარძელზე, რომ დასარჩენად დაყოლიებაზე ლაპარაკიც ზედმეტი ჩანდა.

სოფლის მოედანთან მარჯვნივ ჩავუხვიეთ და ორჯონიკიძის ყოფილი ძეგლის კვარცხლბეკი უკან დაგვრჩა. ბოგირზე მდგარი, ნაცრისფერ ბლუზა-შარვლიანი, წვერგაუპარსავი მოხუცი შუაგზაზე მხნედ გამოვიდა და ისე, როგორც ეჭირა ხელჯოხი ნელზე შემოდებული, წინ გადაგვიდგა.

მძღოლმა დაამუხრუჭა.

მოხუცმა მკლავები გაითავისუფლა, ჯოხს დაებჯინა და მანქანაში თავი შემოჰყო.

– ჭოლა ხარ შენე? სტუმარი ჰყავსო. მითხრეს და გამევიქეცი ყანიდან. ჩემთან იყო მაგ იაპონელი. თხუთმეტი წელია მასუკან.

ჭოლა შეყოყმანდა.

– არ გჯერავს ჭოლა, ბიძია? – მოხუცმა ქუდი იშვლიპა. – შემხედოს აბა თავზე სტუმარმა. მიცნობს მაშინათვე. ტყუილს ვიტყვი ახლა მეე?

მოხუცმა მზედაუკვრელი, შემელოტებული, თეთრი თავი მიანათა სტუმარს.

კომიამა ერთხანს ღიმილჩამდგარი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა უცნაური მოხუცის თავს, მერე ჩვენ შემოგვხედა. ჩანს ვერ

მიმხვდარიყო, რა უნდა მოემოქმედნა, რატომ სთავაზობდნენ ამ მოხუცის თავს.

– ჩამოვალთ აბა, გრიგოლ ბიძია. ეს კაცი თავის მასპინძელს ეძებს და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვაგდო, თუ კაცი ხარ. – უთხრა ჭოლამ და მანქანის კარი გამოაღო.

მოხუცი დინჯად ჩაგვიძღვა ეზოში. რიკულებიანი ოდის აივანზე სუფრა გაეშალათ. ბატონმა გრიგოლმა ყოველ შემთხვევისთვის ჭიშკარი ურდულით ჩაკეტა და კიბეებისკენ მიგვითითა.

კომიამა ფეხს ითრევდა და სამზადი სახლისკენ იმზირებოდა.

– მარანი საით გაქვთ, გრიგოლ ბიძია. სტუმარს მარნის დათვალიერება აინტერესებს. – შეაპარა ჭოლამ.

– აგერ, ბატონო, აგერაა მარანიც, რავარც სტუმარს გაეხარდება, ისე მევიქცეთ. იცის მაგან მარნის გზა.

კორკიმელის ბებერი ხის გასწვრივ ახალნაყარი უნაბის ხეივანი მოჩანდა. ხეივნის ბოლოში, ძველი ქართული წესით, – კუთხეში გადაბმული ფიცრებით აგებული ძველთაძველი მარანი იდგა.

მკითხველს აღარ გადავლი.

არც გრიგოლის მარანი აღმოჩნდა ის მარანი, სადაც ჩვენი ცოდვით სავსე იაპონელს თხუთმეტი წლის წინათ პურ-ღვინო მიეღო და ასე მკაცრად დამახსოვრებოდა.

გრიგოლის აივანზე, ფეხდგომელა თითო ჭიქა გადავკარით. რბილ ყველვერდატეულ ხაჭაპურს გემო გავუსინჯეთ, სურათი გადავიღეთ და მასპინძელს დავემშვიდობეთ.

ტყუილი რომ არ ვთქვა, იმ დღეს კიდევ ოთხი მარნის დათვალიერება მოვასწარით. არც ხარიტონ ჩხეიძე, არც კოსტა კვიწინია, არც ლავრენტი მიროტაძე და, მითუმეტეს, არც კოჭლი მასწავლებელი ქიონია მსხალაძე, მიუხედავად მასპინძელთა ყელგაწვდილი მტკიცებისა, კომიამა ჩემი სტუმარი იყო, ა, როგორც თქვენ გხედავთ, ახლა, თხუთმეტი წლის წინათ აქ იჯდა, ამ ადგილას, ტაბლასთან, ასე იცინოდა და ასე ხუმრობდაო, – იაპონელი სტუმრის თხუთმეტი წლის წინანდელი მასპინძლები არ აღმოჩნდნენ.

იმ ღამეს ჭოლასთან მოვულხინეთ. თუმცა ამდენ სუფრაგამოვლილებს და შექეიფდანაყრებულებს აღარც გვშიოდა და აღარც გვწყუროდა, მაგრამ ქართული სუფრის ლაზათმა თავისი გაიტანა და შუაღამე კარგა ხნის გადაცილებული იყო, რომ დავიძინეთ.

კომიამამ დიდი ღიმილ-ფუსფუსით ჩვენ ხომ გადაგვიღო და გადაგვიღო, სუფრაზე ცალკეულ კერძს თითო გატკაცუნ-გაელვება მიუძღვნა თავისი მუჭისხელა აპარატით. ღამეში ეზო-ოდას და მგონი ვარსკვლავიან ქართულ ცასაც რამდენჯერმე გადაუღო სურათი.

მეორე დღეს, შუადღისას, თბილისის გზას დავადექით.

სტუმარი თვლემდა.

მეშინოდა, გზას არ დაესიცხა, ან კისერი უხერხულად არ სდებოდა, ამიტომ ჩემი ეშმაკობის მასშტაბებიდან თან ვაღვიძებდი და თან ვეხუმრებოდი ამგვარი უბოროტო ხუმრობით: ძილი თავს რომ წაართმევდა, ცოტაზე უფრო ხმამაღლა ჩავძახებდი – ოკრიბა!

კომიამა თავს ასწევდა, ფანჯარაში გაიხედავდა, გულიანად გაიცინებდა და ისე ლამაზად, დამარცვლით იტყოდა „ოკ-რიბას“, როგორც საქართველოზე შეყვარებულ, მაგრამ ქართულში ენაგაუტეხავ იაპონელს შეუძლია თქვას ეს მშვენიერი სიტყვა.

* * *

გაჭირდა ცხოვრებაო, აღარ ვიცი, რა ქვა გავტეხო, რა წყალს ვეცე, შიმშილი კართან ამტუზებია, ცოლ-შვილს მაინც არ მოვკიდებოდიო. რა შეუბრალებელი და მკაცრი დრო მოდის, გავუტურამგელდით ერთმანეთს ადამიანები, ასე მგონია, ხიდისთავშიც რომ დავჯდე და ქუდი მოვიდვა გვერდზე, მოწყალებასაც არავინ გაიმეტებსო, შენ მეუბნები.

არ გრცხვენია გელა? მე რომ მკითხო, გამდიდრება ახლა როა, ასე ადვილი არასოდეს ყოფილა, აგერ ჩამოგითვლი ფულის შოვნის რამდენიმე უებარ საშუალებას და თვითონ მიხვდები, რომ ცოტა ხელის განძრევაა საჭირო და სხვა არაფერი. თავის განძრევა საჭირო არ არის. ყველაზე ადვილი გზებიდან დავიწყებ და ზევითზევით შევყვები, შენ რომელიც მოგეწონება, ამოირჩიე და მიყევი საქმეს. რამდენი მოხვიდე და მლოცო ერთი თვის მერე. იმდენი გახარება ჩემს ნაგრამნაშიერს.

პირველი: ცარიელი ყუთის შოვნა არ გაგიჭირდება, ამოუჭედე თავი, ფულის ჩასაგდები ღრიჭო დაუტოვე, დააწერე დიდი ასოებით „დაეხმარეთ ობოლ ბავშვებს“ და დადგი რომელიმე ხალხმრავალ ქუჩაზე. უკეთესია ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ან მეტროს ამოსასვლელთან. შენ ახლომახლო გაჩერდი. რატომაა, თუ იცი, საჭირო შორიახლო შენი გაჩერება? ჯერ ერთი, ობოლი ბავშვების რომელიმე გულშემატკივარს, შეიძლება, ფულის დახურდავება დასჭირდეს, მეორეც, იქნებ ისეთმა ხვადაგმაც გამოიაროს ობოლი ბავშვები ფეხებზე რომ ჰკიდია, მიიხედ-მოიხედოს და, თუ შენ – ობოლთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელი, ვერსად დაგლანდა, ამოიღლიავოს ყუთი თავის წარწერა-თანხიანად, წაიღოს, გაიტაცოს, რათა თავის წვრილმან, საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლო, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს.

საღამოისხანს წაიღე ყუთი შინ, ობოლ ბავშვთა მოყვარულებს გულში მადლობა შესწირე და დილით ცარიელი დააბრუნე. უმჯობესია ყუთს ხშირად ადგილი შეუცვალო, ისე, ყოველშემთხვევისათვის.

მეორე: მოძებნე სადმე ქუჩის პირას ნახევრად მიტოვებული ან, უფრო უკეთესი, მთლადმიტოვებული სარდაფი. კარის თავზე (ცოტა მარჯვნივ), გააკარი მუყაოს ქაღალდზე დიდი ასოებით დაგვირისტებული წარწერა: „გვარდიას სცივა, გვარდიას შია, შენ არ ეხმარები?!“ დაიდგი სარდაფის შუაგულში ერთი მაგიდა, გვერდით დამაჯერებლობისათვის კომპანიონი (ეს უკანასკნელი, უმჯობესია, მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი იყოს) მოისვი და შემოწირულობათა დავთარში გატარება არ დაგავიწყდეს. ორ დღეში ერთხელ სარდაფი უნდა დააცარიელო და შემოწირულობანი შინ წაიღო. გვარდიაზე გული ნუ დაგწყდება, გვარდიას შენზე უკეთესი პატრონები ჰყავს.

მესამე: პირველ და მეორე გზას, შენც შეატყობდი, ცოტა უხერხულობები ახლავს, ჯერ ერთი, ობოლ ბავშვებს ზოგიერთები კუპონებითაც ეხმარებიან და, შენ წარმოიდგინე, ხუთკუპონიანს ან, რაც უფრო გულსახეთქია, ზოგჯერ ერთკუპონიანსაც აღმოაჩენ ყულაბაში. წვრილი, თითქმის გამოუმდგარი ფულის სუროგატების თვლა, ჩემგან რა გესწავლება, მოსაწყენი საქმეა. ასევე შეცივებული გვარდიელების დასახმარებლად ზოგმა ახირებულმა შეიძლება გაცვეთილი, მისთვისაც კი სრულიად უვარგისი „ბატინკები“ შემოგთავაზოს, რაც არ მოგეწონება უკან ხომ ვერ გაატან – „გვარდიელები ამას არ მიიღებენო“, სხვა გზა არ არის, უნდა აიღო და ჟურნალშიც გაატარო. ასე რომ, გვარდიელებისათვის შემოწირული კონსერვხმალ-ტალავარის ბაზარზე გასაღებაც არ არის იოლი საქმე, ამიტომ მესამე, უფრო სუფთა გზას შემოგთავაზებ: წეღან რომ მუყაო გიხსენე, ის მუყაო გადმოაბრუნე და უფრო დიდი ასოებით დააწერე „ოქრო მხოლოდ სამშობლოს გასათავისუფლებელად“. შენ და შენმა კომპანიონმა (ამ შემთხვევაში არა მარტო „უმჯობესია“, არამედ აუცილებელია ქალი იყოს) ინათხოვრეთ აფთიაქის ან ოქრომჭედლის სასწორი, მოიდგით გვერდზე და დაელოდეთ საქორწინო ოქროს ბეჭდებს, ან ძვირფასი თვლებით მოოჭვილ სამაჯურებს, სამშობლოს გათავისუფლების საქმეს, არც თუ მცირეოდენი ყოყმანის გარეშე, რომ შესწირავენ ღარიბები და ნახევრადღარიბი ადამიანები. ოქრო აუცილებლად უნდა აიწონოს, ძვირფასი თვალის სახელწოდება ზუსტად ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც შემომწირავი ბრძანებს. გახსოვდეთ, შემომწირველს არ ეკამათებიან; ზოგმა, იქნებ, გამეტებული თვალი უფრო ძვირფასად მოგასაღათ, ვიდრე სინამდვილეშია. მერე რა, ბოლოსდაბოლოს ხომ არ ყიდულობთ, ხოლო სამშობლოს თა-

ვისუფლებისათვის ბრძოლაში დიდსა თუ მცირე განძეულს თავისი ადგილი აქვს. ეჭვი რომ გაიფანტოს, ხანშიშესულ შემომწირველს ერთსა და იმავე ჟურნალში ორ ადგილას მოაწერინეთ ხელი და გასვლისას ეროვნული ხელისუფლების სახელით მადლობა გადაუხადეთ, თანაც აცნობეთ, რომ მის წვლილს თაობები არ დაივიწყებენ. ყოველ საღამოს შემოწირული ოქრო-ვერცხლი „აქ დატოვება საშიშიას“ მოტივით შინ წაიღე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ეროვნული მოძრაობა? შენ დარდი ნუ გაქვს, იგი საქართველოში უახლოეს ორას წელიწადს არ განახლდება.

მეოთხე: ბანკის შექმნაზე ადვილი ახლა არაფერია. შენც დააარსე ბანკი სახელწოდებით „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“. რეგისტრაციაში ნუ გაატარებ, აუცილებელი არ არის. ჯერ ერთი, გადასახადს შეგაწერენ და მეორეც, შეიძლება, საქმე გაგიხლაფორთდეს. გაზეთებში განცხადებები გამოაქვეყნე (კარგი იქნება თუ ქუჩაში გააკრავ): ბანკი „მხოლოდ თქვენს მოსაგებად“ ერთადერთი ბანკია მსოფლიოში, რომელიც მხოლოდ მეანაბრეთა მოგებისათვის ზრუნავს. თვით ბანკს თქვენი კაპიკიც არ ჭირდება-თქო. შემოიტანეთ თანხა, რამდენიც მოგიხერხდებათ, ჯერ ერთი, საიმედოდ შეგენახებათ და რაც მთავარია, ორ წელიწადში გაოთხმაგებით (ინფლაციის გარეშე) დაგიბრუნდებათ-თქო. თვალე ფულები და აწყვე უჯრაში. მეანაბრეს, თუ მაინცდამაინც, ქვითარი გამოუწერე. სხვა არაფერი, რადგან ქვითრები იაფია საკანცელარიო მაღაზიებში. ქვითარი თვითმიზანი როდია, მაგრამ მაინც გამოუწერე და ხელი გაკვრით, გაურკვევლად მოაწერე. რა გენაღვლება, ადამიანებს ქაღალდებისა ჯერ კიდევ მტკიცედ სჯერათ. შემ მეტყვი, ანალოგიურ საქმეზე ამასწინთ ხომ ჩავარდნენ სხვებიო. გეთანხმები, მაგრამ იმ „ბანკირებმა“ სულსწრაფობა გამოიჩინეს; სამ თვეში გაგისამმაგდებათ ფულიო. სამი თვე ცოტა დროა, შენ ორ წელზე ნაკლები არ დაუთქვა გულუბრყვილო მომხმარებელს გაოთხმაგებული ფულის მისაღებად. ორ წელიწადში, იქნებ, ღმერთმა ნუ ქნას და არც ეს ხელისუფლება იქნეს და არც გამოძიებამ მოკიდოს ხელი სოკოებივით გამრავლებულ პინგვინ-მოტყუებულთა ასეთ საქმეებს.

მეხუთე: გატყობ, ჩემო გელა, რისკიანი კაცი არა ხარ, შიში გაილანდა შენს თვალებში. მერე მე არაფერი მომივაო? დაგეწერა მაგ საყვარელ სახეზე. ახლა, რაკი ასეა, მეხუთე და მეექვსე მთლად უხიფათო გზებს შემოგთავაზებ.

ახალგაზრდა ქვრივთა და გასათხოვარ მანდილოსანთა, ასევე დაჯერებულ, უიმედო უცოლო მამაკაცთა გასამხნევებლად დააარსე კლუბი სახელწოდებით „მხოლოდ გაცნობა“. იცოდე, შინაბერებს ყველაფერზე მეტად ოჯახის შექმნისა ეშინიათ. ამიტომაც სარეკლა-

მო ფურცლებში გასაგებად ჩაწერე: ჩვენი კლუბი სხვა მსგავსი კლუბებისაგან განსხვავებით, მოპირდაპირე სქესის პიროვნებასთან გაცნობის დაგვირგვინებას ოჯახის შექმნით არც ერთ მხარეს არ ავალდებულებს-თქო. „მხოლოდ გაცნობის“ უამრავი მსურველი მოგაწყდება. შენ, დირექტორმა და შეთავსებით მთავარმა ადმინისტრატორმა, ფეხი ფეხზე გადაიდე, კლუბში შესასვლელი ბილეთი გამოცდილ გამცნობელთათვის თანდათანობით გააძვირე, და რჩევის სახით (ნუ შეგრცხვება) შესთავაზე: მამრობითი სქესის მომხმარებელმა, სასურველია, გაცნობისათვის საჭირო ალკოჰოლიანი (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება უალკოჰოლოც) სასმელი თან მოიტანოს-თქო. გაფრთხილებ, თექვსმეტ წლამდე მომხმარებელს კლუბში ნუ შეუშვებ. ზედა ასაკს ნუ განსაზღვრავ. ამის გარდა მხედრიონელთა და გვარდიელთათვის შესვლა უფასო იყოს, ქველმოქმედებაში ჩაგეთვლება. საერთოდ ფორმიან კაცს რომ დაინახავ, მოწიწებით ელაპარაკე, ხომ შეიძლება, მართლაც მხედრიონელი, ან გვარდიელი, ან უკიდურეს შემთხვევაში პოლიციელი აღმოჩნდეს. სამხედრო ფორმა ყაჩაღების გარდა, ზოგჯერ ზემოთხსენებული სამსახურების ჭეშმარიტ წარმომადგენლებსაც ხომ აცვიათ.

სხვა მხრივ საშიშროება. არაფერი გელის. ჰყიდე ბილეთები და ხარჯე კლუბის ჯანმრთელ სტუმართაგან შემოსული ალალი, დაუყვედრებელი ფული.

მეექვსე: გამდიდრების ამ გზებიდან მეექვსე ყველაზე უსაფრთხოა. ბიოველით მკურნალი გახდი. რომელიმე ნამდვილ ექიმს ჩამოათვლევინე ყველაზე გავრცელებული დაავადებანი, იმ დაავადებას შენი ინიციატივით დაუმატე კიბო და გამოაცხადე: შიდსის გარდა ყველა დაავადებას ვარჩენ-თქო. შიდსის მორჩენას ნუ დაიბრალებ. ამ ხაზით პაციენტი მაინც არ გეყოლება. შიდსით დაავადებულნი სამკურნალოდ არ დადიან. თუ ბევრი პაციენტი მოგაწყდა, სეანსი ჯერ უკიდურესად შეამოკლე, მერე ფსიქოთერაპიაზე გადადი. დიდი დარბაზი დაიქირავე და დუმილით მკურნალობის სეანსები ჩაატარე. მდუმარე დარბაზში (მითუმეტეს როცა ცხელა) ნახევარზე მეტს, თვით შენი დახმარების გარეშეც ჩაეძინება, ახალ-გამოღვიძებული კი ცოტა ხანს მაინც მხნედ გრძობს თავს. ესეც შენი ფსიქოთერაპია. საერთოდ ექსტრასენსობაც შეითავსე. მკურნალობის ამ სამ (ბიოველი, ფსიქოთერაპია, ექსტრასენსი) სახეს შორის დიდი განსხვავება არ არის. თუ ავადმყოფებმა თავი მოგაბეზრონ, დისტანციურ მკურნალობაზე გადადი. სამწუხაროდ, ტელემკურნალობა და რადიომკურნალობა აიკრძალა, მაგრამ დარჩა, მანძილთმკურნალობის ორი ფორმა: წერილმკურნალობა და ფოტომკურნალობა. გამოაცხადე გაზეთში: წერილით მაუწყეთ

დაავადების შესახებ და ოჯახის იმ წევრთა სახელები გარკვევით ჩაწერეთ, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ-თქო, ჰონორარი განკურნების შემდეგ გამოაგზავნეთ, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ, მკურნალობის გაადვილების მიზნით, თითო წერილში ხუთი პაციენტის სახელზე მეტი ნუ იქნება-თქო. ამას წერილმკურნალობა ჰქვია. ფოტომკურნალობა წერილმკურნალობის გაუმჯობესებული და უფრო გარანტირებული ფორმაა: კონვერტში პაციენტის სახელთან ერთად მისი ფოტოსურათიც უნდა იდოს. ფოტოსურათის ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

გამდიდრების ამ ფორმასაც ახლავს, ჩემო გელა, ერთი მცირე გაფრთხილება: მკითხავ-ვარდოობა და გულთმისან-წინასწარმეტყველობა არ დაიწყო. არ გინდა სახელის განთქმის ამგვარი მისნობა-მიხვედრანი: „მავანსა და მავანს გუდაუთში კარგა ხანია ვერ ვხედავ, თვენახევრის გარდაცვლილია და მოსკოვის ერთ-ერთ მორგ-მაცივარში ინახავენ“... ხომ იცი, ტელევიზიას დიდი თვალები აქვს. გადაიღებენ წალკოტშიმჯდომ, მხნედმოსაუბრე, მაცივრიდან გამოყვანილ შენს გმირს და შერცხვები. რატომ იტკივებ აუტკივარ თავს. ოქრო ხელობა გაქვს; ბოლოსდაბოლოს უნიკალური ფსიქოთერაპევტი, ბიოველიანი მკურნალი და სწორუპოვარი ექსტრასენსი ხარ.

თუ გამდიდრება-ლაღი ცხოვრება მოგწყინდეს და როგორც ქართველთა უმეტესობას სჩვევია, მთავრობისაკენ გაგიწიოს გულმა, ერთ საიდუმლოებასაც გაგიმხელ: ჩამოწერე ათი-თორმეტი ნათესავ-ძმაკაცის გვარი. ახალი პარტია შეიქმნა-თქო, გაატარე რეგისტრაციაში. პირველი ხუთი გვარი (იმ თორმეტიდან) არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელე. შენ, რასაკვირველია, ნომერ პირველი იქნები. მართალია, დეპუტატობისათვის საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებ, მაგრამ კომპენსაციის მეთოდით (ახალ პარტიას გული არ დავწყვიტოთო, იტყვიან) შენ და შენი მომდევნო მეორე ნომერი უეჭველად გახვალთ დეპუტატებად.

მერე ქე მიხედე შენს თავს. ამ ბოლო გზას ჩემთვის ვიტოვებდი, მაგრამ ისე მონდომებით მისმენ, ვერ დავმალე და გაგიმხილე. ახლა, რაკი აქამდე მოგიყვანე და გაგადეპუტატე ერთ რჩევასაც მოგცემ, პარლამენტის სხდომებზე მაინცდამაინც ნუ იაქტიურებ.

რაც ნაკლებს ილაპარაკებ, ნაკლებ სისულელეს იტყვი.

* * *

ცოლი უნივერმაღში შევიდა. მე, რასაკვირველია, გარეთ დავრჩი. უნივერმაღის ჩრდილი ტროტუარს ირიბად ჰკვეთს.

სწორედ იმ ჩრდილს შეფარებიან ჩემს ბედში მყოფი, მოწყენილი კაცები, ვისაც უნივერმაღის კიბეზე აღმა-დაღმა სირბილი უფრო ულრღნის ნერვებს, ვიდრე ამ ჩრდილში დგომა და მტანჯველი ლოდინი.

სამ მაღაზიას ავაცილე გზაში, ამ უნივერმაღს ვერა.

კონკრეტულად შესაძენი არაფერი აქვს ჩემს თანამეცხედრეს, თორემ შედარებით ჩქარა მობრუნდებოდა. ახლა, სანამ ყველა სექციას არ ჩამოივლის, გარეთ გამომსვლელი არ არის. ბოლთის ცემა (ალავერდს მთარგმნელებთან გადავდივარ: ბიჭი ხარ და თარგმნე „ბოლთის ცემა“) რომ მომწყინდა, მარჯვენა-ტორჩამოტეხილ მარმარილოს ლომს ზურგით მივეყრდენი და ცას ავხედე.

მურმანისა არ იყოს, ცაზე „ჩიბუხში ჩასადები“ ღრუბელიც კი არ ჩანს, რომ მისი ცქერით მაინც გაირთო თავი.

ეს გაუთავებელი სიცხე, მტვრიანი ბუღი, უნივერმაღის ხახაში დიდი იმედით შემრბენი, გაფაციცებული სახეები, და მეორე კარიდან ოფლის წმენდით გამოცვენილი სახეჩამოღვენთილი მომხმარებლები (ნეტავ ვინ და რატომ მოიგონა ეს უკანასკნელი სიტყვა), ჩრდილსმიყოლილი, ხელჩანთიანი, ავადმობუტბუტე ოჯახის კაცები, საწაღმართოს გაფიქრებინებს რამეს?

ჩემს უხეირო თავში ჩაკეტილ-ჩამრავლებულმა ეშმაკებმა მაინც თავისი გაიტანეს და გვერდით მდგომ, თეთრბერეტიან, ყელშეხვეულ კაცს სტვენა შევაწყვეტინე:

– ჟირაფს ხომ არ იყიდით?

თითქოს ჩემგან ამ შეკითხვას ელოდაო, შემომხედა, მრავალმნიშვნელოვნად დამაკვირდა, ამოიოხრა და მტკიცე გადაწყვეტილებით მიპასუხა:

– არა, გმადლობთ.

არ უნდა და არ უნდა. რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. ხომ არ დავაძალებ. ჯიბეში ხელები ჩავიწყე და აფიშასთან მდგარ ღილისთვალება, ღაბაბიან მამაკაცს ავუარ-ჩავუარე. ყურადღება რომ არ მომაქცია, პროფილით დავუდექი და ვითომ აფიშას ვკითხულობდი, შეთქმულის ხმით ვაუწყე.

– საქმე მაქვს თქვენთან.

არც შემობრუნებულა. ჩანს, კონსპირაციული საუბრის ელემენტარულ ხერხებს მშვენივრად ფლობს. ჩემდა გასაოცრად გაზეთი გაშალა, სახეზე აიფარა და მოჩვენებითი სიმშვიდით მომიგო:

– გისმენთ.

– ჟირაფს ვყიდი.

გაზეთმა ერთხელ კიდევ გაიშრიალა.

– როგორ ჟირაფს?

– კარგს, ცოცხალს. მე თვითონ ჩამოვიყვანე აფრიკიდან. შვილივით გავზარდე. ფული დამჭირდა, თორემ არ შეველეოდი, – ტყვიამფრქვევივით მივაყარე.

გაზეთი დაკეცა, უბეში ამოიჩარა, შემომხედა და პასუხგაუცემლად გამშორდა. ჩქარი ნაბიჯით მიმავალმა ერთხელ კიდევ მოიხედა და ქუჩა გადაჭრა.

ათასი კითხვის ნიშნით უციმციმებდა თვალები.

ჩემს პირდაპირ, დეკორაციულ ფარანთან, სახელოებაკეცილი, მოკლეშარვლიანი, წარბებამდე ქერათმებჩამოვარცხნილი, აწოწილი კაცი დგას. ხელში პამიდვრით სავსე ცელოფნის პარკი უჭირავს. ხანდახან პამიდორს ამოიღებს, ცხვირსახოცით ფრთხილად გაწმენდს, შუაზე გახლეჩს, ნახევარს ერთ ლუკმაზე ჩაიდებს პირში და მეორე ნახევარს, სანამ შეჭამდეს, გულდასმით აკვირდება. გამოვიანგარიშე, ერთ პამიდორს რომ მორჩება, უნივერმაღის კარისკენ გაიხედავს და ვითომც აქ არაფერიო, მარჯვნივ ხუთიოდე ნაბიჯს გადადგამს. მერე ისევ ფარნის ბოძს უბრუნდება. თუ ასეთი ტემპით შეექცა პამიდორს, ალბათ, მეუღლის დაბრუნებამდე ცარიელი პარკი შერჩება ხელთ.

რომ გამისწორდა, მივესალმე და სულისმოთქმა არ ვაცალე.

– ჟირაფის შეძენას ხომ არ ისურვებდით?

როდი დაიბნა, გამიღიმა და ამხედ-დამხედა.

– ავსტრალიაში რომ ვცხოვრობდე და იშვიათი ცხოველების ანატომიის სპეციალისტი ვიყო, ჟირაფს კი არა, დინოზავრს ვიყიდდი.

– მე არ გეხუმრებით.

– მეც სერიოზულად მოგახსენებთ. ისეთ ვიწრო ბინაში ვცხოვრობ, მეცხრე სართულზე, ჟირაფს კი არა, სიდედრს ძლივს ვინახავთ.

– იქნებ თქვენს ნაცნობს სურს ვინმეს? – არ მოვეშვი.

– არა მგონია.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

თავი დამიქნია და ჟირაფზე უფრო ნაღდი საქმე, პამიდვრის ჭამა განაგრძო.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან, რკინის „სკამეიკაზე“ ჩათვლემილ, ჭილოფისქუდიან, ტყავისჩანთიან კაცთან მივედი, მხარზე ხელი დავადე, თვალი გავუსწორე და ჩავჩურჩულე:

– ჟირაფს ვყიდი.

პასუხს არ დაველოდე, ჩავიარე. წამოხტა და უნივერმაღის ჩრდილში შემომსდია:

– რა ხნის არის?

– სამის. არაა დიდი ხნის. ჟირაფები ოცდაშვიდ წელიწადს ცოცხლობენ.

– ვიცი, – ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა და ჩანთას ხელი შეუნაცვლა.

– რატომ შეელიე?

– ვალი მაქვს, – თავი შევაცოდე.

– რას აფასებ? – საქმეზე გადავიდა.

– როგორც სხვები ჰყიდიან, იმის ნახევარ ფასად მოგცემ.

შეწუხდა; მივდივარ, უკან მომყვება.

– ალბათ, რამე ნაკლი აქვს.

– არავითარი. სუფთა სისხლის ჟირაფია. გინდა? ამდენი არ მცალია.

– სად გეჩქარება?

– სხვა ქალაქში გადავდივარ და წაყვანა არ შეიძლება, დღესვე უნდა დავიცალო ხელი.

– რატომ არ შეიძლება წაყვანა?

– თვითმფრინავში არ ეტევა, მატარებლით ცხოველების გადაყვანის ნებას არ იძლევიან.

– ძალიან მაღალია? – ქუდი მოიხადა და ცხვირთან გაიქნია.

შემეცოდა, შევჩერდი. აშკარად, ჩანს გარემოება არ უწყობს ხელს, თორემ ჟირაფი ძალიან უნდა.

– ჩვეულებრივ ჟირაფზე ოცი სანტიმეტრით დაბალია. შენ მყიდველს არ ჰგავხარ – უბოდიშოდ მივუგე.

თითქოს წყალი გადაესხაო, სწრაფად შებრუნდა და ბოდიშის მოხდით გამეცალა.

ნაყინის გამყიდველთან მივედი. ერთი „პლომბირი“ შევიძინე და ყოველშემთხვევისთვის ვკითხე:

– ჟირაფის მუშტარი ხომ არ გეგულება?

ჩოფურა, ჟღალთვალებიანი, წითური გამყიდველი კეთროვანივით შემომაჩერდა, მაგრამ სწრაფადვე მოეგო გონს:

– ახლა, ამ წუთში იკითხა ვიღაცამ, ჟირაფს ხომ არავინ ჰყიდისო. მგონი სკვერისკენ გაიქცა. დაეწიე, მორიგდებით, უეჭველი, მყიდველია, – მადლობა მოვახსენე, სკვერისკენ, რასაკვირველია, არ გავქცეულვარ.

ჩემსკენ კალანჩხიანი, შავულვაშა, ორმოციოდე წლის სვირინგითმკლავდამშვენებული კაცი მოაბიჯებს. კალანჩხიდან ინდაურს ამოუყვია თავი და მშვიდად ათვალიერებს სიცხისგან შეჭმულ ქალაქს.

– ჟირაფს ხომ არ იყიდი? – ხელის გაწვდენაზე რომ მომიახლოვდა, ვკითხე.

შეჩერდა. კალანჩხა მკლავზე ჩამოიკიდა.

– ჟირაფს გააჩნია.

– კარგი რამეა, მოგეწონება, – ლამის მუდარით მივუგე.

– რას ჭამს? – მკითხა.

ცოტა არ იყოს, დავიბენი. დასწყევლოს ღმერთმა, მართლა და მართლა, რას მიირთმევს ჟირაფი?

– ყველაფერს. ვედროში უნდა დაულბო და ყველაფერს ჭამს, – აშკარად შემატყო, რომ სიტყვებს ჰაერში ვიჭერდი.

– ყველაფერს რომ ჭამს, ისეთ ჟირაფს მე სახლში ვერ შევიყვან, – გადაწყვეტილად მითხრა და გზა განაგრძო.

გაზეთის ჯიხურს ჩამოყრდნობილი, მოტოციკლეტისკასკიანი, დაბალი კაცი ამოვიღე ნიშანში, მაგრამ იქამდე მისვლა არ დამცალდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სატინისკიტელიანი თეთრყირმიზა ბიჭი დამიდგა წინ. საბუთი მიჩვენა, სერჟანტი გახლავართო, გამაცნო თავი და გაყოლა მიბრძანა.

მილიციის ოპერატიულ მანქანას რომ მივუახლოვდით, მოვიხედე და უნივერმაღიდან გამოსული ცოლის გაოცებულ თვალებს წავაწყდი.

– ტაქსით წამოდი, – სერჟანტს, რომელიც ხელის შეშველებას აპირებდა, მივუბრუნდი, – საით მივდივართ?

– მეორეში, – უგემურად მიპასუხა.

– მეორეში! – გავძახე ცოლს, – ტაქსით მოდი. გაარკვევენ ახლავე ყველაფერს და გამომიშვებენ. მანდ, მანქანის დარაჯს უთხარი, ერთ საათში დაბრუნდება და არ გაწყენინებს-თქო. უკანა ფარები არავინ მოგვპაროს.

ცოლმა თავი დამიქნია და ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდა, მაგრამ ამასობაში მსუბუქი მუჯლუგუნი ვიგრძენი და უფანჯრო კაბინაში ამოვყავი თავი.

ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, მართლაც რომ მყოლოდა ჟირაფი, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მისი გაყიდვა?

* * *

გელა კირთაძე 1985 წელს მკითხველისთვის უკვე ცნობილმა გამომცემელმა კომიამამ საპასუხო ვიზიტით იაპონიაში მიიწვია.

დილიდანვე მარჯვენა თვალი უპარპალებდა.

თვალის პარპალმა გამთენიისას გამოაღვიძა. საათს შეხედა, შვიდიც არ იყო. საბანი თავზე წაიხურა და კედლისკენ გადაბრუნდა, იქნებ ჩამეძინოსო. ამაოდ.

რაც უფრო მონდომებით ცდილობდა დაძინებას, მით უფრო ფხიზლდებოდა. ძილის ბურუსიდან გონება გამალებით გადმოდიოდა

სიცხადეში, სადაც ერთმანეთში ირეოდნენ იაპონიის დედაქალაქის ბრჭყვიალა რეკლამები, ორსართულიანი ესტაკადები, აბრეშუმივით ნაზი და უხმაურო მასპინძლები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავაზიანი „მოსი, მოსი“ და სამშობლოს მონატრება – ყველა გრძნობაზე უფრო ძლიერი.

მაინც არ მეძინება, ცოტას წავივარჯიშებო. კიმანო საწოლზე მოისროლა, ტყავის ქოშებში ფეხი წაჰყო და აბაზანაში შეტყაპუნდა. სარკეს ენა გამოუყო და დიდხანს აკვირდებოდა. „ეხლა მაინც რა სიკვდილმა გამითეთრა ენა. გუშინ მაინც არ მიჭამია ლოკოკინას სალათა“.

ჭიქას სტერილიზების ქაღალდი შემოახვია. ონკანს შეუშვირა და ქლორისგან აყროლებული წყალი პირში ჩაიგუბა. ყელში ააბუჟბუჟა და გადმოღვარა.

მერე ონკანს პეშვი შეუშვირა და მარჯვენა თვალი კარგახანს აპაჭუნა წყალში.

პარპალმა არა და არ გაუარა.

ტელეფონი აწკარუნდა.

– გისმენთ, ქალბატონო ელეონორა.

სხვა ვინ უნდა ყოფილიყო.

ერთგული მამალივით ელეონორა აღვიძებდა ყოველ დილით. ეს ქალი დელეგაციას ყვავეთიდან გამოაყოლეს, თქვენი თარჯიმანი იქნებაო. ელეონორამ იაპონური, ალბათ, კარგად იცოდა და შესახედავადაც ურიგო დედაკაცი როდი იყო. მაგრამ გერასიმეს გულს ურევდა ამ ქალის ხაზგასმული ოფიციალურობა. აქაოდა, იაპონური ვიციო, თვითდაჯერებული ტონი და თავის თავზე, ზოგჯერ, ისეთი ფუნქციების აღება, რომელიც უწყინარი თარჯიმნის როლს შორს სცილდებოდა.

ოფიციალურ ქაღალდებში ეწერა, რომ დელეგაციაში, რომელიც მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის იაპონიის განყოფილების მოწვევით ამ ქვეყანაში ორი კვირით მიემგზავრებოდა, მხოლოდ ორი წევრი იყო – ვასილ ფლიევი და გელა კირთაძე. ელეონორა დელეგაციის წევრი არც კი გახლდათ და მისი მდგომარეობით, შეხვედრების დროს დაბალი რანგის ჩინოვნიკის სტატუსს უნდა დაჯერებოდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ელეონორა ტოკიოში ჩასვლის პირველი საათებიდანვე ისე ენერგიულად მოქმედებდა, რომ აშკარად ცდილობდა, ეს ორი დამსახურებული ლიტერატორი თავის ჭკუაზე ეტარებინა და, თქვენ როგორ ფიქრობთ, მისი შენიღბული სითამამით და იდუმალი თვითდაჯერებით ახერხებდა კიდეც.

ვასილი პირველი დღიდანვე შეურიგდა ამ ამბავს, გელა კი ვერა და ვერა. ვასილს არა მარტო დამყოლი ხასიათი ჰქონდა, ეტყობა, თავმოყვარეობითაც ვერ დაიკვეხნიდა.

– იცით რა, თქვენ რომ გუშინ ასაკუსას დათვალიერება გსურდათ, დამირეკეს, თხუთმეტ წუთში გოგონა მოვა და გაგყვებათ, ხომ არ გადაიფიქრეთ?

გუშინ შუადღისას ერთი ღონიერი მწერალთა გაერთიანების პრეზიდენტს შეხვდნენ. აუდიენცია რომ დამთავრდა, ქუჩაში გაიარეს. სადილამდე ნახევარი საათი რჩებოდა. გელამ ჩასახვევში, მარჯვნივ უზარმაზარ ტაძარს ჰკიდა თვალი და შეჩერდა. კირთაძეს სიძველენი აინტერესებდა და სანამ იკითხავდა, იაპონელებმა დაასწრეს: ეს ასაკუსაია, ბუდისტური ტაძარი მეთოთხმეტე საუკუნისა, ტოკიოში ოცამდე ასეთი ტაძარიაო.

თუ შეიძლება ახლოს მისვლაო, მოკრძალებით შეაჩერდა გელა მასპინძლებს, მაგრამ მაშინვე ინანა, ელეონორამ ყოველგვარი თათბირის გარეშე მოუჭრა: ახლა რესტორანში მივდივართ, ბატონო გელა, რა დროს ექსკურსიაა, და საერთოდ, გთხოვთ ჩემს ფუნქციებში ნუ ჩაერევით, ხომ იცით, აქ ყოველი წუთი განსაზღვრულიაო.

ფირმის წარმომადგენელმა შეატყო, რომ დელეგაციის წევრსა და თარჯიმანს შორის უსიამოვნო საუბარი ასაკუსას გამო შედგა და ელეონორას მიმართა; თუ ბატონ მწერალს ტაძართან უფრო ახლოს მისვლა სურს, ადვილი საქმეაო. მაგრამ ელეონორა რისი ელეონორა იქნებოდა, უკან რომ დაეხია.

– თავისთავად გადაფიქრებული არ არის? ახლა რაღას მოვასწრებთ, ქალბატონო ელეონორა.

– უარს ვეტყოდი, რომ მცოდნოდა, – ჩაიკვნეს-ჩაისინანულა თარჯიმანმა.

– რომელზე უნდა გავიდეთ ჩვენ? – გელამ იცოდა, რომ სასტუმროდან პირველზე უნდა გასულიყვნენ, მაგრამ ისე, სიტყვის მასალად იკითხა.

– პირველზე, ორზე აეროპორტში უნდა ვიყოთ.

დელეგაციას ბარგი უკვე შეკრული ჰქონდა. სამ საათზე „ნარიტას“ საერთაშორისო აეროპორტიდან აფრინდებოდა თვითმფრინავი და კურსს სამშობლოსაკენ აიღებდა.

– უნდა გეთქვათ, გუშინ აინტერესებდა, დღეს აღარ აინტერესებს-თქო, ისედაც ამდენს ვაწუხებთ ამ ხალხს.

– რომ არ გაყვეთ, უარესად შეწუხდებიან. მეტროთი წახვალთ და მოასწრებთ, უხერხულია. გასწიე-გამოსწიე ორი საათი გეყოფათ. ნახევარი საათის გზაა მეტროთი. პირველს რომ თხუთმეტი

დააკლდება, ფოიეში დაგელოდებით. მოემზადეთ, სადაცაა გამოჩნდება ის გოგო.

– რომელი გოგო? – გულუბრყვილოდ ჰკითხა გელამ. თითქოსდა მისთვის სულერთი არ იყო, რომელი გოგო მიაცილებდა ტოკიოს ბუდისტური ტაძრის – ასაკუსას სანახავად.

გაიპარსა, შხაპი გადაივლო, გამოეწყო და დერეფანში გამოვიდა.

„ალბათ ეს არის“, – გაიფიქრა გელამ, როცა გვერდით ტანმომცრო იაპონელმა გოგონამ ტკაპატკუპით ჩაუარა და ელეონორას ნომრის კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

რამდენიმე წუთში მწერალი და იაპონელი გიდი არც თუ მთლად ფეხაწყობილად გარბოდნენ გინზაზე.

გელა დაღლილი მარათონელივით ქელავდა, მაჯაზე გამობმულ ხელჩანთას მიიქნევდა, მარჯვენათი ხალხს მიარღვევდა და ცდილობდა, გოგონას არ ჩამორჩენოდა.

გოგონა კი პროპორციულად ტანმორჩილი გახლდათ და სიარულის დროს მუხლებს ერთმანეთს უხახუნებდა. ისე საყვარლად მიაბიჯებდა ტანის რხევით და პატარა ნაბიჯებით, როგორც მარტო მომხიბვლელ იაპონელ ქალებს ძალუძთ. საყველპურო რუსულს ახერხებდა და წელან მეტროს ესკალატორზე რომ იდგნენ, გელამ უკვე მოასწრო მის ლამაზ გამყოლზე ზოგი რამ გაეგო; გოგონას მიცუკი ერქვა. უნივეტსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. მშობლები კიოტოში ცხოვრობდნენ, თვით კი რუსულ ენაში წასავარჯიშებლად და, რა დასამალია, ეკონომიური მოსაზრებითაც, თავს ნებას აძლევდა, გამოსაძახებელი თარჯიმნის სამსახური შეეთავაზებინა საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობაში ჩაბმული იაპონელი ფირმებისათვის. გელა შეკითხვაზე ჯერ გაიღიმებდა, მერე გულზე ახუტებული ჩანთიდან მინიატურულ ლექსიკონს დააძრობდა, სიტყვებს ერთხელ კიდევ დააზუსტებდა და პასუხს უსათუოდ მობოდიშებას მოაყოლებდა... გელა წამდაუწუმ ამხნევებდა; რა გაქვთ საბოდიშო, მშვენივრად ლაპარაკობთო, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ მიცუკის თავაზიანი მწერლის ქათინაური არ სჯეროდა.

გინზას ბოლოში რომ გავიდნენ, მიცუკიმ ავტობუსების განრიგის მაჩვენებელ ელექტროტაბლოსთან მიირბინა, კარგა ხანს ათამაშა თითები მწვანედ განათებულ ღილაკებზე, ეტყობოდა, ასაკუსას ახლომახლო გაჩერება ვერ აღმოაჩინა, მოწყენილი სახით გამობრუნდა, გელას სთხოვა, აქ დამიცადეთო, მოედნის შუაგულში მდგარ პოლიციელთან მიირბინა. პოლიციელმა ერთი მოუხედა და ზურგი უჩვენა. მიცუკი ერთგულად უხსნიდა რაღაცას, მაგრამ პოლიციელი მისკენ არ შემობრუნებულა. გოგონა თეძოების

ნაზი რხევით (თითქოს იაპონური მულტფილმების მზეთუნახავ თოჯინებს აჯავრებდა) ისევ მონარნარდა გელასთან, კიბეზე ჩაიმუხლა და ტოკიოს ქუჩების სქემა დააძრო, ორივენი გულდასმით დასცქეროდნენ სქემას.

– ჩვენ სად ვართ ახლა, მიცუკი? – ჰკითხა გელამ.

– აქ, – სქემას ფანქარი დაადო გოგონამ.

– შენ ხარ ჩემი ბატონი, ასაკუსა?

– აქ, – სქემის მეორე მხარეს, ქალაქის განაპირას, წრე შემოხაზა მიცუკიმ.

– შენ ეს მითხარი, რა ქუჩაზეა ასაკუსა?

– ტოკიოში ქუჩებს სახელი არა აქვთ, – მიცუკის დაღლილი ღიმილი ჰქონდა.

– აპა?

– აქ ქუჩები დანომრილია, მარტო გინზას ჰქვია, გინზა. მთავარი ქუჩაა და იმიტომ.

– სულერთი არაა, შე ქალო? რა ნომერ ქუჩაზე ვართ მისასვლელი?

– ორმოცდამეჩვიდმეტეზე.

– მერე? რა გვიშლის ხელს?

– არაფერი, პოლიციელს ვკითხე. რა ტრანსპორტით უფრო ჩქარა მივალთ-მეთქი და ხმა არ გამცა.

– რა მინდაო?

– ლაპარაკი არ შეუძლია, ნება არა აქვს. მოძრაობას არეგულირებს.

– მერე? ჩვენც ისეთი პოლიციელი მოვძებნოთ, ვისაც გზადაბნეული მოქალაქისთვის გზის ჩვენება ევალება.

თითქოს დიდ ჭეშმარიტებას ეზიარაო, მიცუკიმ მადლობის ნიშნად გაუღიმა, სქემა დაკეცა, ჩანთაში ჩაჩურთა და ტროტუარს აღმა აუყვა.

კარგა ხანს ეძებეს პოლიციელი, მაგრამ განსხვავებით სხვა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან (პოლიციელები ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში რომ გეჩხირებიან) ტოკიოში წესრიგის დამცველი იოლი საპოვნელი როდი აღმოჩნდა.

შადრევანთან მოიხელთეს შავქუდიანი მოხელე და ორივენი ჯიქურ მიადგნენ.

– ჰაი დოზო, – სული არ მოათქმევინა მიცუკიმ.

– ჰაი, ჰაი – ქუდთან ხელი მიიტანა; ახალგაზრდა, მეჩხერკბილება პოლიციელმა.

მიცუკი დიდხანს უხსნიდა თავის გასაჭირს, სქემაც დააძრო, ზედ დახატული ასაკუსაც უჩვენა, მაგრამ იაპონელი ქალწულის

ნაღვლიან კილოზე ხვდებოდა გელა, რომ პოლიციელმა გიდს სანუგეშო ვერა უთხრა რა.

ის იყო, მიცუკიმ გულიდან ამოსული არიგატო დაუტოვა სახელმწიფოს გუშაგს და ტანჯული სახით გამოტრიალდა, რომ პოლიციელი დაედევნა და აღტაცებული სახით რაღაც ჩაუიაპონურა.

გახარებულმა მიცუკიმ კვლავ დააძრო სქემა და ისინი შადრევანის გასწვრივ, კედელთან, პრეზიდენტის სურათის ქვეშ ჩამოსხდნენ.

– ჰაი, ჰაი,.. ჰაი... ჰაი, ჰაი... – წამდაუწუმ იმეორებდა გოგონა და ბოლოს, როგორც იქნა, დააღწია თავი გულისხმიერ პოლიციელს. ქუჩა გადმოჭრეს და კიბეს ჩაუყვნენ თუ არა, პოლიციელი ისევ წამოეწიათ, ერთხელ კიდევ გააშლევინა მან მიცუკის სქემა და ერთხელ კიდევ სუფთა იაპონურით განუმარტა, როგორ უნდა მისულიყვნენ ასაკუსამდი.

ათიოდე წუთის შემდეგ ისინი მეტროს მატარებელში ისხდნენ. მიცუკი კვლავ მუხლებზე გაშლილ სქემას დაჩერებოდა, ფანჯარას მიჭიჭინებული გელა კი მეტროს ყოველ სადგურზე შემოგებებულ პლაკატს (პლაკატზე მატარებლის სავარძელში ღრმად ჩაძინებული მაიმუნი ეხატა) შეავლებდა თვალს და მერე რეკლამების გასწვრივ მდუმარედ ჩამწკრივებულ იაპონელებს გახედავდა.

მწერალს, რა დაგიმალოთ და შურდა იმ კაფანდარა ათასებისა, მეტროს ესკალატორს აღმა-დაღმა რომ დაყვებოდნენ და მშვენივრად იცოდნენ, საით მიდიოდნენ და რა საქმეზე.

საათზე დაიხედა. თერთმეტის ნახევარი იყო.

– ისე, ჩვენს შორის დარჩეს და თუ ასე შორს არის, აუცილებელი კი არაა, კაცმა რომ თქვას, ასაკუსას ნახვა. იქნებ მეორედ ჩამოსვლისთვის გადაგვედო? – შეაპარა გიდს გელამ.

მიცუკიმ შეძრწუნებული სახით მოიხედა.

– არა, არა, გელა სან. შორს არ არის. ჩვენ უბრალოდ გზა დაგვებნა. სხვა სადგურით უნდა წავსულიყავით. მე თვითონ იქ არასოდეს ვყოფილვარ, ხომ მაპატიებთ?

გელა ხელის ზურგზე მოეფერა ისედაც შეწუხებულ გოგოს და რაც მოუხერხდა, ალერსიანად უთხრა.

– რა სათქმელია.

კიდევ ერთი „მძინარე მაიმუნი“ გაიარეს და მატარებლიდან ჩამოვიდნენ.

გრძელი დერეფანი გაირბინეს და ბილეთების „სასხლავით“ ხელში მდგარ მეტროს მორიგესთან მივიდნენ, გაირკვა, რომ ერთი სადგურით ადრე ჩამოსულან. ეს „ხურაის“ ძველი სადგურია, თქვენ კი ბილეთი ახალ „ხურაიმდე“ გაქვთო.

უკან გამოუყვნენ რეკლამებით აყვირებულ გრძელ დერეფანს.

როგორც იქნა, ამოაღწიეს მიწის ზემოთ.

გზაჯვარედინთან მარჯვნივ აუხვიეს, სკვერი გადაჭრეს და ცირკის აფიშებთან პატარა მოედანს მიადგნენ.

მიცუკიმ კვლავ მიირბინა ელექტროტაბლოსთან. კვლავ ათამაშა თითები კლავიშებზე, მერე აცრემლებული სახით გვერდით მდგომ ქალს რაღაც ჰკითხა და ორი წუთის შემდეგ მიცუკის ირგვლივ გულჩვილი იაპონელების წრე რომ შეიკრა, გელას გულმა რეჩხი უყო. ჩანდა, მიცუკი კიდევ ერთხელ დაიბნა.

უყურა, უყურა გელამ და რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კოლექტიური გზის სწავლება კარგს არას უქადდა (მიცუკის ირგვლივ ცნობისმოყვარე მოქალაქეთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა და შეიძლებოდა გულშემატკივართა თათბირი მიტინგში გადაზრდილიყო), გოგონას ხელი დაავლო და წრეს გამოარიდა.

მიწისქვეშა გადასასვლელში რომ ჩადიოდნენ, გელამ მოიხედა, მოქალაქენი ისევ იქ იდგნენ და კამათობდნენ.

კიბესთან სული მოითქვეს. მიცუკიმ ისევ დააძრო სქემა, ავტომატურ ფეხსაცმელმწმენდს ჩამოაფარა, ორივე ხელი საფეთქელზე მიიდო და დააცქერდა.

– დაწყნარდი მიცუკი, რა ვუყოთ, ხდება. ახლა თორმეტის ნახევარია. დრო ცოტა რჩება, გავბრუნდეთ, – დაიწყო გელამ.

– ასაკუსა? – გოგონას ირიბად გაჭრილ თვალებში სასოწარკვეთა ჩადგომოდა.

– მე ვიტყვი, დავათვალიერეთ-მეთქი. ძალიან მომეწონა-მეთქი. დავანებოთ თავი ასაკუსას. ტაქსში ჩავჯდეთ და უკან გავბრუნდეთ. დამიჯერე. ასე აჯობებს საქმისთვის.

გოგონამ მთლად კარგად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა – „მე ვიტყვი, დავათვალიერეთ-მეთქი“, მაგრამ მეათასედ დაიხედა საათზე, სქემა არც კი დაუკეცავს, გელას ხელი ჩაავლო და ყვითელთაღიან ჭიშკარში შეარბენინა.

ჭიშკარი გაიარეს, ესკალატორით ქვედა ქუჩაზე ჩავიდნენ და ბამბუკის ჯიხურში ჭოტივით მობუზულ ქალს მიადგნენ.

მიცუკი წამდაუწუმ საათზე იხედებოდა და რაღაცას ევედრებოდა, ჭოტი-მორიგე კი მშვიდად პასუხობდა და წინ მდგარ მიკროფონს ნიადაგ ერთსა და იმავეს ჩასძახოდა.

მიცუკიმ გელას ხელი გამოსდო, მარცხნივ გაარბენინა და კვლავ ესკალატორზე შეაყენა.

– რა მინდაო? – ჰკითხა ფარმაცევტმა.

გოგონამ გამშრალი ტუჩები აიცმაცუნა:

– ტაქსით დაგაგვიანდებათო. ახლა პიკის საათი იწყება. კვლავ მეტროთი უნდა წავიდეთ.

– წავიდეთ მერე, რა გვიშლის ხელს.

– არაფერი. ახლავე მეტროს სადგურს ვიპოვი. თქვენ აქ მომიცადეთ...

მაგრამ გელას მოცდის თავი აღარ ჰქონდა. იგი ფეხდაფეხ კი არ მიჰყვებოდა, ზოგჯერ წინ უსწრებდა თავის გიდს. ერთი-ორჯერ ხელიც კი ჩაავლო და წითელ შუქზე გადაარბენინა. გიდი მთლად მოეშვა. იგი მორჩილად მიჰყვებოდა კირთაძეს და ტირილით ბოდიშს იხდიდა.

მესამეჯერ სხვადასხვა მხრიდან ერთსადაიმავე, ჟან გაბენის ვეებერთელა სურათიან მოედანს რომ მიადგნენ, გელამაც დაკარგა გზაკვალი.

მიცუკი ტროტუარზე ჩამოჯდა. სქემა ამოიღო და ქვითინი აუტყდა.

პირველს ოცი წუთი აკლდა. დრო ელვისსისწრაფით გარბოდა.

გიდი ტუჩებს და თითებს იკვნეტდა. სქემას აფრიალებდა და გამვლელებს ისეთი ხმით დასძახოდა, რომ მოქალაქენი ჩერდებოდნენ და სხვა რომ არაფერი შეეძლოთ, უსიტყვო თანაგრძნობას იქვე დგომით გამოხატავდნენ.

ვიღაცამ ქაღალდი ამოიღო და მოქალაქეთა ხელმოწერის შეგროვებას შეუდგა. გელა მიხვდა, გამვლელთა მოწმეობა მიცუკის გიდური რეპუტაციის გადასარჩენად იყო საჭირო.

გელამ მხნეობა მოიკრიბა და აკანკალებული სტუდენტი ლამის ძალით დასვა ტროტუარზე.

– დაჯექი აქ, მე შენ გელაპარაკები. რა მოხდა, შე ქალო, დაიქცა ქვეყანა? ადამიანის ფერი აღარ გადევს შენ თუ მოკვდი, რაღად გინდა რამე. ასე გადარევა გამიგონია? ვის არ აქცევია მხარი. მოიწმინდე ცრემლი და გაშალე ეგ დასაწვავი სქემა. რა მოედანზე ვართ ჩვენ ახლა?

სქემის გაშლა აღარ დაჭირდათ. პოლიციელმა წრე გაარღვია, მიცუკის და გელას შუაში ჩადგა, ორთავეს ხელკავი გამოსდო და ყვითელი მანქანისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი მგზავრები პოლიციის მანქანით მიქროდნენ ტოკიოს ქუჩებში. მძღოლი სირენას აყვირებდა, მაგრამ ქალაქის უსაშველო პიკთან ვერას ხდებოდა. ყვითელი „ტოიოტა“ წამდაუწუმ ჩერდებოდა და ფანჯარაში თავგაყოფილ პოლიციელს ყვირილით უხდებოდა თავის კოლეგებთან ურთიერთობის გარკვევა.

მიცუკი სავარძელში მისვენებულიყო და დატუქსვის შემდეგ მოფერებული ბავშვივით სლუკუნებდა.

გელას გულმუცელი ეწვოდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. მანქანის ფანჯრიდან მოჩვენებითი გულგრილობით შეს-

ცქეროდა ხელჩანთიან კოპწია იაპონელებს, პირზე ღიმილითა და პაკიპუკით რომ მიიჩქაროდნენ თავიანთ იაპონურ საქმეებზე.

„ნარიტას“ აეროპორტში რომ მივიდნენ, „ილ-64“ – მარშრუტით ტოკიო-მოსკოვი თხუთმეტი წუთის გაფრენილი იყო.

გელა კირთაძემ აეროპორტის თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირთ განუცხადა, რომ დააგვიანდა ფრიად სერიოზული მიზეზის გამო, ასაკუსას დათვალიერებისას გული ცუდად გაუხდა და სიარული ველარ შეძლო.

წერილობით ჩვენებაში, რომელიც მწერალმა ოფიციალურ პირთა თანხმობით რუსულად დაწერა, იგი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ გულისხმიერ იაპონელ გოგონას – მიცუკის მის დაგვიანებაში ბრალი არ მიუძღოდა. გიდმა დროის ზუსტი გაანგარიშებით გააკეთა თავისი საქმე, მაგრამ მე გულმა მიმტყუნა და ყველაფერი ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მოხდაო.

...თვითმფრინავმა სიმაღლე რომ აიღო, აპილპილებულ ელეონორას გვერდით სტიუარდესა ჩამოუჯდა და ერთხელ კიდევ ჰკითხა დარჩენილი მგზავრის შესახებ.

– უცნაურად იქცეოდა, გულჩათხრობილიც იყო, მაგრამ სამშობლოს თუ გაყიდდა, ვერ წარმოვიდგენდიო – ხმამაღლა, სხვა მგზავრთა გასაგონადაც პასუხობდა თარჯიმანი.

სინამდვილეში იმ სტიუარდესას საქმე ძირითადად თვითმფრინავში მსხდომთა მომსახურება გახლდათ. დარჩენილებთან მას არა ესაქმებოდა რა. უბრალოდ ცნობისმოყვარე და ცოტა ენაჭარტალა გოგონა იყო.

ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა გელა მოსკოვში.

როგორ დაბრუნდა და რა გადახდა, ცალკე, სალაპარაკოა.

* * *

უდანაშაულოდ კაცის დასჯა როგორ არ გამიგონია, მაგრამ, რაც მე დამმართეს, ნამდვილად დასაწერი ამბავია, ბატონო გელა, და უნდა გიამბო; თუმცა, იქნებ, დასაწერადაც არ გამოდგეს, მკითხველს დაუჯერებლად მოეჩვენება. ორმოცდაორი წელი ისე მოვათიე ჭრა-კერვის კურსებზე ჭრის პედაგოგად, საყვედური რაა, ერთი საყვედურიც არ მიმიღია. სამმართველოში სიგელით დაჯილდოვებას და საპატიო გაცილებას მიპირებდნენ თურმე. ახლა ვიღა დამაჯილდოვებს, თითით საჩნევებელი გავხდი მთელს ქალაქში. მე შენ გეტყვი, ჭორიკანა ხალხი აკლია ქარათელეთს. მაშინვე მეთქვა სიმართლე, იცოცხლე კარგი იყო, გადავრჩებოდი ამ დავიდარაბას, ახლა აღარ დამიჯერებენ და ვინ იცის, იქნებ არც მაშინ დაეჯერე-

ბინათ. არა მჭირდა ჭირიო, ძალად ვიკარ ჩხირიო, ისეა ჩემი საქმე. გავჩუმდი და იმ გაჩუმებამ ისეთი კეტი მკრა, წელში ვეღარასოდეს გავიმართები. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, უბრალო რომ ვარ. ცოტა, პაწაწკინტელა დანაშაული მაინც მიმიძღოდეს და არ ვჩივი არაფერს.

თუ არ გეჩქარება, თავიდან დავიწყებ და წვრილად გიამბობ, რაც გადამხდა.

ამ ორი თვის წინათ ჩემს ეზოში ვზივარ და ინდაურის ბჟიტებს (ქარათელეთის გარდა, სხვაგან, ყველგან ჭუკებს ეძახიან) ჯოხს ვუქშევ, ახლადამოყრილი კოინდარი რომ არ გადაჭამონ.

საშუარა აბრამიძის ჭიშკართან ბიჭი დგას და კაი ხანია ამაოდ უხმობს მასპინძელს. რომელი ხარ-მეთქი, გავეხმაურე წამოუდგომლად. სტუმარი ახლა ჩემს ჭიშკარს მოადგა. – გამარჯობა ალექსი ბიძია, აბრამიძისანები არ არიან სახლში, თუ იციო?

ვიცანი ჩიჩი გვილავა. მელენტის უფროსი ვაჟი. ჩემგან მეხუთე მოსახლეა. წესიერი ბავშვი იყო, სხვათაშორის, და საქმეც კარგად წაიყვანა. შარშან იურიდიული დაამთავრა და ჩვენს ქალაქში გამოანაწილეს, არ ვიცი, რა თანამდებობაზე. – საშურა ახლა გავიდა, ამ წუთში და ვერ გეტყვი როდის მოვა-მეთქი. ბაბუცა ხომ მაიას ადგას თავზე თბილისში. ცოტა ხელი შეეშალა იმ გოგოს, გაიგებდი ალბათ-მეთქი. ასე რომ, სახლში მარტო საშურაა და საშურაც, ქე გითხარი, გავიდა, მაგი დღეს ფხიზელი აღარ მობრუნდება-მეთქი. თუ საჩქარო არაფერია, ხვალ დილით მობრძანდი, გვიანობამდე არ იღვიძებს-მეთქი.

– რაკი ასეა, თუ არ გეწყინება, შენ უნდა შეგაწუხო და, თუ ჩემი ლექსო ბიძია ხარ, არ მითხრა უარიო, – დამეჯღანა ჩიჩი გვილავა. მაინცდამაინც კი არ მესიამოვნა, საშურას ალავერდი ასე უცებ რომ გადმომილოცა, მაგრამ რას ვიზამდი, ბჟიტები დავამწყვდიე და გვილავა შემოვიპატიჟე. შინ შემოსასვლელად არ მცალიაო. მელენტის ძემ, მოგეხსენებათ, ალექსი ბატონო, მილიციაში ვმუშაობ მეო. ღამის მორიგე ინსპექტორი გახლავართ ჯერჯერობითო. დიპლომიანებს გამომძიებლობაზე ნაკლები არ ეკუთვნით, მაგრამ ადგილი არ იყო და, სანამ გამოჩნდებოდეს, დავთანხმდი ღამის ინსპექტორობაზეო. ჩვენი მუშაობის ხასიათი გეცოდინებათ, თუ არავინ დავსაჯეთ და თუ ვინმე არ დავტუქსეთ, აქეთ დაგვსჯიან და დაგვტუქსავენო. გამიჭირდა და უნდა დამეხმაროთო. საშურასთან გამომიშვა მამაჩემმა (თქვენ ვერ გაგიბედეთ), მაგრამ საშურა შინ არ არის და, რომც იყოს, ჩემი თავი არ ექნება ახლა იმასო. რა მოუვიდა მაიას? არაფერი არ გამიგიაო. – რა და არ თხოულობს ის ბიჭი-მეთქი, მოკლედ მოვჭერი: – კი, მაგრამ ხომ გათავდა ეგ

საქმე, ხომ წაიყვანა, ასე ვიცი მეო? – ხელს არ აწერს, ცალ-ცალკე არიან ისევ-მეთქი. ისე უგემურად ვუთხარი, ვაგრძნობინე, ამ თემაზე საუბარი რომ არ მსიამოვნებდა. – ჰოდა, შეგაწუხეთ, ალექსი ბიძია, ასეთ უცნაურ საკითხზეო: ამ თვეში, ჩემი მორიგეობის დროს არაფერი ხელმოსაკიდი არ მომხდარა და სუფთა ჟურნალს რომ ნახავს უფროსი, შეიძლება დოყლაპიობისთვის საყვედურიც კი გამომიცხადოსო. შევადგენ პატარა აქტს, გავატარებ ჟურნალში – ვითომ შენ ღამის პირველ საათზე, წულუკიძის სკვერში დებოშს ტეხდი და მილიციის მუშაკებმა მთვრალი სახლამდე მიგაცილესო. რას ვტეხავდი-მეთქი? ჩავუღრმავდი, – ჩხუბსო, – ამიხსნა, – ჩემი დათრობა და ჩემი ჩხუბი კაცს არ გაუგონია, თორმეტგოჯაზე წყლული რომ მაქვს, მთელმა ქალაქმა იცის, არ დაგიჯერებენ მაგ ამბავს, ისევ საშურას დაელოდე, საშურა გამოგადგება-მეთქი. რაკი ასეა, სხვა დანაშაული მოვიფიქროთ, შეწუხდა ჩიჩი; ვითომ შარდს აქცევდი შუაღამისას აკაკის ბაღში და მილიციელებმა წესრიგისაკენ მოგიწოდესო. შარდზე, ცოტა არ იყოს რომ შევყოყმანდი, დაუმატა: – ნუ გეშინია, ალექსი ბიძია, არც აქტს და არც ჩვენს დასკვნას, არავინ წაიკითხავს და ვერავინ გაიგებს. უბრალოდ ჟურნალში გავატარებთ, მუშაობაში ჩაგვეთვლებაო. იქნებ არც მოიკითხოს უფროსმა. ერთი წლის მერე ვწვავთ და ვანადგურებთ გატარების ჟურნალსო, აშკარად იცრუა.

გავბრიყვდი და შევჯექ ვირსაო, ხომ გაგიგონია. ავწონე-დავწონე და ჩიჩისადმი პატივისცემამ მძლია. რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა კაცს მხარში ხომ უნდა ამოვუდგე, მეტი რა ვართ ადამიანები ერთმანეთის. კაცის მოკვლაზე ხომ არ მიმოწმებს. დავიბრალებ ერთადერთხელ ჩემს ცხოვრებაში უადგილო ადგილას შარდის დაქცევას. ჯერ ერთი, როგორც ჩიჩი ამბობს, ჟურნალს არავინ ჩახედავს, და რომც ჩახედონ, ამ საქმეს არავინ გამოეკიდება-მეთქი.

ასე და ამგვარად, დავთანმდი. აქტი იქვე, ჩემს ეზოში დაიწერა. „დანაშაულის ჩადენის“ შემოთავაზებული ადგილი; ჩემი თხოვნით, წულიკიძის სკვერით შევცვალეთ, რადგან აკაკის ბაღის ყველა კუნჭული მთელი ღამე განათებულია და საქმეს, რომელშიც ბრალი მედება, ვერ გავბედავდი. საათიც გადავწიეთ, ცოტა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პირველი საათი, ორის ნახევრით შევაცვლევინე. ჩიჩი ჩემს რედაქციულ შენიშვნებს სიტყვისშემოუბრუნებლად ითვალისწინებდა, რისთვისაც ახალგაზრდა იურისტის მადლობელი დავრჩი. მოვაწერე აქტს ხელი და მე და ჩიჩი პირზე კოცნით დავშორიდთ ერთმანეთს. 1984 წლის თერთმეტი ივნისი იყო, რა დამავიწყებს.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ სამი კვირაც, რომ დირექტორი მიბარებს. მე და დირექტორი საბავშვო ბაღის ძმაკაცები ვართ. მოხარშულს მიცნობს. უდევს წინ რაღაც ქაღალდები და ხითხითებს. – როდის შემდეგ დაიწყე, ლექსო, ხულიგნობა შენო? – რავა, რა იყომეთქი, ელდა მეცა. – შეტყობინებაა მილიციიდან ზომების მისაღებად, შუაღამისას შარდის დასაქცევად წულუკიძის ბაღში რამ წაგიყვანა, შე კაცო, სხვაგან ვერ ნახე ადგილიო? ვფურცლავთ და ვათვალიერებთ მილიციიდან მოსულ შეტყობინებას. ჩემს ეზოში დაწერილი აქტისთვის ერთი საბუთიც დაუმატებია ჩიჩის. ზემდეგი ყრუაშვილი (რომელიც არასოდეს მინახავს და იქნებ ვერც ვერასოდეს ვნახო) სწერს: „მიუხედავად ჩვენი სიტყვიერი გაფრთხილებისა, მოქალაქე ჯიუტად განაგრძობდა დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებასო. საქმეს რომ მორჩა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, დანაშაული ვერმოთმენის მოტივით ახსნაო. ასე რომ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა არ დაგვჭირვებია. მოქალაქე ალექსი დარაბაძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული და პირობა ჩამოერთვა, რომ მსგავს დანაშაულს აღარ გაიმეორებსო“.

დირექტორს მაინც რაღაზე დავუმალავდი. ავდექი და ვუამბე: – ეს, ყველაფერი, სიცრუეა, მეზობლის ბიჭმა ჩიჩი გვილავამ მთხოვა და ხათრი ვერ გავუტეხე. ალბათ შეტყობინება, მასთან შეუთანხმებლად, მექანიკურად გადმოაგზავნეს-მეთქი. სიცილისაგან მოგვრილი ცრემლები შეიმშრალა: – მე ვიცოდი, რომ შენ უადგილო ადგილას არ მოფსამდი, ალექსიო, აგაშენა ღმერთმა ინსპექტორის მხარდაჭერისთვის, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, რაღაც რეაგირებას რომ გვთხოვს მილიციის განყოფილებაო. – რა და თქვენც მექანიკურად მისწერეთ: „ზომები მიღებულია, ალექსი დარაბაძე გაფრთხილებულია-თქო“. ეს ქაღალდი, თუ კაცი ხარ, არავის აჩვენო, თავი არ მომჭრა-მეთქი, შევადგინეთ იქვე რეაგირების ტექსტი; ვითომ მე ჭრა-კერვის კურსების პროფკავშირულ საერთო კრებაზე საჯაროდ გამკიცხეს და აღსაზრდელად ადგილკომის უჯრედს გადამცეს, გავგზავნეთ „რეაგირება“ მილიციაში და მეგონა ამით ყველაფერი დამთავრდა-მეთქი.

თურმე ჯერ სადა ხარ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონია.

ოცდაცხრა სექტემბერია, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ვესწრები. მომხსენებლად რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეა. მომხსენებელი ურიგო კაცი როდი გახლავთ, ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტია – გარაყანიძე. აგრონომიული აქვს დამთავრებული, ამბობენ, ხარისხზეც მუშაობსო. სადგურის მორიგის პოსტიდან ჩვენთან გადმოიყვანეს, ერთი წელი არაა ჯერ. მოხ-

სენების პირველ ნახევარს სხვა ვინ უსმენს. მე რომ მომესმინა. ჩამოაჭიკჭიკა წარმატებები და რეგლამენტით გათვალისწინებული სამი წუთი ნაკლოვანებებს დაუთმო. „სამწუხაროდ, – თქვა ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩრდილს რომ აყენებენ, ამ არნახული აღმავლობის ვითარებაში, ჩვენს წარმატებებსო. ალექსი დარაბაძე გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკია და ვინ ელოდა, თუ ასე ამჩატდებოდაო. დარაბაძის უტაქტო მოქმედება ჩირქსა სცხებს ჩვენს ჯანსაღ კოლექტივსო. ეს ამბავი მწარე გაკვეთილად უნდა იქცეს არა მარტო თვით დარაბაძისთვის, ყველა ჩვენთაგანისთვის, საერთოდო“.

ერიჰაა, ესეც შენი ხათრი-მათრი. ცივმა ოფლმა დამასხა. ვიფიქრე, გამოვალ კამათში და ვიტყვი სიმართლეს. ამ ხალხს, როგორც ჩანს, მართლა დამნაშავე ვგონივარ-მეთქი, მაგრამ შენ არ მომიკვდე, დღის წესრიგი ისედაც გადატვირთული იყო და მე კი არა, წინასწარმომზადებულ მოკამათეთაგან ნახევარს არ მისცეს სიტყვა. არც „განცხადებისთვის“ დარჩა ჩემთვის ადგილი.

შეკრება რომ დამთავრდა, კეთროვანივით მიყურებდნენ ჩემი კოლეგები. ბევრს აშკარად ვძულდი, როგორც კოლექტივის შემარცხვენელი, ზოგი მალულად, შორიდან მითანაგრძნობდა. ერთმა გაბედა და მკითხა: რა ქვა გატეხე ასეთი, გაგვაგებინე, თუ კაცი ხარო. რომ ავუხსენი, ეჭვით შემომხედა და სწრაფად გამეცალა. ეტყობოდა, ერჩია უფრო დიდ დამნაშავესთან ჰქონოდა საქმე, ვიდრე უადგილო ადგილას შარდის უპრეტენზიო დამღვრელთან.

არც კი გამიგია, როგორ გავიდა ოცი უგემური დღე რაიონული შეკრებიდან. ჩიჩი ორჯერ შემხვდა ქუჩაში, მაგრამ პირი ამარიდა, რცხვენია ალბათ, ყმაწვილს, რომ უნებლიედ ამ ყოფაში ჩამაგდო. მეც არ შევხმიანებივარ, ჩემს ჩაქანებულ საქმეს. ჩხუბი და აყალმაყალი ვეღარაფერს უშველის. არ მინდა დავაყვედრო, განა თვით სურდა მოშარდვის ხაზით ქალაქში განთქმულ კაცად ვექციე.

მოგეხსენებათ, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ამავე გაერთიანების საქალაქო შეკრება მოჰყვება ხოლმე. მე საერთოდ საქალაქო შეკრებაზე არ მიხმობდნენ (სუბორდინაციულად არ მეკუთვნის), მაგრამ მოსაწვევი ბარათი რომ მივიღე, გულმა რეჩხი მიყო. – ალბათ, საქალაქო გაერთიანების გენერალურ დირექტორს მოხსენებისთვის ფაქტი დასჭირდა, ჩემთვის თავს ვინ გამოიდებდა, ადგნენ და ჩამაყუდეს დირექტორის მოხსენებაში-მეთქი.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ეს საშინელი წინათგრძნობა ამიხდა. გატრუნული ვუსმენ მოხსენებას, დანა რომ დამისვა, სისხლი არ გამომივა. რეიგანის ლანძღვა-გინებიდან

მომხსენებელი ჩემზე გადმოვიდა: „მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, შინაც გვყვანან სახელის გამტეხნი. ქალაქის მოწინავე საზოგადოებამ აღშფოთებით დაგმო ჭრა-კერვის კურსებზე მომხდარი ფაქტი. ალექსი დარაბაძის დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ჩირქი მოსცხო ჩვენს სახელოვან უწყებას. რა გამოვიდა, ჭრის პედაგოგი დღისით თავის მოწაფეთა შორის სათნოებასა და წესრიგს ქადაგებს, ღამით კი, თურმე ნუ იტყვით, ასეთ საძრახის საქციელს სჩადის. ამაზე ითქმის „სახით მღვდელი და საქმით მგელიო“.

მომხსენებელმა ქვემოთ სხვებიც გააკრიტიკა, მაგრამ ვერ დავუკარგავ; ყველაზე შთამბეჭდავად და ხატოვნად ჩემზე შეჩერდა: მართალია, დარბაზიდან გამოსვლისას შეურაცხმყოფელი შეძახილები; („არც კი რცხვენია!“ „ესეც იტყვის, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!...“) არავის დაცდენია, მაგრამ, ჟრუანტელი მივლიდა და ზურგი ისე მეწვოდა, თითქოს მათრახით ნაცემი გახლდით.

ავტობუსის გაჩერებამდე აჩა-ბაჩად მივედი. კეფა მეწვის, ეტყობა წნევამ ამიწია. ტროტუარზე მტრედები ფართხალებენ, ფრთებს ატკაცუნებენ და საკმარისია ერთმა მათგანმა გახურებულ ასფალტს ყასიდად ნისკარტი ჩაჰკრას, რომ ყველანი იქვე გაჩნდებიან და ისეთ კაკუნს ატეხავენ, გეგონება, ბანზე გაშლილ ქერს მიაგნესო. სადღაც ჩანთაში შავი პურის ნაჭერი მეგდო მტრედებისთვის, მაგრამ ახლა ამის თავი არა მაქვს.

ოთხმა ნომერმა საერთოდ არ გააჩერა, ეტყობოდა, გადატვირთული იყო. ზურგს უკან ორი მამაკაცი თითქოსდა განგებ, ჩემს გასაგონად იწყებს მასლაათს:

– ნახე დღევანდელი გაზეთი?

– კი.

– წაიკითხე „ვინ გვარცხვენს?“

– კი, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა დანაშაულზეა ლაპარაკი. დაწერე, შე კაი დედმამიშვილო, გასაგებად. სწერია, „ალექსი დარაბაძე ღამის ორ საათზე საზოგადოებრივი შეკრების ადგილას საძრახის საქციელს სჩადიოდაო“. რაზეა ლაპარაკი, რას აკეთებდაო, თუ ღმერთი გწამს?

– ამდენს ვერ უნდა მიხვდე? ქალზეა ლაპარაკი, ყველაფერს ხომ არ ჩაგიკაკლავენ დაწვრილებით. გაზეთი იმისია, რომ რაღაცას შენ თვითონ უნდა მიხვდე.

– ჭრა-კერვის კურსებზე ნამუშევარა, სამოცდაათს მიღწეული ყოფილა.

– ქალს მაინც არ შერცხვა იმ უპატრონოს? ისიც კაი უბედური ეყოლებოდა გამჩენს.

ერთი სული მქონდა, შემოვბრუნებულიყავ და მოსაუბრეთა სახეები დამენახა, მაგრამ შემეშინდა, არ მიცნონ-მეთქი.

წელმოწყვეტილივით ავედი რომელიღაც ავტობუსში და კუთხეში მივეგდე.

რას დავეძებ, საით წამიყვანს, ამ ადგილს ხომ გამაცილებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, არ სჯობია ჩიჩი გვილავას მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ დანაშაულზე შევჩერებულიყავი? სიმთვრალის ნიადაგზე დებოშის ატეხვის ცდა იმდენად თავისმომჭრელი არ გახლავთ, როგორც სრულიად ფხიზელი კაცისაგან შუა სკვერში შარდის დაღვრა. მითუმეტეს, როცა დანაშაულის პირდაპირ დასახელებას გაურბიან და ცნობისმოყვარე მსმენელებს ჭორაობის ფართო ასპარეზს გადაუშლიან ხოლმე.

* * *

იარაღის დიდი ტრფიალი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემმა მეზობელმა, ნამილიციისუფროსალმა შოთა სანდუხაძემ, დაბადების დღეზე ძველთაძველი გერმანული პარაბელუმი რომ მაჩუქა, ვერ დაგიმალავ, გამეხარდა.

იმ ღამეს, თითქოსდა, სხვანაირად, მშვიდად მეძინა.

მართალია, წარმოდგენა არა მაქვს, რამდენი ტყვია ჩადის, ან „აბოიმა“ როგორ იღება. „აბოიმა“ კი არა, ისიც არ ვიცი, ჩახმახზე როგორ უნდა შეაყენო, მაგრამ იარაღიანი რომ ხარ, თურმე, იცვლები კაცი; თითქოსდა, მაინც დაცული ხარ ამ არეულ დროში, რაც უნდა იყოს.

სროლით თუ არ ესვრი, შეშინებით მაინც შეაშინებ მომხვდურს და მაზაკვალს.

შოთა ჩემი კარის მეზობელია. მეორე დღეს, ნაბახუსევზე ვკითხე: რანაირად, რა, როგორ მეთქი.

გაფორმებითო, მაგას არავინ გაგიფორმებსო, სანადირო იარაღად ეგ არ ითვლებაო, სამსახურებრივად, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, შენ არ გეკუთვნისო. ოცდაათი წლის წინათ წავართვი ერთ ქურდს, მერე შემრჩა და შემრჩაო. „აბოიმა“ ცარიელია. არ შეგეშინდეს, პირში ერთი ტყვია ჰქონდა და ცოფიან ძაღლს ვესროლე, მაგრამ ავაცილეო.

ეგ ჰიტლერისდროინდელი პარაბელუმია.

ახლა მაგის ტყვიები აღარ იშოვებაო.

თუ სადმე წავაწყდი, მოგიტან, თუ არა და, გედოს შინ, მაინც იარაღია, რაც უნდა იყოსო.

ჩავიდე სპორტულ ჩანთაში და ვდურთე ჩემი ძველი „ჟიგულის“ საბარგულში.

სპორტს კარგა ხანია თავი გავანებე და ჩემი პარაბელუმიც მხოლოდ მაშინ გამახსენდებოდა, მანქანის საბარგულს რომ ამოვასუფთავებდი, რასაც, მოგეხსენება, ჩემისთანა უდროო და ზარმაცი კაცი წელიწადში ორჯერ თუ აკეთებს, მეტჯერ არა.

ჩინეთის დელეგაციაში რომ ჩამრთეს, სულ სამი დღე იყო წასვლამდე დარჩენილი.

ამ სამ დღეში უნდა მომესწრო პასპორტის აღება, მივლინების გაფორმება, სამივლინებო ფულის გამოწერა, მერე ბანკში გაქცევა და იმ ასიოდე დოლარის გამოტანა.

თან მარშრუტს უნდა გავცნობოდი.

თუ გამოსვლა არ მომიწევდა, შეკითხვები მაინც უნდა მომემზადებინა.

ვფურცლავდი ენციკლოპედიებს.

ჩინეთში მიდიხარ, ხუმრობა ხომ არ არი, ამხელა ქვეყნის სტუმარი ხარ, ჩინეთზე ცოტა რამ ხომ მაინც უნდა იცოდე.

ერთი სიტყვით, დიდ სამზადისში ვარ.

ამ ფაციფუცში ჩემოდანი ჩავალაგე. ქართული სუვენირები: თხის რქის ყანწები, ფიალები, დაზგური ჭედურობის პატარ-პატარა ნიმუშები მყინვარწვერის გამოსახულებით ბლომად მოვიმარაგე...

ბარგი ჩემოდანში რომ აღარ ჩამეტია, მანქანის საბარგულიდან სპორტული ჩანთა დავაძრე და ყოველდღესახმარი ნივთებით (შლოპანცები, უნგრული ბოტასები, შორტები, პიჟამო, ორი უხმარი მაიკა...) გავტენე.

თბილისში და სტამბოლში ვინ გაგვჩხრეკდა – დელეგაციის წევრები ვართ. ჩინეთის თვითმფრინავში ასვლის დროს ჩემი სპორტჩანთა ხელში მეჭირა, ზმეიკა სუსტი აქვს და ბაგაჟს არ ჩავაბარე.

ჩავფრინდით პეკინში.

რა დახვედრა, რა მოფერება, რა ჟურნალისტ-ინტერვიუობანა, მერე რა ვახშამი... ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ათი დღე უნდა ვიყოთ ჩინეთში.

ისეა პროგრამა დატვირთული, თავის მოსაფხანი დრო არ გვრჩება.

მთავარი, რისი გაგებაც გვინდა, უჩემოდაც მიხვდები; რანაირად ახერხებს ჩინეთი მილიარდნახევარი კაცის გამოკვებას, როცა ჩვენ ოთხი მილიონისთვის ლუკმა ვერ გაგვიჩენია.

ერთი სიტყვით, საქმეში ვართ და ჩვენი ჩასვლიდან მესამე დღეს მოხდა ამერიკაში თერთმეტი სექტემბრის კატასტროფა.

შეძრწუნებულია მსოფლიო.

ჩინეთი დილიდან საღამომდე უჩვენებს, როგორ ყველივით ჭრის შუაზე მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ასათსართულიან შენობებს

თვითმფრინავი და როგორ ჩამოიქცევა ეს ორი გიგანტი დღისით, მზისით, მთელი მსოფლიოს თვალწინ. რა უმწეოა ბოროტების წინაშე თვით ამერიკაც და შენ საქართველოს ამბავი გაქვს?!

დაგჩაგრონ, გაგთელონ, ტანკებით წაღმა-უკუღმა რომ გადაგიარონ, შენთვის თავს არავინ გამოიდებს და შენი მომხედავი არავინ არი.

გადი-გამოვდივართ, ვწუწუნ-ვოხრავთ ჩვენც, რასაკვირველია, მასპინძლებთან ერთად, მაგრამ მე, პირადად, ჩემი მჭირს.

თითქოსდა, განგება გადამიდგა; სასტუმროში ჩანთიდან სპორტულ პიჟამოს რომ ვიღებდი, უეცრად აღმოვაჩინე, რომ შოთა სანდუხაძის ნაჩუქარი პარაბელუმი თანა მაქვს.

ჩემდა ჭირად, ჩანთაში აქამდე არ ჩამიხედავს და არც მებაჟეებს მოუკლავთ თავი.

ვინ იფიქრებს, თუ მე, მწერალს, პროზაიკოსს ასეთი სერიოზული დელეგაციის წვერს, ჩანთაში ცხელი იარაღი და ისიც მრისხანე ბრაუნინგზე ორჯერ უფრო დიდი, ფაშისტური პარაბელუმი აღმომაჩნდება.

რა ეშველება ამ საქმეს?

დანა პირს არ მიხსნის.

განვაცხადო – ვაითუ უარესი აღმოჩნდეს.

შეიძლება, ჩვენი დელეგაციის პრესტიჟზე ამ ფაქტმა ცუდად იმოქმედოს. მოდი და უმტკიცე საიდუმლო სამსახურს, რომ შემთხვევით გამომყვა. ჯერ ერთი, იურიდიული სანქცია თუ არაფერი მოჰყვა ამ ამბავს, გახმაურებით ხომ მაინც გახმაურდება.

ენაჭარტალა ჟურნალისტები, ვინ იცის, რა კუდს გამოაბამენ.

ესეც არ იყოს, საბაჟოს რამდენიმე მოხელის ცოდვას ხომ მაინც დავიდებ.

იმ უდანაშაულო ხალხს ხომ აღარ გააკარებენ საბაჟოს.

მერე და რისთვის?

ჩემი უნებლიე შეცდომისათვის თუ დანაშაულებრივი დაუკვირვებლობის გამო (დოყლაპიობაც რომ წამომცდენოდა, ჩემს თავზე ახი არ იყო?).

და სწორედ ამ დროს დამოკლეს მახვილივით აღიმართა ჩემს თავზე თერთმეტი სექტემბერი.

ახლა სად მიდიხარ.

მთელი მსოფლიოს აეროპორტებში უმკაცრესად აკონტროლებენ, ალბათ, მგზავრებს. რენტგენ-ლაზერის აპარატებს აღარ ენდობიან, საფისტონე ჯიბეებიანად ჩხრეკენ დიდსა და პატარას.

ამ ვითარებაში ამ დასაწვავი პარაბელუმის უკან წაღებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

„დაწვა“ არ ამცდება.

რაღაც უნდა ვიღონო.

ელვის სისწრაფით მუშაობს ჩემი გონება.

დელეგაციის ორიოდე წევრს გავენდე, მაგრამ ჭკვიანური მათაც ვერაფერი მირჩიეს.

ყველას თავისი თავი უჭირს.

სასტუმროში რომ დავტოვო, სკანდალია.

ნომრებს დამლაგებელ-შვეიცარის ფორმაში გამოწყობილი საიდუმლო სამსახურის აგენტები მსოფლიოს ყველა სასტუმროში ჩხრეკენ და ჩინეთი რა გამონაკლისი იქნება.

თან დამაქვს მხარზე გადაკიდებული სპორტჩანთა და სპორტჩანთაში გაზეთ „ახალი თაობის“ ძველ ნომერში გახვეული პარაბელუმი, რატომღაც ყველას გრძელლინზიანი ფოტოაპარატი ჰგონია.

მივიქნევ სპორტჩანთას, ვითომ არხეინად.

პოლიციელს ან კარისკაცს რომ ჩავუვლი, მეტი დამაჯერებლობისათვის სტვენას ვიწყებ.

თუ სადმე გვეტყვიან, „ნოუ კამერა!“ ესე იგი, გადაღება არ შეიძლებაო, ბატონი ხარ მეთქი, ჩანთას ვიხსნი და იქვე, გასახდელში უნომროდ ვკიდებ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ვინმე მოიპარავს და მოვისვენებ, მაგრამ გაგიგონია?

ამხელა ქვეყანაში ჩემი სპორტჩანთის ქურდი გაწყდა მაინცდამაინც, თორემ, ისე, საერთოდ, ქურდი როგორ არ იქნება.

არადა, ჩინეთში ჩემი ყოფნის დღეები იწურება.

თუ ამ დასაწვავი პარაბელუმისაგან თავი არ გავინთავისუფლე, ვინ იცის, რა მელის.

გადავწყვიტე, რაკი აღარავინ მპარავს, მე თვითონ დავტოვო სადმე.

ეს, ჩემი ჭკუით, გენიალური გადაწყვეტილება რომ მივიღე, ხელსაყრელი მომენტი იმ დღესვე გამომიჩნდა.

ნასადილევს ჩინელ ოსტატთა საიუველირო ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვას გვასტუმრეს.

დავიფანტეთ უზარმაზარ პავილიონში.

ვაჭრობა, მოგეხსენებათ, ულტრაინდივიდუალური საქმეა და გემოვნებაზეცაა დამოკიდებული.

ჩვენი დელეგაციის წევრთაგან ზოგს ფაიფურის სერვიზები აინტერესებს, ზოგს ჩინური მინიატურული ჭიქა-სურები, ჩაის სასმელად რომ არის გათვალისწინებული და საღვინედაც რომ გამოდგება, მე არაფერი მინდა...

ას წელიწადს არ დავლევ ჩაის, ოღონდ ეს პარაბელუმი შემაჩურთია სადმე.

თუ მოინდომებ, რას არ ჩაიდენ თურმე.

ჩინური მინიატურული ლამბაქი ვიყიდე ლაო-ძცის გამოსახულებით. გამოსახულებას იმ წუთებში ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაო ძე დუნის გამოსახულებითაც რომ ყოფილიყო, მყიდველი ვიყავი. უბრალოდ, საქმიანი კაცის, ჭეშმარიტი მყიდველის იმიჯისათვის უნდა მიმეღწია გამყიდველთა თვალში.

ლამბაქი ჯიბეში ჩავიდე, დახლ-მოაჯირს გავშორიდი, სპორტჩანთიდან პარაბელუმი ამოვიღე, ფანჯარასთან დავდე და ჩქარი ნაბიჯით, ლაპარაკ-ლაპარაკითჲ მიმავალ დელეგაციის ორ უდარდელ წევრს დავეწიე.

კარგა ხანს ვიარე მათთან ერთად მხარშემსუბუქებულმა, კარგა ხანს ვტკბებოდი ჩინელ ოსტატთა განუმეორებელი ხელოვნებით და, როცა დანიშნულ დროს ავტობუსთან მოვგროვდით, შვებით ამოვისუნთქე.

„გამიმართლა!“

ის იყო ავტობუსი უნდა დაძრულიყო, ორი ბატისჭუკისფერ კიმონოიანი ქალბატონი მოვარდა.

აღელვებულები ჩანდნენ.

ერთ მათგანს „ახალ თაობაში“ გახვეული ჩემი პარაბელუმი ეჭირა.

თვალთ დამიბნელდა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე.

– ჩან-ქუ-გვან-ნქო-ძინ-ბა-თჰრბაი?!-იკითხა ერთმა და პასუხს არ დაელოდა, გაღიმებულ – გახარებული ჩემსკენ წამოვიდა.

– თქვენ ხომ არაფერი დაგრჩათ მაღაზიაში? – ქართულად მკითხა ჩინელმა გიდმა.

– კი დამრჩა, მაგრამ... რატომ შეწუხდნენ... გადაეცით მადლობა, არ ღირდა შეწუხებად.

გიდმა ჩემი ნათქვამი უთარგმნა თუ არა, ქალბატონებმა თვალების დაუხუჭავი ნაწილი ბოლომდე დახუჭეს და დიდი, ჯანმრთელი კბილებით ახარხარდნენ.

მე კი ჩემი „გულმავიწყობით“ კინაღამ დაკარგული პარაბელუმ-ფოტოკამერის დაბრუნებით „გაბედნიერებულმა“, სპორტჩანთა ფეხებთან მივიგდე და ჩინურ ქუჩას მივასარკმელდი.

მეორე დღეს პეკინის ოპერის უძველეს თეატრში დაგვპატიჟეს.

პეკინის ოპერა ათასი წლისაა.

მთელი ცხრაასი წლის მანძილზე ამ ოპერაში წარმოდგენებს უაკომპანიმენტოდ მღეროდნენ ჩინელი სცენის ოსტატები. ეს რაღაც თავისებური სინთეზი იყო; არც მთლად დრამატული თეატრი ეთქმოდა და არც ოპერა.

ჩინური ტრადიციის თანახმად, ქალების როლებსაც მამაკაცები ასრულებდნენ.

ახლა ოპერის თეატრი პეკინშიც ისეთივეა, როგორიც მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენთვის ძველი ხელოვნების გემო რომ ეგრძნობებინათ, თავაზიანმა მასპინძლებმა უძველეს სპექტაკლზე მიგვიპატიჟეს.

სპექტაკლი – „სიყვარული ბრინჯის ყანაში“ მცირე (ორ-სამთვიანი) პაუზებით უკვე ექვსასი წელია იდგმება ამ თეატრში.

პირველი მოქმედება რომ დამთავრდა, ტუალეტში შევედი და მფსმელთა შორისი გამყოფი კედლის ცისფერკაფელიან თავზე შემოვდე „ახალ თაობაში“ გახვეული ჯართი-პარაბელუმი.

მეორე მოქმედების ბოლო სურათი დაიწყო თუ არა, ლამის ხოხვით მომიახლოვდა ხავერდის მოსასხამის ყელმკერდზე დაახლოებით ოთხ-მოცოქროსფერღილოსანი ჩინელი და კალთაში რაღაც მძიმე ჩამიდო.

სიბნელეში ვერ გავარჩიე, რა მომართვა, მაგრამ მადლობა მაინც მოვახსენე.

რა ხელით სინჯვა უნდოდა, ყველაზე უყურადღებო მკითხველიც მიხვდებოდა, რომ ჩემი პარაბელუმი დამიბრუნეს.

თბილისში გამომგზავრების წინა დღეს მდინარე ხუან-ძიანის ახალი, შვიდკილომეტრიანი ხიდის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს.

ხიდი ბამბუკისა და რკინა-ბეტონისაგან არის გამართული, სიგრძით ორასი მეტრია და ხეობაში ჩინეთის დიდი კედლიდან სულ რაღაც სამოციოდე კილომეტრიდან იწყება.

ხიდის სიმაღლე დიდი არ არის, მდინარის ზედაპირიდან ოთხასი-ხუთასი მეტრი ძლივს იქნება.

სურათის გადასაღებად ხიდის მოაჯირს უკანალებით რომ მივეკარით, სპორტჩანთა მხრიდან ჩამოვიცურე და „უნებლიედ“ ჩავუშვი.

როცა საიდუმლო სამსახურის ხუთიოდე ჩინელი აგენტი მოაჯირს მივარდა, მაშინღა მოვაბრუნე თავი და ჩავიხედე.

ჩემი სპორტჩანთა (პარაბელუმიანად) თანაბარაჩქარებულად, მაგრამ ლამაზად მიფრინავდა.

ატყდა წრიალი და გაქცევ-გამოქცევა, მობილურ-რაციებში გამართული ჩინურით ჩაძახ-გადაძახება და სირენების კივილი.

პოლიციის ორი მანქანა სწრაფად მოსწყდა ადგილს და უკან გაბრუნდა. ექსკურსია არათუ არ შემწყდარა, არც შეფერხებულა.

სამახსოვრო საჩუქრებად ხიდის ღია ბარათები დაგვირიგეს და ხიდის ბოლოს, ხუან-ძიანის ნაპირას, რესტორან-მღვიმეში საფირმო კერძით – ლოკოკინ-ბაყაყების აჯაფსანდალითაც გაგვიმასპინძლდნენ.

ღამის თერთმეტ საათს (პეკინის დროით, ჩვენი დროით ამ დროს დღის თერთმეტი საათია) ბევრი აღარაფერი უკლდა, ჩემი ნომრის კარებზე რომ დააკაკუნეს.

არ გამკვირვებია.

ველოდი, რომ პარაბელუმიან ჩემს სპორტჩანთას იპოვიდნენ და მომართმევდნენ. ჩინელის პირობაზე ზორბა პოლიციელს და სამაშველო სამსახურის ქოსა უფროსს მადლობა მოვახსენე და თითოეულ მათგანს ექვს-ექვსი თხის ყანწი მივართვი.

მადლობისა და გამოთხოვების ნიშნად დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში გულთან მიტყუპებული ხელისგულებით თაყვანს ვცემდით ერთმანეთს.

საათს დავხედე.

დრო ჩვეულებრივზე გაცილებით ჩქარა გადიოდა.

პარაბელუმი ნაწილ-ნაწილ უნდა დავშალო და დელეგაციის წევრებს გავუნაწილო.

პატარა რკინის დეტალი შეიძლება რენტგენ-საბაჟოს საეჭვო საგნად არ მოეჩვენოს და, კიდეც რომ დააზარწკრიალოს, ვინ მიხვდება, რისი დეტალია.

ჩემი მოფიქრება-მიმხვედრიანობით მევე დავრჩი კმაყოფილი.

პარაბელუმის დაშლა, რომ მეგონა, იმაზე ძნელი აღმოჩნდა.

ჩინური მამლების მეექვსე გადამწყვეტ ყივილზე საქმეს მოვრჩი და პარაბელუმის დეტალები ჩვენი დელეგაციის თხუთმეტივე წევრს ჩამოვურიგე.

მშვიდობიანად ჩამოვფრინდით თბილისში.

ამოესკალატორდა თუ არა ჩვენი ჩემოდნები, დავიწყე პარაბელუმის ნაწილების შეგროვება.

მეორე დღეს, მე რომ ვერაფერს გავხდი, სანდუხაძე ვიხმე, ეს ამბავი მოვუყევი და სიცილ-ხითხითს რომ მორჩა, ვთხოვე, პარაბელუმის აწყობაში მომშველებოდა.

ერთი მთავარი დეტალი (რომელი ნაწილი აქვს პარაბელუმს მეორეხარისხოვანი?), „აბოიმიდან“ ტყვიას „პირში“ რომ აწოდებს, ფოლადის ზამბარა დაგვაკლდა.

დასწყევლოს ეშმაკმა, თითქოსდა ყველას გამოვართვი, სად ჯანდაბაში გამებნა.

მთელი თბილისი მოვიარეთ, ვერა და ვერ ვიშოვეთ.

ხუთიოდე კაცს აღმოაჩნდა თბილისში ეს პარაბელუმი, მაგრამ სათადარიგო ფოლადის ზამბარა – არც ერთს.

ვერც ზეინკალმა გაგვიკეთა: ძველგერმანული ფოლადისაა, ახალი ფოლადის უსათუოდ გატყდებაო.

იმედი რომ გადამეწურა და ნერვებიც საკმაოდ მომეშალა, გავაჩერე ერთ დღეს ჩელუსკინელების ხიდზე მანქანა და გამვლელ-გამომვლელთა თვალწინ, დემონსტრაციულად მოვისროლე მტკვარში სანდუხაძის ნაჩუქარი დამბაჩა.

არც იმ საღამოს და არც მომდევნო დღეებში, როგორც მოველოდი, პარაბელუმი არავის მოურთმევია.

ამის შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა.

ჩინეთიდან ამანათი მივიღე.

გავხსენი და სასტუმრო „პეკინის“ ადმინისტრაციის მოკითხვის ბარათის გარდა ამანათში პარაბელუმის ფოლადის ზამბარა იდო.

სხვებს რომ ნაწილები ჩამოვურიგე, იმ სიჩქარე-ფაციფუცში მე თვითონ დამრჩენოდა ნომერში ჩემი „წილი“ ზამბარა.

* * *

მოსკოვმა კოსმოსის დაპყრობა რომ დაიწყო და ერთმანეთს მიყვნენ გაგარინ-ტერეშკოვები, ვიფიქრე; ნეტავ, ქართულ ეკიპაჟს თუ ეღირსება კოსმოსში გაფრენა მეთქი. მაშინ დავწერე სახუმარო ნოველა „ქუთაისელები კოსმოსში“.

კოსმოდრომი.

ავტობუსიდან ორმა კოსმონავტმა ჩამოაბიჯა და ტაშის გრიალში გაემართნენ ცისკენ აშვერილი, უზარმაზარი რაკეტისკენ. მიდიოდნენ მხარდამხარ. მოხდენილად-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება; ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, სკაფანდრი საშუალებას არ მისცემდათ. ფეხებს განგან დგამდნენ. კიდევ კარგი, სასტარტო ადგილიდან ახლოს გაჩერდა ავტობუსი, თორემ შემართული ხელებით დიდხანს ვერ ივლიდნენ, ფოლადის მილებითა და ხელსაწყო-აპარატებით დაზუზღული სახელო ასაწევად მძიმე გახლავთ.

ცერემონიალი დამთავრდა. მიწაზე დასარჩენებმა პატაკი ჩაიბარეს. ღონიერმა ასისტენტებმა სკაფანდრის თავსაბურავები უკანასკნელად, საიმედოდ დააღრჭიალეს და კოსმონავტები კიბეს აუყვნენ.

კაბინაში გრილოდა, მაგრამ ორკესტრის საამო გრგვინვა-ქუხილი აქაც აღწევდა. წამით ყველაფერი მიწყნარდა და მიკროფონში მთავარი კონსტრუქტორის ნაცნობი ხმა გაისმა.

– ბუხუტი, ჩიტია, რავა არი საქმე?

– ნელთბილად! – ლამის ერთხმად წამოიძახეს კოსმონავტებმა.

– სკაფანდრი ხვარსად გიჭერთ?

– მორგებული გვაქ მაჩვის ტყავივით, – ბუხუტიმ ჩიტიას მაგივრადაც უპასუხა.

– ხომ გახსოვსკენ ყველაფერი? არ მომჭრათ თავი.

– არ გინდა ლაპარაკი! – ჩიტიას ხმა იყო.

– ხვარ გეშინიათ?

– რაის გვეშინია, – ბუხუტიმ მარჯვენა სკაფანდრიანი ფეხი ფიზიოლოგიური საჭიროების თეთრ, ქათქათა დანადგარს გადაადო და გაიზმორა.

– აბა, მეყოლეთ კარგად. ვაძლევ კამანდას.

– წავედიიით!

გამაყრუებელი გრგვინვა-ქუხილი, ხომალდის ფანჯრებთან დატრიალებული თეთრი კვამლი, მეხთატეხის ბიძგი და რაკეტა შხუილით მიქროდა ლურჯ, უკიდეგანო ცისთავანზე. მთავარი კონსტრუქტორი კი თავის კაბინეტში დაბრუნდა და ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტთან ერთად შეუდგა იმ საზეიმო ტექსტის შედგენას, რომლის წყალობითაც ზეგ გაზეთებს მოეფინებოდა ცნობა სტარტის წარმატებით დაგვირგვინებისა და კოსმოსის გმირების არაჩვეულებრივი სიმხნევე-სიხალისის შესახებ. ვის დავუმალო, ჟურნალისტს რომ კარნახობდა, მთავარი კონსტრუქტორი წინა გაფრენის ინფორმაციაში ჩაიხედავდა ხოლმე, ისე, ყოველიშემთხვევისათვის.

მატარებელი რაკეტა თანამგზავრს რომ მოშორდა, ხომალდი თითქოს შემსუბუქდაო, თვლემისმომგვრელი, აკვნური რწევით მოძრაობდა. ბუხუტი წამოიწია, მკერდზე გადაგდებული ღვედსამაგრი მოიცილა და ილუმინატორში გაიხედა.

– აჯამეთში ვართ? – ჩიტია იწვა და ჭერს შესცქეროდა.

– რა შუაშია აჯამეთი.

– აბა, ისე გულდაგულ იჭვრიტები, ერთბაშად სადგური არ გეცნოს, გულაბმსხლიანი პატატვრანი დახლებით და კიბულას წყლით მოვაჭრე ბიჭებით.

– ნუ გლახაობ შენ და მაგ ღილაკს ჩამოკარი ხელი. მაგას არა, მარცხენა ყურთან რომ გაქვს.

– გამოვრთო გადამცემი?

– ხო, ცოტა ხნით გამორთე, მიწაზე არ გაიგონონ შენი ბჟუტური.

ჩიტიამ ღილაკს გოგრისსიმსხო მუშტი ჩამოუსვა, სამართავი პულტის გვერდით მოციმციმე ეკრანი თითქოს რძით გაივსოო თეთრად ათიმთიმდა და ჩაქრა.

ბუხუტი პლასტმასის ჭიქას მიწვდა. ტაბურეტის სკამის მსგავს მაგიდაზე დადო, უკან გადაიხარა, ყუთიდან მომცრო ბოთლი ამოიღო ეტიკეტს დახედა და თქვა:

– კაი ვქენით, ეს „ლებარდე“ რომ წამოვიღეთ, – მიიხედ-მოიხედა. – გასახსნელი არსად ჩანს მაქით?

ჩიტიამ უჯრა გამოსწია, კარგა ხანს ათვალიერა და ყრუდ ამოილაპარაკა.

– აქ არ არის. სადმე იქნება, არ შეიძლება დავიწყებოდათ, მომეცი აქეთ.

ბოთლი გამოართვა, დაახლოვებით მუცლის ქვემოთ, სკაფანდრის ღილაკს ჩამოჰკრა და აბუჟბუჟებული „ლებარდე“ ხომალდის მეთაურს დაუბრუნა.

ბუხუტიმ ჭერზე მონანავე ჭიქას შეავლო თვალი.

– სად გაფრენილა, ეს უპატრონო.

– რაი!

– ჭიქა.

– არ დამიწყო ახლა ჭიქა და ფუჟერი აქანა. ბოთლით ვერ დალევ, თუ გწყურია?

– ნუ იცი უშნო ლაპარაკი. რატომ ვერ დავლევ, მარა წესი წესია.

გიგანტური ბუს თავისმსგავსი თავსაბურავები ორივემ გულდაგულ მოიხსნეს და უწონადობას რომ არ გაეცურებინა, სავარძელთან, გვერდით, ლოკატორის ღვედებთან დაიკიდეს.

– „თავი“ რაც უფრო ახლოს გაქვს, უკეთესიაო, – იხუმრა ჩიტიამ.

ერთხანს ილუმინატორებს მიაჭიჭინდნენ, მაგრამ მალე მოსწყინდათ მუქლურჯი, უსასრულო, უსიცოცხლო სივრცის თვალიერება. ქვემოთ დედამიწას იისფერი ბურუსი შემოხვეოდა. სახლები და, მითუმეტეს, შუშაბანდები ამ სიმაღლიდან არ ჩანდა.

– ავტობუსში რაღაცას ყვებოდი კარგს. – თქვა ჩიტიამ.

ბუხუტი შემობრუნდა, ყურის ბიბილო მოისრისა და მაღლა აიხედა:

– ჰო, ვეღარ დავამთავრე, სად გავჩერდი? დოუძახა თურმე თომიამ, ჩემმა დეიდაშვილმა, იმ გოგოს თავის კაბინეტში. შევიდა დირექტორთან, რასაკვირველია, ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარად მუშაობა ნუნუს ექვსი თვის დაწყებული ქონდა. იქვე, გორისიდან გახლავს. ე, ჩემი დეიდაშვილი ქე გითხარი, გეოგრაფიული დაამთავრა ქუთაისში. დაწყებითი სკოლის დირექტორი იყო მაშინ, უცოლო რასაკვირველია. ახლა საშუალოდ გადააკეთეს ის სკოლა და ორივენი ისევ ისე მუშაობენ, ქმარი დირექტორია, ცოლი – ბიბლიოთეკარი. ჰოდა, რაღა გავაგრძელო, მაშინდელ ამბავს ვყვები, მოსწონს დირექტორს ეს მარწყვივით გოგო – ბიბლიოთეკარი, მაგრამ არ გინდა თანამშრომელს უთხრა, ცოლად გამომყევიო? უარი რომ გითხრას? ხომ შერცხვი კაცი. ხომ დაკარგე ავტორიტეტი? არა და დროც არ ითმენს, სტაცებს ვიღაცა ამ კაი გოგოს ხელს და ქე დაისვამს სახლში. მოკლეთ, ასეთი გამოსავალი იპოვა თომიამ, ჭკუა და მოხერხება ნახე ადამიანიშვილის: – დროა აწი, უნდა გაგათხოვოთ, ნუნუ, შენო, ეუბნება დირექტორი, – გაწითლდა ბიბლიოთეკარი, ჩაღუნა თავი. თომიას დირექტორი ჰქვია, თორემ რვა წლითაა ნუნუზე უფროსი, მეტით კი არა, ოცდაათის თვით იყო

მაშინ და ოცდაორის ნუნუ. – საქმროც შერჩეული გვყავს უკვე, თუ შენი თანხმობაც იქნებაო, – მიაყოლა თომიამ. – რატომ წუხდები, პატივცემულო დირექტოროო, ქვეშიდან გამოხედა ლოყებატკეცილმა გოგომ.

– რა შეწუხებაა, ეს ჩემი მოვალეობააო, – იღიმება დირექტორი, – ძალიან კაი ბიჭია, სერიოზული, წყნარი და, რაც მთავარია, უყვარხარ ძალიანო. – ვინაა მაინც, არ მეტყვითო? – ინტერესით სულს ლევს ნუნუ. – ჯერ პირობა უნდა მომცე, რომ გაყვები და მერე გეტყვიო. – ასე უნახავად როგორ შეიძლება, წყალში თევზი ვინ დააფასაო, – არ დაიბნა თურმე გოგო. – ხომ იცი, დირექტორი ცუდ ვინმეს არ გირჩევს, – ამშვიდებს თომია. – ეგ ისეთი საქმეა, ბატონო, რომ ხათრით წაყოლა რავა იქნება, მეც ხომ უნდა მომეწონოსო, – ძნელი მოსათოკავია ნუნუ. – აბა, გეტყვი რანაირია და თუ დაგიჯდა ჭკუაში, მითხარი, თუ არა და აღარ შევაწუხებ იმ კაცს, თავის გზას ეწევაო, – ეშმაკები უსხედან თვალებში დირექტორს. ნუნუ სმენად იქცა. – შინაარსში და კაცობაში ეჭვი არ შეგეპაროს, უნდა მენდო. ამ მხრივ მე ვარ პასუხისმგებელი, – დაიწყო თომიამ, ნუნუმ თავი დაუქნია, რა გაეწყობაო. – ახლა გარეგნობა ვთქვათ, ასე ჩემი სიმაღლის რომ იყოს? – დირექტორი წამოდგა და გაიარ-გამოიარა. ამ ორმეტრიანმა, მთასავით კაცმა, ცოტა არ იყოს, დააფრთხო ნუნუ, მაგრამ გული გაიმაგრა; – იყოს, რა უჭირსო. – ასე ჩემსავით მოუხეშავი რომ იყოს და ორმოცდაცხრა ნომერი ფეხი ჰქონდეს? – თქვენ მოუხეშავი როდის ხართ, პირიქით – თავი ჩაღუნა ბიბლიოთეკარმა. – შემხედე, ასე ჩემსავით შავი წარბები და ნაჯახივით ცხვირი რომ ჰქონდეს? – რა უჭირს, ცხვირის სიდიდით კაცი ვის დაუწუნია, – გათამამდა ნუნუ, – მთავარია, რა მოხელეა, რისი მაქნისიაო? – პედაგოგი რომ იყოს, გაწყობს? – დირექტორი ფანჯარას მიადგა. – რომელია თქვენს სიმაღლე უცოლო პედაგოგი ამ ახლომახლო სოფელში? – კითხვა შეუბრუნა ეშმაკმა გოგომ. – ჯერ მე ვიძლევი შეკითხვებს და მიპასუხე. მოკლედ, ძალიან მგავს ის კაცი მე, ყველაფრით, ისე მგავს, მეტი რომ არ შეიძლება. პირდაპირ მითხარი, ასე, ჩემნაირ კაცს, გაყვები ცოლად, რომ რამე იყოს? – ნუნუმ კარგა ხანს უყურა თურმე თავისი ფეხსაცმლის წვერებს, – რა გაქვს დასაწუნიო, – მერე ერთბაშად მიახალა და გაიქცა. ცხოვრობენ ახლა მერჯევში ერთად და ტკბილად. სამი შვილი ჰყავთ. ისე ლამაზად ჰყვებიან ამ ამბავს სუფრაზე, გაგეხარდება. ა, ხალხი!

დაიწყო თუ არა ბუხუტიმ ამ ამბის მოყოლა, ჩიტიამ ჯერ გულიანი ღიმილი ააყოლა, მერე შიგადაშიგ ჩაიხითხითებდა და ბოლოს ისე ახარხარდა, რომ სკაფანდრიდან კინაღამ ამოხტა.

– არ ყოფილა კაცი? არ გინდა მოფიქრება? თუ უარს ეტყოდა გოგო, არ გავყვეები შენნაირსო, არ გაუმხელდა ბოლომდე სათქმელს და მისი თავმოყვარეობაც გადარჩენილი იყო და ავტორიტეტიც. უნდა მანახო, უნდა გამაცნო ეგ კაცი. რა ჰქვია?

– მაგაზე ადვილი რაა, თომია.

– რომელია შენთან?

– თორმეტი სრულდება.

– ე, ბიჭო არ გამოგვრჩეს, ჰონდურასის ეროვნული ფრონტის მებრძოლებს რომ უნდა მივსალმებოდით?

– შენ მაგას ნუ სწუხხარ, აპარატი დაპროგრამებულია, თვითონ გაგზავნის დეპეშას.

– არ შევრცხვეთ, თუ კაცი ხარ.

– ვისთან? – ბუხუტი იღიმება.

– ჰონდურასელებთან.

– რა მაგის პასუხია და კიკიას იცნობ, ბალახვანში, სალდაძეს?

– გამწვანებაში მუშაობს, იქვე, საღორიასთან. მაღალ-მაღალი, სუსტი ბიჭი.

– ჰო, სწორია, გცნობია. შანშე გიორგაძის გოგოს ქორწილში ვიყავით გუშინწინ ერთად და მაგან თავისი ცოლისშერთვის ამბავი მოგვიყვა, მუცელი ხელით გვეჭირა. ძმაკაცი ყოლია, თურმე, ვინცხა უბედური, უსაშველო „ხალასტიაკები“ რომ არიან, ხომ იცი. არიქა, არ დამიბერდეს ძმაკაციო და დოუწყია ქალის ძებნა, კიკიას. ოურჩევია პატრიგეთელი გოგო, გვარი ქე დამავიწყდა. ჯერ ძმაკაცისთვის უჩვენებია, ჩუმად. კაი, ვითხოვ, ჯანდაბა თქვენს თავსო, დათანხმებია უგემურად ეს უცოლო და უბედური. ახლა გოგოს დაბმა არ გინდა? ქვა ააგდო და თავი შეუშვირა თურმე, არ წავყობი მაგასო. შეუჩნდა კიკია. დადის ყოველ მეორე დღეს თურმე ოჯახში. არის ამ თავისი ძმაკაცის ქება-დიდებაში. ამნაირია – იმნაირიო და ბოლოს გატეხა, რავარც იქნა, იმ გოგოს (გვარი ქე დამავიწყდა) ნებისყოფა. გახარებული მოვარდა ძმაკაცთან, აბა ხვალვე განცხადების შეტანა და ხელმოწერა, არ გადავაროს იმ ხალხმაო. გლახა რომ იქნება კაციშვილი. არ დაიხია უკან, თურმე, არ უყრის წყალში ამდენ წანწალს? არაო, არ ეკარება გულს და მომკალი, თუ გინდაო, არა ვარ მე მაგის მომყვანი, სხვა მოვძებნოთ ვინმე, თუ ამხელა სიკეთე გინდა ჩემთვისო. მე ვიცი მაგნაირი გლახების ხასიათი. გაწვალებენ, გარბენინებენ და ბოლო წუთში გეტყვიან უარს. არ არიან ცოლის შემრთველი, მორჩა და გათავდა. უნდა გაანებო და ნერვები არ იშალო. ახლა კიკიას მდგომარეობა ნახე? ორცეცხლშუაა. ძლივს დაითანხმა გოგო, ჭირი მოჭამა ხვეწნით და ახლა უარის თქმა, რავარი საქმეა? ვიმტვრიე თავი,

მარა სხვა გამოსავალი ვერ ვნახეო, ყვებოდა. მივედი და ვუთხარი იმ გოგოს, არ მემეტები სხვისთვის და რა ვქნა, მთელი ქვეყანა რომც გადამეკიდოს, მე უნდა გავხდე შენი ქმარიო. არც გაკვირვებია, თურმე, გოგოს. ქე ჩოუვარდა თურმე გულში ეს ენერგიული მაშვალი. კაიო, უთქვამს, ვერ გიმხელდი, თორემ თავიდანვე მაგის ფიქრი მქონდა მეცო.

– მაგნაირი შემთხვევა მეც გამიგონია. მაგი ხშირად ხდება, – ბუხუტიმ „ლებარდე“ გამოცალა. ლუკი ოდნავ გახსნა და ქუთაისის შუშისტარის ფაბრიკაში დამზადებულ ბოთლს უკიდეგანო კოსმოსში გადაუძახა, – მეტს გეტყვი; ფილიმონა ნემსაძე ცხოვრობდა, თურმე, მწვანეყვავილაში ომის დროს. ქეიფის მოყვარული იყო. კაი შესახედავი, კაი პურისმჭამელი. ჯარში არ გაიწვიეს თურმე, რაღაცა ნაკლის გამო. ცოლ-შვილი სიდედრთან გახიზნა თურმე ბერწოულაში, თვითონ მოძებნა ერთი-ორი ამფსონი და მიადგა ხონს, აბა, სასიძო კაცია ვითომ და ქალის გადასასინჯად დადის. ძმაკაცები წინასწარ ატყობინებენ გასათხოვარი გოგოს პატრონებს. იშლება სუფრა, კაი ქეიფი, კაი „ჩარირამა“, მერე ტაშიტუშით შორდებიან ეზოს. არ იბარებენ არაფერს. არ მეეწონა ალბათ ჩვენი გოგოვო, ფიქრობს მასპინძელი. მაგრამ ერთგან უქნეს ხონური. რომ იქეიფეს ერთ ოჯახში და ასე აპირებენ ათესვას, წამოეწია თურმე ჭიშკართან სასიმამრო და მიაბჯინა ყამა ზურგზე, – გიცნობ, ბიძია, ფილიმონა ხარ ნემსაძე, მწვანეყვავილელი. ისეიც ვიცი, ცოლ-შვილიანი რომ ბრძანდები. შენი საგლახაო კბილები დიდი ხანია მევიცვალე. შენი გადასასინჯი და დასაწუნებელი არაა, ხედავ, ჩემი გოგო. რავარც გინდა, ისე ითხოვე ახლავე ცოლად, თვარა დაწერე ანდერძიო. რა მეტი გზა ჰქონდა. შეირთო. აპა!

– ვენაცვალე, კაცი ყოფილა.

– ვინ?

– სიმამრი.

– არ უქნია სწორად? ასე არ ეკუთვნოდა? ყველაფერზე შეიძლება ღადავი, მარა ამ საქმეში თამაში გამიგია?

– ათასი ჭკუის კაცი დაბორიალობს დუნიაზე.

– ნამდვილად.

ჩიტიამ ჭოგრიტით გულმოდგინედ დაათვალიერა მეორე მხრიდან განათებული მთვარე და ზედ დიდად საგულისხმო რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ჭოგრიტი კაბინაში აცურებულ ტყავის ხელთათმანებს გააყოლა და სავარძელზე თავგადადებულ მეთაურს მიუბრუნდა.

– ისე, სად ვართ, ბუხოია, რომ დაფიქრდე კაცი.

– აბა.

– მთვარეზე მაინტერესებს ფეხის დადგმა. რატომ არ ვჯდებით, თუ იცი, მთვარეზე?

– არაა, ალბათ, საჭირო და იმიტომ არ გვაჯენენ. რო საჭირო იყოს, დაგვაჯენდნენ.

– ისე, ჩვენში დარჩეს და ჩიტზე უფრო თავისუფალი ხარ ადამიანი კოსმოსში. ხომ შეგვიძლია ახლა, მოვატრიალოთ ეს მაშინა და სადაც გაგვეხარდება, იქ დავჯდეთ!

– რა გაგებით, ამბობ?

– ვთქვათ, რომ მოგვიაროს ხუშტურმა თავში და აღარ მინდა, ბატონო, შენთან ცხოვრება და დარჩენილი წლები ავსტრალიაში მინდა გავატაროო. რომ დავკრათ თავი და დავეშვათ ავსტრალიაზე. ეე, შეხედე, რავარია ავსტრალია?

ბუხუტიმ ავსტრალიას ჩახედა. კოსმოსიდან კონტინენტი, მართლაც, ძალიან ჰგავდა გლობუსზე დახატულ ავსტრალიას.

– ჩიტია, ნინოშვილის ქუჩაზე ბუჭუია ხონელიძე ცხოვრობდა. ღალღაიას ვეძახდით ერთი გაუბედურებული უპატრონო ბიჭი იყო. დედა ავადმყოფი ჰყავდა. ქუჩა ინახავდა სამადლოდ ორივეს. პატარა ქოხში ცხოვრობდნენ. ისე გავიზარდე, პირდაბანილი ბუჭუია მე არ მინახავს. სულ ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი, კისერგამურული დადიოდა. ბოლოს მემტრედეობა დაიწყო. მეექვსე კლასში ვიყავი, მახსოვს, ვიყიდე ფეხფაჩუჩა „სიზი“ ბუჭუსგან. ორ კვირას მყავდა გალიაში. საკენკი თავის დროზე, წყალი, ჩემო ბატონო, სისუფთავე იდეალური, რავარც გავუღე კარი, არ დაფიქრებულა, სამ წუთში ღალღაიას ჩანგრეულ სახურავზე იჯდა და იქექებოდა, წამოვიყვანე იმ საღამოსვე, დავაპტკვენი ფრთები. ორ თვეს იგვანგვალა ჩემს ეზოში, გასუქდა, შეპატივდა, გაუმაგრდა თუ არა ფრთები, რომ მგონია, მოჩვეული მყავს-მეთქი, აფრინდა და ისევ ბუჭუიას დაუბრუნდა. მოკლეთ სამჯერ მომყიდა ჩემი „სიზი“ ღალღაიამ და სამივეჯერ უკან დაუბრუნდა. სულ მიკვირდა, ხელისგულზე მყავს ეს ბალანკურთხეული და მაინც ბუჭუს ქოხი ურჩევნია-მეთქი. ხომ გესმის ახლა, რა ვთქვი მე?

– კიე, მეც რავა, სიტყვას მოყვა, თვარა ჩემს ბალახვანს და მწვანეყვავილას შემოევლოს, რაც ავსტრალიაა ქვეყანაზე თავის კენგურუებიანათ.

ბუხუტიმ სტერილიზებული ქაღალდით ხელები შეიწმინდა და საათზე დაიხედა.

– აღარაა პატარა სადილის დრო?

– თორმეტს გადაშორდა. რატომ არ გვაძლევენ კამანდას? – წამოჯდა ჩიტია.

– უი, კავშირის ჩართვა ქე დაგვიწყებია, შე მართლა ბაკისუ-მელო, შენ, აკარი ხელი იმ ღილაკს.

– შენ არ მითხარი, გამორთეო?

– ვიხუმრე, მაგის გამორთვა რავა შეიძლებოდა.

ჩართეს თუ არა გადამცემი, იმწამსვე გაისმა მთავარი კონ-სტრუქტორის შეშფოთებული ხმა.

– ბუხუტი, ჩიტია, ბუხუტი, ჩიტია, ბუხუტი, ჩიტია!

– ბატონო! – ერთხმად უპასუხეს კოსმონავტებმა.

– ცოცხლები ხართ, ბიჭო! რატომ შეწყდა კავშირი?!

– რაღაცას ჩვენთვის ვყვებოდით და გამოვრთეთ ერთწამას, რამ შეგაშინათ?

– ხალხი ხართ თქვენ ახლა? არ დაგვიხეთქეთ გულები? მე მეტს აღარ გამაცივებს ამ წელიწადს. მომისმინეთ ახლა ორივემ კარგად: იმ ღილაკს მეტი აღარ შეეხოთ. არ დავინახო გადამცემის გამ-ორთვა. ეს ერთი და მეორე; ქე დაანებეთ ამ ერთ კვირას კერძო ლაპარაკს თავი. რაღაც სხვა ილაპარაკეთ, საქმიანი, ჭკვიანური, კოსმოსს რომ შეეხება, გესმით ჩემი?

– კი! – თავი დაუქნიეს მეგობრებმა, თუმცა ეს მეორე დავალება მთლად კარგად ვერ გაიგეს.

მესამე დღეს გაზეთებში ასეთი სასიხარულო ცნობა დაიბეჭდა:

„კოსმოსურ ხომალდ 2923-ის გმირული ეკიპაჟი დასახული პროგრამის მიხედვით განაგრძობს ფრენას. კოსმონავტებმა ხალი-სიანი სადილის შემდეგ დაისვენეს და უკვე შეუდგნენ მეორე დღის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო დავალების შესრულებას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს“.

გელა კირთაძე:

ეს ნოველა „ცისკარში“ მივიტანე რედაქტორს მოეწონა, მაგრამ მთავლიტმა ნომრიდან ამოიღო. მთავლიტი რედაქციას (და მითუ-მეტეს ავტორს). ამოღების მიზეზს არ ეუბნებოდა.

მეექვსე თავი

მწუხრი

მე დრო არ მქონდა დავფიქრებულიყავი იმაზე, რა იყო ჩემი მისია ამქვეყნად.

ჩემი აჩქარებული ამღვრეული დროის გადამკიდე, ვაკეთებდი იმას, რასაც აუცილებლად ვთვლიდი, ვწერდი იმას, რაიც არ შემეძლო არ დამეწერა.

ჩემს თვალწინ იმსხვრეოდნენ კერპები და მწერლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაც ცვალებადობის მსახვრალ კანონს ემორჩილებოდა.

ჩემგან არ გაკეთდა კაბინეტში მჯდომი, თავჩაჩიანი მწერალი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ბუხარს მიფიცხებული თავისი დარბაზის სარკმლიდან რომ ათვალიერებს ცხოვრებას და წერს მშვიდად, აუჩქარებლად...

ჩემი და ჩემი ქვეყნის დაუდგრომელმა, ბობოქარმა, გნებავთ დრამატულმა მდინარებამ კისრის ძარღვების დაწყვეტამდე მაყვირა და მაჯანჯღარა.

მე ჩურჩულს გადაჩვეული კაცი ვარ.

... და მაინც ერთხელ იმაზეც კი დავფიქრდი, როგორ უყურებდნენ მწერალს ნაპოლეონ ბონაპარტეს ეპოქაში:

„მაღალ, ჩაჩუქურთმ-ჩახუჭუჭებულ კარებში მსახური რომ გამოჩნდა, მწერალმა შავლიემ პარიკი ყურებთან ჩამოიწია, ყელსახვევი გაისწორა, შალის თეთრი წინდები მუხლებსზემოთ ამოქაჩა და მისკენ გააბიჯა.

– მუსიე, დედოფალი გელოდებათ.

სულ რაღაც შვიდიოდე კარის გავლის შემდეგ მწერალი დედოფალ ჟოზეფინას კაბინეტში აღმოჩნდა. ცისფერთვალება ვნებიანნესტოებიან ქალს გვირგვინივით ედგა თავზე ფერფლისფერი კოწოლი. ლომისთავებიან, შავ საწერ მაგიდასთან იჯდა, სტუმარს დაღლილი სახით გამოხედა და სკამზე მიუთითა.

მწერალმა ჯერ მწვანეხავერდგადაკრულ სავარძელს დახედა, მადლობა მოიხადა, დაჯდა და ფეხი-ფეხზე გადაიწყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ნაპოლეონის თანამეცხედრესთან ზედმეტ სითამამეს იჩენდა. შეცდომის გამოსასწორებლად წამოდგა და უნდოდა ორიოდე სიტყვა ფეხზე დამდგარს ეთქვა, მაგრამ ქალბატონ ჟოზეფინას თეთრხელთათმნიანი ხელი მაჯაში ნაზად ამოძრავდა და შავლიე მორცხვად ჩამოჯდა სავარძლის კიდეზე.

– უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მიღებისათვის, დედოფალო. მე მწერალი შავლიე გახლავართ. მცირე ნოველებს და ვოდევილებს ვწერ პარიზის საგარეუბნო თეატრებისთვის. ჩემი გვარი, ალბათ, არაფერს გეუბნებათ.

– რატომ?

– ცნობილი მწერალი არ გახლავართ. ჩემთვის ვცოდვილობ. არ ვიცი, რა გამოვა.

– ზედმეტი თავმდაბლობა ირონიის ფორმა ხომ არ არის, მოწყალეო ხელმწიფევ. საკმაოდ ცნობილი კაცი ხართ და ამასწინათ „მერკურე დე ფრანსეზში“ დაბეჭდილი თქვენი თხზულებაც კარგად მახსოვს.

– გმადლობთ, დედოფალო.

– თუ არ ვცდები, იმპერატორსაც კარგად მოეხსენება თქვენი ნაწერების შესახებ.

– სწორედ მაგის გამო გეახელით. ამ ერთი კვირის წინათ ფუშეს აგენტი მისულა რედაქციაში და განუცხადებია: იმპერატორის ნებით შავლიეს სახელი აღარ გაჭაჭანდეს თქვენთან, თორემ ჟურნალს დავხურავთ და რედაქტორს სამართალში მივცემთო.

– რატომაო?

– მიზეზი საკმაოდ მარტივია. მუსიე ტალეირანმა დამასმინა შარშან, თითქოს მე ბურბონთა დამქაში ვიყო და ჩემს ნაწერებში ნაპოლეონის პოლიტიკას ცინიკურად ვიხსენიებდე.

– ხომ არ გეჩვენებათ, მუსიე, რომ თქვენს ამ ნათქვამში იმპერატორი არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება. ვეჭვობ ტალეირანის ჩაგონებითღა ირწმუნოს თქვენი ოპოზიციონერობა. მითუმეტეს, რომ ნაპოლეონს საკმაოზე უფრო მახვილი თვალი აქვს და „მერკურე დე ფრანსეც“, ღვთის წყალობით, დიდი ტირაჟით გამოდის.

– მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ დიდკაცნი ქებას იოლად ივიწყებენ, ხოლო ავი სიტყვა შვიდ წელიწადს ახსოვთ. საკმარისია ჩემს ნაწერებს ეჭვის თვალით შევხედო და მევე აღმოვაჩენ ჩემს თავში საფრანგეთის მტერს და ქრისტეს ფეხის მკვნეტელს.

– განა ლიტერატურა ასე მაცდუნებელია, მუსიე?

– ჩემთვის დიახაც არა, დედოფალო, მაგრამ დილეტანტები ხომ სხვის თვალში დირეს აღმოაჩენენ ხოლმე.

– მუსიე...

– მაპატიეთ, იქნებ თავიდანვე დამეზუსტებინა ჩემი ვიზიტის მიზეზი. თქვენ, ალბათ, მიჩვეული ხართ მთხოვნელთა მუდარით სავსე სახეებს და აკანკალებულ ყბებს. მე თქვენთან სათხოვარით არ მოვსულვარ.

– ?!

– სასაუბროდ მოვედი. მე მინდა იმპერატორის ღირსეულმა მეუღლემ იცოდეს ერთი უბრალო ფრანგი მწერლის აზრი ნაპოლეონზე.

– მოგისმენთ, მუსიე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი აზრი, თქვენსავე საზიანოდ, შეურაცხმყოფელი არ იქნება ბონაპარტესთვის.

– ღმერთმა დამიფაროს. მე მხოლოდ ჩემს მოკრძალებულ აზრს მოგახსენებთ. წელიწადია იმპერატორის ნებით და ფუშეს ხელდასხმით პარიზის ოფიციალურმა გაზეთებმა ჩემს ლანძღვა-გინებას მიჰყვეს ხელი. ამომიჩემეს და ყოველ ჩემს ნაწარმოებს ზოილის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. „ნაპოლეონის ტრიუმფის ვერდამნახავი, განზე განმდგარი კაცი“, ასე მიწოდებენ მსუბუქხელიანი ჟურნალისტები. აღარც კი ვთვლი ახლა საჭიროდ, მოგახსენოთ, რომ მე პირველი მივესალმე ნაპოლეონის გაიმპერატორებასაც და დღესაც მის რაზმში მყოფად ვრაცხ თავს. თუმცა მე იმ მწერალთა რიცხვს როდი ვეკუთვნი, ნაპოლეონის ერთგულებაზე დღენიადაგ გულზე მჯიღის ცემით რომ გაჰყვირიან.

– მხედველობაში ვინ გყავთ?

– თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. მე აქ გვარების დასასახელებლად არ მოვსულვარ.

– ნაპოლეონს მწერალთა შორის ჰყავს პირადი მეგობრები და ამას არც მალავს.

– მაგრამ იმპერატორი არც ისე დიდი კაცია, სიყმაწვილის შთაბეჭდილებებზე, პირად სიმპათიებზე მაღლა დადგეს და დაფნის გვირგვინთა განაწილებაში შეუვალი ობიექტურობა დაიცვას.

– ისევ დაფნის გვირგვინები. თუ თქვენი სახით განაწყენებული დიდების მაძიებელი ლაპარაკობს, მოსაწყენი ხართ, მუსიე.

– გემუდარებით, ასე ნუ იფიქრებთ, დედოფალო. თუ რაიმე არ მინდა, ეს არის სწორედ ნაპოლეონის კარისკაცთა ბოძებული ჩინტემლაკები, მე ვემსახურები საფრანგეთს და ნაპოლეონს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას საფრანგეთისთვის ბედნიერების მოტანა ძალუძს. თუმც ამ ბოლო დროს ავი სიზმრები არ მასვენებენ.

– გულახდილად მითხარით. აი, თქვენ რომ ეხმეთ იმპერატორს და თქვენთან მეგობრობის სურვილი გამოეთქვა, უარს იტყოდით?

– მოგახსენეთ, რომ მე ვემსახურები საფრანგეთს და ამა ქვეყნის მეფეთა ნავში ჯდომა ჭეშმარიტი მწერლისთვის დამამცირებლად მიმაჩნია, რადგანაც ჯერ არ ყოფილა ხელმწიფე, თავისი ხალხისთვის მცირე ბედნიერებასთან ერთად დიდი უბედურებაც არ მოეტანოს.

– ნება მომეცით, თქვენს ნათქვამში ეჭვი შევიტანო, ნაპოლეონი, თქვენც კარგად ხედავთ, ჩვეულებრივი ხელმწიფე არ არის.

– რა თქმა უნდა. მან უკვე დაამტკიცა, რომ ისტორიის საჭესთან დგას. მაგრამ საქმე ის არის, საით ატრიალებს ამ საჭეს, წაღმა თუ უკუღმა.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ჩემს წინათგრძნობას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. მას ისტორია გაასამართლებს და ის დრო არც ისე შორს არის.

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ მისგან უკვე დიდად არის დავალებული საფრანგეთი თუნდაც იმით, რომ ბურბონთა სულელური, ბებრული მართვისაგან გაანთავისუფლა.

– წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან.

– ოღონდაც, მუსიე.

– ხოდა, იმას მოგახსენებდით, ნაპოლეონის გადაკრული სიტყვაც საკმარისი იყო, რათა ჩემი პოპულარობით ისედაც განაწყენებულ ჩინოვნიკებს ხელები გახსნოდათ ჩემს წინააღმდეგ. იმპერატორმა კი, არც მეტი, არც ნაკლები – ომი გამომიცხადა. მშიშარა კაცი არ გახლავართ, მაგრამ, ვაი თუ ეს ომი ბონაპარტეს საზიანოდვე დამთავრდეს.

– თქვენ რა, უფლებას არ აძლევთ იმპერატორს თავისი აზრი ჰქონდეს თქვენს ნაწერებზე?

– კი, მაგრამ ეს აზრი საქვეყნოდ არ უნდა განაცხადოს, მითუმეტეს, მაშინ, როცა სამეფო სკიპტრა უპყრია ხელთ. მიკერძოებაში ჩაეთვლება.

– ყველა ხელმწიფეს ჰყავდა მწერალთა შორის თავისი ფავორიტები და...

– ისინი, ვისაც სდევნიდა. უფრო ხშირად კი ასე ხდებოდა, ის ფავორიტები, უმეტესწილად, საშუალო ნიჭის მლიქვნელები იყვნენ, ხოლო დევნილნი...

– მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ. იქნებ ისტორიისთვის დევნილნი უფრო მომგებ პოზიციაში არიან? ზოგი მათგანი სწორედ იმით შევა ისტორიაში, რომ მას ნაპოლეონი სდევნიდა.

– ეგ ვერაფერი დიდი თამასუქია ისტორიაში შესასვლელად. რატომ არ ფიქრობთ, რომ, იქნებ, პირიქით მოხდეს? იქნებ სწორედ იმ მწერალმა დატოვოს ნაპოლეონი ისტორიაში?

– ამ შემთხვევაში მისამართი გეშლებათ. ნაპოლეონი საფრანგეთის დროშაა.

– მაგრამ სისხლისწინწკლებიანი დროშა. მწერალს კი, თუ იგი ნამდვილი მწერალია, საზოგადო აზრი უპყრია ხელთ და ერის გულისთქმას გამოხატავს.

– რატომ აზვიადებთ მწერლის დანიშულებას? იქნებ მწერლის მისია სწორედ ის არის ახლა, რომ ნაპოლეონის ეპოქა დახატოს.

– მაგრამ მწერალს შეუძლია დახატოს იგი, როგორიც არის და მაშინ ისტორიაში ნაპოლეონისგან ბევრი აღარაფერი დარჩება.

– ეგ თქვენი აზრია. სხვათაშორის, თავში აღნიშნეთ თქვენი კეთილგანწყობა ბონაპარტეს მიმართ.

– ამას ახლაც სიამოვნებით ვადასტურებ, მაგრამ მე მინდა, თქვენ, საფრანგეთის დედოფალმა, სიმართლე იცოდეთ. ნაპოლეონი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბუნდოვნად ერკვევა. იმპერატორის კარის რამდენიმე ბეცი მოხელის გარდა ყველა აღშფოთებით შეხვდა ქალბატონ სტალის პარიზიდან გაძევებას ლიბერალური აზრებისათვის. ასევე უხეშად ჩაერია ამასწინათ იმპერატორი სამეფო თეატრის მსახიობ ქალთა ინტრიგებში.

– ამით რისი თქმა გნებავთ?

– იმისი, რომ ხელოვნება ადამიანთა საქმიანობის სხვა, ფაქიზი სფეროა და იგი „რკინის ხელს“, ადმინისტრირებას ვერ ჰგუობს.

– იქნებ, არც ის იყოს თვით ხელოვნებისთვის სასარგებლო, რომ მის ნებაზე მიუშვა და ყველას, ვისაც რა აზრი მოუვა თავში, უფლება მისცე საფრანგეთის სახელით ილაპარაკოს.

– მე ჭეშმარიტ ხელოვნებაზე, ნამდვილ მწერლებზე მოგახსენებთ.

– განა ნამდვილი მწერლები არ სცოდავდნენ?

– იმდენად არასოდეს, რომ საფრანგეთისთვის ზიანი მოეტანათ, მაგრამ ბევრი სკიპტროსანი გააშავა ისტორიამ მწერლის დევნისთვის. იმიტომ, რომ მწერალი ერის ღვთიური ფიქრია და ფიქრის ჩამოხრჩობა არ შეიძლება.

– რამდენადაც ვიცი, თვით იმპერატორს უკუღმართი აზრებისთვის ჯერ არავინ გაუგზავნია გილიოტინაზე.

– „უკუღმართ აზრებზე“ მსჯელობა ისევ ისტორიას დავუთმოთ. იქნებ რასაც მე და თქვენ შეცდომებს ვეძახით, ხვალ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად იქნეს მიჩნეული. კვლავ მწერლის დევნის საკითხს დავუბრუნდეთ. აი, მე ნაპოლეონისგან შეთამამებული ჩემი პირადი მტრები ხვალ თუ ზეგ წესს ამიგებენ. თქვენ როგორ გგონიათ, მომავალი ჩემი განადგურებისთვის მხოლოდდამხოლოდ ნაპოლეონს დასჯის, ნამდვილი მკვლელები ჩრდილში დარჩებიან.

– იქნება, ასე არ გამოიდოს ისტორიამ თქვენთვის თავი? მაპატიეთ, თქვენ ნიჭიერი მწერალი ხართ, მაგრამ ცოტა მეტი წარმოდგენა ხომ არა გაქვთ თქვენს ძალებზე?

– ამ შემთხვევაში მე წარმოვადგენ არა მუსიე შავლიეს, არამედ მწერალს საერთოდ. და მე მგონი დამეთანხმებით; ჯერ არ დაბადებულა ჰომეროსზე უფრო დიდი იმპერატორი.

– ვერ გავიგე?

– ყოველი ჭეშმარიტი მწერალი თავისი ერისთვის გაცილებით უფრო დიდი კაცია, ვიდრე რომელიც გნებავთ მმართველი, დროის მიერ მაღალ სკამზე შესკუპებული. რადგანაც პირველი მისმა გონებამ ასწია მაღლა, მეორე კი სიტუაციამ, გარემოებამ ამოატივტივა.

– ნაპოლეონი სხვაა. ნაპოლეონი სიტუაციამ კი არ შექმნა, ნაპოლეონმა თვით შექმნა ისტორია.

– მაგ დასკვნასაც ისტორია შეამოწმებს. ხოლო ის ფაქტი, რომ იმპერატორს ჩემი დასჯა და მოსპობა შეუძლია, სრულიადაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ბონაპარტე ჩემზე დიდი კაცია. მე შემიძლია ჩემს მაგიდაზე ისეთი ხელნაწერი დავტოვო, ლაფში ამოვსვარო ნაპოლეონის მთელი ქიჩმაჩი ისტორიის კისერზე.

– და რომ ეს არ მოხდეს, რა უნდა მოიმოქმედოს იმპერატორმა?

– უფრო ზომიერი, ლმობიერი დამოკიდებულება დაამყაროს მწერლობასთან, იცოდეს კარგად, რომ მის აღმოსვლას ახლაც მწერლები ამკვიდრებენ ხალხში და მომავალში ისტორიის ფურცლებს ნაპოლეონის გვარის გასწვრივ ისევ ჩემი კოლეგები შეავსებენ. პოლიტიკა, რომელსაც მწერლები განუდგებიან, დასაღუპავადაა განწირული.

– მაგრამ პოლიტიკის მიერ დაღუპული მწერლებიც გვახსოვს.

– სწორედ რომ ბურბონთა უგუნური პოლიტიკის მიერ და რა გამოვიდა აქედან? ამ ოცდაათი წლის წინათ აღზევების ზენიტში მყოფი ბურბონები საფრანგეთის რჩეულ ინტელიგენციას გაუსწორდნენ. მერე? აიძულა თუ არა ისტორიამ ისინი სინანულის თითზე კბენანი და გაუთავებელი რეაბილიტაციები დაეწყოთ? ხომ იმ მკვდრების სახელითვე დაისაჯნენ ბურბონები ისტორიის ძლიერი ხელის მიერ?

– და იმ ძლიერ ხელს ისტორიისას სხვა ვინმე კი არა, თვით ნაპოლეონ ბონაპარტე განასახიერებდა.

– გეთანხმებით, მაგრამ მე მაინც მინდა ჩააგონოთ აღზევებულ იმპერატორს; არ გაიმეოროს ისტორიის შეცდომები. მისი სიამპერატორო სავარძლიდან ახლა ყველანი პატარები ვჩანვართ და ადვილია ომების უებარმა მცოდნემ და გამარჯვებათა დაფდაფებით გაყრუებულმა იმპერატორმა ვერ მოზომოს და ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლოს.

– მუსიე შავლიე, – ჟოზეფინამ მარაო მაგიდაზე დადო, თითები ერთმანეთში გაუყარა და ზედ თავისი ლამაზი ნიკაპი ჩამოადო. – არ დაიზაროთ, გეთაყვა, და ერთხელ კიდევ განმიმარტეთ ჩემი მისია თქვენს ვიზიტთან დაკავშირებით.

– მაპატიეთ, რომ დაგღალეთ, დედოფალო. მე გთხოვთ, შეძლებისდაგვარად გადასცეთ იმპერატორს ჩვენი საუბრის შინაარსი. ეცადეთ თქვენი კომენტარები ნაკლებად დაურთოთ. თუ რაიმეს დაუმატებთ, მხოლოდ ის აცნობეთ ბონაპარტეს, რომ ყველა ყველა და ფრანგმა მწერლებმა კარგად იციან ნაპოლეონის ღირსებაცა და ნაკლიც, კარგად ბრძანდებოდეთ.

– ნახვამდის, მუსიე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენს დავალებას შევასრულებ ისე, როგორც ფრანგ ქალს და ნაპოლეონის მეუღლეს მისი შესრულება შეუძლია. ნაპოლეონის მეუღლეობას მე ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ამით ისტორიის წინაშე ბონაპარტეს გვერდით ჩემს უმწეობას ვაღიარებ.

დედოფალმა კარებამდე გამოაცილა.

ზურგსუკან ვეება კარები რომ მიიხურა, შავლიემ ღრმად ამოისუნთქა, დაცვარულ შუბლზე აბრეშუმის ცხვირსახოცი მოისვა და მისკენ მომავალ ორმეტრიან კარისკაცს თვალი ჩაუკრა.

* * *

ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ, 1809 წლის 15 დეკემბერს პარიზის საიმპერატორო სასახლეში ნაპოლეონმა ხელი მოაწერა საფრანგეთის კანონიერ დედოფალთან, ქალბატონ ჟოზეფინასთან განქორწინების აქტს.

„პოლიტიკას გული არ გააჩნია, ჟოზეფინა, პოლიტიკა მხოლოდ თავით არსებობს“, ეს გახლდათ ნაპოლეონის უკანასკნელი სიტყვები თავისი, აწ ყოფილი თანამეცხედრის მიმართ განქორწინების მძიმე წუთებში ნათქვამი.

მალე ნაპოლეონმა ავსტრიის იმპერატორ ფრანცის უმრწემესი ქალიშვილი მარია-ლუიზა შეირთო.

ამბობენ, ქორწინების შემდეგაც ხშირად აკითახავდაო მალმეზონის სასახლეში განმარტოვებულ ჟოზეფინას.

* * *

რა არის თავგანწირვის ხარისხი. როცა სიტუაცია მსხვერპლს მოითხოვს, რამდენად აქვს უფლება კეისარს საკუთარი ტყავის გადარჩენაზე იფიქროს? ვაჟკაცობის საზომ-ბარომეტრი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვაა თუ იგი მაღალი იდეებისადმი ერთგულების ერთხელაც და სამუდამოდ დადგენილ კანონს ემორჩილება?

აქვს თუ არა გმირობის გვერდით არსებობის უფლება სულის მღრღნელ, ეჭვის ბაცილით გამსჭვალულ კითხვას – „ღირს?“.

იქნებოდა თუ არა იულიუს კეისარი იულიუს კეისარი იმ საბედიწერო დღეს მსტოვრისთვის რომ დაეჯერებინა და შეთქმულებით დაყურსულ სენატში არ მისულიყო?

მე, XXI საუკუნის ქართველ მწერალს გელა კირთაძეს ეს კითხვაც დამისვამს ჩემი თავისთვის.

„სენატში დღეს მაინც ნუ მიხვალო, მსტოვარმა. სენატორები საეჭვოდ ფუსფუს-პუტუნებენო, გუშინ, შადრევანთან უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენო ხალხის რჩეულნი. აშკარაა, შეთქმულებას აწყობენო თქვენს წინააღმდეგ. თავი აარიდეთ, დღეს ნუ წარუდგებითო სენატს.

მე ვიცნობ სენატს. იმპერიის მხურვალე თავნი, სათითაოდ პირველობის მანიით გულგასენილნი, ერთმანეთს მხოლოდ მაშინ გაენდობიან, როცა ისტორიის საათი რეკავს და ჩვეულებრივ დღეთა დასასრული მოდის. როცა მონისა და მონათმფლობელის ფიქრი მარჩბივთა მსგავსად ჰგვანან ურთიერთს. სხვა არა იყოს რა, ბრუტუსი ხომ იქ არის. ბრუტუსი მაშინვე დაჰყნოსავდა საეჭვო მიმოსვლას სენატორთა შორის. ხოლო თუ ბრუტუსმაც გამიმეტა, მიზეზთა გამო თუ ბრუტუსიც მათთანაა, მაშინ ღმერთების ნება უნდა ასრულდეს და უფლება არა მაქვს ქვეყნის ხმას ხელი შევუშალო. მოსახდენი უნდა მოხდეს. იქნებ სენატორთაგან სიკვდილი უფრო ლამაზ სიკვდილად მიითვალოს ისტორიამ, ვიდრე მიხრწნილი იულიუს კეისრის წინამდებარე ჯირკვლის გაძვალებით გარდაცვალება ოცი წლის შემდეგ.

მაინც ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ რომის იმპერიის ბოლო წლებს ითვლის არსთა გამრიგე. ჯერ კიდევ მაგარია ლიბო, ასე ღონივრად რომ ჩაუკირავ-ჩაუგვირისტებიათ ჩემს წინაპარ კეისრებს. ჩემი სიკვდილი ცოტა ხნით მაინც შეაფერხებს დაშლისკენ პირშებრუნებულ იმპერიას. ხალხი ბრბოა, კიდევ ერთხელ შეჩერდება და შეაჩერდება ახალ წინამძღოლს, ვითარცა ცხენები მეჯინიბეს, რომელსაც წინგაშვერილ მარცხენაზე მარილი უყრია, ხოლო ზურგსუკან მარჯვენით ლაგამ-აბჟანდი ჩაუბღუჯავს. ბრძენთა გონება როდი უნდა იმის მიხვედრას, რომ სხვადასხვა ხალხთა მოტყუება-დაპყრობით შეკოწიწებული და შუბ-მათრახით შეკრული იმპერია ადრე თუ გვიან უნდა დაიშალოს, მაგრამ მე რომ არა ვარ უკანასკნელი კეისარი, გული მიგრძნობს. ჯერ კიდევ ბოლომდე არ მომწიფებულან შინაური და გარეშე ძალნი ტირანიაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

მიზეზთა შორის ერთნი კლეოპატრას ახსენებენო ჟამითჟამ, მსტოვარმა. კლეოპატრა რა შუაშია. იგი ქალია და სხვა ხელმწიფეთა მსგავსად, ვისთვისაც ძვირფასია თანამეცხედრე, გვერდით დავისვი,

რათა ქვეყანას დაენახა ქალის სიდიადე და ეგრძნო, რომ ჩვენ – პოლიტიკოსნი, ამავე დროს, ქმრები და მამებიც ვართ და იოლად არ გავწირავთ სხვათა ოჯახებსაც. თუ სამართალია, ქალის გამოჩენამ რაღაც ციური შუქი უნდა მიჰმადლოს, უნდა გააკეთილშობილოს მამათა საკრებულო, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს დაღლილ იმპერიაში ყველაფერი უკუღმა ესმით. იმთავითვე აქირქილდნენ და ასისინდნენ ავი ენები; რა კადნიერებაა დიაცის გვერდით ამოყენება, დარბაზობებზე მუდამ თანხლება, ხომ არ დადისო ქალის ჭკუით იმპერატორი, საწოლ ოთახში ხომ არ წყდებაო რთულნი საქმენი სახელმწიფოსი.

ყველამ კარგად იცის, რომ იულიუს კეისრისთვის ქალი მხოლოდ ქალია – არც მეტი, არც ნაკლები. ვიგრძენი რა ქალის ღირსებათა ცნობისა და თაყვანისცემის გამო ჩემსკენ მოშვერილი მწყრალი მზერა, არათუ უკან დავიხიე, მავანთა გულსახეთქად უფრო გავახშირე თანამეცხედრესთან ერთად გამოჩენა მშვიდობიან გზებზე. მხოლოდ ლაშქრობისას არ ვიახლებდი თან კლეოპატრას. ბოლოს მაინც გავტეხე სკეპტიკოსთა სიჯიუტე, ვგონებ მივაჩვიე ყველანი, რომ მე ასე მსურს და ესე იგი ასე უნდა იყოს. წაჯექუკუჯექია მმართველები არ უყვართ რომაელებს. მტკიცე ნებაა რწმენის საწინდარი, მტკიცე ნება მაშინაც საჭიროა, როცა ცდები. ორჭოფნი და მხდალნი სძულს დემოსს. შეცდომითაც მტკიცედ და ჯიუტად უნდა შეცდე.

დიახ, ქალი როდია მიზეზი ქვეშევრდომთა გაორგულების. ეტყობა, რომს მოსწყინდა თავისი კეისარი. ვერ მივეც ხალხს რასაც დავპირდი. ცუდ დროს მომიწია ქვეყნის მართვამ. ჩემამდე დიდხანს ატყუეს მოქალაქენი, აღთქმულ ჰარმონიულ ქვეყნამდე მცდარი გზებით ატარეს და მე მაშინ დავიდგი გვირგვინი, როცა ხალხს ილაჯი გაწყვეტოდა და მოთმინების ფიალა პირთამდე აღვსებოდა. ძალიან ღრმად შეეტოპა იმპერიას ყალბი ილუზიებისა და განუკითხაობის ჭაობში. შავი ჭირივით მოსდებოდა ქვეყანას კორუპცია, სიზარმაცე, გარყვნილება და პიროვნულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვა. მე რომ განახლების ზარი შემოვკარი, თავი აიღეს, ერთი მოყოლა მომყვნენ კიდეც, მაგრამ მალევე მოსწყინდათ და ისევ შეჩვეული ჭირი ამჯობინეს ქარში საეჭვო კვეთებას. დემოკრატიის მკვახე ნაყოფმა კბილი მოსჭრა მათ და ენერგიულად ცდილობდნენ მხოლოდღა ჩემთვის შეეტოვებინათ ხელში ჩემს მიერ მათთვის მოხარშული სიკეთის ფაფა. ერთმანეთს თვითვე აუკრძალეს თავისუფალი ფიქრი და თავისუფლად აზროვნება. არ იყვნენ პიროვნების ღირსების ცნობას მიჩვეულნი და იმიტომ.

არა არის რა იმაზე მწარე, როცა დემოსსმიახლებულს მისალმებასაც არ გაცლიან და სეტყვასავით დაგაყრიან: სად არის, იმპერა-

ტორო, დაპირებული სამოთხე? შენც განზე ხომ არ გაგვახვევინე რაო, ვერც შენ შეაბრუნე წაღმა ჩვენი ხომალდი? რისი იმედი გვქონდეს. განა რამდენი ხუთი წლისგან შედგება კაცის ცხოვრება, რომ სამოცდაათი წლის ასაკშიც იმედის თათი ვლოკოთ დათვივით? რა უნდა ვუთხრა, ძნელი ყოფილა, მართლაც რომ ძნელი, გამრუდებული გზის გასწორება. ერი სულგრძელია, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ზღვარამდე შეგინდობს და გაპატიებს. მერე ერთბაშად შეგაქცევს ზურგს და ოქროს კვერცხიც რომ უგორო, ვერა და ვერ შემოიბრუნებ.

არ გამოდის არა, ახლა მეც ვხედავ, რომ ამაოდ მცდელთა კოჰორტისკენ მივექანები. ზოგი რამ ჩემი გაუბედაობის ბრალია, ზოგიც თვით სისტემაში ჩაბურდულ ნასკვთა. ისტორიის მრუმე გზებზე უტყუარის ლამპრით სხვამ ვინ იარა, რომ ჩვენ გვევლო. შეცდომაც ღვთის ნებით არის, მაგრამ უფლება კი არამც და არამც არა გვქონდა თაობათა ბედი კამათლებივით გვემღერებინა და ჭეშმარიტების პრეტენზიით თავი შეგვებეზრებინა ისედაც სვეგამწარებულ ხალხთათვის.

უფრო მაღლა და ღონივრად რომ ეფრიალა ჩემს ხელში განახლების დროშას, იქნებ კვალი დამეტყო ისტორიისთვის და ოცნებებს ჩემსას ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ ნაწილობრივ მაინც მივწვდომოდი.

იქნებ ყველაფერი გვიან არ არის. იქნებ როგორც წვიმს, ისე არა ჰქუხს, მსტოვარო.

მე წარვუდგები სენატს აი ასე უიარაღოდ და თავშიშველი.

სხვა არა იყოს რა, ბრუტუსი ხომ იქ არის.

ბრუტუსი არ გამწირავს“.

* * *

სტუდენტობის დროს ოპერის გვერდით, ლუნაჩარსკის ქუჩაზე დედაჩემის დეიდასთან ვიყავი შეკედლებული. თბილისური პატარა საკუთარი ეზო იყო სწორედ რომ საერთო სახლი-დარბაზი. თავისი მიწური შუშაბანდის წინ ყველას თავისი კველა ედგა. ვინც სახლში იყო, სწორედ იმ კველაზე იჯდა და მარლადაშვებული სახლის კარი ღია ჰქონდა.

სამოცდაათს (რა ბევრი მეგონა მაშინ) მიღწეული ბატონი ეპიფანე ცხოვრობდა კიბის მარჯვნივ, ონკანის პირდაპირ. დილას რომ გამოიტანდა სკამს და დაჯდებოდა, საღამომდე თითქმის გაუნძრევლად იჯდა. თუ რამეს ჰკითხავდი, გიპასუხებდა, თუ არა და იყო თავისთვის.

რაკი გამომლაპარაკებელი მაინცდამაინც არ აწუხებდა, ერთ კვირა დღეს უცნაურმა ჟინმა შემიპყრო. ვკითხავ ამ დროულ კაცს; რა გზას ვეწიო, იქნებ, რომ იტყვიან, ცხოვრების აზრს, ცხოვრების სიბრძნეს მაზიაროს მეთქი და მივუჯექი:

– რატომ ჩამეცინა, თუ მიხვდი? რატომ, ჩემო ბიძია, და, სიხარული ვერ დავმალე. ჩემმა ეშმაკმა გამაცინა. შენ რომ მოხვედი ახლა ჩემთან, შებრუნებულ ტაბურეტზე დაჯექი და ჯიუტად მომაჩერდი: – დავიბენი, ეპიფანე ბიძია და, თუ კაცი ხარ, მასწავლე, როგორ ვიცხოვროვო, სიმართლე გითხრა, სიამაყემ დამრია ხელი; ერთ კაცს მაინც დასჭირდა ამ ქვეყანაზე ჩემი გამოცდილება-მეთქი. რა დაგიმალო და, ამნაირი შეკითხვით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა. ადამიანები ისე გულდაგულ და თავდაჯერებით დაფუსფუსებენ თავიანთ საქმეებზე, გარედან შემხედვარეს ეგონება, ყველამ მშვენივრად იცის, რომელ მხარეს უნდა მიუდგეს ამ ცხოვრების გორგალსო.

სამოცდაათი ზაფხული მოვჭამე მე და, ახლა, ამ ჩემს დათვლილ საკრიალოსნო დღეებს, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდე. ჩემებურად ვიცხოვრე. ქვეყანა თუ არ ამიშენებია ჩემი ქიჩმაჩით, ვერც დაქცევას დამაბრალებს ვინმე. ცუღლუტი და არამგამა არ ვყოფილვარ და არც ახლა მინდა დიდკანში მყოფ აბრეშუმის ჭიასავით გაზიზინებული მნახოს ხალხმა. ჩემს ლუკმას ჯერ კიდევ ჩემი მარჯვენით ვშოულობ. წუწუნა ბებრები მეზარება. მე ჩემი სიბერით დავბერდი, ვის რატომ უნდა დავაწვე კისერზე და ხანდაზმულობის მარაოს ქნევა ვავალდებულო? წასვლითაც უხმაუროდ წავალ. ჯალაბი გაფრთხილებული მყავს; ტირილ-ფლუკუნი არ დამიწყოთ კუბოსთან, თორემ წამოვხტები და სათითაოდ ჯოხით აგიწვავთ უკანალს-მეთქი. რა მოხდა, ყველა წამსვლელები ვართ, მე ჩემი კალო გავლეწე. მიწა ვიყავ და მიწად ვიქცევი. ჩემს საფლავზე ვარდს დარგავენ, თუ ოყრალუა ბალახი ამოვა არც ამით შეიბრუნებს მთვარე პირს, მე ჩემი ტორიკი და ჩემი ხეტიალი მოვათავე. ახლა სხვისი რიგია.

სასწაულია აბა რა არის, ათაბაბადან დღემდე რამდენი კაცი მდგარა ამ ცის ქვეშ და ორი კაცის ცხოვრება არ დამსგავსებია ერთმანეთს. ყველას თავისი ბილიკი მიუჩინა ბუნებამ. რა ფანტაზიამ მოიფიქრა მაინც მილიარდი კაცის ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტი. გიფიქრია ამაზე? როგორ ვიცხოვროვო, რომ მეკითხები, ყასიდად მეკითხები, ისე, გული რომ გამიკეთო და მაგრძნობინო: შენც საჭირო ხარ ამ ქვეყანაზეო, თორემ განა ჩემზე ნაკლებად იცი, რომ ჩემი ცხოვრების გაკვეთილები შენ არ წაგადგება, შენ სხვანაირ დროში, სხვა ხალხში, სხვა გზაზე გიწევს სიარული? ასე რომ არ იყოს, ცხოვრება ინტერესს დაკარგავდა. პლანეტის უზარმაზარ

დაფაზე ჩვენ – ჭადრაკის ფიგურებს, ჩვენ-ჩვენი სვლა გვაქვს და ჩვენი ბედი გვითვალთვალებს.

შენ ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოს, რაც მე გლახა დღე ვნახე და თუ რამე კარგი დამადგა – უდაბნოს ქვიშასავით გიმრავლოს გამჩენმა. შენ სხვა დროში იცხოვრებ-მეთქი, გითხარი, მაგრამ არ იფიქრო, შენსობას ვარდის წვიმა წამოვიდეს და ბედის ჯარამ სულ წაღმა იტრიალოს. ჯერ შორს ვართ, ძალიან შორს. ჯერჯერობით ადამიანებმა ვერ ისწავლეს, როგორ უნდა ცხოვრება. არც ადრე იცოდნენ და არც ახლა იციან. გაეცინება ოცდამეათე საუკუნის კაცს, ჩვენს ამბავ-წრიალს, ჩვენს წუხილს და სიხარულს რომ ჩახედავს. რა სასწაული დრო იყოო, იტყვის, რანაირად ჰქონდათ ნეტავი ტვინი მოწყობილი, იმ დალოცვილებს, ამას რომ სჩადიოდნენ და ამას რომ ამბობდნენო. ვერც იმაზე დავდებ თავს, მომავლის კაცი ჩვენზე დიდად ჭკვიანი იქნება-მეთქი, მაგრამ ადამიანებს ერთმანეთის გამწარების ამდენი მუღამი რომ არ ეცოდინებათ, რაც ახლა ვიცით, ეს მინდა მჯეროდეს, კი, კი, უფრო ადვილად და მშვიდად ვიცხოვრებდით, შენ არ მომიკვდე, ჩვენ რომ არ დაგვებურდა და დაგვებნია ჩვენივე თავი და ერთმანეთი. სულ მეგონა, ეს ჩემი დროა ამნაირი უკალაპოტო, თორემ სხვა ეპოქაში ხალხმა მშვენივრად იცოდა, რისთვის გაჩნდა და რა ეკეთებინა-მეთქი. არ ყოფილა ასე. არც არასოდეს სცოდნია და არც ახლა იცის. თუ ოდესმე იყო დალაგებული ადამისშვილი, ახლა უნდა იყოს, მაგრამ ამ ჩემს გამოვლილ გზას რომ გავხედავ, რა მოჩანს, შენ შემოგევლე, დაპირების და ცდის მეტი? სულ მეგონა, ხვალ უკეთესობა იქნება, ასე როგორ გაგრძელდება-მეთქი და ისე შემომეფცქვნა წლები ხელში, იმას მაინც ვერ ველირსე, რასაც ველოდი. ახლა რომ ვაკვირდები, მგონია – ვერ გეტყვი, შეიძლება სიბერის ბრალიცაა და მეშლება – მგონია, უკან-უკან მიდიოდა საქმე-მეთქი. იქნება მე მოვითხოვდი უფრო მეტს, რისი მოცემაც ცხოვრებას არ შეეძლო. იქნება ასე ლოდინისთვის, წვალებისთვის და ცრუ ფაფხურისთვის არის კაცი გაჩენილი? არ ვიცი, ვერ გეტყვი. ღმერთმა ნუ გაფიქრებინოს, ჩემი ხნის რომ მოიყრები, მოტყუებული კაცი ვარ მეო. სულ სხვა გზით უნდა მევლო და სხვა გზით მატარეს ჩემს წუთისოფელშიო.

შენ ვერაფრით წარმოიდგენ, რომ დავიწყეთ, როგორ დავიწყეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა. ეჭვი რა იყო, ვინ იცოდა, რა საქმე უნდა ყოფილიყო ამ დუნიაზე, ჩვენ რომ არ გამოგვსვლოდა, – ასე ვფიქრობდით. იქნებ, საერთოდ ასეა, ყველა ახალგაზრდა და დამწყები ასე უნდა ფიქრობდეს, სხვანაირად ქალაქი არ აშენდება, ალბათ, მაგრამ თქვენ რომ გიყურებთ ახლა, თქვენ მაინც სხვა ხართ. უფრო წყნარი და უფრო ფიქრიანი. შეიძლება ასე სჯობდეს,

იქნებ არც ასეთი ჭოჭმან-ჩუმალობა გამოდგეს დიდი საქმეების დასაწყებად. რა ვიცი, ხომ გითხარი, დამაბნია-მეთქი ცხოვრებამ. ბევრჯერ მივაწყდით აქეთ-იქით. კაპიკიან საქმეს ხალხი მივალიეთ და მერე გაირკვა, რომ თურმე მთლად სწორედ არ ვირჯებოდით. ისტორიისთვის ეს ჩვენი ფაფხური ერთი სტრიქონია, მეტი კი არაფერი. ამ გზით მიდიოდნენ და კინაღამ ხრამში გადაცვივდნენ, მერე შემოტრიალდნენ და სასწრაფოდ სწორ გზას დაადგნენო, იტყვის მეისტორიე და იმ მსჯავრს გამოგვიტანს, ბრმა ქათამივით იქეთ-აქეთ მოფარფატე კაცს რომ გამოუტანს ხოლმე. მაგრამ მე. ჩემი ცხოვრება რომ გაილია? მართალია, ისტორია მე არაფერ პასუხს არ მომცემს, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ვკითხო სამარის პირას მისულმა: – რა დაგიშავე მე, ბავშვობიდანვე რომ ამომაგდე კალაპოტიდან და ასე უმოწყალოდ მართე ჩემი ცხოვრება, რანაირად ვზიდო დარჩენილ ორ კვირაში ფუყე დაპირებებით გაბერილი ეს გული-მეთქი? რა პასუხი უნდა მომცეს იმანაც. თვითონ კი იცოდა, შენ გგონია, ასე რომ იქნებოდა?

შეიძლება, მე გავჩნდი გლახა და სხვებს ასე არ ემართებოდათ, არც კი დავლაპარაკებივარ ამ საკითხზე სხვას, ვაითუ უადგილო ადგილას წამოცდეს-მეთქი, რაც კაცობაში შევდგი ფეხი, სულ ვიღაცის მეშინოდა, სულ მეგონა, ვიღაცა მითვალთვალებს-მეთქი. ხანდახან ისე ამიწვავდა ყურებს ზურგში დამიზნებული მზერა, რომ უცებ მოვიხედავდი, ეგება ჩემით დაინტერესებული, აბეზარი თანამგზავრის თვალებს წავაწყდე-მეთქი, შეიძლება უსაფუძვლო იყო ჩემი შიში, შეიძლება მეჩვენებოდეს, ხომ გაგიგონია, ფაფით შეშინებული დოს სულს უბერავდაო, მაგრამ ამ ჩემს მოწეულ ასაკში მაინც მგონია, რომ გადავრჩი. რატომ მაქვს გადარჩენილის განცდა, ვერც ამას გეტყვი. რა მჭირდა გადასარჩენი, რისგან უნდა გადავრჩენილიყავ, კაცმა რომ თქვას? მაინც მადლობელი უნდა ვიყო ჩემი იღბლის. ერთ დროს ჩემნაირ უდანაშაულოებს მოჰკიდეს ყურზე ხელი? ჩიტი ბდღვნად არ ღირდი, ალბათ, ან ნამეტანი პატარა ყურები მქონდა. შეიძლება ბჟუტურად გეჩვენება ახლა ჩემი მუსაიფი, მაგრამ ზოგიერთის ბედს რომ გავიხსენებ, ცოტა არ იყოს, სიხარულიც კი გამკრავს გულში – ხომ მაინც დავუსხლტი ნემეზიდას ხელიდან-მეთქი.

ორი ჩემი ხნის მოგყაროს გამჩენმა, მაგრამ მაინც კაი გრძნობაა, სამოცდაათი გაზაფხულს უფათერაკოდ რომ შეხვდები. ახლა მე დიდი ფაციფუცი მოთავებული მაქვს. მთლად მაყურებელივით არ ვარ ამ ცხოვრებასთან, მარა არც შუაგულში ვტრიალებ. აწი ჩემი არც ადვილად აყოლიება შეიძლება და არც ლამაზი სიტყვით გაცუცურაკება. ნეტავი იმ დროს, როცა ყველაფერი მჯეროდა. შენ გგონია, ძალიან მიხარია, რაღაც-რაღაცეებს რომ ჩავხვდი და ბევ-

რნაირი მწარე თუ ტკბილი გამოცდილება ხუნდივით მადევს ფეხებზე? არაფერი არაა, ჩემო, სიბერის სიბრძნეს რომ ეძახიან, არ დაიჯერო ეგ ამბავი. ჯერ ერთი, ეტყობა გულდაგულ დაგვიმალა არსთაგამრიგემ სწორად ცხოვრების გასაღები და მთელი სიცოცხლის მანძილზე ამაოდ ვეძებთ, მეორეც, ვინ გაარკვევს, ვისი სჯობია ამ ქვეყანაზე? ეგებ რაც მე ახლა ჭეშმარიტებად მეჩვენება, გითხარი, მისი არ იყოს, ოცდამეათე საუკუნის კაცისთვის სასაცილო აღმოჩნდეს. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რად მინდა იმნაირი ჭკუა, ტოროლასავით ცაში ავარდნას რომ დამიშლის და მიწაზე ფორთხვას რომ მიჩიჩინებს.

ჩემი მაინც უნდა გითხრა. რაკი ჭკუის საკითხავად მოხვედი ჩემთან, ჩემებურად უნდა დაგარიგო. ყველაფერი ისე, როგორც ახლა გეტყვი, მე ვერ გავატარე, რასაკვირველია. ეს სიბრძნე, თუ შეიძლება ასე დავარქვა, ჩემს შეცდომებზე ნასწავლი სიბრძნეა. ცხვირში რომ მდრუზავდა ცხოვრება, მერე ვპოულობდი გზას გადაბრუნებული ურემივით, მაგრამ მერე გვიანღა იყო. ასე და ამნაირად, წინა კაცი თუ უკანას ხიდია, შენ მოგცემ რამდენიმე რჩევას, ჩემნაირი შეცდომები მაინც რომ არ დაუშვა. შენს საკუთარ შეცდომებსაც ბევრს დაუშვებ, ნუ გეშინია, რად გინდა, ეს ჩემი შეცდომებიც დაიმატო. აბა, ყური დამიგდე:

სამსახურში, ეცადე, ჩუმრი და გაუგებარი კაცის სახელი დაიგდო. საჯაროდ გამოსვლებს ერიდე. მეკრებიე და აქტიური ადამიანები სამსახურში არ უყვართ. ნამეტანიც რომ შეგაწუხოს სათქმელმა, გულში ჩაიბრუნე, სხვებმა ილაპარაკონ, შენ იყუჩე. წინამასწარობა დამღუპველია. სხვებს დააცადე, ყველა რომ ხელს დაიკაპიწებს, მერე შენც მიჰყევი.

კარგი მუშაკის სახელის გეშინოდეს. საკმარისია, თავი გამოიჩინო, მეგობრებიც კი მტრად მოგეკიდებიან. სამსახურში რაც შეძლო, ფეხი აითრე. წაუყრუე მოწოდებებს და ლოზუნგებს. იცოდე, თუ მთელი ენერგიით იმუშავებ და ერთგულად მოეკიდები საქმეს, ჯერ ერთი, ბრბო კარიერისტად ჩაგთვლის, ხოლო უფროსები ადგილზე გაგყინავენ. შენს დაწინაურებაზე არავინ იფიქრებს, რაკი კარგად მუშაობს, ძველ ადგილზე დავტოვოთო. თუ წინსვლა გინდა, ზერელედ იმუშავე, უფრო შეგამჩნევენ.

უფროსს ბრიყვად მოაჩვენე თავი. დარწმუნებული იყავი, მასზე ჭკვიანი კაცი არავის უყვარს. საერთოდ, თავის გამოჩენას მოერიდე. არ დაგავიწყდეს, სადმე, შემთხვევით სუფრაზე ყველაზე ლამაზი სადღეგრძელო შენ თუ თქვი ან ყველაზე კარგად თუ იმღერე, ერთ-ორ მოფუქსავატო გოგოცუნას მოეწონები, დანარჩენი ყველა კაცი დაკარგული გყავს. ძმაც რომ იყოს, ძმასაც არ უხარია, რომ აჯობებ.

ვინც უნდა გკითხოს, როგორა ხარო, არ უპასუხო „კარგადო“, რა კარგადაც არ უნდა იყო, უთხარი, ესა და ეს მაწუხებს-თქო ან, უარეს შემთხვევაში, „არა მიშავს-თქო“, იცოდე, ვინც შენი ჯანმრთელობის ამბავს კითხულობს, მართლა შენი კარგად ყოფნა კი არ აინტერესებს, ისე ფასონად გეკითხება, „კარგად ვარო“, რომ მიახალო, ვერაფერი სანუგეშო ამბავია მისთვის. სულ რაღაცაზე გულნაკლული და მოწუწუნე უფრო ახლობელი და საყვარელი ხდება ადამიანებისთვის, დამიჯერე. მაშინ სხვებს ემსგავსები და იმიტომ. არავინ არის დღეს დუნიაზე ისეთი, რამე რომ არ აწუხებდეს.

თუ რამეს სასიხარულოს ელი ან შეიტყობ, ნუ წავარდები და ნუ იჩქარებ, ვინმეს გააგებინო. ისიც კი, აღტაცების ტაშს რომ დასცხებს და მოსალოცად წაგეტანება, გულში ფიქრობს, უკეთესი იყო, ჩემს თავს ყოფილიყო ეს სიკეთეო. დაფიქრდი აბა, შენც ასე არა ხარ? ხოლო რაც შეეხება საიდუმლოს, ღმერთი არ გაგიწყრეს და არავის გაანდო. საიდუმლოს რომ შეგინახავს, ასეთი კაცი დღეს იშვიათზე იშვიათია. ჩათვალე, რომ ყოველ შვიდ, თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანში, ერთ-ერთი შემტყობინებლის ფუნქციას ასრულებს.

არც მტრები გაიმრავლო და არც მეგობრები, მტრები ხომ შეგჭამენ და შეგჭამენ, ბევრი მეგობარიც არ ვარგა, ბევრი ყურადღება და ბევრი სიყვარულის გაცემა უნდა. მოსისხლე მტერსაც არ აგრძნობინო, რომ შენ იცი, რომ იგი მოსისხლე მტერია შენი, პირიქით, დაუყვავე, გაუცინე, ისეთი სახე მიიღე, ვითომ უკვე ყველაფერი დაივიწყე და აპატიე, ამ ბოლო დროს ძალიან შეგიყვარდა და პატივს სცემ. ამით მტერს სიფხიზლეს მოუდუნებ. ისე, საერთოდ. მტერს მტრულად უნდა მოექცე, ოღონდ მაშინ უნდა დაჰკრა, როცა დარწმუნებული იქნები, რომ გაანადგურებ. მტერი იმად არა ღირს, მთელი ცხოვრება ებრძოლო პატარა-პატარა პწკენა-წყენებით. ამით შენც გაიმწარებ სიცოცხლეს. ერთხელ უნდა დაჰკრა და გაათავო.

საიმედო საფარში მყოფად ან გაღმა გასულად არასოდეს ჩათვალო თავი. ქვეყანას გრძელი ხელები აქვს, ღრმა, სიბერეშიც მოგწვდება თუ მანამდე ვერ გიყელა, უმწეო რომ იქნები, მაშინ მოგწვდება და „ცოდვებს“ გაზღვევინებს, სიკვდილის შემდეგაც არ მოგასვენებს, საფლავიდანაც ბარე-ორი ამოუთხრიათ. ამიტომ, რამდენადაც შეძლებ, მთელი ცხოვრების მანძილზე ეცადე, კაცი არ გაამწარო, არ გადაიკიდო, არავინ იცის, რომელი უფრო საშიშია, დიდი მტერი თუ პატარა მტერი.

ხალხის თვალს ვერაფერს გამოაპარებ. ულრან ტყეში და უკუნეთ ღამეშიც იფიქრე, რომ მარტო არა ხარ. ამიტომ სიბნელეში ის-

ეთს ნურაფერს მოიმოქმედებ, სინათლეზე შეგრცხვეს. ქვეყნის ფხიზელ თვალზე ჩემს ბავშვობაში ერთი ანეკდოტი გამიგონია: მთის წვერზე ორი ძმა თიბავდა, სტალინის დროს ხდება ეს ამბავი, ირგვლივ, ოც კილომეტრზე, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ერთმა ძმამ, ეშმაკს არ სძინავსო, და ყურში უთხრა მეორეს: – „რას ამბობენ თუ იცი, როდის გვეშველება, როდის გარეკავენ ბოლშევიკებსო“, როგორ ფიქრობ, რა მოჰყვება ამას? მეორე დღეს მარტო ერთი კაცი თიბავდა. აბა, ასეა საქმე.

მეზობლებს თვალში ხშირად არ შეეჩხირო. ყველაზე კაი მეზობლობაც, ბოლოს, იცოდე, ჩხუბით და შუღლით მთავრდება. ამიტომ ნამეტანს ნუ გაშლი ხელს და მეზობელს გულში ნუ ჩაიხუტებ. შენს საიდუმლოებაში, შენი ოჯახის ავანჩავანში ნუ გარევ. მეტსაც გეტყვი, რამე ფასეულ ნივთს თუ შეიძენ, ეცადე, ღამით მოიტანო, ისე, რომ მეზობლებმა არ შეგამჩნიონ. ერთი მათგანი მაინც გაიფიქრებს, რა სახსარფარნასით იყიდა, ერთი გამაგებინაო, შეხარბებით კი, თუნდაც კეთილი შეხარბებით, – კეთილი სიხარბე თუ არსებობს საერთოდ – ყველას შეეხარბება, ეჭვი არ შეგეპაროს. არავინ არის დედამიწაზე გულით დამფიქრებელი – „როგორ მიხარია, ასეთი მშვენიერი საგანი მე რომ არა მაქვს და ჩემს მეზობელს აქვსო“.

ლაპარაკში ყველას ისე მოაჩვენე თავი, თითქოს სწორედ მასთან ხარ ყველაზე გულახდილი და გულწრფელი. სინამდვილეში გულით არავის გაეხსნა. შენი უკანდასახევი ლაბირინთები ყოველთვის დაიტოვე. ნამეტანი გულახდილი კაცი დღეს სულელის თუ არა, გულუბრყვილოს შთაბეჭდილებას მაინც ტოვებს. სამსახურში უფროსთაგან ისე არავის დაუახლოვდე, „იმის კაცი“ გეძახონ. ჯერ ერთი, ამით სხვებს თავს შეაძულებ და ყველანაირად ეცდებიან, იმ უფროსთან შენი ურთიერთობა გააფუჭონ. რას არ დაგაბრალებენ, რომ იცოდე, ადამიანი მაინც ადამიანია და ბოლოს ის შენი მფარველიც გაგიორგულდება. ღამურას დღეში აღმოჩნდები: არც ზევით მიგიღებენ ჩიტად და ველარც ქვევით მობრუნდები – თაგუნად. უფროსთან მეგობრობა იმითაცაა საშიში, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ის მაინც არ აგცდება, იმ უფროსს სკამს რომ გამოაცლიან, შენც უკან მიგაყოლონ. დამიჯერე, მარტოკაცის სახელს, შენთვის ჩუმად ყოფნას არაფერი სჯობია ამქვეყნად.

ცხოვრება ცხოვრებაა და რომელიღაც მოსახვევში ერთი-ორი ქალიც გეიჩითება შენს ბარობაზე. საყვარელ ქალს, რა ლამაზიც უნდა იყოს, სხვების შესახედავად თავზე ხელის გადასმას და ქუჩაში ჩამოტარებას ნუ მიაჩვევ. სუსტმა მამაკაცებმა იციან ქალით თავის მოწონება – აქაოდა, შემოგვხედეთ, რა გოგოს გული მოვინადირეთო. გახმაურებული სიყვარული უმეტეს შემთხვევაში ცუ-

დად მთავრდება. შური დაგლუპავთ ორივეს. გამიგონე; არ უნდა ქვეყანას, არა, შენ რომ სიყვარულში გალაღებული იყო. ასი თვალიდან მხოლოდ ოთხი თვალი თუ შეგხედავს, ასეთ შემთხვევაში, კეთილმოსურნის მზერით. ბაირაღივით აფრიალებულ სიყვარულს ქალებიც შურით შეჰყურებენ და კაცებიც.

ავი თვალი, ავი თვალი გახსოვდეს ყოველ ნაბიჯზე!“

ოქტომბრის მშრალ-ცივი ქარი ბატონობდა ქალაქში.

საავადმყოფოს ჩასახვევით ძნელაძის ქუჩაზე გამოვედი და გაჩერებას რომ გავუსწორდი, მარჯვნივ გავიხედე. ტროლეიბუსი თუ ახლოს ჩანს, დავუცდი, თუ არადა ფეხით გავუყვებიმეთქი.

კიროვზე, ეს ორი კვირაა, ცალმხრივი მოძრაობის ნიშანი გაჰკიდეს. მანქანები მოედანთან ამუხრუჭებენ, მძღოლები ნიშანს ახედავენ, რაღაცას უკმაყოფილოდ წაიბუტბურტებენ და ქვევით, არხის ქუჩისკენ იზამენ პირს.

ეპიფანეს შეგონებებმა გუნება ამიმღვრია: „ნეტავი სულ არ მოვსულიყავ-მეთქი, – ვფიქრობდი, – რანაირადაა დაშინებულ-დაგლახავებული. მე კაცი მეგონა. ამნაირი იქნებოდა ჩემხანობასაც, თორემ ასე როგორ დააუთოვა წუთისოფელმა. რა სამსალა ასვა ასეთი, მიწაზე ხოხიალს რომ მასწავლის და სხვა ვერაფერს-მეთქი“.

ახლა რომ გადავხედე იმდროინდელ ჩანაწერს, ეპიფანეს დარიგებებს ისე არ გავულიზიანებივარ; უფრო შემწყნარებლურად შევხედე საკუთარი სამარის პირას ჩამომჯდარი კაცის შეგონებებს, მაგრამ მაინც მომეჩვენა, რომ ეპიფანეს პირით ცხოვრებისგან ნაჯანღარევი, მართლაც რომ დამფრთხალ-დაცვედნებული კაცი მელაპარაკებოდა.

* * *

რაც უფრო ვუახლოვდები ეპიფანეს ასაკს, მით უფრო მაწუხებს მტანჯველი ფიქრი: მთელი ცხოვრება ძირგახვრეტილი ვარცლით ხომ არ ვეზიდებოდი წყალს და, ვინ იცის, იქნებ სხვებს კი არა საკუთარ თავსაც ვერ მოვუკალი წყურვილი.

ფილოსოფოსობა იქეთ იყოს და ჩემი ასე თუ ისე მშვიდი დღეებიდან, რაც დრო გადის, უფროდაუფრო ხშირად უნივერსიტეტის ბაღი და შოთა ჩანტლაძე მახსენდება:

დილის ცხრა საათზე უნივერსიტეტის ბაღს, მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან, საშუალო ტანის, ჭაღარათმიანი და შავთვალება, ლურჯი დრაფის გაცვეთილპალტოიანი, გამხდარი კაცი მოადგა. ერთხანს მონუსხულივით შესცქეროდა ჭადრების ქვეშ აჟივჟივებულ ბეღურებს თავიანთ ურთულეს ფიქრებში გართულ მოქალაქეებს ფეხებში რომ უძვრებოდნენ, მერე კრაველის ნაცრისფერი საყელოდან

მტვერი წკიპურტით გაიფერთხა, პირთან მუშტის მიდებით ხრინწიანად ჩაახველა, ბაღში შევიდა, მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ლურჯ ხის სავარძელს ხელი დაუსვა (ახალი შეღებილი ხომ არ არის, ან ნამი ხომ არ ადევსო), შემოტრიალდა, პალტოს კალთები აიწია და დაჯდა.

თუ რაიმე ჰქონდა მიმინოსებური – მხოლოდდამხოლოდ თვალები. იცქირებოდა შორს და ჯიუტად. ხანდახან უცნაურად ჩაიცინ-ჩაიხრინწ-ჩაიხითხითებდა, გვერდზე ჩავლილ ნახევრადნაცნობ სტუდენტს თავს დაუქნევდა და მერე ისევ მონუსხულივით, კისერანეული და თვალგაქცეული, გაუნძრევლად იჯდა.

დაახლოებით ასე, თორმეტ საათზე, სტუდქალაქის მხრიდან უნივერსიტეტის ბაღს მაღალი, თმაგაჩეჩილი ბობრი პირისახის, აგურისფერულვაშა, მსუქანი კაცი მოადგა. ბობრსახიანს მაკინტოშის გრძელი, დაახლოებით, სამი-სამნახევარი ზომით მის სარგოზე დიდი მოსასხამი ეცვა. ხელები ჯიბეში არ ეწყო, ზურგზე ჰქონდა შემოსალტული, კოჭლი როდი გახლდათ, მაგრამ ისე აჩაბაჩად დადიოდა, დაინტერესებულ კაცს რომ გაეზომა განიგან მისი ტანის რხევის ამპლიტუდა, ასე სამოცი-სამოცდახუთი სანტიმეტრი მაინც იქნებოდა. თავზე წაადგა კარაკულის საყელოიან, გამხდარ კაცს და როცა ამ უკანასკნელმა აბეზარი ფიქრისგან წუთით მოიცალა და თვალი შეავლო, მიესალმა. კაცმა-მიმინომ კითხვაგარეული ღიმილით დაუქნია თავი.

– უკაცრავად, თქვენ შოთა არა ხართ ჩანტლაძე? – ჰკითხა.

– „დიახ გახლავარ, რა გნებავს შენა," – მსახიობის თეატრალური დახვეწილობით მიუგო დამხვდურმა.

– აქ რას აკეთებთ?

– ხომ ხედავთ, ვთვლემ.

– თუ შეიძლება, დავჯდები თქვენს გვერდით.

– ვთვლემ-მეთქი, მგონი გასაგებად გითხარით, გნებავდათ რამე?

– ერთად ვითვლიმოთ, – უცნობი არც ისე მორცხვი ჩანდა, როგორც შოთას ერთი შეხედვით მოეჩვენა, მაკინტოშის ლაბადა არ აუკეცავს, სავარძელს სული შეუბერა, ჭადრაკულად მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო, გაიფინა და დაჯდა.

მზე რომ ჭადრებს დასავლეთის მხრიდან მოექცა და გუმბათის ჩრდილი ვერის გზატკეცილს დაეხატა, მაკინტოშიანმა მოსასხამის კალთები მუხლებზე, აიწია და შოთას მიუბრუნდა:

– ვარლამი მქვია მე.

შოთამ კარგა ხანს უყურა, მერე გაუღიმა და მარჯვენა ხელით მხარზე რბილად შეეხო.

– შევმცდარვარ. ჩემი შეტყობით, ჯურღაი უნდა გრქმეოდათ.

– რატომ ჯურღაი?

– იცით, ადამიანები ძალიან ხშირად ჰგვანან სახელებს ან მერე ემგვანებიან. აი, ეგერ რომ ბიჭი გარბის, სვიტრიანი, არც მეტი, არც ნაკლები – კოკა ერქმევა. თუ გნებავთ, დაეწიეთ და ჰკითხეთ.

– თქვენ იცნობთ, ალბათ. – დაეჭვდა ვარლამი.

– ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

– შოთა, თქვენ?

– რა მე?

– თქვენ ჰგავხართ თქვენს სახელს?

შოთამ თვალები ეშმაკურად მოწკურა და თითქოს საიდუმლოს ანდობსო, განუცხადა:

– მე გენიოსი ვარ. გენიოსისთვის ყველა სახელი პატარაა. უკეთეს შემთხვევაში, გენიოსი სახელს იმგვანებს, თვითონ არ ემგვანება. ისე ჩვენს შორის დარჩეს და იმ ერთადერთი შოთას მერე მე მრცხვენია რომ შოთა მქვია.

– ააა, ჰოოო, – ვარლამმა კეფა მოიფხანა, მიხვედრით კი, რასაკვირველია, ვერ მიხვდა ნათქვამს და, კაცმა რომ თქვას, იქ მისახვედრიც არა იყო რა.

– მითხარი, მითხარი, მკითხე. მერე, რა ვუყოთ, რაღაცრაღაცებს მეც ვერ ვხვდები ხოლმე ზოგჯერ. გენიოსს სახელი არ სჭირდება-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა. უბრალოდ და მარტივად თუ გინდა, ეს არის.

ვარლამს მოეჩვენა, რომ ამ „უბრალოდ და მარტივად“ ნათქვამზე უფრო გასაგები მისთვის, წეღანდელი რთულადნათქვამი იყო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

– მართალი ყოფილა. – თქვა სტუმარმა და განზე გაიხედა.

– რა ყოფილა მართალი? – შოთა რეზინისმილიან მეეზოვეს შესცქეროდა.

– თქვენზე რომ ამბობენ, ერთი შეხედვით, დამთხვეული გეგონებათო.

– მეორე შეხედვითო? ეგ მეორე უფრო საინტერსო უნდა იყოს.

– რომ იცოდეთ, ბატონო შოთა, სამასი კილომეტრიდან თქვენს გასაცნობად ჩამოვედი.

– შენ გგონია გამიკვირდება, ეგ რომ მართალი იყოს? დროც კია, დაიწყოს ყოველი მხრიდან ხალხმა დენა ბრძენთაბრძენის ბაგეთაგან ცხოვრების აზრის მოსასმენად.

– თქვენ ხუმრობთ და ეს ნამდვილად ასეა.

– არა, მართლა.

– ჩემმა ძმისშვილმა, სამტრედიელი გახლავართ მე, გოჩაჯიხაიში, თუ გაგიგონიათ. დიდი არაფერი, ბუოლის დამყნობა

ვიცი კარგად. ჩემმა ძმიშვილმა-მეთქი, შარშან დაამთავრა. ჩამოვიდა. ხომ იცი, ნასწავლი კაცი. მიხაროდა გვერდით მისი ამოყენება. აბა, რავა არი საქმე, რა გასწავლეს-მეთქი. მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ ლაპარაკში შევატყვე; ყველაზე მეტად ამ ხუთ წელიწადში თავი შოთა ჩანტლაძემ დამამახსოვრაო. რა მოხელეჩიქვანია-მეთქი, ვკითხე. დიდი არაფერი, უნივერსიტეტის ბაღში ზის დილიდან საღამომდე. თუ იქით არ გამოელაპარაკე, აქეთ ხმას არ გაგცემს. პირველად უცნაური გეგონება, მერე და მერე ისე გაგიტაცებს, ვერ მოშორდებიო. იმდენი რამ მიამბო თქვენზე, სიმართლე გითხრათ, სიზმარშიც მყავხართ ერთი სამჯერ ნანახი. სად მეცალა სათბილისოდ, მაგრამ ვერ გავძელი და წამოვედი. დაიჯერებთ ამ ამბავს? თქვენს გასაცნობად, თქვენთან სალაპარაკოდ ჩამოვედი.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი ზოოპარკთან, სალობიეში ისხდნენ. არსად არ ეჩქარებოდათ. იცი, მკითხველო, რა დიდებული რამ არის, როცა სალობიეში ზიხარ და არსად არ გეჩქარება?

– ბავშვობა თუ მოგნატრებია, – სხვათაშორის ეკითხებოდა ვარლამი.

– მომნატრებია, მაგრამ ახლა რომ ბავშვად გადავიქცე, არ მინდა რატომ თუ იცი?

– ?

– რა სანატრელია თავიდან, ახლა, ქუნთრუშას თუ წითელა ბატონების გადატანა. ყურებზე ხელის აფარება სკოლის დირექტორის დანახვისას. ლურჯი ტრუსიკით და წითელი მაისურით ქუჩაში გასვლა. სიგარეტის თავიდან მიჩვევა და არყის სმის დაწყება. იცი, რა ძნელი იყო? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ, ძლივს მივეჩვიე, ძლივს ჩამოვყალიბდი.

– ძმაკაცები თუ გყავთ?

– როგორ არა. ერთი სამი გენიოსი ძმაკაცი მყავს, – ისევ გაიცინა და ეშმაკი ჩაუსახლდა თვალებში, – ხომ იცი, გენიოსს გენიოსი ნაკლებად უძმაკაცდება. გენიოსს უფრო სულელისკენ მიუწევს გული. ამიტომ კანში ვძვრებოდი, თავს უბრალო მოკვდავად ვაჩვენებდი, რომ, როგორმე, მათი ნდობა მომეპოვებინა. ამ ბოლო დროს, მგონი, შემატყვეს, რომ თავს ვისულელებდი, გურულები ამას თავის გააბდლებას ეძახიან, შემატყვეს, რომ მეც გენიოსი ვარ და ჩამომშორდნენ.

უცებ მოიწყინა და დაამატა:

– ხუმრობა იქეთ იყოს. ღმერთმა კარგად მიმყოფოს ჩემი მეგობრები, მაგრამ ყველას ურჩევნია რომ მკვდარი ვიყო.

– რას ლაპარაკობ?

– ცუდი რამ არ იფიქრო, ვარლამ. ესეც ზედმეტი სიყვარულით მოსდით. ჩვენ ხომ ერთმანეთი მკვდარი უფრო გვიყვარს, ბალდახინზე გაჭიმული. გალაკტიონი გახსოვს? „მიცვალებული სახელოვანი წევს ბალდახინზე გამონყობილი“, თუმცა გენიოსი ვარ, მაგრამ რაც ამ წუთში გითხარი, არ ჩაიწერო, სისულელეა, წუწუნია. მეგობრებისაგან იმაზე მეტი არ უნდა მოითხოვო, რაც გეკუთვნის. მე, ალბათ, მეტი არ მერგება, და საერთოდ, შენს მაგივრად ვერავინ იცხოვრებს. ეს მართლაც კარგად ვთქვი, შეგიძლია ჩაიწერო.

– ჩემმა ძმისშვილმა მითხრა. ლექსებს წერსო.

შოთამ გაიცინა, მუშტი მიიდო ტუჩებთან და ჩაახველა.

– ტყუილი უთქვამს. ლექსი იმდენად სერიოზული რამეა, რომ, თუ დაწერ, აი როგორ მდგომარეობაში უნდა დაწერო: დიდხანს გხეხეს შიმუნვარებმა, თუ რა ჰქვიათ? – პირისფარეშებმა, ბოლოს ვარდის წყალი გადაგავლეს ტანზე. შემოგიყვანეს მაღალჭერიან დარბაზში, ჯიბა-ატლასით შეგმოსეს, ხელთ ოქროს კალამი მოგაწოდეს და თვითონ უკანსვლით გაუჩინარდნენ. დამავიწყდა, შანდალზე ინდური ბალახი იწვის, ჰამო სურნელს რომ გამოსცემს. აბა, მე რა ლექსი უნდა დავწერო სახლმმართველი რომ თავში მიჩაჩქუნებს, კომუნალური გადასახადი არ შეგიტანიაო. შუა ოთახში ნავთქურა რომ ხრჩოლავს და შავად თოვს, ყველაფერ ამას ის სიკეთეც დაუმატე, შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, საიდან ხარ?

– გოჩა-ჯიხაიშიდან.

– შენ რომ არ ჩამოსულიყავი დღეს, ჩემო ვარლამ, გოჩაჯიხაიშიდან, ლობიოს და არყის ფული ათასი დამამცირებელი საშუალებით უნდა მეშოვნა. ასე რომ, ტყუილი უთქვამს იმ შენს ძმისშვილს, ლექსებს წერსო. რა ერქვა, არ იტყვი ბოლოს და ბოლოს?

– ბეჟანი სხირტლავა.

– უი, ბეჟანი, ბეჟანი! ჩემი ძმა. ჭამა ძველებურად უყვარს? ძილი? ძილის გიჟია. უნდა იამაყოს თქვენმა გვარმა. ეგ ისეთი კარგი ჩამოსხმაა, შორს წავა. ნახავთ მალე. ხუთი წელი ვწვრთნიდი, ვერაფერ სიგლახეს ვერ მივაჩვიე. მერე ჩავიქნიე ხელი. რომ დამინახავდა, სულ მშიერი ვეგონე, სამ მანეთს ამოიღებდა და ჯიბეში ჩამიკუჭავდა. თან ხელს ხელზე მომიჭერდა და თვალს ჩამიკრავდა. ერთხელ რაღაცაზე შემეკამათა, ვუთხარი: „ნუ მანერვიულებ, თორემ გავბრაზდები შენზე და სამ მანეთს აღარ გამოგართმევ-მეთქი“. მაშინვე გაჩუმდა. ასეთი ბიჭია, ხალასი, სუფთა. მოეწყო სამსახურში?

– არა ჯერ.

– ცოლი არ შეურთავს?

– არა.

– რა ეჩქარება? ეგ ისეთი ბიჭია, ყველაფერს მოასწრებს. მე ყველაფერი დამიგვიანდა, კაცო, ამ ქვეყანაზე ვერ გეტყვი, რისი ბრალია. ახალი რაღაცის დაწყება ბავშვობიდანვე მიჭირდა. სიახლის მეშინია. რა მინდა ამ ბაღში ამ ხნის კაცს, შენ გგონია, მე არ ვფიქრობ ამაზე? ვფიქრობ, მაგრამ თავი ვერ დამიღწევია.

ჯიბეში ხელი ჩაიყო. „პრიმას“ თავი მოუსრისა და ასანთს გაჰკრა.

ვარლამი შესცქეროდა რიდით და სიყვარულით. „რაც უფრო თვრება, უფრო უბრალო და გულწრფელი ჩანს. საოცარია, უცნაურობა, თითქოსდა, ნიღაბივით აუფარებია კაცს ეგონება მართლა რაღაცას მალავსო“.

– შენ მითხარი, – შოთა განაგრძობდა, – რომ არ დაგხვედროდი დღეს ჩემს ადგილას, ბაღში, სად უნდა გეძებნე? ესე იგი, ხომ ჭირდება ვიღაცას ჩემი აქ ყოფნა? გითხრა სიმართლე, ერთი პირობა წავედი აქედან და მუშაობა დავიწყე. ხეირიან სამსახურს ვინ მომაშავებდა. პატარა ჩინოვნიკის ადგილი მომცეს. შემოვივლიდი ყოველ საღამოს ბაღში და, გაგიკვირდება, თითქოსდა ჩემს თავს დავეძებდი. კაცს ვეძებდი, რომელიც აქ უნდა მჯდარიყო. არავინ არ იკისრა, ძმაო, ეს როლი. ისევ მე დავანებე სამსახურს თავი და დავბრუნდი. ჩვენ ჩვენი ადგილი უნდა შევავსოთ. ყველას რომ იმაზე მეტი გვინდა, რაც ბუნებამ გვარგუნა – ესაა ჩვენი უბედურების თავი და თავი. როგორც ჩანს, ჩემი საქმე ეგ არის, ისე როგორც რობერტ მელქაძის საქმეა კაცის გალახვა რინგზე.

სვამდნენ პლასტმასის თეთრი ჭიქებით, არაყზე ლუდს აყოლებდნენ. დეკემბრის სუსხიანი საღამო იყო. მარჯვენა მხრიდან მანქანების ღრიალი ისმოდა, ზოოპარკში ცივი ხმით ჰკიოდნენ მნახველთაგან თავგაბეზრებული მაიმუნები.

კარგად შეზარხოშებულები დაბრუნდნენ უნივერსიტეტის ბაღში. სიმთვრალე მხოლოდ იმაზე ეტყობოდათ, რომ ჩვეულებრივზე ცოტა ხმამაღლა და დიდი პაუზებით ლაპარაკობდნენ.

– ა, ბედნიერი ხალხი, – შოთამ უნივერსიტეტის ბაღში გამწკრივებულ ძეგლებს გახედა. – ანგარიში გასწორებული აქვთ ამ ქვეყანასთან. ო, რომ იცოდე, ვარლამ, რა ძნელია სხეულის ტარება. რაც მალე იქცევი ქვად, მით უკეთესია.

– საქმე უნდა გააკეთო. ქვად ყველა ვერ იქცევა.

– ბალახად ხომ უეჭველად გიწევს გადაქცევა. ესეც საქმეა. შენ იკითხე, თორემ მე რა, მე უკვე მოწყენაც მომეწყინა. ესე იგი ძალიან ახლოს ვარ ბალახად ქცევასთან. მარტო ერთ რამეზე მწყდება გული.

– რაზე?

– რას იტყვიან, ნეტა, ჩემი გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ

მოგონებათა საღამოს რომ გამართავენ. ვინ რას მოიგონებს, რას დამაბრალებენ. მიცნობდა ვინმე? დაინტერესდა ვინმე ჩემით?

– შენ არ მოკვდე, თორემ მაგ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. სიტყვებს ისეთს იტყვიან, შენვე აგატირებენ, ცოცხალი რომ იყო.

– მაგის იმედიც აღარა მაქვს .

– რატომ დავიწყეთ ეს ცუდი ლაპარაკი.

– გავჩუმდები, ბატონო, რაკი არ მოგწონს, გავჩუმდები.

შუაღამისას დასცილდნენ ერთმანეთს.

შოთამ შესთავაზა; აქვე ვცხოვრობ, ჩემს ჭერქვეშ გაათიე ღამეო, მაგრამ სტუმარმა იუარა, ფალიაშვილის ქუჩაზე ნათესავი მყავს, მიუსვლელობა არ იქნებაო.

მიდიოდა ვარლამი სახლისკენ და ფიქრობდა:

– „სხვა კაცია, რად უნდა ამას ლაპარაკი. სხვა თიხისგან ყავს გამჩენს შექმნილი, ხანდახან ავი მუსაიფი გაერევა სიტყვაში. რაღაც დიდი ნაღველი აქვს. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი“.

...არასამედიცინო ტერმინი რომ ვიხმაროთ; ბრმა ნაწლავის გასკდომა იშვიათი შემთხვევაა. და ამ „იშვიათ შემთხვევაშიც“ კი ადამიანები იშვიათად კვდებიან.

* * *

ჩემთვის საკუთარი წიგნის კორექტურის კითხვაზე უფრო დიდი სასჯელი არ არსებობს.

მანამ ვითრიე ფეხი, სანამ გამომცემლობიდან არ დამირეკეს, ხვალ თუ არ მოიტან, კვარტლის გეგმიდან ამოვარდებიო.

სხვა გზა არ მქონდა, მივყევი სხვადასხვა დროს ნვითა და დაგვით გამოტანჯულ ჩემს სტრიქონებს.

...არავინ იცის, ძილი როდის და როგორ მოგეპარება. ამ აბურდულ ფიქრებში გართულს კორექტურით ხელში მიმძინებოდა.

დილით ყურისწამღებმა რახრახ-ღრჭიალმა გამომაღვიძა.

ქუჩის პირას, მეორე სართულზე, ვცხოვრობ და მანქანების ხმაური ჩემთვის უცხო როდია, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი სატრანსპორტო გუგუნი.

ზედ საფეთქელთან მიბრაგუნებდა კომპრესორის გრიალი, უროს ცემა და დაგადუგი.

ფანჯარას მივვარდი.

ასფალტს თხრიან.

საგულდაგულოდ ჩავკეტე ყველაფერი, დავგმანე პატარა საჰაერო სარკმელიც, მაგრამ ხმაურს ვერაფერს ვუხერხებ.

ლამის ტირილამდე მივიდე.

ნერვებს მიხერხავს ეს საშინელი ხმაური.

ჩემი აივნის მოაჯირზე ჩიტი – დაფრინდა. პაწაწკინტელა, ნიავივით მსუბუქი, ჭრელგულა, ღაბუა ჩიტი, ბელურაზე უფრო პატარა.

ერთი ჩახედა ქუჩას. ყური ჰკიდა ჩაქუჩის ბაგუნს, აქ ჩემი ადგილი არ არისო, ჩანს, ეს გაიფიქრა და როგორც მოფრინდა, ისე უხმაუროდ, რბილად, თითქოს ბაბუაწვერას ულვაშიაო, ჰაერს შეერია.

აფრინდა. ამას აფრენაც არ ერქვა. ასფალტის ცხელ სუნთქვას და ყოვლისწამლეკ ხმაურს აჰყვა მაღლა.

არა, მე კორექტურით ხელში ვერ მოვკვდები!

ხვალვე უნდა წავიდე ზუგდიდში და მირიან გერსამია ვნახო.

უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით.

ჩემზე ერთი კურსით წინ იყო. ისტორიული დაამთავრა. ზვიადის თანამებრძოლობისთვის დააპატიმრეს და ცხრა წელი იჯდა. შარშან შემხვდა თბილისში. მისამართი ჩამაწერინა. მოვძებნი მისამართს და ხვალვე წავალ ზუგდიდში.

* * *

მატარებელი ზუგდიდის ვაგზალში საღამოს ექვს საათზე შევიდა.

ვაგზლის წინ, ასფალტზე, მტრედები ირეოდნენ.

ფეხით მოსიარულე რომ ჩაივლიდა, მტრედები წამოტკაცუნწამოფრთხიალდებოდნენ, იქვე, მოაჯირზე გამწკრივდებოდნენ და წამის შემდეგ ისევ დაეშვებოდნენ ტროტუარზე.

თავის ფიქრებში გართულ მგზავრს, რომელიც მტრედებს, იქნებ ვერც კი ამჩნევდა, შეაკრთობდა ფრინველთა ფრთების ტკაცანი, მოიხედავდა და, სხვას თუ ვერაფერს იზამდა, ჯიბიდან ხელებს ამოიღებდა.

გელამ ნაბიჯი შეანელა, მარჯვნივ გაიწია, ტროტუარის კიდეს ფრთხილად აუყვა. არ უნდოდა, დაეფრთხო ასფალტზე მოფუსფუსე მტრედები.

სამიოდე ნაბიჯზე რომ მიუხალოვდა, მტრედები მაინც აფრინდნენ. მხოლოდ ერთი მტრედი დარჩა ადგილზე. ლამაზი თავის შეტრიალებით ახედა მიმავალს და თავის საქმეს დაუბრუნდა.

კაცმა არ იცის, ყველაზე ჭკვიან მტრედად მიიჩნია თუ არა გელამ ის ერთადერთი მტრედი. ეგ იყო, სითბო ჩაეღვარა სულში, რატომო, რომ გეკითხათ, იმ წუთში, ალბათ, ვერ გიპასუხებდათ.

მისამართის ჯიბიდან ამოღება არც დაჭირვებია.

მირიან გერსამიას მისამართი ვინ არ იცისო ზუგდიდში, ტაქსისტმა.

თქვენი სახე მეცნობა, თქვენ მწერალი კირთაძე ხომ არ ბრძანდებითო და რაკიღა გელამ დაუდასტურა, ფული არასგზით არ გამოართვა.

* * *

მირიანი ნესტისგან სვეტებშემწვანებული ოდის აივანზე იჯდა და ზაფრანისფერ ხურმას საჩირედ თლიდა.

გიორგობისთვის სიგრილეს ჩხოუშიდან მონაბერი, ცვალებადი მიმართულების, მაწანწალა ნიავი სიცივისკენ ეძალებოდა.

საღამოც ისე უგემურად მოიზლაზნებოდა, როგორც გრძელი, უსიცოცხლო დღე გაილია.

ჭიშკართან ნაბაზრალი ლტოლვილები თუ ჩაივლიდნენ და წარბებზე ქუდჩამოფხატული ქურდბაცაცები. ეს უკანასკნელნი ძირითადად ავტობუსების მგზავრთა ცარიელ ჯიბეებშიღა დაძვრებოდნენ და ამასაც ისე, ჩვეულების ხათრით აკეთებდნენ, ფორმა რომ არ დაეკარგათ, თორემ ვის რა ჰქონდა მოსაპარი და დასაკარგი.

– მირიან!

– რომელი ხარ?! – ბინდბუნდში ვერ გაარჩია და ვერც ხმაზე იცნო სტუმარი.

კიბეზე ჩამოირბინა და ჭიშკრისკენ გამოაბიჯა.

საშუალო სიმაღლემდე ცოტა აკლდა. გამხდარი იყო. ცალი ხელი შუბლთან მიეტანა და ფეხშეთრევით, მაგრამ მსუბუქად უახლოვდებოდა ღობეს. სქლად ნაქსოვ ჯემპრზე თაგვისფერი ქურთუკი ეცვა. ფეხზე – რეზინის ჩექმები.

– გელა ხარ?! გენაცვალოს ჩემი თავი! რა გამახარებდა დღეს უფრო მეტად!

– როდიდანაა, ყამით რომ ხვდები სტუმარს? – გელა იცინოდა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– ხურმას ვთლიდი და შემრჩა ეს ნავარი ხელში.

– რა დროს ხურმაა, იქცევა, მირიან, ქვეყანა.

მირიანმა ბუხარში ცეცხლი შეანთო.

ცოლს უხმო; გელა კირთაძეზე დიდი სტუმარი ვინ მოგვივიდოდაო.

ცოლი სამზადისკენ წაფსლატუნდა.

– რა ჭირს ხალხს, სისხლი გამიშრა ძარღვებში, იმათ საცოდაობას რომ ვუყურე. სკოლიდან გამოასახლეს და გომურებში არიან შეფარებული. ამ ზამთარში ყველა ამოწყდება.

– რომ იძახიან იქნება შესვლაო? – გელას ხმა გაებზარა. „შევალთო“ უნდა ეთქვა, მაგრამ რატომღაც „იქნება შესვლა“ ამჯობინა.

– გჯერა მაგი შენ? როცა გამოყარეს, იმ კვირაშივე უნდა შეგვებრუნებია ეს ხალხი. ან ძალით, ან ნებით. მიხედავდა კაცი თავის დამწვარ სახლს. მის ფუძეზე მაინც იქნებოდა. აწი მოგჭამა ჭირი

იქ შესვლამ. ხომ ხედავ, აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოგიცხადა რუსმა.

– მე მაინც არ მესმის, მირიან, რა გვჭირს. ნუთუ ვერაფერს გავხდებოდით?

– ჯარი უკან გააბრუნეს და ჩვენ რას გავხდებოდით რუსეთთან. ერთი დანჯღრეული „ბეტეერი“ გვყავდა ზუგდიდში. 10 აგვისტოს დავქოქეთ მე და ჯოტო ჯიქიამ, დავსვით ზედ ჩვენი უბნის შვიდი ბიჭი. ავტომატები ვისაც გვქონდა, საბარგულს ამოვაკარით ქვემოდან, ვისაც – არა, ქე იჯდა გულხელდაკრეფილი პანაშვიდზე მიმავალივით. მივადექით ენგურის ხიდს. რა ვეხვეწეთ, რა ფული ვაძლიეთ რუსებს, მარა ვინ გაგიშვა.

– იქიდან ხომ კარგად უშვებენ აფსუებს, ამ საცოდავი ხალხის სახლების გადასაწვავად.

– იქიდან იცოცხლეთქვა, უშვებენ. ჩვენაა, რომ გვიკრავენ ხელებს. შენ მიწაში რაა ის იცი გელა და ამას ვერ მიხვდებოდი, რა თამაში მიდის?

– მე მარტო მაგას კი არა, სხვასაც ბევრ რამეს ვარ მიმხვდარი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. ყოველ შემთხვევაში მაგის გარჩევის დროც დაუდგება ქვეყანას. შენ ეს მითხარი, რა ვქნათ, ვიყოთ ასე?

– რამე გაქვს მოფიქრებული საწმოხონო? – ჰკითხა მირიანმა.

– მოფიქრებული რა. მოვილაპარაკოთ-მეთქი, ჩემი ჭკუით, რა გზას დავადგეთ.

– რას გააკეთებინებ, თუ ძმა ხარ, ამ შეშინებულ ფარას.

– მთლად ასეა ვითომ საქმე?

– მე გეტყვი, საქმე როგორცაა. ჭაჭიას ბიჭი მოკლეს გალში რვა სექტემბერს. შემოგვითვალეს იქიდან, ათასი დოლარი მოიტანეთ და გაგატანთ მკვდარსო. მომადგა ჯანკა ჭაჭია – მოკლულის ბიძა. შენ უნდა დაადგა თავი მაგ საქმესო. კი, ბატონო, მე ვუთხარი. გამოყავით სანათესაოდან ორი კაცი და გამომყვეს, დღესვე წავალთ, მე ვუთხარი. როგორ ფიქრობ, რა მოხდა? იმხელა სანათესაოდან ორი კაციც ვერ მოძებნეს. დაგვხოცავენო, შეეშინდა ყველას და ყველა იქ შეძვრა, შენ რომ იცი. მარტო ხომ არ წავალ მკვდრის ჩამოსასვენებლად? ხელში ხომ არ ავიყვან იმ უბედურს, მე ვუთხარი. ბოლოს მარტო მომიწია წასვლამ. გაუკვირდათ აფხაზებს. თვითონ შემიკრეს საკაცე და თვითონ გადმომიყვანეს ენგურზე. იმათ არ შეშინებიათ, ჩვენებს შეეშინდათ, კაცო. ჭირისუფალს შეეშინდა. შვილი ჰყავს მკვდარი. მეტს რას დაკარგავს. ა, ასეთი ქვეყანა გვაქვს, ასეთი ხალხი გყავს შენ.

– რა ვიცი. მე მაინც არ მგონია მთლად მასე დაკარგული იყოს ყველაფერი. შენ ისტორიკოსი კაცი ხარ აბა, ტყუილია ვითომ ის ცოტნე დადიანი და გიორგი სააკაძე, ის სამასი არაგველი და ცხრა ძმა ხერხეულიძე?

– ვერ გეტყვი. ერთ დროს, ალბათ, იყვნენ, კი. ერთ დროს ალბათ, ვიყავით რაღაცა, მაგრამ ახლა რასაც ხედავ, ესაა.

– რუსია, რუსი ჩვენი უბედურების თავი და თავი. რუსისაა, რომ ეშინიათ, თორემ აფსუა და ოსი რას გვიზამდა ჩვენ.

– კი მარა, ამ რუსის ჩეჩენს რომ არ ეშინია? ინგუშს რომ არ ეშინია? ჩერქეზს რომ არ ეშინია?!

– ეტყობა, კიდევ გვაკლია რაღაც თავზე ხელის აღებამდე. ჩანს, ჯერ კიდევ არ ვართ ისე გამწარებული, როგორც უნდა.

– მეტი გამწარება რაღა გინდა გელა, თვალწინ ცოლს უბახებენ კაცს და იმის მაგივრად, რომ კბილებით ყელი გადაუღრღნას გადამთიელს, თბილისში ჩადის და თავის გაუპატიურებულ ცოლთან ერთად „პალმოლივ საპონს“ და „სნიკერსს“ ჰყიდის.

– რა ჰქნას აბა?

– ყველა ამას ვკითხულობთ, გელა, რა ჰქნას, რა ჰქნასო. აღარ მჯერა უკვე, ერთად, შეთანხმებულად თუ რამეს შევძლებთ. დავკარგე იმედი და მომკალი, თუ გინდა. რამდენიც დავთქვით რამე ხუთმა კაცმა, შპიონობით და გაცემით დამთავრდა ყველაფერი. ქვეყანა შენ შემოგყურებს; სანამ ვიყოთ ასე, არ მოვილაპარაკოთ, არ დავადგეთ რამე გზას?

– მე ბჭობა-თათბირი დამთავრებული მაქვს, ჩემო მირიან, წყლის ნაყვაა ეგ ყველაფერი. გითხრა სიმართლე, ჩემი საქნარიც მოფიქრებული მაქვს.

სტუმარმა ცოტა ხანს იყუჩა, ყელთან შეკავებული დუმილით.

– მირიან, სამურზაყანოში მინდა ხვალ გადავიდე. დავხედავ, ერთი, იქაურობას. თუ კაცი ხარ, ძველი ტანსაცმელი, ჩექმები და ზურგჩანთა გამიმზადე... არ შეგეშინდეს, სისულელეს არაფერს ჩავიდენ. ჩემი თვალით მინდა ვნახო, რა გვჭირს.

– მარტო ხომ არ გაგიშვებ, გამოგყვები – მასპინძელს ცუდად ენიშნა „სისულელეს არაფერს ჩავიდენ“.

– სწორედ მარტო მინდა გადასვლა. შენ არ გაგიყოლებ. შენ გიცნობენ. გადავალ, ცოტას მივივლ-მოვივლი და დავბრუნდები ორ დღეში. შენ სანდო კაცი მიმასწავლე, ღამე რომ გამათევინოს.

– მაშინ ვინმეს გაგაყოლებ, ხამად ხარ აქეთ, გზები არ იცი.

– არა, არა, შენს თავს ვფიცავარ, მარტო უნდა წავიდე. ასეა ჩემი საქმე...

განთიადამდე ენთო იმ ღამეს მირიან გერსამიას ბუხარში ცეცხლი. ტაბლას ორნი უსხდნენ.

„არა, არა, ასე გაგრძელება არ ეგების. ეს ძილი ერის სიცოცხლის დასასრულს ნიშნავს. რაც ჩემი ცხოვრებით ვერ შევძელი, ჩემი სიკვდილით უნდა შევძლო“.

დილით ბონდის ხიდზე რომ მიირწეოდა, ეს ხმა ზარივით რეკავდა გელა კირთაძის ყურებში.

* * *

ჯავშნოსან მანქანაზე ათიოდე ჯარისკაცი იჯდა. ავტომატჩაბღუჯულები, მზისგან გარუჯულნი... დაღლილი სახეები ჰქონდათ. მორიგი ოპერაციიდან ბრუნდებოდნენ.

ოტობაიას ჩამოსახვევთან მანქანას შარვალაკაპიწებულმა, მიმინოსთვალება, ზურგჩანთიანმა მოხუცმა ხელი აუწია.

ჯავშნოსანი გაჩერდა.

– ჩავო ტებე?! – ჰკითხა კაბინიდან თავგამოყოფილმა ზემდეგმა.

თუ შეიძლება, ტრასამდე ჩამიყვანეთო.

– ტი კტო, აბხაზეც, ილი გრუზინ?! – ბღვერით მოუნაცვლა კითხვა გვერდით მჯდომმა.

– კანეჩნო, აბხაზეც. გრუზინ ზდეს ნეტ ი ნე ბუდეტ! – ცრემლიდან ძალად გაიღიმა მგზავრმა.

– დაი ბოგ, დაი ბოგ, სადის ატეც. ეი, ვი ტამ, ზასრანცი! პრიიმიტე აბხაზცა! – ასძახა საბარგულში ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს ათმეთაურმა.

როგორც შეძლო, მსუბუქად შეხტა საბარგულზე და შუაში მოკალათდა.

ორასიოდე მეტრი რომ გაიარეს, ერთმა ჯარისკაცმა მოხუცის ხელში ხელყუმბარა შენიშნა.

– ტი ჩტო! – შიშით იყვირა მან და განწირულივით დაიღრიალა:

– რებიატა!

მაგრამ უკვე გვიან იყო.

2010
თბილისი

ასარჩევი

თავი პირველი

აპრილი 5

თავი მეორე

ომი 56

თავი მესამე

მეტეორი 101

თავი მეოთხე

„ნუგეშის“ რედაქტორის მისაღები 234

თავი მეხუთე

იყვენით სრულ... 386

თავი მეექვსე

მწუხრი 467

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ XIV

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2013